კონსტანტინე ზ. გამსახურდია

სამშობლოსა და ერი-სახელმწიფოსთვის



ზვიად გამსახურდიას

ბიოგრაფიული პორტრეტი

გამომცემლობა პალიტრა L

ბრწყინვალე წიგნი ზვიად გამსახურდიაზე

იდეისთვის მსხვერპლის გაღება ყველაზე მეტ ძალას სძენს თავად ამ იდეას. ზვიად გამსახურდიას თავგანწირულმა ბრძოლამ საქართველოს დამოუკიდებლობის, თავისუფლებისა და სახელმწიფოებრიობის იდეას ეპოქალური განზომილება შესძინა. მისი თავისუფლების შეგნების წყარო მამის, დიდი კონსტანტინეს, შემოქმედება და აღზრდის კულტურა იყო, რომელმაც საბჭოთა იმპერიაში ჩვენი ეროვნული თვითმყოფადობისათვის ბრძოლის ისტორიული მისიის განგრძობადობა და უწყვეტობა ზვიად გამსახურდიას ცხოვრების არსში გამოხატა.

ამ ისტორიული მისიის განხორციელებაში ზვიად გამსახურდიას მოღვაწეობა ყოველთვის იყო ქრისტეს მოწამეობრივ მრწამსთან დაკავშირებული. სწორედ მისტიური და მითოლოგიური იყო მისი მეცნიერული კვლევისა და შემოქმედების ძირითადი ინტერესიც, რომელიც ყოფიერების აზრს ადამიანის იდეურ არსებაში ხედავდა. საკუთარ იდეას იგი საქართველოს სულიერი მისიის განსაზღვრის პროცესში ეძებდა და მას, ძირითადად, დასავლური ცივილიზაციის ფესვებს უკავშირებდა.

საკუთარი იდეა – სამშობლოს იდეასთან გაიგივებული, პირადი ინტერესები ქვეყნის ინტერესებით გააზრებული, ზვიად გამსახურდიაში წარმოაჩენდა ერისკაცს, რომელსაც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ფარგლებში ჯერ ლიდერის, შემდეგ კი, საქართველოს პირველი პრეზიდენტის რანგში, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების საპატიო მისია დაეკისრა.

ამ იდეის განხორციელებისათვის დაიბადა, იღვაწა, იბრძოლა და თავი გაწირა ზვიად გამსახურდიამ. საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის მსხვერპლის გაღება არის მისი ცხოვრების ფილოსოფიის საზრისი, რომელიც მისი ვაჟიშვილის, კონსტანტინე გამსახურდიას, წინამდებარე წიგნში საუკეთესოდ არის გადმოცემული.

ლევან იზორია
საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში

წიგნი – მონუმენტი

თითქმის 30 წელია, რაც აღარაა ზვიად გამსახურდია, მაგრამ მისი სახელი არ ჩამოდის ტელევიზიის ეკრანიდან, პრესის ფურცლებიდან, მასობრივი ქსელებიდან. მასზე იწერება ესსეები, წიგნები, პოლიტიკური შეფასებები, მოგონებები და ლექსები, იდგმება მისი ბიუსტები.

ალბათ, იშვიათია ქართველი მოღვაწე, ვისზეც ამდენი ტყუილი, ლანძღვა, ცილისწამება დაწერილიყოს, ვისაც ასე სასტიკად მოქცეოდეს საზოგადოების ნაწილი და მაინც შარავანდედით შემოსილიყოს.

დღეს ზვიად გამსახურდიას სახელი, როგორც ინტელექტუალის, დისიდენტის, დამოუკიდებელი ქვეყნის მესაძირკვლისა და პირველი პრეზიდენტისა – კანონიზებულია. გუშინდელი მტრებიც კი სხვაგვარად იქცევიან და მეტყველებენ, რადგან იგი მართალი იყო ქვეყნისა და თავისი თავის წინაშე.

მიუხედავად ასეთი ტრიუმფისა, ყოველი ახალი სიტყვა მის ღვაწლსა და ნააზრევზე ისევ დიდ ინტერესს იწვევს, ისევ ამძაფრებს სინანულის გრძნობას.

ძვირფასო მკითხველო!

აი, ახლა თქვენ გაეცნობით კონსტანტინე ზ. გამსახურდიას ვრცელ და დიდმნიშვნელოვან ნაშრომს საქართველოს პირველ პრეზიდენტზე, მისი დრამატული ცხოვრების გზაზე.

ეს არის წიგნი-მონუმენტი, დაწერილი დიდი ცოდნით, პოლიტოლოგიურ-კულტურული თვალთახედვით, საოცარი ობიექტურობით.

საერთოდ, ძნელია თავი შეიკავო, როდესაც ეცნობი უამრავ ცრუ, ყალბ და უსინდისო მსჯელობას სიმართლისა და პატრიოტიზმის ნიღბით, დევნისა და წამების ისტორიას, მით უმეტეს, როცა საუბრობ საკუთარ მამაზე...

კონსტანტინე ზ. გამსახურდიამ შეძლო, დაეძლია არაერთი სუბიექტური და ობიექტური ბარიერი, როგორც დიდმა ერუდიტმა, ანალიტიკოსმა და მოაზროვნემ.

წიგნში განხილულია აურაცხელი ფაქტობრივი მასალა, პრობლემური საკითხი, რომლებიც დღესაც ისევე გვაღელვებს, როგორც 30 წლის წინათ.

ზვიად გამსახურდიას სახელი ქვეყნის თავისუფლების სიმბოლოდ არის ქცეული. ვინ იცის, რამდენი ნაშრომი დაიწერება მასზე ან შეიქმნება ხელოვნების ნიმუში; როგორი ინტერპრეტაციები მიეცემა მის აზროვნებასა და მოქმედებას, მაგრამ ეს წიგნი მუდამ გზამკვლევი და შუქურა იქნება მომავალი თაობებისა და ინტელექტუალებისთვის.

სოსო სიგუა

პროფესორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი

კონსტანტინე ზ. გამსახურდია

სამშობლოსა და ერი-სახელმწიფოსთვის

ზვიად გამსახურდიას
ბიოგრაფიული პორტრეტი

სულიერი სამყარო ჭეშმარიტი სამშობლოა ადამიანის,
ხოლო მიწიერი მისი ხატი.

ზვიად გამსახურდია

წინათქმა

შვეიცარიაში ყოფნის მეორე წელი ეს-ესაა მიწურულიყო და 1994 წლის იანვრის დღეს, ქალაქ ბაზელში, მეგობარ მხატვართან ერთად შინიდან გასულმა, დავრეკე სახლში. მეუღლემ შეშფოთებული ხმით მიპასუხა – მამაშენზე გადმოსცემენ, რომ თავი მოიკლაო. უკვე არაერთი სატელეფონო ზარი შემოვიდა, სასწრაფოდ მოდიო. „არა, შეუძლებელია, – ვთქვი მაშინ, – ეს ან დეზინფორმაციაა, ან გაუგებრობა. ასეთი ხმები ადრეც დაუყრიათ“. იმ და მომდევნო საღამოს უამრავ სატელეფონო ზარს ვუპასუხე. ვეუბნებოდი, რომ ეს ან დეზინფორმაციაა, ან, თუკი ცოცხალი აღარაა, მკვლელობის გადაფარვაა. მიუხედავად იმისა, რომ ოპტიმისტურ განწყობაზე ნამდვილად არ ვყოფილვარ ყოველივე იქიდან გამოდინარე, რაც თავს გადაგვხდა, მისი გარდაცვალების თავზარდამცემი ამბავი მაშინვე არ დამიჯერებია. გამახსენდა ბევრი რამ, იმჟამად 33 წლის ახალგაზრდა კაცს: ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა ვენაში, სადაც მამას თითქმის ერთი თვე მოუწია ყოფნა და შემდეგ ყოველივე ის, რამაც გასაოცარი სისწრაფით ჩაიქროლა. გამახსენდა ბრძოლები, რომლებიც გარეგან ისტორიაში არ ჩანდა, და ისეთებიც, რომლებიც ყველასთვის თვალსაჩინო იყო; ღვთისმსახურებაზე დასწრება მასთან ერთად ქართულ ტაძრებში, სადაც მისვლაც კი ოდესღაც პოზიციას ნიშნავდა; მამა, როგორც უფლებადამცველი, და ყველანი, რომლებიც თავიანთი დაუძლეველი იდეალიზმით იდგნენ საკუთარ პოზიციებზე; გამახსენდა როგორც თეორიული ძიებების, ისე პრაქტიკულ საქმეთა სულიერი შინაარსები, რითაც ჩვენ ვცოცხლობდით; გამახსენდა იდილია ჩვენი სახლისა, როდესაც ბაბუა ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, და ულრუბლო ზეცა ბავშვობისა. და, ცხადია, გამახსენდა მამას მრავლისმთქმელი სიტყვები უკანასკნელი შეხვედრისას ვენაში: „როდესაც ყველა წავა და სამყაროში მარტო მოგიწევს დარჩენა, პატივი მიაგე უშუალო წინაპართა ხსოვნას, ვისთანაც ბევრი რამ გაკავშირებდა, მოწიწებით გაიხსენე ისინი და კარგად, ღირსეულად იცხოვრებ ამქვეყნად“.

1991-1992 წლების მიჯნაზე მომხდარი გადატრიალების შემდეგ ყველაფერი ელვისებურად განვითარდა. ამ ქვეყანაშიც სწორედ მამას რჩევითა და დახმარებით მოვხვდი. ზვიად გამსახურდია დღეს 83 წლის გახდებოდა, ხოლო

მისი აღსასრულიდან 29 წელი გავიდა. სამწუხაროდ, დღემდე არ დაწერილა წიგნი, რომელიც, ერთი მხრივ, მისი ბიოგრაფია იქნებოდა, პირადი და პოლიტიკური თავგადასავლის თვალსაზრისით, მეორე მხრივ კი, წარმოადგენდა მის შემოქმედებას, მეცნიერულ და კულტურულ მემკვიდრეობას. ეს გულისხმობს იმავდროულად ეპოქის პორტრეტის რეკონსტრუქციასაც ამ ინდივიდუალურ-ბიოგრაფიულ შუქჩრილში – ბობოქარი და წინააღმდეგობრივი ეპოქისა, რომელიც სათავეს იღებს, ერთი მხრივ, საქართველოს დამოუკიდებელი და დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციიდან, მეორე მხრივ, საბჭოთა კავშირში იოსებ სტალინის მიერ მთელი ძალაუფლების კონცენტრაციიდან, რომელმაც დიდი ომის დასასრულიდან გარკვეული პერიოდი კიდევ გასტანა. ეს იყო ეპოქა, რომელშიც ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას ბავშვობამ ჩაიარა. აქვე დავძენ, რომ არის საკითხები, რომლებიც მე უკეთ მესმოდა, ვიდრე – ვინმე სხვას, თუნდაც, როგორც მასალებითა და მეთოდიკით კარგად აღჭურვილ მკვლევარს, რამდენადაც თავად მამაჩემისგან მსმენია მათ შესახებ. როგორც წიგნის სათაური – „სამშობლოსთვის და ერი-სახელმწიფოსთვის“ – მიგვითითებს, მასში ზვიად გამსახურდიას, როგორც მოქალაქისა და პოლიტიკოსის, ბიოგრაფიული სიმძიმის ცენტრებია მოცემული – სამშობლო, რომელიც, პრინციპში, ქართველ ერს ყოველთვის ჰქონდა და მას ვერავინ წაართმევდა, ვერც ცარიზმის ეპოქაში, როდესაც ქვეყანა ორ გუბერნიად იყო დაყოფილი და რუკაზე არ არსებობდა, და ვერც საქართველოს სსრ-ს არსებობის დროს, როდესაც სხვა, უფრო დიდი, ქვეყნის ფარგლებში პოლიტიკურ რუკაზე მაინც გაჩნდა გარკვეული, თუნდაც პირობითი საზღვრები; და „ერი-სახელმწიფო“, რომელიც თანამედროვე Nation-ს ნიშნავს. მიუხედავად იმისა, რომ წარმონაქმნი „სახელმწიფო“ საქართველოს სსრ-შიც არსებობდა, მას ჰქონდა ეფემერული საზღვრებიც, დროშაც, გერბიც და ჰიმნიც, ასევე ჰყავდა თავისი ფორმალური საკანონმდებლო ორგანო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებები, ეს ყოველივე მაინც პარტიის ადგილობრივი ცენტრალური კომიტეტის, პარტიის იმპერიული ცენტრალური კომიტეტის ფილიალის ქოლგის ქვეშ იყო მოქცეული, რაც რესპუბლიკის სუვერენიტეტის მეტისმეტ შეზღუდულობას განაპირობებდა. იგი „ერი-სახელმწიფოსგან“ საკმაოდ შორს იდგა. დიახ, ზვიად გამსახურდიასთვის „ერი“ და „ეროვნული“, პირველ ყოვლისა, სახელმწიფოებრივსა და კულტურულს ნიშნავდა და არა პრიმარულად ეთნოგენეტიკურს. ამიტომ ყველაზე ჯიუტ და შეუვალ ოპონენტებს მოვუწოდებთ, თვალი გაუსწორონ სიმართლეს და ნუ განაგრძობენ კრემლის კაგებისტურ-პროპაგანდისტული ნარატივის გამეორებასა და შენარჩუნებას.

თავისუფლების ადგილი არ არის იქ, სადაც ტოტალური უსამართლობაა გამეფებული. ორიგინალური არ იქნებოდა იმის აღნიშვნა, რომ ზედმეტია სამართლიანობის რაიმე სტანდარტებზე საუბარი საბჭოურ ტოტალიტარულ საზოგადოებაში. რას გვიმხელს ეს ბიოგრაფიული პორტრეტი? იმას, რომ სწორედ სამართლიანობის წყურვილმა მიიყვანა ახალგაზრდა კაცი უფლება-

დამცველურ მოძრაობასთან. ჰელსინკის ხელშეკრულებამ გააჩინა ახალი სინათლე პოტსდამისა და იალტის შედეგად გაყოფილი ევროპის განახლებისა. მანვე დამონებული ერებისთვის იმედი გააჩინა საბჭოურ სივრცეშიც, თუმცა მხოლოდ „ადამიანი", როგორც ასეთი, როდი იჩაგრებოდა საბჭოთა კავშირში – იგი ოკუპირებულ-ანექტირებულ ერთა საპყრობილეც იყო. პოლიტიკაში ზვიად გამსახურდია მოვიდა, როგორც დისიდენტი, უფლებადამცველი; მოვიდა პროგრამით, რომლის საბოლოო მიზანიც ეროვნული თავისუფლება და ერი-სახელმწიფოს (Nation) შექმნა იყო. ერთი მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ ზვიად გამსახურდია, როგორც დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი და სახელმწიფო მოღვაწე, გარკვეულწილად იცავდა თანამედროვე ნაციონალიზმის იმ ჩარჩოს, რომელიც ევროპაში სათავეს იღებს ვესტფალიის მშვიდობიდან და ეროვნული სახელმწიფოს მოდელს გვთავაზობს, თუნდაც ისეთს, როგორიც პოსტსაბჭოთა სივრცეში განვითარდა საბჭოთა კავშირის დეზინტეგრაციის შედეგად. ამგვარ სახელმწიფოში, რა თქმა უნდა, არის უმცირესობათა ადგილიც, იგი ეთნიკურ დომინაციაზე და „არასატიტულო" ეთნიკური ჯგუფების დისკრიმინაციასა ან ჩაგვრაზე არ იგება; საუკეთესო შემთხვევაში, მის ფარგლებში იმავდროულად უმცირესობებისთვის მოცემულია შესაძლებლობა, იმდენად ინტეგრირდნენ თანამედროვე ერი-სახელმწიფოს საზოგადოებაში, რამდენადაც ეს მათ მოთხოვნილებას, სურვილსა და გემოვნებას შეესაბამება. მოქალაქეობის მიღება კი გარკვეული ნაციონალობის კუთნილებას ნიშნავს. აქვე დავძენ: სამწუხარო და აღმაშფოთებელია, რომ საბჭოთა იმპერიის ცენტრში თავმოყრილ მოწინააღმდეგეთა პროპაგანდამ ზვიად გამსახურდია ობსესიურ-ნაცისტური იდეით შეპყრობილ ადამიანად წარმოაჩინა. სწორედ მაშინ დაიწყო ჰიბრიდული ომი, რომელიც დღემდე გრძელდება.

საქმე ისაა, რომ ევრაზიულ სივრცეში განფენილ იმპერიას – ჯერ ცარისტულს, შემდეგ კი – კომუნისტურს – თავად ჰქონდა ეთნიკური კრიტერიუმები პოლიტიკის გატარებისას, მეტადრე, განაპირა მხარეებში. სწორედ მისი საჯაროდ არგაცხადებული პროგრამა გულისხმობდა გარკვეული, მისთვის საშიშად და პრობლემურად მიჩნეული ეთნოსების დისკრიმინაციას, ფრაგმენტაციასა და პერმანენტულ შევიწროებას (აღნიშნულის კლასიკური ნიმუში იყო, მაგალითად, დეკაბრისტ-კონსტიტუციონალისტ პოლკოვნიკ პესტელის პროგრამა, სადაც ერთმანეთისგან გამოყოფილი იყო „მორჩილი" და „დაუმორჩილებელი" ხალხები რუსეთის იმპერიის სამხრეთში). ამიტომაც ნაციონალიზმი გარკვეულწილად თავდაცვითი რეაქცია იყო იმ ერისა, რომელსაც რეალურად არ გააჩნდა არც სუვერენიტეტი, არც სახელმწიფო და არც საზღვრები. მე-18 საუკუნიდან მოყოლებული, რუსეთი კოლონიას მანამდე ცნობილი სახით არ ქმნიდა, იგი უბრალოდ ფართოვდებოდა. რუსეთი ან სრულ ასიმილაციას სთავაზობდა დაპყრობილ ტერიტორიებზე მცხოვრებ ხალხს, ან გარკვეულ შეზღუდულ, უვნებელ და კასტრირებულ ნაციონალ-პატრიოტიზმსაც კი დაუშვებდა ადგილზე, რომელიც რუსეთის გეოპოლიტიკურ ინტერესებსა და ადგი-

ლობრივ სამხედრო-პოლიტიკურ ადმინისტრაციას საფრთხეს არ შეუქმნიდა და ისიც ცალკეულ შემთხვევებში, სადაც მნიშვნელობა მიენიჭებოდა პოლიტიკურ კონტექსტსა და მოცემულობას. რა თქმა უნდა, ასეთი კასტრირებული, იმიტირებული ნაციონალ-პატრიოტიზმი ადრე თუ გვიან სულს დაღაფავდა და ასიმილაციით დაგვირგვინდებოდა. და რა იყო ამ ასიმილაციის მიზანი? ამას პირდაპირ ასწავლიდნენ საბჭოთა სკოლებში: „საბჭოთა ხალხი, როგორც ახალი ისტორიული ერთობა“, რაც, სინამდვილეში, რუსი, რუსულენოვანი ხალხი იყო. ამის საპირისპიროდ, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიზანი იყო საქართველოს ეთნოსთა უფლებრივი გათანასწორება.

ქართველ ერს, რომელიც იდგა თანამედროვე ერი-სახელმწიფოდ ქცევის გზაზე, იგივე უფლებები უნდა ჰქონოდა, რომლებიც ყველა სხვას. ხოლო საქართველო, ისევე იყო ქართველების ქვეყანა, როგორც გერმანია – გერმანელების, საფრანგეთი – ფრანგების, საბერძნეთი – ბერძნების და ა. შ. მიუხედავად ამისა, საქართველოში ეთნიკურ არაქართველს ეძლეოდა ორივე შესაძლებლობა: გამხდარიყო ქართველი მოქალაქეობის მიღებით და ინტეგრაციით, ან ეცხოვრა საქართველოში როგორც პასპორტის ან ცხოვრებისა და შრომის უფლების მქონე ეროვნულ უმცირესობას, რომლის უფლებებსაც არავინ დაარღვევდა. აფხაზ ერს კი საშუალება ეძლეოდა, ჰქონოდა გაფართოებული ავტონომია, იგი აღიარებული იყო ერად, თუმცა არა ერი-სახელმწიფოდ. ამასთანავე, დიდი ხანია, დამტკიცებულია, რომ გამონათქვამი, „საქართველო მხოლოდ ქართველებს“, არასოდეს გამოუყენებია ზვიად გამსახურდიას და იგი მის მიმართ მტრულად განწყობილი ძალების პროპაგანდისტული გამონაგონია. უამრავ წიგნში, კვლევასა თუ სტატიაში უმართებულოდ და მცდარადაა განვითარებული თეზისი, თითქოს საქართველოში 1991 წელს მძვინვარებდა აუტანელი „ეთნიკური ნაციონალიზმი“. წინამდებარე წიგნი ამ მცდარ ნარატივს კიდევ ერთხელ აქარწყლებს.

როდესაც მკაფიოდ და ხაზგასმით ამბობდა, რომ „საქართველო არის ქართველთა ქვეყანა“ – და აქ არასოდეს გამოუყენებია სიტყვა მხოლოდ (only, ან რუს. только) – ზვიად გამსახურდია გულისხმობდა დაახლოებით იმავე პრინციპს, რომელიც თუნდაც ესპანეთის კონსტიტუციაშია გადმოცემული: ესპანელი ერი აარსებს ესპანეთის ერი-სახელმწიფოს ან ნაციას, „ნეიშენს“. რაც შეეხება ეროვნულ უმცირესობებს, ამ კონსტიტუციით, ესპანელი ერი მათ მიმართ სოლიდარულობის პრინციპით ხელმძღვანელობს, ხოლო კატალანელ ხალხს აღიარებს ერად, თუმცა ეს თვითგამორკვევის, სეპარაციისა და ერი-სახელმწიფოს დაფუძნების უფლებას არ ითვალისწინებს. ზვიად გამსახურდია არ ყოფილა იურისტი და, შესაბამისად, არც იურიდიულ ფორმულირებებს აყალიბებდა, თუმცა აფხაზებთან მიმართებით მასთან საცნაურია ერთი რამ: აფხაზებს არ გააჩნიათ სხვა სამშობლო. ამავე დროს, მათ აქვთ თავიანთი ენა, ლიტერატურა და თვითმყოფადი კულტურა. ეს შესაძლებელს ხდის, რომ მათ ჩვეულებრივ ეროვნულ უმცირესობაზე მეტი სტატუსი მიეკუთვნოთ. ამიტო-

მაც გამსახურდია-ალექსიძის კანონსა და იმ სამშვიდობო პროცესში, რომელიც დაიძრა აფხაზეთში, აფხაზები, როგორც სატიტულო ხალხი, იღებდნენ გაფართოებულ ავტონომიას, თუმცა, იმავე კანონის მიხედვით, პრეზიდენტი ავტონომიური რესპუბლიკის მართვის შიდა პროცესებში ვერ ჩაერეოდა, ჰქონდა მხოლოდ უფლება ვეტოს დადებისა იმ შემთხვევაში, თუკი ავტონომიური რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანო გადაწყვეტდა საქართველოდან გამოყოფას. რასაკვირველია, ხელისუფლება ქართველებს ასევე აფხაზეთის მკვიდრ ხალხად მიიჩნევდა, ხოლო მშვიდობა აფხაზურ-ქართულ მორიგებას უნდა დაყრდნობოდა (შდრ. ამონარიდი 1991 წლის 12 მარტის მიმართვიდან: „დამოუკიდებელი საქართველო თქვენ გაცილებით მეტს მოგცემთ, ვიდრე მოდერნიზებული საბჭოთა იმპერია, რომლის მიზანი არის ყველა პატარა ხალხის ასიმილაცია და რუსიფიკაცია. თვითმყოფად საქართველოში იარსებებს ჭეშმარიტად თვითმყოფადი აფხაზეთი, ჭეშმარიტი თვითმმართველობით, როგორც მას ჰქონდა აფხაზთა და ქართველთა ერთიანი სამეფოს არსებობის დროს საუკუნეთა განმავლობაში“).

ამავე დროს, გარკვეული ფორმის ეთნონაციონალიზმი საქართველოში არსებობს ჯერ კიდევ მე-19 საუკუნიდან, როდესაც მეფის რუსეთის კოლონიურმა ადმინისტრაციამ მყარად მოიკიდა ფეხი როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში. გამოიკვეთა მისი პრიორიტეტებიც – ქართველი ხალხის ასიმილაცია და ამ ტერიტორიის შეუქცევადად რუსეთის კუთვნილებად ქცევა, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო ძვირფასი თვლისა „ჩრდილოეთის მეფის“ ბრწყინვალე გვირგვინში. განა საიდუმლოა, რომ რუსული იმპერიის იდეოლოგები აუცილებლად თვლიდნენ როგორც აფხაზეთში, ისე დანარჩენ საქართველოში კაზაკებისა და, ზოგადად, რუსულენოვანი მოსახლეობის მასობრივად ჩამოსახლებას? და ქართველების გარუსება ასევე ფაქტი იყო როგორც ცარისტულ, ისე კომუნიზმის ხანაში. როგორც მიხეილ ჯავახიშვილი წერდა, როდესაც რუსი უარს ამბობს რუსობაზე, იგი რუსად რჩება; როდესაც ქართველი უარს ამბობს ქართველობაზე, იგი გარუსებულია – ასეთიაო განსხვავება ქართულ და რუსულ კომუნისტებს შორის. ქართული ეთნონაციონალიზმი არსებობას განაგრძობდა კომუნისტურ ხანაშიც, როგორც სსრკ-ის მასშტაბით თავად ეთნიკურ უმცირესობად ქცეული ქართველების თავდაცვის, შესაძლოა, ბლაგვი, უვარგისი, მაგრამ მაინც იარაღი. ეს ეთნონაციონალიზმი, შეიძლება ითქვას, ყოველთვის თავდაცვითი, დეფენსიური ხასიათისა იყო და, ცხადია, „ფობიების“ გარეშე ვერც ის იქნებოდა. აბა, სხვა რა ინსტრუმენტი გააჩნდა დაპყრობილ ერს, რომელსაც სახელმწიფოებრიობა წაართვეს, საკუთარი ეროვნული ვინაობის, იდენტობის დასაცავად? ან სხვა რა ინსტრუმენტით უნდა ემოქმედა ჯერ კიდევ ვერ-შეკრებილ ერს, სადაც კუთხური ანტიპატიები და ერთიანი სხეულისგან განცალკავების მისწრაფება საკმაოდ ძლიერად იყო ფეხმოკიდებული და ამას გარკვეული პოლიტიკური ცენტრიდან ხელიც შეეწყობოდა?

ეს ეთნონაციონალიზმი ზვიად გამსახურდიას არ შეუქმნია, იგი მას დახვდა, როგორც მოცემულობა. თავის დროზე ილია ჭავჭავაძემ ეს ეთნონაციონალიზმი თითქოს გააკეთილშობილა, იგი კულტურულ და პრაგმატულ ნაციონალიზმად აქცია. ეთნონაციონალიზმის კონვულსიები იგრძნობოდა საქართველოს ყველა ნევრალგიურ წერტილში თვით მეოცე საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარში. იგი რეაქცია იყო იმპერიის იმ პოლიტიკაზე, რომელიც საქართველოს წაშლისა და დეზინტეგრაციისკენ იყო მიმართული. ზვიადი, როგორც პოლიტიკოსი და რეალისტი, ბრძოლას ვერ გამოუცხადებდა ამ ეთნონაციონალიზმს, თუმცა კარგად ხედავდა, რომ ახალ მოცემულობაში იგი სახელმწიფო ნაციონალიზმში უნდა გადასულიყო, სადაც ეროვნული უმცირესობები ქართველ ერთან ერთად სოლიდარობის პრინციპით იცხოვრებდნენ. ამ სახეცვლის გარეშე იგი მხოლოდ ზიანს მოიტანდა.

ზვიად გამსახურდიას მოღვაწეობასა და ნააზრევში იმავდროულად არის ნიშნები იმისა, რომ იგი ცდილობდა ეროვნული სახელმწიფოს დახვეწასა და განვითარებას არა ფიზიოკრატიისა და ბიოპოლიტიკის მიმართულებით (ეს ტერმინები ეკუთვნის ფრანგ ფილოსოფოს მიშელ ფუკოს), სადაც ყველაფერი არსებობისთვის ბრძოლაზე, ბიოლოგიურ ინსტინქტებსა და გენეტიკაზე, მხოლოდ ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებებზე აგებულ პოლიტიკაში გადადის. მას კარგად ესმოდა: ეროვნული სახელმწიფო თუ არ განვითარდა, არ გადავიდა უკეთეს მოდელში, იგი მაინც „პანდორას ყუთი" დარჩება, საიდანაც ბევრი დაავადება გავრცელდება. ზვიად გამსახურდიას კულტურული მემკვიდრეობა ჰარმონიულად ერწყმის მის პოლიტიკურ მოღვაწეობას. ამ მემკვიდრეობის ძირითადი განწყობის მიხედვით, გამოსავალი ძიებებშია, რაც შეეხება ბიოპოლიტიკისა და ფიზიოკრატიის მანკიერი წრიდან თავის დაღწევას, თუნდაც მომავალში, ამ მხრივ, ერთ-ერთი საინტერესო და საყურადღებო დოკუმენტია „საქართველოს სულიერი მისია".

მართლაც მძლავრი იყო დეზინფორმაციის ის ნაკადი, რომელიც დასავლეთში აღმოსავლეთიდან ვრცელდებოდა. შეძლებისდაგვარად ვცდილობდი, იგი ურეაქციოდ არ დამეტოვებინა. შვეიცარიულ ემიგრაციაში ცხოვრებისას არცთუ დიდი ზომის ესსე-პამფლეტში ავსახე ზვიად გამსახურდიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის გარკვეული მომენტები და ეპიზოდები;[1]* ამ წიგნის დაწერის მოტივი უფრო ის იყო, რომ პრესის ზოგიერთ დასავლურ ორგანოში, ასევე, გამოცემული წიგნების უმრავლესობაში დაბალანსებული, ფხიზელი ისტორიული კვლევა პროპაგანდისტული კლიშეებით ჩაანაცვლეს. მასში აღნიშნული მაქვს: ქართული ტერმინი „მამულისშვილობა" ილიასა და აკაკის გაგებით, რომელიც ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავასთვის ასევე მისაღები იყო, არ გულისხმობს მხოლოდ გენეტიკაზე, სისხლზე, მიწაზე, ეთნოსთაშორის კონკურენციასა და შუღლზე დამყარებულ მსახურებას. დღესაც ვთვლი, რომ ზვიადისა და მერაბის მოღვაწეობა იმგვარი მოქალაქეობის მაგალითია,

---

* *დამონმებული წყაროები იხილეთ 728-ე გვერდზე.*

სადაც თავისუფლება, ერთი მხრივ, სამართლიანობითა და, ზოგადად, სამართლით არის გაწონასწორებული და ეს დემოკრატიის მუდმივი მდგენელი ხდება; მეორე მხრივ, აქ სახეზეა „მორალური სამყარო", რომელიც შთაგონებისა და ინსპირაციის წყაროდ იქცევა და ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ინდივიდუალიზებას განიცდის პიროვნების ბიოგრაფიაში, რამდენადაც იგი კულტურასა და განათლებაშია აკუმულირებული. ამით აიხსნება ზვიად გამსახურდიას საჯარო გამოსვლებში ვაჟასა და რუსთაველის ციტირებაც. ამადროულად, სწორედ მორალური სამყაროა ის, რომელიც საფუძვლად უდევს სამართალს, რამდენადაც სამართალი, ონტოლოგიური თვალსაზრისით, „არაფრიდან" ანუ სიცარიელიდან არ აღმოცენებულა. სამართალი თავადაც აღმოცენდა იქიდან, რაც ეთიკურია, ესთეტიკურია და ადამიანთა თანაცხოვრებისთვის თვით პრაგმატული გაგებითაც აუცილებელია.

წინამდებარე ბიოგრაფიულ პორტრეტზე დაკვირვება გვიჩვენებს: ეს „მორალური სამყარო" არის არა გაქვავებული კატეგორიები, რომლებიც ასეთივე წარმატებით, შესაძლოა, უფრო მასების დასათრგუნად გამოიყენონ ტოტალიტარულმა რელიგიურმა და პოლიტიკურმა სისტემებმა, არამედ – კრეატიულ-შემოქმედებითი მიდგომით განხორციელებული ვიტალური პოზიცია, რომელიც საზოგადოებრივ-პოლიტიკური ქმნადობის პროცესში ქმედით და მართებულ მუხტს განაპირობებდა. ამიტომაც დღემდე იგონებენ, თუ როგორ უყვარდა ადამიანების უმეტესობას ერთმანეთი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის კულმინაციისას, რომ უდიდესმა რწმენამ და იმედმა მოიცვა ხალხი. მიუხედავად ამისა, ზვიად გამსახურდიას არ შეუქმნია არანაირი იდეოლოგიური სისტემა. ისტორია ზემოთქმული თავისუფლების მაგალითებს იძლევა: როგორც ციცერონი ამბობდა ოდესღაც – plena exemplorum est historia – „ისტორია სავსე მაგალითებით". მერაბისა და ზვიადის ბიოგრაფიებიც ამ მხრივ საყურადღებო მაგალითებია.

თუკი შევეცდებით თავისუფლების წარმოდგენას გარკვეული სისტემის სახით, დავინახავთ, რომ მასში თვით რელიგიურ ჭეშმარიტებებსაც კი თავიანთი სეკულარული ეკვივალენტები გააჩნიათ, თუმცა ამოსავალი წერტილი, ცხადია, არის არა საეკლესიო, არამედ სეკულარული და აკადემიური თვალსაზრისი. თავისუფლება ინდივიდუალური აქტით იწყება, თუმცა შემდეგ სოციუმში განხორციელდება და განივრცობა, როგორც ყველასთვის ხელმისაწვდომი ნაყოფი. ამ ორი მეგობრის ისტორია განუყრელია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიისგან, დაწყებული რომანტიკული შემართებით გამორჩეული ბიჭების მიერ დაფუძნებული „გორგასლიანიდან" და ჰელსინკის ჯგუფიდან, რომელიც რამდენიმე ადამიანის მიერ იყო წარმოდგენილი საკავშირო და საერთაშორისო ასპარეზზე, დამთავრებული მრავალათასიანი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობით, რომლის პოლიტიკური ინსტრუმენტიც „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს" სახელისუფლებო კოალიცია გახდა.

მნიშვნელოვანი დასკვნა, რომელიც უნდა გაკეთდეს ზვიადის პოლიტიკურ კურსთან მიმართებით, ისაა, რომ მას საქართველოს განთავისუფლების რაღაც სპეციფიკური, არაფერთან მიმსგავსებული გზა არ გამოუგონია, როგორც ამის დამტკიცებას ცდილობენ ოპონენტები ან მათი გავლენის ქვეშ მოქცეული პირები. ხელისუფლებაში მოსვლა სწორედ ლიტვურ-ბალტიური მოდელის ძალიან მსგავსი გზით განხორციელდა. მცდარი ან სიყალბის შემცველი დასკვნებია, ასევე, თითქოს, ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების გზა გულისხმობდა: 1. იზოლაციონიზმს, როგორც ამას პუტჩისტები ამტკიცებდნენ და უწოდებდნენ „ალბანიზაციას“, ენვერ ხოჯას, ალბანეთის კომუნისტი დიქტატორის პოლიტიკურ კურსზე აპელირებით; 2. მხოლოდ კავკასიის ერთიანობასა ან „იბერიულ-კავკასიურ ერთობაზე“ აგებულ პოლიტიკურ კურსს, როგორც დასავლეთზე მიმართული კურსის ალტერნატივას, რაც, ამავე დროს, რუსეთს ვერ აზიანებდა, არამედ მხოლოდ აღიზიანებდა. კავკასიური მიმართულება მართლაც არსებობდა, გადადგმული იყო გარკვეული ნაბიჯები ამ მხრივ, თუმცა ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური კურსი ორიენტირებული იყო სწორედ დასავლეთზე. ზვიად გამსახურდიას ზედმიწევნით აქვს განმარტებული, რა არის დასავლურობა და დასავლური კურსი. მაშინ უპირველესი ამოცანა კი იყო ქვეყნის საერთაშორისო აღიარების მიღწევა, რასაც მთელი ძალებით ეწინააღმდეგებოდა კრემლი. ამ მიზნით მსოფლიოში ვრცელდებოდა უამრავი დეზინფორმაცია; 3. თითქოსდა აშშ-ის პოლიტიკური კურსისა და მისი ხელისუფლების გამუდმებულ კრიტიკას, რაც არ არის მართებული. ის ორი კრიტიკული წერილიც, რომლებიც, სხვათა შორის, თავაზიან ტონშია დაწერილი პრეზიდენტ ბუშის მიმართ, მთლიან კონტექსტშია განსახილველი. ვთვლი, რომ წინამდებარე წიგნში აშშ-თან ურთიერთობის მთელი კონტექსტი, მიმართული მსოფლიოს ამ უძლიერეს ქვეყანასთან დასაახლოებლად, წიგნში საკმარისად მკაფიოდაა ნაჩვენები; 4. რაღაც ჰიპერნაციონალიზმს, რომელთან მიმართებითაც უნდა ითქვას, რომ ზვიადის ლექციებიდან ან სამეცნიერო სტატიებიდან ამოკრეფილი ტერმინები არ გამოდგება იმდროინდელი პოლიტიკური კონტექსტის გასაგებად, ან რეალური კურსის რეკონსტრუქციისთვის.

არსებობს სიტყვები, რომლებსაც ზვიადის ბიოგრაფიაში, შესაძლოა, საკვანძო მნიშვნელობა ჰქონდეთ. ასეთი სიტყვაა თუნდაც „დილემა“, რომელიც მან გამოიყენა ადრე დაწერილი სტატიის სათაურში – „კაცობრიობა დილემის წინაშე“. იგი იდგა დილემის წინაშე, როდესაც უნივერსიტეტის დოცენტსა და ახალგაზრდა მწერალს ნაბიჯი უნდა გადაედგა უფლებადამცველური მოღვაწეობისა და ჰელსინკის მოძრაობისკენ; როდესაც „მონანიება-მოუნანიებლობის“ დილემის წინაშე იდგა, როგორც პოლიტპატიმარი და მოყვასისთვის ანუ მერაბის გამო, და მერაბისავე სიტყვებით თუ ვიტყვით, მაინც განისაჯა; როდესაც იდგა დილემის წინაშე, მიეღო მონაწილეობა არჩევნებში თუ ეროვნულ ფორუმში დარჩენილიყო; როდესაც იდგა დილემის წინაშე, გარიდებოდა ალმოდებულ მთავრობის სასახლეს თუ დარჩენილიყო იქ, სადაც გარდუვალად

ტოტალური სამოქალაქო ომი გაჩაღდებოდა; როდესაც გროზნოში მყოფი იდგა დილემის წინაშე, დაბრუნებულიყო საქართველოში, რათა ჩართულიყო აფხაზეთის დაცვისთვის ბრძოლაში თუ დარჩენილიყო ჩეჩნეთში; როდესაც იდგა დილემის წინაშე, დაეტოვებინა სამეგრელო თუ დარჩენილიყო იქ, კოლხეთის ტყეების, მთებისა და ხეობების ვიწრო ბილიკებზე ბედისწერის განაჩენის შესახვედრად. გეოპოლიტიკური თვალსაზრისით კი უდიდესი პრობლემა იყო 1917 წლიდან 90-იან წლებამდე დასავლეთში ჩამოყალიბებული, უფრო სწორად კი, ჩამოუყალიბებელი დამოკიდებულება რუსეთის იმპერიასა და მის მიერ გადადგმულ ნაბიჯებთან. ისე გამოდიოდა, თითქოს გორბაჩოვ-ბუშის შეთანხმების მიხედვით, „ბალტიური გზით“ მხოლოდ ბალტიელებს უნდა ევლოთ, ხოლო სხვა რესპუბლიკებს კეთილი უნდა ენებათ და რუსული გავლენის სფეროში დარჩენილიყვნენ. ამის გამართლება კეთილგონიერებითა და რეალპოლიტიკის პრაგმატიზმით ხდებოდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მალევე რუსეთის ფედერაციამ დაიწყო ისეთი ნაბიჯების გადადგმა, რაც ცხადყოფდა: აქ იმპერიის კვლავ შემოკრებაზე ფიქრს განაგრძობდნენ და კონკრეტულ ქმედებებსაც ახორციელებდნენ.

უკანასკნელ 30 წელიწადში ნაგულისხმები კონცეპტი ბოლომდე თუ არა, საგრძნობლად შეიცვალა. „ახალი მსოფლიო წესრიგი საბჭოთა იმპერიასთან, ხალხთა საპყრობილესთან რაიმე ალიანსში მყოფი არ უნდა იყოს“, თითქოს უთხრა ზვიად გამსახურდიამ ახალი მსოფლიოს ცრუ წინასწარმეტყველთ, სადაც ერთი ნაწილი თავისუფალი სამყაროა, მეორე ნაწილი კი, უბრალოდ, „რუსეთი“. იგი კორუფციულ ურთიერთობებს არ უნდა დაფუძნებოდა, არც თვალების დახუჭვას – ტირანიების ძალადობრივ ქმედებებსა და მათ აგრესიულ-დამპყრობლურ გეოპოლიტიკურ პროექტებზე. ამიტომაც მან უარი განაცხადა გორბაჩოვის მიერ ინიცირებულ ნოვო-ოგარიოვოს ხელშეკრულებისთვის ხელის მოწერაზე, ასევე, ელცინის მიერ ინიცირებულ დსთ-ს არ შეუერთდა საქართველო 1991 წლის დეკემბერში. საქართველოს პირველი პრეზიდენტისა და იმდროინდელი საქართველოს ბედზე ამ ყოველივემ უმძიმესი ზემოქმედება მოახდინა.

როდესაც ბორის ელცინმა განუცხადა რუსეთის ფედერაციის სუბიექტებს, აეღოთ იმდენი სუვერენიტეტი, რამდენის „გადაყლაპვასაც“ ისინი შეძლებდნენ, ამით რუსეთის ფედერაციამ თითქოს საკუთარ თავსაც უთხრა: სადაც ეს გაგვივა, ავიღოთ იმდენი ნაწილი ყოფილი საბჭოეთის ზოგიერთი რესპუბლიკიდან, დამოუკიდებლობის გზას რომ ადგანან, და გამოვგლიჯოთ მათ იმდენი, რამდენის გადაყლაპვას და მონელებასაც შევძლებთ. ხოლო ამისთვის წავაქეზოთ და გამოვიყენოთ ადგილობრივი, რუსეთზე ორიენტირებული სეპარატისტული ფსევდონაციონალიზმი, სადაც, შესაძლოა, თავიდანვე თვითმკვლელი ფორმულა მუშაობდეს: „სჯობს დაიხრჩო ოკეანეში, ვიდრე დაიხრჩო ტბაში“.

ასე ჩაეყარა საფუძველი აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის, დნესტრისპირეთისა და მთიანი ყარაბაღის დამოუკიდებელ რესპუბლიკებად წოდებულ ზონებს, რაც რუსეთის მმართველი ელიტის მიერ 90-იანების დასაწყისიდან ახალი პირობებისთვის შექმნილ „ფრაგმენტარული იმპერიალიზმის" კონცეპტზე მიანიშნებს. პუტინის მმართველობის პერიოდში კი ეს ზონები გადაიქცა სამხედრო პლაცდარმებად, საიდანაც ამ ახლადშექმნილი ქვეყნების ლიკვიდაცია უნდა განხორციელდეს. ეს შესაძლებელი იქნება იმ შემთხვევაში, თუკი დასუსტდება და ჩამოიშლება საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემა, რომლის გარანტორიც ჯერჯერობით ნატო და მასთან ალიანსში მყოფი ქვეყნები არიან, ხოლო შესაბამის რესპუბლიკებში ხელი წარმატებით შეეწყობა კორუფციას, ქაოსს, ეკონომიკურ კატასტროფას, ქრონიკულ ენერგეტიკულ კრიზისს. ამასთანავე, ევრაზიული იმპერიის კონცეპტი გულისხმობს ჯანსაღი ნაციონალიზმის ჩანაცვლებას სრულიად ობსკურანტულ-ფანატიკური ფსევდომართლმადიდებლობით, რომლის ერთ-ერთი მდგენელი სტალინის კულტია, ასევე, სსრკ-ის დროინდელი „ეროვნული უმცირესობის" ეთნონაციონალისტური ფსიქოლოგია, როდესაც მოქალაქეები, მაგალითად, პირადობის მოწმობაში ადრე არსებული „ეროვნების აღმნიშვნელი ჩანაწერის" აღდგენას მოითხოვენ – ქართველი საბჭოეთში ხომ ეროვნული უმცირესობა იყო. რა თქმა უნდა, ასეთები არასდროს დაფიქრებულან, რომ ფორმით ინტერნაციონალური, შინაარსით კი რუსული საბჭოეთი ამ ჩანაწერით იდეოლოგიურ ალიბის იქმნიდა: ყველანი ერთნი და თანასწორნი ხართ, დიდი საბჭოეთი ყველა თქვენგანის კუთვნილებაა, სადაც თქვენს ეროვნებას (ეთნიკურ წარმომავლობას) პატივს მიაგებენ. ამავე დროს, რუსიფიკაცია იმპერიის რეალურ პროგრამად რჩებოდა.

1989 წლის 9 აპრილის ღამეს, რომელმაც მძლავრი იმპულსი მისცა თავისუფლების პროცესს ყოფილ საბჭოეთსა და აღმოსავლეთ ევროპაში, მოჰყვა ელვისებური პარირებების დრო. დამოუკიდებლობის გამოცხადებაც, რომელიც ძალიან სწრაფად მოჰყვა არჩევნებს, მავანს მხოლოდ ბედის მიერ გადმოგდებული წყალობა ეგონა და, შესაძლოა, ახლაც ჰგონია. ამ დროს ასე არ ყოფილა. მას საკმაოდ დიდი შრომა და წვალება უძღოდა წინ, გაღებული მსხვერპლი დისიდენტების, ეროვნული საქმისთვის მებრძოლების, თავის დროზე ემიგრაციაში წასულთა მიერ, რომ არაფერი ვთქვათ 9 აპრილის ღამის მსხვერპლზე, ასევე, აფხაზეთსა და სამაჩაბლო-შიდა ქართლში დაღუპულებზე. სრულიად მცდარია ასევე დებულება, თითქოს ეროვნული ხელისუფლება მხოლოდ მიტინგების ორგანიზებით იყო დაკავებული და მის სამოქმედო დღის წესრიგს ეგზალტირებული ბრბოს მობილიზაცია და მისთვის სასურველი, აგრესიულ-პოპულისტური ლოზუნგების გამოგონება განსაზღვრავდა და არა – მუშაობა რეფორმებისთვის, განვითარებისთვის.

ეროვნული ხელისუფლება გრანდიოზული, მითური ჰერაკლეს ფარდი ამოცანების წინაშე იდგა – ეს იყო გადასვლა ცენტრზე დამოკიდებულებიდან

პოლიტიკურ დამოუკიდებლობაზე, გეგმური ეკონომიკიდან თავისუფალ, საბაზრო ურთიერთობებზე, კოლექტიური მოვალეობების კოდექსიდან და დამოუკიდებელი აზროვნების აკრძალვის წესრიგიდან – ინდივიდუალური პასუხისმგებლობის წესრიგზე. რეფორმებს უნდა მოეცვა მმართველობის სისტემა, სასამართლო, ძალოვანი ბლოკი, განათლება და კულტურა, ეკონომიკა, ფინანსები, აგრარული სექტორი. მუშაობა ჩვეულებრივ მიდიოდა, აქ თუ სიფრთხილეს იჩენდნენ და დგებოდა გარკვეული რეტარდულობა, შეყოვნება – მხოლოდ იმ სიფრთხილის გამო, რომ ეს ყოველივე დანის პირზე სიარულს ჰგავდა, საიდან ჩამოვარდნის შემთხვევაშიც ერთ მხარეს საბჭოურის მსგავსი კონსერვატიზმის ჭაობს მივიღებდით, მეორე მხარეს კი – ქაოსსა და საზოგადოებრივი წესრიგის სრულ ეროზიას. ქვეყანას არ ჰქონდა საზღვრები, ძალოვანი ბლოკი ფორმირების პროცესში იყო, მიმდინარეობდა მოქალაქეობის შემოღების პროცესი, არ არსებობდა ეროვნული ვალუტა. ეს იმდენად რთული და გაუვალი სფერო იყო, რომ შეცდომებისგან დაზღვეული ვერავინ იქნებოდა.

ზვიად გამსახურდიაზე ოპონენტებსა და კრიტიკოსებს ისიც კი უთქვამთ, რომ მას ერთი გასაოცარი უნარი ჰქონდა – სრულიად გამოეყვანა მწყობრიდან თვით მოაზროვნე და გაწონასწორებული ადამიანებიც, ისე, რომ სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებოდნენო. რას ეყრდნობოდა ეს დაშვება? ალბათ, იმ გარემოებას, რომ ბევრმა ადამიანმა, რომლებზეც ნამდვილად არ ითქმის, რომ კვალიფიკაცია ან პროფესიონალიზმი აკლდა, არც ის, რომ ავსა და კარგს ვერ გაარჩევდა, და არც ის, რომ სამშობლო არ უყვარდა, სრულიად ირაციონალური ნაბიჯები გადადგა, ხშირად ნორმალურობის ფარგლებიდან სავსებით გასული, და ეს ყოველივე საქართველოს უმაღლეს ხელისუფალს დააბრალა. ასეთების უმეტესობას ბიოგრაფიული კავშირები ჰქონდა რუსეთთან, ასევე, ათწლეულების განმავლობაში მათ შესანიშნავი და ახლობლური ურთიერთობები აკავშირებდათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან. ისინი თითქოს დამოუკიდებლობასაც მხარს უჭერდნენ, მაგრამ წარსულიც მძლავრად მოქმედებდა მათში და თითქოს უკან ეზიდებოდა ბიბლიური წიგნის „ეგვიპტისკენ". ამ დროს ზვიადი, პიროვნულ ასპექტში, უბრალოდ, კატალიზატორი გამოდგა მათი კომპლექსებისა, რომლებიც კრიტიკულ მომენტში მკვეთრად გამოვლინდა.

არც საბჭოთა დისიდენტების წრეებში, თუკი ცალკეულ ინდივიდებს არ ჩავთვლით, არ ყოფილან ზვიად გამსახურდიაზე მაღალი აზრის. რასაკვირველია, აქაც იყვნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც მას არ ეთანხმებოდნენ რიგ საკითხებში, თუმცა დამსახურებებსაც არ უკარგავდნენ. მაგალითად, დისიდენტი იური ორლოვი, მოსკოვის ჰელსინკის ჯგუფის ერთ-ერთი დამაარსებელი, უკვე 90-იანი წლების ბოლოს ინტერვიუში აღნიშნავდა, ზვიადი ისტორიაში დემოკრატიზაციისთვის მებრძოლად თუ არ შევა, საქართველოს ისტორიაში მაინც ექნებაო თავისი ადგილი, შეშლილივით იცავდა თავისი ქვეყნის და-

მოუკიდებლობასო. როგორც პოლიტიკოსი, შევარდნაძეზე არაფრით ნაკლები არ არის, ხოლო მოკვდა, როგორც ნამდვილი კაცები კვდებიანო – იარაღით ხელში.

ზვიად გამსახურდიასთან დამოკიდებულება არც საეკლესიო სფეროში ყოფილა ცალსახა. აქ ასევე იუცხოვეს იგი, როგორც ხელისუფალი, მართლმადიდებელი ქრისტიანი თავისი ცხოვრების წესითა და ცხოვრების ფილოსოფიით, ვინც წლების განმავლობაში ჩართული იყო საეკლესიო ცხოვრებაში და ფორმალური, კამერების წინაშე თავმომწონე „მორწმუნე" არასოდეს ყოფილა. როგორც მრევლის წარმომადგენელი, რატომ იმაღლებდა იგი ხმას ეკლესიაში? იმიტომ, რომ მიწიერი ეკლესია, სამწუხაროდ, ვერ იყო კუნძული გადარჩენისა და სულის ხსნისა სიცრუესა და ძალადობაზე აგებული საბჭოთა სისტემის პირობებში. იგი სახელმწიფოს, ფაქტობრივად, დაქვემდებარებული ჰყავდა. თავისუფლებისთვის ბრძოლას, ზვიადისეული გაგებით, გააჩნდა სპირიტუალური განზომილება. რელიგიური და ფილოსოფიური რწმენის გარეშე გაჭირდებოდა სასტიკ, უაღრესად საშიში მეთოდებით მოქმედ და ყველაფრის ჩამდენ საბჭოთა იმპერიასთან დაპირისპირება. ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ზვიადს მიაჩნდა, რომ ეკლესია აქტიურად უნდა ჩართულიყო თავისუფალი საზოგადოების ახლადქმნის პროცესში. როდესაც გადამწყვეტი დრო დადგა და დაიწყო სახელმწიფო გადატრიალების ბოლო, შეიარაღებული, ფაზა მთავრობის სასახლეზე მიტანილი იერიშებით, ეკლესიის მსახურნი გაერიდნენ ამ ამბებს, ეპისკოპოს ამბროსი ქათამაძის გარდა, ვინც ღიად ამოუდგა მხარში კანონიერ ხელისუფლებას. არც სინოდი, არც დანარჩენი სამღვდელოება დაპირისპირებისას შუაშიც კი არ ჩადგა მხარეებს შორის. ისე გამოდის, რომ მათ ამ დუმილით მხარი დაუჭირეს პუტჩისტებს. რატომ მოხდა ასე? კათოლიკოს-პატრიარქმა, როგორც ჩანს, ჩათვალა, რომ ზვიად გამსახურდია, როგორც ძლიერი პრეზიდენტი, ენერგიულად ჩაერეოდა საეკლესიო საქმეებში. თუმცა, მცდარი დაშვებაა და გამორიცხულია ასე მომხდარიყო. იყო კიდევ ერთი ფაქტორი: საეკლესიო იერარქიაში იყვნენ ადამიანები, რომლებსაც ბიოგრაფიული კავშირები ჰქონდათ საბჭოთა უშიშროებასთან. მათშიც პანიკური შიში გამოიწვია პერსპექტივამ, რომ საქართველოს მალე ცნობდნენ სხვა სახელმწიფოები და ზვიად გამსახურდიას პოზიციები ხელშეუხებლობამდე განმტკიცდებოდა.

საქართველოში, პირველად საბჭოთა სივრცეში, არჩევნები ჩატარდა საბჭოთა ხელისუფლების პირობებში არასაბჭოური, ნამდვილად დემოკრატიული კანონმდებლობით. მან ბალტიისპირეთის შემდეგ დასაბამი მისცა სრულიად ახალ პროცესს – კომუნისტური რეჟიმების უსისხლოდ დემონტაჟს და დამოუკიდებლობისკენ მიმართული ძალისხმევის უკვე სახელმწიფო პოლიტიკად გაფორმებას. ეს ყოველივე 9 აპრილის ღამისა და ზვიად გამსახურდიას მიერ არასაბჭოური საარჩევნო სისტემის ფორმირებისკენ გადადგმული ნაბიჯის შედეგია. თუმცა ასევე საქართველოში მოხდა პირველად საბჭოთა სივრცეში

პარამილიტარული გადატრიალება, რომლითაც იმპერიის რევანშისტულმა და რესტავრაციონისტულმა ძალებმა ერთგვარი ექსპერიმენტი ჩაატარეს. ეს ექსპერიმენტი რამდენიმე ეტაპისგან შედგებოდა და გულისხმობდა ჯერ ეთნიკური კონფლიქტების გაღვივებას, შემდეგ მათი გაჩაღების დაბრალებას და პასუხისმგებლობის გადამისამართებას კონკრეტულ ლიდერზე, იმის პროპაგანდასთან ერთად, რომ სსრკ-ის დეზინტეგრაციას და სატიტულო ერის ნაციონალიზმს უთუოდ მოჰყვებოდა ეთნოკონფლიქტი. ამ ყოველივეს თან ახლდა მუშაობა ამ თუ იმ ლიდერის იმიჯის სერიოზულად დაზიანებისთვის – ცხადია, სადაც გაუვიდოდათ. საქართველოს შემთხვევაში იმპერიულ პროპაგანდას მიზანში ზვიად გამსახურდია ჰყავდა ამოღებული, რომელსაც მიეწერა გამონათქვამი „საქართველო მხოლოდ ქართველებს“ და, ასევე, სრული დემონიზაციისთვის გამიზნული, არარსებული ბრძანებულება, რომ არაქართველებს თითქოს მხოლოდ ერთი შვილის ყოლის უფლება უნდა ჰქონოდათ, რასაც იმპერიის პროპაგანდისტები სრული სერიოზულობით ამტკიცებდნენ; რეალური ფაქტების ჩანაცვლება ხდებოდა დეზინფორმაციით და იქმნებოდა ყალბი, რეალობის საპირისპირო სურათი. ფინალურ აქტში იგი გულისხმობდა მეხუთე კოლონის ჩამოყალიბებას პარამილიტარულ მობილიზაციასთან ერთად და გარკვეული ჯგუფების მომარაგებას იარაღით, რასაც შედეგად ესკალაცია და სახელმწიფო გადატრიალება უნდა მოჰყოლოდა.

ეს ექსპერიმენტი სხვადასხვა მოდიფიკაციითა და ვარიაციით მოისინჯა და მეტ-ნაკლები წარმატებით განხორციელდა აზერბაიჯანში, ჩეჩნეთში, მოლდავეთის დნესტრისპირეთში, მოგვიანებით – უკრაინაშიც – დონბასსა და ყირიმში. იმპერიას 90-იან წლებში ჩაუვარდა ინტერფრონტების მოდელი ბალტიისპირეთში, სამაგიეროდ, ჰიბრიდული ომის მატრიცა საქართველოს ექსპერიმენტის საფუძველზე შეიქმნა.

ზვიადის სიკვდილითა და ოთხჯერ დაკრძალვით დაიწყო მისი ყოფიერება განსხვავებულ ფორმატში, სხვა განზომილებაში, რაზეც თავადაც დაუწერია ესსეში გურამ რჩეულიშვილზე: „კიდევ ერთი სისუსტე გვჩვევია ადამიანებს: როდესაც ჩვენს გვერდით უჩვეულო ადამიანი დადის, ჩვენ მუდამ მისი „ჩვეულებრივი“ შტრიხების ძებნითა ვართ გართული, ხოლო ყოველივე ის, რაც გვეუცხოება მასში, გვსურს „უცნაურობის,“ „ორიგინალობის თამაშს“ ან „პოზას“ მივაწეროთ. თუმც ერთი რამ გვათავისუფლებს ხოლმე ამგვარი ფილისტერული ახლომხედველობისაგან: ეს არის სიკვდილი ამ ადამიანისა. პირუკუ, სიკვდილი ხშირად მეორე უკიდურესობაშიც კი გვაგდებს ხოლმე“.

მის შემთხვევაშიც ზუსტად ასე მოხდა. წიგნის ამოცანაა, გარკვეული ბალანსი მონახოს ამ მხრივაც. ნამდილად არ დამისახავს მიზნად ჰაგიოგრაფიული ტიპის თხზულების დაწერა თანამედროვე მეთოდიკისა და მემუარული სტილის მოშველიებით. ეს არის უფრო ბიოგრაფიული ნამუშევარი ეპოქის შუქჩრილში. ხოლო თავისი შინაგანი განწყობით თუ რამეს ჰგავს, ეს, ალბათ,

ძველბერძნული ტრაგედიაა, სადაც ძირითადი მამოძრავებელი პრინციპია Ad augusta per angusta – „სიდიადისკენ ჭირთა განვლით".

როდესაც თანამედროვე საქართველოში ზვიად გამსახურდიას მოღვაწეობაზე იწყება საუბარი, როგორც წესი, ადამიანები მისი ცხოვრების ბოლო ხუთწლეულს გულისხმობენ ხოლმე. ეს დროის იგივე მონაკვეთია, რომელმაც მერაბის პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგ ზვიადის ჰეროიზებული ფიგურა გამოკვეთა – ნოემბრის მასობრივი აქციებიდან პირველ მრავალპარტიულ არჩევნებამდე და პუტჩიდან ძველ ხიბულამდე; მიტინგებზე, არჩევნებზე, პარლამენტის ტრიბუნასა თუ საპრეზიდენტო კაბინეტში. ფიგურა, რომლის ირგვლივაც მოხდა დიდი ეროვნული კონსოლიდაცია, გარკვეულ მომეტში კი აზრთა მწვავე სხვადასხვაობაც შეიქმნა. წიგნის ამოცანაა, ეს დანაკლისი შეავსოს. აქ განიხილება ის დროც, როდესაც იგი ნაყოფიერ სამეცნიერო და ლიტერატურულ მოღვაწეობას ეწეოდა; დრო, რომლის ფიგურანტებიც მისი თავდაპირველი ოჯახი, კოლხური კოშკის „მებრძოლთა აკადემია", ძველი მეგობრები, ქართული სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის მაშინდელი მრევლი და დისიდენტები არიან. ამ წიგნით ზვიადი კიდევ ერთხელ გაუწევს სამსახურს თავის სამშობლოს – გააღვივებს ინტერესს ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორიისადმი.

1

ზვიად გამსახურდიას დაბადება, მისი ოჯახი და კულტურულ-კოლიტიკური გარემო მე-20 საუკუნის საქართველოში

1.1. კონსტანტინე გამსახურდია და მირანდა (მართა) ფალავანდიშვილი. ოჯახის მოკლე ისტორია და ბავშვობის წლები

ზვიად გამსახურდია დაიბადა 1939 წლის 31 მარტს თბილისში, საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში, ქართველი მწერლის, კონსტანტინე გამსახურდიასა, და მისი მეუღლის, მირანდა ფალავანდიშვილის, ოჯახში. იგი მესამე შვილი იყო მწერლისთვის, რომელსაც პირველი მეუღლისგან ჰყავდა ქალიშვილი – ნათელა, ხოლო მეორე მეუღლისგან – ქალიშვილი თამარი, რომელიც დაიბადა 1936 წლის 5 მაისს. კონსტანტინე გამსახურდია ზვიადის დაბადების მომენტში საკმაოდ რენომირებული და კარგად ცნობილი მწერალი იყო, უკვე „დიონისოს ღიმილის," „მთვარის მოტაცების", „გოეთეს ცხოვრების რომანისა" და ნოველების წიგნის ავტორი. იგი ოდიშელი გამსახურდიების შტოდან წარმოდგებოდა, რომელთა ძირიც წინაპრებზე, ოჯახში დაცული ცოდნიდან გამომდინარე, თავად მწერალს სამურზაყანოში ეგულებოდა. ამიტომაც სთხოვა მწერალმა ხელისუფლებას გალის ქუჩის დარქმევა ვერის უბნის იმ ქუჩისთვის, სადაც „კოლხური კოშკი" აიგო. გამსახურდიები ჩართულნი იყვნენ შიდაქართულ დიპლომატიურ პროცესებში, ასევე, სამეგრელოს დიდი თავადის, დადიანის, კარზე მწიგნობართუხუცესები იყვნენ, როგორც ამას ზვიად გამსახურდია აღნიშნავს. ამ გვარის მქონეთა შორის კონსტანტინე გამსახურდიამდე რამდენიმე ცნობილი ადამიანი იყო: ერთი მათგანი საქართველოსა და მისი ეკლესიის ისტორიასთან იყო დაკავშირებული, მეორე იმდენად არა – იგი უფრო რუსულ საზოგადოებას წარმოადგენდა.

პირველი იყო საქართველოს ეკლესიის მიტროპოლიტი პავლე გამსახურდია, იგივე პავლე ტფილელი, რომელიც მოღვაწეობდა ქართლის მეფის, ვახტანგ VI-ის ეპოქაში, მე-18 საუკუნის დასაწყისში, 1704 წლიდან 1724 წლამდე, ვინც რუსულ ემიგრაციაშიც კი გაჰყოლია მეფეს. ოდიშელი გამსახურდიას შტო მისი უმცროსი ძმისწულისგან, გიორგი მამუკას ძე გამსახურდიასაგან, უნდა იღებდეს სათავეს. მეფე ვახტანგ VI-ის ამალაში სხვა ეპისკოპოსებთან ერთად ისიც იხსენიება. ეს სია მღვდელ ვასილ კარბელაშვილს 1915 წლის 15 ივნისს გადაუწერია.

მეორე ცნობილი ადამიანი, ვინც ამ გვარს ატარებდა, მწერლის თანამედროვე იყო. ის უფრო კოსმოპოლიტური სახე გახლდათ – რუსულენოვანი ბალერინა თამარ გამსახურდია დე კობი. იგი გამსახურდიების სხვა შტოს უნდა ეკუთვნოდეს. თამარი რუსული რევოლუციის მომდევნო პერიოდში ემიგრაციაში წასვლის შემდეგ, მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში გახდა იმდროინდელი ბალეტისა და პარიზული მოდების სამყაროში კარგად ცნობილი ქალი. იგი იყო ასევე ბალეტთან დაკავშირებული სამოსის ინოვაციების ავტორი, ვისაც კოკო შანელისა და მარლენ დიტრიხის უახლოეს მეგობართა შორისაც მოიხსენიებენ. მან პარიზში „ლორ ბელენის" მოდების სახლი დააარსა, სადაც ევროპისა

და ამერიკის ელიტარული საზოგადოების არაერთი წარმომადგენელი უკვეთდა ტანსაცმელს. იგი ნიცაში გარდაიცვალა 1979 წელს.

ამათ გარდა, იყო ორი სამხედრო პირიც – ერთი იყო რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი, რუსეთ-იაპონიისა და პირველი მსოფლიო ომების მონაწილე გიორგი ნიკოლოზის ძე გამსახურდია; ხოლო მანამდე, ნაპოლეონის ეპოქაში, – ბოროდინოს ბრძოლის მონაწილე პოლკოვნიკი გამსახურდია, რომლის სახელიც უცნობია. კონსტანტინეს მამა იყო აზნაური სვიმონ გამსახურდია, რომელიც ჯერ კიდევ მწერლის მოზარდობის ხანაშია გარდაცვლილი და ზვიადს არასოდეს უნახავს თვალით. სვიმონი არისტოკრატიულ პრივილეგიებზე უარს ამბობდა. მას შრომის კულტი პირდაპირ ბიბლიიდან გამოჰყავდა, თუმცა მემარცხენე სოციალისტური შეხედულებებისა არ ყოფილა – პირიქით: იგი კონსერვატორული შეხედულებებით გამოირჩეოდა. სვიმონს ფიზიკური შრომა არ ეთაკილებოდა და თვლიდა, რომ კაცისთვის სირცხვილი იყო, თუკი თავისი არსობის პურს შრომით არ მოიპოვებდა. მან ზეპირად იცოდა „ვეფხისტყაოსანი“ და დავითის ყველა ფსალმუნი. იგი მეტადრე პრესას ემტერებოდა, თვლიდა, რომ დამღუპველი და საზოგადოების „ამრევი“ იდეები სწორედ ჟურნალ-გაზეთებმა გაავრცელეს ამქვეყნად. სვიმონი დაიღუპა მას შემდეგ, რაც მისი ვაჟები, სოციალ-დემოკრატიულ პარტიასა და მათ რევოლუციურ იდეოლოგიასთან დაახლოებულნი, 1905 წლის რევოლუციის მარცხის შემდგომ ტყეში გავიდნენ და მამა, ფაქტობრივად, მძევლად აიყვანა ჟანდარმერიამ. ამ დროს, უკვე 1906 წელს, აბაშაში შემოვიდა და განთავსდა გენერალ ალიხანოვ-ავარსკის დამსჯელი რაზმი, 300 ჯარისკაცითა და რამდენიმე ქვემეხით. გაზეთი „ტალღა“[2] აღნიშნავს, რომ მათ სვიმონ გამსახურდიას აბაშაში მდებარე სახლი გაჩხრიკეს და მოხუციც დააპატიმრეს. როგორც გაზეთი „მეგობარი“ აღნიშნავს[3], 80 წელს მიტანებული სვიმონ გამსახურდია ამის შემდეგ გამზადებული იყო არხანგელსკის გუბერნიაში სასჯელის მოხდისთვის გასაგზავნად. მალე მისი ვაჟი ვიქტორიც დააპატიმრეს, თუმცა ამ უკანასკნელის ძმა ალექსანდრე კვლავ მიმალული რჩებოდა. ეს ყოველივე მოჰყვა ბოქაულ ყუბანეიშვილის მკვლელობას. ჟანდარმები შეეცადნენ დაკავებული სვიმონისგან გაეგოთ ალექსანდრე გამსახურდიას ადგილსამყოფელი, მაგრამ ვერაფერს გახდნენ, მათ ხელში კერკეტი კაკალი შერჩათ. ამ ასკეტური გარეგნობის მკაცრმა მოხუცმა, როგორც ჩანს, ჟანდარმებს უთხრა: ჩემს შვილებს ჩემზე დიდი მოწინააღმდეგე შეიძლება არც ჰყავდეთ, მაგრამ მათი ადგილსამყოფელის გაგებას ჩემგან ვერასოდეს ეღირსებით, გინდ ერთი, გინდ რამდენიმე სიცოცხლე მქონდესო. როგორც ზემოთ აღინიშნა, მას გადაუწყვიტეს არხანგელსკში გადასახლება, თუმცა განაჩენი მალევე შეცვალეს. უკვე ასაკში მყოფი კაცი ქუთაისის ციხეში ჭლექით დასნეულდა და განთავისუფლებიდან მალევე გარდაიცვალა.

ამის შემდგომ მომავალი მწერლის დედამ, ელისაბედ თოფურიძემ, გაჰყიდა კარ-მიდამო აბაშაში და ოჯახი ქუთაისში გადავიდა. 1906 წლის გაზეთი „ელვა“[4] წერდა, რომ ქუთაისის გიმნაზიის მასწავლებელმა, ანდრო ბენიაშვილმა,

მალეაში მყოფ ალექსანდრეს უმცროს ძმას, უმამოდ დარჩენილ კონსტანტინე გამსახურდიას სწავლის გაგრძელების საშუალება მისცა. გარდა ფინანსური მხარდაჭერისა სწავლისთვის საჭირო თანხით, მან მთლიანად თავის თავზე აიღო ამ მოსწავლეზე ზრუნვა. კონტანტინე ერთხანს ქუთაისის გიმნაზიაში სწავლობდა, ვიდრე ჯერ პეტერბურგში, შემდგომ კი გერმანიაში არ გააგრძელებდა თავის განათლებას. გერმანიაში გადასვლის შემდეგ იგი სწავლობდა ჯერ კიონიგსბერგში, შემდგომ მიუნხენსა და ბერლინში. გერმანიიდან ის საქართველოს პირველი რესპუბლიკის დაცემამდე დაბრუნდა, რომლის საელჩოშიც კულტურული ატაშე იყო ერთხანს. საელჩო 1918 წელს აკაკი ჩხენკელის საგარეო საქმეთა მინისტრობის დროს ბერლინში გაიხსნა. კონსტანტინე დიპლომატ ზურაბ ავალიშვილთან ერთად გერმანიის მიერ საქართველოს ცნობის შემდგომ, ფოთიდან გაჰყვა გერმანულ სამხედრო გემს და ბულგარეთის, უნგრეთისა და ავსტრიის გავლით ბერლინში ჩავიდა. ევროპაში ყოფნისას დაწერა მან თავისი პირველი მოდერნისტული და ექსპრესიონისტული რომანის თავდაპირველი ვერსია, რომელსაც უწოდა „დიონისოს ღიმილი“. ამ რომანის ერთადერთი პირი ჟენევაში დაკარგა, თუმცა მეხსიერებით აღიდგინა 1925 წელს და ეს ნაწარმოები თბილისში გამოიცა.

საქართველოს პირველი რესპუბლიკის გამოცხადების პერიოდში კონსტანტინე და ელისაბედ თოფურიძე უკვე ტფილისში ცხოვრობდნენ. ჩართულობის მიუხედავად, 1924 წლის აგვისტო-სექტემბრის აჯანყებაში კონსტანტინე მეტეხის ციხეში დიდხანს არ გაუჩერებიათ, იგი გაათავისუფლეს, თუმცა მწერალს მალევე მოუწია უკვე ხანგრძლივმა დაპატიმრებამ 1926 წელს. იგი ჯერ მოსკოვში, ბუტირკის ციხეში ჰყავდათ, შემდეგ კი გადაასახლეს სოლოვკის არქიპელაგზე, საიდანაც, საბჭოთა ხელისუფლების მიერ ამნისტირებული, 1927 წლის მიწურულს დაბრუნდა. პატიმრობიდან დაბრუნებულს დედა გარდაცვლილი დახვდა. მისი პირველი მეუღლე რებეკა ვაშაძე, რომელიც ძირითადად ჭიათურაში ცხოვრობდა და რომელთანაც მწერალი, 1919 წლიდან მოყოლებული, ფაქტობრივად, აღარ ცხოვრობდა, მალევე გარდაიცვალა მისი გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ.

მწერალი ერთხანს თბილისის მეთოთხმეტე სკოლაში ასწავლიდა გერმანულს. აქ გაიცნო მან მართა (მირანდა) ფალავანდიშვილი (1914-1970). მართა, რომელიც მასზე 23 წლით უმცროსი გახლდათ, აქ მისი მოწაფე იყო. შემდგომში მართას პოეტურ-ესთეტური განწყობილებიდან გამომდინარე სახელიც შეურჩია – მირანდა. მირანდას მშობლები ადრე გარდაიცვალნენ – მამა, თავადი ნიკოლოზ ფალავანდიშვილი, 1924 წლის გამო რეპრესიებს ემსხვერპლა; იგი იმ ფალავანდიშვილების შტოდან იყო, რომლებიც მამულებს ფლობდნენ შიდა ქართლში, კერძოდ, სოფლების, ავნევისა და კნოლევის, არეალში, დღევანდელი რუსული ოკუპაციის „სამხრეთ ოსეთად“ მონათლულ ზონასთან ახლოს; მირანდა-მართას დედაც, თამარ აბდუშელიშვილი, ნიკოლოზის დაღუპვიდან მალევე გარდაიცვალა. ამ გვარის წარმომადგენლები ზემო იმერეთში, საჩხ-

ერის რაიონში, კერძოდ, არგვეთასა და გორისაში, ცხოვრობდნენ. მირანდას ჰყავდა ძმა – ზურაბ ფალავანდიშვილი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს, როგორც ჯარისკაცი, დაიღუპა კიევთან მიმდინარე ბრძოლებისას. მირანდა თბილისში, დედის მხრიდან თავისი ბებიის, მაშო ზედგენიძისა და მისი მეორე მეუღლის, სამსონ ასათიანის, ოჯახში იზრდებოდა. კონსტანტინემ, როგორც ძველი ტრადიციების მიმდევარმა, გადაწყვიტა, მართას ხელი ეთხოვა. ამ მიზნით მივიდა მაშოსთან, თუმცა კატეგორიული უარი მიიღო – ასაკობრივი სხვაობის გამო შეუფერებელი წყვილი ხართო. მართა-მირანდა ცოლად მაინც გაჰყვა მწერალს 1934 წელს, რომელიც ამ დროს უკვე 44 წლისა იყო.

პატარა ზვიადი არც დედის, არც მამის მხრიდან ბებიასა და ბაბუას არ მოსწრებია. ზვიად გამსახურდიას დაბადების წელს მწერალმა გამოსცა თავისი ახალი რომანი „დიდოსტატის მარჯვენა“ (1939). მის პირველ გამოცემაზე, რომელიც აჩუქა ზვიადს სკოლის მოწაფეობის დროს, დააწერა მიძღვნა: „ზვიადს, დიდოსტატთან ერთად დაბადებულს“. სახელი ზვიადიც ისტორიულია – იგი „ქართლის ცხოვრების“ ტექსტის მიხედვით ერქვა გიორგი პირველის სპასალარსა და ბაგრატისეული ერთიანი ქართული სამეფოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდალს. იგი ისტორიულ რომანშიც გადმოსულია, როგორც საკმაოდ ძუნწად, მაგრამ მაინც დასამახსოვრებლად და შთამბეჭდავად დახატული პერსიონაჟი. ამ ნაწარმოებში „შავი“ და „თეთრი“ პერსონაჟები (ანუ ცალსახად დადებითი ან ცალსახად უარყოფითი თვისობრიობის მატარებელნი) არ არიან, თუმცა მწერლის სიმპათია ან ანტიპათია ამა თუ იმ პერსონაჟისადმი მაინც იგრძნობა და იკითხება სტრიქონებს შორის. ზვიად ერისთავიც, რომელიც ზოგი მოსაზრებით მარუშიანი იყო, თუმცა, შესაძლოა, ყოფილიყო ბაღუაში ან დადიანი, ნაწარმოებში მოაზრებულია, როგორც სამშობლოსთვის თავგამოდებული მამაცი მეომარი, სახელმწიფოს ერთ-ერთი ბურჯი ბაგრატისეული დროიდან, ერთიანი ქართული სახელმწიფოს ერთგული მთავარსარდალი.

მამის იმპოზანტურმა, გარკვეული გაგებით, ასკეტურმა და ესთეტიზმთან შერწყმულმა ფიგურამ დიდი ზეგავლენა მოახდინა ზვიად გამსახურდიაზე. რა თქმა უნდა, კონსტანტინე იმავენაირად აღქმული, ცხადია, არ ყოფილა თავის ოჯახში, რაც გარე სამყაროსთვის იყო – გამოკვეთილი ინდივიდუალისტი, ხმელი, უკარება, ზოგჯერ უკმეხი, პირქუში ადამიანი, დიდი სევდისა და ნაღველის მატარებელი, ხან ტრადიციულ ჩოხაში ჩაცმული, ხან ევროპულ სმოკინგში გამოწყობილი, ვისთან ურთიერთობაც არ იყო მარტივი. მისი ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო დახასიათება, ალბათ, დიდ ქართველ მსახიობს, სერგო ზაქარიაძეს ეკუთვნის: „რაიმე ვითარებას შეუძლია წაიყვანოს იგი შენგან შორს, წლებით თუ მანძილით, და ამ დროს ის ხდება სევდიანი. გცილდებათ თქვენ, ჩაკეტავს თავის რაღაც მიჯნას და ტრიალებს იქ მარტო. სრულიად დარწმუნებული ვარ, ჯერ არ ჰყოლია ისეთი მეგობარი ან სისხლით ნათესავი, რომელსაც კონსტანტინე ამ მიჯნის იქეთ გაიყოლებს, და თანხლების ნებას მისცემს. ამ თავის სამყაროში აუცილებელად მარტოა სულით და გარეგანი მი-

სი გამოსახულება თქვენთან რჩება, როგორც უსულო საგანი, ნივთი. თავად არ არის ისეთი, როგორადაც გვეხატება. ეს მისი საბურველია – მასკა და მანტია. როდესაც ის თავის სამყაროში მარტო ცურავს, ეს მანტია მიჯნის აქეთ აქვს დადებული კი არა, დაგდებული...“.[5]

თავად ზვიად გამსახურდია ერთ-ერთ ინტერვიუში მაღალ შეფასებას აძლევდა თავისი მშობლების როლს მის აღზრდაში: „ჭეშმარიტად, მამასთან ერთად ძალიან დიდი გავლენა მოახდინა ჩემზე დედაჩემმა. საკუთარი დედის ქება ცოტა უხერხულია, მაგრამ იგი გახლდათ სიკეთისა და სათნოების განსახიერება. ის იყო ყველა გაჭირვებულის, ყველა დამცირებულის თანამდგომი, მფარველი. რაც შეეხება შვილების აღზრდას, ჩემს აღზრდაში მას უდიდესი წვლილი აქვს იმ მხრივ, რომ სწორედ ამგვარი მსოფლმხედველობით მზრდიდა – საკუთარ თავზე ზრუნვა კი არ არის მთავარი, არამედ მოყვასზე, სხვა ადამიანებზე, და, რაც მთავარია, მაყვარებდა ქრისტიანულ სარწმუნოებას, მზრდიდა, როგორც მორწმუნეს. რწმენა, რომელიც მე მაქვს, რელიგიისა და ეკლესიის სიყვარული, მისი და მამაჩემის უდიდესი დამსახურებაა. ასევე ზრუნავდნენ მშობლები ჩემს განათლებაზე. შეიძლება ითქვას, ყოველნაირად ცდილობდნენ, რომ დისციპლინირებული ვყოფილიყავი, რომ მესწავლა ენები, მესწავლა მუსიკა, მეკითხა წიგნები. ის განათლება, რომელიც, ასე თუ ისე, შევიძინე, მათი დამსახურებაა“.[6] კონსტანტინე გამსახურდიასეულ აღზრდაში ბავშვობიდან დიდი როლი ენიჭებოდა ბიბლიის ტექსტებთან ზიარებას და მათ გაგებას ძველ ქართულ ენაზე. მწერალს ყოველ დილით სჩვეოდა ბიბლიის, როგორც ძველი, ისე ახალი აღთქმის ტექსტების ხმამაღლა კითხვა. დედის შესახებ ჩანაწერებში ვკითხულობთ, რომ მან გვაზიარა მუსიკისა და ხელოვნებისადმი სიყვარულს, ასევე ჩაგვახედა ქართულ ლიტერატურასა და ფოლკლორშიო.[7] იქვე აღნიშნავს, რომ დედისთვის ხშირად ვყოფილვარ ცრემლებისა და უძილო ღამეების მიზეზიო. აქ ის გულისხმობს, ცხადია, პირველ დაპატიმრებებს, ასევე კამათებს, რომლებიც, რა თქმა უნდა, დედას გულთან ახლოს მიჰქონდა, ახალგაზრდები კი ხშირად რადიკალურები იყვნენ აზროვნებასა და მსჯელობაში. მისი გახარება მხოლოდ მაშინ შემეძლო, თუკი მთლიანად ჩავერთვებოდი მეცნიერებაში, ჩავუჯდებოდი მხოლოდ ბიბლიოთეკებსა და არქივებს, მშვიდი და აუმღვრეველი ცხოვრებით ვიცხოვრებდი, როგორც ქართული ლიტერატურის კლასიკოსის შვილიო.[8] რაც შეეხება და-ძმებში შუათანას, თამარს, ზვიად გამსახურდია მასზე აღნიშნავს, რომ მის აღქმაში იგი შინაგანი ძალისა და სიბრძნის განსახიერება იყო.

რასაკვირველია, განათლებისა და წიგნების გარდა, იყო „ჩვეულებრივი“ ბავშვობაც – თავისი თამაშებით, გართობებით, ეზოსა და ქუჩის ამხანაგებით. ზვიადი იზრდებოდა სოლოლაკში, ჯაფარიძის N13-ში მდებარე სახლში. ზვიად გამსახურდიას პირველი მეუღლის, დალი ლოლუას, ჩანაწერებში ვკითხულობთ: „თამაშებიდან ზვიადი განსაკუთრებით გამოყოფდა „კოჭობანას“, „ავჭალურს“, სადაც მოგება აკენწლის რაოდენობით განისაზღვრებოდა, ლახ-

ტობანას, გრძელ და მოკლე ვირს, „12 ჯოხს“, „კაზაკებსა და ყაჩაღებს“, და თვითმგორავებზე გამართულ შეჯიბრებს... საღამოს დგებოდა საკმაოდ მოსაწყენი ჟამი წიგნის კითხვისა, რომელიც შედიოდა მკაცრი მამის მიერ დაკანონებულ განაწესში.“[9] ზაფხულობით ოჯახი ქვიშხეთში ისვენებდა, მწერალთა სახლში, ხანაც კიკეთში, სადაც სახლს დაიქირავებდნენ ხოლმე. ზვიად გამსახურდია იგონებდა, რომ მამა სპარტანულად ზრდიდა. ისინი ხშირად ერთად წასულან სანადიროდ ამერიკული ვილისით, მძღოლ ავქსენტი წოწორიასთან ერთად, რომელსაც უპრობლემოდ შეეძლო ძნელადსავალ გზებზე, ტალახსა და ლაქაშებში გავლა. ზვიადი ბევრგან ახლდა მამას.

ერთხელ ვერაზე, ტრამვაის გაჩერებაზე ასეთი რამ დაემართა – პატარა ზვიადი ავიდა ტრამვაიში, მამამ ვერ მოასწრო ასვლა. ამ დროს ტრამვაი დაიძრა, ბავშვმა სცადა უკან ჩამოსვლა, კარები დაიკეტა და ცალი ფეხი გაეჭედა კარში, თუმცა მოასწრო ხელი ეტაცნა მოაჯირისთვის და დარჩა ასე ჩამოკიდებული, ისე, რომ თავი ასფალტისგან ოდნავლა იყო დაცილებული. ტრამვაი დაიძრა. მამამ მთელი გზა მომდიაო შემდგომ გაჩერებამდე და მამხნევებდაო. კონსტანტინე გამსახურდიამ მას 12 წლის ასაკში მიანდო თავისი ხელნაწერების რედაქტირება და კორექტურა, რასაც იგი სიხარულით აკეთებდა. შემდეგ თავში შევეხები იმ სინამდვილეს, რომელიც ამ ოჯახს გარემოიცავდა და რომელმაც, ცხადია, თავისი კვალი დაატყო ზვიად გამსახურდიას ბავშვობას.

1.2. რეტროსპექტივა: კონსტანტინე გამსახურდიას პოზიციონირება სტალინ-ბერიას ეპოქაში და პოსტსტალინური ხანის დასაწყისში

ამ თავში მოთხრობილი ამბების თუნდაც ზოგადი რეკონსტრუქცია მნიშვნელოვანი იქნება, რამდენადაც ისინი ზვიად გამსახურდიას ბავშვობის პარალელურად ვითარდებოდა. როგორი იყო კონსტანტინე გამსახურდიას პოლიტიკური და ეროვნული მრწამსი? ვინ იყვნენ ის გმირები, რომლებიც, მამის მონათხრობის მიხედვით, წარმოქმნიდნენ ყმაწვილი ზვიადისთვის უახლესი ქართული ისტორიის თანავარსკვლავედს? მისი ჩანაწერების მიხედვით, ესენი იყვნენ ილია ჭავჭავაძე, ივანე ჯავახიშვილი, ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილი, გრიგოლ რობაქიძე, ტიციან ტაბიძე, მიხეილ ჯავახიშვილი. კონსტანტინე გამსახურდია რომ საქართველოს პირველი რესპუბლიკის პატრიოტი და გულმხურვალე მხარდამჭერი იყო, ჩანს მისი იმჟამინდელი დიპლომატიური მოღვაწეობიდან. ამავე დროს იგი, როგორც ტრიბუნი, ახალი ეპოქის განთიადად მიიჩნევდა 1918 წლის 26 მაისს და ეს კარგად იკითხება მის სტატიაში, რომელიც გაზეთ „სოციალ-ფედერალისტში“ გამოქვეყნდა საქართველოს ოკუპაციიდან მალევე, 1921 წლის 26 მაისს. ამ სტატიაში ვკითხულობთ, რომ მხოლოდ ის არის თავისუფლების ღირსი, ვინც ყოველდღე ბრძოლით მოიპო-

ვებსო მას. „განვიწმინდოთ გულნი თავისუფლებისათვის“ – იყო ის ლოზუნგი, რომლითაც ეს სტატია სრულდებოდა.[10]

ამავე წელს კონსტანტინემ მისწერა წერილი ვლადიმერ ლენინს, რომელშიც ეს აზრი იყო – ვიდრე არ იქნება უზრუნველყოფილი საქართველოს დამოუკიდებლობა, მას არ გამოელევიანო თავისი კეზმენტები და მაკ-სვინეები (ნაგულისხმები იყვნენ ის ირლანდიელი პოლიტიკოსები, რომლებმაც სიცოცხლე გასწირეს თავიანთი ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში).[11] როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, იგი დააპატიმრეს 1926 წელს. ბრალი ედებოდა ჯერ კაიზერის გერმანიის, შემდეგ კი ვაიმარის რესპუბლიკის კონსულთან, ცნობილ ქართველოლოგსა და ორიენტალისტ ოტტო გიუნტერ ფონ ვეზენდონკთან ურთიერთობაში. მას მოუწია ჯერ – მოსკოვის ბუტირკის ციხეში, შემდეგ კი ჩრდილოეთის თეთრ ზღვაზე მდებარე სოლოვკის არქიპელაგზე ყოფნა, სადაც ცნობილი მონასტერი „ლაგერად“ ჰქონდათ გადაკეთებული.

დაპატიმრებამდე, 1926 წელს, ქართველი მწერლების პირველ ყრილობაზე, კონსტანტინემ გაილაშქრა რუსიფიკაციისა და ეროვნული სულის ჩაკვლის წინააღმდეგ შემდეგი სიტყვებით: „რაკი გულწრფელად გნებავთ ჩვენი გულისტკივილის გაგება, უნდა მოგახსენოთ, რომ მე მაინცდამაინც დიდ პატივს არ ვცემ იმ მთავრობას, რომელმაც ოსების ავტონომიური რესპუბლიკის ფარგლები თითქმის მცხეთის სანახებამდის ჩამოიტანა. მთლიანად ქართული რაიონი გალისა აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას გადაულოცა და მეგრელ ბავშვებს მარტოოდენ აფხაზურსა და რუსულს ასწავლიან“.[12] როგორც ზვიად გამსახურდია აღნიშნავს თავის ჩანაწერებში, მისმა ბავშვობამ ღრმა სტალინიზმის პირობებში ჩაიარა.[13] ხრუშჩოვის საიდუმლო მოხსენებაში სკკპ-ის მე-20 ყრილობისთვის, სადაც უზარმაზარი ქვეყნის ახალმა მეთაურმა დაგმო სტალინის პიროვნების კულტი, საერთოდ არ იყო ნახსენები 1934 წლამდე მიმდინარე პროცესები – როდესაც სტალინმა და მისი დაჯგუფებამ პარტიაში ბოლომდე მიიყვანა ბრძოლა ლევ ტროცკის, ნიკოლაი ბუხარინისა და გრიგორი ზინოვიევის წინააღმდეგ – ამ უკანასკნელთა სრულ პოლიტიკურ და ფიზიკურ განადგურებამდე. აღნიშნული მოხსენება საერთოდ არ ეხება კოლექტივიზაციის კამპანიას თავისი უმძიმესი შედეგებით, რამაც გამოიწვია მილიონობით ადამიანის დაღუპვა და, პრაქტიკულად, კატასტროფის პირზე მიიყვანა საბჭოთა სოფლის მეურნეობა.[14]

საბჭოთა უშიშროების ორგანოს, რომელიც ისტორიაში ცნობილია „ვეჩეკას“, „გეპეუს“, „ოგპეუს“ და „ენკავედეს“ სახელებით, ამ დროიდან ხელმძღვანელობდა ჯერ გენრიხ იაგოდა, როგორც სსრკ-ის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი, შემდეგ კი – ისტორიაში პირველი „სახელმწიფო უშიშროების გენერალური კომისარი“. იგი დააპატიმრეს 1937 წელს, როგორც ჯაშუში, და მიესაჯა დახვრეტა, რომელიც 1938 წელს აღსრულდა. იგი ამ პოსტზე ნიკოლაი ეჟოვმა შეცვალა, რომელიც შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი იყო 1936-1938 წლებში. იგი მომდევნო წელს დააპატიმრეს, დაიხვრიტა 1940 წელს.

როგორი იყო ზოგადი ანატომია იმ სისტემისა, რომელიც საბჭოთა კავშირში 20-იანი წლების დასაწყისიდან ჩამოყალიბდა? ისტორიკოსისა და სოციოლოგის, პროფესორ აბდურაჰმან ავტორხანოვის თვალსაზრისით (რომლის წიგნებიც მოგვიანებით ზვიად გამსახურდიამ სამიზდატის ფორმით გაავრცელა), საბჭოთა კავშირში ფუნქციონირებდა უნიკალური სისტემა, რომელსაც იგი „პარტოკრატიას" უწოდებდა. ეს იყო უნაკლო აღნაგის მქონე და მსოფლიო ისტორიაში უანალოგო ინსტრუმენტი დიქტატორის პირადი ძალაუფლებისა. ამ სისტემის ძირითად პრინციპებს საფუძველი ჩაუყარა ჯერ კიდევ ვ. ი. ლენინმა, ხოლო იოსებ სტალინმა იგი სრულყოფამდე მიიყვანა. სტალინის სიკვდილის შემდეგ სისტემა, რომელმაც მხოლოდ დეტალების დონეზე განიცადა ცვლილება, თუმცა მთლიანობაში იგივე დარჩა, ფუნქციონირებას განაგრძობდა. ავტორხანოვის მოსაზრებით, საბჭოთა კავშირს სინამდვილეში მართავდა არა პარტია და მისი წესდებით გათვალისწინებული პოლიტიკური ორგანოები, როგორებიც იყო პარტიის ცენტრალური კომიტეტი და პოლიტბიურო, არამედ დიქტატორის მიერ დანიშნული პირადი ადმინისტრაცია. ი. სტალინის დროს მას ერქვა „ამხანაგი სტალინის სამდივნო". შემდგომში მას სხვადასხვა დასახელება ჰქონდა, მაგრამ არსი ერთი და იგივე რჩებოდა.

ლეონიდ ბრეჟნევის მმართველობის წლებში, მაგალითად, ამ ადმინისტრაციის წევრებმა – ალექსანდროვმა, ცუკანოვმა და სხვებმა მიიღეს პირადი ოფიციალური სტატუსი, როგორც ცენტრალური კომპარტიის კომიტეტის წევრებმა და წევრობის კანდიდატებმა. ადმინისტრაცია ამზადებდა ყველა დოკუმენტს პარტიის ოფიციალურ ცენტრალურ ორგანოებში განსახილველად. იგი იდგა პარტიასა და სახელმწიფოზე მაღლა. დიქტატურის მეორე ინსტრუმენტი იყო ცენტრალური კომიტეტის „საგანგებო სექტორი", რომლის ხელშიც მოქცეული იყო პარტიული კადრების ცხოვრება და კარიერა ცენტრალური კომიტეტის კადრებიდან რაიკომის მდივნებამდე. ეს სექტორი არჩევდა კადრებს ნომენკლატურისა და მომსახურე პერსონალისთვის (მოსამსახურეებს, ექიმებს და ა. შ.). იგი არგუსის მზერით უთვალთვალებდა ნომენკლატურას, რომ გამოერიცხა იქ შეთქმულება პარტიისა და მისი ბელადის წინააღმდეგ. ამ ცენტრალიზებულ სექტორს ემორჩილებოდნენ „სპეცსექტორები" ადგილებზე, რომლებიც იმავე ფუნქციებს ასრულებდნენ ადგილობრივ პარტიულ ხელმძღვანელებთან მიმართებით, რაც ცენტრში ჰქონდათ თავზე აღებული, ასევე, წყვეტდნენ სეპარატიზმის თავიდან არიდების ამოცანებს. ამ „განსაკუთრებულ სექტორს" ემორჩილებოდნენ „ენკავედეს" შენაერთები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ ხელმძღვანელობის დაცვას. ავტორხანოვის მიხედვით, ახალი ტიპის ტირანიის ჩამოყალიბება, რომელსაც ის „ტოტალიტარულ პარტოკრატიას" უწოდებს, შესაძლებელი გახდა ძალაუფლების განსაკუთრებული ტექნოლოგიის გამოყენებით, რაც გულისხმობდა პოლიტიკისა და დამნაშავეთა სამყაროს სინთეზს. ამ საფუძველზე ჩამოყალიბდა უზენაესი ძალაუფლების „სამკუთხედი" – პარტაპარატი, სამხედრო აპარატი და КГБ (საბჭოთა

სუკ-ი). სახელისუფლებო ორგანოების „ჩეკიზაციის“ შემდეგ ფორმალურად ერთადერთი მმართველი პოლიტიკური პარტია არაოფიციალურად დაიყო ორ პარტიად: „ღია“ ნაწილად, რომელში შესვლაც შესაძლებელი იყო სპეციალურად შერჩეული ადამიანებისათვის, და „დახურულ“ ნაწილად, ანუ პარტიულ ელიტად, რომელში შესვლაც მხოლოდ რჩეულებს ხელეწიფებოდათ. ამ დახურული პარტიის დიქტატურამ ანუ პარტოლიგარქიამ, რომლის მოღვაწეობის შესახებაც მხოლოდ პირთა შეზღუდულმა წრემ იცოდა, შეძლო „პარტიულ-პოლიციური და ტოტალიტარულ-ტერორისტული“ რეჟიმის დამყარება. ამ რეჟიმმა, ავტორხანოვის თვალსაზრისით, ყველა საბჭოთა ადამიანი აქცია მონოპარტიული სახელმწიფოს საკუთრებად, რომელიც ამ უკანასკნელთა ექსპლუატაციას ეწეოდა. ნამდვილად გაბატონებული ძალა იყო ერთი და ეს იყო „უნივერსალური ჩეკიზმი“. ეს იყო როგორც სახელმწიფო, ისე პარტიული, კოლექტიური თუ ინდივიდუალური ჩეკიზმი, როგორც იდეოლოგიაში, ისე პრაქტიკაში, დაწყებული ყოვლისშემძლე ბელადიდან, დასრულებული ხალხის უმდაბლეს ფენამდე. ამრიგად, უმაღლესმა დიქტატორმა იწყო ძალაუფლების განხორციელება პარტიაზე. პარტიის საშუალებით იგი თავის ძალაუფლებას განავრცობდა ქვეყანაზე, რამდენადაც ყველა საწარმოსა და ორგანიზაციაში იქმნებოდა პარტიული უჯრედები, რომლებიც ემორჩილებოდა ადგილობრივ პარტიულ კომიტეტებს. ეს უკანასკნელნი კი დამოკიდებულები იყვნენ ცენტრალური კომიტეტის „საგანგებო სექტორზე“. ამ სისტემის ჩამოყალიბება სტალინმა იწყო 1922 წლიდან, როდესაც გახდა პარტიის გენერალური მდივანი. სწორედ ეს გახდა ვ. ლენინის ცნობილი გამონათქვამის საფუძველი, რომელიც შეეხებოდა „სტალინის უსაზღვრო ძალაუფლებას“ – შენიშვნას, რომლის იგნორირებაც და მიჩქმალვაც ერჩიათ ლენინური პოლიტბიუროს სხვა წევრებს.[15]

სოვეტოლოგი და ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი რიჩარდ პაიფსი აღნიშნავდა, რომ სტალინის წარსულში არაფერი ყოფილა ისეთი, რაც იმთავითვე გააჩენდა იმ მონსტრული ძალაუფლების ხელში ჩაგდების მოლოდინს, რომელიც მას ჰქონდა. იგი დაიბადა რუსეთის იმპერიის ქართულ პროვინციაში, როგორც მეწაღისა და მრეცხავის შვილი, რომლებიც დაბადებიდან ყმები იყვნენო, – წერს იგი. სტალინის დაბადების წელი იყო 1878, თუმცა 1922 წელს მან გადაწყვიტა თავი „გაეახალგაზრდავებინა“ და ოფიციალურ დაბადების წლად 1879 წლის 21 დეკემბერი გამოაცხადებინა. 1929 წელს მისი დაბადებიდან 50 წლისთავი ეროვნულ დღესასწაულად და დასვენების დღედ გამოცხადდა ქვეყანაში. პაიფსი თავის ნაშრომებში ბოლშევიკურ პარტიას ახასიათებს, უფრო, როგორც შეთქმულთა ძალიან არაპოპულარულ გუნდს, მასობრივი მოძრაობის ყველაზე ბასრ ინსტრუმენტს, მოქცეულს სათავეში. მისი თვალსაზრისით, სტალინამდე ბოლშევიკურ კამპანიას, მიმართულს გლეხობის წინააღმდეგ, ჯერ კიდევ ლენინი ედგა სათავეში – და მისი, როგორც რეაქციული კლასის, განადგურებას ისახავდა მიზნად. პაიფსი ასევე ბრალად სდებდა ლე-

ნინს ტერორისტული სახელმწიფოს საფუძვლების ჩამოყალიბებას, რომელიც მისმა მემკვიდრემ, სტალინმა დახვეწა.

„კონკრეტული მაგალითები გვიჩვენებენ, რომ ბოროტ იდეებს, შესაძლოა, ბოროტი შედეგები მოჰყვეს", – წერს პროფესორი პაიფსი თავის მემუარებში.[16] თუ რა შეიძლება ყოფილიყო ამ რეპრესიული პოლიტიკის ფსიქოლოგიური მიზეზები, ამის თაობაზე დასაშვებია როგორც სოციალ-უტოპისტური, ისე პრაგმატული ტიპის მოტივები, დაკავშირებული შინაპარტიულ ბრძოლებთან ძალაუფლებისთვის. ამ ბრძოლებში უფრო ხშირად ისე ხდებოდა, რომ დამარცხებული მხარე კარგავდა არა მარტო ძალაუფლებასა და გავლენის სფეროს, არამედ სიცოცხლესაც. პოლონელ ფილოსოფოს ლეშეკ კოლაკოვსკის თვალსაზრისით, ბოლშევიზმი და ფაშიზმი წარმოადგენენ ისტორიაში ბოროტების დესტრუქციული ყოფნის ორ განსხეულებას: „ბოროტებამ გამოიგონა იდეოლოგიური სახელმწიფო, ანუ სახელმწიფოები, რომელთა ლეგიტიმურობაც დაფუძნებულია ფაქტზე, თითქოს მათი მფლობელები იყვნენ იმავდროულად ჭეშმარიტების მფლობელები. თუკი თქვენ დაუპირისპირდებით ასეთ სახელმწიფოს ან სისტემას, თქვენ მტრობთ ჭეშმარიტებას".[17] ორივე მოძრაობა პრეტენზიას აცხადებდა, განეწმინდა კაცობრიობა დაცემისა და გახრწნის გამომწვევი აგენტებისგან. კომუნისტებისთვის მტერი წარმოდგენილი იყო კერძო საკუთრებით, ბურჟუაზიის, სამღვდელოებისა და კულაკების სახით. ნაცისტები ებრაელების იდენტიფიცირებას ახდენდნენ „ვერმინების", „იუდეო-ბოლშევიკებისა" და „იუდეო-პლუტოკრატების" სახით, ხოლო მარქსიზმი იყო ყოველგვარი უბედურების წყარო.

ფაშიზმი და მისი რადიკალური ვერსია, ნაციზმი, ღიად და თანმიმდევრულად ანტიკომუნისტური იყო. 1930-იან წლებში სტალინიზმმა ანტიფაშიზმი თავისი პროპაგანდის სვეტად აქცია, მსოფლიო მასშტაბით გადაიბირა რა ცალკეული ინტელექტუალები და მოახდინა ასეთი ტიპის წინააღმდეგობის მოძრაობის გალვანიზება. ორივე პარტიული მოძრაობა, კომუნისტურიც და ნაცისტურიც, გმობდა და ამხელდა ლიბერალიზმს, დემოკრატიასა და პარლამენტარიზმს, როგორც ნამდვილი პოლიტიკის დეგრადაციას; აცხადებდა, რომ მაღლა დადგებოდა ყველანაირ დაყოფაზე, შექმნიდა რა სრულყოფილ საზოგადოებას, უკლასოს და რასიულადაც ერთიანს. იყვნენ რა ძირეულად ათეისტურნი, ორივე, კომუნიზმიცა და ფაშიზმიც, თავიანთ პოლიტიკურ მიზნებს განსაზღვრავდნენ, როგორც ვითომდაც ემანსიპატორულს, იმავდროულად ქმნიდნენ პოლიტიკურ რელიგიას ინდივიდის განსათავისუფლებლად თავსმოხვეული ტრადიციული მორალისა და კანონმდებლობისგან.[18]

რასაკვირველია, როგორც იაგოდას, ისე ეჟოვის მოღვაწეობა პირდაპირ აირეკლა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის როგორც კულტურულ, ისე სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. დიდი მიხვედრა არ სჭირდება იმას, რომ მიხეილ ჯავახიშვილის, ევგენი მიქელაძის, ნიკოლო მიწიშვილის, სანდრო ახმეტელის, ტიციან ტაბიძისა და სხვათა რეპრესირება პირდაპირი

შედეგებია საბჭოთა იმპერიის ცენტრში მიმდინარე ამ პროცესებისა. მიხეილ ჯავახიშვილის წინააღმდეგ შედგენილ საქმეში მოწმე ლიდა გასვიანის, სახელმწიფო გამომცემლობის სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარის, მიერ ნახსენები არიან კონსტანტინე გამსახურდია და კონსტანტინე ჭიჭინაძე.[19] ამ მოწმის თქმით, გამსახურდია და ჭიჭინაძე არაერთხელ შეკრებილან კ. გამსახურდიას ბინაში, სადაც აცნობდნენ თავიანთ თვალსაზრისს, რომ ისინი უარყოფდნენ საქართველოს სოციალისტური განვითარების გზას, მიუღებლად აცხადებდნენ სოციალიზმს, მკვეთრად აკრიტიკებდნენ საბჭოთა ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს, მეტადრე, ეროვნული პოლიტიკის საკითხებში. მოწმის თქმით, ისინი მხარს უჭერდნენ შეიარაღებული ბრძოლის საჭიროებასაც კი საქართველოს გამოსაყოფად სსრკ-დან.[20] იურისტ დ. წერეთლის ჩვენების მიხედვით (თარიღდება 1937 წლის 28 ივნისით), კონტრრევოლუციურ ჯგუფში შედიოდნენ მიხეილ ჯავახიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, გერონტი ქიქოძე, პავლე ინგოროყვა, ტიციან ტაბიძე და სხვები (სულ დასახელებულია 25 პირი). ისინი კავშირში იყვნენ სხვა კონტრრევოლუციურ ელემენტებთან, მაგალითად, პასტერნაკთან (იგულისხმება პოეტი ბორის პასტერნაკი), ბრიკთან, აფინოგენოვთან, ავერბახსა და სხვებთან. ეჟოვშჩინა, გარდა იმისა, რომ თავის დროზე დაიგმო, არც არასოდეს ყოფილა რეაბილიტირებული. საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ 1988 წელს უარი განაცხადა ნ. ეჟოვის რეაბილიტაციაზე. განაჩენის მიხედვით, 1937-1938 წლებში ეჟოვის ბრძანების საფუძველზე „ენკავედეს“ მიერ ჩატარებული ოპერაციების შედეგად რეპრესიებს დაექვემდებარა მილიონ-ნახევარი მოქალაქე, რომელთა ნახევარიც დახვრიტეს.[21]

1928 წლის დასაწყისიდან მოყოლებული, სოლოვკის ლაგერიდან დაბრუნების შემდეგ, კონსტანტინე გამსახურდიას ცხოვრება წარმოაჩენს გასაოცარ მოზაიკას ცვალებადი სურათით – შეტევებითა და ტაქტიკური უკან დახევებით, საკმაოდ აგრესიული ნაბიჯებითა და კომპრომისული სვლებით, წარმატებებითა და წარუმატებლობებით, ისეთი პოზიციონირებით, რომ არ დაზიანდეს ორი ძალის დაპირისპირების ეპიცენტრში მოხვედრით, სადაც ერთ მძვინვარედ მტრულ და დესტრუქციულ ძალას უპირისპირდება მეორე, შესაძლოა, არანაკლებ მტრული და დესტრუქციული ძალა, მაგრამ მაინც პირველის დამაბალანსებელი. მწერალს გასაოცარი შეგრძნება აქვს კულისებს მიღმა მიმდინარე ბრძოლებისა, ყველაფერ ამას იგი ინტუიციით ხვდება. ამათ შორის მეგობარი, ცხადია, არცერთი არ არის – სიტყვა „მეგობარიც“ კი საოცრად ზედმეტი და უწყინრად კეთილია ამ კოშმარულ ძალთა კონსტელაციებში.

პროფესორ სოსო სიგუას შეფასებით, კონსტანტინე გამსახურდიას ნაციონალიზმი და ესთეტიზმი თავიდანვე მიუღებელი იყო საბჭოთა ხელისუფლებისთვის. ნაციონალიზმი უკავშირდებოდა საქართველოს თავისუფლებას, ხოლო ესთეტიზმი – მოდერნიზმს, თანამედროვე ევროპულ კულტურას. ორივე მათგანს ებრძოდნენ მსოფლიო რევოლუციის სახელით და გაცხადებული

მიზანი იყო ეროვნული ღირსებისა და რელიგიური გრძნობებისგან დაცლილი საზოგადოების შექმნა, სადაც ადამიანს მხოლოდ ჭანჭიკის როლი ექნებოდა.[22]

და რა მდგომარეობა იყო ქვეყანაში სოლოვკის გადასახლებიდან მწერლის დაბრუნების შემდეგ? პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის 23 აპრილის დადგენილებით დაშალეს პროლეტარულ მწერალთა გაერთიანებები „ვოაპპი“ და „რაპპი“, რომლებიც ყველაზე რადიკალური ფორმით ქადაგებდნენ და ტირაჟირებდნენ ბოლშევიზმს. იმავე 1932 წლის 26 ოქტომბერს, მაქსიმ გორკის ინიციატივით, შედგა სტალინის შეხვედრა საბჭოთა მწერლების დიდ ჯგუფთან, რომლის დროსაც სტალინმა მწერლობის მნიშვნელობაზე ისაუბრა. მან მწერლებს „ადამიანის სულთა ინჟინრები უწოდა“. ამ ლამაზი და პირმოთნე სიტყვების უკან, ცხადია, კონკრეტული სტრატეგია იგულისხმებოდა, როგორც ქვეყნის შიდა, ისე საგარეო მოხმარებისთვის: მწერლობა უნდა დახმარებოდა პარტიის იდეოლოგიურ ფლანგს, რათა წარმოჩენილიყო საბჭოთა ყოფის მხოლოდ ძლიერი მხარეები, ხოლო ნაკლოვანებები შეძლებისდაგვარად მიჩქმალულიყო.[23]

ავიღოთ 1933 წელს რომან „დიონისოს ღიმილის“ ხელახალი გამოცემის ისტორია – ეს წიგნი ერთხელ გამოვიდა მწერლის დაპატიმრებამდე. შემდეგ იგი სოლოვკიში თარგმნა პოლიტპატიმარმა, რუსმა თავადმა ვადბოლსკიმ, თუმცა რუსულად გამოცემა ვერ მოხერხდა, რამდენადაც დაიწუნა გორკიმ და უარყოფითი რეცენზია დაწერა. რატომ დაიწუნა რუსული ლიტერატურის კორიფემ ეს ტექსტი? ალბათ, იმიტომ, რომ მასში ამოსაცნობია კალოკაგათია (kalokagathia), როგორც ნაწარმოების ძირითადი ნერვი და განწყობა. ეს ელინური ტერმინი აღნიშნავს სხეულებრივი და სულიერი სრულქმნილების იდეალს, მშვენიერებას. ეს ცნება სხეულებრივი სილამაზისა და სულიერი სათნოებების ერთიანობას გამოხატავს, რაც პიროვნების უდიდესი სამკაულია. ბოლშევიზმმა კალოკაგათია და სიხარული ჩაკლა, იმიტომ, რომ ბოლშევიკი აზიის უსიერი ბნელეთიდან მოვიდა, სადაც არც ძველბერძნული კულტურა შესულა ოდესმე, არც ქრისტიანული და, ცხადია, არც რენესანსი.

რომანის თავში ჯოჯოხეთად ჩასვლაზე, სადაც რომანის თხრობა მითოსურ განზომილებაში გადადის, ქართველი სავარსამიძე, ჩერქეზი ხალილ ბეი და გერმანელი ჰერბერტ შტუდერსი ჩრდილოეთის მეფის კოშკში ხმლით ხელში ებრძვიან და ამარცხებენ იქ ტახტზე მჯდომ „ეპოლეტებიან მონღოლს“, რომელსაც მუხლზე ორთავიანი არწივი უზის. აქედან მთავარი გმირი გააღწევს ელიზიუმში, „ნეტართა კუნძულზე,“ სადაც იხილავს დიონისურობის გამოცხადებას – მზის უფლისწულს, ულამაზეს ფარვიზს, ზეციურ პროცესიასთან ერთად; იგულისხმება ის ბავშვი, ვინც პარიზიდან ჩამოჰყვა დედას, თუმცა გასაბჭოებულ საქართველოში ძალიან ცოტა ხანს იცოცხლა.

თუ როგორი საქართველო ეოცნებებოდა მწერალს, ეს მის პირველივე რომანში („დიონისოს ღიმილი“) შესანიშნავად ჩანს, როდესაც მთავარი მოქმედი გმირის ხილვას აღწერს, რომელიც ერთგვარად პროფეტულია: „როგორც იქ-

ნა, მოვაღწიე. საქართველო ვერ ვიცანი. საქართველომ მე ვერ მიცნო. გაოცებული შევჰყურებ შავ ზღვაში ქართული ფლოტის აღლუმს. ნისლისფერი კრეისერები ჰორიზონტებზე დგანან. საქართველოს თავისი ჰამბურგი გაუჩენია. რიონი გაუჭრიათ. პალიასტომთან ახალი პორტია: თამარაშენი. აუარებელი დოკები. ელევატორები, უშველებელი რკინის ხიდები. მთებსა და გორაკებზე ქარხნების საკომურების ტყეებია. მთებსა და მთებს შორის კანატების რკინის გზებზე გამურული ვაგონეტები დაჰქროლავენ. სადღაა საქართველოს ფირუზი ცა, ან მწვანე ველები, თვალებჩაშავებული ტყეები, ძველ ტაძრებს და ძველ ციხეებს ფაბრიკები და ელექტრონის სადგურები დასცინიან. ... ლაზისტანი თავისი ნებით შემოერთებია თურმე საქართველოს. რუკაზე საქართველო ცალტოტმოხეულ ჩაბალახს აღარა ჰგავს, არამედ ხახადაღებულ ვეშაპს, რომელმაც შავი ზღვა უნდა შესვას. მეგრელები, აფხაზები და სვანები ჩრდილოეთისაკენ მიისწრაფიან, იმერლები, გურულები, რაჭველები და ქართლელები სამხრეთს აწვებიან. საქართველოს მთავრობას სამცხე-საათაბაგოში ხალხი გადმოუსახლებია დასავლეთ საქართველოდან. ტფილისში ორასი ყოველდღიური გაზეთი გამოდის, 365 სხვადასხვა საგამომცემლო ამხანაგობაა. მთელ საქართველოში 3 500 ქარხანაა, 12 უნივერსიტეტი. წელს დამთავრდა ქართული აკადემიის თეთრი შენობა იქ, სადაც სამხედრო ტაძარი იყო. მეტეხი საისტორიო მუზეუმად გადაკეთდა. ტფილისი თავის მოხუცებულ დედას, მცხეთას, შეუერთდა. მტკვარზე ასზე მეტი ხიდია. ქართული ავიაცია საჰაერო რეკორდებს ამყარებს. გვაქვს ახალი რეისები: ტფილისი-პარიზი, ტფილისი-ლონდონი, ტფილისი-ტოკიო, ტფილისი-ბომბეი, ტფილისი-პეკინი. ტფილისში ვისმენთ პარიზის, ბერლინის, მილანოს კონცერტებს".[24]

როდესაც კრიტიკოსმა ბენიტო ბუაჩიძემ შეიტყო საქართველოში „დიონისოს" ხელახლა გამოცემის განზრახვის შესახებ, წერილი მისწერა რედკოლეგიას, სადაც პროტესტი გამოთქვა „ფაშისტური რომანის" მოსალოდნელი გამოცემის გამო. ამის შემდეგ ნიკოლო მიწიშვილი შევიდა ლავრენტი ბერიასთან, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანთან, სადაც გარკვეულ კომპრომისზე შეჯერდნენ – რომანი გამოიცა პლატონ ქიქოძის პასკვილით, როგორც შესავლით, სადაც თავად ეს ტექსტი და მწერალიც სასტიკად იყო გაკრიტიკებული. გამომცემლობა ამ ნაბიჯით გაემიჯნა მწერალს. რასაკვირველია, ბერიამაც თავი დაიზღვია, რადგან მას საკუთარი მაკონტროლებლები და უაღრესად საშიში ოპონენტები ასევე ჰყავდა.[25]

გავყვეთ მოვლენებს რეტროსპექტიულად: ამ სტრიქონების ავტორს ზვიად გამსახურდიასგან მოუსმენია ამბავი 1935 წელს კონსტანტინე გამსახურდიასა და პავლე ინგოროყვას შეხვედრის შესახებ საქართველოს ცენტრალურ კომიტეტში, 1931 წლიდან კომიტეტის პირველ მდივანთან, ლავრენტი ბერიასთან. ამ შეხვედრაზე ბერიამ აღნიშნა ის, მისი აზრით, სუბიექტური და მიკერძოებული უკმაყოფილება, რომელსაც ორივე თქვენგანი იჩენსო საბჭოთა ხელისუფლების თვალსაჩინო მიღწევების მიმართ. აქვე მან ჩამოთვალა ყველა

ის მიღწევა, რომელთაც საქართველომ მიაღწია ინფრასტრუქტურის, ურბანიზაციის, მშენებლობის, ეკონომიკური განვითარებისა თუ სოფლის მეურნეობის სფეროებში. პავლე ინგოროყვამ ამაზე გასხიპულად შენიშნა, რომ, მართალია, სახლებსა და ქალაქებს კი აშენებთ, თუმცა საკითხავია, განგრძობილი სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პოლიტიკის შედეგად, რომელი ერის წარმომადგენლები იცხოვრებენ მაგ სახლებშიო. ბერიამ გააწყვეტინა და მიუგო: იცით, რომელიმე სხვა რესპუბლიკაში თქვენ ორივენი დიდი ხნის დახვრეტილები იქნებოდითო.

1935 წლის აგვისტოში მალაქია ტოროშელიძემ კონსტანტინე რეაქციონერად გამოაცხადა, ძველი საქართველოს აპოლოგეტია, არისტოკრატიის დეგენერაციას აიდეალებსო, არქაისტული სტილი აქვსო, მაგრამ ახლა ცდილობს ჩვენკენ შემობრუნებასო. მისივე ჩარევით იგი სსრკ-ის მწერალთა კავშირის პირველი ყრილობის დელეგატთა სიაში არ ჩაწერეს. ეს ის დროა, როდესაც რესპუბლიკებს ნაციონალური ენის მეტი ყველაფერი წაართვეს და მოსკოვს დაუქვემდებარეს.[26] მალაქია ტოროშელიძე, ვინც სამართალი ჟენევის უნივერსიტეტში ისწავლა, თუმცა შემდგომ ბოლშევიკურ პარტიას შეუერთდა, ბოლოს კი განათლების სახალხო კომისარი იყო, 1937 წელს რეპრესიებში მოყვა და დახვრიტეს.

მწერლის პასუხი ამ საზარელ სინამდვილეზე არის „მთვარის მოტაცება“ – რომანის პირველი წიგნი წარმოებას გადაეცა 1935 წლის 10 მარტს. მხატვრობა ეკუთვნოდა ელენე ახვლედიანს. რომანი თითქოს კოლექტივიზაციასა და ძველი სამყაროს დასასრულს ეძღვნებოდა, სადაც იმარჯვებს ბოლშევიკებისა და ბოლშევიზმის „ახალი გზა“ – ყოველ შემთხვევაში, ასეთი იყო პირველი შთაბეჭდილება, რომელიც კომუნისტურ ცენზურასა და კრიტიკას დარჩა. სინამდვილეში კი რაზე მოგვითხრობს ეს რომანი? მოქმედება ვითარდება აფხაზეთში, სადაც 1921 წლის ოკუპაციიდან მოყოლებული იყო ლაკობა-ეშბა-აკირტავას ბოლშევიკური ტრიუმვირატი. ლაკობა-ეშბა ერთმანეთთან დაპირისპირებულნი იყვნენ. თუმცა სტალინის გვარდიიდან არცერთი არ ყოფილა – სამივენი ლენინისა და ტროცკის გუნდიდან იყვნენ. სოსო სიგუასთან ვკითხულობთ: „კონსტანტინე გამსახურდიასათვის კომუნისტი ერთმნიშვნელოვანი ცნება არ არის. იგი ამჩნევს განსხვავებულ ტენდენციებს (თუმცა 1933-1935 წლებში ჯერ კიდევ სრულად არ იყო გამოვლენილი ბოლშევიზმის სატანური არსი და ინტელიგენციასაც ყალბი წარმოდგენა ჰქონდა მასზე). იმასაც ხედავს, რომ ტროცკისტ არლანისა და კოლექტივის მოძულეთა დათრგუნვის შემდეგ ძალაუფლებისაკენ ერთად მიიწევენ ლენინელი ჩალმაზი და სტალინელი არზაყანი. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ისინი სხვადასხვა თაობას ეკუთვნიან. მალე „ტანმორჩილი, პენსნეიანი“ კაცი საქართველოში აღასრულებს ბელადის ნებას და გაანადგურებს ლენინურ გვარდიას – მათ, რომლებიც 1921 წლის თებერვალში წითელი რუსეთის ჯარებს შემოყვნენ, ე. ი. არზაყანმა უნდა მოკლას

ჩალმაზი, ანუ ერთ ბოროტებას მოსპობს მეორე ბოროტება, უფრო სასტიკი და საზარელი".

ნაწარმოებში კაც ზვამბაია ხოცავს საკუთარ საქონელს, აცლის თავებს ძროხებს, მოზვერებს, თხებს. შემზარავი სცენაა ეს, რაც მის მორალურ სიკვდილს უტოლდება. ისტორიიდან ცნობილია, რომ 1929-1933 წლებში განადგურდა და დაიხოცა 17,7 მლნ ცხენი, 25 მლნ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, მათ შორის, 10 მლნ ძროხა (რამდენიც 1990 წელს ჰყავდა აშშ-ს!), 10 მლნ ღორი, 71 მლნ ცხვარი და თხა".[27]

„მთვარის მოტაცება" თავისი აღნაგით საკმაოდ ემთხვევა ანტიკური ტრაგედიის კანონიკურ სქემას. ძველბერძნულ (არისტოტელური გაგებით) ტრაგედიას ხუთი ძირითადი საფეხური აქვს: პირველი ესაა პერიპატეია – ანუ მომხდარი ისტორიის საწყისი ეტაპის აღწერა; მეორეა ჰამართია – მთავარი პროტაგონისტის მიერ საბედისწერო შეცდომის დაშვება – საბედისწერო ცოდვა; მესამე – ანოგნოროზისი – პროტაგონისტის მიერ მისი ცოდვის თუ შეცდომის გააზრება და კატასტროფის თავიდან აცილების მცდელობა; მეოთხეა კატასტროფა – საბედისწერო ფინალი – პროტაგონისტი (პროტაგონისტები) ან კვდება, ან ზარალდება სერიოზულად; მეხუთეა კათარზისი – მაყურებლის (ან მკითხველის) განწმენდა ამ ტრაგედიის ფინალის შემდგომ). ამ თვალთახედვით, ეს საფეხურები, რომელთაც გაივლის მთავარი გმირი (ანუ თარაშ ემხვარი), ასე დალაგდება: პერიპატეია იქნება ენგურის გადალახვა მამა-შვილ ზვამბაიების მიერ პირველივე თავში და შემდეგ „რეტროსპექტიული უკანდახევა", სადაც აღწერილია თარაშისა და არზაყანის ბედნიერი ბავშვობა, შარვაშიძეებისა და ემხვარების დაპირისპირების რომანტიკული ისტორია, შემდეგ რევოლუცია და საქართველოს ოკუპაცია, თარაშის მამის, ჯამსულის, გადახვეწა საზღვარგარეთ თავის ვაჟთან ერთად და მისი სიკვდილი. სამშობლოში დაბრუნება და შარვაშიძეების ოჯახის იდილია, თამართან გამიჯნურება. მოგზაურობა ტფილისში. ჰამართია იქნება თარაშისგან თამარის მიტოვება თმის შეჭრის გამო და მალევე ერთ-ერთი ტარბას მკვლელობა, მას შემდეგ, რაც ტარბები კაცს ზვამბაიას ოჯახს თავს დაესხმებიან (ეს „დანაშაულიც" ორმნიშვნელოვანია – თან არის დანაშაული, თან რაღაც გამართლებაც ეძებნება). ამის შემდეგ სვანეთში გაქცევა მამა-შვილთან ერთად. ანოგნოროზისი – თარაშის მიერ სვანეთში იმის საბოლოო გააზრება, რაც რეალურად ხდება: ინგრევა ძველი სამყარო, ძველი სათნოებები, ურთიერთობები, რელიგიური თუ სახელმწიფოებრივი წარმოდგენები, მითები. ლაღუმების გრიალით მოდის ახალი, უსულო და მხოლოდ მატერიალურზე ორიენტირებული ცივილიზაცია. თარაში აცნობიერებს, რომ მისი ადგილი არსადაა. მისი მხრიდან ადგილი აქვს მცდელობას, დაფუძნდეს სვანეთში და იქაური ქალი შეირთოს, თუმცა ლამარიას ამბავმა, რომელიც არზაყანმა მის თვალწინ შეაცდინა, გადააფიქრებინა ეს ნაბიჯი (ეს სცენა უშგულის ლამარიას უძველესი კულტის საბოლოო დეკადანსის სიმპტომიცაა). ამასობაში ბოლშევიკი არზაყანი მაუზერით მამას

მოკლავს. თარაში სვანეთს ტოვებს. კატასტროფა – ეს არის თარაშის დაბრუნება მამისეულ, ნახევრად დანგრეულ და უკაცრიელ სასახლეში, თვითმკვლელობისთვის მომზადება და გადაფიქრება მას შემდეგ, რაც ეტყვიან, თამარი სიკვდილის პირზეაო. კათარზისი – არაბიაზე ამხედრებული თარაშ ემხვარის უკანასკნელი გზა იმ იმედით, რომ თავის საყვარელ ქალს იქნებ ცოცხალს მიუსწროს. ბრძოლა ადიდებული ენგურის ღვარცოფთან და დაღუპვა. ენგური, შესაძლოა, მოაზრებულ იქნეს, როგორც სტიქსი, „ბედისწერის სამზღვარიც“ (აქვე შდრ. ბარათაშვილის „მერანის“ ალუზია). რომანის ტექსტის ბოლო წინადადებაში ზეცაში მოჩანს კოლხური ოქროს საწმისის ფერის ღრუბელი, მთავარი გმირის „კათარზისით“ განწმენდილი სულის სურათ-ხატი. იგი ერთგვარი ნიშიცაა, მომავლის იმედის გამომხატველი.

როგორც არ უნდა ეცადოს ცენზორი ან კრიტიკოსი, როგორი ცვლილებაც არ უნდა შეიტანოს ტექსტში, ვერ შეძლებს თარაშ ემხვარის დაყენებას „სტალინის გზაზე“. მამა-შვილ ზვამბაიებიდან მამა ძველ, ტრადიციულ საქართველოს განასახიერებს, იგი რურალური ყოფის წარმომადგენელია, შვილი – ქართველთა იმ ჯგუფისა, რომელმაც თავის მიზნად დაისახა თავიდან ევროპიდან – რუსეთში, რუსეთიდან კი საქართველოში შემოსული ახალი, რევოლუციური მარქსისტულ-ლენინური იდეების პრაქტიკული დანერგვა და სახელმწიფოს მის თარგზე აგება. თარაში არც ერთს არ ეკუთვნის, არც რევოლუციურს, არც – ტრადიციულს. იგი თან ევროპელია, თან ძველი საქართველოს იმ იდეალების ერთგულია, რომლებმაც ქვეყანა საუკუნეებში გამოატარეს. მისი ინდივიდუალიზმი იმ პატიოსანი კაცების ინდივიდუალიზმია, რომლებიც სამყაროს ზერელედ კი არ ხედავენ, არამედ ცდილობენ მის განჭვრეტას სიღრმისეულად.

ძველბერძნული ტრაგედიის სტრუქტურა „დიდოსტატშიც“ იკითხება, თუმცა მისი გააზრება ნიცშეანურ ჭრილშია უპრიანი: ადამიანი, როგორც „სახეობა“, აუცილებლობის ძალით ექცევა ტრაგედიის განზომილებაში, კათარზისი ზეადამიანობისკენ მიმავალი გზაა. რაც შეეხება სტილს, შეუძლებელია, კონსტანტინე გამსახურდიას მოქცევა ერთ რომელიმე სტილში. ეს არც სოციალისტური რეალიზმია, არც კრიტიკული. ეს, ალბათ, „პოეტური რეალიზმია,“ პირობითად რომ ვთქვათ. მასთან ასეთივეა ნატურალიზმიც – ლატენტური პოეტურობით დამუხტული. სტილისტურად მის ტექსტებში არის როგორც ექსპრესიონიზმი, ისე იმპრესიონიზმი, მოდერნი და ნეორომანტიზმი. რაც შეეხება ისტორიულ რომანებს, აქ ჭვირნიშანივით ჩანს ძველიცა და ახალიც, როგორც ეს პალიმფსესტშია, მათი ურთიერთმოქმედება უცნაური ხიბლით გარემოცულ ერთიანობას წარმოქმნის.

ზვიად გამსახურდია იგონებდა, რომ მას ასეთი ამბისთვის მოეკრა ყური: სამსახურიდან შინ მისულ ლავრენტი ბერიას მეუღლე ნინა გეგეჭკორი, რომელიც ბავშვობიდან იცნობდა და აფასებდა კონსტანტინეს, უკითხავდა ჟურნალში დაბეჭდილ რომანს. თურმე ამ ურჩხულივით სასტიკ და ულმობელ პიროვნებას სიამოვნებდა რომანული ამბების, მეგრული და აფხაზური სახე-

ლებისა და ლეგენდების მოსმენა, ბავშვობის სამყაროსთან დაბრუნება.[28] მიუხედავად ამისა, ბერიამ 1937 წლის 15 მაისს პარტიულ ყრილობაზე კონსტანტინე გამსახურდია დაახასიათა როგორც „ფაშისტური ელფერის მებრძოლი“ ნაციონალისტი. თუმცა ისიც თქვა, რომ იგი ცდილობს ძველი პოზიციის დატოვებას და საჭიროა მისი „დიდი შემოქმედებითი შესაძლებლობების“ საბჭოთა ხალხის სამსახურში ჩაყენებაო. ასევე დაასახელა ის პირები, რომლებიც ხელს უშლიდნენ სოციალიზმის მშენებლობას. მწერლობიდან ესენი იყვნენ კონსტანტინე გამსახურდია, მიხეილ ჯავახიშვილი, გიორგი ლეონიძე, პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, პლატონ ქიქოძე, მალაქია ტოროშელიძე, რაჟდენ კალაძე, ბენიტო ბუაჩიძე, სევასტი თალაკვაძე და სხვ. ამ სიიდან რეპრესიებს სულ სამი კაცი გადაურჩა, ხოლო ყრილობის დამსწრე 634 კაციდან დაიხვრიტა ან სხვა ტიპის რეპრესიაში მოყვა 425 ადამიანი. რეპრესირებამდე ცოტა ხნით ადრე მიხეილ ჯავახიშვილი შეხვედრია კონსტანტინეს და ასეთი რამ უთქვამს: „გეთაყვა, როდესაც მე და შენ მარჯვენებს წაგვაცლიან, პარმენებს დააწერინონ მერე რომანები“. როგორც ჩანს, მიხეილს სმენოდა, რომ კონსტანტინე აპირებდა მუშაობის დაწყებას რომანზე, რომელსაც საფუძვლად დაედებოდა ხალხური ლექსი სვეტიცხოველის ამშენებელზე.

ამიტომ ასეთ გართულებულ სიტუაციაში საჭირო გახდა დამაბნეველი და ყურადღების გადამტანი მანევრი: მწერალმა მადრიდისთვის ბრძოლაში გამარჯვების აღსანიშნავად, მოხსენებაში „კონსტიტუცია და მწერლობა“ დააანონსა ანტიფაშისტური რომანი „ევროპა გალიაში“, რომელიც ბოლომდე არასოდეს დაწერილა და ზომით ოციოდე გვერდს არ გასცილებია. ასევე მადრიდისთვის ბრძოლა არასოდეს მოუგიათ ესპანელ კომუნისტებს. ეს დაანონსებაც ყურადღების გადატანისთვის მოხდა. ეს ის პერიოდია, როდესაც კანდიდ ჩარკვიანმა ნაწილობრივ მაინც გააკრიტიკა „მთვარის მოტაცება“, მასთან მიმართებით ახსენა რასობრივი თეორია, ნიცშეს ამორალიზმი, მისტიკა, წერილბურჟუაზიული ნაციონალიზმი. შედეგი ის იყო, რომ 1938 წლის 2 ოქტომბერს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარმა სერგო გოგლიძემ ეჟოვსა და ბერიას გაუგზავნა ვრცელი მოხსენებითი ბარათი N47298. კომისარი აღმოჩენილად მიიჩნევდა ახალ „კონტრრევოლუციურ-ფაშისტურ ორგანიზაციას“ და მისი ლიდერების, მათ შორის – კონსტანტინეს, როგორც ჯაშუშისა და ფაშისტის, დაპატიმრების სანქციას ითხოვდა.[29] მაგრამ ტერორის იაგოდა-ეჟოვისეული ტალღა უკვე სრულდებოდა – ეჟოვის ბედიც უკვე გადაწყვეტილი იყო – იგი მალე დააპატიმრეს და 1940 წლის 4 თებერვალს დახვრიტეს. მოსკოვში გადასულმა ლავრენტი ბერიამ „მოხსენებითი ბარათის“ მსვლელობა შეაჩერა. კონსტანტინე გამსახურდია გადაურჩა ამ ტალღას, თუმცა სხვა, არანაკლებ საშინელი, ტალღები მოემართებოდა მისკენ.

ფატალური შეიძლება გამომდგარიყო ანდრე ჟიდთან მისი შეხვედრა. ფრანგმა მწერალმა და ნობელის პრემიის ლაურეატმა 1936 წელს იმოგზაურა საქართველოში. მისი ჩამოსვლა და შთაბეჭდილებების ასახვა წიგნის სახით

მსოფლიოში პირველ მუშურ-გლეხურ სახელმწიფოში სტალინური პოლიტიკის „პიარი“ უნდა გამხდარიყო საზღვარგარეთ. მას დახვდნენ ქართველი მწერლები – კონსტანტინე ლორთქიფანიძე, დავით დემეტრაძე, ტიციან ტაბიძე, მიხეილ ჯავახიშვილი, პაოლო იაშვილი. მაგრამ ევროპაში უკან დაბრუნებულმა მწერალმა მოულოდნელად სრულიად საპირისპირო სურათი დახატა. დონალდ რაიფილდი თავის წიგნში ქართულ ლიტერატურაზე წერს: „1936 წელს ქართველი მწერლები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ანდრე ჟიდის მასპინძლობაში, როცა ის ფრანგ კომუნისტთა ჯგუფთან ერთად თბილისს, წყალტუბოსა და სოხუმს ეწვია. მწერლებს, რომლებიც უხვი სუფრითა და არანაკლებ უხვი ქება-დიდებით დახვდნენ ჟიდს, ფაშიზმის აგენტობაში დასდეს ბრალი, როცა ჟიდმა თავისი თავაზიანი, მაგრამ გამანადგურებელი ანტისაბჭოთა კრიტიკა „დაბრუნება სსრკ-დან“ გამოაქვეყნა. საქართველოს საუკეთესო პროზაიკოსმა მიხეილ ჯავახიშვილმა საკუთარი თავი სასიკვდილოდ გაწირა ერთი ფრაზით: „ანდრე ჟიდს კარგი იდეებიც აქვს“. ამ სიტყვების უკან წაღება გვიანი იყო. პაოლო იაშვილმა აღიარა, რომ სტუმრად მყოფი სახელოვანი ადამიანების მასპინძლობა და პირმოთნეობა მისი უკურნებელი სენი იყო და დაწერა ლექსი „ანდრე ჟიდს – მოღალატეს“... მაგრამ ამაოდ. რაც უნდა ექნათ, ქართველი პოეტები თავს ველარ დაიხსნიდნენ იმ ჯოჯოხეთისგან, რომელიც მათ ბერიამ 1937 წლის მაისში მოუწყო.“[30]

ზვიად გამსახურდიასთან ვკითხულობთ, რომ ანდრე ჟიდი კონსტანტინე გამსახურდიასაც შეხვდა, სთხოვა ინტერვიუ პოლიტიკურ საკითხებსა და სტალინზე. ჟიდი ამ ინტერვიუს სანაცვლოდ პარიზში „მთვარის მოტაცების“ გამოცემასაც დაჰპირდა. ისინი მცხეთაშიც ნასულან ერთად, სტუმარი პოლიტიკური შინაარსის კითხვებსაც უსვამდა, კონსტანტინე კი ყოველ ჯერზე ბანზე უგდებდა სიტყვას – ესაუბრებოდა მხოლოდ ხელოვნებაზე, ლიტერატურულ და კულტურულ კონტაქტებზე საქართველოსა და ევროპას შორის. არცერთი სიტყვა პოლიტიკაზე. შესაბამისად, ჟიდს იგი ერთი სიტყვითაც არ უხსენებია თავის ანტისაბჭოურ ნარკვევში და კონსტანტინე არ ხსენებულა მის მიერ ნახსენებ საქართველოს დისიდენტ მწერლებთან, რაც გადარჩენის წინაპირობა იყო.[31] თუმცა, 1938 წელს შინსახკომის სამეულის ერთ-ერთმა წევრმა, გენერალმა სერგო გოგლიძემ, მოითხოვა მისი დაპატიმრება კონტრრევოლუციონერობისა და ფაშიზმის ბრალდებით, რომელიც არ დაკმაყოფილდა.

სოსო სიგუას დაკვირვებით, ისტორიული რომანის ჟანრზე გადასვლას პოლიტიკური მიზეზები ჰქონდა: კონსტანტინე ვერ იძლეოდა ბოლშევიკის სანიმუშო სახეს. სულ ძველისა და ახლის ჭიდილის თემა ხელისუფლებას იმდენად აღარ აინტერესებდა. მას ახალი ცხოვრების ზეიმი, სოციალისტური აღმშენებლობის ტრიუმფი, ახალი ჰეროიკა უნდოდა ეხილა ლიტერატურაში. ამიტომ კონსტანტინე ნელ-ნელა გადაიყვანეს ისტორიის სამყაროში. აქ იდეური ლაფსუსები გამორიცხული უნდა ყოფილიყო. ნაციონალიზმსაც გამართლება მიეცემოდა.[32] ყველაფერს ისიც დაერთო, რომ 1937 წელს იწყება მცხეთის, არ-

მაზისა და ბაგინეთის არქეოლოგიური გათხრები ივანე ჯავახიშვილისა და სიმონ ჯანაშიას ხელმძღვანელობით. ალბათ, სიმონ ჯანაშიასთან მეგობრობამ ამ მხრივაც ითამაშა თავისი როლი. იწყება მუშაობა „დიდოსტატზე“, თუმცა იმისთვის, რომ ეს პროექტი განხორციელდეს, საჭიროა რაღაც ხარკი. ეს ხარკი და ტაქტიკური უკუსვლა გამოდგა რომანი „ბელადი“.

ამ წიგნში, რომლის პირველი და ერთადერთი ტომის მოცულობაც, დაახლოებით, 230 გვერდამდეა (ჩაფიქრებული იყო, როგორც ტრილოგია), აღწერილია გორის მკვიდრის, სოსო ჯუღაშვილის, ბავშვობა მოზარდობის ასაკამდე – ანუ 13 წლამდე. ეს ბიჭი ეროვნული და პატრიოტული იდეებით იზრდება, მისი ფაქტობრივი მასწავლებელია მიხა ქილიფთარი, გორის მკვიდრი, ბუნებით ასკეტი, რომელიც იაკობ გოგებაშვილისა და ექვთიმე თაყაიშვილის ნიშნებს ატარებს. მიხა დღე და ღამე საქართველოს ისტორიის მატიანეს და სიძველეებს ჩაჰკირკიტებს, ხოლო შვილები და მეუღლე გარდაცვლილი ჰყავს. ბიოგრაფიული რომანების ავტორი, მწერალი და კრიტიკოსი როსტომ ჩხეიძე ფიქრობს, რომ მიხას პროტოტიპი დიდი ქართველი მეცნიერი და სიძველეთმცოდნე პავლე ინგოროყვაა, მწერლის ახლო მეგობარი. მიხაზე ამ წიგნში მწერალი ამბობს, ჩვეულებრივ ისტორიკოსზე გაცილებით დიდი გაქანება ჰქონდაო, მაგრამ იმდენიც არა, რომ ეპიკურობას შესწვდენოდაო. პავლემ ეს თავის თავზე მიიღო და მეგობარზე საკმაოდ განაწყენდაო. თუმცა მე დარწმუნებული ნამდვილად არ ვარ, რომ მაინცადამაინც პავლეა აქ ნაგულისხმები.

ნაწარმოებში ცოცხლადაა აღწერილი მე-19 საუკუნის 80-იანების გორი, კოლორიტული სახეები მის მკვიდრთა, ხელოსნებისა, ვაჭრებისა, ასევე გლეხებისა და თავადებისა. ამ უკანასკნელთ, ცოტა არ იყოს, დეკადანსის ელფერი დაჰკრავთ. აღწერილია ხატობის სცენები, სადაც სამღვდელოების ცალკეული წარმომადგენლები საშინელ სიბნელეს ნერგავენ, ასევე, საყველიერო კრივი გორში, როდესაც ორივე მხრიდან მასობრივ კრივში, დაახლოებით, 500-500 ადამიანი მონაწილეობდა (ამას სტალინზე დაწერილ თავის წიგნში ყურადღება მიაქცია საიმონ სებაგ მონტეფიორემაც და წერს, ეს შეშლილი, გადარეული ხალხი ქალაქებში მასობრივ ცემა-ტყეპას აწყობდა, სადაც მთელი მოსახლეობა ჩართული იყოო).[33]

რომანში პატარა სოსოს და მის მეგობრებს ძალიან აწუხებთ რუსიფიკაცია სკოლაში – მათ ვითომდაც შემთხვევით კავკასიურ ნაგაზს, ოსმანას, დააგლეჯინებს ამ რუსიფიკაციის დირიჟორი და პირწავარდნილი შოვინისტი, უფროსი მასწავლებელი ლავროვი. პატარა სოსოზე ძალიან მძიმედ იმოქმედებს არისტოკრატიული წარმოშობის ლამაზი გოგონას, რუსიკოს, ამბავი – რომლის სექსუალურ შევიწროებასაც ეწევა ახალგაზრდა, გაზულუქებული თავადი თამაზ ამილახვარი, რის გამოც ეს გოგონა თავის დახრჩობას ეცდება. ასევე მძიმე სურათია მისი მეგობრის, გაგა არაბულის, ყაჩაღად გავარდნილი პაპის ჩამოხრჩობა გორთან ახლომდებარე ველზე. რომანი თავად სტალინმა დაიწუნა – დაადო რეზოლუცია, რომ მეტად აღარ გაყიდულიყო და აღარც გაგრძე-

ლებულიყო. მიუხედავად ამ იგნორირებისა, ამა ქვეყნის ძლიერთა მხრიდან მწერალს ეს ხელისუფლებისადმი მეგობრულ ჟესტად და გაღებულ ხარკად ჩაეთვალა. „ეს რა ამბები მოუგონია, მე ასეთი ბავშვი სულაც არ ვყოფილვარო", – უთქვამს თავად „ბელადს", გავრცელებული ვერსიის მიხედვით. ტირაჟი ქსელიდან მთლიანად ამოიღეს, გარდა წიგნების გარკვეული რაოდენობისა, რომლებიც მანამდე გაიყიდა ან დარიგდა.

ამ წიგნმა, გარდა იმისა, რომ განაპირობა მწერლის ფიზიკური გადარჩენა, მას საშუალება მისცა ამოსუნთქვისა, რათა რაღაც შუალედში დაედო „დიდოსტატის მარჯვენა", რომელიც სულ რაღაც ნახევარ წელიწადში დაწერა. რომანი 1939 წლის მიწურულს გამოვიდა. წიგნი სიმონ ჯანაშიამ მოსკოვში ჩაუტანა სტალინს. როგორც ამბობენ, სტალინის პირველი შთაბეჭდილება ამ წიგნზე სრულიად დადებითი იყო. იგი რუსულად მალევე თარგმნეს, თუმცა ცენზურამ და მათი კონტროლის ქვეშ მყოფმა მთარგმნელმა ტექსტი ალაგ-ალაგ შეცვალეს და შეკვეცეს.

„დიდოსტატი" მხოლოდ ერთი შეხედვითაა ისტორიული. იგი, როგორც ზემოთ აღინიშნა, „პალიმფსესტური" მეთოდით შექმნილი ნაწარმოებია, სადაც ისტორიზმი ერთი შრეა, მეორე, ზედნადები შრე კი თანამედროვეობაა. სწორედ ამ პუნქტში აიბნენ როგორც ლიტერატორები, ისე ისტორიკოსები კრიტიკოსთა ბანაკიდან. ცხადია, არავინ დაფიქრებულა იმაზე, რომ თავად ცნება „დიდოსტატი", პირველი ქრისტიანული საუკუნეების გარკვეულ მანიქეურ-გნოსტიკური ელფერის ტექსტებში, ქრისტეს ატრიბუტია – არამეულად Ban rabba – „სამყაროს დიდი არქიტექტორი", საიდანაც იგი თავის დროზე ევროპული მასონური მოძრაობის სიმბოლიკაში გადავიდა. მაგრამ აქ მთავარი ის არის, რომ ნაწარმოების გმირთა ეთიკა გულისხმობს „სიკეთისა" და „ბოროტების" შაბლონური მორალური კატეგორიების მიღმა გაღწევას, არა „გლახური ღმერთის" ხუცესთა მიერ დადგენილ სქემაში გახევებას, არამედ ინდივიდუალისტური, რაინდული ეთიკით უმაღლეს ადამიანურობასთან მიახლებას. უფალს რაში უნდა სჭირდებოდეს გლახაკი და მონა, რომელიც მუდმივად ფოკუსირებულია მხოლოდ პირველცოდვასა და თვითუარყოფაზე, შემყურე ზემდგომებისა – როგორც საეროთა, ისე საეკლესიოთა, ნიადაგ „მორჩილებას" რომ ჩასჩიჩინებენ. ნუთუ ასეთი უნდა იყოს ადამიანი, ბიბლიის კონცეპტით „გვირგვინი შესაქმისა?"

და რამდენად არის ქრისტიანი თავად ხუროთმოძღვარი არსაკიძე? რომელსაც რომანის ტექსტში სამღვდელონი საყვედურობენ, წირვებზე ვერ გხედავთო, ლაზო. აქ კარგი იქნებოდა მერაბ კოსტავას „გამოსათხოვარის" ამ ერთი ადგილის გახსენება:

„არსაკიძეში ჰღვივის უმაღლესი მშვენიერებისადმი მსხვერპლად თავის დადების გასაოცარი მისტერია. აღზევებული ესთეტიკისადმი მიმართული ეს უზენაესი ეთოსი კი ურთიერთგანმსჭვალვაა სიყვარულისა და უზენაესი სიკეთის; იგია თავად უშინაგანესი ქრისტიანული აქტი".

თუ როგორია „დიდოსტატისეული“ გაგება რელიგიურობისა, ამას, ალბათ, ყველაზე უკეთ მე-20 საუკუნის ესპანელი ინტელექტუალისა და ფილოსოფოსის, მიგელ დე უნამუნოს, ეს ფრაზა გამოხატავს: „ჩემი რელიგია არის დაუცხრომელი და დაუსრულებელი ბრძოლა იდუმალებასთან. ჩემი რელიგია არის ბრძოლა ღმერთთან მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე, სწორედ ისეთი ბრძოლა, იაკობი რომ ეწეოდა ღმერთთან“. ასეთია როგორც ხუროთმოძღვარ არსაკიძის, ისე გიორგი მეფის გზა. ერთი მათგანი – წმინდა ხელოვნების მსახურებითა და წმინდა ადამიანობის ძიებით, მეორე კი – მეფობის დილემებთან ჭიდილის გზით, სადაც სასწორის ერთ პინაზე სამეფოს მიზნებია, მეორეზე კი ადამიანური ღირსება, უპირისპირდებიან ინსტიტუციონალიზებულ წესრიგს, რომელიც აქ ჩამოყალიბდა თავისი ბევრი ნაკლოვანებით, მანკიერებითა და არასრულყოფილებით. ბევრი კრიტიკოსი, ვინც, ალბათ, მარჩიელობდა, რომელი სახელმწიფო ჩინოვნიკი იყო ამ რომანში აღწერილი მეფის პროტოტიპი, საერთოდ არ დაფიქრებულა იმაზე, რომ მეფე გიორგისა და არსაკიძის თეზა-ანტითეზური ფიგურები ძალიან ჰგვანან იერუსალიმის ტაძრის მშენებლობის მოგვიანო ბიბლიური აპოკრიფული ლეგენდის სახეებს: სადაც ტაძრის მშენებელი ჰირამია, დამკვეთი – მეფე სოლომონი.

მეფე უპირისპირდება საერთაშორისო თამაშის წესებს, რომელთაც ჰეგემონი ქვეყანა, ბიზანტია, ადგენდა მთელ მახლობელ აღმოსავლეთში. ამიტომაც „დიდოსტატში“ არანაკლებ საინტერესოა ისტორიულ-პოლიტიკური კონცეპტი. რომანში გადმოცემული პარადიგმა გვიჩვენებს ორ ქვეყანას: ერთი შედარებით პატარაა, მებრძოლი თავისი პოლიტიკური და კულტურული თვითმყოფადობისთვის აგრესიულ მეზობლებთან; მეორე დიდია, სამხედრო თვალსაზრისით საკმაოდ ძლიერი იმპერიაა, რომელსაც თავისებურად სურს რომის იმპერიის ტრადიციის გაგრძელება; მომადლიერებული ჰყავს მეზობელი ერთმორწმუნე, ტერიტორიით პატარა ქვეყნის სამღვდელოებისა და პოლიტიკური ელიტის სოლიდური ნაწილი, თან ამავე მეზობელი ქვეყნის ტერიტორიებს იტაცებს და მისი სახელმწიფოებრიობის გაუქმებაზეც უჭირავს თვალი.

პოლიტიკური კურსი, რომელიც გულისხმობდა წინააღმდეგობის გაწევას ბიზანტიური ექსპანსიისთვის, გიორგი პირველიდან და მისი სპასალარიდან, ზვიადიდან, იღებს სათავეს. აქვე არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბიზანტიელი კეისრებისთვის საქართველოს მმართველი არ იყო ცნობილი „მეფედ“, არამედ მხოლოდ დიდ თავადად. ამაზე მეტყველებს ტიტულები: „ნოველისიმოსი“, „კუროპალატი“, „მაგისტროსი“. გიორგი პირველი ყოველგვარი ასეთი ტიტულის გარეშეა დარჩენილი ისტორიაში, რაც მის დამოუკიდებლობაზე მეტყველებს. გიორგი პირველის დროს ქართულ სამეფოს რამდენიმე ბრძოლის გადახდა მოუწია ბიზანტიასთან. ამის მიზეზები თავად საქართველოს სამეფოს გაძლიერება იყო – თორნიკე ერისთავის მიერ ბიზანტიის სამეფო კარის მეამბოხეებისგან გადარჩენის შემდეგ დავითმა საჩუქრად მიიღო ტერიტორიები, რომლებიც თითქმის მანასკერტამდე იყო გადაჭიმული („ბასიანს გადაღმა ქვეყ-

ნები“). ბასილი კეისარმა ჩათვალა, რომ ეს საჩუქარი მეტისმეტი მოუვიდათ და ისინი უკან დაიბრუნა. კონცეპტუალური თვალსაზრისით, საქრისტიანოს ერთი კეისარი უნდა ჰყოლოდა, ხოლო ყველა დიდი თავადი მას უნდა დამორჩილებოდა – ასეთი იყო ბიზანტიის, როგორც „ახალი რომის“, მმართველობის პრინციპი. ამიტომაც ათქმევინებს მწერალი გიორგი პირველს ბიზანტიელ კატეპანთან შეხვედრისას, რომ ბიზანტიელებმა ენა ძველ ბერძნებს მოჰპარეს, რჯული – ებრაელებს, ბულგარელებს – ცეტინიუმი, სომხებს – ანისი, ბასიანის გადაღმა ქვეყნები კი – ქართველებს, მაგრამ სინდისი, როგორც მათთვის სრულიად უცხო და უსარგებლო საგანი, არ დასჭირვებიათ და ამდენად არც მის მოპარვას ეცდებოდნენ.

ზემოთქმულს თუ გავითვალისწინებთ, გასაკვირი არ იქნება სოსო სიგუას ეს დასკვნა: „მათ (ანუ საბჭოთა კომუნისტებს, კ. გ.) ივანე ჯავახიშვილის, სიმონ ჯანაშიას, მიხეილ ჯავახიშვილისა და კონსტანტინე გამსახურდიას მსგავსი ადამიანები აინტერესებდათ. ამიტომ იყო კონსტანტინე მუდმივი თვალთვალის, დევნის, შესწავლისა და კრიტიკის ობიექტი, რათა მისი დიდი ნიჭი და განათლება სასურველი კუთხით წარემართათ. მისი წიგნები მხოლოდ ცეკას ნებართვით იბეჭდებოდა. ხელოვანის თავზე დამოკლეს მახვილი ეკიდა და ყოველ წუთს სიკვდილს ელოდა.“

1943 წლის 10 დეკემბერს მწერალი თავის უფროს ქალიშვილს, ნათელას, სწერდა ჭიათურაში: „ეს მეორე თვეა „დიდოსტატის მარჯვენის“ ქართული და რუსული გამოცემა მზადდება, 600-ზე მეტი გვერდის კორექტურა გავასწორე, თვალის სინათლე დავკარგო ლამისაა, მშველელი არავინ მყავს. ცალკე უნივერსიტეტის ლექციები მაწუხებდა, ახლა ამოდენა ოჯახისათვის ზრუნვა. პირდაპირ გაწყვეტილი ვარ წელში. ჩემოდენა პროდუქციის ავტორებს სამი მდივანი ჰყავს თვითეულს. ყოველ წვრილმანისათვის მე უნდა ვიტეხო თავი. კორექტურა, წიგნის გაფორმება და სხვა მისთანანი. ფეხი მტკივა, დაქანცული ვარ და შესვენების უფლებაც არა მაქვს. ისე დაქანცული ვარ, დილას თამრიკო და ზვიადი დამახტებიან თავზე და ძლივს მაღვიძებენ...“.[34]

1944 წლის 22 თებერვალს კონსტანტინე გამსახურდია, გალაკტიონ ტაბიძესა და გიორგი ლეონიძესთან ერთად, აკადემიის ნამდვილ წევრად აირჩიეს. ამავე წელს „პრავდის“ რედაქტორის, პიოტრ პოსპელოვის, ხელშეწყობით რუსულად გამოვიდა „დიდოსტატი“, თუმცა თარგმანი უხარისხოა, ასევე, გარკვეული ადგილები თვითნებურად იყო შეცვლილი ცენზორების მიერ, მაგრამ ისე რადიკალურად არა, როგორც ეს მოხდა „მთვარის მოტაცების“ ტექსტთან მიმართებით – საიდანაც ამოღებულია მთელი პასაჟები, ტერმინები, ეროვნებისა თუ კულტურის დეფინიციები.

იმავე 1944 წლის მე-10 ნომრიდან ჟურნალი „Новый Мир“ იწყებს ახალი რომანის, „დავით აღმაშენებელის“, ბეჭდვას, რომელიც თავიდან ტრილოგიად იყო ჩაფიქრებული. ეს დიდი რეკლამა და აღიარება იყო, მაგრამ რედაქციას ანონიმური წერილები გაუგზავნეს საქართველოდან. მასში მწერალი მოხსენი-

ებული იყო „ნაციონალისტად“, რომელიც ელჩიც იყო კაიზერულ გერმანიაში. ძნელი სათქმელია, ამის გამო თუ მოხდა მისი ბლოკირება სტალინურ პრემიაზე, თუმცა ფაქტია: ამის წინააღმდეგი იყო თავად სტალინი. მოსკოვში ყოფნისას კონსტანტინე გაეცნო ალექსანდრ ფადეევსა და ალექსეი ტოლსტოის. ალექსეი ტოლსტოი იყო ავტორი ისტორიული რომანისა პეტრე პირველზე. ალ. ტოლსტოიმ თავის აგარაკზეც მიიწვია ქართველი მწერალი და მათ შორის საუბარიც შედგა ლიტერატურის დანიშნულებაზე ახალ ეპოქაში, ასევე, მწერლობის შესაძლებლობებზე, რომელთაც კონსტანტინე თავის ერთ-ერთ ესსეში იხსენებდა.[36]

სტალინური პრემიის არმიღების ფაქტმა გააააქტიურა ოპონენტები საქართველოში: მწერალი მწვავედ გააკრიტიკეს გიორგი ჯიბლაძემ, გერონტი ქიქოძემ, შალვა რადიანმა და გიორგი ნატროშვილმა. მაგრამ არსებითი, რაც ამას მოჰყვა, იყო ის, რომ სსრკ-ის მწერალთა კავშირმა მწერალს პასუხი გასცა ვიქტორ შკლოვსკის (1893-1984) პირით. შკლოვსკი იყო მონანიების გზაზე დამდგარი და საბჭოთა ხელისუფლებასთან 1920 წლიდან შერიგებული ყოფილი თეთრგვარდიელი, ლიტერატურათმცოდნეობის „ფორმალური სკოლის“ ფუძემდებელი. ეს მწერალი და კრიტიკოსი ძალიან არ უყვარდა მ. ა. ბულგაკოვს, გამოიყვანა რა თავის რომანში „თეთრი გვარდია“ შპოლიანსკის სახით, რომელიც კიევში საავტომობილო როტას ხელმძღვანელობდა და სიმონ პეტლიურას ჯარების მოსვლამდე საბოტაჟით იყო დაკავებული (რაც შკლოვსკის შემთხვევაში ასეც მომხდარა). კონსტანტინეს ამ წერილში წაუყენეს „ნაციონალიზმის“ ბრალდება – თითქოს მან არ იცოდა ისტორია, ვერ შენიშნა რუსები, ხაზი არ გაუსვა რუსებისა და ქართველების ძმობას ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში. ასე არასათანადოდ ასახა ხალხი და შრომის პროცესები.[37]

რა შეიძლებოდა ყოფილიყო იმის მიზეზი, რომ პირადად სტალინის მოთხოვნით კონსტანტინე გამსახურდიას არც სტალინურ პრემიას აძლევდნენ და მწვავედაც აკრიტიკებდნენ? არადა, გადმოცემის მიხედვით, სტალინმა „დიდოსტატი“ დადებითად შეაფასა (რომელიც მას სიმონ ჯანაშიამ ჩაუტანა კრემლში), თუმცა „დავით აღმაშენებლის“ პირველი ორი წიგნი მას აშკარად არ მოეწონა.

თავისთავად ცხადია, რომ დავითის რეაქტუალიზაცია ისედაც არ იყო კარგი ტონი: უმჯობესი იქნებოდა გიორგი სააკაძის ფიგურაზე წერა. მასზე სტალინის დაკვეთით მიხეილ ჭიაურელმა გადაიღო ორსერიიანი ფილმი, სადაც გიორგი ზნედაცემული ფეოდალების წინააღმდეგ მებრძოლ, სამშობლოსა და ხალხისათვის თავდადებულ იდეალურ სახედაა წარმოჩენილი. ანა ანტონოვსკაიამ ასევე დაწერა 6-ტომეული დიდ მოურავზე. თუკი დავითზე დაწერდა მწერალი, მაშინ შესაბამისადაც უნდა დაეწერა – და რა იქნებოდა ეს „შესაბამისი“? კონსტანტინეს დავითი არ არის არც დესპოტი, არც ტირანი. მწერალს არცერთ წამს არ დავიწყებია, რომ მას უწევდა ნაციონალური ისტორიის ცენტრალური გმირისა და წმინდანის ლიტერატურული სახის შექმნა. ეს იყო ეპო-

ქის ერთ-ერთი ყველაზე განათლებული ადამიანი, რომელიც მაღლა იდგა ეთნიკურ, კულტურულ, რელიგიურ კონტროვერსებზე და გადაწყვეტილებებსაც შესაბამისად იღებდა. მეფე, რომელზეც მისი ისტორიკოსი წერდა: მას რომ წიგნები არ ეკითხა, მას რომ გარდასულ დროთა ამბები არ ეკვლია, მას რომ წარმატებულ და წარუმატებელ მმართველთა მაგალითები მხედველობაში არ მიეღო, ამ ზომამდე დამდაბლებულ სამეფო კვერთხს აქამდე ვერ აამაღლებდაო. დავით აღმაშენებელი ადამიანთა დიდი მანუგეშებელია, მათი ვინაობის აღმდგენელია, წინამძღოლია, ვინც ქრისტიანობა და მისთვის ბრძოლა სოციალურ პრაქტიკად აქცია, ყოველდღიურობაში გადმოიტანა, სწორედ ამას ნიშნავს ძველ ქართულში „აღშენება“ და არა პირდაპირი გაგებით „მშენებლობას“; ვინც თავის ქმედებით ეს სოფელი „წარსტაცა ეშმაკსა და შეასაკუთრა ღმერთსა“. როგორი შესაბედია? ამიტომაც მოცემული ჩარჩო მინიმალისტურია, უკიდურესად შეზღუდული, თუმცა მწერალმა ამასაც გაართვა თავი ისე, რომ კანონიკურ ჩარჩოს არ გასცდენია. როგორც ძველევროპულ კურტუაზიულ რომანსა და „ვეფხისტყაოსანში“ მისი Dame, ანუ „მიჯნური,“ იმავე ძველფრანგული „პერსევალის“ პოემის ბლანშეფლორის (რაც „თეთრ ყვავილს“ ნიშნავს) მსგავსად არის დედისიმედი, ლიპარიტ ბაღუაშის ასული.

რომანში აღწერილი ნაჭარმაგევისა და გეგუთის სასახლეთა გარემო საოცარი ესთეტიურობით სუნთქავს, ბედნიერება თითქოს ხელის გაწვდენაზე მოდის, ეს-ესაა უნდა მისწვდეს კიდეც ჭაბუკი მეფე, მაგრამ რაღაც ავისმომასწავებელი, საბედისწერო მოვლენები თითქოს შორს და შორს გადასწევენ მას. მარიამი, ბიზანტიის ორგზის დედოფალი და დავითის მამიდა („ავგუსტა“), ნაჭარმაგევს და გეგუთს ხშირად რომ სტუმრობს, მფარველი ანგელოზია ამ ურთიერთობისა. მას გულით უნდა, რომ ახალგაზრდები შეუღლდნენ. თუმცა ობიექტური ვითარება უკიდურესად რთული და გამოუვალი ჩანს. დედისიმედის ტრაგედიაც ისაა, რომ მან უნდა შეარიგოს დავითთან ბაღუაშთა სახლი, რომელიც მანამდე არაერთგზის განდგომია საქართველოს სამეფო კარს. თუმცა ის თავიდანვე განწირულია. ეს არ მოხდება ლიპარიტისა და რატის ხისტი მიდგომების გამო, რადგან ისინი მზად არ არიან დათმონ თავიანთი პოზიციები. ისინი მეფეს არ ენდობიან, სელჯუკიანთა კვლავ მომძლავრებული სასულტნოს ექსპანსიაც კიდევ ერთი ფაქტორი ხდება: მის მოგერიებას ყივჩაღთა ჯარის მოშველიება დასჭირდება, ჯარს კი ყივჩაღთა მთავრის ასული უნდა მოჰყვეს, ასეთია პირობა.

მწერალი, ამავე დროს, დამკვიდრებული ისტორიოგრაფიული თვალსაზრისის ერთგვარ რევიზიას აკეთებს და არცთუ უსაფუძვლოდ: მას სურს, გვითხრას, რომ ბაღუაშები, თავიდან ერისთავები არგვეთისა, მხოლოდ კლდეკარის საერისთავოს კი არა, რეალურად პატრონობდნენ და ამაგრებდნენ სამხრეთ საქართველოს, რაც ფარს წარმოქმნიდა დანარჩენი ქვეყნისათვის. ისინი დიდი ძალა იყვნენ. მიუხედავად იმისა, რომ მოღალატე და კოლაბორაციონისტი, წესით, უნდა აილაგმოს, ამ ამბებში მაინც რაღაც ფატალურად ცუდი და

მძიმე მუხტი იმალება. მკითხველი გრძნობს, როგორ არ უნდა მწერალს, რომ დედისიმედის კეთილისმყოფელი, ქველი მისია ჩაიშალოს და ამიტომაც არ უნდა ბაღუაშებისგან მტრის ხატის შექმნა. რატის რუსთავის ბრძოლაში დაცემის, ლიპარიტ ამირას დატყვევების შემდეგ დედისიმედი გაუჩინარდება, მას სხვა გზა აღარც დარჩენია – ის უკვალოდ გაქრება, როგორც ოფელიასებური მსხვერპლი, ოღონდ წყალს პირდაპირი გაგებით არ ნაუღია. წიგნის ბოლოს იგი წარსულიდან გამოჩნდება მეფესთან – როგორც მზიანეთელი იღუმენია, რომელიც თითქოს ქრისტეს სისხლსა და ხორცთან აზიარებს მომაკვდავ მეფეს, ვიდრე ის უკვდავებაში გადააბიჯებდეს. კიდევ ერთი პარალელი შეიძლებოდა გაგვეველო ევროპულ კლასიკასთან – ესაა გოეთესეული „ფაუსტის“ მისტიური გუნდი (Chorus mysticus), სადაც გრეტხენი, გარდასული დროის სიყვარული, გამოჩნდება წმინდანთა და ანგელოსთა დასთან ერთად ფაუსტის სულის წასაყვანად. ოდესღაც გაუჩინარებული და მეფესთან სიცოცხლის ბოლო წუთებში მოსული კლდეკარის ერისთავის ასულიც თითქოს იმავე ფუნქციას ითავსებს.

რაც მთავარია, კონსტანტინე გამსახურდიამ თავის რომანში დავით აღმაშენებლისა და მის მიერ დაფუძნებული აბაზგურ-იბეროცენტრული, სამხრეთ-კავკასიური გაერთიანებული სამეფოს ისტორიული ნარატივი, ფაქტობრივად, ალექსანდრე ნეველის ერთიანი იმპერიულ-რუსული სივრცის სტალინისეულ მითს დაუპირისპირა. კავკასიონიდან ჩრდილოეთით გადაშლილ ევრაზიულ სივრცეს „ბნელეთის კიდე“ უწოდა ამ რომანის ერთ-ერთ თავში, კიევის რუსეთთან დავითის სამეფო კარის ურთიერთობისთვის, რაც ისტორიულად არც შემდგარა, ფანტაზიის მოშველიებითაც არ მიუძღვნია რაიმე სიუჟეტი (რასაც სსრკ-ში არაერთი მწერალი მიმართავდა...). ამ ყოველივეს გარდა, არ შეიძლება დავითის ამ ზომამდე ლმობიერი, ემპათიით აღსავსე, პიროვნული ტრაგიზმით მოცული და რაინდული ეთიკით გამორჩეული, იმავდროულად, ქვეყნისთვის მოუღლელი ბრძოლით დამაშვრალი სახე მისაღები ყოფილიყო სტალინისთვის, თანაც, ჩრდილოეთის ნაცელად, ჯვაროსანთა ევროპაზე, ანუ საქრისტიანოზე ორიენტირებული. დავითი მკაცრ, შეუვალ, ფოლადის ნების მქონე, სამშობლოსა და ხალხის მტრების (ანუ ფეოდალების, ერისთავების და დიდაზნაურთა) უკომპრომისოდ დამსჯელ მმართველად უნდა წარმოჩენილიყო, ანუ, როგორც თვით ხედავდა საკუთარ თავს კრემლის მბრძანებელი. და უკვე მე-11 საუკუნის მიწურულს უნდა ეფიქრა (ჯერ მხოლოდ კიევის რუსეთის სახით არსებულ) ჩრდილოელ მეზობელთან მეგობრობაზე. კრემლი პრემიასაც ამიტომ არ გასცემდა, ამავე მიზეზთა გამო მოდავებას ჰგავდა ვიქტორ შკლოვსკისეული ბრალდება – „და სად არიან ნაწარმოებში რუსები?“.

ასევე შეუძლებელია, ის, რაც ამ რომანში მოსწონდა კონსტანტინეს სხვა წიგნებისადმი კრიტიკულად განწყობილ რობაქიძეს, მოსწონებოდა სტალინსაც. სრულიად მცდარია მავანთა მოსაზრება, თითქოს მწერალმა ეს წიგნი სტალინს მიუძღვნა. სინამდვილეში ეს წიგნი, რომელიც ვერანაირად ვერ მო-

თავსდება სოციალისტური რეალიზმის ჩარჩოში, მწერალმა თავის მეუღლეს მიუძღვნა. სტალინით აღფრთოვანების ეპოქაში აქ სულ სხვა მმართველის ტიპია შემოყვანილი. ის, რაც დანამდვილებით არ მოეწონებოდა საბჭოთა კრიტიკას, ეს არის ამ ტეტრალოგიაში ჯვაროსნულ ლაშქრობებზე ფოკუსირებული არაერთი თავი. მათში ნაჩვენებია დავითის საქართველოს მიმართება ჯვაროსნებთან, როგორც მოკავშირეებთან აგრესიულ-ისლამური მონსტრის წინააღმდეგ. თხრობა თითქოს ისტორიულ სტილში გადადის ცალკეულ ადგილებში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც საკმაოდ ცოცხლად და დიდი სიმპათიით არიან დახატულნი გოდფრუა ბულონელი, ბოჰემუნდი თუ ტანკრედი. აქ, ალბათ, უპრიანია მე-19 საუკუნის იტალიელი ფილოსოფოსისა და კულტუროლოგის, იულიუს ევოლას შეფასების გახსენება, რომელიც შეესაბამება ამ ისტორიული რომანის განწყობასა და ქარგას: „ჯვაროსნული ლაშქრობების კრიტიკოსებს შეგნებულად ან უნებლიეთ ავიწყდებათ ისტორიის ის ფურცლები, სადაც ახსნილია, თუ რამ განაპირობა ლაშქრობის წამოწყება – ისლამის მიმდევრების მიერ ქრისტიანებზე მიყენებული ათასი პასუხგაუცემელი შეურაცხყოფა. მიუხედავად დაშვებული შეცდომებისა, სწორედ ამ „ფანატიკოსების“ ლაშქრობამ განაპირობა ის, რომ ისლამი არ გაფართოვდა საგრძნობლად აღმოსავლეთ ევროპაში. ამ ლაშქრობებმა უდიდესი ისტორიული კვალი დატოვა და საგრძნობლად შეასუსტა არაჩვეულებრივი სისწრაფით „პროგრესირებადი“ ისლამი. სინამდვილეში, ჯვაროსნული ომების ეპოქის ადამიანს შეეძლო აჯანყებულიყო, ებრძოლა და მომკვდარიყო იმისთვის, რაც, თავისი არსით, იყო პოლიტიკურსა და ადამიანურზე მაღლადმდგომი, მიეძღვნა თავისი ცხოვრება არა კერძო, არამედ უნივერსალური სამყაროსთვის. ეს რჩება უდიდეს ფასეულობად, ჩვენი განხილვების შეუვალ წერტილად“ (შდრ. ი. ევოლა, „ომის მეტაფიზიკა“).

სტალინისა და ბერიას ეპოქის საქართველოს სსრ-ში ქართველი მწერალი დავითის შესახებ დაწერილ წიგნში, ფაქტობრივად, ევროპულ არჩევანზე ესაუბრებოდა მკითხველს. დავითის საქართველო ამ წიგნის მიხედვით „საქრისტიანოს, ანუ ევროპის“ მოკავშირეა. 1946 წლის 12 თებერვალს კონსტანტინე საბჭოეთის დედაქალაქში ჩავიდა საკავშირო მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობასთან შესახვედრად და თავისი პოზიციების გასაცნობად შკლოვსკის კრიტიკულ წერილზე. მათ პასუხზე ვიზა მისცეს. ეს პასუხი შკლოვსკისადმი დაიბეჭდა როგორ ცენტრალურ („Новый Мир“), ისე რესპუბლიკურ პრესაში („Заря Востока“ და „მნათობი“). კონსტანტინე გამსახურდიას პასუხებს სამარისებური სიჩუმით შეხვდა რუსული მწერლობა. მათ, ფაქტია, გაიზიარეს შკლოვსკის პოზიცია, რომლის კრიტიკამაც სასურველ მიზანს მიაღწია – კონსტანტინეს რომანი რუსებმა არ მიიღეს და საქართველოს ფარგლებში დატოვეს იგი. რა რჯიდა რენომირებულ საბჭოთა აღმოსავლეთმცოდნესა და ირანისტს, ბ. ზახოდერს, როდესაც დადებით რეცენზიას წერდა „დავით აღმაშე-

ნებლის“ შესახებ? არც არაფერი, გარდა იმისა, რომ საკუთარი შეხედულების შესაბამისად წერდა და არა – კონიუნქტურიდან გამომდინარე.

ერთ-ერთი სიმპტომი იმისა, რომ მწერალს ამ ეტაპზე რეპრესიები არ ელოდა, იყო 1946 წლის თებერვალში, გასაბჭოების 25 წლისთავზე, ხელოვნების მუშაკთა დიდ ჯგუფთან ერთად მოსკოვში ყოფნისას შრომის წითელი დროშის ორდენით მისი დაჯილდოება. მაგრამ ძალიან მალე სრულიად ახალი საფრთხე გამოიკვეთა: ეს იყო ჟდანოვის გააქტიურება, რაც კრემლის კულისებში მიმდინარე პროცესების სიმპტომი იყო. ანდრეი ჟდანოვი (1896-1948) იყო საბჭოთა რევოლუციონერი, მეფის დროს – თეოლოგი, ძველი აღთქმისა და იოანეს აპოკალიფსის კომენტარებით ცნობილი და შემდეგ მარქსიზმის პლატფორმაზე გადასული. მისი ბიოგრაფია რაღაცნაირად იმეორებდა სტალინის ბიოგრაფიას. მას შთამბეჭდავი პარტიული კარიერა ჰქონდა გავლილი, იყო უმაღლესი საბჭოს ორგზის მოწვევის დეპუტატი, 1939 წლიდან – პოლიტბიუროს წევრი, მიღებული ჰქონდა გენერალ-პოლკოვნიკის საარმიო წოდება. ჟდანოვი სტალინის გუნდის წევრი იყო, პარტიის ორთოდოქსული მეინსტრიმის ერთ-ერთი ყველაზე მკაფიოდ პროფილირებული წარმომადგენელი, და მისი ძირითადი ფუნქცია იყო იდეოლოგიური ხაზის გატარება კულტურის ყველა სფეროში. მისი ვაჟი, იური ჟდანოვი, 1949 წლიდან იყო სტალინის ქალიშვილის, სვეტლანას, მეორე მეუღლე. 1946 წლის 15 და 16 აგვისტოს ჟდანოვი, ჯერ – პარტაქტივის წინაშე სმოლნში, შემდეგ კი მწერლებისა და გამომცემლობის მუშაკთა შეკრებაზე გამოვიდა მოხსენებით, რომელშიც მკაცრად გააკრიტიკა ანა ახმატოვას ლირიკული ლექსები და მიხეილ ზოშჩენკოს სატირული მოთხრობების კრებული – „მაიმუნის თავგადასავალი“. მან ზოშჩენკო დაახასიათა, როგორც „ლიტერატურის ნაძირალა“, ხოლო ახმატოვას პოეზია – როგორც ხალხისაგან უსაზღვროდ დაშორებული. ჩამოთვლილ იქნენ „რეაქციული სიბნელისა და რენეგატობის წარმომადგენლები პოლიტიკასა და ლიტერატურაში“ – რუსული „ვერცხლის აღორძინების“ თვალსაჩინო წარმომადგენლები: დიმიტრი მერეჟკოვსკი, ვიაჩესლავ ივანოვი, მიხეილ კუზმინი, ანდრეი ბელი, ზინაიდა გიპიუსი, ფიოდორ სოლოგუბი. ჟდანოვის ეს მოხსენება საფუძვლად დაედო პარტიულ გადაწყვეტილებას ჟურნალების, „ზვეზდას“ და „ლენინგრადის“, შესახებ. ჟდანოვის ამ გამოსვლას, მართალია, პირდაპირ დაჭერები არ მოჰყოლია, თუმცა იგი ავალდებულებდა ასევე ყველა რესპუბლიკას, გამოეევლინათ თავიანთი ზოშჩენკოები და ახმატოვები. ეს უფრო ნიადაგის მოსინჯვა იყო, რასაც მომდევნო ეტაპზე აუცილებლად მოჰყვებოდა რეპრესიები.

პირველი, რასაც საქართველოში ამ ახალი კონიუნქტურიდან გამომდინარე შეუტიეს, იყო კონსტანტინე გამსახურდიას ნოველები, რომლებშიც ამ თვალთახედვით ოპერირებადი კრიტიკოსი, ცხადია, საკმაო მასალას აღმოაჩენდა. გამომცემლობის დირექტორი რაჟდენ გვეტაძე და წიგნის რედაქტორი დიმიტრი ბენაშვილი კინაღამ პარტიიდან გარიცხეს.[38] უცნაური იყო ისიც, რომ მოსკოვიდან ალექსანდრ ფადეევმა (1901-1956), სტალინური პრემიის ლაურე-

ატმა და საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ და გენერალურმა მდივანმა 1946-1954 წლებში, გააკრიტიკა კონსტანტინეს ის ნოველები, რომლებიც რუსულად არც ყოფილა თარგმნილი. როგორც ჩანს, ამ ნოველების მოკლე შინაარსი მოუტანეს და გააცნეს რუსულად. ავტორი რომანისა „ახალგაზრდა გვარდია“, ფადეევი, რომელიც იყო მიხეილ შოლოხოვის ახლო მეგობარი, სტალინს მოიხსენებდა, როგორც „მსოფლიოს ყველა დროის უდიდეს ჰუმანისტს“. იგი აქტიურად უჭერდა მხარს ჟდანოვშჩინას. კრიტიკულად შეეხო კონსტანტინეს რუსი პოეტი ნიკოლაი ტიხონოვიც, იმ განწყობიდან გამომდინარე, რომლის ტირაჟირებაც ჟდანოვის მოხსენებით ხდებოდა. კონსტანტინე გამსახურდიამ თავშეკავებული პასუხი გასცა ამ ახალ კრიტიკას და როგორღაც თავი გაიმართლა. მაგრამ ახალი იერიშები ოფიციოზის მხრიდან 1947 წლის 5-7 სექტემბერს განახლდა. „ჟდანოვშჩინის“ ტალღა ამჯერად აიტაცეს სიმონ ჩიქოვანმა და ბესარიონ ჟღენტმა. ს. ჩიქოვანის თქმით, ფაშიზმი დამარცხდა, მაგრამ მისი ნამსხვრევები მწერლობაში მიმოიფანტა და დროულად უნდა გამოვააშკარავოთო. როგორც პარტია მიგვითითებს, დასავლეთისადმი მონურ მორჩილებას ბოლო უნდა მოეღოსო, რის მაგალითადაც კონსტანტინე დაასახელა.

ცენტრში მიმდინარე ბრძოლებიდან ერთი რამ ასევე იყო საყურადღებო: მანამდე, სანამ ჟდანოვი ლიტერატურულ საკითხებს შეეხებოდა, ბერიას გუნდის წევრი გიორგი მალენკოვი, როგორც საავიაციო მრეწველობის უფროსი, დაადანაშაულეს მავნებლობებზე თვალების დახუჭვაში (ე. წ. ავიაციის საქმე). იგი სტალინის მოხსენების შემდეგ გაიყვანეს ცენტრალური კომიტეტის სამდივნოდან. მალენკოვმა თავისი პოზიციები დაიბრუნა 1948 წელს, როდესაც მოხდა სსრკ-ის განხეთქილება იუგოსლავიასთან და ბერლინის ბლოკადის მცდელობა ჩავარდა. ჟდანოვი იმავე აგვისტოში გულის პრობლემების გამო გადაიყვანეს ვალდაის სამკურნალო დაწესებულებაში, სადაც იგი 31 აგვისტოს ინფარქტით გარდაიცვალა. აქ საყურადღებო ერთი დეტალია – მისი ერთ-ერთი მკურნალი ექიმის ქალის, ლ. ტიმაშუკის, წერილი, რომელიც მან ცენტრალურ კომიტეტს გაუგზავნა და რომელიც ექიმთა კონსილიუმის დასკვნას ეწინააღმდეგება, ამოტივტივდება მავნებელ „ექიმთა საქმეში“, რომელიც 1952 წელს სტალინის დავალებით აღიძრა. მაშინ ეს ქალბატონი, სტალინის სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, 1953 წლის 20 იანვარს ლენინის ორდენით დააჯილდოვეს, ხოლო მისი სიკვდილის შემდეგ, 3 აპრილს, კვლავ გააუქმეს ეს დაჯილდოება. ამრიგად, მალენკოვის პოზიციების განმტკიცება ისევე ბერიას პოზიციების განმტკიცება იყო. ბ. ჟღენტმა კი კონსტანტინეს ნოველების ფადეევისეულ კრიტიკას სამართლიანი უწოდა. პასუხად კონსტანტინე მძაფრად გამოვიდა. მოსკოვის მწერალთა კავშირი და მოსკოვის გამომცემლობა გააკრიტიკა, იქ ყურადღება არ ექცევა ეროვნულ ლიტერატურას, აქედან აწვდიან ცნობებს და იმას იმეორებენ, იქ კი ვიღაც კანცელარიის ვირთხა ზისო. ალბათ, გულისხმობდა ფადეევის მიერ მისი რუსულად უთარგმნელი ნოველების მოკლე შინა-

არსსა თუ „ანოტაციაზე“ დაყრდნობილ კრიტიკას. ეს კაცი ადრე სხვაგვარად მელაპარაკებოდა, მისი ეს ქედმაღლური ტონი მიუღებელიაო. სიმონ ჩიქოვანის მოხსენება გააცამტვერა. ქართული თეატრი და კინო ერთი მესამედითაც არაა ქართულიო. თეატრი ეროვნულ დრამატურგიას არ ემყარებაო. გააკრიტიკა ასევე ლიტფონდის მუშაობა. საინტერესო ის იყო, რომ ყველა გაკრიტიკებულმა პირმა თუ ორგანიზაციამ ზემდგომ ინსტანციაში იჩივლა, რადგან მისი კრიტიკა უსამართლოდ მიიჩნია.

1948 წლის გაზაფხულზე უკვე ცხადი იყო, რომ ჟდანოვშჩინა ძალას კარგავდა. შეიძლება ითქვას, რომ იგი, როგორც რეპრესიების ახალი ტალღის დაწყების ინსტრუმენტი, აღარ ფუნქციონირებდა. ჟდანოვშჩინის „კუდის მოქნევა“ იყო 1948 წლის მარტი-აპრილის კამპანია მწერლის წინააღმდეგ, სადაც საქართველოს ცენტრალური კომიტეტის ინსტრუმენტებად მოგვევლინნენ ისევ სიმონ ჩიქოვანი, სანდრო შანშიაშვილი და გიორგი ჯიბლაძე.[39] საქმე ისაა, რომ მწერლისა და პოლიტპატიმრის, ლევან გოთუას, ასევე, ისტორიკოსისა და თსუ-ის პროფესორის, გიორგი გოზალიშვილის, ჩვენებების მიხედვით, მეორე მსოფლიო ომში გერმანიის გამარჯვების შემთხვევაში, თუკი საქართველოს დამოუკიდებლობა აღდგებოდა, კონსტანტინე გამსახურდია საგარეო საქმეთა მინისტრად მოიაზრებოდა. რა თქმა უნდა, ამას მოჰყვა ჰიპოთეზა და ვარაუდი უშიშროების ორგანოებში, რომ საქართველოში, მაღალი ალბათობით, არსებობდა კიდევ ერთი, აქამდე უცნობი ფაშისტური იატაკქვეშა ორგანიზაცია. ამ ახალი ინფორმაციის გამო საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეულის ერთ-ერთი წევრი, სტალინური რეპრესიების აქტიური ორგანიზატორი, გენერალ-ლეიტენანტი ავქსენტი რაფავა და საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი კანდიდ ჩარკვიანი შეხვდნენ გაგრაში სტალინს, ითხოვეს კონსტანტინეს დაპატიმრების სანქცია. მათ ეს სანქცია ვერ მიიღეს, თუმცა არავინ იცოდა, ხვალ რა მოხდებოდა. აქ საინტერესო საკითხი ის არის, რომ კანდიდ ჩარკვიანს, დიდი ალბათობით, არ შეეძლო უარი ეთქვა რაფავას შემოთავაზებისთვის, ნაჰყოლოდა მას სტალინთან. გენერალი პეტრე შარია, რომელიც ჯერ „მეგრელთა საქმეზე“ დააკავეს, ხოლო მეორეჯერ უკვე – ბერიას მკვლელობის შემდეგ, 1954 წლის 13 და 30 ივლისის დაკითხვებზე ამბობდა, რომ კანდიდ ჩარკვიანი კონსტანტინეს შეძლებისდაგვარად ეხმარებოდაო. ზვიად გამსახურდიასთან ამავე კონტექსტში არ არის ნახსენები კანდიდ ჩარკვიანი, რომელსაც იგი „ცენტრის ნების უპირობო შემსრულებელს“ უწოდებს, არამედ გენერალ-მაიორი ალექსანდრე კოჭლავაშვილი, საქართველოს სსრ-ის უშიშროების მინისტრი 1952-1953 წლებში, რომელიც სტალინს აკაკი მგელაძესთან ერთად შეხვდა.[40]

ძალიან მალე სტალინმა მაინც გამოაჩინა ბრჭყალები, თუმცა, ნაწილობრივ: 1948 წლის ზაფხულში, გაგრაში, პარტორგანიზაციის კრებაზე, მან განაცხადა, დროა, რომ ეს გამსახურდია ავლაგმოთო. მაგრამ იქვე ბერია გააფრთხილა, თქვენ რომ იცით, ისე არაო. ეს ნიშნავდა კრიტიკის გაძლიერებასა

და საგამომცემლო ნაწილში რესტრიქციებს, რასაც, ცხადია, ჰონორარების გარეშე დარჩენა მოჰყვებოდა. ამ გამოსვლას ის მოჰყვა, რომ გამომცემლობა „Советский Писатель"-მა საჩივარი შეიტანა, ავტორმა „დავით აღმაშენებლის" მეორე წიგნი დროზე ვერ ჩაგვაბარა, ფული კი 5 ათასი მანეთი 1944 წელს აიღო, ფული უნდა დაგვიბრუნოსო. ეს მოხდა სსრკ მწერალთა კავშირის პასუხისმგებელი მდივნის, პოლიკარპოვის, მოთხოვნით. მწერალს ავანსი უკან დააბრუნებინეს. უჩიოდა ფოკინიც, რომელიც თვლიდა, რომ მწერალს მისთვის თანხა უნდა გადაეხადა.[41] ამას მოჰყვა კრიტიკული წერილების სერია რუსულ პრესაში, შემდეგ – ტარასენკოვის კრიტიკული წერილი ჟურნალ „ზნამიაში", ვიქტორ გოლცევის წერილი „დრუჟბა ნაროდოვში", ანა ანტონოვსკაიას, ექვს წიგნად დაწერილი ისტორიული რომანის, „დიდი მოურავის" ავტორის, ასევე სერგეი პეტროვის წერილები, რომელმაც დაწერა წიგნი საბჭოთა ისტორიულ რომანსა და მის განვითარებაზე. ამ წერილებიდან ერთი რამ ცხადია: რუს ავტორებს შეეძლოთ ეწერათ იმ გმირებზე, რომლებმაც შექმნეს რუსული სახელმწიფო, მთავარ ვლადიმირიდან და ივანე მესამიდან სუვოროვამდე და კუტუზოვამდე. ქართველებს კი უფლება არ ჰქონდათ თავიანთი ისტორიის უმნიშვნელოვანეს მეფეებზე დაეხარჯათ მელანი, თვით ისეთებზე, რომლებსაც ქართველი ერის არა მარტო სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებას, არამედ გაქრობის საფრთხის ქვეშ მყოფი ვინაობის აღდგენასა და გადარჩენას უკავშირებდნენ. ყოველივე ამაში, იმპერიის იდეოლოგიიდან და მისი მსახურების ფსიქოლოგიიდან გამომდინარე, იყო გარკვეული რეზონი, მაგრამ ეს ყოველივე რისი სიმპტომი იყო? საქმე ისაა, რომ 1948 წელს კრემლში დაიწყო ერთგვარი „ენდშპილი", ჟდანოვის დამარცხებასა და მისი საქმის ჩავარდნასთან ერთად.

პროფესორი აბდურახმან ავტორხანოვი შეეხება ამ საკითხებს თავის კვლევაში „სტალინის სიკვდილის საიდუმლო", რომელიც პოსევის გამომცემლობამ გამოსცა 1986 წელს. ავტორი ასე ახასიათებს სტალინისეულ სისტემას: სტალინი იყო გარშემორტმული ადამიანებით, რომელთა ერთგულებაც არ იყო განპირობებული საზოგადოებრივი იდეალებით, არამედ მხოლოდ კარიერული მოსაზრებებით. ყოველი მათგანი სტალინისთვის იბრძოდა, რადგან სტალინი ეს თავად იყო ძალაუფლება. მაგრამ იმისთვის, რომ ისინი არ გაერთიანებულიყვნენ მის წინააღმდეგ ამ ძალაუფლებისთვის ბრძოლაში, სტალინი მათ შორის აღვივებდა სიძულვილს და თესავდა დაპირისპირებას. ამ ტაქტიკას კიდევ ერთი უპირატესობა ჰქონდა: თუკი სტალინი მოისურვებდა თავისი გუნდიდან ვიღაცის გასტუმრებას, იგი ამას აკეთებდა გარკვეული ჯგუფის მხრიდან დასმენების საფუძველზე, სხვების ენთუზიაზმისა და დანარჩენების მდუმარე თანხმობის ფონზე. ის, რაც აქ ისტორიულ მოცემულობაში არსებითია, ეს არის ორი ბოროტების ბრძოლა. ამათ შორის ერთი ნაკლები ბოროტება უნდა ყოფილიყო. იმას, რომ ვერ შედგა მეორე, „ეჟოვშჩინაზე" გაცილებით შემზარავი „დიდი წმენდა", რომ ასობით ათასი ადამიანი გადაურჩა ჩეკისტე-

ბის ტყვიებს, ხოლო – მილიონები საკონცენტრაციო ბანაკებს, ქვეყანა ამას ბერიას უნდა უმადლოდესო, – ასე მიიჩნევდა მკვლევარი. ეს ბერიას მიზანი არ ყოფილა, მაგრამ ეს იყო, ავტორხანოვის განსაზღვრებით, მისი უნებლიე დამსახურება.

მოვლენათა განვითარების კვინტესენცია ასეთია: როდესაც სტალინმა განიზრახა თავისი ძველი გვარდიის ანუ „მოლოტოველების“ ლიკვიდაცია და აპელირება მოახდინა „ახალგაზრდა გვარდიაზე“ (მალენკოველებზე), ბერიამ პირველმა ამოხსნა მისი სტრატეგიული გეგმა: პოლიტბიუროს ყველა წევრის განადგურება 20-იანი და 30-იანი წლების შაბლონის მიხედვით: „ძველი გვარდიისა“ – „ახალგაზრდა გვარდიის“ საშუალებით, ხოლო „ახალგაზრდა გვარდიის“ მოსპობა „დანინაურებულთა“ საშუალებით. მაგრამ სტალინმა რაღაც ვერ გათვალა: მას ამჯერად გარემოცვაში ჰყავდა არა 20-იანი წლების იდეური, მარტივი გონების მებრძოლები, არა 30-იანი წლების პოლიტიკური საჭურისები, არამედ მისი სულიერი ორეულები, მის მიერვე გამოზრდილები, მისი საკუთარი კრიმინალური აზროვნებისა და მოქმედების წესის შესაბამისად. მაგრამ სტალინის კრიმინალურ-მაკიაველური ხელოვნების დონეზე მხოლოდ ბერია იდგა, – მიიჩნევდა პროფესორი ავტორხანოვი. სსრკ-ის ხალხების ბედად, თითქოს განგებამ დაუბნელა გონება სტალინს იმ მომენტისათვის, როდესაც მან თავისი რისხვა ბერიას მხარეს წარმართა.

სტალინსა და ბერიას შორის ერთი განსხვავება იყო: ბერიაში, როგორც ეს ჩანს და მისი თანამედროვეებიც ადასტურებენ, გარკვეული ნაციონალისტური ინსტინქტი, სამშობლოსა და სახელმწიფოებრივი ერის განცდა სადღაც მაინც არსებობდა. სტალინისთვის ეს დაბრკოლება იქნებოდა – მისთვის სამშობლო რუსულ-ევრაზიული სივრცე იყო, ხოლო საქართველო, მისი დაბადების და ბავშვობა-ახალგაზრდობის დროინდელი საცხოვრებელი – ამ დიდი სივრცის განუყოფელი ნაწილი. არც საქართველოსა და ქართველებზე ჰქონია მას მაღალი აზრი. „ქართველები მებრძოლი შოვინისტები არიან – ისინი საშინლად ავიწროებენ სხვებს: სომხებს, აზერბაიჯანელებს, აფხაზებს, აჭარლებს, ოსებს; ქართველები არა ეროვნება, არამედ კონგლომერატია; საქართველოს არ შეუძლია რუსეთის გარეშე არსებობა“, – წერდა იგი.[42]

სტალინმა გაყიდა საკუთარი თავი წარმოუდგენელი დაუდევრობით, როდესაც შეუდგა კრემლის „ექიმი-შეთქმულების მონაწილეთა“ საქმის ჩამოყალიბებას. ეს საქმე ხომ, მთლიანად, სახელმწიფო უშიშროების უმაღლესი ორგანოების მიერ „შეთქმულების“ ვერშემჩნევაზე, პირდაპირ ბერიას წინააღმდეგ იყო მიმართული. ბერია მეტისმეტად კარგად იცნობდა სტალინს, ისევე, როგორც მის წინამორბედთა ბედს, საიმისოდ, რომ ილუზიებს არ მისცემოდა. სტალინს ამჯერად მისი თავი სჭირდებოდა. ბერიას არ ჰქონდა სხვა საშუალება თავის გადასარჩენად, გარდა იმისა, რომ თავად სტალინისთვის დაეკარგვინებინა თავი. ავტორხანოვი ამ წიგნში გულწრფელად წერს: ზუსტად როგორ მოკვდა სტალინი, ეს დანამდვილებით არავინ იცის. ერთადერთი, ცხადია ის, რომ იგი

თავისი სიკვდილით არ დაღუპულა. სტალინი მოკლულ იქნა ოთხეულის შეთქმულების შედეგად – ბერიას, მალენკოვის, ხრუშჩოვისა და ბულგანინის მიერ, და ეჭვს იწვევს უკვე სტალინის სიკვდილის ადგილის შესახებ ოფიციალური ცნობის ხაზგასმა, რომ „სტალინი მოკვდა მოსკოვში, თავის ბინაზე".[43] აი, ასე იქნა ორგანიზებული უმაგალითო თავისი სირთულითა და, ამავე დროს, შესრულების ტექნიკით ბრწყინვალე ბერიასეული შეთქმულება სტალინის წინააღმდეგ. შეთქმულების ორგანიზატორმა დაამტკიცა, რომ მან საკუთარ თავს გადააჭარბა იმაში, რაშიც კორიფედ ითვლებოდა: პოლიტიკურ მკვლელობათა ხელოვნებაში.[44]

ამრიგად, 1948 წელს დაიწყო ბრძოლის საბოლოო ფაზა, სადაც ერთმა მხარემ ჩაიფიქრა უაღრესად მუხანათური „ექიმთა საქმე" და „მეგრელთა საქმე" (ამათზე ადრე კი დაიწყო „ლენინგრადის საქმე," კ. გ.), რომელსაც წარმატების შემთხვევაში არნახული რეპრესიები უნდა მოჰყოლოდა – აქ შეიძლება ვივარაუდოთ მეგრელების, როგორც საქართველოს ქართველურ-სუბეთნიკური ჯგუფის, გასახლება საქართველოდან სსრკ-ის აღმოსავლეთისკენ (დედამინის ერთ მეექვსედზე განფენილ ქვეყანას ჰქონდა ასეთი დეპორტაციებისთვის დიდი სივრცეები), მეორე მხარემ კი გადაწყვიტა მისი განეიტრალება და საბოლოო ჯამში, ფიზიკური განადგურებაც. რადგან წარმოუდგენელი იყო, ერთი მხრივ, სტალინისა და მისი ერთგული გუნდის, მეორე მხრივ, ბერია-ხრუშჩოვი-მალენკოვი-ბულგანინის ხანგრძლივი, წლების განმავლობაში გაგრძელებული კონკურენცია-კოჰაბიტაცია.

ამ ახალი ტენდენციების სიმპტომი იყო კანდიდ ჩარკვიანის გამოსვლა 1951 წლის 10 იანვარს თბილისის XX პარტკონფერენციაზე. მან მიუღებლად ცნო ვაჟას ენა, მისი მსოფლმხედველობა გააკრიტიკა, ილიასა და აკაკის მიერ შექმნილი სალიტერატურო ენა სტანდარტად გამოაცხადა, ვაჟას ენა კი ამას ეწინააღმდეგებაო. იქვე მოაყოლა კონსტანტინე, მისი ენა სრულიად მიუღებელიაო. თანამედროვე პოეტებიდან დაგმო გიორგი ლეონიძისა და სიმონ ჩიქოვანის ენობრივი მიდგომები. სოსო სიგუა აღნიშნავს, რომ კონსტანტინეს ზეპირ გამოსვლებსა და პუბლისცისტურ წერილებში პერიოდულად ახასიათებდა დაყოლა – იგი თითქოს იზიარებდა ხელისუფლების თვალსაზრისს, მაგრამ შემოქმედებით პრაქტიკაში ჯიუტი, პრინციპული და თანმიმდევრული რჩებოდაო.[45] მანამდე, ვიდრე ეს გამოსვლა იქნებოდა, უშიშროების სამინისტროსა და ცენტრალური კომიტეტის მითითებით, კონსტანტინეს პროზასთან მიმართებით ტონი ისევ გამკაცრდა და გაზეთ „კომუნისტში" დაიბეჭდა ანონიმური წერილი „ქართული სალიტერატურო ენის დამახინჯების წინააღმდეგ" (1950, 28 მაისი). კონსტანტინეს ქართული ენის რეფორმატორად მოაქვს თავი, ნამდვილად კი ენას უკან ეწევა, საფრთხეს უქმნის ენის განვითარებასო. სადად არ წერს და ხელოვნური სინტაქსით, არქაული სიტყვებით ანაგვიანებს მეტყველებასო. წიგნს ლექსიკონი არ უნდა დასჭირდესო. დროა, ბოლო მოეღოს კონსტანტინეს ჯირითს პრესის ფურცლებზეო, რაც პირდაპირი მითითება

იყო, ნუ დაბეჭდავთო. ამას შედეგად მოჰყვა სახელგამის მიერ უკვე გამზადებული წიგნის დაჭრა – განადგურდა მთელი ტირაჟი, 10 ათასი ცალი. როგორც აღმოჩნდა, დავითის მესამე წიგნი, რომელიც 1950 წლისთვის უკვე მზად იყო, შეფერხდა უშუალოდ სტალინის ჩარევით. ამ უკანასკნელის გაღიზიანება კი გამოიწვია კონსტანტინეს მიერ მწერალთა წრეში ნათქვამმა, სტალინმა თავის სახელმწიფოს მიხედოს, ჩემს მწერლობას როგორმე მე მივხედავო. ეს ნათქვამი რეჟისორ მიხეილ ჭიაურელს ხუმრობით გადაუცია სტალინისთვის. მიუხედავად იმისა, რომ სტალინი კონსტანტინეს ჩოხის, ფაფახის, ქორ-მეძებრებისა და ცხენების უკან უფრო თეატრალურ მომენტებს ხედავდა, ვიდრე ნაციონალისტურს, ამ სიტყვებზე ეტყობა მაინც გაღიზიანდა.

„დავით აღმაშენებლის“ მესამე წიგნი 1953 წელს, სტალინის სიკვდილის შემდეგ, გამოვიდა. კონსტანტინე გამსახურდიამ კრიტიკულ მომენტში და ეს მომენტი 30-იანების შუახანებში ნამდვილად დადგა – წამოაყენა „ენის დიქტატურის“ იდეა, უფრო სწორად, მოახდინა, დაახლოებით, 10 წლის წინ წამოყენებული თეზისის აქტუალიზაცია. როგორც წერს შ. ხაიროვი პოეტ იოსიფ ბროცკის მითოს-შემოქმედებისადმი მიძღვნილ სტატიაში, ამ თეზისმა მაშინდელი საბჭოთა კავშირის არარუსულ სივრცეში საზოგადოება „ენობრივი დასასრულისგან“ იხსნა, რადგან დაუპირისპირდა სტალინიზმის ენობრივ კულტურას, მის ტოტალურ ცენტრიზმს, ასევე, რუსული ენის დომინანტურ როლს. ეს ყოველივე, ცხადია, კარგად ახსოვდათ 50-იანების დასაწყისში.[46] და თავად „მეგრელთა საქმე“ როდის დაიწყო?

1951 წელს საქართველოს სსრ-ის უშიშროების მინისტრ გენერალ ნიკოლოზ რუხაძესთან შემოვიდა ინფორმაცია მექრთამეობის ფაქტზე, რომელშიც თითქოს ჩარეულები იყვნენ საქართველოს პროკურატურის მეგრული წარმომავლობის თანამშრომლები. ამის შესახებ მოხსენება გაკეთდა ი. სტალინის სახელზე. 1951 წლის 9 ნოემბერს გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება, რომლის მიხედვითაც საქართველოს სსრ-ში არსებობდა „მეგრულ-ნაციონალისტური ჯგუფი“ ბარამიას მეთაურობით. უკვე მომდევნო დღეს საქართველოს პროკურატურასა და პარტიულ ორგანოებში დააპატიმრეს არაერთი მაღალი თანამდებობის პირი. ისინი ყველანი ბერიას მიერ იყვნენ დაწინაურებულნი (ბარამია, შონია, ბზიავა, რაფავა, შარია). მოკლე ხანებში ამავე საქმეზე დააპატიმრეს კიდევ 500 ადამიანი, მათ შორის, საქართველოს ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 11 წევრიდან 7 წევრი, პარტიის საოლქო და საქალაქო კომიტეტების 427 მდივანი და თანამშრომელი. რუხაძე და მისი კადრები სხვადასხვა ზეწოლისა და წამების მეთოდების გამოყენებით აიძულებდნენ დაპატიმრებულებს, ეღიარებინათ, რომ უცხოური დაზვერვების აგენტურის დავალებით ეწეოდნენ ძირგამომთხრელ საქმიანობას, ცდილობდნენ, ხელში ჩაეგდოთ რესპუბლიკაში მმართველობითი თანამდებობები, შემდეგ კი საქართველო გამოეყოთ საბჭოთა კავშირიდან. ცენტრიდან მოვლინებული გენერალი რიუმინი დაკითხვებზე ცდილობდა პატიმრებისთვის ეთ-

ქმევინებინა, რომ ამ შეთქმულების ლიდერი თავად ბერია იყო. ნიკიტა ხრუშჩოვის ვაჟის, სერგეი ხრუშჩოვის, მიხედვით, „გამოძიებას სტალინი პირადად ადევნებდა თვალს. როდესაც საქმის მსვლელობის შესახებ უპატაკებდნენ, იგი არაორაზროვნად „ურჩევდა“ გამომძიებლებს: მოძებნეთ ყველაზე დიდი მეგრელი“. ამის მიღმა, ცხადია, ბერია იგულისხმებოდა.

1952 წლის 1-2 აპრილს გაიმართა საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელზეც გაათავისუფლეს კანდიდ ჩარკვიანი და ახალ ხელმძღვანელად აირჩიეს აკაკი მგელაძე. კანდიდ ჩარკვიანს რეპრესია არ შეხებია, თუმცა მას ბრალად დაედო არასათანადო სიფხიზლე, დროზე ვერ აღმოაჩინა რა პარტიაში შეთქმულების არსებობა. „მეგრელთა საქმეს“ საქართველოში უშუალოდ სტალინის დავალებით კურირებდა აკაკი მგელაძე. კონსტანტინეს მიმართ კრიტიკა გამწვავდა. მასში ახალი, აშკარად აგრესიულად პოლიტიკური ბრალდებების ტონები შემოერია, როგორც, მაგალითად, ადრე, 30-იანებში გამოყენებული „ბურჟუაზიული ნაციონალიზმის“ ბრალდება. 1952 წლის 15 სექტემბრის საქართველოს კომუნისტთა XV ყრილობაზე აკაკი მგელაძემ მხოლოდ ორი მწერალი გააკრიტიკა – გამსახურდია და დადიანი, რომელსაც თამარის ეპოქაზე დაწერილი ჰქონდა ისტორიული რომანი „უბედური რუსი“. ახალმა პარტიულმა ლიდერმა გულისწყრომით შენიშნა, კონსტანტინე წარსულში იჭრება და თანამედროვეობა ავიწყდებაო, პროგრესულსა და რეაქციულს ვერ ასხვავებსო, თანაც, ენას ანაგვიანებს არქაიზმებითა და მოგონილი სიტყვებითო. დაიმოწმა ბერიას სიტყვები, 1937 წელს თქმული, კონსტანტინეს ნაციონალისტობისა და ფაშისტური ელფერის გამო. ამ გამოსვლის ქვეტექსტი, ცხადია, იყო – „მეგრელი“ მწერალი ქართულ ენას ანაგვიანებსო, უნდოდა ეთქვა მგელაძეს, თუმცა ამას იმპლიციტურად ამბობდა – ისე, რომ მიმხვედრი მიხვდებოდა.

საქართველოს ცენტრალური კომიტეტის ლიდერის სიტყვა და ძირითადი გზავნილები, რასაკვირველია, აიტაცეს ქართული მწერლობისა და მეცნიერების წარმომადგენლებმა. სიტყვით გამოვიდნენ ნიკო მუსხელიშვილი და გიორგი ლეონიძე, რომლებმაც კონსტანტინე გამოუსწორებელ რეაქციონერად და მებრძოლ ნაციონალისტად მოიხსენიეს. თავს დაესხა კომუნალური მეურნეობის მინისტრი ბარიგიანი, რომლის წერილიც რუსულად დაიბეჭდა „ზარია ვოსტოკაში“. გააქტიურდნენ ისტორიკოსები, რომლებმაც, როგორც „დიდოსტატში“, ისე „დავით აღმაშენებლის“ იმ დროისთვის გამოსულ სამ წიგნში, არაერთი ლაფსუსი აღმოაჩინეს და მწერალი არაისტორიულობაში დაადანაშაულეს. ახალგაზრდა გერმანისტებმა გააკრიტიკეს ჰაინეს გამოც, თითქოს არასათანადოდ იცნობდა ამ გერმანელ პოეტს. 1953 წლის 21 თებერვალს გარდაიცვალა ექვთიმე თაყაიშვილი. ღრმად მოხუცებული ექვთიმე, რომელიც სამშობლოში განძთან ერთად ამერიკული თვითმფრინავით დაბრუნდა 1945 წელს, რომელსაც 1951 წელს ძმისშვილი დაუპატიმრეს, თავად კი ერთ წელიწადში უნივერსიტეტიდან გაათავისუფლეს ვითომდაც, არასათანადო კვალიფიკა-

ციის გამო, ფაქტობრივად, შინაპატიმრობაში ცხოვრობდა. მის გასვენებაში, ისევე როგორც ბორის პასტერნაკის დაკრძალვაზე პერედელკინოში, ორმოცდარვა ადამიანი მივიდა. კონსტანტინე სიმონ ყაუხჩიშვილთან ერთად დაესწრო დაკრძალვას, მანამდე კი დემონსტრაციულად თავისი მხრებით ატარა ექვთიმეს ნეშტი უკანასკნელ გზაზე, მისი ტროსტი კი სამახსოვროდ წამოიღო სახლში.

ამ ამბიდან მალევე, 5 მარტს, გარდაიცვალა იოსებ სტალინი – ეს იყო მოვლენა, რომელმაც, ცხადია, შეძრა მსოფლიო და ყველაფერი შეცვალა ქვეყანაში, უპირველეს ყოვლისა კი – პოლიტიკური სურათი. სკკპ მე-19 ყრილობა 1952 წელს ჩატარდა. ამ, ქვეყნის ბედის განმსაზღვრელ, ამბავთან დაკავშირებით ნიკიტა ხრუშჩოვი ასეთი განცხადებით გამოდიოდა: „პარტიის მე-19 ყრილობიდან ცოტა ხნის შემდეგ სიკვდილმა ჩვენს რიგებს გამოსტაცა იოსებ ბესარიონის ძე სტალინი. სოციალიზმის მტრებს იმედი ჰქონდათ, რომ პარტიის რიგებში შეიქმნებოდა დაბნეულობა, მის ხელმძღვანელობაში – უთანხმოება, მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელებაში დაიწყებოდა მერყეობა. მაგრამ ეს ვარაუდი ჩაიფუშა, კომუნისტური პარტია კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმა თავისი ცენტრალური კომიტეტის გარშემო, უფრო მაღლა აღმართა მარქსიზმ-ლენინიზმის დროშა“.

როგორც ჩანს, კულუარებში იმთავითვე კურსირებდა სტალინის გარდაცვალების რამდენიმე ვერსია, ერთ-ერთი მათგანი ბერიასა და „ოთხეულს“ უკავშირდებოდა. იმავე ავტორხანოვმაც, „წითელი პროფესურის“ წარმომადგენელმაც, ხომ საიდანღაც იცოდა ეს. მოხუცებულმა მოლოტოვმა პუბლიცისტ ფელიქს ჩუევთან ინტერვიუში ორჯერ, 1971 და 1976 წლებში, გაიხსენა, როგორც უთხრა მას ბერიამ მავზოლეუმის ტრიბუნაზე, 1953 წლის პირველ მაისს აღლუმზე, მე მოვაშორე იგი (ანუ სტალინი) და ყველანი გადაგარჩინეთო. მოლოტოვი არ გამორიცხავდა, რომ ბერიას ამ ნათქვამში სიმართლე ყოფილიყო.[47] რასაკვირველია, ვერცერთი სერიოზული ისტორიკოსი თავს ვერ დადებს, რომ ის, რასაც ავტორხანოვი სტალინის სიკვდილში ბერიას როლზე წერს, დანამდვილებით ასეა. აღნიშნული თეორია არანაირად არ არის დამტკიცებული და როგორ მოკვდა სინამდვილეში სტალინი, ეს საიდუმლო აღნიშნულმა ხუთეულმა საფლავში წაიღო. თუმცა ავტორხანოვის ვერსია უდავოდ ანგარიშგასაწევია. აბდურახმან ავტორხანოვის შენიშვნით, სრულიად ბუნებრივია, რომ სტალინის დაღუპვით მისი მთელი ძალაუფლება ბერიას ხელში აღმოჩნდა.

პოლიტბიურომ, რომლის წევრების ბედის განსაზღვრაც ახლა ბერიას ხელეწიფებოდა, ამჯერად გადაწყვიტა მისთვის წაერთმია ძალაუფლება. ხრუშჩოვის მეთაურობით შეიქმნა პარალელური შეთქმულება – უკვე ბერიას წინააღმდეგ, შეთქმულება, რომელიც არსებითად იყო კუთხეში ჩასაფრებულის მიერ განხორციელებული მკვლელობა (იხ. ავტორხანოვი). საფიქრებელია, რომ დაჯგუფებებს შორის საერთოდ აღარ იყო არანაირი ნდობა. ხრუშჩოვი,

მალენკოვი და ბულგანინი ელოდნენ ხელსაყრელ მომენტს, როდესაც ისინი ბერიას გაანეიტრალებდნენ. 1953 წლის 26 ივნისს, როდესაც სულ რაღაც 9 დღე იყო გასული ოკუპირებულ ბერლინში 1953 წლის 17 ივნისის დიდი დარბევიდან, როდესაც საბჭოთა ტანკებმა დემონსტრანტებს ცეცხლი გაუხსნეს, საბჭოთა სახელმწიფოს ოფიციალური ვერსიის შესაბამისად, ბერია დააპატიმრეს სამშობლოს ღალატის ბრალდებით, რომელსაც იგი შპიონაჟისა და შეთქმულების ფორმით ახორციელებდა, ძალაუფლების ხელში ჩაგდების მიზნით. ასევე ოფიციალური ვერსიით, იგი გაასამართლა სსრკ-ის უმაღლესმა სასამართლომ და მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა, რაც 1953 წლის 23 დეკემბერს სისრულეში მოყვანეს. არსებობს ბერიას დაღუპვის (მკვლელობის) რამდენიმე ვერსია, ყოველგვარი სასამართლო პროცესის გარეშე (ერთ-ერთი ეკუთვნის ბერიას ვაჟს, სერგოს), რომელთგანაც თითოეულს აქვს არსებობის უფლება. ამ ოფიციალურისგან განსხვავებული ვერსიებით მიჩნეულია, რომ სასამართლოს მასალები უკანა რიცხვითაა ფალსიფიცირებული.

ოპონენტები კიდევ ერთხელ გააქტიურდნენ კონსტანტინე გამსახურდიას წინააღმდეგ, თუმცა, ცხადია, მათ იგივე ძალა აღარ ჰქონდათ. ს. სიგუასთან ეკითხულობთ, რომ მწერალზე ინფორმატორების მიერ შედგენილი და უშიშროების სამინისტროში გაგზავნილი ტიპური იდეოლოგიური დოსიე, დაახლოებით, ასეთი იყო: რომ „მთვარის მოტაცება“ საბჭოური სინამდვილის ცილისწამებაა, რომ საბჭოთა ხელისუფლება სპობს პოეზიას (მთვარეს), რომ კომკავშირელი ჰკლავს მამას, რომ ხოტბა აღევლინება უქნარა კაცს – არისტოკრატ თარაშ ემხვარს, რომ მწერალს ბერიას მიერ ჰქონდა მიღებული კარტ-ბლანში თანხების უკანონო მითვისებაზე და ა. შ. ამ დასმენის შაბლონიდან ჩანს, რომ მისი შემდგენლები ისევ მწერალთა კავშირს, გამომცემლობებს ან მასთან ახლომდგომ წრეს ეკუთვნოდნენ. არც საქართველოს უშიშროების უწყებამ დაახანა და გამოაცხო ახალი ბრალდებები: ბერია და ბერიელებთან კავშირში დადანაშაულებული უშიშროების გენერალი ირაკლი ნიბლაძე 1953 წლის 31 ივლისს იძლეოდა ჩვენებას, რომ ბერია დანაშაულებრივად ხელს აფარებდა ქართველ ნაციონალისტებსა და ფაშისტური ორგანიზაციის წევრებს – შალვა ნუცუბიძეს, კონსტანტინე გამსახურდიას, გიორგი წერეთელს, სიმონ ყაუხჩიშვილს, ვუკოლ ბერიძეს, ნიკო კეცხოველს (როგორც ცნობილია, ზოგი მათგანი თანამშრომლობის პირობით ბერიამ ციხიდან გამოუშვა და თავის პროფესიას დაუბრუნა). იგივე ნიბლაძე მიუთითებდა, რომ კონსტანტინე დაკავშირებული იყო გერმანიის დაზვერვასთან, მონაწილეობდა 1947 წელს აღმოჩენილ ფაშისტურ ორგანიზაციაში, მაგრამ არ დააპატიმრეს, რადგან ბერია მფარველობდაო. ამჯერად ბერიას მფარველობის ხაზგასმა კრიმინალიზაციის საუკეთესო საშუალება იყო. ძნელი წარმოსადგენია უფრო მძიმე ბრალდება: ბერია და ფაშისტური გერმანიის დაზვერვა.

1953 წლის 13 მარტს, სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს ბრძანებულების შესაბამისად, უშიშროების სამინისტრო გადაკეთდა უშიშროების კომიტეტად, ხოლო მის თავმჯდომარედ გენერალ-პოლკოვნიკი ი. სეროვი დაინიშნა. ცვლილება მოხდა საქართველოშიც – ახლად შექმნილი კომიტეტის თავმჯდომარედ იმავე წლის 10 აპრილს დაინიშნა გენერალ-ლეიტენანტი ალექსი ინაური, რომელიც მანამდე საქართველოს სსრ-ის შინაგან საქმეთა მინისტრი იყო. იგი საქართველოში ამ თანამდებობაზე 1988 წლის პირველ დეკემბრამდე რჩებოდა. ახალმა მინისტრმა 1954 წლის 12 მაისს მაშინვე გაუგზავნა ლუბიანკას დოსიე კონსტანტინე გამსახურდიაზე, რომელშიც ეწერა, თითქოს იგი 1913 წლიდან იყო კაიზერული გერმანიის აგენტი, რომ იყო ანტისაბჭოთა ორგანიზაციების ერთ-ერთი ხელმძღვანელი და რომ იმჟამად კავშირი ჰქონდა ინგლისის დაზვერვასთან. იქვე მინაწერიც იყო, ამის შემოწმება ვერ ხერხდებაო. მიუხედავად ამ დოსიეს გაგზავნისა, სსრკ-ის სუკ-ი არ დაეთანხმა ახალი საქმის აღძვრას, რამდენადაც პოლიტიკა ზოგადად შეიცვალა – ის შედარებით ლიბერალური გახდა ახალი ხელმძღვანელობის პირობებში.[48]

ამავე წლის 1954 წლის 26 მაისს დაიკითხა ერთი წლით ადრე დაპატიმრებული (დააკავეს ბერიას განეიტრალებიდან ძალიან მალე, 1953 წლის 17 ივლისს) საქართველოს შინაგან საქმეთა ყოფილი სახალხო კომისარი, გენერალ-ლეიტენანტი ავქსენტი რაფავა. რაფავას, რომლისთვისაც სრულიად ცხადი იყო, როგორ დასრულდებოდა მისი პატიმრობა, გამომძიებლებმა დაუსვეს კითხვა, ჰქონდა თუ არა ურთიერთობა კონსტანტინე გამსახურდიასთან. რაფავამ ღირსეულად უპასუხა, რომ კონსტანტინეს იცნობდა, როგორც გამოჩენილ ქართველ მწერალს, მაგრამ მასთან არანაირი საქმე არ ჰქონია. გენერალმა პეტრე შარიამაც ვერ დაასახელა ვერცერთი ხელმოსაჭიდი ფაქტი, რომელიც მწერლის დადანაშაულებისთვის საკმარისი იქნებოდა, მხოლოდ თქვა, ბერია და ჩარკვიანი რამდენიმეჯერ დაეხმარნენო.[49] შარია ბერიას გუნდის წევრი იყო, რომელიც „მეგრელთა საქმის“ გამო პირველი პატიმრობის შემდეგ ერთხანს მალენკოვის თანაშემწეც კი იყო; შემდეგ, ისევ დააპატიმრეს, ამჯერად ბერიას განეიტრალების შემდეგ და გაასამართლეს, თუმცა არ დაუხვრეტიათ – ათწლიანი პატიმრობა მოიხადა.

ერთგვარი გარდატეხის დღე გამოდგა 1954 წლის 30 ივნისი, როდესაც ჩატარდა საქართველოს მწერალთა VI ყრილობა, რომელსაც სტუმრად ჩამოსული არაერთი რუსი მწერალი დაესწრო. კონსტანტინე გამსახურდია სიტყვით გამოვიდა და საკმაო შთაბეჭდილებაც მოახდინა დამსწრეებზე. ეს ყრილობა იმითიც იყო ისტორიული, რომ მასზე გამოცხადდა მიხეილ ჯავახიშვილის, ტიციან ტაბიძის, პაოლო იაშვილის რეაბილიტაცია. კონსტანტინე აირჩიეს ყრილობის პრეზიდიუმში, შემდეგ – გამგეობის წევრად, ასევე, მწერალთა საკავშირო მეორე ყრილობის დელეგატად. ამიერიდან დასრულდა მისი ბლოკირება, როდესაც არ შეჰყავდათ საიუბილეო ან დამკრძალავ კომისიებში, მის ხელმოწერას არასოდეს სვამდნენ ნეკროლოგებზე, არ აძლევდნენ პლენუმებ-

ზე მონაწილეობის საშუალებას. ზვიად გამსახურდია აღნიშნავს, რომ ხრუშჩოვის დროს მიმდინარე ანტისტალინური კამპანიის პარალელურად მიდიოდა ანტიქართული კამპანიაც. იგი, უკვე წმინდად „დისიდენტური“ პოზიციებიდან, ნიკიტა ხრუშჩოვს თავის ჩანაწერებში მოიხსენიებს როგორც საქართველოს ოკუპაციის მონაწილეს 1921 წელს, როგორც ბორის პასტერნაკის ცენზორს და მისი შევიწროვების ორგანიზატორს, როგორც მოსკოვის შემოქმედებითი ინტელიგენციის მდევნელს, უკრაინის „ჰოლოდომორისა“ და იქ განხორციელებული მასობრივი რეპრესიების ერთ-ერთ იდეურ ავტორს.[50]

ზვიად გამსახურდიას კრემლში მიმდინარე შიდაბრძოლების აღნიშვნისთვის რამდენიმეჯერ მოუშველიებია გამონათქვამი, რომელიც ჩერჩილს მიეწერება – რომ ბრძოლა ძალაუფლებისთვის კრემლში ჰგავს ბულდოგების ბრძოლას ნოხქვეშ (Kremlin political intrigues are comparable to a bulldog fight under a rug): და რატომ აგონებდა? იმიტომ, რომ გარედან დამკვირვებელი თავად ბრძოლას ვერ ხედავდა, ესმოდა მხოლოდ ხმები, გარკვეულ მომენტში სახეზე მხოლოდ შედეგი იყო – გაგუდული ბულდოგი – და დანარჩენი თავად უნდა დაესკვნა. პოლიტიკური ხელმძღვანელობა, ბუნებრივია, შეიცვალა საქართველოშიც. ბერიას კადრი ალექსანდრე მირცხულავა, რომელიც „მეგრელთა საქმის“ ერთ-ერთი ფიგურანტი იყო, 1953 წელს სტალინის გარდაცვალებიდან სულ რაღაც ნახევარი წლით იკავებდა საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის თანამდებობას. როდესაც ბერია ლიკვიდირებულ იქნა და პოლიტიკური მდგომარეობა კვლავ შეიცვალა, სამეურნეო თანამდებობაზე გადაიყვანეს აჭარაში, ხოლო საქართველოს კომპარტიის პირველ მდივნად დანიშნეს გენერალ-ლეიტენანტი ვასილ მჟავანაძე, რომელიც მანამდე კარპატისპირეთის სამხედრო ოლქში მსახურობდა. ზვიად გამსახურდია თავის ჩანაწერებში მას ახასიათებს როგორც ფანფარონს, ხრუშჩოვის გარემოცვიდან გამოსულ პირს, რომელიც ქართულ ენასაც კი ვერ ფლობდა ხეირიანად. ვიქტორიას, მის მეუღლეს, რომელიც ხრუშჩოვის მეუღლის ნათესავი იყო, ირონიულად მოიხსენიებს როგორც „დედოფალ ვიქტორიას“, რომელიც ცინიკურად ძარცვავდა საქართველოს, სასურველ კადრებს ნიშნავდა თანამდებობებზე, ჩართული იყო კორუფციაში.[51] ღია წერილში ედუარდ შევარდნაძისადმი, ზვიად გამსახურდია სხვა, დადებითი კუთხიდანაც ხედავს ვასილ მჟავანაძეს: მოსკოვს თვით მჟავანაძეც კი „ნაციონალისტად“ მიაჩნდა შევარდნაძესთან შედარებით, ვინაიდან მან ვერ გამოუცხადა ომი საკუთარ ერს, მის ენასა და კულტურას, მის თვითმყოფადობას. ამიტომ იყო აღნიშნული პოლიტბიუროს ცნობილ დადგენილებაში მისი პერიოდის „ნაციონალისტური“ გადახრებიო.[52]

1956 წელს გამოვიდა კონსტანტინეს ახალი რომანი თანამედროვე თემატიკაზე – „ვაზის ყვავილობა“. თითქმის 800-გვერდიანი რომანი კრიტიკის მიერ მიჩნეულია ხარკად საბჭოთა ხელისუფლების მიმართ. ამ პერიოდში ძირითადი საფრთხეები უკვე გადავლილი იყო. ეს რომანი, შესაძლოა, გვერდში ვერ დაუდგეს მწერლის ძირითად ნაწარმოებებს, მაგრამ იგი მაინც საინტერესოდ

ასახავს სტალინური ეპოქის ტენდენციებს, როდესაც, მართალია, ნაწილობრივ არასიღრმისეულად, მაგრამ მაღალ დონეზე დადგა დესტალინიზაციის საკითხი. შესაბამისად, სრულიად არამართებულია მოსაზრება, თითქოს მწერალმა ეს ნაწარმოები სტალინს მიუძღვნა – როდესაც ეს წიგნი გამოვიდა, სტალინი უკვე საკმაო ხნის გარდაცვლილი იყო. ამ წიგნზე მუშაობა სტალინის სიკვდილის შემდეგაა დაწყებული. მასში ომისდროინდელი კახეთის ცხოვრებაა თემატიზებული; მასში ჩანს მწერლის სენსიბილურობა ომისა და საკონცენტრაციო ტყვეთა ბანაკში ყოფნის შედეგად დასახიჩრებული ადამიანების მიმართ. ასეთია თუში გოდერძი ელანიძე, ნაწარმოების ორი მთავარი გმირიდან ერთ-ერთი, რომლის მობილიზებაც მოხდა წითელ არმიაში საბჭოთა კავშირში ვერმახტის შემოჭრის შემდგომ. იგი მოგვიანებით ხდება ვარშავის 1944 წლის ცნობილი აჯანყების მონაწილე, რომელიც პოლონურ ისტორიულ დისკურსში კოშმარისა და კატასტროფის დღედ განიხილება – როდესაც საბჭოთა ჯარები მოუახლოვდნენ ვარშავას, პოლონელებმა, კერძოდ, „არმია კრაიოვას" ხელმძღვანელობამ, ეს აჯანყება გერმანელ-ფაშისტი ოკუპანტების წინააღმდეგ დაიწყო ეს ვითომდაც საბჭოთა ინვაზიის შესაჩერებლად. საბჭოელები, როგორც მოსალოდნელი იყო, არ მიეშველნენ პოლონელებს, გერმანელები კი სასტიკად გაუსწორდნენ მათ. აჯანყება ნამდვილ ჟლეტად იქცა, მას მოჰყვა არნახული მასშტაბის მსხვერპლი და ერთგვარ შეუხორცებელ ჭრილობად დარჩა პოლონელი ხალხის ხსოვნაში.

გოდერძი ოსვენციმის (იმავე აუშვიცის) საკონცენტრაციო ბანაკში აღმოჩნდა, მან თავისი თვალით ნახა პოლონელების, ებრაელების, ასევე, სხვა სამხედრო ტყვეების წამება და განადგურება. ამის შემდეგ იგი სავსებით დამუნჯდა. ვგონებ, არცერთ მწერალს სსრკ-ში, ყოველ შემთხვევაში, იმ მოცემულობაში, არც ეს აჯანყება, არც ჰოლოკოსტის სცენები გერმანულ საკონცენტრაციო ბანაკში არ აღუწერია. რომანის ფინალი, ბუნების ხატოვანების ასახვასთან ერთად, ერთგვარად მისტიკურიცაა – შინ დაბრუნებულ გოდერძის, სრულად დაინვალიდებულს, საშინელებებისა და ტრავმისგან ენაჩავარდნილს, ენას ამოადგმევინებს ალაზნის ველის პარადიზული, არამიწიერი სილამაზე და ვაზი, რომლის აყვავილებულ ლერწებშიც თითქოს ამოილანდება ქრისტეს უქმნელი ნათლით შესრულებული ხატება (ეს რელიგიური სემანტიკა პირდაპირ არ არის ნახსენები, ცხადია, ინტერპრეტაციაა). ვაზისა და ვენახის ტროპოლოგიური დაკავშირება ქრისტესთან სახარების ტექსტიდანაა ცნობილი.

მაგრამ აქ მნიშვნელოვანია, რომ „ნავსი გატყდა" თავად ომზე არსებული ოფიციალური ნარატივის კრიტიკისთვის. ეს „დიადი გამარჯვება", სინამდვილეში, საერთო-სახალხო უბედურება იყო საბჭოთა კავშირის ხალხებისთვის, დღე გლოვისა, დაღუპულთა დიდი რაოდენობის გამო. ეს იყო ცრემლის მდინარეები და სისხლის ზღვა. მილიონობით დასახიჩრებული. მილიონობით დაობლებული ბავშვი და უმწეო მოხუცი. მილიონობით გამრუდებული ბედი, შეუმდგარი ოჯახები, დაუბადებელი ბავშვები. მილიონობით გაწამებული სამშობ-

ლოს პატრიოტი ჯერ ფაშისტურ, შემდეგ კი საბჭოთა ლაგერებში. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ გოდერძი ორივე სპეციფიური მსოფლიო მოვლენის, სტალინიზმისა და ჰიტლერიზმის, მსხვერპლია.

შესაძლოა, ბევრს არ მიუქცევია ყურადღება „მთვარის მოტაცების" ტექსტში აღწერილი თარაშ ემხვარის სიზმრისთვის, რასაც, შეიძლება, ერთგვარი სიზმარი-აპოკალიფსიც კი ეწოდოს. ლტოლვილების სვანეთში ყოფნისას მათ ყურადღებას იქცევს მეზირი, საკულტო გველი მახვშის ოჯახში, რომელსაც ეთაყვანებიან და ლამბაქით რძეს უდგამენ. ამ გველს არზაყანმა მაუზერით წააწყვიტა თავი, როგორც ძველი ცრურწმენების მტერმა. ეს მეზირი თარაშ ემხვარის აპოკალიპსურ სიზმარ-ხილვაში ქვიშისა და მტვრის უზარმაზარ ურჩხულად იქცევა, რომელიც მოიზლაზნება ვეებერთელა აქლემივით. მახვში და მისი ოჯახობა მინაზე დამხობილან და მასზე ლოცულობენ: „დიდება შენდა, უფალო მეზირ". ეს წარმართობის რეკონსტრუქციის საშინელი სურათ-ხატია და ზუსტად ასეთია სტალინის პიროვნების კულტიც, სრულიად უკრიტიკო, ფანატიკური, ინდივიდის კულტურის უარმყოფელი, მისი პიროვნების უცდომელობის რწმენაზე დაფუძნებული, ფაქტობრივად, გაღმერთებული ბელადით სათავეში. თუკი სტალინი გაიმარჯვებდა, როგორც ჟდანოვშჩინის, ისე „მეგრელთა" და „ექიმების" საქმის წარმატებით დაგვირგვინებისას, რასაც, მაღალი ალბათობით, ახალი, მანამდე არნახული რეპრესიები მოჰყვებოდა, ეს „კულტი", როგორც ჩანს, შეუქცევადად დამკვიდრდებოდა. თარაშის სიზმარში უცბად გამოჩნდება ცხენოსანი არზაყან ზვამბაია, რომელიც თავს წააცლის ამ „მეზირს" და გადაჰყვება თავადაც ამ ჩვენებას. მაგრამ ის, რაც „ჩვეულებრივ", რეალისტურად აღწერილ სცენაში მოხდა, თარაშის ვიზიონერულ ჩვენებაში უკვე განსხვავებული კონოტაციის მატარებელია. ეს ფიგურა ძნელი ამოსაცნობი არ უნდა იყოს – არზაყანი, ბოლშევიკი და კარიერისტი, რომელმაც დაამარცხა არლანი (ეფრემ ეშბა) და ჩალმაზი (ნესტორ ლაკობა) – ორივე ლენინური გვარდიის წარმომადგენელი და, იმავდროულად, „უკლონისტი". ამის შემდეგ იგი დაწინაურდა ტფილისში, მანამდე მოკლა მამა და მამის ძვლებთან გააუპატიურა თავისი საცოლე. გავიხსენოთ ავტორხანოვი: „სტალინის კრიმინალური ხელოვნების დონეზე მხოლოდ ბერია იდგა". მან გადააჭარბა კიდეც თავის მასწავლებელსო. და, თუ ასობით ათასი ადამიანი გადაურჩა ჩეკისტების ტყვიებს, ხოლო მილიონები საკონცენტრაციო ბანაკებს, ქვეყანა ამასაც ბერიას უნდა უმადლოდესო (შდრ. მისი გამოთქმა „უნებლიე დამსახურება"). საინტერესოა, რომ ეს ყველაფერი იმაზე ადრეა დაწერილი, სანამ რეალობაში მოხდებოდა, ანუ 1933-1934 წლებში.

1956 წლის 29 სექტემბერს, მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმზე, სადაც მიმდინარეობდა ერთგვარი შეჯამება იმისა, თუ როგორ მოახდინა საქართველომ ძალიან მტკივნეული დესტალინიზაციის პროცესის გადამუშავება და მასთან გამკლავება, სიტყვით კონსტანტინე გამსახურდიაც გამოვიდა. მან გაიხსენა ლენინის ციტატები რუსული შოვინიზმის გამო, რომელიც, შესაძლოა,

მცირე ერებისთვის საფრთხედ ქცეულიყო. ლენინი ამ დროს სწორედ სტალინს გულისხმობდა, როგორც ეროვნებათა კომისარს. ბერია გაიხსენა, როგორც „ავადსახსენებელი“ და დაამატა, ფუშე ბერიასთან შედარებით მამა აბრამის ბატკანიაო. თავის რომან „ბელადზე“ თქვა, დიდი სიყვარულით დავწერე და არ ვნანობო. მისთვის არც გენიოსი მიწოდებია, არც არწივი და არც ლომიო. იქვე, სტალინზე მსჯელობის კონტექსტში, დაამატა, კონდოტიერი, როგორიც მაგალითად, იყო გიორგი სააკაძე, ნაციონალური გმირი ვერასოდეს გახდებაო. თემურ-ლენგის დროსაც კი ამდენი ზარალი არ უნახავს საქართველოს, რამდენიც ამ ომშიო. და ბოლოს ასეთი ფრაზაც თქვა – გაუგებარია, როგორ მოიცალა ამხელა იმპერიის პრემიერ-მინისტრმა იმისთვის, რომ ჩემთვის თავში ჩაეკრაო. სიტყვა „იმპერია“ ძალიან თავისებურ კონტექსტში გახმოვანდა აქ, როგორც ერთგვარი მაცნე მომავალში დაწყებული საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა.

1958 წლის 13 ოქტომბერს რვატომეულის დაბეჭდვა გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ მიერ, რომლის სარედაქციო კოლეგიაშიც შედიოდნენ ირაკლი აბაშიძე, გიორგი ნატროშვილი და სერგი ჭილაია, იყო ერთგვარი ნიშანსვეტი, რომელიც ცხადყოფდა: დიდი ბრძოლების ეპოქა, სადაც საფრთხეებით პოტენცირებული სიტუაციები საოცარი სისწრაფით ცვლიდნენ ერთმანეთს და დღეს თითქოს გადაწყვეტილი ამბავი მეორე დღეს ისევ კითხვის ნიშნის ქვეშ დგებოდა, მეტ-ნაკლებად დასრულდა. მწერლისა და მისი ოჯახისთვის დადგა შედარებითი სიმშვიდის ხანა. რუსულად კონსტანტინე გამსახურდიას ძირითადი რომანები თარგმნილი იყო – „დიონისოს ღიმილიც“, „მთვარის მოტაცებაც“, „დიდოსტატის მარჯვენაცა“ და „დავით აღმაშენებელიც“, მაგრამ მათი ტექსტი რუსულ თარგმანში დაჩეხილი და შეკვეცილია, ამოღებულია ცენზურისა და საბჭოური იდეოლოგიისთვის მიუღებელი ტერმინები და კულტურულ-პოლიტიკური რეალობების აღმნიშვნელი დასახელებები, შეიძლება ითქვას, სულ მცირე, ერთი მეოთხედით შემოკლებულია. ამავე დროს საბჭოთა ცენზურამ, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტმა და სსრკ-ის იდეოლოგიზებულმა საავტორო უფლებების სააგენტომ, პრაქტიკულად, ვეტო დაადეს კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედების თარგმნას უცხო ენებზე. ბოლოს, დიდი გაჭირვებით, მხოლოდ „დიდოსტატის“ თარგმნის ნება დართეს, და ისიც ითარგმნა ჯერ ფრანგულად, შემდეგ გერმანულად, ინგლისურად და კიდევ რამდენიმე ენაზე, თუმცა გერმანული გერტრუდ პეჩისეული თარგმანის გარდა, დანარჩენ ენებზე ისევ რუსულიდან ითარგმნა. შესაბამისად, ყველა ნაკლოვანება აღნიშნულ თარგმანებშიც გადავიდა.

და როგორ აღიქვამდა მოზარდი ზვიად გამსახურდია განვლილ უმძიმეს პერიოდს? მისი თქმით, როგორც ბავშვი, ის აცნობიერებდა მამის გაუსაძლის მდგომარეობას, რომელსაც ხშირად უდიერად და ღირსების შემლახველი წერილებით ესხმოდნენ თავს პრესაში. მას არ ტოვებდა განცდა იმისა, რომ მამის დაპატიმრების საფრთხე რეალური იყო, ვინაიდან ამ ტიპის წერილებს საბ-

ჭოთა სახელმწიფოში ხშირად ფატალური შედეგი მოჰყოლია.[53] იგი იხსენებდა, რომ ამ მხრივ, შექმნილ ვითარებაზე მშობლები არასოდეს მესაუბრებოდნენ, თუმცა მაინც გუმანით ვხვდებოდი და შინაგანი მზაობა მქონდა, წინააღმდეგობა გამეწია რეპრესიული რეჟიმის წარმომადგენლებისთვის, თუკი მამაჩემის წასაყვანად მოვიდოდნენო. სწორედ აქ, ამ თავში აღწერილ ბედის განმსაზღვრელ მოვლენებს გულისხმობს მწერალი, როდესაც ვაჟისადმი დაწერილ ცნობილ წერილში ყურადღებას ამახვილებს მაღალი ფასეულობებით ცხოვრებაზე, თუკი ზრდასრული ადამიანი მოინდომებს ამ საფრთხეების ღირსებით გავლას. ამ წერილში აქცენტი კეთდება ბიოგრაფიული თვალსაზრისით იმ უმნიშვნელოვანეს მომენტზე, როდესაც ახალგაზრდა კაცმა, როგორც პიროვნებამ, ცნობიერად უნდა გადადგას პირველი ნაბიჯები დიდი ცხოვრებისკენ:

„ჩემო საყვარელო დუკლი, მე სულ მგონია, როცა მე შენს ახლოს არა ვარ, შენ ჭკვიანად იქნები. მე ერთის მხრით, გული მტკივა, როცა შენი ბავშვობა თავდება. მეორეს მხრით, მიხარია, რომ შენ სადაცაა ყველა ჩემს სურვილებს გაიგებ და მალე მხარში ამომიდგები. ალბათ შენთვის დამიწერია (თუ მითარგმნია) მე ჰომეროსის სიტყვები: ზევსს გეფიცები, აგელაი, ზევსს და მამაჩემის ტკივილებს". ჩვენ ვცხოვრობთ ძლიერ სერიოზულ დროში და აწი დროა, შენ სერიოზულად ემზადო, რათა შესძლო გახდე ჩვენი ქვეყნის ღირსეული შვილი. გზაში მე გადავიკითხე შენი საყვარელი მუსიკოსების ბიოგრაფიები, ყველანი უკვე სიყრმიდანვე ემზადებოდნენ დიდი ამბებისთვის. გახსოვდეს, ეს ცხოვრება მოსაწყენზე მოსაწყენია, თუ ადამიანი არ იწვის რაიმე მაღალი და ზეაღმტაცი ამბებისათვის. ამის გარეშე სხვა ყველაფერი ემსგავსება იმ საცოდავ და უშინაარსო ცხოვრებას, რომელსაც ეწევიან ხოლმე მცენარეები და ცხოველები. თუნდაც ჩემი გამწარებული ცხოვრებაც რომ აიღო, მე რომ დიდი იდეებისთვის მოლაშქრედ არ წარმომედგინა თავი, ვეღარ გავუძლებდი იმ ქარიშხლებს, რომელთა გადატანაც ასე თუ ისე შევძელი. შენი მამიკო. 1955 წლის 8 დეკემბერი".

1962 წლის 26 მაისს დასრულდა ტეტრალოგია „დავით აღმაშენებელი", რომლის წერასაც მწერალმა 25 წელიწადი მოანდომა. ამ რომანს 40-იანი წლების ემიგრანტულ გამოცემა „გუშაგში" დადებითად გამოეხმაურა გრიგოლ რობაქიძე, რომელიც მალევე, 1962 წლის 19 ნოემბერს, ჟენევაში გარდაიცვალა. როდესაც ამ ამბავმა საქართველომდე ჩამოაღწია, ოფიციოზი, ცხადია, სამარისებრი მდუმარებით შეხვდა მას. კონსტანტინე გამსახურდიამ მოუწოდა ქართველ მწერლებს, მოსულიყვნენ სვეტიცხოველში გარდაცვლილი გრიგოლის სულის მოსახსენიებელ პანაშვიდზე.[54] იქ მოსვლა ვერავინ გაბედა, პანაშვიდს დაესწრო თავად მწერალი, მისი ოჯახის რამდენიმე წევრი, მათ შორის, ზვიად გამსახურდია, გრიგოლ რობაქიძის და, ლიდა რობაქიძე, და ასევე შალვა მაღლაკელიძე, დამოუკიდებელი საქართველოს პირველ რესპუბლიკაში ხელისუფლების რწმუნებული სამაჰმადიანო საქართველოში, ემიგრაციის პერიოდში ვერმახტის ქართული შენაერთის მეთაური და გენერალ-მაიორი,

ომისშემდგომი გერმანიის პირველი კანცლერის, კონრად ადენაუერის, მრჩეველი. იგი 1954 წელს გამოიტაცა საბჭოთა სუკ-მა (КГБ) დასავლეთ გერმანიდან. შალვა მაღლაკელიძე საპატიმროს დატოვების შემდეგ უბრალო იურისტად მუშაობდა საქართველოს სსრ-ში. ამ დროისთვის ზვიად გამსახურდია თავისი მსოფლმხედველობითა და შეხედულებებით უკვე ჩამოყალიბებული ახალგაზრდა კაცი იყო. იგი სვეტიცხოველში ამ დღეს თითქოს კიდევ ერთხელ შეხვდა სულ სხვა საქართველოს.

1.3. მამისეული სახლი და ოჯახური წრე

მეორე მსოფლიო ომის დასრულებიდან მალე კონსტანტინე გამსახურდია თავის ოჯახთან ერთად ახალ ბინაში გადავიდა – ეს იყო მთაწმინდაზე, გრიბოედოვის ქუჩა N21. ეს გადაბარგება უნდა მომხდარიყო 1949 წელს. ხოლო მწერლის ოჯახის გრიბოედოვის ქუჩაზე გადასვლამდე ორი წლით ადრე, კერძოდ, 1947 წელს, კოლხურ კოშკს საფუძველი ჩაეყარა, თუმცა იგი თავიდან უფრო აგარაკად და საზაფხულო სახლად იყო ჩაფიქრებული. თავიდან მწერალს ნაკვეთი საბურთალოზე შესთავაზეს, რომელიც, სავარაუდოდ, შორ ადგილად მოეჩვენა. ზემო ვერა იმ დროს საკმაოდ მეჩხრად იყო დასახლებული და სიმწვანით გამოირჩეოდა. ვერის განაპირას, ყიზლარის ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთ კლდესთან მოიჭრა მიწა, სადაც ორი სამოსახლო გაკეთდა – ერთი კონსტანტინესთვის, მეორე მისი მძღოლის, ავქსენტი ნოწორიასთვის. ერთ-ერთი მიზეზი, თუ რატომ უნდოდა მწერალს სახლის აშენება აქ, იყო დედის საფლავთან სიახლოვე, რომელიც ვერის სასაფლაოზე დაიკარგა. ეს უნდა მომხდარიყო 1928 წელს, როდესაც გადასახლებიდან დაბრუნებულმა მწერალმა და მისმა დამ, სოფიომ, საფლავი ვეღარ იპოვეს. დიდი ალბათობით, საფლავი ან მთლიანად განადგურდა, ან ვიღაც დაასაფლავეს მის უშუალო სიახლოვეში და მანამდე მათთვის უცნობი საფლავი გადაასწორეს, როგორც ეს არაერთგზის მომხდარა.

კოლხური კოშკის მშენებლობა 1947 წელს კი დაიწყო, თუმცა რიგი მიზეზების გამო იგი მხოლოდ 1959 წელს დასრულდა იმდენად, რომ საცხოვრებლად ვარგისი გახდა და მწერლის ოჯახი მთლიანად გადავიდა იქ. სახლის მშენებლობის პროექტი, თავიდან, შეადგინა არქიტექტორმა დავით ცაბაძემ, რომელიც იყო პოეტ ალექსანდრე აბაშელის მეუღლის დისწული. იგი პოლიტიკურ საქმეზე უნდა ყოფილიყო დაპატიმრებული. მოგვიანებით მშენებლობა ინჟინერმა ფრიდონ გუჯეჯიანმა გადაიბარა. თავიდან ნავარაუდევი იყო სულ ოთხი ოთახი ორ სართულზე, რომელთაც მერე კიდევ ორი ოთახი მიემატა. ერთოთახიანი მესამე სართული, კრამიტიან სახურავზე ამაღლებული, რომელიც სახლს აგვირგვინებდა, ქმნიდა სწორედ „კოშკის“ შთაბეჭდილებას, თუმცა ის ერთ მხრიდან გახსნილი იყო, მხოლოდ მოაჯირით მოზღუდული და

მასში საცხოვრებელი ოთახი არ ყოფილა გამართული – ცალ მხარეს გახსნილ სივრცეში მხოლოდ მტრედები ბინადრობდნენ. არადა, თავდაპირველ, ცაბაძისეულ პროექტში იგი ოთხივე მხრიდან გახსნილი ყოფილა. სახლს ერთხანს გერმანელი ტყვეებიც კი აშენებდნენ, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო ეს მშენებლობა შეჩერდა და ვეღარ გაგრძელდა. ხელისუფლება დახმარებას არ აპირებდა, მწერალს კი შესაძლებლობები არ ჰქონდა – რამდენადაც ლიტერატურული პროდუქციის დაბეჭდვის საქმე ფრიად გაძნელდა. ჰონორარი კი პირდაპირ დამოკიდებული იყო გამომცემლობაზე. 1947 წელს მხოლოდ საძირკველი იყო მზად. როგორც ჩანს, მშენებლობაზე პირდაპირ აისახა გართულებული ურთიერთობა დიდი ომის დასრულების შემდგომ საქართველოს მაშინდელ ცენტრალურ კომიტეტთან, რომელსაც ცეკას პირველი მდივანი აკაკი მგელაძე ხელმძღვანელობდა.

სახლის შენება ძირითადად 1958 წელს დასრულდა და ჯერ საცხოვრებლად არ იყო გადასული, რომ კონსტანტინემ იქ დაპატიჟა შალვა დადიანი, ლეო ქიაჩელი და პავლე ინგოროყვა. მწერლებმა ბუხარში მწვადი შეწვეს, კონსტანტინეს ხელით დაყენებული ღვინით ეზო-კარი დალოცეს. კოლხური კოშკის ბაღში დაირგო ყურძნის ჯიშები, მათ შორის – მეგრულიც. ეზოს წინა მხარეს ადესა იყო ტალავერზე გაშვებული. უკანა მხარეს ბაღში უკეთესი ჯიშები ხარობდა. ბაღი სულ, ალბათ, 800-დან 1 000 კვ.მ-მდე იქნებოდა. სახლს წინ პატარა ეზო ჰქონდა, რომლის შესასვლელში ორი მუხა კონსტანტინე გამსახურდიამ თვითონ დარგო. ბაღში ასევე ხარობდა ბლის, ატმის და ნუშის ხეები, ხურმა. კოლხური კოშკი ვარაზისხევს გადაჰყურებს. ადგილს რთული რელიეფი აქვს. ადრე კლდე ცოცავდა და მოგვიანებით ბეტონის სარტყელში ჩასვეს. გადასახედზე ალვის ხეების რიგი იყო, ოღონდ ისინი დროთა განმავლობაში ქარმა და რელიეფის ცვლილებამ წააქცია.

ჯერ კიდევ ჯაფარიძის ქუჩაზე მდებარე მოკრძალებულ ბინაში მწერლის ოჯახთან ერთად ცხოვრობდა მისი უფროსი ქალიშვილი პირველი ქორწინებიდან ნათელა გამსახურდია. ნათელა ჭიათურაში იყო დაბადებული, დედისეულ სახლში, რომელიც ჭიათურის მღვიმევის მონასტრის მოძღვარს, ესაია ვაშაძეს, ეკუთვნოდა. ნათელას დედა და კონსტანტინე გამსახურდიას პირველი მეუღლე რებეკა ვაშაძე მღვდელმსახურის ასული გახლდათ. თავად ნათელა, რომელიც უდედოდ ჭიათურაში იზრდებოდა (როგორც ზემოთ აღინიშნა, რებეკა ვაშაძე 30-იანი წლების დასაწყისში მოულოდნელად გარდაიცვალა ჭიათურაში), სკოლაც იქ დაასრულა, თუმცა 1937 წელს მირანდა ფალავანდიშვილმა მას ჩააკითხა ჭიათურაში და წამოიყვანა მამისეულ სახლში. 1947 წელს ნათელა ცოლად გაჰყვა წყალტუბოს ბალნეოლოგიური კურორტის მთავარ ექიმს, ამილო ახობაძეს, და მეუღლესთან წყალტუბოში გადავიდა საცხოვრებლად. დედინაცვალსა და გერს შორის, შეიძლება ითქვას, დამყარდა იდეალური ურთიერთობა, როგორიც ცხოვრებაში იშვიათად ხდება. ეს ჰარმონიული და კეთილგანწყობილი ურთიერთობა მირანდას გარდაცვალებამდე შენარჩუნდა.

ზვიადის მეორე და, თამარი, ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა ისტორიისადმი სიყვარულით. ზვიად გამსახურდია აღნიშნავს, რომ მის აღქმაში ის შინაგანი ძალისა და სიბრძნის განსახიერება იყო. თამარის ფავორიტი უცხო ენა, ძმისგან განსხვავებით, ფრანგული იყო, თუმცა ინგლისურსაც საკმაოდ კარგად ფლობდა. მოგვიანებით სომხური ენის, კერძოდ, გრაბარის ანუ ძველსომხურის შესწავლაც დაიწყო, რის გამოყენებასაც ისტორიულ კვლევებში ფიქრობდა. იგი 1960 წელს ცოლად გაჰყვა საბჭოთა კავშირის სპორტის დამსახურებულ ოსტატს, თბილისის დინამოს ერთ-ერთ წამყვან მოთამაშეს, ერთხანს სსრკ-ის კალათბურთელთა ნაკრების კაპიტანს, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონს, გურამ მინაშვილს. თამარსა და ზვიადს ერთმანეთისგან საკმაოდ განსხვავებული სამეგობრო წრე ჰყავდათ. 60-იანი წლებიდან თამარმა, რომელიც ცნობილი ქართველი ისტორიკოსის, პროფესორ შოთა მესხიას მოწაფე იყო, ასპირანტურა დაასრულა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრაზე და დაწერა სადისერტაციო ნაშრომი საქალაქო ცხოვრების შესახებ გვიანანტიკურ და ადრექრისტინულ იბერიაში. ამ ნაშრომის ავტორეფერატიცა და სრული ტექსტიც ინახება მოსკოვში, ლენინის სახელობის ბიბლიოთეკის ხიმკის ფილიალის არქივში. შემდგომ იგი უკვე კათედრაზე იყო და კითხულობდა ლექციებს – იმავე კათედრაზე, სადაც იყვნენ პროფესორები ნოდარ ასათიანი და მარიკა ლორთქიფანიძე. დალი ლოლუა ასე ახასიათებს მას: „თამრიკო საოცრად შრომისმოყვარე და საქმიანი გახლდათ ყოველთვის. ჯერ კიდევ საწოლში შეუდგებოდა კითხვას და ლექციების მზადებას, შემდეგ სწრაფად ნამოხტებოდა, თავს მოიწესრიგებდა, წიგნებსა და საჭირო მასალას ჩანთაში ჩააწყობდა და უნივერსიტეტში წასასვლელად მოემზადებოდა“.[55] თამარს ისტორიის გარდა კლასიკური მუსიკა იტაცებდა. ბეთჰოვენი იყო მისი საყვარელი კომპოზიტორი.

კონსტანტინე გამსახურდიას მამის საკმაოდ მრავალრიცხოვანი ოჯახიდან (მწერლის ჩათვლით, ექვსი ძმა და ორი და, სვიმონ გამსახურდიას ორი ქორწინებიდან) 30-იანი წლების რეპრესიების შედეგად მხოლოდ ერთი და იყო დარჩენილი – სოფიო (ფაჩა) გამსახურდია-ხაინდრავა. იგი გათხოვილი იყო სიმონ ხაინდრავაზე, რომელიც ეკუთვნოდა ჩინეთის ხარბინში, ბიზნესის სფეროში მოღვაწე ქართველთა ჯგუფს. სიმონი გახდა „ეჟოვშჩინის“ რეპრესიების მსხვერპლი საქართველოს სსრ-ის სათავეში ლავრენტი ბერიას აღზევების შემდეგ. რამდენადაც სოფიო ასევე ხშირად სტუმრობდა ძმის ოჯახს, როგორც თვითმხილველნი იგონებენ, მწერალი და სოფიო ხან ქართულად ურთიერთობდნენ, ხანაც – მეგრულად. სოფიოს ქალიშვილი იყო შემდგომში ცნობილი მსახიობი და ქართული ლიტერატურული ტექსტების მხატვრული წაკითხვის ოსტატი, საქართველოს დამსახურებული არტისტი თათია ხაინდრავა. შეიძლება ითქვას, რომ თათია თამარსა და ზვიადთან ერთად იზრდებოდა.

კონსტანტინე გამსახურდიას ოჯახში ასევე ხშირად მოდიოდნენ მწერლის უფროსი ძმის, ლუკას, ქალიშვილი მერი, მოსკოვში მოღვაწე ცნობილი ქართვე-

ლი საბჭოთა ჟურნალისტის, ნიკოლოზ მიქავას, მეუღლე, ასევე, მათი ქალიშვილი, ნანი მიქავა. თამარსა და ზვიადზე ასაკით უფროსი იყო კონსტანტინეს 1937 წელს რეპრესირებული ძმის, ვიქტორ გამსახურდიას, ვაჟი სვიმონი (შინაურულად სულიკო), რომელიც მწერალმა თავისთან გადმოიყვანა ერთხანს, ვიქტორის დახვრეტის შემდეგ. ვიქტორის გარდა, იმავე წელს დახვრიტეს კონსტანტინეს უფროსი ძმა ალექსანდრე, ასევე, მისი ძმის, ლუკას ვაჟი, ბაჯუ გამსახურდია. სვიმონი მწერლის მზრუნველობისა და ყურადღების ქვეშ მოექცა. მან ისტორიის ფაკულტეტი დაასრულა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და მუშაობდა აღზრდის სისტემისა და სწავლა-განათლების ისტორიის შესწავლაზე ძველ საქართველოში. შემდგომში იგი თბილისში პუშკინის პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორი იყო, სადაც კითხულობდა ლექციებს. თავად სვიმონი მოგონებებში წერდა, რომ მწერალმა გადამწყვეტი როლი ითამაშა მისი ცხოვრებისეული ორიენტირებისას და იმ დიდი სულიერი ტრავმის გადალახვისას, რაც ოჯახზე თავსდამტყდარმა რეპრესიამ გამოიწვია.

კონსტანტინე გამსახურდიას დედის ნათესავების, თოფურიძეების, მხრიდან მწერლის ოჯახთან იმთავითვე განსაკუთრებული შინაგანი კავშირი ჰქონდა ორ ადამიანს. ერთი იყო ვალოდია თოფურიძე, რომელიც უფრო სამეურნეო სფეროში იყო დასაქმებული. იგი ყოველთვის მხარში ედგა მწერალს, მეტადრე, ცხოვრების მძიმე პერიოდებში. რამდენადაც ამის შეძლება ჰქონდა, იგი ფინანსურადაც არაერთგზის დახმარებია მას. ყოველთვის, როდესაც სუფრა გაიშლებოდა, კონსტანტინე თამადობას ვალოდია თოფურიძეს სთხოვდა ხოლმე. მეორე ეს იყო კონსტანტინეს ბიძაშვილი ჯოდოლი თოფურიძე, რომლის სახლიც სოხუმში მდებარეობდა. თოფურიძეები სოხუმში ერთხანს თამბაქოს ბიზნესსაც მისდევდნენ საკმაოდ წარმატებულად. კონსტანტინეს სწავლების წლებში ჯოდოლიც სწავლობდა გერმანიაში, თუმცა სწავლას იმდენად გული ვერ დაუდო. იგი ხშირად „ჰედონისტური“ იდეების პოზიციებიდან მეგობრულად შეკამათებია მწერალს, – რა საჭიროა ამდენი კითხვა, წერა და ინტელექტუალური შრომა, კაცი ერთხელ ცხოვრობ, ოხრახუში ხომ არა ხარ, რომ ბევრჯერ მოხვიდე ამქვეყნად. ხომ ამბობდა ძია სუმო (იგულისხმება მწერლის მამა სვიმონ გამსახურდია), რომ, რაც დასაწერი იყო, ყველაფერი ბიბლიასა და „ვეფხისტყაოსანში“ დაიწერა? ამიტომაც მიუხედოთ ლამაზ ქალებს, ვიკითხოთ ომარ ხაიამი, ამ ქვეყანას მე და შენ მაინც ვერ გავასწორებთო. მიუხედავად ამ სახალისო შეკამათებებისა, კონსტანტინესა და ჯოდოლის ურთიერთობა სისხლის ნათესაობის რუტინულ დონეს აცდენილი იყო და ბოლომდე შერჩათ ნამდვილი მეგობრობა. მწერლის სამეგობრო წრიდან ერთ-ერთი, მის მსგავსად ასევე სიღრმისეულად დაკავშირებული გერმანიასა და მის კულტურასთან, იყო რაფიელ ნიჟარაძე, უშგულელი ნიჟარაძეების შთამომავალი. მისი მამა, ბესარიონი, „თავისუფალი სვანი“ იყო. იგი უშგულის ლამარიას ეკლესიასთანაა დაკრძალული. რაფიელმა გერმანიაში დაასრულა ერთ-ერთი უნივერსიტეტი. იგი ბრწყინვალე გერმანულით საუბრობდა. მისი

მეუღლე ბოლნისელი (კატარინენფელდი) გერმანელი იყო, სახელად შარლოტე. 1924 წლის აჯანყების შემდეგ, როდესაც რეპრესიები კარგა ხანს მძვინვარებდა, კონსტანტინემ ერთხანს თავი შეაფარა უშგულს, სადაც ცხოვრობდა რაფიელის და მისი მამის, ბესარიონ ნიჟარაძის, ოჯახში. ეს მოგონებები ალუზიურად ცოცხლდებიან „მთვარის მოტაცებაში“, როდესაც მისი გმირები სვანეთს აფარებენ თავს.

ეს ადამიანები ოჯახის საახლობლო წრეს განეკუთვნებოდნენ, მათთან ურთიერთობა მართლაც ფასეული იყო მწერლისა და მისი მეუღლისთვის, ასევე, შვილებისთვის, თუმცა იყო უფრო ფართო წრეც, რომლის წარმომადგენლებიც კონსტანტინე გამსახურდიასთან უკვე სხვა დონეზე ურთიერთობდნენ. მათ უკვე ქართული კულტურის ფასეულობებისთვის, დაკარგული სახელმწიფოებრიობისთვის და რეალურად არსებული საბჭოთა რესპუბლიკის მეტის-მეტად შეზღუდული სუვერენიტეტისთვის ზრუნვა აკავშირებდათ ერთმანეთთან და, ცხადია, ფიქრი ქვეყნის ბედზე. ესენი იყვნენ მწერლები, მეცნიერები, მოღვაწეები. ზვიადი მოგვიანებით დასძენდა, რომ მათ დიდი როლი შეასრულეს მისი ხასიათისა და მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში. მათ მოგვიანებით შევეხებით.

1.4. ზვიად გამსახურდია მოწაფეობის წლებში და ომის შემდგომი საქართველოს რეალობა

ზვიად გამსახურდია, როგორც უკვე აღინიშნა, I ვაჟთა სკოლაში სწავლობდა, რომლის დირექტორი იმჟამად იყო საბავშვო მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ქუთაისელი ინტელიგენციის წარმომადგენელი კონსტანტინე (ჯაჯუ) ჯორჯიკია. ეს ადამიანი მოჩანს ცნობილ ჯგუფურ ფოტოზე, რომელიც 1912 წელსაა გადაღებული ქუთაისის ბაღში. მასზე აკაკი, დავით კლდიაშვილი, იროდიონ ევდოშვილი, გალაკტიონი, ტიციანი და სხვა ქართველ მწერლები მოჩანან. ჯაჯუ ფოტოზე კონსტანტინე გამსახურდიას გვერდით დგას.

კლასში ზვიად გამსახურდიასთან ერთად სწავლობდნენ ანატოლი მიქაძე, თამაზ გუნჯუა, III კლასიდან მათ შეემატათ მერაბ კოსტავა, თემურ ცერცვაძე, ჯონდო მეტრეველი, გურამ სხირტლაძე, ვოვა სიხარულიძე, VII კლასიდან – გურამ დოჩანაშვილი, რომელიც მანამდე პარალელურ კლასში სწავლობდა, თუმცა ამავე კლასის ბიჭებთან მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა. პირველ სკოლაში ასევე სწავლობდნენ გურჯი ფხალაძე (ბიძინა სავანელი), ზურაბ ბაძაღუა, ჯემალ გოლეთიანი, აკაკი (კაკულიკა) ვასაძე და სხვები. 1953 წლამდე ზვიადის კლასში სწავლობდა გელა ჩარკვიანიც, რომელიც მამის, კანდიდ ჩარკვიანის, საქართველოს კომპარტიის პირველი მდივნის გადაყენების შემდეგ (1938-1953 წლებში) მოსკოვში გადავიდა ოჯახთან ერთად. მოგვიანებით, სიკვდილამდე არცთუ დიდი ხნით ადრე გაკეთებულ ჩანაწერებში, ზვიად გამ-

სახურდია ასე იხსენებს თავის მოწაფეობას: „გულჩათხრობილი, მგრძნობიარე, ნაადრევად ტრავმირებული ბავშვი ვიყავი: უსაშველოდ აწოწილი, გრძელი ცხვირით; გრძელი ხელები დამთრევდა, მწყობრში მუდამ ფეხი მერეოდა, სკოლაში აშკარად მწყინდებოდა, მაგრამ კეთილსინდისიერად ვსწავლობდი. მასწავლებლებს მაინცადამაინც არ ვუყვარდი“. ასეთი თვითდახასიათება სწორი არ უნდა იყოს, – დასძენს სოსო სიგუა.[56]

საბჭოთა ომის შემდგომი სკოლა ნამდვილ ყაზარმას წააგავდაო, – განაგრძობს ზვიად გამსახურდია, – სადაც განსხვავებულ აზრს ვერ იტანდნენო. მოსწავლეების მუშტვრა პირველი კლასიდან იწყებოდაო. სკოლაში ყველგან ლენინის და სტალინის სურათები ეკიდაო. დასამახსოვრებელი ლოზუნგებიდან იგი გამოყოფს შემდეგს: „მადლობა დიდ სტალინს ჩვენი ბედნიერი ბავშვობისთვის“, ასევე „სტალინი ეს არის ლენინი დღეს“. პიონერთა იდეალი პავლიკ მოროზოვი იყოო, რომელმაც „კულაკი“ მამა ჩეკისტებს დაახვრეტინა, ხოლო პედაგოგებისა – მაკარენკო, სტალინური საბჭოთა პედაგოგიკის კორიფე. ზვიადი კომკავშირელი არასოდეს ყოფილა – ამ ორგანიზაციაში გაწევრიანება მისთვის არც შეუთავაზებიათ, მიუხედავად იმისა, რომ მიღება საკმაოდ რუტინული პროცესი იყო.[57] ამ სკოლაში ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდნენ გრიგოლ კუტუბიძე და კატო დათუნაშვილი, მათემატიკას და გეომეტრიას ასწავლიდნენ ლომგურაშვილი და ბერიტაშვილი, აკადემიკოსი ივანე ბერიტაშვილის და (ბ-მა გელა ჩარკვიანმა ჩემთან საუბრისას ამ პედაგოგების სახელები ვეღარ გაიხსენა), ბოტანიკას – ყანჩაველი, ინგლისურ ენას – ზინა თოხაძე.

ისევე, როგორც ყველა საბჭოთა სკოლაში, იდეოლოგიური შაბლონების ნაკლებობა არც ამ სკოლაში ყოფილა. საქართველოს ისტორია სსრკ-ის ისტორიასთან ერთად ისწავლებოდა, ისიც დამახინჯებულად და საბჭოთა სახელმწიფოსა და მისი მმართველი ძალის, კომპარტიის პოლიტიკური რეზონის შესაბამისად. ზვიადის, მერაბისა და მათი მეგობრების მაძიებელი, კრიტიკული გონება, ცხადია, არ კმაყოფილდებოდა იმ იდეოლოგიური შაბლონებით, რომელთაც მათ სთავაზობდა ქართული საბჭოთა პედაგოგიკა. ბიჭები ხშირად აწყობდნენ დისპუტებს, განიხილავდნენ ამა თუ იმ ლიტერატურულ ნაწარმოებს ან ისტორიულ მოვლენას ისეთი ცოდნის ჭრილში, რომელიც, შესაძლოა, მათ ოჯახებიდან ჰქონოდათ. 1955 წლამდე ყველაფერი, ცხადია, სტალინის უზომოდ განდიდებული პიროვნებით, მისი დამსახურებების უზომო მნიშვნელოვნების წარმოჩენით იყო აღბეჭდილი. ამ სტრიქონების ავტორს ნანახი აქვს ზვიად გამსახურდიას მიერ 13 წლის ასაკში დახატული სტალინის გრაფიკული პორტრეტი – მას ცალსახად მონღოლური ნაკვთები და გამომეტყველება ჰქონდა და თათარ-მონღოლთა ურდოს რომელიღაც მბრძანებლის ნიშნებს ატარებდა. დღევანდელი გადასახედიდან ძნელი სათქმელია, ეს თავისთავად ასე გამოვიდა, თუ თავად დამხატველმა ჩადო მასში რაიმე აზრი და პორტრეტიც შესაბამისად აღიბეჭდა ამითი.

ამ ბიჭების საყვარელ გასართობს წარმოადგენდა სალაღობო „ეპოსი", რომლის მთავარი გმირიც იყო წყნეთელი ვირი, სახელად „ყანეული". ეპოსს ბიჭები თავად თხზავდნენ, ხან მონათხრობის, ხან ლექსის ფორმით და თავადვე იცინოდნენ საბჭოთა დიქტატორის განზოგადებულ ტიპზე. ვინც „განდობილი" არ იყო, ვერ ხვდებოდა, რა აცინებდათ ახალგაზრდებს.

ამ ვირმა თავბრუდამხვევი სამხედრო-პოლიტიკური კარიერა გაიკეთა და უზარმაზარი იმპერიის განმგებელი გახდა. იგი რკინის ფლოქვით მართავდა იმპერიას და დაუნდობლად სჯიდა ურჩებს. დავაკვირდეთ: თუ ჯ. ორუელის სატირულ მოთხრობაში ცხოველთა ფერმაზე, დიქტატურას ღორები ამყარებენ, ამ ბიჭებთან ვირებს აქვთ დაახლოებით იგივე როლი. იმ დროს ვირები ჰყავდათ წყნეთელ მემაწვნეებს, რომლებსაც მათი გამოყენებით მაწონი ქალაქში ჩამოჰქონდათ, მაგრამ კანდიდ ჩარკვიანის მმართველობის პერიოდში ვირების ქალაქში შემოყვანა აკრძალეს.

ბიჭები ასევე ძალიან ერთობოდნენ ქალაქური ქუჩური სუბკულტურის ორი კომიკური წარმომადგენლის, ძმების, შალიკოსა და გოგიას, გამოგონილი ისტორიებით. ასე დასცინოდნენ ეს ახალგაზრდები „კაი ბიჭობის" იმდროინდელ ქუჩურ მენტალობას, რომელიც თბილისის სხვადასხვა უბანში საკმაოდ მოდებული იყო. აქვე სპორტულ განვითარებაზეც უნდა ითქვას: ზვიად გამსახურდიას სპორტის ორი სახეობა იზიდავდა – ეს იყო დისტანციაზე სირბილი, რომელიც განსაკუთრებულ სისწრაფესა და გამძლეობას მოითხოვდა, ასევე, კრივი. როგორც სერგო ბერძენიშვილი აღნიშნავს, იგი, დაახლოებით, ექვსი თვის განმავლობაში ვარჯიშობდა კრივში.[58] მერაბ კოსტავას ფეხბურთი იტაცებდა, თუმცა ზვიად გამსახურდია იმდენად არ ყოფილა ჩართული ფეხბურთის თამაშებში, რომელიც მეტწილად ვერის ბაღში იმართებოდა ხოლმე. მისი გატაცება ასევე იყო ცურვა, რაზე სიარულიც მოუწია მას შემდეგ, რაც სამეგრელოდან ჩამოსულს, 1953 წელს, ბრონქიტი დაემართა. რამდენადაც იყო საფრთხე, ეს ბრონქიტი თანდათან ასთმაში გადასულიყო, მან დაიწყო ცურვაზე სიარული. ამ თერაპიამ მართლაც გაჭრა და იგი გამოჯანმრთელდა. ზვიადი, ასევე, სრიალებდა თხილამურებითაც.[59] იმის გამო, რომ იგი ერთხანს მეტისმეტად გაიტაცა ცურვამ, კონსტანტინე გამსახურდიამ წერილი მისწერა მას, სადაც ვკითხულობთ: „შენ უნდა გამოხვიდე ბრწყინვალე ინტელექტის ადამიანი... ლორდ ბაირონს დარდანელის გადაცურვით როდი მოუპოვებია უკვდავება, არამედ თავისი პოემებით. რამდენი იდიოტი რამდენ კილომეტრს გადასცურავს, ამას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონია არასდროს".[60]

რაც შეეხება უცხო ენებს, საბჭოთა სკოლებში ენების სწავლება ნამდვილად არ იდგა სათანადო დონეზე, თუ, რასაკვირველია, გამონაკლისთან არ გვქონდა საქმე. გურამ დოჩანაშვილის თქმით, „ზვიადს ინგლისური ბალღობიდანვე შეასწავლა კარგმა და ქვეყანამოვლილმა კაცმა, ლევან ხაინდრავამ".[61] ლევანი კონსტანტინე გამსახურდიას სიძის, სიმონ ხაინდრავას, ბიძაშვილი

იყო. ზვიადი ჩვენთან შედარებით მეტად ერკვეოდა ლიტერატურაში და მხატვრობაშიო, – დასძენს იქვე გურამ დოჩანაშვილი.

იმ ცნობილი მოვლენების შემდეგ, რომლებსაც ზვიადის და მისი მეგობრების პირველი დაპატიმრება მოჰყვა, მას სკოლის დატოვებამ მოუწია 1956 წელს, რამდენადაც კლასი დაშალეს. სკოლის დირექციისთვის არ იქნებოდა მარტივი მუშაობის ისე გაგრძელება, ვითომც არაფერი მომხდარიყო. ამიტომ ზვიადი გადავიდა 47-ე საშუალო სკოლაში, რომელიც უკვე აღარ იყო მხოლოდ „ვაჟთა" სკოლა – იმ წლიდან ქალთა და ვაჟთა სკოლები გაერთიანდნენ. ბოლო კლასი ამ სკოლაში ისწავლა და ამიტომაც ყველგან, სადაც საუბარია მის სკოლამდელ პერიოდზე, მითითებულია 47-ე საშუალო სკოლის დასრულება. ამავე დროს ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა, ჩვეულებრივი საშუალო სკოლის პარალელურად, სწავლობდნენ ალექსანდრე ჭავჭავაძის ქუჩაზე მდებარე მუსიკალურ ანუ „ნიჭიერთა" ათწლედში, რომელსაც ჰქვია ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სკოლა. როგორც გურამ დოჩანაშვილი აღნიშნავს, ზვიადი საკმაოდ კარგად უკრავდა ფორტეპიანოზე, ოღონდ, მერაბივით ვერა.[62] მერაბ კოსტავა თავიდან პროფესიონალი პიანისტის კარიერაზე ფიქრობდა. მისი დღის წესრიგიც, რაც შეეხება ინსტურმენტთან მუშაობას, შესაბამისი იყო. ყმაწვილებმა, მინიმუმ, 4 წელი იარეს ამ სკოლაში. აქ ისინი, ინსტრუმენტზე დაკვრასთან ერთად, სწავლობდნენ მუსიკის თეორიასა და ჰარმონიას, სოლფეჯიოსა და მუსიკალურ ლიტერატურას.

ზვიად გამსახურდიას ფორტეპიანოს მასწავლებლები აქ იყვნენ ემილი გურევიჩი, რომელმაც არაერთი მაღალი დონის პიანისტი გამოზარდა, ასევე, მისი მეუღლე როზა რაჟოკი. ზვიადის კლასელის, იუნონა აფაქიძის, თქმით, სოლფეჯიოს და მუსიკის თეორიას აქ მას ასწავლიდა რუბენ ჭიჭინაძე.[63] რამდენადაც ცნობილია ზვიად გამსახურდიას პირველი მეუღლის, დალი ლოლუას, გადმოცემიდან, რომელიც ასევე ამ ათწლედში სწავლობდა, მისი სადიპლომო ნამუშევარი იყო საგამოცდოდ შესრულებული ფ. შოპენის ერთ-ერთი პოლონეზი. როგორც აღმოჩნდა, ეს პოლონეზი იყო N3, A-მაჟორი, რომელსაც სხვაგვარად „სამხედრო" პოლონეზიც ჰქვია. იგი ფრედერიკ შოპენმა 1838 წელს შექმნა. პიანისტი არტურ რუბინშტაინი შენიშნავს, რომ ეს პოლონეზი კომპოზიტორმა ჩაიფიქრა, როგორც პოლონეთის დიდების ერთგვარი ჰიმნი, ხოლო C-მინორი პოლონეთის ტრაგედიას და დამხობას გამოხატავს. ზვიადის კლასელი, მუსიკათმცოდნე იუნონა აფაქიძე იხსენებს: „სამუსიკო სტუდიის მეექვსე კლასს ვამთავრებდით და ბოლო დღეს ზვიადი მეკითხება, ნამღერებით: „შენ ეს ნაწარმოები გაქვს?" ჯერ ვერ მივხვდი, შემდეგ მე წავუმღერე და დასტურის მერე ვუთხარი: რად გინდა, ძალიან რთული ნაწარმოებია და ვერ ისწავლი-მეთქი. ეს გახლდათ შოპენის N3 პოლონეზი. იუკადრისა და მაშინვე გამომყვა სახლში, ნოტების წამოსაღებად. უკვე მე-7 კლასში, ოქტომბრის ბოლოს მითხრა, გაკვეთილების შემდეგ დავრჩენილიყავი. მივხვდი, რა საქმეც ექნებოდა. შემიყვანა თავისუფალ კლასში და დაიწყო შოპენის პოლონეზის

დაკვრა. უკრავდა ჟინით, დიდი შემართებით, იმ მასშტაბურობით, რომელსაც ეს ნაწარმოები მოითხოვს; მაგრამ ინსტრუმენტს 7-8 სიმი მაინც „დააგლიჯა“: მოზღვავებულ ენერგიას ვერ გაუძლო ლითონმა... ამ ნაწარმოებს უკრავდა კონცერტსა და გამოსაშვებ გამოცდაზეც, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ცენტრალურ მუსიკალურ სკოლაში ჩარიცხვის დროსაც და დამთავრებისასაც. თავისთავად ცხადია – ყოველთვის, ინსტრუმენტის რამდენიმე სიმი ეწირებოდა ზვიადის მიერ ამ ნაწარმოების შესრულებას. მერაბ კოსტავას არაერთხელ უთქვამს ჩემთვის: „შენ მოგეცა მაგის ცოდვა, რატომ უთხარი, ვერ ისწავლიო?!“ ამაზე ბევრს ვიცინოდით და თავად ზვიადიც გულიანად ხარხარებდა“.[64] ეს პოლონეზი სწორედ იმ ოპტიმისტურ, მხნე და იმედიან განწყობას ატარებს, რომლითაც დიდი ცხოვრების გზას იწყებდა ზვიად გამსახურდია.

კლასიკური მუსიკის გარდა ამ ბიჭებს არანაკლებ იზიდავდა ქართული მუსიკალური ფოლკლორი. ხალხურ სიმღერებს ისინი სკოლის ასაკიდან კარგად მღეროდნენ – მათ შეეძლოთ ქართული ხალხური სიმღერების ხმაშეწყობილად შესრულება. გურამ დოჩანაშვილი იგონებს: „ჩვენი ბიჭებიდან კიდევ ორს – თემურ ცერცვაძეს (...) და მე გვქონდა მუსიკალურად ოფიციალური „საშუალო“ განათლება, თამაზ გუნჯუა შესანიშნავად მღეროდა, უკრავდა ნამდვილ და არა ელექტროგიტარაზე, თითქმის ყველანი ვმღეროდით, ყველაზე უკეთ თამაზი და მერაბი და ზვიადიც, თუმცა მაინცადამაინც შთამბეჭდავი ხმა არ ჰქონდა“. გ. დოჩანაშვილი იქვე აღნიშნავს, რომ ხალხური სიმღერა „შავლეგო“ მერაბს ამ დროიდან უყვარდა განსაკუთრებულად.

ზვიადსა და მერაბს ბავშვობიდანვე გამორჩეული ურთიერთობა ჰქონდათ. მე და მერაბს გვაკავშირებდა სპორტი, ნადირობა, მუსიკა, პოეზია და სიყვარული საქართველოსადმიო, – წერს ზვიად გამსახურდია. მე ძალიან მიყვარდა მის სახლში სტუმრობა, ასევე ვერაზე, მის მყუდრო ეზოში ყოფნაო.[65] კონსტანტინე გამსახურდიას გარდა – მათ ჰყავდათ კიდევ ერთი სამაგალითო ადამიანი: გრიგოლ კოსტავა (1907-1979) მერაბ კოსტავას ბიძა, საქართველოს სახალხო არტისტი. რამდენადაც 1948 წლიდან ზვიადი და მერაბი ერთ სკოლაში იყვნენ და ერთ კლასში სწავლობდნენ (მერაბი მე-7 ვაჟთა სკოლიდან, სადაც სულ ორი წელი ისწავლა, გადმოიყვანეს I ვაჟთა სკოლაში), ზვიადს ადრიდანვე მოუწია შეხება მერაბის ოჯახთან. გრიგოლ კოსტავა მარჯანიშვილისა და ნაძალადევის თეატრების მსახიობი იყო, მეორე მსოფლიო ომის დროს გაწევრიანდა არალეგალურ, პატრიოტულ და ანტისაბჭოთა ორგანიზაციაში – „ხსნის კომიტეტი“. მისი წევრები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ომს გერმანია მოიგებდა და საქართველო განთავისუფლდებოდა სსრკ-ის კლანჭებიდან. 1945 წელს გრიგოლ კოსტავას ამ ორგანიზაციის წევრობისა და ანტისაბჭოთა პროპაგანდისთვის დახვრეტა მიუსაჯეს, შემდეგ კი ათწლიანი პატიმრობით შეუცვალეს და ციმბირში გადაასახლეს. იგი 1955 წელს, ხრუშჩოვისდროინდელი ლიბერალიზაციისა და „ოტტეპელის“ შემდეგ, სამშობლოში დაბრუნდა

და, როგორც მსახიობმა, მუშაობა განაგრძო ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრში. გრიგოლი დიდ იმედებს ამყარებდა როგორც თავის ძმისშვილზე, ისე მის მეგობარ ზვიადზე. მას ამ უკანასკნელისთვის შეკითხვაზე, თუ რა ამხნევებდა იმ უმძიმეს პირობებში, ასეთი რამ მოუყოლია: როგორც მსახიობს, ყოველთვის მეოცნებებოდა თარაშ ემხვარის როლის თამაში სცენაზე, ის ჩემი საყვარელი გმირი იყო და არის; და როდესაც განსაცდელში აღმოვჩნდი, სწორედ ენგურის ტალღებთან შეჭიდებული თარაში იყო ჩემი იდეალი, ძალებსაც ეს ხატება მაძლევდაო.

1.5. კათალიკოსი კალისტრატე ცინცაძე, ნათლობა და ნათლიები

ზვიად გამსახურდიას ბავშვობიდან მოყოლებული ჰქონდა ინტერესი რელიგიის, ასევე, ეკლესიისა და ტაძარში აღსრულებული კულტის მიმართ, თუმცა, ზოგიერთი კრიტიკოსი მისი სულის ასეთ განწყობას ოჯახსა და ოჯახურ ტრადიციასთან იმდენად არ აკავშირებს. რატომ შეიძლებოდა მავანს ასეთი აზრი გასჩენოდა? აქ თავის როლს თამაშობს, ერთი მხრივ, კონსტანტინე გამსახურდიას ათეიზმსა და „წარმართობაზე“ შექმნილი კლიშე, მეორე მხრივ, ამგვარი შეხედულებების თითქოს დადასტურება მისივე ტექსტებიდან – მაგალითად, ფარსმანის ცინიკური, სოფისტური პარადოქსები, ის ზიზღი, რომელსაც ეს პერსონაჟი ქრისტიანული რელიგიისა და მისი რელიგიური ინსტიტუციის მიმართ ავლენს, აგრეთვე, ის რელიგიური სკეპტიციზმი, რომელიც, შესაძლოა, გამოსჭვიოდეს გიორგი მეფისა და ხუროთმოძღვარ არსაკიძის გამონათქვამებში. სასულიერო პირების გარკვეულ ნაწილს, რომელიც მხატვრული ლიტერატურისა და საერო მეცნიერებების მიმართ კეთილგანწყობით არ გამოირჩეოდა, ყოველთვის მიაჩნდა, თითქოს კონსტანტინე გამსახურდია არაქრისტიანი, არამართლმადიდებელი მწერალი იყო. მეტად რთული ამოცანაა, განსაზღვრო, რა არის „მართლმადიდებელი მწერალი“ და როგორ წარმოუდგენიათ ის ამ კლიშეს ამტაცებელ სასულიერო პირთ: ალბათ, ჰაგიოგრაფი? თუ მწერალი-თეოლოგი? თუკი თეორიულად წარმოვიდგენთ ნაწარმოებს, რომელიც ყველა ამ კრიტერიუმს დააკმაყოფილებდა, მაშინ იგი, ალბათ, ისეთივე მკაცრი წესებითა და აკრძალვებით იქნებოდა შესრულებული, როგორითაც, მაგალითად, კანონიკურად დახატული ხატი, ფრესკა ან წმინდანის ცხოვრება და მოქალაქეობა. სავარაუდოდ, მკაცრ-ორთოდოქსულად განწყობილ მკითხველთა გარკვეულ ნაწილს არ მოეწონა ზოგიერთი გროტესკული სასულიერო პირის სახე „დიდოსტატში“. გარდა ამისა, ისინი აიგივებდნენ მწერლის პოზიციას მისი ნაწარმოებების გმირების პოზიციასთან, რომლებიც მკრეხელურ აზრებსაც გამოთქვამდნენ. არადა, თავად მწერალი ხშირად პასუხობდა კრიტიკოსებს, ჩემი გმირების ცოდვებს მე ნუ ამკიდებთო.

თავად ზვიად გამსახურდია რელიგიურ აღზრდას მშობლებს უკავშირებდა. იგი ერთ-ერთ ინტერვიუში, რომელიც ზემოთ უკვე მოვიტანეთ, ამბობს, რომ მის სულიერ აღზრდაში უდიდესი წვლილი სწორედ მშობლებს აქვთ. ისინი მზრდიდნენ იმ მსოფლმხედველობით, რომ საკუთარ თავზე ზრუნვა კი არ არის მთავარი, არამედ მოყვასზე, სხვა ადამიანებზე და, რაც მთავარია, მაყვარებდნენ ქრისტიანულ სარწმუნოებას, მზრდიდნენ, როგორც მორწმუნესო. რწმენა, რომელიც მე მაქვს, რელიგიისა და ეკლესიის სიყვარული, სწორედ მშობლების დამსახურებააო. როგორც ჩანს, ასეთი ტიპის მითქმა-მოთქმა კონსტანტინეს არაქრისტიანობასა და ანტიმართლმადიდებლობაზე მანამდეც იყო, თავად მწერლის სიცოცხლეშიც, ვიდრე უკვე 2000-იან წლებში მოძღვრები თეოდორე გიგნაძე და ლევან მათეშვილი ამაზე ღიად საუბარს დაიწყებდნენ თავიანთ ქადაგებებსა თუ ლექციებში.

მერაბ კოსტავას მიერ კონსტანტინე გამსახურდიას ხსოვნისადმი მიძღვნილ წერილში, რომელიც მწერლის გარდაცვალებიდან ერთ წელიწადში გამოქვეყნდა თვითგამოცემაში, ვკითხულობთ: „ჩვენ მოვუწოდებთ კ. გამსახურდიას წარმართად შემრაცხველ „ქრისტიანებს" განთავისუფლდნენ დოგმებისაგან და თავად გაერკვნენ ქრისტიანობის არსში. სხვას რომ თავი დავანებოთ, ნუთუ თავად პირში წყალჩაგუბებულნი უღმერთობის მქადაგებელ სახელმწიფოსთან მის გამუდმებულ პაექრობაში ვერ ხედავენ ისინი ქრისტიანული პრაქსისის ცოცხალ მაგალითს? განა იშვიათად შთენილა იგი ამის გამო სიკვდილთან პირისპირ მოყვასისთვის თავდადებული? განა მან არ გაუგზავნა თხოვნის ბარათი უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში კალინინს, როდესაც მთავრობამ სიონის ტაძარს უზარმაზარი გადასახადი შეაწერა და ტაძარს დახურვა დაემუქრა? კალინინმა თხოვნა შეისმინა და გადასახადი მოახსნევინა".[66] ეს აპოლოგიაც იმაზე მეტყველებს, რომ მსგავსი მოსაზრებები 60-იან წლებშიც კურსირებდა საზოგადოებაში და მოგვიანებითაც.

ზვიად გამსახურდია მოინათლა 1951 წელს, ქაშუეთის ტაძარში. იმ დროს საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის კათალიკოს-პატრიარქი იყო კალისტრატე ცინცაძე (1866-1952). ეკლესიის ამ უმაღლესი იერარქის სახელი საბჭოთა ხელისუფლებასთან დაშვებულ მრავალ კომპრომისთანაა ასოცირებული, მას გაკეთებული აქვს არაერთი განცხადება, სადაც განადიდებს საბჭოთა სახელმწიფოს მეთაურსა და ბელადს, იოსებ სტალინს, ასევე, აღნიშნავს საბჭოთა ხელისუფლების სიკეთეებს. კონსტანტინე გამსახურდია მას პირადად იცნობდა 1921-1924 წლების წინააღმდეგობის პერიოდიდან, როდესაც კალისტრატე, დეკანოზის სასულიერო ხარისხში მყოფი, კათალიკოს ამბროსისთან ერთად მონაწილეობდა საკათალიკოსო საბჭოს სხდომებში. კონსტანტინე გამსახურდია ასევე ჩართული იყო იმ მემორანდუმის შედგენაში, რომელიც ამბროსი ხელაიამ შეადგინა საკათალიკოსო საბჭოთან ერთად და გაუგზავნა 1922 წელს გენუის კონფერენციას. როგორც ცნობილია, მემორანდუმში იყო მოწოდება დასავლეთის სახელმწიფოებისადმი, წინ აღ-

დგომოდნენ საქართველოს ოკუპაციას საბჭოთა რუსეთის მიერ და დახმარება გაეწიათ მისი ხალხისთვის დეოკუპაციის გზაზე.

ამ მემორანდუმის შემდეგ, კათალიკოს ამბროსისთან ერთად, კალისტრატესაც მოუწია პატიმრობამ და სასამართლო პროცესმა. კონსტანტინე გამსახურდია აფასებდა კათალიკოს კალისტრატეს, როგორც დიდ მეცნიერსა და ქართული სიძველეების ანგარიშგასაწევ მკვლევარს. ზვიად გამსახურდიას ნათლობის რიტუალი კათალიკოსმა კალისტრატემ თავად აღასრულა. მოგვიანებით ზვიად გამსახურდია იხსენებდა იმ პირველ შთაბეჭდილებას, რომელიც მან მიიღო ამ ადამიანისგან – როდესაც დავინახე მისი განსულიერებული, ასკეტური სახე, გამიჩნდა უტყუარი შინაგანი განცდა, რომ ეს ადამიანი არასოდეს არ მოკვდებოდაო. ზვიად გამსახურდიას ორი ნათლია ჰყავდა: ერთი – ლიტერატურათმცოდნე, კრიტიკოსი და ინტელექტუალი აკაკი გაწერელია, მეორე კი – სიძველეთმცოდე პავლე ინგოროყვა, ლიტერატურათმცოდნეობის, წყაროთმცოდნეობისა და ისტორიის არაერთ სფეროში საყურადღებო კვლევებითა და იდეებით ცნობილი, რომლის მეცნიერული მოღვაწეობის მთელი პარადოქსი იმაში მდგომარეობდა, რომ სიცოცხლის ბოლომდე არცერთი სამეცნიერო ტიტული არ ჰქონია.

როგორც ცნობილია, ზვიადის ორივე ნათლია მეგობრობდა კონსტანტინე გამსახურდიასთან, თუმცა ერთმანეთთან არ მეგობრობდნენ – პირიქით, ისინი ერთმანეთის მძვინვარე ოპონენტებად და კრიტიკოსებად დარჩნენ. პავლესეული წარწერა, როგორც ნათლიის მიერ ნაჩუქარ ამა თუ იმ წიგნზე, ზვიად გამსახურდიას არ დარჩენია. თუმცა აკაკი გაწერელიასი დარჩა, რასაც ნაჩუქარ წიგნებში ხაზგასმით აღნიშნავდა ხოლმე. „ქართულ კლასიკურ ლექსს“ აწერია: „ძვირფას მირანდას და კ. გამსახურდიას ძმური სიყვარულით ზვიადის ნათლიისაგან. აკაკი გაწერელია. 13. 10. 1953. ტფილისი“. ხოლო გრიგოლ ორბელიანის ნაწერების სრული კრებული ზვიადისათვის დაბადების დღეზე უჩუქებია წარწერით: „ძვირფას ზვიად გამსახურდიას სიყვარულით მისი ნათლიისაგან. აკაკი გაწერელია.“

ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა სკოლის დასრულების შემდეგ ხშირად დადიოდნენ ტაძარში. ისინი ახლოს ეცნობოდნენ რელიგიის რიტუალურ მხარეს, სწავლობდნენ გალობას, ლოცვას და ცდილობდნენ თეოლოგიური ლიტერატურის მოძიებას, რაც, თავისთავად ცხადია, არცთუ იოლი საქმე იქნებოდა საბჭოთა საქართველოში. ნორმალურად გამოცემული „ახალი აღთქმაც“ კი იშვიათობა იყო. ოლღა დემურიას მოგონებებში ვკითხულობთ, თუ როგორ შეესწრო იგი უცნობი რუსი მორწმუნე ქალების საუბარს, რომ მწერლის შვილი და მისი თეთრთმიანი ამხანაგი მთელი ღამე დაჩოქილები იდგნენ ხატთან და ლოცულობდნენო.

კათალიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე გასული საუკუნის 60-იან წლებში გარდაიცვალა და საკათალიკოსო ტახტზე იგი შეცვალა ეფრემ II-მ (სიდამონიძემ), რომელიც კათალიკოს-პატრიარქი იყო 1960-1972 წლებში.

ზოგადად უნდა ითქვას, რომ კალისტრატეს, მელქისედეკისა და ეფრემის მღვდელმთავრობის წლებში ეკლესიის მდგომარეობა საკმაოდ მძიმე იყო: საქართველოს სსრ-ში დარჩენილი იყო, დაახლოებით, 70 მოქმედი ტაძარი და მონასტერი, მათ ემსახურებოდა 80-დან 100-მდე სასულიერო პირი. სიონის საკათედრო ტაძარი, რომელშიც დადიოდნენ ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა, თითქმის არასდროს შევსებულა მრევლით, იმდენად მცირე იყო აქტიურ მორწმუნეთა რიცხვი. იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორი დამოკიდებულება იყო კონსტანტინე გამსახურდიასა და იმდროინდელ სასულიერო პირებს შორის, საინტერესო იქნება პოეტ ანა კალანდაძის ეს მოგონება, რომელიც ზვიად გამსახურდიას უფროსი ვაჟისა და ამ სტრიქონების ავტორის ნათლობას ეხება სიონის ტაძარში:

„1963 წლის 22 ივნისს, შაბათს, ინსტიტუტში დამირეკა მირანდა გამსახურდიამ და შვილიშვილის მონათვლა მთხოვა, ხვალ მანქანას გამოგიგზავნითო. ზვიად გამსახურდიას უფროსი ვაჟი, პაპის სეხნია, კონსტანტინე (შინაობაში კოკო), 24 ივნისს 2 წლისა ხდებოდა. ნათლობის ცერემონიალის ჩატარება სიონის საკათედრო ტაძარში ბატონმა კონსტანტინემ კათოლიკოს-პატრიარქ ეფრემ მეორეს სთხოვა. კათოლიკოსმა ნათლიები იკითხა. ბატონმა კონსტანტინემ წარგვადგინა – თავისი უახლოესი მეგობარი აკადემიკოსი სიმონ ყაუხჩიშვილი და ამ სტრიქონების ავტორი. ბავშვი უწმინდესმა და უნეტარესმა ეფრემ მეორემ და მოხუცმა მღვდელმა მონათლეს. ბიჭი „ბაბუკას" ძახილით ბატონი კონსტანტინესაკენ იწევდა...". უწმინდესმა ბატონ კონსტანტინეს ფრთხილად შეაპარა იმ დღეს თავისი გულისტკივილი: თქვენს რომანში კათოლიკოსი მელქისედეკი სათანადოდ ვერ გამოიყურებაო. ამაზე ბატონმა კონსტანტინემ მიუგო: პირიქით, მელქისედეკი მე მსოფლიოს გავაცანიო. კათოლიკოსმა ამაზე მხოლოდ მრავალმნიშვნელოვნად გაიღიმა. როგორც ქალბატონ მირანდასაგან გავიგე, ჩემი ნათლიად არჩევა თავად ბატონ კონსტანტინეს უნებებია, რაიც ჩემთვის დიდი პატივი გახლდათ (აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ნათლიად მოკიდებამდე გამსახურდიების ოჯახის არცერთ წევრს პირადად არ ვიცნობდი, თვით ბატონი კონსტანტინეს ჩათვლით)... ჩვენ ახლა ნათესავები ვართო, – ხშირად მეუბნებოდა იმ დღეს ბატონი კონსტანტინე.

ნათლობას სიონში ესწრებოდნენ: თავად ბ-ნი კონსტანტინე, ბავშვის მშობლები დალი ლოლუა, ზვიად გამსახურდია და ბავშვის მამიდა, თამარ გამსახურდია. კოლხურ კოშკში იმ დღისადმი მიძღვნილ სუფრაზე პირველი სიტყვა ბატონმა კონსტანტინემ წარმოთქვა. მან აღნიშნა, რომ იგი ქართულ, ქრისტიანულ ტრადიციებს არ ღალატობს და რომ დღევანდელი დღეც მხოლოდ ამ ტრადიციებით იყო ნაკარნახევი. სუფრაზე ნათესაობა და ბატონი კონსტანტინეს უახლოესი ადამიანები იყვნენ (გიორგი ლეონიძე, აკაკი გაწერელია, პროფ. პლატონ შუშანია, დავით ლომაძე მეუღლით, ვალოდია თოფურიძე და სხვ.). სუფრას უძღვებოდა ოჯახის ნათესავი ვალოდია თოფურიძე."[67]

როდესაც გარდაიცვალა მირანდა ფალავანდიშვილი, კათალიკოს-პატრიარქმა ეფრემმა სამძიმრის ტექსტი გამოუგზავნა მწერალს, საიდანაც ჩანს, რომ დამოკიდებულება საქართველოს ეკლესიის უმაღლეს იერარქსა და მწერალს შორის კეთილგანწყობასა და ურთიერთპატივისცემას ეფუძნებოდა. წერილის ტექსტი მთლიანად გამოქვეყნებულია დალი ლოლუას წიგნში. ხელით ნაწერი ბარათი ამ სიტყვებით სრულდებოდა: „და ბოლოს, ბატონო კონსტანტინე, ვევედრები სულთა და ხორცთა მფლობელს, რომლის ხელთა შინა არიან სულნი ჩვენნი, ჭირვეულთ გექმნეთ ნუგეშინისმცემელ, ხოლო გარდაცვალებულსა ქალბატონ მირანდას განუსვენოს საყოფელსა მართალთასა. ნებით ღვთისათა კათალიკოს-პატრიარქი სრულიად საქართველოსი ეფრემ II, მამაშვილურად გეხვევით და დაგიკოცნით მირონცხებულს შუბლსა და ოქრომეტყველს ბაგეთ. 11 თებერვალი, 1970 წ.“.

კიდევ ერთ გავრცელებულ შეხედულებას შევეხები აქ: როგორც გასულ საუკუნეში, კონსტანტინე გამსახურდიას სიცოცხლეში, ისე ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობისას და მისი გარდაცვალების შემდგომაც გავრცელებულა ხმები, თითქოს მას მამა ბავშვობიდან „პატრიარქად ზრდიდა“. ეს თვალსაზრისი, როგორც ჩანს, სათავეს იღებს იმ დროიდან, როდესაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს ვასილ მჟავანაძე ხელმძღვანელობდა, ხოლო დევი სტურუა იყო ამავე ცენტრალური კომიტეტის მდივანი. დევი სტურუა ყოველთვის დადებითი განწყობით გამოირჩეოდა კონსტანტინე გამსახურდიას მიმართ. ინტერვიუში ლიტერატურათმცოდნე და კრიტიკოსი, უზენაესი საბჭოს წევრი თემურ ქორიძე ასე პასუხობს ჟურნალისტ ნინო ლურსმანაშვილის შეკითხვაზე, ხომ არ ყოფილა მასსა და ზვიად გამსახურდიას შორის საუბარი იმაზე, რომ კონსტანტინე გამსახურდია მას ბავშვობიდანვე პატრიარქობისთვის ამზადებდა: „თავის დროზე მელორ სტურუამ დაწერა წერილი, „ზვიად გამსახურდიას ტრიუმფი და ტრაგედია“, რომელსაც სწორედ იმის მოყოლით იწყებს, მამასთან სტუმრად მოვიდა კონსტანტინე გამსახურდია პატარა ზვიადთან ერთად და კონსტანტინემ თქვა, ზვიადი მომავალში კათალიკოს-პატრიარქი უნდა გახდეს, .თქვენც უნდა შეუწყოთ ხელიო. სტურუა ნახევრად ხუმრობით წერდა, როგორც ჩანს, დაავიწყდა კონსტანტინეს, ასეთ საქმეებში ხელისუფლება რომ არ ერეოდაო“.

თ. ქორიძე დასძენს, თავისთავად აზრში, რომ გამსახურდიას სურდა შვილი საეკლესიო მოღვაწე გამხდარიყო, მკრეხელური არაფერია, პირიქით, ეს მის სულიერ სიდიადეზე მეტყველებსო. თუმცა, ამის შესახებ არანაირი წერილობითი დოკუმენტი არ გვაქვს და არც ამ სტრიქონების ავტორს ახსოვს, რომ თავად ზვიადს ესაუბრა ამის შესახებ და დაედასტურებინა რაიმე მსგავსი. „არ ვიცი, ეს განზრახვა და სურვილი არსებობდა თუ არა, მაგრამ ვიცი, ზვიადი ყოველდღიური მლოცველი იყო სიონში“ – ასრულებს ბატონი თემური.[68] თუმცა, ასეთი სასულიერო კარიერის შესაძლებლობა არც სტალინურ, არც პოსტსტალინურ ეპოქაში რეალისტური არ ჩანდა, მით უფრო, პრეზიდენტობა. საბჭო-

თა სისტემის მონოლითურობა და შეუვალობა, პარტიული აპარატის სიხისტე ამგვარი დაშვებების შესაძლებლობას, პრაქტიკულად, გამორიცხავდა. შეუძლებელია, ეს არ სცოდნოდა კონსტანტინეს.

მელორ სტურუას მიერ ნაგულისხმევ დროს კათალიკოს-პატრიარქები იყვნენ კალისტრატე, მელქისედეკი და ეფრემი. თუმცა პატრიარქად გახდომის სურვილი ზვიად გამსახურდიას მერეც მიეწერებოდა, როდესაც კათალიკოს-პატრიარქი გახდა ილია II. ჟურნალისტ დიტო ჩუბინიძის შეკითხვაზე, სმენია თუ არა ზვიად გამსახურდიას სურვილზე, გამხდარიყო პატრიარქი, ეპისკოპოსი ქრისტეფორე წამალაიძე, სინოდის ყოფილი წევრი, ასე პასუხობს: „ასეთი რამ მე არ მახსოვს, ეგ არის ტყუილი და მონაჭორი! პატრიარქს ახლაც დიდი ავტორიტეტი აქვს და უწმინდესის ავტორიტეტი მაშინაც დიდი იყო. ამას იგონებდნენ და თხზავდნენ სპეცსამსახურები, რათა, როგორც კი დიდი კაცი გამოჩნდებოდა, მაშინვე დაეპირისპირებინათ პატრიარქისთვის“.[69]

ამ ხმებს, რასაკვირველია, ტყუილად არ ავრცელებდნენ. მათი მიზანი იყო ხაზგასმა ძალაუფლებისკენ მისწრაფებისა, რომელიც თითქოს ბავშვობიდანვე ჩაუნერგეს ზვიად გამსახურდიას. ვინც დაიჯერა, მას ერთი უბრალო ამბავი გამორჩა: საბჭოთა სინამდვილე და კომუნისტური ხელისუფლების ხისტი ვერტიკალი ასეთი მიამიტური ოცნებებისთვის სივრცეს, პრაქტიკულად, არ ტოვებდა.

1.6. 1956 წლის 5-9 მარტის მოვლენები

კომუნისტური პარტიის მეოცე ყრილობა, რომელიც 1956 წლის 14 თებერვალს გაიხსნა, გარდამტეხია საბჭოეთის ისტორიაში. სწორედ ამ ყრილობაზე დაგმო სკკპ-ის ახალმა პირველმა მდივანმა ნიკიტა ხრუშჩოვმა („გენერალური მდივნის“ პოსტი ჯერ კიდევ სტალინის სიცოცხლეში გაუქმდა, კ. გ.) სტალინის „პიროვნების კულტი“. ამ ყრილობისა და მასზე მიღებული გადაწყვეტილებების შედეგად გახდა შესაძლებელი მილიონობით რეპრესირებული ადამიანის განთავისუფლება. სწორედ ამ ყრილობით დაიწყო ქვეყნის შედარებითი ლიბერალიზაციის ხანა, რომელმაც 1964 წლამდე გასტანა. პირობითად, ეს პერიოდი საგაზაფხულო „დათბობას“ („ოტტეპელი“) შეადარეს და სათანადო სახელიც შეურჩიეს: ანუ ეს ისეთი დათბობაა, დამახასიათებელი მეტადრე ჩრდილოეთის ქვეყნებისათვის, რომელიც ზამთარმა ნებისმიერ დროს შეიძლება ისევ ყინვისა და ნამქერისკენ შემოატრიალოს.

თავის გამოსვლაში ხრუშჩოვმა ახსენა ლენინის ანდერძი, დიდი ხნის წინ დავიწყებული დოკუმენტი, რომელშიც ლენინმა გააფრთხილა პარტია ახალი გენმდივნის, ი. სტალინის, მხრიდან ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობაზე. შემდეგ კომპარტიის ახალმა ლიდერმა ლენინის აღნიშნული ციტატების გასამყარებლად არაერთი მაგალითიც მოიტანა. მათ შორის ყვე-

ლაზე უფრო თვალშისაცემი იყო სტალინისეული მასობრივი ტერორი და დიდი წმენდა, ჩატარებული 30-იან წლებში, რომელთაც მსხვერპლად შეეწირნენ უდანაშაულო კომუნისტები, მათ შორის, ისინი, რომლებსაც შეცდომით დასდეს ბრალი ჯაშუშობაში, საბოტაჟში და დასაჯეს, ხშირად სიკვდილით, მას შემდეგ, რაც აწამეს სასურველი ჩვენების გამოძალვის მიზნით.

ხრუშჩოვმა გააკრიტიკა სტალინი იმის გამოც, რომ ადეკვატური თავდაცვითი მომზადება არ განახორციელა გერმანიის შემოჭრამდე სსრკ-ის ტერიტორიაზე 1941 წლის ივნისში, დაასუსტა წითელი არმია ჩატარებული არასაჭირო წმენდით, რასაც წამყვანი ოფიცრების განადგურება მოჰყვა. მან ბრალი დასდო სტალინს მთელი ეთნიკური ჯგუფების – ყარაჩაელების, ყალმუხების, ჩეჩნების, ინგუშებისა და ბალყარელების – სამშობლოდან დეპორტაციაში, ბრალი დასდო, რომ წმენდაში მოაყოლა ლენინგრადის პოლიტიკური ლიდერები და ასეთივე რეპრესიები განახორციელა საქართველოშიც 1952 წელს. მანვე დაადანაშაულა სტალინი, რომ მან სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე სცადა ახალი „წმენდის“ ჩატარება, რის მაგალითადაც მოიყვანა „ექიმთა საქმე“. ბრალი დასდო იუგოსლავიასთან ისეთი პოლიტიკის წარმოებაში, რამაც დაძაბა და გააფუჭა ურთიერთობა ამ მეგობრულ ქვეყანასთან. ხრუშჩოვმა აღნიშნა, რომ „პიროვნების კულტით“ სტალინი განადიდებდა საკუთარ მმართველობას.

როგორც „ენციკლოპედია ბრიტანიკაშია“ აღნიშნული, დამკვირვებლები სსრკ-ის ფარგლებს გარეთ წერდნენ, ხრუშჩოვის პირველადი ამოცანა აღნიშნული სიტყვით გამოსვლისას იყო საკუთარი პოზიციის კონსოლიდირება და განმტკიცება, თავისი თავის ასოცირებით რეფორმებთანო, იმავდროულად – თავისი მეტოქეების დისკრედიტაცია პოლიტბიუროში, რომლებიც ამით სტალინის დანაშაულობათა მონაწილეებად ცხადდებოდნენო. ნიკიტა ხრუშჩოვის ამ გამოსვლამ ქართველი საზოგადოების დიდ ნაწილში მკვეთრად უარყოფითი რეაქცია გამოიწვია. ამ გამოსვლის შერბილებული ვარიანტი, სსრკ კომპარტიის პრეზიდიუმის დადგენილების სახით, მხოლოდ 1-3 ივლისს დაიბეჭდა საკავშირო და რესპუბლიკურ პრესაში. მანამდე კი მარტში, ხრუშჩოვის ბრძანებით, კომპარტიისა და კომკავშირის ყველა ორგანიზაციულ რგოლში გავრცელდა ე. წ. „დახურული წერილის“ სახით. ყველგან ეწყობოდა ხრუშჩოვის გამოსვლის კოლექტიური მოსმენები (იხ. ალ. სარალიძე, კავშირგაბმულობის სამინისტრო, 1956 წლის 9 მარტი, 02.05.2012). ზვიად გამსახურდია იგონებდა, რომ ანტისტალინური პროპაგანდის პარალელურად მიდიოდა ანტიქართული პროპაგანდაც.[70] ბევრისთვის აუხსნელი და წარმოუდგენელი დარჩა, როგორ გაბედა პოლიტბიუროს წევრმა, სტალინის აქამდე ერთგულმა მსახურმა და თანაგუნდელმა, ასეთი გაუგონარი სიტყვით გამოსვლა სულ სამიოდე წლის წინ გარდაცვლილი ბელადის წინააღმდეგ. რა თქმა უნდა, ხალხსა და საზოგადოებას წარმოდგენა არ ჰქონია, რა პროცესები გათამაშდა კრემლის კულისებში 1948-1953 წლებში. აშკარაა, რომ ხალხი ასეთი მკვეთრი და მოუ-

ლოდნელი გზავნილისთვის მზად არ აღმოჩნდა და მანამდე არც არავის უფიქრია მისი შემზადება.

სკკპ-ის ახალი ნარატივი, სტალინის პიროვნების კულტის დაგმობასთან ერთად, გულისხმობდა დაბრუნებას ლენინურ გეზთან, ასევე, ახალი მტრის ხატის შექმნას ლიკვიდირებული ლავრენტი ბერიას სახით, რომელიც, ოფიციალური ვერსიით, გასამართლდა და დაიხვრიტა 1953 წელს, ასევე, ს. კიროვის სრულ რეაბილიტაციასა და იდეალიზებას. 1956 წლის 5 მარტს, სტალინის გარდაცვალების 3 წლისთავზე, სამგლოვიარო მიტინგები მოეწყო თბილისში, გორში, ბათუმსა და სოხუმში. 5 მარტიდან მოქალაქეებმა დაიწყეს შეკრება სტალინის ძეგლთან, რომელიც მდებარეობდა მშრალ ხიდთან მდებარე ზედა სკვერში, ახლანდელი დედაენის ძეგლის მოპირდაპირე მხარეს. ეს მართლაც შთამბეჭდავი ძეგლი აღიმართა 1939 წელს და მისი დემონტაჟი 1961 წელს განხორციელდა. ძეგლთან იკრიბებოდნენ სტუდენტები, ჩვეულებრივი მოქალაქეები, მოდიოდნენ არტისტები, პოეტები, კითხულობდნენ ლექსებს, გამოდიოდნენ სიტყვებით. ახალგაზრდები მსვლელობით დაიძრნენ კრწანისის მიმართულებითაც, სადაც იმყოფებოდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გენერალი ჯუ-დე, მათ იმედი ჰქონდათ, რომ მაოისტი გენერალი სიტყვას შეაწევდა ამ აქციებს, თუმცა დაცვამ მომიტინგეები გენერალთან არ შეუშვა.

თავიდან მოთხოვნები ცენტრალური კომიტეტისადმი იმდენად რადიკალური და პოლიტიკური ხასიათისა არ ყოფილა: სკკპ-ის დახურული წერილის დაბრუნება და მისი შესწორება, სტალინის დანაშაულების გამორკვევა, სტალინის ოჯახის ადგილსამყოფელის დადგენა, 9 მარტის უქმე დღედ გამოცხადება, რადიოსა და პრესის გამოყენება, რომ ხალხს ინფორმაცია მიეღო. შეკრებილმა ხალხმა ყურად არ იღო მჟავანაძის გაფრთხილება, რომ, შესაძლოა, რაღაც ცუდი მომხდარიყო, თუ ისინი დროზე არ დაიშლებოდნენ. რამდენადაც ლენინის მოედანზე კომკავშირლებმა მიტინგი დაშალეს, სტალინის ძეგლთან შეგროვილმა ხალხმა 9 მარტს გადაწყვიტა, არ დაშლილიყო, და უკვე რადიკალური მოთხოვნები წამოაყენა: პოლიტბიუროს წევრთა – ხრუშჩოვის, ბულგანინისა და მიქოიანის მოხსნა, ვასილ მჟავანაძის გადაყვანა საკავშირო ცენტრალურ კომიტეტში, სტალინის ვაჟის შეყვანა მთავრობის შემადგენლობაში; ასევე, ლენინის მოედანზე, ლენინის ძეგლთან, სტალინის ძეგლის დადგმა. როდესაც მომიტინგეებთან მოვიდა ინფორმაცია, რომ კავშირგაბმულობის სახლთან დაკავებულია რამდენიმე ახალგაზრდა, ხალხის დიდი მასა კომუნარების ბაღით და ჯორჯიაშვილის ქუჩით დაიძრა კავშირგაბმულობის სახლისკენ, რომელსაც უკვე შეიარაღებული ჯარისკაცები იცავდნენ.

დაახლოებით, საღამოს 11 საათისთვის მომიტინგეებმა გადაწყვიტეს დეპეშის გაგზავნა მოლოტოვისთვის, რისთვისაც გამოყვეს დელეგაცია. ამ დელეგაციამ შეაღწია კავშირგაბმულობის სახლში, მაგრამ, როდესაც ისინი იქ ვინაობის გარკვევის მიზნით დააკავეს, დანარჩენი მომიტინგეების მხრიდან ადგილი ჰქონდა შენობაში შეღწევის მცდელობას. ამისთვის გამოიძახეს დამა-

ტებითი ძალები და ჯავშანტექნიკა. დაიწყო სროლა ხალხის მიმართულებით. დაახლოებით, ღამის 2 საათზე ადამიანების დიდი მასა დაშალეს. ოფიციალური მონაცემების მიხედვით, დაიღუპა 23, დაიჭრა 54 ადამიანი, საიდანაც შემდგომ 7 გარდაიცვალა, ასევე დააპატიმრეს 200-მდე ადამიანი. არის ვარაუდი, რომ დაღუპულთა რეალური რიცხვი გაცილებით მეტი იყო – დაახლოებით, 150-200 ადამიანი.

ზვიად გამსახურდია იგონებდა მარტის გამოსვლებზე, პირველად ვნახე ერთად შეკრებილი ამდენი ხალხიო. და, როდესაც გაიხსნა ავტომატების ცეცხლი, იმ დღეს პირველად დავინახეთო გამოღვიძებული საქართველოს სახე. ტყვიებით მოცელილი ადამიანები ეცემოდნენ და მომიტინგეების რიგებიდან უკვე ისმოდაო უფრო სხვაგვარი შეძახილები, ვიდრე ეს იყო მიტინგების დაწყებისას: „ძირს კომუნისტები!“ „ძირს წითელი ჯალათები!“ „ძირს სამხედროები!“ 9 მარტის ღამეს დაღუპულთა რაოდენობა ზუსტად არავინ იცოდა, ეს კი, შესაძლოა, ოფიციალური მონაცემების რიცხვზე გაცილებით მეტი ყოფილიყოო. ცალკეულ მოწმეთა გადმოცემით, გვამები გაურკვეველი მიმართულებით გაჰქონდათ. მისი აღნიშვნით, ამ სისხლიანი ანგარიშსწორების გამო პასუხი არავის უგიაო: არც ნიკიტა ხრუშჩოვს, არც მარშალ ჟუკოვს, არც ვასილ მჟავანაძეს, არც ფედიუნინსკის, ზაკეოს მაშინდელ მთავარსარდალს, არც გლადკოვს, თბილისის კომენდანტს.[71]

პოლიტბიუროს საგანგებო სხდომაზე, რასაკვირველია, თბილისის მოვლენები განსჯის საგანი გახდა. მოლოტოვისა და სტალინის გუნდის წარმომადგენლებისათვის ის, რაც თბილისში მოხდა, „აგრესიული ქართული ნაციონალიზმის ამონაყარი იყო“. ამ სიტყვებს, ნესით, მასშტაბური რეპრესიები უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ ხრუშჩოვის გამოსვლაში ასეთი მკვეთრი და ზეაწეული ტონალობა არ იგრძნობოდა. აშკარაა, რომ იგი რეპრესიებზე არ ფიქრობდა. მან შეაჯამა ეს მოვლენები და დასძინა, რომ ასეთი ნაციონალიზმის არსებობის შემთხვევაში უშიშროების კომიტეტი აღმოაჩენდა მას და დააპატიმრებდა მის წარმომადგენლებს. პოლიტბიურო დაკმაყოფილდა იმით, რომ ვასილ მჟავანაძეს საყვედური გამოეცხადა, ხოლო საქართველოს ცეკას ბიურო მოსკოვიდან შედარებით დამშვიდებული დაბრუნდა, რამდენადაც საქმე საყვედურის გამოთქმაზე მეტად აღარ გამწვავებულა.

კიდევ რისი თქმა შეიძლება ამ გამოსვლებზე? ცნობიერად ადამიანები, ცხადია, სტალინის ხსოვნის შეურაცხყოფის გამო გამოთქვამდნენ პროტესტს, თუმცა მათი კოლექტიური არაცნობიერიდან თითქოს რაღაც სხვა ელემენტიც იკაფავდა გზას გარეთ, სოციო-პოლიტიკური სინამდვილისკენ – ეს იყო 45-წლიანი ჩაგვრა, ტერორი, იმედგაცრუება საბჭოთა პროპაგანდისტული მითების მიმართ, ასევე, დამოუკიდებლობის ჩაკლული წყურვილი, რომელშიც ისინი თავის თავს ღიად ვერ უტყდებოდნენ, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ აღნიშნული მისწრაფება ადამიანებში საერთოდ აღარ ცოცხლობდა, თუნდაც, სადღაც, ქვეცნობიერში. გამორიცხული არ არის, რომ სახალხო მღელვარებე-

ბისკენ ლატენტურად წამქეზებლური და მაინსპირირებელი როლი ითამაშეს ცენტრალური კომიტეტისა და ძალოვანი სტრუქტურების ცალკეულმა მაღალჩინოსნებმაც, თანამდებობებზე მოხვედრილებმა სტალინისა და ბერიას ეპოქაში. რა თქმა უნდა, ისე, რომ ისინი წინა პლანზე არ გამოჩენილან, უფრო კულისებიდან მოქმედებდნენ. როგორც არ უნდა ყოფილიყო, ცხადი გახდა ერთი რამ: 9 მარტის ღამის შემდეგ საქართველომ ფერი იცვალა.

1.7. ორგანიზაცია „გორგასლიანის" დაფუძნება, დაპატიმრება და სასამართლო

ორგანიზაცია „გორგასლიანის" გააქტიურება პირდაპირ უკავშირდება 5-9 მარტის მოვლენებს. ორგანიზაციის ერთ-ერთი წევრის, თემურ ცერცვაძის, ცნობით, ეს ორგანიზაცია ჯერ კიდევ 1953 წელს შეიქმნა. მისი წესდების მიხედვით, ყველა წევრი თანასწორუფლებიანი იყო. მისივე ცნობის მიხედვით, ამ ორგანიზაციის წესდება და პროგრამა უშიშროების კომიტეტში ინახებოდა. მწერალი გურამ დოჩანაშვილი წინაისტორიას არ ახსენებს, შესაბამისად, არც წესდება და პროგრამა ფიგურირებს მის მონათხრობში. მისი ვერსიიდან ისე ჩანს, რომ ორგანიზაციის შექმნა და მოქმედების დაწყება თითქმის ერთდროულად მოხდა, რაც პროკლამაციის შექმნაში გამოიხატა. გურამ დოჩანაშვილი წერს, რომ იდეა ზვიად გამსახურდიასი იყო, თავიდან მერაბ კოსტავამ, ანატოლი მიქაძემ, თამაზ გუნჯუამ და ჯონდო მეტრეველმა იცოდნენო, მერე სხვებიც გავწევრიანდითო – გურამი ასახელებს ვოვა სიხარულიძესა და თემურ ცერცვაძეს. გ. დოჩანაშვილის ცნობით, გაწევრიანება თავდებობით ხდებოდა და, თუ ვინმე არ გაამართლებდა, თავმდებს უნდა ეგო პასუხი. ჩვენი არაოფიციალური წინამძღოლი ზვიად გამსახურდია იყოო. თემურ ცერცვაძის ცნობით, პროკლამაციის ტექსტი, ძირითადად, ზვიადმა დაწერა. ორგანიზაციის წევრებმა გადაწყვიტეს, პროკლამაცია რუსთაველსა და პლეხანოვზე გაეკრათ.[72]

„ქართველებო! ხომ არ დაგავიწყდათ ცხრა მარტის სისხლიანი ღამე? ხომ არ დაგავიწყდათ სისხლიანი ოცდაოთხი და ოცდაჩვიდმეტი, ქართველი ხალხის დარბევისა და გაჟლეტის წლები? როდემდის უნდა გვქონდეს ქედი მოხრილი მტარვალი კომუნისტების მახვილქვეშ? ჩვენს წინაპრებს სისხლი არავისთვის შეურჩენიათ და არც ჩვენ უნდა შევირცხვინოთ თავი. დღეს, როდესაც მთელი შეგნებული კაცობრიობა აღშფოთებულია მოსკოვის საშინელი ბოროტმოქმედებით, ჩვენი ერის ყოფნა-არყოფნის საკითხი დგება, დროა, შევერთდეთ ერთი დროშის ქვეშ ჩვენი სამშობლოს დამპყრობლის წინააღმდეგ საბრძოლველად. მიმოიხედეთ ირგვლივ, მსოფლიო ბობოქრობს. განკითხვის დღე მზადდება კრემლელი ჯალათებისათვის. თბილისში, პოზნანში, ბუდაპეშტში მათ მიერ დაღვრილი უდანაშაულო მოსახლეობის სისხლი სამართალს

ითხოვს. მათი აღსასრული მოახლოებულია. ქართველებო! სხვა არავინაა ჩვენი მშველელი, ჩვენი საკუთარი თავის გარდა. ბრძოლით უნდა მივაღწიოთ თავისუფლებას! ძმური სალამი გმირ უნგრელ ხალხს! დაე, ყველა დამონებული ერისათვის მაგალითად იქცეს უნგრელთა გმირობა! ხელები შორს უნგრეთისაგან! ძირს ჩვენი ხალხის სისხლში ხელებგასვრილი ოკუპანტები და მათი სამხედრო ხროვა! ძირს მოღალატე ქართველი კომუნისტები! გაუმარჯოს თავისუფალ და დამოუკიდებელ საქართველოს! რომელი მოღალატეც ამას ჩამოხსნის, სიკვდილი ელის!"

ამ პროკლამაციაში ორი მნიშვნელოვანი პუნქტია დასკვნასთან ერთად: 1. სამშობლო არ არის თავისუფალი, იგი დაპყრობილია. ეს რომ ასე არ იყოს, 1956 წლის 5-9 მარტის გამოსვლებიც არ იქნებოდა, საშინელ შედეგთან ერთად; 2. თბილისის გამოსვლებთან ერთად პროკლამაციაში იქვე მიყოლებით ნახსენებია სახალხო მღელვარებები ბუდაპეშტსა და პოზნანში, რაც იმის მანიშნებელია, რომ თავისუფლება არც იქ არის. პირველი მათგანი უნგრეთის აჯანყებას გულისხმობს, 1956 წლის 23 ოქტობრიდან იმავე წლის 15 ნოემბრამდე, როდესაც იქ ჩამოყალიბდა ახალი მთავრობა იმრე ნადის ხელმძღვანელობით და ქვეყანამ დატოვა ვარშავის პაქტი. ამას შედეგად მოჰყვა საბჭოთა არმიის უნგრეთში შეჭრა და მისი ოკუპაცია, საბოლოო ჯამში კი, მთავრობის თავმჯდომარის, იმრე ნადის, სიკვდილით დასჯა ორი წლის შემდეგ. ხოლო პოზნანის ამბების მიღმა იგულისხმება 1956 წლის 28-29 ივნისის მოვლენები, როდესაც პოლონეთის კომუნისტურმა ხელისუფლებამ ჩაახშო გამოსვლები ამ ქალაქში. გამოსვლები გაუსაძლისმა სოციალურმა პირობებმა გამოიწვია და მიმართული იყო კომუნისტური ხელისუფლების წინააღმდეგ. ისინი თავიდან დემონსტრაციებით დაიწყო და ბოლოს გადაიზარდა ჯარისკაცებთან შეუიარაღებელი ხალხის დაპირისპირებაში. აქედან დასკვნა: ახლოვდება დრო, როდესაც ყველგან დაიწყება ბრძოლა დამპყრობლებთან და ქართველებიც ამ ბრძოლისთვის უნდა მოემზადონ.

საქართველოს შსს-ს არქივში დაცული მასალების მიხედვით, პროკლამაცია დაიბეჭდა ამავე ორგანიზაციის წევრის, გურამ სხირტლაძის, ბინაში. ბინის შერჩევის ლოგიკა ასეთი იყო: რადგან გურამ სხირტლაძის მამა იყო სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ოფიციალური თანამშრომელი, მათ ჩათვალეს, რომ ამ ბინაში პროკლამაციის დაბეჭდვა და შემდგომ საბეჭდი მანქანის გადამალვა ყველა სხვა შესაძლებლობაზე მოსახერხებელი იქნებოდა.[73] ზვიად გამსახურდიას ცნობით, ეს იყო „სოფონის" საბეჭდი მანქანა ნორმით E511962.[74] საბეჭდი მანქანა საკმაოდ დაძველებული იყო და აღარ ემორჩილებოდა მბეჭდავის თითებს. პროკლამაცია შედარებით სქელ ფურცელზე უნდა დაბეჭდილიყო, რაც დამატებით სირთულეს ქმნიდა. წინასწარ გაამზადეს ფურცლები, წებო, საღებავი ნაბეჭდის არშიის შემოსავლებად. ყველაფერი დიდი სიფრთხილითა და გასაიდუმლოებულად კეთდებოდა. გურამ სხირტლაძის სახლში, სადაც იყო გამართული ეს კონსპირაციული სტამბა, იმ დღეს სტუმრები მოვიდ-

ნენ. საბეჭდი მანქანის მუშაობის ხმა საკმაოდ ატანდა ოთახის კედელს მიღმა და უცხოთა ყურადღებას იქცევდა. მოიფიქრეს ასეთი გამოსავალი: ოთახიდან გამავალ კართან მერაბ კოსტავა და გურამ დოჩანაშვილი დადგნენ. მათ სიმღერა დაიწყეს, რამაც წარმატებით დაახშო საბეჭდი მანქანის მუშაობით გამოწვეული ხმაური. არასასურველი სტუმრის გამოჩენის შემთხვევაში მეგობრების გასაფრთხილებლად ეზოს ჭიშკართანაც იდგა გუშაგი, რომელიც მათ მოულოდნელობის შემთხვევაში ნიშანს მისცემდა. მუშაობა ნელა, გარკვეული სიძნელეებით მიდიოდა. დღის ბოლოსთვის მხოლოდ შვიდი პროკლამაცია იყო მზად. წუნდებული ვარიანტები განადგურდა. გადაწყდა, შუაღამისას პროკლამაციები ქალაქში გაეკრათ, მანამდე კი საიმედო ადგილზე უნდა მოეთავსებინათ.

პროკლამაციები შესანახად მერაბ კოსტავას გადაეცა, რომელმაც ისინი პიჯაკის ჯიბეში დამალა. გათვლილი ჰქონდათ წვრილმანებიც – მშობლები წინასწარ გააფრთხილეს, რომ მეგობრის დაბადების დღეზე მიდიოდნენ და შინ დაბრუნება შეაგვიანდებოდათ. პროკლამაციების გასავრცელებლად „გორგასლიანის“ ბიჭები ორ ნაწილად გაიყვნენ – პირობითად, მტკვრის აქეთა და მტკვრის იქითა ჯგუფებად. დაბეჭდილი პროკლამაციის შვიდი ეგზემპლარიდან ოთხი ცალი პლეხანოვის გამზირზე გააკრეს ზვიად გამსახურდიამ, ანატოლი მიქაძემ, გურამ დოჩანაშვილმა და ვოვა სიხარულიძემ, ხოლო სამი ცალი – რუსთაველის გამზირზე, ჭონქაძისა და გრიბოედოვის ქუჩებზე მერაბ კოსტავამ, თემურ ცერცვაძემ და თამაზ გუნჯუამ.

1-2 ოქტომბრის ღამით პლეხანოვის გამზირზე მიმდინარეობდა არსებული ტრამვაის ლიანდაგის შემოწმება. მორიგე თანამშრომელმა შენიშნა N148 სახლზე გაკრული ფურცელი, რომელსაც წებო ჯერ არ შეშრობოდა, ჩამოხსნა, წაიკითხა და შინაარსით შეშფოთებულმა მილიციის უახლოეს განყოფილებაში მიიტანა. თემურ ცერცვაძე ასევე იგონებდა, რომ მეორე ჯგუფის წევრებს, რომლებიც რუსთაველის მხარეს აკრავდნენ პროკლამაციას, თვალში მოხვდათ საეჭვო პირი ზემელზე, რომელსაც პაპიროსი „ყაზბეგი“ გამოართვეს. დაპატიმრების შემდგომ ეს პირი მან და ჯონდო მეტრეველმა უკვე სახელმწიფო უშიშროების შენობაში ნახეს. ის აღმოჩნდა უშიშროების თანამშრომელი, გვარად ვარაზანაშვილი. როგორც ჩანს, ადრევე უთვალთვალებდა ბიჭებს.[75]

პროკლამაციების გავრცელებამ გამოიწვია ის, რომ 14 დეკემბერს ორგანიზაციის წევრები დააპატიმრეს. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ უშიშროების კომიტეტში „გორგასლიანების“ წინააღმდეგ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე N4612, ანტისაბჭოთა საქმიანობის ბრალდებით. ზვიად გამსახურდიას სახლში, რომელიც მდებარეობდა გრიბოედოვის ქუჩა N21-ში, ისევე, როგორც სხვა დაპატიმრებულთა ბინებში, ჩატარდა ჩხრეკა. ჩხრეკაზე დადგენილებას ჰქონდა გენერალ-მაიორ ალექსი ინაურის ვიზა. ოქმი შეადგინეს უშიშროების კომიტეტის თანამშრომლებმა სოკოლოვმა, პერეპელოვმა და სვიმონიშვილმა, 14

დეკემბერს. სახლში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად ნაპოვნი იქნა დასაკეცი სანადირო დანა, 20-გვერდიანი რვეული დაშიფრული ჩანაწერებითა და გადაბეჭდილი ლექსი „ჯარისკაცი ძონძებში“.[76]

ზვიად გამსახურდია ასახელებს საქმის გამომძიებელს – კაპიტან გეგელიას. თემურ ცერცვაძე ასახელებს მეორე გამომძიებელსაც, გვარად თოფურიძეს. მათ წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის მე-100 მუხლის და 29-ე და 49-ე გარდამავალი დებულებების საფუძველზე. ზვიად გამსახურდია ასევე ადასტურებს, რომ მათ უშიშროების ორგანოები დაპატიმრებამდე ადევნებდნენ თვალყურს. დაპატიმრებამდე იცოდა რა ამ წრის განწყობების შესახებ, უშიშროების ორგანო შეეცადა მათ წამოგებას პროვოკაციაზე. ზვიად გამსახურდია ასახელებს სსრკ-ის შინაგანი ჯარის შენაერთის, მე-8 პოლკის გადაცმულ ჯარისკაცებს, რომლებმაც 1956 წლის ნოემბერში მათ აუტეხეს ჩხუბი და დაჭრეს „გორგასლიანის“ ერთ-ერთი წევრი. ამაზე გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა პასკვილი, რომლის ავტორებიც იყვნენ ვ. თორდია და გ. შუბიძე (გიორგიძის ფსევდონიმით). ამ პასკვილში ერთი სიტყვითაც არ იყო ნახსენები ამ ბიჭების პოლიტიკური შეხედულებები, არამედ ისინი ჩვეულებრივ ხულიგნებად იყვნენ მოხსენიებულნი. სტატიაში ეწერა: „თბილისის პირველ საშუალო სკოლაში მრავალი საუცხოო ახალგაზრდა იზრდება, მაგრამ მათთან ერთად ჯერ კიდევ ვხედავთ ხულიგანთა ზემოთ დასახელებული „თაიგულის“ წევრებს ვლადიმერ სიხარულიძეს, თამაზ გუნჯუას და თეიმურაზ ცერცვაძეს. ვერც 47-ე და 42-ე სკოლები დაიტრაბახებენ მოსწავლეთა შორის აღმზრდელობითი მუშაობის მაღალი დონით. ამ სკოლებში სწავლობენ ხულიგნები ზვიად გამსახურდია, თემურ მეტრეველი და ანატოლი მიქაძე. როგორც ჩანს, სკოლების პედაგოგიურ კოლექტივებს არ აწუხებთ თვითოეული მოსწავლის ბედი და თავიანთ აღმზრდელობით მოვალეობას მხოლოდ გაკვეთილების გადაცემა-გამოკითხვით ამოწურავენ. იქნებ კავშირ გარეშე ახალგაზრდები არიან ესენი და სასკოლო კომკავშირული ორგანიზაციები ჯერ „ვერ მისწვდნენ“ მათ? – თქვენ წარმოიდგინეთ, კომკავშირის ბილეთს ატარებენ დასარტყმელად გამზადებული დანების გვერდით, მიქაძე, სიხარულიძე, გუნჯუა, ცერცვაძე და კოსტავა (როგორც ამ ჩამონათვალიდან ჩანს, აქ ზვიად გამსახურდია იმიტომ არ არის ნახსენები, რომ იგი ფორმალურადაც არ ყოფილა კომკავშირელი, კ.გ.). ამ ხულიგნების თავაშვებულობის გამო ამას წინათ ქალაქის ერთ-ერთ ბაღში სისხლიც კი დაიღვარა. ჩვეულებრივ აყალმაყალს დანის ტრიალი მოჰყვა. დაიჭრა ხულიგნების ჯგუფის წევრი გურამ დოჩანაშვილი, 47-ე სკოლის მეათეკლასელი მოსწავლე. ხულიგნების ჯგუფმა გადაწყვიტა „შური იძიოს ამხანაგისათვის“. ზ. გამსახურდიას წინადადებით ისინი იარაღდებიან – ზოგი რეზინის ჯოხით, ზოგიც – დანით. ზვიად გამსახურდიამ სპეციალური დიდი საკეცი დანაც კი მოიმარჯვა. „წამოიღეთ რამე, თუნდაც რკინის კეტები, რომ თავში ჩავცხოთო!“ სტატია თავდებოდა მოწოდებით – „ხულიგნების ფეხქვეშ მიწა უნდა იწვოდეს“.

ამ სტატიის გამოსვლის შემდეგ კონსტანტინე გამსახურდიას, რომელიც ამ დროს უკვე 65 წლის იყო, ჯანმრთელობის მძიმე პრობლემები შეექმნა. იგი ერთხანს მწყობრიდან სრულიად გამოვიდა. ჩვენ რუხაძისა და ბერიასდროინდელ ერთკაციან კამერებში მოგვათავსესო, – იხსენებს ზ. გამსახურდია, – ფიზიკურ წამებას ადგილი არ ჰქონია, იყო უბრალოდ ფსიქოლოგიური ზეწოლა, საკმაოდ ხანგრძლივი დაკითხვები, რომლებიც შეეხებოდა მშობლებსა და ახლობლებს, შიგადაშიგ მუქარებითა და ჭკუის სწავლებით გაჯერებული. „რა გინდოდა?“ – ეკითხებოდნენ ზვიადს გამომძიებლები, – „მამამ კომუნიზმი მოგიწყო სახლში, რატომ წამოიწყე ეს ჯანყი?“. ზვიადი აქვე შენიშნავს, რომ გამომძიებლები მაინც თავშეკავებულები იყვნენ.[77]

შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცულია ცნობა, რომ პატიმარმა ზვიად გამსახურდიამ 17 დეკემბრის დაკითხვაზე საბეჭდი მანქანის შესახებ გამომძიებლებს მიაწოდა ისეთი ცნობა, თითქოს მან ეს მანქანა წაიღო და გადააგდო მტკვარში, ორთაჭალჰესთან ახლოს, რუსთავის მიმართულებით. დაკითხვის ბოლოს ზვიად გამსახურდიამ აჩვენა, რომ საბეჭდი მანქანის დამტვრევა და გადაყრა იმ მოსაზრებით იყო განპირობებული, რომ ის და მისი მეგობრები არ აპირებდნენ არალეგალური საქმიანობის გაგრძელებას.[78] უშიშროების კომიტეტმა ამ გამონათქვამზე დაყრდნობით მოაყვანინა სპეციალური მყვინთავი, რომელმაც სცადა მოეძებნა გადაგდებული მანქანა, მაგრამ ვერ აღმოაჩინა. რა თქმა უნდა, ეს ჩვენება სიმართლეს არ შეესაბამებოდა. ზვიად გამსახურდიას 1956 წლის 26 დეკემბრის დაკითხვის ოქმიდან: „უნგრეთის მოვლენებს მე ვთვლი დანაშაულად უნგრელი ხალხის მიმართ. არამართებულად მივიჩნევ საბჭოთა ჯარების მიერ ძალადობას მასებისადმი... ასეთმა მოვლენებმა მიბიძგეს გადამედგა ეს ნაბიჯი და გამევრცელებინა ანტისაბჭოური ფურცლები.“ იგი თავისი ანტისაბჭოური განწყობის ორ მოტივზე საუბრობს: ეს არის სსრკ-ის კონსტიტუციის დარღვევა მოკავშირე რესპუბლიკის კავშირიდან გასვლის შესახებ და 1956 წლის 9 მარტს თბილისში მომხდარი ტრაგედია.[79] პირველი დაკითხვა 1956 წლის 14 დეკემბერს შედგა. მან აღიარა, რომ 9 დეკემბერს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა რუსული გარეგნობის მქონე პირს, რომელიც მიამსგავსა მას, ვინც დაჭრა გურამ დოჩანაშვილი, თუმცა, როგორც შემდეგ გაირკვა, იგი სხვა პირი აღმოჩნდა. 1956 წლის 2 დეკემბერს დოჩანაშვილი და მეტრეველი შეესწრნენ ჩხუბს თბილისში, ე. წ. ალექსანდრეს ბაღში. მათ ჩხუბში მონაწილეობა არ მიუღიათ, მხოლოდ უყურებდნენ, როდესაც რუსი იერის მქონე უცნობმა დოჩანაშვილს ზურგში დანა ჩაარტყა.[80]

გამომძიებელთა თავშეკავებას ზვიად გამსახურდია ხსნის იმით, რომ მწერალთა ჯგუფმა, მათ შორის, გალაკტიონ ტაბიძემ, შალვა დადიანმა, პავლე ინგოროყვამ, გიორგი ლეონიძემ და გერონტი ქიქოძემ სთხოვეს ვ. მჟავანაძეს, გულისხმიერება გამოეჩინა ახალგაზრდების მიმართ. როდესაც მჟავანაძემ ხრუშჩოვს უპატაკა მომხდარზე, ხრუშჩოვს უთქვამს, ეგლა გვაკლია, ბავშვების გვეშინოდესო, ამას კი ჩვენი განთავისუფლება მოჰყვაო.[81]

სასამართლოს სხდომა ჩატარდა 1957 წლის 3-5 აპრილს. სასამართლოს თავმჯდომარეობდა მოსამართლე გიორგაძე, პროკურორები იყვნენ თამაზაშვილი და ჩხაიძე. ბრალდებულებს სასამართლომ ასეთი განაჩენი გამოუტანა: 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა ზვიად გამსახურდიას, ოთხ-ოთხი წელი შეუფარდეს: მერაბ კოსტავას, ანატოლი მიქაძეს, ვლადიმერ სიხარულიძეს, სამ-სამი წელი მისცეს: ჯონდო მეტრეველს, გურამ დოჩანაშვილს, გურამ სხირტლაძეს, თამაზ გუნჯუასა და თემურ ცერცვაძეს. თუმცა, სასამართლო კოლეგიამ მხედველობაში მიიღო შემამსუბუქებელი გარემოებები – მათი არასრულწლოვანება და სასჯელი შეეცვალათ პირობითი მსჯავრით, ანუ საგამოცდო ვადით გათავისუფლებით.

ამ ამბებმა, რასაკვირველია, მძიმედ იმოქმედა ზვიად გამსახურდიას ოჯახზე. ნამდვილად არ არსებობს არანაირი საფუძველი იმის დაშვებისა, რომ მშობლები მიესალმებოდნენ ახალგაზრდების ასეთ გაბედულებას ტოტალიტარულ სახელმწიფო მანქანასთან მიმართებით, რომელმაც მილიონობით ადამიანის ცხოვრებას ან საბოლოო წერტილი დაუსვა, ან სრულ წამებად უქცია იგი. რა შეეძლოთ საბჭოთა სადამსჯელო ორგანოებს, ეს ზვიადის მშობლებმა პირადი გამოცდილებიდან ძალიან კარგად იცოდნენ. ამის გამო კონსტანტინე გამსახურდია 1957 წლის 7 აგვისტოს წერდა თავის უფროს ქალიშვილს, ნათელას: „ზვიადის ამბებმა შარშან და წრეულს, ბარე ცხრა თვის მანძილზე გამაგდებინა კალამი ხელიდან“.[82]

მიუხედავად განთავისუფლებისა, ახალგაზრდების „აღზრდა“ და საბჭოურ ცხოვრებასთან შერიგება მაინც არ მოხდა. მათზე უშიშროების ორგანოების მხრიდან თვალთვალიც არ შეწყვეტილა. 1958 წლის 20 ნოემბერს ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, გურამ დოჩანაშვილი, ჯონდო მეტრეველი და მერაბ დადიანი კვლავ დააკავეს. მანამდე პროვოცირებულ იქნა ახალგაზრდების დაპირისპირება მილიციის თანამშრომლებთან და დაპატიმრების საფუძველი გახდა „სამართალდამცავებისთვის წინააღმდეგობის გაწევა“. ეს ამბავი სოლოლაკში უნდა მომხდარიყო, სადაც ქუჩაში მდგარი „გორგასლიანის“ რამდენიმე ბიჭი ცოტა ხნის წინ ნანახ ფილმს „ველოსიპედისტის სიკვდილს“, ხმამაღლა არჩევდა. ამ ფილმში ლუჩია ბოზე თამაშობდა. ახალგაზრდების დაკავება მთავრობის სასახლესთან მოხდა, სადაც თავიდან პროვოკაციით შედგა დაპირისპირების იმიტაცია, შემდეგ იქვე ახლოს მდგარმა მილიციელმა ჰაერში გაისროლა. ეს დაპატიმრება პრევენციულ ღონისძიებას უფრო ჰგავდა, რომ „გორგასლიანს“ მეტად აღარ გაეგრძელებინა თავისი საქმიანობა. ისინი თავიდან მოათავსეს საქალაქო სამძებრო სამმართველოს წინასწარი დაკავების საკნებში, სადაც რეციდივისტები და „ნასედკები“ შეუშვეს, დანებითა და სამართებლებით შეიარაღებულები. ისინი ანგარიშსწორებით ემუქრებოდნენ „გორგასლიანის“ წევრებს.

1958 წლის დეკემბერში ზვიად გამსახურდია გადაიყვანეს თბილისის ფსიქიატრიული საავადმყოფოს „საექსპერტო განყოფილებაში“, მისი შერაცხა-

დობის გარკვევის მიზნით. მერაბ კოსტავა, გურამ დოჩანაშვილი და ჯონდო მეტრეველი ორთაჭალის ციხეში გადაიყვანეს. თუმცა იმავე წელს გაათავისუფლეს. ზვიად გამსახურდია ამას ხსნის კონსტანტინე გამსახურდიას ლიტერატურული წარმატებით, რომელიც „დიდოსტატის მარჯვენამ" მოუპოვა საფრანგეთში, სადაც გამომცემლობა „ლ'უმანიტემ" (Edition de l'Humanite) ეს რომანი გამოსცა ფრანგულ ენაზე. მას იმდენად დიდი წარმატება ჰქონდა, რომ „ლეტრ ფრანსეზმა" (Les Lettres Francaises) აღფრთოვანებული რეცენზია მიუძღვნა. მწერალს ჰონორარი არ აუღია – საბჭოთა ორგანოებმა ეს თანხა ავტომატურად გადარიცხეს „მშვიდობის ფონდში". მწერალს ეს ამბავი არ გაუპროტესტებია, რამდენადაც მსგავსი ნაბიჯი არანაირ შედეგს არ მოიტანდა. კომუნისტური ხელისუფლება ასეთ ამბებს, ცხადია, ყურადღებას აქცევდა. იქვე ვკითხულობთ, რომ ახალგაზრდების ხელახლა დაპატიმრების გამო შეშფოთდნენო ქართველი მწერლებიც, თუმცა მათი მხრიდან რაიმე კონკრეტულ ნაბიჯზე არაფერია ნათქვამი.

როგორც ზ. გამსახურდიას ჩანაწერებშია ნახსენები, ზემოაღნიშნულ საკითხზე ერთმანეთს შეხვდნენ კონსტანტინე გამსახურდია და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გივი ჯავახიშვილი. საქართველოს სსრ-ის ხელმძღვანელობამ ამჯერადაც არარეპრესიული, მდგომარეობიდან გამოსვლის შედარებით რბილი გზა აირჩია.[78]

1.8. უნივერსიტეტი და განათლების წლები

ზვიად გამსახურდიამ 1957 წელს ჩააბარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე, ინგლისური ენისა და ლიტერატურის განყოფილებაში. საშუალო სკოლის პერიოდში ინგლისურ ენას, როგორც უკვე აღინიშნა, მას ასწავლიდა მწერალი ლევან ხაინდრავა, რომელიც ქართულად არ წერდა, უფრო რუსული და ინგლისურენოვანი ტექსტების ავტორი იყო. უნივერსიტეტში დასავლეთ ევროპის ლიტერატურის კურსსა და თარგმანის თეორიას ზვიადი სწავლობდა გივი გაჩეჩილაძესთან, რომელიც 1939 წლიდან მოღვაწეობდა უნივერსიტეტში. იგი ამავე ფაკულტეტის დეკანი გახდა 1962 წლიდან. გელა ჩარკვიანის ინფორმაციით, ზვიად გამსახურდიას მასწავლებელი იყო მერი იანქოშვილი, რომელიც 1943 წლიდან ასწავლიდა თსუ-ში. რაც შეეხება მიხეილ კვესელავას, მწერალსა და ლიტერატურათმცოდნეს, იგი იმ პერიოდში უცხო ენათა პედაგოგიურ ინსტიტუტში მოღვაწეობდა როგორც პროფესორი, ხოლო უნივერსიტეტში 1963 წლიდან გადმოვიდა.

თავის ჩანაწერებში ზვიად გამსახურდია თითქმის არაფერს წერს უნივერსიტეტში სწავლის პერიოდზე – ძალიან სიტყვაძუნწად ეხება. მხოლოდ დასძენს, რომ იქ მოქმედებდა პარტიული კომიტეტის ფართოდ განტოტვილი ქსე-

ლი, რომელიც ყველაფერს აკონტროლებდა, ასევე, უშიშროების კომიტეტის განყოფილება, რომელიც საკუთარი დაკვირვების ქვეშ მამყოფებდაო. რაც შეეხება ზოგადად სტუდენტობას, იმდროინდელ ახალგაზრდობას ინტერესი დაკარგული ჰქონდა პოლიტიკისა და სულიერების მიმართ, გამქრალი იყო სამოქალაქო გამბედაობა, ახალგაზრდობა არაფერზე ფიქრობდა გართობის გარდაო. ამავე დროს კომკავშირი იტყუებდა ახალგაზრდებს თავის რიგებში, ჰპირდებოდა რა კარიერულ კიბეზე წინსვლას, კარგ ცხოვრებას, უცხოეთის ქვეყნებში მივლინებებში გაშვებას. ამის პარალელურად იზრდებოდა ქუჩური მენტალობა, დანაშაულობათა რიცხვი, ინერგებოდა „კანონიერი ქურდების“ კულტი. საკითხების ის წრე, რის ირგვლივაც უნივერსიტეტში სწავლების წლებში კონცენტრირებული იყო ზვიად გამსახურდია, გახლდათ: 1. ინგლისური ენის ცოდნის პრაქტიკული გაღრმავება, რაც საშუალებას მისცემდა ორიგინალში ეკითხა ინგლისურ-ამერიკული ლიტერატურული ტექსტები, ასევე, გამოეყენებინა ინგლისური ენა კომუნიკაციისთვის; 2. უახლეს ლიტერატურათმცოდნეობით მიდგომებთან ზიარება ინგლისურ და ამერიკული ლიტერატურის შესწავლის პარალელურად; 3. ქართულ-ბრიტანული და ქართულ-ამერიკული ლიტერატურული კონტაქტები; 4. მთარგმნელობითი ხელოვნების დაუფლება და თარგმანის თეორიის გაცნობა; 5. ქართული ფილოლოგია და მუშაობა ახალი ქართული სალიტერატურო ენის განვითარების კონცეპტზე.

1959 წელს ზვიად გამსახურდიამ პერსი ბიში შელის, ინგლისური რომანტიზმის გამორჩეული პოეტის, თარგმანები მიიტანა დასაბეჭდად „ცისკრის“ რედაქციაში, რომელსაც იმჟამად რედაქტორობდა ცნობილი მწერალი, ლიტერატურათმცოდნე და ინგლისური ლიტერატურის მთარგმნელი ვახტანგ ჭელიძე. ვახტანგ ჭელიძემ, მას შემდეგ, რაც გაეცნო ამ თარგმანს, მათი დაბეჭდვა მიზანშეწონილად არ მიიჩნია. თარგმანების ავტორს ამ საკითხებზე ესაუბრა მწერალი გიორგი შატბერაშვილი, იმჟამად რედაქციის თანამშრომელი, რომელმაც ვახტანგ ჭელიძისა და მთელი რედაქციის პოზიცია გააცნო მას. ამის შემდეგ ზვიად გამსახურდიამ რედაქტორს გაუგზავნა თავაზიანი წერილი, საიდანაც კარგად ჩანს 20 წლის ახალგაზრდა კაცის, როგორც მთარგმნელის, ლიტერატურათმცოდნისა და ინტელექტუალის დონე. წერილის ბოლოს ვკითხულობთ: „თქვენ უკეთ მოგეხსენებათ, რომ მთარგმნელის ვალია, უპირველეს ყოვლისა, დაცვა ავტორის სტილისტური კონცეფციებისა. ჩვენი აზრით, შეცდომა იქნებოდა, მაგალითად, უიტმენის თარგმნა ამაღლებული, რომანტიკული ბურუსით მოცული სტილით, შექსპირის ქრონიკებში არისტოკრატთა ამეტყველება ქართული ენის რომელიმე დიალექტზე ან მისივე პლებეების ამეტყველება რიტორულ-მაღალფარდოვანი ენით, სოფოკლეს თარგმნა გიორგი ერისთავისთვის დამახასიათებელი ბარბარიზმებითა და დიალექტიზმებით ავსილი ენით, სპენსერის ან მილტონის თარგმნა ჩვენი მესტვირე ბლიაძეების შაირსიტყვით, ბაირონის „მეხი სიტყვის“ ახმიანება აშუღურ კილოზე და სხვ. ასეთივე შეუსაბამობა იქნებოდა შელის „განთავისუფლებული პრო-

მეთეს“ თარგმნა მეშჩანურ-ობივატელური, გაღატაკებული და დეგრადირებული საერთო სახმარი ენით, რომელიც გაბატონებულია დღეს ჩვენს ზოგიერთ ჟურნალ-გაზეთებში. მაშინ დაიკარგებოდა განწყობილების მთელი გრანდიოზულობა, დიადი ჰუმანისტური პათოსი და შემართება ამ ნაწარმოებისა, დაირღვეოდა რიტმულ-ინტონაციური ჭედი ლექსისა და, ნაცვლად ანტიური ტრაგედიების მაგალითზე შექმნილი ლირიკული დრამისა, ხელში შეგრჩებოდა უნიჭო ოპერეტისთვის ლექსად დაწერილი ლიბრეტო. ამიტომაც ვცადე დავყრდნობოდი ქართული პოეზიის მრავალსაუკუნოვან ტრადიციებს და შემემუშავებინა ენობრივი ინსტრუმენტი, რომელიც გასწვდებოდა ისეთი ურთულესი და თითქმის შეუძლებელი ამოცანის შესრულებას, როგორიც არის გენიალური ინგლისელი პოეტის ქმნილების ქართული რეპროდუქციის შექმნა. დიდი პატივისცემით და მოკრძალებით, თქვენი ზვიად გამსახურდია“.[83]

მეტი თვალსაჩინოებისთვის შეიძლება ამ თარგმნილი ლექსებიდან ერთ-ერთის მაგალითად მოტანა – ეს არის პერსი ბიში შელის „მადრიგალი“:

„სიზმრად გიხილე სხივმოსილი, ვით მარგალიტი
ობლად შთენილი სხივთ აფრქვევდი უფერულ დასში.
ვით ლურჯი ღვინო, მოკამკამე ოქროვან თასში,
ვით არფის რეკვით შევერცხლილი ნათელი მითი.
ჰყვაოდნენ ირგვლივ ვარდები და ვაზები ბინდში,
ლაპის ლაზულის ცა აბნევდა ვერცხლნაპკურ წვიმას,
და ჯადოსნური წალკოტების ტევრებში სძინავთ
ცისფერ ბულბულებს უკვდავების სევდიან სთველში.
მაგრამ ვერ გპოვე, დამეღალა სივრცეში თვალი,
წალკოტი განვვლე და მოვიმკე, რაიც მეწერა,
და ოდეს ბაღი გადაიქცა ნაცრულ ეწერად,
ოდეს შემცირდა სიკისკასე და მკლავში ძალი,
გიხილე მაშინ ჩემთა დღეთა დასალიერზე,
ეულად იჯექ, ვით ყაყაჩო თავთუხის ჯარში,
ვით სერაფიმი დაღვრემილი სამოთხის ზვარში
დამჩერებოდი დაწაფებულს შენს ფერხთა მტვერზე“.

როდესაც კითხულობ ამ ლექსს, ჩნდება კითხვა: ასეთი რა „არქაიზმი“ იპოვეს ტექსტში, რომ მისი დაბეჭდვა შეუძლებელი გახდა? ხომ არ იყო რაღაც სხვა მიზეზები, რის გამოც რედაქცია იძულებული იყო, უარი ამ საბაბით ეთქვა? კითხვა სხვაგვარად რომ დაისვას: ხომ არ იგრძნობოდა აქ, ისევე როგორც სხვა შემთხვევებში, საბჭოთა ცენზურის უხილავი, გრძელი ხელი, რომელსაც ვახტანგ ჭელიძე და გიორგი შატბერაშვილი ვერასგზით ვერ გადაახტებოდნენ და უარის თქმის რაღაც სხვა საბაბი მოიფიქრეს? ხოლო პედალირება „არქაიზმზე“ გარკვეულწილად ინერცია იყო იმ კამპანიისა, რომელიც სტალინის სიცოცხლის ბოლო წლებში გაჩაღდა საქართველოს სსრ-ში, ჯერ კანდიდ ჩარკვიანის, შემდეგ აკაკი მგელაძის დირიჟორობით.

ზვიადი და მისი მეგობრები, ცხადია, მხოლოდ ბიბლიოთეკაში თავჩარგულნი არ ყოფილან. ისინი 50-იანი წლების ბოლოსა და 60-იანი წლების დასაწყისში ახალგაზრდულ, სისხლსავსე ცხოვრებასაც ეწეოდნენ. ისინი ერთად ქეიფობდნენ, ზოგჯერ გადაჭარბებული სიჩქარით დაჰყავდათ მამების კუთვნილი მანქანები, სკოლის ასაკიდან ეწეოდნენ სიგარეტს, უყურებდნენ და შემდეგ არჩევდნენ კინოფილმებს. ისინი პოპულარულები იყვნენ ლამაზ და მომხიბვლელ ქალთა შორის, მათთან ურთიერთობა და დროსტარება უხაროდათ ყველგან, თბილისი იქნებოდა ეს, ბაკურიანი თუ გაგრა (გავიხსენოთ ამონარიდი მერაბ კოსტავას ზვიადისადმი მიძღვნილი ლექსიდან, რომლის სათაურიც არის „ძმას ქრისტესმიერს": „შემოიკრიბე ფიცევერცხლით ძმანი, ცეცხლს რომ უნთებდნენ გულში ასულებს".). გაგრა იყო კურორტი, სადაც, საქართველოს ელიტასთან ერთად, სსრკ-ის კომუნისტური ელიტაც ისვენებდა, სადაც გახსნილი იყო არაერთი რესტორანი საღამოს პროგრამებით და საკმაოდ გლამურული სიტუაციებიც იქმნებოდა. აქ მომხდარა სკანდალური ამბებიც, რომელთა შესახებ მინიშნება არის კონსტანტინე გამსახურდიას წერილშიც: „მე დედაჩემის საფლავი დავიფიცე და გაგრის ამბებს აწი აღარ მოგითმენ".[84] ერთ-ერთი გადმოცემის მიხედვით, ახალგაზრდა ზვიადს მოუხდა ჩხუბი მის თანატოლ კოკა იგნატოვთან, მომავალში ცნობილ მხატვართან. მას მოეჩვენა, რომ კოკა „გორგასლიანის" ბიჭებთან დაახლოებულ ერთ-ერთ ახალგაზრდა ქალს ცეკვის დროს ზედმეტად და არასათანადოდ შეეხო. ამის გამო მან კოკას შენიშვნა მისცა, ხოლო მხატვარმა პასუხი უხეში და შეურაცხმყოფელი ფორმით დაუბრუნა. თუმცა, შესაძლოა, ეს ერთადერთი შემთხვევაც არ ყოფილიყო.

1.9. ზვიად გამსახურდიას პირველი ქორწინება

ზვიად გამსახურდიას პირველი ქორწინება უკავშირდება მისი სწავლის პერიოდს მუსიკალურ ათწლედში, სადაც გაიცნო თავისი პირველი მეუღლე დალი ლოლუა. იგი თავისი მოგონებების წიგნში წერს: „მე და ზვიადმა ერთმანეთი გავიცანით სამუსიკო სკოლაში, მუსიკალურ ათწლედში, სადაც ვეუფლებოდით მუსიკის ხელოვნებას. იმ პერიოდში ჩემი უახლოესი სულიერი მეგობარი გახლდათ მერაბ კოსტავა. სწორედ მან ბედისმიერად დაგვაკავშირა ჩვენ. გაცნობიდან ორი წლის შემდეგ მე და ზვიადი შევუღლდით".[85] თუკი მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ ისინი 1960 წლის შემოდგომაზე დაქორწინდნენ, მაშინ ეს გაცნობა 1958 წელს უნდა მომხდარიყო. ამ დროს ზვიად გამსახურდია უკვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კურსის სტუდენტი იყო. მათი საერთო ინტერესის საგანი უნდა ყოფილიყო მუსიკა, პოეზია, ხელოვნება და რელიგია.

დალი ლოლუა ამ სასწავლებელზე წერს: „ჩემი ჩამოყალიბება ოჯახის შემდგომ მოხდა ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ნიჭიერთა ათწლედში, რომე-

ლიც დაკომპლექტებული გახლდათ გამორჩეული, ბრწყინვალე პედაგოგებით. სწორედ აქ, სამუსიკო სასწავლებელში, გავიცანით მე და ზვიად გამსახურდია ერთმანეთი. ჩვენ მერაბ კოსტავასა და რამდენიმე უახლოეს მეგობართან ერთად დავამყარეთ საოცრად თბილი, მეგობრული და შემოქმედებითად საკმაოდ მრავალფეროვანი ურთიერთობა, რომელიც ზვიადის სიხალისის, იუმორისა და თავისებური ხიბლის გამო კიდევ უფრო საინტერესო გახდა. ჩვენი პირველი პაემანი მოხდა სამუსიკო ტაძარში – კონსერვატორიაში". როგორც ამ მონათხრობიდან ირკვევა, მისი პირველი მისვლა ზვიად გამსახურდიას სახლში (ანუ უკვე კოლხურ კოშკში) 1959 წლის სექტემბერში შედგა.[86] დალი ლოლუამ დაასრულა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია 1963 წელს. იგი ფორტეპიანოს კლასში სწავლობდა და იყო ცნობილი მუსიკალური პედაგოგის, ანასტასია ვირსალაძის, კლასში. მისი სადიპლომო ნამუშევარი გამოცდისთვის იყო სერგეი რახმანინოვის მეორე საფორტეპიანო კონცერტი.

ახალდაქორწინებულები მალევე წავიდნენ გაგრაში. ეს უნდა ყოფილიყო 1960 წლის სექტემბერი. თბილისში დაბრუნების შემდეგ მათ ჯვარიც დაიწერეს სვეტიცხოველში. მეჯვარეები იყვნენ ენათმეცნიერი ირაკლი რამიშვილი და მისი მეუღლე, ფილოლოგი და მთარგმნელი მანანა გიგინეიშვილი. დალი ლოლუა 1940 წელს დაიბადა. იგი იყო ემიგრანტი პოეტისა და მოღვაწის, 1923 წელს საქართველოდან ჯერ ევროპაში, შემდეგ კი ამერიკის შეერთებულ შტატებში ემიგრირებული გიორგი (გუგული) გამყრელიძის დისშვილი. დალის მამა მიხეილ ლოლუა ინჟინერი და მეორე მსოფლიო ომის მონაწილე იყო, დედამ, ქეთევან გამყრელიძემ, გათხოვებამდე დაასრულა თსუ-ის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი.

დალი ლოლუას მეორე ბიძა კი იყო ქართველი მწერალი და ბელეტრისტი, აკაკი ბელიაშვილი, მეუღლე მისი დეიდისა (1903-1961). „ჩემს ბიძას, აკაკი ბელიაშვილს, საკმაოდ ახლო და მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა კონსტანტინე გამსახურდიასთან", – წერს დალი ლოლუა.[87] აკაკი ბელიაშვილი 1961 წლის 14 დეკემბერს თავის მეუღლესთან, თინათინ გამყრელიძესთან, ერთად მცხეთაში მომხდარ ავტოკატასტროფაში გარდაიცვალა. საქართველოში 1921 წლის ოკუპაციამ და კომუნისტური ხელისუფლების მიერ შემდგომ გადადგმულმა ნაბიჯებმა ბევრ ოჯახს მიაყენა უმძიმესი ტრავმა. ზვიად გამსახურდიას ახალშერთული მეუღლის ოჯახში დახვდა ის ტრაგიკული ამბავი, რომელიც გიორგი გამყრელიძის იძულებით ემიგრაციას უკავშირდებოდა. მიუხედავად უკიდურესი ნოსტალგიისა, რომელიც გიორგი გამყრელიძის ლექსებში იგრძნობდა, მას არასოდეს უცდია სამშობლოში დაბრუნება, რადგანაც ეს ნიშნავდა, ერთი მხრივ, კომუნისტურ ხელისუფლებასთან შერიგებას და, მეორე მხრივ, კონკრეტულ საფრთხესთანაც იყო დაკავშირებული – ასე დაბრუნებულებიდან დიდი უმრავლესობა გადაუსახლებიათ და დაუხვრეტიათ. ამ ოჯახში ინახებოდა მისი ერთადერთი პოეტური კრებული „გვიანი რთველი", რომელიც ვიქტორ ნოზაძის დახმარებითა და რედაქტორობით გამოიცა სანტიაგო დე ჩი-

ლეს ქართულ გამომცემლობაში 1960 წელს. მოგვიანებით ზვიადი და მერაბი თავიანთ არალეგალურ თვითგამოცემა „ოქროს საწმისში" დაბეჭდავენ გიორგი გამყრელიძის ლექსებს. სარედაქციო მინაწერში აღნიშნულია, რომ თავის ლექსებში მან დაიტირა იავარქმნილი მამული, თუმცა მამულმა ვერ დაიტირა ის. ზვიადი განსაკუთრებით გამოყოფდა პოეტის ლექსს 1924 წლის დიდ ეროვნულ აჯანყებაზე:

„ამსხვრევდნენ მძიმე ჩაქუჩებით ზარებს მცხეთაში,
ქარი ფანტავდა დანგრეული სასახლის ყავრებს,
ისევ უღმერთოდ აწამებდნენ არგვეთის მთავრებს
მტკვარზე, არაგვზე, რიონზე და მოწამეთაში.
დაკოდილ არწივს მკერდზე სისხლი ჩამოსდიოდა,
იხვრიპებოდა ბილწი ტუჩით ქართლის ზედაშე,
არვინ უნთებდა თაფლის სანთელს საწყალ დედაშენს,
ხახულის ხატთან ფეხშიშველი რომ დადიოდა".
(გ. გამყრელძე, „გვიანი რთველი", სანტიაგო დე ჩილე)

ზაფხულობით მთელი ოჯახი გარკვეული პერიოდით დასასვენებლად დადიოდა ამჟამად მუზეუმად გადაკეთებულ მემორიალურ სახლში, ჭიათურის რაიონის სოფელ ზოდში, რომელიც მე-19 საუკუნის ბოლო მეოთხედში აშენდა. ამ სახლის კარზე გიორგი გამყრელიძეს უცხოეთში სამუდამოდ გამგზავრებამდე 1923 წელს დატოვებული ჰქონდა საკუთარი ავტოგრაფი. ემიგრანტ გიორგი გამყრელიძეს, რომელიც 1923 წლიდან ჯერ – ამერიკაში, შემდეგ კი დასავლეთ გერმანიაში ცხოვრობდა, ფეხი არასოდეს ჩამოუდგამს საქართველოში. იგი 50-იანების მიწურულსა და 60-იანების დასაწყისში იყო „ამერიკის ხმის" ქართული რედაქციის თანამშრომელი და გარკვეული რუბრიკების წამყვანიც. ეს ასევე მნიშვნელოვანი ფაქტი იყო ახალგაზრდა ზვიად გამსახურდიასთვის, რომელიც ფიქრობდა, კავშირები დაემყარებინა პირველი რესპუბლიკის პოლიტიკური ემიგრაციის წარმომადგენლებთან.

ზვიად გამსახურდია პირველად 1963 წლის ზაფხულში ჩავიდა ამ სოფელში და მას შემდეგ სიამოვნებით ჩადიოდა ყოველ წელს, რამდენადაც მოსწონდა იქაური ბუნების რომანტიკული სილამაზე, ასევე, ძველებური, აზნაურთათვის დამახასიათებელ სტილში ხისგან ნაგები სახლი, რომელიც საკმაოდ დიდი ზომისა იყო. მას ხშირად აღუნიშნავს, რომ ეს შუა საუკუნეებში ლიპარიტეთი იყო, იმავე არგვეთის საერისთავოს მიწა, რომელიც დავით აღმაშენებლის მიერ თავისი მეტოქის, ლიპარიტ ბაღუაშის, განეიტრალებისა და ბიზანტიაში გაძევების შემდეგ უპატრონოდ დარჩა და დავითმა გელათის ღვთისმშობელს მიუძღვნა. იქ მას წიგნები მიჰქონდა სამუშაოდ და არაერთხელ აღუნიშნავს ნაყოფიერება იქ გატარებული დღეებისა.

ზოდის ძველ სახლში იყო ისეთი შეხვედრებიც, რომლებსაც აშკარად „არასაბჭოური" შინაარსი ჰქონდა და უკავშირდებოდა, მაგალითად, ევროპულ ლიტერატურასა და ფილოსოფიას, თეოლოგიასა და ანთროპოსოფიას. აქ ზვი-

ადთან ერთად ჩამოდიოდნენ მერაბ კოსტავა, ინტელექტუალი ირაკლი რამიშვილი და მისი მეუღლე, ფილოლოგი მანანა გიგინეიშვილი, ლენინგრადელი მწერალი და მთარგმნელი ვიტალი ბოგოსლოვსკი, პიანისტი ჯარჯი ბალანჩივაძე (ქართველი კავალერი გლუკი, როგორც მას მეგობრებმა უწოდეს), მუსიკათმცოდნე ამირან ბალანჩივაძე და სხვები.

კონსტანტინე გამსახურდიას ოჯახს განსაკუთრებულად იზიდავდა აფხაზეთიც. თავიდან ისინი გაგრაში ისვენებდნენ, ხოლო 1965 წლიდან – ბიჭვინთასთან ახლოს მდებარე სოფელ ლიძავაში, სადაც აგრბას ქუჩაზე, საბჭოთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის დასასვენებელ სახლთან ახლოს აშენდა კონსტანტინე გამსახურდიას აგარაკი, რომელსაც მწერალმა „აფსუა აბა'ა" (აფხაზური სახლი) უწოდა. რაც შეეხება ქართველ, აფხაზ, საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებიდან ჩამოსულ და უცხოელ მწერლებს ამ სახლში, ასევე, არაერთ საინტერესო სტუმრობას ჰქონია ადგილი.

1961 წლის 24 ივნისს დავიბადე მე, ზვიად გამსახურდიას უფროსი ვაჟი კონსტანტინე, ამ სტრიქონების ავტორი. ჩემი დაბადების დროს მთელი ოჯახი იმყოფებოდა ოპერაში, სადაც მიდიოდა შალვა მშველიძის ოპერის, „დიდოსტატის მარჯვენის" პრემიერა, რომლის რეჟისორიც იყო ვახტანგ ტაბლიაშვილი, ხოლო დირიჟორი – ოდისეი დიმიტრიადი. მეორე ნაწილის დაწყების წინ, როდესაც ანტრაქტი დასრულდა, სცენაზე გამოვიდა იმჟამად ახალგაზრდა რეჟისორი გიზო ჟორდანია და ლოჟაში მყოფ კონსტანტინე გამსახურდიას მიულოცა შვილიშვილის დაბადება, რასაც დამსწრე საზოგადოების მხრიდან აპლოდისმენტები მოჰყვა. 1961 წლის 27 ივნისს იმავე ოპერის თეატრში გაიმართა მწერლის დაბადებიდან 70 წლის იუბილე. მას იუბილე მიულოცეს ირაკლი აბაშიძემ, ბესარიონ ჟღენტმა, აკაკი ბელიაშვილმა, გიორგი ლეონიძემ, ლადო გუდიაშვილმა, ასევე, პროფესორებმა, სერგი ჟღენტმა და უშანგი ობოლაძემ. იუბილეს დაესწრნენ ხელისუფლების წარმომადგენლებიც: რესპუბლიკის მეთაური მჟავანაძე, ასევე, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ჯავახიშვილი და სხვ. იუბილე დასრულდა კონცერტით, ხოლო რესტორან „თბილისში" გაიმართა სამასკაციანი ბანკეტი, რომელსაც ირაკლი აბაშიძე თამადობდა.

1.10. მოღვაწეობის პირველი ნაბიჯები

ზვიად გამსახურდიას ჩანაწერებში ვკითხულობთ იმის მიზეზებზეც, თუ რატომ აღარ გაგრძელდა ბრძოლა და მუშაობა არალეგალური ორგანიზაცია „გორგასლიანის" ფორმატში: „60-იან წლებში მე და მერაბი დავრწმუნდით, რომ არალეგალური პოლიტიკური მოღვაწეობა აზრს მოკლებული იყო. სუკ-მა მოახდინა ჩემი სრული იზოლაცია საზოგადოებისგან, იყო ზეწოლა და თვალყურის დევნება, საზოგადოებას კი დაკარგული ჰქონდა ყოველგვარი ინტერესი ოპოზიციური პოლიტიკური მოღვაწეობისადმი, მას მხოლოდ უტილიტარუ-

ლი განწყობები ამოძრავებდა".[88] უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ ზვიადი შეუდგა სამეცნიერო და ლიტერატურულ საქმიანობას, თარგმნიდა, წერდა ლიტერატურათმცოდნეობით და კრიტიკულ სტატიებს, ესსეებს. იმ ავტორებს შორის, რომელთა ტექსტებსაც ქართულად თარგმნიდა, ასახელებს შექსპირს, პერსი ბიში შელის, ასევე, XX საუკუნის ამერიკელ პოეტებს. შეისწავლიდა „ვეფხისტყაოსნის" ინგლისურ თარგმანებსაც.

1966 წელს ზვიად გამსახურდია საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი გახდა, ასევე, მუშაობა დაიწყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ინგლისური ენის მასწავლებლად. იქვე აღნიშნავს, რომ მას არ მისცეს საშუალება ემუშავა თავისი პროფილით, ანუ წაეკითხა ლექციები ინგლისურ ფილოლოგიასა და ლიტერატურათმცოდნეობაში.[89] ერთი რამ ფაქტია, რომ ზვიად გამსახურდიამ არ ჩააბარა ასპირანტურაში იმავე კათედრაზე, რომელი ფაკულტეტიც დაასრულა უნივერსიტეტში. ინგლისური ფილოლოგიის კათედრას 1962 წლიდან სათავეში ედგა პროფესორი გივი გაჩეჩილაძე. სავარაუდოდ, კათედრაზე იყო გარკვეული კვოტა, თუ ვის მიიღებდნენ. იქ, როგორც იხსენებდა გელა ჩარკვიანი, ორი ქალბატონი მიიღეს. ფაქტია, რომ ზვიად გამსახურდიას არც უცდია, საბუთები შეეტანა ინგლისური ფილოლოგიის კათედრაზე. ალბათ, იმიტომ, რომ მას მანამდე გასაგებად უთხრეს – შენ აქ გარკვეული მიზეზების გამო სასურველი პირი არ ხარ, ამიტომაც არ მიგიღებენო.

ამის შემდეგ აკადემიური ხარისხის გარეშე იგი ლექციებს კითხულობდა უპირატესად უნივერსიტეტის მეორე კორპუსში, ტექნიკური ფაკულტეტების სტუდენტებთან, ბიოლოგებსა და ფიზიკოსებთან. თუმცა იშვიათად მაინც უჩნდებოდა შესაძლებლობა რაიმე მოხსენების წაკითხვისა თავისი პროფილით. ასე, მაგალითად, დალი ლოლუა თავის მოგონებებში წერს, რომ ზვიად გამსახურდიას თარგმანებს ყურადღება მიაქცია მწერალმა და ერუდიტმა, პროფესორმა მიხეილ კვესელავამ, რომელმაც მას შესაძლებლობა მისცა, უცხო ენათა ინსტიტუტში წაეკითხა მოხსენება ამერიკულ ლიტერატურაზე, ასევე, მსმენელისთვის გაეცნო თავისი ახალი თარგმანები.[90] როგორც ირკვევა, ამ მოხსენების შემდეგ დაინტერესება სტუდენტების მხრიდანაც დიდი იყო. მათ მოითხოვეს სპეცკურსი, რასაც მხარი დაუჭირა მიხეილ კვესელავამ და დააკმაყოფილა. აღნიშნული სპეცკურსი, XX საუკუნის ამერიკული პოეზიის შესახებ, წარმატებით ჩატარდა 1965-1966 წლებში. რომელი ამერიკელი პოეტების თარგმანებზეა საუბარი? ესენია უოლტ უიტმანი, კარლ სენდბერგი, ედვინ არლინგტონ რობინსონი, რობერტ ფროსტი, ეზრა პაუნდი, რობინსონ ჯეფერსი, ხოლო ბრიტანელებიდან – პერსი ბიში შელი და თომას სტერნზ ელიოტი.

საქართველოში საკმაოდ კარგი და მდიდარი ბიბლიოთეკები იყო, თუმცა ბევრი კარგი და საინტერესო წიგნი მკითხველისთვის მაინც მიუწვდომელი რჩებოდა. მათ საცავებში შეშვებას სპეციალური ნებართვა სჭირდებოდა, რომელსაც ყველაზე, მით უმეტეს, არასაიმედო პირებზე, არ გასცემდნენ. თუმცა, ზვიადისა და მერაბის განკარგულებაში იყო კონსტანტინე გამსახურდი-

ას ბიბლიოთეკაც, რომელშიც ისეთი საინტერესო წიგნებიც მოიპოვებოდა, რომლებიც მწერალმა ან გერმანიიდან ჩამოიტანა, ან შეიძინა ლენინგრადში, მოსკოვსა და კიევში. საინტერესო წიგნები მოიპოვებოდა იაკობ გოგებაშვილის სახელობის ბიბლიოთეკის საცავში, რომელიც უშუალოდ მერაბის სახლის ეზოში მდებარეობდა. როგორც ზურაბ ცუცქირიძე იგონებს, იქ შესვლის უფლება ეძლეოდათ მხოლოდ მეცნიერ-მუშაკებს სპეციალური საშვით. ბიბლიოთეკის დირექტორი, ქ-ნი ქსენია იოსელიანი ბიჭებს რელიგიური წიგნების ფონდში საიდუმლოდ უშვებდა. საცავი ბიბლიოთეკის სარდაფში მდებარეობდა, ხოლო სარდაფს სათადარიგო ჩასასვლელი ადამიებისა და შაუთიძეების ეზოს მხრიდან ჰქონდა. დეიდა ქსენიას სარდაფში სასიგნალო მოწყობილობა ჰქონდა და, თუ საეჭვო ვინმე შემოვიდოდა ბიბლიოთეკის დარბაზში, და მაშინ ეს იშვიათობა არ ყოფილა, მაშინვე სიგნალს მისცემდა და ბიჭები სათადარიგო გასასვლელით ტოვებდნენ წიგნთსაცავს.[91]

ბიოგრაფიული ეტაპების გამოყოფისას მერაბ კოსტავას ერთი ასეთი პოეტური პასაჟის გამოყენებაც შეიძლებოდა, რომელიც, დაახლოებით, უფრო ზოგად შტრიხებში ზვიად გამსახურდიასთან დაკავშირებითაც შეიძლება გამოდგეს, რამდენადაც მათ ძალიან ბევრი რამ ჰქონდათ საერთო. მერაბ კოსტავა თავის ვრცელ ლექსში „შიმშილობა", რომელიც მოგვიანებით, საბჭოთა საპატიმროშია დაწერილი, რეტროსპექტულად იხსენებს:

„როს რელიგიის ვსვამდი ზედაშეს,
ვითხოვდი საკვებს ათასგზის ნაკლებს.
არ ვაწუხებდი დიდად დედაჩემს,
როს მცენარეულს ვითხოვდი საკვებს.
როს ოკულტიზმის ნესტრით ვეწამე,
ფილოსოფიის ვეწიე სიბრძნეს,
მეც შევიცვალე და რძის ნაწარმის
მოთხოვნილებაც ანაზდად ვიგრძენ.
და როცა შევრგე თავი ხაფანგში,
და უჩინარი გავხდი საჩინო,
ოდეს შევები პოლიტიკაში,
კვლავ ვეზიარე ხორცსა და ღვინოს".

ეკლესიური ცხოვრება გულისხმობს რელიგიური კულტის პოეტურობის, ესთეტურობისა და მისტიკის გრძნობისმიერ განცდას, მის ისტორიულობასა და ზეისტორიულობაში მოწიწებულ შესვლას არა იმდენად რეფლექსიით, არამედ უფრო მის გარეშე. ცნება „ოკულტიზმის" მიღმა რაღაც მაგია და მჩხიბაობა არ უნდა წარმოვიდგინოთ. ეს უფრო შემეცნების, სულიერი მეცნიერებით გაღრმავებული ბუნებისმეტყველებისა და ფილოსოფიის ჰოლისტური ნაგებობაა. იგი ცხოვრებასა და ისტორიაზე გაფართოებული და გაღრმავებული ჭვრეტის საშუალებას იძლევა. ლექსის ეს პასაჟი თავისებური რეცეფციაა დავით აღმაშენებლის კანონისა „გალობანი სინანულისანი", სადაც ავტორი ვარ-

სკვლავთმრიცხველობასა და მიწიერ ფილოსოფიაზე საუბრობს. ხოლო პოლიტიკა ეს არის ბრძოლა და შრომა სოციალური ცხოვრების ახალი ფორმების, ახალი, უფრო ჯანსაღი ურთიერთობების დამკვიდრებისთვის, ახალი საზოგადოებრივი და სამოქალაქო ცნობიერების მიღწევისთვის, სადაც ცენტრალური ღერძია, ერთი მხრივ, თავისუფლება, მეორე მხრივ, დემოკრატიული სისტემა და სამართლებრივი სახელმწიფო, მესამე მხრივ, სოლიდარულობა და სოციალური ემპათია. ეს ყველაფერი უნდა შედგეს დიქტატორული, ტოტალიტარული, ყოველივეს ცენტრალიზაციის მარწუხებში მომქცევი და ნიველირებადი სახელმწიფო მანქანის გარეშე.

ის, რაც ზოგად ბიოგრაფიულ პორტრეტზე დაკვირვებისას ყურადღებას იქცევს, არის ახალგაზრდა ზვიადის არასაბჭოური დამოკიდებულება ლიტერატურასა და ფილოსოფიასთან. იგი არანაირად საბჭოთა მეინსტრიმში არ ჯდება. მაგალითად, თემები, რომელთა შერჩევაც ჰუმანიტარული მეცნიერებების ინსტიტუტებში ხდებოდა, აუცილებლად გამოცდილი პროფესორებისა და კონსულტანტების მიერ უნდა ყოფილიყო მოწონებული. მოწონებული კი ნიშნავდა იმას, რომ მას დამტკიცების პერსპექტივა ექნებოდა, – თუკი ეს დისერტაცია იყო და მას მოიწონებდა ცენტრალიზებული ორგანო მოსკოვში – „ვაკი“, ამ შემთხვევაში ნაშრომს ჰქონდა პერსპექტივა გამოქვეყნებულიყო და ცენზურას არ გაეჩერებინა. მიუხედავად იმისა, რომ ზვიად გამსახურდია არცთუ იშვიათად ახერხებდა თავისი წერილებისა და, ცოტა მოგვიანებით, წიგნების დაბეჭდვას, ძირითადი განწყობა მისი სამეცნიერო და ლიტერატურული მოღვაწეობისა „კონტრკულტურული“ იყო, ანუ ეს იყო სულისკვეთება რაღაცნაირი ინტელექტუალური იატაკქვეშეთის არასაბჭოური „კონტრკულტურისა“.

ზვიად გამსახურდიასეული ზოგადი შეფასება ლიტერატურული სფეროსი და ცხოვრებისა მე-20 საუკუნის 60-იანი და 70-იანი წლების საბჭოთა საქართველოში ამიტომაცაა საკმაოდ მძიმე. ჩანაწერებში ვკითხულობთ: აქ, ძირითადად, ხელი შეეწყობა უნიჭობასა და საშუალოობას. ყველგან, საკვანძო თანამდებობებზე, სხედან მექრთამეები, მედროვეები, საშუალო ნიჭის ანდა, სულაც, უნიჭო ლიტერატორები, რომლებიც გზას უღობავენ ნიჭიერ ადამიანებს. საბჭოთა კავშირში ეშინიათ მწერალთა „მაღალი მორალური ცნობიერების“, მათი მხრიდან „თავისუფალი აზროვნების“. ჟურნალები და რედაქციები არსებითად დაკეტილია იმ ნიჭიერი პოეტებისთვის, რომლებიც სინდისთან კომპრომისზე არ მიდიან; სამაგიეროდ, ღიაა უპრინციპო კარიერისტებისთვის, რომლებიც მზად არიან, ხოტბა აღუვლინონ ლენინსა და პარტიას. რაც შეეხებათ უკომპრომისო შემოქმედთ, ისინი თითქოს კანონგარეშე არიან გამოცხადებულნი. მათ სამიზდატი დარჩენიათ, აბა სხვა რა გზა აქვთ?[92] თუმცა „სამიზდატიც“ არ იყო იოლი საქმე. გარდა იმისა, რომ ფიზიკურად ძალიან რთული იყო დასამზადებლად, ამასთან ერთად, სერიოზული საფრთხეც იყო – რამდენადაც სსრკ-ში ყველაფერი, რაც ნებადართული არ ყოფილა, ფაქტობ-

რივად, აკრძალული იყო. და არავინ იცის, ამ სამიზდატზე რა დასკვნას გამოიტანდა სპეცსამსახურული ფუნქციების შეთავსებით მოქმედი საბჭოთა საიდუმლო პოლიცია.

რაც შეეხება ლიტერატურულ კრიტიკას, არც მისი მდგომარეობაა სახარბიელო, – ვკითხულობთ შემდგომ. იგი მთლიანად მიბმულია ცენტრალური კომიტეტის იდეოლოგიურ აპარატზე და მას ორი მტერი ჰყავს: ერთი ესაა ოფიციალური ცენზურა, რომელიც თავისუფალ, თვითმყოფად აზრს კრიტიკულ წერილებში ანადგურებს, ებრძვის პრინციპულ და არსებით აზროვნებას, ხოლო მეორეა უნიჭო მწერლების დაჯგუფება, რომლებიც სხვადასხვა მაქინაციებით, ასევე, ბრძოლის საკუთარი საშუალებებით ახშობენ ლიტერატურულ კრიტიკას. მოუსყიდველი კრიტიკოსი სსრკ-ში იშვიათობაა, რადგან ის მაშინვე ხდება კოლეგების მხრიდან დევნისა და ცილისწამების ობიექტი.[93]

და თავად სსრკ როგორ ქვეყნად მიაჩნდა? იგი წერს, რომ აქ „ხალხთა მეგობრობის“ ნიღბის ქვეშ მიმდინარეობდა ხალხების შევიწროება და ასიმილაცია, ასევე, მათ შორის შოვინისტური სიძულვილის გაღვივება; ყვაოდა ანტისემიტიზმი. გარდა რესპუბლიკების აუტანელი ეკონომიკური ძარცვისა, ადგილი ჰქონდა ჩაგვრას კულტურულ სფეროში, რამდენადაც აქ საკვანძო თანამდებობებზე ოპორტუნისტები და მედროვეები ისხდნენ, რომლებიც ყველანაირად ემორჩილებოდნენ მოსკოველ „უფროსებს“. ამის გამო ეროვნულ კულტურას დიდი ზიანი ადგებოდა. ხდებოდა ყველანაირი ინიციატივის ჩახშობა და ამოძირკვა. ლიტერატურისა და ხელოვნების სფეროში ხელი ეშლებოდა ორიგინალურს, აქტუალურსა და თვითმყოფადს. კატასტროფულ მდგომარეობაში იყო კულტურის ძეგლები. შედარებით მოვლილი და რესტავრირებული იყო ის ძეგლები, რომლებიც ტურისტულ მარშრუტებში იყო მოქცეული და ამის გამო უცხოელებიც მიჰყავდათ მათ სანახავად. მეცნიერებაში ხდებოდა დისერტაციების ცენზურირება მოსკოვის ცენტრალიზებული სადისერტაციო საბჭოს, „ვაკის“, მიერ. თვითმყოფად, დიალექტიკური მატერიალიზმის ჩარჩოდან გასულ ინიციატივებს არც აქ შეეწყობოდა ხელი.[94]

რა თქმა უნდა, ახალგაზრდა ზვიად გამსახურდიას მიერ ასეთი შეურიგებელნი და მკვეთრი პოზიციების გამოხატვას ოჯახში შეშფოთებით უსმენდნენ. თავად აღნიშნავს, რომ ხშირად ვყოფილვარო დედაჩემის უძილო ღამეებისა და ნერვიულობების მიზეზი. თუმცა, როდესაც კერძო საუბარში მას თუნდაც საკუთარ სახლში მკაფიოდ უთქვამს, რომ „საბჭოთა იმპერია უნდა დაინგრეს“, „მოსკოვის ბატონობა საქართველოში უნდა დაემხოს“ – ანდა, მაგალითად, 1972 წლის ივლისში, კონსტანტინე გამსახურდიას ზუგდიდში ყოფნისას, იქ ჩამოსული ზვიადისა და მერაბის კომენტარი მოსკოვის გარშემო ტყეებში გაჩენილ გრანდიოზულ ხანძარზე, რომ „განკითხვის დღე უახლოვდება რეჟიმს,“ – თავად ეს აზრები არ იწვევდნენ გაკვირვებას: კონსტანტინე გამსახურდიასაც არ უცხოვრია სხვანაირი აზრებით. თუმცა დედ-მამისთვისაც და დისთვისაც დამთრგუნველი იყო წარმოდგენა იმისა, თუ რა საზარელ

საფრთხეებთან იქნებოდა დაკავშირებული ამ რადიკალური პოსტულატებით პრაქტიკულ მოღვაწეობაში გადასვლა. საბჭოთა საქართველოში ძალიან ბევრ ოჯახს რეპრესიები და გულაგი ჰქონდა გამოვლილი. საბჭოთა სისტემა, ასე თუ ისე დარბილებული სტალინის სიკვდილის შემდეგ, მაინც საკმაოდ ხისტად ფუნქციონირებდა, ცხოვრებას განაგრძობდა საკუთარი განრიგისა და გეზის მიხედვით და სრულიად შეუვალი ჩანდა არათუ მკვეთრად ანტიკომუნისტური, არამედ ახალი, არაკომუნისტური და შედარებით დემოკრატიული იდეებისთვისაც.

1.11. მუსიკა

ზვიად გამსახურდიას თანაკლასელი, გელა ჩარკვიანი, შემდგომში ედ. შევარდნაძის მრჩეველი და საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი დიდ ბრიტანეთში, თავის მოგონებების წიგნში „ნაცნობი ქიმერების ფერხული", იხსენებს ერთ ასეთ ეპიზოდს, როდესაც ზვიადსა და სხვა თანაკლასელებთან ერთად თბილისის ფუნიკულიორის რესტორანში ღვინოს მიირთმევდნენ. იქ თითქოს ერთ მომენტში მოცარტის მუსიკა მოისმა, რომელიც ახალგაზრდებმა მაშინვე იცნეს. ამაზე ზვიად გამსახურდიას თითქოს უთქვამს, მოცარტი კარგია, მაგრამ ჩვენთვის ქართული „ჩაკრულო" უფრო მეტიაო. ეს უცნაური პასაჟია ერთი რამის გამო და არადამაჯერებელიც: ზვიადი მოცარტის რამდენიმე ოპუსს, არცთუ ადვილად შესასრულებელს, ფორტეპიანოზე საკმაოდ, კარგად ასრულებდა. იმავდროულად, როგორც მას, ისე „გორგასლიანის" ბიჭებს, მრავალხმიანი ქართული სიმღერების შესრულებაც კარგად გამოსდიოდათ.

პირობითად თუ ვიტყვით, საქართველოში ორი ტიპის შეზღუდულობა არსებობს, რაც მუსიკალურ გემოვნებას შეეხება: პირველნი თვლიან, რომ ქართულ ხალხურ სიმღერაზე დიდებული მსოფლიოში არაფერი შექმნილა, მეორენი კი მიიჩნევენ, რომ ქართული მრავალხმიანობა ჩვეულებრივი ფოლკლორია და მასში განსაკუთრებული არაფერია; ნამდვილი მუსიკალური კულტურა მხოლოდ ევროპამ შექმნა „კლასიკის" სახით და მასთან შედარებით ქართული ხალხური მუსიკა პროვინციულ მასშტაბს ვერ სცდება. ზვიად გამსახურდია ამ ცალმხრივი შეხედულებებიდან არცერთს არ იზიარებდა. ამიტომაც, შესაძლოა, ბატონ გელა ჩარკვიანს რაღაც ისე არ მოესმა, როგორც ითქვა.

კლასიკურ მუსიკას განსაკუთრებული დატვირთვა ჰქონდა ამ ახალგაზრდების ცხოვრებაში. ბეთჰოვენისა და ვაგნერის გმირული მუსიკა იყო ჩვენი სტიქიაო, – წერდა ზვიად გამსახურდია თავის წინასიტყვაობაში, რომელიც მერაბ კოსტავას პოეტურ კრებულს წაუმძღვარა. კოლხური კოშკის ქვედა სართულზე, იქ, სადაც სასადილო ოთახი იყო, ზვიად გამსახურდიას სამუშაო ოთახის პირდაპირ, იდგა სტეინვეის მარკის ფორტეპიანო. ეწყობოდა მუსიკალური საღამოები, როდესაც უკრავდნენ ზვიადი, მერაბი, დალი ლოლუა, ასევე, მათი

მეგობარი, პიანისტი ჯარჯი ბალანჩივაძე, ქართველი და ამერიკელი ბალანჩივაძეების დიდი მუსიკალური დინასტიის წარმომადგენელი. მერაბ კოსტავა, დალი ლოლუას მოგონებების მიხედვით, ასრულებდა ლისტის „ობერმანის ველს“, მისივე „სიყვარულის ზმანებებს“, ასევე, რობერტ შუმანის „დავიდსბუნდლერების მარშს“. იგი პროფესიონალურად უკრავდა – თავის დროზე დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, როგორც პიანისტს. თუმცა ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე მერაბმა შეიცვალა პროფილი და მუსიკათმცოდნეობაში გადაინაცვლა. ზვიადი ასრულებდა სერგეი რახმანინოვის პრელუდს – დო-დიეზ მინორს (ოპუსი 3., N2-ს), ალექსანდრ სკრიაბინის მე-12 ეტიუდს (თხზ, 8.), ასევე, ფრედერიკ შოპენის „გმირულ“ პოლონეზს. მის რეპერტუარში შედიოდა ვოლფგანგ ამადეუს მოცარტისა და ფრანც შუბერტის ნაწარმოებები.

სალონური კონცერტები ეწყობოდა, ასევე, დალი ლოლუას სახლში, კამოს (თანამედროვე უზნაძის) ქუჩაზე. ათწლეულების შემდეგ, ჟურნალისტმა ურმას ოტმა ჰკითხა უკვე პრეზიდენტს, უკრავდა თუ არა შოპენს. ამაზე ზვიადმა უპასუხა: „რა თქმა უნდა, და არა მარტო შოპენს ვუკრავ ფორტეპიანოზე, მაგრამ წარმატება არ მქონია ამაში. მე მუსიკალური განათლება მაქვს“.[95]

ზვიად გამსახურდიას მუსიკალური გემოვნება ათწლედში ჩამოყალიბდა, სადაც კლასიკური მუსიკის ტრადიცია იყო დომინანტური. ამის გამო მას იმდენად არ იზიდავდა თანამედროვე მუსიკა, როკი ან ჯაზი. ზემოთ ნახსენები მოგონებების მიხედვით, მას ჰქონდა ფირფიტების საკმაოდ მდიდარი კოლექცია, რომელიც მოიცავდა სიმფონიურ, საოპერო, საფორტეპიანო და სავიოლინო მუსიკას მსოფლიოში ცნობილი შემსრულებლების, დირიჟორების, მომღერლების, პიანისტებისა და მევიოლინეების შესრულებით. „დღე იწყებოდა და მთავრდებოდა მუსიკით. ჭეშმარიტად, მუსიკა იყო ჩვენი სულიერი საზრდოს მნიშვნელოვანი ნაწილი“.[96]

მიუხედავად ინტენსიური ინტელექტუალური განვითარებისა და საკუთარ თავზე მუშაობისა, არანაირად არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ახალგაზრდა ზვიად გამსახურდიას ცხოვრებაში არ იყო ლხინი და მოცალეობა. სხვათა შორის, ამაზე მერაბ კოსტავასაც აქვს ზვიადისადმი მიძღვნილ თავის ერთ ადრეულ ლექსში მოკლე მინიშნება: „შენში ღრეობდა დიონისო, და აწ აპოლონ უკრავს შენში ღვთაებრივ ჰანგებს“. დალი ლოლუას მოგონებებში ვკითხულობთ ასეთ შეხვედრებზე: „იყო დიდებული დღეები – გაჯერებული ხელოვნების სურნელით, მუსიკითა და პოეზიით, ხელოვნება გვასულდგმულებდა ჩვენ. ზვიადი, მერაბი, კაკულიკა ვასაძე და გურამ ბენაშვილი მღეროდნენ საოცრად, მათი ლხინი ნიჭიერების, უბადლო სიმღერებისა და ენამოსწრებულობის ფეიერვერკს წარმოადგენდა და ამით მოხიბლული ბატონი კონსტანტინე ყოველთვის კეთილად ხვდებოდა მათ ქეიფს კოშკში. განსაკუთრებით იმიტომ, რომ ახალგაზრდების ლხინი არასდროს გადადიოდა ჯაჯღანსა და უნიჭო ღრიანცელში. ბიჭების სუფრას უცხო ხიბლს აძლევდა ჯონდო მეტრეველის მწარე გამონათქვამები, რომელთაც ანეიტრალებდა გურამ დოჩანაშვილის რბილად,

სიყვარულითა და მშვიდად დაპირისპირებული ენამახვილობანი. ზვიადის ყველა მეგობარი გამოირჩეოდა საოცარი ნიჭიერებით, ორიგინალობითა და საუკეთესო ოჯახიშვილობით, რაც გახდა საწინდარი თითოეული მათგანის ღირსეულ, სახელოვან პიროვნებად ჩამოყალიბებისა".[97]

გარდა მუსიკისა, რომლის ძირითადი გზავნილი მიწიერ-ამქვეყნიური საერთოდ არ არის, ზვიადს იზიდავდა ისეთი ხელოვნება, რომელიც შინაგანად, თუნდაც იგავური გამომსახველობის დონეზე, შორს იდგა გაბატონებული იდეოლოგიისგან ან ანტიკომუნისტური იყო. ასეთი სპექტაკლი იყო, მაგალითად, მ. თუმანიშვილის „ჭინჭრაქა", სერგო ზაქარიაძისა (დევი) და რამაზ ჩხიკვაძის (მრჩეველი ქოსიკო) მონაწილეობით. დააკვირდით, ეს დევი საბჭოთა იმპერიის ბელადია, ნამდვილი კომპარტიის გენერალური მდივანიაო, — ამბობდა ხოლმე ხუმრობით. — აკი მღერის კიდეც ეს დევი, ბლომად ხალხებიც დავიპყარო, რაზეც ქოსიკო მლიქვნელურად მისამღერს ეუბნებაო. როგორც ერთხელ უკვე აღინიშნა, ზვიადსა და მის მეგობრებს უყვარდათ საბჭოთა ტოტალიტარიზმის დაცინვა.

1.12. თარგმანები და ენობრივი კონცეპტი

ზვიად გამსახურდიას პირველი თარგმანი იყო ოსკარ უაილდის ზღაპრები, რომელთა ერთი ნაწილიც შედის კრებულში „ბროწეულის სახლი". ისინი გამოსცა გამომცემლობა „ნაკადულმა" 1960 წელს. ეს ზღაპრები თარგმნილია მსუყე, გამართული ქართულით, ზეაწეულ ტონალობაში, ისე, როგორც ეს ორიგინალის კითხვისას იგრძნობა ინგლისურ ენაში გაცნობიერებული მკითხველის მიერ. მასში გამოყენებულია არაერთი ისეთი სიტყვაც, რომელიც სულხან-საბა ორბელიანის განმარტებითი ლექსიკონის, ასევე ბიბლიის ძველი ქართული ტექსტების მცოდნეს, წესით, არ უნდა ეუცხოვოს. თუმცა მისთვის, ვინც საგაზეთო ენით და ჟურნალისტურის მსგავსი მეტყველებით ფიქრობს გადმოსცეს ლიტერატურული შინაარსები, ეს თარგმანები, შესაძლოა, არქაიკით იყოს დახუნძლული. მაგალითისთვის ავიღოთ ეს ამონარიდი ზღაპრიდან „ბედნიერი სეფეწული" (ინგლ. The happy prince): „სწორია შენი არჩევანი", — უთხრა უფალმა. — „რამეთუ სამოთხის ჩემის წალკოტში იმღერებს ეგ პაწია ჩიტი ამიერიდან და ბედნიერი სეფეწული ჩემს ოქრო-ქალაქს დაივანებს და განმადიდებს მე".

და რატომ მიმართა ასეთ ენას და ლიტერატურულ მეტყველებას უაილდის თარგმნისას? იმიტომ, რომ თავად უაილდი იყო ბრიტანელი პრერაფაელიტების, უდიდესი მხატვრებისა და პოეტების, ხელოვანთა და ესთეტების ვიქტორიანულ ეპოქაში გავრცელებული მოძრაობის გავლენის ქვეშ, როგორც აღნიშნავს თავის სტატიაში ამავე თემაზე.[98] სწორედ მათ ენათესავებოდა ამ მწერლის თემატიკა, მხატვრული სახეების სტატიკურობა, რთული და ბევრისმთქმელი სიმბოლიკა, ასევე, წარმართობასთან ახლოს მყოფი იდეები, მშვენი-

ერების კულტი. ამიტომაც ენაც შესაბამისი უნდა ყოფილიყო – რათა წარმატებულად გადმოეცა მისი მხატვრული სახეების პლასტიკური სიმრთელე და სრულყოფილება, ასევე, კლასიკური სიმკაცრე და თანმიმდევრულობა კომპოზიციებისა. სწორედ აქედან იღებს სათავეს ის პოზიცია ენობრივ საკითხში, რომელსაც ზვიად გამსახურდია შემდგომში ყოველთვის იცავდა.

ამის დასტურად შეიძლება მოვიტანოთ პოლემიკა არლი თაყაიშვილთან. ამ უკანასკნელმა, დაყო რა ქართული „ძველ“ და „ახალ“ ენებად, დაიწუნა ყველა ის თარგმანი ან ლიტერატურული ტექსტი, სადაც „ახალ“ ენასთან ერთად გამოყენებული იყო „ძველი“ ენიდან აღებული სიტყვები თუ ტერმინები. ეს მისთვის „არქაული ფორმები“ იყო, შესაბამისად, მიუღებელი. ზვიად გამსახურდია მიუთითებს მას, რომ პოეტიზმი არის აწეული ინტონაციური ელფერის მქონე სიტყვა, რომელიც ამაღლებულ განწყობილებას ქმნის. იგი სხვაა და არქაიზმი სხვა. „მეოცე საუკუნის მწერლების ენას იგივე ლექსიკური ბაზისი აქვს, რაც ცურტაველსა და მერჩულეს“.[99] ამიტომაც ზვიად გამსახურდია წერს: „ვისთვის მოკვდა მაღალი სტილი? უწვრთნელი, ანტიესთეტური, ანტიპოეტური ბრბოსთვის, რომელსაც არ გააჩნია ამაღლებულის შეგრძნების უნარი, რომელიც ფრიად იშვიათია. თუმცა, უნდა დავძინოთ, რომ ბრბოსთვის მაღალი სტილი ყოველთვის მკვდარი იყო, მის აღქმასა და დაფასებას სჭირდება „კაცი ვარგი“, რუსთველის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, ან „ვისაცა აქვს სმენა გულისა“ (ვახტანგ VI).

როგორც არ უნდა ყოფილიყო, მომდევნო ათწლეულებმა გვიჩვენა: ყველა აღნიშნულმა მთარგმნელმა მაინც გადასინჯა ენის არქაიზაციის ხარისხი შემდგომ თარგმანებში და ძველსა და ახალს შორის ცალსახად უკეთესი ბალანსი დამყარდა. ამის დასტურია, თუნდაც, თავად ზვიად გამსახურდიას ამერიკული პოეზიისა და ბოდლერის პროზაულად დაწერილი ლექსების მოგვიანო თარგმანები, სადაც ეს ოქროს შუალედი ნაპოვნია. და მაინც: ასე თუ ისე, ყოველთვის საკამათო, კონტროვერსული იქნება საკითხი, რამდენად დასაშვებია ენათმეცნიერმა და გრამატიკოსმა ენა ასწავლოს პოეტს, მწერალს ან შემოქმედებითი თარგმანებით გამორჩეულ ავტორს. საქმე კი შემდეგში მდგომარეობდა: არლი თაყაიშვილმა, რომელიც ენათმეცნიერი იყო და მუშაობდა ენისა და სტილის, როგორც მწერალთა თუ მთარგმნელთა ინსტრუმენტის საკითხებზე, ქართულ ლიტერატურულ პერიოდიკაში გამოაქვეყნა ციკლი წერილებისა 1960-1968 წლებში, სადაც წამოაყენა საკითხები ენის მრავალსახეობის, მისი ფუნქციონალური სტილის შესახებ. იგი ეყრდნობოდა არა მარტო ქართველ მეცნიერებს, როგორებიც იყვნენ აკაკი შანიძე, არნოლდ ჩიქობავა, აკაკი გაწერელია, ივანე იმნაიშვილი და სხვები, არამედ იმოწმებდა ევროპული სტრუქტურალიზმის სკოლის წარმომადგენლებს, ფერდინანდ დე სოსიურსა და შარლ ბალის. მისი წმინდად ინტელექტუალური და ხშირად საკმაოდ აბსტრაქტული მსჯელობების მიხედვით, ენა, როგორც ნიშანთა ყველაზე სრულყოფილი და გავრცელებული სისტემა, რომელიც იმავდროულად ფასეულობათა სისტემა-

ცაა, იმაზე მეტ ინფორმაციას ინახავს, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. ენა, ა. თაყაიშვილის მიხედვით, არის ინდივიდუალური და ნაციონალური მენტალიტეტის გაუცნობიერებელი ინტენციების სიმბოლურად ამსახველი, იგი გაუნუწყვეტლივ მოძრაობს, იცვლება. და ბოლოს მიადგა მთავარ სათქმელს: არქაიზაცია, რომელიც ქართულ ორიგინალურ, განსაკუთრებით კი, თარგმნილ ლიტერატურაში იჩენს თავს, თვითმიზნურია, ენობრივი ორიენტაციის გამომხატველი უფროა, ვიდრე იმისა, რისიც უნდა იყოს, ანუ სტილისტური ხერხისა. ვინაიდან „კულტურული ფენომენები განიხილება ენის, როგორც ფორმათწარმომქმნელი პრინციპის პრიზმაში."

აშკარა იყო, რომ თავისი წერილებით არლი თაყაიშვილი პოლემიკას აჩაღებდა მთარგმნელთა ერთ ჯგუფთან, რომელშიც, ზვიად გამსახურდიას გარდა, შედიოდნენ ზურაბ კიკნაძე, თამაზ ჩხენკელი, ბაჩანა ბრეგვაძე, რომან მიმინოშვილი, რევაზ თვარაძე. ზვიად გამსახურდიასთვის ის ინტელექტუალურ-აბსტრაქტული აღნაგი აზრებისა, რომელსაც გვთავაზობდა არლი თაყაიშვილი, იყო წმინდა თეორეტიკოსობა და სინამდვილისგან მოწყვეტილი ნომინალიზმი. თანაც ამ ნომინალიზმს სალიტერატურო ენა მიჰყავდა გაუბრალოებისკენ, ბანალიზაციისკენ. ზვიად გამსახურდიამ ოპონენტს ისიც კი მოუწოდა, თვითონ მოეცა მაგალითი, როგორ გამოიყურებოდა „კარგი" თარგმანი: „მისი ოცობედა ქართულით დაწერილი წერილის მიხედვით ჩვენ (ვერ) ვასკვნით, რომ ქართული ენის ჭეშმარიტ მხსნელთან გვაქვს საქმე. თუ მას გულწრფელად სურს წვლილი შეიტანოს ქართული ენის ხსნაში, სხვის თვალში ხიწვების ძებნის მაგიერ თავად დახვეწოს თავისი ენა და სტილი, რომელიც სერიოზულად მოიკოჭლებს".[100] მოგვიანებით ზვიად გამსახურდია დაწერს იგავს, სადაც, ჩემი ღრმა რწმენით, სწორედ არლი თაყაიშვილს იგულისხმებს. იგავის შინაარსი ასეთია: ერთმა დაბადებით კუტმა დაწერა წიგნი სათაურით „სიარულის თეორია". მაგრამ ამ წიგნმა დიდი მოწონება ვერ დაიმსახურა, რადგან დაკუტებულნი აზრს ვერ ხედავდნენ მის ნაკითხვაში, ხოლო სიარულის მცოდნენი პრაქტიკულ სიარულს ამჯობინებდნენ. ამან ავტორი არ შეაცბუნა – მან გააგრძელა მუშაობა ამ თემაზე და შემდგომ წიგნში განავითარა იდეა, რომ თეორია საერთოდაც სჯობს სიარულს. იგი ამ ღვაწლისთვის დააჯილდოვეს იმით, რომ დანიშნეს სპორტული სიარულის კათედრის გამგედ. გარდა სატასუხო პოლემიკური წერილისა, ეს იგავიც პასუხი იყო არლი თაყაიშვილის სტატიებზე.

ზვიად გამსახურდიასთვის თარგმანი ასევე შემოქმედებითი საქმიანობა იყო, რომელიც ორიგინალი ენისა და სათარგმნი ენის ორივე სივრცეში თავისუფლად ოპერირებას მოითხოვდა მთარგმნელისგან. იგი სიტყვა „მთარგმნელს" ძველქართული სემანტიკით უდგებოდა – ინტერპრეტატორი, ეგზეგეტიკოსი, განმმარტებელი. მისთვის თარგმანი შინაარსის უბრალო გამეორება კი არ არის სხვა ენაზე, არამედ რაღაცის ახლადქმნაა. მთარგმნელის ოსტატობა დამოკიდებულია იმაზე, რამდენად შეძლებს „ბნკარედის სცილა-

სა და თავისუფალი თარგმანის ქარიბდას შორის“ გავლას. იგი მიიჩნევს, რომ მთარგმნელის უპირველესი ამოცანაა არა ცალკეული სიტყვების კოპირება, არამედ დედნის პოეტური ჩანაფიქრისა და საერთო სულის შენარჩუნება. ამიტომაც მთარგმნელმა უნდა გაითვალისწინოს ავტორის შემოქმედებითი ბუნება და მოახერხოს შექმნას „ცოცხალი ეკვივალენტი ნაწარმოების სტილისა“.[101]

დალი ლოლუას მოგონებებში ვკითხულობთ: „ამერიკელი პოეტების თარგმნას ზვიადი, დაახლოებით, ერთი წელი მოუნდა. თარგმნიდა, ასწორებდა, ადარებდა თარგმნილ ეგზემპლარებს და მათგან საუკეთესოს ირჩევდა, მისთვის მისაღებ თარგმანებს ხშირად უტოვებდა ახლო მეგობრებს კომპეტენტური აზრისა და შენიშვნის მისაღებად. განსაკუთრებით დიდი გულისყურით ეკიდებოდა და იზიარებდა ნათლიის, აკაკი გაწერელიას, აზრს, რადგან მისი შენიშვნები, როგორც დიდად განათლებული და განსწავლული ადამიანისა, ზვიადისთვის მისაღები და ძალზე საჭირო იყო. ედგარ პოს შემოქმედებაზე მუშაობისას თარგმანები გაუგზავნა ამერიკაში მცხოვრებ ჩემს ბიძას – გიორგი გამყრელიძეს, რომელსაც თარგმნილი ჰქონდა სენდბერგი, ფროსტი, უიტმენი და სხვ. გიორგი ბიძიამ თარგმანები მოუწონა და შეთანხმდნენ განსხვავებული აზრებისა და შენიშვნების ურთიერთგაზიარებაზე. ზვიადი მუშაობდა გვიან ღამემდე, რადგან მიაჩნდა, რომ სრულ სიწყნარეშია შესაძლებელი ყველაზე ნაყოფიერი მუშაობა. დილით გადაიკითხავდა თარგმანს ყოველგვარი ემოციის გარეშე, კრიტიკული თვალით, და ისევ საღამოსთვის გადადებდა. ემჩნეოდა, რომ შინაგანად დატყვევებული იყო საყვარელი საქმით, მაგრამ პასუხისმგებლობის გრძნობა ცალკე უფორიაქებდა გონებას“.[102]

ამ თარგმანებიდან, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითისა, შეიძლებოდა რობერტ ფროსტის (1873-1963) ამ ლექსის ქართული ეკვივალენტის მოტანა:

„მშვიდი ოქტომბრის მოალერსე, მყუდრო დილაო,
მომწიფებულან დასაცვენად შენი ფოთლები;
ხვალინდელ ქარში გარინდებულ გზებს დაჩრდილავენ
ჩუმი ოცნებით
ტყეზე ყვავების ყრანტალია დამაოსები,
ხვალინდელ ქარში დასტოვებენ ალბათ ბუდეებს,
მშვიდი ოქტომბრის მოალერსე, მყუდრო დილაო,
დღევანდელი დღის საათები ქმნიან ზღუდეებს,
ო, გაარღვიე ზღუდეები და დღის ნათელი
გაგვიხანგრძლივე, მიაჩვიე გარდაქმნას გული,
გარდაქმენ იგი შენებურად და გაამრთელე,
ხეს ალიონზე მოაცილე ერთი ფოთოლი,
ხოლო მეორეს – შუადღისას შემოაცილე,
ერთი ჩვენს ხეს და მეორე სხვას. გზები მოთელე,
მზეს მოახვიე გამჭვირვალე ბურუსის ბადე,

მიწას მოავლე ამეთვისტოს მსუბუქი ჯადო,
ფრთხილად, ო ფრთხილად!
აი, ეს ვაზი შეიბრალე, დაყურსულს, ჩრდილში
შეჭირხლებია ნაადრევი ყინვისგან ლერწი.
სულ მცირედიც-და მისი ტანი გახდება ბერწი,
ადროვე ვაზებს მიბრუნება კვლავ ზამთრულ ძილში".

60-იანი წლების მიწურულისკენ ზვიად გამსახურდია იწყებს ჰომეროსის „ილიადას" თარგმნას. თარგმნის პროცესში იგი კონსულტაციებს გადის მისივე თაობის ქართული კლასიკური ფილოლოგიისა და გრეცისტიკის ერთ-ერთ გამოჩენილ ფიგურასთან, პროფესორ რისმაგ გორდეზიანთან. იგი უკვე იმ დროს იყო ცნობილი თავისი საინტერესო კვლევებით. რაც შეეხება ჰომეროსის პოემების მიმართებას პროტოქართველურ სამყაროსა და ეგეოსურ კულტურასთან, ამ თარგმანის გამოქვეყნებას „ცისკარში" მოჰყვა პოლემიკა ენათმეცნიერ და ფოლკლორისტ ალექსი ჭინჭარაულთან, რომელიც, ალბათ, ერთერთი ეგზემპლარული და საინტერესოა იმდროინდელი პოლემიკური სტატიების კორპუსში.

ამ პოლემიკას, ერთი შეხედვით, არაფერი გამოარჩევდა, რომ არა მისი სიმწვავე, და ეს მისი დამწყებისგან, ალექსი ჭინჭარაულის მიერ იქნა თავიდანვე ასე განპირობებული. იგი ზვიად გამსახურდიაზე თითქმის 15 წლით უფროსი იყო, ხოლო ეს უკანასკნელი ჯერ სამიოდე თარგმანის ავტორი იყო – უაილდის, ამერიკელი პოეტების კრებულისა და შექსპირის ერთი პიესის („ზამთრის ზღაპარი"). ეს პირველი ქებაც ერთგვარი სასინჯი გამოქვეყნება იყო. მკითხველს თვალში მოხვდებოდა ალექსი ჭინჭარაულის მკვახე და აგრესიული, ზოგჯერ მენტორული ტონი, რომელიც შეურაცხმყოფელ კონოტაციებსაც ატარებდა. რამდენადაც პოლემიკა ენობრივ საკითხს შეეხებოდა, მასში მაინც ისმოდა იმ პოლემიკების ექო, რომლებიც სტალინის სიცოცხლის ბოლო წლებში მიდიოდა კონსტანტინე გამსახურდიას წინააღმდეგ და რომელიც კანდიდ ჩარკვიანის მოხსენებაშიც გამოიხატა – ცეკას მაშინდელმა მდივანმა, ცხადია, სტალინის დავალებით, კონსტანტინე გამსახურდიას ენა მიუღებლად გამოაცხადა. რამდენადაც ალექსი ჭინჭარაული შემჩნეული არ ყოფილა სახელისუფლებო რეზონის ღიად გატარებაში და ასევე ცენტრალური კომიტეტის იდეოლოგიურ განყოფილებასთან სიახლოვეც არ ჰქონია, რჩება შთაბეჭდილება, რომ მას ახალგაზრდა მთარგმნელზე თავდასხმა ისეთმა ადამიანებმა სთხოვეს, რომელთაც ხათრს ვერ გაუტეხდა. ასევე, სავარაუდოა, რომ ეს ადამიანები მწერალთა წრიდან უნდა ყოფილიყვნენ.

თავად ის ფაქტი, რომ პოლემიკა ენასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ დაიწყო, გასაკვირი არ არის. ალ. ჭინჭარაული ჩართული იყო „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონისა" და შემდეგ ამ ლექსიკონის ერთტომეულის შედგენის სამუშაოებში და ეს ნამდვილად მისი სფერო იყო. გასაკვირი იყო მხოლოდ მისი კრიტიკის უკიდურესი სიმძაფრე და უხეში ტონი. ამ ერთი

თარგმნილი ქების განხილვა მისი გამოქვეყნებიდან მალევე მწერალთა კავშირშიც გაიმართა და მასზე ალექსი ჭინჭარაულიც გამოვიდა სიტყვით. ალექსი ჭინჭარაული ზვიად გამსახურდიას ბრალად სდებდა, თითქოს მან ერთმანეთში აურია ძველი და ახალი ქართული ენა. მთარგმნელის ენა ამის შედეგად აღარც ძველია და არც ახალიო. ზვიად გამსახურდიამ უპასუხა, რომ ძველი და ახალი ენობრივი ფორმების ინტეგრაცია და ორგანული შერწყმა ენის განახლებისა და ენობრივი ტრადიციის შენარჩუნების აუცილებელი პირობაა. გარდა იმისა, რომ საკუთარი თეზისებისა და თარგმანის დასაცავად პოლემიკისას მოიყვანა ძველქართული ენის უამრავი მაგალითი, მოიყვანა ასევე ბევრი წინა თაობის თუ მისი თანამედროვე ჰომეროლოგების თვალსაზრისები (ვილამოვიც-მოელენდორფი, ბასეტი, ლეტტიმორი, ჰეინსუორთი, აკად. პოკროვსკი, ალ. ლოსევი და სხვები). ზვიადი ოპონენტს საყვედურობს, რომ ის მშრალ, ვიწრო სფეროზე მომართული ენათმეცნიერის თვალსაზრისზე აგებს თავის კრიტიკას: „მთარგმნელობითი საქმიანობა ლიტერატურული საქმიანობაა, უწინარეს ყოვლისა, თარგმანი ლიტერატურის სფეროა, ამდენად, მხატვრული თარგმანის შესახებ კომპეტენტური მსჯელობისთვის აუცილებელი წინაპირობაა ლიტერატურული მომზადება, ლიტერატურათმცოდნეობითი საფუძვლების ცოდნა, ლიტერატურული გემოვნება. აქ ისევე აუცილებელია პროფესიონალიზმი, როგორც ენათმეცნიერებაში. ჩვენთვის უდავოა თქვენი პროფესიონალური განსწავლულობა თქვენს საკუთარ სფეროში, დიალექტოლოგიაში, კერძოდ, ხევსურული დიალექტის საკითხებში, მაგრამ, სამწუხაროდ, თქვენ ვერ ამჟღავნებთ შესაბამის განსწავლულობას ლიტერატურათმცოდნეობაში, პოეტიკაში, თარგმნის თეორიასა და პრაქტიკის საკითხებში, და, სამწუხაროდ, ვერც ქართულ ფილოლოგიაში. ამის დამადასტურებელი საბუთები ჭარბად მოვიტანე ზემოთაც და ჩემს საპასუხო წერილშიც, რომელიც დაიბეჭდა „ლიტერატურულ საქართველოში“ გასულ წელს“.[103]

ზვიად გამსახურდიამ 70-იანების დასაწყისში ასევე წამოიწყო „მეფე ლირის“ თარგმანი – ორი სცენა ამ თარგმანიდან გამოქვეყნდა კიდეც „მნათობში“,[104] მაგრამ მათ გაგრძელება აღარ მოჰყოლია. როგორც ჩანს, დედის გარდაცვალების შემდეგ თავი იჩინა ისეთმა პრობლემებმა, რომელთა პირისპირ დარჩენილსაც თარგმნა აღარ გაუგრძელებია. ის კონცეპტი მთარგმნელობითი ხელოვნებისა, რომელსაც თავის ინტერტექსტუალურ შემოქმედებაში პრაქტიკულად ახორციელებდა ზვიად გამსახურდია, ცხადია, მხოლოდ მასთან არ მოსინჯულა. ლიტერატურათმცოდნე და ბიოგრაფიული რომანების ავტორი როსტომ ჩხეიძე აღნიშნავს, რომ ანალოგიურ მიდგომას თავიანთ თარგმანებში იყენებდნენ რევაზ თვარაძე, თამაზ ჩხენკელი, ასევე, პოეტი შოთა ჩანტლაძე თავის „ირლანდიური საგების“ ქართულ თარგმანში.[105]

1.13. დისკუსიები მსოფლმხედველობრივ საკითხებზე

უკვე მეორე პოლემიკა, რომელიც იმავე საკითხების წრესთან მიმართებით განახლდა „ლიტერატურული საქართველოსა“ და „ცისკრის“ ფურცლებზე, თავისი დახვეწილობით, თემების ორიგინალური შერჩევით, მსჯელობის სიღრმითა და აზროვნების მაღალი დონით იმდენად გამორჩეული იყო, რომ მას კულტურისა და მსოფლმხედველობის საკითხებზე ფართოდ განვრცობილი დისკუსია შეიძლება ეწოდოს. ნონა კუპრეიშვილი აღნიშნავს, რომ დღევანდელ ლინგვისტურ კულტუროლოგიაში ამბივალენტური კავშირი ენისა კულტურასთან ორგვარი სქემითაა წარმოდგენილი: მენტალიტეტი/კულტურა – ენა და პირუკუ: ენა – მენტალიტეტი/კულტურა. ნახსენები პოლემიკაც ამ სქემით წარიმართა.[106] თავიდან გამოქვეყნდა რევაზ თვარაძის წერილი „ერთიანი საქართველოს მესიტყვე“.[107] იგი შეეხებოდა კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედების საერთო ეროვნულ კონტექსტში განხილვას, ასევე, მწერლის ენობრივი პოზიციის წარმოჩენას. საერთოდ, რატომ მოაქცია თავისი განხილვის ფოკუსში ამ ზომამდე მე-20 საუკუნის ქართულმა დისკურსმა ენის საკითხი, ხოლო მის ეპიცენტრში, საკმაოდ ხშირად, კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედება? იმიტომ, რომ ენა იყო არა მარტო ლიტერატურის საშენი მასალა, არამედ ერთ-ერთი ყველაზე ქმედითი ინსტრუმენტი ცნობიერების ფორმადქმნადობისთვის, რომელიც, ერთი მხრივ, ძველი ქართული ლიტერატურული ტექსტებიდან და თარგმანებიდან საზრდოობდა, მეორე მხრივ, სხვადასხვა კუთხეში შემორჩენილი ხალხური მეტყველების სალაროდან. სხვა საქმეა უკვე ამ სიტყვების გაცოცხლება და ამათგან რა დარჩება, ეს მომავალში გამოჩნდება – ცხადია, რომ ნაწილი დარჩება, ნაწილი – არა. მწერალ ოთარ ჩხეიძეს ერთხელ უთქვამს, გმირობა იყო კონსტანტინე გამსახურდიას მხრიდან საბჭოთა სოციალიზმის ეპოქაში იმის თქმა, რომ გემოვნება კლასობრივი არ შეიძლება ყოფილიყოო. ასევე არც სალიტერატურო ენა შეიძლება ყოფილიყო კლასობრივი.

რევაზ თვარაძის ამ სტატიას მოჰყვა გურამ ასათიანის წერილი, რომელიც ბევრად შევსებული სახით მოგვიანებით გამოიცა წიგნად სათაურით „მოდელები და სინამდვილე, კრიტიკული დიალოგები, წერილები, პორტრეტები, ესკიზები“ (1970). ზვიად გამსახურდია გურამ ასათიანს შეეპასუხა თავისი წერილით „ილუზიები და სინამდვილე“ (1971). პოლემიკაში ჩაერთვნენ სხვა ავტორებიც – ვახტანგ ბააკაშვილი, ალექსანდრე მირცხულავა, ნოდარ ნათაძე, აკაკი ბაქრაძე. როგორც უკვე აღინიშნა, ეს პოლემიკაც ენის საკითხებზე დაიწყო და მასში როგორც ერთგვარი ექო ხმიანობდა არლი თაყაიშვილის მიერ წამოწეული იდეები ევროპული სტრუქტურალიზმისა. როგორც ჩანს, ქართველი მწერლებისა და კრიტიკოსების ახალ თაობაში დე სოსიურისა და ბალის ნააზრევი კვლავ განსჯის საგნად რჩებოდა და ამაში მართლაც არაფერია დასაძრახი.

გურამ ასათიანი, რომელმაც საკმაოდ საფუძვლიანი განათლება ჯერ თბილისის, შემდეგ კი მოსკოვის უნივერსიტეტებში მიიღო, წერდა: ენა სამგანზომილებიან დროში, წარსულში, აწმყოსა და მომავალში არსებობს და მუდმივ მედიაციას საჭიროებსო. მსჯელობა თავიდან დაიწყო იქიდან, თუ რა მეთოდი უნდა დასდებოდა საფუძვლად კრიტიკასა და ლიტერატურათმცოდნეობას. ზვიად გამსახურდიას თვალსაზრისით, ეს არ უნდა ყოფილიყო ემპირიზმი, რომელსაც ის „მცოცავს“ უწოდებდა – რასაკვირველია, აღქმის შეზღუდულობისა და მხოლოდ ფაქტობრივ მასალაზე მიჯაჭვულობის გამო. დისკუსია აქ ეპისტემიოლოგიის სფეროში გადადის. მისი ოპონენტი კი თითქოს ცდილობს დაამტკიცოს, რომ ლიტერატურათმცოდნეობაშიც იგივე მეთოდი უნდა იყოს წარმმართველი, როგორიც ზუსტ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში. ზვიად გამსახურდია ამას უპირისპირებს ინტუიტიურ წვდომას. რატომ? იმიტომ, რომ ხელოვნება არ არის მხოლოდ ინტელექტის მიერ კონსტრუირებული სუროგატი. ხოლო კრიტიკა ხელოვნების დარგთაგანია, სადაც სწორედ ინტუიტიურ წვდომას აქვს განუზომელი მნიშვნელობა, ანუ „სული, თავისუფლებასთან ერთად“. ასეთი იყო გოეთესეული, ემერსონისეული და ელიოტისეული გაგება კრიტიკისა.[108] აქვე ასეთი რიტორიკული შეკითხვა დაისმის: „განა ნოვალისის „ესთეტიური ფრაგმენტები“ ან უაილდის „კრიტიკა, როგორც ხელოვნება“ უფრო დიდ ღირებულებას არ წარმოადგენენ ლიტერატურათმცოდნეობისთვის, ვიდრე ურიცხვ პროფესორთა ტომები, სადაც ჩატარებულია ემპირიულად კეთილსინდისიერი, მაგრამ მთქნარების მომგვრელი ანალიზი ლიტერატურულ ქმნილებათა?“[109]

ზვიადის შემდეგი თეზისი არის რევაზ თვარაძის სტატიიდან გამომდინარე და შეეხება ქართულ ენას: „მეოცე საუკუნეში მოხდა აგრეთვე ახალი, ორგანული კავშირის დამყარება ძველი ქართული მწერლობისა და ენის ტრადიციებთან, მოხდა გამთლიანება ქართული ენისა, რომელსაც გაღატაკებითა და დაკნინებით ემუქრებოდნენ იმ პოლიტიკური კატასტროფის შედეგები, რომლებიც თავს დაატყდა ქართველ ხალხს XIX საუკუნის დასაწყისში“. აქ ზვიად გამსახურდია 1801-1832 წლებში შექმნილ მდგომარეობას გულისხმობს, როდესაც რუსეთის იმპერიამ ორთავიანი არწივის ნიშნის ქვეშ საბოლოოდ დაიმორჩილა ქვეყანა. იგი განმარტავს, რომ დასავლეთის ერების მაგალითის მოშველიება ოპონენტების მიერ და თეზისი, რომ დასავლეთშიც არანაკლები აქტუალობით იდგა წარსულ საუკუნეთა კულტურასთან ორგანული კავშირის დამყარება, ნაძალადევია, იმიტომ, რომ ევროპელს თავის წარსულსა და კულტურულ მემკვიდრეობასთან კავშირი ისტორიული ძნელბედობის შედეგად არ გაუწყვეტია. ამიტომაც იქ არასოდეს დამდგარა დღის წესრიგში ამ კავშირის კვლავ აღდგენა და საამისოდ სპეციალური მოწოდებების გაკეთება. ხოლო ქართველი ერის ისტორიაში ეს ხშირად მომხდარა და, მეტადრე, მე-19 საუკუნეში, როდესაც შავრაზმელმა რუსიფიკატორებმა განადგურების საფრთხის ქვეშ დააყენეს ქართული ენა.

ზვიად გამსახურდია კრიტიკულად განიხილავს გურამ ასათიანის კიდევ ერთ თეზისს, რომ ახალი დროის ფრანგი მწერლები არ მიბრუნებიან ტრუბადურების ენას, ასევე, თანამედროვე გერმანელები შუა საუკუნეების „გლოსების" მეტყველების აღორძინებას. მისი აზრით, სინამდვილეში, ახალი დროის ფრანგული, ინგლისური და გერმანული ენები ძველ ფრანგულთან, ინგლისურსა და გერმანულთან შედარებით, თითქმის განსხვავებული ენებია, ეს განსხვავებულობა ძველ ენებთან კი არის მათი ევოლუციური თავისებურება. ქართული კი ასე არ არის – დღეს ყოველი სკოლის მოწაფე წაიკითხავს 15 საუკუნის წინანდელ „შუშანიკის წამების" ტექსტს. ევროპულ ლიტერატურაშიც არ ყოფილა იშვიათობა მიბრუნება ძველი ტექსტების ენასთან, შთაგონების მიღება მათგან, ასევე, არქაიზმების გაცოცხლება, და ასახელებს ანატოლ ფრანსს, გუსტავ ფლობერს, პოლ კლოდელს, გერმანიაში – ნიცშეს, ინგლისურ და ამერიკულ ლიტერატურაში – ბაირონს, შელის, დიკენსს, თომას სტერნზ ელიოტს, ჯეიმს ჯოისს, ეზრა პაუნდს. ამიტომაც არ არისო ეს, გურამ ასათიანისავე სიტყვებით რომ ითქვას, „კონსერვატიზმისა და კარჩაკეტილობის მომაკვდინებელი გამოვლინება".[110]

ზვიად გამსახურდია აკრიტიკებს გურამ ასათიანის კიდევ ერთ ისტორიულ თვალსაზრისს ევროპის მიერ განვლილ გზაზე, თითქოს ევროპულმა აზროვნებამ სრულიად წრფივად გაიარა გზა სქოლასტიკიდან აინშტაინის ფარდობითობის თეორიამდე, რითაც უსასრულოდ დაშორდა სქოლასტიკის ნააზრევს და ავიდა ფარდობითობის თეორიის მწვერვალზე. ზვიადი მიიჩნევს, რომ სულიერი კულტურის განვითარების ეტაპები არ ჰგვანან ტექნიკისა და ცივილიზაციის განვითარებას თავის სწორხაზოვნებაში, პირველნი უფრო რთულ კანონზომიერებებს ექვემდებარებიან, ვიდრე მეორენი. ზესთასოფელს და სოფელს, სულიერსა და გრძნობად-მატერიალურ სამყაროებს შორის ურთიერთმიმართება პოეზიისა და შემოქმედების უმთავრესი თემაა როგორც აღმოსავლურ, ისე დასავლურ ლიტერატურაში. ამიტომაცაა, რომ თანამედროვე ზუსტი მეცნიერების წარმომადგენელთათვის ზოგჯერ პლატონის, პითაგორას, ნეტარი ავგუსტინეს და თომა აქვინელის ნააზრევი უფრო საინტერესოა, ვიდრე კლასიკური ნიუტონისეული ფიზიკის შეხედულებანი. ხოლო ქრისტიანული თეოსოფიისა და მისტიკის თვალსაზრისები არცთუ შორს არიან ფარდობითობის თეორიის შედეგებისგან.

მომდევნო წერილში ზვიად გამსახურდია მიუთითებს, რომ მცდარია ა. აინშტაინის დასახვა „მცოცავ ემპირიკოსად". „აინშტაინის ის ციტატა", – ვკითხულობთ შემდეგ, – „რომელიც მან წაუმძღვარა თავის წერილს, უფრო მის ირაციონალიზმზე მეტყველებს, ვიდრე რაციონალიზმზე... რაციონალიზმის თვალსაზრისით არ არსებობს არავითარი უსასრულო ობიექტები, რომელთა ახსნაც არ შეეძლოს გონებას. აინშტაინის ეს ციტატა ასე თავდება: „მაგრამ გონების ქმედება საუკუნეთა მანძილზე ანათებს და ათბობს კაცობრიობას", არც ერთი ირაციონალისტი და მათ შორის ნოვალისიც არ უარჰყოფს, რომ

„გონება ანათებს და ათბობს" კაცობრიობას, ისინი მხოლოდ უარყოფენ მის ყოვლისშემძლეობას სამყაროს ახსნასა და წვდომაში".[111] ასეთი აზრები და თეზისები, რა თქმა უნდა, საკმაოდ მკვეთრ დისონანსს ქმნიდა საბჭოურ ლიტერატურათმცოდნეობასა და კულტუროლოგიასთან.

საიდან მოდის ეს თვალსაზრისები ზვიად გამსახურდიასთან? ისინი მისი ინტელექტუალური ძიებების შედეგია, კავშირშია იმ განათლებასთან, რომელსაც იგი აქ აღნიშნულ წლებში იღებდა. რევაზ თვარაძის თქმით, 1959 წელს კონსტანტინე გამსახურდიამ საქართველოს რადიოსთან ინტერვიუში შეკითხვაზე, რომელ ფილოსოფოსებს გამოჰყოფდა თანამედროვე მსოფლიოში, დაასახელა ანრი ბერგსონი და რუდოლფ შტაინერი. ავიღოთ ბერგსონი (1859-1941 წწ.), რომლის ლექციების კურსსაც სორბონაში 1923 წელს დაესწრო, დაახლოებით, 3 თვით პარიზში ჩასული კონსტანტინე გამსახურდია: რომანტიზმის კვალდაკვალ ანრი ბერგსონს (1859-1941 წწ.) ყოფიერება ესმოდა, როგორც შემოქმედებითი ძალა, შესაბამისად, თვლიდა, რომ მეცნიერულ მეთოდს არ შეუძლია მოიცვას „სიცოცხლის მედინი განგრძობადობა", ანუ „სიცოცხლე, როგორც დინება". ამრიგად, ყველაზე შესაბამისი სიცოცხლის შემოქმედებითი ხასიათისა ხდება არა მეცნიერება, არამედ ხელოვნება. „თუკი რეალობა შემოქმედებითი ევოლუციაა, სწორედ ხელოვნების შემოქმედებით ხასიათში უნდა მოიძებნოს სიცოცხლის შემოქმედებითი ხასიათის ნამდვილობა და ფუნდამენტური გამოვლინება", – წერდა ერნსტ კასირერი.[112] სწორედ აქ აუცილებელი ხდება შემოქმედებითი ინტუიცია. ესთეტურ ინტუიციას შეუძლია გვიკარნახოს თუნდაც ის აღუწერელი განცდა იმისა, რისი დასმაც საჭიროა ინტელექტუალური საზღვრების ნაცვლად. ესთეტური ინტუიცია საშუალებას აძლევს ადამიანს „მისწვდეს სიცოცხლეს", ანუ სცადოს მისი შინაარსის გაგება. რამდენადაც მის ძალებში შედის საგნის ინდივიდუალურ ქმნადობაზე დაკვირვება. ენა და სიმბოლოთა სხვა სისტემები, რომლებიც სრულიად უტილიტარულნი არიან, ახდენენ ჩვენი ცხოვრების მექანიზირებას, უმალავენ რა ადამიანს ჭეშმარიტ სინამდვილეს. ინტუიცია გამოირჩევა იმით, რომ შორსაა პრაქტიკული ინტერესისგან. აქ ცხადადაა გამოხატული მისი ესთეტური ხასიათი, რამდენადაც ჯერ კიდევ ი. კანტი თავის შრომაში – „განსჯის უნარის კრიტიკა" – ესთეტურ გამოცდილებას აკავშირებდა „ყველა საგნისგან თავისუფლებასთან".[113]

გასული საუკუნის ამ პოლემიკას უკვე 21-ე საუკუნის დასაწყისში გამოეხმაურა გურამ ასათიანის ვაჟი – ფილოლოგი ლევან ასათიანი (უმცროსი) და ცალკე წერილში ჩამოაყალიბა თავისი საინტერესო დაკვირვებები. მან აღნიშნა, რომ გურამ ასათიანმა განათლება ძირითადად მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიიღო, რამაც მის შეხედულებებს გარკვეულწილად საბჭოურობის დაღი დაასვა. ზვიად გამსახურდია კი, იმ დროს, გასაგები მიზეზების გამო, ნაკლებად რეალიზებული ლიტერატურათმცოდნე, კრიტიკის გამკენწლავი ტონითა და სიმართლის თქმის „გამომწვევი მანერით" ცდილობს, „შეახ-

სენოს თავი მასზე ნაწყენ საზოგადოებას". თომას სტერნზ ელიოტის წერილი „კრიტიკის დანიშნულება" მას შემთხვევით არ უთარგმნია", – აგრძელებს ლევან ასათიანი, – აქ დასმულია არა მარტო საკითხი, როგორი უნდა იყო ხელოვნება, არამედ როგორ უნდა შეიცვალოს კრიტიკა მასთან მიმართებით. წარსული უნდა შეიცვალოს თანამედროვეობით ზუსტად იმდენად, რამდენადაც თანამედროვეობას წარმართავს წარსული.[114] მე ვიტყოდი, ლევან ასათიანის მიერ ნახსენები ეს „გამომწვევი მანერა", ახალგაზრდა ზვიად გამსახურდიას უკვე დისიდენტური მანერაა იმავდროულად.

რაც შეეხება ზვიად გამსახურდიას გამოხმაურებას აკაკი ბაქრაძის წერილზე „მკვახე შეძახილი", რომელიც, თავის მხრივ, წარმოადგენდა წერილს გურამ ასათიანის წიგნზე „სათავეებთან", მასში სადისკუსიო თემები გაფართოვდა. ამ უდავოდ ნიჭიერად დაწერილ წიგნში, სხვა საინტერესო მოსაზრებებთან ერთად, ასეთ საყურადღებო დაკვირვებას ეკითხულობთ: „ბევრი რამ უნდა ვისწავლოთ, ბევრი რამ უნდა გადმოვიღოთ მათგან, ვინც ჩვენზე წინ წავიდა ცივილიზაციის თანამედროვე გზაზე, სიბეჯითეც, მომჭირნეობაც, გამჭრიახობაც, ყაირათიც, მაგრამ ისე, რომ სხვის ორეულად არ ვიქცეთ, ისე, რომ ჩვენი არსი არ შეიბღალოს, არა მხოლოდ გარეგანი იერი, არამედ, უწინარეს ყოვლისა, არსი ბუნებისა, შინაგანი კონსტიტუცია". აკაკი ბაქრაძისადმი მიმართულ ღია წერილს ზვიად გამსახურდია მოგვიანებით, ამ პოლემიკიდან, დაახლოებით, 12 წლის შემდგომ წერს, საკმაოდ კეთილგანწყობილ ტონალობაში. აქაც ეროვნულ ხასიათზე მიდის მსჯელობა, კონკრეტული მაგალითების მოხმობით. წერილში არის არაერთი ორიგინალური აზრი და განჭვრეტა.

ზვიადს თავისი გამოხმაურება აკაკი ბაქრაძის წერილზე, არცერთ ოფიციალურ რედაქციაში არ მიუტანია – 1980-იანი წლების დასაწყისში ეს სრულიად უსარგებლო ამბავი იქნებოდა და ამას მოჰყვებოდა მათი მხრიდან გარანტირებული უარი. ამიტომაც საბეჭდ მანქანაზე გადაბეჭდილი და ასე გამრავლებული სახით ვრცელდებოდა. წერილში უკვე ჩამოყალიბებული დისიდენტის ასეთი მსჯელობა გვხვდება: „როდესაც გურამ ასათიანი წუწუნებს, რომ ქართული კულტურა ჯერჯერობით ჩვენი სამშობლოს ფარგლებში რჩება, მაშინ, როდესაც ევროპელი ერების კულტურანი უნივერსალურ ასპარეზზე არიანო გამოსულნი, და ვითომდაც ვერ გაუგია, თუ რა არის ყოველივე ამის მიზეზი, – ჩვენი ეროვნული ხასიათი თუ ისტორიული პირობები, მიკვირს, რად არ შეახსენებს (აკაკი ბაქრაძე) მას, რომ იმ ერებს თავიანთი საკუთარი სახელმწიფოები აქვთ და არ არიან იზოლირებულნი დანარჩენი მსოფლიოსაგან. მსოფლიო როგორ გაგიცნობს, თუ გეოგრაფიულ რუკაზეც კი სხვის ფარგლებში ხარ მოქცეული? თუმცა აქ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველომ, მიუხედავად თავისი მდგომარეობისა, მაინც შეძლო თავისი კულტურული მიღწევების გატანა მსოფლიო ასპარეზზე და დაანახა კაცობრიობას თავისი სიდიადე, რაც ჩვენს მტრებს მოსვენებას უკარგავს, ვინაიდან უკვე ძნელია ჩვენი ასიმილირება და მოსპობა უმტკივნეულოდ".[115]

1.14. მამისეული სახლის სტუმრები და „მებრძოლთა აკადემია"

ზვიად გამსახურდია წერდა: „მე ჩემი ცხოვრება თხუთმეტი წლისამ დავიწყე. აი, ამ სახლში მუდამ საქართველოზე იყო ლაპარაკი. იკრიბებოდნენ მწერლები, მეცნიერები... გარეთ რომ ვერაფერს ამბობდნენ, აქ ბჭობდნენ, ჭირისუფლობდნენ, გულს იოხებდნენ... მე აქ საქართველოს დამოუკიდებლობისთვის მებრძოლთა აკადემია გავიარე და მისი ღალატი არასოდეს მიფიქრია... ადამიანში არის რაღაც, რასაც ვერაფრით შეცვლი. ალბათ, ესაა ბედისწერა. მე არასოდეს მიფიქრია სხვაგვარ ცხოვრებაზე". ვის გულისხმობდა აქ? ეს მწერლები და მეცნიერები საზოგადოებაში ცნობილი და ექსპონირებული ფიგურები იყვნენ, რომელთაც არ აკლდათ მაშინდელი რენომე. ისინი კონსტანტინე გამსახურდიასთან მეგობრობდნენ და, როგორც ზვიადი მოგვიანებით გაიხსენებს, სტუმრობისას ჩურჩულით თუ ახსენებდნენ შექმნილ მდგომარეობას, რაც გულისხმობდა საქართველოს უკიდურესად დაქვეითებულ სუვერენიტეტს, ეროვნული კულტურისთვის სივრცის შეზღუდვას, ასევე, ოცნებას მის დამოუკიდებლობაზე. ჩვენი მსოფლმხედველობა თვით ასეთმა ჩურჩულმაც კი ჩამოაყალიბაო, რაც შემდგომში კონკრეტულ ქმედებებშიც გამოიხატაო.

კოლხური კოშკი შვიდ ოთახს მოიცავდა ორ სართულზე. მისი ცენტრი, რასაკვირველია, კონსტანტინე გამსახურდიას შედარებით ვრცელი კაბინეტი იყო, სადაც საკმაოდ მოზრდილი მაგიდაც იდგა. მასზე მუშაობდა მწერალი, თუმცა სადილისა ან ვახშმის დროს სუფრაც იშლებოდა მასზე. მაგიდის წინ მალაქიტის ქვის ზურმუხტისფერი ბუხარი იყო ჩაშენებული კედელში. ჭერი ლადო გუდიაშვილის მიერ იყო მოხატული შვლებისა და პალმეტების მსგავსი ხვიარა მცენარეების დეკორით. კუთხეს ამშვენებდა ჯაფარიძის ქუჩაზე ცხოვრების წლებში მწერლის კარის მეზობლის, ექიმ სამუელ შახპარონიანის ნაჩუქარი სარკე, გაწყობილი დეკორატიული შუშებით. შესასვლელი კარების მოპირდაპირე მხარეს ეკიდა თავად მწერლის პორტრეტი, შესრულებული მხატვარ ქეთევან მაღალაშვილის მიერ. მოპირდაპირე კედელზე ეკიდა სვეტიცხოველის გადიდებული ფოტო, ასევე, ცნობილი ფოტოსურათი, საუკუნის დასაწყისში გადაღებული ქუთაისის ერთ-ერთ ბაღში, სადაც აკაკი წერეთელთან, დავით კლდიაშვილსა და იროდიონ ევდოშვილთან ერთად ახალი თაობის ქართველ მწერლებსა და პოეტებსაც ვხედავთ – გალაკტიონს, ტიციანს, კონსტანტინეს.

ოჯახის შეკრება ძირითადად ამ ოთახში ხდებოდა, თუმცა წვეულებისას სუფრა ქვედა სართულზე მდებარე სასადილო ოთახშიც გაშლილა. ეს იგივე ოთახია, სადაც იდგა „სტეინვეის" ფორტეპიანო. დალი ლოლუას მოგონებებში ვკითხულობთ: „განსაკუთრებული კატეგორიულობით მოითხოვდა ბატონი კონსტანტინე ოჯახის წევრებისგან სატრაპეზოდ შეკრებას, რადგან მიაჩნდა, რომ ტრადიციების უგულებელყოფა ოჯახის ნგრევის მომასწავებელი იყო.

რაც მთავარია, ოჯახის წევრებთან ყოფნა და მათთან ურთიერთობა მას უდიდეს სიამოვნებას ანიჭებდა".[116] კედელზე ეკიდა ასევე ფოტო ოთხი ჩოხოსნისა, რომელთა შორისაც ამოიცნობოდა თავად კონსტანტინე, პავლე ინგოროყვა, ალექსანდრე აბაშელი და ვახტანგ კოტეტიშვილი. ეს ფოტო გადაღებული იყო 1921 წელს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის შემდეგ, როდესაც მწერლებმა, ბოლშევიკების მიერ დამოუკიდებლობის ლიკვიდაციისა და ბრძოლებში გაღებული დიდი ადამიანური მსხვერპლის გამო, გლოვის ნიშნად ჩაიცვეს შავი ფერის ჩოხები. პოეტი ალექსანდრე აბაშელი 1954 წელს გარდაიცვალა, ამდენად, იგი კოლხურ კოშკში არასოდეს ყოფილა, ხოლო კულტუროლოგი და ლიტერატურათმცოდნე ვახტანგ კოტეტიშვილი 1937 წელს დახვრიტეს. ამ ოთხთაგან ორნი დარჩნენ – თავად კონსტანტინე და პავლე ინგოროყვა.

პავლე ინგოროყვა (1993-1983) ხშირი სტუმარი იყო კოლხური კოშკისა და მისი პოლიტიკური და სამეცნიერო მსოფლმხედველობა, მასპინძელთა თვალში, სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით, სრულიად გამართული იყო. იგი ყველაზე აქტიურად იბრძოდა კონსტანტინეს დასახსნელად 1926 წლის შემდეგ, როდესაც მწერალი დააპატიმრეს და თავიდან – ბუტირკის ციხეში, შემდეგ კი სოლოვკის არქიპელაგზე გაამწესეს. ერთ-ერთ წერილში კონსტანტინე პავლეს სწერდა: „შენ მუდამ შეუპოვარი ვაჟკაცი იყავი, სიკვდილისა სიცოცხლით დამთრგუნველი. სანამდის მე ცოცხალი ვარ, გეყოლები როგორც შეუმუსვრავი კლდე... იცოდე მთავარზე უმთავრესია შთაგონება, ე. ი. თვითშთაგონება. ყველაფერი კარგად იქნება. როცა გამოკეთდები, ერთად გავისეირნოთ ძველი ძეგლების სანახავად. დიდი სიყვარულით მოგიკითხეს მირანდამ, თამრიკომ და ზვიადმა, რომელსაც უთქვამს, „ბიძია პავლეს ვერაფერი მოერევაო".[117] პავლე ინგოროყვა იყო გამოკვლევების ავტორი ნიკოლოზ ბარათაშვილზე, ილიასა და აკაკიზე. მან შექმნა ნაშრომების მთელი ციკლი შოთა რუსთაველზე, რომელსაც „რუსთველიანას" უწოდებენ. ხოლო მისი სიცოცხლის ძირითადი ოპუსი იყო ფუნდამენტური გამოკვლევა – „გიორგი მერჩულე", სადაც გამოკვლეულია როგორც ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის, ისე ფილოლოგიის, პოეზიისა და ჰიმნოგრაფიის საკითხები. გამომდინარე პავლე ინგოროყვას კვლევიდან ბაგრატიონთა წარმომავლობაზე, არ მიგვაჩნია შემთხვევითობად „დიდოსტატის" ფინალში, გიორგი მეფის აღსარება-ანდერძში ნათქვამი სიტყვები: „სიყრმე და სიჭაბუკე საქართველოს შევალიე, მაგრამ ქართლელები „აფხაზს" მეძახდნენ, ხოლო აფხაზები „ქართველების მსტოვარს" მიწოდებდნენ, ბაგრატოვანს, ლაზს".

ნათლულსა და ნათლიას შორის, ცხადია, განსაკუთრებული ურთიერთობა იყო. განსწავლისა და მომზადების წლებში ზვიად გამსახურდია ხშირად ეკითხებოდა მას ფილოლოგიისა და ისტორიის საკვანძო საკითხებზე. ეს აისახა კიდეც მის შრომებში „ვეფხისტყაოსანზე".

ზვიადის მეორე ნათლია იყო აკაკი გაწერელია (1910-1996), ფილოლოგი, ლიტერატურათმცოდნე, ნოველისტი, ავტორი წიგნებისა ლექსთმცოდნეობასა და ჰიმნოგრაფიაში. თუკი შესაძლოა ითქვას, რომ საბჭოთა საქართველოში ინტელექტუალები იყვნენ, მათ შორის ერთ-ერთი პირველი აკაკი გაწერელია უნდა იყოს ნახსენები. მას დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებდა კონსტანტინე გამსახურდიასთან. იყო დრო, როდესაც ისინი ერთად ხუდადოვის ტყეში მიდიოდნენ ღამის გასათევად, რამდენადაც, შესაძლოა, პატიმრების შესაგროვებელი სპეციალური მანქანა უშიშროებისა, 1937 წლის რეპრესიების ვითარებაში, სახლშიც კი მოსდგომოდა ორივე მათგანს. აკაკი მწერლის მეგობარი და მესაიდუმლე იყო. იგი ემოციური და ტემპერამენტიანი ადამიანი გახლდათ, მას საკმაოდ დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა როგორც პავლე ინგოროყვასთან, ისე აკადემიკოს გიორგი წერეთელთან. იგი ეჭვიანობდა, როდესაც პავლეს ან გიორგის „კოშკში“ სტუმრობის შესახებ გაიგებდა. ამ კონფლიქტების დაწვრილებით განხილვა ჩვენს ამოცანებში არ შედის, მხოლოდ დავძენთ, რომ ისინი უკავშირდებოდა საქართველოს სსრ-ის მეცნიერებათა აკადემიის საშინაო დღის წესრიგს, ასევე აქ ნახსენები ადამიანების სამეცნიერო კვლევათა, ხშირად, ერთმანეთის საპირისპირო დასკვნებს. იმჟამინდელ საქართველოში ხშირად ხდებოდა ხოლმე, რომ კონცეპტუალურ და მეცნიერულ საკითხებში დაწყებული პოლემიკა პირადულ სფეროსაც გადასწვდებოდა. ამის მიუხედავად, განსწავლის წლებში ზვიად გამსახურდია, როგორც უკვე აღინიშნა, აკაკი გაწერელიას აჩვენებდა როგორც თავის წერილებს დასავლეთ ევროპულ ლიტერატურაზე, ისე თარგმანებს და ითვალისწინებდა მის რჩევებს.

გიორგი წერეთელი (1904-1973), სრულიად ევროპული კლასის არაბისტი, სემიტოლოგი და ეპიგრაფიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პოლონეთის ორიენტალისტთა საზოგადოების საპატიო წევრი, დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის სამეფო სააზიო საზოგადოების საპატიო წევრი, ასევე ხშირად სტუმრობდა კოლხურ კოშკს. იგი კონსტანტინე გამსახურდიას უფროსი მეგობრის, მიხეილ (მიხაკო) წერეთლის, ძმისწული გახლდათ. კონსტანტინე იყო ერთ-ერთი პირველი, ვისაც მან თავისი „ოქროს კვეთის“ თეორია წარუდგინა. ეს მოხდა სტუმრობისას, როდესაც მწერლის მთელი ოჯახი ზვიადთან ერთად ესწრებოდა ვახშამს, რომელზეც მოპატიჟებული იყო გიორგი წერეთელი. მასთან ზვიად გამსახურდიას იმდენად ახლო ურთიერთობა არ ჰქონია, რამდენადაც თამარს, ზვიადის დას, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატსა და თსუ-ის დოცენტს.

მწერლებიდან და პოეტებიდან კოლხურ კოშკში სტუმრობდნენ გიორგი ლეონიძე, გიორგი შატბერაშვილი, ირაკლი აბაშიძე, გრიგოლ აბაშიძე, რევაზ ჯაფარიძე, მუხრან მაჭავარიანი, ოთარ ჩხეიძე, გიორგი ნატროშვილი, გაბრიელ ჯაბუშანური. ამჯერად, გავიხსენებ მხოლოდ ზოგიერთ მათგანს. რაც შეეხება გურამ დოჩანაშვილს, იგი უფრო ზვიადთან მეგობრობდა.

გიორგი ლეონიძე (1900-1966) თავიდან მაინცადამაინც არ მეგობრობდა კონსტანტინე გამსახურდიასთან. იგი ადრე ლიტერატურული გაერთიანება „ბახტრიონის“ წევრი იყო, რომელთანაც საკმაოდ ცხარე პოლემიკა ჰქონდა მწერალს. შემდგომში, აკაკი მგელაძის პერიოდში, გიორგი იძულებული იყო დაჰყოლოდა ოფიციოზის ნებას და სასტიკად გაეკრიტიკებინა კონსტანტინე. როდესაც ქვეყანაში სიტუაცია შეიცვალა, ისინი საკმაოდ დაახლოვდნენ – კონსტანტინე გამსახურდიამ წყენის გული ჩადება და ბოროტად დამახსოვრება არ იცოდა. როდესაც 1966 წელს გიორგი ლეონიძე გარდაიცვალა, იგი რადიოთი გამოვიდა მის გასახსენებლად, მაგრამ სიტყვა ვერ დაასრულა – ტირილი აუვარდა და შეწყვიტა საუბარი. როდესაც ზვიად გამსახურდია დაქორწინდა, გიორგი ლეონიძემ, როგორც სუფრის თამადამ, სიძე და პატარძალი პირველმა დალოცა.

„კოშკში“ ხშირი სტუმარი იყო ირაკლი აბაშიძე (1909-1992). მას დიდი დამსახურება ჰქონდა კონსტანტინეს რვატომეულის გამოცემაში, და ეს, თუნდაც არაერთი გავლენიანი მტრის ფაქტორის გათვალისწინებით, უბრალო საქმე არ გახლდათ იმჟამად, რამდენადაც სტალინური ეპოქის ინერციით მათი გამოცემა, შესაძლოა, წლების მანძილზე გაჭიანურებულიყო. ირაკლი აბაშიძის დიდი დამსახურება იყო ასევე რუსთაველის იუბილე – პოეტის დაბადებიდან ჰიპოთეტური 800 წლისთავი, რომელიც 1966 წლის სექტემბერში აღინიშნა. მიუხედავად ასაკობრივი სხვაობისა, კონსტანტინესა და ირაკლის უაღრესად თბილი და მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდათ. ისინი ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს მწერალთა სახლში, მეგობრულ თავყრილობებზე, ოჯახურ გარემოში. ზურაბ აბაშიძე იგონებს, რომ ტელეფონის ყურმილს, ხშირად, ხელნაწერ ბარათს ამჯობინებდნენ, რაც მათ ურთიერთობას განსაკუთრებულ ელფერს სძენდა. თუნდაც ეს ბარათი: „ჩემო ირაკლი, ამ დღეებში კოლხურ კოშკში აუცილებლად მეწვიე და შენი ბიჭებიც, ზურაბი და ვატოც, წამოიყვანე“. ზოგადად, იმ ეპოქის საზოგადო მოღვაწეთა და მწერალთა სუფრა, ეს იყო საინტერესო საუბარი, თავისებური გაჯიბრება პოეზიაში, ენამახვილობაში, მეგობრობის ზეიმი. „სუფრაზე სულგანაბული უსმენდა ყველა ბატონ კონსტანტინეს. ის ყველასაგან გამოირჩეოდა იერით, გამოხედვით, ჩაცმულობითაც კი“, – ვკითხულობთ მოგონებაში.[118]

ირაკლი აბაშიძის გარდა, კოლხურ კოშკს ხშირად სტუმრობდა ლიტერატურის კრიტიკოსი და მრავალი წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი ჟურნალების რედაქტორი გიორგი ნატროშვილი (1910-1998), ასევე, ძველი სოციალ-დემოკრატი დავით ლომაძე (1897-1981), რომელიც 1921 წლის შემდეგ უფრო ბუდუ მდივანის ნაციონალ-უკლონისტური მიმართულების ანალოგიური შეხედულებებით გამოირჩეოდა და თავის დროზე რეპრესიებს გადაურჩა. განათლება გერმანიაში ჰქონდა მიღებული. იგი ქალაქ თბილისის მთავარ პროკურორადაც იყო ნამუშევარი. მან ფასეული ინფორმაციები მიაწოდა ზვიად გამსახურდიას ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შესახებ.

ხშირი სტუმარი იყო ასევე აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი (1905-1987), რომელმაც არაერთი ფასეული შრომა დაწერა საქართველოს ეკონომიკის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით. მისი ნაშრომების თემატიკა ასევე მოიცავდა პოლიტიკურ ეკონომიას, საზოგადოებრივი და პოლიტიკური აზრის ისტორიას, სახალხო მეურნეობის განვითარებას, სოციოლოგიას, დემოგრაფიას, ამიერკავკასიისა და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და სხვა საკითხებს. პრაქტიკულად, არ არსებობდა ეკონომიკის, სოფლის მეურნეობისა და დემოგრაფიის სფეროებში რაიმე ტენდენცია, რომელიც კონსტანტინე და ზვიად გამსახურდიებს არ გაეგოთ პირველი ხელიდან პაატა გუგუშვილის წყალობით.

პოეტმა გაბრიელ ჯაბუშანურმა (1914-1968), რომელიც ხევსურეთში ცხოვრობდა, კონსტანტინე თავის გარდაცვალებამდე რამდენიმე წლით ადრე მოინახულა. ამ სტუმრობისას ზვიად გამსახურდია დიდი ინტერესით უსმენდა მის მონათხრობს ჩეჩნებისა და ინგუშების ცხოვრებაზე, რომლებიც ხრუშჩოვისეული „ოტტეპელის“ შემდეგ მიღებული რეაბილიტაციის შედეგად დაბრუნდნენ დეპორტაციის ადგილებიდან ისევ მშობლიურ სოფლებსა და აულებში. ცნობილია, რომ გაბრიელ ჯაბუშანური ინგუშების დეპორტაციის შემდეგ წლების განმავლობაში ცხოვრობდა მიტოვებულ სოფელში და ინახავდა იქაურობას. იგი იმ ქართველთაგანი იყო, ვინც მთის აულებში ყველაფერი ხელუხლებად დაუბრუნა გადასახლებიდან დაბრუნებულ ინგუშებს. გაბრიელ ჯაბუშანურის ვრცელი, მამხილებელი ლექსი სტალინის შესახებ ზვიად გამსახურდიამ მოგვიანებით დაბეჭდა თვითგამოცემაში „ოქროს საწმისი“.

კოლხურ კოშკს შედარებით ახალი თაობის მწერლების სტუმრობაც ახსოვს – ოთარ ჩხეიძის (1920-2007), თამაზ ჩხენკელისა (1927-2010) და მუხრან მაჭავარიანის (1929-2010). ოთარ ჩხეიძე, რომელიც ბრწყინვალე რომანისტი გახლდათ, ცდილობდა გამოექვეყნებინა კონსტანტინე გამსახურდიას „გულაგის“ პერიოდის მოთხრობა „მტრების მეგობრობა“, რომელიც უნდა შესულიყო კრებულში „დაწუნებული მოთხრობები“. მოგვიანებით ზვიად გამსახურდია იტყვის, სად ვიყავით ჯერ მე და მერაბი, როდესაც ოთარ ჩხეიძე დაუპირისპირდა იმპერიასო. ოთარ ჩხეიძე იყო მწერალი, რომელსაც ერის ცხოვრების მაჯისცემაზე ხელი გამუდმებით ედო – არც 1924 წლის დიდი ეროვნული აჯანყება გამორჩენია, არც იატაკქვეშა-პარტიზანული, ეროვნულ-ანტიკომუნისტური მოძრაობა „სამანი“, რომელიც ჯერ – თბილისში, შემდეგ მთა-თუშეთში განვითარდა 1941-1943 წლებში, ვიდრე უშიშროების სპეცრაზმმა არ გაანადგურა. ოთარ ჩხეიძემ ჩვეული ენერგიით სიკვდილამდე გააგრძელა თავის მწერლობაში რეცეფცია ქვეყნისა და საზოგადოების ბედის განმსაზღვრელი მოვლენებისა.

ლიტერატურათმცოდნე, კრიტიკოსი და მთარგმნელი თამაზ ჩხენკელი, ზვიად გამსახურდიაზე ასაკით უფროსი იყო. ამას მათი მეგობრობისთვის ხელი არ შეუშლია. ამ სტრიქონების ავტორს ახსოვს მათე ალექსიშვილის წიგნი „ალექსანდრე მაკედონელი“, რომელზეც თამაზ ჩხენკელის ასეთი წარწერა იყო: „ნა-

თესავი ნაწილია ხორცისა, ხოლო მეგობარი ნაწილია სულისა (არისტოტელე). მეგობარ ზვიადს თამაზისაგან". მათი შეხების წერტილი იყო თარგმანები, რამდენადაც თამაზ ჩხენკელი იყო მრავალი მაღალი ხარისხის თარგმანის შემოქმედი, მათ შორის, ჰომეროსის, დანტეს, უიტმანის, თაგორის, ბორხესისა და სხვა არაერთი ავტორისა. თამაზ ჩხენკელი ის ადამიანი იყო, ვისთანაც იმ წლებშიც შეიძლებოდა საუბარი არა მარტო ლიტერატურულ და ფილოსოფიურ საკითხებზე, არამედ პოლიტიკურ თემებზეც არასაბჭოური რაკურსით.

მუხრან მაჭავარიანი სრულიად თვითმყოფადი და ორიგინალური ხმით შემოვიდა ლიტერატურაში. იგი ზვიად გამსახურდიაზე 12 წლით უფროსი იყო, თუმცა ბევრმა შეიძლება არ იცოდეს, რომ ზვიად გამსახურდია მუხრანის ნათლია იყო – იგი მოგვიანებით მოინათლა. მუხრანი იგონებდა, როდესაც სტუმრად მივედი პირველად, ქალბატონმა მირანდამ მითხრა, ჩვენ ნათესავებიც ვართო. მუხრანის მშობლიური არგვეთა და გორისა, მირანდას დედულეთი (აბდუშელიშვილების მხრიდან) მართლაც ახლოსაა ერთმანეთთან. მუხრანი 1958-1963 წლებში ჟურნალი „ცისკრის" რედკოლეგიის წევრი გახლდათ და მისი დამეგობრება ამ სფეროდან მოხდა ზვიად გამსახურდიასთან. მუხრანი 1982-1988 წლებში ჟურნალ „საუნჯის," მსოფლიო ლიტერატურის ალმანახის რედაქტორიც იყო, ვიდრე მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ აირჩევდნენ. ზვიადს, როგორც დასავლეთ ევროპული ლიტერატურის მთარგმნელს, მასთან ამ მხრივაც მოუწია თანამშრომლობა. მოგვიანებით, 1978 წლის 14 აპრილის ამბებში, ასევე ქართველ სტუდენტობაში ინდეპენდისტურ-ეროვნული განწყობის გაღვივებაში მუხრან მაჭავარიანის დამსახურება მართლაც განსაკუთრებული იყო.

1.15. ნაადრევი გარდაცვალების გამო შეწყვეტილი მეგობრობები

საქართველოში იყვნენ ახალგაზრდა შემოქმედნი, რომელთაც თქვეს ძალუმი, თვითმყოფადი სიტყვა ჩვენს ლიტერატურაში. აქ ორ შემოქმედებით ინდივიდუალობას გამოვყოფთ – გურამ რჩეულიშვილსა და შოთა ჩანტლაძეს.

გურამ რჩეულიშვილმა (1934-1960), მიუხედავად იმისა, რომ სრულიად ახალგაზრდა წავიდა წუთისოფლიდან, ღრმა კვალი დატოვა უახლეს ქართულ ლიტერატურაში. მის არცთუ დიდტანიანი შემოქმედების კორპუსში გამოჩნდა მისი ტალანტის ორიგინალობა. იმჟამად ლიტერატურული ლანდშაფტი ისეთი იყო, რომ ბევრი უსახური და არაფრისმთქმელი ნაწარმოები ქვეყნდებოდა. ზვიად გამსახურდია 1990 წელს გაკეთებულ ვიდეოჩანაწერში აღნიშნავს: მიუხედავად იმისა, რომ გურამ რჩეულიშვილი პირდაპირ შეხებაში არ ყოფილა პოლიტიკასთან, იგი მაინც დისიდენტი იყოო თავისი ყოველდღიური ცხოვრებითა და შემოქმედებით. მისი შემოქმედება სცილდება საბჭოთა კლიშეებს და ამკვიდრებს თავისუფალ სტილს, ახალ თემატიკასთან ერთად. გურამ რჩეულიშვილს, ბუნებრივია, ჰქონდა კონფლიქტი რედაქტორებთან, რომლებიც აზ-

როვნებდნენ სოციალისტური რეალიზმის შაბლონებით. ზვიად გამსახურდია მას ადარებდა შუა საუკუნეების ფათერაკების მაძიებელ რაინდებს, რომლებიც ხშირად მიდიოდნენ ისეთ მოგზაურობაში, საიდანაც არ იცოდნენ, ცოცხლები დაბრუნდებოდნენ თუ არა. გურამი ალპინისტიც იყო, მოცურავეც, ცხენოსანიცა და მოკრივეც. რასაც ასახავს „ალავერდობის“ სახელით ცნობილ მოთხრობაში, ესეც მისი ცხოვრება იყოო, როდესაც ცდილობდა, გამოეფხიზლებინა მიძინებული, ყოველდღიურ რუტინაში ჩაფლულ ხალხი ამ მკვეთრი, რადიკალური ქმედებებით, – შენიშნავს ზვიადი და განაგრძობს: „ჩვენ სულიერი სიახლოვე გვაკავშირებდა, თუმცა გურამი პოლიტიკაში პირდაპირ არ ჩარეულა. იგი ჩვენს ოჯახში რამდენიმეჯერ იყო მოსული, კონსტანტინე გამსახურდიას ესაუბრებოდა ცხენოსნობის შესახებ. რამდენადაც იმ ზაფხულს ჩვენი ოჯახი გაგრაში ისვენებდა, იმ დღეს, ანუ 23 აგვისტოს, როდესაც იგი საბედისწეროდ დაიღუპა ზღვაში, შტორმისას, ამაოდ სცადა რა ახალგაზდა კაცის გადარჩენა, მას ჩვენთან შემოუვლია და მე ვუკითხივარ. არ ვიცი, რა მოხდებოდა, თუკი სახლში დავხვდებოდი“. გურამისადმი მიძღვნილ ესსეში კი ვკითხულობთ: „მახსოვს ის შავი დღეები ზღვისპირა სასტუმროში, პირქუში ამინდი, სულისშემხუთველი ატმოსფერო, რაღაც იდუმალის, ზარდამცემის მოლოდინი. იმ დღეს დილით შემოგვივლია ჩემთან. მე არ დაგიხვდი, ჩემი სათაყვანებელი დედა დაგიხვდა. გიკითხივარ, სად არისო. შემდეგ წასულხარ ამხანაგებთან ერთად. შემდეგ? აღსრულება: ქარიშხლიანი ზღვა, შენი ძებნა. რა მოხდა, როგორ შეიძრა ყველა! განა მარტო ის, ვინც გიცნობდა. განა მარტო შენი მეგობრები, რომელთა სასოწარკვეთას საზღვარი არ ჰქონდა. უცნობები, შორეული ქალაქებიდან ჩამოსულები გგლოვობდნენ როგორც ახლობელს. მაშინ შევამჩნიე ბევრი რამ, რასაც შემდგომში ბევრნი აღნიშნავდნენ. ნებისთ თუ უნებლიეთ, ყველა შენი ნაცნობი, ახლობელი თუ შორეული, შენზე ლაპარაკისას ისე წარმოადგენდა საქმეს, თითქოს შენ მისი უახლოესი ადამიანი ყოფილიყავი. წარმოიდგინე, მეც ასე ვიყავი, მე, რომელიც მხოლოდ რამოდენიმეჯერ შეგხვდი ცხოვრებაში, მაგრამ ის რამოდენიმე შეხვედრა დაუვიწყარია ჩემთვის. ბევრი ვიფიქრე ამ ამბავზე და ბოლოს, მე მგონი, მივხვდი: შენ მართლაც, რომ უახლოესი ხარ ყველა იმისა, ვინც ეზიარა ცოტად თუ ბევრად შენი პიროვნების განუმეორებელ ცეცხლს, და ვინც ეს ცეცხლი წაუკიდა თავისი სულის პატრუქს. შენში ხედავდნენ ადამიანები თავიანთ უშინაგნესს, შესაძლოა, უფრო მკაფიოდ გამოხატულს, ვიდრე თავად გააჩნდათ“.[119] სტალინის ეპოქის დასრულებიდან რამდენიმე წელიწადში, შავებში ჩაცმული, „ბათინკებიანი“ გურამ რჩეულიშვილი რაღაცით ჰგავდა საქართველოში, მეტადრე, 1956 წლის მარტის დახრეტილი მიტინგების შემდეგ მოარულ თავისუფლების აჩრდილს. და რატომ აჩრდილს? იმიტომ, რომ ნამდვილი თავისუფლება თავის ყველაზე გარეგან, ყველაზე ელემენტარულ გამოვლინებებშიც კი ჯერ კიდევ შორს იყო.

მოგვიანებით, როდესაც ზვიადმა და მერაბმა გამოსცეს თვითგამოცემა „ოქროს საწმისი“, მათ ცალკე რუბრიკა მიუძღვნეს გურამ რჩეულიშვილს სათაუ-

რით „ალავერდობის ცეცხლი“. ამ მოთხრობაში ერთი საინტერესო მომენტია: როდესაც გურამი ალავერდის ტაძრის სახურავზე დგება, ცოტა ხნით სრულიად ჩერდება ზეიმი, ღრეობა, მხიარულება, ცეკვა-თამაში. მდუმარება ისადგურებს. მაგრამ მალე ისევ ძველ კალაპოტს უბრუნდება ყველაფერი. და ყველაფრის რეფრენი, როდესაც მოთხრობის დასასრულს მთავარი გმირი გზას მიუყვება ალვანისკენ: „სიმძაფრე შენებაშია და არა აშენებულით ტკბობაში“, რაც თავისი უღრმესი თეოლოგიური სემანტიკით მიუთითებს იმაზე, რომ შესაქმე არ დასრულებულა: აჰა, ყოველივეს ახლიდან ვქმნი, – ამბობს ქრისტე ხატოლოგიური მეორედ მოსვლის, ანუ ბერძნულად „პარუზიის“ კონტექსტში. ადამიანი, როგორც ახალი შემოქმედი, თავადაც ჩართულია ამ ახალ ქმნადობაში.

ელვარე შემოქმედებითი ინდივიდუალობა იყო შოთა ჩანტლაძე (1928-1968) და, თუ ვინმეზე ითქმის, რომ საბჭოთა საქართველოში თვითმყოფადი პოსტმოდერნისტი და სრულიად ურბანული თემატიკის პოეტი იყო, ალბათ, უპირველეს ყოვლისა, მასზე. მის პოეტურ ქმნილებებში ხშირად გვხვდება ქუჩა, ტრამვაი, ხიდი, ასფალტი, პარკი, მილიციელი, მზესუმზირის გამყიდველი, მათხოვრები, ცვენილი ფოთლები პარკში და სხვა მრავალი ცოცხალი სურათი იმ თბილისისა, რომელიც სულ უფრო მეტად იძენდა თანამედროვე მეტროპოლიის ნიშნებს. საფიქრებელია, რომ ზვიად გამსახურდიამ იგი უნივერსიტეტის ბაღში გაიცნო. მწერალ ჯემალ დავლიანიძის მოგონებით, უნივერსიტეტის ბაღი ეროვნული სულისკვეთების მქონე ქართველების საკრებულო იყო და შოთა ჩანტლაძე ხშირი სტუმარი გახლდათ იქაურობისა. ის იქვე ახლოს, მელიქიშვილის გამზირზე, ცხოვრობდა. მაგრამ ეს ადგილი მხოლოდ აზრთა გაცვლა-გამოცვლის ან ექსპრესიული კამათების აგორა არ ყოფილა. პოეტისთვის იგი რეფლექსიის, მშვიდი თვითშემეცნებისა და გარემოზე დაკვირვების ადგილიც იყო. აქედან ხალხს გადასცქეროდა იგი, და ასე აღწერდა: „ხალხი ხევით – მოკლე გზით, მიიჩქარის სტადიონისკენ. ხალხი მხიარული. ხალხი ხალისიანი. მე ნაღვლიანი გადავყურებ ხალხს. მათ შორის, ალბათ, არ აღმოჩნდება არავინ, რომელიც შეიცვლის განწყობას, დადგება ჩემთან და დაუწყებს ყურებას სტადიონისკენ მიმავალ ხალხს“. შოთა ჩანტლაძე დისიდენტური განწყობის შემოქმედი იყო და ვერ იტანდა იმპერიას, რომელმაც საქართველოს ოკუპაცია და ანექსია განახორციელა. ეს ჩანს მის მოთხრობაში „პროხორ!“ ასევე, ლექსში „დრო შამილების“.

ზვიად გამსახურდიასა და შოთა ჩანტლაძეს ორი საერთო მეგობარიც ჰყავდათ – ერთი, ეს იყო ენათმეცნიერი ირაკლი რამიშვილი, ავტორი წიგნისა კოპენჰაგენის სტრუქტურალისტურ სკოლაზე, მასთან ზვიადის მეგობრობა გოეთესა და ევროპული ქრისტიანული მისტიკის სფეროს მოიცავდა; მეორე კი – გოგი კვირკველია, მეტსახელად „ოჭკომალი“, ზუგდიდელი კაცი, რომელიც ზვიადის ახლო ნათესავი იყო და უნივერსიტეტში სწავლობდა. იგი საავადმყოფოში ბოლო წუთამდე რჩებოდა ლოგინად ჩავარდნილი შოთა ჩანტლაძის გვერდით. თუმცა ზვიადსა და შოთას შორის ნამდვილი მეგობრობა და ლიტერატურული თანამშრომლობა შედგა მას შემდეგ, რაც შოთა ჩანტლაძემ თარგმნა „ირლან-

დიური საგები". ეს წიგნი გამოსცა გამომცემლობა „ნაკადულმა" 1971 წელს, როდესაც მთარგმნელი უკვე სამი წლის გარდაცვლილი იყო. იგი ისე მოკვდა, რომ ვერ ელირსა საკუთარი ლექსების თუნდაც ერთი კრებულის გამოცემას. ამ „ირლანდიური საგების" რედაქტორი და წინასიტყვაობის ავტორი ზვიად გამსახურდია იყო. სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა წიგნის გამოცემა შოთა ჩანტლაძის სიცოცხლეში, რამდენადაც ეს საბჭოთა საქართველოში არც ისე იოლი ამბავი იყო. ზვიად გამსახურდია იგონებდა, რომ ისინი ტექსტის განხილვისას ერთმანეთს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეხვდნენ, რათა მთარგმნელს მოესმინა რედაქტორის შენიშვნები. მოძებნეს ერთ-ერთი ცარიელი აუდიტორია. მე დავჯექი, შოთა კი არასგზით არ დაჯდაო. ის იმდენად ამაყი კაცი იყო, რომ ფეხზე მდგომარე ისმენდა ჩემს შენიშვნებსო.

ზვიად გამსახურდია მოგვიანებით, უკვე პოეტის გარდაცვალების შემდეგ, წინასიტყვაობასაც დაწერს წიგნისთვის. აქ იგი შეეხება კელტ-იბერიულ ხალხებს, რომელთა ეთნოკულტურული მემკვიდრეების, ირლანდიელების, შემოქმედება არის ეს საგები, ასევე, საუბრობს კუხულაინდისა და კელტური გადმოცემების ოდისევსის, მაილ-დუინის, როგორც ინიციანტების, მიერ აღსრულებულ გმირულ, საკვირველ საქმეებზე. აქ იგი განიხილავს ძველი სამყაროს მისტერიებს და აქვე გამოიკვეთება ის თემები, რომელთაც უფრო განვრცობილი სახით მკითხველი შეხვდება მის კვლევაში „ვეფხისტყაოსანსა" და „საქართველოს სულიერ მისიაში". წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: „ირლანდიური საგების" მომხიბვლელ სამყაროში ქართველი მკითხველი შეჰყავს შოთა ჩანტლაძის მაღალი პროფესიონალიზმითა და მხატვრული ოსტატობით შესრულებულ თარგმანს. ის სტილისმიერი კამერტონი, რომელიც შეარჩია მთარგმნელმა, ხელს უწყობს ამ უჩვეულო ნაწარმოებთა გაცოცხლებას ქართულ ენაში. რთული ფერწერული და ბგერწერითი ოსტატობა, რომელიც გამოავლინა მთარგმნელმა, ინტონაციათა ეს ნაირგვარობა, ქართული ენის ულევ შესაძლებლობათა დიად აღლუმად წარმოსდგება ჩვენს წინაშე. შოთა ჩანტლაძე თავისუფალი, იმპროვიზაციული მანერით ქმნის ხელახლა ირლანდიულ საგებს, იგი ცხოვრობს გმირთა ცხოვრებით, მისი უშუალო განცდიდან იშვის ირლანდიის პანორამები, ფერწერულ-ჟანრული სურათები, ბატალური სცენები, მისტიური ზმანებები. მას, როგორც ჭეშმარიტად პოეტს, სიტყვის პლასტიკური და მუსიკალური მხარე უფრო აინტერესებს, ვიდრე სემანტიური მნიშვნელობა, ამიტომ ალაგ-ალაგ სცვლის კიდევაც ამ მნიშვნელობის ნიუანსებს. შოთა ჩანტლაძე არნახული სიცხოველით გრძნობს რიტმს პროზისას, და, ამავე დროს, იგი წარმოსდგება ჩვენ წინაშე, როგორც ქართული ლექსის ბრწყინვალე ოსტატი. ლექსის ვოკალურობასთან, ალიტერირებული კადანსების კეთილხმოვანებისმიერი მჭახე აკორდების შემოჭრა, განსაკუთრებით, საბრძოლო სცენებში და კატასტროფულ პასაჟებში. ამავე დროს, გვხიბლავს მკაცრი ლაპიდარობა ენისა, რითაც აღდგენილია დედაენის ძირითადი განწყობილება. და ბოლოს, ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, თითქოს ირლანდიელი მთქმელი-ოქროპირი გაცოცხლებულაო ქართულ ნიადაგზე, თითქოს

კელტი ხალხის გენია თავისი მონათესავე ქართული გენიის პირით გვაუწყებსო გარდასულ დროთა ამბებს, რათა აღაგზნოს ჩვენს გულში ღრმად მიძინებული წყურვილი გმირობისა“.

შოთა ჩანტლაძე 1968 წლის 28 ნოემბერს გარდაიცვალა აპენდიციტის პრობლემის გამო. მის გარდაცვალებას არავინ ელოდა. მისი დაკრძალვის დღე 5 დეკემბერს დაემთხვა, საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის დღეს. უშიშროების კომიტეტის მიერ გამოგზავნილმა პირმა ჭირისუფლებს გადასცა ოფიციოზის სურვილი – ერთი დღით გადაედოთ დაკრძალვა. მწერალი ჯემალ დავლიანიძე წერს: „შოთა ჩანტლაძეს ეკონომიურად უჭირდა, და დაკრძალვის ხარჯები მეგობრებმა გავიღეთ – ზვიად გამსახურდია იყო თავკაცი. ამიტომ მანვე გადაწყვიტა: არავითარი გადატანა-გადმოტანა, შოთას მიწას მივაბარებთ 5 დეკემბერსო. მართლაც, ზვიადის თაოსნობით, 1968 წლის 5 დეკემბერს, შოთა ჩანტლაძე გამოვასვენეთ, და ყველას მოულოდნელად, უნივერსიტეტის ბაღში, გამოსამშვიდობებლად შევიყვანეთ. კომუნისტური პარტია, მილიცია-უშიშროება ამას არასგზით არ მოელოდა. ფაქტობრივად, დაუმორჩილებლობის დიდი აქცია ჩატარდა, თუმცა შეხლა-შემოხლის, ტყვიის სროლის, ცემა-ტყეპის გარეშე ჩაიარა ყოველივემ. ჩვენს ყურამდე მოაღწია ცნობამ, რომ გაოცებულ ვასილ მჟავანაძეს, კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, უბრძანებია: არავითარ შემთხვევაში ხელი არ ახლოთ, ძალიან სახიფათო ამბავთან გვაქვს საქმეო“.[120]

უნივერსიტეტმა დააკავშირა ზვიად გამსახურდია სხვა მეგობრებთანაც, რომელთა შორისაც ხამს მოხსენიება: ზურაბ კიკნაძის, მეცნიერის, მთარგმნელისა და კულტუროლოგის, საინტერესო და მაღალკვალიფიციური შრომების ავტორისა მესოპოტამიურ კულტურასა და საქართველოს მთის რელიგიურ სისტემაზე. ასევე, ედიშერ გიორგაძის, მწერლის, მთარგმნელისა და ყოველივე დავიწყებულის, ერთგვარი სულისთვის სარგო ანტიკვარიატის დაუღალავი შემგროვებლისა.

70-იანი წლების დასაწყისში ზვიადმა გაიცნო გივი მარგველაშვილი, გერმანულენოვანი ქართველი მწერალი, რომელიც თბილისში ცხოვრობდა მას შემდეგ, რაც მამასთან, ტიტე მარგველაშვილთან, ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ერთ-ერთ თვალსაჩინო ფიგურასთან ერთად, საბჭოთა სუკ-ის თანამშრომლებმა ბერლინიდან გამოიტაცეს. შემდეგ ტიტეს სამშობლოს ღალატში დასდეს ბრალი და დახვრიტეს. გივი მარგველაშვილი იძულებით აღმოჩნდა დაპყრობილ სამშობლოში, მას ირონიულად უყვარდა თქმა, მითოსურ-მზიურ Kolchis-ზე (კოლხეთი. გერმ.) ვოცნებობდი და უცებ კოლხოზში აღმოვჩნდიო. ზვიადი დადებითად ახასიათებდა მას, თუმცა არ მოსწონდა მისი ძალიან სპეციფიკური ევროპოცენტრიზმი. გივისთვის ქართული კულტურა და ლიტერატურა ევროპულის პერიფერიული ვარიანტი იყო, რომელსაც თვითკმარი ღირებულება არ ჰქონდაო – მათ შორის, არც რუსთაველს, არც გალობას, არც ხუროთმოძღვრებას. არ ვეთანხმებოდი, თუმცა, მისი ბიოგრაფიის გათვალისწინებით, ეს ჩემთვის

გასაგები იყოო. ზვიადს ერთხანს მეგობრობა აკავშირებდა როგორც გივისთან, ისე მის მეუღლესთან, მწერალ ნაირა გელაშვილთანაც, თუმცა ეს დიდხანს არ გაგრძელებულა – მათზე, როგორც ჩანს, მაინც მოქმედებდა ანტიპათია, რომელიც ინტელიგენციის ერთ ნაწილში არსებობდა ზვიად გამსახურდიას მიმართ.

ნიკო სამადაშვილი, გურამ რჩეულიშვილი, შოთა ჩანტლაძე საქართველოს სინამდვილეში ერთგვარი „კონტრკულტურის“ პრეცედენტს ამკვიდრებდნენ ლიტერატურის სფეროში. სრულიად არასაბჭოთა სტილს რაც შეეხება, ხრუშჩოვისეული „დათბობის“ შემდეგ, მიუხედავად ბრეჟნევიზმის მიერ სტალინური იდეოლოგიური მიდგომების ნახევარ-რესტავრაციისა, მაინც დაუშვეს ე. წ. ნეიტრალური სტილი. აქ უმთავრესი მოთხოვნა იყო ის, რომ ლიტერატურული ტექსტი არ ყოფილიყო ანტისაბჭოთა ხასიათისა. ამ სტილს ქართულ მწერლობაში ყველაზე ადრე მიჰყვებოდნენ ოთარ და თამაზ ჭილაძეები, ასევე – გურამ დოჩანაშვილი. მართალია, ეს ადამიანები არ ყოფილან უარყოფითად განწყობილნი ზვიადის 70-იანი წლების დისიდენტური მოღვაწეობისადმი, თუმცა მათ შორის დიდი მეგობრობა და თანამშრომლობა არ შეინიშნება.

1970 წელს საქართველოში ჩამოვიდა კიტა ჩხენკელის, დამოუკიდებელი საქართველოს პირველი საგარეო საქმეთა მინისტრის, ძმისა და ცნობილი ქართველოლოგის, სამი შვეიცარიელი მოწაფე – იოლანდა მარშევი, ლეა ფლური და რუთ ნოიკომი, რომლებიც შესანიშნავად მეტყველებდნენ ქართულ ენაზე და ქართულ ლიტერატურას თარგმნიდნენ. მათ კიტასთან ერთად ციურიხში დააარსეს „ამირანის“ გამომცემლობა. ისინი სტუმრად ეწვივნენ კონსტანტინე გამსახურდიას კოლხურ კოშკში. რუთ ნოიკომს გერმანულად თარგმნილი ჰქონდა კონსტანტინესეული „ხოგაის მინდია“, რომელიც „მანესეს“ გამომცემლობის რამდენიმე ქართული მოთხრობისგან შედგენილ კრებულში შეიტანა. კიტა ჩხენკელს ციურიხის უნივერსიტეტში ქართული ენის კათედრა ჰქონდა დაარსებული, სადაც საფუძველი ჩაეყარა ქართული ენის სახელმძღვანელოს, ასევე, სამ ტომად ქართულ-გერმანული ლექსიკონის შექმნას. ამ პერიოდში ზვიად გამსახურდია სერიოზულად დაინტერესდა ქართველოლოგიით. პროტოქართული ძირების კვლევა – ეს ის სფერო იყო, რომელმაც იგი დააკავშირა ენათმეცნიერ თამაზ გამყრელიძესა და კლასიკურ ფილოლოგ რისმაგ გორდეზიანთან. ორივე მეცნიერის ნაშრომებს ზვიად გამსახურდიამ მაღალი შეფასება მისცა და მათი მნიშვნელობა განსაკუთრებით წინ წამოსწია მოგვიანებით წაკითხულ ლექციაში საქართველოს სულიერ მისიაზე. ქართველოლოგ ქალბატონებს იგი თამაზ გამყრელიძესთან ერთად წაჰყვა მცხეთაში, საქართველოს მუზეუმსა და მთაწმინდის პანთეონში.

ასეთი იყო მაშინდელი არაკომუნისტური, საყოველთაო იდეოლოგიური რეზონისა თუ მოსკოვის ფაქტორის გამო პრაგმატული მოსაზრებებით დადგენილი წესებისა თუ კლიშეების მიღმა მცხოვრები კულტურული სცენა საქართველოს სსრ-ის დედაქალაქში. სამყარო, რომელიც თავისი სულისკვეთებით ცხოვრობდა და იძვროდა. ამ სამყაროს ძირითად აქტორებში, ცხადია, ილიასეული

მოხევეს ინდეპენდისტური სულისკვეთებაც ცოცხალი იყო, თუმცა გამოხატვას პირდაპირ და ღიად ვერ ახერხებდნენ. ნამდვილ პოეტთა, ხელოვანთა, ქართული და ქრისტიანული კულტურის მსახურთა ამ თაობის სულისკვეთებას, ალბათ, ყველაზე კარგად გამოხატავს ზვიადის სტუდენტობის მეგობრის, თამაზ ჩხენკელის, შემდეგი ლექსი:

„მე არ მივლია გზებით ნალახით,
არ მიზელია სხვათა ტალახი,
ბილწის, უმსგავსის და უტიფარის
გულზე ნაჭდევი არ მაქვს ტვიფარი,
არანაირი მზაკვარ-მაცილის!
მე ნაწილიანთ ვიყავ ნაწილი,
მათი მოწაფე ვიყავ ბეჯითი
და შუბლზე მაზის მათი ბეჭედი!"

1.16. მდგომარეობა ხრუშჩოვის გადადგომისა და ბრეჟნევის აღზევებისას

ხრუშჩოვისეული „დათბობა" არასოდეს გადასულა ნამდვილ გაზაფხულში. ამის პოლიტიკური ნება და რეალური პროგრამა საბჭოთა კავშირში არავის გააჩნდა. პარტიული აპარატი, სამხედროები და უშიშროება ძველებურად ახორციელებდნენ კონტროლს უზარმაზარ ქვეყანაზე. ეიზენჰაუერის მიერ დეკლარირებული დოქტრინა 1957 წელს, ფაქტობრივად, მოიხსნა ნიკიტა ხრუშჩოვის ვიზიტის შედეგად აშშ-ში, 1959 წლის სექტემბერში. ამის შემდგომ ორივე ზესახელმწიფო, აშშ და სსრკ, გარკვეული ფორმით თანაარსებობაზე შეთანხმდა. კონტროვერსულობა მათ შორის უფრო აგრესიულ ვერბალურ რიტორიკასა და თავდასხმებში გადავიდა, ხოლო ირიბი სამხედრო დაპირისპირება, როდესაც მხარეები ცხელ წერტილებში გარკვეული ძალების უკან დგანან, კვლავაც შესაძლებელი იყო. ეს იყო „ცივი ომის", ალბათ, ყველაზე ცხადი ნიშანი.

1960 წლის ოქტომბერში მსოფლიომ მოისმინა „კუზკას დედასთან" დაკავშირებული მუქარა, რა არის „კუზკას დედა". მაშინ ნიკიტა ხრუშჩოვმა გაეროს სხდომაზე წარმოთქვა თავისი ცნობილი სიტყვა. საბჭოთა ლიდერმა ქვეყნებს სრული განიარაღებისკენ მოუწოდა, რომ აღარ ჰქონოდათ ომის წარმოების საშუალება. ხრუშჩოვის თარჯიმანმა სიტყვა-სიტყვით თარგმნა „კუზკას დედა", რამაც დააბნია მსმენელები. ნათქვამის აზრი გაუგებარი დარჩა. შემდეგ უკვე ეს იდიომატური რუსული გამოთქმა აზრობრივად თარგმნეს – „ჩვენ დაგმარხავთ თქვენ".

ამავე დროს, საბჭოთა უმაღლესი პარტიული ნომენკლატურის შიგნით გარკვეულმა უკმაყოფილებამ იჩინა თავი, რომელიც პირდაპირ მიმართებაში იყო ნიკიტა ხრუშჩოვის პერსონასთან. 1964 წლის 12 ოქტომბერს სსრკ-ის უმაღლე-

სი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, ლეონიდ ბრეჟნევი, დაუკავშირდა ბიჭვინთაში დასასვენებლად მყოფ ხრუშჩოვს და სთხოვა, ჩამოსულიყო პარტიის ცეკას პრეზიდიუმის სხდომაზე, რომელიც მომდევნო დღეს დაიწყო. ეს სხდომა მიმდინარეობდა 13-14 ოქტომბერს, მასზე ხრუშჩოვი გააკრიტიკეს მრავალრიცხოვანი შეცდომების, ასევე, თავისი პიროვნების კულტის შექმნის მცდელობის გამო, გაუხსენეს პარტიის წევრებისადმი უხეშად მოპყრობა და ა. შ. 14 ოქტომბერს ხრუშჩოვი დათანხმდა, ხელი მოეწერა გადადგომაზე და იმავე საღამოს სკკპ-ის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა იგი გაათავისუფლა თანამდებობიდან. იგი ამ პოსტზე, ანუ სკკპ-ის ცეკას პირველი მდივნის პოსტზე, შეცვალა ლეონიდ ბრეჟნევმა. არსებობს მეორე ვერსიაც – ხრუშჩოვის გადაყენება დაუსწრებლად მოხდა, როდესაც იგი დასასვენებლად იმყოფებოდა შავ ზღვაზე. გადადგომის შემდეგ, დაახლოებით, 20 წელიწადს მის სახელს საერთოდ აღარ ახსენებდნენ, დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში კი ძალიან მოკლედ ეწერა: „მის საქმიანობაში იყო სუბიექტივიზმისა და ვოლუნტარიზმის ელემენტები“.

ერთადერთი გავლენიანი ფიგურა ძველი პოლიტბიუროდან, ვინც გარკვეულ მომენტში თითქოს შეეცადა დაეცვა ხრუშჩოვი, იყო ანასტას მიქოიანი, თუმცა, შექმნილი პოლიტიკური რეალობიდან გამომდინარე, ის არასოდეს გადასულა რაიმე სერიოზული დაპირისპირების რეჟიმში. არსებობდა უკმაყოფილოთა მცირე ჯგუფიც, რომელიც შემდგომში გამოვლინდა. ბრეჟნევმა ხელისუფლების სათავეში მოქცევისთანავე გვერდში ამოიყენა ცენტრალური კომიტეტის მდივანი ალ. შელეპინი, რომელიც ერთხანს КГБ-ს (სუკ-ის) თავმჯდომარეც იყო და ფლობდა გარკვეულ ბერკეტებს უშიშროების კომიტეტის გასაკონტროლებლად. იგი თავის დროზე ისევ ხრუშჩოვის დაწინაურებული იყო და აქტიურად იყო ჩართული დესტალინიზაციის პროცესში. თუმცა მისი პოზიცია ბრეჟნევის მიმართ მალევე შეიცვალა. იგივე მიქოიანი იგონებს, რომ სრულიად მოულოდნელად ალექსანდრე შელეპინის დაჯგუფებამ მომმართა წინადადებით, ჩავრთულიყავი ბრეჟნევის დაჯგუფების წინააღმდეგ ბრძოლაში. მე პირველს უნდა დამეწყო, და გამომდინარე პარტიაში ჩემი ავტორიტეტიდან, ისინი ყველანი გამოვიდოდნენ და გადააყენებდნენო ბრეჟნევს პირველი მდივნის პოსტიდან. ყველაფერი დასრულდა იმით, რომ მოსკოვის ქალაქკომის მდივანი ეგორიჩევი, შელეპინის თანამებრძოლი, 1967 წლის 20 ივნისს ცეკას პლენუმზე გამოვიდა თავდაცვის სამინისტროსა და მისი ხელმძღვანელობის მკვეთრი კრიტიკით. მისი გამოსვლის აზრი იმაში მდგომარეობდა, რომ მოსკოვი ცუდად იყო დაცული აშშ-ის მხრიდან თავდასხმის შემთხვევაში. ბრეჟნევმა ეგორიჩევის ეს გამოხდომა აღიქვა, როგორც ღია დაპირისპირება. ამის შემდეგ პლენუმმა შელეპინი, როგორც შიდა ოპოზიციური ჯგუფის მოთავე, გაიყვანა პოლიტბიუროდან, ის გადაიყვანეს ჯერ პროფკავშირების თავმჯდომარედ, იქიდან კი მალევე პენსიაზე გაუშვეს. ეგორიჩევი გაუშვეს დანიაში ელჩად, სემიჩასტნი კი უკრაინაში, პარტიულ თანამდებობაზე დანიშნეს. [121]

ფაქტია, რომ ხრუშჩოვი პარტიის უკმაყოფილო მეინსტრიმის მიერ იქნა გადაყენებული. მისი გადაყენების ან გარკვეული ფორმით განეიტრალების გეგმები 1964 წლამდეც არსებობდა. პიოტრ შელესტი, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი 1963-1972 წლებში, ამტკიცებდა, რომ ბრეჟნევი სსრკ-ის უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს, ვლადიმირ სემიჩასტნის, ხრუშჩოვის ლიკვიდაციას სთავაზობდა. ეს სემიჩასტნიმ თავად მოუყვა შელესტს. განიხილებოდა თვითმფრინავის ან ავტომობილის კატასტროფა, მოწამვლა ან დაპატიმრება. შელესტი ასევე ესაუბრა პოდგორნის, რომელმაც დაადასტურა მსგავსი იდეების არსებობა, თუმცა კატეგორიულად უარყო ამ გზით წასვლა.[122]

პენსიაში გასტუმრებულ ლიდერს სსრკ-ის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ვიაჩესლავ მოლოტოვი არცთუ დადებითად ახასიათებდა. ეს გასაკვირიც არ არის – მან ჯერ კიდევ 1957 წელს მოახერხა ხრუშჩოვის საწინააღმდეგო ბლოკი შეეკრა გიორგი მალენკოვთან და ლაზარ კაგანოვიჩთან ერთად: „ხრუშჩოვი, იგივე მეწაღე თეორიულ საკითხებში, მარქსიზმ-ლენინიზმის მოწინააღმდეგე, ეს ხომ კომუნისტური რევოლუციის მტერია, ფარული და ვერაგი, ძალიან შენილბული... არა, ის არ არის სულელი. და რატომ მიყვებოდით სულელს? მაშინ თქვენ თავად ხართ უკანასკნელი სულელები! მან კი დიდი უმრავლესობის განწყობა აირეკლა. ის კარგად გრძნობდა განსხვავებას, ძალიან კარგად".[123]

სიტუაცია, რომელიც ბრეჟნევის ხელისუფლებაში მოსვლით შეიქმნა, თავისებურ პოლიტიკურ პრაგმატიზმს ეფუძნებოდა: ერთი მხრივ, მასში არ ჩანდა რაიმე ნება და სურვილი წარსულისკენ დაბრუნებისა, თუმცა ამ წარსულის განქიქების გაღრმავებაც არ სურდათ. არსებითად, ეს იყო იგივე „ხრუშჩოვიზმი", თუმცა წარსულის მიმართ საგრძნობლად შერბილებული დამოკიდებულებით. მიჩნეულ იქნა, რომ „პიროვნების კულტი" ერთხელ და სამუდამოდ დაგმო პარტიამ და კვლევების გაგრძელება ამ მიმართულებით აღარ იყო სასურველი, რამდენადაც ეს უკვე დააზიანებდა სახელმწიფოს იდეოლოგიურ საფუძვლებს. მარქსიზმ-ლენინური ტიპის საბჭოურ სოციალიზმზე უარის თქმას კი კრემლში არავინ აპირებდა. შეიქმნა სიტუაცია, რომელსაც დროთა განმავლობაში დაერქვა „უძრაობის" ანუ „სტაგნაციის" ხანა. სტალინიზმის რესტავრაცია რომ ვერ მოხდებოდა, ამას ყველა ხედავდა. ეს ვერ მოხდებოდა თუნდაც ერთი უბრალო მიზეზის გამო – სტალინიზმი ვერ შედგებოდა თავად სტალინის პიროვნების გარეშე.

საქართველოში მდგომარეობა დიდად არ შეცვლილა. როგორც ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვასილ მჟავანაძემ, ისე სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ, გენერალმა ალექსი ინაურმა, დროზე იგრძნეს დიდი ცვლილების სიო და სრულიად დაუჭირეს მხარი როგორც პარტიის მეინსტრიმის, ისე მის მიერ წამოწეული ახალი ლიდერის გადაწყვეტილებებს. საინტერესოა, რომ ნიკიტა ხრუშჩოვი გადაყენების დროს ბიჭვინთასთან მდებარე ლიძავის ცეკას დასასვენებელ სახლში იმყოფებოდა. ამ სახლთან საკმაოდ

ახლოს მდებარეობდა კონსტანტინე გამსახურდიას საზაფხულო ვილა „აფსუა აბა'ა", ანუ „აფხაზური სახლი". როგორც საქართველოს ცენტრალური კომიტეტის მდივანი, დევი სტურუა, იხსენებდა, ერთ-ერთი ასეთი სტუმრობისას ლიძავაში ხრუშჩოვმა და მჟავანაძემ კონსტანტინე ვახშამზე დაპატიჟეს. ვახშამს ესწრებოდნენ ნიკიტა ხრუშჩოვი, მისი მეუღლე ნინა, ვასილ მჟავანაძე და მისი მეუღლე ვიქტორია ტირისკევიჩი. ნინა ხრუშჩოვამ მწერალს ხუმრობით ჰკითხა: „კანსტანტინ სემიონოვიჩ, რატომ ხართ ასე გამხდარი?" მჟავანაძეც და ხრუშჩოვიც დაინტრიგდნენ, რა პასუხს გასცემდა მწერალი. ერთი გამხდარი მამალი ორ მსუქან მამალს გალახავსო, – ენამოსწრებულად უპასუხია კონსტანტინეს.

კონსტანტინე გამსახურდიასა და მის ოჯახს ხელისუფლება ამ პერიოდში, ცხადია, ნამდვილად აღარ შეხებია ცუდად – მწერალისადმი გარკვეულ კეთილგანწყობას ამჟღავნებდნენ ვასილ მჟავანაძე, დევი სტურუა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გივი ჯავახიშვილი. თუმცა, ზოგჯერ, ძველი დამოკიდებულებების რეციდივები მაინც იჩენდა ხოლმე თავს. ეს გასაგებია საბჭოთა სახელმწიფოს სპეციფიკის გათვალისწინებით – პარტიისა და უშიშროების კომიტეტის „ღრმა" სეგმენტში ისეთ ამბებს, როგორიც 1956-1959 წლებში მოხდა ამ ახალგაზრდების მონაწილეობით, ასე უბრალოდ არ ივიწყებდნენ.

1963 წელს კონსტანტინე გამსახურდიამ წერილი მისწერა გაზეთ „კომუნისტის"რედაქტორს, ანუ „გორგასლიანის" აქტივობების პერიოდში ცენტრალური კომიტეტის მდივანს იდეოლოგიის დარგში, დავით მჭედლიშვილს, რომელსაც ძველი ამბები შეახსენა: „განა არ ვიცი, რომ ამ ხუთიოდე წლის წინათ, როცა თქვენ საქართველოს ცკ-ის მდივანი ბრძანდებოდით, დასაღუპავად გაგვწირეთ მე და ჩემი ოჯახი. „კომუნისტის" უნამუსო კორესპოდენტს ვ. თორდუას თქვენი ინსპირაციით დააწერინეთ ყოვლად უხამსი ინსინუაცია ჩემი ვაჟის მიმართ („სარეველა"). თითქოს იგი ისეთი ხულიგანი ყოფილიყოს, რომ ჩემს მკითხველებს ქუჩაში დაეტაკებოდა და ჩემს წიგნს გააგდებინებდა ხელიდან. სინამდვილეში კი ეს ათი წელია, ჩემი ვაჟი გახლავთ ყველა ჩემი წიგნის პირველი მკითხველი, კორექტორი და რედაქტორი. ამასთან ერთად, იგი თარგმნის ინგლისისა და ამერიკის პროგრესულ პოეტებს. ბოლოს საქმე ისე წავიდა, ჩემი ერთადერთი ვაჟი დაღუპვის კართან წარსდგა, ამის შედეგი რა იქნებოდა, მე ლოგინად ჩავარდნილმა ფიცი დავდევი: როგორც კი წამოვდგებოდი, ამ საქმის ინსპირატორი და შემსრულებელი მომეკლა, ცხადია, ამის შემდეგ მეც არ ვიცოცხლებდი. ჩემს მეუღლეს გულის მანკი შეეყარა, ქალიშვილი დამიავადმყოფდა."

ამის შეხსენების შემდეგ კონსტანტინე გამსახურდია უკვე გადადის ისეთ საკითხებზე, რომელთა შესახებაც, გასაგები მიზეზების გამო, იმდროინდელ საქართველოში საუბარი ვერ იქნებოდა ვერც მაღალი ტრიბუნებიდან, ვერც პრესიდან. ეს არის სოციალისტური ინტერნაციონალიზმის საფარქვეშ შენიღბული რუსიფიკაცია, ასევე, ქართული ლიტერატურის, ზოგადად, ქართული კულტურის იგნორირება: „მე ვამტკიცებ: მომავალი თაობები შეაჩვენებენ იმათ, ვისაც ქართული მწერლობა და ქართველი ხალხი ინტელექტისმიერი ვასალო-

ბისკენ მიჰყავს. ხომ არის ეს უდიდესი „პოდხალიმობის“ ნიშანი, როცა გაზეთების მჯღაბნელები სწერენ: „გორკი და საქართველო“, „გრიბოედოვი და საქართველო“, „მაიაკოვსკი და საქართველო“, ნუთუ ისე უნდა დავბრმავდეთ, რომ არ გვესმოდეს საქართველო და ეს მწერლები, და არც არავითარი მწერლები ამ ქვეყნად, საქართველოს თანატოლნი არ არიან! ჰკითხეთ ამ მატრაბაზებს, რამ დააბრმავათ? თვალში ხომ არ ეცოტავებათ საქართველო, შოთა რუსთაველი, დ. გურამიშვილი, ვაჟა-ფშაველა, ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, გ. ტაბიძე და არაერთი თანამედროვე. ასეთი სერვილიზმის სამწუხარო შედეგია, რომ არც ვახტანგ გორგასალს, არც დიდ ვაჟას, არც გურამიშვილს, არც ჩვენს დიდ მეფეებს, რომელთაც ტფილისი და საქართველო დაიცვეს, ტფილისში ძეგლი არა აქვთ და სანაპიროზე გამოჭიმეს რუსული იმპერიალიზმის ფუნქციონერი გრიბოედოვის, ერთი საწყალი პიესის ავტორის ძეგლი (საგულისხმოა, რომ ამ მწერალს თვით რუსები არაფრად აგდებდნენ)“.[124]

ეს მცირე ამონარიდიც აქ მოტანილი წერილიდან უკვე საკმარისია, რათა ზოგადად წარმოვიდგინოთ ის სიტუაცია, რომელიც იყო ამ წლებში საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში.

1.17. მოგზაურობები მოსკოვში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ლატვიასა და ესტონეთში

ზვიად გამსახურდია თავის „ჩანაწერებში“ აღნიშნავს, რომ 1968 წელს მიიღო ორი მოწვევა საზღვარგარეთიდან: ერთი — შვეიცარიიდან და მეორე — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან. პირველი გამოუგზავნა მწერალმა, თეოლოგმა და მეცნიერმა, ანტიკური და პროტოევროპული კულტურების მკვლევარმა, დოქტორმა, ოტტო ნეერახერმა, რომელიც ციურიხში ცხოვრობდა.[125] ოტტო ნეერახერი ცნობილია დიდტანიანი წიგნებით: „ძველი საბერძნეთის სულიერ გზებზე“, ასევე, „ეტრუსკები იყვნენ სამხრეთის კელტები“. ამ კვლევებში იგი ცდილობს წარმოაჩინოს სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის წინარეინდოევროპული მოსახლეობის, პელაზგების, როლი. ზვიად გამსახურდიას დაინტერესებაც პელაზგური და ეტრუსკული პროტოიბერიული სამყაროებით ამ პერიოდიდან იღებს სათავეს და ერთგვარად დაგვირგვინდება მის ლექციაში „საქართველოს სულიერი მისია“, სადაც იგი ზევსისეული და პრომეთესეული ცივილიზაციების დაპირისპირებაზე ისაუბრებს (1990 წ.). თავად ო. ნეერახერს ზვიად გამსახურდიას შესახებ მოუთხრო და მისი წერილი გადასცა შვეიცარიაში მცხოვრებმა ანა იანმა, ავსტრიის მოქალაქემ, რომელმაც მანამდე გაიცნო ზვიადი და მერაბი. ამის შემდეგ ნეერახერმა გამოგზავნა მიწვევა, თუმცა შანსი, რომ „ოვირი“ და უშიშროების კომიტეტი დათანხმდებოდნენ ზვიადის გაშვებას კაპიტალისტურ ქვეყანაში, პრაქტიკულად, ნულის ტოლი იყო. ცივმა უარმა მართლაც არ დააყოვნა.

რაც შეეხება მეორე მიწვევას, იგი გამოგზავნა ჯერ – ბერლინის, შემდეგ კი იენის უნივერსიტეტების პროფესორმა გერტრუდ პეჩმა, რომელსაც გერმანულად ნათარგმნი ჰქონდა კონსტანტინე გამსახურდიას რომანი „დიდოსტატის მარჯვენა“. წიგნი 1969 წელს გამოიცა ბერლინში, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცემლობის მიერ, რომელსაც ერქვა „კულტურა და წინსვლა“ (Kultur und Fortschritt). მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირისადმი სრულიად მეგობრულ გდრ-ში წასვლაზე იყო საუბარი, საქართველოს უშიშროების კომიტეტი ისევ გაჯიუტდა. პინაზე, ერთი მხრივ, კონსტანტინე გამსახურდიას ავტორიტეტი იდო, ცნობილი იყო ისიც, რომ ცეკას მდივანი დევი სტურუა და ირაკლი აბაშიძე მხარს უჭერდნენ ნებართვის მიცემას მისი ვაჟისთვის, მეორე მხრივ, როგორც ჩანს, შიშობდნენ მოსკოვის ზემდგომი კოლეგების გამო – არ იცოდნენ, როგორ შეხედავდნენ ისინი ამ საკითხს. თუკი ზემდგომნი გადაწყვეტდნენ, ცხადია, თბილისშიც დაეთანხმებოდნენ, როგორც ყოველთვის. ბოლოს, როგორც იქნა, ზვიად გამსახურდიას ნება დართეს – ერთი თვით გამგზავრებულიყო გდრ-ში. ეს უნდა ყოფილიყო 1969 წლის ივლისი.

ზვიადი ჩავიდა ჯერ ბერლინში, შემდგომ კი – იენაში. ამ დროს იგი გერმანულ ენას უკვე საკმაოდ კარგად ფლობდა. საუბრებში იგი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას ამ სახელით არასოდეს მოიხსენიებდა, არამედ ირონიულად Ostzone-ს, ანუ „აღმოსავლეთის ზონას“ უწოდებდა. ქართველოლოგ ჰაინც ფენრიხის ინფორმაციით, იენაში ყოფნის დროს ზვიად გამსახურდია ქალაქის ლუთერანულ ეკლესიაში დადიოდა ორღანზე დაკვრის სასწავლად, სადაც მას ადგილობრივი ორღანისტი ამეცადინებდა. აქედან იგი ვაიმარშიც ჩავიდა, სადაც გოეთეს მუზეუმი მოინახულა. საინტერესოა, რომ ზვიად გამსახურდია იმავე 1969 წელს კიდევ ერთხელ ჩავიდა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ამჯერად, ნოემბერში. ეს ამბავი ბევრად იოლად მოგვარდა, რამდენადაც იგი ჩასვეს ქართველ მწერალთა დელეგაციაში. დელეგაცია ჩავიდა ლიტერატურულ დეკადაზე ბერლინში, კემნიცსა და ცვიკაუში. გერმანულ წესრიგსა და კულტურის თვალშისაცემად მაღალ დონეს დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია ქართველ მწერლებზე. ზვიად გამსახურდია იგონებდა, რომ სსრკ-ში დაბრუნების მომენტში ამ მწერლებს ველარ იცნობდი, ისინი ღიად გამოხატავდნენ უკმაყოფილებას საკმაოდ დამთრგუნველი საბჭოთა რეალობის მიმართო.

1972 წლისთვის სიტუაცია უკვე შეცვლილი იყო: იმავე გერტრუდ პეჩის მიერ მეორედ გამოგზავნილ ვიზაზე, რათა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ზვიადის კიდევ ერთხელ ჩასვლა მოხერხებულიყო, საბჭოთა მოქალაქეების უცხოეთში მიმოსვლაზე ზედამხედველმა ორგანოებმა ნებართვა აღარ გასცეს. საქართველოს უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ, გენერალმა ზარდალიშვილმა, ასეთი პასუხი გასცა ზვიად გამსახურდიას: „ჩვენ საზღვარგარეთ მხოლოდ ჩვენიანებს ვუშვებთ. ეს წამახალისებელი ზომაა. თქვენ კი, ვისაც კავშირი გაქვთ მოსკოვის დისიდენტურ მოძრაობასთან, უფრო იმაზე უნდა იფიქროთ, როგორ დააღწიოთ თავი ახლო მომავალში დაპატიმრებას“. [126]

მართალია, ჰელსინკის პროცესი და ბრძოლა ადამიანის უფლებებისთვის იმ მასშტაბით ჯერ კიდევ არ იყო გაშლილი საბჭოთა იმპერიის მეტროპოლიაში, თუმცა 1966 წლის თებერვალში საბჭოთა მწერლების, სინიავსკისა და დანიელის, პროცესის, ასევე 1968 წლის „პრაღის გაზაფხულის“ ჩახშობის შემდეგ „სხვაგვარად მოაზროვნეთა“ ტალღა უკვე ძალას იკრებდა. ისე ჩანდა, რომ ბრეჟნევის ხელისუფლებაში მოსვლასთან ერთად გაძლიერდა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტიც, რომელიც ნიკიტა ხრუშჩოვის პერიოდში შედარებით შეზღუდული იყო. მისი სტატუსიც ხომ იმ პერიოდში დააქვეითეს. თუმცა მანამდე ზვიად გამსახურდიამ არაერთხელ იმოგზაურა საბჭოთა კავშირის ევროპულ ნაწილში, რამდენადაც ამას ვიზა და ნებართვა არ ესაჭიროებოდა. მისი პირველი მეუღლის მოგონებებში ვკითხულობთ, რომ ისინი ხშირად ჩადიოდნენ საბჭოთა იმპერიის მეტროპოლიაშიც, სადაც დიდი შესაძლებლობები იყო კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობისთვის. ამ მოგონებებში ვკითხულობთ: „რამოდენიმეჯერ გვქონდა ბედნიერება დავსწრებოდით რიხტერის, გილელსის და რუბინშტეინის, 70 წლის მოხუცის, დაუვიწყარ, ბრწყინვალე კონცერტებს, ფაქტობრივად, დღესასწაულებს. მოვისმინეთ ბრწყინვალე შესრულებით შოპენის პოლონეზ-ფანტაზია, მაგრამ არც მე და არც ზვიადს შუმანის „კარნავალის“ მსგავსი შესრულება ვერც კი წარმოგვედგინა. 1966 წელს საბჭოთა კავშირის სივრცეში პირველად გაკიაფდა ლა-სკალას საოპერო თეატრი და ეს იმ დროს დიდი მოვლენა იყო. მოვისმინეთ საოპერო თეატრის რამოდენიმე დადგმა, მათ შორის, „ბოჰემა“ და ვერდის „რექვიემი“ ფონ კარაიანის დირიჟორობით“.

ზვიად გამსახურდია მეუღლესთან ერთად სტუმრად ნამყოფია მოსკოვის კულტურული ელიტის წარმომადგენელთა ოჯახებში. ასე მაგალითად, 1966 წელს იგი სტუმრობდა რუსი კომპოზიტორის, ალექსანდრ სკრიაბინის, ქალიშვილს, მარია სკრიაბინას. მანვე ასეთ წვეულებებზე გაიცნო მწერალ მ. ბულგაკოვის მეუღლე, ასევე, პოეტ მაქსიმილიან ვოლოშინის ოჯახის წევრები. მოსკოვში ყოფნისას შეუძენიათ არაერთი უნიკალური წიგნი ხელოვნებაზე, რომლებიც საქართველოში არ იყიდებოდა: სალვადორ დალის, გრიუნვალდის, ელ გრეკოს, იერონიმუს ბოსხისა და იმპრესიონისტი მხატვრების ალბომები.[127] საინტერესოა, რომ ამ ალბომებიდან მიღებული შთაბეჭდილებები აისახა კიდეც ზვიადის პოეტურ კრებულში „მთვარის ნიშნობა“, სადაც არის ლექსები როგორც იმპრესიონისტებზე, ისე გრიუნვალდზე.

ზვიად გამსახურდიას ასევე აინტერესებდა მოგზაურობა ბალტიისპირეთში. ოდესღაც პეტერბურგი იყო ის ფანჯარა, რომელიც იმპერატორმა პეტრე პირველმა ევროპისკენ გაჭრა. ეს ქმედება მისი პოლიტიკური კონცეპტის გამოხატულება იყო. მაგრამ სსრკ-ში ბალტიისპირეთის სამივე რესპუბლიკა გაცილებით მეტად იყო ევროპისკენ გაჭრილი ასეთი „ფანჯარა“, ვიდრე ლენინგრადად სახელგადაკეთებული პეტერბურგი. 1968 წლის ზაფხულში, ლიძავის აგარაკზე ყოფნისას, ზვიად გამსახურდიამ გადაწყვიტა ოჯახთან ერთად გამგზავრებულიყო ჯერ ტალინში, შემდეგ – რიგაში. აქ იგი ყურადღებით აკვირდებოდა არა

მარტო ქუჩებისა და შენობების ევროპულ სტილს, არამედ ადამიანებს, რომელთა ქცევასა და ცხოვრების წესში უფრო მეტად ამჩნევდა რაღაც არასაბჭოურს, ვიდრე სხვაგან. თუმცა კონტაქტები ასეთი ტიპის ინტელექტუალებთან ან დისიდენტებთან მაშინ არ დაუმყარებია – საამისოდ აქაური საზოგადოება საკმაოდ ჩაკეტილი იყო. აქედან იგი აგვისტოში ოჯახთან ერთად კვლავ აფხაზეთში დაბრუნდა.

1.18. რელიგიური ცხოვრება და შეხვედრა ქართულ საეკლესიო სერგიანიზმთან

როგორც ზემოთ აღინიშნა, რელიგიისადმი ინტერესი ზვიად გამსახურდიას ბავშვობიდან ჰქონდა. თავიდან, ეს იყო, ალბათ, უფრო ჰამლეტური დამოკიდებულება, სამყაროსა და ბუნების სიღრმით, იდუმალებებით გაოცება, რომელიც შექსპირის გმირს ათქმევინებს: „There are more things in heaven and earth, Horatio, than are dreamt of in your philosophy" („ბევრი რამ ჰხდება, ჰორაციო, ზეცად და ქვეყნად, რაც ფილოსოფოსთ სიზმრად არც კი მოლანდებიათ"). სწორედ ჰამლეტის ამ ციტატის ერთგვარ ალუზიად მოჩანს კონსტანტინე გამსახურდიას ერთ-ერთი ესსეში სენტენცია, რომ მისტიკა ბუნების იდუმალებებით გაოცებაა და არა პოლიტიკური კლერიკალიზმი.

თუმცა რელიგიასთან, კულტმსახურებასა და საეკლესიო იერარქიასთან უფრო ახლო კონტაქტში შესვლის შემდეგ ზვიად გამსახურდია მიხვდა ერთ რამეს: ეს 1600 წელზე ხნოვანი ინსტიტუტი, რომელმაც ქვეყნის ისტორიაში ესოდენ მნიშვნელოვნი როლი შეასრულა, პრაქტიკულად, განულებული იყო, იგი მთლიანად დამორჩილებული იყო ათეისტური, იდეოლოგიზებული სახელმწიფოსა და მისი ორგანოების მიერ. ეს „პოლიტიკური კლერიკალიზმი" სხვადასხვა ეპოქაში მძიმე ავადმყოფობის სახით ბევრჯერ გამოვლენილა ქრისტიანობის ისტორიაში, თუმცა საბჭოთა კავშირში სხვა რეალობა დადგა: ტოტალიტარული სისტემა ოფიციალურად დეკლარირებული ათეიზმით ახერხებდა რელიგიისა და ეკლესიის ცალკეული ნიშნების შეთვისებას. არსებობდა მარქსის, ენგელსისა და ლენინის მემკვიდრეობაზე დაფუძნებული პარტიის მეინსტრიმი, რომელიც პარტიის მთავარ იდეოლოგიურ პოსტულატს წარმოადგენდა და მის წევრთა თვალში, პრაქტიკულად, უცდომელი იყო. პარტიის ყრილობები, ფორმით თუმცა სეკულარული და საერო, სწორედ მარქსისტულ-ლენინური მეინსტრიმის ორთოდოქსულ-იდეოლოგიური ხაზის დადგენას ემსახურებოდა.

1917 წელს, თებერვლის რევოლუციის შემდეგ, რუსეთში აღდგა პატრიარქობა. პირველი პატრიარქი იყო ტიხონი, რომელმაც შეაჩვენა ბოლშევიკები, როგორც უღმერთო, სისხლიანი და მოძალადე ჯგუფი. ამის გამო პარტიარქი დააპატიმრეს და დახვრიტეს. ეკლესიის მსახურთა და მრევლის რეპრესირება ჩვეულებრივად გაგრძელდა: უამრავი მღვდელი, ეპისკოპოსი, დიაკვანი, ბერი

თუ რიგითი მორწმუნე ემსხვერპლა ამას. მხოლოდ 1943 წელს, მას შემდეგ, რაც ჰიტლერული გერმანია სსრკ-ს თავს დაესხა, იოსებ სტალინი მიხვდა, რომ ეკლესიის გამოყენება კომუნისტურ იდეოლოგიასთან ერთად საკმაოდ მომგებიანი იქნებოდა. დაიწყო ძველი, წმინდანებად შერაცხილი გმირების კულტის შექმნა, აქა-იქ დაკეტილი ეკლესიები გახსნეს, აღარ იყო რეპრესიები. სტალინისა და „ენკავედეს" აპარატის იძულებით რუსულმა ეკლესიამ ცნო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, რასაც მანამდე არ აკეთებდა – საქართველო მათთვის ყუბანის ეპარქიის ნაწილად რჩებოდა, კათალიკოს კირიონს კი 1917 წლის მარტის ავტოკეფალიის აღდგენის აქტის შემდეგ სქიზმატიკოსად მოიხსენიებდნენ. იგივე თვალსაზრისი ჰქონდა საზღვარგარეთ ემიგრირებულ რუსულ ეკლესიასაც. თვით დღესაც კი არიან მცირე რუსული ჯგუფები ევროპასა და ამერიკაში, რომლებიც საქართველოსთან მიმართებით იმავე კურსს აგრძელებენ.

ამ სიტუაციამ 1948 წლამდე გასტანა. ამ წელს იოსებ სტალინმა გადაწყვიტა, მოეწვია მსოფლიო კრება, სადაც მოსკოვის საპატრიარქოსა და პატრიარქ ალექსი I-ს ეკუმენურ ანუ მსოფლიო პატრიარქად გამოაცხადებდა, რითაც ეკუმენური ანუ „მსოფლიო" პატრიარქის ტიტულს ჩამოართმევდა კონსტანტინოპოლს. მოსკოვს ამით მართლმადიდებელი სამყარო თითქოს დაუკანონებდა „მესამე რომის" ტიტულს. თუმცა ეს ამბავი არ გამოვიდა: ალექსანდრიამ, კონსტანტინოპოლმა და იერუსალიმმა უარი განაცხადეს ასეთ კრებაში მონაწილეობაზე. ანტიოქია, სადაც რუსეთს უახლესი ისტორიის ყოველ ეტაპზე ჰყავდა მომხრეები და გარკვეულ ბერკეტებს ფლობდა, დათანხმდა, მაგრამ ეს არ იყო საკმარისი. ამით ინტერესი მართლმადიდებლობის უფრო მეტად წამოწევისა, რუსეთის „განსაკუთრებულობის" განსამტკიცებლად საერთაშორისო ასპარეზზე, სრულიად განელდა. სტალინიც რამდენიმე წელიწადში გარდაიცვალა.[128]

ხრუშჩოვის და ბრეჟნევის ეპოქებში ჩვეულებრივად გაგრძელდა ეკლესიის იერარქიების ინფილტრაცია სუკ-ის წარმომადგენლობით, ასევე, მათი ინსტრუმენტალიზაცია სსრკ-ის საგარეო პოლიტიკის სასარგებლოდ, სხვადასხვა საერთაშორისო სამშვიდობო თუ სხვა ტიპის ღონისძიებაში ჩართულობით. არც დაუმორჩილებელი ელემენტების რეპრესირებაზე უთქვამთ უარი. ათეისტურ სახელმწიფოში ეკლესია წარსულის გადმონაშთად ითვლებოდა, თუმცა მას არც მეტისმეტად უნდა გაეშალა ფრთები და არც უნდა განულებულიყო. ზვიად გამსახურდია, თავის თვითგამოცემაში „საქართველოს მოამბე" (N1), აკეთებს ეკლესიის ისტორიის ზემოხსენებული პერიოდის ერთგვარ მოკლე შეჯამებას, სადაც ვკითხულობთ: „1924-1937 წლებში განადგურებულ იქნა ქართული სამღვდელოების საუკეთესო ნაწილი, დაიკეტა და დანგრეულ იქნა მრავალი ეკლესია. იმხანად სახელმწიფოს მთავარი მიზანი იყო საეკლესიო ქონების მიტაცება და ოპოზიციურად განწყობილი სამღვდელოების განადგურება. თუმცა, დიდხანს ვერ მოხერხდა ეს. 50-იან, თვით 60-იან წლებშიც კი შეიძლებოდა ნახვა სამღვდელოების რიგებში ჭეშმარიტად რწმენისათვის თავდადებული, უანგარო ადამიანებისა, რომელნიც ერთგულად ემსახურებოდნენ ქრისტიანულ იდეალს.

ისინი მტკიცედ იდგნენ რწმენაზე, მიუხედავად ყოველგვარი დევნისა და შევიწროებისა ხელისუფლების მხრივ (წამება დაპატიმრება, შანტაჟი, თვალყურის დევნება, პროვოკაციები, ჭორის გავრცელება, ქადაგების აკრძალვა, მძიმე გადასახადები და სხვა), მაგრამ ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლის ყველაზე უფრო ეფექტური საშუალება აღმოჩნდა ეკლესიის შიგნიდან გახრწნა, მის რიგებში შენიღბული აგენტების შეგზავნა (ამ პროცესს ზოგიერთნი „წითელი სამღვდელოების“ შექმნასაც უწოდებენ)“.[129]

ზვიად გამსახურდიას სამუშაო მაგიდა და ოთახი აღწერილია მისი პირველი მეუღლის მოგონებებში, სადაც ვკითხულობთ: „სამუშაო ოთახის საწერი მაგიდები და კარადები ყოველთვის გადავსებული იყო წიგნებით. ერთ მოზრდილ საწერ მაგიდაზე, სადაც ზვიადი მუშაობდა საღამოდან გვიან ღამემდე, ჩვეულებრივ, გაშლილი იყო ქართული, ფრანგული და რუსულენოვანი ბიბლია, ლოცვანი, აგრეთვე, წმინდანთა ცხოვრებანი“.[130] 1966 წლიდან ზვიადი და მერაბი ინტენსიურად ჩაერთნენ ეკლესიურ ცხოვრებაში, გადავიდნენ ვეგეტარიანული კვების რეჟიმზე და სიონის ტაძარში ესწრებოდნენ როგორც კვირის წირვას, ისე დილისა და საღამოს ლოცვებს. მათთან ერთად ხშირად ესწრებოდნენ წირვას ენათმეცნიერი ირაკლი რამიშვილი და ფილოლოგი შერმადინ ონიანი.

შემდეგ ვკითხულობთ, რომ კათალიკოს-პატრიარქი ეფრემი განსაკუთრებული სიხარულით ხვდებოდა ტაძარში ზვიადისა და მერაბის გამოჩენას. ერთხელ ზვიადმა ასეთი სახალისო ამბავი გაიხსენა მერაბ კოსტავაზე, რომელიც კათალიკოსის ქადაგებას დაესწრო სიონის საკათედრო ტაძარში. კათალიკოსმა ეფრემმა ამ დღეს გადაწყვიტა უბრალო, საყოფაცხოვრებო ენაზე მოეთხრო ამბავი, როგორც ერთგვარი იგავური მინიშნება, და თქვა: გუშინ ლუდს ვსვამდი. ჰოდა, ჭიქაში შუშის ნატეხი ჩავარდნილა. ერთმა იქ მყოფმა მაშინვე მითხრა, მოერიდეო. რომ არ გავეფრთხილებინე, ხომ მომკლავდა? მერაბი შეაწუხა ასეთმა მსჯელობამ და ნელ-ნელა ტაძრიდან გასვლა დაიწყო. ამ დროს პატრიარქმა პირდაპირ მას მიმართა ამბიონიდან: სად მიდიხარ, სად? შენთვინ ვამბობ, შენთვინა! ამით სურდა ენიშნებინა, ის ეროვნული და ანტიკომუნისტური სულისკვეთება, ახლა რომ გაქვთ, იგივეა, რაც შუშის ნატეხი ჭიქაში, რაც თქვენი სიცოცხლისთვის, შესაძლოა, სახიფათო იყოსო.

ეკლესიური ცხოვრების დაწყება და საკულტო ცხოვრებაში ჩართულობა იმ ეპოქაში უკვე პოზიციონირება იყო, რაც, თუნდაც, 30 წლის ჩავლის შემდეგ უკვე ძნელად წარმოსადგენი გახდა, ზოგადი სურათის ცვლილების გამო. ზვიად გამსახურდიას ჩანაწერებში ვკითხულობთ, რომ საბჭოთა ათეიზმი ეფუძნებოდა მე-19 საუკუნის ბიბლიის კრიტიკას, რომელიც მე-20 საუკუნეში უკვე მოძველდა. საბჭოთა სახელმწიფო ნომინალურად გაყოფილი იყო ეკლესიისგან, თუმცა ამ უკანასკნელს ფაქტობრივად მართავდა მინისტრთა საბჭოს მოხელე, ეკლესიის საქმეთა რწმუნებული. რაც შეეხება სახელმწიფო უშიშროების კომიტეტს, იგი არჩევდა საეკლესიო თანამდებობებზე დასანიშნ კადრებს. იგივე კო-

მიტეტი ნიშნავდა კათალიკოსსაც, რომლის მმართველობაც, აღნიშნული ფაქტორების გამო, ფიქციური იყო.[131]

თუმცა ეს გარეგნული იდილია ზვიად გამსახურდიასა და კათალიკოს ეფრემს შორის დიდხანს არ შენარჩუნებულა. ცოტა შორიდან თუ დავიწყებთ, დავინახავთ, რომ სტალინის სიკვდილის შემდეგ სახელმწიფოსა და მისი უშიშროების ორგანოების პოზიცია ეკლესიის მიმართ ისევ გამკაცრდა. ამაში გარკვეული ლოგიკაც იყო: სახელმწიფოს ეკლესიის ინსტრუმენტალიზაცია აღარ ესაჭიროებოდა, როგორც იდეოლოგიისთვის დამხმარე ფაქტორისა სამშობლოს დაცვისა და პატრიოტული მოწოდებების გასავრცელებლად. რუსეთის, როგორც მესამე რომის პროექტი, სადაც კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იდეური დეზავუირება უნდა მომხდარიყო, ჩავარდა. ხრუშჩოვის მმართველობის ბოლოსა და ბრეჟნევიზმის აღზევების დასაწყისიდან დაიწყო როგორც მოსკოვის, ისე დანარჩენი საპატრიარქოების შეზღუდვა.

კათალიკოს-პატრიარქ კალისტრატეს გარდაცვალების შემდეგ, 1952 წელს პატრიარქი გახდა მელქისედეკ ფხალაძე, რომელმაც სცადა გაეზარდა ეკლესიის მსახურთა რიცხვი, და 1957 წელს ეპისკოპოსად აკურთხა ეროვნებით რუსი არქიმანდრიტი, უწინ აფხაზეთში ნამსახურები ზინობი მაჟუგა. ამან, როგორც ჩანს, ხელისუფლებასა და უშიშროების კომიტეტში გარკვეული დაჯგუფების უკმაყოფილება გამოიწვია. მელქისედეკს ყველანაირად ზღუდავდნენ, მას არ აძლევდნენ საშუალებას, გამოეცა „საქართველოს ეკლესიის უწყებანი“, ასევე, გაეხსნა სასულიერო-სამოძღვრო კურსები. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მოძღვართა და მღვდელმსახურთა რაოდენობა თავის უმდაბლეს ნიშნულზე იყო დასული, ხოლო ახლების მომზადება და კურთხევა ვერ ხერხდებოდა. ეს, ცხადია, სახელმწიფოს ინტერესებში იყო. რელიგიის საქმეთა რწმუნებულმა, მექვაბიშვილმა, და უშიშროების კომიტეტმა 1957 წლის 8 ნოემბერს მელქისედეკს მოაწვევინეს კრება, რომლის შედეგადაც ეკლესიიდან განიკვეთა რამდენიმე სასულიერო პირი, ასევე დაგეგმილი იყო მიტროპოლიტ ეფრემის განკვეთაც, მაგრამ ამის საშუალება მათ უკვე აღარ მისცეს. მოსაყდრედ და ქორეპისკოპოსად მელქისედეკმა ურბნელი ეპისკოპოსი დავით დევდარიანი დაასახელა. ბრძოლა ეფრემსა და დავითს შორის პირველ ეტაპზე ეფრემის გამარჯვებით დასრულდა – მელქსიდეკის გარდაცვალების შემდეგ პატრიარქი სწორედ ეფრემი გახდა და არა დავითი.[132]

ეფრემ სიდამონიძის პატრიარქობისას ეკლესია ისევ მძიმე მდგომარეობაში რჩებოდა: პატრიარქს არც სამეურნეო ნაწილის გამგე ჰყავდა, არც მდივანი, არც მძღოლი, თუმცა 1963 წელს მან მაინც მოახერხა სამოძღვრო კურსების გახსნა, ასევე, რამდენიმე ეპისკოპოსის კურთხევა, მათ შორის, ილია შიოლაშვილისა და გაიოზ კერატიშვილისა. ილია შიოლაშვილი, იმჟამად შემოქმედელი ეპისკოპოსი, სამოძღვრო კურსების დირექტორად დაინიშნა. 1962 წელს პატრიარქი ეფრემი ჩავიდა საფრანგეთში, სადაც შეხვდა ქართველ ემიგრანტებს

და მოინახულა ლევილის შატო, რომელშიც თავის დროზე განთავსებული იყო ემიგრაციული მთავრობა, ასევე დაათვალიერა ქართული სასაფლაო. არ არის გამორიცხული, რომ მას ნიადაგი მოესინჯა იქ ქართული ეკლესიის გასახსნელად, რომელიც საქართველოს საპატრიარქოს დაქვემდებარებაში იქნებოდა, თუმცა, პარიზში უკვე არსებობდა წმინდა ნინოს ეკლესია, რომელიც ემიგრანტებმა 1929 წელს დააარსეს. ეს ეკლესია კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ექვემდებარებოდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ როგორც რწმუნებული, ისე უშიშროების კომიტეტი არა იმდენად პატრიარქის ლევილში ვიზიტით იქნებოდა უკმაყოფილო – თუ მათ ეს ვიზიტი არ აწყობდათ, მას უბრალოდ არ დართავდნენ გამგზავრების ნებას – არამედ ზემოაღნიშნული საკითხის გადაუჭრელობით. თუკი წარმოვიდგენთ პარიზში ეკლესიას, რომელიც თბილისის იურისდიქციის ქვეშ იქნებოდა მოქცეული, იქ მღვდლად, ცხადია, მხოლოდ აგენტსა და რეზიდენტს გაგზავნიდნენ.

როგორც ხრუშჩოვის, ისე ბრეჟნევის მმართველობის პერიოდებში სახელმწიფოს პოლიტიკა გულისხმობდა ეკლესიის სრულ ინსტრუმენტალიზაციას. ამას პირობითად შეიძლება სერგიანიზმის ქართული სახესხვაობაც ვუწოდოთ, იმ პატრიარქ სერგი სტაროგოროდსკის სახელის მიხედვით, რომლის დროსაც რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესია ბოლშევიკური, მებრძოლი და აგრესიული ათეიზმის პოზიციებზე მდგომი სახელმწიფოს ერთ-ერთ პოლიტიკურ ინსტრუმენტად გადაიქცა.

1968 წელს ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას ყურადღება მიიქცია უჩვეულო დაპირისპირებამ სვეტიცხოვლის ტაძარში: მორწმუნეთა და სამღვდელოთა ერთმა ნაწილმა დაუმორჩილებლობა გამოუცხადა კათალიკოს-პატრიარქ ეფრემს და დაიწყო ბრძოლა სვეტიცხოვლის მთავარ „კვართ-საუფლო“ ტაძრად გამოცხადებისთვის, რომელიც იმავდროულად მცხეთა-წილკნის ახალი ეპარქიის ცენტრი უნდა გამხდარიყო. მანამდე იქ გაიმართა კრება, რომელმაც სამეგრელოს მკვიდრი, ზაგორსკის აკადემიაში განათლებამიღებული ბენედიქტე (ბეჯით) ჯალაღონიას ეპისკოპოსად კურთხევა გადაწყვიტა. რამდენადაც გამორიცხული იყო, ეს კურთხევა ჩატარებულიყო პატრიარქისა და სინოდის მიერ, იგი შესრულდა ძალიან უჩვეულო ფორმით – ბოდბის მოციქულთასწორი წმ. ნინო ქართველთა განმანათლებლის სახელობის ტაძარში. ბენედიქტე ჯალაღონიამ განაცხადა, რომ მან კურთხევა თავად წმინდა ნინოსგან, მისსავე საფლავთან მიიღო და იქიდან გამოვიდა ეპისკოპოსის შესამოსელით. მას ახლდნენ არქიმანდრიტი პართენი (აფციაური), ერისკაცი ალექსანდრე ქათამაძე (შემდგომში ნიკორწმინდელი ეპისკოპოსი ამბროსი), ნინო იორამაშვილი და სხვები. როდესაც მცხეთაში დაბრუნდნენ, ბენედიქტემ მღვდელმონაზვნად აკურთხა ალექსანდრე ქათამაძე. სვეტიცხოველში მათ შეწყვიტეს კათალიკოსის მოხსენიება, ასევე არ დაემორჩილნენ საპატრიარქოს მოწოდებას, დაეტოვებინათ ტაძარი. ამის შემდეგ საპატრიარქომ მიმართა საბჭოთა მილიციას, რომელიც საქმეში ჩაერთო და ამ ჯგუფს ძალით დაატოვებინა ტაძარი. მალევე კათალიკოსმა ეფრემ-

მა მოიწვია სინოდის საგანგებო სხდომა და განკვეთა ბედენდიქტე ჯალაღონია, ალექსანდრე ქათამაძე და ნინო იორამაშვილი. ეფრემის საპატრიარქო ტახტი მის გარდაცვალებამდე (1972 წლის აპრილი) აღარ შერყეულა.

ზვიადსა და მერაბს არასოდეს სერიოზულად არ მიუღიათ ბენედიქტე (ბეჯით) ჯალაღონიას „კურთხევის" ისტორია, მაგრამ საქმის უფრო ღრმად გაცნობისთანავე მათთვის ცხადი გახდა ერთი ძალიან შემაშფოთებელი წინმსწრები გარემოება: არც ბენედიქტე ჯალაღონია, არც ალექსანდრე ქათამაძე ბერებად არ აკურთხეს პატრიარქ ეფრემისა და მისი გარემოცვის მხრიდან გაწეული წინააღმდეგობის გამო. მათზე კი ამ მხრივ ზეწოლას ახორციელებდა უშიშროების კომიტეტი, მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიის საქმეთა რწმუნებულის აპარატთან ერთად, რამდენადაც არც ბედენიქტე, არც ალექსანდრე (შემდგომში ნიკორწმინდელი ეპისკოპოსი ამბროსი ქათამაძე) არც მამათმავლობაში, არც სიმონიაში შემჩნეულნი არ ყოფილან, ამდენად, არ აკმაყოფილებდნენ უშიშროების კომიტეტის პირობებს – თუკი სამღვდელო პირი იქნებოდა დაუშვებელ, ამორალურ ქმედებებში შემჩნეული, ეს, ცხადია, კარგი კომპრომატი იქნებოდა სუკ-ისთვის მის გასაკონტროლებლად. კონტროლის ეს მექანიზმები საშუალებას აძლევდა სუკს, არ დაეშვა ეკლესიაში რელიგიური დისიდენტების არსებობა. ამგვარი დისიდენტობის გარეშე ეკლესიაში საბჭოთა სახელმწიფო და მისი ორგანოები ყველაფერს ისე გააკეთებდნენ, როგორც გადაწყვეტდნენ და მათ ამაში სრულიად დამორჩილებული საპატრიარქო და სამღვდელო იერარქია ხელს ვერ შეუშლიდა.

და რა შედიოდა საბჭოთა სახელმწიფოსა და მისი ორგანოების მიზნებში? ეკლესიის მაქსიმალური დასუსტება, სამღვდელო პირთა რაოდენობის თანდათან შემცირება, მისი ხარისხობრივი დაკნინება, მრევლის დაშინება და მორწმუნეთა რაოდენობრივი ზრდისთვის ხელის შეშლა, რომ ისინი რელიგიურ ცხოვრებაში არ ჩაბმულიყვნენ. ეს, მეტადრე, ახალგაზრდობას ეხებოდა. განსაკუთრებით აშფოთებდათ ახალგაზრდების გამოჩენა ტაძარში, თუნდაც რელიგიურ დღესასწაულებზე. კომკავშირლები და სუკი ცდილობდნენ, ახალგაზრდებისთვის ჯვრების ტარებაც კი აეკრძალათ: ერთხელ ზვიად გამსახურდიას მოუტანეს ასეთი ამბავი, რომ პირველ საშუალო სკოლაში, სადაც თავადაც უსწავლია, მოდიოდნენ ხოლმე უშიშროების კომიტეტის თანამშრომლები, რამდენადაც სუკ-მა ერთგვარი „შეფობა" აიღო ამ სკოლაზე, ამოწმებდნენ, ჰქონდათ თუ არა ჯვრები ახალგაზრდებს და, თუ უნახავდნენ, პირდაპირ ჩამოგლეჯდნენ ხოლმე.

რაც შეეხება ბენედიქტე ჯალაღონიას, სვეტიცხოველიდან გამოძევების შემდეგ მილიცია არ აძლევდა თბილისში დარჩენის უფლებას. ამის შემდეგ ზვიად გამსახურდიამ, რომელიც ცდილობდა, კონცეპტუალური რელიგიური დისიდენტობის გზაზე გადაეყვანა ბენედიქტე, მას საშუალება მისცა, დაახლოებით, ერთი წელიწადი ეცხოვრა კოლხურ კოშკში. შემდეგ ბენედიქტე მშობლიურ ზუგდიდში დაბრუნდა. თუმცა, ეკლესიიდან განკვეთილი რომც არ ყოფილიყო, იგი

იქ მაინც ვერ შეძლებდა ღვთისმსახურებას. ეს მას მხოლოდ საკუთარ სახლში შეეძლო და ასეც მოიქცა, სამლოცველო იქვე გამართა, თავის კერძო სივრცეში.

მეორე მწვავე საკითხი, რაზეც ყურადღებას ამახვილებდა ზვიად გამსახურდია, იყო ეკლესიის არარსებობა ქალაქ ზუგდიდში. ასეთ ადგილებს, სადაც სახელმწიფოს ორგანოები ცდილობდნენ, რადაც არ უნდა დასჯდომოდათ, არ დაეშვათ ეკლესიის გახსნა, ზვიად გამსახურდია „სუკის ნაკრძალებს“ უწოდებდა. ქალაქ ზუგდიდისა და მისი მთელი რაიონის გარდა, ასეთი იყო სვანეთიც. მოგვიანებით იქ ასეთ მცდელობას კიდეც ჰქონდა ადგილი ბენედიქტე ჯალაღონიას მხრიდან. ეს მოხდა ცაიშში, სადაც მრევლმა მოითხოვა ეკლესიის გახსნა, მაგრამ ხელისუფლებამ ეს საკითხი არ დათმო. შეკრებილი მრევლი მილიციამ დაარბია და გარეკა. 80-იანი წლების დასაწყისში ზვიად გამსახურდიამ ამ საკითხზე გაავრცელა საბეჭდ მანქანაზე დაბეჭდილი წერილი „ნაცემი მრევლი და თითმოჭმული მილიციელი“.

ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა ამავე დროს დიდ ყურადღებას უთმობდნენ ისტორიული ძეგლების მდგომარეობის შესწავლას. ცხადია, დაკეტილი ტაძრები, რომლებიც საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიულ ძეგლებად ჰქონდა გამოცხადებული, მათში რელიგიურ მოწიწებას აღძრავდა. საამისოდ ზვიად გამსახურდიას ჰყავდა საბჭოთა წარმოების ჯიპი, УАЗ-69 ტიპისა, რომელსაც „კოლხოზნიკს“ უწოდებდნენ ხალხში. ისინი მარტონიც და თავიანთ ოჯახის წევრებთან ერთად მისულან ასეთ ტაძრებთან, გაუღიათ ისინი, დაუნთიათ იქ სანთლები, წაუკითხავთ ფსალმუნები, ლოცვები და მრავალხმიანი გალობაც წარმოუთქვამთ. პირველ ხმას მღეროდა ხოლმე ომარ ციკოლია, მერაბ კოსტავას დეიდაშვილი, მეორე ხმას – მერაბი, ხოლო მესამე ხმას ანუ ბანს ზვიადი ამბობდა, თუმცა, შესაძლოა, სხვაგვარადაც გაენაწილებინათ ხმები. სწორედ ასეთი შეხება უძველეს ქართულ ტაძრებთან არის ნაგულისხმები მოგვიანებით, 1978 წელს დაწერილ მერაბ კოსტავას ლექსში „ძმას ქრისტესმიერს“:

„როს მიაკითხავ წმინდა ალაგებს,
თითქოს იერი ეცვლება ტაძრებს;
წმინდა მამათა ძვალთშესალაგებს,
მღვდელმთავართა და მეფეთა საძვლეს...“.

თითქმის ყოველ კვირას ზვიადი და მერაბი ჩადიოდნენ დავითგარეჯში. კუნჭული არ იყო იქ, მათ რომ არ ჰქონოდათ ფეხი დადგმული, იცოდნენ, რა უჭირდათ და რა ულხინდათ იქ მყოფ ბერებს. ყოველი კვირადღე ეთმობოდა თითო ძეგლს. ასევე გარკვეული პერიოდულობით აკითხავდნენ ბოლნისის სიონს, ქვათახევს, წულრულაშენს, ყინწვისს, შიომღვიმეს, ზედაზენს, წვერს, სვეტიცხოველს, გელათს და არაერთ სხვა ტაძარს. [133]

1.19. დედის გარდაცვალება

ზვიად გამსახურდიას ცხოვრებაში დედას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა იმ თვალსაზრისითაც, რომ მირანდა ფალავანდიშვილს გააჩნდა საკმაოდ რთული ხასიათის ადამიანებთან ურთიერთობისა და დაძაბული სიტუაციების დაბალანსების უნარი. იგი დიპლომატიური უნარების მქონე და შინაგანად გაწონასწორებული პიროვნება იყო. ადამიანებთან ურთიერთობას კეთილგანწყობითა და პოზიტიურობით ახერხებდა. მას ჰქონდა იშვიათი უნარი, გაეგო ადამიანის გულისნადები და ჩასწვდომოდა მოტივებს, ანუ მიმხვდარიყო, რატომ იქცევა ესა თუ ის ადამიანი ასე. მის აზრს ოჯახში ყველა ანგარიშს უწევდა. სიტყვით ძნელია გადმოცემა, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა მის ფაქტორს მთელი ოჯახისთვის, მისი მთლიანობისა და შინაგანი მშვიდობისთვის. კონსტანტინე გამსახურდიას ერთ-ერთ წერილში ეს თემა თითქოს გაკრთა კიდეც: „იცოდე, ძლიერ სერიოზულ დროში ვართ. გაუფრთხილდი დედიკოს და მამის სიცოცხლეს, თორემ რომელიმე ჩვენგანი თუ წაიქცა, შენი საქმეები ცუდად წავა“. იმავე წერილში ვკითხულობთ: „დედიკო ისეთი დაქანცულია, ხომ ნახე, როცა პარკში ისხედით, ეძინებოდა“.

რაც შეეხება მირანდას როლსა და ადგილს, იგი დალი ლოლუას მოგონებებში ასეა დახასიათებული: „ჩვენი ოჯახის გამაერთიანებელ და გამაწონასწორებელ ძალას ქალბატონი მირანდა წარმოადგენდა“.[134] დედა აქტიურად იყო ჩართული ახალგაზრდა ზვიად გამსახურდიას განათლებაში, ასევე მონაწილეობდა პრაქტიკულად მის ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებაში, გარდა „გორგასლიანის“ შექმნისა და პროკლამაციის გავრცელებისა. ამ ქმედებებში მასში მონაწილე ახალგაზრდების არცერთი მშობელი გარეული არ ყოფილა.

შედარებითი იდილია, რომელიც გარეშე ფაქტორების ცვლილების გამო მწერლის ოჯახისთვის 1959 წლიდან, ასე თუ ისე, დადგა, 1969 წლის მარტის შუა რიცხვებში დაირღვა: მირანდა ფალავანდიშვილი, რომელსაც საშვილოსნოს სიმსივნე დაუდგინდა, ლენინგრადში გაემგზავრა, იქვე ახლოს მდებარე ონკოლოგიურ კლინიკაში, სადაც მთავარი სპეციალისტი იყო მთელს სსრკ-ში ძალზე მაღალი რენომეს მქონე ექიმი, პროფესორი ტობილევიჩი. იგი მკურნალობას გადიოდა რადიოლოგიურ განყოფილებაში, სადაც უტარდებოდა სხივური მკურნალობის კურსი. მას იქ წაყვნენ ზვიადი და თამარი. დაახლოებით, ორი თვის განმავლობაში ციტოსტატიკური პრეპარატებით მკურნალობამ ერთხანს შედეგი გამოიღო. იგი თბილისში დაბრუნდა და მისი მდგომარეობა, ზაფხულისა და ადრეული შემოდგომის ჩათვლით, დამაკმაყოფილებელი ჩანდა. ამ სტრიქონების ავტორს ახსოვს ბებია მირანდა უკანასკნელ წელიწადს – 1969 წლის ზაფხულში. როდესაც ჩვენ ერთად უკანასკნელად წავედით ლიძავაში, ადრეულ შემოდგომაზე. დაბრუნებისას ჩვენთან სტუმრობდა ლიკა ქავჟარაძე, იმჟამად 13 წლის, კინომსახიობ გეიდარ ფალავანდიშვილის დისშვილი და მირანდას ახლო ნათესავი. ის, ვისაც შემდგომში ბევრი განიხილავდა ქართული სილამაზის ეტა-

ლონად და ვინც ქართული ფილმების ერთ-ერთი ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი უნდა გამხდარიყო. ბაღში შვლებთან თამაშის შემდეგ მირანდა იტალიურ ზღაპრებს გვიკითხავდა. თუმცა ეს მხოლოდ მოჩვენებითი გაუმჯობესება იყო მირანდა ფალავანდიშვილის ჯანმრთელობისა. გვიან შემოდგომიდან დაავადება კვლავ გააქტიურდა. იგი იმდენად ცუდად გახდა, რომ ლოგინიდან, პრაქტიკულად, ველარც დგებოდა. როდესაც ზვიად გამსახურდია მოსკოვს გაემგზავრა ერთ-ერთი იშვიათი პრეპარატის ჩამოსატანად, დაბრუნებულს დედა გარდაცვლილი დახვდა. ეს მოხდა 1970 წლის 8 თებერვალს.

გადაწყდა, მირანდა დაკრძალულიყო კოლხური კოშკის ბაღში, ნუშის ხის ქვეშ. დედა ზვიად გამსახურდიასთვის ზნეობრიობისა და ადამიანურობის განსახიერება იყო. მასზე აკეთებდა იგი სწორებას, როგორც ეს ჩანს ახლობელი ადამიანების მოგონებებიდან. სიყმაწვილეში, თუკი ჩათვლიდა, რომ დედას აწყენინა, აუცილებლად სთხოვდა პატიებას. მის რჩევას, როგორც წესი, ითვალისწინებდა ხოლმე. მირანდა ფალავანდიშვილი იყო უდიდესი ზღუდე და მფარველი, რომელიც მას იცავდა ყველა იმ დიდი, პოტენციური საფრთხისგან, რომლებიც, შესაძლოა, წამოსულიყო მისი მიმართულებით. მართებული იქნება, თუ დავუშვებთ, რომ ზვიადის ცხოვრებაში სამი მფარველი ზღუდე იყო: დედა, მამა და მერაბ კოსტავა. 1970 წლის დასაწყისში პირველი მათგანი – დედა – მოიხსნა.

მირანდას გარდაცვალება 56 წლის ასაკში უდიდესი დარტყმა იყო კონსტანტინე გამსახურდიასთვისაც. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ მწერალს პრაქტიკულად კალამი გაუვარდა ხელიდან. მან ვეღარაფერი დაწერა. ახალ რომანს, რომელსაც „თამარ“ უნდა რქმეოდა, არაფერი აღარ შემატებია. მთავრობის, კულტურის, მეცნიერების, მწერლობის წარმომადგენლები უსამძიმრებდნენ მწერალს და მის ოჯახს ამ უმძიმეს დანაკარგს – მათ შორის იყვნენ რესპუბლიკის ხელმძღვანელი ვასილ მჟავანაძე და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გივი ჯავახიშვილი. ზვიადს მხარში ედგნენ მისი მეგობრები. მერაბ კოსტავამ ლექსიც კი მიუძღვნა მირანდას გარდაცვალებას სათაურით „სერაფიმნი გელოდნენ კდემით“. ზვიად გამსახურდიას სამძიმარი გამოუგზავნა უფროსმა მეგობარმა, ცნობილმა კინემატოგრაფისტმა, სცენარისტმა და რეჟისორმა კოტე მიქაბერიძემ, რომელიც მან 1958 წელს, დაახლოებით, ორთვიანი პატიმრობის დროს საპატიმროში გაიცნო. კოტე მიქაბერიძე დისიდენტი იყო, 1957-1959 წლებში დაპატიმრებული პოლიტიკურ საქმეზე, შემდგომ კი ამნისტირებული. წერილში ვკითხულობთ: „ჩემო ზვიად! ჩემდა სავალალოდ, იმ მძიმე წუთებში არ ვიყავი შენ გვერდით, მაგრამ სულითა და გულით ვიყავი შენთან. ვარ საავადმყოფოში. მე არასოდეს დამავიწყდება ის უდიდესი ყურადღება და დახმარება, რაც მე მივიღე შენი საყვარელი დედიკოსგან. როგორც დიდმა ადამიანმა, მან შეასრულა თავისი მოვალეობა ამ მიწაზე და ახლა განაგრძობს დიად სვლას სხვა სამყაროში. გისურვებთ სულიერ სიმტკიცეს. ქრისტე ღმერთმა ხელი მოგიმართოს, შენი კოტე მიქაბერიძე“ (1.03.1970).

წერილი მოვიდა პარიზიდანაც, რომელიც იქ არსებული ქართველოლოგიური ჟურნალის რედაქტორებმა, „ბედი ქართლისას“ დამფუძნებლებმა, კალისტრატე და ნინო სალიებმა გამოგზავნეს, თუმცა, მოგვიანებით და იმდენად სამძიმრის წერილის სახე არ ჰქონია. უნდა ვივარაუდოთ, რომ წერილი მანამდე ზვიად გამსახურდიას ჰქონდა მიწერილი ჟურნალის რედაქციაში. წერილები ამავე რედაქციაში მის გარდა მიწერილი ჰქონდათ კონსტანტინე გამსახურდიასა და თამარს, ზვიადის დას. საპასუხო წერილში ვკითხულობთ: „ჩვენო ძვირფასო ბატონო ზვიად! დიდი სიხარული მოგვიტანა თქვენი სახელოვანი მამის, დისა და თქვენმა წერილებმა. თქვენ უთუოდ გრძნობთ, როგორი თაყვანისცემითა და სიყვარულით ვუყურებთ თქვენს ოჯახს. ბედნიერნი ვართ, რომ დიდ კონსტანტინეს ასეთი ღირსეული მემკვიდრე ჰყავს. სწორედ თქვენისთანა ქართველები სჭირდება ჩვენს ქვეყანას. თქვენი საყვარელი დედის გარდაცვალებამ ჩვენზეც მძიმედ იმოქმედა. ვიგრძენით დაობლება თქვენი დიდებული ოჯახისა. ნინო ხშირად ავადმყოფობს. თქვენს დას ან ბატონ კონსტანტინეს გთხოვთ გადასცეთ ჩემგან უღრმესი მადლობა გულწრფელი მოლოცვისათვის და თქვენ, ბატონო ზვიად, გამახარეთ გულწრფელი სიტყვებით. „ბედი ქართლისა“ ყოველთვის დიდი სიამოვნებით დაბეჭდავს, თუ მოისურვებთ წერილების გამოგზავნას. პროფ. შოთა მესხიას თქვენს დასთან ერთად უნდა შეედგინა წერილი ბაგრატიონთა წარმოშობაზე. ალბათ, ვერ მოასწრო. დიდი სალამი ჩვენგან, მთელ თქვენს ოჯახს. თქვენი კალისტრატე სალია. შესანიშნავი იყო კონსტანტინეს წერილი ლიტ. საქართველოში ზაქარია ფალიაშვილზე. მისი ფრანგული ტექსტი რომ მქონოდა, გამოვაქვეყნებდი“ (26.11.1970).

ამ წერილიდან ჩანს, რომ ზვიად გამსახურდია ქართველოლოგიის დარგშიც აქტიური სამეცნიერო მოღვაწეობისთვის ემზადებოდა. საზღვარგარეთთან კონტაქტები და ლიტერატურის მოძიება მისთვის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენდა. მაგრამ მხოლოდ ეს არ იყო: კალისტრატე და ნინო სალიების უკან ლევილის ქართული ემიგრაცია იდგა – ვიქტორ ნოზაძე, მია დადიანი, ლევან ზურაბიშვილი და მისი ოჯახი, გაიოზ ბერეკაშვილი, შალვა თაყაიშვილი და სხვები. აქ საინტერესოა ერთი ნიუანსი – ზვიად გამსახურდიას შეფასებით, საბჭოთა სუკი განსაკუთრებით მწვავედ რეაგირებდა პარიზულ ემიგრაციაზე, ფხიზლად აკვირდებოდა და აკონტროლებდა საბჭოთა საქართველოდან ნებისმიერ კავშირებს მასთან და შეძლებისდაგვარად ახშობდა, ხელს უშლიდა ამგვარ კონტაქტებს. სუკის რეაგირება ქართულ ემიგრაციაზე ამერიკის შეერთებულ შტატებში გაცილებით ნაკლები სიმწვავით გამოირჩეოდა, არადა, იქ ასევე მნიშვნელოვანი ფიგურები იყვნენ: საკმარისია, დავასახელოთ გივი გაბლიანი, გივი კობახიძე, პეტრე ხვედელიძე, ალექსანდრე სულხანიშვილი და სხვები.

1.20. ორიგინალური პოეზია

რამდენადაც ზემოთ საუბარი იყო თარგმანებსა და მუსიკალურ ცხოვრებაზე, შევეხოთ მის ორიგინალურ პოეზიასაც. ზვიად გამსახურდიას ერთადერთი პოეტური კრებული დარჩა, რომელიც 1989 წელს გამოიცა, 9 აპრილის შემდეგ, სახელით „მთვარის ნიშნობა". ეს შესაძლებელი გახდა იმის გამო, რომ ცენზურა შესუსტდა, შეიძლება ითქვას, თითქმის გაუქმდა. კრებული შედგებოდა, ძირითადად, 60-იან და 70-იან წლებში დაწერილი ლექსებისაგან, თუმცა იყო რამდენიმე ლექსი, რომელიც მოგვიანებითაა დაწერილი და ჩართულია კრებულში.

ამ კრებულის გამოცემის პირველი მცდელობა უნდა ყოფილიყო 1970-იანი წლების დასაწყისში და, სავარაუდოდ, გარკვეულ ეტაპამდე მივიდა კიდეც წიგნის მომზადება, მაგრამ, როდესაც მთავლიტმა საბოლოოდ ჩამოაყალიბა თავისი პოზიცია ამ პოეტური კრებულის მიმართ, მისი გამოცემა გამოირიცხა. ანაწყობი ჩაბარებიდან მალევე სრულიად იქნა განადგურებული. მოგვიანებით, ზვიად გამსახურდია მერაბ კოსტავასადმი მიწერილ თავის ერთ-ერთ წერილში წერდა: „ეს წიგნი რედაქტორებმა, ცენზორებმა და მთავლიტელებმა უარჰყვეს. იგი ჰგვემეს, დაასახიჩრეს, ჯვარს აცვეს და საფლავად დადეს, და რამეთუ იგი თავისუფალსა თანა ჯვარს ეცვა, ჯერ არს მისი მკვდრეთით აღდგომაც".[135]

წიგნს წამძღვარებული აქვს ერთგვარი პოეტური მანიფესტი, სადაც ავტორი განმარტავს გლოსოლალიის რაობას: ძველი კაცობრიობა კი არ რეზონიორობდა, არამედ სიმღერით ლოცულობდაო. აქედან უნდა დავასკვნათ, რომ ზვიადის პოეზიის ძირითადი მეთოდი გულისხმობს ალიტერაციებისა და ასონანსების გზით ძველი დროის საკრალური ტექსტების ტრადიციის აღორძინებას თანამედროვე პოეტურ ფორმაში. გლოსოლალია, იგივე ევფონია ბგერებისა, როგორც პოეტური მეტყველების მეთოდი, ზვიად გამსახურდიამდე გამოყენებული აქვთ რუსთაველს, გალაკტიონ ტაბიძეს, სიმონ ჩიქოვანსა და შოთა ჩანტლაძეს, რუსებიდან – ანდრეი ბელისა და ველიმირ ხლებნიკოვს. „მთვარის ნიშნობის" ლექსების ერთი ნაწილი გლოსოლალიურია, მეორე ნაწილი უფრო ტრადიციული ფორმითა და რითმათწარმოებითაა დაწერილი. თემატურად ლექსები, ძირითადად, შეეხება ქართული ტაძრების ესთეტიკას, წმინდა ადგილების მისტიკურობასა და მათი ჭვრეტის გზით ყოფიერების ღრმა საზრისებზე გასვლას, ასევე, დიდი პოეტებისა და ხელოვანების ბედისწერას. არის ისეთი ლექსებიც, რომლებზეც კონკრეტულად ძნელია თქმა, რაზეა დაწერილი – მათში ისეთი სულიერი განწყობებია, რომლებიც რაღაცნაირი მისნური წინასწარჭვრეტებია.

კრებულში ორი პოეტური ციკლია – ერთი, რომელსაც პირველად ვერსიაში „იოანე ოქროპირის წირვა" ერქვა, ბოლოს შეეცვალა სათაური და ეწოდა „კოსმიური წირვა", მეორე კი მიძღვნილია ტერენტი გრანელისადმი, რომლის პოეზიამაც თავის დროზე ასევე შთამაგონებელი ზემოქმედება იქონია ავტორზე. შემთხვევითი არ არის ის გარემოებაც, რომ ერთ-ერთი ლექსის სათაური, რომელიც გალაკტიონ ტაბიძეს ეძღვნება, პოეტური კრებულის სათაურიცაა – „მთვარის

ნიშნობა". მკვლევარმა თამარელა წოწორიამ მართებულად აღნიშნა, რომ გალაკტიონთან სრულიად განსაკუთრებულია პოეტური აღქმა მთვარისა. გალაკტიონ ტაბიძის ცნობილი ლექსიდან „საღამო", რამდენადმე შეცვლილი ფორმით ციტირებულია „ჯვარზე გაკრული ელვა" და „მარტოობა ქნარის". ამას შეიძლება ვუწოდოთ ალუზიური ციტირება. ამიტომაცაა, რომ თავად პოეტური კრებულის სათაურიც გალაკტიონთანაა ასოცირებული. ხოლო ძირითადი საკითხი ამ ლექსისა არის „ფერისცვალება" ანუ რა მოელის გალაკტიონისმიერ რეფორმირებულ ქართულ ლექსს მომავალში.[136] ავტორს თითქოს ამ ლექსითაც სურს თქვას, რომ იგი ცდილობს მომავლისკენ გზის გაკვალვას:

„არფაზე გაკრული გველი
ფერისცვალებაა ქნარის,
ცის გარდაცვალებას ელი,
ახლოა დაროზა დარის!"

ზვიად გამსახურდიას პირველი მეუღლის, დალი ლოლუას, ჩანაწერებში ვკითხულობთ, რომ იგი პოეზიას სიყმანვილიდან ეზიარებოდა და რუსი პოეტების შემოქმედებასაც კარგად იცნობდა, მეტადრე, აფასებდა ახმატოვას, გუმილიოვს, მანდელშტამსა და ბროცკის.[137] ინგლისელებიდან ზვიად გამსახურდია განსაკუთრებით აფასებდა შექსპირს, პერსი ბიში შელის, ედგარ პოს, ასევე, ოსკარ უაილდს, რომლის სრულიად გამორჩეული ნაწარმოებების გარდა, აინტერესებდა მისი ქრისტიანულ-სოციალისტური შეხედულებები. ფრანგებიდან იმთავითვე იზიდავდა შარლ ბოდლერი, რომელსაც პოეტურ კრებულში ლექსიც უძღვნა და რომლის პროზაული ლექსები მოგვიანებით თარგმნა. გერმანელებიდან მის ყურადღებას იქცევდა გოეთე, თუმცა ამ დიდ ევროპელთან მიმართებით, გარდა ლიტერატურული მემკვიდრეობისა, მის საბუნებისმეტყველო შეხედულებებსაც უთმობდა ყურადღებას, რასაც საკმაოდ ვრცელი სტატია მიუძღვნა (გამოქვეყნდა ჟურნალ „ცისკარში", 1984 წელს). გერმანელი მწერლებიდან საგანგებოდ გამოყოფდა ჰაინრიხ ფონ კლაისტს, რომლის მოთხრობაც „მიხაელ კოლჰასი" ლიტერატურის შედევრად მიაჩნდა. თხზულებაში აღწერილი კოლჰასი, საუკეთესო ბედაურების მომშენებელი, რომელსაც, ცხადია, ჰყავდა თავისი ისტორიული პროტოტიპი მარტინ ლუთერის ეპოქაში, ზვიადის თვალში სამართლიანობისა და სიმართლისთვის წამებული გმირი იყო. მიხაელ კოლჰასი, როგორც ის გამოსახა კლაისტმა, გერმანული ხასიათისა და პრინციპულობის პარადიგმატულ სახედ მიაჩნდა. როგორც ზემოთ აღინიშნა, გერმანულენოვან ქართველ მწერალსა და ინტელექტუალს, გივი მარგველაშვილს, რომელიც თავის დროზე საბჭოთა სუკ-მა მოზარდობისას გამოიტაცა საბჭოთა საქართველოში, Kolchis (კოლხეთი. გერმ.) ირონიზირებულად ჩაესმოდა, როგორც „კოლხოზი" (სრულიად გასაგები მიზეზების გამო...), ხოლო ზვიად გამსახურდიას მიხაელ კოლჰასის სახელში გერმანული „კოლხის" ესმოდა, ანუ „კოლხეთი".

რამდენადაც მეგობართა ამ წრეს მუსიკისა და პოეზიის საღამოებს საჯაროდ არავინ გაამართვინებდა, ისინი კერძო სივრცეებში ეწყობოდა. ამაში მათ

მხარს უბამდნენ მერაბ კოსტავა და მისი მეუღლე რუსუდან ბერიძე, რომლებიც პოეტური ტექსტების რეციტაციითა და მათზე საინტერესო დაკვირვებებით ფართო ჰორიზონტებს ხსნიდნენ, ჩართულნი იყვნენ ასევე ირაკლი რამიშვილი და მისი მეუღლე მანანა გიგინეიშვილი, ჯარჯი და ამირან ბალანჩივაძეები და სხვები. იმავე წიგნში ვკითხულობთ, რომ ზვიად გამსახურდიას ყურადღებას იპყრობდა ოსიპ მანდელშტამის ერთი გამოსვლა, რომელიც მას პეტერბურგში ერთ-ერთ საღამოზე ნაუკითხავს ალექსანდრ სკრიაბინის და ალექსანდრ პუშკინის გარდაცვალებისა და დაკრძალვის შესახებ. „პუშკინი ღამით დამარხეს, საიდუმლოდ. მარმარილოს ისააკისეული ტაძარი – ეს დიდებული სარკოფაგი – ისედაც ვერ ელირსა პოეტის მზიურ-სხივოსან სხეულს. ღამით ჩაასვენეს მზე სასვენებელში და იანვრის ყინვაში დაიღრჭიალეს მარხილის კავებმა პოეტის ნეშტისადმი სულთათანას აღვლენის ნიშნად.“ დანამდვილებით ვერავინ იტყვის, რატომ ციტირებდა ხშირად რუსი პოეტის ამ გამოსვლას ზვიად გამსახურდია და რამდენადაა შესაძლებელი ადამიანი ათწლეულებით ადრე ინტუიციურად გრძნობდეს საკუთარი გარდაცვალებისა და დაკრძალვის გარემოებებს. მაგრამ ამ კრებულში თანამედროვეობის ტრაგიკული სურათ-ხატებიც არის პოეტური ფორმით გადმოცემული. აქაც ალუზიური ციტირებაა, ოღონდ ედგარ პოს შედევრიდან „ყორანი“:

„გრაალის კოშკი შორით მოსჩანს ქიმგაბზარული,
პალას ათენას, სიბრძნის ველზე უშფოთველად რებულს,
შავის ყორანი აზის თავზე და გაფითრებულს
გარს ახვევია დემონების ბილწი არული“.

(„მიძღვნა“)

ასევე უცნაურია ამ კრებულის ბოლო ციკლი, რომელიც ეძღვნება ტერენტი გრანელს. მისი კითხვისას რჩება შთაბეჭდილება, რომ მე-მთხრობელი ამ ლექსებისა თავად ზვიად გამსახურდიაა. ის, რაც ტერენტი გრანელი-კვირკველიას პოეზიას თან სდევს, კოლხურ-მეგრული სევდაა. ეს კოლხური სევდა, ზოგად, მსოფლიო-უნივერსალურ სევდას თითქოს ერთიან, შემჭიდროებულ მოდულაციაში იძლევა. თეთრებში შემოსილი ტერენტი გრანელი აპოკალიფსის ანგელოზივით მოჩანს საბჭოთა საქართველოს ბნელში, ძველი სამყაროს დაღუპვისა და მომავალი, ნათელი ეპოქის მაცნესავით: ის, ვინც სიკვდილისა და სიცოცხლის მიღმა ეძებდა რაღაც ახალი ყოფიერების ფორმას („არა სიცოცხლე, არა სიკვდილი, არამედ რაღაც სხვა“). საინტერესო და დამაფიქრებელი დამთხვევაა, რომ ზვიად გამსახურდიამ ტერენტის მშობლიურ რაიონში, ფაქტობრივად, წალენჯიხასა და მის მიმდებარე სოფლებში გაატარა თავისი ცხოვრების უკანასკნელი 45 დღე. ამ ციკლში პოეტური ფორმით გადმოცემულია ადამიანის ტრაგიკული განცდები ყოფიერების უფსკრულის წინაშე, როდესაც ყოფნა-არყოფნის ზღვარზეა მისული.

ენიგმატიური ენით გამოირჩევა „მთაწმინდა“. მასში ზვიადი ცდილობს, გადმოსცეს ისტორიის მაჯისცემა – ის, რომ მონღოლთა წამლეკავი იერიში განდევ-

ნილი წარმართობის ერთგვარი ნარჩენია სამყაროში, რამაც ქართული სამეფოს სიძლიერე გადატეხა. თუმცა მას ყოველთვის იფარავდა მანდილი მარიამ ღვთისმშობლისა. აქვე ბედისწერაც თავს ახსენებს პოეტს, როგორც ცაში მიმინოსებური სონღული. სტროფის ბოლოს ჩანგის ხსენება მინიშნებაა ხელოვნების უკვდავებაზეც და მის ქველ მისიაზე. ამ სტრიქონებში ავტორი თითქოს წინასწარმეტყველურად განიცდის, რომ მის ნეშტს სწორედ აქ, თეთრი ეკლესიის სასაფლაოს მისტიკურ სიჩუმეში, მოუწევს განსასვენებელი:

„წარტრობილ წარმართთა წანდილი
ღადრად რად ღვიოდა მონღოლი,
ან ნინევ-ნავანი მანდილი
ვით ბედისწერადი სონღული.
დრომან იმედები წარკაფა
გცვიოდა თვალთაგან ლალები
წარსულთა შვებათა მარქაფად
ჩანგიღა დგას ნავალალები...“.

ერთმა მკვლევარმა ზვიადის პოეტურ ტექსტებთან მიმართებით გამოიყენა ტერმინი „ენიგმატური პოეტიკა“. ეს პოეზია ამავდროულად ღრმად მისნურია თითქოს, მასში გადმოცემულია ისეთი ამბების წინათგრძნობები, რომლებიც მოგვიანებით ახდა. სხვა რა არის ქვემოთ მოყვანილი სტრიქონები, თუ არა წინასწარმეტყველური განჭვრეტა:

„იძალეს მარია
მგლისფერმა თვალებმა,
სატანის ვალებმა
მტერი მოგვარია“.
(„სიონის ელეგია“)

ამ წლებში, როდესაც ეს ლექსები იწერებოდა, ზვიად გამსახურდია გაეცნო რუდოლფ შტაინერის (1861-1925) წიგნებს, რომელიც მწერლის, ჰუმანისტის, მკვლევრის, ფილოსოფოსისა და მეცნიერის გარდა, იყო ცხოვრების არაერთი სფეროს რეფორმირების პროტაგონისტი (მედიცინა, ფარმაკოლოგია, პედაგოგიკა, უნარშეზღუდულთა სამკურნალო პედაგოგიკა, სოფლის მეურნეობა, ხელოვნება და ა. შ.) და სულიერ-მეცნიერული მიმდინარეობის, ანთროპოსოფიის შემქმნელი. როგორც აღინიშნა, ზვიად გამსახურდია 1966 წელს მოსკოვში ყოფნისას სტუმრად იმყოფებოდა რუსი კომპოზიტორის ალექსანდრ სკრიაბინის ქალიშვილთან, მარიასთან. იქ მან გაიცნო ანა იანი, ავსტრიის მოქალაქე, მცხოვრები შვეიცარიაში, წევრი საყოველთაო ანთროპოსოფიული საზოგადოებისა, რომლის გამგეობა და კულტურულ-შემეცნებითი საქმიანობის ცენტრი შვეიცარიის დაბა დორნახში მდებარეობდა, ქალაქ ბაზელის მახლობლად. 1968-1972 წლებში ანა იანმა გერმანელ და ბელგიელ მეგობრებთან ერთად რამდენიმეჯერ იმოგზაურა საქართველოში. მათ მეგზურობას ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა უწევდნენ. ეს ყოველივე მიმდინარეობდა აღმოსავლეთისა და დასავ-

ლეთის კულტურული შეხვედრის ნიშნის ქვეშ, ურთიერთობებისა, რომლებიც საკმაოდ დამუხრუჭდა ან შეწყდა რუსეთის რევოლუციის შემდეგ „რკინის ფარდის" ჩამოშვების გამო ამ ორ სამყაროს შორის. ღია ცის ქვეშ მდებარე თუ დახურული მუზეუმების გარდა, მათ მოიარეს არაერთი ტაძარი. უცხოელი სტუმრები დიდი ინტერესით ეცნობოდნენ და აკვირდებოდნენ ამ „აღმოსავლურ რომანიკას", როგორც ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლებს უწოდებდნენ ევროპაში.

ამ შეხვედრების დაგვირგვინება იყო სამდღიანი შეხვედრა ლიძავაში 1970 წლის ზაფხულში, კონსტანტინე გამსახურდიას აგარაკზე (ანუ აფსუა აბა'აში), სადაც ამ დღეებში შეიკრიბნენ სტუმრები შვეიცარიიდან, გერმანიიდან, ავსტრიიდან და რუსეთიდან. ამ სემინარული ტიპის საუბრებისა და გაკეთებული მოხსენებების თემა იყო სამომავლო თანამშრომლობა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, ლიტერატურული და მსოფლმხედველობრივი დიალოგი, ასევე, კონკრეტული ინიციატივების მოსინჯვა, რაც სრულიად წარმოუდგენელი ჩანდა იმდროინდელ იდეოლოგიზებულ, საბჭოთა სახელმწიფო ორგანოების მიერ კონტროლქვეშ მთლიანად აყვანილ სოციო-კულტურულ სივრცეში.

რა თქმა უნდა, უშიშროების კომიტეტი არგუსის მზერით უთვალთვალებდა ამ შეხვედრებს. იყო შემთხვევა, როდესაც ტაძრის დასათვალიერებლად გადასულებს დატოვებული მანქანა გახსნილი და ყველაფერი – ამოტრიალებული დახვდათ. რა თქმა უნდა, უშიშროების კომიტეტის მუშაკები ამოწმებდნენ, ჩამოსულ სტუმრებს ჯაშუშური მიზნები ხომ არ ჰქონდათ და მანქანაში ამგვარი ქმედებების კვალი ხომ არ იყო დარჩენილი. ცხადია, მსგავსი ვერაფერი აღმოაჩინეს.

ანთროპოსოფია თავის თავში ატარებდა იმ ფილოსოფიისა და მსოფლმხედველობის თვისობრიობას, რომელიც სსრკ-ში გაბატონებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის წინააღმდეგ იყო მიმართული. დიახ, ჩვენი მიზანი იყო მარქსიზ-ლენინიზმის დაძლევაო, – ამბობს ზვიად გამსახურდია ინტერვიუში 1992 წელს.[138] ანთროპოსოფიის რაობაზე ზვიად გამსახურდია მოგვიანებით, 1990 წელს წაკითხული ლექციისას „საქართველოს სულიერი მისია", დასმულ შეკითხვაზე პასუხად ასეთ განმარტებას აკეთებდა: „ანთროპოსოფია არის სულიერი მეცნიერება თანამედროვე ევროპაში, მეცნიერება სულის შესახებ, რომელიც გავრცელებულია დასავლეთის ქვეყნებში. ეს მოძრაობა არსებობს საქართველოშიც და ჰყავს მრავალი მიმდევარი. ეს არის ქრისტიანული მოძრაობა, როგორც მოგახსენეთ, ეს არის მიქაელური ქრისტიანობა. მაგრამ, ამავე დროს, უნდა მოგახსენოთ, რომ ზოგს ეშლება, ზოგი ურევს ანთროპოსოფიას რელიგიაში. ანთროპოსოფია არ არის რელიგია. ეს არის შემეცნებითი მიმდინარეობა და არა აღმსარებლობა. ამიტომ შეცდომით ამბობენ, ან მართლმადიდებელი იყავი, ან ანთროპოსოფიო. ასე არ დგას საკითხი. ეს იგივეა, რომ თქვა: ან მართლმადიდებელი იყავი, ან ჰეგელიანელი. აქ საქმე იმაში გახლავთ, რომ ანთროპოსოფიას რელიგიური აღმსარებლობის პრეტენზია არა აქვს. ეს არის შემეცნებითი გზა. მართალია, რელიგიური თემიც არსებობს დასავლეთში, რომელიც მასზე

არის აღმოცენებული, მაგრამ თავისთავად ანთროპოსოფიის ფუძემდებელი, რუდოლფ შტაინერი, არ იყო ახალი რელიგიის ან კონფესიის ფუძემდებელი. ის არის ქრისტეს, ქრისტიანობის მიმდევარი და ქრისტიანობის ახალი შემეცნებითი ფორმის შემქმნელი. ასე რომ, აქ არ უნდა მოხდეს ცნებათა აღრევა და არ უნდა შეგვეშალოს." ეს ნიშნავს, რომ იგი აკადემიური მეცნიერების კუთხიდან უდგებოდა ამ მოვლენას და შეისწავლიდა, როგორც ფენომენს, ასევე, მასში წარმოჩენილ შესაძლებლობებს კაცობრიობის ძველი კულტურების, ძველი ლიტერატურულ-ფილოსოფიური ტექსტების კვლევისას, და არა როგორც – თავის თავში დასრულებულ, ცუდად თეოლოგიზებულ და იდეოლოგიზებულ სისტემას.

ანა იანის საქართველოში 1971 წელს კიდევ ერთ ვიზიტამდე ზვიად გამსახურდიამ თბილისში მცხოვრები რუსი ქალბატონისგან, ქსენია სილნიკოვასგან, ითხოვა საბეჭდ მანქანაზე გადაბეჭდილი ანდრეი ბელის საკმაოდ დიდტანიანი წიგნი „მოგონებები რუდოლფ შტაინერზე". ეს ამ წიგნის ერთადერთი არსებული ეგზემპლარი იყო. ეს ქალბატონი ახალგაზრდობისას პირადად იცნობდა რუს მწერალსა და სიმბოლისტს. ზვიად გამსახურდიამ მალულად გადაიღო ქსეროასლი და მისცა ანა იანს და ირენა ფონ ვერენს, რომლებმაც ეს ნაბეჭდი შვეიცარიაში ჩაიტანეს და გადასცეს რუსული ლიტერატურის ცნობილ მთარგმნელს, სვეტლანა გაიერს. ეს წიგნი მალევე ითარგმნა გერმანულად და გამოვიდა შვეიცარიაში შეცვლილი სათაურით – „ცხოვრების გარდაქმნა" (შდრ. გერმანულად: Andrey Bely, Verwandeln des Lebens, Erinnerungen an Rudolf Steiner).

1.21. ედუარდ შევარდნაძის მოსვლა ცეკას მდივნად და მისი სტუმრობა „მწუხარე შემოდგომის" წინ

საქართველოს ისტორიის ის ეტაპი, რომელიც 70-იანი წლებიდან დაიწყო, უკავშირდება ედუარდ შევარდნაძის, როგორც ახალი ტიპის კომუნისტი ხელმძღვანელის, აღმასვლას რესპუბლიკის უმაღლეს თანამდებობაზე. უნდა ითქვას, რომ მისი მთელი შეგნებული ცხოვრება პარტიული კარიერის სხვადასხვა საფეხურზე მიმდინარეობდა. თავიდან ის დაიწყო ქუთაისის კომკავშირიდან, შემდეგ 1961-1963 წლებში, იგი მცხეთის კომპარტიის რაიკომის მდივანი იყო, 1964-1965 წლებში – თბილისის პირველი მაისის კომპარტიის რაიონის რაიკომის მდივანი, 1964-1965 წლებში – საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, 1965-1968 წლებში ამავე ძალოვანი უწყების მინისტრია, ხოლო მისთვის სახელის გადარქმევის შემდეგ, 1968 წლიდან იგი უცვლელად იკავებს საქართველოს სსრ-ის შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობას. მას მიენიჭა მილიციის გენერალ-მაიორის წოდება. არსებობს ცნობა, რომ მას ასევე მინიჭებული ჰქონდა უშიშროების კომიტეტის გენერალ-ლეიტენანტის წოდებაც.

ალეკო ცინცაძისა და გიორგი ბაღათურიას მიერ დაწერილ შევარდნაძის ბიოგრაფიაში, რომელიც მოიწონა თავად ე. შევარდნაძემ და ატარებს, ფაქტობრივად, ავტორიზებული ბიოგრაფიის ნიშნებს, ცხადია, ბევრი ფაქტი სასურველი რაკურსითაა წარმოდგენილი, რიგი ფაქტებისა და მოვლენებისა უფრო წინაა წამოწეული, სხვები კი, უფრო მიჩქმალული ან შეცვლილი. საერთოდ, ეს წიგნი, რომელშიც ავტორი მესამე პირში (წიგნი მასზეა დაწერილი, თუმცა, ცხადია, რომ იგი თითოეული წინადადების უკან დგას) თავისი ავტორების საშუალებითა და დახმარებით მოგვითხრობს მოვლენებზე, საქმის ვითარებას „უკანა რიცხვის“ რაკურსით უდგება ხოლმე. ანუ 2000-იანი წლების დასაწყისში სიტუაციას ისე წარმოაჩენს, რომ ბრეჟნევისეულ დამყაყებულ სტაგნაციასა და გერონტოკრატიაში „მისი“ რესპუბლიკა იყო თავისუფლების, როგორც საბჭოთა პოლიტიკურ-მმართველობითი, ისე კულტურული კლიშეების უარყოფის, ანკლავი; მისი, როგორც ხელმძღვანელის, დამსახურებით შემდგარი კულტურული აღორძინების, გაბედული ექსპერიმენტების, ლამის, შეფარულად დისიდენტურ პოზიციებზე მდგარი პარტიული ხელმძღვანელობის ერთგვარი კუნძული.

ამ წიგნის კითხვისას 2000-იან წლებში მცხოვრებ მკითხველს შთაბეჭდილება რჩება, რომ ეს რესპუბლიკა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მხოლოდ ფორმალურად იყო. პოლემიკა ამ საკითხზე ნამდვილად არ ღირს, თუმცა, ეს ნაშრომი მაინც საინტერესო წყაროა, თუკი კონტექსტების გახსნის მეთოდით წავიკითხავთ. მაგალითად, ლეონიდ ბრეჟნევის ეპოქაზე აქ გატარებულია აზრი, რომ ამ დროს ხელმძღვანელობამ სსრკ-ში შემოიტანა მართვის ორი უმთავრესი პირობა: კოლეგიალურობა და სტაბილურობა. სტალინის დროს ძალიან იოლად შეიძლება დაპატიმრებული ყოფილიყო ნებისმიერი ხელმძღვანელი, ხრუშჩოვის დროს იოლად ხსნიდნენ თანამდებობიდან, ბრეჟნევის დროს კი ხელმძღვანელებმა მიიღეს მათი მდგომარეობის უცვლელობის დაუწერელი გარანტია.[139] როგორც ჩანს, თავად მას, ვისზეც ეს წიგნია დაწერილი, ჰქონდა მიღებული ასეთი გარანტია ბრეჟნევისა და ანდროპოვისგან, მათ კი საქართველოს სსრის ხელმძღვანელისგან ასევე გარანტია ჰქონდათ მიღებული მის ერთგულებაზე პარტიული ხაზის მიმართ.

ამავდროულად, სსრკ იცნობდა სხვა შემთხვევებსაც. მაგალითად, ცნობილია რა ბედიც ეწია უკრაინის სსრ-ის პოლიტიკურ ხელმძღვანელს, პეტრო შელესტს, როგორც კი ამ გეზს გადაუხვია. მითქმა-მოთქმა გრძელდებოდა 1980 წელს ავტოკატასტროფაში დაღუპულ ბელორუსიის სსრ-ის ხელმძღვანელზე, პიოტრ მაშეროვზეც, რომ იგი შემთხვევით არ დაღუპულა. შემდეგ ხსენებულ წიგნში ვკითხულობთ, რომ 70-იანი წლების დასაწყისიდან ბრეჟნევის პოზიციები უფრო და უფრო მტკიცდებოდა. იგი წარმართავდა საგარეო პოლიტიკასაც. მას შემდეგ, რაც 1973 წელს პოლიტბიუროს შემადგენლობაში შევიდნენ საგარეო საქმეთა მინისტრი ანდრეი გრომიკო, თავდაცვის მინისტრი ანდრეი გრეჩკო და სახელმწიფო უშიშროების თავმჯდომარე იური ანდროპოვი, პარტი-

ულ-პოლიტიკური ორგანო, ფაქტობრივად, სახელმწიფო ორგანოდ გადაიქცა. პრაქტიკულად, ქვეყანას პოლიტბიურო მართავდა, მის სხდომებზე სერიოზული კამათები იმართებოდა, მაგრამ არა სახელმწიფო პოლიტიკის პერსპექტივების, არამედ მხოლოდ სხვადასხვა სახელმწიფო, სამურნეო საჭიროებების შესახებ (მათ, ცხადია, არავინ გააშუქებდა საჯაროდ, კ. გ.). პარტიის უმაღლეს ორგანოდ პარტიის ყრილობა ითვლებოდა, თუმცა ბრეჟნევის ყრილობებს სრულიად გამოეცალა პოლიტიკური აზრი და შინაარსი, იგი ტრიუმფალურ აღლუმად გადაიქცა, სადაც „განვითარებული სოციალიზმის“ წინსვლას ზეიმით აღნიშნავდნენ.

შევარდნაძის ბიოგრაფიაში აღნიშნულია, რომ საქართველოში ამ დროს მაფიასა და კორუფციასთან უკომპრომისო ბრძოლა მიმდინარეობდა. წმენდა დაწყებული იყო შინაგან საქმეთა ორგანოებშიც, თუმცა არასაკმარისი; კანონიერება კვლავ ირღვეოდა და ტოტალიტარულ სახელმწიფოში შინაგან საქმეთა მინისტრს მეტის გაკეთება არ შეეძლოო. თითქოს იყო საფრთხე, განმეორებულიყო კუდიანებზე ნადირობის ბერიასეული სცენარი. ეს თავიდან ბოლომდე ჩახლართული ფრაზა გაუგებარია. შეიძლებოდა მარტივად დაწერა, რომ მინისტრის მოხსნა არ უნდა ყოფილიყო რთული საქმე ძლიერთათვის ამა ქვეყნისა. იატაკქვეშა ბიზნესის ბარონები და ნარკომაფია (საინტერესოა, რომელ „ნარკომაფიაზეა“ საუბარი საქართველოს სსრ-ში 60-იანი წლების ბოლოსა და 70-იანი წლების დასაწყისში? კ. გ.) ბრძოლას არ წყვეტდნენ, შევარდნაძეს უვრცელებდნენ ჭორებს, აბეზღებდნენ მოსკოვში. თითქოს ამის გამოხატულება იყო 1972 წლის ივლისში შევარდნაძის გადაყენება შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობიდან. ავტორების მოსაზრება, რომ მისი დანიშვნა თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივნად დაწინაურება არ იყო და ეს პოზიცია დიდად არ განსხვავდებოდა ჩვეულებრივი რაიკომის მდივნის თანამდებობისგან, აშკარად მცდარი და ტენდენციურია. ეს თანამდებობა სინამდვილეში ტრამპლინი იყო.

შემდეგ ბიოგრაფიაში ვკითხულობთ, რომ „მაფიის“ ზეიმი დიდხანს არ გაგრძელებულა: ერთგული თანამებრძოლების დახმარებით შევარდნაძე ახერხებს შემოვლითი გზით მოსკოვში ჩასვლას და კრემლის პირველ პირებთან შეხვედრას. 1972 წლის სექტემბერში მას ნიშნავენ (წიგნში წერია „ირჩევენ“, რაც ერთობ სახალისოა, კ. გ.) საქართველოს სსრ-ის უმაღლეს თანამდებობაზე: იგი ხდება საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველი მდივანი. 1972 წელს ვასილ მჟავანაძე პენსიაზე გადის და საცხოვრებლად მოსკოვში გადადის.[140] წიგნის ამ ნაწილიდან მკითხველს ბუნებრივად ებადება კითხვა, თუ ვინ იყვნენ ის „ერთგული თანამებრძოლები“, რომლებმაც ამხელა სამსახური გაუწიეს შეჭირვებაში მოხვედრილ შინაგან საქმეთა მინისტრს და შეახვედრეს პოლიტბიუროს უმაღლესი თანამედებობის პირებს, რის შემდეგაც ფორტუნა მისკენ მალევე გადმოიხარა?

ბრეჟნევის ეპოქის აღწერისას გაკეთებული დასკვნა, რომ სტალინისა და ხრუშჩოვის პერიოდებისგან განსხვავებით, ამ დროს „ხელმძღვანელებმა მიი-

ღეს მათი მდგომარეობის უცვლელობის დაუწერელი გარანტია", წინააღმდეგობაში მოდის ფაქტებთან თავად შევარდნაძის უმაღლეს პარტიულ თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ: წელიწად-ნახევარში მოხსნეს 20 მინისტრი, 44 რაიკომის მდივანი, 3 ქალაქკომის მდივანი, 10 აღმასკომის თავმჯდომარე და მათი მოადგილეები. მათი ადგილები დაიკავეს სუკ-ის, შსს-ს ფუნქციონერებმა, ასევე, შედარებით ახალგაზრდა ტექნოკრატებმა. 1972-1977 წლებში დააპატიმრეს 30 ათასამდე ადამიანი სხვადასხვა ბრალდების (უფრო გავრცელებული ბრალდება იყო მექრთამეობა, გაფლანგვა, მაქინატორობა, კომბინატორობა და ა. შ.) საფუძველზე, რომელთა ნახევარიც კომპარტიის წევრი იყო, 7 ათასი – კომკავშირელი, 70 – შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკი, 40 ათასი ადამიანი გაათავისუფლეს სხვადასხვა თანამდებობიდან, როგორც ქვედა, ისე შუა და ზედა რგოლებში. სასიკვდილო განაჩენი (დახვრეტა) გამოიტანეს და აღსრულდა 86 ადამიანზე.[141]

როგორ აფასებს ზვიად გამსახურდია ამ მოვლენებს? მის ჩანაწერებში ვკითხულობთ, რომ მჟავანაძე, რომელსაც უყვარდა თქმა, „რესპუბლიკა საათივით მუშაობს", ხალხის მიერ „ყვარყვარედ" წოდებული (ქართველი დრამატურგის, პოლიკარპე კაკაბაძის, პიესის უსაქმური, მედროვე და ავანტიურისტი პერსონაჟის მიხედვით), შეიცვალა შევარდნაძით. ეს უკანასკნელი იყო ეშმაკი და ცბიერი ინტრიგანი, „თეთრი მელა", როგორც ხალხმა შეარქვა, იგი ხელისუფლებაში მჟავანაძის დროინდელ კორუფციასთან ბრძოლის ტალღაზე მოვიდა, მოახდინა რა პოლიციური გადატრიალება მოსკოვის კურთხევითა და მხარდაჭერით. მაგრამ მალე ერთმა კორუფციამ მეორე შეცვალა. ქრთამები „გაძვირდა", დაიწყო უპრეცედენტო ქურდობის ერა, მასობრივი ჯილდოებისა და ორდენების დარიგება ახალი ხელმძღვანელობისადმი უპირობოდ ლოიალური პირებისთვის, „გარდამავალი დროშების გადაცემა", მცირემიწელთა გმირობებით აღტაცება (იგულისხმება ლ. ბრეჟნევის წიგნი მეორე მსოფლიო ომზე „მცირე მიწა", რომელიც ლამის ლიტერატურულ შედევრად და ეპოქის უტყუარ მატიანედ მონათლეს, კ. გ.), ზეიმები და დღესასწაულები. ე. შევარდნაძემ და მისმა თანაგუნდელებმა, ჩერქეზიამ, ხაბეიშვილმა, მგელაძემ, ჩხეიძემ, ფოფხაძემ და სხვებმა ათასობით ადამიანი დააპატიმრეს. დაიწყო ფიქტიური სასოფლო-სამეურნეო ექსპერიმენტები ფოთისა და აბაშის რაიონებში, ცარიელდებოდა საქართველოს მთა, ღატაკდებოდა მოსახლეობა, მკვიდრდებოდა ცრუ-ფასეულობები. საქართველო საბედისწერო განსაცდელის წინაშე დადგა.[142]

ამრიგად, მჟავანაძის სისტემა შევარდნაძის მიერ შექმნილი სისტემით შეიცვალა. როგორი იყო ის და როგორ ფუნქციონირებდა გვიანსაბჭოური ეპოქის შეცვლილ რეალობაში, ამას ცალკე კვლევა ესაჭიროება. ამ სისტემის შემოქმედისთვის კარიერული წინსვლა უმთავრესი იყო და ყველა რესურსი, მათ შორის, საკადრო, ამ ამოცანისთვის უნდა ყოფილიყო მობილიზებული. „პაიკების შენირვაც" ჩვეულებრივი ამბავი იყო, ეს ზოგჯერ დახვრეტის განაჩენითაც მომხდარა. ამ ამბებზე შემდგომში შევარდნაძის მოკავშირე და თანამებრძოლი ჯაბა

იოსელიანი ასე დაწერს: „მთელი მისი პოლიტიკური კარიერის გაფურჩქვნა შანტაჟისა და მლიქვნელობის შეხამებულ მეთოდს ემყარებოდა. მართალია, მაშინ დახურულ, კომუნისტურ საზოგადოებაში ასეთ მოღვაწეობას ინტრიგები განაპირობებდნენ“.[143]

როდესაც 1972 წლის სექტემბერი დადგა და საქართველოში ეს პოლიტიკური ცვლილება განხორციელდა, კონსტანტინე გამსახურდიას ოჯახში ასე კრიტიკულად ჯერ არ ხედავდნენ ამ პოლიტიკური ცვლილების არსს და მათ მთავარ აქტორს. ასევე, ამ სტრიქონების ავტორს არ ახსოვს და არც სმენია, მწერალს კომპარტიისა და რესპუბლიკის ძველ ხელმძღვანელზე, ვასილ მჟავანაძეზე, რაიმე მკვეთრად ნეგატიური ეთქვას. ბუნებრივია, ბრეჟნევისეული სტაგნაციის პირობებში ახალმა ლიდერმა აქტიურობით მოახდინა საკუთარი პროფილირება. ახალი თაობის კომუნისტები, უსაფუძვლოდ თუ საფუძვლიანად, აჩენდნენ გარკვეულ იმედებს, რომ სულისშემხუთველი იდეოლოგიური წნეხი შემსუბუქდებოდა და რიგი სოციალური, კულტურული თუ პოლიტიკური საკითხები თანამედროვე ცივილიზებული სამყაროს სტანდარტების შესაბამისად თუ არა, მათთან მიახლოებით მაინც გადაწყდებოდა.

რაც შეეხება კონსტანტინე და ზვიად გამსახურდიების ოჯახს, ის არ ყოფილა პოლიტიკური პარტიის ოფისი და მათ არ ჰქონიათ დეტალურად გაწერილი სოციალურ-პოლიტიკური პროგრამა, მაგრამ მათ, ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გარკვეული საკითხების გადაჭრა აინტერესებდათ. ეს საკითხები შეეხებოდა ქართული ენის დაცვას როგორც სკოლის და უმაღლესების, ისე სახელმწიფოებრივ დონეზე, საქართველოს ისტორიისა და ქართული ლიტერატურის სწავლებას, ქართული კულტურის პოპულარიზებას როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე, ძეგლთა დაცვას, რესპუბლიკის მასშტაბით ცენზურის რამდენადმე შესუსტებას და ა. შ. საუბარია საკითხებზე, რომლებიც წლების განმავლობაში განხილვის საგანი იყო მწერლისა და მისი მეგობრების წრეში.

ამ ვითარებაში, რესპუბლიკის ახალდანიშნულმა ხელმძღვანელმა თავისი ერთ-ერთი პირველი ვიზიტი სწორედ კონსტანტინე გამსახურდიასთან დაგეგმა. ეს სტუმრობა შედგა 1972 წლის 8 ნოემბერს. მწერლის ოჯახიდან ამ შეხვედრას თავად კონსტანტინეს გარდა, დაესწრნენ ზვიად გამსახურდია თავის პირველ მეუღლესთან ერთად, ასევე, ამ სტრიქონების ავტორი, იმჟამად 11 წლისა, ხოლო ედუარდ შევარდნაძეს ახლდნენ საქართველოს სსრ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გიორგი ძოწენიძე, ვიქტორია სირაძე, ცეკას მდივანი მეცნიერებისა და კულტურის დარგში, შოთა ჭანუყვაძე, ცეკას მდივანი სოფლის მეურნეობის დარგში და გიორგი ბედინეიშვილი, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორი. მოსვლისთანავე ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, რომ ეს ვიზიტი მისი ამ თანამდებობაზე დანიშვნის პირველივე დღეს ჩანიშნა. ხაზი გაუსვა ინტელიგენციის მნიშვნელობას და იმასაც, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პოლიტიკური ხელმძღვანელისთვის ამ სფეროს წარმომადგენელთა მხარდაჭერას.

მათ შორის, შევარდნაძის თქმით, პირველნი იყვნენ კონსტანტინე გამსახურდია და ივანე ბერიტაშვილი (გულისხმობდა აკადემიკოს ივანე ბერიტაშვილს, ქართული ფიზიოლოგიური სკოლის დამაარსებელს, კ. გ.).[144]

რამდენადაც ამ შეხვედრას ბავშვობის ასაკში დავესწარი, გამიჭირდება იქ მიმდინარე საუბრების ნიუანსებში აღდგენა. მწერალმა პასუხად მადლიერება გამოხატა ამ ვიზიტის გამო. რესპუბლიკის ახალი პოლიტიკური ხელმძღვანელის პირველი ნაბიჯები დადებითად შეაფასა. ამავე დროს ურჩია, მორიდებოდა მეტისმეტ რადიკალიზმს, რადგან ეს ისევ თქვენთვის, შესაძლოა, დამაზიანებელი აღმოჩნდესო. ამის შემდეგ შევარდნაძემ შესვა მწერლის სადღეგრძელო, უსურვა კიდევ დიდხანს სიცოცხლე და დაწყებული რომანის („თამარ“) დამთავრება. სტუმრობის დასასრულისკენ, საბოლოო სიტყვაში მწერალმა ცეკას პირველი მდივნის სტუმრობა იმის პოზიტიურ სიგნალად შეაფასა და იმედი გამოთქვა, რომ ამიერიდან მაინც ქვეყნის პოლიტიკურ ხელმძღვანელებსა და კულტურის შემოქმედთა შორის ათწლეულების წინ ჩატეხილი ხიდი აღდგებოდა. და ეს, საკმაოდ მძიმე წარსულის მწარე გამოცდილების ფონზე, რომელიც პირადად მას საბჭოთა საქართველოს ლიდერებთან ჰქონდა. იმედი გამოთქვა, რომ ისინი უფრო მეტად იზრუნებდნენ ენის, ტერიტორიებისა და სარწმუნოების შენარჩუნებაზე, რამაც ქართველობას საუკუნეების განმავლობაში შეუნარჩუნა სახე. ამ სამიდან ერთიც რომ დაკარგოს ლიდერმა, ხალხი ამას არ აპატიებსო, ისევე, როგორც სერგო ორჯონიკიძეს არ აპატიაო, – ბრძანა კონსტანტინემ.

შევარდნაძემ პასუხად აღნიშნა, რომ იგი იმახსოვრებდა ყოველ სიტყვას და ყველაფერს გააკეთებდა, რათა ხალხის იმედები არ გაეცრუებინა.[145] ზვიად გამსახურდია ამ შეხვედრაზე დაახლოებით ერთ საათს დარჩა. შემდეგ მოიბოდიშა და დატოვა წვეულება. მანამდე, ვიდრე სუფრას დატოვებდა, მან სტუმრის სადღეგრძელოც კი შესვა, რომელსაც თავის „ჩანაწერებში“ იგონებს: „თქვენი იმედი გვაქვს, ბატონო ედუარდ. გვჯერა, რომ თქვენი დანიშვნით ბედის ანაბარა მიტოვებულ საქართველოს ეშველება“, – ასე მიუმართავს მას მაღალი რანგის სტუმრისთვის.[146]

შევარდნაძის სტუმრობის მომდევნო დღეს ზვიად გამსახურდია, მისდა გასაოცრად, სუკ-ში დაიბარეს, სადაც მას ესაუბრნენ სუკ-ის თავმჯდომარის მოადგილე, გენერალი შოთა ზარდალიშვილი, ასევე უშიშროების ოფიცერი ო. წყაროველი. მათ აინტერესებდათ ზვიადის კავშირები მოსკოვის დისიდენტურ წრეებთან. ეს უკვე მეორედ მოხდა მას შემდეგ, რაც მას უარი უთხრეს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში წასვლაზე. ამ შეხვედრის შემდგომ პერიოდს იგი ჩანაწერებში ასე აფასებს: ე. შევარდნაძის დაპირებების მიუხედავად, რესპუბლიკაში გაძლიერდა რუსიფიკაცია და „სოციალისტური ინტერნაციონალიზმის“ კურსი. ამ ყოველივეს თან ახლდა არაქართული მოსახლეობის ზემოდან მართული მიგრაცია საქართველოს სსრ-ის ტერიტორიაზე, არ წყდებოდა სროლა დავითგარეჯის პოლიგონზე, იძარცვებოდა ქართული ეკლესია, გაიზარდა ზეწო-

ლა ახალგაზრდებზე რელიგიური შეხედულებების გამო. რუსიფიკაციის კურსი გაძლიერდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც.

„მწუხარე შემოდგომაც“ ოჯახისთვის სულ ერთ წელიწადში დადგა (ეს სათაურია ერთ-ერთი თავისა სოსო სიგუას ბიოგრაფიული წიგნიდან კონსტანტინე გამსახურდიას ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე). იგულისხმება 1973 წლის შემოდგომა, როდესაც 36 წლის ასაკში გარდაიცვალა ზვიადის და, თამარ გამსახურდია, ხოლო ზვიად გამსახურდიასა და მისი მეუღლის, დალი ლოლუას, გზები საბოლოოდ გაიყო. ერთადერთი ქალი, რომელიც ამ ოჯახში 1973 წლის აგვისტოს ბოლოდან სისტემატურად დადიოდა და სახლის საქმეებს უძღვებოდა, იყო ნათელა გამსახურდია-ახობაძე, ზვიად გამსახურდიას ნახევარდა, მწერლის ქალიშვილი პირველი ქორწინებიდან. რაც შეეხება თამარ გამსახურდიას, მისი ცხოვრება ტრაგიკულად წარიმართა. იგი 1971 წელს გაეყარა მეუღლეს, გურამ მინაშვილს, მართლაც დიდ სპორტსმენს. ეს გაყრა მხოლოდ ამ ორი ადამიანის გადაწყვეტილება იყო, ის დაკავშირებულია მათ პირად ცხოვრებასთან და კრიტიკოსთა მხრიდან საუბარი იმაზე, თითქოს თამარის მამისა და ძმის ჩარევა უნდა ყოფილიყო გადამწყვეტი ფაქტორი, სრულიად არ შეესაბამება სინამდვილეს. ეს ასეა იმ შემთხვევაშიც, თუკი დავუშვებთ, რომ გარკვეული ანტიპათია გურამ მინაშვილის მიმართ ამ გაყრის შემდეგ კონსტანტინე გამსახურდიას ოჯახში ასე თუ ისე საგრძნობი გახდა. თამარმა ზუსტად იცოდა, რომ მეუღლეს ეყრებოდა იმის გამო, რომ გურამის ცხოვრებაში სხვა ადამიანი გაჩნდა.

თუმცა თამარისთვის ეს გაყრა მაინც მძიმე ტრავმა აღმოჩნდა და არცთუ იოლად დაძლევადი. გადაიტანა რა მძიმე პლევრიტი, 1970 წელს იგი ყირიმში, იალტის ერთ-ერთ ცნობილ სანატორიუმში იმყოფებოდა თითქმის ნახევარ წელიწადს, სადაც რეაბილიტაციას გადიოდა. იქიდან დაბრუნების შემდეგ მას საშვილოსნოს სიმსივნე აღმოაჩნდა. იგი მკურნალობდა ლეჩკომბინატის კლინიკაში. აქ მის სანახავად მოდიოდა გურამ მინაშვილიც, რომელიც, ცხადია, ასევე მძიმედ განიცდიდა თამარის ასეთ მდგომარეობას. კრიტიკოსების მიერ გავრცელებულ ვერსიებში საქმე ისეა წარმოჩენილი, თითქოს ზვიად გამსახურდიამ გურამ მინაშვილს თავისი დის მონახულება აუკრძალა. სინამდვილეში აქ იყო ჯენტლმენური შეთანხმება: თუკი ზვიადი შეიტყობდა, რომ გურამი მოსანახულებლად იყო მისული, იგი მოერიდებოდა საავადმყოფოში მისვლას და ანალოგიურად მოიქცეოდა გურამიც.

რამდენადაც ზაფხულისთვის ცხადი გახდა, რომ „ლეჩკომბინატის“ საავადმყოფოს სამკურნალო პოტენციალი გარკვეული სტადიის შემდეგ უძლური იყო რაიმე უკეთესობისკენ შეეცვალა, ხოლო პაციენტის მდგომარეობა სტაბილურად მძიმდებოდა, თამარი გამოწერეს 1973 წლის 23 ივლისს. მან თავის უკანასკნელ მოგზაურობაში ისურვა ლიძავაში წასვლა, იმ მართლაც სამოთხისებურ გარემოში. იგი მატარებლით წაიყვანეს მსახიობმა გეიდარ ფალავანდიშვილმა და საკუთარმა დამ, ნათელა გამსახურდიამ. ლიძავაში მათ შეუერთდნენ თამარის მეგობრები – მურაზ ჯაფარიძე და ჟუჟუნა ართმელაძე, ელგუჯა ბერძენიშ-

ვილი და მზია ბაქრაძე, ასევე, ნუნუ ჩხუბიანაშვილი და ლენა კალანდაძე. თბილისში დაბრუნების შემდეგ თამარი მალევე, 1973 წლის 16 ოქტომბერს, გარდაიცვალა.

თამარი საოცრად კომუნიკაბელური, დიპლომატიური, ყოველთვის პოზიტიური ენერგიით დამუხტული, ყველასადმი კეთილგანწყობილი ადამიანი იყო. მას ჰყავდა მეგობრების საკმაოდ ფართო წრე, განსხვავებული შეხედულებებით, ოჯახური ტრადიციებითა თუ პროფესიებით. ამ ადამიანებში მისი ხსოვნა დღემდე წარუშლელი დარჩა, მასთან განშორების ტკივილთან ერთად. მათ ათწლეულების განმავლობაში შეინარჩუნეს ტრადიცია მისი დაბადების დღის ერთად აღნიშვნისა. თუკი წარმოვიდგენთ, რომ თამარი ცოცხალი დარჩენილიყო, როგორღაც მორეოდა ამ უმძიმეს სენს და ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებაში მოსვლის მომენტში მის გვერდში ყოფილიყო, მისი ფაქტორი, მაღალი ალბათობით, ძალიან ბევრ უსიამოვნებას აარიდებდა თავიდან მის ძმას. მგლოვიარე მწერალს ქალიშვილის გარდაცვალება მიუსამძიმრეს რესპუბლიკის ხელმძღვანელებმა, მწერლებმა და ინტელიგენციის წარმომადგენლებმა. თამარი დაკრძალეს დედის გვერდით, კოლხური კოშკის ბაღში, ნუშის ხის ქვეშ.

2

დისიდენტური მოძრაობა, კატიმრობა, გადასახლება და სამშობლოში დაბრუნება

2.1. სხვაგვარად მოაზროვნეები, ადამიანის უფლებები და ახალ გზაზე დადგომა

1972 წლიდან ზვიად გამსახურდიას ცხოვრებაში ახალი ეტაპი იწყება. თავის „ჩანაწერებში“ იგი ასე განსაზღვრავს იმ ხანას, რომელიც წარსულში დარჩა: 1972 წლამდე ხანას, შესაძლოა, ეწოდოს ცოდნის დაგროვების, საქართველოს ცხოვრების ყველა ასპექტის საკუთარ თავში შესრუტვის წლები. „მოვიარე ყველა კუთხე, შევხვდი ბევრ ადამიანს, კულტურის ძეგლთა მდგომარეობასთან ერთად გავეცანი ხალხის ყოფას. საქართველო სისხლისგან იცლებოდა, იგი დაღუპვის გზაზე იდგა“.[147] კრიტიკული ხედვა არსებული რეალობისა ზვიად გამსახურდიას არც ადრე აკლდა. პროსაბჭოთა და კომუნისტური განწყობები არც მის ოჯახში შეინიშნებოდა, არც მის სამეგობრო წრეში. მაგრამ დგებოდა პერიოდი ცხოვრების წესისა და ძირითადი პრიორიტეტების გადააზრებისა – დღის წესრიგში დგებოდა საჭიროება უფრო მეტი აქტიურობისა. ამ წელს შეეცადა საკუთარ თავში ამოეკითხა პასუხი შეკითხვებზე, რომლებიც მთელი მანამდელი ძიებების, სწავლის, ინტელექტუალური და პრაქტიკული გამოცდილებების მიღების შედეგად დაუგროვდა. იგი ამ ეტაპზე მივიდა დასკვნამდე, რომ ჩვენი წინაპრებისათვის ზნეობრივი განმართლებისა და განლმრთობის გზა იყო მთავარი და არა – პიროვნული, ამსოფლიური ბედნიერება. ეს გზა კი მხოლოდ თეორიულ ჭვრეტას არ გულისხმობდა.

რატომ 1972 წელი? ამ წელს შედგა პირველი კონტაქტები იმ ადამიანებთან, რომელთაც როგორც სსრკ-ში, ისე მის საზღვრებს გარეთ მოიხსენიებდნენ, როგორც „სხვაგვარად მოაზროვნეებს“, დისიდენტებს, ხოლო შემდგომში, ჰელსინკის ხელშეკრულების დადების შემდეგ, უკვე უფლებადამცველებს. „ჩანაწერებიდან“ არ ჩანს, ვინ იყო პირველი დისიდენტი საქართველოს ფარგლებს გარეთ, ვინც გაიცნო ზვიად გამსახურდიამ. ეს უნდა მომხდარიყო მოსკოვში, რამდენადაც ასეთი აქტივობების ცენტრი სწორედ იქ იყო. რამდენადაც სსრკ მკაცრად ცენტრალიზებული ქვეყანა იყო, დასავლეთის ქვეყნების საელჩოების გარდა, იქ იყვნენ აკრედიტებულნი ძირითადი სააგენტოები და სხვადასხვა მნიშვნელოვანი ევროპულ-ამერიკული ფორმატის ჟურნალ-გაზეთების კორეს-პონდენტები. დისიდენტობა არაფერი იყო მათთან ინტენსიური კონტაქტების გარეშე, რაც, რასაკვირველია, სერიოზულ საფრთხეებთან იყო დაკავშირებული – უშიშროების კომიტეტი არგუსის თვალით აკვირდებოდა ამგვარ კონტაქტებს.

თუმცა სრულიად არასწორი იქნებოდა იმის თქმა, რომ 1972 წლამდე ზვიად გამსახურდია სულ სხვა ტიპის ადამიანებთან ურთიერთობდა, ხოლო 1972 წლიდან – რაღაც აქამდე უცნობ, „თვისობრივად განსხვავებულ" ადამიანებს შეხვდა. იმიტომ, რომ მისი გარემომცველი ინტელიგენციის წარმომადგენლები, მცხოვრებნი ასე თუ ისე არასაბჭოური ცხოვრების წესით, უკვე ატარებდნენ ბევრ ისეთ თვისებასა და აზრებს, რომლებიც უფრო მწყობრად და უფრო ორგანიზებულად იყო წარმოდგენილი საბჭოთა დისიდენტებში. ეს ადამიანები მოქ-

მედებდნენ თვითგამოცემების ბეჭდვით და მათი გავრცელებით, რაც მაღალ რისკთან იყო დაკავშირებული. შესაძლო იყო, ასეთი თვითგამოცემის მხოლოდ ფლობისთვის ადამიანი კოლონიაში მოხვედრილიყო რამდენიმე წლის ვადით. ეს ადამიანები იყვნენ ანდრეი სახაროვი, იური ორლოვი, ვალერი ჭალიძე, ანდრეი ტვერდოხლებოვი, იგორ შაფარევიჩი, ალექსანდრ გინზბურგი, სერგეი კოვალიოვი, ანატოლი შჩარანსკი და სხვები. იმ წლებში მათ დიდი სახელი მოიპოვეს ევროპულ და ამერიკულ საინფორმაციო სივრცეში.

საბჭოთა კავშირში ოფიციალური მასმედია მათ შესახებ ან დუმდა, ან სრულიად დამახინჯებულ და ნეგატიურ შეფასებებს ავრცელებდა როგორც დისიდენტების პიროვნებაზე, ისე მოღვაწეობაზე. მხოლოდ ის ადამიანი, ვინც უცხოურ რადიოსადგურებს უსმენდა, შეძლებისდაგვარად ადეკვატურ ინფორმაციას იღებდა დისიდენტებზე. ადამიანის უფლებათა კონცეპტი კაცობრიობის ისტორიაში და, რასაკვირველია, აზროვნების ისტორიაში სრულიად ახალი კაპიტელია. სრულიადაც არ არის გასაკვირი, იგი ფორმადქმნილიყო ბიბლიურ-ქრისტიანული კულტურის არეალზე, რომლის გაგებაშიც ადამიანი თავად გვირგვინია შესაქმისა, ღვთის ყველაზე ცოცხალი და სრულყოფილი ხატია მთელ სამყაროში. რუსთაველთან ნათქვამია: „მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები“, – აქ იგულისხმება მონებისთვის ისეთ უფლებათა მიცემა, რომლებიც მათ მანამდე არ ჰქონიათ. ამავე დროს, მართებული იქნება, თუკი დავასკვნით, რომ ადამიანის უფლებათა ახალი კონცეპტი შედეგია მოგვიანო შუა საუკუნეებისა და ადრეული რენესანსის პერიოდის ფილოსოფოსთა და მეცნიერთა მცდელობისა, ჩამოეყალიბებინათ ქრისტიანული რელიგიური მოძღვრების საერო-ზეპური ვერსია და მასთან მოეხდინათ ანტიკური ეთიკურ-ფილოსოფიური სისტემების ერთგვარი სინთეზი. იგი დანამდვილებით უკავშირდება ევროპაში სამ ძირითად მოვლენას, რომლებმაც არსებითად შექმნა ევროპული ცივილიზაცია – რენესანსს, რეფორმაციასა და განმანათლებლობას, როგორც ფრანგულს, ისე გერმანულს.

განმანათლებლობის შედეგი იყო საფრანგეთის დიდი რევოლუცია. პარალელურად, ოკეანის გაღმა, ამერიკის კონტინენტზე, ბრიტანეთს გამოეყო ყოფილი კოლონიები და ახალი სახელმწიფოს დამფუძნებელმა მამებმაც შექმნეს უმნიშვნელოვანესი დოკუმენტები. ეს იყო პერიოდი, როდესაც პრაქტიკულად დასრულდა ფეოდალური ავტორიტარიზმი და შეუზღუდველი მონარქიები ევროპაში. რელიგია თანდათან გაიმიჯნა სახელმწიფოსგან, ხოლო რესტავრაციონისტული ტენდენციები საერო საზოგადოების მიერ შეზღუდვებს დაექვემდებარა. შუა საუკუნეებში, რა თქმა უნდა, ასევე შეიმჩნევა ემანსიპატორული მოძრაობები, მაგრამ ტერმინი „ადამიანის უფლებები“ არ არსებობდა და ამას არც არავინ განიხილავდა. იგი ბრიტანეთში გაჩნდა თავისუფლებათა დიდი ქარტიის(1215 წ.) და მისივე პარლამენტის „უფლებათა ბილის“ სახით (1689) თუმცა არაკათოლიკურ, პროტესტანტული ტიპის თეოლოგიაში მე-17 საუკუნიდან ჩნდება ისეთი გაგება, როგორიცაა „სინდისის თავისუფლება“, ანუ აღიარება ადამიანის იმ

უფლებისა, თავად აირჩიოს, რომელი რელიგიის მიმდევრობა სურს. სწორედ ასეთმა თეოლოგიამ მოახდინა ზეგავლენა ჯონ მილტონსა და ჯონ ლოკზე, როდესაც მათთან პირველად გაჩნდა ტერმინი „რელიგიური შემწყნარებლობა“.

ამერიკის კონტინენტზე, სადაც ხდებოდა ევროპიდან მასობრივი გადასახლება და იქმნებოდა ახალი კოლონიები, ჩნდებოდა პირობები აღმსარებლობითი თავისუფლებისთვის. სწორედ ასეთ ადგილებში პოვებდნენ თავშესაფარს რელიგიური უმცირესობები. ადამიანის უფლებათა დაცვის ტრადიცია დაამკვიდრა და დააკანონა სწორედ აშშ-ის დამოუკიდებლობის დეკლარაციამ, აშშ-ის კონსტიტუციამ და მათ მიერვე მიღებულმა 1791 წლის კანონთა ბილმა. ამასთანავე აშშ-ის ჩრდილოეთ შტატებში 1777-1804 წლებში ლიკვიდირებულ იქნა მონობის ინსტიტუტი, რისი მოთხოვნაც და დაკვეთაც არ ყოფილა სამხრეთის შტატებში. ხოლო აშშ-ის სამოქალაქო ომის შემდგომ მიიღეს არაერთი შესწორება ამერიკული კონსტიტუციისთვის, რომლის შედეგადაც საბოლოოდ აიკრძალა მონობა და მონათმფლობელობა.

გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან ევროპაში, როგორც გერმანიაში, ისე საფრანგეთში, უკვე არსებობდა ადამიანის უფლებათა დაცვის ლიგა, რომელთა ინიციატივითაც შეიქმნა ადამიანის უფლებათა „საერთაშორისო ფედერაცია“ (FIDH). და რუსეთის აბსოლუტისტურ ბნელეთში თუ იყო გარკვეული სანუგეშო მოძრაობები? როდესაც პეტრე დიდმა და შემდგომ ეკატერინე მეორემ რუსეთის იმპერია მთლიანად გადააწყვეს ევროპულ (ყველაზე მეტად პრუსიულ) ყაიდაზე. მათ, რასაკვირველია, ემანსიპატორული მოძრაობებისთვის ხელი არ შეუწყვიათ. პირიქით, მათ მიერ ასეთი მოძრაობები მავნე და სახელმწიფოსთვის საშიშ მოვლენებად იქნებოდა აღქმული. ვოლტერმა, დიდრომ და ფრანგმა განმანათლებლებმა ეკატერინე მეორეს „აღმოსავლეთის სემირამიდა“ უწოდეს და იმედოვნებდნენ, რომ იგი ბატონყმობას გააუქმებდა. ასეთი ნაბიჯის გადადგმას ეკატერინე, მსგავსი იდეები თავში კიდევაც რომ მოსვლოდა, ვერ გაბედავდა მათ საჯაროდ გამჟღავნებას პოლიტიკური მიზანშეწონილობის, რუსეთის სოციალური აღნაგისა და არსებული წონასწორობების გათვალისწინებით.

ეკატერინეს გარდაცვალებიდან 70 წელიწადი უნდა გასულიყო, ვიდრე ბატონყმობა რუსეთის იმპერიაში ალექსანდრე მეორის დეკრეტის ძალით გაუქმდებოდა. რუსეთის ისტორიის ასე თუ ისე მცოდნე უმაღლეს მმართველთა შორის ორ შედარებით პროგრესულ და რეფორმატორულ ისტორიულ ფიგურას თუ გაიხსენებს – ალექსანდრე მეორეს (რომელმაც პროგრესულ ქმედებათა გარდა, იმავდროულად აკრძალა უკრაინული ენა, რითაც აჩვენა, თუ რამდენად მყიფე იყო რუსეთის იმპერიაში დემოკრატიის ხარისხი მაშინაც კი, როდესაც ამის სურვილი ზემდგომებს ჰქონდათ) და პრემიერ პიოტრ სტოლიპინს.

საქართველოს პირველ დამოუკიდებელ რესპუბლიკაშიც არ არსებობდა მსგავსი ტიპის ორგანიზაცია, ფოკუსირებული ადამიანის უფლებებზე. რა თქმა უნდა, არსებობდა თერგდალეულთა მოძრაობის საკმაოდ დემოკრატიული იდეები, გარკვეული თვითმმართველობისა და კულტურული ავტონომიის იდეებ-

თან ერთად. როდესაც საქართველოს დამოუკიდებელობა გამოცხადდა 1918 წლის 26 მაისს, ცხადია, დაიწყო მუშაობა ახალ კონსტიტუციაზე. საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ 1921 წლის 21 თებერვალს მიიღო კონსტიტუცია. იგი საქართველოში მანამდე მიღებულ ყველა დოკუმენტზე მეტად გამოირჩევა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების მიმართ თავისი დამოკიდებულებით. იგი აცხადებს კანონის წინაშე ყველა მოქალაქის თანასწორობას, კრძალავს წოდებრივ განსხვავებებს, აწესებს თანასწორობას ორივე სქესის მოქალაქეებს შორის, როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური და საოჯახო უფლებებით, აღიარებს ეროვნულ უმცირესობათა უფლებებს, რომელთაც ანიჭებს თავისუფალი სოციალ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების უფლებას, რაშიც იგულისხმება დედაენით სწავლა და აღზრდა, ეროვნულ-კულტურულ საქმეთა შინაური მართვა-გამგეობა. საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია შესანიშნავი ძეგლია, რომელშიც არეკლილია ქართული პოლიტიკურად მოაზროვნე საზოგადოების სრულიად მოწინავე დამოკიდებელება ადამიანის უფლებების დაცვისადმი. ეს კონსტიტუცია, ქვეყნის ოკუპაციასა და იძულებით გასაბჭოებასთან ერთად, დავიწყებას მიეცა.

მეორე მსოფლიო ომმა და როგორც მანამდე არსებულმა, ისე მის შედეგად აღმოცენებულმა ტოტალიტარულმა რეჟიმებმა ევროპასა და მთელ მსოფლიოში კაცობრიობა მიიყვანა ადამიანის უფლებათა ინსტიტუტის დაფუძნებამდე და მის განვითარებამდე, რაშიც საერთაშორისო სამართალს რეალური პრიმატი აქვს მიკუთვნებული. 1948 წლის 10 დეკემბერს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“. 1950 წლიდან მოყოლებული, ყოველ 10 დეკემბერს აღინიშნება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დღე. ამავე 1950 წლიდან ევროპაში ხელი მოეწერა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპულ კონვენციას. ხოლო 1966 წელს გაერომ მიიღო „სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი“ და „ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტი“. ამ დოკუმენტებმა განამტკიცეს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტი, რაც გულისხმობს იმას, რომ მონაწილე სახელმწიფოებმა ეს ნორმები თავიანთ კონსტიტუციებსა და კანონმდებლობებში უნდა ასახონ.

ადამიანის რომელი უფლებები იყო განსაკუთრებით დარღვეული საბჭოთა კავშირში? მაგალითად, ასეთი იყო აზრის თავისუფალი გამოხატვის უფლება, რამდენადაც აკრძალული იყო არასამთავრობო მიტინგები, დემონსტრაციები, აზრის წერილობით ან ლიტერატურული ფორმით გამოხატვაზე არსებობდა უმკაცრესი ცენზურა. იგი ვრცელდებოდა, ასევე, ისეთ ლიტერატურულ ნაწარმოებებზე, რომლებიც შინაარსობრივად, შესაძლოა, გარკვეული საფრთხის მატარებლები ყოფილიყვნენ საზოგადოებრივი უსაფრთხოებისთვის. ყველა მასმედია, როგორც ელექტრონული, ისე ბეჭდვითი, სახელმწიფოს მიერ იყო კონტროლირებული. იკრძალებოდა პოლიტიკური გაერთიანების შექმნა. აკრძალული იყო საბჭოთა კავშირის საზღვრის გადალახვა საკუთარი სურვილისამებრ –

„რკინის ფარდის“ რეჟიმი გულისხმობდა სწორედ იმას, რომ ქვეყნიდან გასვლა მხოლოდ მას შეეძლო, ვისაც ამის ნებართვას საიდუმლო პოლიციის ფუნქციებით აღჭურვილი სპეცსამსახური მისცემდა. მაგალითად, საქართველოდან თავისუფალი გადაადგილება მხოლოდ რუსეთის ფედერაციასა ან რომელიმე მოკავშირე რესპუბლიკაში შეიძლებოდა. ასევე არ იყო თავისუფლება, ადამიანს აერჩია რელიგიური აღმსარებლობა, რადგან ოფიციალური იდეოლოგია ათეიზმი იყო. ადამიანი, რომელიც ამა თუ იმ რელიგიას აღიარებდა, შესაძლოა, რეპრესიებში მოყოლილიყო. არ არსებობდა კერძო საკუთრების უფლება და ა. შ.

საბჭოთა კავშირი უზარმაზარი და უძლიერესი სახელმწიფო იყო. მისი მმართველობითი ვერტიკალი აკონტროლებდა პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროსა და სეგმენტს: პოლიტიკას, სამინისტროებს, კომიტეტებს, მუნიციპალიტეტებს, სასამართლოსა და პროკურატურას, ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებს, არმიას, ძალოვნებსა და სპეცსამსახურებს. აკონტროლებდა ავტონომიების მრავალეთნიკურ სივრცეს. მაგრამ სსრკ-ის ხისტ მონოლითს ჰქონდა ერთი აქილევსის ქუსლი: რაღაც ერთის დათმობა ყველაფრის დათმობას იწვევდა, ჩამოშლის შეუქცევად პროცესს ველარავინ შეაჩერებდა.

ზვიად გამსახურდიამ 70-იანი წლების დასაწყისში დაწერა ერთგვარი საპროგრამო წერილი, რომელსაც უწოდა „კაცობრიობა დილემის წინაშე“. მან ეს სტატია რუსულ თარგმანში გაუგზავნა აკადემიკოს ანდრეი სახაროვს, თუმცა უცნობია სახაროვის რეაქცია ამ სტატიის წაკითხვის შემდეგ. სტატიის ავტორი ასახელებს იმ ადამიანებს, რომლებიც მისთვის სამაგალითონი იყვნენ ისეთი დილემის წინაშე, რომელსაც ახალი ეპოქა წამოჭრიდა – ესენი არიან ფრიდრიხ ნიცშე და ლევ ტოლსტოი, მარტინ ლუთერ კინგი და ალბერტ შვაიცერი, ილია ჭავჭავაძე და ამბროსი ხელაია. როდესაც ცდილობენ, ზვიად გამსახურდია მოაქციონ ნაციონალისტი დისიდენტების კატეგორიაში, რომელთათვისაც არსებითი მხოლოდ ეროვნული დამოუკიდებლობა და სატიტულო ერის საკითხი იყო, მათ ავიწყდებათ, არ იციან ან ჩქმალავენ ამ საპროგრამო ტექსტს.

ეროვნული დამოუკიდებლობა რომ უტოპია იყო დემოკრატიზაციის გარეშე, ამის მიხვედრას ნამდვილად არ ესაჭიროებოდა განსაკუთრებული სიბრძნე. თუკი დაკვირვებით წაიკითხავენ ამ წერილს, დაინახავენ, რომ ეს არის, ერთი მხრივ, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ ევროპის ისტორიიდან კარგად ნაცნობი დემოკრატიული პრინციპების გათვალისწინებით ფორმულირებული ტექსტი, მეორე მხრივ, ქრისტიანული თვალსაზრისების საერო ვერსიის ჩამოყალიბების მცდელობა. ამ სტატიაში ვკითხულობთ: „აქედან გამომდინარე, დგას დილემა საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც. ერთი მხრივ, მოქალაქეობრივი თავგანწირვა, ნიადაგ სინდისის კარნახით მოქმედება, სულიერი იდეალების პირველ პლანზე დაყენება, ხოლო, მეორე მხრივ, ფილისტერული, თვითკმაყოფილი ფსევდოპრაგმატიზმი, სინდისის ხმის ჩახშობა საკუთარ სულში, თვალის დახუჭვა ყოველგვარ უმსგავსოებაზე, რომელსაც სჩადის ესა თუ ის საზოგადოებრივი წყობა თუ ცალკეული ადამიანი. ეს გახლავთ ის მწვავე დილემა, რომე-

ლიც დგას დღეს ყოველი ჩვენგანის წინაშე. აი, ის კითხვები, რომლებზეც პასუხის გაუცემლობა აუცილებლად მიგვიყვანს სავალალო მდგომარეობამდე. აი, მთავარი ფესვი ყველა დღევანდელი სოციალური და ადამიანური ბოროტებისა! ჩვენ ვამტკიცებთ: მე-20 საუკუნის ადამიანს გაუმწვავდა აღქმა, შეგრძნება ამ დილემისა. ამავე დროს ცხადია: ადამიანური ცნობიერების ამ განვითარების სხვადასხვა დონეზე ამ დილემის აღქმა სხვადასხვაგვარია და მასზე რეაგირებაც. ამას განაპირობებს აგრეთვე სოციალური მდგომარეობაც, ბიოლოგიური სრულფასოვნება-არასრულფასოვნება, მატერიალური და ეკონომიური პირობები, რასული თუ ეთნიკური წარმომავლობა და ა. შ. ცხადია, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება აბსოლუტიზირება რომელიმე ფაქტორისა. ყველა შემთხვევაში ინდივიდუალობასთან გვაქვს საქმე და ამიტომ სურათიც უაღრესად ნაირგვარია".[148]

ამავე სტატიაში ავტორს განვითარებული აქვს იდეები კონვერგენციის მიმართულებით. აქ იგულისხმება დასავლური კაპიტალიზმისა და აღმოსავლური საბჭოთა სოციალიზმის ცალკეული კომპონენტების შერწყმა. ეს არ ნიშნავს, რომ კაპიტალისტური სისტემა ავტორის მხრიდან ცალმხრივი კრიტიკისა და განქიქების ობიექტია. ერთადერთი პრეტენზია, რომელიც მას შესაძლოა, წაეყენებინა ამ სისტემის ძირითადი აქტორებისთვის, იყო მხოლოდ ფინანსური და ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე წაყრუება იმ ბარბაროსობისადმი, რაც საბჭოთა კავშირის მიერ დომინირებულ სოციალისტურ ბლოკში ნორმად იყო ქცეული. დასავლეთის ზოგიერთი ქვეყნის საქმიანი წრეები კი ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ ლობირებდნენ საკუთარ მთავრობებს, უფრო დამთმობები ყოფილიყვნენ საბჭოთა რუსეთის მიმართ, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, ძველი ვალები მათთვის აღარ დაებრუნებინა. ამიტომაც აღნიშნულ საპროგრამო ტექსტში ზვიად გამსახურდია წერს: „ერთი მხრივ, სახეზეა ტოტალიტარიზმის მიერ ვნებადახშული უხეში ძალადობით გაოგნებული და აპათიაში ჩავარდნილი მასა, რომელსაც თავისუფლების არათუ შეგნება, არამედ იოტისოდენა მოთხოვნილებაც კი არ გააჩნია. დოსტოევსკის დიდი ინკვიზიტორის მიერ მონუსხული ბრბოს მსგავსად, თავისუფლებისაკენ სწრაფვას იგი, უკეთეს შემთხვევაში, უცნაურობად, სიგიჟედ ან კიდევ უფრო უარეს რამედ თვლის. ნურავინ იფიქრებს, რომ, მაგალითად, საბჭოთა კავშირში მხოლოდ მმართველ წრეებს დაებადათ იდეა თავისუფლებისმოყვარე ადამიანების სულიერ ავადმყოფებად გამოცხადებისა. ეს ფსიქოლოგია თავად მასაში შემუშავდა თავდაპირველად, იმდენად წარმოუდგენელი იყო სახელმწიფო ტერორისა და ტოტალიტარიზმის ხუნდების წინააღმდეგ რაიმე ამბოხი „ჭკუათმყოფელი" ადამიანისათვის. სახელმწიფოს მესვეურებმაც კარგად გაუგეს მასის ამგვარ ფსიქოლოგიას და არ დააგვიანეს ფსიქიატრიული რეპრესიები, რაც საქმით „განამტკიცებს" მასში მოარულ ვერსიას იმის შესახებ, რომ, ვინც აღიმაღლებს ხმას სამართლიანობისა და თავისუფლებისათვის, სულით ავადმყოფია.

მეორე მხრივ, დასავლეთში შეიქმნა უკიდურესობანი დემოკრატიული თავისუფლების სფეროში, მწარმოებლობის სფეროში, რამაც გზა მისცა არა მხოლოდ პიროვნების აღვირახსნილობას, არამედ სოციალურ ქაოსს, იდეოლოგიურ კრიზისს დასავლეთისას, რომელმაც უკვე დაყარა ფარ-ხმალი ტოტალიტარიზმთან იდეოლოგიურ ბრძოლაში და ე. წ. დეტანტის (ანუ პოლიტიკურ დაპირისპირებათა გაიოლების და დაძაბულობათა განმუხტვის) მეშვეობით იმედოვნებს საკუთარი სტატუს კვოს შენარჩუნებას. საყოველთაო, უსაზღვრო დემოკრატიზმი გამართლებული იქნებოდა მაშინ, კაცობრიობის თითქმის ნახევარი რომ არ იყოს გამომწყვდეული ტოტალიტარიზმის მარწუხებში, იმ ტოტალიტარიზმისა, რომელიც წალეკვას უქადის ცივილიზაციისა და კულტურის ყველა მონაპოვარს". კონვერგენციის იდეა გასაკვირი კიდევ იმიტომ არ არის, რომ ზვიად გამსახურდია ასეთი ტიპის საპროგრამო ტექსტებს, გარდა დისიდენტურად განწყობილი საზოგადოებისა, წერდა რეფორმისტულად განწყობილი კომუნისტებისთვისაც. ძველი, დახავსებული საბჭოთა სოციალიზმიდან ახალ სისტემაზე გადასვლა ეტაპობრივად და თანმიმდევრულად უნდა მომხდარიყო და არა – რევოლუციურად. სხვათა შორის, კონვერგენციული იდეები თავის წიგნში წარმოდგენილი აქვს აკადემიკოს სახაროვსაც, რომლის ნაშრომზე „ქვეყნებისა და მსოფლიოს შესახებ" მერაბ კოსტავამ რეცენზია დაწერა ქართულ თვითგამოცემაში „საქართველოს მოამბე".[149]

2.2. სინიავსკისა და დანიელის პროცესი. პრაღის მოვლენები და მათი დისიდენტური რეცეფცია საბჭოთა კავშირში

დისიდენტობა საბჭოთა კავშირში დაიწყო 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალებიდან და სამოქალაქო ომიდან მოყოლებული. ეს, უწინარეს ყოვლისა, შეეხება რუსეთს. ნაციონალურ მხარეებში, სადაც თებერვლის მშვიდობიანი რევოლუციისა და მეფის ხელისუფლების დემონტაჟის შედეგად ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოები წარმოიქმნა, დისიდენტები გაჩნდნენ მას შემდეგ, რაც წითელმა რუსეთმა და შემდგომ საბჭოთა იმპერიამ სამხედრო ძალის გამოყენებით გაანულა ახლად წარმოქმნილი სახელმწიფოების სუვერენიტეტი, მოახდინა მათი ოკუპაცია და ანექსია. როგორც რუსეთში, ისე განაპირა მხარეებში ეს ფენომენი შეიმჩნეოდა როგორც ემიგრაციაში, ისე ქვეყანაში დარჩენილი ინტელიგენციის იმ ნაწილში, ვისთვისაც საბჭოთა ხელისუფლება და ბოლშევიზმი ორგანულად მიუღებელი აღმოჩნდა. ამდენად „ინტელექტუალური იატაკქვეშეთი" ყოველთვის არსებობდა.

ამ იმპულსმა შედარებით ორგანიზებული სახე მიიღო სტალინის სიკვდილის შემდეგ, როდესაც მისი მმართველობის შესახებ მაღალი ხელისუფლების ტრიბუნებიდანაც გაისმა კრიტიკა – იგულისხმება ხრუშჩოვის გამოსვლა „დახურულ კრებაზე".[150] თუმცა დისიდენტებისთვის, რომლებიც წარსულის უფრო

სიღრმისეულ ანალიზს აკეთებდნენ, ეს ოფიციალური განცხადებები მაინც ნახევარი სიმართლის შემცველი იყო. პარალელურ რეჟიმში დასავლეთის ინტელექტუალურ სცენაზე გამოჩნდა ისეთი წიგნები, რომლებშიც საუბარი იყო საბჭოთა კომუნიზმის ბანკროტზე, საზოგადოების დეზილუზიონირებაზე რეალსოციალიზმით.

დისიდენტები საკუთარ თავს „სხვაგვარად მოაზროვნეებად" მოიხსენიებდნენ. ისინი ამით ხაზს უსვამდნენ იმას, რომ ერთადერთი მმართველი პარტიისგან განსხვავებულ თვალსაზრისს არტიკულირებდნენ. ისინი ყოველთვის არაძალადობრივი მეთოდებით მოქმედებდნენ, რაც გამორიცხავდა იარაღის ხელში აღებას, აჯანყებას, ფიზიკურ დაპირისპირებას ხელისუფლების ძალოვან ორგანოებთან. ისინი კანონების ჩარჩოში რჩებოდნენ და ხელისუფლებას იქით მოუწოდებდნენ, დაეცვა საკუთარი კანონები. თუკი ისინი კანონის ჩარჩოდან გავიდოდნენ, ეს ხდებოდა მხოლოდ ვერბალურად, ასევე, მშვიდობიანი დემონსტრაციის ან მიტინგის სახით. თუმცა ისინი, ცხადია, არღვევდნენ საბჭოთა ორგანოებისა და ერთადერთი მმართველი პარტიის მიერ დამყარებულ სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ რეზონს და მათ მიერ დაწერილ უსამართლო კანონებსაც, რაც იწვევდა მათ რეპრესირებას. ისინი იბრძოდნენ პეტიციებით, მიმართვებით, თვითგამოცემებით.

საბჭოთა კავშირში დისიდენტებისა და „სხვაგვარად მოაზროვნეების" დაყოფა შვიდ ძირითად ტიპად შეიძლება: 1. ლიბერალ-დემოკრატები, რომლებიც იბრძოდნენ საბჭოთა კავშირის დემოკრატიზაციისთვის. მათი ყველაზე თვალსაჩინო ფიგურა იყო აკადემიკოსი ანდრეი სახაროვი, შემდეგ სერგეი კოვალიოვი და სხვები. 2. სოციალ-დემოკრატიულად ორიენტირებული ფრთა, რომელიც მარქსიზმ-ლენინიზმის საბჭოთა მოდელის კრიტიკასა და რევიზიას ეწეოდა (მაგალითად, ძმები როი და ჟორეს მედვედევები); 3. ებრაელი „ოტკაზნიკები", ანუ „უართქმულები", რომელთაც სურდათ ისრაელში გამგზავრება და ამის ნებართვას საბჭოთა ორგანოები არ აძლევდნენ. ისინი იბრძოდნენ, რათა ყველა ებრაელ მოქალაქეს ისრაელში ჩასვლის ნებართვა მიეღო, ასევე, სსრკ-ში იუდეური კულტურისა და ებრაელთა უფლებებისთვის (მაგალითად, ანატოლი შჩარანსკი); 4. რუსეთის ეროვნული კონცეპტის პლატფორმაზე მდგარი დისიდენტები, რომელთა მიზანიც იყო რუსეთის მომავალ სახელმწიფო მოწყობასა და ძირითად პრიორიტეტებზე ფიქრი. ამ ფრთის ყველაზე თვალსაჩინო ფიგურა იყო მწერალი ალექსანდრ სოლჟენიცინი, აგრეთვე, იგორ შაფარევიჩი შემდგომში; 5. ეროვნული რესპუბლიკების ინდეპენდისტურად განწყობილი დისიდენტები, რომელთა მიზანიც იყო დაკარგული დამოუკიდებლობის აღდგენა, ასევე, ბრძოლა ეროვნული კულტურისთვის (ძირითადად, უკრაინაში, ბელორუსში, ლიტვაში (დღევანდელი ლიეტუვა), ლატვიაში, ესტონეთში, საქართველოში, სომხეთში, შესაძლოა, გამონაკლისების სახით ყოფილიყვნენ სხვაგანაც); მაგალითად, ლატვიელი გუნარს ასტრა, ლიტველი ანტანას ტერლიაცკასი, ესტონელი მატი კიირენდი, უკრაინელი სტეპან ხმარა, სომეხი პარუირ აირიკიანი და ა. შ. 6. რეპ-

რესირებული ან ჯერ კიდევ ნაწილობრივ რეაბილიტირებული ხალხების წარმომადგენლები (ყირიმელი თათრები, ჩეჩნები, ინგუშები, ბალყარელები, მუსლიმი მესხები) – ასეთი იყო, მაგალითად, ყირიმელი აქტივისტი მუსტაფა ჯემირევი, ასევე, ინგუში დისიდენტი ისა კოძოევი; 7. რელიგიური დისიდენტები, რომლებიც იბრძოდნენ მორწმუნეთა უფლებებისთვის ტოტალიტარულ სახელმწიფოში, მათი უმრავლესობა მართლმადიდებლურ-ქრისტიანული თემის ან, ძირითადად, დასავლეთ უკრაინისა და ბალტიური რესპუბლიკების კათოლიკურ თემთა წარმომადგენლები იყვნენ, ასევე, სხვა რელიგიური თემებისაც. იმავდროულად ისინი იბრძოდნენ ქრისტიანულ თემთა და ინსტიტუციების მართებული, ნამდვილი ისტორიის აღდგენისთვის ათეისტურ-ტოტალიტარული, რეპრესიული რეჟიმის პირობებში. ასეთნი იყვნენ, მაგალითად, მღვდელი გლებ იაკუნინი და ალექსანდრ ოგოროდნიკოვი რუსეთში, ასევე, ლიტველი პატერი ბრონიუს ლაურინავიჩიუსი. რა თქმა უნდა, იყვნენ დისიდენტების ჰიბრიდული ტიპები – და მათი რიცხვი არცთუ ისე ცოტა იყო – რომელთა მოღვაწეობაც ამ ჩამოთვლილი ჯგუფებიდან მხოლოდ ერთ-ერთში ვერ მოთავსდება. მაგალითად, ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა ერთდროულად ეკუთვნოდნენ სამ ჯგუფს – ისინი იბრძოდნენ დემოკრატიზაციისთვის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და მორწმუნეთა რელიგიური უფლებებისთვის. ასევე იყვნენ, მაგალითად, უკრაინელი დისიდენტები ლეონიდ პლიუშჩი, პეტრო გრიგორენკო და ვიაჩესლავ ჩორნოვილი.

პირველი სასამართლო პროცესი, რომელიც სსრკ-ში გაიმართა, იყო აღნიშნულ დროს ჯერ ნაკლებად ცნობილი საბჭოთა პოეტის, იოსიფ ბროდსკისა, 1963 წლის 29 ნოემბერს. მის დაპატიმრებას უძღოდა ვინმე ლერნერის წერილი სათაურით „ლიტერატურას მიტმასნილი პარაზიტი". მომდევნო წლის მარტში ბროდსკის მიესაჯა 5 წელი პატიმრობა შრომა-გასწორების კოლონიაში, ყალთაბანდობისთვის. პოეტი გადასახლებაში გაუშვეს, ხოლო 1972 წლის 4 ივნისს სსრკ-დან გააძევეს. იგი მოგვიანებით ნობელის პრემიის ლაურეატიც გახდა. როგორც ისტორიამ აჩვენა, აღნიშნული პროცესი გამოდგა მომდევნო ანალოგიური პროცესების ერთგვარი პროლოგი. ყველაზე მრავლისმთქმელ და ეგზემპლარულ პროცესად, რამაც მძლავრი ბიძგი მისცა დისიდენტური მოძრაობის დაწყებას, გადაიქცა საბჭოთა მწერლების, ანდრეი სინიავსკისა და იული დანიელის, სასამართლო, რომელიც დაიწყო 1965 წლის შემოდგომაზე და დასრულდა 1966 წლის თებერვალში.

პროცესის მიზეზი შემდეგი იყო: რამდენადაც სსრკ-ში ზემოხსენებულ მწერლებს თავისუფალი ლიტერატურული გამოცემების არარსებობის გამო არ ბეჭდავდნენ, მათ გადაწყვიტეს ეს მოვლითი გზით გაეკეთებინათ და დასავლეთში გაგზავნეს თავიანთი ნაწარმოებები. მათ დაირქვეს ფსევდონიმები: სინიავსკიმ – აბრამ ტერცი, ხოლო დანიელმა – ნიკოლაი არჟაკი. როდესაც სუკ-მა დაადგინა, ვინ იდგა ამ ფსევდონიმების უკან, ორივე დააპატიმრეს და მათზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. ფსევდონიმების გაშიფვრა სუკ-ის მიერ მოხდა ინფორმაციის გაჟონვის შედეგად. მწერლებს ბრალად ედებოდათ საკუთარ ქვე-

ყანაზე, საბჭოთა სახელმწიფოსა და მის საზოგადოებრივ წყობილებაზე ცილისწამებისა და დეზინფორმაციის გავრცელება. დანიელს მიესაჯა 5 წლით, ხოლო სინიავსკის 7 – წლით თავისუფლების აღკვეთა. პროცესი იმითაც იყო საინტერესო, რომ ბრალდებულებს თავი დამნაშავეებად არ უცნიათ. ამ პროცესმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ უცხოეთში საკუთარი ნააზრევის გამოცემა ანუ „ტამიზდატი" ისევე დასჯადი იყო, როგორც საბჭოთა კავშირში არალეგალურად დამზადებული თვითგამოცემა, ანუ „სამიზდატი". ითვლებოდა, რომ „ტამიზდატი" საკუთარი „სამშობლოსა" და „ხალხის" შესახებ ცილისწამებების, დეზინფორმაციების გავრცელების საშუალება იყო.

პროცესის შემდეგ, 1965 წლის 5 დეკემბერს, ანუ საბჭოთა კონსტიტუციის დღეს, ცნობილმა მათემატიკოსმა, პოეტ სერგეი ესენინის ვაჟმა, ალექსანდრ ესენინ-ვოლპინმა, ორ ათეულ მონაწილესთან ერთად, მოაწყო დემონსტრაცია მოსკოვში, პუშკინის მოედანზე, რომელიც გახდა სიმბოლური ადგილი ასეთი შეკრებებისთვის. მომიტინგეებს ჰქონდათ ლოზუნგი „დავიცვათ საბჭოთა კონსტიტუცია!" მათვე მოითხოვეს სასამართლო პროცესების საჯაროობა. დემონსტრაციის 22-ვე მონაწილე მილიციამ აიყვანა. ყველა იმავე დღეს გაათავისუფლეს, გარდა ესენინ-ვოლპინისა, რომელიც მალე გაასამართლეს და მიესაჯა პატიმრობა.

სინიავსკისა და დანიელის პროცესის გამო სსრკ-ში დაიწერა 22 ღია წერილი, რომელთა ადრესატიც იყო ოფიციალური მწერალთა კავშირის, ასევე, სკკპ-ის ხელმძღვანელობა. თავიდან ამ პროცეზე გამოტანილი განაჩენის გამო პროტესტი მწერალთა კავშირის 62-მა წევრმა გამოხატა. მათ შორის იყვნენ პავლე ანტოკოლსკი, ბელა ახმადულინა, ლევ კოპელევი, არსენი ტარკოვსკი, ბულატ ოკუჯავა, ვალერი შალამოვი, ვლადიმირ ვოინოვიჩი და სხვები. ზემოხსენებულ ღია წერილს შეუერთდნენ მეცნიერებიც – იგორ ტამი, პიოტრ კაპიცა და ანდრეი სახაროვი.[151]

ლეონიდ ბრეჟნევმა 1966 წელს გამართულ სკკპ-ის XXIII ყრილობაზე განაცხადა: „სამწუხაროდ, ხელოვნების დარგში გვხვდებიან ისეთი მოხელეები, რომლებიც ხალხისთვის დახმარების ნაცვლად თავიანთ სპეციალობად ირჩევენ ჩვენი წყობილების გაშავებას, ცილისწამებას ჩვენი გმირი ხალხის მიმართ. რა თქმა უნდა, ასეთი ადამიანები ჩვენთან ერთეულები არიან".[152] ამრიგად, სინიავსკი, დანიელი და საბჭოთა „სხვაგვარად მოაზროვნე" საზოგადოების არაერთი ცნობილი წარმომადგენელი სპეციალურ კოლონიებში გაამწესეს. რამდენადაც სტალინიზმის პრაქტიკა განსხვავებული იყო პოლიტიკური პატიმრის სასჯელის მოსახდელ ადგილთან დაკავშირებით – იმ დროს ყველანაირი მსჯავრდებული ერთად იყო კოლონია-საპყრობილეში მოთავსებული, სტალინის სიკვდილის შემდეგ განხორციელდა ერთგვარი რეფორმა – შეიქმნა ცალკე ადგილები. ეს ტენდენცია უფრო გაძლიერდა ბრეჟნევის ეპოქაში. საბჭოთა სახელმწიფო ცდილობდა ამ გზით მიეჩქმალა პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებული ადამიანების არსებობა. ისტორიკოსი ალ. დანიელი წერს:

„ამავე დროს, რეჟიმმა არასწორი გათვლა გააკეთა თავისი ამ მისწრაფებით, მოეხდინა ყველა პოლიტპატიმრის გარკვეულ ადგილზე კონცენტრირება (იგულისხმება დუბრავლაგის კოლონია მორდოვეთში და ვლადიმირის ციხე), რათა ისინი, რამდენადაც შესაძლებელია, იზოლირებული ჰყოლოდათ სხვა პოლიტიკური პატიმრებისგან და, როდესაც აქ, მავთულხლართს მიღმა, ამჯერად სინიავსკი, დანიელი, გინზბურგი და მოგვიანებით მოსკოვური ინტელიგენციის ზოგიერთი სხვა წარმომადგენელიც აღმოჩნდა, საბჭოთა მოქალაქეებმა და მთელმა მსოფლიომ შეიტყო არა მარტო ბევრი პოლიტპატიმრის შესახებ სსრკ-ში, რომელთა არსებობასაც რეჟიმი საგულდაგულოდ მალავდა, არამედ სოციალური, პოლიტიკური, რელიგიური და ნაციონალური პრობლემების შესახებ, რომელთა გამოც პატიმრები კოლონიაში მოათავსეს".[153] სინიავსკი და დანიელი კოლონიაში შეხვდნენ არა მარტო მოსკოვური ინტელიგენციის წარმომადგენლებს, არამედ სხვა პოლიტპატიმრებსა და რელიგიური რწმენის გამო დევნილებს ბალტიური რესპუბლიკებიდან. ისინი აქ ასევე შეხვდნენ ანატოლი მარჩენკოს, ასევე, უკრაინელ პოლიტპატიმარ სვიატოსლავ კარავანსკის. სინიავსკისა და დანიელის გასამართლების შემდეგ კიდევ შედგა ერთი მწერლის პროცესი: იური გალანსკოვი 1967 წელს დააპატიმრეს თვითგამოცემა „ფენიქსის"გამო და მომდევნო წელს გაასამართლეს. მასაც პატიმრობა მიესაჯა.

საბჭოთა დისიდენტური მოძრაობის განვითარების უმნიშვნელოვანესი ეტაპი იწყება რეაქციით ჩეხოსლოვაკიაში გათამაშებულ მოვლენებზე. თავად ტერმინი „პრაღის გაზაფხული" (ჩეხ. Prazske jaro), რომელიც პირველად დასავლურ მასმედიაში ახსენეს, თავისი პოლიტიკური სემანტიკით უკავშირდება ხრუშჩოვისეულ „დათბობას", რომლის შექმნაშიც ასევე მხატვრულ ლიტერატურას მიუძღვის წვლილი: ასეთი იყო ილია ერენბურგის მოთხრობის სათაური, რომელიც სტალინის სიკვდილის შემდეგ გამოქვეყნდა, უკვე 1954 წელს. ეს ტექსტი, რომელიც სტანდარტულ მოთხრობაზე ვრცელია, ხოლო რომანზე მცირე მოცულობისაა, მოგვითხრობს იმ ეპოქაზე, როდესაც შესუსტდა წნეხი და დაიწყო სტალინური რეპრესიების მსხვერპლთა რეაბილიტაციის პროცესი.[154] თავად სოციალისტური, საბჭოთა პროპაგანდის მიერ „მოძმე" ქვეყნად სახელდებულ ჩეხოსლოვაკიაში ადგილობრივმა კომუნისტურმა პარტიამ და მისმა ლიდერმა ალექსანდრ დუბჩეკმა დაიწყო ლიბერალიზაციისა და დემოკრატიზაციის პროცესი. მთავრობამ განიხილა კონკრეტული რეფორმების პაკეტიც და მისი პრაქტიკული განხორციელების გზებიც. ამ პროცესში ჩაერთო მთელი საზოგადოება. ალექსანდერ დუბჩეკი, ცხადია, რჩებოდა სოციალიზმის ჩარჩოებში. რაც მან წინ წამოსწია, ეს იყო „სოციალიზმი ადამიანური სახით". თუმცა კრემლისა და კრემლის პოლიტიკის მესვეურებისთვის ეს პროცესები ავისმომასწავებელი ჩანდა. ისინი ამის მიღმა ხედავდნენ მარქსიზმ-ლენინური პოლიტიკური კურსის ღალატს, ასევე, დასავლეთის მცდელობას, სოციალისტური თანამეგობრობისთვის ჩამოეცილებინა ჩეხოსლოვაკია და ამით არეულობა და განხეთქილება შეეტანა მთელ სოციალისტურ ბანაკში.

სწორედ ასეთი დამოკიდებულების გამო მიიღეს გადაწყვეტილება სამხედრო გზით მოეგვარებინათ „პრაღის გაზაფხულის“ პრობლემა, რასაც მოჰყვა ვარშავის პაქტის ჯარების, არსებითად კი, საბჭოთა არმიის ნაწილების შესვლა ჩეხოსლოვაკიაში 1968 წლის 21 აგვისტოს, რომელთაც მოახდინეს როგორც პრაღის, ასევე ქვეყნის დანარჩენი ნაწილების ოკუპაცია. დისიდენტებს საბჭოთა კავშირში პრაღის მოვლენები რეაგირების გარეშე არ დაუტოვებიათ. 25 აგვისტოს, სულ რამდენიმე დღეში პრაღაში შეჭრიდან წითელ მოედანზე მოეწყო საპროტესტო აქცია ჩეხოსლოვაკიის ხალხისადმი სოლიდარობის ნიშნით, რომელშიც სულ 8 მამაცი ადამიანი მონაწილეობდა: ლარისა ბოგორაზი, კონსტანტინ ბაბიცკი, ვადიმ დელონე, ვლადიმირ დრემლიუგა, პაველ ლიტვინოვი, ნატალია გორბანევსკაია, ვიქტორ ფაინბერგი და ტატიანა ბაევა. აქცია დაწყებიდან ძალიან მალე იქნა აღკვეთილი ძალოვანთა მიერ. მის მონაწილეთა ერთი ნაწილი ფსიქიატრიულ კლინიკებში გაამწესეს, მეორე ნაწილს კოლონიებში უკრეს თავი. იმ ხანებში მოსკოვის დისიდენტური წრეები ცდილობდნენ კოლექტიური საპროტესტო კომუნიკეს შედგენას ჩეხოსლოვაკიის ოკუპაციის გამო, მაგრამ საერთო პოზიციის შემუშავება ვერ მოხერხდა.

საბჭოთა უშიშროების კომიტეტის მაღალჩინოსნის, ვასილ მიტროხინის, არქივის მიხედვით, რომელიც 1999 წელს დიდ ბრიტანეთში გამოსცა ისტორიკოსმა ქრისტოფერ ენდრიუმ, „პრაღის გაზაფხულის“ შემდეგ სსრკ-ის სუკ-ში ჩამოყალიბდა საგანგებო მე-5 განყოფილება. ახალი სტრუქტურის მიზანი იყო თვალყური ედევნებინა ინტელიგენციისთვის, სტუდენტობისთვის, ეროვნულად განწყობილი მოღვაწეებისთვის, მორწმუნეებისა და ებრაელებისთვის. საბჭოთა სუკ-ის თავმჯდომარე, პოლიტბიუროს წევრი იური ანდროპოვი დარწმუნებული იყო, რომ სოციალისტური ბანაკისთვის უმთავრეს საფრთხეს სწორედ იდეოლოგიური, „ძირგამომთხრელი“ საქმიანობა წარმოადგენდა. 70-იანი წლების დასაწყისში იგი პოლიტბიუროს სხდომაზე შემდეგი განცხადებით გამოდიოდა: „მტერი პირდაპირ ან არაპირდაპირ ეხმარება კონტრრევოლუციურ ელემენტებს, ეწევა იდეოლოგიურ საბოტაჟს, აარსებს ანტისოციალისტურ, ანტისაბჭოთა და სხვაგვარ მტრულ ორგანიზაციებს და ცდილობს, გააღვივოს ნაციონალიზმი. ამას ცხადად ადასტურებს ჩეხოსლოვაკიაში განვითარებული მოვლენები“.[155]

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში 1968 წელს სრული სიჩუმე და სტაგნაცია შეიმჩნეოდა. როდესაც ზვიად გამსახურდიამ გაზეთ „კომუნისტში“ ამოიკითხა ინფორმაცია ჩეხოსლოვაკიის მოვლენებზე, საღამოს კი ტრანზისტორით მოახერხა „ამერიკის ხმის“ დაჭერა, მისთვის ცხადი გახდა, რომ სსრკ-ს თითქმის იგივე რეაქცია ჰქონდა პრაღაზე, რაც უნგრეთის მოვლენებზე და სხვაგვარი ქცევა პოლიტბიუროსგან შემდგომშიც წარმოუდგენელი იყო. ამ დროს მის მიერ გაკეთებული რაიმე ჩანაწერი არ არსებობს, ცოტა მოგვიანებით კი ზვიად გამსახურდიას ვერდიქტი საბჭოთა კავშირის ისტორისა და თანამედროვეობის შესახებ საკმაოდ მკაცრია: „საბჭოთა სახელმწიფოს

მთელი ისტორია არის პოლიტიკური ავანტიურების, უსამართლობების, სახელმწიფო ტერორიზმის, თეზისი „მიზანი ამართლებს საშუალებას“ ზეიმი; ბოლშევიკებმა, რომლებმაც ბარბაროსულად გაანადგურეს არისტოკრატია, ინტელიგენცია, გლეხობა, ომი გამოუცხადეს რელიგიასა და ტრადიციებს, შექმნეს სახელმწიფო-მონსტრი, იმპერია, როგორც ციხე, და გამოხშირეს ხალხის სული. 30-იანი წლების ხმაურიანმა პროცესებმა, მთელი ხალხების დეპორტაციამ და გენოციდმა, უკანონობის კულტმა, პარტოკრატიის დიქტატმა მოახდინა მილიონობით ადამიანის ცნობიერების გამრუდება. ლენინმა და მისმა მოწაფეებმა მორალურად გამოაცხადეს ყველაფერი, რაც სასარგებლოა სოციალიზმის გამარჯვებისთვის, დააკანონეს ძალადობის კულტი, ძარცვა, დაბეზღება, მკვლელობები, გულაგის საპყრობილე-კოლონიები. სამართალი არსებობდა არა ადამიანის, არამედ სისტემის დასაცავად. ჭეშმარიტების ფლობის აბსოლუტურმა დარწმუნებულობამ, დიდი და პატარა პარტიული ხელმძღვანელების დიქტატმა ცხოვრების ყველა სფეროში, იდეოლოგიური მუშაკების მთელმა არმიამ, რომელიც მეთოდურად ახდენდა ტვინის გამორეცხვას, მოახდინა მასების ცნობიერების სრული ატროფია.“[156]

2.3. სახაროვი, სოლჟენიცინი და დისიდენტური მოძრაობა

ზვიად გამსახურდია მოგვიანებით ჩაწერილ ინტერვიუში ჟურნალისტ ურმას ოტტთან ამბობდა, რომ დისიდენტები სსრკ-ში ხდებოდნენ არა ის ადამიანები, რომლებიც სიმდიდრეს ეძიებდნენ, არამედ ისინი, რომლებიც ვერ იკმაყოფილებდნენ ჭეშმარიტების ძიებით გამოწვეულ სურვილს.[157] დისიდენტურ მოძრაობას სსრკ-ში საერთაშორისო მასშტაბით ორი მნიშვნელოვანი პიროვნება წარმოადგენდა – აკადემიკოსი ანდრეი სახაროვი, ასევე მწერალი და ნობელის პრემიის ლაურეატი ალექსანდრ სოლჟენიცინი. პირველს ზვიად გამსახურდია პირადად იცნობდა და მასთან გარკვეული ურთიერთობა აკავშირებდა, მეორე არასოდეს გაუცნია, თუმცა კარგად იცნობდა მის ნაწარმოებებს და მათ გავრცელებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. სოლჟენიცინთან იგი ურთიერთობდა შუამავლის, მოსკოველი დისიდენტის, კრებულის, „ლოდების ქვემოდან“, გამომცემლის, ვადიმ ბორისოვის, საშუალებით.

ანდრეი სახაროვი, გარდა იმისა, რომ მსოფლიო ყველაზე მნიშვნელოვან საბჭოთა დისიდენტად იცნობს, იყო საბჭოთა ატომური ფიზიკის ეგზემპლარული წარმომადგენელი და სამგზის სოციალისტური შრომის გმირი. ის მუშაობდა ბირთვული ფიზიკის დარგში. აკადემიკოსი 32 წლის ასაკში გახდა, როდესაც დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. ვ. გინზბურგის მოსაზრებით, იმაში, რომ იგი აკადემიის წევრ-კორესპონდენტის საფეხურის გვერდის ავლით გახდა აკადემიის ნამდვილი წევრი, გადამწყვეტი როლი შეასრულა მისმა ეროვნულმა კუთვნილებამ – რუსობამ. აკადემიაში უკვე იყო რამდენიმე ებრაელი და ხელისუფლება

თითქოს დაინტერესებული ჩანდა, რუსი ეროვნების მეცნიერის წამოწევით. ამ დროს, რასაკვირველია, გაითვალისწინეს ისიც, რომ იგი სამხედრო სფეროდან იყო.[158] დისიდენტ როი მედვედევის აზრით, სახაროვი მეტისმეტად დიდხანს ცხოვრობდა უკიდურესად იზოლირებულ სამყაროში, სადაც ცოტა რამ იცოდნენ ქვეყანაში მომხდარის შესახებ, იმ ადამიანების ცხოვრების შესახებ, რომლებიც სხვა სოციალურ ფენებს ეკუთვნოდნენ, ასევე, იმ ქვეყნის რეალური ისტორიის შესახებ, რომლისთვისაც ისინი მუშაობდნენ".[159]

აკადემიკოსი ანდრეი სახაროვი 1967 წლიდან იყო სსრკ-ის უფლებადამცველური მოძრაობის ლიდერი. მანამდე ერთი წლით ადრე იგი შეუერთდა 25 მეცნიერისა და მოღვაწის პეტიციას ლეონიდ ბრეჟნევისადმი, სადაც გამოთქმული იყო პროტესტი სტალინის შესაძლო რეაბილიტაციის გამო. 1968 წლის 26 აგვისტოდან მან დაიწყო თვითგამოცემასა და „ნიუ-იორკ თაიმსში" სტატიების გამოქვეყნება, სადაც გმობდა სტალინურ ტერორსა და სსრკ-ის სამხედრო ინტერვენციას ჩეხოსლოვაკიაში, ასევე, დაწერა და გაავრცელა ბროშურა „ფიქრები პროგრესზე, მშვიდობიან თანაარსებობასა და ინტელექტუალურ თავისუფლებაზე". ამავე წელს მან აკადემიკოს ფაინბერგის ბინაში გაიცნო მწერალი ალ. სოლჟენიცინი. ხოლო 1970 წელს ანდრეი ტვერდოხლებოვსა და ვალერი ჭალიძესთან ერთად შექმნა „მოსკოვის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი". მათ მოახერხეს დაეთანხმებინათ იმავე წელს ნობელის პრემიის ლაურეატად ნომინირებული ალექსანდრე სოლჟენიცინი, გამხდარიყო ამ კომიტეტის წევრ-კორესპონდენტი. კომიტეტის ერთ-ერთი გაცხადებული მიზანი იყო ბრძოლა პოლიტპატიმართა უფლებებისა და მათი განთავისუფლებისთვის, ასევე, საბჭოთა „მართლმსაჯულების" მხილება.[160]

მიტროხინის არქივში აღმოჩნდა სუკ-ის 1973 წლის საიდუმლო მოხსენება, სადაც აღნიშნულია, რომ აკადემიკოსი სახაროვი იყენებს თავის ავტორიტეტს, რათა ზეგავლენა მოახდინოს „ანტისაზოგადოებრივი ელემენტების წინააღმდეგ გამართულ სასამართლო პროცესებზე". ოფიციოზის ჟარგონით, სწორედ ასეთ ელემენტებად ითვლებოდნენ დისიდენტები. სოლჟენიცინთან ამ ჯგუფის ურთიერთობა იოლი არ უნდა ყოფილიყო: ამავე 1970 წლის მიწურულს სახაროვმა შესთავაზა სოლჟენიცინს, დაესახათ და განეხორციელებინათ ერთობლივი ღონისძიებები პოლიტპატიმრების, მარჩენკოსა და გრიგორენკოს, გამოსახსნელად, რაზეც სოლჟენიცინმა უარი განაცხადა. მისი თქმით, ეს ხალხი „ტარანზე წავიდა", მათ საკუთარი ბედი თავად აირჩიეს და მათი გადარჩენა შეუძლებელია. ყოველი ასეთი მცდელობა ავნებს მათაც და სხვებსაც. სამწუხაროდ, მისი ეს პროგნოზი მარჩენკოზე გამართლდა. 1986 წელს, მრავალწლიან პატიმრობაში მყოფი მარჩენკო 117 დღიანი შიმშილობის შემდეგ ჩისტოპოლის ციხის საავადმყოფოში გარდაიცვალა.

ანდრეი სახაროვი 1968 წლიდან არალეგალურად აქვეყნებდა მასალებს „სამიზდატის" ფარგლებში. მოგვიანებით დაიწყეს ჟურნალ „მიმდინარე ამბების ქრონიკის", გამოცემა, რომლის დაბეჭდვაც და გავრცელებაც, გასაგები მიზე-

ზების გამო, დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. 1973 წელს სუკ-მა ნაწილობრივ გაშიფრა ამ არალეგალური ჟურნალის ტექნიკური ჯგუფი და დააპატიმრა პიოტრ იაკირი და ვიქტორ კრასინი. მათ წინააღმდეგ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე „იდეოლოგიურად ძირგამომთხრელი მასალების ფლობის, დაბეჭდვისა და გავრცელების გამო". ძიებისას მათ მიერ დასახელებულ იქნა 154 პირი, რომელთა ნაწილიც შემდგომ სუკ-ში დაიბარეს და გააფრთხილეს, ნაწილი კი დააპატიმრეს და გაასამართლეს. იაკირისა და კრასინის ფონზე მით უფრო დასაფასებელნი არიან ის დისიდენტები, რომლებსაც ძიების პროცესში არავინ არ დაუსახელებიათ.

ეს, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, რომ სუკ-ის მეთოდების მთელი არსენალი მხოლოდ აღიარებით ჩვენებაზე იდგა – მათ გააჩნდათ ინდივიდუალური თვალთვალის სისტემაც და აგენტურული ქსელის საინფორმაციო ბაზაც. იაკირისა და კრასინის პროცესის მიმდინარეობისას აკად. სახაროვმა 1973 წლის სექტემბერში მიმართა აშშ-ის კონგრესს და მოუწოდა ამერიკას, უარი ეთქვა იმ დათმობებზე, რაზეც სახელმწიფო დეპარტამენტი წავიდა სსრკ-თან დაძაბულობის შენელების პროცესის ხელშესაწყობად. სენატმა 1974 წლის 13 დეკემბერს გადაწყვიტა სსრკ-თვის გარკვეული შეღავათები დაეწესებინა ვაჭრობის სფეროში და ეს მიება საბჭოთა კავშირიდან ებრაელებისა და სხვა რელიგიური უმცირესობებისთვის გაიოლებული ემიგრაციის პირობების შექმნასთან. სენატორმა დემოკრატიული პარტიიდან, ცივი ომის პერიოდში თავისი ანტიკომუნისტური განწყობით ცნობილმა ჰენრი ჯეკსონმა და რესპუბლიკელმა ჩარლზ ვენიკმა სახაროვის მემორანდუმზე რეაგირების ნიშნად შეადგინეს შესწორების პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა მკაცრ სანქციებს სსრკ-ის წინააღმდეგ. ამ კანონპროექტს ჰყავდა მოწინააღმდეგე პრეზიდენტ რიჩარდ ნიქსონის ადმინისტრაციის სახით. სახაროვის მიმართვა დაბეჭდა „ვაშინგტონ პოსტმა", რამაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა კონგრესზე. ჯეკსონის კანონპროექტი დამტკიცდა, ხოლო ნიქსონის გადადგომის შემდეგ პრეზიდენტმა ჯერალდ ფორდმა აღნიშნულ კანონს ვაჭრობის შესახებ 1975 წლის იანვარში მოაწერა ხელი.[161]

ამ ამბავმა, რასაკვირველია, პოლიტბიუროს გამძვინვარება გამოიწვია. ლეონიდ ბრეჟნევის თქმით, „ამგვარი ქმედება იყო არა მარტო „ანტისაბჭოთა და ანტისახელმწიფოებრივი აქცია, არამედ ტროცკისტულიც". 1974 წლის 11 თებერვალს პოლიტბიურომ მხარი დაუჭირა იური ანდროპოვის წინადადებას, რაც გულისხმობდა „ანტისაბჭოთა ელემენტების" წინააღმდეგ მიმართულ ფართო ღონისძიებათა კომპლექსს. ამ გადაწყვეტილების მიღებიდან სამი დღის შემდეგ საბჭოთა კავშირიდან გააძევეს მწერალი ალ. სოლჟენიცინი, რომელსაც ჩამოერთვა მოქალაქეობა.

ალექსანდრ სოლჟენიცინმა ხანგრძლივი და წინააღმდეგობრივი გზა განვლო მარქსისტ-ლენინელ-სტალინელიდან ანტისტალინელამდე, შემდეგ კი ლენინური გზის ჩვეულებრივი კომუნისტიდან – რუსულ რელიგიურ პატრიოტამდე. მან

8 წელიწადი გაატარა საბჭოთა ციხეებსა და კოლონიებში, 1945 წლიდან 1953 წლამდე, ხოლო მისი რეაბილიტაცია 1956 წელს მოხდა. სოლჟენიცინი ყოველთვის წერდა, რომ მუზას არასოდეს შეუქცევია მისთვის ზურგი, თუმცა აღიარება მოგვიანებით მოუწია: 1961 წელს მისი მოთხრობა მოეწონა ჟურნალი „ნოვი მირის" რედაქტორს, ალექსანდრ ტვარდოვსკის, რომელმაც, აიღო რა პოლიტბიუროსგან ამის ნებართვა, ეს ნაწარმოები დაბეჭდა თავის ჟურნალში. ამ მოთხრობას სხვებიც მოჰყვა. იგი მომდევნო წელს მწერალთა კავშირის წევრადაც მიიღეს და ლენინურ პრემიაზეც წარადგინეს 1964 წელს, მაგრამ ეს პრემია მწერალმა ვერ მიიღო. მწერალ ვარლამ შალამოვის თვალსაზრისით, „ივან დენისოვიჩის" ყოველი სტრიქონი, ყოველი სცენა და ხასიათები იმდენად ლაკონიური, ჭკვიანური, დახვეწილი და ღრმა იყო, რომ აღნიშნულ ჟურნალს დიდი ხანია მსგავსი არაფერი დაებეჭდა.[162]

სწორედ მკითხველთა გამოხმაურებებმა ამ ნაწარმოებზე მიიყვანა მწერალი იდეამდე, შეექმნა თავისი ცენტრალური ნაწარმოები „გულაგის არქიპელაგი". საბჭოთა კავშირში ხელმძღვანელობის შეცვლამ, ცხადია, უარყოფითად იმოქმედა სოლჟენიცინის შემოქმედებაზე – ლეონიდ ბრეჟნევის პირობებში მისი ლეგალურად ბეჭდვა, პრაქტიკულად, შეწყდა. სკკპ-ის XXIII ყრილობაზე სწორედ მისი მისამართით გაისმა მოწოდება, გადამჭრელად წინ აღდგომოდნენ საბჭოთა გმირული „ისტორიის ფალსიფიკაციას". ალექსანდრე სოლჟენიცინმა თავისი შემოქმედების უმთავრესი ნაწარმოები, „გულაგის არქიპელაგი", დაასრულა 1967 წლის თებერვალში. ამავე წელს მან საბჭოთა კავშირის მწერალთა ყრილობას მიმართა წერილით, რომელმაც დიდი პოპულარობა მოუპოვა დასავლეთში. ამის შემდეგ მისი ნაწარმოებები დაიბეჭდა დასავლეთ ევროპასა და აშშ-შიც, როგორც „წრე პირველი", ისე „კიბოს კორპუსი". აქედან მოყოლებული, სოლჟენიცინის წინააღმდეგ პრესაში იწყება კამპანია, იგი ცოტა მოგვიანებით, 1969 წელს, მწერალთა კავშირიდანაც გაირიცხა და „შერისხულად" გამოცხადდა. მისი ნაწარმოებები მხოლოდ დასავლეთში იბეჭდებოდა, თუმცა მას ნობელის პრემია „გულაგის" გამო არ მინიჭებია 1970 წელს – ეს ის წელია, როდესაც იგი სახაროვის დისიდენტების ჯგუფს დაუკავშირდა. „გულაგის არქიპელაგი" პირველად გამოქვეყნდა 1973 წელს პარიზში და მსოფლიომ ამ წიგნიდან შეიტყო „გულაგის" სისტემის არსებობის შესახებ, ასევე, საბჭოთა კოლონიებსა და ბანაკებში განთავსებული ადამიანების უმძიმესი მდგომარეობის, იქ მომხდარი ამბების შესახებ. კრემლის რეაქცია ამაზე ცნობილია – 1974 წლის თებერვალში მწერალი დააპატიმრეს, მას ჩამოართვეს სსრკ-ის მოქალაქეობა და გააძევეს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.

ზვიად გამსახურდია თავის „ჩანაწერებში" ახსენებს საჰაერო ხიდს, რომელიც გაიდო თბილისსა და მოსკოვს შორის. რატომ გახდა ეს „ხიდი" საჭირო? იგი საჭირო გახდა იმიტომ, რომ მეტადრე იაკირისა და კრასინის დაპატიმრების შემდგომ, 1973 წელს სუკ-ის მიერ სრულიად კონტროლქვეშ იქნა აყვანილი ყველა სტამბა და თითქმის ყველა ადამიანი, ვისაც შეეძლო თვითგამოცემების

დაბეჭდვა-გამრავლებაში მონაწილეობა მიეღო. ჟურნალი „ქრონიკა“ მოსკოვში გამოდიოდა 1968-1983 წლებში. მის ბოლო გვერდზე გასაგები მიზეზების გამო არ იყო მითითებული რედაქციის მისამართი, სადაც შესაძლებელი იქნებოდა თუნდაც მასალის გაგზავნა დასაბეჭდად. „ქრონიკა“ 1978-1972 წლამდე გამოდიოდა რეგულარულად და სულ გამოვიდა 27 ნომერი. ჟურნალის მორიგე რედაქტორები იყვნენ ცნობილი დისიდენტები, პოეტი და მთარგმნელი, 1968 წელს წითელ მოედანზე გამართული მიტინგის მონაწილე ნატალია გორბანევსკაია (მიესაჯა 3 წლით იძულებითი მკურნალობა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში), გალინა გაბაი (აიძულეს ემიგრაციაში წასვლა), ელენა სმორგუნოვა და იული კიმი, ანატოლი იაკობსონი (ემიგრირებული და თვითმკვლელობამდე მიყვანილი). შემდეგ რამდენიმე ნომერს რედაქტორობდნენ ტატიანა ხოდოროვიჩი, ტატიანა ველიკანოვა და სერგეი კოვალიოვი. ჟურნალის გამოცემა 1972 წლის ბოლოს დროებით შეწყდა და 1974 წელს განახლდა – ერთბაშად სამი ნომერი გამოვიდა.

ზვიად გამსახურდია, რომელიც პირადად იცნობდა ამ ადამიანებს, იგონებდა, თუ რაოდენ დიდ პრობლემებთან იყო დაკავშირებული „მიმდინარე ამბების ქრონიკის“, გამრავლება – რამდენიმე ქალი იჯდა დღე და ღამე მაგიდასთან და „რემინგტონის“ საბეჭდ მანქანაზე ბეჭდავდა მთელ ნომრებს კოპირების შავი ქაღალდების გამოყენებითო. ზვიად გამსახურდიამ საკუთარ თავზე აიღო ამ ჟურნალების გადაბეჭდვა თბილისში, რასაც მოსკოველები თავიდან სკეპტიციზმით უნდა შეხვედროდნენ. თბილისში ოფსეტური წესით დაიბეჭდა „გულაგის არქიპელაგი“ ალ. სოლჟენიცინისა, მისივე მცირე ზომის წიგნი „მსოფლიო და ძალადობა“, დისიდენტური სტატიების კრებული „ლოდების ქვემოდან“, ასევე – „მიმდინარე ამბების ქრონიკა“. უშიშროების კომიტეტი, ზვიად გამსახურდიას თქმით, იმ პერიოდში თვალყურის დევნებით შემოიფარგლებოდა: მე მხოლოდ ერთხელ დამიბარეს დაკითხვაზე 1972 წელს, ხოლო მერაბ კოსტავა დააკავეს ერთი დღით, თბილისში ცნობილი რუსი დისიდენტისა და მათემატიკოსის, იური გასტევის, ჩამოსვლისას, რომელიც სასტუმრო „საქართველოში“ გაჩერდა. სუკ-მა გაჩხრიკა მისი ნომერი, რამდენადაც ვერაფერს მნიშვნელოვანს ვერ მიაგნო, საქმე აღარ გაუმწვავებიათო.

ამავე დროს, სუკ-ს არ ჰქონია ამომწურავი ინფორმაცია ზვიად გამსახურდიას საიდუმლო კავშირების შესახებ იმ ოფსეტური ბეჭდვის ცეხებთან, რომლებიც განთავსებული იყო სახელმწიფო დაწესებულებებში. ამ ცეხებში ხდებოდა თვითგამოცემების არალეგალური ბეჭდვა და გამრავლება. სუკ-ს რამდენიმეჯერ დაუკითხავს საზოგადოება „ცოდნის“ ოფსეტური ბეჭდვის ცეხის სპეციალისტი ნოდარ ქავთარაძე. ამ დაკითხვებიდან მათ მიიღეს გარკვეული ინფორმაცია, თუმცა ეს ჯერ კიდევ არ უნდა ყოფილიყო ის ინფორმაცია, რომელიც ესაჭიროებოდათ. ქავთარაძის წინააღმდეგ საქმე არ აღძრულა. ზვიად გამსახურდია, მისივე თქმით, 1974-1975 წლებში თითქმის ყოველთვე ჩადიოდა მოსკოვში და ჩემოდნებით ჩაჰქონდა ეს ლიტერატურა. საერთო რაოდენობამ 1 000-ს მიაღწია, რაც, იმდროინდელი პირობების გათვალისწინებით, მართლაც

შთამბეჭდავია. თუმცა მას შემდეგ, რაც იგი გახდა ანდრეი ტვერდოხლებოვსა და ვალენტინ ტურჩინთან ერთად „საერთაშორისო ამნისტიის კომიტეტის“ წევრი, საკავშირო სუკ-მა მოსკოვში რამდენიმეგზის ამოიღო „გულაგის არქიპელაგის“ ასლები და დაიწყო მოკვლევა მათი წარმომავლობის შესახებ. რასაკვირველია, ეჭვი მიიტანეს თბილისზე, რის გამოც 1976 წლის 22 მაისს ზვიად გამსახურდია დააკავეს დომოდედოვოს აეროპორტში, სადაც მას ჩამოართვეს ასეთი ლიტერატურით სავსე ჩემოდანი.[163]

ნატალია სოლჟენიცინა, განსვენებული მწერლის, ალ. სოლჟენიცინის, მეუღლე, ამ აქტივობის შესახებ წერს: „საბჭოთა კავშირში ასეთი მაკოპირებელი მანქანა ზვიად გამსახურდიამ შემოიტანა. „გულაგის არქიპელაგის“ ტომები იქ (ანუ თბილისში) იბეჭდებოდა და მოჰქონდათ დიდი გრაგნილების სახით. აქ (ანუ მოსკოვში) ჭრიდნენ და ყდებსაც უკეთებდნენ. ჩვენ ერთი ასეთი წიგნი ვერმონტშიც კი გამოგვიგზავნეს. დიდი მადლობა და თაყვანისცემა თქვენ, და თქვენნაირებს“. – მიმართავს ნატალია სოლჟენიცინა ზვიად გამსახურდიას. აქ ერთი მიამიტური და კეთილად ღიმილისმომგვრელი ინფორმაციაა, თითქოს მაკოპირებელი მანქანა რესპუბლიკაში ზვიად გამსახურდიამ შემოიტანა. ეს შეუძლებელი იქნებოდა თუნდაც იმიტომ, რომ ზვიად გამსახურდიას საზღვარგარეთ არავინ გაუშვებდა, მით უმეტეს, ასეთი მისიით, რომ მსგავსი აპარატურა შემოეტანა – კიდევაც რომ მოესურვებინა, ამას არავინ დააცლიდა. რაც დანამდვილებით ცნობილია, არის მოქმედების კონსპირაციული მეთოდი, რომელსაც იგი მიმართავდა – საკმაოდ მაღალი ფულადი ანაზღაურების ფასად მიეღო ეს ქსეროასლები. მას საამისოდ თანხაც ჰქონდა – ეს იყო კონსტანტინე გამსახურდიას რვატომეულის გაყიდვით მიღებული ჰონორარები.[164]

„გულაგის არქიპელაგის“ გავრცელებაზე ინფორმაცია სხვა ავტორებთანაც გვხვდება, თუმცა მასში ერთგვარი უზუსტობაცაა შერეული. ასე მაგალითად, „ანტისაბჭოთა მუზეუმის“ რუსულ ვებგვერდზე („არზამასის აკადემიის მასალები“) სტატიაში, რომლის ავტორიცაა ალექსეი საველიევი, ვკითხულობთ: „საკმაოდ იშვიათი მეთოდია სამიზდატის შექმნისა მისი ბეჭდვა ხელისუფლების ცხვირწინ, სახელმწიფო გამომცემლობებში. ასე და ამგვარად, 1974 წელს საქართველოს მომავალმა პირველმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ – იმ დროს ყველაზე ცნობილმა დისიდენტმა, რომელიც ადამიანის უფლებების დაცვით იყო დაკავებული, საქართველოს „ჰელსინკის ჯგუფის“ დამაარსებელმა, მწერალმა და მთარგმნელმა, არალეგალურად გამოსცა (შესაძლოა, ანაზღაურების ფასად) სოლჟენიცინის „გულაგის არქიპელაგი“, იმ დროისთვის გიგანტური ტირაჟით, გავრცელებული ხმებით, ათასი ეგზემპლარით. ტირაჟი ჩამოიტანეს პოდმოსკოვიეში, გაუკეთეს ყდა და ხდებოდა მისი გავრცელება გარკვეულ ფასად – თითოეული ტომი ღირდა 25 მანეთი (მაშინდელი საშუალო ხელფასი საბჭოთა კავშირში იყო 200 მანეთი).[165]

დიმიტრი როდიონოვი 2012 წლის 1-ელი თებერვლის გაზეთ „კონკურენტში“ წერს: „1974 წელს დისიდენტებს ზვიად გამსახურდიასა (საქართველოს მომავა-

ლი პრეზიდენტი) და მერაბ კოსტავას ჩემოდნებით ჩამოჰქონდათ თბილისიდან მოსკოვში სოლჟენიცინის „გულაგის არქიპელაგი" — პატარა, მოყვითალო ფერის ჯიბის ფორმატის ტომები (პარიზული გამოცემის ასლები, გადამრავლებული ქსეროქსზე და მუშამბისებურ ყდაში ჩასმული). „ისინი ამ ტომებს ყიდდნენ, რამდენადაც მახსოვს, თითოს 20 მანეთად, და გაყიდეს 1 000-მდე ეგზემპლარი" — ყვება უფლებადამცველი ალექსანდრ დანიელი. ისტორიკოსი იქვე ამატებს, რომ აკრძალულ ლიტერატურას, რომელიც საბჭოთა მოქალაქეებს ჩამოერთვათ, მებაჟეებიც შავ ბაზარზე ყიდდნენ".[166]

რასაც ამ უკანასკნელ ამონარიდში ეკითხულობთ „გულაგის არქიპელაგის" 20 საბჭოთა მანეთად გაყიდვაზე, არანაირად არ შეესაბამება სინამდვილეს. სხვათა შორის, არცერთ ძველ დისიდენტთან, ან დისიდენტებთან დაახლოებულ პირებთან, როგორებიც იყვნენ ან დღესაც არიან, მაგალითად, ალექსანდრე გინზბურგი, ვადიმ ბორისოვი, იური ორლოვი, მოსკოვის „ჰელსინკის ჯგუფის" დამფუძნებელი, ყოფილი პოლიტპატიმარი ვალერია ნოვოდვორსკაია, ლიტერატურათმცოდნეობის პროფესორი ტატიანა ნიკოლსკაია და სხვები, მსგავს ცნობას ვერ წააწყდებით. ერთადერთი გამონაკლისია ლუდმილა ალექსეევა, რომლის ცნობითაც, მერაბ კოსტავამ მას დაურეკა და გულაგის გავრცელება 10 მანეთად შესთავაზა. ალექსეევა იქვე დასძენს, „შავ ბაზარზე" წიგნი 4-ჯერ ძვირი ღირდაო.[167] დასახელებული ვერსიაც, როგორც ჩანს, აქედან იღებს სათავეს. ეს ცნობა „გულაგზე" გარკვეული ფასის დადებასა და ისე გაყიდვას რაც შეეხება, სავარაუდოდ, უნდა იყოს უკანა რიცხვით შექმნილი და წარმოადგენს ერთგვარ ხარკს თანამედროვე რუსეთის სახელმწიფო რეზონის, მისი უშიშროების ორგანოებისა და ზოგადად კონიუნქტურისთვის, რამდენადაც კრემლისეულმა რუსულმა პროპაგანდამ ზვიად გამსახურდია, დიდი ხანია, საბჭოთა კავშირისა და რუსეთის ფედერაციის მტრად გამოაცხადა.

არალეგალურად გადამრავლებული „გულაგის არქიპელაგი" თუ იყიდებოდა, დანამდვილებით არა ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას მიერ, რომელთაც ნამდვილად არ ჰქონიათ დიდი სანაცნობო ქსელი მოსკოვსა და შემოგარენში, გარდა დისიდენტებისა. გამოდის, რომ ისევ დისიდენტებზე ყიდდნენ და ამ დისიდენტებმა ეს 21-ე საუკუნის 10-იან წლებამდე არსად არ ახსენეს და არ დაწერეს? ან როგორ წარმოუდგენიათ ამ ვერსიის გამზიარებლებს, ტექნიკურად მაინც როგორ ახერხებდნენ ამას, დახლი ჰქონდათ მოსკოვის რომელიმე ქუჩაზე გამართული სუკ-ის თვალთვალის პირობებში თუ, როგორც სსრკ-ში „სპეკულიანტები", ოპერირებდნენ კერძო ბინაზე, ამ ტომებსაც ისევე ყიდდნენ? რაც შეეხება მოტივაციას, თუ რატომ ამრავლებდა ზვიად გამსახურდია ხსენებულ ოთხტომეულს და რატომ ჩაერთო ასეთ სარისკო ამბავში, ძნელი გამოსაცნობი არ უნდა იყოს. პირველ რიგში, ეს იყო მისი რწმენა, რომ რეალური სტალინიზმი, როგორც ის სოციალურ და პოლიტიკურ ასპექტებში გამოვლინდა, ბოროტება იყო. ზვიად გამსახურდია თავის სტატიაში „სამიზდატური" წიგნების გავრცელებაზე აღნიშნავს, რომ ამით მან მოიხადა მორალური ვალდებულება

გულაგის მსხვერპლთა წინაშე, ხელი შეუწყო რა ისტორიული სიმართლისთვის დიდი მებრძოლის, ალექსანდრ სოლჟენიცინის, წიგნების გავრცელებას.[168] იგულისხმებოდა „გულაგი“, „წრე პირველი“, ასევე, „და რქენდა ხბო მუხას“. რა თქმა უნდა, აქ პოლიტიკური და ტაქტიკური ჩანაფიქრიც ამოიცნობა: ბრეჟნევი და მისი პოლიტბიურო, რომლებმაც დაამხეს საბჭოთა კომუნიზმთან მიმართებით სრულიად გადაუწყვეტელი და საკუთარ პოზიციონირებაში გაურკვეველი ნიკიტა ხრუშჩოვი, არსებითად, ლატენტური სტალინისტები იყვნენ. ხოლო რასაც სოლჟენიცინი თავის წიგნებში წერდა, იმპერიის დედაქალაქში იმის გავრცელება ხელს შეუწყობდა მათი იდეოლოგიისა და ძალაუფლების ვერტიკალის თანდათანობით პარალიზებას.

ზვიადს სოლჟენიცინის სხვა წიგნებზეც მიუწვდებოდა ხელი. 1974 წელს იგი ლენინგრადში დაუკავშირდა ნატალია გორბანევსკაიას, რომელსაც უკვე მოხდილი ჰქონდა სასჯელი ანტისაბჭოთა პროპაგანდისა და ჩეხოსლოვაკიისადმი სოლიდარობის გამოხატვის გამო. ზვიადმა მისგან მიიღო სოლჟენიცინის თხზულებები „იცხოვრე სიცრუის გარეშე“ და „წერილები საბჭოთა კავშირის ბელადებს“.

პეტერბურგელი პროფესორი ტატიანა ნიკოლსკაია ადამიანური კუთხით იგონებს ზვიად გამსახურდიას პერიოდულ ყოფნას მოსკოვსა და ლენინგრადშიც: „იმ დროს (ანუ 70-იანების დასაწყისში) ზვიადს უნდოდა რუს დისიდენტებთან ერთად ყოფნა. მოსკოვში ყოფნისას გაიცნო ვადიმ ბორისოვი, ისტორიკოსი, რომელიც ასპირანტურიდან გარიცხეს სოლჟენიცინის მხარდაჭერის გამო. ზვიადს უთხრეს, რომ დიმა (ანუ ვ. ბორისოვი, კ. გ.) ორი შვილის მამა, სილარიბეში ცხოვრობსო. მან მაშინვე ფული შესთავაზა, რაც დიმამ იუარა. 1975 წლის ზამთარში ვაშლი და ხურმის ჩირი შეიძინა და ნობათი გაგზავნა დიმა ბორისოვის შვილებისთვის. ხურმის ჩირი რა იყო, არავინ იცოდა, ამიტომ ამ უცნობ ხილს საბავშვო ხურმას უწოდებდნენ“. ზვიადი ნობათებს ალექსანდრე გინზბურგის ოჯახსაც უგზავნიდა. „როდესაც 1991 წელს, პარიზში ვიყავი, ალიკამ, რომელიც იმჟამად „რუსსკაია მისლში“ მუშაობდა, თავიდანვე მკითხა: „როგორ არის ჩემი მეგობარი ზვიადი?“ თავად ზვიადი არაერთგზის ჩიოდა, რომ მოსკოველი დისიდენტები, ალიკასა და დიმას გარდა, მას უფრო მეტად უფრთხოდნენ, ვიდრე – სუკ-ს. ერთხელ მოყვა, რომ ერთ-ერთ მოსკოველ უფლებადამცველს სთხოვა სადარბაზოში, კიბესთან გამოსვლა, რომელსაც მისი ცოლი ფეხშიშველა გამოყოლია. ასეთი შიშები დედაქალაქის უფლებადამცველურ წრეებში გამოწვეული იყო კონსპირაციული წესების დაუცველობის გამო“.[169]

ზვიად გამსახურდიას, ცხადია, გარკვეული დრო დასჭირდა, ვიდრე გაერკვეოდა იმ კონსპირაციულ წესებში, რომელსაც დისიდენტები სსრკ-ის დედაქალაქში იცავდნენ. ასე მაგალითად, იგი იგონებდა, რომ დისიდენტები ტელეფონზე საქმის შესახებ არასოდეს საუბრობდნენ. თვით ბინაშიც კი ერიდებოდნენ ხმამაღლა საუბარს – წერდნენ ფურცლებზე, ერთმანეთს აწვდიდნენ და შემდეგ ამ ფურცლებს წვავდნენ. დისიდენტების ისტორიის შესახებ დაწერილი წიგნის

ავტორი ლუდმილა ალექსეევა აღნიშნავდა, რომ ორად-ორი ადამიანიდან, რომლებიც სახლიდან დაუთხოვია, ერთ-ერთი საქართველოს ახლანდელი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია იყო. როგორც თავად იხსენებს, შეთანხმება იყო, რომ ზვიადსა და მერაბს, მისი მეგობრის, ვიქტორია ჩალიკოვას, სახლში უნდა დაეტოვებინათ წიგნებით სავსე ჩემოდანი. რამდენადაც თავად ვიქტორია სახლში არ იყო, მათ ბინაში უნდა შეეღწიათ სადარბაზოში მათთვის დატოვებული, დამალული გასაღებით. ისინი შესულან ბინაში, თუმცა წიგნები ამოულაგებიათ, როიალის ქვეშ დაუწყვიათ და ჩემოდანი თან წაუღიათ. მომხდარა ისე, რომ სახლში მოსული ბავშვები წიგნებით დაინტერესებულან და კითხვა დაუწყიათ. ამის გამო ლუდმილა ალექსეევას საყვედური უთქვამს, ასე რატომ მოიქეცითო. ზვიადს ამაზე თითქოს უპასუხია: „მე ფატალისტი ვარ, რაც არ უნდა ქნა, თუ უფლის განზრახვა არ არის, ერთი ღერი თმაც არ ჩამოგივარდება".[170]

რა შეიძლება ამ მოგონების სისწორეზე ითქვას? ზვიად გამსახურდია, რომელიც მორწმუნის ცხოვრებით ცხოვრობდა, ასევე ქრისტიანულ თეოლოგიას, როგორც დასავლურს, ისე აღმოსავლურ ტრადიციებს საკმაოდ კარგად იცნობდა, თავისი რელიგიური მრწამსიდან გამომდინარე, არასდროს იტყოდა საკუთარ თავზე, რომ „ფატალისტი" იყო. მას არ სჯეროდა არც ფატუმის, არც ვარსკვლავთა განსაკუთრებული გავლენისა ადამიანის ქმედებებზე. ლუდმილა ალექსეევას ლიბერალურ-ათეისტური აღქმისთვის ის, რასაც ზვიად გამსახურდია საკუთარ თავში ატარებდა, ვიღაცების თვალში, ალბათ, „ფატალისტურად" გამოიყურებოდა. თანაც დავაკვირდეთ ინტერვიუს თარიღს – 1991 წელი. პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას, მისი ინდეპენდისტური პოლიტიკური კურსის გამო, უკვე ღია მტრად ჰყავდა მოკიდებული რუსი დისიდენტების დიდი ნაწილი, ანდრეი სახაროვის ქვრივით, ელენა ბონერით, სათავეში. ამ შემთხვევაშიც რუსი დისიდენტების მეინსტრიმული ნაწილის მხრიდან რუსული იმპერიული კონიუნქტურისთვის ხარკის გადახდასთან უნდა გვქონდეს საქმე.

სხვათა შორის, ერთგვარი გაუგებრობა ა. ამალრიკთანაც მოხდა. მწერალი ანდრეი ამალრიკი, ავტორი წინასწარმეტყველური წიგნისა „მიაღწევს თუ არა საბჭოთა კავშირი 1984 წლამდე?" რომელიც 1975 წელს განთავისუფლდა პატიმრობიდან, თბილისში ჩამოვიდა. ზვიად გამსახურდია წერს, რომ ამალრიკი მას დისიდენტ ალ. გინზბურგის ოჯახმა გააცნო. რამდენადაც იყო საფრთხე ამალრიკის თბილისიდან გაძევებისა, ჩაწერის არქონის გამო, ზვიადმა იგი გააფორმა კოლხური კოშკის მებაღედ და ამის საფუძველზე ჩაწერა. ამალრიკი და მისი მეუღლე გუზელ მაკუდინოვა მერაბ კოსტავას სახლში ცხოვრობდნენ. მასთან არაერთი საინტერესო საუბარი შედგა. ამბავი, რომელსაც აღწერს, მისი თბილისში ჩამოსვლის შემდეგ სულ რაღაც ერთ თვეში მოხდა – 1976 წლის 17 მაისს, და მემუარებში ახსენებს ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას – მეტისმეტად ეჭვიანები იყვნენ, სულ სუკ-ი და მისი აგენტურა ელანდებოდათო. შემდეგ აღწერს შემთხვევას, სადაც მათ თითქოს ვიღაც კაცი სცემეს ქუჩაში, რამდენადაც სუკ-ის აგენტად მიიჩნიესო. სინამდვილეში რა მოხდა? ზვიად გამ-

სახურდიას „ჩანაწერებში“ ვკითხულობთ, როგორ იყო ეს ამბავი: აღნიშნულმა პირმა ქუჩაში ლანძღვა-გინება დაუწყო ორივეს და პროვოკაციაზე იწვევდა. არ იცოდა რა ქართული, ამალრიკს, შესაძლოა, ვერც გაეგო შელაპარაკების შინაარსი. რამდენადაც რამდენიმე გამვლელს ზვიადი და მერაბი უცნია, ისინი თვითონვე გასწორებიან აღნიშნულ პირს. თუმცა ამალრიკს, როდესაც ასეთ პასაჟს აქვეყნებდა, თავში აზრადაც არ მოსვლია, რომ ამით პოზიციას უმყარებდა სუკ-ს, რომელიც ზვიადისა და მერაბის „ხულიგნობის“ დამტკიცებას ცდილობდა. ეს კი რეპრესიისთვის საუკეთესო საბაბი იყო.

1976 წლის 22-23 აპრილს საქართველოს მწერალთა კავშირის მერვე ყრილობა ჩატარდა მთავრობის სასახლის მთავარ დარბაზში. ოფიციოზი დაინტერესებული იყო, რომ ზვიად გამსახურდია არ დასწრებოდა ამ ღონისძიებას. როგორც მწერალთა კავშირის წევრს, უარს ვერ ეტყოდნენ, ამდენად მომდევნო დღეს ზვიადი მაინც აღმოჩნდა ყრილობაზე.[171] ამ ყრილობაზე არაერთი ორატორი გამოსულა, თუმცა რეალურ პრობლემებს არცერთი მათგანი არ შეხებია. საერთო კმაყოფილების განწყობიდან ამოვარდნილი იყო მწერალ რევაზ ჯაფარიძის (1923-1999) გამოსვლა, რომელიც თავის სიტყვაში შეეხო ქართული ენის შევიწროების პრობლემას სკოლებსა და უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში. აქ გასათვალისწინებელია, რომ 1975 წელს დაკანონდა როგორც საკანდიდატო, ისე სადოქტორო დისერტაციის დაცვა რუსულ ენაზე. ამ ყველაფერს, ცხადია, დიდი უკმაყოფილება მოჰყვა. მაშინ საქართველოს ცეკამ შევარდნაძის მეთაურობით კომპრომისული ვარიანტი მოიფიქრა – ადგილზე დაცვა ქართულ ენაზე ხდებოდა, ხოლო ავტორეფერატი და ტექსტი რუსულად უნდა თარგმნილიყო და გაგზავნილიყო ცენტრალიზებულ ორგანოში დასამტკიცებლად. სიტყვა ამ ყრილობაზე ზვიად გამსახურდიამაც მოითხოვა, რაზეც, ცხადია, უარი მიიღო. სამაგიეროდ, მისი გამოსვლის მომზადებული ტექსტი მის თვითგამოცემაში დაიბეჭდა.[172]

1975 წლის ოქტომბერში აკადემიკოს სახაროვს მიენიჭა ნობელის პრემია. მანამდე ამ მაღალ ჯილდოზე მისი კანდიდატურის წარდგენის ფაქტმა დიდი საზრუნავი გაუჩინა სუკ-ს. საბჭოთა რეზიდენტურას ოსლოში დაევალა, მთელი ძალებით შეეშალა ხელი პრემიის მინიჭებისთვის, მაგრამ ყოველგვარი მეცადინეობა ამაო გამოდგა. რეზიდენტის დასკვნით, ნობელის კომიტეტი სოციალ-დემოკრატ ააზე ლიონესის მეთაურობით, მთლიანად „რეაქციული ელემენტებისგან“ შედგებოდა. სახაროვმა ნობელის კომიტეტისადმი გაგზავნილ თავის წერილში აღნიშნა, რომ პრემია დიდი პატივი იყო არა მხოლოდ მისთვის, არამედ სსრკ-ის მთელი უფლებადამცველური მოძრაობისთვის – იგი ჩემთან ერთად მიეკუთვნაო ყველა სინდისის პატიმარს, რომლებმაც არაძალადობრივი მეთოდებით თანამოქალაქეთა დაცვას შესწირეს ყველაზე ფასეული რამ: საკუთარი თავისუფლება. უნდოდათ ეს თუ არა კრემლში, უფლებადამცველური მოძრაობა საბჭოთა კავშირში საერთაშორისო პოლიტიკის ნაწილი და მნიშვნელოვანი ფაქტორი ხდებოდა.[173]

1976 წლის ივლისში თბილისში ჩატარდა ბირთვული ფიზიკის სამეცნიერო სიმპოზიუმი, რომელზე დასასწრებადაც ჩამოვიდა აკადემიკოსი ანდრეი სახაროვი. იგი თავის მეუღლესთან, ელენა ბონერთან, ერთად ეწვია კოლხურ კოშკს. „ჩანაწერებიდან" ჩანს, რომ სახაროვი მეტად თბილად ესაუბრა ზვიადს, მერაბსა და კიდევ ორ ადამიანს. მან გვთხოვა, იქნებ შეანელოთ ეს მოღვაწეობა, იგი თქვენთვის სულ უფრო საშიშ ხასიათს იღებსო, – იგონებს ზვიადი. „არ მინდა თბილისიც ისევე დაცარიელდეს, როგორც კიევი", – უთქვამს მას. მომდევნო დღეს უკვე ზვიად გამსახურდია ეწვია სახაროვს სასტუმრო „საქართველოში", სადაც გაიცნო სახაროვის უფროსი მეგობარი, კვანტური მექანიკის ერთ-ერთი შემოქმედი, პროფესორი ვეისკოპფი, ავსტრიული წარმოშობის ამერიკელი, მეცნიერებისა და მსოფლიო საკითხების ფაგვოშის კონფერენციის საბჭოს წევრი (Pugwash Conferences on Science and World Affairs). სასტუმროს რესტორანში სადილის შემდეგ სახაროვი, მისი მეუღლე და ზემოთ ნახსენები ფიზიკოსი ვეისკოპფი ზვიად გამსახურდიასთან ერთად ეწვივნენ ლადო გუდიაშვილის სახლ-მუზეუმს, რამაც სტუმრებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. რამდენადაც სტუმრებმა სურვილი გამოთქვეს შავ ზღვაზე დასვენებისა, ზვიად გამსახურდიამ მათ ამის შესაძლებლობა მისცა და საკუთარი აგარაკი დაუთმო – 1976 წლის სექტემბერში ელენა ბონერმა და მისმა შვილებმა (რომლებიც აკად. სახაროვის გერები იყვნენ, გვარად იანკელევიჩები) აფხაზეთში, დაბა ლიძავაში მდებარე „აფსუა აბა'ას" აგარაკზე დაისვენეს.

2.4. ადამიანის უფლებათა საინიციატივო ჯგუფი და „ჰელსინკის ჯგუფი". ქართული თვითგამოცემა

1974 წელს საქართველოში ზვიად გამსახურდიას თაოსნობით შეიქმნა ადამიანის უფლებათა საინიციატივო ჯგუფი; მასში მერაბ კოსტავა, ასევე, მწერალი გივი მაღულარია, პედაგოგი ნიკოლოზ სამხარაძე და სიონის ეკლესიის გუნდის რეგენტი ვალენტინა ფაილოძე შედიოდნენ. თბილისში ამ ჯგუფის დაარსებას წერილობით მიესალმნენ აკად. ანდრეი სახაროვი, ანდრეი ტვერდოხლებოვი და ვალერი ჭალიძე, ხოლო მისალმების ტექსტი გამოქვეყნდა ჯგუფის თვითგამოცემაში („საქართველოს მოამბე", N1). ამ ჯგუფის მიერ ქართულ ენაზე არალეგალურად იბეჭდებოდა ლიტერატურული ჟურნალი „ოქროს საწმისი" (სულ გამოვიდა 4 ნომერი) რომელშიც ქვეყნდებოდა ცენზურისა და საბჭოური იდეოლოგიური მეინსტრიმისთვის მიუღებელი და დაწუნებული ლიტერატურული ნაწარმოებები (ან ესეები), ასევე, პოლიტიკურ-პუბლიცისტური ხასიათის „საქართველოს მოამბე" (მოესწრო 2 ნომერი და მე-3 ნომერი მხოლოდ ნაწილობრივ, რამდენადაც მასზე მუშაობა დაპატიმრების გამო შეწყდა). ქართველი აქტივისტები თავიანთ ინფორმაციებს ასევე აქვეყნებდნენ სახაროვის ჟურნალში

„მიმდინარე ამბების ქრონიკა“, რომელიც მოსკოვში არალეგალურად იბეჭდებოდა და ვრცელდებოდა.

ლუდმილა ალექსეევას შენიშვნით, ეს ჯგუფი შექმნილი იყო მოსკოვის ჯგუფის ნიმუშზე, მასში წამყვან როლს ზვიად გამსახურდია თამაშობდა და მას მიესვლებოდა იმ ადამიანებთან, რომლებიც საქართველოს პარტიულ და სახელმწიფო აპარატში მაღალ თანამდებობებს იკავებდნენ. იქვე ხაზგასმულია მისი კავშირი ეკლესიასთან.[174] „ოქროს საწმისის“ პირველი ნომერი 1974 წლის მიწურულს გამოვიდა. ჟურნალის სათაური „ოქროს ვერძის ტყავის, ანუ საწმისის“ ანტიკური მითოსის თავისებური ინტერპრეტაციიდან იქნა შერჩეული. ოქროს საწმისის ღრმა საზრისი განიმარტა, როგორც სიმბოლო უძველესი ცოდნისა და ხელოვნებისა – და არა როგორც მხოლოდ მატერიალური სიმდიდრე, განძი პირდაპირი გაგებით, რომლის ხელში ჩასაგდებადაც სრულიად ბანალური მეკობრეები კოლხეთში მტაცებლურ-მერკანტილური მიზნებით მოცურდნენ. მისი სემანტიკა განიმარტა, როგორც „საწვიმისი“, ძველი ქართული ჰიმნოგრაფიული ტექსტებიდან ნასესხები ტერმინი, ანუ ის, რამაც წვიმა უნდა მოიყვანოს, „გვალვის გამომაცოცხლებელი“ კულტურისა და სახელმწიფოებრიობის დეგრადირების ეპოქაში. იქვე ვკითხულობთ, რომ „ოქროს საწმისი მარადჟამული სიმბოლოა კოლხური, ქართული კულტურისა. ცივილიზებული მსოფლიოს მკვიდრნი კოლხეთად უფრო იცნობენ საქართველოს, ვინაიდან ყველას ახსენდება არგონავტების მითი, მედეა, ოქროს საწმისი“.

ამ ჟურნალის ნომრებში დაბეჭდილი იყო 20-იანი წლების ქართული მოდერნის ნიმუში, თვითმყოფადი მწერლის, ბასილ მელიქიშვილის ნაწარმოები „გველების ტბა“, ცენზურის მიერ დაწუნებული კონსტანტინე გამსახურდიას ნოველა გულაგზე „მტრების მეგობრობა“, მისივე მანამდე უცნობი ესსე „მაგიური შანდლები“, ნიკო სამადაშვილის, შოთა ჩანტლაძის, მერაბ კოსტავას, ზვიად გამსახურდიას, გივი მაღულარიას (ფსევდონიმი „სეზმან მარტვილი“) და სხვა პოეტების ლექსები, 1975 წლის 13 მარტის მოსმენების ოქმი აშშ-ის კონგრესში, რომელშიც კონგრესმენმა ლუიზიანიდან, ჯო ვაგონერმა (Joe Waggoner) განსაჩილველად გამოიტანა საქართველოს საკითხი, ასევე, კათალიკოს ამბროსი ხელაიას მემორანდუმი საქართველოს ოკუპაციის გამო პროტესტის ნიშნად, რომელიც მან 1922 წელს გენუის კონფერენციას გაუგზავნა; ივანე ჯავახიშვილის ნაკლებად ცნობილი წერილი საქართველოს უახლეს ისტორიაზე, ნოდარ წულეისკირის წერილი ქართული ენის დაცვაზე. აქ იყო, ასევე, წერილი გურამ რჩეულიშვილის პიროვნებისა და შემოქმედების შესახებ სათაურით „ალავერდობის ცეცხლი“ და ა. შ. 1976 წელს კი გამოვიდა ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ ორი ნომერი. შესავალში აღნიშნულია ის გარემოება, რომ საბჭოთა ორგანოებისთვის დამახასიათებელია არასასურველი ინფორმაციის დამალვა, როგორც ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამ ჟურნალის ამოცანა კი გახლდათ ხალხისთვის ინფორმაციის მიწოდება, როგორც ეროვნულ, ისე სოციალურ საკითხებზე, ასევე, საბჭოთა კავშირში შექმნილ ვითარებაზე. ამ

ჟურნალის გამოცემას მიესალმნენ საბჭოთა უფლებადამცველური მოძრაობის ისეთი დიდი ავტორიტეტები, როგორებიც იყვნენ აკადემიკოსი ანდრეი სახაროვი და მწერალი ანდრეი ამალრიკი. აკად. სახაროვმა აღნიშნა, ჟურნალის გამოსვლა უაღრესად დროულია, ვინაიდან საქართველოს დღევანდელი ვითარების შესახებ ნამდვილი ინფორმაციის მიღება მოთხოვნადია როგორც ჩვენში, ასევე მთელს მსოფლიოშიო.

ჟურნალში დაბეჭდილი იყო: გაეროს მიერ 1948 წელს მიღებული ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, ადამიანის უფლებათა დაცვის მოსკოვის კომიტეტის პრინციპები, წერილი საქართველოს ისტორიის სწავლების შესახებ სკოლებში, დისიდენტ ნ. სამხარაძის სიტყვასთან ერთად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სამხატვრო აკადემიის რუსიფიკაციის, ასევე, საქართველოს საშუალო სკოლებში საქართველოს ისტორიის სწავლების გაუქმების მცდელობების თაობაზე, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასა და საპატრიარქოში შექმნილი მდგომარეობის აღწერა, თემურ ჯანელიძის სტატია „მავნე წეს-ჩვეულებებთან ბრძოლის“ შესახებ, ზვიად გამსახურდიას წერილი კულტურის ძეგლთა მძიმე მდგომარეობის შესახებ, მისივე ჟურნალისტური გამოძიება საქართველოს საპყრობილეებში პატიმრების წამების შესახებ, კ. ლაბაძის წერილი რეალური ფასებისა და ხელფასების შესახებ სსრკ-ში, ასევე, გ. თვალაძის წერილი საქართველოში მომხდარი ხანძრების, აფეთქებებისა და დივერსიული აქტების შესახებ. ეს თემატური ბლოკები გრძელდებოდა მეორე ნომერშიც – თუმცა იქ დაემატა საქართველოდან დეპორტირებულ მესხთა საკითხი. ი. სტალინის სიკვდილის შემდეგ ყველა გადასახლებული ხალხი დაუბრუნდა სამშობლოს, ყირიმელი თათრებისა და ქართველი მუსლიმი მესხების გარდა. ისევე, როგორც ყირიმელი თათრების საკითხი წამოსწია პ. გრიგორენკომ, ასევე წამოსწიეს ქართველმა უფლებადამცველებმა შუა აზიაში დეპორტირებული მუსლიმი მესხების საკითხი. ამ თემაზე წერილები დაწერეს მ. კოსტავამ და ვ. რცხილაძემ.[175]

ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თაობაზე გამართული თათბირის დასკვნითი აქტი, ცნობილი, როგორც ჰელსინკის ხელშეკრულება ან ჰელსინკის დეკლარაცია, ხელმოწერილ იქნა 35 სახელმწიფო-მონაწილის მიერ, ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკიში. ეს მოხდა 1975 წლის პირველ აგვისტოს. საინტერესოა, რომ ეს თათბირი მოიწვიეს სოციალისტური სახელმწიფოების ინიციატივით, რომლებიც ვარშავის ხელშეკრულების წევრები იყვნენ. ჰელსინკის აქტის მიერ განსაზღვრული სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების პრინციპები, იგივე „ჰელსინკის დეკალოგი“, 10 პუნქტს შეიცავდა: სახელმწიფოების ტერიტორიული მთლიანობა, ჩაურევლობა საშინაო საქმეებში და ასე შემდეგ. მეშვიდე პუნქტი კი განსაზღვრავდა ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებს, მათ შორის, გადაადგილების თავისუფლებას, კონტაქტების, ინფორმაციის, კულტურისა და განათლების სფეროებში, შრომის, განათლების და სამედიცინო მომსახურების მიღების უფლებას, ხალხთა თანასწორობასა და

მათ უფლებებს განაგონ საკუთარი ბედი, თავად განსაზღვრონ თავიანთი შინაგანი და საგარეო პოლიტიკური სტატუსი.

ისტორიკოს ქრ. ენდრიუს თვალსაზრისით სსრკ-მა დაუშვა სტრატეგიული შეცდომა, როდესაც ხელი მოაწერა ჰელსინკის ხელშეკრულების დასკვნით დოკუმენტს. იური ანდროპოვმა, სსრკ-ის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ, გააფრთხილა პოლიტბიურო, რომ ხელშეკრულებაზე ხელმოწერას, შესაძლოა, უარყოფითი შედეგები მოჰყოლოდა სსრკ-ისთვის, მაგრამ პოლიტბიურომ უფრო ანდრეი გრომიკოს თვალსაზრისი გაიზიარა, რომ საბჭოთა ხელმძღვანელობა ამ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის შემდეგაც გააკონტროლებდა ქვეყანაში სიტუაციას. ეს ნიშნავს, რომ თვით ჰელსინკის დასკვნითი ქარტიის ფარგლებშიც კრემლს ექნებოდა შესაძლებლობა ადამიანის უფლებათა ნორმების ინტერპრეტაციისა საკუთარი შეხედულებისამებრ. თუმცა ხელმოწერის შედეგად სსრკ თავდაცვით მდგომარეობაში აღმოჩნდა: ადამიანის უფლებათა დარღვევის შემთხვევაში – უამისოდ კი სსრკ-ის იურიდიული და ადმინისტრაციულ-პოლიტიკური იურიდიული პრაქტიკა წარმოუდგენელი იყო – როგორც დისიდენტებს, ისე საერთაშორისო ორგანიზაციებს საშუალება ეძლეოდათ თავიანთი პრეტენზიები დაესაბუთებინათ იმით, რომ ამგვარი ქმედება ეწინააღმდეგებოდა საერთაშორისო ხელშეკრულებას.

პოზიციები აქ თავიდან ასე დალაგდა: დასავლეთის თვალთახედვიდან ჰელსინკის აქტზე ხელის მოწერით საფუძველი ჩაეყარა სისტემის მშვიდობიანი შეცვლის პროცესს, ასევე, ხანგრძლივად გარანტირებულ სტაბილობას ევროპაში სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების ასპექტში. საბჭოთა კავშირისთვის კი ეს იყო ტერიტორიული სტატუს-კვოს დადასტურება, ანუ იალტის ხელშეკრულების ერთგვარი ხელახალი დადასტურება დასავლეთის მხრიდან. ეს იყო საბჭოეთის, როგორც უკვე დიდხნიანი ფაქტორის, ევროპაში არსებობის ლეგიტიმაცია და ამის უზრუნველყოფა ხანგრძლივი ვადით. ჰელსინკის აქტმა ბევრი არაფერი მოუტანა დასავლეთს და ყველაფერი ისე დარჩა, როგორც მანამდე იყო. გერმანია – გაყოფილი, ხოლო პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, ესტონეთი, ლიტვა, ლატვია, უკრაინა, ბელორუსი და სხვა რესპუბლიკები ისევ ოკუპირებული დარჩა.

აღმოსავლეთ ევროპაში იყო განსხვავებული პოზიციებიც. ასე მაგალითად, ჩეხოსლოვაკიელი დისიდენტი, ქარტია 77-ის ერთ-ერთი დამფუძნებელი ირჟი დინსტბიერი (მოგვანებით ჩეხოსლოვაკიის საგარეო საქმეთა მინისტრი) მიიჩნევდა, რომ ჰელსინკის პროცესის გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა პოლონური „კორ"-ისა და ოპოზიციური პროფკავშირის, „სოლიდარობის" აღმოცენება, ასევე უნგრეთის ეკონომიკური რეფორმა, ან შიდაგერმანული ურთიერთობების განვითარება.[176] ზვიად გამსახურდია იმ დისიდენტების რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომლებიც იმთავითვე პოზიტიურად აფასებდნენ ჰელსინკის აქტს და არ ყოფილან სკეპტიკურად განწყობილნი. იგი ამ საკითხს ევოლუციონისტური პრიზმიდან ხედავდა და მხედველობიდან არც ის ფაქტი გამორჩენია, რომ ადა-

მიანის უფლებების საკითხში ჰელსინკის აქტი მაინც დადებითად მოქმედებდა. ხოლო პრეზიდენტი კარტერი 1977 წელს აცხადებდა: „ჩვენი ვალდებულებითი დამოკიდებულება ადამიანის უფლებებისადმი აბსოლუტური უნდა იყოს... რამდენადაც ჩვენ თავისუფალნი ვართ, იმდენად ჩვენ ვერ ვიქნებით ინდიფერენტულნი თავისუფლების ბედისადმი, სადაც არ უნდა იყოს ეს. ჩვენი მორალური გაგება გვკარნახობს მკაფიოდ მონაკვეთულ პრეფერენციას იმ საზოგადოებებისადმი, რომლებიც ჩვენთან ერთად იზიარებენ პატივისცემას ადამიანის უფლებების მიმართ. ჩვენ არ ვცდილობთ ვინმეს შეშინებას, თუმცა, ცხადია, რომ ის სამყარო, რომელიც მეორეზე დომინირებს დაუსჯელობით, ვერ იქნება მეგობრულად განწყობილი წესიერებისადმი, იგი საფრთხე იქნება ყველა ხალხის კეთილდღეობისადმი".[177]

დაზუსტებით ძნელია თქმა, როდის შეიქმნა საქართველოს ჰელსინკის შეთანხმების განხორციელების ხელშემწყობი ჯგუფი, 1976 წელს თუ 1977 წლის დასაწყისში. მისი შემადგენლობა, ადამიანის უფლებათა საინიციატივო ჯგუფისგან განსხვავებით, ოდნავ განახლებული იყო – ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას გარდა მასში შედიოდნენ ისტორიკოსი ვიქტორ რცხილაძე, მუსიკოსი თემურ ჯანელიძე, მწერალი ბეგო ბეჟუაშვილი და ფილოლოგი ირაკლი კენჭოშვილი. მათ შეუერთდნენ ებრაელი „უარმთქმულები", გრიგორი და ისაია გოლდშტეინები – ისინი ჯგუფში ელენა ბონერის რეკომენდაციით მიიღეს. თუკი მერაბ კოსტავას სტატიიდან გამოვალთ, ეს ჯგუფი 1976 წლის შუა პერიოდში უნდა შექმნილიყო, ოღონდ, არაუგვიანეს მაისისა.

მერაბ კოსტავა სტატიაში არ აზუსტებს თარიღს, თუმცა აღნიშნავს, რომ პირველი დოკუმენტი ამ ჯგუფმა მიიღო, დაახლოებით, „ირლანდიის რესპუბლიკური არმიის" (IRA) მსგავსად ტერორისტული მეთოდებით მოქმედი ვლადიმერ ჟვანიას საქმესთან დაკავშირებით. თუმცა, თუ დავუშვებთ, რომ ჯგუფის პირველი დოკუმენტი შეიქმნა ვლადიმერ ჟვანიასთვის განაჩენის გამოტანის შემდეგ, მაშინ, სავარაუდოდ, ეს უნდა ყოფილიყო 1977 წლის 17 იანვრის შემდეგ, როდესაც შედგა ვლადიმერ ჟვანიას სასამართლო პროცესი. ვ. ჟვანიამ სამი აფეთქება მოაწყო, სოხუმში, ქუთაისსა და თბილისში – პირდაპირ რუსთაველზე, მთავრობის სასახლის წინ. ამ აფეთქებებს სოხუმში მსხვერპლიც კი მოჰყვა. როგორც მერაბ კოსტავა აღნიშნავდა, ვ. ჟვანია ამ აფეთქებებს აწყობდა ნიშნად პროტესტისა, საქართველოს რუსიფიკაციის და მისი სუვერენიტეტის მიმართ ძირგამომთხრელი საქმიანობის გამო. იგი, დიდი ალბათობით, ყველაფერს მარტო გეგმავდა და ახორციელებდა. არსებობს მის მიერ შედგენილი, ცხადია, ხელმოუწერელი ტექსტი, რომელიც 1976 წლის 19 აპრილით არის დათარიღებული. იგი დაწერილია „საქართველოს განმათავისუფლებელი ფრონტის" სახელით და მასში შემდეგი მოთხოვნებია დაყენებული: საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება; ქვეყნიდან რუსეთის ჯარის გაყვანა; საქართველოს ნეიტრალიტეტის აღიარება; დემოკრატიული პარტიის ცნობა; საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების დაუყოვნებლივ დანიშვნა. წინააღმდეგ შემთხვევაში

ფრონტი კომუნიკაციებისა და მაღალი ძაბვის ანძების აფეთქებით იმუქრებოდა. მას შემდეგ, რაც ვლადიმერ ჟვანია უშიშროების კომიტეტის საპატიმროში მოათავსეს, მან წერილი დაწერა სუკ-ის საგამოძიებო ნაწილის ხელმძღვანელის, ალ. მირიანაშვილის, სახელზე. იგი წერილში აღიარებდა, რომ დანაშაულს სჩადიოდა და დამნაშავედ იქცა მხოლოდ იმიტომ, რომ იბრძოდა ბოლშევიკური რუსეთის კლანჭებისაგან საქართველოს გათავისუფლებისათვის.[178]

როგორც კი გაირკვა, ვინ იდგა ამ აფეთქებების უკან და რა მოთხოვნები ჰქონდა მას, „ჰელსინკის ჯგუფი", ცხადია, დილემის წინაშე დადგა – როგორი რეაგირება უნდა ჰქონოდათ მათ ტერორისტული მეთოდებით მებრძოლი ადამიანის ქმედებებზე? ჯგუფის წევრმა ვიქტორ რცხილაძემ წამოაყენა წინადადება, მერაბ კოსტავას ეზოს მომიჯნავე ოთხსართულიანი სახლის ფასადზე, რომელიც ყველა მხრიდან კარგად ჩანდა (მასზე 70-იან წლებში იყო ილუმინაციური სარეკლამო წარწერა: „30 კაპიკად შეგიძლიათ მოიგოთ ვოლგა") გაეკრათ დიდი ზომის ნაჭრის პლაკატი „თავისუფლება ვლადიმერ ჟვანიას". ზვიად გამსახურდიამ ამ საკითხში მეტი თავშეკავებისკენ მოუწოდა ჯგუფის წევრებს. მისი თვალსაზრისით, აჯობებდა საქმის წარმოებაზე დაკვირვება და შემდეგ გამოჩნდებოდა, რაზე აჯობებდა აქცენტის გაკეთება – დისიდენტები, რომლებიც გამოკვეთილად მშვიდობიანი და კანონიერი გზებით მოქმედებდნენ, ძალადობრივ ქმედებებს პირდაპირ ვერ გაამართლებდნენ.

ეს საკითხიც მალე გამოიკვეთა – ეს იყო პროცესუალური და დარღვევების წარმოჩენა. შეიქმნა დოკუმენტი, რომელიც გადაეცა სოფია კალისტრატოვას, მოსკოვის „ჰელსინკის ჯგუფის" წევრს და ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ უფლებადამცველს, პეტრო გრიგორენკოს. წერილი მიმართული იყო როგორც საბჭოთა მთავრობისადმი, ისე იურისტთა საერთაშორისო ასოციაციისადმი, რამდენადაც ვ. ჟვანიას საქმეზე დაშვებულ იქნა უხეში სამართლებრივი და პროცესუალური დარღვევები. მიუხედავად ამ მცდელობებისა, ვლადიმერ ჟვანიას 1977 წლის 17 იანვარს მაინც მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა, ანუ დახვრეტა და განაჩენი იმავე თვის ბოლოს მოიყვანეს სისრულეში.

იმავე პერიოდში ზვიად გამსახურდიამ მის მიერვე ჩატარებული ჟურნალისტური გამოძიება, რომელიც შეეხებოდა საგამოძიებო იზოლატორებში ადამიანების წამებას სპეციალურად მომზადებული ჯალათების მიერ სასურველი ჩვენებების გამოძალვის მიზნით, სტატიის ფორმით გადასცა რუს უფლებადამცველებს და დასავლურ საინფორმაციო არხებს. მერაბ კოსტავა აღნიშნავს, რომ დასავლეთში სტატია გამოვიდა სათაურით „შსს და სუკ-ი მიმართავენ წამებას", ხოლო საბჭოთა უფლებადამცველურ გამოცემებში – სათაურით – „წამებათა შესახებ საქართველოში". ეს იყო თვითგამოცემული ჟურნალები: „ქრონიკა პრესი" და „პოსევი".

თუკი გადავხედავთ ჟურნალ „საქართველოს მოამბეს", გასაგები გახდება საქართველოს „ჰელსინკის ჯგუფის" პროგრამული მიზნები და ამოცანები. მისი მუშაობის ძირითადი მიმართულებები იყო: პატიმრების უფლებების დაცვა, რო-

მელთაც საგამოძიებო იზოლატორში აწამებდნენ სასურველი ჩვენების გამოძალვისა და მათზე აღძრული სისხლის სამართლის საქმეების საჭირო მიმართულებით წარმართვის მიზნით (სწორედ ამის შედეგია შსს-ს შტატგარეშე ჯალათების, ცირეკიძისა და უსუპიანის, პროცესი). ასეთ ქმედებებს ადგილი ჰქონდა ე. შევარდნაძის შინაგან საქმეთა მინისტრობის პერიოდში. აღნიშნულია, რომ სპეციალურად მომზადებულ N40 საკანში ამ მეთოდებით „დაამუშავეს" ბევრი პატიმარი. ისინი „დამუშავების" შემდეგ ციხის საავადმყოფოში გადაჰყავდათ, სადაც ადგენდნენ ყალბ დიაგნოზებს. იყო არაერთი შემთხვევა ასეთი პატიმრების გარდაცვალებისა. ამ ყოველივეს ერთვის 1975 წლის 1-9 აპრილს ქ. თბილისის კიროვის რაიონის სასამართლოში ჩატარებული სახალხო სასამართლოს პროცესის ოქმი, რომელზეც გასამართლდნენ ზემოხსენებული ჯალათ-აგენტები, იური ცირეკიძე და ვალიკო უსუპიანი. აღნიშნულია, რომ მათ იყენებდნენ შინაგან საქმეთა სამინისტრო, უშიშროების კომიტეტი და პროკურატურა. როგორც საარქივო საქმე N7726-დან ირკვევა, „ჩეკასა" და უშიშროების სამინისტროს მეთოდები, წლებთან ერთად, კიდევ უფრო „დაიხვეწა". ციხეებში წამების უსაშინლეს ფორმებს იყენებდნენ: რკინის ჯოხებით ცემას, ფოლადის ნემსებისა და მავთულების შერჭობას, ფეხებით ჩამოკიდებას, ანთებული სიგარეტით სხეულის ამოწვას, ცხელი შხაპის ქვეშ გაჩერებას, გაუპატიურებას და ა. შ.

ჟურნალში ყურადღება მახვილდებოდა მორწმუნეთა უფლებების დაცვაზე, რომელთაც არ აძლევდნენ რელიგიურ დღესასწაულებზე დასწრების საშუალებას; ასევე მათზე, ვინც დააპატიმრეს რელიგიური აღმსარებლობის გამო, ან სხვაგვარად იქნა რეპრესირებული. მოცემული იყო ინფორმაცია ცეკასა და სუკ-ის მიერ ორგანიზებული კრიმინალური ქმედებების შესახებ საპატრიარქოში, რაც დაკავშირებული იყო გარკვეული სასულიერო პირების მიერ ეკლესიის საგანძურის ძარცვასთან. ეს ყოველივე ქმნიდა საპატრიარქოს ტახტის ხელში ჩასაგდებად წარმოებული ბრძოლისთვის ფონს, როდესაც ერთი დაჯგუფება (მიტროპოლიტები გაიოზ კერატიშვილი და რომანოზ პეტრიაშვილი, ასევე ეპისკოპოსი ილარიონ სამხარაძე) ყველანაირი საშუალებით ცდილობდა ამ ტახტის ხელში ჩაგდებას.

შემდეგი საკითხი იყო კულტურის ძეგლთა დაცვა, როდესაც ისინი ზიანდებოდა ან ოფიციალური ინსტანციის მხრიდან გამოჩენილი უყურადღებობის გამო, ან როდესაც მათ შეგნებულად ანადგურებდნენ (მაგალითად, დავითგარეჯის პოლიგონი, სადაც ტაძრები და ფრესკები საბჭოთა არმიის საწვრთნელ სროლებს ეწირებოდა) უმძიმესი მდგომარეობა იყო შექმნილი კულტურის სხვა ძეგლებთან მიმართებითაც. ამ გამოძიებაში დაყენებული იყო კულტურის მინისტრის მოადგილის, ისტორიული ძეგლების მდგომარეობაზე პასუხისმგებელი თანამდებობის პირის, ვ. იაკაშვილის, პირდაპირი პასუხისმგებლობა კორუფციული სქემებისა და ძეგლებისთვის გამოყოფილი თანხების მითვისებისთვის. აღნუსხული და ჩამოთვლილია ათობით ასეთი შემთხვევა, ასევე, დასახელებულია როგორც გამოყოფილი, ისე რეალურად დახარჯული თანხები

შესრულებული სამუშაოების ზუსტი შესწავლისა და შეფასების შედეგად. ასე მაგალითად, ზვიად გამსახურდიას წერილში ნახსენებია იაკაშვილი-გოცირიძის მიერ სახელმწიფოს ხარჯებით შექმნილი კერძო ავტოსარემონტო საამქრო, სადაც ემსახურებოდნენ არა სახელოსნოს სპეციალურ სატვირთო მანქანებს, არამედ კერძო მსუბუქ მანქანებს. დოკუმენტებში ასევე აღნუსხულია ძეგლების შეგნებული დაზიანების შემთხვევებიც. მუშაობა 1944 წელს დეპორტირებულ ქართველ მესხთა რეპატრიაციისთვის. როდესაც მოსკოვის უფლედამცველთა წერილობით ანგარიშებში გაჩნდა ტერმინი „თურქი მესხი“, მერაბ კოსტავამ ამ საკითხზე შეადგინა „დოკუმენტი N18“, რომელშიც რუს დისიდენტებს წინადადება ეძლეოდათ ჩაენაცვლებინათ ტერმინი „თურქი მესხი“ „ქართველი მაჰმადიანი მესხით“. თვითგამოცემა „მოამბეში“ დაბეჭდილი იყო მესხთა მიმართვა ედ. შევარდნაძისადმი, სადაც ისინი ითხოვდნენ საქართველოს სხვადასხვა ადგილას დამკვიდრებასა და შრომით მოწყობას. წერილს ხელს აწერდნენ ხ. უმაროვი-გოზალიშვილი, ჯ. აიუბოვ-აბაშიძე, მ. საფაროვი-ლაზიშვილი, ი. ასლანოვი-ხოზრევანიძე, ა. ისქანდეროვ-აბასთუმნელი.

ჟურნალში თემატიზებული იყო ბრძოლა ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის დასაცავად – შესაძლოა, ღიად და ოფიციალურად არა, მაგრამ ფაქტობრივად საქართველოს სსრ-ში ამოქმედებული იყო ეტაპობრივი რუსიფიკაციის პროგრამა, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების არაერთ სფეროს მოიცავდა. არალეგალური ლიტერატურის, ე. წ. „სამიზდატის“ (თვითგამოცემის) გავრცელება ხდებოდა არა მარტო თბილისში, არამედ მოსკოვშიც.

რაც შეეხება რესპუბლიკაში 70-იანი წლების შუა პერიოდში შექმნილ მდგომარეობას, იგი ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას შეფასებებში, მჟავანაძის პერიოდთან შედარებით უფრო მძიმედაა წარმოდგენილი. ეს, ცხადია, არ ნიშნავს იმას, რომ კომპარტიის ახალი ლიდერი ერთბაშად და ხელაღებით შეეხო ყველა სტატუს-კვოს, რომელიც მისი წინამორბედის ეპოქიდან გადმოვიდა მასთან. თუმცა ისიც ფაქტია, რომ იგი თამამად ექსპერიმენტირებდა და ამ ყველაფრის მიზანი იყო ზემდგომთა (ანუ პოლიტბიუროს) თვალში „რომის პაპზე მეტი კათოლიკობის დამტკიცება“, ხოლო ადგილობრივ ინტელიგენციასთან, შინაურული და ახლობლური ურთიერთობების დამყარება – და, თუ ამ საზოგადოებრივი კლასის ესა თუ ის წარმომადგენელი იდეოლოგიურად საშიშ ზონაში არ იყო მოხვედრილი, მათი პროექტებისთვის – კვლევა იქნებოდა ეს, სპექტაკლი, ფილმი თუ სხვა ნაწარმი – გარკვეული მხარდაჭერა, მათთვის მწვანე შუქის მიცემასთან ერთად.

ე. შევარდნაძის წინამორბედს, გამომდინარე თავისი ბიოგრაფიიდან და ასაკიდან, აღარ აინტერესებდა მაღლა ასვლა კომუნისტური მმართველობის იერარქიაში, იგი ბოლომდე კონსერვატორი დარჩა, ხოლო შევარდნაძეს ჰქონდა როგორც პროგრამა მინიმუმი, ისე მაქსიმუმი. მინიმუმი იყო ის, რომ თავი შეენარჩუნებინა იქ, სადაც ამჟამად იყო, მაქსიმუმი კი – დაწინაურებულიყო კრემლში, პოლიტბიუროს ჯერ კანდიდატად, შემდეგ კი წევრადაც. ამავე დროს,

ძნელი წარმოსადგენია, მას ილუზია ჰქონოდა იმაზე, თითქოს მისთვის შესაძლებელი იქნებოდა, დაეკავებინა სსრკ-ის კომპარტიის გენერალური მდივნის თანამდებობა: სტალინის შემდეგ ქართველი ეროვნების პირის კრემლში სახელმწიფოს მეთაურად დაწინაურების შანსი ძალზე მცირე იყო.

რესპუბლიკაში პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სუკ-ი ყველაფერს აკონტროლებდნენ და ამას მოწმობს თუნდაც ეს ამონარიდი – 1976 წლის იანვარში, საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე, ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ ხელისუფლების მთავარ საზრუნავად მასების იდეურ-პოლიტიკური აღზრდა გამოაცხადა. მისი აზრით, საჭირო იყო პროპაგანდისა და სააგიტაციო-მასობრივი მუშაობის გაძლიერება და უკეთ წარმართვა, იდეოლოგიურ მუშაობაში ლენინური სტილის დამკვიდრება, რაც მაღალ პრინციპულობას, საბრძოლო სულისკვეთების ამაღლებასა და მტრული იდეოლოგიისადმი შეურიგებლობას გულისხმობდა.[179]

ედუარდ შევარდნაძე, როგორც პარტიული მუშაკი, საკმაოდ დაფასებულიც იყო საბჭოთა სახელმწიფოს მიერ – იყო ორგზის ლენინის ორდენოსანი, ჰქონდა სოციალისტური შრომის გმირის წოდება, ოქტომბრის რევოლუციისა და გარდამავალი შრომის წითელი დროშის ორდენები. ამავე დროს, უკვე პოსტსაბჭოელი ედუარდ შევარდნაძის 2002 წელს გამოქვეყნებულ ავტორიზებულ ბიოგრაფიაში ჰელსინკის პროცესზე წერია: „რა თქმა უნდა, ჰელსინკის შეთანხმება საბჭოთა კავშირის დიდი პოლიტიკური წარმატება და ერთადერთი სერიოზული ნაბიჯი იყო განმუხტვის რეალურად მისაღწევად... ამასთანავე, ჰელსინკის აქტი იქცა ერთგვარი შენელებული მოქმედების ბომბად სსრკ-ის პოლიტიკისთვის, როგორც უკვე აღნიშნული იყო, წარმატება ჰელსინკში მიღწეულ იქნა სსრკ-ის მხრიდან „ადამიანის უფლებების“ დაცვის გარანტიით, თუმცა ყველა შემდგომ შეხვედრაზე ბელგრადსა თუ მადრიდში, როცა განიხილებოდა ჰელსინკის აქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება, საბჭოთა კავშირი იძულებული იყო, თავი ემართლებინა, რომ „არავის აქვს უფლება, ჩაერიოს საბჭოთა კავშირის საშინაო საქმეებში.“ საბოლოოდ გადაწყდა, რომ საჭირო იყო ყოველგვარი კომპრომისის გარეშე გაძლიერებულიყო ბრძოლა „დასავლეთის იდეოლოგიური ექსპანსიის“ წინააღმდეგ. აქ თავის შავბნელ როლს სუსლოვი ასრულებდა. იგი ოდნავადაც ვერ ითვალისწინებდა კარზე მომდგარი ინფორმაციული რევოლუციის მნიშვნელობას, რომლის შედეგადაც სრულიად შეუძლებელი ხდებოდა საკუთარი პრობლემების დამალვა ან რაიმე ბარიერის შექმნა ინფორმაციის გაცვლის გზაზე. ამან მხოლოდ საბჭოთა კავშირის კიდევ უფრო ჩამორჩენა გამოიწვია – ამჟამად უკვე ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში.[180]

ეს გვიანსაბჭოთა ისტორიის განმარტების მართლაც უცნაურად პოპულისტური ვერსიაა – ბოროტების სათავედ მხოლოდ პოლიტბიუროს წევრის, მიხეილ სუსლოვის, წარმოდგენა. ერთი სიტყვითაც არ არის ნახსენები საბჭოთა კავშირის უშიშროების კომიტეტი იური ანდროპოვით სათავეში, ასევე, რუსეთის

სამხედრო დაზვერვა. თითქოს სხვები და, მათ შორის, თავადაც ბატონი შევარდნაძე, იმჟამად საქართველოს სსრ-ის სატრაპი, მხოლოდ პროგრესისკენ, დეიდეოლოგიზაციისკენ, ადამიანის უფლებების დაცვისა და თავისუფლებისკენ მიისწრაფოდნენ და ამის საშუალებას მიხეილ სუსლოვი არ აძლევდა მათ.

წიგნში შემდეგ მსჯელობა გრძელდება, რომ საბჭოთა დისიდენტურ მოძრაობაში საქართველოსადმი განსაკუთრებულად მტრული დამოკიდებულება შეიმჩნეოდა იმის გამო, რომ საყოველთაო სიღატაკისა და უიმედობის ფონზე საქართველოში ცხოვრების დონე სხვებზე მაღალი იყო და საქართველოს წარმატებები კულტურაში, ხელოვნებასა და სპორტში თვალშისაცემი იყო.[181] სინამდვილეში რუსეთში საქართველო სსრ-ის მიმართ გაღიზიანება ჰქონდათ ადამიანებს, რომლებსაც გათავისებული ჰქონდათ კრემლისა და საკავშირო უშიშროების კომიტეტის ყველაზე აგრესიულ-შოვინისტური ნრეების შედარებით მიმალული რეზონი და მ. სუსლოვიც ერთი მათგანი იყო (ფორმალურად, სსრკ-ში „ინტერნაციონალისტური ფასადი“ ხვდებოდა მზერას). ამგვარი „განსაკუთრებულად მტრული დამოკიდებულების“ კონკრეტული მაგალითი ვინმეს გამოსვლიდან ან წერილობითი დოკუმენტიდან ავტორს არ მოჰყავს. ვერც მოიყვანს – 70-იანი წლების საბჭოთა დისიდენტურ ლიტერატურაში ასეთი შინაარსის ტექსტები, უბრალოდ, არ არსებობს. რჩება შთაბეჭდილება, რომ ეს ინტერპეტაცია ანტირუსულად განწყობილ, საშუალო გაქანების ქართველ ნაციონალ-პატრიოტზეა გათვლილი, რომელიც ყველანაირი სიავის ერთადერთ მიზეზად პოლიტბიუროში ვიღაც ერთი „ბოროტი და გავლენიანი ანტიქართველის“ ყოფნას მიიჩნევდა.

2.5. მეორე ზღუდის დაცემა – კონსტანტინე გამსახურდიას გარდაცვალება

„მწუხარე შემოდგომამ“ 1973 წელს მწერლის ისედაც შერყეულ ჯანმრთელობაზე უარყოფითად იმოქმედა: ეს ის პერიოდია, როდესაც ზვიად გამსახურდიას ახალგაზრდობის დროს შექმნილი ოჯახი დაიშალა, მეუღლემ და უფროსმა ვაჟმა დატოვეს „კოშკი“, ხოლო თამარ გამსახურდია მძიმე ავადმყოფობის შედეგად გარდაიცვალა. 36 წლის თამარის გარდაცვალება კიდევ უფრო ტრაგიკულიც კი იყო, ვიდრე – მეუღლისა 1970 წელს, რამაც მწერალს 3 წლის წინ, პრაქტიკულად, კალამი გააგდებინა ხელიდან. ადრე თუ ცრემლი მოსდიოდა, ახლა ცრემლიც კი აღარ წამოსვლია. უმძიმესი სევდა მოეძალა, სიგარეტის წევას მოუხშირა. ხშირად მთელი დღე საწოლში იწვა, საღამოსკენ თუ წამოდგებოდა ცოტა ხნით. საკვებს ისედაც არ ეტანებოდა ადრე, თუმცა ახლა ძალიან ცოტას იღებდა. მწერალს აღარ შეეძლო შრომა, რომლის წყალობითაც ათწლეულების განმავლობაში შექმნა თავისი შემოქმედებითი კორპუსი. თუკი ყველაფერს შევკრებთ, ეს, ალბათ, 20 ტომი მაინც გამოვა, აქედან შვიდი – რომანი, რომელთა საერთო მოცულობაც, დაახლოებით, 4 300 გვერდია; ამას დაემატება მოთხრო-

ბები, ესსეები, ლექსები, კრიტიკული წერილები, გამოსვლები და თარგმანები. ყველაფერს, რასაც წერდა, სამჯერ ან ოთხჯერ გადაწერდა-ხოლმე და ეს, ცხადია, ზეადამიანურ ძალისხმევას მოითხოვდა.

როგორც ზემოთ ხატოვნად აღვნიშნეთ, დედის შემდეგ ზვიად გამსახურდიასთვის მამა იყო ის მეორე დამცველი ზღუდე, რომელიც ნაქცევის პირას იყო მისული. თუმცა ამ გარემოებებს მეორე მხარეც ჰქონდათ – სწორედ ამ მწუხარებაში, სწორედ ამ ბედისმიერ მძიმე დარტყმებში თითქოს ახლიდან იშვა ზვიად გამსახურდია, როგორც მებრძოლი. და ადრე განა არ იყო ბრძოლა? რა თქმა უნდა, ადრეც უწევდა ბრძოლა, მაგრამ ამიერიდან ეს სრულიად ახალ დონეზე, ახალი სიმძაფრით იწყებოდა.

კონსტანტინე გამსახურდიას გარდაცვალებამდე, მისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებთან დაკავშირებულია მერაბ კოსტავასთან მწერლის ერთი ხანმოკლე საუბარი. შინაარსი ამ საუბრისა უკავშირდება მერაბის ერთი ნაკლებად ცნობილი ლექსის დაწერის ისტორიას. ეს უნდა ყოფილიყო 1975 წლის გაზაფხულზე. იმ დღეებში ზვიად გამსახურდია საბჭოთა დისიდენტებსა და უფლებადამცველებთან კიდევ ერთხელ იყო ჩასული მოსკოვში, ხოლო მერაბს მეტისმეტად მოხუცებულ და დაუძლურებულ მწერალთან უწევდა პერიოდულად ყოფნა, რომელმაც ერთხელ ასეთი რამ მოუყვა:

„მერაბ, ეს სიზმარი არ ყოფილა, ეს ნამდვილად ხილვა იყო. ვხედავდი ზღვას, რომელიც ყალყზე დამდგარი საშიშრად ბობოქრობდა, ხოლო ნაპირს თეთრი ცხენით მხედარი მოადგა. მას შენი მეგობრის სახე ჰქონდა და მოსილი იყო მჭმუნვარებით. შეაგელვა ზღვაში ცხენი და მალე მიეფარა ჰორიზონტს". მერაბ კოსტავამ ეს მონათხრობი ლექსის ფორმით ჩამოქნა – რვამარცვლიანი სტრიქონი, რომელიც ხშირია აკაკის პოეზიაში და გალაკტიონის „გურიის მთებში" ასევე გვხვდება. ლექსის ზოგადი განწყობა რუსთველურია. რომ დაფიქრდე, რამდენი რამეა თქმული ამ ლექსში (ალბათ, უფრო რაფსოდიაში) იმდროინდელი პერსპექტივიდან ჯერ კიდევ მოსახდენი:

„გიორგობა დღეს, ზღვის პირას მოაგელვა მოყმემ რაში.
ჰორიზონტზე თავდაყირა ცას ეკიდა გარიჟრაჟი.
ერთობ მძიმე, შესაზარი, ერგო მხედარს განაჩენი,
მისი ჭმუნვის შემხედვარე გაშტერებით იდგნენ კლდენი.
რაში ჰყავდა საოცარი, თეთრი, როგორც დედის ხსენი,
რაინდების საფიცარი, ლეგენდებში მოსახსენი.
ფლოქვთა დაკვრით მიწას სწვავდა, უკიდებდა ხვატს და სიცხეს.
სადავეებს კბილით ხრავდა, უნაგირით ნთქავდა სივრცეს.
ბედი იყო თუ განგება, ახელებდა მხედარს ეულს.
ამსგავსებდა მოჩვენებას და ხატებას სიზმარეულს.
კვნესის, კვნესის, ფეხქვეშ მყარი, გულზე მსჭვალი არ ეხსნება,
ვაგლახ, ბევრი მეგობარის დატოვება ენანება.
გაჭრილიყო ტრფობის გამო, თუ რამ სწვავდა სადიდგულო?!

დარჩა, როგორც სამუდამოდ აუხსნელი საიდუმლო.
გამოხედა მოყმემ ხმელეთს, ცხენს დასჭექა ხაფის ხმითა,
მტერთა რისხვის გადამთელელს ჩუმი ოხვრა მისწვდა ზღვიდან:
„შერიგება არ იქნება, წაწყდეს, წაწყდეს აქ დამრჩენი,
ნუ ინებებ გადადებას, დე აღსრულდეს განაჩენი!
დაბრუნება უკან არ ღირს, ახლობელთა შუღლის გამო.
გაეცლები დღესვე ნაპირს, სამუდამოდ, სამუდამოდ!
აწყვეტილი ნიაღვარი რჩეულ გმირთა დასში ბრწყინავ,
უშიშარი ალამდარი მარადიულს ჰპოვებ ბინას“.
შეახურა მოყმემ ჰუნე, შეაგელვა ფიცხლად ზღვაში,
და ზვირთებმა მოდგაფუნე ჩაიხუტეს თეთრი რაში.
მახვილივით მიჰკვეთს ტალღებს, წერტილივით მოსჩანს შორად,
უსაზღვრობა ყმას აღელვებს ჭმუნვის კვალი მოიშორა.
გადუჭირა მერანს მძაფრად, ნესტოს წასკდა ცეცხლის ენა,
ზღვა აჯანყდა, აიჯაგრა, რისხვის ქაფი მოიყენა.
ზღვა გაგიჟდა, აიფაფრა, ცხენს ფაფარი ექცა ზღვადა,
ტალღა ცეცხლს და ცეცხლი ტალღას შეეხეთქა, ჩაეხლართა.
დაიქუხა ვით ხანძარმა, მკერდი წყლისა გადიფხრიწა,
და ექსტაზმა უეცარმა შეარყია ცა და მიწა.
აზანზარდა ზვირთთა ტაშში, აღტაცება გაუმხელი,
ბორგავს ზღვა და ხარობს რაში, ნეტარებით საკვირველით.
და როდესაც დასალიერს თეთრი ნისლი გადექარგა
მოყმე გასცდა თვალსაწიერს, სამუდამოდ გადიკარგა“.

ამ ლექსში შინაარსობრივად ყურადღებას იქცევს ერთი დეტალი: ეს არის მთავარი ლირიკული გმირის მხრიდან მწვავე დილემურობის განცდა, უკან დაბრუნება აღარ იქნება, დარჩენაც — გამორიცხული, ნინ კი მღელვარე ზღვაა. არსებითად ეს იმავე „ბედის სამზღვარია“, რომელიც ბარათაშვილის „მერანში“ გვხვდება, ასევე ენათესავება ენგურის სტიქიას „მთვარის მოტაცების“ ფინალიდან.

კონსტანტინე გამსახურდია 1975 წლის 17 ივლისს გარდაიცვალა. მიუხედავად იმისა, რომ სრულიად დაუძლურებული იყო, როდესაც იგრძნო სიკვდილის მოახლოება, მაინც შეძლო მთელი ძალების მოკრებით მცირე ხნით ფეხზე წამოდგომა, სიკვდილს ფეხზე მდგომი მსურს, შევხვდეო. სიცოცხლეში მას უყვარდა თქმა, ძველი სპარტელებივით არასდროს ვახსენოთ სამი რამ – შიში, სიბერე და სიკვდილიო. აგონია დიდხანს არ გაგრძელებულა. ზვიადი იგონებდა, მომაკვდავს ძველქართული ბიბლია დავუდე თავქვეშ, თითქოს იგრძნო ეს და უკანასკნელი ამოსუნთქვის წინ დამშვიდდაო.

მისი გარდაცვალების ამბავი რესპუბლიკის ყველა საინფორმაციო საშუალებამ გამოაცხადა. შეიქმნა მისი დამკრძალავი სახელმწიფო კომისია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრის, ოთარ ჩერქეზიას, ხელმძღვანელობით. სოსო სიგუა წერს: „მწერლის კუბოსთან საპატიო ყარაულ-

ში ერთმანეთს ცვლიდნენ რესპუბლიკის, მწერალთა კავშირის, აკადემიის ხელმძღვანელები, კულტურის ცნობილი მოღვაწენი. ედუარდ შევარდნაძემ მდუმარედ შემოუარა კუბოს, ხელი არავის ჩამოართვა, არც ზვიადს, არც ნათელას".[182]

თავიდან დაკრძალვის ადგილად განიხილებოდა მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონი, თუმცა მალე გაირკვა, რომ ამის სურვილი თავად მწერალს არ ჰქონდა სიცოცხლეში. მას სურდა თავისი მეუღლის გვერდით დაკრძალულიყო, კოლხური კოშკის ბაღში, ნუშის ხის ქვეშ. სიცოცხლეშივე გაცხადებული უარი პანთეონზე გარკვეულ პოლიტიკურ და დისიდენტურ მიზეზს უკავშირდებოდა. პოლიტიკურ ნაწილში უკავშირდებოდა ფილიპე მახარაძის საფლავის არსებობას პანთეონში, რომელიც მწერალს ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ორგანიზატორად მიაჩნდა. დისიდენტური კი გულისხმობდა კოლხური კოშკისთვის მფარველობის და დაცვის შექმნას თავისი იქვე დაკრძალვით. მწერალი და კრიტიკოსი სერგი ჭილაია იგონებდა: „მთელი ოთხი დღე ესვენა იგი თავის საყვარელ სასახლეში, მთელი ოთხი დღე და ღამე არ შეწყვეტილა ხალხის მოსვლა კოლხურ კოშკში. 21 ივლისს დილით კონსტანტინე გამსახურდიას ცხედარი სახლიდან მწერალთა სასახლეში გადაასვენეს, მოდიოდნენ თბილისელები, აფხაზები, ოსები, საქართველოს ყოველი კუთხიდან ჩამოსული დელეგაციები. ხალხის ზღვა დინებაში დარბაზიდან ძლივს გამოასვენეს კონსტანტინე გამსახურდიას ცხედარი მისმა მეგობარმა მწერლებმა. ხალხით სავსე ქუჩით მიიკვლევდნენ გზას და ასე მიასვენეს კიროვის ქუჩამდე, მერე მანქანაზე გადაასვენეს. პროცესია მელიქიშვილის და პეტრიაშვილის ქუჩით მიადგა მწერლის კოლხურ კოშკს და ეზოში დაასვენეს".[183]

მწერლის დაკრძალვა ასე აღწერა მერაბ კოსტავამ: „ცივად, როგორც სჩვევია, უექსტაზოდ წამოიწყო პროცესია ოფიციოზმა, მაგრამ აღარ დასცალდა თვალთმაქცობა. მეცნემ იმისა, რომ დიდ მწერალს არასოდეს მიუყიდია სული ძლიერთათვის ამა ქვეყნისა და ვაჟკაცურად გამოვლო სულთახდისა და საქართველოს პატივაყრის უმძიმესი პერიოდი... ხალხმა გამოსტაცა ოფიციოზს სადავეები პროცესიის მდინარებისა, ხელში აიტაცა კუბო და იმავდროს დასჭექეს კიდეც ქაშვეთის ზარებმა. ნიშივით გაიჭრა ეს ხმა თბილისის ქუჩებში. ხალხის სურვილს თითქოს განგებამ შეუერთაო თავისი ხმა. გაოგნება დაეუფლათ დამკრძალავი კომისიის წევრებს. ისინი თითქმის პანიკამ მოიცვა. ერთი შიში კლავდათ მხოლოდ, დაკრძალვა დემონსტრაციაში არ გადაზრდილიყო. მთაწმინდის პანთეონისკენ როდი გაემართა პროცესია, არამედ რუსთაველის გამზირისა და ვერისუბნის გავლით – კოლხური კოშკისკენ. მან ჯერ კიდევ სიცოცხლეში დემონსტრაციულად განუცხადა უარი მთავრობას მთაწმინდის პანთეონზე: „იქ რა მინდა, სადაც ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ორგანიზატორი ფილიპე მახარაძე მარხიაო...". ქართველი ხალხის სიყვარულმა გააპატიოსნა მისი ცხედარი. სიყვარულმა, რომელიც მწერალთა და მოღვაწეთა სიდიადის ერთადერთი უცდომელი ბარომეტრია. ამიტომაც, ცხრათავიანმა ჰიდრამ ვერც მიჩქმალა, ვერც მიისაკუთრა მისი სახელი".[184]

ამასობაში ზვიადსა და მერაბთან მიმართებით სიტუაცია უარესისკენ შეცვლას იწყებდა. ისინი, რასაკვირველია, ამისთვის მზად იყვნენ. საბჭოთა კავშირში არცერთი დისიდენტი არ ყოფილა რეპრესიებისგან დაცული, გარდა აკად. ანდრეი სახაროვისა – გამომდინარე მისი რეგალიებიდან, მსოფლიო დონის ავტორიტეტისა და დამსახურებებიდან საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე. მაგრამ ბოლოს მასაც გაუბედეს იძულებითი გადასახლება მოსკოვიდან ქალაქ გორკიში 1980 წელს. საბჭოთა რეპრესიული მანქანა საბჭოთა კავშირის მასშტაბით თანდათან უფრო მაღალ ბრუნზე იწყებდა მუშაობას.

2.6. რეპრესიის პირისპირ

1974 წლიდან ზვიად გამსახურდიასთვის მოსკოველ დისიდენტებთან ურთიერთობები ასე თუ ისე ვითარდებოდა. ადამიანის უფლებათა დაცვის საინიციატივო ჯგუფის ჩამოყალიბებისა და სოლჟენიცინის „გულაგის არქიპელაგის", ასევე, სხვა საბჭოთა „სამიზდატების" მოსკოვში ჩატანის შემდეგ ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა არა მარტო საბჭოთა დისიდენტების, არამედ საინფორმაციო სააგენტოების, მოსკოვში აკრედიტებული დასავლეთის დიდი ჟურნალ-გაზეთების კორესპონდენტებისა და, უპირველეს ყოვლისა, აშშ-ის, ბრიტანეთისა და საფრანგეთის დიპლომატების ყურადღებასაც იქცევდნენ. რასაკვირველია, ინფორმაცია ზვიად გამსახურდიას გამოჩენის შესახებ ამა თუ იმ საელჩოში აუცილებლად მივიდოდა საკავშირო უშიშროების კომიტეტამდე. თბილისში იმ დროს არცერთი უცხოური დიპლომატიური მისია არ ყოფილა. მოსკოვი არამც და არამც არ დაუშვებდა, რომ ქართველებს (ან რომელიმე სხვა მოკავშირე რესპუბლიკას) თუნდაც შეზღუდული დამოუკიდებლობის განცდა გასჩენოდათ. მათ უნდა სცოდნოდათ, რომ ცხოვრობდნენ ერთიან და მკაცრად ცენტრალიზებულ ქვეყანაში, რომელიც დედამიწის ერთ მეექვსედზე იყო გადაშლილი და მათთვის გარე სამყაროსთან დაკავშირება მხოლოდ მოსკოვის გავლით იყო შესაძლებელი.

უშიშროების კომიტეტს ამ აქტივობების საპასუხოდ თავიდან რაიმე მკვეთრი ნაბიჯი არ გადაუდგამს. გამონაკლისი იყო შემთხვევა დაკავშირებული ვილნიუსელ გამომძიებელ მასლაუსკასთან, რომელიც იყო ლიტვის სსრ-ის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თანამშრომელი, მაიორის ჩინით. გამომდინარე ამ ორგანიზაციის მკაცრად იერარქიზებული და გასამხედროებული სტრუქტურიდან, წარმოუდგენელია, იგი თავისი ნებითა და შეხედულებიდან გამომდინარე, ჩამოსულიყო თბილისში – მისი ეს ნაბიჯი, მინიმუმ, იური ანდროპოვის რომელიმე მოადგილესთან, ფილიპ ბობკოვთან ან ეგოროვთან იქნებოდა შეთანხმებული. ზვიად გამსახურდიას „ჩანაწერებიდან" ირკვევა, რომ მასლაუსკასი მას ზრდილობიანად შეხვდა და დაუსვა კითხვა, იცნობდა თუ არა სერგეი კოვალიოვს და ხომ არ გადასცა მას მასალები საქართველოს მართლმადიდებელ ეკ-

ლესიაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ. სერგეი კოვალიოვი იყო ადამიანის უფლებათა საინიციატივო ჯგუფის ერთ-ერთი პირველი წევრი მოსკოვში, ასევე სახაროვის თვითგამოცემული ჟურნალის, „მიმდინარე ამბების ქრონიკის", ერთ-ერთი პასუხისმგებელი პირი. ზვიად გამსახურდიამ განუმარტა მასლაუსკასს, რომ მას სრული უფლება ჰქონდა არც მოსულიყო ასეთ დაკითხვაზე, მით უმეტეს, როდესაც საქმე ეხებოდა ისეთ ღირსეულ ადამიანს, როგორიც სერგეი კოვალიოვი იყო. მაგრამ, რახან სტუმარი ხართ, ქართული სტუმართმოყვარეობიდან გამომდინარე, პატივი გეცით და მოვედი; ასეთ კითხვებს კი პასუხს ვერ გავცემ, მით უმეტეს, რომ სერგეი კოვალიოვის დაპატიმრება უკანონობად და განუკითხაობად მიმაჩნიაო. ეს დიპლომატიური პასუხი მასლაუსკასმა ღიმილით მიიღო. დამშვიდობებისას მაინც ჰკითხა, რომ დამჭირდეს თქვენი დაბარება, ვილნიუსში თუ ჩამოხვალთო? თან ქალაქსაც დაათვალიერებდითო. ზვიად გამსახურდიამ არც ამაზე გასცა პასუხი.

მასლაუსკასმა ანალოგიურად დაიბარა მერაბ კოსტავა და ჯგუფის სხვა წევრებიც, მაგრამ პასუხი ვერცერთისგან ვერ მიიღო. ამის შემდეგ მასლაუსკასი წასულა ქალაქ თბილისის პროკურორთან და მოუთხოვია მისგან ზვიად გამსახურდიას დაკავების ნებართვა, ქალაქის პროკურორს კი, გამომდინარე საქმის მნიშვნელოვნებიდან, იგი გადაუმისამართებია საქართველოს გენერალურ პროკურორთან, ე. ტაკიძესთან. ტაკიძემ მიიღო მასლაუსკასი, თუმცა მას განუმარტა, რომ ამგვარი ქმედების მიზანშეწონილობას ვერ ხედავდა. მით უმეტეს, რომ დასაკავებელი პირის მამა მძიმედ ავადაა, სახლის გაჩხრეკამ, შესაძლოა, გამოიწვიოს როგორც ქართველი საზოგადოების, ისე მსოფლიო მასმედიის მხრიდან ზედმეტი ყურადღების მიპყრობა, რაც ჩვენს ინტერესებში არ შედისო.[185] საფიქრებელია, რომ პროკურორის ასეთი პასუხი შეთანხმებული უნდა ყოფილიყო შევარდნაძესთან ან გენერალ ინაურთან, თუმცა, შესაძლოა, ორივესთან. ეს ნიშნავდა, რომ დაკავების გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არ ყოფილა.

ზვიად გამსახურდიას ჩართვას უფლებადამცველურ მოძრაობაში იმ დროს მცხოვრები არაერთი ადამიანი „პოლიტიკაში ჩართვად" მოიხსენიებდა. დღევანდელი გადასახედიდან ცოტა უცნაურია ასეთი განსაზღვრება. საბჭოთა კავშირში პოლიტიკა იმ სახით, როგორი სახითაც ის დემოკრატიულ სამყაროშია, არ არსებობდა. რამდენადაც იქ არ იყო თავისუფალი არჩევნები, თავისუფალი მასმედიები, დებატები და შეჯიბრება პოლიტიკური პროცესის ავტორებს შორის. „პოლიტიკა" მთლიანად შეზღუდული იყო სახელმწიფო საქმეების ჩარჩოთი, ამავე დროს, ის მკაცრად იყო მონოპოლიზებული ერთი პარტიის მიერ, რომელიც, პრაქტიკულად, სახელმწიფოს უდრიდა. დისიდენტებისა და უფლებადამცველების მხრიდან პარტიისა და სახელმწიფოს გადადგმული ნაბიჯებისა და ისტორიულად ფორმირებული რეალობების კრიტიკა ხშირად „პოლიტიკად" აღიქმებოდა, თუმცა ეს პოლიტიკა არ ყოფილა.

ის, რაც ზვიადს, ალბათ, ბევრი სხვა დისიდენტისგან განასხვავებდა, ეს იყო თავად მიდგომა, საკითხების პოლიტიკური აქცენტირება. აი, რას წერს ისტო-

რიკოსი ალ. დანიელი: „დისიდენტობა, ამ სიტყვის ფართო გაგებით, ყოველთვის არსებობდა. ის არსებობდა 50-იან წლებში, 40-იანებშიც კი შეიძლება მოიძებნოს დისიდენტური გამოვლინებები. მაგრამ 60-იანი წლების შუახანებიდან დაიწყო წინააღმდეგობის ახალი ფაზა, და ყველაზე მეტად დამახასიათებელი ამ ფაზისთვის იყო ის, რომ მას აღარ ჰქონდა პოლიტიკური ხასიათი. იგი, რაც გნებავთ, ის იყო – კულტურული, სამოქალაქო, მორალური, მეტაფიზიკური, მაგრამ არა – პოლიტიკური. პოლიტიკური ბრძოლის უარყოფა დისიდენტურ გარემოში ძალიან ძლიერი იყო. მე მახსოვს ფრაზა, რომელსაც დედაჩემი ხშირად იმეორებდა (ანუ ლარისა ბოგორაზი, რუსი უფლებადამცველი და პოლიტპატიმარი, კ. გ.) – პოლიტიკა ესაა ჭირიანი სფერო ადამიანური საქმიანობისა და მასთან მიახლოება არ უნდა მოხდესო. ის კი ძალიან ავტორიტეტული ადამიანი იყო დისიდენტურ წრეებში. დისიდენტური ხანა ესაა ეპოქა სრულიად განსაკუთრებული ოპოზიციური მოძრაობებისა, აპოლიტიკურისა და მეტაისტორიულის, ეგზისტენციალურის, რომელიც რეალური მიზნისკენ არ მიისწრაფოდა, შედეგებით არ იყო დაინტერესებული, გულგრილი დამოკიდებულება ჰქონდა გამარჯვებისადმი. ეს იყო ერთგვარი მეტაისტორიული და მეტაფიზიკური მოღვაწეობა. ადამიანები სამართალში ეძებდნენ დასაყრდენს, ზნეობრიობაში, ყველაფერში – ოღონდ არა პოლიტიკურ პრაგმატიზმში... მათ იდეოლოგიების მიმართ მძაფრი იდიოსინკრეზია ჰქონდათ, ისინი მხოლოდ ერთ იდეოლოგიას ცნობდნენ – მას, რომელმაც უზარმაზარი ქვეყანა მარაზმამდე მიიყვანა. პოლიტიკაც ერთი იცოდნენ: ის, რომელმაც მსოფლიო მეორე მსოფლიო ომის კატასტროფამდე მიიყვანა. ამ ჩიხიდან გამოსავალს, რომელშიც ქვეყანა შევიდა და მსოფლიო შედიოდა, ჩემი აზრით, ისინი პოლიტიკაში არ ეძებდნენ. ეს შეცდომად მოიაზრებოდა თუ არა, ეს მათი ცხოვრებისეული გამოცდილების შეჯამება იყო. და სხვა გამოცდილება მათ არ ჰქონიათ“.[186]

თვითგამოცემებისთვის ზრუნვის, სხვა უფლებადამცველებთან კონტაქტებისა და მოსკოვში ჩასვლის გარდა, ზვიად გამსახურდია ეწეოდა როგორც კულტურულ-სამეცნიერო, ისე პედაგოგიურ მოღვაწეობას. ტატიანა ნიკოლსკაია იგონებს: „არ შეიძლება ითქვას, რომ 1970-იან წლებში ზვიადს მხოლოდ პოლიტიკა აინტერესებდა. ის განაგრძობდა მუშაობას რუსთაველის პოემის სიმბოლიკაზე, წერდა სტატიებს დასავლეთ ევროპულ ლიტერატურაზე, მთარგმნელობით ხელოვნებაზე. ზოგიერთი მათგანი შევიდა 1976 წელს თბილისში გამოცემულ კრებულში „ლიტერატურული წერილები“, რომლის გამოსვლამაც ზვიად გამსახურდია გააკვირვა... იგი დილაობით მიდიოდა სამუშაოზე ძეგლთა დაცვის სამმართველოსა ან უნივერსიტეტში, სადაც ასწავლიდა ინგლისურსა და ამერიკულ ლიტერატურას. იგი დისერტაციის დაცვისთვის ემზადებოდა, რომლის ავტორეფერატიც 1973 წელს თბილისში გამოაქვეყნა, სათაურით „რუსთაველის მსოფლმხედველობისთვის“.

ზვიად გამსახურდიამ მართლაც მალე დაიცვა დისერტაცია „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურ თარგმანებზე. დისერტაციის ავტორეფერატი 1973 წელს გა-

მოქვეყნდა. სადისერტაციო ნაშრომის დაცვა შედგა 1973 წლის 14 დეკემბერს, თბილისის სახელმწიფო უნივესიტეტში. მისი ოპონენტები იყვნენ ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი აკაკი გაწერელია, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ელენე თოფურიძე, ხოლო სწავლული მდივანი – ოთარ ბაქანიძე. დაცვამ ძალიან კარგად ჩაიარა და მას ბევრი დაინტერესებული ადამიანი დაესწრო.[187]

მიუხედავად წარმატებულად დაცული დისერტაციისა, ზვიად გამსახურდიას 1975 წელს მაინც მოუწია დაეტოვებინა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სადაც იგი 9 წლის განმავლობაში ასწავლიდა ინგლისურს და სემინარებს ატარებდა ამერიკულ პოეზიაზე. მას არაორაზროვნად მიანიშნეს, რომ მისთვის უმჯობესი იქნებოდა, თავად დაეწერა განცხადება და წასულიყო, ვიდრე გაეთავისუფლებინათ რექტორატის განკარგულებით. უნივერსიტეტში დარჩენაზე გაცილებით მეტი შანსი იყო მუშაობის დაწყებისა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში. რამდენადაც სსრკ-ში ინსტიტუტები კვლევითი დაწესებულებები იყო, იქ სწავლების პროცესი არ მიმდინარეობდა. საბჭოთა საქართველოში, ცხადია, ოფიციოზი არ მოითმენდა სტუდენტებთან მომუშავე აქტიურ დისიდენტს.

უკვე მწერლის გარდაცვალების დღეს ზვიად გამსახურდია გააფრთხილეს პირებმა, რომელთა დასახელებასაც იგი ერიდებოდა, რომ მის სახლში ძალიან მალე ჩხრეკა ჩატარდებოდა. ცალი თვალით მამაჩემს ვტიროდი, ცალი თვალით კი ყველა მომსვლელს ეჭვით ვუყურებდი და სახიფათო მასალებს ერთად ვკრებდი, რომ, რაც შეიძლება, სწრაფად უსაფრთხო ადგილას გამეტანაო.[188] ეს ის პერიოდია, როდესაც დასავლეთში ზვიად გამსახურდიას სახელით გამოქვეყნდა მოკვლევები ძარცვის შესახებ საქართველოს საპატრიარქოში. მოკვლევა ეყრდნობოდა ქ. თბილისის კიროვის რაიონის პროკურორის თანაშემწის, დ. ქორიძის, მიერ მოგროვილ მასალებს, რომლებშიც ეწერა სუკ-ის თანამშრომლების ჩართულობის შესახებ ამ ძარცვაში. ასევე გამოქვეყნდა მასალები წამების შესახებ თბილისის საგამოძიებო იზოლატორში, რომელთა მიზანიც პატიმრების დამუშავება და მათგან სასურველი ჩვენებების მიღება იყო. ზვიად გამსახურდიას მალევე მოუვიდა უწყება თბილისის პროკურატურიდან – გამომძიებელ ხაბულიანს მისი დაკითხვა სურდა, მაგრამ იგი დაკითხვაზე არ გამოცხადებულა. მალე ზვიადი დააკავეს მოსკოვის დომოდედოვოს აეროპორტში, ბედის ირონიით, ჰელსინკის ხელშეკრულების ხელმოწერის დღეს, თუმცა მოხდა კურიოზი – სუკ-ის თანამშრომლებს ჩხრეკისას პირველად ხელში მოხვდათ წერილი, რომლის ადრესატიც იყო იუგოსლავიის სახელმწიფოს მეთაური იოსიპ ბროზ ტიტო. წერილში ზვიადი ითხოვდა იუგოსლაველი პოლიტპატიმრის, ზაგორკა სტოიანოვიჩ-კოიჩის, განთავისუფლებას. ტიტოს სახელის ამოკითხვამ იმდენად იმოქმედა სუკ-ის თანამშრომლებზე, რომ ჩხრეკა აღარ გაუგრძელებიათ და აღარც წერილის ავტორი დაუკავებიათ. ზვიადი, თავის „ჩანაწერებში“ აღნიშნავს, ეს მაგალითი მავანთა განცხადებების გასაქარწყლებლად მომყავს, რომლებიც ამ-

ტკიცებენ, თითქოს ჰელსინკის ხელშეკრულებაზე ხელმოწერას არანაირად არ უმოქმედია საბჭოთა ორგანოების მოქმედების წესზეო.[189]

ამავე 1975 წელს მოსკოვში შეიქმნა „საერთაშორისო ამნისტიის" ჯგუფი, რომელიც შექმნეს ფიზიკოსმა იური ორლოვმა, მოსკოვის ჰელსინკის ჯგუფის დამფუძნებელმა, ასევე, ანდრეი ტვერდოხლებოვმა, ვალენტინ ტურჩინმა და „ოტკაზნიკმა" (უართქმულმა) ვენიამინ ლევიჩმა. ზვიად გამსახურდია ამ ჯგუფის წევრიც გახდა.

1976 წლის ზაფხულში მოსკოვში კიდევ ერთი ინციდენტი მოხდა: აშშ-ის საელჩოს პირველმა მდივანმა იგორ ბელოუსივიჩმა ზვიად გამსახურდიას ინგლისურ და რუსულ ენებზე დაწერილი წიგნები გადასცა. ეს იყო სასტუმრო „უკრაინის" წინ, ხოლო სიფრთხილის ზომების დაცვაზე არცერთს არ უფიქრია. ეს გადაცემა, ცხადია, შეამჩნიეს სპეციალურმა მოთვალთვალეებმა და ზვიად გამსახურდია მეტროში დააკავეს. ეს იყო მილიციის მე-11 განყოფილება, რომელიც თვალყურს ადევნებდა მათ, ვინც, შესაძლოა, კონტაქტში შესულიყო ამერიკის საელჩოს რომელიმე თანამშრომელთან. ცოტა ხანში საბჭოთა ოფიციალურმა სააგენტო TACC-მა გაავრცელა განცხადება, თითქოს ზვიად გამსახურდია უცნობი ქალის შევიწროების გამო დააკავეს. ზვიად გამსახურდიას საპასუხო განცხადება „TACC როგორც ყოველთვის, ცრუობს", დასავლეთის რადიოსადგურებს არ გადაუციათ. მილიციის განყოფილებაში მოვიდნენ სუკ-ის თანამშრომლები. ერთ-ერთმა მათგანმა, უთხრა, რომ კომიტეტი პატივს სცემდა მის მამას, დიდ საბჭოთა მწერალს, რის გამოც ერიდებოდა მის წინააღმდეგ მკვეთრი ზომების მიღებას, თუმცა ხომ არ ექნებოდა მას ქვეყნიდან ემიგრირების სურვილი? და შესთავაზეს, ნაჰყოლოდა მათ ლუბიანკაზე, სადაც გაესაუბრებოდნენ ამ საკითხზე. ეს ძალიან საინტერესო ინფორმაციაა, საიდანაც ჩანს, რომ საბჭოთა სუკ-ი ქვეყნიდან გაძევების ოფციას, როგორც ერთ-ერთ გამოსავალს, ყოველთვის განიხილავდა. ზვიადმა სუკ-ის მთავარ კორპუსში წაყოლაზე უარი განაცხადა.

ამ საუბარში კიდევ ის იყო მნიშვნელოვანი, რომ პირველად გახმოვანდა თემა უცხოეთის სპეცსამსახურებისა, რომლებსაც ქართველი დისიდენტი თითქოს და უკვე ხელში ჰყავდათ ჩაგდებული.[190] თემა, რომელიც საქმის გამოძიების პირველ ეტაპზე ძალიან ხშირად ფიგურირებდა. ამ ინციდენტის შემდეგ არც იგორ ბელოუსოვიჩს, არც მის შემცვლელს საელჩოს პირველი მდივნის რანგში, კენეტ ჰილასს, ძვირი არასოდეს დასცდენიათ ზვიად გამსახურდიაზე (ზვიადის ოპონენტებმა მოგვიანებით გაავრცელეს ვერსია, თითქოს დაკითხვაზე ზვიადმა იგორ ბელოუსოვიჩს ხელი დაადო). 1990 წელს კი პენსიაზე გასასვლელად გამზადებულმა იგორ ბელოუსოვიჩმა, რომელიც აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში იკავებდა „რუსული დესკის" (Russian Desk) ხელმძღვანელის ადგილს, მცირე ბარათით თბილად მოიკითხა ზვიად გამსახურდია, ბოლოს კი მიაწერა, საქართველოში ჩამოსვლაზე ვოცნებობო. ასეთ კეთილგანწყობილ წერილებს მხოლოდ მეგობრებს უგზავნიან.

ამ ამბებთან მიმართებით 1977 წლის თებერვალს ცენტრალურ კომიტეტში მიიღეს დადგენილება, რომელიც გამოქვეყნებულია წიგნში ქართული დისიდენტობის ისტორიის შესახებ: „სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი მოგახსენებთ იმის შესახებ, რომ აშშ-ის მიერ ამჟამად გაჩაღებულ „სსრ კავშირში დემოკრატიული თავისუფლებების დაცვის“ ანტისაბჭოთა კამპანიაში, რომელშიც იდეოლოგიური ცენტრებისა და სიონისტური ორგანიზაციების მიერ ჩართულნი არიან კარტერის ახალი ადმინისტრაცია და ცნობილი სენატორები, გარკვეული როლი ეკისრებათ აშშ-ის სპეცსამსახურებს. თუ ადრე სსრკ-ის ტერიტორიაზე ამ საქმიანობის ორბიტაში, ძირითადად, ჩაბმულნი იყვნენ ამერიკელი ჟურნალისტები და „ემისრები“ ჩვენს ქვეყანაში დროებით ჩამოსული უცხოელებიდან, ახლა მიზანმიმართულ მუშაობას ეწევიან ე. წ „დემოკრატიული მოძრაობის“ მონაწილეთა, „უართქმულთაგან“ ებრაელი ეროვნების პირთა და ნაციონალისტებს შორის, დაზვერვის ცენტრალური სამმართველოსა და თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის სამმართველოს რეზიდენტურების აქტიური მონაწილეობით. ასევე მსგავს საქმიანობას მისდევენ აშშ-ის დიპლომატიური და სხვა წარმომადგენლობათა თანამშრომლები, რომელთაც ამის თაობაზე აქვთ შესაბამისი დირექტივები. ასე, აშშ-ის საელჩოს პოლიტიკური განყოფილების პირველმა მდივანმა ბელოუსოვიჩმა 1976 წლის ბოლოს ქართველ ნაციონალისტ გამსახურდიას დიდი რაოდენობით მტრული ანტისაბჭოთა ლიტერატურა გადასცა. მოსკოვის სინაგოგის მონახულების დროს, 1976 წლის აგვისტოში, საელჩოს მრჩევლები, გროსი და ლობნერი ავრცელებდნენ სიონისტური შინაარსის მასალას“.[191]

1977 წლის მარტის დასაწყისში ზვიად გამსახურდია მოსკოვში კიდევ ერთხელ ჩავიდა და დაესწრო ოთარ თაქთაქიშვილის ოპერის, „მთვარის მოტაცების“, პრემიერას. ეს ოპერა დადგა ბორის პოკროვსკიმ მოსკოვის დიდ ანუ „ბოლშოი“ თეატრში. ოპერაში მონაწილეობდნენ მაშინდელი საბჭოთა ოპერის უმაღლესი კლასის მომღერლები: ზურაბ სოტკილავა, მაყვალა ქასრაშვილი, იური გულიაევი და სხვები. ამის შემდეგ ზვიად გამსახურდია დაპატიმრებამდე მოსკოვში აღარ ჩასულა. დაპატიმრების ნიშნები გამოიკვეთა იმითაც, რომ გაზეთებში დაიწყო კამპანია ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას წინააღმდეგ. რუსულენოვანი გაზეთი „ვეჩერნი ტბილისი“ სტატიაში „მოღალატეები“ წერდა: „მოღალატეები! სხვანაირად ვერ უწოდებ კაცუნების ამ საცოდავ ჯგუფს, რომლებიც ზვიად გამსახურდიათი სათავეში ცდილობენ ჩირქი მოსცხონ ყველაფერს, რაც მოპოვებულია სისხლით, ოფლით, დაკოჟრილი ხელებით... სამშობლოს მოღალატეებო და უბადრუკო დამბინძურებლებო, რა უფლებით ბედავთ შებილწოთ ყოველივე ნათელი, რაც იყო და არის დღესაც. საზეიმო მარშზე თქვენ არ მოგიწევთ სვლა მათ მხარდამხარ, ვის საწინააღმდეგოდაც გამოდიხართ ახლა. გახსოვდეთ: ვინც ჩვენთან არ არის, ის ჩვენი მტერია!“ იყო ასეთი შეფასება-მოწოდებაც: „ჩვენი ხალხი ითხოვს, რომ ამ ეგრეთ წოდებულ მოღვაწეებს მოექცნენ, როგორც სოციალიზმის მოწინააღმდე-

გეებს, ადამიანებს, რომლებიც საკუთარი სამშობლოს წინააღმდეგ გამოდიან, იმპერიალიზმის ხელშემწყობნი და აგენტებიც კი. ბუნებრივია, რომ ჩვენ ვიღებდით და კვლავაც მივიღებთ მათ მიმართ ზომებს, რომელთაც კანონი ითვალისწინებს". აგრესიული კამპანია გაზეთებში, ცხადია, პირდაპირ ასახავდა ცენტრალური კომიტეტის განწყობას და მიანიშნებდა, რომ დაპატიმრებამდე, შესაძლოა, დღეები რჩებოდა.

2.7. მწერალთა კავშირიდან გარიცხვა

როდესაც მწერალთა კავშირის 1977 წლის პირველი აპრილის სხდომაზე ვსაუბრობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს იდეოლოგიზებული და ტოტალიტარული სახელმწიფოს ერთ-ერთი უწყება იყო, მართვის ინსტრუმენტად ქცეული, დაახლოებით, ისევე, როგორც სხვა შემოქმედებითი კავშირები და საპატრიარქო. მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის წევრი ნომენკლატურის წარმომადგენელი იყო, მის თავმჯდომარესა და მდივანს პირდაპირი სატელეფონო კავშირი ჰქონდა საქართველოს ცენტრალურ კომიტეტთან. როგორც კი დადგა საკითხი ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას დაპატიმრებისა, მაშინვე მოიწვიეს სხდომა, რათა ზვიადი დაპატიმრებამდე ყოფილიყო გარიცხული ამ გაერთიანებიდან, მერაბი კი წევრი არასოდეს ყოფილა.

სხდომას მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, მწერალი გრიგოლ აბაშიძე უძღვებოდა. მან სხდომის დასაწყისშივე აღნიშნა: „ჩვენ მოგვმართა რესპუბლიკის პროკურატურამ" სათანადო რეაგირებისათვის გეგზავნებათ... (კითხულობს) ეს მასალა მივიღეთ. პრეზიდიუმის წევრებმა გაიცინეს. როგორც თქვენ ნახეთ და როგორც გაზეთები ადასტურებენ, ეს არის ანტისაბჭოთა პროპაგანდა".[192] ამ ოქმის კითხვისას რჩება შთაბეჭდილება, რომ ყველაფერი რუტინულად მიდის. ბრალდების ძირითადი სიმძიმის ცენტრი ფოკუსირებულია თვითგამოცემაზე, როგორც „ოქროს საწმისზე", ისე „საქართველოს მოამბეზე", განსაკუთრებით კი იქ დაბეჭდილ ორ მასალაზე: პირველი, რომელიც ეხება გერმანიის მესამე რაიხში მოღვაწე ქართველ სამხედრო პირს, ვერმახტის გენერალ-მაიორ შალვა მაღლაკელიძეს, რომელიც ომიშემდგომ პერიოდში დასავლეთ ბერლინიდან საბჭოთა სუკ-მა გამოიტაცა და მას შემდეგ, რაც გარკვეული წლები პატიმრობაში დაჰყო, თბილისში ცხოვრობდა და გამომცემლობა „მერნის" უბრალო იურიდიულ კონსულტანტად მუშაობდა, მეორე კი – ანტისაბჭოთა შინაარსის პროკლამაციას, რომელიც დაიბეჭდა „მოამბეში".

რასაც აქ ვკითხულობთ, შეიძლება ითქვას, არის საქმე N131-ის ერთგვარი უვერტიურა. სხდომაზე გამომსვლელი მწერლები, რომლებმაც ერთხმად დაუჭირეს მხარი ზვიად გამსახურდიას გარიცხვას, პირობითად, სამ ჯგუფად შეიძლება დაიყონ:

პირველ ჯგუფში შედიოდნენ ისინი, ვინც დანანებას გამოთქვამდა, ამ ამბავში მონაწილეობის დიდი სურვილი არ ეტყობათ, მაგრამ სხვა გზას ვერ ხედავდნენ. „სხვა გზას" რომ დადგომოდნენ, მათ, ცხადია, არავინ არ დაიჭერდა, მაგრამ, შესაძლოა, პრობლემები შექმნოდათ წიგნების გამოცემაზე, ნაწარმოებების დაბეჭდვაზე პერიოდიკაში, ასევე, პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტაზე. რა შეიძლება ყოფილიყო ეს საკითხები? ბევრი მათგანისთვის, ყველაფერთან ერთად საგზურები საზღვარგარეთ და სსრკ-ის სხვა ადგილებში, ბინის, მანქანისა და სხვა საყოფაცხოვრებო საკითხების მოგვარება, რაც შეუძლებელი იქნებოდა კომპარტიის ცეკასთან კარგი ურთიერთობებისა და კავშირების გარეშე. ხოლო ვინ ერთგული იყო და ვინ – არა, ამის აღნუსხვას სუკ-ი რომ არგუსის თვალით აკვირდებოდა, ეს ქართველმა მწერლებმა შესანიშნავად იცოდნენ. მწერალთა ამ ჯგუფში შედიოდნენ იოსებ ნონეშვილი, ვანო თარბა, ალექსი გომიაშვილი, მორის ფოცხიშვილი, გიორგი ნატროშვილი, ელგუჯა მაღრაძე, ხუტა ბერულავა, სერგი ჭილაია, ირაკლი აბაშიძე, კოსტა მარგიევი, ფრიდონ ხალვაში, მურმან ლებანიძე, ანა კალანდაძე, შოთა ნიშნიანიძე.

მეორე, უფრო მომცრო ჯგუფში შედიოდნენ ისინი, რომლებიც ხაზს უსვამდნენ, რომ ზვიადთან არ ჰქონდათ კარგი ურთიერთობა – წარსულში მიმდინარე საკმაოდ მკვახე პოლემიკის ან სხვა რაიმე მიზეზის გამო, რის გამოც უხალისოდ გვინევსო ჩართვა ამ პროცესში, არ გვსურს შურისძიებაში ჩაგვითვალოს ვინმემო, თუმცა, საბოლოო ჯამში, გარიცხვას ისინიც ხმას აძლევდნენ – გურამ ასათიანი, გურამ ფანჯიკიძე, არჩილ სულაკაური, ვახტანგ ჭელიძე და სხვები.

მესამე ანუ „სხვებზე მეტად აცდენილთა" ჯგუფში იყვნენ უფროსი თაობის მწერლები: კარლო კალაძე, რევაზ ჯაფარიძე და დემნა შენგელაია, რომლებიც თან ხაზს უსვამდნენ კონსტანტინე გამსახურდიასადმი პატივისცემასა და მასთან მეგობრობას, ზვიადი ჩვენ თვალწინ გაიზარდაო და ა. შ., თან საკმაოდ აგრესიულად გმობდნენ და ემიჯნებოდნენ ზვიად გამსახურდიას. ყველაზე მეტად გაუგებარი იყო მათი ლოგიკა. აბსურდის მიჯნამდე მიდიოდა რევაზ ჯაფარიძის ეს ფრაზა: „მე არ ვიტყვი რატომ, რა ურთიერთობა მქონდა კონსტანტინე გამსახურდიასთან, როგორ მიყვარს ზვიადი, მაგრამ აქ რომ ბრძანდებოდეს, ჩვენს პრეზიდიუმზე, ბატონი კონსტანტინე, ისიც ასე იტყოდა". რაც შეეხება მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს, გრიგოლ აბაშიძეს, და გამგეობის მდივანს, ნოდარ დუმბაძეს, მათ თანამდებობა ავალდებულებდათ საკმაოდ მკვეთრი პოზიციის დაკავებას.

ედუარდ შევარდნაძემ და საქართველოს კომპარტიამ იქ შეკრებილი ადამიანების პირით აგრძობინეს ზვიად გამსახურდიას, რომ ამ სახლში, ანუ საქართველოს მწერალთა კავშირში სწორედ მათ ეთქმით სიტყვა. ამიტომაც სხდომის (და მწერალთა კავშირის) თავმჯდომარემ თავისი სიტყვის დასაწყისშივე განაცხადა: „თქვენ მოგეხსენებათ მწერალთა კავშირის წესდება, რომლის მიხედვითაც, მწერალთა კავშირის წევრად ითვლებიან ისინი, ვინც მთლიანად დგას საბჭოთა პოზიციებზე და აქტიურად იღებს მონაწილეობას კომუნიზმის მშენებლობაში.

თუ კაცი ენევა ანტისაბჭოთა პროპაგანდას, ანტისაბჭოთა მოღვაწეობას, ის თავის თავს აყენებს ამ ორგანიზაციის გარეშე. თუ ჩვენ გვაერთიანებს კომუნიზმის მშენებლობა და მისი აქტიური მშენებლები ვართ, ეს არის ჩვენი სულის, ჩვენი მოწოდების ნაკარნახევი და, თუ კაცი იბრძვის მის წინააღმდეგ, ის თვითონ აყენებს თავის თავს ამ ორგანიზაციის გარეშე." უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდა მართლაც დიდი პოეტი ანა კალანდაძე, რომელსაც ნათელ-მირონი აკავშირებდა ზვიად გამსახურდიასთან: იგი მისი უფროსი ვაჟის ნათლია იყო. ზვიად გამსახურდია თავის „ჩანაწერებში" აღნიშნავს, რომ იყო რამდენიმე მწერალი, რომელთა გამოსვლაშიც სჭვიოდა სურვილი მისთვის შეემსუბუქებინათ ხვედრი. მათ შორის იყო ანა კალანდაძე, რომლის გამოსვლა იმით გამოირჩეოდა, რომ გულწრფელი თანაგრძნობა და მოსალოდნელი ამბით გამოწვეული მწუხარება იგრძნობოდა. პოეტმა განაცხადა: „პირველი განცდა ის არის, რომ ბატონი კონსტანტინეს აჩრდილის წინაშე ვართ ყველანი უმძიმეს მდგომარეობაში და განსაკუთრებით მე. ზვიადი ნათლიმამაა ჩემი, ნათელ-მირონი მაკავშირებს. და რაც აქ ითქვა, იმან მე ცოტა იმედი მომცა. პირველი სამსჯავრო – ეს არის მწერალთა კავშირის პრეზიდიუმი. ნუთუ არავინ დაიბარა, მარტო ჩვენ ვართ პირველები? შეიძლება მოხდეს სასწაული და ზვიადმა თავი გაიმართლოს და ამოვისუნთქოთ. შეიძლება მოხდეს ასეთი სასწაული და მე ამ სასწაულისა მჯერა".

ამ ოქმის კითხვისას მკითხველს რჩება შთაბეჭდილება, რომ ზვიად გამსახურდიას მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის საგანგებო სხდომაზე სრულიად გაცნობიერებული ჰქონდა ის გარემოება, რომ ზუსტად იმავე ბრალდებებით, რომელთაც აქ ისმენდა, მოუწევდა საქმე N131-ის საგამოძიებო ჯგუფთან კითხვა-პასუხი სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის იზოლატორში. ამიტომაც მისი პოზიცია ცალსახად ასეთია: მან არ იცის, ფიზიკურად სად იბეჭდება „სამიზდატი" და ვინ არის მისი რედაქტორი. ის პასუხს აგებს მხოლოდ იმ სტატიებზე, რომელთაც ხელს აწერს და მათში ანტისაბჭოთას და ანტისახელმწიფოებრივს ვერაფერს ხედავს: „საერთოდ რა უნდა მოგახსენოთ. სასამართლო რომ სასამართლოა, მას თავისი წესი აქვს საბჭოთა კავშირსა თუ უცხოეთში, არსებობს იურისპრუდენცია, არსებობს კანონი. თუ ყველაფერი მოთავებულია, უნდა გავჩუმდე და თქვენ რაც გინდათ ის გამოიტანეთ, ის დაადგინეთ. არ შეიძლება, სანამ სასამართლო არ დაადგენს დანაშაულს, კაცი დაისაჯოს და იმის თქმა, რომ ეს სიმართლეა, იმიტომ რომ პრესაშია. პრესას შეიძლება შეეშალოს. ვერც პრესა გასწევს სასამართლოობას და ვერც პროკურატურა. ეს რომ ასე იყოს, მაშინ სასამართლო აღარ იქნებოდა. პროკურატურა გამოთქვამს თავის აზრს და მას რომ შეეძლოს გადაწყვეტა, მაშინ სასამართლოც არ იქნებოდა საჭირო. მარტო პროკურატურის აზრი რომ იყოს კომპეტენტური, სასამართლო აღარ იარსებებდა. სასამართლო იმიტომ არსებობს, რომ დაადგინოს სიმართლე, ის სიმართლე, რომელსაც ვერ ადგენს პროკურატურა. რატომ არსებობს სასამართლო და შეიძლება თუ არა ინსინუაციების ასე სროლა ადამიანის მიმართ და ყველაფერი

ის, რასაც პრესა აკეთებს? ყველაფერი, რაც ენაზე მოადგება „სოვეტსკაია კულტურის“ კორესპონდენტს, გადმოიგზავნება აქ და იბეჭდება, ან თუნდაც ის, რომ მე რადიო „სვობოდას“ ვუგზავნი მასალებს. როგორ შეიძლება ასე დაბრალება? და რამდენი უნდა ჩამოვთვალო? აი, თვით აქ რაც წამძღვარებულია. მე არ ვიცი, სად გამოდის ეს ჟურნალი, ვის მიერ. მე ვწერ და ვაძლევ მეგობრებს. მე ვწერ და რასაც ხელს ვაწერ, სამწუხაროდ, არ იბეჭდება, ცენზურა მკაცრია, ამიტომ გადავცემ ნაცნობ-მეგობრებს. მაგალითად, ძეგლთა დაცვის მდგომარეობაზე დავწერე, პრესის ყველა ორგანოს მივმართე. არ დამიბეჭდეს და შემდეგ გადავწყვიტე მიმეწოდებინა ხალხისათვის. რაც შეეხება პროკლამაციას, არ მინახია, არც მითარგმნია და საერთოდ მე არ ვარ საბჭოთა წყობილების მტერი, არც მისი დამხობის მომხრე და არც არავის მოვუწოდებ ამისკენ, თუ მე რაიმეს ვწერ, ვაკრიტიკებ რომელიმე დაწესებულებას, ეს არ ნიშნავს, რომ მე ვარ მტერი. ნუ აიღებთ თქვენს თავზე სასამართლოს ფუნქციას. მე ვიცი თქვენ ეს დაგეგმილი გაქვთ და, რაც არ უნდა ვთქვა, თქვენ ვერაფერს შესცვლით. ეს გადაწყვეტილია, მაგრამ თქვენ სასამართლო არ ბრძანდებით, თქვენა ხართ მწერალთა წრე. არავითარი მაღლაკელიძის შესახებ წერილის ავტორი მე არა ვარ. გადახედეთ და ნახავთ – არცერთი სიტყვა ჩემი არ არის. და სხვათა შორის, მაღლაკელიძის შესახებ უნდა მოგახსენოთ, ის თქვენი „მერნის“ კონსულტანტი იყო, თუ ის ფაშისტი გახლდათ, რატომ არ მოხვდა ნიურნბერგის პროცესში? იმიტომ, რომ სწორედ ის იყო ანტიჰიტლერელი, ანტიფაშისტი, უბრალო სამხედრო. ის გახლდათ შულენბერგის დაჯგუფების წევრი, ანტიფაშისტი და არც ვიცნობდი და არც ვმეგობრობდი მაღლაკელიძეს, ის თქვენი გამომცემლობა „მერნის“ თანამშრომელი იყო წლების განმავლობაში და ყველა თქვენთაგანს მასთან პური უჭამია და კარგი სიტყვა უთქვამს“.

თუმცა გამომსვლელები ამაზე პასუხობენ ზვიად გამსახურდიას, რომ მათ პროკურატურისა და გაზეთებში გამოქვეყნებული პუბლიკაციებისა უფრო სჯერათ. ამიტომაც ეს შეკრება მისი გარიცხვით უნდა დასრულდეს. გრიგოლ აბაშიძის (თავმჯდომარის) ვერდიქტი ასეთი იყო: „ჩვენ კენჭი ვუყარეთ და გავათავეთ და მე ვამბობ – თუკი ზვიადი გამართლდება, რომ მას არავითარი დამოკიდებულება არა აქვს და არ იზიარებს იმ პროკლამაციის დაბეჭდვას და ანტისაბჭოთა პროპაგანდას, ჩვენ ყველანი დავუჭერთ მხარს მის კავშირში დაბრუნებას. ამით ჩვენი ეს დღევანდელი სხდომა დამთავრებულია“.

ცალკეა განსახილველი პოეტ ჯანსუღ ჩარკვიანის შემთხვევა. იგი მწერალთა კავშირის ხელმძღვანელი ჯგუფის წევრი იყო, ხოლო ედუარდ შევარდნაძე მას თავის მეგობრად თვლიდა. 1967-1977 წლებში იგი ჟურნალ „ცისკრის“ მთავარი რედაქტორი იყო. მას ნებისმიერ შემთხვევაში ევალებოდა ამ სხდომაზე დასწრება და ხმის მიცემა ზვიად გამსახურდიას გარიცხვისთვის. თუ თვალს გადავავლებთ მოვლენების განვითარებას, როსტომ ჩხეიძისეული მოკვლევით, დაახლოებით, ასეთი სურათი რეკონსტრუირდება: ჯანსუღ ჩარკვიანმა სხვებზე გაცილებით ადრე იცოდა, როდის მოიწვევდნენ სხდომას და რა გადაწყვეტილე-

ბას მიიღებდნენ, ამიტომაც დეტალებში დაგეგმა და განახორციელა გარიდების გეგმა: რ. ჩხეიძისეული ვერსიით, მან უკრაინაში, კიევში თავისი შემოქმედებითი საღამო ზუსტად იმ დროს დანიშნა, როდესაც თბილისში ეს სხდომა მიდიოდა.[193] მანამდე იგი თითქოს პოეტ ვიტალი კოროტიჩს შეუთანხმდა, რის შემდეგაც ითქვა, რომ სხვა დღეს საღამოს დანიშვნა შეუძლებელი იყო. მან ისიც იცოდა, რომ არცერთი საბაბით, არც ავადმყოფობის მომიზეზებით, არც რაიმე სხვა საყოფაცხოვრებო ამბავში ჩართულობით თავის დაღწევა არ გამოვიდოდა: მას ყველა შემთხვევაში მიიყვანდნენ კრებაზე, თუნდაც, ერთი საათით, რათა პოზიცია გამოეხატა და მერე თუნდაც დროზე ადრე დაეტოვებინა სხდომა.

მიუხედავად ამისა, სხვა ვერსიებიც არსებობს. მაგალითად, მეორე ვერსიის მიხედვით, იგი ამ დროს მოსკოვში იმყოფებოდა. არსებობს მესამე ვერსიაც – იგი არც კიევში ყოფილა, არც მოსკოვში, არამედ თბილისში. რჩება ისეთი შთაბეჭდილება, რომ ჯანსულ ჩარკვიანი ეცადა, არც მწვადი დაეწვა და არც შამფური, მაგრამ მწვადი მაინც დაიწვა, რაც მოგვიანებით გახდა ცხადი: ე. შევარდნაძემ თითქოს არ შეიმჩნია ეს, ჯანსული იმავე წელს გახდა მწერალთა კავშირის მდივანი, მაგრამ 1984 წელს იგი უკვე ვერ გახდა მწერალთა კავშირის თავმჯდომარე – მის ნაცვლად აირჩიეს შოთა ნიშნიანიძე, ანუ პასუხი დაუმორჩილებლობისთვის შვიდი წლის შემდეგ მიიღო შევარდნაძისა და მისი ცენტრალური კომიტეტის იდეოლოგიური განყოფილებისგან. მის მიერ გადადგმული ეს ნაბიჯი, არ დაესწრო რა აღნიშნულ შეკრებას და არ მიიღო მონაწილეობა ზვიად გამსახურდიას გარიცხვაში, „დისიდენტური“ ნაბიჯი იმდენად არ არის, ეს უფრო პოლიტიკური და დიპლომატიური ნაბიჯია. თუკი ჯანსულ ჩარკვიანი ხაზგასმით და გაცხადებულად „დისიდენტურ“ ნაბიჯს გადადგამდა, ანუ დარჩებოდა თბილისში, არც კრებაზე მივიდოდა და არმისვლის მიზეზსაც ღიად განმარტავდა, ან მივიდოდა და იტყოდა, რომ ზვიად გამსახურდიას გარიცხვას ხმას არ აძლევდა, ცხადია, ცენტრალურ კომიტეტთან მას ბოლომდე გაუფუჭდებოდა ურთიერთობა.

თუმცა მწერალთა კავშირის პრეზიდიუმში იყო კიდევ ერთი მწერალი, კერძოდ, მუხრან მაჭავარიანი, რომელიც ასევე ვერ დაესწრო აღნიშნულ კრებას. დისიდენტური მოტივი აქაც გამორიცხულია. მას დედა გარდაეცვალა რამდენიმე დღით ადრე და საჩხერეში იყო ამის გამო წასული. და, თუ მომავალში დაისმება შეკითხვა, იყო თუ არა საქართველოს მწერალთა კავშირის ნომენკლატურულ ელიტაში ერთი ან ორი მწერალი, ვინც ამა თუ იმ ფორმით ან მიზეზით ხმა არ მისცა ზვიად გამსახურდიას გარიცხვას, ჯანსულ ჩარკვიანისა და მუხრან მაჭავარიანის შემთხვევა ამ შეკითხვას პასუხს სცემს.

რაც შეეხება ანა კალანდაძეს, იგი მოგვიანებით, მწერალ მაკა ჯოხაძესთან საუბარში ორი ათეული წლის შემდეგ იხსენებდა მწერალთა კავშირის სხდომას და ზვიად გამსახურდიასთან შემთხვევით შეხვედრას ქუჩაში: „იმ უბედური დღის შემდეგ აღარც მინახავს ეს ბიჭი, მერე გადაასახლეს... დრო ხომ იცი, როგორ გარბის. ერთხელ მივდივარ რუსთაველზე, ძეგლები რომ იდგა მთავრობის

სახლის წინ, ზუსტად იმ ადგილზე და ვხედავ, მოდის ზვიადი პირდაპირ ჩემსკენ. რომც გინდოდეს გვერდს ვერ აუქცევ ... ვფიქრობ, რა ვქნა, რით დავიწყო... მომიახლოვდა. „ზვიად... იცი, ზვიად", არ ვიცი, რა უნდა ვთქვა, როგორ უნდა გამოვხატო ჩემი მაშინდელი სათქმელი, თუ ამწუთიერი განცდები და არ მაცლის. ჩამიხუტა, მკერდზე მიმიკრა და მეუბნება: „ქალბატონო ანა, რკინისმკვნეტელ კაცებს ტეხდნენ კომუნისტები... არ იფიქროთ მაგაზე, არ ყოფილა ეგ, ეგ არაფერია. მე ასე იოლად არ ვტირი, მასთან მაინც შევიკავე თავი, მოვედი სახლში და ვიტირე".[194]

1977 წლის 5 აპრილს იმავე ტიპის შეკრება ჩატარდა შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტშიც, სადაც იგივე საკითხი გავიდა სამეცნიერო საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე. განიხილეს ზვიად გამსახურდიასა და ამავე ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლის, „ჰელსინკის ჯგუფის" წევრის, ირაკლი კენჭოშვილის, საკითხი. სხდომას ესწრებოდნენ ალექსანდრე ბარამიძე, გიორგი ციციშვილი, გურამ გვერდწითელი, სარგის ცაიშვილი, გურამ შარაძე, დავით თევზაძე და სხვები. გამსახურდიასა და კენჭოშვილის საქმიანობა დაიგმო სოციალიზმის მშენებლობისა და საბჭოთა პატრიოტიზმის სახელით. მხოლოდ ამ ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელმა ლია ანდღულაძემ გაბედა განეცხადებინა, რომ ზვიად გამსახურდიას თვითგამოცემაში დაბეჭდილ სტატიებში არის საკითხები, რომლებიც ბევრს აღელვებს. ამის გამო ინსტიტუტის კოლექტივს მორალური უფლება არა აქვს, რომ ეს ადამიანები ხელაღებით დაგმოსო.

საინტერესოა, რომ ამავე პერიოდში გარკვეული დაპირისპირება გამოიკვეთა ინტელიგენციის ზოგიერთ წარმომადგენელთან, რომელთაც, მათი მაღალი ინტელექტუალური და პროფესიული დონიდან გამომდინარე, ნამდვილად ვერ მოაქცევდით საბჭოთა ინტელიგენტის შაბლონში. ასეთების დასახელებაც შეიძლებოდა – მაგალითად, აღიარებული გერმანისტი, თსუ-ის პროფესორი ნოდარ კაკაბაძე და ჯეიმს ჯოისის ნაწარმოებების ქართულად მთარგმნელი, თსუ-ის პროფესორი ნიკო ყიასაშვილი. წიგნში ზემოთ უკვე ნახსენებია ინტელიგენციის ერთ ნაწილში შედარებით ადრეული პერიოდიდან არსებული ანტიპათია ზვიად გამსახურდიას მიმართ, რომლის გამომწვევი მიზეზები, შესაძლოა, აიხსნას როგორც ბიოგრაფიული და სოციოლოგიური, ისე პოლიტიკური თვალთახედვის კუთხეებიდან. ამგვარი განწყობა, ცხადია, გამწვავდა მას შემდეგ, რაც ზვიად გამსახურდია საბჭოთა კავშირის დისიდენტურ მოძრაობას შეუერთდა და თვითგამოცემა დაამზადა. უკვე 70-იან წლებში ინტელიგენციის რამდენიმე წარმომადგენელმა ზვიად გამსახურდიასთან კერძო ფორმატში მოაწყო შეხვედრა. ეს უნდა ყოფილიყო თბილისში 1976 წელს, ფილოლოგ ირაკლი კენჭოშვილის კერძო ბინაში. ეს შეხვედრა თავისი ფორმატით 1989 წლის იანვრის „ღირსების სასამართლოს" ტიპის ღონისძიება იყო, სადაც საუბარი საკმაოდ მკვეთრ და აგრესიულ ტონალობაში წარიმართა. საკითხი ტრიალებდა სუკ-თან თანამშრომლობის ირგვლივ. ეს ადამიანები, რომლებიც კაცმა რომ თქვას, შევარდნაძის მი-

ერ საქართველოს სსრ-ში დამყარებულ კომუნისტურ რეჟიმთან საკმაოდ კარგ ურთიერთობაში იყვნენ, ზვიადს ცილისწამებაში სდებდნენ ბრალს, რომელმაც თავისი ეჭვები ორი თუ სამი ადამიანის საბჭოთა სუკ-თან თანამშრომლობაზე თვითგამოცემაში დაწერა. ზვიად გამსახურდიას ჰქონდა თავისი არგუმენტები – მაგალითად, თქლიდა, რომ ამ ადამიანებმა მკვეთრად უარყოფითი ინფორმაცია მიაწოდეს მასზე რუს დისიდენტს, ლევ კოპელევს, რომელიც საქართველოს ხშირად სტუმრობდა.

ცაზე ავისმომასწავებელი ღრუბლები იყრებოდა სსრკ-ის მასშტაბითაც. აშკარა იყო, რომ დაპატიმრებებისა და სასამართლო პროცესების ახალი, აქამდე უპრეცედენტო ტალღა ახლოვდებოდა.[194] შემთხვევითი არც ის ყოფილა, რომ სუკ-ის მეხუთე განყოფილების სხდომაზე იური ანდროპოვმა განაცხადა, რომ გართულებულ საშინაო და საერთაშორისო ვითარებაში საბჭოთა სუკ-ი ვერ უგულებელყოფდა ამა თუ იმ დისიდენტის თვით ყველაზე უმნიშვნელო საქმიანობასაც კი.[195]

2.8. დაპატიმრება. საქმე N131

საქმე N131 ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ აღიძრა 1977 წლის 7 აპრილს. იგი სუკ-ის ოპერატიულმა ჯგუფმა დააკავა თბილისში, შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტთან, რომლის მისამართიც იყო ლენინის ქუჩა N5 (ამჟამად მ.კოსტავას ქუჩა). აქედან იგი გადაიყვანეს სუკ-ის მთავარ შენობაში, ლესია უკრაინკას ქუჩაზე, სადაც გადაუღეს ფოტო ანფასსა და პროფილში, აუღეს თითების ანაბეჭდები, შედგა ინდენტიფიკაციის პროტოკოლი. ამას მოჰყა სუკ-ის ოპერატიული ჯგუფის მიერ ჩატარებული ხანგრძლივი ჩხრეკა ზვიად გამსახურდიას სახლში, გალის ქ. N19-ში.

ეს საქმე, რომელიც დაიწყო 7 აპრილს და დასრულდა 1978 წლის 7 მარტს, მოიცავს 56 ტომს – ეს არის დაკითხვების ოქმები, რომლებშიც ჩართული იქნა 140 მოწმის ჩვენება, კრიმინალური ექსპერტიზები, სამედიცინო ცნობები, გადმობეჭდილი ტექსტების ასლები, ხელნაწერის ექსპერტიზათა დასკვნები, სხვადასხვა „დისიდენტებად“ ცნობილი ავტორების წიგნები, ჟურნალები, სტატიები, თარგმანები და ა. შ. მერაბ კოსტავა ოდნავ გვიან დააკავეს. მუშაობდა გამომძიებელთა საკმაოდ დიდი ჯგუფი (თავმჯდომარე უფროსი გამომძიებელი ზიბერტ ხაზალია), რომლებიც მუდმივ როტაციაში იყვნენ – იცვლებოდნენ. ისინი მხოლოდ საქართველოდან არ იყვნენ, მათ შორის იყვნენ საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებიდან ჩამოსული გამომძიებლები, რომლებსაც რუსულ ენაზე მიჰყავდათ გამოძიება.

თავიდან საქმე მიდიოდა საბჭოთა სისხლის სამართლის კოდექსის 71-ე მუხლით „ანტისაბჭოთა აგიტაცია და პროპაგანდა“, შემდეგ კი ცალკეულმა გამომძიებლებმა გამოთქვეს მოსაზრება, რომ საქმე, ასევე, წარმართულიყო 64-ე

მუხლის შესაბამისად, რაც გულისხმობდა „სამშობლოს ღალატს". მათი თქმით, გამოძიებაში მყოფი კავშირში იყო აშშ-ის ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსთან, და სისტემატურად აწვდიდა დასავლურ ინსტანციებს „ცილისმწამებლურ მასალებს". ზვიად გამსახურდიამ თავიდანვე ჩამოაყალიბა თავისი პოზიცია, რომ იგი უკანონოდ იყო დაპატიმრებული და ეს ეწინააღმდეგებოდა საბჭოთა კავშირის მიერ ხელმოწერილ ჰელსინკის ხელშეკრულებას. ამ არგუმენტაციით იგი პასუხებს არ სცემდა გამომძიებლების შეკითხვებზე და გამოაცხადა შიმშილობა, რის შემდეგაც იგი ერთკაციან კამერაში მოათავსეს, სადაც უშიშროების კომიტეტის პერსონალი გადავიდა მის ხელოვნურად კვებაზე, ძალის გამოყენებით. ამისთვის არსებობდა სპეციალური ექსტრაქტი (კვერცხის ცილა, შაქარი, ფქვილი, შესაძლოა, გაზავებული ყოფილიყო რძესა ან წყალში), რომელსაც ძაბრის გამოყენებით შიმშილობაში მყოფ პატიმარს პირში ასხამდნენ.[197]

ზუსტად იმავე მდგომარეობაში იყო მერაბ კოსტავაც. ჰელსინკის ჯგუფის კიდევ ერთი წევრი, ვიქტორ რცხილაძე, თავიდან არ დაუპატიმრებიათ, იგი დაკითხვაზე დაიბარეს და გაუშვეს. მანამდე მან გაზეთ „კომუნისტის" რედაქციაში მიიტანა წერილი, რომლის მიხედვითაც, იგი ემიჯნებოდა ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას პოზიციებს, როგორც ანტისაბჭოთას და მიუღებელს. იგი მოგვიანებით, 1978 წლის 27 იანვარს დააპატიმრეს. რამდენადაც აკადემიკოსმა სახაროვმა მიმართა დასავლეთის საინფორმაციო საშუალებებს ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას დასაცავად, ზვიად გამსახურდიამ ერთ-ერთი თანამესაკნისგან, რომლის საქმესაც იძიებდა არა მარტო სუკ-ი, არამედ შინაგან საქმეთა სამინისტროც (ამდენად მას საქმე სხვა უწყების გამომძიებლებთანაც ჰქონდა), მიიღო ასეთი ინფორმაცია: ხელისუფლება განიხილავს თქვენი გათავისუფლების შესაძლებლობას, ოღონდ უნდა დათანხმდეთ საზღვარგარეთ გამგზავრებაზეო. ეს, რა თქმა უნდა, არ იქნებოდა ტურისტული მოგზაურობა, არამედ დიდი ხნით და, შესაძლოა, სამუდამოდაც სსრკ-დან საზღვარგარეთ გამგზავრება, საბჭოთა მოქალაქეობის ჩამორთმევით. ამაზე ზვიად გამსახურდიას პოზიცია ძალიან მკაფიო იყო – „არსად არ ვაპირებ წასვლას".

1977 წლის 16 აგვისტოს ზვიად გამსახურდია გადაიყვანეს მოსკოვში, ჯერ ლეფორტოვოს ციხეში, სადაც ერთ კვირამდე დაჰყო, შემდეგ იქიდან იგი მიიყვანეს სერბსკის სახელობის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარების მიზნით. აქ თითქოს უნდა დაედგინათ, რამდენად შერაცხადი იყო იგი. „ჩანაწერებში" ვკითხულობთ, რომ ამ საავადმყოფოში თვით სუკ-ის იზოლატორზე უარესი პირობები იყო. მაგალითად, ფსიქიატრებს, მაშინ როდესაც გარეთ იყო მინუს 20 გრადუსი, შეეძლოთ გამოერთოთ გათბობა და იქ მოთავსებული ადამიანებისთვის არ მიეცათ თბილი ტანსაცმელი. იყო ასეთი შემთხვევა, როდესაც ზვიად გამსახურდიამ, სერბსკის ფსიქიატრიული საავადმყოფოს დატოვების დროს, მოითხოვა ყურებიანი ქუდი, რამდენადაც სასჯელაღსრულების მანქანის დახურულ ძარაში საერთოდ არ იყო გათბობა, გარეთ

კი სასტიკად ყინავდა. თუკი მის მოთხოვნას არ შეასრულებდნენ, იგი მშრალი შიმშილობით დაიმუქრა. ამის შემდეგ შინაგანი ჯარის ერთ-ერთ ჯარისკაცს მოხადეს ქუდი და პატიმარს მისცეს.

ზვიად გამსახურდია ახსენებს ფსიქიატრ ლ. ტაბაკოვას, რომელიც „ეშმაკურ" და კარგად მოფიქრებულ კითხებს უსვამდა იქ ახალმოთავსებულ დისიდენტს. თუმცა ამ უკანასკნელს კარგად ჰქონდა დამუშავებული რუსი უფლებადამცველების, ბუკოვსკისა და გლუზმანის, ბროშურა, რომელიც იყო სპეციალური სახელმძღვანელო ფსიქიატრიულში მოხვედრილი დისიდენტებისათვის. ფსიქიატრების ეს „ეშმაკური" შეკითხვები ეხებოდა რელიგიის სფეროს, სიზმრებსა და ასევე „ხილვებს", აინტერესებდათ, რამდენად ენდობოდა „პაციენტი" მათ. ამაზე ზვიად გამსახურდია ლ. ტაბაკოვასა და მის სპეციალურად შერჩეულ, საკმაოდ ლამაზი გარეგნობის ფსიქოლოგ-ასისტენტ ქალბატონს პასუხობდა, რომ მას რელიგია მხოლოდ სოციალური და კულტურის ისტორიის კონტექსტში აინტერესებდა და მას ასეთი „ხილვებისა" და „გამოცხადებების" არასოდეს სწამდა. სერბსკის ინსტიტუტში პირადად მოვიდა აკადემიკოსი სახაროვი, მან მოიტანა პატიმრების „მოსაკითხი" და მოითხოვა შეხვედრა პატიმარ გამსახურდიასთან, თუმცა მას უთხრეს, რომ ასეთი პირი საავადმყოფოში არ იმყოფებოდა.

სსრკ-ში სპეციალური ტიპის ფსიქიატრიული საავადმყოფოები ჯერ კიდევ ვიშინსკის დროს გაიხსნა, 30-იან წლებში. არსებითად ეს იყო ფსიქიატრიული ციხეები, რომლებშიც ხშირი იყო პატიმრების ცემა, დასჯა, დამორჩილება, არაადამიანური მოპყრობის პრაქტიკები. სერბსკის ინსტიტუტი არ ყოფილა ერთადერთი ასეთი დაწესებულება, ცუდი სახელი ჰქონდათ ყაზანის, ორიოლის, სიჩევის, დნეპროპეტროვსკის, ჩერნიახოვსკის და სხვა ქალაქების ანალოგიური ტიპის დაწესებულებებს. მათში პატიმრის გაჩერების ვადა დამოკიდებული იყო მის „გამოჯანმრთელებაზე", რომელსაც სპეციალური კომისია ადგენდა.[198]

მიზეზებს, რის გამოც ზვიად გამსახურდია გადაურჩა სერბსკის ინსტიტუტში იძულებითი მკურნალობის სრულ და ინტენსიურ კურსს, იგი უკავშირებს 1977 წელს 28 აგვისტოში, ჰავაის შტატის დედაქალაქ ჰონოლულუში ჩატარებულ ფსიქიატრიის VI მსოფლიო კონგრესს, სადაც შეკრებილმა ფსიქიატრებმა საკმაოდ ბევრი იმსჯელეს საბჭოთა კავშირში ფსიქიატრიის გამოყენებაზე სხვაგვარად მოაზროვნეთა წინააღმდეგ და დაგმეს საბჭოთა სახელმწიფო ორგანოების მიერ ძალადობით განხორციელებული ასეთი სამარცხვინო პრაქტიკა.[199] მსოფლიოში საბჭოთა „სხვაგვარად მოაზროვნეების" მეცადინეობითა და ძალისხმევით დადგა საკითხი, თუ რამდენად მართლზომიერად იყენებდნენ სსრკ-ში ფსიქიატრიას. ვ. ბუკოვსკისა და ს. გლუზმანს ზემოხსენებულ ბროშურაში მოჰყავთ პროსაბჭოთა პროფესორის, ტიმოფეევის, მოსაზრება, რომ სხვაგვარად მოაზროვნეობა, შესაძლოა, განპირობებული იყოს ტვინის დაავადებით, როდესაც პათოლოგიური პროცესი ძალიან ნელა ვითარდება, ხოლო მისი სხვა სიმპტომები გარკვეულ დრომდე, ზოგჯერ კრიმინალური ქმედების ჩადენამდე, შეუმჩნეველი რჩება. სხვაგვარად მოაზროვნეთა ფსიქიატრიულად რეპრესი-

რების კონკრეტული შემთხვევების ანალიზი გვიჩვენებს, რომ დიაგნოსტიკურ ნიღბებად, რომელთაც რეპრესიული მიზნებით იყენებდნენ, იყო ან დუნედ მიმდინარე შიზოფრენია, ან პარანოიდალური შიზოფრენია. სხვა დიაგნოზებს დისიდენტებს, როგორც წესი, არ უსვამდნენ. სსრკ-ში ფსიქიატრიის განუხრელად გაფართოებამ და გამოყენებამ პოლიტიკური მიზნებით იქამდე მიიყვანა მსოფლიო, რომ 1977 წლის აგვისტოსა და სექტემბერში, ჰავაის ჰონოლულუში ფსიქიატრთა VI მსოფლიო კონგრესზე მიიღეს გადაწყვეტილება, შეექმნათ „ფსიქიატრიის ბოროტად გამოყენების შემთხვევათა გამოძიების კომიტეტი" (WPA Committee to Review the Abuse of Psychiatry), რომელიც დღემდე მოქმედია.

აღნიშნულ კონგრესზე მიიღეს რეზოლუცია, რომელიც გმობდა სსკრ-ში ფსიქიატრიის ბოროტად გამოყენებას პოლიტიკური მიზნებით. ამავე კონგრესზე მიიღეს „ჰავაის დეკლარაცია", პირველი დოკუმენტი, რომელშიც ჩამოყალიბებული იყო მთელი რიგი ეთიკური ნორმები, რომლებიც შეეხებოდა ფსიქიატრების საქმიანობას ყველა ქვეყანაში. ჰავაის დეკლარაციის ეთიკური სამოქმედო პრინციპები მიიღებულ იქნა და დამტკიცებული გენერალური ასამბლეის მიერ. კონგრესს საბჭოთა ფსიქიატრების დელეგაციაც დაესწრო. მათ მიერ გამოქვეყნებულ კომუნიკეში ნათქვამი იყო, რომ დელეგაციამ თავიდანვე დაამყარა კონტაქტი სოციალისტური და სხვა მეგობრული ქვეყნების დელეგაციებთან. იგი „მკვეთრი პროტესტით" მიმართავდა როგორც ფსიქიატრთა მსოფლიო ასოციაციის აღმასკომს, ისე კონგრესის საორგანიზაციო კომიტეტს. ისინი ცდილობდნენ, ეჩვენებინათ საბჭოთა ფსიქიატრიის „ჰუმანური ხასიათი". თუმცა მათი მცდელობა წარმატებით არ დაგვირგვინდა. ე. ბაბაიანი და ა. სნეჟნევსკი თავიანთ ანგარიშში აღნიშნავდნენ, რომ კონგრესის მუშაობაზე გავლენა იქონია ინგლისის, აშშ-ისა და სხვა დასავლეთის ქვეყნების მიერ ბოლო წლებში გაჩაღებულმა ცილისმწამებლურმა კამპანიამ. იგი მიზნად ისახავდა საბჭოთა ფსიქიატრების დადანაშაულებას იმაში, რომ მათ ფსიქიკურად ჯანმრთელი პირები პოლიტიკური ნიშნით შეგნებულად მოათავსეს ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში. მოგვიანებით საბჭოთა ფსიქიატრთა ასოციაცია საერთოდ გარიცხეს მსოფლიო ფსიქიატრთა ასოციაციიდან.

სწორედ ამ მოვლენებს გულისხმობს ზვიად გამსახურდია, რომელთა გავლენითაც მან 1977 წლის 4 დეკემბერს დატოვა სერბსკის ინსტიტუტი. იგი დააბრუნეს ლეფორტოვოს ციხეში, იქიდან კი ისევ თბილისის სუკ-ის იზოლატორში გადაიყვანეს. ლეფორტოვოს ციხეში ყოფნისას მან დაწერა თავისი ცნობილი ესსე რუსული ლიტერატურის კლასიკოსზე, ლევ ტოლსტოიზე „უდაბნოსა და უდაბნოს შორის", სადაც ვრცელ კულტურულ-ისტორიულ კონტექსტში მიმოიხილა ამ მწერლის შემოქმედება და ბიოგრაფია. ტოლსტოი წარმოდგენილია, როგორც საბჭოთა დისიდენტობის ერთგვარი იდეური წინაპარი. 1978 წლის 18 მაისის აშშ-ის კონგრესის მოსმენებში ფიგურირებენ საბჭოთა დისიდენტები, მათ შორის ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა, იური ორლოვთან, პიოტრ გრიგორენკოსთან, თომას ვენცლოვასთან, ალექსანდრ გინზბურგთან, მალ-

ვა ლანდასთან, ედუარდ არუთუნიანთან, ლევკო ლუკიანენკოსთან, ვიკტორას პეტკუსთან, გრიგორი გოლდშტეინთან, მიკოლა მატუსევიჩსა და სხვებთან ერთად. ზვიად გამსახურდია ნახსენებია, როგორც ინგლისური და ამერიკული ლიტერატურის სპეციალისტი, საქართველოს ჰელსინკის ჯგუფის დამაარსებელი და ლიდერი. რომ ის და მერაბ კოსტავა დაპატიმრებულნი არიან საბჭოთა სახელმწიფოზე „ცილისწამების ბრალდებით".[200]

ამავე წლის 2 თებერვალს, როიტერის სააგენტოს ცნობით, საბჭოთა დისიდენტების ჯგუფი წარადგინეს ნობელის პრემიაზე მშვიდობის დარგში. ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა შედიოდნენ აღნიშნულ ჯგუფში, ისევე როგორც იური ორლოვი, ანატოლი შჩარანსკი, ალექსანდრ გინზბურგი და სხვები. წარდგენა მოხდა ამერიკის კონგრესის 11 წევრის მიერ, რომელთაც მხარი დაუჭირეს ამდენივე სენატორმა, ასევე, ნორვეგიისა და ბელგიის საპარლამენტო ჯგუფებმა. აქედან მოყოლებული სუკ-ის უდიდესი საზრუნავი იყო ხელი შეეშალა ნობელის კომიტეტისთვის, რათა ამ უკანასკნელს არ მიენიჭებინა პრემია ხსენებული დისიდენტებისთვის. ანდროპოვმა პირადად დაავალა ნორვეგიის რეზიდენტურას, ამ მიზნით აემოქმედებინა მის ხელთ არსებული ყველა ბერკეტი. რეზიდენტმა მაკაროვმა 1978 წლის 27 ოქტომბერს შეატყობინა მიხეილ სუსლოვს, სკკპ-ის მთავარ იდეოლოგს, რომ „ავანტიურა" ჩაშლილი იყო და პრემია გადაეცემოდათ ისრაელის პრემიერ-მინისტრ მენახიმ ბეგინს და ეგვიპტის პრეზიდენტ ანვარ ას-სადათს, კემპ-დევიდში დადებული სამშვიდობო ხელშეკრულებისთვის. რეზიდენტის წერილის მიხედვით, მას ზეწოლა მოუხდენია ნორვეგიის წამყვან პოლიტიკოსებზე სტორტინგში, მათ შორის, მმართველი სოციალ-დემოკრატიული პარტიის დეპუტატებზე. ამავე წელს, შვეიცარიელმა ნაციონალრატმა (ანუ პარლამენტის წევრმა) რიხარდ გრობმა შეადგინა პეტიცია რამდენიმე საბჭოთა დისიდენტის, მათ შორის ზვიადისა და მერაბის, განთავისუფლების მოთხოვნით. ამ პეტიციას ხელი მოაწერეს ცნობილმა ადამიანებმა, მათ შორის, ცნობილმა შვეიცარიელმა მწერლებმა მაქს ფრიშმა და ფრიდრიხ დიურენმატმა.

1978 წლის 27 იანვარს ვიქტორ რცხილაძეც დააპატიმრეს, რომელმაც 1977 წლის გაზაფხულზე პატიმრობას თავი „კომუნისტში" მიტანილი წერილით დაალწია, სადაც თავის დისიდენტ კოლეგებს გაემიჯნა. ზვიად გამსახურდიას „ჩანაწერების" მიხედვით, იგი დააპატიმრეს, რათა, ერთი მხრივ, კარგად შეენილბათ და, მეორე მხრივ, მეტი ინფორმაცია ამოეღოთ მისგან. მან მართლაც უამრავი ინფორმაცია მიაწოდა გამოძიებას, მათ შორის, იმ პირებზეც, რომელთაც ყველანაირად ვმალავდით და ვჩქმალავდით მე და მერაბ კოსტავაო. ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით სუკ-მა მიაგნო იმ არქივს, რომელიც თავის დროზე ჩვენ გადავმალეთო. რამდენიმე ჩხრეკის შედეგად არქივი ამოიღეს.[201] გამომძიებლები ამასობაში ცდილობდნენ, ზვიად გამსახურდიასთვის დაედოთ ბრალად ანტისაბჭოთა ჟურნალების, NTS-ის, ანუ საზღვარგარეთული რუსული პროფკავში-

რის პროკლამაციის, „გულაგის არქიპელაგისა“ და როგორც „სამიზდატის“, ისე „ტამიზდატის“ ლიტერატურის გამოცემა და გამრავლება.

ზვიად გამსახურდია წერს, რომ ყველანაირად ირიდებდა თავიდან პასუხს, რათა სუკ-ს არ მიეღო ინფორმაცია იმ პირებზე, რომლებიც ფარულად ამრავლებდნენ იატაკქვეშა ლიტერატურას. ოპერატიული მეთოდებით მათი დადგენა ვერ მოხერდა. საქმე N131-ში ამის გამო, შესაძლოა, შეგვხვდეს ასეთი ფორმულირება, რომ თვითგამოცემული ჟურნალის ეგზემპლარები გამოცემულია გამოძიებისგან დაუდგენელი პირების მიერ. ეს კარგად დაიმახსოვრონ ავისმჩხრეკელებმა, – წერს ხაზგასმით „ჩანაწერებში“ ზვიად გამსახურდია; მაგალითად, ალექსანდრ პოდრაბინეკმა, გაზეთ „ექსპრეს ხრონიკის“ გამომცემელმა, რომელიც ირწმუნებოდა, თითქოს გამოძიებას დიდი მოცულობის ჩვენებები მიეციო. სინამდვილეში გამოძიებამ ვერ დაადგინა ლიტერატურის გავრცელების ძირითადი ბაზები.[202] პოდრაბინეკი ყოველთვის იმეორებდა ზვიად გამსახურდიას პოლიტიკური ოპონენტების ბრალდებებსა და ვერსიებს.

ამავე დროს, გამოძიების მთავარი მიზანი იყო მოსკოვში პირთა იმ წრის დადგენა, რომელთაც ზვიადი აწვდიდა სამიზდატის მასალებს საზღვარგარეთ გასაგზავნად და ვისგანაც თავად იღებდა არალეგალურ ლიტერატურას. ამ ადამიანთა დიდი უმრავლესობა დროის ამ მონაკვეთში ისედაც დაპატიმრებული იყო, თუმცა არც ზვიადი ასახელებდა მათ თავის ჩვენებებში და არც ისინი – ზვიადს. თუმცა აქ ერთი პრობლემა იყო: გამოძიების გაწელვა, რასაც, შესაძლოა, შედეგად მოეტანა ფაქტების გახსნა სხვა პირების საშუალებით, რაც უფრო მეტად დაამძიმებდა აღნიშნულ პირთა ისედაც მძიმე ხვედრს მოსკოვში. აქ იგულისხმებიან სერგეი კოვალიოვი, იური ორლოვი, ტატიანა ველიკანოვა, ალექსანდრ გინზბურგი და სხვები.

გამოძიებისას ცხადი გახდა, რომ საქართველოს სუკ-ი, თავის მხრივ, ცდილობდა, თავიდან აერიდებინა მოსკოვური საქმეების სიმძიმე და დაიწყო ამ ჩიხური სიტუაციიდან გამოსავლის ძიება. საქმე N131-ის ქართველმა გამომძიებელმა გადაწყვიტა შეექმნა ვერსია, თითქოს მთელი ლიტერატურა ზვიადს გადაეცა იმ პირთა მიერ, რომლებიც საბჭოთა კავშირში აღარ იმყოფებოდნენ (მაგალითად, ნატალია გორბანევსკაია და ანდრეი ამალრიკი) და გამოძიებისთვის მიუწვდომელნი იყვნენ. ამიტომაც საქმეში ისინი გაფორმდნენ, როგორც ლიტერატურის გადაცემის ძირითადი წყაროები და ყველაფერი მათ მიეწერა. ამით საქართველოს სსრ-ის უწყების წარმომადგენლებმა თავიდან მოიცილეს ზემდგომი მოსკოველი კოლეგების განმეორებითი, მომაბეზრებელი მოთხოვნები, ზუსტად დადგენილიყო ლიტერატურის გამავრცელებელ პირთა წრე. ეს აღარც ზვიად გამსახურდიამ გააპროტესტა, რათა არ მომხდარიყო ძიებაში მყოფი მოსკოველი კოლეგების საქმეების დამძიმება. თუმცა ამით ძირითადი პრობლემა მაინც ვერ მოიხსნა: ზვიად გამსახურდიას გაშვება ხანგრძლივი დროით „ლაგერში“ ან საპყრობილეში საბჭოთა ხელისუფლებისთვის არასასურველი ფაქტორი ხდებოდა მისი პოპულარობის გამო. ამიტომაც პატიმარი დილე-

მის წინაშე დადგა: ან ფორმალური მონანიება, თუნდაც მოღვაწეობის ზოგიერთ პუნქტს რაც შეეხება, ან გასამართლება „სამშობლოს ღალატის“ 64-ე მუხლით, რასაც მოჰყვებოდა მოქალაქეობის ჩამორთმევა და უცხოეთში გაძევება.

„ჩანაწერების“ მიხედვით, ეს ნიშნავდა საქართველოში ჩამოყალიბების გზაზე მდგომი ეროვნული მოძრაობისთვის თავის მოკვეთას, რომელიც გამოუცდელი ადამიანებისგან შედგებოდა; მათ დამოუკიდებლად არ შეეძლოთ არალეგალური ლიტერატურის გამოცემა, არც ინფორმაციის გაგზავნა უცხოეთში. ეს კი იმ დროს აუცილებელი იყო ქართული კულტურის, ენის, ეკლესიის, რეპრესიების მსხვერპლთა დასაცავად.[203] სსრკ-დან გაძევების პრეცედენტები კი ნამდვილად არსებობდა, ეს შესაძლოა, მომხდარიყო მოქალაქეობის ჩამორთმევით, თვითმფრინავში ჩასმითა და უცხოეთის რომელიღაც ქვეყნის ორგანოებისთვის გადაცემით, ან ამა თუ იმ პირზე გაცვლით, როგორც ეს მოხდა 1976 წელს – ცნობილი საბჭოთა დისიდენტი ვ. ბუკოვსკი გაიცვალა ჩილეს კომპარტიის გენერალურ მდივანზე, გენერალი პინოჩეტის მიერ დაპატიმრებულ ლუის კორვალანზე. მაშინ ამ გაცვლას აკად. ა. სახაროვმაც მხარი დაუჭირა. გაცვლა, შესაძლოა, მომხდარიყო სსრკ-ის ან დასავლეთში დაპატიმრებულ, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის რომელიმე ჯაშუშზეც.

2.9. განაჩენი, „მონანიება“ და პაიპერ-უიტნის პროცესი

როგორც მასალებიდან ირკვევა, „მონანიება“, ანუ უარის თქმა მოღვაწეობის გარკვეულ პუნქტებზე, მათი შეფასება დამაზიანებლად, როგორც საკუთარი თავისთვის, ისე საზოგადოებისთვის, ასევე, მამის, ქართული საბჭოთა მწერლობის კლასიკოსისა და იმ დროისთვის უკვე კულტურულ-ისტორიული ფიგურის, კონსტანტინე გამსახურდიას, დისტანცირება ამ ყველაფრისგან, თავიდანვე, გამოძიების პროცესში იქნა ჩაწერილი. გამოძიებაში მყოფი მიმართავდა გამომძიებელს, რა დროსაც მას ჰქონდა საშუალება, გამოძიება არასწორი, მცდარი გზით წაეყვანა. ამ ყველაფერს იწერდნენ, შემდეგ კი მოხდა ამ ჩანაწერის დამონტაჟება, რომლის დროსაც გამოიყენეს ყველანაირი ტექნიკა, რათა მომხდარიყო ამ მიმართვის წარმოჩენა მაქსიმალურ კომპრომისად. ეს ჩანაწერი გადაეცა საბჭოთა ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა „ვრემიას“ და მისი საშუალებით იქნა ნაჩვენები მთელ სსრკ-ში. აქ სრულიად უადგილო იქნება იმის მტკიცება, რომ ეს არ იყო კომპრომისი. ნამდვილად იყო, ამასთანავე გახლდათ უკან დახევაც და ტაქტიკური ნაბიჯიც, რაც გადაიდგა შექმნილი რთული სიტუაციიდან გამოსასვლელად. იგი შანსი იყო ქვეყნიდან გაძევების თავიდან ასაცილებლად, ამავე დროს, ის გულისხმობდა ძალიან დიდი საფასურის გადახდას უფლებადამცველური და ეროვნული მოღვაწეობის გაგრძელების შემთხვევაში – ეს იყო თავად ზვიად გამსახურდიას რეპუტაცია. მის სახელს, როგორც ეროვნული ფასეულობებისა და ადამიანის უფლებათათვის მებრძოლისას, გარკვეუ-

ლი ჩრდილი ადგებოდა. ოპონენტების მტკიცება, რომ ზვიად გამსახურდია ამ ნაბიჯს გმირობად თვლიდა და სხვებისგანაც ამის აღიარებას ითხოვდა, გაუგებრობა და ფაქტის მიზანმიმართული გაყალბებაა: ტაქტიკური ნაბიჯი მხოლოდ მანევრია, ჩატარებული გარკვეულ კრიტიკულ სიტუაციაში, მას საერთო არაფერი გააჩნია გმირობასთან.

და რა იყო ის, რასაც ეს „მონანიება" შეეხო? ეს იყო ყველა იმ მასალის ბეჭდვა და გავრცელება, რომელიც ჩაითვალა გამოძიების მიერ ანტისაბჭოურად. ეს იყო სამიზდატის მასალების ერთი ნაწილი, NTS-ის, ანუ საზღვარგარეთული რუსული პროფკავშირის პროკლამაცია, ისევე, როგორც ვერმახტის გენერლის, შალვა მაღლაკელიძისადმი მიძღვნილი ნეკროლოგი (არადა, შალვა მაღლაკელიძე სიკვდილამდე ცხოვრობდა საქართველოს სსრ-ში და იყო გამომცემლობა „მერნის" იურისკონსულტი). ანტისაბჭოურად არ ითვლებოდა მასალები ძეგლთა დაცვაზე (მაგალითად, დავითგარეჯის პოლიგონზე, ასევე, სხვა ძეგლების მძიმე მდგომარეობის შესახებ), პატიმრების წამებაზე ციხეებში, სადაც მათ გამოძიების პროცესში „ამუშავებდნენ", მესხთა რეპატრიაციის საკითხი, ასევე, იმ უმძიმესი მდგომარეობის შესწავლა და წარმოჩენა, რომელიც საპატრიარქოში შეიქმნა. ამ საკითხებში „მოსანანიებელი" ნამდვილად არაფერი ყოფილა და არც უკან დახევის საჭიროება დამდგარა. პირიქით, გამოძიებაში მყოფი, უკვე აშკარად პოლიტიკური ელფერის მოლაპარაკებებისთვის დამახასიათებელ აქცენტირებას აკეთებდა და მონანიების სანაცვლოდ მოითხოვდა იმ საკითხების პრაქტიკულად გადაწყვეტას, რომლებიც სხვადასხვა თემატურ ნაწილში, მის მიერ მომზადებულ თვითგამოცემაში იქნა დაყენებული. ეს ის გზავნილები იყო, რომელთა დანიშნულებაც საკმაოდ კარგად ესმოდათ როგორც სუკ-ის თავჯდომარეს, ალექსი ინაურს, ისე საქართველოს სსრ-ის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას ედუარდ შევარდნაძით სათავეში.

მოსკოვი ამ ყველაფერს, ცხადია, ეჭვის თვალით უყურებდა, თუმცა საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელობის აზრსაც ითვალისწინებდა. სასამართლომდე სუკ-ის იზოლატორში მოხდა ხანმოკლე შეხვედრა მერაბ კოსტავასთან, როდესაც ზვიადმა სრულად გააცნო მას საქმის ვითარება და ესაუბრა ყველა იმ გარემოების შესახებ, რომლებიც წარმოიშვა საქმე N131-ის მიმდინარეობის დროს. მერაბ კოსტავამ მისაღებად ცნო ის მიზეზები, რომელთა გამოც ზვიად გამსახურდია უნდა წასულიყო ფორმალურ უკუსვლაზე. ეს მან წერილობით დაადასტურა უკვე 9 წლის შემდეგ, როდესაც რუსულ თვითგამოცემა „გლასნოსტში" (სერგეი გრიგორიანცის რედაქტორობით) გამოქვეყნდა მისი განმარტება ამ „მონანიების" შესახებ.[204]

სასამართლო პროცესი შედგა 1978 წლის 18-19 მაისს. საქმე განიხილა თბილისის საქალაქო სასამართლოს კოლეგიამ კობახიძის (თავმჯდომარე), ნარიმანიძისა და გრიგოლიას შემადგენლობით. ადვოკატები იყვნენ ალხაზიშვილი და ნიკოლაიშვილი. ზვიად გამსახურდიამ სასამართლო პროცესზეც დაადასტურა, რომ საკუთარი მოღვაწეობის ერთ ნაწილს ინანიებდა. მეორე ნაწილზე კი გა-

ნაცხადა, რომ ძველებურად ითხოვდა საკითხების იმ ნაწილის გადაწყვეტას, რომელშიც მოსანანიებელი ნამდვილად არაფერი იყო. მერაბ კოსტავას თავისი მოღვაწეობის არცერთი პუნქტი არ მოუნანიებია. სასამართლოზე გამოიყვანეს ვიქტორ რცხილაძე, რომელმაც თავისი ჩვენება გაიმეორა აქ, თითქოს ზვიადმა და მერაბმა იგი ჩაითრიეს ანტისაბჭოთა მოღვაწეობაში. მისი ნათქვამიდან ისე გამოდიოდა, თითქოს იგი არც მთლად ნებაყოფლობით ავრცელებდა დისიდენტურ ლიტერატურას. ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას ერთნაირი განაჩენი გამოუტანეს: 3 წელი თავისუფლების აღკვეთა მკაცრი რეჟიმის ლაგერში და შემდეგ 2 წელი გადასახლება.

აშკარაა, რომ ზვიად გამსახურდიას მონანიების ფაქტორმა მერაბ კოსტავასადმი გამოტანილ განაჩენზეც იქონია ზემოქმედება. სხვა შემთხვევაში ლოგიკური იქნებოდა, რომ განაჩენი უფრო მკაცრი ყოფილიყო ისეთი განსასჯელის მიმართ, ვინც არცერთ პუნქტში არ მოინანია. თუმცა განაჩენი მხოლოდ თავიდან იყო ერთგვაროვანი. შემდეგ ზვიად გამსახურდიას განაჩენი შერბილდა საქართველოს სსრ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ. განაჩენის გამოტანის შემდეგ ერთხანს ერთად იყვნენ თბილისის სუკ-ის იზოლატორში, ლესია უკრაინკას ქუჩაზე. აქედან მერაბ კოსტავა გადაიყვანეს რუსეთის ფედერაციაში, პერმის „ლაგერში", ხოლო ზვიადი – გადასახლებაში, დაღესტნის ავტონომიურ რესპუბლიკაში, დაბა კოჩუბეიში.

განაჩენის გამოტანის შემდეგ ზვიად გამსახურდია კიდევ ერთხელ ჩაიყვანეს მოსკოვში ამერიკელი კორესპონდენტების, ჰაროლდ პაიპერისა და კრეგ უიტნის რეპორტაჟის გამო, რომელიც გაზეთებში, „ნიუ-იორკ თაიმსსა" და „ბოლტიმორ სანში" გამოქვეყნდა. მოსკოვში ამის გამო ჩატარდა სასამართლო პროცესი, რომელზეც პატიმრობაში მყოფი ზვიად გამსახურდია მოწმის სახით გამოიყვანეს.

საბჭოთა ორგანოების დეზინფორმაციულმა პროპაგანდამ და ზვიადის ოპონენტებმა, რომლებიც ხშირად ავრცელებდნენ საკმაოდ პრიმიტიულ, თუმცა გარკვეული კატეგორიის ადამიანებისთვის საკმაოდ ადვილად დასაჯერებელ ცრუნარატივს, შექმნეს ვერსია ჟურნალისტების „დასმენაზე", აგრეთვე, იმაზე, თითქოს აღნიშნული ჟურნალისტების გაძევება სსრკ-დან ქართველი უფლებადამცველის ბრალი იყო. აღნიშნული ამბის რეკონსტრუქცია სრულიად შესაძლებელია გაზეთ „ვაშინგტონ პოსტში" 1978 წლის 19 ივლისს გამოქვეყნებული რეპორტაჟიდან, რომელშიც კორესპონდენტმა ქევინ ქლოუსმა დეტალურად შეისწავლა ეს ამბავი. ქლოუსი აღნიშნავს თავის სტატიაში, რომ პაიპერისა და უიტნის აღნიშნული სტატია დაწერილია 1978 წლის მაისში და ეხება ქართველი დისიდენტის მონანიებას, რომელიც საბჭოთა ტელევიზიით გადაიცა. მათ სტატიაში გაატარეს აზრი, რომ დისიდენტის მონანიება იყო საბჭოთა ტელევიზიის მიერ გაყალბებული. ამ ამბის შემდეგ ვაშინგტონში სახელმწიფო დეპარტამენტმა საპასუხო ზომებზეც იმსჯელა. საბჭოთა საელჩოს წარმომადგენელი დაიბარეს, რათა ემსჯელათ გარკვეულ საკითხებზე. დადგა ასევე TACC-ის სან-ფრანცისკოს

ბიუროს დახურვის საკითხიც. ორივე გაზეთის რედაქციამ, რომლებშიც გამოქვეყნდა ხსენებული სტატია, მიუღებლად ჩათვალა, უარეყოთ სტატიაში მოყვანილი ფაქტები.

შემდეგ აღნიშნულია, რომ სასამართლო პროცესი ჩატარდა მოსკოვში, ამ სამსაათიან პროცესზე მოიყვანეს თავად დისიდენტი ზვიად გამსახურდია. მოსამართლე ლევ ალმაზოვი და პროკურორი გიორგი სკორედოვი ამბობდნენ, რომ ამერიკელმა ჟურნალისტებმა ცილი დასწამეს საბჭოთა ტელევიზიას. ჟურნალისტები გაამტყუნეს, განაჩენის მიხედვით, მათ 5 დღის განმავლობაში უნდა დაეწერათ უარყოფა იმისა, რაც დაწერეს, და თითოეულს დაეკისრა 1648 დოლარი ჯარიმა. პროკურორ სკორედოვის თქმით, ეს შემთხვევა იყო ლოგიკური გაგრძელება მათი მტრული და განსჯით არამართებულ წანამძღვრებზე აგებული დამოკიდებულებისა საბჭოთა სინამდვილის მიმართ. ხოლო მოსამართლე ალმაზოვმა განაცხადა: „მე ჩავთვალე, რომ საჩივარი კარგადაა დასაბუთებული, პუბლიკაცია ლახავს საბჭოთა ტელევიზიის პატივს და ღირსებას“. მან იქვე დაამატა, რომ რეპორტიორებს შეეძლოთ გაეგოთ სიმართლე ამ მონანიების შესახებ, თუკი ნახავდნენ თბილისში ჩატარებული სასამართლოს ჩანაწერს. „სასამართლო ამას მიიჩნევს ცილისწამებად, გამსახურდიას ჩვენების თვითნებურ დამახინჯებად, განცხადების ფაბრიკაციად. აქ ყველა მხრივ სახეზეა დარღვევა“.[205]

ჰაროლდ პაიპერი (39 წლის) მოსკოვის ბიუროში სამი წლის განმავლობაში მუშაობდა. კრეგ უიტნიმ (34 წლის) სულ 9 თვე დაჰყო მოსკოვში და, ჯამში, უწევდა სამწლიანი მივლინება. ქლოუსის ცნობით, უიტნი ციტირებდა გამსახურდიას მეგობრებს (თუმცა, სახელებით მათ არ ასახელებდა, რაც ასევე გასაგებია), რომლებმაც თქვეს, თითქოს სამწუთნახევრიანი მონანიება ფაბრიცირებული იყო. პაიპერმა დაწერა ამ წყაროზე დაყრდნობით, რომ მონანიება ყალბი იყო. თუმცა, გამსახურდიამ სასამართლოს დარბაზში გუშინ მონანიების აუთენტურობა დაადასტურაო. ზვიად გამსახურდიას „ჩანაწერებში“ ამ ამბავზე წერია, რომ იგი ერთი მიზეზის გამო დათანხმდა პროცესზე მისვლას – დარწმუნებული იყო, რომ ჟურნალისტები პროცესს დაესწრებოდნენ და პროცესის მიმდინარეობისას ყველა მხარეს მიეცემოდა საშუალება, თავისი პოზიცია გამოეკვეთა. ზვიად გამსახურდიას პოზიცია კი ცნობილი იყო: მე მოვინანიე ანტისაბჭოთა მოღვაწეობის პუნქტები, მაგრამ არა პატრიოტული და სამართლებრივი მოღვაწეობა. მაგრამ ასე არ მოხდა, ჟურნალისტები პროცესზე არ გამოცხადებულან. ზვიადის დაკითხვა მოწმის სტატუსით სასამართლოზე სულ რამდენიმე წუთს გაგრძელდა. როგორც კი მოწმემ დაადასტურა, რომ მონანიების ტექსტი ნამდვილად მან წარმოსთქვა და ის-ის იყო, უნდა გადასულიყო ამ მონანიების ცალკეული ასპექტების დიფერენცირებულად ახსნაზე, მოსამართლე ალმაზოვმა სიტყვა გააწყვეტინა. ზვიადი დარბაზიდან გაიყვანეს, დარბაზში მსხდომი ჟურნალისტები კი საერთოდ ვერ გაერკვნენ, რა მოხდა.[206]

აქ საინტერესოა, რომ ქლოუსისთვის ზვიად გამსახურდიას პოზიცია ცნობილია: დისიდენტის განცხადებით, წერს ჟურნალისტი, სასამართლოზე მას

უთქვამს, ჩემს პატრიოტულ და ჰუმანიტარულ მოვალეობებს არაფერი აქვთ საერთო ანტისაბჭოთა ქმედებებთან, რომლებიც ვაღიარეო. იქვე სტატიაში საინტერესოდაა განმარტებული, რა კონნოტაცია აქვს საქართველოში ტერმინს – „პატრიოტული“, რაც ნიშნავს პროქართულს, საკმაოდ ანტისაბჭოურსაც კი. ის, რაც ტელევიზიით გადაიცა, სასამართლოში სრული სახით არ განხილულა. ეს „ანტისაბჭოურობა“ და „პატრიოტულობა“, დაახლოებით, ისეა, ვიღაცას ქართული ხალხური გამოთქმის პერიფრაზით რომ ეთქვა: მგელს უარი, მაგრამ მგლისფერ ძაღლს მივესალმებითო. ქლოუსს ეს ინფორმაცია სხვა წყაროებიდან აქვს, თუმცა არ იცის, რომ ზვიად გამსახურდია დარბაზში ძალიან ცოტა ხნით ალაპარაკეს. როგორც აქედან ჩანს, ქართული სინამდვილისგან საკმაოდ შორს მდგომი ამერიკელი ავტორი საქმის ვითარებაში შესანიშნავად გაერკვა, ზოგიერთი ქართველი ოპონენტი კი ათლწეულების მანძილზე ერთსა და იმავე მცდარ, თავსმოხვეულ ვერსიას იმეორებდა, რომელიც ყველაფერს თავდაყირა აყენებდა.

„ვაშინგტონ პოსტის“ სტატიაში გადმოცემული ორივე გაზეთის რედაქტორების პოზიცია ამ პროცესთან მიმართებით: დონალდ პატერსონმა, კვირის გაზეთის მთავარმა რედაქტორმა, გუშინ (1978 წლის ივლისს) ბოლტიმორში შემდეგი განცხადება გააკეთა: „არაფერია ისეთი, რაც ჩვენ უნდა უარვყოთ. მე ვერ ვხედავ, რომ მოგვიწიოს უარყოფის დაბეჭდვა, ისე რომ, მას (პაიპერს), ალბათ, მოსთხოვენ ქვეყნის დატოვებას.“ ხოლო სეიმურ თოპინგი, „ნიუ-იორკ თაიმსის“ მთავარი რედაქტორი, განცხადებაში, რომელიც გაზეთის მოსკოვური ბიუროს მიერ იქნა გავრცელებული, აცხადებდა: „დამნაშავეობის ვერდიქტს მივყავართ აზრამდე, რომ ამერიკელი რეპორტიორები, შესაძლოა, მიიყვანო სასამართლოში ნებისმიერ დროს და დააჯარიმო რეპორტაჟისთვის სსრკ-ის მოვლენების გაშუქების გამო. ეს სასტიკი ხელის შეშლა ამერიკელებს ართმევს იმ თავისუფლებას, რაც გააჩნიათ საბჭოთა რეპორტიორებს ამერიკის შეერთებულ შტატებში. „თაიმსი“ არ დაბეჭდავს ბატონ უიტნის 24 მაისის პუბლიკაციის უარყოფას, რომელიც შესრულებულ იქნა სრული დარწმუნებით და სინდისიერი გადმოცემით“. შემდეგ ქლოუსი ციტირებს ტელევიზიის ოპერატორ ვიქტორ პავლოვს, როგორც ერთადერთ „სხვა“ მოწმეს: მას პაიპერისა და უიტნისთვის განუცხადებია, რომ 7 წუთი მოანდომა გამსახურდიას მონანიების გადაღებას 11 მაისს, თბილისში, სასამართლო პროცესზე. მისი თქმით, სამ ადგილას იყო აშკარად შესამჩნევი გადაბმა გადაღებულში. აქაც მონტაჟზეა საუბარი.[207]

ზვიად გამსახურდია სტატიაში, რომელშიც ეხება „გულაგის არქიპელაგის“ გამოცემას საქართველოში, წერს, რომ კიდევ ერთი ამერიკელი ჟურნალისტის სტატიაში იყო გადმოცემული უხერხული და სახიფათო ნარატივი – ეს არის დევიდ შიპლერის, „ნიუ-იორკ თაიმსის“ კორესპონდენტის მიერ გამოქვეყნებული წერილი. მასში გატარებული იყო აზრი, თითქოს ქართველი დისიდენტი ამერიკის შეერთებულ შტატებს მოუწოდებდა, სამხედრო ძალის გამოყენებით დაესრულებინა საქართველოში საბჭოთა ოკუპაცია. აქვე იგი შედარებული იყო

აშშ-ის თავდაცვის მინისტრთან, ჯონ მაკნამარასთან, რომელიც ითვლებოდა ვიეტნამში ომის გაჩაღების მთავარ იდეოლოგად და მხარდამჭერად. ზვიად გამსახურდია წერს, რომ მას ასეთი რეპუტაციით სსრკ-ში არავინ გააჩერებდა, ამიტომაც მას ყველა შემთხვევაში მოუწევდა მსგავსი განცხადების უარყოფა. ეს კიდევ ერთი, დამატებითი საფუძველი იყო, თუ რატომ დათანხმდა გამოსულიყო მოსკოვში სასამართლო პროცესზე მოწმის სახით.[208]

2.10. კოჩუბეი ნოღაის ნახევარუდაბნოში

დაბა კოჩუბეი რუსეთის ფედერაციაში, კერძოდ, დაღესტნის ავტონომიურ რესპუბლიკაში მდებარეობს, საიდანაც ნოღაის ნახევარუდაბნო იშლება ჩრდილოეთისა და ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ. იგი რაიონულ ცენტრთან, ყიზლართან ახლოს მდებარეობს, ყოფილი ჩეჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საზღვრიდან არცთუ ისე შორს. მის მოსახლეობას შეადგენენ მეტწილად კაზაკები, დაღესტნელი ავარიელები, დარგინელები, ლეზგინები, კუმიკები და რუსები. 2010 წლის აღწერით, აქ, დაახლოებით, 7 000 მცხოვრებზე ოდნავ მეტი იყო, მათ რიცხვში 1,1 პროცენტი ქართველიც შედიოდა.

XVII-XVIII საუკუნეებში აქ ტყვეთა ბაზარი იყო, ეგრეთ წოდებული, „კარა ბაზარი“ (შავი ბაზარი), საიდანაც მონებად გაყიდული ტყვეები ყირიმის სახანოსა ან ოსმალეთისკენ მიჰყავდათ. ეს სახელი მას ერქვა 1962 წლამდე, ვიდრე, რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით, კოჩუბეი არ დაერქვა. იქაურობა ხეებით ნაკლებად არის გამწვანებული, მიდამოში ჭარბობს ღია ყავისფერი და რუხი ფერები, თუმცა გარკვეულ ადგილებში ბალახიც საკმაოდ იზრდება. ჰავა გამოკვეთილად კონტინენტურია, ზაფხულში დიდი სიცხეები იცის, ზამთარში ტემპერატურა, შესაძლოა, მინუს 20-30 გრადუსამდე დავარდეს, თუმცა თოვლი მაინც იშვიათობაა. წყალს არტეზიული ჭებიდან მოიპოვებენ, რომლებიც დაბიძურებულია ნავთობის ნარჩენებით, ასევე, მიწითაც, რამდენადაც არ არსებობს ფილტრები. ამიტომაც მოსახლეობას უწევს მოყვითალო-მოყავისფრო შეფერილობის წყლის სმა. ეს ასე იყო 1978 წელსაც, როდესაც იქ ზვიად გამსახურდია ჩავიდა. ადგილობრივ მოსახლეობაში ამის გამო გავრცელებული ყოფილა სხვადასხვა დაავადება, მათ შორის პოლიომიელიტი.

ზვიად გამსახურდია შეასახლეს მიწურში, სადაც მასთან რამდენიმე თვე გაატარა მისმა მეორე მეუღლემ და ორწლი-ნახევრის ვაჟმა. შემდეგ ისინი საქართველოში დაბრუნდნენ. ზვიად გამსახურდიას ცნობით, იგი აქ ცხოვრობდა ადგილობრივი მილიციის განყოფილების კონტროლის ქვეშ. მას ეკრძალებოდა რაიონულ ცენტრში, ყიზლარში, ჩასვლა. კოჩუბეის მახლობლად მიწები არენდით ჰქონდა აღებული საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭოს, რომე-

ლიც, თავის მხრივ, დაინტერესებული იყო ხელი შეეწყო მეცხვარეობისთვის. ამ ტერიტორიაზე ზამთრობით თოვლი იშვიათობა იყო, ამიტომაც ქართველი მწყემსები თავიანთ ფარებს გამოსაზამთრებლად კოჩუბეიში, იქაურ საძოვრებზე გადადენიდნენ ხოლმე. ზვიად გამსახურდიას სამუშაო განუწესეს საქართველოს მეცხვარეობის სამმართველოს ადგილობრივ განყოფილებაში. იგი აღნიშნავს, როგორც ადგილობრივი მცხოვრებლები, ისე საქართველოდან აქ ჩამოსული სამმართველოს მუშაკები და მწყემსები საკმაოდ კეთილგანწყობილად მექცეოდნენო. იგი ერთხელ რაიონულ საავადმყოფოშიც კი მოხვდა ამ უვარგისი წყლის სმის გამო, სადაც ეს ადამიანები აკითხავდნენ, მოჰქონდათ მისთვის საკვები და წამლები. უვარგისი წყლის გამო კუჭ-ნაწლავის დაზიანება ზვიადს შემდგომ წლებშიც აღენიშნებოდა.

ზამთარში აქ პრობლემა იყო ძლიერი ყინვები, რამდენადაც მისი ოთახი არასაკმარისად თბებოდა, თუმცა ქართველმა მწყემსებმა ყველაფერი გააკეთეს, რომ გადასახლებული შეძლებისდაგვარად შეშით და საკვებით მოემარაგებინათ. ასეთი პირობები იყო იმ „სანატორიუმში", რომელიც ზვიად გამსახურდიას შეიარაღებული ოპონენტის, ჯაბა იოსელიანის მემუარებში გაკეთებული ცინიკური შენიშვნით, თითქოს ე. შევარდნაძემ ორი წლით საგანგებოდ „გაუხსნა" ქართველ დისიდენტს ყიზლარში.[209]

ზვიად გამსახურდია ამ პირობებში აგრძელებდა კითხვას, წერასა და მუშაობას, რამდენადაც გარემო იძლეოდა ამის საშუალებას. იგი სხვადასხვა ენაზე დაბეჭდილ ბიბლიის ტექსტებს ერთმანეთს უდარებდა. ამავე პერიოდში მან ბერძნულიდან ახალქართულად თარგმნა მათეს სახარება. მას დაგეგმილი ჰქონდა მთელი ახალი აღთქმის თარგმნა თანამედროვე ქართულ ენაზე, თუმცა ამისთვის დრო უკვე აღარ ეყო. ერთადერთი ადამიანი რუსი რელიგიური დისიდენტებიდან, ვინც კოჩუბეიში მასთან ჩავიდა, იყო რუსი მღვდელი, შემდგომში ასევე პოლიტპატიმარი გლებ იაკუნინი. ზვიადი მისი ხელოდან ეზიარა.

1979 წლის მაისში ზვიად გამსახურდიამ სასიხარულო ამბავი შეიტყო – 10 მაისს თბილისში დაიბადა მისი უმცროსი ვაჟი გიორგი გამსახურდია. ცოტნე, მისი შუათანა ვაჟი კი, 1976 წლის 5 აგვისტოსაა თბილისში დაბადებული. ამავე დროს ადგილობრივმა ადმინისტრაციამ ზვიად გამსახურდიას მიანდო სოფლის ბიბლიოთეკის გამგის ფუნქცია. გადასახლების ვადამდელ დასრულებამდე 17 დღით ადრე უცნობმა პირებმა, რომლებიც, მაღალი ალბათობით, სუკ-თან იყვნენ კავშირში, ბიბლიოთეკა გადაწვეს. სოფლის ადმინისტრაციამ მთელი პასუხისმგებლობა ზვიად გამსახურდიას დააკისრა. მიყენებული ზარალი 3700 მანეთად შეაფასა და მოითხოვა ზარალის ფულადი ანაზღაურება. ეს საბჭოთა კავშირის პირობაზე არცთუ მცირე თანხა იყო. სხვა შემთხვევაში ისინი იმუქრებოდნენ, რომ იგი კოჩუბეის ვერ დატოვებდა, რამდენადაც ცალკე სისხლის სამართლის საქმე აღიძრებოდა. მაშინ ზვიად გამსახურდიას დაეხმარნენ კოჩუბეიში მცხოვრები ქართველები, რომლებმაც საჭირო თანხის

შეგროვება შეძლეს. ინიციატორი იყო თამაზ ცინცაძე, რომელიც მომავალში ზვიად გამსახურდიას თანამებრძოლი გახდა.

სუკ-ის წარმომადგენლები თბილისიდან გარკვეული პერიოდულობით ჩადიოდნენ კოჩუბეიში და ადგილზე ეცნობოდნენ ვითარებას. ერთხელ იქ ჩავიდა სუკ-ის თავმჯდომარის მოადგილე, გენერალი ნ. მაისურაძე, თუმცა იგი გადასახლებაში მყოფ ზვიადს არ შეხვედრია. მან, როგორც ჩანს, პირადად ჩაატარა გარკვეული მოკვლევა ადგილზე და შედეგები თბილისში წაიღო ანგარიშისთვის. ეს რუტინული ჩამოსვლა იყო, რადგან იქ ბევრიც არაფერი ყოფილა საკვლევი.

1979 წლის აპრილში ზვიად გამსახურდია სპეციალური ავტომობილით თბილისში ჩამოიყვანეს ერთი დღით, რამდენადაც მასთან საუბარი სურდა საქართველოს სსრ-ის უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს, გენერალ-პოლკოვნიკ ალექსი ინაურს. მას უთქვამს: „ზვიად, დასავლეთის რადიოსადგურები კვლავ ალაპარაკდნენ შენ შესახებ. კიდევ მასალებს ხომ არ აწვდი? მათ ისევ დაიწყეს შენი განდიდება“. ზვიადმა უპასუხა, ნოღაის სტეპის ჩობანებსა და მწყემსებს არანაირი არხები არ გააჩნიათ ამგვარი ინფორმაციების დასავლეთისთვის გადასაცემად. ამის შემდეგ გენერალმა წარმოთქვა დამაფიქრებელი ფრაზა: „გახსოვდეს, ზვიად, ვიდრე მე ამ თანამდებობაზე ვარ, შენს სიცოცხლეს არავითარი საფრთხე არ ემუქრება. მერე შენ თვითონ ნახე და ფრთხილად იყავი.“[210] ზვიად გამსახურდიასთვის ეს საუბარი იყო იმის სიმპტომი, რომ მისი გათავისუფლება ახლოვდებოდა. ხოლო მოხუცმა გენერალმა, რომელიც, გარდა იმისა, რომ უამრავ ინფორმაციას ფლობდა და ადამიანის ფსიქოლოგიაშიც საკმაოდ კარგად ერკვეოდა, ზუსტად იცოდა, რომ ზვიადი გათავისუფლების შემდეგაც გააგრძელებდა თავის საქმიანობას – მისი ურთიერთობები დასავლეთის სააგენტოებსა და პრესის წარმომადგენლობებთან სრულიად აღდგებოდა.

ზვიად გამსახურდიას თვალსაზრისით, ინაური გულისხმობდა, რომ მოსკოვი მას ჩემს „გამოუსწორებლობას“ არ აპატიებდაო. ამაზე მეტ კომენტარს „ჩანაწერებში“ ვერ ვპოულობთ. ეს ქარაგმული ნათქვამი შესაძლოა, ამის გარდა, გულისხმობდა შემდეგს: „მე, როგორც საქართველოს უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს კარგად მესმის, რომ ეს შენზე გამარჯვება არ არის – არც იმ შემთხვევაში, თუ გაძევების თავიდან არიდება და ქვეყანაში დარჩენა „მონანიების“ ფასად მოგიწია, რამაც შენი რეპუტაცია დააზიანა. რამდენი წელიც არ უნდა დავრჩე ამ თანამდებობაზე, შენი მოღვაწეობა პირადად ჩემთვის სახიფათო აღარ იქნება. მაგრამ უფრთხილდი მათ, ჩემზე ასაკით უმცროსებს, ვისაც შენი ფაქტორი ხელს ნამდვილად შეუშლის. მათ, შესაძლოა, შენს სიცოცხლეს რეალური საფრთხე შეუქმნან“.

საინტერესოა, რომ გენერალმა ალექსი ინაურმა თანამდებობა ამ საუბრიდან, დაახლოებით, 9 წელიწადში, 1988 წლის ნოემბერში დატოვა, თბილისში განვითარებული მასობრივი საპროტესტო აქციების შემდეგ. ამ დროისთვის მას ასაკობრივადაც ეკუთვნოდა პენსიაზე გასვლა. ხოლო გადასახლებაში მყოფმა ზვიად გამსახურდიამ 1979 წლის 6 ივნისს, საქართველოს სსრ-ის უმაღლესი

საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილების საფუძველზე, კოჩუბეი დატოვა და თბილისში დაბრუნდა.

2.11. ეკლესიაში მიმდინარე პროცესები და ილია მეორის აღსაყდრება

მიუხედავად იმისა, რომ ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას, ზემოთ მოთხრობილი ბენედიქტე (ბეჯით) ჯალაღონიას საკმაოდ პრობლემური მცდელობა ეპისკოპოსად კურთხევისა, სერიოზულად არასოდეს მიუღიათ, ისინი ერთ რამეზე მაინც დაფიქრდნენ: ბენედიქტე, რომელსაც სოლიდური საღვთისმეტყველო და ლიტურგიკული განათლება ჰქონდა მიღებული ზაგორსკში, სადაც მას სერიოზული კონფლიქტი მოუვიდა ადგილობრივ სასულიერო პირთან იმის გამო, რომ ეს უკანასკნელი ცდილობდა მასთან მამათმავლურად დაახლოებას, ზემოხსენებულ სკანდალურ „კურთხევამდე" – ჯერ სვეტიცხოველში, შემდეგ წმინდა ნინოს საფლავზე – ბოდბეში, საქართველოს ეკლესიაში კათალიკოს-პატრიარქის, ასევე მისი უშუალო გარემოცვის მითითებით არავინ გაიკარა. ამ დროს ამ სფეროში კადრების უკიდურესი სიმცირე იყო. მოქმედი ეკლესიების რიცხვი 70-მდე იყო ჩამოსული, ხოლო სამღვდელო პირთა რიცხვი, ალბათ, 100-მდე აღწევდა. აქედან ძალიან ბევრი სრულიად მოუმზადებელი და უვარგისი, სამღვდელო წოდებისთვის შეუფერებელი ჩანდა.

რა მიზეზი უნდა ყოფილიყო ამის მიღმა? თავსაყრელად ჰყავდათ მომზადებული კადრები? როგორც ჩანს, ბენედიქტე ჯალაღონიას გადაბირება უშიშროების კომიტეტის მიერ ვერ მოხერხდა ზაგორსკში. მამათმავლური დაახლოების მცდელობაც, როგორც ჩანს, მიზნად ისახავდა მის კომპრომეტაციას, რათა შემდეგ ამ გზით მაინც გადაებირებინათ. არც ის ადამიანები დაუსჯიათ ზაგორსკის სემინარიაში, რომლებმაც ასეთი რამ სცადეს მასთან. და აი, როდესაც იგი საქართველოში დაბრუნდა, როგორც „საშიში ელემენტი" (ისევე, როგორც ალექანდრე ქათამაძე, შემდგომში ეპისკოპოსი ამბროსი), იგი სათოფეზე არავინ არ გაიკარა ეკლესიაში. აქედან იწყება ზვიად გამსახურდიას დაინტერესება, რათა უკვე კონკრეტულად და დეტალურად გამოეძიებინა, რა როლს თამაშობდა სუკ-ი ეკლესიაში, და, როგორც შემდგომ აღმოჩნდა, სრულიად საკვანძო როლს. ამ ორგანიზაციის ამოცანა იყო ეკლესიის შენარჩუნება ასეთ დაძაბუნებულ, ხარისხობრივად უკიდურესად დაცემულ და კადრების მხრივაც „შიმშილის" მდგომარეობაში.

ზვიად გამსახურდიას „ჩანაწერებში" ეს ამბები ასეა აღწერილი: 1972 წლის 7 აპრილს გარდაიცვალა საქართველოს მართლმადიდებელი, სამოციქულო ეკლესიის კათალიკოს-პატრიარქი ეფრემ II. მისი სიკვდილიდან სულ რაღაც 2 საათში, მოიწვიეს სინოდის სხდომა ახალი პატრიარქის ასარჩევად. არჩევნებში მონაწილეობდნენ სინოდის წევრები, მიტროპოლიტი და პატრიარქის ქორეპისკოპოსი დავით დევდარიანი და ორი ეპისკოპოსი, ზინობი მაჟუგა და გაიოზ

კერატიშვილი, ასევე ორი რწმუნებით აღჭურვილი პირი ეკლესიის საქმეებში. ზემოხსენებულ ორივე ეპისკოპოსს, რომლებმაც იგი კათალიკოს-პატრიარქად აირჩია, დავით მეხუთემ, კათალიკოსად არჩევამდე, მიანიჭა მიტროპოლიტის წოდება, რაც საეკლესიო სამართლის უხეში დარღვევა იყო.

როდესაც პროკურატურამ ახალ პატრიარქს სთხოვა სინოდის კრების ოქმი, პატრიარქმა მათ უპასუხა, რომ ოქმი კანცელარიიდან მოპარული იყო. ზვიად გამსახურდიას „ჩანაწერებში“ ასევე აღნიშნულია, რომ განსვენებულ პატრიარქს, ეფრემ II-ს, მიუხედავად მრავალი ნაკლისა, ნამდვილად გააჩნდა საეკლესიო საქმის ცოდნა და სასულიერო განათლება. მან გამოსცა ახალი აღთქმა და ლოცვანი. ახალი პატრიარქი დავით V კი, „საქართველოს მოამბის“ რედაქციის შეფასებით, სათანადო განათლებას მოკლებული იყო. „საქართველოს მოამბე“ წერდა: „თვით ამჟამინდელ კათალიკოს-პატრიარქ დავითს, მიუხედავად იმისა, რომ საეკლესიო დებულებაში (XX მუხლი) წერია: „საკათალიკოსო კანდიდატს უნდა ჰქონდეს მიღებული უმაღლესი საზოგადო განათლება და შესაფერისი საღვთისმეტყველო მომზადება,“ არც საერო, არც სასულიერო განათლება არ გააჩნია; ეკლესიაში მოსვლამდე იგი ხაშურის რკინიგზის სადგურში ღვეზელებით ვაჭრობდა. მისი კათალიკოს-პატრიარქის თანამდებობაზე დადგომა არაკანონიერ ვითარებაში მოხდა: ეფრემ II სიცოცხლეში, მორწმუნეებთან პირადი საუბრის დროს და ასევე საჯაროდაც, ყოველთვის აცხადებდა, რომ ერთადერთი პირი, რომელმაც ის უნდა შეცვალოს, არის მიტროპოლიტი ილია შიოლაშვილი. ამ უკანასკნელს უმაღლესი საერო და სასულიერო განათლება აქვს, ამასთან, ფლობს რამდენიმე უცხო ენას, არის ახალგაზრდა, სარგებლობს დიდი ავტორიტეტითა და პატივისცემით როგორც ჩვენი ქვეყნის, ასევე საზღვარგარეთის ქვეყნების მორწმუნეთა შორის. სიკვდილამდე რამდენიმე ხნით ადრე ეფრემ II-მ დაწერა ანდერძი, რითაც სინოდის წინაშე სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის კანდიდატად ილია შიოლაშვილს აყენებდა. ეს ანდერძი განადგურებულ იქნა ხარიტონ დევდარიანისა (დავით V-ის საერო სახელი, კ. გ.) და მისი მომხრეების მიერ, რის მაგივრადაც დევდარიანის სახელზე შედგა ახალი ყალბი ანდერძი და სინოდზე ეს ანდერძი იქნა განხილული“.[211]

ზემოთ აღწერილ ვითარებაში საეკლესიო საქმეები მთლიანად აღმოჩნდა ახალგაზრდა და ენერგიული ეპისკოპოსის, გაიოზ კერატიშვილის, ხელში.[212] ლ. ალექსეევა წერს, რომ იმ პერიოდში საქართველოს ეკლესიისა და მორწმუნეთა წრეებში მოარული ხმების მიხედვით, დავით V-მ პატრიარქობისთვის საქართველოს ცეკას პირველი მდივნის, მჟავანაძის, მეუღლეს ნახევარი მილიონი საბჭოთა მანეთი გადაუხადა.[213]

ვინ იყო ეპისკოპოსი გაიოზ კერატიშვილი? ზვიად გამსახურდიას „ჩანაწერების“ მიხედვით, იგი დაბადებულია 1945 წელს, თავიდან სწავლობდა თსუ-ში, 4 წლის განმავლობაში ძლივს დაასრულა 1-ელი კურსი, შემდეგ გარიცხეს აკადემიური ჩამორჩენის გამო. თუმცა სხვები ამტკიცებდნენ, რომ გარიცხვა მოხდა ჰომოსექსუალიზმისა (რაც სსრკ-ში დასჯადი იყო) და ნარკომანიის გამო. 1969

წელს ბიძინა კერატიშვილი (შემდგომში – ეპოსკოპოსი გაიოზი) გაასამართლეს საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის 209-ე მუხლის II ნაწილით (ეს მუხლი გულისხმობდა თანამდებობის პირის ან საზოგადოებრივი მუშაკის მოკვლას, სხეულის დაზიანებას, ან ქონების განადგურების მუქარას, ამ პირთა საზოგადოებრივი საქმიანობის შეწყვეტის მიზნით დამმუქრებელი პირის ინტერესების სასარგებლოდ. II ნაწილი გულისხმობდა სხეულის დაზიანებას ან ცემას. ისჯებოდა თავისუფლების აღკვეთით 3 წლამდე).

ვადაზე ადრე განთავისუფლების შემდეგ ბიძინა კერატიშვილმა ჩააბარა მცხეთის სასულიერო სემინარიაში, საიდანაც მალევე გამორიცხეს ნარკოტიკული ნივთიერებების გავრცელების გამო. იმავე წელს მან მუშაობა დაიწყო საპატრიარქოში უმცროს მდივნად და მაშინვე იქნა გადაბირებული სუკ-ის მიერ.[214] სწორედ ეპისკოპოს კერატიშვილზე დაკვირვებამ მიიყვანა ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა დასკვნამდე, რომ ბენედიქტე ჯალაღონიას მსგავსთ არავინ აკარებდა ეკლესიასთან, ღვთისმსახურებასთან, ხოლო მოუმზადებელ ავანტიურისტებს, იმის გამო, რომ თანამშრომლობდნენ სუკ-თან, მწვანე შუქი ჰქონდათ ანთებული.

ბენედიქტე ჯალაღონიას შემთხვევაში, ზვიად გამსახურდიას შენიშვნით, როლს ისიც თამაშობდა, რომ იგი ლატენტურ მამათმავლობას უპირისპირდებოდა. ამაზე „საქართველოს მოამბის" სტატიაში ეწერა: „ჰომოსექსუალიზმის ფარული კულტი ეკლესიაში სავსებით გასაგები მოვლენაა. ერთი რომ, სახელმწიფოს უკიდურეს მორჩილებაში ჰყავს ამგვარი სამღვდელო პირები და უმცირესი თვითნებობის შემთხვევაში ძალუძს მათი გამოაშკარავება და პასუხისგებაში მიცემა. მეორეც, ჰომოსექსუალისტების გამრავლება სამღვდელოების წრეებში საუკეთესო საშუალებაა ეკლესიისა და, საერთოდ, რელიგიის დისკრედიტაციისთვის" (შდრ. „საქართველოს მოამბე", N1). გამოდის, რომ მამათმავლობა იყო ერთგვარი სოციალიზაციის, ასევე, უშიშროების კომიტეტის დიქტატთან შეგუებისა და ლოიალურობის დამტკიცების ფორმა.

იქვე აღნიშნულია, რომ სასულიერო სემინარიაშიც ანალოგიურად ეკიდებოდნენ ახალგაზრდა კადრების შერჩევის საქმეს. გონებრივად განუვითარებელ, ხშირად პათოლოგიურ ახალგაზრდებს მწვანე შუქს უნთებდნენ, ხოლო ნიჭიერ, პატიოსან, მორწმუნე ახალგაზრდებს გზას უკეტავდნენ, მიიჩნევდნენ რა მათ „პოლიტიკურად არასაიმედო", „საშიშ" ადამიანებად. ზვიად გამსახურდიას „ჩანაწერებში" საუბარია იმ დიდ ძარცვასა და საეკლესიო ნივთების დატაცებაზე, რომელიც მოხდა საქართველოს საპატრიარქოში. ამ დიდ ძარცვამდე სინოდმა სთხოვა მინისტრთა საბჭოს რწმუნებულს რელიგიის საკითხებში, შალუტაშვილს, საპატრიარქოს ქონების აღწერა. მან თითიც კი არ გაანძრია. სინოდმა რამდენიმე ოთახს და სეიფს ლუქი დაადო მას შემდეგ, რაც დაიკარგა წმინდა ნინოს პანაღია. კერატიშვილმა აიძულა პატრიარქი ეფრემი, აეხსნა ლუქები, რამდენადაც საპატრიარქოში არსებული ქონება არ ყოფილა აღწერილი და ყველაფერი კერატიშვილის ხელში იყო. ახლა ძნელია ძარცვის მასშტაბებზე საუბარი,

– დასძენს „ჩანაწერების“ ავტორი. ყველა დაკითხული პირი ამტკიცებდა, რომ უკანონობა და დანაშაული ხდებოდა სწორედ რწმუნებულისა და სუკ-ის თანამშრომლების ჩართულობით.

ზვიად გამსახურდიას მიერ წარმოებული გამოძიებით, რომლის შედეგებიც დაიბეჭდა „საქართველოს მოამბეში“, სუკ-ის ერთ-ერთი განყოფილების უფროსმა, გვარად თვალჭრელიძემ, ნაძარცვი ძვირფასეულობიდან მიიღო თავისი წილი.

ეს არის არასრული სია ნივთებისა, რომლებიც კერატიშვილისა და სუკ-ის თანამშრომლების, ბახტაძისა და თვალჭრელიძის, მიერ იქნა მიტაცებული.[215] სია პროკურატურის გამომძიებელ ქადაგიშვილს გადასცა ილარიონ სამხარაძემ. ეს ნივთებია:

„ორი ძვირფასი ხატი, საეკლესიო ვერცხლის ვარსკვლავი, სახარება ვერცხლის ყდით, სახარება ვერცხლის მოჭედილი ყდით, ვერცხლის ეკლესია საკურთხევლისთვის, ვერცხლის ხატი წმინდა ნაწილებით, ვერცხლის მცირე კოლოფი წმინდა ნაწილებით, მღვედლმთავართა მიტრები, სპილოს ძვლის კვერთხი, ინდოეთიდან ჩამოტანილი, პრეზიდენტ დე გოლის ნაჩუქარი ბროლის ლარნაკი, მცირე ზომის ვერცხლის დოქი ლანგართან ერთად, სუფრის და ჩაის ვერცხლის კოვზები (კომპლექტი), ნივთებით სავსე რამდენიმე ჩემოდანი, ჯერაც გაუხსნელნი, ხატი 35X25-ზე, ხატი მაცხოვრისა და ღვთისმშობლის გამოსახულებით 60X40-ზე, ვერცხლის შესამოსელი პატრიარქისთვის, ორი ხატი ძვირფასი თვლებით, 50X30-ზე, ოთხნაწილიანი ძვირფასი ხატი, 25X30-ზე, უცხოეთიდან ჩამოტანილი საეკლესიო ნივთი ნახატთან ერთად“.[216]

ალექსეევა აღნიშნავს, რომ ყველაზე ადრე საქართველოში რეპრესიები ეკლესიის სფეროში დაიწყო. ვალენტინა ფაილოძე, სიონის მგალობელთა გუნდის რეგენტი, 1974 წლის მარტში დააკავეს. მას ბრალი დასდეს პროკლამაციების დაგზავნაში, რომლებიც, გამოძიების თვალსაზრისით, შეიცავდა „საბჭოთა წყობილებაზე ცილისმწამებლურ ინფორმაციებს და მუქარებს“. ფაილოძემ 1970 წელს შექმნა პროკლამაცია, რომელშიც გაილაშქრა ათეისტური პროპაგანდისა და ცხოვრების წესის წინააღმდეგ, მანვე მოითხოვა ქართველების წინააღმდეგ მიმართული საბჭოთა ასიმილაციის პოლიტიკის შეწყვეტა. მან 400 ცალი ასეთი პროკლამაცია დაამზადა და გაავრცელა, მათ შორის, სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში. იგი გაასამართლეს იმავე წლის 24 ივნისს და მიესაჯა 1,5 წლით პატიმრობა შრომა-გასწორების კოლონიაში. თუმცა, იმავე წლის სექტემბერში იგი ვადაზე ადრე გაათავისუფლეს. ვიდრე საქართველოს „ჰელსინკის ჯგუფის“ წევრი გახდებოდა, 1976 წელს მან ზვიად გამსახურდიასთან ერთად დაწერა წერილი „საქართველოს მოამბეში“ ეკლესიაში მომხდარ ძარცვაზე, რომელიც განხორციელდა მავნე წეს-ჩეულებებთან ბრძოლის სახელმწიფო პროპაგანდის ფონზე.[217]

ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას შეფასება გასული საუკუნის 70-იან წლებში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოში შექ-

მნილი ვითარებისა, ასეა გადმოცემული „საქართველოს მოამბეში“: „ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლის ყველაზე უფრო ეფექტური საშუალება აღმოჩნდა ეკლესიის შიგნიდან გახრწნა, მის რიგებში შენიღბული აგენტების შეგზავნა, ამ პროცესს ზოგიერთნი „წითელი სამღვდელოების“ შექმნასაც უწოდებენ. „წითელი სამღვდელოების“ განსაკუთრებული აქტივობა საქართველოში იწყება პატრიარქ ეფრემ II-ის განმგებლობის წლებიდან (1960-1972 წწ.), რომელმაც თავისი კომპრომისული, ოპორტუნისტული ქმედებებით ხელი შეუწყო სახელმწიფოს, სულ უფრო და უფრო ჩარეულიყო საეკლესიო საქმეებში. „წითელი სამღვდელოების“ გააქტიურებამ გამოიწვია არნახული მორალური გახრწნა სასულიერო პირთა რიგებში. თვით პატრიარქი ეფრემ II ეწეოდა სიმონიას, ანუ საეკლესიო თანამდებობებით ვაჭრობას. ეს იყო ერთ-ერთი საფუძველი მისი „კადრების პოლიტიკისა“. მეორე მხრივ, ამ პოლიტიკას განაპირობებდა უშიშროების კომიტეტი და მინისტრთა საბჭოს რწმუნებული რელიგიის საქმეებში დ. შალუტაშვილი, რომელიც 1974 წელს გაათავისუფლეს თანამდებობიდან მექრთამეობისათვის“. იქვე ზვიად გამსახურდია ჩამოთვლის „წითელი“ სამღვდელო პირის 6 ძირითად ნიშანს: 1. აღვირახსნილი ლოთობა, ჰომოსექსუალიზმი, გამომძალველობა, ანგარება, სიხარბე, მრეველის წევრთა, უმთავრესად მოხუცი ქალების ცემა, შეურაცხყოფა, ლანძღვა-გინება, რათა გამოიწვიონ ეკლესიაში ახლადმოსული ხალხის ანტიპათია; 2. თვალყურის დევნება და აღრიცხვაზე აყვანა ყველა მორწმუნისა და ეკლესიაში მოსული მოქალაქის, მეტადრე ახალგაზრდებისა; 3. მოქალაქეების დეზინფორმირება ეკლესიაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ, ყველაფრის ნათელ ფერებში წარმოსახვა, მთავრობის მიმართ მადლიერების ხმამაღლა აღვლენა; 4. ეკლესიის გულშემატკივარი მორწმუნეების დევნა, შეურაცხყოფა, გაძევება, მათზე ჭორების გავრცელება, მათთვის სახელის გატეხა. თუ საჭირო გახდა, მათი რეპრესირებაში ჩართვაც; 5. მართლმადიდებლური რიტუალების შემოკლება, დამახინჯება და გამასხარავება. რიტუალის დროს ღლაბუცი და არასერიოზული განწყობის შექმნა; 6. ქადაგებაზე უარის თქმა, დასმულ შეკითხვებზე პასუხის თავიდან არიდება, ხალხისთვის განზრახ საქმოსნური და ანგარებიანი განწყობილების ჩვენება.

„რაც შეეხება დღევანდელ პატრიარქს, დავით V-ს, – ვკითხულობთ წერილში, – მას არ გააჩნია საშუალო განათლებაც კი. თუ როგორ გაიკაფა მან გზა კათალიკოსის ტახტისკენ, ამაზე მოგვითხრობს პროკურორის თანაშემწის, დ. ქორიძის, ცნობა და ერთ-ერთი მოწმის, ისტორიკოსი თ. ჯვარშეიშვილის, ჩვენება (იხ. „საქართველოს მოამბე“)“. შემდეგ ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა აღნიშნავენ: „დღეს საქართველოს ეკლესიას მართავს არა იმდენად პატრიარქი დავით V, რომელიც ძალზე მოხუცი და ავადმყოფია, არამედ „მიტროპოლიტი გაიოზი“ (კერატიშვილი), დაწინაურებული პროტექციით სახელმწიფოს უშიშროების ორგანოს მხრიდან, „წითელი სამღვდელოების“ ყველაზე უფრო ტიპური წარმომადგენელი.[218] ორივეს, პატრიარქსაც და მიტროპოლიტ გაიოზსაც, სამღვდელოებაზე სრული დიქტატი ჰქონდათ დამყარებული. ამის მაგალითია

ზვიად გამსახურდიას ვაჟის, ცოტნეს, მონათვლაზე უარის თქმა სამღვდელო პირების მხრიდან, რამდენიმე ეკლესიაში. ეს ხდებოდა 1976 წლის შემოდგომაზე. ბოლოს ბერმა გაბრიელ ურგებაძემ, რომელსაც საკუთარ სახლში ჰქონდა გამართული ეკლესია, მონათლა ცოტნე, რამდენადაც იგი დისიდენტური განწყობების სასულიერო პირი იყო".

გაიოზ კერატიშვილს ახასიათებენ როგორც გარკვეული თეოლოგიური განათლების მქონეს, საეკლესიო თვალსაზრისით, ზოგადად, მომზადებულ პიროვნებას. წაღებული ხატების დიდი უმრავლესობა ჩვეულებრივ ეკიდა მის სახლში. მისი პრობლემა, როგორც ჩანს, იყო მხოლოდ ის, რომ იგი სრულიად ემორჩილებოდა უშიშროების კომიტეტის კარნახს. როგორც ეს ანალოგიური შემთხვევებისას ბევრჯერ მომხდარა, მას არასოდეს დაუსვამს კითხვა, რატომ ან რა მოტივით, რა ჩანაფიქრის გამო მოითხოვდნენ მისგან ამა თუ იმ ნაბიჯის გადადგმას. გასაკვირი ასევე არ არის, რომ ახალგაზრდა, განათლებულმა და ენერგიულმა კადრმა დიდი გავლენა მოიპოვა საპატრიარქოში ასაკით ბევრად უფროს სამღვდელო პირებზე. იგივე დადასტურდება 22 მარტის სასამართლო პროცესზე 1979 წელს, სადაც ითქვა: გაიოზ ანუ ბიძინა (საერო სახელია) კერატიშვილი რომ ეფრემ II-ის ავადმყოფობის პერიოდში განაგებდა მთელ საპატრიარქოს საქმეებს, ეს დადასტურებულია მოწმეების პ. ა. ობოლაძის, ვ. ა. ვათეიშვილის, ა. ხ. გულიაშვილის, კ. სიდამონიძის და სხვების ჩვენებებით.[219] მან დაკარგულ ხატებზე განაცხადა, სამღვდელო პირს ხატები რაში უნდა დასჭირვებოდაო, თუ არა იმ დანიშნულებით, რაც ამ ხატებს იმთავითვე ჰქონდათ? მე იმ ხატებს ისევ ეკლესიისთვის ვინახავდიო. თუმცა სასამართლომ მისი ამ არგუმენტაციიდან არაფერი არ გაიზიარა. აქ მხოლოდ ჰიპოთეზის დონეზე, შესაძლოა, დავუშვათ, რომ კერატიშვილის მიერ ამ საეკლესიო ნივთების გატანა საპატრიარქოდან სუკ-ის კარნახით ყოფილიყო მორიგი ტესტი, რომელიც მას ამ ორგანიზაციის თვალში უნდა ჩაებარებინა. ამით სუკ-მა შექმნა ერთგვარი კომპრომატი მომავლისთვის, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში გამოიყენებდა. მართლაც, როდესაც საბოლოოდ გადაწყდა მიტროპოლიტ გაიოზის საპატრიარქოდან ჩამოცილება, იგი სწორედ ამ კომპრომატის გამოყენებით დააპატიმრეს. ისტორიკოსი თემურ ჯვარშეიშვილი, რომელმაც დაწერა ვრცელი ახსნა-განმარტების წერილი საპატრიარქოში მომხდარი ძარცვის გამო, გაიოზ კერატიშვილს პირადად ბრალს სდებს ასევე, მამათმავლობასა და გარყვნილებაში, ადარებს რა მას ბალთაზარ კოსას.[220] ამავე დროს, მას ბრალად ედება ეკლესიასა და სამღვდელოებაში ჰომოსექსუალიზმის კულტის დანერგვა. ჯვარშეიშვილი მას ბრალად სდებს პარტიარქ ეფრემ II-ის მიერ დაწერილი ანდერძის განადგურებაში და მის ჩანაცვლებაში ყალბი ანდერძით, რომლის ძალითაც პატრიარქი გახდა დავით V. ასევე მღვდელ ვიქტორ შალამბერიძისთვის მოწყობილ ავტოკატასტროფაში თანამონაწილეობას, რომლის შედეგადაც ეს სამღვდელო პირი დაიღუპა.[221]

ზვიად გამსახურდიას „ჩანაწერებში“ ვკითხულობთ, რომ ეფრემ II-მ გაიოზ კერატიშვილი 1971 წლის ნოემბერში ბერად აღკვეცა, იმავე წლის დეკემბერში აკურთხა დიაკვნად, შემდეგ კი უკვე მღვდლის ხარისხში იქნა აყვანილი. 1972 წლის 26 მარტს, მიუხედავად მძიმე ავადმყოფობისა, ეფრემმა მაინც ჩაატარა ღვთისმსახურება და გაიოზ კერატიშვილი ეპისკოპოსად აკურთხა სუკ-ის ზეწოლით. ამის შემდეგ კერატიშვილი სიტუაციას განაგებდა საქართველოს საპატრიარქოში და ეფრემ II-ის გარდაცვალების შემდეგ აიძულა მცხეთის სასულიერო სემინარიის რექტორი ილია შიოლაშვილი, გადასულიყო აფხაზეთში, სოხუმში, თავად კი გახდა სემინარიის რექტორი.[222]

განცხადება საპატრიარქოში მომხდარ ძარცვაზე მაშინდელ კიროვის რაიონის პროკურატურაში 1974 წელს შევიდა. ამ დროს რაიონის პროკურორის თანაშემწე იყო გამომძიებელი დავით ქორიძე. იგი დაინტერესდა იმ დროს საპატრიარქოში შექმნილი ვითარებით. აღმოაჩინა, რომ საპატრიარქოს ქონების ინვენტარიზაცია წლების განმავლობაში არ ჩატარებულა. უძვირფასესი ხატები, საეკლესიო ნივთები, ისტორიულად ფასეული ხელნაწერები, წიგნები აბსოლუტურად უპატრონოდ იყო დალაგებული, ყოველგვარი აღნუსხვისა და სისტემატიზაციის გარეშე. დავით ქორიძემ დაწერა მოხსენებითი ბარათი, საკმაოდ ვრცლად აღწერა სიტუაცია, შემდეგ შექმნა რამდენიმე ასლი. წერილის ერთი პირი პარტიის ცენტრალური კომიტეტის შესაბამის განყოფილებაში მიიტანა, ასევე, მიიტანა როგორც მინისტრთა საბჭოში, ისე სხვა ინსტანციებშიც. არავინ იცის, როგორ მოხვდა ეს საბუთი ზვიად გამსახურდიას ხელში, რომელმაც იგი რადიო „თავისუფლებას“ და სხვა დასავლურ სააგენტოებს გადასცა. რამდენადაც მასალა საკმაოდ ვრცელი იყო, რადიო „თავისუფლებამ“ რამდენიმე გადაცემა მიუძღვნა ამ თემას. სუკ-მა ვერასოდეს დაადგინა ამ ბარათის დისიდენტებთან მოხვედრის გზები. თავად დავით ქორიძემაც დაკითხვაზე ვერ შეძლო პასუხი გაეცა ამ შეკითხვაზე. თუმცა ძარცვაზე ადრე ერთი საკითხი იყო ასევე გასარკვევი: რამდენად ავთენტური იყო ეფრემ II-ის ანდერძი, რომლის მიხედვითაც კათალიკოსი გახდა დავით V?

მღვდელი ვიქტორ შალამბერიძე 1974 წელს გახდა მსხვერპლი ავტოკატასტროფისა, რომელიც მას, ყველა ნიშნის მიხედვით, მოუწყო უშიშროების კომიტეტმა. როგორც შალამბერიძის განცხადებით ირკვევა, პატრიარქ ეფრემ II-ის სიკვდილის შემდეგ, ეპისკოპოსმა გაიოზ კერატიშვილმა, ეკლესიის საქმეთა რწმუნებულ დ. შალუტაშვილისა და მომავალი პატრიარქის, დავით V-ის (ანუ მიტროპოლიტ დავით დევდარიანის), თაოსნობით, პატრიარქის ანდერძი გააყალბა. მღვდელი ვიქტორ შალამბერიძე წერდა, რომ ეფრემ II-ის გარდაცვალებისთანავე, გაიოზ კერატიშვილი დაუკავშირდა რუსეთის საპატრიარქოს ფაქტობრივ წარმომადგენელს, ეპისკოპოს ზინობი მაჟუგას, რომლებმაც დავით დევდარიანისა და მათი დამქაშების: თვალჭრელიძის, ბახტაძისა და ბაკურაძის დახმარებით გახსნეს საანდერძო სეიფი. რასაკვირველია, მათ იქ „იპოვეს“ გარდაცვლილი კათალიკოს-პატრიარქის მათ მიერ უკვე გაყალბებული ანდერძი,

რომლის თანახმად, თანამოსაყდრედ დავით დევდარიანი აღიარეს. დავით დევდარიანმა მადლიერების ნიშნად ამ „ოპერაციის“ მონაწილე ყველა დიდი თუ პატარა ბოროტმოქმედი გულუხვად დააჯილდოვა ძვირფასი ძღვენითა და დიდძალი თანხით.

გაყალბებული ანდერძის თანახმად, პატრიარქის თანამოსაყდრე გახდა დავით დევდარიანი. ამავე პერიოდში გაძარცვეს საპატრიარქო და გაიტანეს საგანძური. ამ ჯგუფს, თავის მხრივ, მფარველობას უწევდა ცკ-ის პირველი მდივნის, ვასილ მჟავანაძის, ცოლი“.[223] თუმცა მთავარი მოვლენები მას შემდეგ გათამაშდა, რაც გარდაიცვალა კათალიკოს-პატრიარქი დავით V. ეს მოხდა 1977 წლის 9 დეკემბერს, გამთენიისას. ის, რომ საკმაოდ მოხუცებული პატრიარქი მალე გარდაიცვლებოდა, სინოდში უნდა სცოდნოდათ, რამდენადაც ბოლო თვეების განმავლობაში მისი ჯანმრთელობა არ იძლეოდა სანუგეშო ნიშნებს. დავით V-ისა და კერატიშვილის დაჯგუფებამ რადიო „თავისუფლების“ რამდენიმედღიან რეპორტაჟზე ასევე მოახდინა რეაგირება და, რამდენადაც 1977 წლის თებერვალ-მარტიდან გამოიკვეთა ზვიად გამსახურდიას დაპატიმრების რეალური სიმპტომები — იგი გაირიცხა მწერალთა კავშირიდან — მათაც ეკლესიის სახელით დაწერეს დამგმობი წერილი. ამგვარად მათ თავისი ხმა შეუერთეს გახშირებულ მოწოდებებს საბჭოთა საქართველოს ჟურნალ-გაზეთებში, სადაც ზვიად გამსახურდიას სამშობლოს მოღალატედ, ცილისმწამებლად, სოციალიზმის მტრის სამსახურში ჩამდგარად და სხვა არაერთი მსგავსი ეპითეტებით მოიხსენიებდნენ:

„საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ რელიგიის საქმეთა რწმუნებულს, თ. ონოფრიშვილს. გიგზავნით იმ წერილის ასლს, რომელიც დაიბეჭდება გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე. წილკნელი ეპისკოპოსი გაიოზი“. ეს წერილი სათაურით, „არა ცილი სწამო“, გამოქვეყნდა გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“.[224] წერილი იწყებოდა ილია ჭავჭავაძის სიტყვებით: „უბედურება რომელიმე ერისა, დიდი ერია თუ პატარა, სხვათა შორის, ისიც არის, როცა ერთგვარს ბეზღობას, რომელსაც პოლიტიკურ ბეზღობას ეძახიან, დიდი ავალა მიეცემა, ფართო გზა გაეხსნება და აღებ-მიცემობის საგნად გახდება, როცა ბეზღობა, ეგ უწმინდური ძალ-ღონე გაცვეთილის კაცისა, პირახდილი დაიარება, არამცთუ უსირცხვილოდ, თავმოწონებითაც ფარფაშობს და ლუკმაპურს აწვდის მაბეზღარს... მაგ საძაგელს ფარ-ხმალს სულმოკლეობისას და ჯაბნობისას სამჭედურად აქვს ხოლმე ყოვლად გახრწნილი და ამყაყებული გული ჩირქიანის კაცისა, და საბერველად კიდევ „შაბაში“ და „ბარაქალა“ იმისთანა კაცებისა, ვისაც ბეზღობა და ერთგულება ერთს ფარდში მოუქცევია და ერთმანეთში განგებ ვერ გაურჩევია. თვითონ მაგ სამარცხვინო ფარ-ხმალის მჭედელს, ბეზღის მთქმელს, როგორც იქნება, ადამიანი გაუძლებდა, მოიგერიებდა, რომ გამგონი და დამჯერი არა ჰყვანდეს“. დასავლეთ გერმანიის რადიოსადგურმა „თავისუფლებამ“ ამ ბოლო ხანებში უძველეს ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიასაც გამოუცხადა ბრძოლა. მან ეთერში რამდენი-

მეჯერ გაუშვა სრულიად ცილისმწამებლური და პროვოკაციული ხასიათის გადაცემა, რომლის უმთავრესი მიზანი ქართველ ხალხზე დიდად ნაამაგარი ქართული ეკლესიის სრული დისკრედიტაცია იყო. როგორც ჩანს, დასავლეთის რეაქციულ ძალებს სული უწუხთ იმ ყოველ წარმატებაზე, რასაც დიადი საბჭოეთის მოქალაქენი, განურჩევლად მათი მსოფლმხედველობისა და რელიგიური მრწამსისა, ახალი საზოგადოების მშენებლობაში იჩენენ. ამიტომაც საქართველოს ეკლესია, როგორც სახე საბჭოეთის მინა-წყალზე მკვიდრი მთელი მორწმუნე ქართველი ერისა, ნიშანშია ამოღებული. არა აქვს უფლება, ხელი აფათუროს მის შინაურ საქმიანობაში თუ, რა თქმა უნდა, საკითხი არ შეეხება ერესს, რაც, ასეთის შემთხვევაში, მხოლოდ და მხოლოდ მართლმადიდებელ ეკლესიათა კომპეტენციას შეადგენს და არა ვიღაც ჭორიკანა და ცილისმწამებელი კერძო პირებისა. რადიო „თავისუფლებამ“ მისთვის ჩვეული თავხედობით ფეხქვეშ გათელა მოციქულთა, მსოფლიო და ადგილობრივ საეკლესიო კრებათა მთელი რიგი დადგენილებანი, ეკლესიის უმაღლეს იერარქიულ პირთა პირად ღირსებათა ხელყოფითა და მათ წმინდა სამწყსოში შფოთისა და არევ-დარევის შეტანის მცდელობით. ღვთივდაცული ქართული ეკლესია სრული ბატონ-პატრონია თავისი თავისა, თავისი ხვალინდელი დღისა და „ნაშობთა იქედნეთანთა გულშემატკივრობა“ სრულიადაც არ ესაჭიროება მას. საქართველოს ეკლესიას ჰყავს უწმინდესი სინოდი, რომლის წევრად ყველა მისი მღვდელმთავარი ერთიანდება და აქვს მართვა-გამგეობის საკუთრივ შემუშავებული დებულება, რომელიც რამდენიმეჯერაა მიღებული და დამტკიცებული, ჯერ – ავტოკეფალიის აღდგენისას 1917 წელს, კირიონ კათოლიკოსის დროს და ბოლოს – 1945 წელს. ამ დებულების მუხლებისა და, საერთოდ, საეკლესიო სამართლის ნორმებისადმი სრული შესაბამისობით, ხორციელდება ჩვენთან როგორც კათალიკოსის, ასევე სამღვდელო და საეპისკოპოსო კანდიდატების შერჩევა, მათი კურთხევა, განაწილება და სხვა. მაგრამ იმ მავნე, თითებზე ჩამოსათვლელ სექტანტურ ელემენტებს, რომელთაც არავითარი საერთო არ შეიძლება ჰქონდეთ ნებისმიერ ორთოდოქსალურ ეკლესიასთან, რომელთაც კოვზი ნაცარში ჩავარდნიათ, ბოღმა მოსწოლიათ, შური აღრჩობთ და, ამასთანავე, ხელს არ აძლევთ ქართული ეკლესიის მთლიანობა, ჩანს, განუზრახავთ ჯერ მისი სახელის შებღალვა, ხოლო ბოლოს – მოსპობა-განადგურება, რათა თავიანთი ბნელი და უკეთური საქმიანობის ასპარეზად გადააქციონ იგი და ეს არც არის შემთხვევითი. ხსენებული რადიოსადგური ხომ საქვეყნოდ ცნობილია, რომ გარს იკრებს საბჭოთა ხალხებისა და მოქალაქეების მალულ თუ აშკარა მტრებს, კეთილი გრძნობებისა და მისწრაფებების მქონე ადამიანთა მტრებს და ყველას მათ, ვინც დასავლეთის მილიტარიზმის წისქვილზე ასხამს წყალს, რათა ქვეყნად სიცოცხლემ და ღვთის მიერ შემოსილმა მშვენიერებამ კი არა, სიკვდილმა და უმსგავსოებამ გაიმარჯვოს. გულსატკენი და სამწუხაროა, რომ საქართველოს ეკლესიის ლანძღვა-გინება ეთერში ქართულ ენაზე გაისმოდა. იმ ენაზე, რომლითაც მრავალმა ქებათა ქება მიუძღვნა მას, იმ ენაზე, რომელი ენაც ქართულმა ეკლესიამ თა-

ვის წიაღში გამოანრთო, გაუხუნარი სამოსით შეამკო, დღევანდლამდე შემოინახა და ახლაც ფხიზელ დარაჯად უდგას მას. დღეს კი, თავის მამაპაპეულ მიწა-წყალზე გულაყრილმა ზოგიერთმა უმადურმა ქართველმა ჩვენი დიდი დედა, საქართველოს ათას ექვსასწლოვანი ჭაღაროსანი ეკლესია ამ ენით შეურაცხყო. აი, ამაგის დაფასებაც ამასა ჰქვია. მაგრამ არა უშავს... „ყოველი თესლები გარემომადგეს მე და სახელითა უფლისათა ვერეოდი მათ", ბრძანებს დავით ფსალმუნთმგალობელი (ფს. 117, 10), „ორღანოთა იხმია მტერმაო" ... მრავალ ჭირვარამგამოვლილ ქართულ ეკლესიას მშვიდობისა და კაცთაშორის სიყვარულის მქადაგებელს, ვერავისი მტრობა ვერ შეაშინებს, ვინაიდან იგი ღვთისა და მშვიდობის დიდი მებაირახტრის, ღვთივდაცულ საბჭოეთის, მფარველობის ქვეშ იმყოფება. დასასრულს კი, რადიო „თავისუფლების" და მის მეჩონგურეთა, გამსახურდიელების გასაგონად სულმნათი შოთა რუსთველის სიტყვებს დავიმოწმებთ: „ბოროტსა სძლია კეთილმან არსება მისი გრძელია!" წერილს ხელს აწერენ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი დავით მეხუთე, მიტროპოლიტები: ზინობი, რომანოზი, ეპისკოპოსები: გაიოზი, გიორგი, გრიგოლი. როგორც ვხედავთ, მიტროპოლიტი ილია შიოლაშვილი ხელმომწერთა შორის არ არის. მან დემონსტრაციულად არ მოაწერა ხელი აღნიშნულ წერილს.

1977 წლის აპრილში რუსმა სამღვდელო პირებმა, გლებ იაკუნინმა და ვარსანოფი ხაიბულინმა, ასევე, საერო პირმა ვიქტორ კაპიტანჩუკმა გაავრცელეს მიმართვა მსოფლიო ქრისტიანული საზოგადოებისადმი, რომელშიც ეწერა: „პრესაში გამოჩნდა სტატია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქის, დავითის, და სამი ეპისკოპოსის ხელმოწერით, რომელიც, ფაქტობრივად, საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვისთვის მოძრაობის მონაწილეთა დაბეზღებას წარმოადგენს. და აი რამდენიმე დღის შემდეგ გამსახურდია და კოსტავა დააპატიმრეს, დიდ ხუთშაბათს, იმ დღეს, როცა ქრისტიანული მსოფლიო იუდას მიერ ქრისტეს გაყიდვას იხსენიებს. განა ქართული ეკლესიის მძიმე მდგომარეობაზე, მის დამონებაზე არ მიუთითებს ის ფაქტი, რომ ქართული ეკლესიის თავისუფლებისთვის მებრძოლებს იუდას ამბორს ამ ეკლესიის წინამძღოლი და მისნი ძმანი უძღვნიან? წელს მთელი მსოფლიოს, დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქრისტიანები აღდგომის დღესასწაულს ერთდროულად ხვდებოდნენ. მთელს მსოფლიოში ამ სადღესასწაულო დღეებში აღევლინება საზეიმო ცნობა „ქრისტე აღსდგა". ამ სააღდგომი სიხარულში ქრისტიანობა ერთიანი იყო. თითქოს ამით ქრისტიანული მსოფლიოს ნანატრ ერთიანობას განასახიერებდა. უცილობელი გზა, ამ ერთიანობის მოსაპოვებლად თანამორწმუნე ტანჯულ ძმათათვის ქმედითი დახმარებაა. ამ ტანჯულთა შორის არიან ამჟამად ციხეში გამომწყდეული ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა. მათ თქვენი ლოცვები სჭირდებათ, მათ დასაცავად აღვლენილი თქვენი ხმა სჭირდებათ, ქართული ეკლესიის თავისუფლებისთვის დაწყებული მათი ბრძოლა უნდა გაგრძელდეს (...)".[225]

1977 წლის 9 ნოემბერს, როდესაც გარდაიცვალა პატრიარქი დავით V, გავრცელდა ხმა, თითქოს პატრიარქს ანდერძი დაწერილი ჰქონდა მიტროპოლიტ რომანოზ პეტრიაშვილზე. თუმცა იმაზეც იყო საუბარი, რომ პირად საუბრებში დავით V პატრიარქობას მასთან დაახლოებულ მიტროპოლიტ გაიოზ კერატიშვილს ჰპირდებოდა. ოღონდ მისი ანუ პატრიარქის გარდაცვალების შემდეგ მოიაზრებოდა ერთგვარი გარდამავალი ფიგურა – ეს იყო უხუცესი მიტროპოლიტი რომანოზ პეტრიაშვილი. რომანოზი 90 წელს იყო მიტანებული და, ცხადია, დიდი დღე არ ეწერა. ფაქტობრივი მმართველი გაიოზ კერატიშვილი ხდებოდა, ხოლო „გარდამავალი“ ფიგურის გარდაცვალების შემდეგ, სავარაუდოდ, პატრიარქიც. დავით V-ის გარდაცვალების შემდეგ, მის მიერ დალუქული სეიფი რომ გახსნეს, ანდერძი იქ საერთოდ არ აღმოჩნდა. საბჭოს წევრებმა ეს ფაქტი ვერაფრით ვერ ახსნეს. ანდერძის არარსებობის გამო, დებულების საფუძველზე, მიტროპოლიტი ილია შიოლაშვილი პატრიარქის მოსაყდრედ გამოცხადდა. ის გარემოება, რომ ზინობი მაჟუგა ამ საქმეში განსაკუთრებული მონდომებით გამოირჩეოდა, იმაზე მეტყველებს, რომ მოსკოვიდან, ვისი ფაქტობრივი წარმომადგენელიც იგი ქართულ ეკლესიაში იყო, მას მწვანე შუქი ჰქონდა ანთებული. ხელისუფლებისთვის მისაღები იყო შედეგიც, რომელიც ამ საბჭოს სხდომაზე დადგა.

მიტროპოლიტ ილია შიოლაშვილის პატრიარქის მოსაყდრედ გამოცხადებას აღნიშნული ჯგუფი იოლად არ შეგუებია. მათ დაგეგმეს და განახორციელეს მთელი რიგი ქმედებები. ასე მაგალითად, რელიგიის საქმეთა რწმუნებულს, თენგიზ ონოფრიშვილს, დეპეშა გაუგზავნეს, რომელშიც ვკითხულობთ: „ბატონო თენგიზ, კათალიკოს-პატრიარქ დავით მეხუთის გარდაცვალების შემდეგ ერისკაცთა დახმარებით და რუსი მიტროპოლიტი ზინობის (მაჟუგას) წინადადებით, რისი იურიდიული უფლებაც მას არ ჰქონდა, 1977 წლის 9 ნოემბერს თქვენი მითითებითა და მონაწილეობით შემდგარ სინოდის სხდომაზე მოსაყდრედ გამოაცხადეს მიტროპოლიტი ილია, დარღვეულია ქრისტიანული ეკლესიის მრავალსაუკუნოვანი ძირითადი სამართლებრივი ნორმები. ასეთი ფაქტი საქართველოს ეკლესიას არ ახსოვს. სინოდის წევრთა ნახევარზე მეტი წინააღმდეგია ამისა“. აღნიშნული ჯგუფის ასეთი მოქმედება სიახლე არ ყოფილა. ისინი მანამდეც იმზადებდნენ ნიადაგს, რათა გავლენა და ბერკეტები ხელიდან არ გამოსცლოდათ. ეკლესიის ისტორიკოსი სერგო ვარდოსანიძე თავის ნაშრომში აღნიშნავს: „ვითარება კიდევ უფრო გართულდა 1976-1977 წლებში. ამ დროს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის წმიდა სინოდის წევრები იყვნენ: თეთრიწყაროელი მიტროპოლიტი ზინობი (მაჟუგა), ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია (შიოლაშვილი), ბათუმ-შემოქმედელი მიტროპოლიტი რომანოზი (პეტრიაშვილი), წილკნელი მიტროპოლიტი გაიოზი (კერატიშვილი), მანგლელი ეპისკოპოსი გიორგი (ღონღაძე), ალავერდელი ეპისკოპოსი გრიგოლი (ცერცვაძე), ბოდბელი ეპისკოპოსი ილარიონი (სამხარაძე). იერარქიულობის მიხედვით, ქართველ მღვდელმთავართა შორის უპირატესი იყო ცხუმ-

აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია, რომელიც ითვლებოდა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მოსაყდრედ, მაგრამ 1977 წლის 10 სექტემბერს მიტროპოლიტ ილიას სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესი დავით V-ის მდივანმა გ. მშვიდობაძემ ასეთი შინაარსის წერილი გაუგზავნა: „მის მაღალყოვლადუსამღვდელოესობას, მიტროპოლიტ ილიას. გაცნობებთ, რომ კათალიკოს-პატრიარქის, დავით V-ის, ბრძანებით, მის მაღალყოვლადუსამღვდელოესობას, მიტროპოლიტ რომანოზს, მიეცა პირველი ადგილი მიტროპოლიტთა შორის“ (ვარდოსანიძე). ანუ აქ უკვე სახეზეა მცდელობა „გარდამავალი“ პროექტის განხორციელებისა, რაც გაიოზ კერატიშვილს ეკლესიის ჯერ ფაქტობრივ ჩრდილოვან მმართველად გახდიდა, შემდეგ კი – უკვე პატრიარქადაც. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, წილკნელი მიტროპოლიტი გაიოზი არ აპირებდა ფარ-ხმალის დაყრას. მან ამიტომაც არ დაუჭირა მხარი წამოყენებულ კანდიდატურას და კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრედ დაასახელა ბათუმ-შემოქმედელი და ჭყონდიდელი მიტროპოლიტი რომანოზი. ეს უკანასკნელი, დასავლეთ საქართველოდან მომავალი, გზაში დაბრკოლდა – მანქანა გაუფუჭდა, ამიტომაც სინოდის სხდომას ვერ დაესწრო, თუმცა ვერც მისი ჩამოსვლა შეცვლიდა სიტუაციას. ხმათა უმრავლესობით, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია აირჩიეს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მოსაყდრედ. რომანოზ პეტრიაშვილის, გაიოზ კერატიშვილისა და ილარიონ სამხარაძის განცხადებით, სხდომა არ იყო უფლებამოსილი და მოსაყდრეც კანონის დარღვევით იყო არჩეული. ისინი მიიჩნევდნენ, რომ მოსაყდრეობა კანონით ასაკობრივად უხუცესსა და უპირატეს მიტროპოლიტს, რომანოზ პეტრიაშვილს ეკუთვნოდა. დამატებით არგუმენტად, აგრეთვე, მოჰყავდათ პატრიარქ დავით V-ის 10 სექტემბრის წერილი, სადაც, პატრიარქის გადაწყვეტილებითა და ბრძანებით, მის მაღალყოვლადუსამღვდელოესობას, მიტროპოლიტ რომანოზს, მიეცა პირველი ადგილი მიტროპოლიტთა შორის. თუმცა ზინობი მაჟუგასა და ილია შიოლაშვილის აზრით, მოსაყდრეობა ეკუთვნოდა ქიროტონიით უხუცეს მღვდელმთავარს. ამასთან დაკავშირებით სერგო ვარდოსანიძე წერს: „10 ნოემბერს თბილისში ჩამოსული მიტროპოლიტი რომანოზი საპატრიარქოში გამოცხადდა მოგვიანებით და განაცხადა, რომ იგი, როგორც უხუცესი მღვდელმთავარი და ჭყონდიდელი მიტროპოლიტი, იერარქიული პატივით ყველა მღვდელმთავარზე მაღლა იდგა და ამის საფუძველზე მოითხოვა კათალიკოს-პატრიარქის მოსაყდრის თანამდებობა. როგორც საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულების 23-ე მუხლის მე-2 შენიშვნაშია აღნიშნული, „მწყემსმთავარნი პატივდებულ იქნებიან ქიროტონიის უხუცესობის მიხედვით“ (ვარდოსანიძე, ხელნაწერი). ეს იმას ნიშნავს, რომ ის სასულიერო პირი ითვლება უხუცეს მღვდელმთავრად, რომელიც უფრო ადრე იყო ნაკურთხი ეპისკოპოსის ხარისხში და არა – უფროსი ბიოლოგიური ასაკის მიხედვით. მიტროპოლიტი ილია ეპისკოპოსად ნაკურთხი იყო 1963 წლის 25 აგვისტოს, ხოლო მიტროპოლიტი რომანოზი – 1965 წლის 21

თებერვალს; მიტროპოლიტის ხარისხი ილიას მიენიჭა 1969 წელს, რომანოზს – 1972 წელს. რაც შეეხება ეპარქიის ან ასაკის (მიტროპოლიტი რომანოზი 1977 წელს იყო 90 წლის) მიხედვით უხუცესობას, ეს არაა გათვალისწინებული მართვა-გამგეობის დებულებაში". თუმცა საქმე საქმეზე რომ მიმდგარიყო, ქიროტონიითაც ყველაზე უფროსი ზინობი მაჟუგა გამოვიდოდა – იგი ილია შიოლაშვილზე გაცილებით ადრე, 1956 წელს, აკურთხეს ეპისკოპოსად. თუმცა სხდომის თავმჯდომარეობა და პატრიარქის მოსაყდრეობაც მაინც ილიას შეხვდა (შდრ. ვარდოსანიძე). ზინობი მაჟუგას თავში აზრადაც არ მოსვლია საკუთარი კანდიდატურის დაყენება, მეორეც, ეს კიდევაც რომ ვინმეს თავში აზრად მოსვლოდა, მის არჩევას მაინც ვერ დაუშვებდნენ: ვერავინ იტყოდა, რა უმართავი პროცესები შეიძლებოდა მოჰყოლოდა ამ საკითხის წამოწევას. მით უმეტეს, ყველამ იცოდა, რომ ზინობი მაჟუგა ისევე წარმოადგენდა მოსკოვის საპატრიარქოს ქართულ ეკლესიაში, როგორც გენადი კოლბინი, საქართველოს ცეკას მეორე მდივანი იყო მოსკოვის პირდაპირი წარმომადგენელი ადგილობრივი მმართველობის ორგანოში – საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში.

ამ ჯგუფს პირველი გამოეთიშა ზინობი მაჟუგა, მას შემდეგ, რაც სამეულმა – გაიოზ კერატიშვილმა, რომანოზ პეტრიაშვილმა და ილარიონ სამხარაძემ – მინისტრთა საბჭოს რელიგიის საქმეთა რწმუნებულის, ონოფრიშვილის სახელზე გაგზავნილ დეპეშაში ილია შიოლაშვილს ბრალი დასდეს თავად წერილის ადრესატთან ალიანსში. მაჟუგას პოზიცია, ცხადია, მრავლისმეტყველი იყო. იგი, როგორც სახლის სახურავზე დამაგრებული ფლიუგერი, ზუსტად მიანიშნებდა, საითკენ უბერავდა ქარი. ეს სამეული, როგორც უკვე აღინიშნა, 9 ნოემბრის შემდეგ აქტიურად მოქმედებდა. ასე მაგალითად, მათ 18 დეკემბერს წერილი მისწერეს სკკპ-ს გენერალურ მდივანს, ლეონიდ ბრეჟნევს, სადაც დაასმინეს რწმუნებული ონოფრიშვილი და ახლად არჩეული პატრიარქი ილია შიოლაშვილი. წერილში აღნიშნული იყო, რომ შიოლაშვილი ჯერ კიდევ 1972 წლიდან „ქართველი დისიდენტების წამქეზებელი და მხარდამჭერი" იყო. ისინი მოითხოვდნენ ილია შიოლაშვილის კანდიდატურის მოხსნას. სხვადასხვა ინსტანციაში საჩივრებს წერდა ცალკე ილარიონ სამხარაძეც. ამის საპასუხოდ 1977 წლის 19 დეკემბერს საქართველოს სსრ-ის პროკურორს, ლერი თალაკვაძეს, კათალიკოს-პატრიარქის მდივანმა გრიგოლ მშვიდობაძემ ასეთი შინაარსის წერილი მისწერა: „1977 წლის 18 დეკემბერს 19 საათზე საქართველოს საპატრიარქოს შენობაში ძალით შეჭრილან ბათუმ-შემოქმედელი მიტროპოლიტი რომანოზი, წილკნელი მიტროპოლიტი გაიოზი, ბოდბელი ეპისკოპოსი ილარიონი თავისი მომხრეებით. მათ გაუტეხიათ პატრიარქის კაბინეტის კარები, კანცელარიის ოფისში გაულიათ მდივნის საწერი მაგიდა და სეიფი. პატრიარქის კაბინეტში დაუხევიათ საქმიანი ქაღალდები (ანუ მოსაყდრედ მიტროპოლიტ ილიას არჩევის ოქმი), გამოუყენებიათ პატრიარქის და კანცელარიის ბეჭდები, უმუშავიათ საბეჭდ მანქანაზე, როგორც ქართულ, ასევე რუსულზე. როგორც დარჩენილი შავი ნაწერებიდან ჩანს, მათ დაუგზავნიათ პროვოკაციული დეპეშები რუსე-

თის საპატრიარქოში, სომხეთის საკათალიკოსოში, სხვადასხვა საპასუხისმგებლო პირებთან. დაუმტვრევიათ პატრიარქის კაბინეტის გასაღები და ჩაუსვამთ ახალი. გთხოვთ ზომების მიღებას". კათალიკოს-პატრიარქის მდივანი გრიგოლ მშვიდობაძე. 19.12.1977 წ.".

რამდენადაც საპატრიარქოში უკვე 23 დეკემბრამდე არსებითად გარკვეული იყო სიტუაცია, გაიოზ კერატიშვილს შეატყობინეს, რომ მის წინააღმდეგ უკვე სისხლის სამართლის დევნა იყო დაწყებული. ამის შემდეგ მათ პოზიციები შეიცვალეს და 23 დეკემბერს გამართულ XII კრებაზე ხმა ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, ილია II-ის, არჩევას მისცეს. მაგრამ უკვე დაგვიანებული იყო. გაიოზი 1978 წლის 25 მაისს შსს-ს წარმომადგენლებმა დააკავეს. იგი დააპატიმრეს საეკლესიო ქონების ქურდობის ბრალდებით, ხოლო მომდევნო წელს სინოდის განჩინებით მას ჩამოერთვა საეკლესიო წოდება. 90 წელს მიტანებული რომანოზ პეტრიაშვილი პენსიაზე გაუშვეს, რის შემდეგაც ძალიან მალე გარდაიცვალა, ხოლო ილარიონ სამხარაძეს ფსიქიატრიულ დაწესებულებაში იძულებითი მკურნალობა დაენიშნა. მკურნალობის დასრულების შემდეგ იგი თავის სოფელში ცხოვრობდა, სრულ სიმარტოვესა და მდუმარებაში. ეს სასულიერო პირნი ტრაგიკული ადამიანები იყვნენ, რომლებიც გამოიყენეს საბჭოთა უშიშროების ორგანოებმა თავიანთ ბნელ საქმეებში და შემდგომ თავიდან მოიცილეს, რამდენადაც მათ მართლაც ჰქონდათ მოსაყოლი ბევრი რამ.

ზვიად გამსახურდია წერს, რომ საპატრიარქოში შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით რამდენიმეჯერ შეეცადა ედუარდ შევარდნაძესთან შეხვედრას, რათა ის საქმის კურსში ჩაეყენებინა. ყოველ ჯერზე ხდებოდა მისი გადამისამართება შევარდნაძის მრჩეველთან, ვლადიმერ ალფენიძესთან. ზვიადი ასეთი შუამავლის საჭიროებას ვერ ხედავდა. ამიტომაც ეს მასალები ჯერ თვითგამოცემაში გამოქვეყნდა, შემდეგ კი მოსკოვში აკრედიტებულ ამერიკელ დიპლომატებს გადაეცა. ამ მხრივ ზვიად გამსახურდიას განსაკუთრებით დიდ დახმარებას უწევდა აშშ-ის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საბჭოთა კავშირში უოლტერ სტოსელი, ასევე ამერიკის საელჩოს კულტურული ატაშე ვ. სატტერი. მოგვიანებით უოლტერ სტოსელი პრეზიდენტ რონალდ რეიგანის დროს იყო სახელმწიფო მდივნების, ალექსანდრ ჰეიგისა და ჯორჯ შულცის, მოადგილე.[226]

საპატრიარქოს სცენაზე მოქმედი ფიგურების უკან, ცხადია, გარკვეული ძალებია სავარაუდო. ეს ყველაფერი, სამწუხაროდ, ლოგიკური სპეკულაციებისა და ჰიპოთეზების დონეს ვერ სცდება, რამდენადაც საბჭოთა სპეცსამსახურისა და საიდუმლო პოლიციის კულისებში ჩატარებული ბევრი მოქმედება ძველებურად ბნელში რჩება. როგორც დავით V, ისე კერატიშვილი-სამხარაძე-პეტრიაშვილის ტრიო იმართებოდა, ალბათ, უფრო ლოკალური ოფიციოზის ძალებისგან, რომელთაც აწყობდათ არსებული სტატუს-კვოს შენარჩუნება. მათ პირობითად „სტაგნაციის" ანუ „უძრაობის" ძალებს უწოდებენ. რაც შეეხება ახალ ფრთას, რომელიც ილია შიოლაშვილს უკავშირდებოდა, მათ მიღმა ის ძალებია სავარაუდო, უკვე გარკვეულ დონეზე ამოქმედებული საბჭოთა იმპერიის ცენ-

ტრში, რომლებიც რეფორმირებაზე, იმპერიის „გადაკეთებაზე“ ფიქრობდნენ და არც თამამ ექსპერიმენტებს ერიდებოდნენ. საქმე N131, რომელიც ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას წინააღმდეგ აღიძრა, არ გულისხმობდა მხოლოდ გამოძიებასა და ქართველი დისიდენტებისთვის რაღაცის დამტკიცებას. ამ გამოძიებას ჰქონდა პოლიტიკური პროცესის ნიშნები, რაც მოლაპარაკებებსაც გულისხმობდა. გამოძიება 1977 წლის აპრილიდან მიდიოდა, მაგრამ ერთხანს ღია რჩებოდა შემდეგი საკითხები: 1. საქმე არ მივა განაჩენამდე, ანუ მოხდება ზვიად გამსახურდიასთვის პირდაპირ მოქალაქეობის ჩამორთმევა და ამა თუ იმ საბჭოთა რეზიდენტზე გაცვლის გზით საზღვარგარეთ გაძევება; 2. იგივე მოხდება, ოღონდ განაჩენის შემდეგ; 3. გაძევება არ მოხდება, მას სასჯელი შეუმსუბუქდება იმის ხარჯზე, რომ გარკვეულ ნაბიჯს გადადგამს – იგულისხმება ე. წ. მონანიება. აი, ამ საკითხებზე მოლაპარაკების პროცესში ზვიად გამსახურდიამ „მონანიებას“ მიაბა ეკლესიის საკითხი – ანუ უშიშროების კომიტეტის მოლაპარაკებების პინაზე დადო დამატებით – რაც გულისხმობდა მისი მხრიდან არჩევანის გაკეთებას ორ ძალას შორის – მიტროპოლიტ ილია შიოლაშვილის მხარდაჭერას და მისი მოწინააღმდეგე ფრთის არდაშვებას ეკლესიის სათავეში. ცხადია, რომ აქ არჩევანი პირველად ნახსენებ ფიგურაზე გაკეთდა.

„საქართველოს მოამბის“ ამ ჟურნალისტურ გამოძიებაში ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია შიოლაშვილი პოზიტიურადაა დახასიათებული, თუმცა იქვე არის ძალიან საინტერესო, ნიუანსირებული დაკვირვება, რასაც მნიშვნელობა ექნება მისი გაპატრიარქების შემდეგ, შეეხება რა მის პოზიციონირებას რიგ საკითხებში: „ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია შიოლაშვილი... ხანგრძლივი და დაუნდობელი დევნისგან ძლიერ არის დაშინებული. მას ფანატიკურად სწამს, რომ თვით დამნაშავის მართლმსაჯულების წინაშე გამჟღავნება დიდი ცოდვაა, რითაც ძალაუნებურად ხდება მისი თანამონაწილე, რაც თვით ქრისტიანული მორალის დამახინჯება და დარღვევაა“.[227] მაგრამ, შესაძლოა, ვიღაცას გაუჩნდეს კითხვა: თუ ილია მეორის აღსაყდრება ისედაც გადაწყვეტილი იყო, რა მნიშვნელობა ჰქონდა ზვიად გამსახურდიას მხრიდან ამ პირობის წაყენებას? მას, ცხადია, ეს დანამდვილებით არ ეცოდინებოდა. გარდა ამისა, გადაწყვეტა ერთია, მაგრამ მეორე საქმე იყო ამ ყველაფრის, როგორც ახალი პოლიტიკური პროცესის, რეალური განხორციელება, ილია II-ის ოპონენტების დადუმებასთან ერთად. ეკლესიის სათავეში ახალი ძალა მოდიოდა, ხოლო დისიდენტებისთვის – ჯერ კიდევ ჩანასახოვანი, ნაკლებად პროფილირებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტივობების ერთგვარი მიზიდულობის ცენტრი ჩნდებოდა იქ, სადაც ახალი პატრიარქი წირავდა: სიონის საკათედრო ტაძარში.

2.12. 1978 წლის 14 აპრილის დემონსტრაცია

ლუდმილა ალექსეევა წერს, რომ საქართველოში 70-იან წლებში გაძლიერდა რუსიფიკატორული ტენდენციები, რაც გულისხმობდა ქართული ენის შესწავლისთვის დათმობილი საათების შემცირებასა და რუსული ენისთვის განკუთვნილი საათების გაზრდას, რის გამო საჭირო გახდა მწერლების მობილიზება ენის დასაცავად.[228] ყველაზე მეტად გამორჩეული იყო მწერალ ნოდარ წულეისკირის გამოსვლა, ასევე მწერალ რევაზ ჯაფარიძის წერილი, რომელიც მან ე. შევარდნაძეს მისწერა. თუმცა ენის საკითხი 1978 წლის მარტამდე პირდაპირ და მწვავედ არ დამდგარა. იმავდროულად ზოგადი უკმაყოფილება საზოგადოებაში ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას დაპატიმრების გამო მატულობდა. შეუძლებელია, ეს არ შეეგრძნოთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ მმართველობით ორგანოსა და სუკ-ს, რომელთაც საზოგადოების მაჯისცემა ასე თუ ისე ესმოდათ. მწერალმა ნოდარ წულეისკირმა 1977 წლის ოქტომბერში თავისი გამოსვლა ასე დაიწყო: „უკვე შვიდი თვე გავიდა, რაც დაპატიმრებულია დიდი ქართველი მწერლის, კონსტანტინე გამსახურდიას შვილი, მწერალი და მეცნიერი ზვიად გამსახურდია. ამბობენ, გამსახურდია ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ჰყავთ და საეჭვო ნემსებს უკეთებენო. ზოგი ამბობს, შიმშილობა გამოაცხადაო, ზოგი დაბეჯითებით ამტკიცებს, მოკვდაო. ნუთუ ქართველი მწერლები ისე დაკნინდნენ და დაეცნენ, რომ ამბის გაგებაც კი არ სურთ, თუ რა სჭირს მათ კოლეგას. ნუთუ ქართველ მწერლებს იმის ძალა და უნარი არ შესწევთ, გაიგონ მაინც, ცოცხალია თუ მკვდარი მწერალი. მე, პირადად, ზვიად გამსახურდიასა და მისი თანამებრძოლების ბედი ძალზე მაშფოთებს. ამის თაობაზე პროტესტის წერილები გავგზავნე მრავალ დაწესებულებაში, მაგრამ ამაოდ“.[229]

მას შემდეგ, რაც ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა დააპატიმრეს და მათ წინააღმდეგ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე N131, რესპუბლიკაში მნიშვნელოვანი მოვლენები განვითარდა ქართული ენის კონსტიტუციით განსაზღვრულ სახელმწიფო სტატუსთან მიმართებით. აკაკი ბაქრაძესთან ვკითხულობთ: „1978 წლის 23 მარტს, ხუთშაბათ დღეს, საქართველოს კომპარტიის ცეკაში პროპაგანდის განყოფილების გამგემ გიორგი ბედინეიშვილმა თათბირი ჩაატარა. თათბირს კულტურის განყოფილების გამგე ალექსანდრე ალექსიძეც ესწრებოდა. მიწვეულნი იყვნენ შემოქმედებითი კავშირების მდივნები, კულტურის სხვადასხვა დაწესებულებათა დირექტორები და პარტკომები. თათბირს პროპაგანდის გამგემ მოახსენა: ხვალ, 24 მარტს, პრესაში გამოქვეყნდება საქართველოს სსრ-ის ახალი კონსტიტუციის პროექტი. ჩვენ ძალიან სერიოზულად უნდა მოვეკიდოთ მის განხილვას. რაც შეიძლება მაღალ დონეზე უნდა ჩატარეს იგი. ახალი კონსტიტუცია არსებითად იგივეა, რაც ძველი, მაგრამ არის ერთი ცვლილება: ამოღებულია მუხლი, სადაც ეწერა – საქართველოს სსრ-ის სახელმწიფო ენა არის ქართული – და მის მაგიერ შეტანილია 75-ე მუხლი, რო-

მელიც ამგვარად გახლავთ ჩამოყალიბებული და გ. ბედინეიშვილმა წაიკითხა 75-ე მუხლი. „საქართველოს სს რესპუბლიკა უზრუნველყოფს ქართული ენის ხმარებას სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებში, კულტურულ და სხვა დაწესებულებებში და ახორციელებს სახელმწიფო ზრუნვას მისი ყოველმხრივი განვითარებისათვის. საქართველოს სს რესპუბლიკის ყველა ამ ორგანოსა და დაწესებულებაში, თანასწორუფლებიანობის საფუძველზე, უზრუნველყოფილია თავისუფალი ხმარება რუსული, აგრეთვე, სხვა ენებისა, რომლებითაც მოსახლეობა სარგებლობს. რაიმე პრივილეგიები ან შეზღუდვები ამა თუ იმ ენის ხმარებაში არ დაიშვება“ (საქართველოს სს რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტი დაბეჭდილია 1978 წლის 24 მარტის გაზეთ „კომუნისტში“).

როდესაც დარბაზში შეკრებილებმა უკმაყოფილება გამოხატეს და მოითხოვეს ახსნა-განმარტება, გიორგი ბედინეიშვილმა განმარტა: „ძველ, 1936 წლის კონსტიტუციებში, მხოლოდ საქართველოსა და სომხეთს ჩაუწერეს, რომ ამ ქვეყნებში, შესაბამისად, ქართული და სომხურია სახელმწიფო ენები. სხვა მოკავშირე რესპუბლიკათა კონსტიტუციებში არ ყოფილა მუხლი სახელმწიფო ენის შესახებ. ამიტომ ყველა რესპუბლიკა ერთნაირ მდგომარეობაში რომ იყოს, გადაწყვიტეს 76-ე მუხლი, სადაც სახელმწიფო ენაზეა ლაპარაკი, ამოეღოთ. ჩაწერეს 75-ე მუხლი. ისიც უნდა გითხრათ, რომ, გარდა საქართველოსა და სომხეთისა, 75-ე მუხლი არ არის არცერთი მოკავშირე რესპუბლიკის კონსტიტუციაში. ამით სკკპ-ის ცკ-მა ღრმა პატივისცემა გამოამჟღავნა ქართული და სომხური ენების მიმართ“.

აკაკი ბაქრაძე იყო ის ადამიანი ამ თათბირზე, ვინც მუხლის გაუქმებას მხარს არ უჭერდა. იგი რუსთაველის თეატრის დირექტორი იყო, ლიტერატურის კრიტიკოსი და ლექტორი, ავტორი წიგნისა „მწერლობის მოთვინიერება“, ხოლო ქართველი უფლებადამცველები მის თვალში ეროვნული მოღვაწეები იყვნენ. მისი აღნიშვნით, თათბირზე საბოლოო სიტყვა ედუარდ შევარდნაძემ თქვა. მისი თქმით, კონსტიტუცია დიდ პერსპექტივებს უშლიდა წინ ქართველ ხალხს და იგი დიდი მონაპოვარი იყო. „სახელმწიფო ენის“ ჩაწერა არ შეიძლებოდა, რამდენადაც თავად ლენინი ყოფილა ამის წინააღმდეგი. მართალია, ამას რუსული ენის შესახებ ამბობდა, მაგრამ დებულება მაინც ყველა ენას ეხებაო. ანუ მისი ნათქვამიდან ისე გამოდიოდა, რომ რუსულ ენასა და ქართულ ენას ჯერ მეფის რუსეთის იმპერიაში, შემდეგ კი სსრკ-ში ერთნაირი სტატუსი და პოზიცია ჰქონდათ. თუმცა ესეც დასძინა: ერთადერთი, რასაც მოსკოვში მივაღწიეთ, ეს 75-ე მუხლია. იგი არ შეიცვლება. იმედიც გამოთქვა: ქართველი ხალხი ერთსულოვნად დაუჭერს მხარს ახალ კონსტიტუციას და მისი მიღება საზეიმო ვითარებაში ჩაივლისო. დასასრულს კი დაუმატებია: რაც შეეხება ბაქრაძეს, აქედან რომ გახვალთ, ნუ ჩაქოლავთ. მან აქ გულწრფელად ილაპარაკა და მოწვევითაც იმიტომ მოვიწვიეთ, რომ აზრი გულახდილად ეთქვაო. თათბირიც ასევე დამთავრდა.[230]

მანამდე, 1978 წლის 12 მარტს, კონსტიტუციის პროექტის წარდგენისას ედუარდ შევარდნაძემ კონსტიტუციის შესაბამისი მუხლის შემდეგი რედაქცია

წაიკითხა: „ავლენს რა სახელმწიფოებრივ ზრუნვას მშობლიური ენის განვითარებისა და რუსული ენის, როგორც ეროვნებათაშორისი ურთიერთობის საშუალების შესწავლისადმი, საქართველოს სსრ არ უშვებს რაიმე ენობრივ პრივილეგიებს ან შეზღუდვებს".[231] ამ დროს სამ წინა კონსტიტუციაში (1922, 1926 და 1937 წლების კონსტიტუციები) ქართულ ენას სახელმწიფო სტატუსი შენარჩუნებული ჰქონდა. ამითი რა იყო ნათქვამი? ის, რომ საქართველოში, როგორც სსრკ-ის შემადგენელ ნაწილში, ქართველის, როგორც სატიტულო ერის აღიარება არ ხდებოდა. ყველგან, საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე სატიტულო ერი უნდა გამხდარიყო „საბჭოთა ხალხი", როგორც ახალი ისტორიული ერთობა. საბჭოთა ხალხის საკომუნიკაციო ინსტრუმენტი კი იყო ერთი – რუსული ენა. რაც შეეხება ქართულ ენას, ის დაიშვებოდა სხვა ყველა ენასთან ერთად.

ისე ჩანს, რომ ეს ინიციატივა ცენტრიდან მოდიოდა, თუმცა არსებობს სხვა მოსაზრებაც, რომელსაც ავითარებს, მაგალითად, ჰამლეტ ჭიპაშვილი, თავადაც საქართველოს სსრ-ის კომუნისტ სახელმწიფო მოხელეთა წარმომადგენელი, რომლის მიხედვითაც, ცვლილება კონსტიტუციაში ქართული ენისთვის სახელმწიფო ენის სტატუსის გაუქმებაზე თავად ედუარდ შევარდნაძის ინიციატივა იყო.[232] რასაკვირველია, მტკიცებულების გარეშე ეს მხოლოდ ჰიპოთეზაა. მაგრამ რახან ასეთი აზრი გაჩნდა და არა მარტო ჰ. ჭიპაშვილს გაუჩნდა, კითხვაც ლეგიტიმურია, რა მიზნით შეიძლებოდა, ასეთი ინიციატივა მოხარშულიყო ე. შევარდნაძის მაკიაველისტურ სამზარეულოში?

თუკი დავუშვებთ, რომ ეს ასეა, შევარდნაძე წაუგებელ თამაშს თამაშობდა. ერთი მხრივ, რუსეთში ამ ინიციატივით გზავნილს უშვებდა, რომ ქართული ნაციონალიზმის ურჩხული დაძლეული უნდა იქნეს და ეს გაუქმება ამ მხრივ კარგი ნაბიჯი იქნებოდა, მე კი ის ფიგურა ვარ, ვინც ამ ურჩხულთან ანგარიშის გასწორებას შეძლებსო. თუკი ცენტრი ამაზე დათანხმდებოდა, საზოგადოება კი ცვლილებას კონსტიტუციაში რეაგირების გარეშე დატოვებდა, მაშინ ის (ანუ ე. შევარდნაძე) მოგებული რჩებოდა, ხოლო პოლიტბიუროს თვალში მისი პოზიცია მხოლოდ გამყარდებოდა. ხოლო, თუ საზოგადოებაში მღელვარება და გამოსვლები დაიწყებოდა, მაშინ იგი ამ მღელვარებას ჩააცხრობდა და აქაც პლუსს დაიწერდა, როგორც დიდი დიპლომატი. ასეც მოხდა. ქართული ენის დაცვის კამპანია დაიწყო როგორც უნივერსიტეტში, ისე მწერალთა კავშირში.

მწერლებს, მაგალითად, იონა ვაკელს, მურმან ლებანიძეს, ნოდარ წულეისკირს იმთავითვე არ მოუწონებიათ ეს პროექტი. პირველი სხდომა 11 აპრილს ჩატარდა. განხილვაში მონაწილე მწერლებს ერთნაირი პოზიცია არ ჰქონიათ. მაგალითად, ელგუჯა მაღრაძის, გიორგი ციციშვილისა და ჯანსუღ ჩარკვიანის თვალსაზრისით, შეუძლებელი იქნებოდა საქართველოს კონსტიტუციაში გამონაკლისის გაკეთება და ქართული ენის „სახელმწიფო სტატუსის" ჩაწერა. ჯ. ჩარკვიანის მიერ იყო შემოთავაზება, ჩაწერილიყო „რესპუბლიკის ენა", როგორც ალტერნატიული გზა. მეორე ჯგუფს რაც შეეხება, მათში გამოირჩეოდა ნელი გაბრიჩიძის გამოსვლა, რომელმაც თავის გამოსვლაში ახსენა საბრალდე-

ბო სკამზე მჯდომი ზვიად გამსახურდია. მისი თქმით, იგი ერთი წლის წინ მწერალთა კავშირიდან სწორედ იმის გამო გაირიცხა, რაც დღეს ყველა ჩვენგანს აღელვებსო. მან ხაზი გაუსვა, რომ არ სჯეროდა ზვიად გამსახურდიას მხრიდან დანაშაულის ჩადენისა. „სახელმწიფო ენის“ სტატუსს მხარი დაუჭირა იზა ორჯონიკიძემ. საკმაოდ მწვავე იყო აკაკი ბაქრაძის გამოსვლაც, სადაც მან პირდაპირ განაცხადა: „თუ ეს პროექტი მიღებული იქნება ამ სახით, რა სახითაც ის არის წარმოდგენილი, ამით კონსტიტუციური საფუძველი ეყრება ქართველი ხალხის გარუსების საქმეს“.[233]

მომდევნო დღეს, 12 აპრილს, მწერალთა კავშირში ხელმეორედ ჩატარებულ კონსტიტუციის პროექტის განხილვაზე ბევრი ხალხი ვერ შეგროვდა საგანგებოდ გავრცელებული ცრუ ხმის გამო, თითქოს ამ დღეს მწერალთა კავშირში რუტინული პარტიული კრება გაიმართებოდა. მივიდნენ ისინი, რომლებიც მიხვდნენ, რა მიზნით კრებდნენ ხალხს. ნოდარ წულეისკირმა განაცხადა: „კონსტიტუციურად გაფორმდა უკანონობა და უსამართლობა, რასაც წლების განმავლობაში მისდევდა საქართველოს მთავრობა. ამით კანონდება ორენოვანება. რატომ ივიწყებენ ლენინს: „რუსულის ძალით დამკვიდრება გაამწვავებს მტრობას“. ქართველს დღევანდელ საქართველოში ისეთივე უფლება მიეცა, როგორც ემიგრანტებს — საფრანგეთში. ქართველებს საყუდარი არსად აქვთ. ან უნდა იბრძოლონ, ან საკუთარ მიწაში საფლავი გაითხარონ. ეს ცვლილებები კონსტიტუციაში წინასწარ დასახული პროგრამაა. ესაა ენების დაახლოების შედეგად ფუძე ენის, რუსული ენის საფუძველზე ერთი ენის შექმნა. ერები და ენები კაცობრიობის სიმდიდრეა. ქართველმა მწერალმა უნდა იბრძოლოს. ცალ ხელში ხმალი ეჭიროს, მეორე ხელში — კალამი. თუ ქართველ მწერალს ბრძოლა არ შეუძლია, ტაში მაინც არ უნდა დაუკრას. ისეთ ვითარებას გვიქმნიან, რომ ვიცრუოთ. ერთი კაცის სიცრუე კიდევ დასაშვებია. ტოტალური — არა. მწერლობამ სიმართლე უნდა თქვას, გინდ ჯვარს აცვან“. თითქმის მთელი საზოგადოება კონსტიტუციის შესწავლაზე გადაერთო და გამოიკვეთა უმრავლესობის მკაფიოდ ნეგატიური დამოკიდებულება მოსალოდნელი ცვლილებისადმი საქართველოს სსრ-ის კონსტიტუციაში. უნივერსიტეტის რექტორი დავით ჩხიკვიშვილი არა მარტო გარეგნულ ნეიტრალიტეტს ინარჩუნებდა, არამედ ბევრის თვალში ტოვებდა შთაბეჭდილებას, რომ ფარულად ხელს უწყობდა საზოგადოებრივი აზრის მობიზილაციას, რომელიც ამ ყოველივეს თან ახლდა.

14 აპრილს აქცია უნივერსიტეტის პირველ კორპუსთან დაიწყო. მას შეუერთდნენ ყველა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები და ცალკეული პროფესორ-მასწავლებლები. ამის შემდეგ ყველანი ერთად დაიძრნენ მთავრობის სასახლისკენ. უკვე რუსთაველზე მათ მილიციის რამდენიმე კორდონი დაახვედრეს, თუმცა ხალხის მასამ შეძლო მათთვის გვერდის ავლა მილიციასთან დაპირისპირების გარეშე და თავი მოიყარა უშუალოდ მთავრობის სასახლის წინ, მოედანზე. თამარ ჩხეიძე, ამ აქციების ერთ-ერთი აქტივისტი, იმჟამად თსუ-ის მესამე კურსის სტუდენტი, წერდა: „ხელისუფლების „პროფილაქტიკურმა“ ზო-

მებმა და პანიკამ მოსახლეობის ყველა ფენას შეატყობინა საპროტესტო ტალღის შესახებ. ყველა ორგანიზაციას – სკოლებს, დაწესებულებებს – აფრთხილებდნენ, 14 აპრილს კარი ჩაეკეტათ და არავინ გამოეშვათ გარეთ. ყოველივე ამან ადამიანებში უკურეაქცია გამოიწვია და 14 აპრილს ხალხის უზარმაზარი მასა დაიძრა მთავრობის სახლისკენ. იმ დროისთვის ეს იყო აბსოლუტურად უპრეცედენტო მოვლენა. ამბობდნენ, რომ აქციაზე, დაახლოებით, 50 000-ზე მეტი ადამიანი შეიკრიბა. საოცარი ის იყო, რომ ამხელა მასა თავად იცავდა წესრიგს. ხალხს ჰქონდა შეგნება, რომ არაფერი დაეშავებინა და ყველაფერს მშვიდობიანად ჩაევლო. იმის მიუხედავად, რომ ჩვენ კიდევ ბევრი სხვა მოთხოვნა გვქონდა სისტემასთან, მათ შორის, პოლიტპატიმრების საკითხი (ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა იმ დროს დაჭერილები იყვნენ), ხალხი ერთმანეთს აფრთხილებდა, რომ შედეგის მისაღწევად, მხოლოდ ამ ერთ, კონკრეტულ მოთხოვნაზე ვყოფილიყავით კონცენტრირებული. ეს იყო მთავარი და გადამწყვეტი".[234]

მთავრობის სასახლესთან მისული დემონსტრანტები ვიღაცამ გააფრთხილა, რომ უიარაღო მილიციელების უკან ტყვიამფრქვევებით შეიარაღებული ჯარისკაცები იყვნენ დამალულები. ჯავშანტექნიკა უკვე იდგა მთავრობის სასახლის უკან, ასევე, გვერდითა ქუჩებზე. ალექსეევა წერს, რომ მთავრობის სასახლის წინ დაარიგეს დაბეჭდილი ტექსტი კომპრომისული წინადადებით, რომელშიც ეწერა, რომ ქართულ ენას უნდა მისცემოდა რესპუბლიკური სტატუსი. დემონსტრანტებმა დაიწყეს ამ ქაღალდების დაწვა და სკანდირებდნენ: „სახელმწიფო ენა! სახელმწიფო ენა!" ამის მერე მთელ პროსპექტზე ჩაირთო რეპროდუქტორები, ისმოდა ტრიბუნაზე გამოსული შევარდნაძის ხმა, როდესაც მან განაცხადა, ახლა სერიოზულად მიმდინარეობს 75-ე მუხლის განხილვა მოსკოვთან მუდმივი კონსულტაციების რეჟიმშიო. ხოლო, როდესაც მიღებულ იქნა ქართული ენის სახელმწიფო სტატუსი, ამას, დაახლოებით, 15 წუთის განმავლობაში უწყვეტი აპლოდისმენტები მოჰყვა.[235] აქტივისტებს შორის ალექსეევა ახსენებს მხოლოდ ისტორიის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტს, თამარ ჩხეიძეს. ასევე მართებულად აღნიშნავს, რომ ერთადერთი ადამიანი, ვინც იმ დროს დააპატიმრეს, იყო ავთანდილ იმნაძე, რომელიც ამ მოვლენებს იღებდა. ხოლო რაც შეეხება „ჰელსინკის ჯგუფს", მას ამ მოვლენებთან უშუალო შეხება არ ჰქონიაო.[236] აქ უნდა ითქვას, რომ მხოლოდ გარეგნულად არ ჰქონია შეხება, ისე კი ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას დაპატიმრებამ, ასევე, მათმა სასამართლო პროცესმა უზარმაზარი იმპულსი მისცა საზოგადოების გამოღვიძების პროცესს, რომელიც ამ დღეს სახეზე იყო. მომიტინგეებმა ერთგან პლაკატიც კი გაშალეს ზვიად გამსახურდიას განთავისუფლების მოთხოვნით.

აკაკი ბაქრაძის თვალსაზრისით, ხელისუფლების მხრიდან 14 აპრილის დათმობის უმთავრესი მიზეზი იყო ლეონიდ ბრეჟნევის მოსალოდნელი ვიზიტი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. კონსტიტუციაში საზოგადოებისთვის მიუღებელი ცვლილების შემთხვევაში, შესაძლოა, დემონსტრაცია არ დაშლილიყო და ყველაფერი 1956 წლის 9 მარტის სცენარით განვითარებულიყო.[237]

ეს ყოველივე მაინც ერთიან პოლიტიკურ კონტექსტშია განსახილველი. ხისტი გადაწყვეტილება, ზოგადად, არ უნდა ყოფილიყო საბჭოთა ხელმძღვანელობის ინტერესებში, მით უმეტეს, რომ მათზე ზეწოლა გაიზარდა ჰელსინკის ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის შემდეგ. დასავლეთში, ასევე, საკმაოდ მწვავედ რეაგირებდნენ სსრკ-ის არაერთ ქალაქში უფლებადამცველური ორგანიზაციების ლიკვიდაციების, დისიდენტების დაპატიმრებებისა და გასამართლებების გამო.

ეს იყო დღე, რომელმაც საგონებელში ჩააგდო კრემლი და განაცვიფრა მსოფლიო. მიუხედავად იმისა, რომ ამდენი ერთად შეკრებილი დემონსტრანტი ამ მოვლენის შემდგომ, დაახლოებით, 10 წელი (1988 წლის ნოემბრების აქციებამდე) თბილისს არ ახსოვდა, ეს იყო, ამავე დროს, დღე, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა მასობრივ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას საქართველოში. ამ დღეს ბევრ ქართველს გაუჩნდა განცდა, რომ ჩვენ, ყველას ერთად, რაღაც შეგვეძლო.

დემონსტრაციის მომდევნო დღეს, 1978 წლის 15 აპრილს, ცნობილმა საბჭოთა უფლებადამცველმა, მოსკოვის ადამიანის უფლებათა საინიციატივო ჯგუფის ერთ-ერთმა დამაარსებელმა, ფიზიკოსმა ვალერი ჭალიძემ წერილით მიმართა გაეროს გენერალურ მდივანს, კურტ ვალდჰაიმს, რომელშიც მისი ყურადღება გაამახვილა ქ. თბილისში 1978 წლის 14 აპრილს, ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის, დასაცავად გამართულ გრანდიოზულ მანიფესტაციაზე. წერილში მეცნიერი სთხოვდა გაეროს გენერალურ მდივანს, რათა მას სათანადო ყურადღება მიექცია ქართველი საზოგადოების ამ მოთხოვნისთვის. წერილში ნახსენები იყვნენ პოლიტპატიმრები ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა და ვიქტორ რცხილაძე.[238]

2.13. გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ

14 აპრილმა სხვა მოვლენებზე იქონია ტრიგერის ეფექტი. ასე მაგალითად, ზვიად გამსახურდია „ჩანაწერებში" იხსენებს, რომ კოჩუბეიში 1978 წლის ზაფხულში მასთან ჩავიდნენ საქართველოს სუკ-ის თანამშრომლები, რომლებმაც მოუთხრეს გაგრაში გამართული მიტინგის შესახებ. მიტინგი ადგილობრივი ქართველი მოსახლეობის მიერ იქნა ორგანიზებული გაგრის სტადიონზე და იყო რეაქცია აფხაზი ეთნონაციონალისტების გამოსვლებზე (იხ. ქვემოთ). მასზე დააყენეს გაგრის რაიონის ქართველი მოსახლეობის შელახული უფლებების საკითხი, რომელთაც ადგილობრივი ადმინისტრაცია მათი ეთნიკური კუთვნილების გამო ხშირად არღვევდა. მიტინგს პირადად ედუარდ შევარდნაძე დაესწრო, რომელმაც იქ შეკრებილ ხალხს ამ პრობლემების მოგვარება აღუთქვა. თუმცა, ხსენებულ მიტინგს შედეგად იმ ადამიანების რეპრესიები მოჰყვა, რომლებმაც მიტინგი გამართეს. ერთ-ერთი მათგანი იყო ადგილობრივი ქართველობის ლი-

დერი არკადი მარკოზია, რომელიც დააპატიმრეს, ვითომდაც, სახელმწიფო ქონების დატაცების ბრალდებით.

მარკოზიას დაპატიმრებას მოჰყვა დემონსტრაცია 1981 წლის 30 მარტს თბილისში, მთავრობის სასახლესთან, რომელშიც, სავარაუდოდ, 1 000 მომიტინგეზე მეტი მონაწილეობდა. ხალხი საკმაო ნაწილზე ვერ დაეტია და რუსთაველი გადაიკეტა. მას შედეგად მოჰყვა არკადი მარკოზიას გათავისუფლება.[239] ზვიად გამსახურდია იქვე აღნიშნავს, რომ „აფხაზურ კარტს" საბჭოთა ხელისუფლების ორგანოები მის წინააღმდეგ იყენებდნენ ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც იგი თბილისის სუკ-ის ციხეში იმყოფებოდა, საქმე N131 ჯერაც მიდიოდა და გამოძიების პროცესი დასრულებული არ იყო. გამომძიებლები მიანიშნებდნენ პატიმარს, რომ მისი ლოიალური დამოკიდებულება ხელისუფლებისადმი ზეგავლენას იქონიებდა „ცენტრის" პოზიციაზე აფხაზეთის საკითხში და ის უფრო „დამთმობი" გახდებოდა.

საგამოძიებო ჯგუფის უფროსი ხაზალია მიანიშნებდა, თითქოს იგი ესაუბრა მიხეილ სუსლოვს, პოლიტბიუროს წევრს, სსრკ-ის კომპარტიის ცეკას მდივანს იდეოლოგიის ხაზით. სუკ-ის მუშაკის ეს ინფორმაცია, ცხადია, არადამაჯერებლად ჟღერს. ალბათობა იმისა, რომ პოლიტბიუროს წევრი სუსლოვი შეხვდა კაპიტან ზიბერტ ხაზალიას, პრაქტიკულად, ნულის ტოლია. თუმცა იგი, შესაძლოა, შეხვედროდა გენერალ-პოლკოვნიკ ალექსი ინაურს, საქართველოს სუკ-ის თავმჯდომარეს, რომელიც საკავშირო მნიშვნელობის ფიგურა გახლდათ და უზარმაზარი ავტორიტეტითაც სარგებლობდა სსრკ-ის გენერალიტეტში. ამ ნარატივის მიზანიც ცხადია: მათ სურდათ ძიებაში მყოფი მეტ დათმობაზე წაეყვანათ, ამის გამო ამუნათებდნენ: შენმა პოზიციამ გამოიწვია 14 აპრილის მანიფესტაცია, ხოლო ამ უკანასკნელმა გამოაღვიძა აფხაზური ნაციონალიზმი, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სსრ-ის ტერიტორიულ მთლიანობას, თანაც საქართველოსადმი არამეგობრული მიხეილ სუსლოვის ყურადღებაც აქეთკენაა მოპყრობილიო.

მიხეილ სუსლოვი, როგორც ერთგვარი საფრთხობელა, ფარავდა რეალურ მტერს – ეს იყო მოსკოვის სუკ-ი, რომელიც თავის ანტიქართულ საქმიანობას განაგრძობდა აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში.14 აპრილის მანიფესტაციიდან სულ რაღაც ორთვე-ნახევარში, 1978 წლის 6 ივნისს, აფხაზეთში მართლაც დაიწყო აფხაზური ეთნონაციონალისტების გამოსვლები – გაგრასა და სოხუმში. მათ, ფაქტობრივად, დირიჟორობდა აფხაზური პარტიული ელიტა, რომლის რიგებშიც ყველაზე აქტიური იყო გუდაუთის რაიკომის პირველი მდივანი კონსტანტინე ოზგანი. გაგრაში შეკრებილმა ბრბომ მოითხოვა გივი კვანტალიანის გადაყენება ხელმძღვანელი თანამდებობიდან, რომელიც მართლაც გადადგა. სოხუმში მოითხოვეს აფხაზური უნივერსიტეტისა და ტელევიზიის გახსნა, რაც მიიღეს კიდეც. თუმცა „აფხაზურ ნაციონალიზმს" არც მაშინ ეძინა, – პროქართულად განწყობილ აფხაზ პროფესორს, კონსტანტინე გამსახურდიას ახლო მეგობარს, ხუხუტი ბღაჟბას, სახლში ეგზალტირებული ბრბო მიუვარდა

თავისი პოზიციების გამოხატვის გამო. იყო მშვიდი პერიოდებიც, როდესაც აფხაზები ქართულად საუბარს არ ერიდებოდნენ. ასე მაგალითად, ზვიად გამსახურდია ერთ-ერთ ღია წერილში მწერალ ბაგრატ შინკუბას ახსენებდა იმ დროს, როდესაც კონსტანტინე გამსახურდიას იგი ქართულად ესაუბრებოდა. ეს მაშინ უნდა ყოფილიყო, როდესაც კონსტანტინე გამსახურდია ბაგრატ შინკუბას სტუმრად ეწვია აჭანდარას რეზიდენციაში.

ზვიად გამსახურდიას თბილისში დაბრუნების შემდეგ, როგორც მწერალს, ლექტორსა და წიგნების ავტორს, ასევე, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატს, საშუალება მისცეს, მუშაობა დაეწყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში, უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობაზე. ადრე დაცული სადისერტაციო ნაშრომი – „ვეფხისტყაოსნის" ინგლისური თარგმანები", მისი გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ წიგნადაც გამოვიდა.[240] ამის შემდეგ მან ლიტერატურის ინსტიტუტში განაგრძო მუშაობა, როგორც უფროსმა მეცნიერ-თანამშრომელმა. როგორც თავად აღნიშნავს, ბევრი თანამშრომელი ვერ ბედავდა მასთან წესიერად მისალმებასაც კი და ამის გამო, ის პრაქტიკულად, იზოლაციაში იმყოფებოდა.[241]

ამავე დროს, ზვიადი აქტიურად ჩაება რელიგიურ ცხოვრებაში. ესწრებოდა წირვებს სიონის საკათედრო ტაძარში. აქ ღვთისმსახურებას უძღვებოდა არცთუ დიდი ხნის წინ არჩეული პატრიარქი ილია მეორე. სიონის საკათედრო ტაძარში დადიოდნენ, ასევე, ადამიანები, რომლებიც 14 აპრილის მანიფესტაციაში მონაწილეობდნენ, როგორც აქტივისტები. ესენი იყვნენ: თამარ ჩხეიძე, მარიამ ბაღდავაძე, გიორგი ჭანტურია, მამუკა გიორგაძე, ნანა კაკაბაძე, ირაკლი წერეთელი, მარინა კოშკაძე, სოსო ორჯონიკიძე, ავთო ანთიძე, სოსო ბარათაშვილი, ასევე, მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომლები გურამ მამულია, ზურაბ ცინცაძე, გუძა აფაქიძე, ჯუმბერ კოპალიანი და სხვები.

1980 წლის 23 ოქტომბერს სუკ-მა დააპატიმრა დისიდენტი ნიკოლოზ სამხარაძე, რომელიც მოითხოვდა სკოლებში საქართველოს ისტორიის სრულფასოვან სწავლებას და ილაშქრებდა მოსკოვის შოვინისტური პოლიტიკის წინააღმდეგ. იგი პირველად 1958 წელს დააპატიმრეს და ერთი წელი გაატარა ფსიქიატრიულ კლინიკაში, სადაც მას იძულებით მკურნალობას უტარებდნენ. 1981 წლის 14 აპრილს სიონის მრევლის დისიდენტურმა საზოგადოებამ გადაწყვიტა ამ დიდი ეროვნული დემონსტრაციის 3 წლისთავი მცხეთაში, სვეტიცხოველის საკათედრო ტაძარში აღენიშნა. რასაკვირველია, სუკ-მა მაშინვე შეიტყო ამ განზრახვის შესახებ და მიიღეს ყველა ზომა, რათა ხალხს ვერ მოეხერხებინა მცხეთაში ჩასვლა. ამის გამო მილიციამ გადაკეტა თბილისი-მცხეთის გზა რამდენიმე ადგილას. ხალხის ნაწილმა მაინც მოახერხა მცხეთაში ჩასვლა ფეხით, ავტობუსებითა და მატარებლით. ალექსეევა, დაახლოებით, 200 ადამიანზე საუბრობს,[242] თუმცა, სავარაუდოდ, ამაზე მეტმა მოახერხა გაღწევა მილიციის კორდონებში.

ხალხის ნაწილი, რომელიც ზაჰესის მხრიდან მიდიოდა, მტკვარზე ნავების საშუალებით გადაჰყავდა ერთ-ერთ ადგილობრივ მცხოვრებს. ამ მანიფესტაციაზე შეკრებილები ითხოვდნენ ქართველი ხალხის ეროვნული და რელიგიური უფლებების გაფართოებას. შეკრებილებმა დაადგინეს, ყოველ 14 აპრილს აღენიშნათ დღე, როდესაც ქართველმა ერმა კონსტიტუციაში შეინარჩუნა ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის, სტატუსი. ამ დროს მოხდა ინციდენტი: ერთ-ერთმა მღვდელმა შეკრებილთ მოუწოდა კომუნისტური ხელისუფლებისადმი მორჩილებისკენ. იქვე დააყოლა, ახლავე თუ არ დატოვებთ ტაძარს, შეგაჩვენებთო. პარადოქსი ის იყო, რომ ეს სამღვდელო პირი გახლდათ გურამ შალამბერიძე, სუკ-ის მიერ მოწყობილ ავარიაში წლების წინ მოკლული ვიქტორ შალამბერიძის ძმა. ხოლო მეორე მოძღვარი, რომანოზ შიომღვდლიშვილი, რომელმაც ხალხს სოლიდარობა გამოუცხადა და ამბიონიდან დაიწყო პარაკლისის კითხვა, უცნობმა სამოქალაქო პირებმა ძალით გაიყვანეს ტაძრიდან. ამას ხალხის გაღიზიანება მოჰყვა, ატყდა ჩოჩქოლი და შეადგინეს პეტიცია პატრიარქის სახელზე, რათა ის სამღვდელო პირი, ვინც ხალხს ასეთი უღირსი წინადადებით მიმართა, ეკლესიიდან განკვეთილიყო. ეს პეტიცია მაშინვე წაუღეს პატრიარქ ილია მეორეს სიონის საკათედრო ტაძარში, სადაც იგი წირავდა. პეტიციას სა-პატრიარქოს მხრიდან რეაგირება არ მოჰყოლია.

მცხეთის აქციას გაგრძელება ჰქონდა 1981 წლის 14 ოქტომბერს, საუფლო კვართის დღესასწაულზე, სადაც შეიკრიბა ორი ათასამდე ადამიანი და ღიად მოითხოვეს ქართული ენის რეალური დაცვა, საქართველოს ისტორიის სწავლება სკოლებში, ასევე, მორწმუნეთა უფლების დაცვა, რომელთაც ხშირად ხელს უშლიდნენ რელიგიურ დღესასწაულებზე დასწრებას მილიციის კორდონებისა და კომკავშირელთა რეიდების საშუალებით. ამ მიტინგმა გამოიწვია მილიციის მობილიზება ტაძართან, რასაც მოჰყვა ზვიად გამსახურდიას, თამარ ჩხეიძის, მარიამ ბაღდავაძის, ნანა კაკაბაძის, მარინა კოშკაძის, სოსო ორჯონიკიძისა და ირაკლი წერეთლის დაკავება. თავიდან ზვიად გამსახურდია მილიციის გენერალმა გივი კვანტალიანმა სასაუბროდ გაიხმო და შემდეგ მოხდა მისი დაკავება. ამას მოჰყვა შეხლა-შემოხლა, დააკავეს 50-მდე ადამიანი. ისინი წაიყვანეს თბილისის მილიციის სამმართველოში, სადაც დიდი ნაწილი დაკავებულებისა, მათ შორის, ზვიად გამსახურდია, დაკითხეს და გაათავისუფლეს. დარბევის პარალელურად, მცხეთის გაზეთმა გამოქვეყნა პასკვილი: „ხულიგნები მორწმუნეთა როლში ანუ მოთმინებასაც საზღვარი აქვს“. წერილში ავტორი წერდა, რომ ზვიად გამსახურდია ახალგაზრდობას გზა-კვალს ურევდა, რის გამოც პასუხი უნდა ეგო.

ხსენებული ახალგაზრდების სასამართლო პროცესი გაიმართა 1982 წლის იანვრის მეორე ნახევარში. მათ მიესაჯათ 5 წელიწადი პატიმრობა სასჯელის პირობითად მოხდით. მცხეთაში გამართულ ორივე აქციას და იქ დაყენებულ მოთხოვნებს გარკვეული შედეგები მაინც მოჰყვა: მაგალითად, ტექნიკურ უნივერსიტეტში, სადაც საქმის წარმოება რუსულად მიმდინარეობდა, 1982 წლის

სექტემბრიდან საქმის წარმოება ქართულად დაიწყეს. ასევე ქართული ენა ფაკულტატიურ საგნად იქნა შემოღებული. გარკვეული ძვრა შეინიშნებოდა ისტორიულ გმირთა დაფასების საკითხშიც – ეროვნულ-უფლებადამცველური მოძრაობის სამი აქტივისტი, ირაკლი წერეთელი, სოსო ორჯონიკიძე და სოსო ბარათაშვილი, რომელთაც მანამდე კონსულტაცია გაიარეს ზვიად გამსახურდიასთან, შეხვდნენ ილია მეორეს და მიაწოდეს იდეა, ეკლესიას აღენიშნა დიდგორის ველზე წმ. დავით აღმაშენებლის გამარჯვების დღე. პატრიარქმა, მართლაც 1981 წელსვე დააწესა დღესასწაული დიდგორობა, რომელიც პირველად სვეტიცხოველში აღინიშნა. ამის შემდეგ ეს დღესასწაული ყოველი წლის 12 აგვისტოს უკვე დიდგორის ველზეც აღინიშნებოდა.

2.14. ზვიადი და მერაბი

1978 წლის სასამართლო პროცესის შემდეგ მერაბ კოსტავა გააგზავნეს პერმის ლაგერში. ეს სასჯელი მან მოიხადა 1981 წელს. შემდეგ იგი გადააგზავნეს ციმბირში, ტაიშეტის რაიონში, პირობით გათავისუფლებული, თუმცა სოფლის დატოვების უფლება არ ჰქონდა. მისი თითოეული გადაადგილება ადგილობრივ ადმინისტრაციულ ორგანოებს მკაცრ კონტროლზე ჰქონდათ აყვანილი. მერაბ კოსტავამ, ვიდრე საჯარო განცხადებას გააკეთებდა და საზოგადოებას ზვიად გამსახურდიას „მონანიების" შესახებ თავის პოზიციას გააცნობდა, 1978 წელს დაწერილ ლექსში „ძმას ქრისტესმიერს" (ანუ ზვიადს), უკვე პოეტური ფორმით გადმოსცა თავისი სათქმელი, ამ საკითხს რაც შეეხებოდა:

„მაგისთვის გაგთქვამს ზეცა და მყარი
და ქარიშხალი ზღვებზე მქუხარი,
კვლავ გაიელვებ სიმართლის ფარით
რწმენის სამკლავით და საფუხარით.
გადაიჭრები გზნებით მყოფადში,
დაემკვიდრები ხალხში მითივით,
ზეაღმართული ჩვენს ეპოქაში
მიქელანჯელოს კუშტ დავითივით.
.....
სხვებზე უმეტეს თუ გაისარჯე,
როს ჩამოგეჭრა ხმა ედემისა,
მოყვასისათვის რად განისაჯე,
ღირსო უკვდავთა დიადემისა?
ალბათ გამოცდა ენება უფალს,
როს გიმზადებდა ხვედრს არასაცდენს,
რადგან განგებას რომელი უყვარს
მასვე მოუვლენს სასტიკ განსაცდელს.

რას დაგაკლებდა ბედი ტიალი
ეკალ-ბარდებში სიკეთის მთესველს,
ჭორის ღვართქაფმა გადაგიარა,
და როს აღგივსეს ძმარით ფიალა,
არ აიცდინე სასმელი ესე".

ეს ლექსი „მონანიების" შემდეგაა დაწერილი. „მოყვასისათვის რად განისაჯე" – კითხულობს ლექსში ავტორი. ცხადია, იგი მაშინ ვერც კი წარმოიდგენდა, კიდევ რამდენჯერ დააყენებდნენ მავანნი ეჭვქვეშ მისი ამ პოზიციის ნამდვილობას და კიდევ რამდენჯერ „განისჯებოდა" ზვიადი. მერაბი აღნიშნული ლექსის ამ ამონარიდში, უდავოდ, გულისხმობს რეპუტაციის დაზიანებასა და მითქმა-მოთქმას, რომელიც ზვიადის მიერ გადადგმულ ტაქტიკურ ნაბიჯს უთუოდ მოჰყვებოდა საზოგადოებაში. იგი ამ პოეტურ პასაჟში სწორად აფასებს ზვიად გამსახურდიას პიროვნული დრამის ამ მნიშვნელოვან ნიუანსს.

რაც შეეხება ლექსს, „ძმას ქრისტესმიერს", მასზე ზვიად გამსახურდიამ ასევე პოეტური ფორმით გასცა პასუხი, ლექსით, რომელსაც ერქვა – „წამებული ძმისადმი", 1985 წელს. მერაბი ზვიადმა „ერის საფიცარ რაინდად" მოიხსენია, რომელსაც ქრისტემ „ცის გასაღები მიჰმადლა და სერაფიმთა ჰაეროვნება". დიდი საქმისთვის ბოლომდე თავგადადებულნი მაინც ჩვენ ორნი დავრჩითო, – ნათქვამია ამ ლექსში. ლექსის ბოლოს მოუწოდებს, საფლავს დავუდგეთო მცველებად. საფლავი ის სურათ-ხატია, რომელიც ავტორის პოეტურ წარმოსახვაში შენივთდა დრო-ჟამის უკუღმართობაზე, წუთისოფლის იწროებასა და დაცემულებაზე ფიქრისას: საიდანაც აღსდგა ქრისტე, ასევე მოხდებოდა აღდგინება ლაზარესი.

სოფელს შუაგულ ციმბირში, რომელშიც მერაბ კოსტავა ჩაასახლეს, კვიტოკი ერქვა. აქ იგი სოფლის სკოლაში მუსიკას ასწავლიდა. კვიტოკიდან მერაბს ქართულ ენაზე შეეძლო წერილის მოწერა, ციხიდან და კოლონიიდან კი – მხოლოდ რუსულად. ზვიადმა მას ასეთი წერილი მისწერა 1981 წელს: „ძმაო მერაბ! დიდად დამწყდა გული, რომ უარი გითხრეს შვებულებაზე, თუმც ბევრი ხანი აღარ დაგრჩენია მანდ ყოფნისა და ღვთის იმედით, ყოველივე კარგად წარიმართება. დედას ხშირად ვნახულობ, მე მგონი, გვარიანადაა. აბა შენ იცი, მერაბ, ძლიერ დაკვირვებით იყავი. საბას ნათქვამი გაიხსენე: „ფრთხილად იყვე, შინაც იყვეო". განსაკუთრებით გთხოვ, როდესაც ბოლო თვეები მოაწევს, უკიდურესად ფრთხილად იყავი, სასმელი არ გაიკარო, ყველა წვრილმანი გაიაზრე, ასჯერ გაზომე და ერთხელ გასჭერი, განსაკუთრებით, გზაში. მე არა მიშავს, ვმუშაობ თარგმანებზე, ღვთისმეტყველებაზე, თემაზე: „ვეფხისტყაოსანი" და შუასაუკუნეების კულტურა." „საღვთისმეტყველო კრებულში" ბევრი რამ კარგი კეთდება, შენ რომ ჩამოხვალ, უთუოდ დიდი ასპარეზი გექნება მანდ მოღვაწეობისთვის. ჭეშმარიტად სულია მთავარი და მაცხოვრის სიტყვები: „ეძიეთ სასუფეველი ღვთისა და სხვა დანარჩენი მოგეცეთ თქვენ". გიგზავნი ჩემს თარგმანს მათეს სახარებისას, საეკლესიო კალენდარს 1981 წლისას, აგრეთვე, ძვირფას წიგნს

მღვდელ პოლიევქტოს კარბელაშვილისას – „საქართველოს მღვდელმთავარნი“, სადაც უამრავი განსაცვიფრებელი ფაქტებია ჩვენი დიდი მღვდელმთავრების ცხოვრებაზე, რომელთაც სხვაგან ვერსად შეხვდები (ჩქმალავენ). გიგზავნი აგრეთვე გაზეთს უნივერსიტეტისას, სადაც დაიბეჭდა თენგიზის (იგულისხმება თენგიზ ბურჭულაძე, კ. გ.) წერილი დავით აღმაშენებელზე. მე და შენი საუბრები გაუხსენებია, თითო-ოროლა წიგნიდან ციტატებით შეუვსია და ისე გამოუყვანია საქმე, თითქოს თვითონ აღმოაჩინა ეს ამბავი. თუმც არაფერია, ნუ განვიკითხავთ. ფოსტით შენი არაფერი მომსვლია, ალბათ, გრძნობ, რომ უსარგებლოა გამოგზავნა და არ აგზავნო. მოგიკითხეს ჩემებმა. აბა შენ იცი, იყავი დაკვირვებით, თავს მოუარე. ყოველ დილა-საღამოს, განსაკუთრებით, ბოლო თვეებში იკითხე ხმამაღლა 90-ე ფსალმუნი. ხომ იცი, რა ჯავშანია! შენი ძმა ზვიადი.“

მერაბის პასუხიდან ჩანს, რომ იგი საბრძოლო განწყობაზეა: „გამარჯობა ძმაო ზვიად! შენც კარგად მოგეხსენება, გაურკვევლობაზე მეტად არაფერი მეჯავრება. ერთი სიტყვით, ასე იოლად არ ჩაუვლით ეგ ამბავი. კუთვნილის შერჩენა არ იქნების. ისიც კმარა, რაც გააკეთეს. საქართველო თუ მართლა რესპუბლიკაა, ქართველს ციმბირში რა უფლებით ასახლებენ. არ გეგონოს საკუთარ ხვედრზე ვწუწუნებდე, მაგრამ როდესმე სერიოზულად დასმა ამ საკითხისა ურიგო არ იქნება. მოკლედ, კიდევ ვცდი საცდელს. ვნახოთ, რა გამოვა. სხვა რა მოგწერო – თოვლი დნება. თვენახევრიანი ტალახი, წყვილი ჩექმა და მისი ჯანი. ეს სიღატაკე ჩვენებურ დიდებულ გაზაფხულს რომ შევადარო, თავისთავად დანუწუნება გამოვა და არ ღირს. წუწუნი რას გვიქვია ან რა ჩვენი საკადრისია ნუწუნი. ამიტომ შენზე მუდამ იმედიანად ვფიქრობ. მჯერა, კარგად ხარ და მაგრად უნდა იყო. სიძნელეებთან გამკლავება თავად შენგან ვისწავლე და სხვისგან არ გესწავლება. ამიტომ მეტს არაფერს დავუმატებ. მარტოოდენ მაცხოვრის ჩვენის, იესო ქრისტეს აღდგომას გილოცავ წინასწარ, და შენს სახლეულთან მოკითხვას გაბარებ. მერაბი“.[243]

მერაბის პატიმრობის ვადა წესით 1982 წელს იწურებოდა, თუმცა პოლიტბიურო და სუკ-ი არ აპირებდნენ მის გათავისუფლებას, ვინაიდან თვლიდნენ, რომ იგი ისევ ძველ პოზიციებზე იდგა და არ აპირებდა „გამოსწორებას“. 1981 წელს მერაბს კარგად დაგეგმილი პროვოკაცია მოუწყვეს, რასაც შედეგად მოჰყვა მისი დაკავება და სასამართლო პროცესი. სასამართლოზე მილიციელი კლინგი, ეროვნებით რუსეთელი გერმანელი, ამტკიცებდა, თითქოს მერაბმა სამხრეები ააგლიჯა მას და ხელით შეეხო. ამ სასამართლოზე მერაბს გამოუცხადეს განაჩენი – დამატებით ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში სასჯელის მოხდით. მერაბმა თავის საბოლოო გამოსვლაში ასე მიმართა სასამართლოს: „თქვენ მე ისე მექცევით, როგორც რუსეთი ექცევა საქართველოს“. ამის შემდეგ მერაბ კოსტავა გადაიყვანეს ირკუტსკის ოლქში მდებარე ანგარსკის კოლონიაში. აქ მას აიძულებდნენ, ემუშავა ბანაკის სამეურნეო ნაწილში, რაც გულისხმობდა ციხის ადმინისტრაციასთან

თანამშრომლობას და შუამავლობას პატიმრებსა და ადმინისტრაციას შორის. მერაბი კი ითხოვდა სხვა პატიმრების მსგავსად საწარმოო ზონაში მუშაობის ნებართვას. ამის ნება არ დართეს, რის გამოც შიმშილობა გამოაცხადა.

მერაბის ციმბირელმა მეგობარმა, გალინა პოპოვამ, შეატყობინა ოჯახს მერაბის მძიმე მდგომარეობის შესახებ. ზვიადი სასწრაფოდ დაუკავშირდა ჟორჟ მარშეს, საფრანგეთის კომპარტიის ლიდერს, მარშემ კი ამ საქმეში ჩართვა სთხოვა პრეზიდენტ ფრანსუა მიტერანს. მიტერანი ანდროპოვს დაუკავშირდა, რის შემდეგაც მერაბი საავადმყოფოში გადაიყვანეს და სიკვდილსაც გადაურჩა. ზვიადი მუდმივად აწვდიდა უცხოეთს ინფორმაციას მერაბის მდგომარეობის შესახებ. ამან განაპირობა ის, რომ მსოფლიო საზოგადოებრიობა აქტიურად იყო ჩართული მერაბის სიცოცხლის გადარჩენისთვის ბრძოლაში. ევროპის არაერთ ქვეყანაში შეიქმნა სინდისის პატიმრის, მერაბ კოსტავას, დაცვის საზოგადოება.[244]

ზვიადის შრომამ მერაბის დაცვისთვის არ ჩაიარა ამაოდ. 1984 წელს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის კომისიამ მერაბ კოსტავა შეიყვანა საბჭოთა პოლიტპატიმართა სიაში, რომელთა გათავისუფლებასაც ისინი მოითხოვდნენ კრემლისგან. მოგვიანებით მერაბ კოსტავას გვარი და სახელი ახსენა თვით პრეზიდენტმა რონალდ რეიგანმა თავის მოხსენებაში, უწოდა რა მას Iron Man, ანუ „რკინის კაცი". ეს დიდ აღიარებას ნიშნავდა. „შენით ამაყი, გთხოვ, არ დაიღალო", – იყო ზვიადის გზავნილი თანამებრძოლისადმი. იგი ხშირად აკითხავდა მერაბის საკითხზე საქართველოს სახალხო არტისტს, მედეა ჯაფარიძეს და ინფორმაციებს აწვდიდა მის მდგომარეობაზე. პეტიციებსაც ერთად გეგმავდნენ. ამ პერიოდიდან – 80-იანი წლების დასაწყისიდან – საფუძველი ჩაეყარა 26 მაისის, მერაბის დაბადების დღის, აღნიშვნას მერაბისავე სახლში, ზანდუკელის (იმ დროს ჯავახიშვილის) ქუჩაზე. ამ დღეს იქ იკრიბებოდნენ ეროვნულ-უფლებადამცველური მოძრაობის წარმომადგენლები ზვიადთან ერთად. რასაკვირველია, აქვე აღინიშნებოდა საქართველოს თეთრცხენოსანი მხედრის – პირველი რესპუბლიკის დაბადების დღეც.

თუმცა ზოგადი განწყობა, საბჭოთა ხელისუფლების ორგანოების ხისტი ქმედებებიდან, გამომდინარე არცთუ ისე ოპტიმისტური იყო: მერაბ კოსტავას გათავისუფლება და სამშობლოში დაბრუნება ასეთ სიტუაციაში წარმოუდგენელი ჩანდა.

2.15. „მწუხარე შემოდგომა" და მისი გაგრძელება

ზვიად გამსახურდიას ერთ-ერთი საყვარელი მწერლის, ლევ ტოლსტოის, რომანში „ანა კარენინა" ვკითხულობთ: „ყველა ბედნიერი ოჯახი ერთმანეთს ჰგავს, ხოლო ყველა უბედური ოჯახი თავისებურად უბედურია". არც ისე მარტივად გასაგებია ეს აზრი. ასე მაგალითად, რატომ ამბობენ, რომ ბედნიერ ყოფაში ყვე-

ლა შენი მეგობარია, უბედურებაში კი – არა? ეს ნიშნავს, რომ ადამიანის ნამდვილი არსის გამოვლენა სწორედ უბედურებისას ხდება. ნამდვილი ბედნიერებისას ყვავილობს ადამიანის სულიცა და ბუნებაც. იგი ვარდს ჰგავს, რომელიც მზის შუქზე იშლება. მისი შემოქმედებითი ძალები ახალ-ახალ ნაყოფს გამოიღებენ. ამის განმსაზღვრელი ურთიერთსიყვარული, მშვიდობა და ჰარმონიაა. მაგრამ ადამიანს ბედნიერების შნო და უნარი უნდა გააჩნდეს. ასევე, შინაგანი მზერაც იმის განჭვრეტისთვის, თავად ბედნიერების არსი და გასაღები რაშია. და მაინც, არიან უბედურებათა დიდი ღირსებითა და ძლიერებით გადამტანნი, თუმცა არიან ისეთნიც, რომლებიც განსაცდელისას ყველანაირ ღირსებასა და ადამიანურ სახეს კარგავენ. ალბათ, ეს გარემოება ანიჭებს ტოლსტოისეულ „თავისებურებას" თითოეულ ადამიანსა თუ ოჯახს. ზვიად გამსახურდიას ოჯახში, 1974 წლის ბოლოდან, ორივე ეს მდგომარეობა სახეზე იყო.

როგორც უკვე აღინიშნა, სათაური „მწუხარე შემოდგომა" აღებულია სოსო სიგუას ბიოგრაფიული წიგნიდან კონსტანტინე გამსახურდიას ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. ზვიადის პირველი ქორწინების დასასრული 1973 წლის აგვისტოთი უნდა დათარიღდეს. იგი თავის „ჩანაწერებში", რომელიც მისი დაღუპვის შემდეგ გროზნოში დარჩენილმა მისმა ქვრივმა მოიძია 1994 წელს (ანუ უკვე წიგნად გამოცემულს 1996 წელს ზვიად გამსახურდიასეული ავტორიზაცია არა აქვს, ხოლო მანანა არჩვაძე წიგნად გამოქვეყნებული ტექსტის რედაქტორად გვევლინება. კ. გ.), პრაქტიკულად, არაფერს ამბობს თავის პირველ ქორწინებაზე, რამდენიმე წინადადების გარდა. დაკვირვებით წაკითხვისას საცნაურია ტექსტში ამოჭრებისა და ჩაკერებების აშკარა კვალი. ხოლო მეორე მეუღლე, ანუ მანანა არჩვაძე, აღმატებული ეპითეტებითაა შექებული – როგორებიცაა, მაგალითად, „თავმდაბალი" და „უთქმელი."

ამ საკითხზე, რამდენადაც სინამდვილე ბურუსში რჩება, ჰიპოთეტიკას ვერ გავცდებით, ამადაც, მსჯელობას აღარ გავაგრძელებთ. ასევე ვერ გამოვრიცხავთ რომელიმე დოკუმენტის თვითნებურ შეცვლასა და განადგურებას ქალბატონი მანანას მხრიდან, რამდენადაც, მოგვიანებით, ამის მაგალითი არსებობს: 2006 წელს, თვითგამოცემა „საქართველოს მოამბის" პირველ ნომერს ხელახლა დაბეჭდვისას „რედაქტორმა" მანანა არჩვაძემ ასეთი მინაწერი გაუკეთა: მეორე ნომერი, იმის გამო, რომ დეპორტირებულ მესხთა დაბრუნების საკითხს ეძღვნება, ქვეყნისთვის საზიანო აღმოჩნდა, რის გამოც რედაქტორის მიერ ჟურნალი განადგურებული იქნაო.[245] ამის გამო „ჩანაწერებში" ამ ჩანართის, ინტერპოლაციისა თუ ავტორის მიერ შეგნებულად დაშვებული ადგილის უფრო ღრმად განხილვას აღარ შევუდგებით.

მანანა არჩვაძე, დაბადებული 1946 წელს, განათლებით ექიმი-პედიატრი ზვიად გამსახურდიას მეორე მეუღლე გახდა 1974 წლის შემოდგომაზე. მანამდე იგი კოლხურ კოშკში იყო პირველად მოსული 1970 წლის გაზაფხულზე, როდესაც მირანდა ფალავანდიშვილი ახალი გარდაცვლილი იყო. მას ყური მოეკრა, რომ ზვიად გამსახურდიას შვეიცარიელი მეგობრებისგან გამოგზავნილი ჰქონ-

და პრეპარატი „ისკადორი" და იგი გამოიყენეს მირანდას მკურნალობის პროცესში. „ისკადორი" არის არაკონვენციონალური, ალტერნატიული მედიცინის პრეპარატი, რომელიც მზადდება წელიწადის გარკვეულ დროს მსხლის ხეებზე დაკრეფილი ფითრისგან, მაღალი ბრუნის მქონე ცენტრიფუგალურ აპარატზე. იგი ინექციური გზით გამოიყენებოდა სიმსივნის ადრეული სტადიების მკურნალობისთვის. გასაოცარია, საიდან უნდა სცოდნოდა ახალგაზრდა ქალს ასეთი პრეპარატის შესახებ, მით უმეტეს, რომ მან არცერთი უცხო ენა არ იცოდა, ხოლო „ისკადორზე" საბჭოთა სამედიცინო სამყაროშიც არაფერი იცოდნენ. არც გადაკვეთის წერტილები არსებობდა ამ ორ ადამიანს შორის, რომ მანანა არჩვაძეს ეს ინფორმაცია მიეღო. ეს პრეპარატი ზვიად გამსახურდიას ჩამოუტანა შვეიცარიაში მცხოვრებმა ქალბატონმა, ანა იანმა. ეს საკითხი დღემდე იდუმალებით მოცული რჩება და ამაზე დამაჯერებელი პასუხი არ არსებობს. თუმცა ფაქტია, რომ მანანა არჩვაძის მოსვლამ კოლხურ კოშკში და შეხვედრამ ზვიად გამსახურდიასთან სათავე დაუდო მათ ურთიერთობას.

ამის შემდეგ ზვიად გამსახურდია წერს სტატიაში, „ალ. სოლჟენიცინის „არქიპელაგ გულაგის" დაბეჭდვის შესახებ საქართველოში", რომ ეს ქსეროქსზე მალულად გაკეთებული ანაბეჭდები მიჰქონდათ მანანა და ლედა არჩვაძეების სახლში, ჩიქოვანის ქუჩაზე, სადაც ხდებოდა მათი აკინძვა და დაჭრა. აქედან კი აკინძული თვითგამოცემები მიჰქონდათ მოსკოვში, სადაც უკვე ადგილობრივი დისიდენტური არხებით ხდებოდა მათი გავრცელება და დარიგება. მანანა არჩვაძის ფსიქოტიპი ამ არალეგალური და კონსპირაციული საქმიანობისთვის სწორედაც შესაფერისი ჩანდა – ეს იყო საკმაოდ დაზიანებული ფსიქიკის მქონე ახალგაზრდა ქალი, რომელსაც მშობლები ადრე დაელუპა. მას ყოველთვის აწუხებდა დევნის მანია (ზვიადის გაცნობამდეც) და ჰქონდა ადამიანებთან კომუნიკაციის პრობლემა, რაც იმას ნიშნავს, რომ ამა თუ იმ ადამიანთან მისი ურთიერთობა თითქმის ყოველ ჯერზე მძიმე კონფლიქტით სრულდებოდა. მას და მის უფროს დას, ლედას (ლელეს), რომელიც თავისი ხასიათით ძალიან მსგავსი იყო, პრაქტიკულად, არავისთან ურთიერთობა არ ჰქონიათ. ისინი სრულიად ჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდნენ, ხოლო მშობლები, როგორც უკვე აღინიშნა, გარდაცვლილი ჰყავდათ. ეს კი ზვიად გამსახურდიას არალეგალური საქმიანობისთვის ცუდ წინაპირობას არ წარმოადგენდა, რადგან ხმები და ინფორმაციები სწორედ მიმსვლელ-მომსვლელთა მიერ ვრცელდება. შეიძლება გაჩნდეს კითხვა, რატომ არ ეწეოდა ზვიადი ამ საქმიანობას მაინცდამაინც კოლხურ კოშკში. საქმე ისაა, რომ საკმაოდ ექსპონირებულ „კოლხურ კოშკში," სადაც ბევრი ხალხი დადიოდა, მათ შორის მძღოლი, მებაღე და მოსამსახურე, ამ რაოდენობის „სამიზდატის" ანაბეჭდების დასაწყობება და მათი აკინძვა არ იქნებოდა სასურველი, ხოლო კერძო სახლი ჩიქოვანის ქუჩაზე ამისთვის კარგი ადგილი ჩანდა, რამდენადაც აქ არავინ მოდიოდა.

არალეგალური ლიტერატურის ჩატანა მოსკოვში უკავშირდებოდა დისიდენტურ წრეებთან, კერძოდ, აკადემიკოს სახაროვთან, იური ორლოვთან, ან-

დრეი ამალრიკსა და სხვებთან მჭიდრო კავშირს და გარკვეულ გარანტიებსაც, რომ დაპატიმრების შემთხვევაში მათი მხრიდან უზრუნველყოფილი იქნებოდა მხარდაჭერა უცხოურ სააგენტოებსა და მასმედიაში. საქმე იყო უფრო ტირაჟსა და რაოდენობაში, თორემ თითო-ოროლა ეგზემპლარს მოსკოვშიც როგორღაც ბეჭდავდნენ და ავრცელებდნენ. ამ მხრივ ზვიადი და მერაბი, პრაქტიკულად, სასწაულს ახდენდნენ ტოტალური ცენზურისა და კონტროლის პირობებში, როდესაც ათასობით ეგზემპლარი ჩაჰქონდათ იმპერიის ცენტრში. მხარდაჭერა და ინტერესი მათ მიმართ გაძლიერდა და ამას უფრო დეტალურად შევეხეთ წიგნის წინა თავებში.

როგორც არ უნდა ყოფილიყო, ერთ დღესაც – ეს იყო 1974 წლის შემოდგომაზე, მანანა არჩვაძე საცხოვრებლად გადმოვიდა კოლხურ კოშკში. მან ახალ სახლში გადმობარგების ინიციატივა საკუთარ თავზე აიღო. აქ კიდევ ერთი დაშვებაა გასაკეთებელი – ზვიად გამსახურდიამ შეიფარა ცხოვრებისგან დაჩაგრული, ტრავმირებული ახალგაზრდა ქალი თავის სახლში და ჩათვალა, რომ მისი ნორმალურ ჩარჩოში მოქცევა შესაძლებელი იყო.

მანანა არჩვაძის ფსიქოტიპი არც ისე ძნელად ამოსაცნობია ყველა იმ ადამიანისთვის, რომელთაგანაც ბევრი დღესაც ცოცხალია და ვისაც ფრაგმენტული ან შედარებით ხანგრძლივი ურთიერთობა ჰქონია მასთან – ცხადია, აქ არ იგულისხმება მისი მცირერიცხოვანი, უპირობოდ მორჩილი და აგრესიული მიმდევრების წრე. იგი უკიდურესად მიკერძოებული, ეგოცენტრული და ძალადობისკენ მიდრეკილი ადამიანი იყო და არის. მისი ხასიათი ყველაზე მეტად თავის თავზე გამოსცადეს მისმა შვილებმა, რომლებიც ბავშვობისას არაერთგზის გამხდარან დედის მხრიდან ძალადობის მსხვერპლნი. როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ ქორწინებიდან ზვიად გამსახურდიას ორი შვილი ჰყავს – ცოტნე (დაიბადა 1976 წელს) და გიორგი (დაიბადა 1979 წელს).

თუკი თვალს გადავავლებთ ხანგრძლივ პერიოდს 1974 წლიდან დღემდე, რთული გასაცემია პასუხი შეკითხვაზე, როგორ მოახერხა ამ ადამიანმა გამხდარიყო საქართველოს ისტორიის რჩეული ქალბატონების, ოლღა გურამიშვილის, მირანდა ფალავანდიშვილის და ოლღა დემურია-კოსტავას სრული ანტიპოდი. ეს ამბავიც თავისთავად დიდი ტრაგედიაა. ამ ადამიანის, როგორც დედისა და მეუღლის, ფსიქოპორტრეტის რაობის სრულად ახსნა სცდება ამ წიგნის ამოცანათა ჩარჩოს. ხასიათის ერთ-ერთი თვისება, რომელიც ადამიანებს მასთან მიმართებით თავიდანვე ხვდებათ თვალში, არის მანანა არჩვაძის მხრიდან ადამიანებთან კომუნიკაციის პრობლემის უმძიმესი ფორმით არსებობა. ეს ბევრ ასპექტში იჩენს თავს, მათ შორის სამსახურთან მიმართებით. მას 1974 წლამდე სულ რამდენიმე თვის განმავლობაში ჰქონდა ნამუშევარი მცხეთის ბავშვთა პოლიკლინკაში, საიდანაც, საკუთარი ვერსიის მიხედვით, ანტისაბჭოთა განწყობების გამო გაათავისუფლეს. ძნელი სათქმელია, აღნიშნული მიზეზის გამო მოხდა ეს თუ აქაც კომუნიკაციის პრობლემა და მისი კონფლიქტურობა იყო შუაში. ამის შემდეგ მას ერთი საათიც არ უმუშავია რომელიმე სამსახურში. იგი-

ვე ითქმის მის ურთიერთობაზე მეზობლებთან, მეუღლისა და საკუთარ ნათესავებთან, ოჯახის ახლობლებსა და ზვიადის თანამებრძოლებთან. კომუნიკაციის პრობლემასთან ერთად ასევე თვალში საცემია ძალიან არაეთიკური ელემენტი, რაც შეეხება კონფლიქტურ სიტუაციებში მის მოტივაციას, გამოხატვის უკიდურესად აგრესიულ ტონალობასა და შინაარსს.

1988 წელს, როდესაც ჯერ კიდევ იყო საფრთხე ზვიად გამსახურდიას დაპატიმრებისა ან გაძევებისა, მან დაწერა ანდერძი, რომელიც შეეხებოდა ქონებას, ასევე, კოლხურ კოშკსა და ლიძავის სახლს. ანდერძში ნახსენები საერთოდ არ იყო მანანა არჩვაძე, ქონების მემკვიდრეებად ცხადდებოდნენ იმჟამად მცირეწლოვანი ცოტნე და გიორგი გამსახურდიები, რომლებიც მამის გარდაცვალების შემთხვევაში მხოლოდ დედის ანაბარა რჩებოდნენ. კოლხურ კოშკში შემოსვლისთანავე, 1974 წელს, ახალმა დიასახლისმა იქ მისვლა აუკრძალა ზვიად გამსახურდიას ყველა ნათესავს, პირველ რიგში, ზვიადის ნახევარდას, ნათელა გამსახურდიას, შემდეგ თათია ხაინდრავას, კონსტანტინე გამსახურდიას დისშვილს, საქართველოს დამსახურებულ არტისტს, მწერლის ძმისწულს, მის აღზრდილს, სვიმონ გამსახურდიას, ასევე სხვებსაც, მათ შორის, ზვიადის 13 წლის უფროს ვაჟს პირველი ქორწინებიდან, ამ სტრიქონების ავტორს, რომელსაც გაუგონარ ბრალდებებს უყენებდა. მართლაც, მას სჩვეოდა არასასურველ ადამიანებთან ცილისწამების გზით ანგარიშის გასწორება და, შეიძლება, ითქვას, ამ მხრივ საზღვარი არ ჰქონდა მის ცილისმწამებლურ ფანტაზიას, არც ნაგულისხმებ ეტაპზე, არც შემდგომ წლებში. კოლხურ კოშკში ამის შემდეგ სტუმრობა თითქმის ყველამ აღიკვეთა.

რაც შეეხება 83 წლის კონსტანტინე გამსახურდიას, იგი უკვე ლოგინად იყო ჩავარდნილი ამ პერიოდში, ფეხზე იშვიათად დგებოდა და მას ნამდვილად არ ჰქონდა უნარი მკვეთრად გამოეხატა სახლში მიმდინარე მოვლენებისადმი თავისი დადებითი ან უარყოფითი დამოკიდებულება. როდესაც მწერალმა იკითხა, თუ ვინ იყო ეს ქალბატონი, მას აუხსნეს, რომ ეს ახალი მოსამსახურე იყო. ამის შემდეგ მას კითხვა აღარ დაუსვამს. კონსტანტინე გამსახურდია მანანა არჩვაძის კოლხურ კოშკში გადასვლიდან დაახლოებით 10 თვეში, 1975 წლის 17 ივლისს გარდაიცვალა.

არაერთხელ მომხდარა, რომ ადამიანები, რომლებიც ამტკიცებდნენ, ზვიად გამსახურდიამ სუკ-ის აგენტებად მოგვნათლაო, ვერ ამბობდნენ, სად და როდის მოხდა ეს, ან რა საბუთი ჰქონდათ ამისთვის. გაირკვეოდა, რომ ამ დასკვნამდე მხოლოდ მანანა არჩვაძის ნათქვამის საფუძველზე მისულან, როგორც ეს მოხდა მოგვიანებით, ყოფილი პოლიტპატიმრის, ზაქარია (ჯონი) ლაშქარაშვილის შემთხვევაში, რომლის „აგენტობის“ ბრალდებაც არა ზვიადის, არამედ სწორედ მანანა არჩვაძის სატელეფონო საუბრიდან გამომდინარეობდა. ეს კონკრეტულ ადამიანებს ზვიადის საწინააღმდეგოდ განაწყობდა. ხატოვნად რომ ვთქვათ, იქ, სადაც ცეცხლი იყო გაჩენილი, წყლის ნაცვლად, ნავთს ასხამდნენ. ვითარება ზვიადის საწინააღმდეგოდ ტრიალდებოდა..

რაც შეეხება ზვიად გამსახურდიას პირველი მეუღლის, დედაჩემის, დალი ლოლუას ფსიქოტიპს, ერთი რამ სახეზეა: მისთვის, როგორც მუსიკოსისა და ნიჭიერი ადამიანისთვის, საბჭოურობა არასოდეს ყოფილა მისაღები. მის აღქმაში კონსტანტინე გამსახურდია (იმ პოზიციონირებიდან გამომდინარე, რომელიც მწერალს ჰქონდა 50-იანი წლების შუახანებიდან 70-იანი წლების დასაწყისამდე) წარმოადგენდა საუკეთესო მაგალითს, თუ როგორ შეიძლება ეროვნული მოღვაწეობა და კულტურული ფასეულობებისთვის გონიერული ბრძოლა. ცხადზე უცხადესია, რომ ზვიადს თავისი პირველი მეუღლე აფასებდა, როგორც დიდი უნარების მქონე ლიტერატურათმცოდნეს, მწერალს, მთარგმნელს, ლექტორს, მოაზროვნეს. ისიც აღსანიშნავია, რომ მას მართლაც ეშინოდა ზვიადის ფიზიკური განადგურებისა და არცთუ უსაფუძვლოდ – საბჭოთა სუკ-ი ასეთ ნაბიჯზე დიახაც არ იტყოდა უარს. მას საიმედო გზად ესახებოდა ზვიადის მხრიდან სერიოზული საზოგადოებრივი და სამეცნიერო სტატუსის მოპოვება და ამ მიმართულებით საკმაოდ მნიშვნელოვან თანადგომასაც უწევდა. ცხადია, ეს იქნებოდა დაცვა რეპრესიული მანქანისგან. ოჯახი დაიშალა მაშინ, როდესაც ზვიადი დისიდენტური მოღვაწეობის დასაწყისში იდგა. ასე რომ, დალი ლოლუა „სამიზდატის" პერიოდს აღარ მოესწრო, თუმცა მანამდე ზვიადს თავის პირველ მეუღლესთან ეროვნული მოღვაწეობის გზაზე გაუგებრობა არ წარმოქმნია. მისი პირველი მეუღლის თვალსაზრისით, ზვიადისთვის უმჯობესი იქნებოდა ეცადა ყველა ადამიანთან ურთიერთობის შენარჩუნება, ასევე მკვეთრი მოძრაობებისგან ზოგჯერ თავშეკავება.

ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ უკვე მოხუცებული კონსტანტინე გამსახურდიას დამოკიდებულება ქართული თვითგამოცემისადმი ასევე არაცალსახა იყო. ერთი მხრივ, იგი სიფრთხილისკენ მოუწოდებდა შვილს და განიცდიდა ამ ყოველივეს, რამდენადაც მან ძალიან კარგად იცოდა, რაზე შეეძლო წასვლა საბჭოთა რეპრესიულ მანქანას. მეორე მხრივ, მას ყოველთვის ჰქონდა საკმაოდ ზუსტი ინტუიცია შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის მიმართ და იმის განსაზღვრის უნარიც, სადამდე შეიძლებოდა წასვლა იმ კონკრეტულ მოცემულობაში. ამიტომაც უთხრა მერაბსა და ზვიადს, ისეთი დრო დადგა, შეიძლებოდა ქართული თვითგამოცემის მოსინჯვაო. რა თქმა უნდა, აქ საუბარი იქნებოდა ისეთი მასალების გავრცელებაზე, რომლებზეც საბჭოთა მართლმსაჯულება ვერ მოედავებოდათ ანტისაბჭოურობის ბრალდებით. ზვიად გამსახურდიას, როგორც პოლიტიკოსს, იმთავითვე ჰქონდა უტყუარი ალღო იმ მოვლენებისა, რომლებიც თანდათანობით იწყებდა განვითარებას სსრკ-ისა და აღმოსავლეთ ევროპის მასშტაბით. მოვლენები ჩქარდებოდა, საბჭოთა დისიდენტობა ძალას იკრებდა, ხოლო დასავლეთი სულ უფრო მეტ ჩართულობას ავლენდა ამ პროცესებში. აღნიშნული მოვლენების ეპიცენტრში ყოფნა კი ცხადია, საბჭოთა სისტემასა და მის ორგანოებთან მკვეთრი დაპირისპირების რეჟიმში გადავიდოდა.

ორი ადამიანის ცხოვრებაში შესაძლოა, დადგეს მომენტი, როდესაც მათი გზები გაიყრება. მოხდა ისე, რომ ზვიად გამსახურდიასთვის მისაღები აღმოჩ-

ნდა მანანა არჩვაძის მიერ გამოვლენილი ინიციატივა, შესთავაზა რა თავისი სახლი არალეგალური წიგნების შესანახ ადგილად – ანუ სახლი, სადაც ამ ორი ადამიანის გარდა არავინ მივიდოდა. ამგვარი ოჯახურ-პოლიტიკური პარტნიორობისთვის შემდგომ გადახდილი საფასური უმძიმესი აღმოჩნდა: იგი ზვიადის ცხოვრებისეულ ტრაგედიად იქცა.

მიუხედავად იმისა, რომ დალი ლოლუამ დატოვა კოლხური კოშკი და შვილთან (ანუ ამ სტრიქონების ავტორთან) ერთად გადავიდა თავისი მშობლების ბინაში კამოს (დღევანდელი უზნაძის) ქუჩაზე, ერთხანს ინარჩუნებდა ურთიერთობას ზვიად გამსახურდიასთან და ის ბოლომდე არ გაუწყვეტია. გაყრის შემდეგ გარკვეული პერიოდი მერაბ კოსტავა და მისი მეუღლე რუსუდან ბერიძე შერიგების მომხრეები იყვნენ და აქტიურობდნენ კიდეც. ვიდრე სასამართლოში შევიდოდა სარჩელი გაყრაზე, ზვიად გამსახურდიასა და მის ყოფილ მეუღლეს შორის ორჯერ შედგა შეხვედრა და საუბარი. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ამ საუბრებში განიხილებოდა ოჯახის აღდგენის შესაძლებლობაც. რა უნდა ყოფილიყო გაყრის მოტივი დალი ლოლუას მხრიდან? თავის წიგნში – „13 წელიწადი კოლხურ კოშკში", მინიშნების დონეზეც კი არაფერია ნათქვამი მიზეზებზე. ტექსტში მხოლოდ უზოგადესი ფრაზაა: „ამბობენ, ქორწინება ზეცაში აღესრულებაო და ჯვრისწერის რიტუალიც ზეციურობის ანარეკლია. ქორწინების გვირგვინი, ისევე როგორც სამეფო გვირგვინი, მძიმეც არის და საბედისწეროც. ჩვენს შემთხვევაში განგებამ განსაზღვრა ობიექტური გარდუვალობა, ჩვენი ნება უძლური აღმოჩნდა და მე-13 წელს ის შეწყდა".[246] აქედან მხოლოდ ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ ორივე მხრიდან გაყრის შემდეგ გარკვეული, თუნდაც მოკლე პერიოდის განმავლობაში ადგილი ჰქონდა ოჯახური ურთიერთობისა და ერთიანობის აღდგენის მცდელობას.

ამიტომაც არის 1973 წლის შემოდგომა „მწუხარე", როდესაც ზვიადის პირველმა მეუღლემ დატოვა კოლხური კოშკი, ხოლო თამარ გამსახურდია ხანგრძლივი ავადმყოფობის შედეგად გარდაიცვალა. 1974 წლის ზაფხულში თბილისში შედგა სასამართლო, რომელმაც ეს გაყრა იურიდიულადაც გააფორმა.

მანანა არჩვაძის ფაქტორი დარჩა და მან დროთა განმავლობაში უფრო მეტად პროფილირება განიცადა იმ სამწუხარო, დესტრუქციულობის მიმართულებით, რაზეც ზემოთ მქონდა მსჯელობა. ბევრ ადამიანს, ბუნებრივია, ამის გამო გაუჩნდა კითხვა: ზვიად გამსახურდიამ, რომელმაც პოლიტიკაში მართლაც მოახერხა ბევრი მთავარი საკითხის გადაჭრა, რატომ ვერ გადაჭრა ეს საკითხი საკუთარ ოჯახურ გარემოცვაში? იოლი არ არის ამ შეკითხვაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა. მისთვის, როგორც ზნეობრივი ადამიანისთვის მძიმე წარმოსადგენი იყო კიდევ ერთხელ გაყრა მეუღლესთან – ჯერ ერთი, როგორც პოლიტიკურ პროცესებში გარკვეულწილად შესულს და მომავალ პოლიტიკოსს, მას, ცხადია, აწუხებდა, როგორ გამოჩნდებოდა ეს ნაბიჯი საკუთარი ხალხის აღქმაში – და ნურც ის დაგვავიწყდება რომ ეს ხალხი საბჭოთა მენტალობაში ჰგიებდა. მეორეც, გაყრის შემთხვევაში უნდა წარმოვიდგინოთ ის ხმაური და

დავიდარაბა, რომელსაც ქ-ნი მანანა დააწევდა და ამ ყოველივეზე მტრების ხარხარი და სიხარული, რომლებიც 1989 წლის აპრილ-მაისამდე საკმაოდ ძლიერები იყვნენ, თუმცა „ჯაბანნი“ არც ამ პერიოდის მერე ყოფილან. ამავდროულად, ადგილი ჰქონდა აშკარა შანტაჟს, რომელსაც მანანა არჩვაძე ეწეოდა მცირენლოვანი შვილებით.

ზვიად გამსახურდია მთელ დროსა და ენერგიას სხვა, უფრო მაღალი და ფასეული, მიზნებისთვის ხარჯავდა, და ეს იყო მისი ცხოვრების მთავარი საზრუნავი. მამა ბევრ დროს შვილებსაც კი ვერ უთმობდა. აქ კიდევ ერთიცაა: ისევე როგორც ყველა ადამიანს, ზვიადსაც ჰქონდა თავისი ძლიერი და შედარებით სუსტი მხარეები. აქედან გამომდინარე, მას ფსიქიკურად გაუწონასწორებელ ადამიანთან სრულიად უსარგებლო დიდაქტიკურ-პედაგოგიური მიდგომებისა და ექსპერიმენტირების დრო ნამდვილად არ ჰქონდა.

როგორც დასაწყისში აღვნიშნე, ამ საკითხს ზვიად გამსახურდიას პირველი მეუღლე, დალი ლოლუა თავის მემუარებში დელიკატურად გვერდს უვლის და არსად ახსენებს მანანა არჩვაძეს, თუმცა ერთგან, მირანდა ფალავანდიშვილის დახასიათებისას, განიხილავს რა მას მწერლის მუზად და იმავდროულად ძალიან კარგ მეუღლედ, აღნიშნავს, რომ დიდ ადამიანებს ყოველთვის არ წყალობთ ბედი და ძალიან ხშირად მათი შემოქმედება და მოღვაწეობა უღირსი მეუღლეების სამხვერპლოზე იწირება.[247]

არიან ადამიანები, რომლებსაც იმდენად არ გაუმართლათ პირად ცხოვრებაში, რამდენადაც გაუმართლათ და წარმატებულნი იყვნენ საზოგადოებრივ და შემოქმედებით საქმიანობაში. ზვიად გამსახურდიაც ასეთთა რიცხვს განეკუთვნებოდა. მისი ძირითადი მისწრაფებები ოჯახურ ცხოვრებასა და ყოფას არ სჯერდებოდა, არამედ სულ სხვა საგნისკენ იყო მიმართული. ეს საგანი კი მისი საზოგადო მოღვაწეობის იდეალებში იყო განივთებული. უკვე ხელისუფლებაში ყოფნის დროს საუბარი იყო იმაზე, რომ მეორე მეუღლე და მისი „ლობი“ აქტიურად ერეოდნენ სახელმწიფო საქმეებში. ეს ინფორმაციები, ცხადია, გადაჭარბებულია, მაგრამ მავნებლობები მათი მხრიდან აშკარად იყო – მეტადრე საზოგადოებრივად მნიშვნელოვან ფიგურებთან ურთიერთობების გაფუჭებას რაც შეეხება, არადა, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნე, ზვიად გამსახურდიას მდგომარეობაში მყოფს ნამდვილად წყალივით ესაჭიროებოდა ასეთი ფიგურებისგან არა კონფრონტაცია, არამედ მათი სიმპათია და თანადგომა.

ასევე სრულიად აუხსნელი და გაუგებარი დარჩა მანანა არჩვაძის მუდმივი ბრაზი, რისხვა და ეჭვიანობა ზვიად გამსახურდიას პირველი მეუღლის მიმართ და ეს ათწლეულების განმავლობაში გაგრძელდა. არადა გაცილებით უფრო ლოგიკური იქნებოდა, მსგავსი განწყობა პირველ მეუღლეს ჰქონოდა მეორისადმი, რომელსაც ის თუნდაც ოჯახის დანგრევას დააბრალებდა. ვერავინ ჩასწვდა, ზვიადის პირველი მეუღლე, რომელიც საერთოდ არ ყოფილა პოლიტიკური ფიგურა, რატომ წარმოადგენდა მისთვის ასეთ დიდ და აურიდებელ საფრთხეს. აქედან გამომდინარე, ქ-ნი მანანა ყველანაირად ცდილობდა, ზვიადის შვილს

პირველი ქორწინებიდან, ამ სტრიქონების ავტორს და მეორე ქორწინებიდან დაბადებულ ორ შვილს საერთოდ არ ჰქონოდათ ურთიერთობა, თუმცა მისი ეს მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა.

თუმცა ვერავინ, ვინც ზვიად გამსახურდიას ახლოს იცნობდა, ვერ იტყვის, რომ მას თვითკრიტიკულობა აკლდა. ყველაფრის სხვა ადამიანზე, მით უმეტეს, ქალსა და მეუღლეზე გადაბრალება არ იქნება სწორი. ეს უკვე მიზოგინიზმში, ქალთმიუღებლობაში გადავა. ყველა ადამიანს ხომ აქვს თავისი სუსტი მხარე. თავად ზვიადს ფუნდამენტურ გამოკვლევაში „ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება“ ერთი ასეთი მრავალმნიშვნელოვანი და დამაფიქრებელი პასაჟი აქვს, რომელშიც დასძენს, რომ ინდოეთის მეფის, ნესტანის მამის, ფარსადანის კარზე ფარულად მოქმედებენ ქაჯეთის ემისრები, რომელთა მიზანი ინდოეთის დამხობა იყოო. აქ, პირველ რიგში, იგულისხმება ნესტან-დარეჯანის მამიდა დავარი, „ქვრივი ქაჯეთს გათხოვილი“. ეს ნათქვამი იმდენად ქარაგმულია, რომ ვფიქრობ, კომენტარი არ ესაჭიროება. თუმცა იმავე ფარსადან მეფეზეც წერს ზვიად გამსახურდია თავის წიგნში, რომ იგი გარკვეულ საკითხში სისუსტესა და ახლომხედველობას იჩენდა, ისევე როგორც „რამაიანას“ ეპოსში მეფე დაზარათიო.

ამავე კონტექსტში შეიძლებოდა მსოფლიო ლიტერატურისა და საკაცობრიო სულის გიგანტის — ლევ ტოლსტოის გახსენება, რომლის ცხოვრებასა და შემოქმედებას ზვიად გამსახურდიამ საყურადღებო ესსე მიუძღვნა. ტოლსტოი ყურადღებას თავისი ოჯახური დილემითაც იქცევს. ზვიად გამსახურდია აქ ისე წარმოაჩენს ტოლსტოის პიროვნულ და ოჯახურ დრამას მისი ცხოვრების დასასრულს, რომ ეს რეალურად აირეკლავს მთელი ეპოქის სიდიადესა და დაცემულობას იმავდროულად. ესსეში ვკითხულობთ: „თავის როლს ასრულებდა მბრძანებლობის მოყვარე „ქსანტიპა“ (აქ იგულისხმება სოკრატეს მეუღლე, კ. გ.), ტოლსტოის მეუღლე სოფიო ანდრიას ასული, საოცრად ძლიერი ხასიათის პიროვნება, რომელიც ტოლსტოის სიცოცხლის უკანასკნელ წლებში იქცა მისი დილეგის ასთვალა დარაჯად, მის უსაშინლეს იდეურ მოწინააღმდეგედ. ყოველივე ამის წინააღმდეგ ბრძოლა უხდებოდა მოხუც, ფიზიკურად დავრდომილ ადამიანს და, რაოდენ დიდი იყო მისი სულიერი ძალა, რომ მან მოახერხა სასწორის თავისკენ გადაზიდვა და მიატოვა ოჯახი. ამით მან საბოლოოდ გადალახა პოლარობა ორ უდაბნოს შორის, „უმაღლესი“ საზოგადოების უდაბნოსა და ოპტინას უდაბნოს შორის, თუმც, გზის შუაგულში დაეცა. დიდი ადამიანები იმითაც გამოირჩევიან, რომ მათში ეპოქის ტრაგედია ცხოვრებისეულ, პირად ტრაგედიად გარდაისახება ხოლმე. ხშირად, მათშივე ისახება მთელი სიდიადე და ბინიერება დროისა, რომელშიც ისინი ცხოვრობენ“.[248]

ტოლსტოიმ 1910 წლის 28 ოქტომბერს სამუდამოდ დატოვა მამული იასნაია პოლიანაში და წავიდა თავის უკანასკნელ მოგზაურობაში, ზვიად გამსახურდიამ კი 1993 წლის 24 სექტემბერს დატოვა თავისი რეზიდენცია გროზნოში და გაემართა დასავლეთ საქართველოში სიკვდილთან შესახვედრად.

ეს თავისებური ატმოსფერო, რა თქმა უნდა, თავის უმძიმეს კვალს ატყობდა ზვიადის პირად ცხოვრებას. ცხადია, იგი არც უმოქმედო ყოფილა ამ მხრივ: მას, როგორც ეს დაკვირვებული მზერისთვის ჩანს, მოფიქრებული ჰქონდა სხვა ტაქტიკა, დაახლოებით ისეთნაირი, როგორიც თავად აღწერა იგავში კეთილგონიერი და მოთმინების უდიდესი უნარის მქონე ფსიქიატრის შესახებ, რომელიც თავისმა პაციენტებმა დაატყვევეს და ეუბნებოდნენ, შენ დააშავე, რომ გვკურნავდი, სინამდვილეში ავად შენ თვითონ ხარ და ჩვენ კი ჯანმრთელები ვართო. ფსიქიატრი სიტყვიერად ეთანხმებოდა და თან მათ მკურნალობას განაგრძობდა. ოღონდ, მხოლოდ ეს არ იყო – ზვიადს ჰქონდა თავისი ჰიბრიდული მეთოდები მეორე მეუღლესთან მიმართებით, რაც გულისხმობდა ხან დაყვავებასა და დათანხმებას, ხან დამუქრებას, ხან ყურადღების გადატანას რაღაც არაარსებითზე, დაშოშმინების მიზნით, ხანაც ისევ ხისტი და შეუვალი პოზიციის დაკავებას. ეს ყოველივე, მეტწილად, მუშაობდა და ამ ადამიანის მშვიდობიანი გზით ნეიტრალიზება მიღწეული იყო – მას, გარკვეულწილად, აკონტროლებდნენ, თუმცა ვერავინ იტყოდა, მომდევნო დღეს როგორი იქნებოდა სრულიად არაპროგნოზირებადი ადამიანის რეაგირება ასეთ მიდგომაზე. მაგრამ კატეგორიულობით და ხაზგასმით უნდა ითქვას: ის, რომ ქალბატონი მანანა ზვიად გამსახურდიასთან მიმართებით საზღვარს გადადიოდა, სრულიად გამორიცხულია. ამ ვერსიის გამავრცელებლები ჰიბრიდული ომის პროპაგანდის ჩვეულებრივი რუხ-მოყვითალო მოენეები არიან. მათი პროპაგანდა კი მარტივ, მიამიტ და პრიმიტიულ ადამიანებზეა გათვლილი.

სამყაროში არის საკითხები და საგნები, რომლებზეც რთულია პირდაპირ მსჯელობა, და თუ შესაძლებელია, მხოლოდ ხატოვნად. ზედაპირული განსჯები თუ შაბლონური მიდგომები, უვარგისი საშუალებაა ამ თავში აღწერილი ტრაგედიის მიზეზთა გასაგებად.

ასეთი იყო უმძიმესი ფონი, რომელმაც აღბეჭდა ზვიად გამსახურდიას ოჯახური გარემო. დიახ, ეპოქის ტრაგედია მასთან ცხოვრებისეულ, პირად ტრაგედიად გარდაისახა.

2.16. ახალი რეპრესიები „პერესტროიკის" წინა პერიოდში

1981 წლის 20 მაისს ზვიად გამსახურდიამ წერილით მიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ედუარდ შევარდნაძეს. წერილი ინახებოდა შსს-ს არქივში და გამოქვეყნებულია. წერილში ქართულ ენასთან დაკავშირებით ჩამოყალიბებული იყო შემდეგი მოთხოვნები, რაც უნდა ყოფილიყო იმ დაპირებების შესრულება, რომლებიც მან საზოგადოებას მისცა: ეს გულისხმობდა კონსტიტუციის 75-ე მუხლის რეალურ ამოქმედებას, საქმის წარმოებას ქართულ ენაზე, დაწესებულებებზე ოფიციალური წარწერები უნდა ყოფილიყო ქართულ ენაზე, თუმცა რუსული ენის ინტერესები ასევე უნდა

ყოფილიყო გათვალისწინებული. ქართული გამომცემლობები უნდა მომარაგებულიყო სათანადო რაოდენობის ქაღალდით, გამოსულიყო ქართულშრიფტიანი საბეჭდი მანქანები, გაზრდილიყო ტელე-რადიოგადაცემებში ქართული ენის ხვედრითი წილი, აღკვეთილიყო ცალკეულ ინსტიტუტებში ქართული სექტორების შემცირების განზრახვა.[249]

1980 წლიდან მოყოლებული, ზვიად გამსახურდია ყველანაირად ცდილობდა გაეძლიერებინა ქართული ეკლესიის ის ფლანგი, რომელსაც შედარებით დამოუკიდებლად მოაზროვნე სამღვდელო პირები ქმნიდნენ. მისი თვალსაზრისით, ისევე როგორც პოლონეთში კათოლიკური ეკლესია უძლიერესი ფაქტორი იყო პოლონურ სოლიდარობასთან ერთად, კომუნისტურ რეჟიმთან დაპირისპირებისას, საქართველოშიც ეკლესიის გაძლიერება გაზრდიდა ეროვნულ-უფლებადამცველური მოძრაობის ძალას. ამიტომაც ეპისკოპოსებთან, ქრისტეფორე წამალაიძესთან და ამბროსი ქათამაძესთან, ასევე, რამდენიმე სამღვდელო პირსა და მრევლის წარმომადგენლებთან ერთად დადიოდნენ საქართველოში ეკლესიების გასახსნელად. რა თქმა უნდა, ეს კონფლიქტებისა და შეხლა-შემოხლის გარეშე არ ხდებოდა. როგორც კი ბოქლომს ჩამოხსნიდნენ დაკეტილ ტაძარს, იქ მაშინვე გაჩნდებოდნენ ადგილობრივი რაიკომის, სუკ-ის, მილიციისა და კომკავშირის წარმომადგენლები. ეპისკოპოსი ქრისტეფორე წამალაიძე, რომელიც საოცრად შთამბეჭდავად ქადაგებდა, პირდაპირ მიმართავდა არცთუ მეგობრულად მოსულთ, რომ ამ საქმის უკან იდგა უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია მეორე, იმავდროულად ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტი. ეს ბოლო ფრაზა განსაკუთრებულ ზემოქმედებას ახდენდა მომხვდურებზე და ისინი უკან იხევდნენ ხოლმე.

დაკეტილი და გაუქმებული ეკლესიების თემაზე ზვიად გამსახურდია წერდა შემდეგს: „ყველაფერი დაიწყო იმით, რომ გასაბჭოებულ საქართველოში ათეისტური კამპანიისა თუ ფსიქოზის დაწყებისას ხელისუფლებამ, ნგრევის გარდა, დაკეტა და გააუქმა მოქმედი ეკლესიების დიდი უმრავლესობა, რამაც გამოიწვია მათი დღევანდელი სავალალო მდგომარეობა, ვინაიდან ე. წ. „სახელმწიფო დაცვას" არ ძალუძს და არც სურს იხსნას მათი უმრავლესობა დაზიანებისა და განადგურებისგან. ათეისტური პროპაგანდა იწვევს აგრეთვე აგდებულ, ზერელე დამოკიდებულებას კულტურის ძეგლთა მიმართ მოსახლეობის უკულტურო, შეუგნებელ მასაში, რისი შედეგიც გახლავთ ის დანაშაულები, რომელთაც სჩადიან ძეგლთა მიმართ (წარწერები, ნგრევა, აფეთქება, დაწვა და სხვა). ჯერ კიდევ ჩვენი დიდი ხელოვნებათმცოდნე, აკადემიკოსი გ. ჩუბინაშვილი აღნიშნავდა, რომ „1922-1923 წლებში მთელ საქართველოში მასებს სტიქიურად მოედო ანტირელიგიური ტალღა, რის შედეგადაც ხონში, ახმეტაში, ჯუმათში და ა. შ. დაიღუპა ცალკეული საეკლესიო სიძველენი".[250]

პარელელურად ზვიად გამსახურდია მეგობრებისა და თანამოაზრეების წრესთან ერთად შეუდგა საღვთისმეტყველო კრებულის ორგანიზებას. საბჭოთა საქართველოში პროფესიონალი თეოლოგი არ არსებობდა, თუმცა იყვნენ

მაღალი განათლების მქონე ჰუმანიტარები, რომელთაც გარკვეულ დონეზე ესმოდათ ღვთისმეტყველება თავისი ასკეტური, დოგმატური და მისტიური ნაწილებით, ეგზეგეტიკა და პატროლოგია. ამ საღვთისმეტყველო კრებულების რედაქტორობა თავიდან კრიტიკოსმა და მთარგმნელმა ედიშერ გიორგაძემ იკისრა. ზვიად გამსახურდიას გარდა მასთან თანამშრომლობდნენ ფილოსოფოსი ჟორეს ცინცაძე, რუსთველოლოგი შერმადინ ონიანი, ფოლკლორისტი, კულტუროლოგი და შუმეროლოგი ზურაბ კიკნაძე და სხვები. რამდენიმე კრებულის გამოსვლამ უშიშროების კომიტეტის შეშფოთება გამოიწვია, თუმცა მათში, ერთი შეხედვით, არაფერი ყოფილა ანტისაბჭოთა ან ანტისახელმწიფოებრივი შინაარსისა. ფაქტია, რომ ამ კრებულების გამოცემა შეწყდა საპატრიარქოზე სუკ-ისა და რწმუნებულის აპარატის ზეწოლის შედეგად. ეს კიდევ ერთი ნიშანი იყო იმისა, რომ სახელმწიფო ორგანოები არ დაუშვებდნენ საპატრიარქოზე დისიდენტებისა და მათთან დაახლოებული საზოგადოების ნაწილის რაიმე გავლენას. ამის შემდეგ საპატრიარქოს „საღვთისმეტყველო კრებული“ უკვე სხვა ფორმატში, სხვა სარედაქციო ჯგუფის მიერ გამოიცა.

ფაქტია, რომ, ამ დროიდან მოყოლებული, ურთიერთობა სიონის მრევლის წევრ ზვიად გამსახურდიასა და საპატრიარქოს შორის ისევ დაიძაბა. როგორც ჩანს, ამ დაძაბულობის გასაღრმავებლად გარკვეულმა ძალებმაც იმუშავეს, რადგან ეს, ცალსახად, მათ ინტერესებში იყო. ერთ-ერთ მოგვიანო ინტერვიუში, რომელიც 1992 წლის მიწურულს გამოაქვეყნა წინააღმდეგობის მოძრაობის გაზეთმა („აღდგომა“), ვკითხულობთ: „პატრიარქი ილია მეორე სუკ-ის მითითებით წარმართავდა ჩემთან ურთიერთობას. იგი მე არასოდეს მღებულობდა, ყოველნაირად ცდილობდა ჩემს გაძევებას სიონის მრევლიდან, ვინაიდან მე ვამხელდი სუკ-ის მოქმედებას ეკლესიაში და კოლაბორაციონიზმს. იმხანად დიდი სახელი გაუვარდა ერთ-ერთი რუსული ტაძრის, ალექსანდრე ნეველის ეკლესიის მოძღვარს — რაფაელს (იგულისხმება არქიმანდრიტი რაფაელ კარელინი, კ. გ.). რახან ქართველ მოძღვრებში ვერავინ ბედავდა ჩემს ზიარებას, 1984 წელს მივმართე ზემოხსენებულ პიროვნებას, მაგრამ მისგანაც უარი მივიღე. მან მაგრძნობინა, რომ თუ მე არ დავანებებდი თავს დისიდენტურ მოღვაწეობას, იგი ვერ გახდებოდა ჩემი მოძღვარი და ვერ მომცემდა ზიარებას. ასე რომ, 1979-1987 წლებში ზიარებაც კი აკრძალული მქონდა“.

ამავე ხანებში ზვიადს რუსეთიდან დაეკონტაქტა რელიგიური დისიდენტი ლევ რეგელსონი, რომელიც წლების განმავლობაში ალ. სოლჟენიცინის მდივანი და მისი წიგნების რედაქტორი იყო. მან სსრკ-ის პოლიტბიუროს მისამართით ასეთი ბოლოთქმა მოაყოლა სოლჟენიცინის ერთ-ერთ თვითგამოცემულ წიგნს: „უზარმაზარი ქვეყნის უპასუხისმგებლო მმართველნო! დაე, ის პარალიზება, რითიც ღმერთმა თქვენი პირველი ბელადი დასაჯა, თქვენც დაგეწიოთ და გახდეს იმ დიდი სულიერი პარალიზების წინასახე, რომელიც უეჭველად უახლოვდება ყველა თქვენგანს!“ (შდრ. ალ. სოლჟენიცინი, „და ერჩოდა ხბო მუხას“) რეგელსონი საქართველოშიც ჩამოვიდა და შეხვდა ზვიადს. რუსი უფლებადამ-

ცეელის თვალსაზრისით, დისიდენტური მოძრაობა საბჭოთა კავშირში განადგურებული იყო და არაფერს აზრი აღარ ჰქონდა; შექმნილ სიტუაციაში ერთადერთი გამოსავალი სამონასტრო ცხოვრება იქნებოდაო, და რამდენადაც რუსეთში ამის შესაძლებლობა არ არის, იქნებ საქართველოში გვეცადა მონასტრის დაარსება, სადაც მამა გლებ იაკუნინი, თქვენ (ანუ ზვიადი) და მე ვიმოღვაწებდითო. ზვიადს ეს შემოთავაზება ჭკუაშიც რომ დასჯდომოდა, მაინც ეცოდინებოდა, რომ სუკ-ი ასეთი მონასტრის არსებობას არ დაუშვებდა. რაც შეეხება გლებ იაკუნინს, იგი კოჩუბეიში ჩასვლის შემდეგ მალევე დააპატიმრეს, ხოლო საპატიმროდან გამოსვლის შემდეგ არასოდეს გამოჩენილა ზვიადთან.

1982 წელს დააპატიმრეს რელიგიური დისიდენტი ვალენტინა ფაილოძე. ამჯერად მას წაუყენეს არა პოლიტიკური, არამედ ჩვეულებრივი სისხლის სამართლის ბრალდება – გამოძალვა. სასამართლომ მას მიუსაჯა 8 წლით სასჯელის მოხდა შრომა-გასწორებით კოლონიაში. ფაილოძის პროცესი სიმპტომი იყო დისიდენტებისა და უფლებადამცველების დაპატიმრებების ბოლო ტალღის დაწყებისა საკავშირო მასშტაბით, რომელიც დაახლოებით 1986 წლამდე გაგრძელდა.

1983 წელს ედუარდ შევარდნაძემ და ცენტრალური კომიტეტის ბიურომ გადაწყვიტეს ეზეიმათ გეორგიევსკის ტრაქტატის დადების 200 წლის იუბილე. კომპარტიის ცეკას ეს განზრახვა, ცხადია, შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ქართველ უფლებადამცველთა წრეებში. ზვიად გამსახურდიამ გამოსცა „სამიზდატი“ „საქართველო“ და მასში შეიტანა ისეთი მასალები, რომელთა გამოც უშიშროების კომიტეტს გაუჭირდებოდა გამოკიდება, რამდენადაც შეუძლებელი იქნებოდა ამ მასალების კვალიფიცირება „ანტისაბჭოურად“. ესენი იყო საბჭოთა საქართველოში დაფასებული და აღიარებული ისტორიკოსების, ივანე ჯავახიშვილისა და ნიკო ბერძენიშვილის წერილები გეორგიევსკის ტრაქტატის შესახებ. თავად ეს ტრაქტატი აღნიშნულ მასალებში ნეგატიურად იყო შეფასებული. თვითგამოცემაში ასევე დაბეჭდილი იყო წერილი, რომელიც საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის, ლენინის „ისკრამ“ 1901 წელს გამოაქვეყნა. ამ წერილში ლენინი გმობდა „ცარიზმის იუბილეს“. ჟურნალის 1000-მდე ეგზემპლარი დარიგდა. სტუდენტური მოძრაობის აქტივისტებმა ეს თვითგამოცემები სუკ-ის თანამშრომლების თვალწინ ჩამოურიგეს ხალხს, რომლებიც ტრაქტატის საზეიმო ღონისძიების გამო რესპუბლიკის მოედანზე დაიბარეს რეპეტიციებზე.

1982 წლის მაისში ეროვნულ-უფლებადამცველური მოძრაობის აქტივისტის, მარიამ (მარიკა) ბაღდავაძის მამა, მერაბ ბაღდავაძე დააპატიმრეს ფაბრიცირებული ბრალდებით, თითქოს იგი „ორგანოების წარმომადგენელს თავს დაესხა“. მას მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. მარიამ ბაღდავაძემ საკუთარ ბინაზე გამოაცხადა შიმშილობა, რომელმაც თითქმის 30 დღეს გასტანა. ამ ხნის განმავლობაში დისიდენტური საზოგადოება ყოველდღიურ რეჟიმში ამხნევებდა მარიამს, ხოლო ზვიად გამსახურდია გარკვეული პერიოდულობით დასავლურ სააგენტოებს გადასცემდა ინფორმაციას მიმდინარე

აქციის შესახებ. ამ შიმშილობამ შედეგი მოიტანა – საკასაციო სასამართლომ განიხილა მერაბ ბაღდავაძის საქმე და იგი გაათავისუფლეს, დაუტოვეს რა პირობითი მსჯავრი. ამასობაში შეინყალეს და პატიმრობიდან გათავისუფლდა ავთანდილ იმნაძე, რომელიც სასჯელს 14 აპრილის დემონსტრაციის გადაღების გამო იხდიდა.[251]

ამავე წლის ზაფხულში პროკლამაციების გავრცელების მცდელობისთვის დაპატიმრებულ იქნენ ირაკლი წერეთელი და პაატა საღირიძე. ეროვნულ-უფლებადამცველური მოძრაობის რამდენიმე ათეული წარმომადგენელი მივიდა საქართველოს გენერალურ პროკურორ ბარაბაძესთან. ეს იყო ერთგვარი შეხვედრაც და ერთგვარი დემონსტრაციაც. ამ შეკრებას არგუსის მზერით თვალს ადევნებდა მილიციისა და სუკ-ის ასზე მეტი წარმომადგენელი. ა. ბარაბაძემ როგორც მოსალოდნელი იყო, ვერაფერი ახალი ვერ თქვა, გარდა იმისა, რომ დაადასტურა წერეთლისა და საღირიძის დაკავების ფაქტი. წინა დღეებში ზვიად გამსახურდიამ აქტივისტებს ჩამოურიგა ესენინ-ვოლპინის მიერ შედგენილი სამახსოვრო, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო უფლებადამცველი დაკავების შემთხვევაში. წერეთლისა და საღირიძის სასამართლო პროცესზე შეკრებილმა საზოგადოებამ 11 ივლისის შეკრება დემონსტრაციაში გადაზარდა, სადაც შეეცადნენ მიტინგის ფორმით გამოსვლების მოწყობას ქუჩაზე საპროტესტო შეძახილებთან ერთად. ამას მოჰყვა ამ შეკრების აღკვეთა და 20-მდე აქტივისტის დაკავება. მათი ერთი ნაწილი გაასამართლეს – თამარ ჩხეიძე, გიორგი ჭანტურია, მარიამ ბაღდავაძე, ნანა კაკაბაძე, ზურაბ ცინცაძე, ლუიზა შაკიაშვილი. ისინი გაასამართლეს და პატიმრობა მიესაჯათ. ზვიად გამსახურდიამ მოძრაობის აქტივისტებს მანამდე სთხოვა არ გაემწვავებინათ მდგომარეობა სასამართლოსთან, რადგან დაკავების საფრთხე რეალური ჩანდა. მისი თვალსაზრისით, უფრო სწორი და ეფექტური იქნებოდა საქართველოშიც ეცადათ დაახლოებით იგივენაირი ტაქტიკა, რომელსაც პოლონური „სოლიდარობა“ მისდევდა გენერალ იარუზელსკის მიერ გამოცხადებული საგანგებო რეჟიმის პირობებში. იგი თვლიდა, რომ აქტივისტები გარეთ უფრო საჭირონი იყვნენ, ვიდრე პატიმრობაში. მაგრამ ზვიადის ეს გაფრთხილება თ. ჩხეიძემ და მისმა მეგობრებმა არ გაიზიარეს. მათ თვალში ეს გადამეტებული სიფრთხილისა და სიმხდალის გამოხატულება იყო და კიდევ ერთი დადასტურება მათი იმ ეჭვისა, თითქოს ზვიად გამსახურდია საბჭოთა ხელისუფლებამ მორალურად „გატეხა“.

ალექსეევა აღნიშნავს, რომ მოსკოვისა და საბჭოთა საქართველოს ხელისუფლებამ ამით პირველი დარტყმა მიაყენა ეროვნულ-უფლებადამცველური მოძრაობის აქტივისტების ახალ თაობას.[252] ივლისის დასაწყისში დააპატიმრეს არალეგალურ ჟურნალ „სამრეკლოს“ ერთ-ერთი გამომცემელი დავით ბერძენიშვილი. ამას 1984 წელს მოჰყვა მისი ძმის, ლევან ბერძენიშვილის, ასევე, ვახტანგ ძაბირაძისა და ვახტანგ შონიას დაკავება. პოლიტპატიმართა შორის იყო რუსთავის ჯგუფიც – ზურაბ (სულიკო) გოგია, ვახტანგ ჭითავა და ვაჟა ჟღენტი, რომლებიც მანამდე, 80-იანი წლების დასაწყისში დააპატიმრეს. რაც შეეხება ამ

პოლიტიკური პატიმრების მდგომარეობას, ზვიად გამსახურდია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მათ ოჯახებს, სისტემატურად იყო ჩართული ინფორმაციების გადაცემაში. იგივე ითქმის ვალენტინა ფაილოძის ოჯახზეც, სადაც იგი ხშირად მიდიოდა ინფორმაციების მისაღებად, ასევე დასახმარებლად. მოგვიანებით დააკავეს, ასევე, რუსთავის მკვიდრი გურამ გოგბაიძე, რომელსაც მიესაჯა პატიმრობა რამდენიმე წლით. იყვნენ სხვა პოლიტპატიმრებიც: თენგიზ გუდავამ, ედუარდ გუდავამ და ენრიკო თვალაძემ შექმნეს თავიანთი „ჰელსინკის ჯგუფი". ისინი დაპატიმრებულნი იქნენ 1986 წელს ანტისაბჭოთა მოღვაწეობის ბრალდებით და მალევე გაასამართლეს. რამდენადაც მათ მოუსწრო „პერესტროიკამ" და ლიბერალიზაციამ, ისინი 1987 წელს გაათავისუფლეს. თენგიზ და ედუარდ გუდავებმა საქართველოში დარჩენა არ ისურვეს და დასავლეთ ევროპაში გაემგზავრნენ. ეროვნულ-უფლებადამცველური მოძრაობის წარმომადგენლებმა ზვიადთან და მერაბთან ერთად ისინი დემონსტრაციულად ტაშით გააცილეს თბილისის აეროპორტიდან.

ეროვნულ-უფლებადამცველური მოძრაობის ყურადღება მიიპყრო ჟურნალისტ ნაზი შამანაურის შემთხვევამ, რომლის ისტორია ასე განვითარდა: 1982 წლის 14 აგვისტოს, ჩარგალში, ვაჟაობის დღესასწაულზე, რომელსაც ესწრებოდნენ საქართველოს ოფიციოზის წარმომადგენლებიც, შამანაური სიტყვით გამოვიდა. ამ გამოსვლაში მან გაბედულად ამხილა რაიონის თანამდებობის პირთა თვითნებობა და დანაშაულის ჩადენის ნიშნები. იგი იმავე დღეს თავის დედასთან ერთად დააკავეს სუკ-ისა და მილიციის წარმომადგენლებმა. დუშეთის რაიონის სასამართლომ დედა-შვილს იძულებითი მკურნალობა მიუსაჯა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში. ნაზი შამანაურმა დაახლოებით 70 დღე იშიმშილა. ასათიანის ქუჩაზე მდებარე ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მას იძულებით მკურნალობდნენ ნეიროლეპტიკური ინექციებითა და ინსულინური შოკებით. 1983 წლის იანვარში შამანაური საავადმყოფოს მომვლელებმა სასტიკად სცემეს, რის შედეგადაც მიიღო თავის ქალის ტრავმა და განუვითარდა პერიტონიტი. იგი თბილისის მეცხრე კლინიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც მალევე გარდაიცვალა.[253]

სუკ-მა ეს ყოველივე საკმაოდ კარგად დამალა, ისე, რომ ეროვნულ-უფლებადამცველურმა მოძრაობამ ეს ამბავი ტრაგიკული დასასრულის შემდეგ, პოსტფაქტუმ შეიტყო. ინფორმაციამ ზვიად გამსახურდიასთან მიაღწია, რომელიც მაშინვე მივიდა საავადმყოფოში. იქვე მივიდნენ თამარ ჩხეიძე, მარიამ ბაღდავაძე, ზურაბ ცინცაძე, გუძა აფაქიძე და სხვები. რასაკვირველია, სუკ-ისა და მილიციის წარმომადგენლებიც შორიახლოს განთავსდნენ. შამანაურის შემთხვევის შესახებ ინფორმაცია გადაეცათ დასავლურ სააგენტოებსა და საელჩოებს.

რელიგიურ და ეკლესიურ აღორძინებას შედეგად მოჰყვა ახალგაზრდობის გარკვეული, შედარებით ინტელექტუალური ნაწილის სენსიბილიზება ქრისტიანობისა და ეკლესიის მიმართ. ასევე დაისვა საკითხი, რამდენად შესაძლო იყო, ქრისტიანი კონფლიქტში არ შესულიყო კომუნისტურ, მებრძოლი ათეიზმის

იდეოლოგიით აღჭურვილ ხელისუფლებასთან. სწორედ ამის გამოხატულება იყო „თვითმფრინავის ბიჭების“ საქმე, რომელშიც ჩართულნი იყვნენ საბჭოთა წყობილებისადმი კრიტიკულად განწყობილი ახალგაზრდები: სოსო წერეთელი, გეგა კობახიძე, თინა ფეტვიაშვილი, დათო მიქაბერიძე, ძმები ივერიელები. ისინი სწორედ ქრისტიანობისა და ბიბლიის ყველაზე მართებულ ინტერპრეტაციას ეძებდნენ და ფაქტია, რომ ოფიციალურ ეკლესიაში ასეთი რამ მათ ვერ იპოვეს. ამიტომ გადავიდნენ ბაპტისტურ რელიგიურ თემში, თუმცა იქაც ვერ ნახეს ის, რასაც ეძებდნენ. ამის შემდეგ ისინი ეძებდნენ შესაძლებლობას, რათა ერთად გაეღწიათ ამერიკის შეერთებულ შტატებში. სწორედ ამას უკავშირდება 1983 წლის 18-19 ნოემბერს მომხდარი სამგზავრო თვითმფრინავის გატაცების მცდელობა სსრკ-დან თავის დაღწევის მიზნით, როდესაც შვიდი ქართველი ახალგაზრდის მონაწილეობით გატაცებულ იქნა თვითმფრინავი ტუ-134ა.

თვითმფრინავის გატაცებამდე ერთი დღით ადრე გეგა კობახიძემ და თინა ფეტვიაშვილმა იქორწინეს. მომდევნო დღეს მათ სხვებიც (სოსო წერეთელი, დათო მიქაბერიძე, ძმები ივერიელები, გია ტაბიძე) შეუერთდნენ და ისინი ერთად თვითმფრინავში ავიდნენ, რომელმაც გეზი ბათუმისკენ აიღო. რამდენადაც თვითმფრინავში მათ მოახერხეს ცეცხლსასროლი იარაღის შეტანა, მათი გეგმა იყო, თვითმფრინავის ეკიპაჟისთვის გეზი ძალით შეეცვლევინებინათ და იგი თურქეთში დაესვათ. ამ ახალგაზრდებიდან რამდენიმეს გავლენიანი და საქართველოს სსრ-ში რენომირებული მშობლები ჰყავდა. ეს გზა ახალგაზრდებმა იმიტომ აირჩიეს, რომ მათ არც ერთად, არც ცალ-ცალკე დანამდვილებით არ გაუშვებდნენ კაპიტალისტურ საზღვარგარეთში და, სავარაუდოდ, არც სოციალისტურ საზღვარგარეთში, რამდენადაც ისინი საქართველოსა და საკავშირო სუკ-ის თვალში არასანდო ელემენტებად იყვნენ მიჩნეულნი. ახალგაზრდების მცდელობა წარუმატებლად დასრულდა – ეკიპაჟის ერთ-ერთმა წევრმა ცეცხლი გახსნა, რის შედეგადაც ატეხილ სროლას ორივე მხრიდან მოჰყვა მსხვერპლი.

ამის შემდეგ თვითმფრინავი კვლავ თბილისის აეროპორტში დაჯდა. მოსკოვიდან ჩამოყვანილმა სპეცდანიშნულების რაზმმა ჯერ მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევით გარედან გაუხსნა ცეცხლი თვითმფრინავს, შემდეგ კი განახორციელა თვითმფრინავის შტურმით აღების სპეცოპერაცია. ცოცხლად გადარჩენილი კახა ივერიელი, პაატა ივერიელი, გეგა კობახიძე და თინათინ ფეტვიაშვილი დააპატიმრეს და სუკ-ის იზოლატორში მოათავსეს. როდესაც მოახლოვდა სასამართლო პროცესი, აშკარა გახდა, რომ მოსამართლე უმაღლეს განაჩენს, ანუ დახვრეტას მიუსჯიდა მათ, ყოველ შემთხვევაში, კობახიძესა და ივერიელებს მაინც. ამის გამო ზვიად გამსახურდიამ ნათელა მაჭავარიანს, გეგა კობახიძის დედას, სთხოვა მთელი მასალები მიეცათ მისთვის, რომელთაც იგი გადასცემდა უცხოურ სააგენტოებს, რათა მათ, თავის მხრივ, რეპორტაჟები მოემზადებინათ. ამას კი შესაძლოა, გარკვეული დაცვა შეექმნა დაპატიმრებული განსასჯელებისთვის. ურთიერთობა მათ შორის უშუალოდ არ შემდგარა, აქ შუამავალი მე ვიყავი. ნათელა მაჭავარიანმა უარი განაცხადა მასალების გადა-

ცემაზე – გეგას ოჯახი იმჟამად იმედოვნებდა, რომ ინტელიგენციის წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი პეტიცია ახალგაზრების მიმართ ჰუმანურობის გამოჩენის მოთხოვნით, ზემოქმედებას იქონიებდა ხელისუფლებაზეც და მათდამი დაქვემდებარებულ სასამართლოზე, თუმცა ეს ასე არ მოხდა. სასამართლომ გამოიტანა უმაღლესი განაჩენი – დახვრეტა, რომელიც მალევე, თბილისის ციხეში აღასრულეს.

წარმოუდგენელი და აღმაშფოთებელია ის ფაქტი, რომ ამ ჯგუფთან ერთად გასამართლდა და დაიხვრიტა მღვდელი თეოდორე ჩიხლაძე, რომელიც საერთოდ არ მონაწილეობდა თვითმფრინავის გატაცებაში და ამ ახალგაზრდებთან თვითმფრინავის გატაცებამდე ერთი წლით ადრე კავშირი საერთოდ გაწყვეტილი ჰქონდა. ზვიადის თვალსაზრისით, ეს სამღვდელო პირი დაიხვრიტა იმის გამო, რომ უარს აცხადებდა სუკ-თან თანამშრომლობაზე და მისი ამ საჩვენებელი დასჯიდან ყველა სამღვდელო პირს თავისი დასკვნა უნდა გამოეტანა, ვიდრე არ დათანხმდებოდა სუკ-თან რაღაც ფორმით თანამშრომლობას, რაც, მინიმუმ, მორჩილებას ან მითითებული საზღვრის არგადალახვას გულისხმობდა. თეოდორე ჩიხლაძე და დიაკვანი გია მაჩაბელი, როგორც რელიგიური დისიდენტები, ცნობილები იყვნენ იმით, რომ ღიად აკრიტიკებდნენ საბჭოთა ხელისუფლების კურსს, მაგალითად, გმობდნენ ომსა და ოკუპაციას ავღანეთში, მხარს უჭერდნენ პოლონეთის „სოლიდარობას“, ებრაელი „ოტკაზნიკების“ გამგზავრებას ისრაელში და ა. შ. დიაკვანმა გია მაჩაბელმა მოძღვარი თეოდორეს ბედი გაიზიარა, ოღონდ სხვანაირად: იგი ბეთანიაში იპოვეს კლდიდან გადაჩეხილი.

თვითმფრინავის გატაცების მცდელობა და მგზავრების მძევლად აყვანა რომ დანაშაულებრივი ქმედებაა და ტერორიზმია, ეს საკითხი საკამათო ნამდვილად არ არის. მაგრამ კანონმდებლობა, რომელიც ზღუდავდა ადამიანის ელემენტარულ უფლებას, წასულიყო და ეცხოვრა იქ, სადაც სურდა, განა ტირანიის ქმედით ინსტრუმენტად არ იყო ქცეული? სადაც არათუ კაპიტალისტურ დასავლეთში, არამედ რომელიმე სოციალისტურ ქვეყანაში ტურისტულად წასვლასაც კი საბჭოთა სუკ-ის და „ოვირის“ ნებართვა ესაჭიროებოდა? რაში უნდა დასჭირვებოდათ საბჭოთა ადამიანებს საკუთარი სიცოცხლის რისკის ქვეშ დაყენება, რომ ხან საზღვაო გზებით, ხანაც გაუვალ ტყე-ღრეში ეცადათ ქვეყნიდან გაქცევა? ფაქტია ისიც, რომ ამ ამბავმა მძლავრად შეარყია ე. შევარდნაძის მიერ არაერთგზის ნაქები, საქართველოს სსრ-ის სანიმუშო ჭაობი.

ამ პერიოდში ზვიად გამსახურდიას სახლში რუსი ეროვნების უცნობი სამხედრო პირი ეწვია, რომელმაც გამოთქვა მწერლის საფლავის მონახულების სურვილი. სამხედრო მუნდირში გამოწყობილმა ხანში შესულმა მამაკაცმა მასპინძელს თავი გააცნო გენერალ შალამოვად. როდესაც საფლავის მონახულება დაასრულა, უკვე წასვლისას ასეთი რამ ჰკითხა ზვიადს: „არის ასეთი რუსი ავტორი პიკული. თქვენ მისი წიგნი წაკითხული გაქვთ?“ როდესაც უპასუხეს არაო, მან თქვა: „წაიკითხეთ აუცილებლად. პირველ წიგნს ჰქვია „სიმდიდრე“. მეორეს – „უკანასკნელ ზღვართან“, ხოლო მესამეს და ბოლოს – „საზღვარგარეთ

განდევნა". აშკარა იყო, რომ ეს კაცი სუკ-ის, სსრკ-ის საგანგებო-საიდუმლო პოლიტიკური პოლიციის გზავნილის ეზოპურ ენაზე გადმოსაცემად იყო მოსული.

საბჭოთა საქართველოში სტაგნაციის ბოლო პერიოდში მოხერხდა კონსტანტინე გამსახურდიას ძეგლის დადგმა ვაკეში, 1983 წლის ივნისს, გამოსაჩენ ადგილზე, ე. წ. გეგეშიძის ბაღში, რომელსაც ხალხი იქვე ახლოს მცხოვრები გ. გეგეშიძის, ვასილ მჟავანაძის დროს საქართველოს ცენტრალური კომიტეტის მდივნისა და ბიუროს წევრის სახელით იხსენიებდა. ძეგლის ავტორია მოქანდაკე თენგიზ კიკალეიშვილი. ძეგლმა აზრთა სხვადასხვაობა და პოლემიკა გამოიწვია საზოგადოებაში. ზვიად გამსახურდიამ წერილიც კი მიუძღვნა ამ საკითხს, რომელიც გადაბეჭდილი ფორმით გაავრცელა. როგორც ირკვევა, ცეკას მდივანი იდეოლოგიური ხაზით, გ. ენუქიძე რამდენიმეჯერ ეწვია მოქანდაკეს სახელოსნოში და გარკვეული მითითებები მისცა. თავიდან ძეგლი ჩოხოსანი იყო, ხელი კი ხანჯალზე ედო. თუმცა შემდეგ მოქანდაკეს ჩოხის ნაცვლად რაღაც სხვა სამოსი გააკეთებინეს, ხანჯალი კი საერთოდ გააქრეს. ზვიად გამსახურდიას პროტესტის შემდეგ ჩოხა დააბრუნეს, თუმცა ხანჯლიდან ხელი ააღებინეს. ზვიად გამსახურდიას მაინც დადებითი დამოკიდებულება ჰქონდა ამ ძეგლისადმი, რამდენადაც ეს, მისი თვალსაზრისით, ექსრპესიონისტული ქანდაკება იყო, რომელიც მწერლის ბუნებას კარგად გამოხატავდა. ამავე დროს აღნიშნა, რომ ჩოხა განსაკუთრებულად ნიშანდობლივი იყო: მწერალი, ისევე როგორც ჩოხოსანი შამილი, კავკასიური წინააღმდეგობის სიმბოლოს წარმოადგენდა.[254] მჯდომარე ძეგლის პოზაში თითქოს ფეხზე წამოდგომის განზრახვა იყო განივთებული, რაც ქართველი ხალხის ფეხზე წამოდგომას განასახიერებდა. ძეგლი საქართველოს ცეკას, მწერალთა კავშირისა და კულტურის სამინისტროს ნარმომადგენლებმა გახსნეს.

1983 წლის მაისში გაიხსნა მწერლის მემორიალური მუზეუმი სოფელ აბაშაში, რომლის გახსნასაც ზვიად გამსახურდია ოჯახის სრული შემადგენლობით დაესწრო. 1984 წლის 9 თებერვალს 70 წლის ასაკში დაიღუპა პოლიტბიუროს წევრი, საკავშირო სუკ-ის ყოფილი თავმჯდომარე, ლეონიდ ბრეჟნევის დაღუპვის შემდეგ კი სკკპ-ის ცეკას გენერალური მდივანი, სოციალისტური შრომის გმირი იური ანდროპოვი. ოფიციალურად მისი სიკვდილის მიზეზად თირკმლების გათიშვა დასახელდა. იგი, სიკვდილამდე, საკმაო ხნის განმავლობაში მკურნალობდა. ანდროპოვი გენერალური მდივნის პოსტზე კონსტანტინე ჩერნენკომ შეცვალა. მის გარდაცვალებას წინ უძღოდა დასავლეთის გარკვეული აქტივობები პატიმრობაში მყოფი დისიდენტების დასაცავად.

1985 წლის 25 იანვარს ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კომისიამ მერაბ კოსტავა საბჭოთა დისიდენტების ჯგუფთან ერთად მშვიდობის დარგში ნობელის პრემიაზე წარადგინა. კონგრესის დოკუმენტებში ვკითხულობთ: „ნობელის ინსტიტუტს, ოსლო-ნორვეგია: პატივი გვაქვს, 1985 წლის ნობელის პრემიაზე წარვადგინოთ იური ორლოვი, ანატოლი შჩერანსკი, ნიკოლა რუდენკო, ვიქტორას პიატკუსი,

ედვარდ არუთუნიანი და მერაბ კოსტავა. ისინი ხელმძღვანელობენ მოსკოვის, უკრანის, ლიტვის, ლატვიისა და საქართველოს „ჰელსინკის ჯგუფებს“. მათი დამსახურებაა ადამიანის უფლებათა მოძრაობის დაცვის ზრდა მსოფლიოში. დღეს „ჰელსინკის ჯგუფის“ 39 დამკვირვებელს, უფლებადაცვითი საქმიანობის გამო, ჯამში, 348-წლიანი პატიმრობა აქვთ მისჯილი. მათ შორის, მერაბ კოსტავას 1978 წლის 19 მაისს მიუსაჯეს თავისუფლების აღკვეთა, ხოლო1981 წლის 15 დეკემბერს დაუმატეს 5 წელი. დღეს ეს მამაცი ადამიანები, საბჭოთა ციხეებსა და ლაგერებში იტანჯებიან, უარი მიმოწერის უფლებაზე, მათ მიმართ აშკარაა განსაკუთრებული სასტიკი დამოკიდებულება ციხის ადმინისტრაციის მხრიდან. 1984 წლის დასაწყისში მერაბ კოსტავამ გამოაცხადა უვადო შიმშილობა. ამ 6 ადამიანის თავგანწირული ბრძოლა ჰელსინკის პრინციპებისთვის, ცოცხალი მტკიცებულებაა იმისა, რომ ადამიანის უფლებების დაცვა შესაძლებელია ყველგან. ჩვენ ვთვლით, რომ ეს უშიშარი ადამიანები, რომლებიც თავიანთი თანამემამულეების მისწრაფებებს აერთიანებენ საკუთარ თავში, იმსახურებენ ნობელის ინსტიტუტის აღიარებას მშვიდობის დარგში“.[255]

ამ წარდგენიდან რამდენიმე დღეში ზვიად გამსახურდია მივიდა მერაბის სახლში, სადაც ცხოვრობდნენ მისი დედა, ოლღა დემურია-კოსტავა და მერაბის ვაჟი ირაკლი. ირაკლი ცოტა უგუნებოდ იყო ამ დღეს. ზვიად გამსახურდიამ ირაკლის სთხოვა მაქსიმალურად ფრთხილად ყოფილიყო და ყურადღება ყველა წვრილმანისთვის მიექცია. ირაკლი კოსტავა, ამ დროს უკვე 24 წლის ახალგაზრდა კაცი იყო, პროფესიით მათემატიკოსი, რომელმაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ მუშაობა მათემატიკის ინსტიტუტში დაიწყო. იმ საღამოს იგი წვეულებაზე იყო ჩემთან ერთად, ჩვენი საერთო მეგობრის გოგონას დაბადების დღის აღსანიშნავად. მას დეპრესიისა საერთოდ არაფერი ეტყობოდა. იგი მომდევნო დღეს, გამთენიისას ჩამომხრჩვალი იპოვეს მერაბის სასტუმრო ოთახის რიკულებიან ფანჯარასთან. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დიაგნოზი იყო – „ასფიქსია ჩამოკიდებით“. მანამდე, 2 თებერვალს, ირაკლი სუკ-ში ყოფილა დაბარებული, რაზეც მან მოუთხრო ჯონდო მეტრეველს, „გორგასლიანის“ ვეტერანს, ოღონდ საუბრის დეტალებს მერე გეტყვიო. სამწუხაროა, რომ ეს „მერე“ აღარასოდეს დამდგარა ირაკლის გარდაცვალების გამო.[256] ყველა, ვინც ირაკლი იმ საღამოს ნახა, მათ შორის ამ სტრიქონების ავტორიც, დაადასტურებს, რომ მას ნამდვილად არ ეტყობოდა სუიციდური განწყობილება. იგი საკმაოდ ოპტიმისტურ ტალღაზე იყო.

ბოლო ორი წელიწადი უძრაობის ხანის დასრულებისა, „პერესტროიკის“ დაწყების წინ, საკმაოდ მძიმე და სისხლიანი გამოდგა.

2.17. ჰელსინკის შედეგების შესახებ

80-იანი წლების პერიოდზე, შესაძლოა ითქვას, რომ დისიდენტური მოძრაობა საბჭოთა კავშირის მასშტაბით თითქმის პარალიზებული იყო. დისიდენტების უმეტესობა გასამართლების შემდეგ პერმის, მორდოვიისა და ციმბირის ლაგერებში გაამწესეს ან ქვეყნიდან გააძევეს. ვინც გარეთ დარჩა, იმყოფებოდა სუკ-ის პერმანენტული მეთვალყურეობის ქვეშ. ცხოვრება თავისი რუტინული კალაპოტით მიედინებოდა, თვითგამოცემითი ლიტერატურაც, იშვიათი გამონაკლისის გარდა, აღარსად იბეჭდებოდა. არასაბჭოურად მოაზროვნე საზოგადოებაში იგრძნობოდა გულგატეხილობა, საუბრებში ჭარბობდა პესიმისტური განწყობა, რომ საბჭოურ ტოტალიტარიზმთან დაპირისპირებას „აზრი არ ჰქონდა", რამდენადაც ძალა მათ მხარეზე იყო. თუმცა უკვე 80-იან წლებში საკითხში გათვითცნობიერებულ საზოგადოებაში ჟონავდა ჰიპოთეზები, რომ ასე დაუსრულებლად ვეღარ გაგრძელდება. ეს განცდა კიდევ უფრო ინტენსიური გახდა იური ანდროპოვის გარდაცვალების შემდეგ.

ჰელსინკის ხელშეკრულება, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის პროცესს, დადებული იყო, ერთი მხრივ, დასავლეთის ქვეყნებს, მეორე მხრივ, სსრკ-ს შორის, ორ ერთმანეთისგან განსხვავებულ ინტერესსა და პრიორიტეტებს ასახავდა. დასავლეთისთვის დოკუმენტი წარმოადგენდა საფუძველს იმ მშვიდობიანი გარდაქმნებისთვის, რომელსაც ხანგრძლივი დროით უნდა განეპირობებინა სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების სტაბილობა ევროპის არეალზე. ხოლო საბჭოთა კავშირისთვის მნიშვნელოვანი იყო ლეგიტიმური გაეხადა თავისი ძალაუფლებრივ-პოლიტიკური პრეტენზია ევროპის აღმოსავლეთ ნაწილზე.[257] დისიდენტურად განწყობილ საზოგადოებაში არ ცხრებოდა კამათი იმის თაობაზე, თუ რა მოიტანა საბოლოო ჯამში ჰელსინკმა, მაშინ როდესაც ყველაფერი, ერთი შეხედვით, თავის ადგილზე დარჩა. ისე ჩანდა, რომ მოხდა ადამიანების გათვითცნობიერება, როგორც ამას ლუდმილა ალექსეევა წერდა ჰელსინკის შედეგთა შესახებ: „საბჭოთა მოქალაქეები, წაიკითხეს რა ფინალური აქტის ტექსტი დოკუმენტებში, გაოცებულები დარჩნენ ჰუმანიტარული პარაგრაფებით. ეს პირველად იყო, როდესაც მათ გაიგეს რაღაც ამა თუ იმ საერთაშორისო მოვალეობაზე, რის მიღმაც იგულისხმებოდა მათი ხელისუფლების მიერ ნაკისრი ვალდებულებები ადამიანის უფლებათა სფეროში".[258]

თუმცა ეს მხოლოდ გათვითცნობიერება არ ყოფილა: მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა, კომუნისტური იდეოლოგიით მომართული პრესა ყველანაირ დეზინფორმაციას ავრცელებდა დისიდენტებისა და უფლებადამცველების შესახებ, მოსახლეობის დიდ ნაწილს ეს არ სჯეროდა. ისინი, ბევრი ადამიანის თვალში სამოქალაქო მორალის, ღირსებისა და სინდისის გმირები იყვნენ. თუმცა საშინაო და საგარეო ფაქტორებმა, ერთობლიობაში, გარკვეული დინამიკა წარმოქმნეს, რომელმაც თავად სსრკ-ში მოამზადა ცვლილებები. ალბათ ისიც არ იყო შემ-

თხვევითი, რომ სწორედ გრომიკო, საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი, პოლიტბიუროს სხდომაზე ემხრობოდა ჰელსინკის ძირითად დოკუმენტზე ხელმონერას და გაიმარჯვა სწორედ მისმა თვალსაზრისმა. სსრკ-ის საგარეო უწყებაში, სუკ-ში, ამერიკისა და კანადის ინსტიტუტში, უცხოეთთან ეკონომიკური ურთიერთობების ნაწილში იყვნენ ისეთი პირები, მეტწილად დიპლომატიურ სამსახურში ნამუშევრები, რომლებიც, უნდოდათ ეს თუ არა, აღმოჩნდნენ ამ მოვლენების რეციპიენტები ანუ მიმღებები და გამომწვევებიც. სწორედ ასეთ წრეებში იხარშებოდა იდეა ცვლილებებისა, ოღონდ, ცხადია, სსრკ-ის დაშლა ასეთ პირებს თავში აზრადაც არ მოსვლიათ.

ჯონ მარესკა, აშშ-ის დელეგაციის ერთ-ერთი წარმომადგენელი ჰელსინკიში აღნიშნავდა, რომ თავიდან სულერთი იყო, რა ეწერა დასკვნით აქტში. ერთადერთი, რასაც ფასი ჰქონდა, ისაა, რომ დასკვნითი დოკუმენტი, როგორც ასეთი, მაინც შედგა და იყო კონსენსუსი ადამიანის უფლებებზე, ასევე ადამიანების თავისუფალი გადაადგილებისა და ინფორმაციის გადაცემის შესახებ. როგორც ჩვენთვის ცხადი გახდა მომდევნო თვეებსა და წლებში, დისიდენტები სსრკ-სა და აღმოსავლეთ ევროპაში ყოველ ახალ ეუთოს დოკუმენტს ეყრდნობოდნენ. ბოლოს და ბოლოს, დისიდენტების მოძრაობები და უბრალო ადამიანთა მისწრაფებები იყო ის, რამაც კომუნისტური სისტემა ჩამოშლამდე მიიყვანა. როდესაც ცივი ომი დასასრულს მიუახლოვდა, ჩვენ დავინახეთ, რომ დასკვნითმა აქტებმა ახალი დინამიკა წარმოქმნა, დინამიკა, რომელიც ახალ, უნივერსალურ ფასეულობათა სისტემას ეფუძნებოდა".[259]

ამ პროცესს დასავლეთის სახელისუფლებო წრეებში ჰყავდა თავისი ამაჩქარებლები და შემნელებლებიც, რეტარდირების ბერკეტებით მომქმედი ძალები. ასე მაგალითად, პრეზიდენტმა ჯერალდ ფორდმა, ჰენრი კისინჯერის რჩევით, უარი განაცხადა ალექსანდრ სოლჟენიცინის მიღებაზე თეთრ სახლში. ეს ყოველივე რიჩარდ ნიქსონის პრეზიდენტობის ბოლო პერიოდის ინერცია იყო (ანუ უოტერგეიტამდე). ხოლო პრეზიდენტ კარტერის დროს განხორციელდა შემობრუნება კისინჯერისეული „განმუხტვის" პოლიტიკიდან, რამაც საბჭოთა კავშირზე დიდი ზემოქმედება იქონია. ასე მაგალითად, გიორგი არბატოვი, ამერიკისა და კანადის ინსტიტუტის დირექტორი აღნიშნავდა, რომ ბრეჟნევიდან გორბაჩოვამდე პერიოდში როგორც ამერიკელი პოლიტიკოსები, ისე მედიის წარმომადგენლები ხშირად თავდაცვით, არამომგებიან პოზიციაში ამყოფებდნენ მოსკოვს – სწორედ ადამიანის უფლებების არგუმენტაციის გამოყენებით და ასე ხდებოდა პოლიტიკური ზეწოლაც.[260]

ეს ყოველივე კიდევ უფრო გაამძაფრა სსრკ-ის მიერ „სამშვიდობო მიზნებით" ჯარის შეყვანამ ავღანეთში, როგორც საბჭოთა პროპაგანდა აცხადებდა, ავღანელი ხალხის მიმართ „ინტერნაციონალური მოვალეობის" მოხდის მიზნით. რაც სსრკ-ში ხდებოდა დისიდენტებთან მიმართებით და როგორც ეს აღწევდა საზღვრებს გარეთ, ცხადია, ზემოქმედებას ახდენდა დასავლეთის, უწინარეს ყოვლისა, აშშ-ის საგარეო პოლიტიკაზე. აშშ-ის „რეალისტურ" საგარეო პოლი-

ტიკას საკმაო ხანია, თავისი კრიტიკოსები ჰყავდა. ესენი იყვნენ პოლიტიკურად პოზიციონირებულნი როგორც მარჯვნივ, ისე მარცხნივ: განსაკუთრებით აქტიურობდნენ მემარცხენე-ლიბერალური მწერლები და პუბლიცისტები, თუმცა არც ტრადიციული ანტისაბჭოურობითა და ცივი ომის მგზნებარე მომხრეობით გამორჩეული ამერიკელი რესპუბლიკელები აკლებდნენ ხელს, როგორც მაგალითად, ჯესი ჰელმსი. ისინი 1973 წლიდან საკმაოდ მწვავედ ექომაგებოდნენ სსრკ-სა და აღმოსავლეთ ევროპაში რეპრესირებულ ოპოზიციონერებს და მოითხოვდნენ ადამიანის უფლებებზე ორიენტირებულ საგარეო პოლიტიკას.

ეს შემობრუნება აშშ-ის საგარეო პოლიტიკისა შედგა ჯიმი კარტერის პრეზიდენტობის დროს, რომლის მრჩეველიც უსაფრთხოების საკითხებში იყო პოლონური წარმოშობის პოლიტოლოგი ზბიგნევ ბჟეზინსკი. მან და ეროვნებით პოლონელმა რომის პაპმა უდიდესი სამუშაო გასწიეს აგრესიული საბჭოთა ტოტალიტარიზმის შეზღუდვისა და მისი პოზიციების მორყევისთვის აღმოსავლეთ ევროპაში. რონალდ რეიგანის ეპოქა კი უკვე ამ ყოველივეს ლოგიკური გაგრძელება იყო. და როდესაც 1985 წლის 10 მარტს, საკმაოდ მძიმე ავადმყოფობის შედეგად გარდაიცვალა სსრკ-ის კომპარტიის გენერალური მდივანი კონსტანტინ ჩერნენკო, ვერავინ იფიქრებდა, რომ ქვეყანაში დაიწყებოდა ცვლილებებზე მიმართული კურსი, რომელიც, სხვადასხვა ფაქტორის ზემოქმედებით, თანდათან გაღრმავდებოდა და აჩქარდებოდა.

3

უფლებადამცველური მოძრაობიდან ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისკენ

3.1. სსრკ-ის ახალი კურსი და საქართველო

როდესაც 1911 წელს დაბადებული სკკპ-ის გენერალური მდივანი კ. ჩერნენკო სსრკ-ის უმაღლესი თანამდებობის დაკავებიდან ძალიან მალე გარდაიცვალა, მსოფლიო სახელმწიფოები სუნთქვაშეკრულნი ელოდნენ, ვინ დაიკავებდა უმაღლეს პოსტს კრემლში და ვინ გააგრძელებდა ლენინის, სტალინისა და ბრეჟნევის მემკვიდრეობას. ამჯერად მყიფე ჯანმრთელობის მქონე მორიგი მოხუცის ნაცვლად (და ასეთნი პოლიტბიუროში კიდევ იყვნენ, რის გამოც „გერონტოკრატიაზეც“ იყო საუბარი), შედარებით ახალგაზრდა და ენერგიული კაცი დაწინაურდა – პოლიტბიუროს წევრი მიხეილ გორბაჩოვი. მის შესახებ შევარდნაძის ბიოგრაფიაში ვკითხულობთ, რომ იგი 47 წლისა იყო, ფიზიკური და ინტელექტუალური ძალების სიმწიფის ასაკში, ენერგიული და დინამიკური, რომელსაც არა მარტო ღრმად არგუმენტირებული საუბარი შეეძლო, არამედ ახასიათებდა მოსმენის უნარიც. თუმცა იქვე დამაფიქრებელ ფრაზას ვკითხულობთ – სსრკ-ის ხელმძღვანელობაში მას უყურებდნენ როგორც ისეთ ლიდერს, რომელსაც შეეძლო ქვეყანა გამოეყვანა კოლექტიური დეპრესიისგან, რომელშიც ბრეჟნევისა და ჩერნენკოს დროს ჩავარდა. ანუ პოლიტბიურო ფსიქოთერაპევტის როლში ხედავდა ახალ ლიდერს? თუ ეს ყოველივე კონკრეტული მონაცემების ცოდნასა და ანალიზს უნდა დაფუძნებოდა, რათა კოსმეტიკური ღონისძიებების ნაცვლად ენერგიული რეფორმირების შეუქცევადი პროცესი დაწყებულიყო?

სინამდვილეში საქმე გაცილებით რთულად იყო. როდესაც მსჯელობენ სსრკ-ის კრიზისის მიზეზებზე, საკმაოდ კომპლექსური სურათი იხატება. ამ მიზეზების გარეშე კი წარმოუდგენელი იყო ისეთი ადამიანის მოსვლა კრემლის უმაღლეს პოსტზე, როგორიც იყო მიხეილ გორბაჩოვი. ეს მიზეზებია: 1. საბჭოთა გეგმური ეკონომიკის არაეფექტურობა, სასაქონლო დეფიციტში გამოხატული, ასევე ნავთობზე ფასების დავარდნა მსოფლიო ბაზარზე, რაც იყო შემოსავლის ძირითადი წყარო. „გოსსნაბისა“ და „გოსპლანის“ ცენტრალიზებული დიქტატურა, ადგილობრივი სპეციფიკის გაუთვალისწინებლობა; 2. სსრკ-ს, როგორც ევრაზიული კოლოსის ეთნიკური და ცივილიზაციური მრავალფეროვნება, რომელთაც ნაკლებად ჰქონდათ გამაერთიანებელი ფაქტორები, სამაგიეროდ, სხვადასხვა ეთნიკურ ელიტებს როგორც მოკავშირე რესპუბლიკებში, ისე ავტონომიებში ჰქონდათ საკმაოდ ღრმა ფესვების მქონე, ისტორიული უთანხმოებანი და ფარული შუღლი. იდეოლოგია უცდომელ პარტიაზე, როგორც ხალხის „გონებაზე, ღირსებასა და სინდისზე,“ ასევე პოლიტიკური მმართველი ფენის მიერ გადანერილი სსრკ-ის ისტორია და ომის გმირების კულტი ერთიანობის დუღაბად აღარ კმაროდა; 3. ასე თუ ისე ფუნქციონირებადი „ცენტრი“ სახელმწიფო მოწყობის ფორმად ფედერალიზმს აცხადებდა, რასაც სინამდვილეში არაფერი ჰქონდა საერთო ევროპისა და ამერიკის კლასიკურ ფედერალიზმთან – უზარმაზარი ქვეყანა ხისტი ვერტიკალის პრინციპით იმართებოდა, თუმცა აქაც დაწყე-

ბული იყო „აცდენები“ და „ჩავარდნები“. საბჭოთა პოლიტიკური სისტემა ეფუძნებოდა ნომენკლატურულ მოდელს. არ იყო ძალა და მექანიზმი, რომელიც შიდა დეგრადაციის პროცესს შეაჩერებდა; 4. ტოტალიტარიზმში მოსახლეობას უფლებები საერთოდ არ გააჩნდა. ყველგან ბატონობდა ცენზურა, კოლექტივიზმი, იდეოლოგიზაცია. ეს ნიშნავდა, რომ რაციონალური წინადადება ან არსად არ გადიოდა, ან ძალზე იშვიათად; 5. სსრკ და სოციალისტური ბანაკი, რომელსაც პირობითად მეორე მსოფლიო ერქვა და ერთიანდებოდა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოში“, ყველა პარამეტრით საკმაოდ ჩამორჩებოდა დასავლეთის პოსტინდუსტრიულ ქვეყნებს. საბჭოთა პროდუქცია ან აქვე გადიოდა სარეალიზაციოდ, ან ცალკეულ „მესამე მსოფლიოს“ ქვეყანაში; 6. უზარმაზარი თანხები მიდიოდა პარტაპარატის, არმიისა და უშიშროების შესანახად. ცივი ომი და შეიარაღება ამ ყოველივეს ამძიმებდა, კორუფცია ხარობდა როგორც ელიტარულ დინეზე, ისე ჰორიზონტალში; 7. იკრძალებოდა ყოველგვარი კერძო ინიციატივა, ყვაოდა შავი ბაზარი, იდევნებოდა ყველა, ვინც მენარმეობას ეცდებოდა – მას მაშინვე აეკვრებოდა კომბინატორის, ქორვაჭრის, სპეკულანტის, თაღლითის, კანონდამრღვევის იარლიყი; 8. საზღვარგარეთ დიქტატორული და მარიონეტული რეჟიმების დაფინანსება, რომლებიც დეკლარირებულად „შენებდნენ სოციალიზმს“, მათთვის არცთუ იშვიათად სამხედრო ინსტრუქტორებისა და სამხედრო კონტინგენტის მიშველება, რაც ასევე ხარჯებთან იყო დაკავშირებული; 9. იდეოლოგიური კრიზისი, იდეოლოგიური მარცხი პირველ სამყაროსთან ჭიდილში. „იმპერიალიზმის, როგორც ლპობადი კაპიტალიზმის“ იდეოლოგიური კლიშეს სრული ჩავარდნა; 10. ტექნოგენური კატასტროფები, როგორც, მაგალითად ჩერნობილი, რომელთა მიჩქმალვაც ვეღარ ხერხდებოდა – ხალხი, ბოლოს და ბოლოს, უცხოეთის რადიოს არხებით მოისმენდა ამ ამბებს; 11. აღმოსავლეთ ევროპაში დაიწყო დემოკრატიზაციის შეუქცევადი პროცესი, ოპოზიცია ყველგან გამოიკვეთა და გაძლიერდა; 12. „განვითარებული სოციალიზმის“ ეტიკეტის ქვეშ რეალურად არსებული სსრკ-ის სახელმწიფო კაპიტალიზმი, რეტროგრადული ფეოდალიზმის ცალკეული კომპონენტებით; 13. შეჭრა ავღანეთში და ამით მსოფლიოში სრულ იზოლაციაში მოხვედრა; 14. მოსახლეობის მზარდი უკმაყოფილება, „მშრალი კანონი“ უკვე „პერესტროიკის“ საწყის ფაზაში, ტალონების სისტემა. მოსახლეობის მომარაგებაში მძიმე გარღვევები; 15. რონალდ რეიგანის მიერ დეკლარირებული სტრატეგიული თავდაცვის ინიციატივა (SDI), რომელიც გულისხმობდა კოსმოსურ ომებს, კოსმოსში ბალისტიკური რაკეტების საწინააღმდეგო ფარის შექმნას. ამით ატომური ურთიერთშეკავების რეჟიმი პრაქტიკულად უქმდებოდა. როგორც მოგვიანებით გამოიკვეთა, ამ პროექტის განხორციელება შეუძლებელი იყო, მაგრამ წმინდა პროპაგანდისტულ დონეზე მან მაინც იმუშავა. რომ არა ყველა ეს მიზეზი, ძნელი წარმოსადგენია გორბაჩოვის მსგავსი ფიგურა მოსულიყო კრემლში.

მიხეილ გორბაჩოვი კონსტანტინ ჩერნენკოს გარდაცვალების მომდევნო დღეს, ანუ 1985 წლის 11 მარტს, გახდა გენმდივანი. როგორც შენიშნავდა სა-

კავშირო სუკ-ის თავმჯდომარის მოადგილე ფილიპ ბობკოვი, ჯერ კიდევ 1985 წლის დასაწყისში ჩერნენკოს ავადმყოფობის გამო გორბაჩოვი თავმჯდომარეობდა პოლიტბიუროს სხდომას. აქედან დასკვნა, რომ გორბაჩოვი უკვე მაშინ იყო სახელმწიფოს მეორე პირი და განიხილებოდა მოქმედი სახელმწიფოს მეთაურის მემკვიდრედ.[262] ახალმა ხელმძღვანელმა საკვანძო თანამდებობებზე ახალი ფიგურები დანიშნა. იდეოლოგია პარტიულ კონსერვატორს, იგორ ლიგაჩოვს, ჩააბარა, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეობა – ნიკოლაი რიჟკოვს, პროპაგანდა – „პერესტროიკის“ ერთ-ერთ იდეოლოგს, ალექსანდრ იაკოვლევს, მოსკოვის ქალაქკომის მდივნად დააწინაურეს ბორის ელცინი, ხოლო საგარეო საქმეთა მინისტრი ანდრეი გრომიკო გადაიყვანა უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ. რაც შეეხება სსრკ-ის საგარეო საქმეთა მინისტრს, ამ პოსტზე დაინიშნა საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველი მდივანი ედუარდ შევარდნაძე.

რატომ უნდა დაენიშნა შევარდნაძე გორბაჩოვს საგარეო საქმეთა მინისტრად, ამაზე ბევრი მსჯელობა შეიძლება, თუმცა განსჯები, ალბათ, მაინც ჰიპოთეზურ დონეზე დარჩება. თავად შევარდნაძის შესახებ დაწერილ ბიოგრაფიულ ნაშრომში მის გაბედულ ექსპერიმენტებზეა სწორება – კერძოდ, იმაზე, რაც ფოთსა და აბაშაში გაკეთდა. გორბაჩოვსაც თითქოს ჰქონდა მსგავსი ექსპერიმენტები ჩატარებული სტავროპოლის მხარეში. ავტორებს გორბაჩოვის სიტყვაც მოჰყავთ, რომელშიც საქართველოს კომპარტიის ლიდერის დაწინაურების მიზეზზე ლაპარაკობს: „იგი მთელი მგზნებარებით იბრძოდა საქმის პატიოსნად შესასრულებლად, გმობდა და უარყოფდა ყოველგვარ ხრიკს, პარტნიორების მოტყუების მცდელობას, საქმის არსის გაყალბებას, დამუხრუჭების ყოველგვარ ცდას“.[263] ეს დახასიათება ღიმილისმომგვრელია მათთვის, ვინც ედუარდ შევარდნაძეს მეტ-ნაკლებად იცნობდა. რომ წარმოვიდგინოთ მისი სრული ანტიპოდი, ეს დახასიათებები, ალბათ, ასეთ შემთხვევაში თუ გამოდგებოდა.

წინარე პერესტროიკულ პროცესებზე საუბრისას კონსპიროლოგები ახსენებენ ხოლმე ფარულ ინტერესს დასავლური საჯარო ინფორმაციისთვის დახურული, კვაზიპოლიტიკური ორგანიზაციების მხრიდან, როგორიც არის დევიდ როკფელერის (1915-2017) მიერ შექმნილი „ტრილატერალური კომისია“, რომლის გამსვლელი სხდომაც, თითქოს, თბილისში ჩატარდა 70-იანი წლების მიწურულს. ეს „კომისია“ აერთიანებდა დასავლეთის კულტურის, პოლიტიკისა და ფინანსური ელიტების მნიშვნელოვან წარმომადგენლებს. ამ დროს დისიდენტურ წრეებში გავრცელებული სხვადასხვა ვერსიის მიხედვით, მეკავშირე იყო ქართული წარმოშობის მეცნიერი, სოციოლოგი და ეკონომისტი, მოსკოვში მოღვაწე ჯერმენ გვიშიანი, რომის კლუბის წევრი, გამოყენებითი სისტემური ანალიზის საერთაშორისო ინსტიტუტის წევრი ავსტრიულ ლაკსენბურგში, 1976 წელს იმავე ინსტიტუტის დირექტორი სსრკ-ში, რომელიც შექმნილი იყო, როგორც ავსტრიული ინსტიტუტის ფილიალი, აქ ნახსენები დ. როკფელერის მეგობარი. ჯერმენ გვიშიანი იყო იმ საბჭოთა გენერლის ვაჟი, რომელმაც 1944

წელს სტალინისა და ბერიას ბრძანებით ჩაატარა ჩეჩნებისა და ინგუშების დეპორტაციის სპეცოპერაცია (საინტერესოა, რომ ამ პიროვნების სახელი არის კომპოზიტი, შედგენილი ძერჟინსკისა და მენჟინსკის გვარების პირველი მარცვლებისგან, რაც გასაკვირი არანაირად არ იქნებოდა ჩეკისტი გენერლისგან, კ. გ.). ჯერმენი იყო სსრკ-ის მინისტრთა საბჭოს ყოფილი თავმჯდომარის, ა. ნ. კოსიგინის სიძე, ამავე დროს ენათესავებოდა ე. პრიმაკოვსაც – რომელსაც სსრკ-ისა და რუსეთის ფედერაციის არაერთ საკვანძო თანამდებობაზე ჰქონდა ნამუშევარი. გვიშიანს იცნობენ, როგორც შვედეთის სამეფო საინჟინრო აკადემიის წევრს, ფინეთის ტექნიკური აკადემიის წევრს, ჰელსინკის ეკონომიკის სკოლის საპატიო დოქტორს, ასევე, ამერიკის მართვის აკადემიის წევრს. ეს იგივე პირია, ვისი ლობირებითაც ტოლიატიში „ჟიგულის" მარკის ავტომობილების წარმოება დაიწყო, იტალიური „ფიატის" ბაზაზე. თუმცა ეს ყველაფერი (და, მათ შორის, პროტექციის გაწევა ე. შევარდნაძისთვის) მაინც დოკუმენტურ, წერილობით ფიქსირებული წყაროების დონეზე არ იძებნება.

ჟურნალისტ და ისტორიკოს დ. გამცემლიძის აზრით, შევარდნაძის დაწინაურების ძირითადი მიზეზი მაინც ქართულ ფენომენში იყო საძიებელი: „ქართული ფენომენისადმი", რიგი ეთნოფსიქოლოგიური და ისტორიული მიზეზის გამო, რუსული სოციუმის დამოკიდებულება განსაკუთრებული იყო. უკრაინელს, ყირგიზს ან თუნდაც სომეხს რუსული საზოგადოება ვერ აღიქვამდა „რუხ კარდინალად" მაშინ, როდესაც „ქართული იმიჯი" ამის საშუალებას იძლეოდა". ავტორი ამითვე ხსნის ვიქტორ ასტაფიევის მოთხრობის – „ღორჯოების ჭერა საქართველოში" – გამოქვეყნებას, რომელიც 60-იან წლებში დაიწერა და რატომღაც 1986 წელს გამოქვეყნდა. რამდენადაც ამ მოთხრობაში ქართველების მიმართ გამოკვეთილი ანტიპათია იგრძნობა, იგი თითქოს კიდევ ერთი გამომძახილი გახლდათ იმ უარყოფითი რეაქციისა, რომელიც საგარეო საქმეთა მინისტრად შევარდნაძის დანიშვნას მოჰყვა.[264] ეს მოსაზრება საინტერესოა, თუმცა თვით შევარდნაძის მონდომება მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს: ამ დაწინაურებისთვის მან ყველაფერი გააკეთა.

ზემოხსენებული მოთხრობის გამოქვეყნებას ქართველი მწერლების მხრიდან ნამდვილი ჯვაროსნული ლაშქრობის დაწყება მოჰყვა ასტაფიევისა და რასპუტინის წინააღმდეგ. თუმცა ავტორებს ავიწყდებათ შევარდნაძის ფსიქოტიპის ერთი თვისება, რომელსაც ცენტრში ალბათ დააფასებდნენ: მისთვის აკრძალული და ტაბუირებული ზონა არ არსებობდა, თუკი საჭირო იყო, ყველაფერს შეეხებოდა. მისი პოლიტიკური ტექნოლოგიების არსენალში შედიოდა ყველა ის თვისება, რომელიც ჰქონდა მე-16-მე-18 საუკუნეების ზოგიერთ ქართველ გამუსლიმებულ მმართველს, მაგალითად, როსტომ ხანს, ირანის წარმომადგენელს ქართლ-კახეთში, ასევე, შაჰ-ნავაზს, რომლის სახელიც, პირდაპირი გაგებით, „შაჰთან მოალერსეს" ნიშნავს. ედუარდ შევარდნაძის განცხადებები და ჟესტები აქეთკენ იყო მიმართული, რითიც იგი მოსკოვის ელიტას თავის ლოიალობას უმტკიცებდა. ჯერ მარტო მზის არა აღმოსავლეთიდან, არამედ ჩრდი-

ლოეთიდან ამოყვანა რად ღირს, რომელიც მან ცნობილ გამოსვლაში განმარტა, როგორც „ლენინური იდეების მზე". გარდა ამისა, მან მოახერხა თავისი პოლიტიკური წინამორბედის მომხრე ინტელიგენციის თითქმის მთლიანად გადაბირება, ამავე დროს, შეინარჩუნა კორუფციული არხები კრემლთან. როგორც ამბობდნენ, ამ საქმეების მოგვარებას იგი ავალებდა ცეკას მდივანს, სოლიკო ხაბეიშვილს. ითქვა ისიც, რომ თავად შევარდნაძეს მემკვიდრედ საქართველოს ცეკას პირველი მდივნის პოსტზე სოლიკო ხაბეიშვილი ერჩია, თუმცა გორბაჩოვმა სხვაგვარად გადაწყვიტა და ჯუმბერ პატიაშვილი დანიშნა. პატიაშვილმა ხაბეიშვილი 1985 წლის ზაფხულში ჯერ თანამდებობიდან გაათავისუფლა, შემდეგ კი დააპატიმრებინა. ს. ხაბეიშვილი მექრთამეობის ბრალდებით აიყვანეს, მასთან ერთად დააკავეს რამდენიმე რაიკომის მდივანი, რომელთაგანაც ერთმა, მამუკა ასლანიკაშვილმა, თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე. სოლიკო ხაბეიშვილს, რომელსაც 15 წლით პატიმრობა მიუსაჯეს და დახურული რეჟიმის ციხეში მოათავსეს, 1989 წლამდე მოუწია იქ ყოფნა.

ე. შევარდნაძის ბიოგრაფიაში ვერ ვხედავთ ერთ მცდელობასაც კი თავისი ყოფილი პარტიული თანამებრძოლისა და მისი, როგორც უმაღლესი ხელმძღვანელის ოდესღაც სანდო კაცის გასათავისუფლებლად. სხვათა შორის, ზვიად გამსახურდიამ გარკვეული პირებისგან (რომლებიც არ დაუკონკრეტებია) მიიღო შეთავაზება, ჟურნალისტური გამოძიება ჩაეტარებინა სოლიკო ხაბეიშვილის საქმეზე, მაგრამ მან ამაზე უარი განაცხადა.

ზვიად გამსახურდიასთან ვკითხულობთ, რომ გორბაჩოვის აღზევებისა და აკადემიკოს ანდრეი სახაროვის მოსკოვში დაბრუნების შემდეგ საქართველოშიც გაჩნდა ნიშნები პოლიტიკური კლიმატის შეცვლისა, ხელისუფლება უფრო ფრთხილი და დაფიქრებული გახდა დისიდენტებთან მიმართებით. თუმცა ბევრი რამ ისევ ძველებურ ყაიდაზე რჩებოდა. მოსკოვში გადასული შევარდნაძის ადგილი დაიკავა ხისტმა ჯუმბერ პატიაშვილმა, უწინ ცეკას მდივანმა სოფლის მეურნეობის დარგში.[265]

1985-1986 წლები საქართველოში არსებითად არ განსხვავდებოდა უძრაობის პერიოდის წლებისგან, გარდა იმისა, რომ უშიშროების კომიტეტის მეთოდები უფრო მოზომილი და ფრთხილი გახდა. თუმცა ამ წლებში გამოიკვეთა ის თემები, რომლებიც საზოგადოებას აწუხებდა. ეს იყო დავითგარეჯთან არსებული პოლიგონის საკითხი. საქართველოს ხელისუფლებას არ გააჩნდა ნება, ზეგავლენა მოეხდინა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლობაზე, რათა შეეწყვიტათ სამხედრო ვარჯიშები და დაეწყოთ პოლიგონის იქიდან გადატანა.

ზვიად გამსახურდიამ ჯერ კიდევ 1975 წლის 13 სექტემბერს წერილით მიმართა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მეთაურს, გენერალ-პოლკოვნიკ მელნიკოვს, ხოლო წერილის ასლი გაეგზავნა საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრს მარშალ გრეჩკოს: „ქართული კულტურის უნიკალური ძეგლის, დავითგარეჯის, ტერიტორიაზე არსებობს საარტილერიო პოლიგონი პოლკოვნიკ ადიუკონისის ხელმძღვანელობით. 1975 წელს, სექტემბრის დასაწყისში სროლის

დროს გაჩნდა ხანძარი და დაიწვა მონასტრის ტერიტორიაზე მდგარი ხეები. ეს საფრთხეს უქმნიდა მონასტერს, მაგრამ თანამშრომლებმა ჩააქრეს ცეცხლი. საჭიროა პოლიგონის გადატანა მონასტრის კომპლექსის ფარგლებს გარეთ. სამხედროების ბარბაროსული მოქმედებები სახელს უტეხენ საბჭოთა კავშირსა და მის არმიას. გთხოვთ, მიიღოთ ზომების ასეთი ვანდალური ქმედებების შესაწყვეტად". 1975 წლის 13 სექტემბერს შემდეგი პასუხი მოვიდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ხელმძღვანელობისგან: „ჩვენ შევისწავლეთ თქვენი წერილი. დაწვრილებითი წერილი გავუგზავნეთ საქართველოს კულტურის მინისტრ ამხ. თაქთაქიშვილს". კულტურის სამინისტროში კი მიიღეს შემდეგი ტექსტი: „სამწუხაროდ, მონასტრის ნანგრევები არის ჩვენი პოლიგონის ცენტრში. ჩვენ არ ვაპირებთ პოლიგონის გადატანას. ტურისტები იქ არ უნდა შეუშვან ჩვენი ნებართვის გარეშე. გენერალი მელნიკოვი".

თავის მხრივ, ზვიად გამსახურდია აცხადებდა: „აღმაშფოთებელია ის ფაქტი, რომ მონასტერს უძახიან „ნანგრევებს". მნახველები შეიძლება დარწმუნდნენ იმაში, რომ რამდენიმე გამოქვაბული, მსოფლიო მნიშვნელობის ფრესკებით, დაუზიანებელია. და, თუ მუდმივმა საარტილერიო ცეცხლმა მონასტერი ნანგრევებად აქცია, ჩვენი საუკუნის ყოველი ცივილიზებული ადამიანი უნდა ააღელვოს სამხედროების მიერ შუა საუკუნეების კულტურის მიზანმიმართულმა მოსპობამ. ამ არნახულ ბოროტმოქმედებას ცინიზმის ზღვრამდე მიჰყავს ბარბაროსული დამოკიდებულება ქართული კულტურისადმი. ამას გარდა, კომპლექსში შექმნილია მუზეუმ-ნაკრძალი. ქართული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ 1975 წლის 20 ნოემბერს მიიღო დადგენილება კულტურის ძეგლის, დავითგარეჯის მონასტრების დაცვის გაუმჯობესების შესახებ. გაუგონარია ისიც, რომ მელნიკოვის წერილში ლაპარაკია საშვების მიცემაზე მხოლოდ ტურისტებისათვის და მუზეუმის თანამშრომლების სიცოცხლე, ძეგლების სიცოცხლე მათ სულ არ აღელვებთ". წერილი ასე სრულდება: „მე მოვუწოდებ საბჭოთა და მსოფლიო საზოგადოებას, გამოთქვან პროტესტი ქართველი ხალხის კულტურის ძეგლების მომსპობი ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის წინააღმდეგ". 1975 წლის 5 დეკემბერი". წერილს ხელს აწერს მწერალი, ფილოლოგი ზვიად გამსახურდია.[266] ვერ ვიტყოდით, რომ 1985-1986 წლებში რაიმე ხელშესახები პროგრესი იქნა მიღწეული, რაც შეეხებოდა სამონასტრო კომპლექსს.

სხვა საკითხები, რომლებიც საზოგადოებას აღელვებდა, იყო გიგანტური ჰესების მშენებლობა, ასევე, სარკინიგზო მეგაპროექტი, რომელიც გულისხმობდა არაგვის ხეობის გავლით კავკასიონის ქედის გაბურღვას და ინგუშეთში, კერძოდ, ასას ხეობაში გასვლას. მოგვიანებით, „პერესტროიკასთან" ერთად დაიწყო ამ პროექტის საჯარო განხილვაც, რასაც ცალკე შევეხებით.

1986 წლის ბოლოს საქართველოში შედგა თენგიზ აბულაძის ფილმის პრემიერა, რომელიც ცნობილია სათაურით „მონანიება". ფილმში 30-იანი წლების რეპრესიებია თემატიზებული და ნაჩვენებია ტრაგიკული სცენები, რომლებიც იმ დროს რეალურად გათამაშდა. როდესაც ფილმი უკვე გადაღებული იყო და

მასზე მუშაობა მიდიოდა, ამ დროს მოხდა თვითმფრინავის გატაცების მცდელობა თბილისის აეროპორტში, რასაც ზემოთ შევეხეთ. რამდენადაც ფილმში ერთ-ერთ მთავარ როლს გეგა კობახიძე ასრულებდა, მისი კადრები ამოიღეს და იგი ჩაანაცვლეს სხვა მსახიობით, სხვა შემთხვევაში ფილმს უშიშროების კომიტეტი, პარტიის ცენტრალური კომიტეტი და მოსკოვი დაბლოკავდნენ. ამ სტრიქონების ავტორი პირადად შემსწრეა, როგორ ურჩია ზვიად გამსახურდიამ 1984 წლის ზაფხულში, შავ ზღვაზე, სოფელ ლიძავაში მყოფ გეგა კობახიძეს, არ ეჩქარა საზღვარგარეთ წასვლა. იმ დღეს ლიძავაში ყურძნის მოსავლის წამოსაღებად ვიყავით ჩასულნი და გეგამ შემოიარა. ვინაიდან ეს ბიჭები საზღვარგარეთ გაქცევის თავიანთ სურვილზე ზოგჯერ დაუფარავად საუბრობდნენ, ზვიადმაც ჩემგან იცოდა ეს ამბავი. მისი თქმით, საბჭოთა სისტემა აუცილებლად შეიცვლებოდა და დადგებოდა ისეთი დრო, როდესაც უფრო მეტი მოქმედების თავისუფლება გაჩნდებოდა. გეგამ ცივად იუარა, არ ვფიქრობ წასვლაზე, რა თქმა უნდა, აქ დარჩენა და ბრძოლა სჯობსო, ანუ, როგორც მოსალოდნელი იყო, ნამდვილი განზრახვა დამალა.

სამწუხაროდ, არც გეგა კობახიძეს, არც სოსო წერეთელს ზვიადთან კონსულტაციის სურვილი არასოდეს, არც მანამდე, არც ამ საუბრის შემდეგ არ გამოუთქვამთ; მიუხედავად იმისა, რომ სიონის ტაძარში არაერთხელ გამოჩენილან, სადაც ზვიადი წირვას თითქმის არ აცდენდა. ისინი ხელმძღვანელობდნენ საღვთო წერილის ძალიან პრობლემური, სუბიექტური და აგრესიული ინტერპრეტაციებით და დასკვნებიც ასეთივე ჰქონდათ. სოსო წერეთელმა კარგად იცოდა ზვიადის ნეგატიური დამოკიდებულება ქრისტიანობის მსგავსი გაგების მიმართ. „ევანგელიზმი“, რომლის მიხედვითაც ქრისტიანობა იოანე მოციქულის გარდაცვალებით სრულდება, ხოლო წმ. კრებები და პატროლოგია შემდგომი საუკუნეებისა საერთოდ არაფერია – ზვიადს ქრისტიანობის კარიკატურად მიაჩნდა. რასაკვირველია, გეგა კობახიძესთან საუბრისას ვერც კი წარმოვიდგენდით, რომ ეს ახალგაზრდები მალე რადიკალური და სახიფათო გზით შეეცდებოდნენ საბჭოთა კავშირის დატოვებას.

3.2. მერაბ კოსტავას გათავისუფლება

ჯერ კიდევ 1986 წელს მერაბ კოსტავას დედამ, ოლღა დემურია-კოსტავამ უკვე მერამდენედ განცხადებით მიმართა საქართველოს კომპარტიის პირველ მდივანს, ჯუმბერ პატიაშვილს, რათა გამოეჩინათ ჰუმანურობა, განეხილათ მერაბ კოსტავას საქმე და გადმოეყვანათ ის საქართველოში პატიმრობის დარჩენილი ვადის მოსახდელად. როგორც მოსალოდნელი იყო, ჯუმბერ პატიაშვილმა ეს განცხადება გადაუგზავნა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს, ალექსი ინაურს. ამასობაში მერაბ კოსტავა ციმბირიდან გადაიყვანეს ტაშკენტში, სადაც ის ხანგრძლივი შიმშილობის შემდეგ ჯანმრთე-

ლობის გაუარესების გამო მეცხრე კოლონიის ტუბსაავადმყოფოში მოათავსეს. ალექსი ინაურმა სუკ-ის მეხუთე განყოფილების უფროსს, ილია ნარიმანიძეს, დაავალა საქმის გადამოწმება და მოხსენებითი ბარათის დაწერა. ი. ნარიმანიძე იგონებს მერაბთან შეხვედრას ტაშკენტში, სადაც მას ჩასვლამ მოუწია 1986 წლის შემოდგომაზე: „მოკლედ გავაცანი ჩემი ჩასვლის მიზანი – ყველანაირად დავხმარებოდი სამშობლოში დაბრუნებაში. არც ის დავუმალე, რომ ამ საქმის მოგვარებით საქართველოს ზოგიერთი ხელმძღვანელი პირიც იყო დაინტერესებული, მიუხედავად მოსკოვის ზეწოლისა და წინააღმდეგობისა. ისიც ავუხსენი, რომ ამ წამოწყების დადებითი შედეგი განსაზღვრული პირობის შესრულებაზე იქნებოდა დამოკიდებული. კერძოდ, მერაბ კოსტავას საქართველოში დაბრუნების შემდეგ არ უნდა წამოეწყო რადიკალურ-ექსტრემისტული ანტისაბჭოთა კამპანია, რასაც მოსკოვი თავად მის წინააღმდეგ გამოიყენებდა და ჩვენც, მის კეთილისმსურველებს, უსიამოვნებას მოგვიტანდა. რა თქმა უნდა, ორივემ კარგად ვიცოდით, რომ მერაბი ამ პირობას არამც და არამც არ შეასრულებდა. ჩვენთვის ისიც ცხადი იყო, რომ იმხანად წინამძღოლის გარეშე დარჩენილი ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მერაბის სახით სწორედ ლიდერს შეიძენდა და დაქსაქსული ძალები მის და ზვიად გამსახურდიას ირგვლივ გაერთიანდებოდნენ. ამის განჭვრეტა ძნელი არ იყო. მწამდა, რომ მერაბ კოსტავა, როგორც პიროვნება და პოლიტიკური მოღვაწე, დადებით როლს შეასრულებდა როგორც ეროვნული ჯანსაღი ძალების გაერთიანებაში, ისე მომავალი განმათავისუფლებელი მოძრაობის მშვიდობიანად წარმართვაში, რაც აუცილებელი იყო სისხლის ღვრისა და სხვა გართულების თავიდან ასაცილებლად“.[267]

ამის შემდეგ ნარიმანიძემ ალექსი ინაურს წარუდგინა პატაკი ტაშკენტში მივლინებისა და მერაბთან შეხვედრის შედეგებზე. გენერალი ინაური ტელეფონით გაესაუბრა საკავშირო სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს, გენერალ ფილიპ ბობკოვს, რომელიც უშუალოდ კურირებდა საქართველოს სუკ-ს და მოახსენა თავისი აზრი მერაბ კოსტავას საქართველოში ეტაპირების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით. ეს წინადადება ბობკოვისა და უწყების ხელმძღანელობისთვის არ იყო მისაღები, მაგრამ მოცემულ პოლიტიკურ სიტუაციაში წინააღმდეგობაც ვეღარ გასწიეს. დაახლოებით, 2 თვეში მერაბი ქსნის კოლონიაში გადმოიყვანეს, საიდანაც ოთხ თვეში გათავისუფლდა.

ამან ყველა მის გულშემატკივარს ენით აუწერელი შვება მოჰგვარა, რამდენადაც კრემლის მხრიდან ძველებური კურსის გაგრძელების შემთხვევაში მისი განთავისუფლების ძალიან დაბალი ალბათობა იყო. ასევე ძნელი წარმოსადგენი იყო ასეთ პირობებში მერაბის ფიზიკურად გადარჩენა. ამიტომ სასწაულს უტოლდებოდა მისი თავდახსნა ვეშაპის ხახიდან 1987 წელს, 10-წლიანი ციმბირული პატიმრობისა და გადასახლების შემდეგ. თავადაც ხომ წერდა თ. დოსტოევსკის თემაზე დაწერილ ლექსში – „ვეშაპის მუცლით გასულ იონაზე“. ახლა თვით იყო ასეთი იონა.

რა სიტუაცია დახვდა მერაბ კოსტავას, როდესაც დატოვა ქსნის კოლონია? ეროვნულ-უფლებადამცველური მოძრაობა არსებობდა, თუმცა, ის მასობრივი არ ყოფილა. ეს არის იმ ადამიანების სია, რომლებიც რაიმე ფორმით ჩართულნი იყვნენ ეროვნულ-უფლებადამცველურ მოძრაობაში 1978-1986 წლებში: 1. აბაშიძე საჩინო (თბილისი); 2. აბულაძე გოჩა (თბილისი, შემდგომში ეპისკოპოსი სპირიდონი); 3. ავალიშვილი შიო (ეპისკოპოსი, ბათუმი); 4. ავალიანი ილამოზ (თბილისი); 5. ანდღულაძე ლია (თბილისი); 6. ანთიძე ავთანდილ (თბილისი); 7. არდაშელია ციალა (სოხუმი); 8. არზიანი ციცო (თბილისი); 9.ასათიანი ირინა (თბილისი); 10. აფაქიძე გუძა (თბილისი); 11. ბაქრაძე აკაკი (თბილისი); 12. ბარათაშვილი იოსები (თბილისი); 13. ბარამიძე ნინო (თბილისი); 14. ბედოშვილი ლია (თბილისი); 15. ბეჟუაშვილი ბეგო (თბილისი); 16. ბუმბეიშვილი მალხაზი (ქუთაისი); 17. ბახტაძე ვახტანგ (თბილისი); 18. ბაღდავაძე მარიკა (თბილისი); 19. ბზეკალავა ალექსანდრე (თბილისი); 20. ბერძენიშვილი დავით (თბილისი); 21. ბერძენიშვილი ლევან (თბილისი); 22. გიორგაძე მამუკა (თბილისი); 23. გიორგაძე ეთერ (ქუთაისი); 24. გიორგაძე ედიშერ (თბილისი); 25. გოზალიშვილი-ნაუმაროვი ხალილა (მესხთა აქტივისტი); 26. გოგბაიძე გურამ (რუსთავი); 27. გოგუაძე ემზარ (თბილისი); 28. გოლდშტაინი გრიგორი (თბილისი, ამჟამად იერუსალიმი); 29. გოლდშტაინი ისაია (თბილისი, ამჟამად იერუსალიმი); 30. გუდავა თენგიზ (თბილისი); 31. გუდავა ედუარდ (თბილისი) 32. დათუკიშვილი მალხაზ (თბილისი); 33. დარსანია ვიტალი (თბილისი); 34. დანდუროვი სერგო (თბილისი); 35. დვალი ნანა (ქუთაისი); 36. ვანიძე გურამ (თბილისი); 37. ვეკუა ვოვა (სოხუმი); 38. ზუკაკიშვილი ნატო (თბილისი); 39. თოდაძე კახა (თბილისი); 40. თოდუა კახა (თბილისი); 41. თავაძე მედეა (თბილისი); 42. თვალაძე ენრიკო (თბილისი); 43. თვალავაძე ივანე (თბილისი); 44. თურქია ბაბი (თბილისი); 45. თურქია მიხეილ (თბილისი); 46. იაშვილი მანანა (თბილისი); 47. იაშვილი დალი (თბილისი); 48. იმნაძე ნოდარ (ბათუმი); 49. იმნაძე ავთანდილ (თბილისი); 50. კაკაბაძე ნანა (თბილისი); 51. კალანდარიშვილი გულნარა (თბილისი); 52. კანკავა ანდრო (სენაკი); 53. კაცაძე ლია (ქუთაისი); 54. კერვალიშვილი გია (თბილისი); 55. კენჭოშვილი ირაკლი (თბილისი); 56. კობერიძე ნუგზარ (თბილისი); 57. კოტრიკაძე ეთერი (ქუთაისი); 58. კოპალიანი ჯუმბერ (თბილისი); 59. კორძაძე გიზო (თბილისი); 60. კოშკაძე მარინა (თბილისი); 61. ლატარია ჯონი (გაგრა); 62. ლაშქარაშვილი ჯონი (თბილისი); 63. ლომაძე ლალი (თბილისი); 64. მაისაშვილი გია (თბილისი); 65. მამულია გურამ (თბილისი); 66. მანუკოვი სლავა (თბილისი); 67. მარკოზია არკადი (გაგრა); 68. მარღანია მერაბ (თბილისი); 69. მაღულარია გივი (თბილისი); 70. მაჩაბელი გია (დიაკვანი, თბილისი); 71. მაჩურიშვილი ფირუზ (მაღაროსკარი); 72. მაჭავარიანი მუხრან (თბილისი); 73. მგალობლიშვილი ნუგზარ (სოხუმი); 74. მელაძე ალეკო (თბილისი); 75. მჭედლიშვილი მიხეილ (თბილისი); 76. ნიკოლაიშვილი გელა (თბილისი); 77. ნანეიშვილი მიხეილ (თბილისი); 78. ნათაძე ნოდარ (თბილისი); 79. ოდილავაძე ნუნუკა (თბილისი); 80. ონიაშვილი ელისო (თბილისი); 81. ორჯონიკიძე სოსო (თბილისი); 82. პეტ-

რიაშვილი ზაზა (თბილისი); 83. ჟღენტი ვაჟა (რუსთავი); 84. რევიშვილი გოგი (ქუთაისი); 85. როგავა დალი (ქუთაისი); 86. რობაქიძე მანანა (თბილისი); 87. რუსია მალხაზ (თბილისი); 88. სამხარაძე ნიკოლოზ (თბილისი); 89. სალაყაია ანდრო (თბილისი); 90. სანდუხაძე ალექსანდრე (ქუთაისი); 91. საღირიძე პაატა (თბილისი); 92. საღლიანი ერეკლე (მესტია); 93. ტერზიანი მარინა (თბილისი); 94. ტოტოჩავა ლამზირა (თბილისი); 95. ფაილოძე ვალენტინა (თბილისი); 96. ფიჩხაია თემურ (თბილისი); 97. ქადაგიშვილი ირაკლი (თბილისი); 98. ქავთარაძე ელისაბედ (თბილისი); 99. ქათამაძე ამბროსი (ეპისკოპოსი, ქუთაისი); 100. ქაჯაია ნუნუ (ბათუმი); 101. ქელბაქიანი ნუგზარ (თბილისი); 102. ქიქავა თამაზ (თბილისი); 103. ქობალია ზაურ (ზუგდიდი); 104. ქობალია ტატიანა (თბილისი); 105. ღამბაშიძე გივი (თბილისი); 106. ღანიშაშვილი მიხეილ (თბილისი); 107. ღვინიაშვილი ტარიელ (თბილისი); 108. ყურაშვილი მზია (თბილისი); 109. შამანაური ნაზი (დუშეთი); 110. შაკიაშვილი ლუიზა (თბილისი); 111. შიომღვდლიშვილი რომანოზ (მღვდელი, თელავი); 112. შურღაია ვალტერ (ზუგდიდი); 113. ჩალაბაშვილი თემურ (თბილისი); 114. ჩხეიძე თამარ (თბილისი); 115. ჩხეიძე როსტომ (თბილისი); 116. ციკოლია ომარ (თბილისი); 117. ცომაია ლეილა (თბილისი); 118. ცინცაძე ზურაბ (თბილისი); 119. ციხესაშვილი მათე (დუისი); 120. ძაბრაძე ვახტანგ (თბილისი); 121. წამალაიძე ქრისტეფორე (ეპისკოპოსი, საჩხერე); 122. წერეთელი ირაკლი (თბილისი); 123. წერეთელი სიმონ (თბილისი); 124. წიკლაური შალვა (ყაზბეგი); 125. წულეისკირი ნოდარ (თბილისი); 126. ჭანტურია გია (თბილისი); 127. ჭითავა ვახტანგ (რუსთავი); 128. ხიდაშელი დათო (თბილისი); 129. ჯალაღონია ბენედიქტე (მღვდელი, ზუგდიდი); 130. ჯანელიძე თემურ (რუსთავი); 131. ჯანყარაშვილი მერაბ (თბილისი).

როგორც აქტივისტების ეს სია (არასრული) აჩვენებს, ეროვნულ-უფლებადამცველური მოძრაობა არ ყოფილა მრავალრიცხოვანი. მერაბის დაბრუნებისას მას უკვე ემჩნეოდა ავისმომასწავებელი ბზარი, რომელიც გადიოდა ზვიად გამსახურდიასთან ერთი ჯგუფის დაპირისპირების ნიშნით. ზვიადთან დაპირისპირებული ფრთა თამარ ჩხეიძესთან ასოცირდებოდა. მაგალითად, ერთ-ერთი პირველი ადგილი, სადაც თავისუფლებაზე გამოსული მერაბ კოსტავა მივიდა, სიონის ტაძარი იყო. ეს დაპირისპირება მას მაშინვე თვალში მოხვდა, თუმცა ძალიან ტრაგიკულად არ შეუფასებია. იგი თვლიდა, რომ ამ საკითხს მოევლებოდა.

26 მაისს, როდესაც მერაბი 48 წლის გახდა, მის სახლში გაშლილ სუფრაზე კვლავ შეიკრიბნენ ეროვნული მოძრაობის აქტივისტები. მათ შორის იყვნენ გიზო კორძაძე, ზურაბ ცინცაძე, გურამ ვანიძე, ავთანდილ იმნაძე. სუფრის თამადობა მასპინძელმა ზვიად გამსახურდიას სთხოვა. თამარ ჩხეიძე ოდნავ დაგვიანებით მოვიდა და სუფრასთან დემონსტრაციულად არ დაჯდა. იგი ერთხანს მდუმარედ იდგა, რითაც სუფრის ყველა წევრს თითქოს სიგნალს აძლევდა, რომ არ უნდა დათანხმებოდნენ ზვიად გამსახურდიას თამადობას. თავად ზვიადმა არ შეიმჩნია და იგნორირება მოახდინა ამ დამოკიდებულებისა. სუფრაზე სიტუაცია მაინც საკმაოდ დაიძაბა, თუმცა კონტროლიდან არ გამოსულა. მერაბი

გაბრაზდა, რას ჰგავს ეს, საშუალება მომეცით, მოვილხინო ბოლოს და ბოლოსო. თ. ჩხეიძემ შემდეგ დატოვა ოთახი. იგი მერაბმა გააცილა და შემობრუნდა.

1987 წლის მაისში მერაბ კოსტავამ გააკეთა ის განცხადება, რასაც, წესით, უნდა გაეფანტა ყველანაირი გაუგებრობა, რომელიც ზვიად გამსახურდიას ტაქტიკურმა უკუსვლამ გამოიწვია:

1987 წელს „გლასნოსტში“ გამოქვეყნებულ წერილში მერაბ კოსტავა წერდა:

„მე, მერაბ კოსტავას, ზვიად გამსახურდიას მეგობარს, ახლახანს გათავისუფლებულს და მასთან ერთად გასამართლებულს, მიმაჩნია აუცილებლად, განვაცხადო შემდეგი: ჩემამდე მოაღწია ხმებმა, რომ საზოგადოებაში გავრცელდა მცდარი აზრი, თითქოს ზვიად გამსახურდია განუდგა თავის პატრიოტულ და სამართალდამცველის მოღვაწეობას სუკ-ის რაღაც ზემოქმედების შედეგად, თითქოს გატეხეს, „განუდგა თავის იდეებს“ და ა. შ.

ვალდებული ვარ ამთავითვე აღვნიშნო, რომ ჩემზე უკეთ სიმართლე ამის შესახებ არავინ იცის, რადგანაც ციხეში მთელი წლის მანძილზე ვაკვირდებოდი ჩვენი საქმის მსვლელობას. შემდგომ, შეხვედრების დროს, საქმის მსვლელობისას და პროცესზე ხშირად ვხვდებოდი ზვიად გამსახურდიას. ვიცი საქმის თითოეული დეტალი, რომელიც მოიცავს 56 ტომს და მთელი ვითარება ამ საქმესთან დაკავშირებით.

სასამართლოზე გამსახურდიას არ მოუნანიებია თავისი ძირითადი საქმიანობა, პატრიოტული და ადამიანის უფლებათა დამცველი თავისი ხასიათით, რომლებიც ასახულია მის სტატიებში ქართული ეკლესიის მდგომარეობის შესახებ, აგრეთვე, დოკუმენტებში და საქართველოს „ჰელსინკის ჯგუფის“ განცხადებებში. უფრო მეტიც, სასამართლოზე მან კვლავ მოითხოვა თავისი მოთხოვნების შესრულება. სამართლიანობა ითხოვს აღვნიშნო, რომ ნაწილი ამ მოთხოვნებისა ხელისუფლებამ შეასრულა. სასამართლოზე ზვიად გამსახურდიამ შეცდომად აღიარა მხოლოდ ზოგიერთი მასალის გამრავლება და გავრცელება, რომლებიც მის კალამს არ ეკუთვნის, მაგრამ პრესამ საქმე ისე წარმოაჩინა, რომ თითქოს იგი თავის მოღვაწეობას განუდგა. სინამდვილეში ზვიადი ლაპარაკობდა ზოგიერთ ცდომილ მოქმედებაზე. იგი ინანიებს არა როგორც ადამიანის უფლებათა დამცველი, არამედ როგორც გამომცემელი.

რაც შეეხება მის ტაქტიკურ უკანდახევას ზემოთ დასახელებულ თვითგამოცემით მასალებთან დაკავშირებით, ესეც აუცილებლობით იყო გამოწვეული. ზვიად გამსახურდია უკომპრომისოა თავის პატრიოტულ-უფლებათა დამცველ საქმიანობაში. მხოლოდ ზემოთ აღნიშნული მასალების (იგულისხმება ძირითადად HTC მასალები და „პოსევი“) გავრცელების გამო მან ტაქტიკურ უკანდახევას მიმართა.

ყოველივე ამასთან დაკავშირებით, აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენ საქმის გაცნობისას, შეხვედრების დროს ადრევე მოვილაპარაკეთ, რომ სასამართლოზე ჩემი უკომპრომისო პოზიცია (მე თავი დამნაშავედ არ ვცანი) და ზვიად გამსახურდიას ნაწილობრივი კომპრომისი ჩვენს მიერ წინასწარ შეთანხმებუ-

ლი და მიზანმიმართული იყო. ჩვენ მოვილაპარაკეთ, აგრეთვე, იმის შესახებ, რომ ზ. გამსახურდია მომავალში გადასახლებაში, თხოვნით მიმართავდა პრეზიდიუმს განთავისუფლების შესახებ და ჩემზე ადრე დაბრუნდებოდა საქართველოში, რაც აუცილებელი იყო ჩვენი საერთო საქმისათვის. ჩვენი დანარჩენი მოთხოვნების შესრულებისათვის, აგრეთვე, პატრიოტული ძალების რეგულირებისათვის. მსურს, აქვე აღვნიშნო, რომ გამსახურდიამ ეს შეასრულა და განთავისუფლების შემდეგ აგრძელებს უფლებათა დაცვით მოღვაწეობას.

ზვიად გამსახურდიას ნაბიჯს არა თუ ვამართლებ, არამედ ვთვლი აუცილებლად იმ სიტუაციაში. მსურს დავუმატო აგრეთვე, რომ გამოძიებისას მას არავინ დაუსახელებია. მისი მიზეზით არავინ გამოუძახებიათ სუკ-ში და არავინ გაუჩხრეკიათ... მან მსხვერპლად გაიღო საკუთარი თავმოყვარეობა, რაც პირველ მსხვერპლს აღემატება. არის აგრეთვე ზოგი რამ, რაც ამჟამად არ შემიძლია ქაღალდს ვანდო, მაგრამ რომლებიც მომავალში ცნობილი გახდება.

მე ვთხოვ საზოგადოებას, ნუ ენდობიან დეზინფორმაციას, რომლის გავრცელებას ხელი შეუწყო პრესამ და ზოგიერთმა მოტყუებულმა და დეზინფორმირებულმა პირმა. მერაბ კოსტავა, მაისი, 1987 წ".[268]

დისიდენტურ-უფლებადამცველური მოძრაობა და მთელი საზოგადოება მოუთმენლად ელოდა მერაბის პოზიციის გასაჯაროებას. დიდი ნაწილი სიხარულით შეხვდა ამ განცხადებას, მცირე ნაწილს – ეწყინა. ის ადამიანები, რომელთაც არაფრის გაგონება არ სურდათ, კვლავ თავიანთ პოზიციებზე დარჩნენ და ამ განცხადებას ავტორს სისუსტედ უთვლიდნენ. ეს სისუსტე, მათი თვალსაზრისით, მერაბის რომანტიკული ხასიათიდან გამომდინარეობდა და მისთვის ვითომდაც „ბავშვობის მეგობრობა" ზოგჯერ „ჭეშმარიტებაზე მაღლა იდგა". ისინი რატომღაც საკუთარ მოვალეობად თვლიდნენ, მერაბი „გონს მოეყვანათ". მათ შორის ყველაზე რადიკალური თამარ ჩხეიძე გახლდათ, რომელიც ფიქრობდა, იარაღი არ დაეყარა და ამ მიმართულებით ბრძოლა განეგრძო.

3.3. ტრანსკავკასიური მაგისტრალი და საზოგადოებრივი აზრი

1987 წლის დასაწყისი საქართველოსთვის საკმაოდ მძიმე აღმოჩნდა. 1987 წელს სვანეთი ბოლო წლების ყველაზე მძიმე ზამთრის მოწმე გახდა. იანვარში რამდენიმე სოფელი 3-დან 5 მეტრამდე თოვლის საფარქვეშ აღმოჩნდა. თოვლის სიმაღლე იმდენად დიდი იყო, რომ, დაახლოებით, 2 000 სახლი ზვავის ქვეშ მოყვა, ხოლო 85 ადამიანი დაიღუპა. განსაკუთრებით დაზარალდა მესტიის (ზემო სვანეთი) და ლენტეხის (ქვემო სვანეთის) რაიონები. გზები ჩაიკეტა, სოფლებთან კავშირი გაწყდა, კომუნიკაციის ყველა საშუალება მწყობრიდან გამოვიდა. რისკის ზონიდან 16 000 ადამიანი იქნა ევაკუირებული. მათი ნაწილი სვანეთიდან საქართველოს სხვადასხვა მხარეში გადანაწილდა. მათი ჩასახლება მოხდა ძირითადად ისეთ რაიონებში, სადაც ეთნიკურად არაქართველი მოსახლეობა

ჭარბობდა. როგორც აღმოჩნდა, მაშინდელი სახელმწიფო ყოველთვის სათანადო დახმარებას ვერ უწევდა ეკომიგრანტებს, რაც შეეხებოდა მათთვის ღირსეული საცხოვრებელი პირობების შექმნას.[269]

უაღრესად საჭირბოროტო საკითხი იყო ტრანსკავკასიური მაგისტრალის მშენებლობა. ეს მაგისტრალი რუსეთიდან (ჩრდილოეთი ოსეთი) მცხეთის მიმართულებით უნდა გადაჭიმულიყო. იგი შეივიდოდა არაგვის ხეობაში და პირველი გვირაბი უკვე როშკასთან დაიწყებოდა. პროექტი ითვალისწინებდა 38 გვირაბის გაჭრას, მათ შორის – ერთი 23-კილომეტრიანი გვირაბის გაყვანას არხოტში. მშენებლობის გახსნით საქართველოს კომუნისტურმა მთავრობამ რუსეთიდან ირანისკენ მიმავალი სარკინიგზო მაგისტრალის საბჭოთა „გიგანტური პროექტის" განხორციელება წამოიწყო. რამდენადაც უკვე „გარდაქმნისა" და „საჯაროობის" პერიოდი იდგა, 1987 წლის მიწურულსა და 1988 წლის გაზაფხულზე საქართველოს კომუნისტი ლიდერები ცდილობდნენ პროექტის განხილვა გამჭვირვალე ყოფილიყო და მოეცვა, რაც შეიძლება, ფართო საზოგადოება. ამ პროექტს ეტყობოდა, რომ ის ცალკე საქართველოს ინტერესებს საერთოდ არ ითვალისწინებდა, არამედ სსრკ-ის ინტერესებიდან გამომდიოდა. ეს გულისხმობდა ირანთან დიდი სარკინიგზო კორიდორის გახსნას.

საჯარო განხილვა მოეწყო მწერალთა კავშირშიც, რომლის შემდეგაც ამ პროექტის მოწინააღმდეგე მწერლებმა და საზოგადო მოღვაწეებმა (ნ. წულეისკირი, ჯ. ფხოველი. თ. ბექიშვილი. გ. ნიშნიანიძე, მ. ქვლივიძე, ი. ორჯონიკიძე, ნ. გელაშვილი, ნ. ნათაძე, მ. წურწუმია, გ. ნოდია) მიმართვა გამოაქვეყნეს, რომელშიც ეწერა: „რკინიგზის მომხრეთა პათოსს უფართოესი ასპარეზი მიეცა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი მთლიანად მათ ხელში აღმოჩნდა და ვიდრე საგანგებოდ შექმნილი მეცნიერული კომისიები საბოლოო აზრს შეიმუშავებდნენ, ჩვენი ტელევიზია აღტკინებული ზეიმობდა არაგვის ხეობაში რკინიგზის მშენებლობას და აზეიმებდა ყველას და ყველაფერს: ადამიანებსაც და ცხვრებსაც! ... თითქმის ერთწლიანი მუშაობის შემდეგ მეცნიერებმა უარყოფითად შეაფასეს ტრანსკავკასიური რკინიგზის მშენებლობა და შეუძლებლად მიიჩნიეს მისი გაგრძელება".[270]

ამ საკითხზე ზვიად გამსახურდიამ გამოსცა და გაავრცელა თვითგამოცემა „მატიანე", რომელიც მთლიანად ეძღვნებოდა ტრანსკავკასიურ მაგისტრალს. მასში დაბეჭდილი იყო ეკოლოგიის ყველაზე ანგარიშგასაწევი ექსპერტის, პროფ. მიხეილ ღოღობერიძის, დასკვნა, ასევე, სხვა ექსპერტების მოსაზრებები. საბოლოო განხილვა შედგა რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში, სადაც, ხელმძღვანელი პირებისა და პარტიული მოღვაწეების გარდა, მონაწილეობდნენ მწერლებიც და ხელოვნების მუშაკებიც, რომელთა უმრავლესობაც ასევე მოწინააღმდეგე იყო ამ პროექტისა. ეს ყველაფერი პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა. საბოლოოდ გაიმარჯვა იმ თვალსაზრისმა, რომ მშენებლობა, როგორც არარენტაბელური და დამაზიანებელი, უნდა შეწყვეტილიყო. კომუნისტური საქართველოს ხელისუფლება, თუკი მხოლოდ მასზე იქნებოდა დამოკიდებული,

ამ მშენებლობას, სავარაუდოდ, არ შეწყვეტდა, მაგრამ აქ აშკარად ცენტრიდან მოვიდა განკარგულება მშენებლობის შეჩერებაზე. როგორც ჩანს, საქართველოს ხელისუფლების გარკვეულ ფრთას, ასევე, ცენტრს, საზოგადოებასა და ხალხთან კონფრონტაცია ტრანსკავკასიური სარკინიგზო მაგისტრალის გამო მიუღებად მიაჩნდა.

არსებობდა სხვა მოსაზრებაც. ასე მაგალითად, გეოლოგი ომარ ქუცნაშვილი, რომელიც 1988 წელს კავკასიის რკინიგზების საკვლევ-საძიებო ინსტიტუტში მუშაობდა და აქტიურად იყო ჩართული პროექტში „საქართველო-რუსეთის რკინიგზა, კავკასიის საუღელტეხილო რკინიგზა – თბილისი-ვლადიკავკაზი“, მოგვიანებით წერდა: „მაშინ უამრავ ორგანიზაციასთან, მათ შორის, მწერალთა კავშირშიც გვქონდა შეხვედრები, როგორც ახლა იტყვიან, პროექტის პრეზენტაცია. ცალკე შევხვდით, ღმერთმა აცხონოს, ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას. დეტალურად ავუხსენით ამ პროექტის მრავალმხრივი სარგებლიანობა. იცით, რა გვიპასუხეს? მოძრაობა აგორებულია და რა ვქნათო! ეს სატრანსპორტო სისტემა რომ აშენებულიყო, უფრო მეტ წონას შეგვძენდა მსოფლიო თანამეგობრობაში, პოლიტიკურს და ეკონომიკურს, უფრო გაგვაძლიერებდა და ვერავითარ სუვერენიტეტს ვერ შეგვიზღუდავდა, პირიქით – უფრო მეტად საჭირონი გავხდებოდით აღმოსავლეთისთვისაც და დასავლეთისთვისაც. ისიც სათქმელია, რომ კავკასიონის საუღელტეხილოთი მოვახერხებდით რუსეთის უფართოესი შესაძლებლობების მქონე ბაზრის შენარჩუნებას, რუსეთიდან საქართველოს გავლით ირანთან დამაკავშირებელი არტერიის ფუნქციასაც შევიძენდით და ა. შ.“.[271]

ის, რომ რუსული „რბილი ძალის“ პროპაგანდის რუპორი, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ ასეთ მოსაზრებებს აქვეყნებს, გასაკვირი არ არის. მათთვის ყველა პროექტი, რომელიც რუსეთთან დაგვაახლოებს, რელევანტური, მისაღები და დადებითად შესაფასებელია. ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავასთვის ტრანსკავკასიური მაგისტრალის მიუღებლობა განპირობებული იყო როგორც ეკოლოგიური ფაქტორით, ისე – პოლიტიკური მიზანშეუწონლობით. შემთხვევითი არ არის შესაბამისი სტატიისთვის ამონარიდის წამძღვარება აკაკი შანიძის ლექსიდან: „ყური უგდე გურჯი-ბოლაზს, ნუ, ნუ აღებ დარიალსა“. მით უმეტეს, საზოგადოებას ძალიან კარგად ახსოვდა 3 700 მეტრის სიგრძის როკის გვირაბის გახსნა 1986 წელს, რომელიც ჩრდილოეთ ოსეთს „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიასთან აკავშირებდა. ეს გვირაბი სეპარატიზმისა და საქართველოში რუსული ინვაზიის მძლავრი ინსტრუმენტი გახდა. მის ლობირებას მოსკოვში ეთნიკურად ოსი სამხედროები ეწეოდნენ. ამას თბილისში თვით ცენტრალური კომიტეტის დონეზე ხვდებოდნენ: ასე მაგალითად, ვასილ მჟავანაძეს 1972 წელს წერილიც აქვს გაგზავნილი კრემლში, რომელშიც მოითხოვდა, არ დაწყებულიყო სამუშაოები როკის გვირაბის გასაჭრელად, თუმცა, უშედეგოდ. ტრანსკავკასიური მაგისტრალის მშენებლობაზე მსჯელობა მიდიოდა აკადემიურ დონეზე, მასში საკმაოდ კარგი სპეციალისტებიც იყვნენ ჩართულნი საქართველოს სსრ-

ის მეცნიერებათა აკადემიიდან. საბოლოო ჯამში, როდესაც სასწორის პინაზე დაიდო გვირაბის გაჭრის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა არგუმენტები, აშკარად გადასწონა მეორემ. ამის გამო საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელობა იძულებული გახდა, მშენებლობა შეეჩერებინა და მისი გაგრძელების საკითხი გადახედვას, წესით, აღარ უნდა დაქვემდებარებოდა.

საკითხი 1987 წელს მაინც არ გადაწყდა. პროცესი გაგრძელდა 1988 წელს, როდესაც აგვისტოში შემაჯამებელი სხდომა ჩატარდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დარბაზში. ამ დღეს მეცნიერებათა აკადემიის შენობასთან შეკრებილი მიტინგი მილიციამ გარეკა, ხოლო ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა ერთი დღით დააკავეს. ამის შემდეგ მაგისტრალის მშენებლობა საბოლოოდ შეჩერდა და ობიექტი დაკონსერვდა.

3.4. ეროვნულ-უფლებადამცველური მოძრაობა და ილია ჭავჭავაძის ისტორიული ფიგურა

როდესაც საკითხი დადგა – და გარკვეული თვალსაზრისით ყოველთვის იდგა, 1907 წლიდან მოყოლებული – ვინ უნდა ყოფილიყო ის დიადი ისტორიული სახე, რომელთანაც საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისთვის ბრძოლა უნდა გაიგივებულიყო, არჩევანი, ცხადია, ილია ჭავჭავაძეზე გაკეთდა. ერთხელ ვახტანგ კოტეტიშვილმა დაწერა, რომ ილიას ნააზრევი და ნამოღვაწარი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერომ ქრისტეს სამოსელივით გაინაწილა, რამაც თითქოს რელიეფურობა დაუკარგა მის ნააზრევსო. რელიეფურობის რა მოგახსენოთ, მაგრამ ახალი საქართველოს დაბადებისას ილია ყველაზე მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მათთვის, ვინც ამ მისიისთვის მოწოდებული ჩანდა.

და როგორი უნდა ყოფილიყო ეს ახალი საქართველო? მისი ახლადშობა რაღაცით ჰგავს სოკრატეს მიერ ადამიანური აზროვნების დაბადებისთვის შრომას წარმართული კულტებით მთვრალ ათენში, როდესაც ეს უკანასკნელი წვალებით, ვაივაგლახით იბადებოდა ათენელ სიბრძნისმჭვრეტელთა გონებაში და ბაგეებზე, სილოგიზმებსა და ლოგიკურ კონსტრუქციებში. ახალი საქართველოც იბადებოდა რუსეთის იმპერიის ორ გუბერნიად ქცეულ, ოდესღაც ამაყ სამხრეთკავკასიურ სამეფოში, რომელიც ერთ დროს მთელ შუა აღმოსავლეთში ანგარიშგასაწევი პოლიტიკური ფაქტორი იყო, საიდანაც 1801 წლიდან ორთავიანი არწივი მთელ კავკასიას – ჩრდილოეთსა თუ სამხრეთს იპყრობდა და მისი ეპოლეტებიანი შვილები, რომლებიც სპარს-ოსმალთა ბატონობასა და ლეკთა თარეშს ვერ ივიწყებდნენ, რუსეთს ამ საქმეში შველოდნენ; სადაც „ერთმორწმუნე მშველელის“ იმედი გაცრუვდა, და განგრძობადი ანექსიის პროცესს არაერთი აჯანყება და სისხლისღვრაც მოჰყვა; სადაც შეთქმულებაც იყო და ღალატიც, სადაც ეროვნულ უნივერსიტეტს სამხედრო სასწავლებელი არჩიეს; სადაც

ვილაცები სერიოზულად მსჯელობდნენ სრულ გარუსებაზე, როგორც ამ ქვეყნის ერთადერთ ოფციაზე; სადაც ყველაზე განვითარებულ და ეროვნულად მოფიქრალ ადამიანს რუსის იმპერატორის უპირობო სიკეთისა ბრმად სჯეროდა; სადაც თათქარიძიანთ დაქიაქებულ ეზო-კარს ჰგავდა ნაკლებად განათლებული ელიტის წარმომადგენელთა არა იმდენად გარეგანი, არამედ უფრო შინაგანი მდგომარეობა, ხოლო განათლებულს, შესაძლოა, საერთოდ ვერ გაეგო საკუთარი ხალხის გულისნადები, როგორც ილიასავე ერთ საყვარელ მოთხრობაში აღწერილ და-ძმას, არჩილსა და კესოს; სადაც წიგნიერი საზოგადოება მეორე კლასის რუსულ ლიტერატურას ვერ გასცდენოდა; სადაც ურბანული კულტურა ქართული საერთოდ არ იყო, ხოლო მინა დღითი-დღე ხელიდან ეცლებოდათ; სადაც ქართულ ენაზე დაწერილს წერა-კითხვის უცოდინრობისა და გამოცემის ტირაჟის სიმცირის გამო, შეიძლება, ათასი კაციც ვერ კითხულობდა.

ილიასთან ლიბერალიზმი, დაახლოებით, ისევე კულტივირებული იყო, როგორც ფილოსოფოსისა და ეკონომიკის თეორეტიკოსის, სერ ჯონ სტიუარტ მილის შრომებში. როდესაც კაპიტალიზმი სისტემურად გზას იკვალავდა, სამეფო ხელისუფლებები იზღუდებოდნენ ან კონსტიტუციით მათ შეზღუდვაზე მიდიოდა საუბარი, მეცნიერება და ინდუსტრია არნახულად ვითარდებოდა, ჩვენი ქვეყანა კი პატრიარქალურ ყოფასა და ორღობეში ჩარჩენილიყო, ჩინოვნიკი და ეპოლეტებიანი თანამემამულე უმაღლესი ცივილიზაციის ნიშანი ეგონათ, ვორონცოვის „რბილი ძალა“ კი – ნამდვილი მოყვარე. ჯ. ს. მილის ტრაქტატი თავისუფლებისა ბრიტანეთში შვიდგზის გამოიცა და რუსეთში იგი ჩერნიშევსკიმ თარგმნა. ილია ის ავტორია, ვისი წყალობითაც ქართველები, ალბათ, პირველად დაფიქრდნენ, რა იყო სინდისისა და აზროვნების თავისუფლება, საკუთარი აზრისა და მრწამსის სუვერენობა, სწავლის, გემოვნების, საკუთარი ცხოვრების დაგეგმვის თავისუფალი არჩევანი, სოციალურ, პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ გაერთიანებათა შექმნის უფლება. როდესაც ახლებურ შუქჩრილში დაინახეს ეკონომიკის თეორია და პრაქტიკა.

ილიას კონსერვატიზმი საოცრად ზომიერი იყო, არასოდეს მოდიოდა წინააღმდეგობაში პროგრესსა და განათლებასთან. საკითხი იდგა, შეიძლებოდა თუ არა წარსულის დიდი სიქველეები და სათნოებები მეტამორფოზირებულიყვნენ ახალ დროში. ილიასთან თითქოს ბრიტანელი კონსერვატორი ფილოსოფოსის, ედმუნდ ბერკის, პრინციპი მოქმედებდა: „შევცვალოთ, რომ შევინარჩუნოთ“, ანუ განვავითაროთ კიდეც. ეს პრინციპი მეტადრე ძველ ქართულ ენასთან მიმართებით გამოდგა ქმედითი. ილია შემდეგნაირად განიხილავდა აღნიშნულ საკითხებს: „ჭეშმარიტი კონსერვატორობა ესარჩლება და იცავს მარტო იმისთანა ძველს, რომელიც, მისის გულწრფელის აზრით, ჯერ კიდევ გამოსადეგია და საჭირო ცხოვრებისათვის, და თუ ხანდისხან სცოდავს რაშიმე ქვეყანას, მარტო იმაში, რომ ზოგჯერ იმისთანა ძველსაც გადეფარება, რომელიც თუმცა გამოსადეგი აღარ არის, მაგრამ უვნებელია, და ძველის ადგილს არ უთმობს ახალსა – მინამ კარგად გულს არ დააჯერებს, რომ ახალი კეთილს მოიტანს. ჭეშმარიტი

ლიბერალობაც უარჰყოფს მარტო იმისთანა ძველს, რომელსაც თავისი დრო და ჟამი მოუჭამია, რომელიც დღეს ხარისხად გასდებია ცხოვრებას და წინსვლას უშლის. იგი ნდომობს იმ ძველის მაგიერ იმისთანა ახალს, რომელიც ძველზედ უკეთ ხელს მოუმართავს ცხოვრების განკარგებასა და წარმატებას. საცა ბრალმდებელია, იქ მფარველიც უნდა იყოს. მარტო ამ ორკეცად გასინჯულ საქმეს მოსდევს მართალი და ჭეშმარიტი. კაცობრიობას დღეს-აქამომდე სხვა გზა არ აღმოუჩენია ჭეშმარიტის და მართლის მოსაპოვებლად".

მისი სოციალიზმი მხოლოდ ფორმალურად იყო სოციალიზმი, სინამდვილეში ქრისტიანობა გახლდათ და არა – რევოლუციური დოქტრინა სისხლიანი ტერორისა და კლასობრივი დიქტატურის გაგებით. „ჭეშმარიტებისთვის ბრძოლას" და ბორკილდადებულ „შრომისა დახსნას", რასაც პოეტი „აჩრდილში" წამოსწევდა, წინ ვერაფერი დაუდგებოდა, ეს იყო მისი მთავარი იდეა. იცოდა, რომ ბოლოს „დაიმსხვრევა იგი ბორკილი, შემფერხებელი კაცთა ცხოვრების". თითქოს გრაფ სენ-ჟერმენის სიტყვები გესმის საფრანგეთის დიდი რევოლუციის წინ – „თქვენ, ევროპელნი, გაათავისუფლებთ ადამიანს და თავად სული ღვთისა გაგიძღვებათ წინ ამ მიზნისაკენ, თუმცა მანამდე გაჩაღდება ომი ყველასი ყველას წინააღმდეგ...". ძმობა, ერთობა, თავისუფლება, როგორც სიყვარული, რწმენა და იმედი.

გუბერნიად ქცეულ ყოფილ სამეფოში, სადაც რესპუბლიკას ან მის მაგვარს არასოდეს ეარსება, ილია საოცარი მეთოდურობითა და თანმიმდევრულობით მუშაობდა ახალი საქართველოს პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ, მორალურ და კულტურულ აღნაგზე. ამ მოღვაწეობის ინსტრუმენტებად მას მწერლობა, ჟურნალისტიკა, თეატრი და წერა-კითხვის გამავრცელებელი, ანუ უწიგნურობის დამძლეველი, საზოგადოება ესახებოდა. იგი თავისი ეპოქის უდიდესი მაჯისშემტყობიც იყო.

რასაც ილია წერდა და ამბობდა, ყოველთვის აქტუალური იყო და რჩება. მაგალითისთვის ავიღოთ თუნდაც ეს: „ყოველ დაწინაურებულ საზოგადოებაში აზრის სხვადასხვაობა, მრავალგვაროვნობა კრიტიკის შედეგია და სხვადასხვა აზრისა და მიმართულების მიმდევართ აქვთ ისეთი წერტილი, რომელიც ყველასათვის საერთოა. ჩვენში კი სხვადასხვაობა აზრისა კრიტიკულის აზრის უქონლობის ბრალია და ჩვენის გაუფრთხილებლობისა. ჩვენში ხშირად ერთისა და იმავე საგნის შესახებ იმდენად შეუთანხმებელს და წინააღმდეგს აზრს გაიგონებთ, მერე ისეთს საგნებზე, რომელთა შესახებ მორიგებულნი უნდა ვიყვნეთ, რომ სწორედ გასაოცარია". აქ ილია საკითხს ძალიან საინტერესოდ სვამს, მიუხედავად „კრიტიკული აზრის" უქონლობისა, რატომაა მაინც ამდენი წინააღმდეგობა და შეუთანხმებლობა ელემენტარულ საკითხებზე?

აქ ასეთი პასუხები შეიძლებოდა: იმიტომ, რომ საქართველოში „არააზროვნება" და „ანტიაზროვნება" ხშირად სჭარბობს აზროვნებას. იმიტომ, რომ აზროვნების პროცესს თეზა-ანტითეზურობის გადალახვის შემდეგ სინთეზის, ანუ შეთანხმებისკენ, მორიგებისკენ მისწრაფება ახასიათებს. საქართველოში კი

ხშირად იდეოლოგიური შაბლონებით, სტერეოტიპებით, ბნელი და მტრული ძალების მიერ შემოგდებული პროპაგანდისტული „თვალსაზრისებით“ ხელმძღვანელობენ. მათში კი წინასწარ ჩადებულია ის სიხისტე და ფეთქებადობა, რომ არასოდეს არაფერთან სინთეზში არ მოვიდეს. კითხვაც არასოდეს არ უნდა დაისვას. იმიტომ, რომ ამ ყოველივეს თავზე მოხვევა აზროვნების უცოდინრობამ და სიზარმაცემ იცის. განათლების ნაკლებობამ იცის. საზოგადოების შინაგანი წინააღმდეგობა და შეუთანხმებლობა მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საკითხებზე კი მხოლოდ მისთვისაა მისაღები, ვისაც ამ ქვეყნის დამოუკიდებლობა და რუკაზე არსებობა აშფოთებდა და ახლაც აშფოთებს.

1987 წელს საქართველოს სსრ-ში რესპუბლიკური მასშტაბით აღინიშნა ილიას იუბილე. ამავე წლის ივნისში ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა შეხვდნენ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, ილია მეორეს. საუბარში მათ პატრიარქს მიაწოდეს ილია ჭავჭავაძის წმინდანად შერაცხვის იდეა. პატრიარქმა ეს იდეა გაიზიარა. უთხრა, რომ მასაც არაერთგზის უფიქრია ამაზე. მართლაც, 1987 წლის 25 სექტემბრს ჩატარდა საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდის სხდომა მისი უწმინდესობისა და უნეტარესობის, სრულიად საქართველოს-კათოლიკოს პატრიარქისა და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ილია II-ის თავმჯდომარეობით, რომელმაც 20 ივლისის სხდომის შემდგომ ერთხელ კიდევ იმსჯელა ჩვენი ხალხის მიერ უკვე დიდი ხნის წინ წმიდანად შერაცხილი ღვთისკაცის მოღვაწეობის შესახებ და მისი დაბადებიდან 150 წლისთავთან დაკავშირებით მიიღო დადგენილება:

1. ერისა და ეკლესიის წინაშე გაწეული დიდი ღვაწლისათვის ილია ჭავჭავაძე აღიარებულ იქნეს წმიდანად და ეწოდოს მას წმიდა ილია მართალი.
2. მისი ხსენების დღედ დადგინდეს 20 ივლისი.
3. დაიწეროს წმიდანისათვის საჭირო ლოცვები.
4. შეიქმნას შარავანდედით მოსილი წმიდა ილიას ხატი.

დოკუმენტს ხელს აწერდა წმიდა სინოდის თავმჯდომარე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. ამ გადაწყვეტილებას თავისი ოპონენტები ჰყავდა როგორც ეკლესიის შიგნით, ისე ეკლესიის გარეთ.

ეკლესიური ოპონენტებისთვის ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობაში იმდენად მკაფიოდ არ იკვეთება ალმსარებლობითი მომენტი: იგი ერთხანს ევროპული ლიბერალიზმის მომხრე იყო, რაც ეკლესიის დოქტრინასთან შესაბამისობაში ძნელადაა მოსაყვანი. ბანკირი და წმინდანი უპრეცედენტოა, ასეთი შემთხვევა წმინდანად კანონიზებულთა შორის არ უნდა არსებობდეს. ამას გარდა, იგი გარკვეულ პერიოდში კლასთა ბრძოლისა და რევოლუციის განწყობებსაც განავითარებდა თავის ტექსტებში: ეს რამდენად ეხმიანება მართლმადიდებლური ეკლესიის ძირითად პრინციპებს? ასევე ჰქონდა მეტისმეტად სეკულარული და ადამიანური სისუსტის გამომხატველი მხარეები, რაც, თავისთავად, შესაძლოა, აშკარა წინააღმდეგობაში არ იყოს ეკლესიის მოძღვრებასთან, მაგრამ კანონიზაციისთვის შესაფერის საფუძვლებს ვერ ქმნის.

საერო ოპონენტებისთვის ილია იყო სეკულარული კულტურის ყველაზე მნიშვნელოვანი სახე და პროტაგონისტი მე-19 საუკუნესა და მე-20 საუკუნის დასაწყისში. მისი წმინდანად შერაცხვა ხსენებულ სეკულარიზმს სრულიად გადაუსვამდა ხაზს, უსარგებლო და არასაჭირო დისკურსს დაუდებდა სათავეს, რომელიც მხოლოდ დაბნევასა და მხოლოდ წარსულზე ფოკუსირებას იწვევდა – ასე თვლიდნენ ისინი. ორივე მხარის ოპონირება მაინც ზეპირ ნარატივად დარჩა, იგი წიგნებში ან სტატიებში არ გადმოცემულა.

ქართველი უფლებადამცველებისთვის მნიშვნელობა ჰქონდა ილიას მონუმენტურ ფიგურასთან და მის ისტორიულ ღვაწლთან დაკავშირებულ შემდეგ მომენტებს: ილია უნდა გამხდარიყო ის ფიგურა, რომლის ირგვლივაც მოხდებოდა ერის კონსოლიდაცია. მართალია, მას თავის ნაწერებში არასოდეს ჩამოუყალიბებია საქართველოს სრული დამოუკიდებლობის იდეა და კულტურულ ავტონომიას, ასევე, გარკვეული დონის პოლიტიკურ ავტონომიას არ გასცდენია, მაგრამ გასაგებია, რატომ მოხდა ეს: საზოგადოებრივი აზრი მის ეპოქაში იმდენად მყარად უპირისპირდებოდა ასეთ მოსაზრებებს, რომ სრული დამოუკიდებლობის იდეებით მარგინალიზაცია გარანტირებული იყო. თუმცა აუცილებლად უნდა ითქვას ისიც, რომ მიუხედავად ქვეყნის სრული დამოუკიდებლობის საკითხის დაყენებისგან თავის შეკავებისა, როგორც ილია, ისე თერგდალეულები იღვწოდნენ, რათა აზროვნება განევითარებინათ ყველა მიმართულებით, რაც წაადგებოდა ქართველი ხალხის ერად ქმნას – აქ „ერი-სახელმწიფო“ იგულისხმება, არა – ეთნოსი, მით უფრო, ეროვნულ უმცირესობად ქცეული უზარმაზარი იმპერიის სამხრეთში: ეს იყო იდეა უნივერსიტეტისა, ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისა, მეცნიერების, წერა-კითხვის გავრცელების, ჟურნალისტიკის, პოლიტიკური მოვლენების განსჯის, სამართლის, სახელმწიფო ინსტიტუტების მოწყობის ცოდნის, ლიტერატურათმცოდნეობითი თუ სხვა კრიტიკის, საბანკო საქმის, მრწეველობის, ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის, ირიგაციისა და სხვა მიმართულებებით.

3.5. „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება“

1987 წელს უნდა წამოწეულიყო ილიას ის ასპექტი, რომელიც სრულიად მიჩქმალული იყო საბჭოთა სახელმძღვანელოებში – ერთი მხრივ, მისი ქრისტიანობა, მეორე მხრივ, მისი ლატენტური ინდეპენდიზმი, სწრაფვა სუვერენიტეტისკენ, ავტონომიისა და თავისუფლებისკენ, რისკენაც მის ნააზრევში ყველაფერი ლოგიკურად ვითარდებოდა. რეპრესიულ და აგრესიულად ასიმილატორულ იმპერიასთან ბრძოლას ორივე ესაჭიროებოდა. სწორედ ქრისტიანობისა და ინდეპენდიზმის გამო ესროლეს ილიას ტყვია – და ეს გააკეთა არა ცარიზმმა, არა ყაჩაღებმა გაძარცვის მიზნით, არამედ იმ პოლიტიკურმა ძალამ, რომელიც დაინტერესებული იყო, რომ ხელისუფლება უზარმაზარ იმპერიაში ხელთ ეგ-

დო რევოლუციური ტერორის გზით. ამავე დროს, ეს „შერაცხვა" ერთჯერადი აქტი უნდა ყოფილიყო. ის შემოიფარგლებოდა მხოლოდ ილია ჭავჭავაძით და არ გულისხმობდა ზოგადად თერგდალეულთა მოძრაობის საკრალიზაციას – ამ მოძრაობის სხვა წარმომადგენელთა ასევე წმინდანებად შერაცხვას, რაც თავში აზრადაც არ მოსვლიათ არც ზვიად გამსახურდიას, არც მერაბ კოსტავას.

გარდა ამისა, 1986 წლის მიწურულს ზვიად გამსახურდიამ გაავრცელა თვითგამოცემა „მატიანის" კიდევ ერთი ნომერი, რომელიც შეეხებოდა ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საკითხს. რამდენადაც 1987 წელს ახლოვდებოდა ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან – 150 წლის იუბილე, ხოლო მკვლელობიდან 80 – წლისთავი, საბჭოთა ხელისუფლება ემზადებოდა აღნიშნული იუბილეს აღსანიშნავად. ამ მიზნით დაიწყო ყვარლის სახლ-მუზეუმის რეკონსტრუქცია, სადაც უნდა განთავსებულიყო პოეტისა და საზოგადო მოღვაწის ცხოვრების ამსახველი ექსპოზიცია. დაიგეგმა სხვადასხვა კულტურული ღონისძიება.

1937 წლიდან საბჭოთა საქართველოში დამკვიდრდა ნარატივი, თითქოს ილია ჭავჭავაძე მოკლეს ცარიზმის პოლიტიკური პოლიციის აგენტებმა. არსებობდა მეორე ვერსიაც, თითქოს ეს ჩვეულებრივმა ყაჩაღებმა ჩაიდინეს. „მატიანეში" გამოქვეყნდა საქართველოს სახელმწიფო არქივის დირექტორის, ვახტანგ გურგენიძის, მიერ მოძიებული მასალები, რომელთა შუქჩრილშიც იკვეთებოდა, რომ ილია ჭავჭავაძის მკვლელობა არც ცარიზმის და არც ყაჩაღების შემთხვევითი თავდასხმის ბრალი არ ყოფილა. ყველა ნიშნით ეს იყო პოლიტიკური მკვლელობა, რომელიც რუსული სოციალ-დემოკრატიული პარტიის იმ ფრთის ნახელავი ჩანდა, რომელიც რევოლუციის სახელით ტერორისტული მეთოდებიდან უკან არ იხევდა. ამ მასალების მიხედვით განსაკუთრებით იკვეთებოდა ფილიპე მახარაძის, ჟურნალ „მოგზაურის" რედაქტორისა და ქართველ სოციალ-დემოკრატთა ბოლშევიკური ფრაქციის ერთ-ერთი საკვანძო ფიგურის, როლი, რაც შეეხება ილიას დისკრედიტაციისთვის კამპანიური ხასიათის მიცემასა და მისი მკვლელობისთვის იდეური საფუძვლის მომზადებას.

ცხადია, ის, რაც „მატიანეში" ეწერა, იმ დროს ვერ დაიბეჭდებოდა ვერც პრესაში და ვერც რადიო-ტელევიზიით მოხერხდებოდა მისი გადაცემა. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ასეთი ჟურნალი ხელიდან ხელში არ გადავიდოდა. 1987 წლის გაზაფხულზე მთაწმინდის პანთეონში უცნობმა პირებმა ააფეთქეს ფილიპე მახარაძის საფლავი. იგი პატიაშვილის ბრძანებით მალევე აღადგინეს და დაცვაც დაუყენეს. დაცვა დაუყენეს ასევე სერგო ორჯონიკიძის ძეგლსაც, რომელიც ვაკე-საბურთალოზე გამავალი გურამიშვილის ქუჩისა (ახლანდელი თამარაშვილის ქუჩა) და პავლოვის (ახლანდელი ყაზბეგის) ქუჩების კვეთაზე იდგა. ფილიპე მახარაძის ნეშტი მხოლოდ 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ გადაასვენეს პანთეონიდან. 1987 წლის 31 ოქტომბერს თბილისში, მარჯანიშვილის მოედანზე მდებარე ეროვნულ-უფლებადამცველური მოძრაობის აქტივისტის, კახაბერ თოდუას, კუთვნილ კერძო ბინაში დაფუძნდა პოლიტიკური ორგანიზაცია „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება".

ეს იყო პირველი არაფორმალური პოლიტიკური ორგანიზაცია, როგორც ასეთ ორგანიზაციებს უწოდებდნენ სსრკ-ში, „პერესტროიკის“ პერიოდში. მათ სახელმწიფო უწყებები რეგისტრაციაში არ ატარებდნენ, ამის ვალდებულება არც არსებობდა და არც აკრძალვას ექვემდებარებოდნენ. არსებითად, შეუძლებელიცაა აიკრძალოს ის, რაც არ დარეგისტრირებულა. ამ საზოგადოების დაფუძნებაზე კრების ორგანიზატორებმა დაპატიჟეს ეროვნულ-უფლებადამცველური მოძრაობის არაერთი წარმომადგენელი – სულ, ალბათ, 50-მდე ადამიანი. გამგეობაში მათ აირჩიეს 9 პირი: თამარ ჩხეიძე, ციალა არდაშელია, გურამ მამულია, მერაბ კოსტავა, ელისაბედ ქავთარაძე, მიხეილ ქურდიანი, გიორგი ჭანტურია, ირაკლი წერეთელი, ვანო ხუხუნაიშვილი. ეს შემადგენლობა დაამტკიცა დამფუძნებელმა კრებამ 11 დეკემბერს.[272] ყურადღებას იქცევდა ერთი გარემოება – ამ კრებაზე არ დაუპატიჟებიათ ზვიად გამსახურდია. იგი „შემთხვევით გამორჩენილი“ არ ჩანს. ეს იყო მიზანმიმართული პოლიტიკა, რომელსაც ახორციელებდა თამარ ჩხეიძე. როგორც ჩანს, მან იმ ეტაპზე მიიმხრო რამდენიმე ადამიანი – უპირველეს ყოვლისა, ირაკლი წერეთელი, გიორგი ჭანტურია და ვანო ხუხუნაიშვილი. უპირობო ავტორიტეტი მერაბ კოსტავა და ეროვნული დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის ვეტერანი ელისაბედ ქავთარაძე ფაქტის წინაშე დააყენეს, მიხელ ქურდიანი საერთოდ არ ყოფილა ჩახედული ამ ამბებში, ხოლო ციალა არდაშელიასა და გურამ მამულიასთან გასარკვევიც არაფერი ექნებოდა – ისინი ზუსტად იმავე პოზიციაზე იდგნენ, რაზეც თამარი. ამიტომ პასუხი შეკითხვაზე, მელიც ვახტანგ ძაბირაძეს გაუჩნდა, თუ რა მიზეზით არ მიიღო ზვიად გამსახურდიამ მონაწილეობა საზოგადოების დაფუძნებაში, არც ისე ძნელი გასაცემია.[273]

ისტორიკოსი დიმიტრი შველიძე ასკვნის: „ადვილი შესაძლებელია, აქვე, ამ დროს, 1987 წლის მინურულს ჩაეყარა საფუძველი პირველად ან საბოლოოდ იმ მწვავე კონფრონტაციას, რაც „ჭავჭავაძის საზოგადოებასა“ და გამსახურდიას შორის არსებობდა მომავალი წლების განმავლობაში. ამ კონფრონტაციამ უაღრესად უარყოფითი როლი შეასრულა ზოგადად ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცნობიერებისა და კულტურის ფორმირების პროცესზე, ეროვნულ-პოლიტიკური მოძრაობის ჯანსაღი ევოლუციის შესაძლებლობაზე“. ამ დასკვნაზე უნდა ითქვას, რომ ეს კონფრონტაცია ახალი არ ყოფილა. იგი იყო გაგრძელება იმ კონფრონტაციისა, რომელიც პირველად 1983 წელს გამოვლინდა. ზვიად გამსახურდიას მიმართ თ. ჩხეიძისა და მისი თანამებრძოლების მხრიდან პირველად მაშინ გაისმა „ზედმეტი სიფრთხილის“ ბრალდება პოლიტიკურ ბრძოლაში, ასევე, „მონანიების“ და „მორალური გატეხის“ თემა. მონანიება საუკეთესო შემთხვევაში განიმარტა, როგორც ზნეობრივი კომპრომისი და სისუსტე. მათვე უნდობლობა გამოუცხადეს მერაბ კოსტავას ნათქვამს, რომ ზვიადის „მონანიება“ მასთან შეთანხმებული იყო. მიუხედავად იმისა, რომ მერაბ კოსტავამ ზემოთ მოყვანილი განცხადება 1987 წლის მაისში გააკეთა, თვით მასაც კი, უპირობო ავტორიტეტს, ეს სისუსტესა და კომპრომისში ჩაეთვალა.

თამარ ჩხეიძემ ნევროტულ-ქოლერიკული გამოხატვის ფორმებით ისიც კი განაცხადა, რომ მერაბ კოსტავას, თუკი მას თავმოყვარეობა ჰქონდა, არათუ პოლიტიკურ თანამშრომლობაზე წასვლა არ უნდა დაეშვა, არამედ სალამიც კი არ უნდა მიეცა ზვიად გამსახურდიასთვის. თვითონ თამარ ჩხეიძე, როდესაც ხსნის, თუ რატომ უცხადებდა ბოიკოტს ზვიად გამსახურდიას „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების" დაფუძნებისას, სამ საკამათო საკითხს წამოსწევს: 1. იგი ამტკიცებდა, თითქოს ზვიად გამსახურდია თავის მონანიებას ღირსეულ საქციელად თელიდა და სხვებისგანაც მოითხოვდა მისთვის ეს დაედასტურებინათ. სინამდვილეში, ზვიად გამსახურდია თავის ტაქტიკურ ნაბიჯს საერთოდ არ აფასებდა მორალური კატეგორიების მოშველიებით, არამედ როგორც ძალიან არაკომფორტულ, უხერხულ, იმავდროულად, დამაზიანებელ აუცილებლობას კონკრეტულ ისტორიულ მომენტში, როდესაც შესაძლოა, ყველაფერი ქვეყნიდან მისი გაძევებით დასრულებულიყო. სხვებისგან ის მხოლოდ გაგებით მიდგომას ითხოვდა და არა შექებას ან აღმატებულ შეფასებას; 2. თითქოს იგი ლანძღავდა დასავლეთის დემოკრატიას და აქებდა თეოკრატიულ მონარქიას – ეს სრული აბსურდია. ასეთი ტიპის განცხადება ზვიად გამსახურდიასგან არავის ახსოვს, არც მიტინგზე, არც ინტერვიუში, არც ოფიციალურ განცხადებაში. მაქსიმუმ, რისი თქმაც მისგან წარმოსადგენია, ისიც, უკვე პრეზიდენტობის პერიოდში, არის შენიშვნა, რომ ზოგჯერ დასავლეთი არასაკმარისად პრინციპული იყო საბჭოთა კავშირის მიმართ; 3. „გარშემო ყველას სუკ-ის აგენტად ნათლავდა" – ამ საკითხზე შესაძლოა ითქვას: ის, რომ საბჭოთა სუკ-ი ძლიერი და გავლენიანი სპეცსამსახური იყო, საკმაოდ ფართოდ განტოტვილი აგენტურული ქსელით, საკამათო ნამდვილად არ არის.

საბჭოთა სუკ-ს, შტატიანი აგენტებისა და თანამშრომლების გარდა, ჰყავდა გავლენის აგენტები და „სასარგებლო იდიოტების" არმია, რომლებიც ყოველგვარი დაინტერესების გარეშე აკეთებდნენ ამ ორგანიზაციის საქმეს (მაგალითად, ასეთი დიფერენცირება გვხვდება ფრანგ ავტორსა და სპეცსამსახურების ექსპერტთან, ტიერი უოლტონთან). ყველაზე მეტი, რაც შეიძლება უსაყვედურო ზვიად გამსახურდიას, ესაა ნაკლები დიფერენციაცია ამ ტიპის ადამიანებს შორის – შესაძლოა, აჯობებდა დაკონკრეტება, ვინ რომელ კატეგორიას განასახიერებდა. მაგრამ იგი, ცხადია, ამას ვერ შეძლებდა მარტივი მიზეზის გამო: მას არავინ დაუშვებდა არქივებთან, მას არ ჰყოლია, ასევე, სპეცსამსახურების საქმიანობაზე სპეციალიზებული პროფესიონალების გუნდი, რომელიც დასავლეთის ანალოგიურ სამსახურებთან ურთიერთობისა და კონტაქტების გზით ზუსტად დაადგენდა და გამოავლენდა საქართველოში მოქმედი საბჭოთა სპეცსამსახურისა და პოლიტიკური საიდუმლო პოლიციის აგენტურას. ზვიადი საკუთარ დაკვირვებას და დასკვნებს უნდა დანდობოდა და ამ პროცესში, შესაძლოა, ადამიანურად მასაც გარკვეული შეცდომა დაეშვა დასკვნის გამოტანისას. ზოგჯერ იგი, შესაძლოა, ზედმეტად ემოციურიც ყოფილიყო და პოლიტიკური კორექტულობაც ვერ დაეცვა თავის ფორმულირებებში.

მართალია, საქართველოში ლუსტრაცია და სუკ-ის აგენტურის კარტოთეკების გამომზეურება ვერ მოხდა, თუმცა ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებიდან წლების გასვლის შემდეგ არაერთხელ აღნიშნულა, რომ მან რეალისტურად ივარაუდა ბევრი ადამიანის გარკვეული კავშირი საბჭოთა სპეცსამსახურსა და საიდუმლო პოლიტიკურ პოლიციასთან. ცხადია, ეს იმდენად რთული საკითხია, რომ აქ სრულიად უცდომელი ვერავინ იქნება.

ამავე შეკრებაზე დასამახსოვრებელი იყო ის კამათი, რომლის ინიციატორიც იყო მიხეილ ქურდიანი, ენათმეცნიერი და პროფესორი, არაერთი საყურადღებო სამეცნიერო შრომის ავტორი. როდესაც დადგა საკითხი ილიას ძირითადი პრინციპების გაზიარებაზე „მამული, ენა, სარწმუნოება“, მიხეილ ქურდიანმა განაცხადა, რომ სარწმუნოება აქედან ამოსაღებია. რატომ? იმიტომ, რომ სარწმუნოების მიღმა ცალსახად დომინანტი კონფესია იგულისხმებაო, ხოლო ქართველები კათოლიკეებიც არიან და მუსლიმებიცო. სხვა რელიგიების მიმდევარნი არიანო, ასევე, საქართველოში მცხოვრები არაქართველებიცო. გამგეობის სხვა წევრებმა მისი ეს მიდგომა არ გაიზიარეს და საკმაოდ დიდხანს მიდიოდა ხმამაღალი კამათი. მიხეილ ქურდიანი აქ აშკარად სუბიექტური და მიკერძოებული იყო – არსაიდან არ ჩანს, რომ ილიასეული ტრიადის მესამე პრინციპში, გინდა თუ არა, პროქალკედონურ-პრობიზანტიური ორთოდოქსია, ანუ საქართველოს ავტოკეფალური, სამოციქულო ეკლესიის მართლმადიდებლობა იგულისხმება. აქ უკვე ჩანდა გარკვეულწილად ლატენტური დადანაშაულება ეროვნული მოძრაობისა, თითქოს ის ყალიბდებოდა ეთნორელიგიური ნაციონალიზმის ფლაგმანად, რომლისთვისაც მისაღები რელიგია მხოლოდ მართლმადიდებლობა იყო, ხოლო მისაღები ეთნოსი – ქართველი.

1987 წლის დეკემბრის ბოლოს „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების" ინიციატივით მოეწყო აქცია დიდუბის პანთეონში, მიძღვნილი რეპრესირებული პატრიოტების ხსოვნისადმი. ასეთი აქცია, წესით, სრულად ჯდებოდა „პერესტროიკულ" თემატიკაში, რამდენადაც საკავშირო ტელევიზიაში არაერთგზის ყოფილა ამაზე გადაცემა, გასულა ფილმიც, საბჭოთა კავშირში უკვე ტაბუ აღარ ედო ამ თემას. ამ აქციაში მონაწილეობა მიიღო ყველა იმ პოლიტიკურმა პირმა, რომლებმაც „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება" დააფუძნეს, მათ შორის, მერაბ კოსტავამ. ზვიად გამსახურდია არ დასწრებია ამ აქციას. ხელისუფლებამ უამრავი მილიციელი განათავსა დიდუბის პანთეონში. აქცია დაიწყო იმით, რომ ირაკლი შენგელაიამ დაიწყო რეპრესირებულთა სიის კითხვა. ამ დროს ერთ-ერთმა აქტივისტმა, მარინა ტერზიანმა, გაშალა პლაკატი რუსულ ენაზე „ადამიანებო, ნუ სდუმხართ!" მილიციელებმა ამ პლაკატის წართმევა განიზრახეს, რასაც მოჰყვა შეხლა-შემოხლა. ამის შემდეგ აქცია დაშალეს. გიორგი ჭანტურია დაშლისას პარაპეტზე ახტა და შესძახა: „მეგობრებო, ეს ჩვენი გამარჯვებაა!" დაშლისას კი აქტივისტებმა მოითხოვეს რეპრესირებულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ძეგლის დადგმა.

ის განწყობები, რომლებიც მაშინ ისახებოდა ეროვნულ მოძრაობაში, ერთ პრივატულ შეკრებაზეც გამოვლინდა, რაც, თავის მხრივ, ჩემს პირად ცხოვრებაში მომხდარ ერთ ცვლილებასთანაა კავშირში. 1987 წლის 23 ნოემბერს შედგა ჩემი და ჩემი მომავალი მეუღლის, ნინო ბარდაველიძის, ჯვრისწერა, ხოლო იმავე საღამოს, რამდენადაც დიდი სუფრისგან შეგნებულად თავი შევიკავეთ, მცირე, მოკრძალებულ მასშტაბში გაიმართა საქორწილო სუფრა, რომელსაც ოცამდე ადამიანი დაესწრო. ზვიადი და მერაბი ოდნავ დაგვიანებით მოვიდნენ. ზვიადმა თამადობა მერაბს შესთავაზა. მერაბმა ამაზე თქვა, ხომ არ აჯობებდა, ვინმე ახალგაზრდა გაძღოლოდაო სუფრას. ამაზე ზვიადმა უთხრა, ჩვენ მალე შეიძლება აღარ ვიყოთ ამქვეყნად და ეს დღე კარგად გაახსენდებაო (ცხადია, მე ვიგულისხმებოდი). ამის შემდეგ მერაბმა შეავსო სასმისი და გვადღეგრძელა. მისი თამადობაც ისეთივე შთამბეჭდავი იყო, როგორიც მისი საჯარო გამოსვლები. ამ სუფრას ესწრებოდა ირაკლი წერეთელი, რომელიც ჯვრისწერისას ჩემი მეჯვარე იყო, ასევე, ირაკლი ბათიაშვილი, ვისთანაც სტუდენტობის დროს და შემდგომ წლებში მეგობრობა მაკავშირებდა. სწორედ აქ, ამ დღეს გაიცნო ირაკლი ბათიაშვილმა ირაკლი წერეთელიც და ზვიადიც. სუფრის მიმდინარეობისას ირაკლი წერეთელმა ზვიადს და მერაბს მიმართა, ეროვნულ მოძრაობაში, სამწუხაროდ, არსებობენ ადამიანები, რომელთაც თქვენ შორის გათიშულობა და, მეტიც, თქვენი ერთმანეთთან დაპირისპირება სწყურიათო. ამაზე მერაბმა უხეშად მოუჭრა სიტყვა, ეს აქ რა განსახილველიაო. ირაკლის ეწყინა, რას ქვია, რა განსახილველია, მე გულისტკივილით ვამბობ, შენ კი ჩემს გაჩუმებას ცდილობო. შეიქმნა უხერხული და დაძაბული სიტუაცია, რომელიც ისევ ზვიადმა განმუხტა და საუბარი სხვა თემაზე გადაიტანა.

3.6. 1988 წლის ზოგადი სურათი, დიდი გარდატეხის პირველი წელი

1988 წელი ერთგვარი განთიადივით იყო როგორც აღმოსავლეთ ევროპაში, ისე – საბჭოურ სივრცეში. ერთგვარი რეტროსპექტივა რომ წავუმძღვაროთ, მოვლენების თანდათან აჩქარებადი განვითარების ასეთი სურათი წარმოგვიდგება: ჩეხოსლოვაკიაში „ქარტია 77-ის“ ხელისმომწერებმა დააფუძნეს აშშ-ის მეგობართა ასოციაცია. ცოტა მოგვიანებით საპყრობილეში არაადამიანური მოპყრობის შედეგად დაილუპა ჩეხი დისიდენტი პაველ ვონკა, რომლის დაკრძალვაც დემონსტრაციაში გადაიზარდა. ოპოზიციურად განწყობილნი გააქტიურდნენ პოლონეთშიც – ვროცლავში, პოზნანში, გდანსკში, ლოძსა და ვარშავაში მოეწყო „რევოლუციის კარნავალად“ წოდებული ახალგაზრდობის გამოსვლები, რომლებიც გამოკვეთილად მშვიდობიან ხასიათს ატარებდა და პოლიციამ ვერ დაშალა. მსგავსი მოძრაობები ბალტიისპირეთშიც დაიწყო: თებერვალში დემონსტრაციები გაიმართა ვილნიუსსა და კაუნასში, ლიტვის დედაქალაქში დემონსტრანტებმა „ლიტვის პატრიარქად“ წოდებული იონას ბასანავი-

ჩუსის ძეგლი ყვავილებით შეამკეს. ესტონეთში ადგილი ჰქონდა გამოსვლებსა და შეტაკებებს მილიციასთან, რასაც მოჰყვა 48 რეფორმატორი ნომენკლატურის წარმომადგენლისა და შედარებით ზომიერი დისიდენტის ერთობლივი მიმართვა ესტონეთის მოსახლეობისადმი, სადაც მოითხოვეს რესპუბლიკის მეტი ავტონომია და სუვერენიტეტი. ერევანში ყოველდღიურად ეწყობოდა მრავალრიცხოვანი დემონსტრაციები მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის აზერბაიჯანის შემადგენლობიდან გამოყვანისა და სომხეთის სსრ-სთან შეერთების მოთხოვნით. ამას წინ უძღოდა ყარაბაღის ავტონომიური ოლქის სამხარეო საბჭოში კენჭისყრის შედეგად რეზოლუციის მიღება. ოლქის გამოყოფასა და სომხეთთან შეერთებას 127 დეპუტატიდან 110-მა მხარი დაუჭირა. 16 თებერვლის მიტინგზე ერევანში თითქმის მილიონ მონაწილეზე იყო საუბარი. იმავე სომხეთში შეიქმნა „ყარაბაღის კომიტეტი“, რომელშიც გაერთიანდა სომხეთის ყველა გავლენიანი და ცნობილი ადამიანი. როგორც რეაქცია სომხეთში მიმდინარე პროცესებზე, საკმაოდ მრავალრიცხოვანი დემონსტრაცია გაიმართა ბაქოშიც, ხოლო 27-28 თებერვალს მოხდა ცნობილი „პოგრომი“ სუმგაითში.

ამავე პერიოდში მოსკოვში სკკპ-ის პლენუმმა გადაწყვიტა, ხელმძღვანელობისადმი კრიტიკული პოზიციების გამო ბორის ელცინისთვის ჩამოერთმია პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის სტატუსი.[274] პროცესები გაგრძელდა მთელი გაზაფხულის განმავლობაში. მოსკოვში, ლენინგრადსა და სვერდლოვსკში ჩატარდა დემონსტრაციები სტალინიზმის მსხვერპლთა მოსაგონრად. ბულგარეთში შეიქმნა ქალაქ რუსეს დაცვის კომიტეტი, რომელიც ეკოლოგიის საკითხებით იყო დაინტერესებული და მასში დისიდენტურად განწყობილი პირები შევიდნენ. კიევსა და ლვოვში მოხდა უკრაინის „ჰელსინკის კავშირის“ ღიად მოქმედ ორგანიზაციად გამოცხადება, ამ ორი ქალაქის გარდა სხვაგანაც შეიქმნა რეგიონული ჯგუფები, რამაც საფუძველი ჩაუყარა უკრაინული „სახალხო ფრონტის“ – „რუხის“ შექმნას. ამავე დროს, რუსეთში, გაზეთ „სოვეტსკაია რასიაში“, რომელიც 5 მილიონზე მეტი ტირაჟით გამოდიოდა, დაიბეჭდა მანამდე უცნობი დოცენტის, ნინა ანდრეევას, „პერესტროიკის“ წინააღმდეგ მიმართული სტატია, რომელშიც ავტორი იცავდა სტალინის ეპოქას და აკრიტიკებდა გორბაჩოვს. ამ სტატიას მხარი დაუჭირეს კომპარტიის კონსერვატორებმა და იგორ ლიგაჩოვმა. წერილს პასუხი გაეცა „პრავდაში“ დაბეჭდილი ალექსანდრ იაკოვლევის წერილით, რომელშიც ჩამოყალიბებული იყო პოლიტბიუროს ოფიციალური პოზიცია ანდრეევას წერილზე.[275] ამავე დროს, მოსკოვში დაარსდა ორგანიზაცია „მემორიალი“, რომელიც ადამიანის უფლებებისთვის ბრძოლასა და სტალინური ტერორის გამოძიებას აცხადებდა თავის უმაღლეს პრიორიტეტად. იგი დააარსა ისტორიკოსმა არსენი როგინსკიმ, ბელორუსმა მწერალმა ალექსანდრ ადამოვიჩმა, პოეტმა ევგენი ევტუშენკომ, ისტორიკოსმა იური აფანასიევმა, ჟურნალ „ოგონიოკის“ ყოფილმა რედაქტორმა ვიტალი კოროტიჩმა და სხვებმა. გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაშიც დაიძრა პროცესები – ლაიფციგში, ნიკოლაის ეკლესიაში გამართული ლოცვის შემდეგ ასეულობით

დემონსტრანტმა ქუჩებში „მდუმარე მსვლელობა“ მოაწყო. ბუდაპეშტში მოეწყო დიდი მიტინგი რუმინეთის უნგრული უმცირესობისადმი სოლიდარობის ნიშნით, რომელზეც სიტყვით გამოვიდა უნგრელი დისიდენტი გასპარ მიკლოშ ტამასი. დემონსტრაცია ბოლოს პოლიციამ დაარბია. რიგაში მოეწყო დემონსტრაციები, ორგანიზებული „ჰელსინკი 86-ის“ მიერ, რომლებიც მიეძღვნა1949 წელს ლატვიიდან დეპორტირებულთა ხსოვნას. ამავე ლატვიაში საპყრობილიდან გათავისუფლების შემდეგ მალევე დაიღუპა დისიდენტი და პოლიტპატიმარი გუნარს ასტრა, რომელზეც ეჭვობდნენ, რომ იგი სუკ-მა მოწამლა. ტალინში ედგარ სავისაარმა დააარსა „პერესტროიკის“ მხარდამჭერი ესტონეთის სახალხო ფრონტი“. ასეთივე „სახალხო ფრონტები“ შეიქმნა ლიტვასა და ლატვიაშიც.

სამხრეთ კავკასიასა და საქართველოს სამეზობლოში არეულობები გაგრძელდა და უფრო გამწვავდა. სომხეთში ყარაბაღის კომიტეტი უკანონოდ გამოცხადდა, მისი წამყვანი ფიგურები დააპატიმრეს. მალე სომხეთის სუკ-მა დააკავა დისიდენტი და ყოფილი პოლიტპატიმარი პარუირ აირიკიანი. ყარაბაღის კონფლიქტი საკმაოდ სერიოზული გამოწვევა აღმოჩნდა „პერესტროიკისთვის“ თავის საწყის ეტაპზე. თბილისელმა სომხებმა სცადეს, ყარაბაღის სომხეთთან შეერთების იდეისთვის მხარდაჭერის მიზნით მიტინგი მოეწყოთ „26 კომისრების“ მეტროსთან, მაგრამ მილიციამ მათ ამის საშუალება არ მისცა. საქართველოს ტერიტორიაზე აზერბაიჯანელებსა და სომხებს შორის დაპირისპირების ნიშნები აშკარად არ ჩანდა.

მიხეილ გორბაჩოვი, მოგვიანებით, აღნიშნავდა, რომ რეფორმები მულტინაციონალურ სახელმწიფოში ტარდებოდა და წარმატების იმედი არ უნდა გვქონოდა, თუკი სხვადასხვა ერისა და ეთნოსის ინტერესებს ანგარიშს არ გავუწევდითო. მიუხედავად ამისა, მაინც ტრადიციული მეთოდების გავლენის ქვეშ ვრჩებოდით და წამოჭრილი პრობლემების მთელ განზომილებაში ნამდვილი გარკვევისგან საკმაოდ შორს ვიყავითო. 1988 წლის ბოლოს მეცნიერთა ჯგუფმა, აკადემიკოს ანდრეი სახაროვისა და ანდრეი ზუბოვის ინიციატივით, წამოაყენა იდეა რეფერენდუმის ჩატარებისა, მთიანი ყარაბაღის ავტონომიურ ოლქში. რა თქმა უნდა, აქ სომხური მხარე, განსხვავებით აზერბაიჯანული მხარისგან, ასეთ ინიციატივას მიესალმებოდა გასაგები მიზეზების გამო – ეთნიკურად სომეხი მოსახლეობა ხომ მთიან ყარაბაღში (ქალაქი შუშის გარდა) ყველგან უმრავლესობას წარმოადგენდა.

ისტორიკოსი ალ. დანიელი აკად. სახაროვზე წერს, რომ მას საერთოდ არ ესმოდა ეთნიკური კონფლიქტები, რამდენადაც ისინი არ იყო რაციონალური თავიანთი ბუნებით და ამიტომ მისი მიდგომები გვაოცებენ თავისი მიამიტურობითო. ფაქტია, რომ სახაროვმა ამ კონფლიქტში ცალსახად სომხეთის მხარე დაიკავა. მას საერთოდ არ გააჩნდა იდეა, როგორ შეიძლებოდა ამ კონფლიქტის ისე მოგვარება, რომ ორივე მხარის ინტერესი გათვალისწინებული ყოფილიყო. სახაროვი მოგვიანებით აირჩიეს სახალხო დეპუტატთა უმაღლეს საბჭოში, საბჭოთა პარლამენტში, თუმცა აშკარა იყო, რომ დისიდენტებმა და უფლებადამც-

ველებმა რუსეთში პოზიციები დათმეს. ასე არ ყოფილა ბალტიისპირეთში, საქართველოსა და უკრაინაში.

ზვიად გამსახურდია იხსენებდა, რომ წლის დასაწყისში იგი ჩავიდა მოსკოვში და იქ ინტერვიუ მისცა ამერიკული ტელეკომპანია CNN-ის კორესპონდენტს, პიტერ არნეტს, რომელშიც ისაუბრა დავითგარეჯის პოლიგონის შესახებ, სადაც სამხედროებმა დააზიანეს კულტურის ძეგლი, ასევე, ილაპარაკა ბუნების უწყალო განადგურების შესახებ.[276] ამას მოჰყვა გაზეთ „კომუნისტში“ დემურ იოსელიანის პასკვილი სათაურით „შეიცან თავი შენი“, რომელშიც მძიმე და დამამცირებელი ფორმით იყო გალანძღული ზვიად გამსახურდია. სტატია სამ ნაწილად დაიბეჭდა, 1988 წლის 28 თებერვალს, ასევე 5 და 6 მარტს. სტატიაში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ ზვიადის მოღვაწეობა ატარებდა გამოკვეთილად ანტიქართულ, ანტისახელმწიფოებრივ, მავნებლურ ხასიათს, რომ ის ჩვეულებრივი ბოლმიანი და ხელმოცარული ადამიანი იყო. ზვიად გამსახურდიას პასუხის გაცემის საშუალება არსად მისცეს. როდესაც მან მეორედ სცადა მოსკოვში ჩასვლა, იგი მატარებლიდან მოხსნეს მილიციისა და სუკ-ის თანამშრომლებმა და არ მისცეს თბილისის დატოვების საშუალება.

ზვიად გამსახურდიამ დაწერა პასუხი ნახსენებ პასკვილზე სათაურით „შეიცან სკამი შენი, ანუ ესეც თქვენი გარდაქმნა“. ამ სტატიაში ხაზგასმული იყო ის გარემოება, რომ საქართველოში გარდაქმნასა და დემოკრატიზაციაზე არავინ ფიქრობდა, რომ ის საქართველოს ოფიციოზს ესმოდა, როგორც ცალმხრივი მოძრაობის ქუჩა. ასევე, აღწერილი იყო ის გაუსაძლისი სიტუაცია, რომელიც ზვიად გამსახურდიას შეუქმნა რეპრესიულმა მანქანამ. მასში მოყვანილი იყო რესპუბლიკის პოლიტიკური ხელმძღვანელის, ჯუმბერ პატიაშვილის, სიტყვები, რომლებიც მან წარმოთქვა რესპუბლიკის გამომცემლობების დირექტორთა თათბირზე: „გარეწარ ზვიად გამსახურდიას არ დაუბეჭდოთ არცერთი სტრიქონი!“ ეს სტატია გადაიბეჭდა საბეჭდ მანქანაზე, გადამრავლდა ქსეროაპარატზე, როგორც თვითგამოცემა, და ისე დარიგდა. ამის შემდეგ ზვიად გამსახურდიამ თავის საცხოვრებელ სახლში უვადო შიმშილობა გამოაცხადა. შიმშილობის დროს დაყენებული მოთხოვნა იყო რამდენიმე: ქართული ენის ლეგალიზაცია, ტრანსკავკასიის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობის შეჩერება, მოლაპარაკებების დაწყება დავითგარეჯის პოლიგონზე, ასევე წირვა-ლოცვის აღდგენა მეტეხის ტაძარში, რომელშიც თეატრი იყო განთავსებული.

ამ პერიოდში თბილისში ჩამოვიდა აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჯორჯ შულცი. მისმა თანაშემწემ საიმონსმა პირადად ინახულა ზვიად გამსახურდია შიმშილობის დროს და კითხვები დაუსვა მის მიერ წამოყენებული მოთხოვნების შესახებ. საიმონსი ზვიადს შეჰპირდა, რომ ამ მოთხოვნებს გააცნობდა სახელმწიფო დეპარტამენტს. მოშიმშილის მდგომარეობა ამ დროისთვის კრიტიკული იყო, მან რამდენიმეჯერ გონება დაკარგა. ხსენებული საუბრის შემდეგ ზვიად გამსახურდიამ, დაწყებიდან 28-ე დღეს, შეწყვიტა შიმშილობა. ამ შიმშილობას

შედეგად მოჰყვა რეალური პროგრესი, რაც შეეხებოდა აღნიშნული საკითხების გადაწყვეტას.[277]

როგორი სურათი იკვეთებოდა საქართველოში ახლად შექმნილი არაფორმალური ორგანიზაციების განვითარებისა და შემდგომი გადაჯგუფებების მხრივ? „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება", რომელიც 1987 წლის ოქტომბრის ბოლოს დაფუძნდა, 1988 წლის გაზაფხულზე, პრაქტიკულად, დაიშალა. მას გამოეყვნენ გიორგი ჭანტურია, ირაკლი წერეთელი, ირაკლი ბათიაშვილი და ვანო ხუხუნაიშვილი. მათ ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავასთან ერთად შექმნეს „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება – IV დასი". შეიქმნა ასევე აქციების დაგეგმვისა და ორგანიზების „საკოორდინაციო ცენტრი", რომელშიც შედიოდნენ ზემოთ ჩამოთვლილი ადამიანები. მერაბ კოსტავა პიროვნულად წარმოდგენილი იყო ორივე გამგეობაში – იგი თვლიდა, რომ ამით ის ხელს უშლიდა „ხიდების დაწვის" პროცესს. რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, საჭიროა ბრძოლა ერთიანობის აღდგენისთვისო, თვლიდა იგი. ამიტომაც იგნორირებას უწევდა თამარ ჩხეიძის უკიდურესად ხისტ პოზიციას ზვიად გამსახურდიას მიმართ. „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების" გამგეობაც მთლიანად შეიცვალა, მას შეუერთდა ზურაბ ჭავჭავაძე, ფილოსოფოს ნიკო ჭავჭავაძის ვაჟი, განათლებით ქიმიკოსი, რომელიც ერთხანს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის რეფერენტიც იყო. მან შემდგომში დისერტაცია დაიცვა დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანის" ტექსტზე. ზურაბ ჭავჭავაძე მანამდე გარკვეულწილად დაკავშირებული იყო ეროვნულ-უფლებადამცველურ მოძრაობასთან, თუმცა ის არც დაკავებული, არც გასამართლებული არ ყოფილა „უძრაობის" წლებში.

1988 წლის ოქტომბერში „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება – IV დასი" გადაკეთდა „სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოებად". პოლიტიკურ მოძრაობად გადაკეთდა ასევე საქართველოს „ჰელსინკის ჯგუფი", რომელსაც ეწოდა „საქართველოს ჰელსინკის კავშირი." იგი „წმინდა ილია მართლის საზოგადოებასთან" ერთად მონაწილეობდა სხვადასხვა აქციაში. რაც შეეხება „IV დასს", იგი გიორგი ჭანტურიამ 1988 წლის შემოდგომაზე დაანონსებულ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ასოცირებულ ორგანიზაციად გამოაცხადა. მართალია, გიორგი ჭანტურია ბოლომდე არ გამიჯვნია „ილია მართლის საზოგადოებასა" და „ჰელინკის კავშირს", თუმცა გარკვეული დისტანცირება მათგან 1988 წლის შემოდგომაზე უკვე საგრძნობი იყო.

კიდევ ერთი ორგანიზაცია, რომელშიც გაერთიანდა ეროვნულ-უფლებადამცველური მოძრაობის მონაწილეთა ერთი ნაწილი, იყო „ეროვნული სამართლიანობის კავშირი", ირაკლი შენგელაიას ლიდერობით. „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების" გაყოფის შედეგად წარმოქმნილ ამ ორ ფრთას დაერქვათ „ზომიერები" და „რადიკალები". თუ რა პოლიტიკური სემანტიკა იყო ამაში საგულისხმო გვიანსაბჭოური ეპოქის კონტესტში, ამაზე მოგვიანებით გვექნება მსჯელობა.

ემიგრაციაში წასული თენგიზ გუდავა „ილია ჭავჭავაძის საზოგადოებაში" მიმდინარე მოვლენებზე ასეთ კომენტარს აკეთებდა: „ფრაქციამ, რომლის გამ-

გეობაში მამულია-ჩხეიძეა, თავი მოუყარა ქართველ პატრიოტთა იმ ნაწილს, რომელთაც მიაჩნიათ, რომ მთავარია ხალხის გათვითცნობიერება. ეს ფრაქცია უფრო მოხერხებული ჩანს, უფრო ლოიალურია ხელისუფლებასთან და სწორედ ამიტომ მისგან ნაკლებად სალანძღავი. ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ მათი პოზიცია მცდარია ან, მით უფრო, მავნებელი, არა! იგი ძალიან საჭირო და სასარგებლოა". შემდეგ გადადის რა ზვიად გამსახურდიაზე, ავტორი აღნიშნავს: „ჩვენ კარგად ვიცნობთ ზვიად გამსახურდიას, ვხედავთ მის სუსტ და ძლიერ მხარეებს და ჩვენ ვამბობთ: ესაა წყაროსავით, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ელემენტი ქართული ეროვნული მოძრაობისა. მას გააჩნია დისიდენტური მოქმედების უზარმაზარი გამოცდილება, უნიკალური საერთაშორისო კავშირები, და მისი ჩამოშორება ან განადგურება შეიძლება სურდეს მხოლოდ ქართველი ხალხის ეროვნულ მტრებსა და „კგბ"-ს მეგობრებს. მე ვიცი, თუ როგორ არ უყვარს „კგბ"-ს ზვიადი. შეხედეთ მხოლოდ იმ ჭუჭყის ღვარცოფს, რომელსაც მას ასხამს ოფიციალური პრესა! რატომ? პასუხი ერთია: ზვიადი ეფექტიანად მოქმედებს, ის ყელში ეჩხირებათ კომუნისტებს! როგორ მოვექცეთ მერაბს, რომლის სულიერი ძალა სამაგალითოა მთელი მსოფლიოსათვის? როგორ აიხსნას ის ფაქტი, რომ ზვიადი და მერაბი დღეს ერთია? როგორ აიხსნას ის ამბავი, რომ „ილია ჭავჭავაძის" 800 წევრი და ზვიადი ერთია? მე ამას ვხსნი ასე: ისინი, ვინც დღეს თავს ესხმიან ზვიადს, თავს ესხმიან აგრეთვე მთელ რადიკალურ ფრთას „ილია ჭავჭავაძის საზოგადოებისა", – წერს წერილის ავტორი თენგიზ გუდავა ჟურნალ „გუშაგში".[278]

საქართველოს კომუნისტურმა ხელისუფლებამ არაფორმალური მოძრაობებისა და საზოგადოებების საპირწონედ 1988 წლის გაზაფხულზევე შექმნა „რუსთაველის საზოგადოება", რომელსაც სათავეში პოეტი-აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე ჩაუდგა, მისი მოადგილეები იყვნენ პოეტი რევაზ ამაშუკელი და გენერალური სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე სოსო ცისკარიშვილი. ამ საზოგადოებაში კომუნისტური ეპოქის ცნობილი ქართველი ინტელიგენციის ბევრი წარმომადგენელი, მწერალი, რეჟისორი, ხელოვნების სხვა დარგის წარმომადგენელი თუ მეცნიერი გაერთიანდა. ამ საზოგადოებას ეჭვის თვალით უყურებდნენ, როგორც არაფორმალური ორგანიზაციები, ისე ხალხის უმრავლესობა. ფაქტია, რომ საქართველოში სამეცნიერო და შემოქმედებითი ელიტა, საკმაოდ დაახლოებული და გაშინაურებული იყო ცენტრალურ კომიტეტთან, ხოლო მათი ზოგიერთი წარმომადგენელი, მაღალი ალბათობით, უშიშროების კომიტეტთანაც მეგობრობდა. მათი წარმომადგენლები საქართველოში პოპულარობით არ სარგებლობდნენ.

1988 წლის მაისში მოსკოვს ოფიციალური ვიზიტით ეწვია ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი რონალდ რეიგანი. იგი შეხვდა მიხეილ გორბაჩოვს, თუმცა შეხვედრა გამართა ასევე საბჭოთა დისიდენტებთანაც. ამ შეხვედრაზე, რომელიც 28 მაისს გაიმართა ამერიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის რეზიდენციაში, ანუ „სპასო ჰაუზში", მიიწვიეს ზვიად გამსახურდიაც.

დისიდენტების მხრიდან სიტყვა წარმოთქვა ვლადიმირ კოვალიოვმა. როგორც ზვიად გამსახურდია იხსენებს, ეს იყო დაუვიწყარი შეხვედრა, რომელზეც აშშ-ის პრეზიდენტმა თავისუფლებისთვის ყველა მებრძოლს აღუთქვა, რომ მათი საქმე აუცილებლად წარმატებითა და გამარჯვებით დაგვირგვინდებოდა. ზვიად გამსახურდიამ პრეზიდენტ რეიგანს უსახსოვრა სვეტიცხოვლის ტაძრის გათხრებში, კერძოდ, სვეტის სიახლოვეს 30-იან წლებში არქეოლოგების მიერ ნაპოვნი მცირე ზომის გაქვავებული ხის ნაფოტი. მან აუხსნა რონალდ რეიგანს, რომ ეს რელიკვია უკავშირდებოდა საქართველოს ქრისტიანობის ოფიციალურ სახელმწიფო რელიგიად დამკვიდრების ისტორიას 1650 წლის წინ. მანვე მხურვალე მადლობა გადაუხადა პრეზიდენტს იმ მხარდაჭერისთვის, რომელიც პირადად მან, მერაბ კოსტავამ და ქართველმა დისიდენტებმა მიიღეს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტისგან.

რონალდ რეიგანმა სიტყვით მიმართა იქ შეკრებილ საზოგადოებას და თავისი მიმართვის დასასრულს მეტად შთამბეჭდავად თქვა: „და მე მსურს აქ მოგმართოთ არა როგორც სახელმწიფოს მეთაურმა, არამედ როგორც კაცმა და როგორც ადამიანმა. მე აქ მოვედი იმ იმედით, გამეკეთებინა ის, რაც თქვენ ძალას მოგცემდათ. აქამდე ვთვლიდი, რომ თქვენ მაძლიერებდით – თქვენ, ვისი გზავნილიც მე ამერიკაში უნდა ჩავიტანო. ჩვენ დიპლომატიური არხებით ვეწევით ძალისხმევას ადამიანის უფლებებისთვის, თქვენ იბრძვით დღიდან დღემდე თქვენი სიცოცხლისთვის, წლიდან წლამდე, რისკავთ რა თქვენს სამუშაოს, თქვენს სახლებს, ყველაფერს, რაც გაგაჩნიათ. თუ ნებას მომცემთ, მინდა გაგიზიაროთ ერთი აზრი ჩემი გულიდან. თქვენთან ყოფნისას, ვუყურებ რა თქვენს სახეებს, მინდა ვირწმუნო, რომ ამ არეულ-დარეული საუკუნის ისტორია ნამდვილად გამოსყიდული იქნება უფლის თვალში და თავისუფლება ჭეშმარიტად მოვა ყველასთან. რომელ უსამართლობას შეუძლია წინ აღუდგეს თქვენს ძალას, და რას შეუძლია გადასძალოს თქვენი ლოცვა?"[279]

საბჭოთა ოფიციალურმა პირებმა გააკრიტიკეს ეს შეხვედრა და მიანიშნეს, რომ პროტოკოლის დარღვევა იყო პრეზიდენტის შეხვედრა ისეთ მოქალაქეებთან, რომელთაც მასპინძელი ქვეყანა განიხილავდა სიმშვიდის დამრღვევებად. გორბაჩოვმა, წარმოთქვა რა რეიგანების (პრეზიდენტისა და ნენსის, მისი მეუღლის) სადღეგრძელო, ხაზი გაუსვა, რომ საბჭოთა მთავრობას „სურს ადამიანებთან კონტაქტების დალაგება ყველა ფორუმებზე". თუმცა ადამიანის უფლებებზე საკუთარი პერსპექტივის ჩამოყალიბებისას, გორბაჩოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ეს უნდა გაკეთდეს შინაგან საქმეებში ჩარევის გარეშე, საკუთარი შეხედულებებისა და გზების თავზე მოხვევის გარეშე, რათა ოჯახური და პიროვნული პრობლემები არ გადაიქცეს კონფრონტაციის საბაბად სახელმწიფოებს შორის. იმავე დიპლომატიური ტონით, როგორც არცთუ დიდი ხნის წინ გაკეთებულ განცხადებებში ადამიანის უფლებების შესახებ, რეიგანმა ხაზი გაუსვა, რომ გორბაჩოვის მმართველობისას პროგრესი შეიმჩნეოდა და გამოთქვა „მხურვალე იმედი", რომ კომუნისტური პარტია, ბოლოს და ბოლოს, დაუშვებდა

რელიგიის, სიტყვისა და მოგზაურობის სრულ თავისუფლებებს. მან აღნიშნა, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში განთავისუფლდა 300 პოლიტიკური პატიმარი, იმავდროულად, ნაკლები დისიდენტი და მორწმუნე მოათავსეს საპყრობილესა ან ფსიქიატრიულ საავადმყოფოში და მეტ ადამიანს მიეცა ნება ემიგრაციისა უკანასკნელ თვეებში.[280]

ამასობაში ეროვნული მოძრაობის აქტივისტებმა თბილისში დაგეგმეს ახალი ღონისძიება – „წმ. ილია მართლის საზოგადოება – IV დასის" „საკოორდინაციო ცენტრმა" გადაწყვიტა პირველად აღენიშნა 26 მაისის დღესასწაული, როგორც საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების 70 წლისთავი. თავიდან მიტინგი გაიმართა ვერაზე, მერაბ კოსტავას ეზოში, თუმცა იგი დაწყებისთანავე დაარბია გენერალ ვარლამ შადურის სპეცდანიშნულების რაზმმა, რომელიც ეზოში შეიჭრა. ამ დღეს მომიტინგეებს ჰქონდათ ერთადერთი შინდისფერი დროშა დამოუკიდებელი საქართველოსი, რომელიც ხელში მერაბ კოსტავას ეჭირა და მის წართმევას ერთხანს ამაოდ ცდილობდა გენერალი შადური. რამდენადაც იმავე დღეს მაღალი იყო ალბათობა, რომ მიტინგი უფრო მეტი მონაწილის ჩართვით უკვე ქუჩაში განმეორებულიყო, კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიფიქრა ალტერნატიული გეგმა: მომიტინგეებს დაუთმეს დიდი ზომის დარბაზი კაფე „ბერიკონში", მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, რომელშიც, დაახლოებით, 1 200 ადამიანამდე დაეტია.

ოფიციოზმა მომიტინგეებს იქ დაახვედრა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ერთ-ერთი მდივანი გიორგი ჭანტურია, რომელიც ეცადა, მიტინგი თვითონვე წაეყვანა, მაგრამ ხალხმა მას ამის საშუალება არ მისცა. მას ძალიან მალე სცენა დაატოვებინეს. მიტინგი წაიყვანა მერაბ კოსტავამ, ხოლო სცენაზე მასთან ერთად იდგნენ ირაკლი წერეთელი და ირაკლი ბათიაშვილი. ამ დღეს მიტინგის გამართვის მცდელობას ადგილი ჰქონდა ასევე ქუთაისში. „წმ. ილია მართლის საზოგადოება – IV დასმა" თავიდან სცადა ხელისუფალთაგან მიეღო უფლება დემონსტრაციის მოწყობაზე, მაგრამ სასტიკი უარი მიიღო. 26 მაისს, ქალაქში დილიდან მილიციის არნახული კონტროლი დაწესდა, ქუჩებში იდგა სახანძრო მანქანები, გადაადგილდებოდნენ სუკ-ის თანამშრომლები. მიუხედავად ამისა, ქუთაისის ცენტრში მაინც მოიყარა თავი სამი ათასამდე მოქალაქემ. აქციის მონაწილეთა ერთმა ჯგუფმა სცადა აქტივისტთა დაკავებისადმი პროტესტის ნიშნად თეატრის კიბეებზე დაჯდომა, პლაკატებიც კი გაშალეს, მაგრამ მილიციამ მაშინვე დააკავა ისინი. მომიტინგეთა მეორე ჯგუფმა ბაგრატის ტაძარში გადაიხადა ქართველი ერის პარაკლისი და წაიკითხა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, თუმცა მცდელობა, გაეგრძელებინათ აქცია, ჩაიშალა.

3.7. 1988 წლის დღის წესრიგის სხვა საკითხები

ამ წლის დანარჩენი საკითხები იყო სროლების შეწყვეტის მოთხოვნა დავითგარეჯის მონასტერთან მდებარე პოლიგონზე, პარირება ქვემო ქართლში ინსპირირებულ არეულობაზე, ბათუმში ეკლესიის გახსნის საკითხზე გამართული მიტინგები და ბოლოს – საბჭოთა კონსტიტუციაში იმ მუხლის ამოღების საფრთხე, რომელიც მოკავშირე რესპუბლიკებისთვის საბჭოთა კავშირიდან გამოყოფის უფლებას ითვალისწინებდა.

1988 წლის შემოდგომიდან საქართველოში, ცხადია, არაფორმალურ გარემოში, ინტენსიური საუბრები წავიდა ბალტიური ტიპის „სახალხო ფრონტის“ შესაქმნელად. შეიქმნა „პოლიტიკური კლუბი“, რომელშიც გაერთიანდა მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში მომუშავე არაერთი მეცნიერი, მათ შორის, ფილოსოფოსი მერაბ მამარდაშვილი. იგი თავისი ლექციებით იყო ცნობილი. ლექციების კითხვას ასევე აგრძელებდა აკაკი ბაქრაძეც. მისი ლექციების თემა იყო საქართველოს უახლესი ისტორიის შედარებით მიჩქმალული მომენტები, ქართული ლიტერატურის არასაბჭოურად განჭვრეტილი ისტორია, საქართველოს დამოუკიდებლობა, პლურალიზმი, მრავალპარტიულობა და კერძო საკუთრების დამკვიდრება. თუმცა აკაკი ბაქრაძე „სახალხო ფრონტის“ გამო გამართულ კონსულტაციებში არ მონაწილეობდა.

სექტემბერში პირველი აქცია გაიმართა დავითგარეჯის მონასტრის გამო, სადაც სროლები ისევ გრძელდებოდა. პირველი შეკრება მოხდა 22 სექტემბერს ილიასა და აკაკის ძეგლთან, რუსთაველზე, სადაც შეკრებილიბს მილიციამ არ მისცა მიტინგის ჩატარების საშუალება და ზოგიერთი მათგანი დააკავა. ხალხის დიდი რაოდენობა საღამოს შეიკრიბა ჯერ კინოს სახლთან, შემდეგ კი უნივერსიტეტის პირველ კორპუსთან. უნივერსიტეტის სტუდენტობა საკმაოდ იყო ჩართული ამ პროცესებში, მათ შორის დათო ტურაშვილი გამოირჩეოდა, რომელიც იმავდროულად სტუდენტურ „პრესკლუბს“ წარმოადგენდა. ამ დღეებში თბილისში მიმდინარეობდა ამერიკაში დაფუძნებული „ჩატაკუას“ ფორუმის საერთაშორისო კონფერენცია, და ხალხმა სწორედ მასზე ჩამოსული სტუმრების ყურადღების მისაქცევად მოაწყო პირველი პიკეტები. მიტინგში მოგვიანებით ამერიკელებიც ჩაერთვნენ. ზვიად გამსახურდიასთან ვკითხულობთ, რომ მილიციამ მას კოსტიუმი შემოახია და ეცადა მის დაკავებას, თუმცა იქ შეკრებილმა ხალხმა მას ამის უფლება არ მისცა.[281] ზვიად გამსახურდიამ მოახერხა უნივერსიტეტის ხალხით გადავსებულ ბაღში შესვლა, საზოგადოება მას ოვაციით, ტაშისცემითა და აღფრთოვანებული შეძახილებით შეხვდა. შეიძლება ითქვას, რომ ზვიად გამსახურდიას საზოგადოებისგან იზოლაციის მცდელობებმა ამ დღეს საბოლოო კრახი განიცადა.

თავიანთ გამოსვლებში მერაბ კოსტავამ და ზვიად გამსახურდიამ ახალგაზრდობას მოუწოდეს, წინააღმდეგობა გაეწიათ ყველაფრისთვის, რაც ქვეყნის ინტერესთა საზიანოდ იქნებოდა მიმართული. ასევე აღნიშნეს, რომ აუცილე-

ბელი იყო ყველა პატრიოტული და ანტიკომუნისტური ძალების გაერთიანება. გარკვეულ მომენტში სიტყვით გამოვიდა გურამ მამულია, რომელმაც განაცხადა, რომ ცეკამ უკან დაიხია და ხელისუფლება მზად არის, გარეჯის საკითხი ისე გადაწყდეს, როგორც ხალხს სურსო. ამაზე ირაკლი წერეთლის რეაქცია იყო მოწოდება, დაძრულიყვნენ „ქაჯეთის ციხისკენ“, ანუ ცენტრალური კომიტეტის შენობისკენ ჩიტაძის ქუჩაზე. პასუხად გურამ მამულიამ განაცხადა, რომ აქედან წასვლა ხელისუფლების მიერ აღქმული იქნებოდა უკანდახევად. ხალხი შეყოვნდა, ამ დროს მომიტინგეებთან მოვიდა ცეკას ერთ-ერთი მდივანი და იდეოლოგიური განყოფილების ხელმძღვანელი გურამ ენუქიძე, რომელმაც მომიტინგეებს დაშლისკენ მოუწოდა, თუმცა მომიტინგეები არ დაემორჩილნენ. ამ დროს „ჩატაკუას“ ფორუმის მონაწილეებიც შემოუერთდნენ მიტინგს, რასაც გამოცოცხლება და ოვაციები მოჰყვა. მომიტინგეები ბოლოს დაიშალნენ იმ დათქმით, რომ მომდევნო დღეებშიც გაეგრძელებინათ ამ საკითხებზე შეკრებები და მსჯელობა.

მორიგი აქცია მალევე გაიმართა იპოდრომზე – ეს იყო 1988 წლის 8 ოქტომბერს, რამდენადაც, გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, ქვემო ქართლში ეთნიკურად აზერბაიჯანელმა მამაკაცმა გააუპატიურა ეთნიკურად ქართველი ქალი. აღელვებულ მარნეულელებთან ჩასულა საქართველოს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე პაველე გილაშვილი. როდესაც მოსახლეობამ მასთან დაიჩივლა, რომ ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოსახლეობის უმრავლესობა პატივს არ სცემდა ქართულ ენას და საჭიროდ არ თვლიდა მის სწავლას, პ. გილაშვილს უპასუხია, თუ ასეა, მაშინ თქვენ ისწავლეთ აზერბაიჯანულიო, რასაც მოსახლეობის განრისხება გამოუწვევია. მიტინგზე გამოსულმა ორატორებმა მოითხოვეს მარნეულის, ბოლნისისა და დმანისის რაიონებში უფრო მეტი ქართული სკოლის გახსნა. თუმცა მიტინგი ამ თემით არ შემოფარგლულა. იგი შეეხო მდგომარეობას ახალი ეკლესიების გახსნის თვალსაზრისით, რასაც ხელისუფლება ამუხრუჭებდა და ასევე, ქართველების მძიმე მდგომარეობას საბჭოთა არმიაში. იყო ცნობები, თითქოს რამდენიმე ქართველი ახალწვეული ემსხვერპლა ე. წ. დედოვშჩინას, ანუ დიდხანს ნამსახურები ჯარისკაცების მიერ ახალმოსულების ჩაგვრას. ბოლოს აქცია დაიშალა, თუმცა კომპარტიის ცეკას კონტროლირებად გაზეთებში ძალზე უარყოფითად იქნა შეფასებული.

მომდევნო დღეს აქცია გაიმართა ლურჯ მონასტერთან, სადაც სიტყვა წარმოთქვა თემურ ქორიძემ. იგი საკმაოდ მწვავედ და კრიტიკულად შეეხო ჯუმბერ პატიაშვილს. იმავე საღამოს სახლში დაბრუნებულ თემურ ქორიძეს საკუთარ სადარბაზოში დახვდნენ უცნობი პირები, რომლებმა მყარი, მძიმე საგანი ჩაარტყეს მას თავში. თემურ ქორიძემ გონება დაკარგა, იგი მეზობლებმა გადაარჩინეს. 12 ოქტომბერს აქცია გაიმართა იპოდრომზე. ხალხის ერთი ნაწილი შეიკრიბა იპოდრომთან, მის სიღრმეში მდებარე რესტორნის წინ, ხოლო ხალხის მეორე ნაწილი შეიკრიბა უნივერსიტეტთან და ვაკის გავლით, დაიძრა იპოდრომისკენ. ისინი შეუერთდნენ იპოდრომზე შეკრებილ ხალხს. მათ მოჰქონდათ შინდისფე-

რი დროშები, რომლებიც იმ დღეს პირველად გამოჩნდა. მომიტინგეებს ეკავათ ქაქუცა ჩოლოყაშვილისა და ალექსანდრე ბატონიშვილის სურათები.

მიტინგი მერაბ კოსტავამ გახსნა. შემდეგ გიორგი ჭანტურიამ მომიტინგეებს ამცნო, რომ დემონსტრაციები იმართებოდა ბალტიისპირეთში, უკრაინასა და მოსკოვში. მან და ირაკლი წერეთელმა ხალხს გააცნეს ახლადაარსებული თუ აღდგენილი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წესდება. ზვიად გამსახურდიას გამოსვლაში თემატიზებული იყო ეთნიკურად ქართველი მოსახლეობისთვის ცუდი პირობების შექმნა რამდენიმე რეგიონში, რის უკანაც, მისი თქმით, იმპერიული ძალები იდგნენ. მათი ამოცანა იყო ქართველების განდევნა საქართველოს განაპირა კუთხეებიდან და სხვა ეთნოსებისთვის უკეთესი პირობების შექმნა. ამავე გამოსვლაში ორატორმა მოითხოვა შეწყვეტილიყო აფხაზეთში ქართველების დევნა, წინააღმდეგ შემთხვევაში დაიწყებოდა მიტინგები აფხაზეთის ავტონომიის გაუქმების მოთხოვნით. შემდეგ მოითხოვა შეწყვეტილიყო ეკოლოგიური ომი საქართველოს წინააღმდეგ, რომელსაც ეწეოდა მოსკოვი გიგანტური ჰესების პროექტებით – ასეთი პროექტი იყო, თუნდაც, ხუდონჰესი. მიტინგზე გამოჩნდა თემურ ქორიძეც. მან გალაკტიონის ცნობილი ლექსის რეციტაცია მოახდინა, რომელიც ნამდვილად მოუხდა მიტინგის მთლიან კონტექსტს („ბევრს ეშინოდეს ჩემი სასტიკი და ულმობელი გამოღვიძების“). ასევე უარყო გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს ბოდიში მოუხადა ჯუმბერ პატიაშვილს.

ამ დღეებში მოხდა ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას შეხვედრა მერაბ მამარდაშვილთან არაფორმალურ და შინაურ გარემოში. ეს იყო ჩვენ მიერ დაფუძნებული ინტელექტუალთა „მრგვალი მაგიდის“ სხდომაზე, ქ. თბილისში, ნუცუბიძის პლატოზე, რომლის ამოცანა იყო მიმდინარე მოვლენების ანალიზი, ასევე, ეროვნული მოძრაობის სტრატეგიულ და ტაქტიკურ საკითხებზე მუშაობა. აღნიშნულ სხდომაზე ეს ადამიანები ერთად მოხვდნენ. ამ შეკრებას ზვიადისა და მერაბის გარდა ესწრებოდნენ თედო პაატაშვილი, ირაკლი წერეთელი და რამდენიმე აქტივისტი, ხოლო მამარდაშვილი აქ, შეთანხმებისამებრ, მოიყვანა ირაკლი ბათიაშვილმა. მამარდაშვილმა თავის გამოსვლაში ისაუბრა დასავლური შრომის კულტურაზე, ასევე, იმ მექანიზმებსა და კოდექსებზე, რომლებიც ადამიანს იცავდა უკიდურესი ექსპლუატაციისგან. ისაუბრა, ასევე, იმ თეორიულ სისტემაზე, რომელიც სასურველი იყო, საფუძვლად დასდებოდა სამოქალაქო საზოგადოების შექმნას. მერაბ კოსტავა ყურაღებით უსმენდა, ზვიად გამსახურდია კი რაღაცას წერდა. როდესაც მამარდაშვილმა საუბარი დაასრულა, ზვიადმა ასეთი განცხადება გააკეთა: ეს ძალიან კარგია და საინტერესოა, მაგრამ თემურ ქორიძის ბარბაროსული ცემის შემდეგ, თავისსავე სადარბაზოში, ირაკლი წერეთელსაც იგივე ემუქრება. არსებობს სერიოზული ინფორმაციები, რომ სუკ-ი აპირებს იმავეს მოწყობას, რაც თემურს მოუწყვეს. ამიტომაც აქვე შევადგინე ტექსტი და ყველამ ხელი მოვაწეროთ, რასაც პრევენციული ეფექტი ექნებოდაო. მერაბ მამარდაშვილმა შეწუხებული სახე მიიღო. ხელი ყველა

დამსწრემ მოაწერა, თუმცა ირაკლი წერეთელმა მამარდაშვილს ხელი აღარ მოაწერინა, უხერხულ მდგომარეობაში რომ არ ჩაეგდო – სხვების ხელმოწერებიც საკმარისიაო.[282]

3.8. აჭარაში შექმნილი მდგომარეობა

აჭარასთან დაკავშირებული საკითხები „უძრაობის" ეპოქაში ეროვნულ-უფლებადამცველური მოძრაობის წარმომადგენლებს აინტერესებდათ ეკომიგრანტების გამო, რამდენადაც მათ შეეძლოთ დემოგრაფიული დინამიკის შეცვლა ისეთ რეგიონებში, სადაც ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის რაოდენობა მწირი იყო. თუმცა 80-იან წლებში შეინიშნებოდა აჭარლების გადინება კრასნოდარის მხარესა და სსრკ-ის სხვა რეგიონებშიც. ამ საკითხებს ზვიად გამსახურდიამ გ. თვალელის ფსევდონიმით მიუძღვნა წერილი „აჭარელი ლტოლვილნი", რომელიც თავიდან გადაბეჭდილი ფორმით გავრცელდა, შემდეგ კი თვითგამოცემაში („მატიანე") დაიბეჭდა. მასში სასტიკად იყო გაკრიტიკებული რუსი პოლიტეკონომისტის, ვინმე რიბაკოვის, გეგმა ქართველების საქართველოდან გასახლების შესახებ და მოცემული იყო ცნობები აჭარის ადგილობრივი მოსახლეობის უმწეო მდგომარეობაზე, რის გამოც ისინი იძულებულნი ხდებოდნენ, კრასნოდარის მხარესა და თვით შიდა რუსეთში გახიზნულიყვნენ, სადაც მათ უკეთეს პირობებს სთავაზობდნენ.[283] რიბაკოვმა დაწერა წიგნი – „მიგრაციის საქანელები", რომელშიც ავითარებდა თეზისს საბჭოთა კავშირის შიდა მიგრაციის აუცილებლობის შესახებ. მას ამ თეორიაში მხარი აუბა მეორე რუსულენოვანმა ავტორმა, გვარად კალტახჩიანმა. სსრკ-ის ახალი კურსის გამოცხადების შემდეგ მიგრაციული პროცესები საქართველოდან რუსეთის ფედერაციაში შენელდა.

ეროვნული მოძრაობის დაწყების შემდეგ აჭარისა და ბათუმის საკითხი ნამოწიეს იმ აქტივისტებმა, რომლებიც მზად იყვნენ გაწევრიანებულიყვნენ „წმინდა ილია მართლის საზოგადოებაში". ისინი შეეცადნენ დაეფუძნებინათ ამ ორგანიზაციის ფილიალი ბათუმში და შემდეგ მთელ აჭარაში, მაგრამ ეს არცთუ იოლი საქმე ჩანდა. კომპარტიის ადგილობრივი ორგანიზაცია გურამ ემირიძის ხელმძღვანელობით საკმაოდ რეაქციულად და ხისტად იყო განწყობილი და არ აპირებდა დაეშვა არაფორმალური ორგანიზაციები აჭარაში. ემირიძე ჯ. პატიაშვილის გუნდის წარმომადგენელი იყო და აჭარის ავტონომიის ხელმძღვანელად 1986 წელს დაინიშნა.

1988 წლის ზაფხულში ნოდარ იმნაძემ, რობერტ ნადირაძემ და მღვდელმა ნიკოლოზ ღლონტმა პროკლამაციები გაავრცელეს, რათა მოემზადებინათ ქალაქში ეროვნული მოძრაობის ლიდერების ჩასვლა. მათვე თვითგამოცემის წესით დაბეჭდეს გაზეთი „ბათუმის ხმა". მიტინგი დაიგეგმა 1988 წლის 21 ოქტომბერს, დღის პირველ საათზე, ილია ჭავჭავაძის ძეგლთან. ზვიად გამსახურდია ბათუმში მატარებლით ჩავიდა. ბათუმის სადგურში მას მოძღვარი ნიკოლოზ

ღლონტი, ნოდარ იმნაძე და რობერტ ნადირაძე დახვდნენ. მიტინგი შედგა, თუმცა არც აქ და არც შემდგომ მიტინგზე არ დასმულა აჭარის ავტონომიის გაუქმების საკითხი. უბრალოდ, ითქვა, როგორც ისტორიული სიმართლე, რომ თავის დროზე ავტონომიები შეიქმნა ქვეყნის დაშლის პროცესის ხელშესაწყობად: „ავტონომიების შექმნა საქართველოს ტერიტორიაზე უკანონოდ მიგვაჩნია. ერთია რესპუბლიკაში არაქართველი მოსახლეობის უფლებების დაცვა, და სულ სხვა – ამათთვის ქართული მიწების ხარჯზე ავტონომიებისა და ავტონომიური ოლქების შექმნა“, – აღნიშნა რობერტ ნადირაძემ აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიების შესახებ, შემდეგ კი, შეეხო რა აჭარის ავტონომიას, გააგრძელა: „აჭარის, ამ ძირძველი ქართული კუთხის, ავტონომიას რელიგიურ სარჩულს უდებენ, რაც ათეისტური სახელმწიფოსგანაც პარადოქსულად ჟღერს“.

1988 წლის 20 ნოემბერს ქ. ბათუმში კვლავ გაიმართა მიტინგი-მანიფესტაცია, რომელზეც თბილისიდან მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია ჩავიდნენ. მიტინგზე პოლიტიკურის გარდა წამოაყენეს ბათუმში არსებული, იმხანად უმოქმედო, კათოლიკური ტაძრის მართლმადიდებლური ეკლესიის განმგებლობაში გადაცემის მოთხოვნა. არც ამ აქციაზე დასმულა აჭარის ავტონომიის გაუქმების საკითხი, მხოლოდ აღინიშნა, რომ იგი თავის დროზე არამართლზომიერად და მტრული განზრახვით შეიქმნა. ზვიად გამსახურდიამ ასეთი სიტყვებით მიმართა მიტინგის მონაწილეებს: „ძმები აჭარლები ჭეშმარიტი ქართველები ხართ! ჩვენი მტრები ცდილობენ საქართველოსაგან აჭარის ჩამოშორებას, აჭარლების არაქართველებად გამოცხადებას მათი მაჰმადიანური სარწმუნოების გამო. სირცხვილი ასეთ ხალხს! აჭარა საქართველოა“. ამ მიტინგის შედეგი იყო ის, რომ ბათუმის კათოლიკური ტაძარი საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას გადაეცა. ავტონომიის ხელისუფლებამ საქმე ისე წარმოაჩინა, თითქოს ზვიად გამსახურდიას ეთქვას, რომ აჭარლებიც ქართველები არიან, თუმცა იმისთვის, რომ ნამდვილი ქართველები გახდნენ, ყველა მუსლიმი ქრისტიანულად უნდა მოინათლოსო. ამ დროს, ამის მსგავსიც კი არაფერი თქმულა მიტინგზე.

მილიციამ მიტინგის დარბევა სცადა, თუმცა მათი მცდელობა უშედეგო გამოდგა. ხელისუფლების აგენტურამ კი განსაკუთრებით მთიან აჭარაში გაავრცელა ხმა, თითქოს არაფორმალების პროგრამა გულისხმობდა ხალხის ძალით გაქრისტიანებას, მათთვის იძულების წესით წვერის გაპარსვასა და ჯამეების დაკეტვას. ამის გამო მიტინგის შემდეგ მთიანი აჭარიდან სპეციალურად ჩამოყვანილი ადამიანები თავს დაესხნენ ნოდარ იმნაძესა და რობერტ ნადირაძეს. ნოდარ იმნაძის სახლი დაარბიეს, ხოლო თავად აქტივისტი 1988 წლის 11 დეკემბერს ადგილობრივმა მილიციამ დააკავა ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარების ბრალდებით. ამ დაკავებას წინ უძღოდა ბათუმსა და ჩაქვში შეკრებილი ხალხისა და აქტივის დარბევები მილიციის მიერ. ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას მიმართვაში აღწერილი იყო ნოდარ იმნაძეზე თავდასხმა, რომელიც განხორციელდა ადგილობრივი ხელისუფლებისა და მილიციის წარ-

მომადგენლების თვალწინ, რისთვისაც პასუხისმგებლობა ეკისრებოდა ემირიძესა და საქართველოს მთავრობას, რომელიც განგებ აღვივებდა მტრობას სხვადასხვა სარწმუნოების ქართველებს შორის. „ნოდარ იმნაძისა და რობერტ ნადირაძის სიცოცხლე საფრთხეშია“, – აღნიშნული იყო 1988 წლის 11 დეკემბრის მიმართვაში, რომელსაც სხვებთან ერთად ხელს აწერდნენ მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია (მიმართვა აშშ-ის კონგრესის ჰელსინკის კომისიის თავმჯდომარეს, ბ-ნ სტენი ჰოიერსა და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწეს, ბ-ნ რ. შიფტერს, საქართველოს ჰელსინკის ჯგუფის, „ილის ჭავჭავაძის საზოგადოება – IV დასისა“ და საქ-ოს ედპ-საგან).[284]

12 დეკემბერს ჩატარდა აჭარის ასსრ-ის საოლქო კომიტეტის აქტივის ცნობილი კრება, სადაც სიტყვით გამოვიდა გურამ ემირიძე. კრებამ დაგმო ეროვნული მოძრაობის ქმედებები აჭარაში და გაამართლა ჩაქვისა და ბათუმის დარბევები. აჭარის კომპარტიის ორგანიზაციაში ძალიან ცოტანი იყვნენ ისეთი აქტივისტები, რომლებმაც გაბედეს და ანტიეროვნულ ქმედებად შეაფასეს მსგავსი კრებები და მათი დადგენილებები. თავად ზვიად გამსახურდია ასეთ პოლიტიკაში ხედავდა, ერთი მხრივ, კომუნისტი-რუსოფილების, მეორე მხრივ, თურქოფილების ქვეყნის ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ ალიანსს. გ. ემირიძესაც ამ ტიპის ანტიეროვნული ინტერესების გამტარებლად მოიხსენიებდა.

3.9. 1988 წლის ნოემბრის შიმშილობის აქცია თბილისში

ნოემბრის შიმშილობის გამომწვევი გახდა მიხეილ გორბაჩოვის მიერ მომზადებული პროექტი საბჭოთა კონსტიტუციის ცვლილებისა. სახელმწიფო მმართველობა, ამ პროექტის მიხედვით, უფრო დემოკრატიული უნდა გამხდარიყო, მაგრამ კონსტიტუციიდან ქრებოდა მუხლი საბჭოთა მოკავშირე რესპუბლიკების იმ უფლების შესახებ, რომელიც სსრკ-დან გასვლას გულისხმობდა. საბჭოთა კავშირი, ისევე როგორც რუსეთის საბჭოთა სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკა, რეალური შინაარსით არასდროს არ ყოფილა ფედერაციული სახელმწიფო, სადაც უფლებები განაწილებული და დელეგირებული იქნებოდა ცენტრსა და ფედერაციის სუბიექტებს შორის. ეს იყო ხისტი და ავტორიტარულ-დიქტატორულ ვერტიკალზე დამყარებული წარმონაქმნი, სადაც ფედერალურობა მხოლოდ ფასადზე იყო დეკლარირებული. მუხლიც, რომ საბჭოთა მოკავშირე რესპუბლიკას უფლება ჰქონდა, სსრკ დაეტოვებინა, ფორმალურად არსებობდა და მას ნორმატიული აქტიც არ ახლდა თან, რომელიც განმარტავდა, როგორ უნდა მომხდარიყო ეს გამოყოფა. თუმცა საქართველოში ამ ფორმალური უფლების კონსტიტუციიდან გაქრობის პერსპექტივამ მაინც გამოიწვია საზოგადოების პროტესტი და აღშფოთება.

10 ნოემბერს ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბში გაიმართა სსრკ-ის კონსტიტუციის ცვლილებებისა და დამატებების პროექტის განხილვა, რომელშიც მო-

ნაწილეობა მიიღეს ახალგაზრდა მეცნიერებმა და სხვადასხვა შემოქმედებითი თუ შრომითი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა. მათი მოთხოვნა იყო შეეცვალათ კონსტიტუციაში ის პუნქტები, რომლებიც ეწინააღმდეგებოდა „მოძმე რესპუბლიკათა“ თავისუფალ ნებას. არსებითად მკაფიოდ ჩამოყალიბებული მოთხოვნა, დაეტოვებინათ კონსტიტუციაში აღნიშნული მუხლი, აქ არ გამოთქმულა. იყო მხოლოდ ძალიან ზოგადი, არაფრისმთქმელი სურვილები. მოგვიანებით, 21 ნოემბერს, საქართველოს კომკავშირის ცეკას სააქტო დარბაზში შეიკრიბნენ კომკავშირის მუშაკები, სხვადასხვა შემოქმედებითი და არაფორმალური გაერთიანებების წარმომადგენლები, მეცნიერები და სპეციალისტები. სხდომაზე დაისვა საკითხი, ყველა რესპუბლიკას მისცემოდა უფლება, თვითონ შეემუშავებინა საკუთარი კონსტიტუცია, რომელთა მიხედვით მოხდებოდა შემდგომში საბჭოთა კონსტიტუციის შედგენა. საქართველოს ცენტრალური კომიტეტი თავიდან არ ფიქრობდა, რომ ეს საკითხი გამწვავდებოდა. არაფორმალური ორგანიზაციების ლიდერები კი საკითხს მწვავედ აყენებდნენ.

რამდენადაც არცერთ მოლაპარაკებას შედეგი არ მოჰყოლია, წინააღმდეგობამ 22 ნოემბრიდან, თბილისის მთავრობის სასახლის წინ, გაფიცვის სახე მიიღო. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და რამდენიმე უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებმა დაიკავეს მოედანი მთავრობის სასახლის წინ და დაიწყეს მჯდომარე აქცია. ორგანიზაციულ საკითხებს კი კვლავ ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა უძღვებოდნენ. ახალგაზრდებს ხელში ეჭირათ ეროვნული დროშები და ლოზუნგები: „უარვყოფთ კონსტიტუციის პროექტს!“ „გაუმარჯოს ჭეშმარიტ დემოკრატიას!“ და ა. შ. ისინი ერთხმად მოითხოვდნენ ეროვნული უფლებების გაზრდას, კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შეწყვეტას, რაც გულისხმობდა იმას, რომ რესპუბლიკებს კვლავაც უნდა ჰქონოდათ უფლება საბჭოთა კავშირიდან გასვლისა. ეს აქცია დაიგეგმა და განხორციელდა სამი ორგანიზაციის – „ჰელსინკის კავშირის“, „წმინდა ილია მართლის საზოგადოებისა“ და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მიერ. თუმცა ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ შემდგომ ეგომანურად თავის თავზე მიიწერა აქციის დაწყება.

აქციის დაწყებამდე კოლხურ კოშკში, ზვიად გამსახურდიას სახლში ჩატარდა თათბირი თავად ზვიადის, მერაბ კოსტავას, თემურ ჯანელიძის, გიორგი ჭანტურიას, ირაკლი წერეთლის, ირაკლი ბათიაშვილის, თედო პაატაშვილისა და რამდენიმე აქტივისტის მონაწილეობით. გადაწყდა ქარხნებში, ფაბრიკებში, ინსტიტუტებსა და სხვადასხვა სამსახურში მისვლა და ხალხისთვის მოწოდება, შემოერთებოდნენ ამ აქციას. ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ მართლაც მოიარეს რამდენიმე ქარხანა. მუშათა უმრავლესობა, სწორედ მათი ავტორიტეტიდან გამომდინარე, შემოუერთდა საპროტესტო აქციას და არა – ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის გამო. 23 ნოემბერს მოშიმშილეთა რაოდენობა 300 კაცს აღწევდა, მომდევნო დღეს მათი რიცხვი 700-მდე ავიდა. საინტერესოა, რომ ესტონეთის უმაღლესმა საბჭომ თბილისის აქციების მიმდინარე-

ობისას მიიღო გადაწყვეტილება „სუვერენიტეტის შესახებ", რაც დამოუკიდებლობის გამოცხადებისგან დიდად დაშორებულიც არ ყოფილა. ეს ნიშნავდა, რომ რღვევის პროცესი სსრკ-ში სწორედ თბილისიდან და ტალინიდან დაიწყო.

თბილისის აქციები 6 დღეს გაგრძელდა. მათში ათეულათასობით ადამიანი მონაწილეობდა. ყოველდღიურად მათ უერთდებოდნენ ჯგუფ-ჯგუფად სხვადასხვა კოლექტივისა და რაიონის წარმომადგენლები, რომლებსაც მოჰქონდათ ეროვნული დროშები და პლაკატები. ამ პლაკატებზე ეწერა, თუ რომელი ორგანიზაციის ან რაიონის წარმომადგენლები იყვნენ ისინი. მიტინგებიც ყოველდღიურ რეჟიმში ეწყობოდა და ათობით ორატორი გამოდიოდა სიტყვით, მათ შორის, ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამასობაში ჩატარდა სხდომა, რომელსაც დაესწრნენ ინტელიგენციის წარმომადგენლები. ისინი იქ მსჯელობდნენ, ჰქონდა თუ არა უფლება ამ შეკრებას, თავისი წარმომადგენელი მიევლინა სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს სესიაზე. ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავასთან შეხვედრისას 27 ნოემბერს – და ეს შეხვედრა იყო „სახალხო ფრონტის" დაარსების მცდელობა – მათ არაფორმალური ორგანიზაციების ლიდერებს მოსთხოვეს აქციის დასრულება, რომელიც მათ აღქმაში თვითმიზნური გახდა. შესაძლოა, საბჭოთა ჯარი ჩაერიოს და ისროლონ, რასაც სისხლისღვრა მოჰყვება. აგერ, მეზობელ აზერბაიჯანში მოსახლეობასა და შინაგან ჯარს შორის ბრძოლები მიმდინარეობს. მოდით, მიტინგები დავასრულოთ, შემდეგ კი ყველამ ერთად დავიწყოთ საქართველოს ახალი კონსტიტუციის შექმნაო – იყო გიგა ლორთქიფანიძის წინადადება. ამაზე ზვიად გამსახურდიამ მიუგო, თქვენ მიტინგზე არ ყოფილხართ და არ იცით – ნებისმიერ შემთხვევაში, რა პასუხიც არ უნდა იყოს მოთხოვნებზე, დადებითი თუ უარყოფითი, აქცია დასრულდებაო. მერაბ კოსტავას კომენტარი კი ამაზე შემდეგი იყო – ჩვენი მზადყოფნა მსხვერპლისათვის დადებითი მოვლენაა. ჩვენ მოვითხოვთ ეროვნული კონსტიტუციის შექმნასა და იმ ცვლილებების გაუქმებას, რომლებიც საბჭოთა იმპერიის ხელმძღვანელობამ წინადადების სახით დააყენაო. „სახალხო ფრონტის" დაფუძნება, რასაკვირველია, ამ შეკრებაზე ვერ მოხდა.

ინტელიგენციის ცალკეული წარმომადგენლები შეკრებიდან პირდაპირ მოშიმშილეებთან მივიდნენ, რათა დაერწმუნებინათ ისინი შიმშილობის შეწყვიტის მიზანშეწონილობაში. იმ დღეს მოხდა სიმბოლური ამბავი – ერთ-ერთმა მომიტინგემ, გაბრიელ ისაკაძემ ააღწია მთავრობის სასახლის სახურავზე, მოხსნა წითელი დროშა და გადმოაგდო. მომიტინგეები ოვაციებით შეხვდნენ ამ ქმედებას. შიმშილობის ბოლო ღამეს სანაპიროზე გამოჩნდა ტანკები. მოგვიანებით გიორგი ჭანტურიამ განაცხადა, ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავასთან ერთად გადავუდექით ამ ტანკებს და უკან გავაბრუნეთო.

გორბაჩოვმა და მისმა მრჩევლებმა გამოსავალს მიაგნეს – ცვლილებები კონსტიტუციაში მაინც შეიტანეს, ოღონდ ერთი მნიშვნელოვანი დამატებით: სსრკ უმაღლესი საბჭოს გამგებლობას მიეკუთვნა მხოლოდ ის საკითხები, რომლე-

ბიც საბჭოთა კავშირის უმაღლესი მმართველობითი ორგანოების კომპეტენციას განეკუთვნებოდა იმავე კონსტიტუციით. ანუ „მოკავშირე რესპუბლიკებმა“ ფორმალურად შეინარჩუნეს „გასვლის“ უფლება.[285]

29 ნოემბერს აქცია შეწყდა მას შემდეგ, რაც რადიოფიცირებულ რუსთაველის პროსპექტზე გადმოიცა მიხეილ გორბაჩოვის მიმართვა ქართველი ახალგაზრდობისადმი. ამ მიმართვას მოჰყვა გიორგი ჭანტურიას შეძახილი, რომ კრემლმა უკან დაიხია. საქართველოს კომუნისტურმა უმაღლესმა საბჭომ, თავის მხრივ, უარყო ამ ცვლილებების კონსტიტუციაში შეტანა და მოითხოვა რესპუბლიკის გამოყოფის უფლებაზე არსებული მუხლის შენარჩუნება. დეკემბრის დასაწყისში მერაბ კოსტავამ დაგეგმა მიტინგი სოხუმში, რათა აფხაზებისთვისაც ჩაეტანა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის კეთილგანწყობილი გზავნილები. იგი მსუბუქი ავტომანქანით გაემგზავრა აფხაზეთში და სთხოვა ეროვნული მოძრაობის ახალგაზრდა აქტივისტების ერთ ჯგუფს, მატარებლით ჩასულიყვნენ სოხუმში. მომდევნო დღეს შეხვედრა დაუთქვა იქ. თუმცა აფხაზეთისკენ მიმავალი მატარებელი სუკ-მა და მილიციამ ზესტაფონში გააჩერა და სათადარიგო ლიანდაგზე გადააყენა. ამის შემდეგ ახალგაზრდების ერთმა ჯგუფმა მაინც ჩააღწია ზუგდიდში, საიდანაც ფეხით მივიდნენ ენგურის ხიდამდე და გზა გადაკეტეს. როდესაც უკან ბრუნდებოდნენ, მათი ავტობუსი ქუთაისის პოლიციის მიერ მოწყობილ პიკეტზე გააჩერეს ფარცხანაყანევთან და ოთხი აქტივისტი დააპატიმრეს – თენგიზ ორჯონიკიძე, სოსო მამალაძე, გია ქემოკლიძე და გია კულუმბეგოვი. ისინი მოგვიანებით ქუთაისის ავტოქარხნის რაიონის სასამართლომ ხულიგნობის ბრალდებით გაასამართლა, თუმცა პირობით სასჯელი მიუსაჯა. ამ პროცესებს ესწრებოდნენ ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა.

ეს ამბები იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოს ხელისუფლება რეპრესიების დაწყებას ცდილობდა, თუმცა სსრკ-ში მიმდინარე პროცესების ფონზე ეს ადვილი საქმე აღარ იყო. ნოემბრის აქციების შემდეგ გადადგა საქართველოს უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე, გენერალ-პოლკოვნიკი ალექსი ინაური, პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით. უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე გახდა გივი გუმბარიძე, ზესტაფონის რაიკომის ყოფილი პირველი მდივანი, საქართველოს კომპარტიის ცეკას წევრი.

3.10. „ღირსების სასამართლო“, როგორც დისიდენტობის პერიოდის ანგარიშების არასაჭირო და დამაზიანებელი წამოწევა

„ღირსების სასამართლოს“ სახელით წოდებული ფირი პირველად საქართველოს სსრ-ის ტელევიზიით 1989 წელს გავიდა, თუმცა მას იმ მიზნისთვის ნამდვილად არ მიუღწევია, რა მიზნითაც სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადმა ტელევიზიამ გაუშვა – მიზანი კი ზვიად გამსახურდიას დისკრედიტაცია იყო.

იგი განმეორებით 2015 წლის 15 მარტსაც აიტვირთა ინტერნეტსივრცეში. რამდენადაც ადამიანებმა არ იციან ამ „სასამართლოს“ მოწყობის რეალური ფონი და კონტექსტი, შევეცდებით, მოვახდინოთ მოვლენებისა და ფაქტების რეკონსტრუქცია, რათა ისინი მიმდევრობით დალაგდეს და ხდომილებებს შორის მიზეზშედეგობრივი კავშირი დადგინდეს.

დადგა 1989 წელი, ჩაიარა ახალმა წლებმა და 9 იანვარს ეს შეხვედრაც შედგა. ეს ვიღაცებისთვის იყო „შიდა გარჩევა“, ხოლო სხვებისთვის – „ღირსების სასამართლო“. წიგნში უკვე იყო მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, თუ რითი ახსნა თამარ ჩხეიძემ თავისი უარი ზვიად გამსახურდიასთან თანამშრომლობაზე, როდესაც „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება“ დაფუძნდა, ზვიად გამსახურდია კი მის დამფუძნებულ კონფერენციაზე საერთოდ არ მოიწვიეს. ერთ-ერთი მიზეზი ეს იყო: „ზვიად გამსახურდია თავის მონანიებას ღირსეულ საქციელად თვლიდა და სხვებისგანაც მოითხოვდა მისთვის ეს დაედასტურებინათ“. ამ ბრალდების აბსურდულობას ზემოთ პასუხი გაეცა და კიდევ ერთხელ ამაზე აღარ შევჩერდებით.

მომდევნო, 1988 წელს „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების“ გამოცემა „ივერიაში“ (1988 წლის N8) გამოქვეყნდა ანონიმური პასკვილი სათაურით: „ზოგჯერ თქმა სჯობს“. მასში განიხილებოდა ამერიკელი ჟურნალისტების, ჰაროლდ პაიპერისა და კრეგ უიტნისთვის, მოსკოვში მოწყობილი სასამართლო პროცესის ამბავი. ამ ჟურნალისტებმა დაწერეს, რომ ზვიად გამსახურდიას მონანიება სინამდვილეში ფაბრიცირებული იყო, რის გამოც მათ სასამართლოში უჩივლა სსრკ-ის ცენტრალურმა ტელევიზიამ. პატიმრობაში მყოფი ზვიად გამსახურდია მოსკოვში გამართულ ამ პროცესზე მოწმედ გამოიყვანეს. „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების“ ჟურნალში 1988 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში კი ეწერა, თითქოს ზვიადის ტაქტიკური უკანდახევა შევარდნაძისა და უშიშროების კომიტეტის გამარჯვება იყო. იქვე უნდობლობა გამოეცხადა მერაბ კოსტავას ტექსტს ზვიადის მონანიებასთან დაკავშირებით, რომელიც 1987 წელს ჟურნალ „გლასნოსტში“ გამოქვეყნდა. მერაბი მასში წერდა, რომ ყველაფერი ერთმანეთთან შევათანხმეთ, ამ გზით ზვიადი გარეთ გამოვიდოდაო. ტაქტიკური მანევრი, რომლითაც ზვიად გამსახურდიამ თავიდან აირიდა ქვეყნიდან გაძევება, აღნიშნული სტატიის ანონიმი ავტორების მიერ გამოცხადებული იყო სამარცხვინო კომპრომისად და, სტატიის ქვეტექსტიდან თუ გამოვალთ, იგი ამ პოზიციას (ანუ საბჭოთა ხელისუფლებისადმი, თითქოს, კომპრომისულს) შემდგომშიც აგრძელებდა.

წერილში საუბარი იყო იმაზეც, თითქოს ზვიად გამსახურდია სისტემატურად ეწეოდა „ილია ჭავჭავაძის საზოგადოებისა“ და მისი ლიდერების დისკრედიტაციას, მათ აცხადებდა რა სუკ-ისა და კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გავლენის გამტარებლებად (ეს ბრალდება იყო კონკრეტული წერილის ან დაბეჭდილი მასალის მითითების გარეშე, კ. გ.) და ეს არამარტო საქართველოს მასშტაბით: სტატიის მიხედვით, აღნიშნული დამაზიანებელი ინფორმაციები

„ილია ჭავჭავაძის საზოგადოების“ შესახებ მოსკოვში, გოგოლის ბულვარზეც გაუხმოვანებია საქართველოდან ჩასულ პირს, სადაც რუსი დისიდენტები იკრიბებოდნენ. ვინ იყო ეს პირი, სტატიაში დასახელებული არ არის, მხოლოდ აღნიშნულია, რომ მას გოგოლის ბულვარი დაატოვებინეს. სტატიის მიხედვით, იგი, როგორც ჩანს, თბილისიდან სპეციალურად იყო ამ საქმისთვის მივლინებული. რაც მთავარია, ზვიად გამსახურდიასა და მის მეუღლეს, მანანა არჩვაძეს, სტატიის მიხედვით, შეუთვლიათ საფრანგეთში 1988 წელს ემიგრირებულ ზაქარია (ჯონი) ლაშქარაშვილის შესახებ, რომელიც 1983-1987 წლებში პატიმრობაში იმყოფებოდა პარტია სეგო-ს („საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ორგანიზაცია“, კ. გ) დაფუძნების გამო, თითქოს ის სუკ-ის აგენტია და მოერიდეთო. რამდენადაც ცნობილია, ჯონი ლაშქარაშვილი პოლიტიკურად და ადამიანურად ახლო ურთიერთობაში იმყოფებოდა „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების“ ლიდერებთან, თამარ ჩხეიძესა და ზურაბ ჭავჭავაძესთან.

სტატიის ანონიმურ ავტორებს (სავარაუდოდ, სტატია თამარ ჩხეიძემ და ზურაბ ჭავჭავაძემ ერთად დაწერეს) იქითკენ მიჰყავთ მსჯელობა, თითქოს ზვიად გამსახურდია უშიშროების კომიტეტის მიერ მართულ ფიგურად რჩებოდა შემდგომშიც. ამ წერილზე მიბმული იყო თავად ზვიად გამსახურდიას წერილი „გამოვედი თუ არა მე ცენტრალური ტელევიზიით 1978 წლის მაისში“. აღნიშნულ წერილს კი ახლდა სარედაქციო კომენტარი იქედნური ტონით, ისევ კონკრეტული ავტორის ან ავტორთა ჯგუფის მითითების გარეშე.

რაზეა ეს წერილი? მასში ზვიად გამსახურდია ცდილობს განმარტოს, რა მოინანია ტაქტიკური მოსაზრებით და რა – არა; რომ მისი მხრიდან მოუნანიებლობის შემთხვევაში ეროვნულ საქმეს საფრთხე ემუქრებოდა; რომ მერაბ კოსტავამ მოიწონა მოჩვენებითი უკანდახევის გეგმა. ხოლო ფრაგმენტი ამ ვიდეოჩანაწერისა „ვრემიას“ პროგრამით უჩვენეს კონტექსტიდან ამოგლეჯილი სახით, მისი ნებართვის გარეშე, ვითომდაც ეს იყო „ტელეინტერვიუ“ სასამართლოს შემდეგ. კომენტარში ისმის კითხვები, რომლებზეც, სხვათა შორის, ზვიად გამსახურდიამ ბევჯერ გასცა პასუხი მაშინაც და მოგვიანებითაც: სტატიის ავტორები ზვიად გამსახურდიას არაკეთილსინდისიერებასა და წარმოჩენილი ფაქტების სუბიექტურ ინტერპრეტაციაში ადანაშაულებენ. მათი თვალსაზრისით, ეს „მონანიება“ ჩვეულებრივი ადამიანური სისუსტე იყო და მისი გამართლება „ტაქტიკური უკანდახევით“ მიუღებელიაო. ჩვენც მივუტევებდით, მაგრამ იმიტომ ვერ მივუტევეთ, რომ ზვიად გამსახურდია წლების განმავლობაში ჩირქს სცხებს ყველა იმ ადამიანს, ვინც საქართველოში დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობსო, მათ ხან სუკ-ის მაიორს, ხანაც ამავე ორგანიზაციის პოლკოვნიკს უწოდებსო. იქვე წერენ, რომ ზვიად გამსახურდიამ უშიშროების აგენტებად გამოაცხადა აკაკი ბაქრაძე, ჯანრი კაშია და ილია მეორე. რასაკვირველია, აქაც ზეპირ „გამოცხადებაზეა“ საუბარი, აუდიოჩანაწერი, ტექსტი ან სტატია, სადაც „გამოაცხადა“, ავტორებს არ მოჰყავთ.

როგორც ამ სტრიქონების ავტორს, ძალიან კარგად მახსოვს: ზვიადმა ერთხელ, ეს იყო 1986 წელს, მითხრა: მონანიება თამარს ჩხეიძესაც დააწერინეს და გია ჭანტურიასაც, მაგრამ ეს არ გაახმაურეს და არც სპეცდავალებით გამოშვებულ პირებს წამოაძახებინეს მათთვის, რამდენადაც მათი მორალური განადგურება მიზნად დასახული არ ჰქონიათო. პარადოქსია, რომ ორივენი (თამარი უფრო ადრე, გია კი – მოგვიანებით) ზვიადის კომპრომეტაციისთვის ერთ-ერთ პუნქტად სწორედ „მონანიების" თემას იყენებდნენ.

ამავე სტატიაში ზვიად გამსახურდიას ბრალად ედება „ილია ჭავჭავაძის საზოგადოებაში" განხეთქილების შეტანა იმით, რომ გამგეობის ორი წევრი გადაიბირა (ავტორები გულისხმობენ გიორგი ჭანტურიასა და ვანო ხუხუნაიშვილს, თავდაპირველი, 1987 წლის გამგეობის წევრებს, კ. გ.). ოფიციოზი კი თვალთმაქცურად ცდილობს, წამებულის შარავანდედით შემოსოს იგი და ხალხის თვალში ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლად წარმოაჩინოსო. ხელისუფლება ხშირად ლანძღავს გამსახურდიას და ამით რეკლამას უკეთებსო. ბოლოს დასმულია კითხვა: ეს ყოველივე იმიტომ ხომ არ ხდება, რომ საქართველოში ეროვნული მოძრაობა ყალბი გზით წარიმართოსო?

ზვიად გამსახურდიას 1988 წლის ოპონენტების ეს სტატია, კაცმა რომ თქვას, დიდად არ განსხვავდებოდა ოფიციოზის მიერ ზვიადის მისამართით გადმოსხმული ტალახისგან. იგი ყვითელი პრესის ვიღაცის გასაშავებელ სკანდალურ სტატიასაც ჰგავდა, სადაც არასოდეს წყაროებს არ უთითებდნენ და ზეპირ გადმოცემებს ეყრდნობოდნენ. ან სად წაიკითხეს ავტორებმა, თითქოს თავის „ტაქტიკურ მანევრს" ზვიად გამსახურდია გმირულ საქციელად თვლიდა? ამის გამო 1989 წლის 9 იანვარს შედარებით დახურულ ფორმატში, კერძოდ, „არაფორმალური" მოძრაობის ერთ-ერთი აქტივისტის, კოკა გაწერელიას, კერძო ბინაში დაინიშნა „ღირსების სასამართლო". ამ სასამართლოზე მოსარჩლის როლში იყვნენ ზვიად გამსახურდია, ასევე, „წმინდა ილია მართლის საზოგადოებისა" და „IV დასის" ლიდერები – გიორგი ჭანტურია, ირაკლი წერეთელი, თემურ ქორიძე, ნოდარ წულეისკირი და სხვები, მეორე მხარეზე კი „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების" ლიდერები, თამარ ჩხეიძე და ზურაბ ჭავჭავაძე, ასევე, ჟურნალ „ივერიის" სარედაქციო კოლეგიის წევრები. შეკრებას ესწრებოდა აფხაზეთის ეროვნული მოძრაობის ორი აქტივისტი, ასევე „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების დარბაზის" მიერ გამოგზავნილი რამდენიმე პირი, მათ შორის, აკაკი ბაქრაძე, ჯაბა იოსელიანი და სხვები. ღირსების სასამართლოს არ დაესწრო მერაბ კოსტავა, რამდენადაც იგი მოწინააღმდეგე იყო ასეთი ფორმატისა. ამ სასამართლოს აქტორები საკმაოდ ტემპერამენტიანი ადამიანები არიან და ამიტომაც მძიმე ურთიერთბრალდებები და საუბარი შეურაცხმყოფელ ტონალობაში გადავა. საქმე მაინც არ გაირკვევა, მხარეები კი ერთმანეთს უფრო მეტად დაშორდებიან, – იყო მისი პოზიცია.

სასამართლოს დაწყებისთანავე ზვიად გამსახურდიას წაუყენეს ბრალდება, თითქოს ზაქარია (ჯონი) ლაშქარაშვილი საფრანგეთიდან ადასტურებდა ზვი-

ად გამსახურდიასა და მისი მეუღლის შენათვალს მის (ანუ ჯონის) აგენტობაზე. როდესაც ზვიად გამსახურდიამ მოითხოვა წყარო და დოკუმენტი, აღმოჩნდა, რომ მეორე მხარეს ის არ გააჩნდა. მაშინ ზურაბ ჭავჭავაძემ მოწმეებს მოუხმო. სოხუმელმა ბორის კაკუბავამ, რომელიც ლაშქარაშვილის მსგავსად „უძრაობის ეპოქაში“ პოლიტპატიმარი იყო, ამ „სასამართლოზე“ განაცხადა, დიახ, გამსახურდიამ ერთხელ მითხრა, „ილია ჭავჭავაძის საზოგადოებას“ სუკ-ი მართავსო. ამას ზვიად გამსახურდიას მხრიდან ირონიული შენიშვნა მოჰყვა მელასა და მოწმედ მოყვანილ მისსავე კუდზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზვიად გამსახურდიას დიდი წვლილი მიუძღვის ზაქარია ლაშქარაშვილისა და ბორის კაკუბავას პოლიტპატიმრებად აღიარებისა და დაცვის საკითხში საერთაშორისო უფლებადაცვით სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების დონეზე. ბედის ირონიაა, რომ სწორედ ასეთი ადამიანები დაადგნენ მას პირზე. „ნებლაგადარნი პიოს“ (უმადური ძაღლი), — ჩაილაპარაკა გიორგი ჭანტურიამ კაკუბავას მისამართით.

იმის გამო, რომ მერაბ კოსტავა ორივე „საზოგადოების“ წევრად რჩებოდა, თამარ ჩხეიძემ და ზურაბ ჭავჭავაძემ შეძლეს, რომ აფხაზეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლები სწორედ „ილია ჭავჭავაძის საზოგადოებაში“ გაერთიანდნენ. მათვე დააფუძნეს სოხუმში ადგილობრივი ორგანიზაცია ნუგზარ მგალობლიშვილის, ვოვა ვეკუას, თემურ ლორთქიფანიძის, ჯონი ლატარიას, ბორის კაკუბავასა და სხვათა შემადგენლობით. ერთადერთი ადამიანი, ვინც არ შეუერთდა „ილია ჭავჭავაძის საზოგადოებას“, იყო გაგრის ქართველობის ლიდერი არკადი მარკოზია. მან გაგრაში დააფუძნა „წმინდა ილია მართლის საზოგადოება“.

რა სურათი რეკონსტრუირდება იმ დოკუმენტებიდან, რომლებიც თავად ჯონი ლაშქარაშვილმა ატვირთა და ჯერ კიდევ განთავსებულია ვირტუალურ სივრცეში? ასევე ისმის კითხვა: თუკი ზვიად გამსახურდია პოლიტპატიმარ ჯონი ლაშქარაშვილს თავის დროზე ეხმარებოდა, შეიძლებოდა, მის თვალში იგი საეჭვო პირი ყოფილიყო? მაშინ ხომ არც დაეხმარებოდა. 1988 წელს, ჯონი ლაშქარაშვილმა გადაწყვიტა პარიზში გამგზავრება, რამდენადაც სურდა ემიგრაციაში განეგრძო ცხოვრება. მანამდე იგი მივიდა რუსუდან ბერიძესთან, მერაბ კოსტავას ყოფილ მეუღლესთან, რათა მისგან რაიმე კომპრომატი გამოეთხოვა ზვიადისა და მერაბის წინააღმდეგ. მან იცოდა, რომ რუსუდანი და მერაბი ერთად აღარ ცხოვრობდნენ და, შესაძლოა, რუსუდან ბერიძე იმდენად განაწყენებული ყოფილიყო ყოფილ მეუღლეზე, რომ ასეთ უღირს საქციელზე დათანხმებულიყო. მაგრამ აქ ლაშქარაშვილი შეცდა. მან კომპრომატები ვერ მიიღო, ხოლო ეს ამბავი რუსუდანისგან მალე შეიტყო მერაბ კოსტავამაც. მისთვის ცხადი გახდა, რომ ჯონი ლაშქარაშვილი ტყუილად არ ფიქრობდა ამ კომპრომატების შეგროვებას. ალბათობა მისი კავშირისა სსრკ-ის უშიშროების სამსახურთან მერაბ კოსტავას თვალში ძალიან გაიზარდა. სწორედ მისგან შეიტყო ზვიად გამსახურდიამ ეს ამბავი.

აქ სამი უცნაური გარემოებაა თვალში საცემი: პირველი ის, რომ ჯონი ლაშქარაშვილმა რატომღაც საფრანგეთი აირჩია საემიგრაციოდ. მან ხომ არც ფრანგული იცოდა, არც რაიმე განსაკუთრებული მიმართება ჰქონია ამ ქვეყანასთან. თუკი, როგორც თავად აღნიშნავს, მხოლოდ ეკონომიკური მიზეზების გამო სურდა იქ წასვლა, ამ (ანუ ეკონომიკურ) ასპექტში გერმანიაცა და აშშ-იც უკეთესი იყო. მეორე ის, რომ რუსუდან ბერიძესთან იგი თითქოს მერაბის დედამ, ოლღა დემურია-კოსტავამ გაგზავნა თხოვნით, მერაბი და რუსუდანი იქნებ შეარიგოო. ნუთუ ქალბატონმა ოლღამ, დაახლოებით, 36-37 წლის ახალგაზრდა კაცზე უკეთესი ვერავინ მონახა ამ საქმისთვის, როდესაც შეიძლებოდა იგივე ეთხოვა ზვიადისთვის ან მერაბის ბავშვობის რომელიმე სხვა მეგობრისთვის? რაღა ჯონის სთხოვა, რომელსაც წესიერად არ იცნობდა არც თავად, არც მერაბი და არც რუსუდანი? გარდა ამისა, რუსუდან ბერიძემ დაწერა წერილი „უსიამოვნო ვიზიტი“, სადაც ზუსტად ის დაასახელა ლაშქარაშვილის მასთან მისვლის მიზეზად, რაზეც ზემოთაა საუბარი. და მესამე: როდესაც ჯონი ლაშქარაშვილი პარიზში ჩავიდა, ერთ-ერთი პირველი, რაც გააკეთა, ეს იყო საკმაოდ ძვირადღირებული სატელეფონო საუბრების ჩასაწერი აპარატურის ყიდვა. აქ უნდა გავითვალისწინოთ, რომ გასული საუკუნის 80-იან წლებში ჯერ არ არსებობდა მობილური ტელეფონები, რომლებშიც საუბრების ჩასაწერი მოწყობილობა ინტეგრირებულია და მის ასამოქმედებლად საკმარისია შესაბამისი ფუნქციის გააქტიურება. ჯონი ლაშქარაშვილის მიერ ამ მოწყობილობით ჩაწერილი საუბრები კი იმდენად ხარისხიანია, რომ 33 წლის შემდეგაც შესანიშნავად ისმინება. აქ რაღაც ვერ არის წესრიგში – რატომ უნდა ყიდულობდეს დისიდენტი და პოლიტპატიმარი ჩასაწერ მოწყობილობას.

მას შემდეგ, რაც მერაბმა ჯონის ვიზიტზე მოუთხრო, ზვიადმა, თავის მხრივ, აფხაზეთში ყოფნისას გააფრთხილა ვოვა ვეკუა, ნუგზარ მგალობლიშვილი და ბორის კაკუბავა, რომ მორიდებოდნენ ლაშქარაშვილს. თუმცა, ღიად იმის თქმას რაც შეეხება, რომ ლაშქარაშვილი კავშირში იყო სუკ-თან, საამისოდ ჯეროვანი მტკიცებულება დოკუმენტურ დონეზე არ არსებობდა. „ღირსების სასამართლოს“ ვოვა ვეკუა არ დასწრებია, ხოლო კაკუბავა და მგალობლიშვილი პირზე დაადგნენ ზვიადს, შენ მართლაც გვითხარი, რომ ლაშქარაშვილი აგენტიაო. სხვათა შორის, თამარ ჩხეიძემაც მერაბ კოსტავასგან მოჰკრა ყური მოსაზრებას ლაშქარაშვილის შესაძლო აგენტობაზე, მაგრამ ზურაბმაც და თამარმაც კარგად იცოდნენ – ზვიადი მერაბს მოწმედ არ დაასახელებდა. თუმცა, ერთგან მან თამარს ძალიან მოკლედ უპასუხა, თითქოს ჩაილაპარაკა: მერაბი შენ გამო საერთოდ არაფერს აღარ ამბობსო.

რატომ თქვა ასეთი რამ ზვიადმა? იმიტომ, რომ თამარი საჯაროდ აწყობდა ისტერიულ გამოხდომებს და ასე ცდილობდა მერაბზე ზეგავლენის მოხდენას. მაგალითად, 1988 წლის 7 თებერვალს, საღამო ჟამს, ზვიადი, მერაბი და ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლები დავით აღმაშენებლის ხსენების დღეზე გელათში მივდიოდით მატარებლით, სადაც შეხვედრა უნდა შემდგარიყო ქუთა-

ისის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან. მატარებლის გასვლამდე თამარი თბილისის სადგურზე მოვარდა, ბატონო მერაბ, ამასთან ერთად როგორ მიდიხართ, ამან მოინანია და სალამს არ უნდა აძლევდეთო, ხელების შლით მიმართა მერაბ კოსტავას. რა თქმა უნდა, მერაბმა ამას ყურადღება არ მიაქცია და მაინც წამოვიდა. არადა, მანამდე იგი თამარს მუდამ უმეორებდა, რომ ეროვნული მოძრაობა აუცილებლად ერთიანი უნდა დარჩენილიყო, რასაც ეს ქალბატონი ჯიუტად ეწინააღმდეგებოდა – იყოს ერთიანი, ოღონდ ზვიადის გარეშეო. მცდარი არ იქნებოდა, რომ გვეთქვა: თამარი იყო პირველი, რომელმაც, პრაქტიკულად, წამოსწია ფორმულა – „ყველა მინუს ერთი", რამაც განსაკუთრებული აქტუალობა პუტჩის შემდგომ შეიძინა.

საინტერესოა, რომ ზურაბ ჭავჭავაძე თავად ჯონი ლაშქარაშვილის მიერ ატვირთულ სატელეფონო საუბრის ჩანაწერში ეუბნება ჯონის, მერაბი უნამუსოდ მოგვექცაო. ესე იგი მან იცის, რომ მერაბმა არ დაუმალა ზვიადს ლაშქარაშვილის მისვლის ფაქტი რუსუდან ბერიძესთან. კოსტავამ უარი განაცხადა ამ სასამართლოზე რაიმე ფორმით მონაწილეობაზე, ის აქამდე ყოველად უიმედო შემთხვევებშიც იცავდა გამსახურდიას, თუმცა ახლა უარი თქვაო. ასევე ეკითხება, ზვიადი ამბობს, მე არ მითქვამს ჯონის შესახებ რომ ის აგენტიაო. მანდ პარიზში კიდევ ვინ არის, ვინც დაადასტურებდა ზვიადის მიერ შენ მიმართ წაყენებულ აგენტობის ბრალდებასო? როგორც აღმოჩნდა, არც არავინ. ზურაბ ჭავჭავაძე აქვე ურჩევს ლაშქარაშვილს, გინზბურგთან „ჭიდაობას" თავი დაანებეო. იგულისხმება ალ. გინზბურგი, მოსკოვის „ჰელსინკის ჯგუფის" აქტივისტი, რომელიც ემიგრაციის შემდეგ პარიზში მოღვაწეობდა და ზვიადს თავის მეგობრად მიიჩნევდა. მოგვიანებითაც იგი ხშირად კითხულობდა: „როგორ არის ჩემი მეგობარი ზვიადი?" გინზბურგი აშკარად არ ადასტურებდა ვერსიას, თითქოს ზვიადი მას ჯონის აგენტობის შესახებ ესაუბრა.

ზვიად გამსახურდიას არ სურდა ღიად ეთქვა ეს ამბავი, ამიტომაც ზურაბ ჭავჭავაძეს მიმართა, დოკუმენტი წარმოადგინე, სად ვთქვი ან სად დავწერე მსგავსი რამო. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ზურაბ ჭავჭავაძემ ამის ნაცვლად მოწმეები გამოიძახა, ხოლო დოკუმენტი, ცხადია, მას არ გააჩნდა. იგი თავდაჭერილობითა და სიდინჯით ცდილობდა იმის კომპენსაციას, რომ დოკუმენტი რეალურად ხელთ არ ჰქონდა. მწყობრიდან გამოსულმა ზვიადმა, როდესაც ვერ მიიღო მისგან დოკუმენტი, მას „კაგებეშნიკი" უწოდა, თუმცა უფრო სალანძღავი კონოტაციით – რამდენადაც მას საერთოდ არ სჩვეოდა გინება. ეს რა თქმა უნდა, მისთვის წამგებიანი რეაქცია იყო. თამარ ჩხეიძემ კი, როდესაც არგუმენტები შემოელია, ზვიადს უყვირა, შენ მერაბთან კამერაში „ნასედკად" ჩაგსვესო. ზვიადის რეაქცია ამაზე, პრაქტიკულად, ნულოვანი იყო. რაც შეეხება ჭანტურიას, იგი ამ „სასამართლოზე" ზვიადის მხარეზე იყო, მაგრამ ამ სრულიად არანორმალურ ვითარებაში მანაც დაკარგა მოთმინება და ნერვებმა უმტყუნა: გავიხსენოთ მისი ნათქვამი ზურაბ ჭავჭავაძის მიმართ, „გაგიხვრიტავ შუბლს". ჭანტურიასთვის ხომ იმთავითვე ცხადი იყო, რომ ეს ხალხი – იგულის-

ხმება მოპასუხეები – სიმართლის გასარკვევად არ იყვნენ მოსულნი. მათი რეალური მიზანი ლაშქარაშვილის მიერ გამოგზავნილი წერილის კიდევ ერთხელ ამოწევა (ბრალდება მისი სუკ-ის აგენტობაზე) და ზვიად გამსახურდიას, როგორც ცილისმწამებლის გაშავება იყო.

თუკი ამ ყოველივეს შევაჯამებთ, გამოიკვეთება ასეთი სურათი: „ღირსების სასამართლოს“ მოწყობის მთავარი მიზეზი (და, გნებავთ, საბაბი) გახდა დისიდენტ ჯონი ლაშქარაშვილის აგენტობაზე გავრცელებული ჭორი, რომელიც, ვითომდაც, ზვიად გამსახურდიამ გაავრცელა. სინამდვილეში ამ საკითხზე ჩამოყალიბებული აზრი არ არსებობდა. უბრალოდ, თავიდან მერაბ კოსტავას გარკვეული ეჭვი გაუჩნდა, რომელიც ზვიადს გაანდო. ამ ბრალდების დამადასტურებელი ერთადერთი დოკუმენტი, რაც ოპონენტმა მხარემ წარადგინა, იყო თავად ლაშქარაშვილის წერილი, რომელიც, მკაფიოდ და ცალსახად, მის შესახებ ჭორის გამავრცელებლად ზვიად გამსახურდიას ცოლს – მანანა არჩვაძეს ასახელებდა. როგორც ზვიადი, ასევე „სასამართლოზე“ დამსწრე ზვიადის მომხრე თუ ნეიტრალური საზოგადოება ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ბრალდება ეკუთვნის არა ზვიადს, არამედ ზვიადის ცოლს, რომელმაც, ცხადია, ზვიადის სურვილის წინააღმდეგ, საფრანგეთსა და საქართველოში ხმა გაუვრცელა ლაშქარშვილს აგენტობის შესახებ. ზვიადი კოკა გაწერელიას სახლში უარყოფს ლაშქარაშვილის შესახებ აგენტობის ბრალდების გავრცელებას და ამტკიცებს, რომ მას ასეთი ინფორმაცია არავისთვის მიუწოდებია და არც არსად უთქვამს მსგავსი რამ. სხვა საკითხია, ლაშქარაშვილის აგენტობა-დისიდენტობის საკითხი და ზვიადის აზრი ან ეჭვი ამის შესახებ. ფაქტია, რომ იმ მოცემულობაში, კონფრონტაციის თავიდან აცილების მიზანშეწონილობის გათვალისწინებით, ზვიადს მსგავსი ინფორმაცია არავისთვის მიუცია. გამოდის, რომ მანანა არჩვაძის დესტრუქციული თავშეუკავებლობის თუ შეგნებულად ინსპირირებული განხეთქილების მცდელობის გამო, თამარ ჩხეიძისნაირ ზვიადის მოძულე და არასახელმწიფოებრივად მოაზროვნე სუბიექტებს ხელ-ფეხი გაეხსნათ კიდევ ერთი დარტყმა მიეყენებინათ ზვიადისთვის „ღირსების სასამართლოზე“.

სხვათა შორის, ზაქარია ლაშქარაშვილმა პარიზიდან დარეკა ზვიად გამსახურდიას ბინაში და შეეცადა საკითხის გარკვევას. მას ტელეფონზე შეხვდა მანანა არჩვაძე, როდესაც ლაშქარაშვილმა იკითხა, შეიძლებოდა თუ არა ზვიადთან საუბარი, არჩვაძემ მიუგო, ეგღა აკლია ზვიადს, გუშინდელ ტაქსისტს, „კაგებესთან“ შეკრულ და გაყიდულ კაცს ესაუბროსო. გამოდის, რომ მან პირდაპირ დაუდასტურა ლაშქარაშვილს ის, რაზეც ზვიად გამსახურდიას მეორე მხარე „ღირსების სასამართლოზე“ ედავებოდა. არადა, ტელეფონზე რომ შეხვედროდა, ხომ მოისმენდა ლაშქარაშვილი, რომ ზვიადი მას აგენტად არ ასახელებდა.[286]

ამ „სასამართლოს“ მსვლელობის გარკვეულ მომენტში იქ მყოფი ჯაბა იოსელიანი ფეხზე წამოდგა და იკითხა, აქ რა ხდება, თუ საბუთები გაქვთ, მოიტანეთ, თუ არადა ეს დაბრალებები რას ჰგავსო. თემურ ქორიძემ ამ დროს ხმამაღლა

იკითხა, ეს კაცი ვინ არისო. მას განუმარტეს, ეს კაცი ჯაბა იოსელიანია, „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების დარბაზის“ წევრიო. ეს იოსელიანს აღარ მოეწონა და შეკრება დატოვა. „სასამართლოდან“ ასევე წავიდა აკაკი ბაქრაძეც. ეს „სასამართლო,“ რომელმაც ზვიად გამსახურდიაზე ორკესტრირებული თავდასხმის სახე მიიღო, უსიამოდ და ცუდად დასრულდა. მხარეები, ცხადია, თავიანთ პოზიციებზე დარჩნენ, თუმცა ზვიადის მოწინააღმდეგეების მხრიდან ობსტრუქცია, ცილისწამება და ეროვნული მოძრაობისთვის ზიანის მიყენება თვალსაჩინო გახდა. და ეს მოხდა სწორედ „მოპასუხეთა“ მხრიდან. ამ „სასამართლოს“ იღებდა გოგა ხაინდრავას მიერ მოყვანილი უცნობი ოპერატორი, რომელმაც ბოლოს კოკა გაწერელიას ბინიდან მოკურცხლა, ხოლო კადრები ძალიან მალე ტელევიზიით გადაიცა. ბოლოს კამერა კედელზე ჩამოკიდებულ ილია ჭავჭავაძის პორტრეტზე ჩერდება. ასე დაიწყო 1989 წელი.

3.11. დაძაბულობა აფხაზეთში და რეაქციები თბილისში

1989 წელი ცენტრალური კომიტეტის მხრიდან ორგანიზებული რეაქციით დაიწყო. დასავლეთ საქართველოში მომხდარი ინციდენტის გამო გაასამართლეს ეროვნული ოთხი აქტივისტი, ასევე, „წმინდა ილია მართლის საზოგადოების“ აქტივისტი აჭარიდან – ნოდარ იმნაძე. 18 თებერვალს მომიტინგეები მერაბ კოსტავასა და ნოდარ ნათაძესთან ერთად მივიდნენ საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან და საინფორმაციო მიტინგი გამართეს. კომკავშირლების მიერ ორგანიზებული ჯგუფი, რომელთა შორისაც ზოგიერთი ბლაგვი საგნით იყო შეიარაღებული, თავს დაესხა მიტინგს. მომიტინგეებმა გაცლა ამჯობინეს და იქიდან არცთუ შორს მდებარე ბუკიას ბაღისკენ, პეკინის ქუჩაზე გადაინაცვლეს. როგორც აღმოჩნდა, კომკავშირლების აქცია კარგად იყო ორკესტრირებული მილიციასთან. მილიცია არ აკავებდა აგრესიულ კომკავშირლებს და ყველანაირად ხელს უწყობდა მათ. ბუკიას ბაღში მიტინგი საშინელ ჩხუბსა და დაპირისპირებაში გადაიზარდა. შინაგან საქმეთა სამინისტრომ ამ დღეს ე. წ. მერვე პოლკის ნაწილი აამოქმედა, შეიარაღებული ფარებით, ხელკეტებითა და ჩაჩქნებით. თუმცა ეროვნული მოძრაობა დანებებას არ აპირებდა. 25 თებერვალს გადაწყდა აღენიშნათ „გლოვის დღე“, ანუ საქართველოს იძულებითი გაბაბჭოების, სინამდვილეში კი – ოკუპაციისა და ანექსიის 68 წლისთავი. ზვიად გამსახურდიას „ჩანაწერების“ მიხედვით, მილიციამ შეძლო მისი და რამდენიმე აქტივისტის დაპატიმრება ქაშვეთში, საიდანაც უნდა დაწყებულიყო მსვლელობა უნივერსიტეტისკენ. ისინი დიღმის მილიციის სამმართველოში გადაიყვანეს.

მერაბ კოსტავამ მოახერხა მილიციის ალყიდან თავის დახსნა და მომიტინგეებს რუსთაველის პროსპექტის გავლით გაუძღვა. მათ გზაში მოუწიათ მერვე პოლკის მიერ შექმნილი პიკეტების გარღვევა. ბოლოს მიტინგი დაიწყო უნივერსიტეტის ბაღში. მომიტინგეებმა განაცხადეს, რომ ვიდრე არ გაათავისუფლებ-

დნენ ზვიად გამსახურდიასა და სხვა აქტივისტებს, ისინი არ დაიშლებოდნენ. საღამოს ყველა დაკავებული გათავისუფლდა და მიტინგიც დასრულდა. ძალიან მალე ამ აქციებიდან „არაფორმალები" გამოჩნდნენ იქ, სადაც მათ ყველაზე ნაკლებად ელოდნენ – ეს იყო ოფიციოზის მიერ შექმნილი „რუსთაველის საზოგადოების" ყრილობა, 1989 წლის მარტში. აქ ირკვეოდა საკითხი, ვინ შეცვლიდა თავმჯდომარის პოსტიდან გადამდგარ ირაკლი აბაშიძეს. ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ მხარი აკაკი ბაქრაძის კანდიდატურას დაუჭირეს. მანამდე ზვიადი აცხადებდა: „დარწმუნებული ვარ, აკაკი ბაქრაძის მაღალი რეიტინგი, მაღალი ავტორიტეტი არჩევნებში მისი შთამბეჭდავი გამარჯვების გარანტია იქნება... ვთვლი, რომ საქართველოს მომავლისთვის მნიშვნელოვანია მომავალ ყრილობაზე აკაკის გამარჯვება".

იმისთვის, რომ შეეკავებინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ზეგავლენა, მათ აქტივისტებს გააშლევინეს პლაკატი – „ძირს ფოფხაძის დიქტატურა" – აქ იგულისხმებოდა ნუგზარ ფოფხაძე, ცენტრალური კომიტეტის ერთ-ერთი მდივანი, ენერგიული და ორგანიზატორული უნარებით საკმაოდ დაჯილდოებული პირი. ყრილობის პირველ დღეს ხელისუფლებამ არ დათმო და მილიციის სპეცრაზმმა, გენერალ ვ. შადურის მეთაურობით, ალყა შემოარტყა ოპერის თეატრს. ამაზე აკაკი ბაქრაძემ განაცხადა, რომ ყრილობას საერთოდ დატოვებდა, თუ სპეცრაზმს არ გაიყვანდნენ. მეორე დღეს სპეცრაზმი აღარ გამოჩენილა. ცენტრალურმა კომიტეტმა აშკარად დათმო და საზოგადოების თავმჯდომარე აკაკი ბაქრაძე გახდა, ზვიად გამსახურდიას კი ჩააბარეს საზოგადოების რუსთველოლოგიური კვლევების განყოფილება. როდესაც ეს ამბავი გამოცხადდა, რუსთაველიდან მომიტინგეებმა გადაინაცვლეს ლესია უკრაინკას ქუჩაზე, სუკ-ის მთავარი შენობის წინ, სადაც გაიმართა მიტინგი. ისმოდა შეძახილები „გესტაპო! გესტაპო!" მომიტინგეების დარბევა და იქიდან გარეკვა არც კი უცდიათ.

ჯუმბერ პატიაშვილი ცდილობდა საზოგადოების დარწმუნებას იმაში, რომ „არაფორმალებს" უფსკრულისკენ მიჰყავდათ ქვეყანა. მათი დაპატიმრება, თუკი ეს მოხერხდებოდა, მისი გაგებით, ნამდვილად გამოსავალი იქნებოდა. ამიტომაც ის, რასაც ამ თემაზე დავით გამცემლიძის წიგნში ვკითხულობთ, სიმართლეს უნდა შეესაბამებოდეს: „ერთ-ერთ თბილისურ გაზეთში რამდენიმე წლის წინ გამოქვეყნდა პატიაშვილის დროინდელი ცკ-ის იდეოლოგის, ნუგზარ ფოფხაძის ინტერვიუ, რომელშიც რესპონდენტი, სხვათა შორის, ასეთ ეპიზოდს იხსენებს: იგი პატიაშვილის კაბინეტში იჯდა, როდესაც პირველი მდივანი ტელეფონით დაუკავშირდა გივი გუმბარიძეს (სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს) და რაღაც დავალების შესრულების აუცილებლობა შეახსენა. გუმბარიძემ კი ჩვეულებრივი პირმოთნე ტონი მოულოდნელად გაამკაცრა და ჭირვეული ბავშვივით დაიწუწუნა: „მე ამ დავალებას არ შევასრულებ, იგი უკანონოა". ნუგზარ ფოფხაძე შესანიშნავად ხვდებოდა, რა „დავალება" იგულისხმებოდა: პატიაშვილი გუმბარიძისაგან არაფორმალთა დაპატიმრებას მოითხ-

ოდა, ქართული უშიშროების თავკაცი კი არ თანხმდებოდა, ჭირვეულობდა და ბრძანებას არ ასრულებდა. არც შეასრულებდა, ვინაიდან მოსკოვში უშუალო ხელმძღვანელისაგან არ ჰქონდა ნებართვა. მისი ნებართვის გარეშე კი აბა რის გაკეთებას გაბედავდა?[288]

ზვიად გამსახურდიას „ჩანაწერებში" არის მცირე ლაფსუსი ამ პერიოდთან დაკავშირებით – იგი მართებულად აღნიშნავს, რომ ნოემბრის გრანდიოზული აქციების შემდეგ კრემლს უარი არ უთქვამს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პარალიზებაზე და ამას შეეცადა „აფხაზური კარტის" გათამაშებით, რასთან კავშირშიც აფხაზეთში შეიქმნა „კავკასიის მთის ხალხთა კონფედერაცია", რომლის მიზანიც იყო ხელი შეეშალა საქართველოს დამოუკიდებლობისკენ მიმართული ბრძოლისთვის.[289] სინამდვილეში აღნიშნული კონფედერაციის პირველი ყრილობა 1989 წლის აგვისტოში ჩატარდა სოხუმში, როდესაც 9 აპრილის ამბები უკვე თვეების გადავლილი იყო.

აფხაზეთში თავიდან ყველაფერი დიდი ხმაურისა და აჟიოტაჟის გარეშე დაიწყო: ჯერ 1989 წლის 18 მარტს შეიკრიბა ყრილობა სოფელ ლიხნიში, სადაც მიიღეს დეკლარაცია, რომელიც გააგზავნეს კრემლში. ამ ყრილობას დაესწრნენ პარტიული ხელმძღვანელები, მთავრობის წარმომადგენლები, კულტურისა და სამეურნეო სფეროს მუშაკები. ეს წერილი, არსებითად, იყო პეტიცია, რომელშიც ჩამოყალიბებული იყო მოთხოვნა, აღდგენილიყო სსრკ-ის ადრეულ პერიოდში არსებული, საქართველოსთან ხელშეკრულების საფუძველზე არსებული, სუვერენული აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, როგორსაც ის წარმოადგენდა თითქოს ლენინის დემოკრატიული სოციალიზმის ეპოქაში მას შემდეგ, რაც საქართველო გასაბჭოვდა 1921 წელს. წერილში გატარებული იყო იდეა, რომ „ქართველები" და მათი პარტიული ელიტა, რომელთაც, რაოდენ გასაოცარი არ უნდა იყოს, აფხაზთა თვალში მიეკუთვნებოდნენ იოსებ სტალინი და ლავრენტი ბერია – მუდამ „ჩაგრავდნენ აფხაზ ხალხს".

ეს ვერსია, სხვათა შორის, კარგად ჯდებოდა „პერესტროიკის" ძირითად ტენდენციაში, სადაც ცალკეული ჟურნალისტები და ავტორები ცდლობდნენ საბჭოთა დიქტატორში ლატენტური ქართველი ნაციონალისტი აღმოეჩინათ. ლიხნის მიმართვაში იყო არაერთი ისტორიულ-ფაქტობრივი დამახინჯება. აფხაზეთის ამ სახელშეკრულებო რესპუბლიკამ (რომელსაც რუსი ბოლშევიკები სხვანაირად „ლაკობისტანს" უწოდებდნენ, მისი ლიდერის, ლენინისა და ტროცკის თანამებრძოლის, ნესტორ ლაკობას გვარის მიხედვით) იარსება 1931 წლამდე, ვიდრე ის არ იქცა „აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკად" საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში. მას ჰქონდა გერბი, რომელზეც სამ ენაზე – აფხაზურად, ქართულად და რუსულად ეწერა „პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!" და თავისი კონსტიტუციაც, მიღებული 1925 თუ 1927 წელს. ლიხნის წერილს ხელს აწერდა აფხაზეთის მმართველი ელიტა, მხოლოდ ეთნიკური ნიშნით, მათში არ იყო არცერთი არააფხაზი. მათ შორის იყვნენ ბორის ადლეიბა,

ავტონომიის ხელმძღვანელი პირი და აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ვალერიან კობახია, აფხაზეთის ასსრ-ის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, კონსტანტინ ოზგანი, ცნობილი საბჭოთა და პარტიული მოღვაწე, გუდაუთის რაიონის რაიკომის მდივანი, საიდ ტარკილი, აფხაზკომის მდივანი და ბიუროს წევრი, აფხაზეთის პოპულარული მწერალი ბაგრატ შინკუბა, სოხუმის ჭანბას სახელობის თეატრის დირექტორი შარახ ფაჩალია და სხვები. თავად წერილზე ხელისმომწერთა შემადგენლობა ცხადზე უცხადესად ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ეს შეკრება კრემლიდან ანთებული მწვანე შუქის ცალსახა აღქმის შედეგია, სხვანაირად აფხაზეთის პარტიული ელიტა ასეთ ნაბიჯზე არ წავიდოდა.

საქართველოში ეს ამბავი მაშინვე არ გახმაურებულა, იგი საზოგადოების ყურადღების ცენტრში, დაახლოებით, 2 კვირის თავზე მოექცა. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც ხშირი იყო შეკრება უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში და ასეთი ტიპის შეხვედრები ხელისუფლებასაც, ცხადია, ქუჩის მიტინგებსა და მანიფესტაციებს ერჩია. მაგალითად, 31 მარტის შეკრებაზე მერაბ კოსტავამ გამოაცხადა, რომ ამ დღეს იყო ეროვნული მოძრაობის სრულიად განსაკუთრებული დამსახურებების მქონე ლიდერის, მისი მეგობრისა და თანამებრძოლის, ზვიად გამსახურდიას დაბადების დღე და თანაც საიუბილეო თარიღი – იგი 50 წლის გახდა. ზვიად გამსახურდიას ეს დღე მიულოცეს უნივერსიტეტის წარმომადგენლებმაც, მათ შორის, პრორექტორმა ვახტანგ გოგუაძემ, მწერლებმა, პროფესორებმა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლებმა. საღამოს ბანკეტი ზვიად გამსახურდიას რეზიდენციაში, კოლხურ კოშკში, გაიმართა.

საზოგადოების რეაქციამ, რა თქმა უნდა, არ დააყოვნა და 4 აპრილს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში მოეწყო შეკრება, სადაც განიხილეს ლიხნის დეკლარაციის ამბები და მასზე რეაგირების საკითხები. ამ შეკრებას ჰქონდა, ერთი მხრივ, აკადემიური, მეორე მხრივ, პოლიტიკური ხასიათი. ესწრებოდნენ როგორც უნივერსიტეტის პროფესორები, ისე „არაფორმალები". სიტყვით გამოვიდა ზვიად გამსახურდიაც. მან განაცხადა, რომ კრემლი ათავხედებდა სეპარატისტებს, ხოლო საქართველოს ხელისუფლება უმწეოდ შეჰყურებდა ამ ყველაფერს. მან მიმართა პროფესორ მარიამ ლორთქიფანიძეს, რამდენად მართებული იყო ეთნონიმი „აფხაზის" გამოყენება იმ ხალხთან მიმართებით, ვინც საკუთარ თავს აღნიშნავდა ეთნონიმით „აფსუა". მარიამ ლორთქიფანიძემ თავის გამოსვლაში ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ თამარის ისტორიკოსთან, როდესაც საუბარია ლაშა-გიორგის დაბადებაზე, ნათქვამია, ლაშა „განმანათლებელს" ნიშნავს აფსართა ენაზეო. ამაზე ზვიად გამსახურდიას რეპლიკა იყო, თუკი აქ „აფხაზი" უნდა გამოყენებულიყო, მემატიანეს არაფერი უშლიდა, დაეწერა აფხაზი და არა „აფსარიო." საქმე ისაა, რომ აფხაზეთი მაშინ მთელი ერთიანი საქართველოს მეორე სახელი იყოო, როგორც „ალბიონი" – ინგლისისა, აფხაზი კი „დასავლეთ ქართველს" ნიშნავდაო.

სწორედ ამ დისკუსიის გამოძახილია მიტინგზე გამოსვლის იმ ტექსტში, რომელმაც უარყოფით რეაქციები გამოიწვია ოპონენტებში და მათ მისცა საბაბი ზვიად გამსახურდია „ეთნიკურ ნაციონალიზმში“ დაედანაშაულებინათ: „აფხაზი ერი ისტორიულად არასოდეს არ არსებობდა. აფხაზეთი იყო სახელწოდება დასავლეთ საქართველოსი, დასავლეთ საქართველოს სახელწოდება, და აფხაზები იყვნენ დასავლეთ ქართველები. ასე რომ, აფხაზი ერი იყო ქართველი ერი, იგივე, დასავლეთ ქართველი ერი, ხოლო ის ძველი ქრისტიანი აფხაზები, ქართველი აფხაზები, დღეს აღარ არსებობენ. მაგრამ სახელწოდება აფხაზი დღეს არასწორად იხმარება ამ აფსუას ტომთან მიმართებით. აფსუა, ანუ აფსარნი, ეს არის ჩრდილოეთ კავკასიური ადიღეური მოდგმის ტომი და ჩვენ არცერთი ტომის, არცერთი ტომების ჯგუფის თვითგამორკვევის წინააღმდეგნი არა ვართ, თუ ის ერად ქცევას ლამობს, მით უმეტეს, თუ მას აქვს ერის გარკვეული ნიშნები დღეს, ოღონდ მის ისტორიულ ტერიტორიაზე, ჩრდილოეთ კავკასიაში. თუ ეს ტომი თუ ტომები ამას შეიგნებენ, ჩვენ მათ ამოვუდგებით მხარში, ოღონდ იმ პირობით, რომ მათ უნდა აღადგინონ ისტორიული სამართლიანობა, და დაგვითმონ ჩვენი მიწა-წყალი, და დამკვიდრდნენ იქ, საიდანაც მობრძანდნენ“. აქ გასათვალისწინებელია ერთი ფაქტორი: ამ გამოსვლის პირველ ნაწილში „ერი“ შუა საუკუნეების გაგებითაა ნაგულისხმევი, ხოლო ბოლო ნაწილში – უკვე თანამედროვე „ერი-სახელმწიფოს“ (შდრ. ინგლ. Nation) გაგებით. სწორედ თანამედროვე გაგებით „ერად“ (ანუ ერი-სახელმწიფოზეა ლაპარაკი) ლამობს იქცეს ის ერთობა, რომელიც საკუთარ თავს „აფხაზს“ უწოდებს. საქართველოს ტერიტორიაზე ცალკე, გამიჯნულად არ არსებობდა და ვერ იარსებებს აფხაზური ერი-სახელმწიფო, მაგრამ არსებობს აფხაზი ხალხი, რომელიც საკუთარ ეთნიკურ ვინაობას აღნიშნავს ეთნონიმით „აფსუა“, აქვს საკუთარი ენა „აფსუა ბისშა“, თვითმყოფადი კულტურა, ტრადიციები და საკმაოდ ფართო ავტონომია საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში. ამ განცხადების დასასრული, შესაძლოა, არ იყო დიპლომატიური და არაგამაღიზიანებელი აფხაზებისთვის, თუმცა იგი ერთ ასპექტსაც გულისხმობდა: ისინი ჩრდილოეთ კავკასიაში არასოდეს შეეცდებოდნენ შექმნათ და დაეფუძნებინათ საკუთარი (დამოუკიდებელი) ერი-სახელმწიფო, რადგან კარგად იცოდნენ: რუსული სახელმწიფოს, მისი პარტიული ნომენკლატურის, გენშტაბის, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სასტიკი სპეცსამსახურების პირობებში ვერც კი იოცნებებდნენ ასეთ დაფუძნებაზე, საქართველო კი დაბალი ღობე ეგონათ.

შეკრებაზე ბოლოს ითქვა, რომ საჭირო იყო აქედან დაწყება საერთო-სახალხო გამოსვლებისა. სცენაზე გამოიტანეს ეროვნული დროშა, რომელიც ზვიად გამსახურდიამ გადასცა სახალხო პოეტს, მუხრან მაჭავარიანს. ყველანი გაემართნენ „დინამოს“ სტადიონისკენ, სადაც მიმდინარეობდა საფეხბურთო მატჩი. როდესაც მატჩი დასრულდა, მუხრანი, ზვიადი, მერაბი და „არაფორმალთა“ აქტივისტები პირდაპირ შევიდნენ სტადიონზე და ხალხს მოუწოდეს, მანიფესტაციით დაძრულიყვნენ მთავრობის სახლისკენ რუსთაველზე. ასე დაიწყო

მრავალათასიანი მსვლელობა. როდესაც მივიდნენ მთავრობის სასახლესთან, ილიასა და აკაკის ძეგლთან შედგა საუბარი, ერთი მხრივ, ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას, მეორე მხრივ, ზურაბ ჭავჭავაძესა და თამარ ჩხეიძეს შორის. ეს უკანასკნელნი ითხოვდნენ, რომ აქციის ლოზუნგებში გამოტანილი ყოფილიყო მოთხოვნა აფხაზეთის იმ მაღალჩინოსანთა დასჯისა, რომლებიც სეპარატიზმს აღვივებდნენ და ყველანაირად ხელს უწყობდნენ ქართული მოსახლეობის დისკრიმინაციას აფხაზეთში. ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა ამ მოთხოვნებს არ დაეთანხმნენ და აღნიშნეს, რომ ცენტრსაც ეგ უნდოდა – ვიღაც მეორეხარისხოვან, თავისსავე მარიონეტ ფუნქციონერებს იგი მაინც არ დასჯდა და თუ დასჭირდებოდა, უარესით ჩაანაცვლებდა. საბოლოოდ, ზვიადი და მერაბი მაინც მოერიდნენ პოლემიკის გაგრძელებას და აქცია ჩხეიძე-ჭავჭავაძის მიერ შემოთავაზებული ლოზუნგებით დაიწყო.

ეს არის არასრული სია იმ აქტივისტებისა (სრული სიის დადგენა ძალიან რთულია), რომლებიც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პირველ ნაკადში მოვიდნენ, 1987 წლის თებერვალსა და 1989 წლის 4 აპრილს შორის: 1. აბაშიძე ბეჟან (თბილისი) 2. აბდალაძე ქეთი (ზუგდიდი) 3. აბრალავა ანზორ (თბილისი) 4. აბჟანდაძე ანზორ (თბილისი) 5. აბესაძე ბეჟან (ტყიბული) 6. ადამია ვაჟა (თბილისი) 7. ადეიშვილი ავთანდილ (სამტრედია) 8. ალიბეგაშვილი გია (თბილისი) 9. ანდრიაძე სოსო (ქუთაისი) 10. აროშვილი გელა (თბილისი) 11. აროშვილი ზურაბ (თბილისი) 12. ასათიანი მურთაზ (თბილისი) 13. ასათიანი აკაკი (თბილისი) 14. ასათიანი მაკა (თბილისი) 15. ანდღულაძე ლია (თბილისი) 16. ახვლედიანი მანანა (ქუთაისი) 17. ახალაია გია (სოხუმი) 18. აფაქიძე იუნონა (თბილისი) 19. ბაბეური ზვიად (თბილისი) 20. ბაბეური გიორგი (თბილისი) 21. ბაბეური ხათუნა (თბილისი) 22. ბაბეური თეა (თბილისი) 23. ბათიაშვილი ირაკლი (თბილისი) 24. ბაკურია ცოტნე (თბილისი) 25. ბაკურია მამუკა (თბილისი) 26. ბალიაშვილი ლია (თბილისი) 27. ბარამიძე თენგიზ (ფოთი) 28. ბარათაშვილი მურმან (თბილისი) 29. ბარათაშვილი პაატა (თბილისი) 30. ბარდაველიძე დავით (თბილისი) 31. ბარდაველიძე კარლო (თბილისი) 32. ბარკალაია დოდო (თბილისი) 33. ბახტაძე გია (ქუთაისი) 34. ბახტაძე თიკო (თბილისი) 35. ბედიაშვილი ელიზბარ (თბილისი) 36. ბედიაშვილი ციცო (თბილისი) 37. ბიბინეიშვილი ბესო (თბილისი) 38. ბირკაია რობერტ (მარტვილი) 39. ბიგვავა ზურაბ (მარტვილი) 40. ბიჭაშვილი გოჩა (ამბროლაური) 41. ბლუაშვილი მზია (მარტვილი) 42. ბრეგაძე სანდრო (თბილისი) 43. ბულაური თამაზ (დუშეთი) 44. ბულიავა-მაქაცარია დოდო (სენაკი) 45. გაბელაშვილი ზაზა (ქუთაისი) 46. გაბრიაძე ლია (თბილისი) 47. გაბუნია გურამ (ქუთაისი) 48. გაგოშიძე იულონ (თბილისი) 49. გაგნიძე მაგული (თბილისი) 50. გამილაღდიშვილი თამარ (თბილისი) 51. გამრეკლიძე ანდრო (თბილისი) 52. გაწერელია კოკა (თბილისი) 53. გვარამია ანზორ (სოხუმი) 54. გვასალია ციური (ქუთაისი) 55. გიორგობიანი ბიძინა (თბილისი) 56. გიორგაძე აკაკი (ქუთაისი) 57. გიორგაძე გიგა (ქუთაისი) 58. გიგოშვილი იზა (თბილისი) 59. გერმანიშვილი მამუკა (თბილისი) 60. გველესიანი თამაზ (თბილისი) 61. გვა-

ლია გივი (თბილისი) 62. გოგნიაშვილი გოგა (თბილისი) 63. გოლეთიანი ჯემალ (თბილისი) 64. გოლეთიანი რუსუდან (თბილისი) 65. გრატიაშვილი ელზა (საგარეჯო) 66. გრიგალაშვილი ნოდარ (თბილისი) 67. გუდაძე ლია (თბილისი) 68. გუდაძე გოგა (საჩხერე) 69. გუჩუა ზურაბ (წალენჯიხა) 70. დადიანი თამარ (სენაკი) 71. დავლიანიძე ჯემალ (თბილისი) 72. დარახველიძე რეზო (ქუთაისი) 73. დიაკონიძე ფირუზ (ქუთაისი) 74. დადიანი ეკა (თბილისი) 75. დარჩაშვილი მალხაზ (თბილისი) 76. დახუნდარიძე გულისა (ქუთაისი) 77. დგებუაძე ნანა (თბილისი) 78. დავითური კახა (თბილისი) 79. დიხამინჯია თენგიზ (თბილისი) 80. დგებუაძე ირინა (თბილისი) 81. დოლბაია ალექსანდრე (ფოთი) 82. დოლიძე შმაგი (თბილისი) 83. დომუხოვსკი ვიქტორ (თბილისი) 84. დუმბაძე ლევან (თბილისი) 85. ებრალიძე ზაზა (თბილისი) 86. ერგემლიძე ქეთევან (თბილისი) 87. ერგემლიძე იზო (თბილისი) 88. ერისთავი დიმა (თბილისი) 89. ერისთავი ლევან (თბილისი) 90. ვარამაშვილი ნანა (თბილისი) 91. ვარამაშვილი დალი (თბილისი) 92.ვასაძე ლევან (თბილისი) 93. ვაჩნაძე ფიქრია (თბილისი) 94. ვაჭრიძე პეტრე (ქუთაისი) 95. ვიბლიანი მაიზერ (მესტია) 96.თვალთვაძე თამუნა (თბილისი) 97. თვარაძე ცოტნე (თბილისი) 98. თვალავაძე ივანე (თბილისი) 99. თოდუა კახა (თბილისი) 100. თავდუმაძე დავით (თბილისი) 101. თევზაძე გიგი (თბილისი) 102. თავაძე მერაბ (თბილისი) 103. ისაკაძე თედო (თბილისი) 104. იოსელიანი ხათუნა (მესტია) 105. იოსელიანი მამუკა (თბილისი) 106. კაზალიკაშვილი შალვა (ყაზბეგი) 107. კაკაბაძე ირაკლი (თბილისი) 108. კალანდია მადონა (სოხუმი) 109. კანკავა ანდრო (სენაკი) 110. კაპანაძე დათო (თბილისი) 111. კაკუბავა ბორის (სოხუმი) 112. კაკაურიძე ციცინო (თბილისი) 113. კალაძე ამირან (თბილისი) 114. კალაძე კახა (ზესტაფონი) 115. კახიანი მაია (მესტია) 116. კოპალეიშვილი დათო (თბილისი) 117. კოსტავა ლალი (თბილისი) 118. კოხრეიძე მერაბ (ქუთაისი) 119. კილაძე ვაჟა (თბილისი) 120. კინწურაშვილი ანზორ (წყალტუბო) 121. კიკნაძე დათო (თბილისი) 122. კურტანიძე თამაზ (ქუთაისი) 123. კერვალიშვილი ლამარა (ქუთაისი) 124. კვარაცხელია ზურაბ (წალენჯიხა) 125. კვიციანი ეთერი (მესტია) 126. კლდიაშვილი დავით (ქუთაისი) 127. კობახიძე გია (თბილისი) 128. კობახიძე ივეტა (თბილისი) 129. კოდალაშვილი ლელა (თბილისი) 130. კულუმბეგაშვილი გია (თბილისი) 131. ლაკირბაია ოლგა (თბილისი) 132. ლეჟავა ნუგზარ (თბილისი) 133. ლომაია-ბაბეური მზია (სენაკი) 134. ლორთქიფანიძე თემურ (თბილისი) 135. ლორია კახაბერი (თბილისი) 136. მამალაძე სოსო (თბილისი) 137. მამალაძე გაიოზი (თბილისი) 138. მამულაშვილი გიორგი (თბილისი) 139. მარღანია დავითი (თბილისი) 140. მარგველაშვილი გიორგი (თბილისი) 141. მაისურაძე გიორგი (თბილისი, ამჟამად სასულიერო პირი) 142. მარკოზაშვილი ცირა (თბილისი) 143. მარჯანიშვილი გიორგი (თბილისი) 144. მარსაგიშვილი ნუნუ (თბილისი) 145. მატარაძე ვანო (ქუთაისი) 146. მაღლაფერიძე ციცინო (თბილისი) 147. მაჩაიძე გიორგი (თბილისი) 148. მაჭავარიანი მაია (თბილისი) 149. მახაშვილი ზურაბ (თბილისი) 150. მახვილაძე გოჩა (თბილისი) 151. მგალობლიშვილი ეთერ (თბილისი) 152. მეზვრიშვილი ზაზა (თბილისი) 153. მეზვრიშვილი

ზურაბ (გორი) 154. მელაშვილი ირაკლი (თბილისი) 155. მელუავა გია (თბილისი) 156. მეხრიშვილი გაიოზ (თბილისი) 157. მილდიანი ჯულიეტა (თბილისი) 158. მორგოშია რევაზ (წალენჯიხა) 159. მორგოშია ანი (თბილისი) 160. მუჯირი ელიზბარ (სასულიერო სახელი შიო, ამჟამად ეპისკოპოსი და კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრე) 161. მთავრიშვილი ვაჟა (რუსთავი) 162. მღვდლიაშვილი თინათინ (თბილისი) 163. მღვდლიაშვილი ლედი (თბილისი) 164. მჭედლიშვილი ნოე (თბილისი) 165. ნადარეიშვილი ლია (თბილისი) 166. ნაფეტვარიძე დოდო (თბილისი) 167. ნარმანია იგორ (სენაკი) 168. ნიგურიანი ნარგიზი (მესტია) 169. ნიკოლოზიშვილი ნიკოლოზ (თბილისი) 170. ნიქაბაძე ერეკლე (ქუთაისი) 171. ნიქაბაძე თემურ (ზესტაფონი) 172. ნიშნიანიძე ნინო (თბილისი) 173. ნიშნიანიძე ნანა (თბილისი) 174. ნორაკიძე ნიკო (თბილისი) 175. ნოღაიდელი ნინო (ბათუმი) 176. ორჯონიკიძე თენგიზ (თბილისი) 177. ორჯონიკიძე გელა (თბილისი) 178. ოჩიაური გოგი (თბილისი) 179. ოჩიგავა მარინა (თბილისი) 180. პაატაშვილი თედო (თბილისი) 181. პაიკიძე სოსო (თბილისი) 182. პაქსაშვილი გეგა (თბილისი) 183. პავლიაშვილი ალეკო (თბილისი) 184. პერტია აველინა (თბილისი) 185. პეტრიაშვილი გურამ (თბილისი) 186. პეტრიაშვილი რობერტ (თბილისი) 187. ჟვანია ზურაბი (თბილისი) 188. ჟორჟოლიანი თემურ (თბილისი) 189. ჟორჟოლიანი თამაზ (ზუგდიდი) 190. ჟღენტი ანა (ქუთაისი) 191. ჟღენტი ნანა (ოზურგეთი) 192. რაზმაძე გელა (თბილისი) 193. რამიშვილი აჩიკო (თბილისი)194. რატიშვილი ნინო (თბილისი) 195. რამიშვილი სოსო (ქუთაისი) 196. რეხვიაშვილი რამაზ (თბილისი) 197. როჭიკაშვილი ზურა (თბილისი) 198. რცხილაძე ავთანდილ (თბილისი) 199. სამარგულიანი ნანა (თბილისი) 200. სანიკიძე გუბაზ (თბილისი) 201. სარიშვილი ირინა (თბილისი) 202. საღლიანი მანანა (მესტია) 203. სილაგაძე ჯემალი (თბილისი) 204. სიმონიშვილი მედეა (თბილისი) 205. სიხარულიძე დათო (თბილისი) 206. სიხარულიძე ვახო (თბილისი) 207. სვანიძე ლუარა (ქუთაისი) 208. სულაქველიძე მერაბ (თბილისი) 209. სუმბათაშვილი თემური (თბილისი) 210. სულთანიშვილი მაია (თბილისი) 211. სხილაძე გიორგი (ზესტაფონი) 212. ტაკიძე საშა (ბათუმი) 213. ტერზიანი მარინა (თბილისი) 214. ტურაბელიძე მაია (ქუთაისი) 215. ტვილდიანი კახა (ქუთაისი) 216. ტორონჯაძე ირაკლი (თბილისი) 217. ტურაშვილი დათო (თბილისი) 218. ტურაშვილი ივანე (თბილისი) 219. ტუღუში აბესალომ (ზუგდიდი) 220. ურუშაძე ლევან (თბილისი) 221. ფავლენიშვილი იასონ (თბილისი) 222. ფანჩულიძე მანანა (ქუთაისი) 223. ფარულავა მარინა (ქუთაისი) 224. ფერაძე ოთარ (ზესტაფონი) 225. ფერაძე ზაქარია (ზესტაფონი) 226. ფირცხალაიშვილი გოგი (ქუთაისი) 227. ფირცხალაიშვილი გია (ლანჩხუთი) 228. ფიფია თორნიკე (წალენჯიხა) 229. ფუტკარაძე ტარიელ (ბათუმი) 230. ფხაკაძე ჯემალ (ქუთაისი) 231. ქადარია ზვიად (თბილისი) 232. ქარუმაშვილი ალექსანდრე (თბილისი) 233. ქევხიშვილი ციცი (თბილისი) 234. ქვირია დალი (თბილისი) 235. ქიტოშვილი ციური (თბილისი) 236. ქორიძე თემურ (თბილისი) 237. ქორიძე ნოდარ (თბილისი) 238. ქოიავა ლაშა (თბილისი) 239. ქუთელია ნათელა (თბილისი) 240. ქუთათელაძე მაია (თბილისი) 241. ქურდიანი მიხეილ (თბილისი)

242. ღვინჯილია ლევან (თბილისი) 243. ღვინიაშვილი გოჩა (თბილისი) 244. ღუდუშაური ხატია (თბილისი) 245. ლორია შადურ (ბათუმი) 246. შალვაშვილი ბელა (თბილისი) 247. შათირიშვილი ნანა (თბილისი) 248. შათირიშვილი ლალი (თბილისი) 249. შამფრიანი ლუცინდა (მესტია) 250. შამფრიანი ზოია (მესტია) 251. შარმანაშვილი თენგიზ (თბილისი) 252. შავდია მანონი, (თბილისი) 253. შენგელაია ირაკლი (თბილისი) 254. შენგელია ლევან (თბილისი) 255. შეროზია დალი, (თბილისი) 256. შელია ირაკლი (თბილისი) 257. ჩიხრაძე ფიქრია (თბილისი) 258. ჩიტაძე ალექსანდრე (თბილისი) 259. ჩხაიძე ნუგზარ (ბათუმი) 260. ჩხეიძე იგორ (თბილისი) 261. ჩხეიძე ირაკლი (თბილისი) 262. ჩხვიმიანი სლავა (მესტია) 263. ჩქარეული ედიშერ (თბილისი) 264. ჩხეტიანი მადონა (ქუთაისი) 265. ჩხვიმიანი დოდო, (მესტია)266. ჩხობაძე-პონომარი ანა (ქუთაისი) 267. ჩუხუა მერაბ (ზუგდიდი) 268. ცაგარეიშვილი ვახტანგ (თბილისი) 269. ცინცაძე პაატა (თბილისი) 270 ცინცქილაძე ზურაბ (თბილისი) 271. ცირამუა ნანა (თბილისი) 272. ძამაშვილი ბორის (თბილისი) 273. ძიძავა უჩა (თბილისი) 274. ძიძიგური ზვიად (სამტრედია) 275. ძიძიგური კობა (სამტრედია) 276. ძოწენიძე გია (ქუთაისი) 277. წიკლაური ნუგზარ (თბილისი) 278. წიკლაური მირიან (ყაზბეგი) 279. ჭავჭავაძე ზურაბ (თბილისი) 280. ჭინჭარაული ვაჟა (თბილისი) 281. ჭოლაძე ნუკრი (ქუთაისი)282. ჭოხონელიძე გიული (თბილისი) 283. ხაინდრავა გოგა (თბილისი) 284. ხარბედია ნინო (სენაკი) 285. ხარებავა მაია (თბილისი) 286. ხახუბია ეთერი (თბილისი) 287. ხერხეულიძე ეკა (თბილისი) 288. ხინთიბიძე ლილი (თბილისი) 289. ხონელიძე გია (თბილისი) 290. ხუბუკელაშვილი არსენ (ცაგერი) 291. ხუხუნაიშვილი ვანო (თერჯოლა) 292. ჯამბურია რაინდი (მარტვილი) 293. ჯანგულაშვილი ლალი (ქუთაისი) 294. ჯავახია ბეჟან (თბილისი) 295. ჯაფარიძე ბადრი (თბილისი) 296. ჯაჯანიძე სოსო (თბილისი) 297. ჯავახია ლილი (თბილისი) 298. ჯერვალიძე ქეთევან (ახმეტა) 299. ჯიქია შუკო (ზუგდიდი) 300. ჯინჯიხაძე ნანა (ქუთაისი) 301. ჯიშკარიანი ზაზა (ქუთაისი) 302. ჯიშკარიანი მაკა (თბილისი) 303. აბაიშვილი მარიკა (თბილისი) 304. ებრალიძე თათია (თბილისი).

3.12. 1989 წლის 9 აპრილი

ზვიად გამსახურდია წერდა, რომ გამოსვლებში ხალხს ვუხსნიდით ანტიაფხაზური ლოზუნგების დაუშვებლობას, რადგან ამას, შესაძლოა, აფხაზეთის ქართველი მოსახლეობა საფრთხის ქვეშ დაეყენებინაო. ჩვენ მხოლოდ დამოუკიდებლობა უნდა მოგვეთხოვა, რათა კრემლის იმპერიალისტებისთვის აგვეხსნაო აფხაზური კარტის გათამაშების უშედეგობა და უპერსპექტივობა. მე და მერაბ კოსტავამ აქციის დაწყებისას ქალაქში 17 საგაფიცვო კომიტეტი შევქმენითო. მივდიოდით ქარხნებსა და ფაბრიკებში და, რამდენადაც მათი დირექცია მილიციის საშუალებით ეწინააღმდეგებოდა ამ დაწესებულებებში ჩვენს შეღწევას, შესასვლელთან ვაწყობდით მიტინგს, რის შედეგადაც თბილისის საწარმო-

თა უმრავლესობამ გაფიცვა გამოაცხადაო. გაფიცვას შემოუერთდნენ უმაღლესი სასწავლებლები და სკოლები.[290]

აქციის ლოზუნგები შეიცვალა 6 აპრილს, როდესაც აფხაზეთიდან დაბრუნდნენ ირაკლი წერეთელი და ირაკლი ბათიაშვილი. აქციის ერთადერთ მოთხოვნად გახდა „საქართველოს სრული დამოუკიდებლობა". რაც შეეხება ლოზუნგს, „ძირს რუსეთის დამპალი იმპერია", ეს პლაკატი ერთ-ერთმა ჯგუფმა მიაკრა მთავრობის სასახლის სვეტზე. 7 აპრილს ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა ჩავიდნენ რუსთავში, სადაც ჩატარდა მიტინგი რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მუშების მონაწილეობით, რომლებმაც გაფიცვა გამოაცხადეს და თბილისისკენ დაიძრნენ.[291]

რა მდგომარეობა იყო აღმოსავლეთ ევროპასა და საბჭოთა კავშირში მაშინ, როდესაც თბილისში 4-9 აპრილის აქციები დაიწყო? ამ დროისთვის აღმოსავლეთ ევროპაში დიდ ცვლილებათა ხელშემწყობი სიტუაცია უკვე მომწიფებული იყო. ბერლინის კედელი ჯერ კიდევ იდგა, დაძაბულობა იგრძნობოდა უნგრეთში, რომლის საზღვრებსაც უამრავი დასავლეთში გადასვლის მსურველი მიაწყდა, პოლონეთში უკვე მოქმედებდა დისიდენტი ინტელექტუალების „მრგვალი მაგიდა" და ვალენსა-მაზოვეცკის დუეტი, რომელიც საფუძვლიან პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცვლილებებს ამზადებდა. დემონსტრაციები იმართებოდა მოსკოვშიც. მდგომარეობა კრემლში საკმაოდ არაპროგნოზირებადი ჩანდა ნოემბერშიც კი, როდესაც გფრ-ის კანცლერმა კოლმა წარადგინა 10-პუნქტიანი პროგრამა ორი გერმანული სახელმწიფოს თანდათანობითი შერწყმის შესახებ.

ამერიკელების რეაქცია გერმანიის გაერთიანების საკითხზე თავიდან ერთობ ზომიერი და განზოგადებული იყო. ერთი მხრივ, ისინი არ ფიქრობდნენ მოსკოვის, პარიზისა და ლონდონის მთავრობებისთვის კიდევ უფრო დაემძიმებინათ საზრუნავი, მეორე მხრივ, მათ არ სურდათ გაემჟღავნებინათ თავიანთი გაღიზიანება ევროპაში წონასწორობის შეცვლის გამო. ჯეიმს ბეიკერი თავის მემუარებში აღნიშნავს, რომ ჯერ კიდევ 1989 წლის ნოემბერში სსრკ-ის პოზიცია გერმანიის გაერთიანების მტკივნეულ საკითხთან მიმართებით სკეპტიკურზე მეტიც კი იყო.

6 აპრილის შემდეგ, მიტინგების დაწყებიდან მალევე, დაირხა ხმა, რომ აქცია, შესაძლოა, დაერბიათ. ცენტრალური ტელევიზიის გადაცემა „ვრემიაში" ითქვა, რომ თბილისში მიმდინარე აქციას მართავენ უკიდურესი მიმართულების არაფორმალური ორგანიზაციები, რომლებიც ხელისუფლების ძალადობრივი დამხობისკენ მოუწოდებდნენ. „ძირს რუსეთი დამპალი იმპერია" – არის მათი ლოზუნგიო. თბილისის თავზე გიგანტურმა, ზემძლავრმა სატრანსპორტო თვითმფრინავებმა იწყეს ფრენა. აშკარა იყო, რომ რუსეთიდან გადმოჰყავდათ ცოცხალი ძალა და სამხედრო ტექნიკა. ამბობდნენ, რუსეთიდან – ძერჟინსკის სახელობის დივიზიის შემადგენლობა, ასევე, კიროვობადიდან 345-ე სადესანტო პოლკი გადმოიყვანესო.

8 აპრილს, დღისით, აქციაზე გამოჩნდა ტანკები, რომელთაც წინ ჩაუწვნენ ეროვნული მოძრაობის აქტივისტები კოკა გაწერელია, თემურ ქორიძე და რამდენიმე სტუდენტი. ტანკებმა დროებით შეაჩერეს მსვლელობა და იქაურობას გაეცალნენ. ზვიად გამსახურდიას ცნობით, კომპარტიის ცეკას პირველი მდივანი ჯუმბერ პატიაშვილი და სუკ-ის თავმჯდომარე გივი გუმბარიძე მოსკოვში, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სახელზე გზავნიდნენ ინფორმაციებს, რომ მომიტინგეები იარაღდებიან, სადაცაა ისინი დაიწყებენ კომუნისტების განადგურებასო. თითქოს მიტინგზე გამოტანილი იყო ლოზუნგები „რუსეთო, გაეთრიეთ საქართველოდან!“, „ჩამოვკიდოთ ყველა კომუნისტი!“ და ა. შ.[292]

პატიაშვილმა ტელეგრამა გააგზავნა პოლიტბიუროს სახელზე, სადაც ითხოვდა წესრიგის დასამყარებლად სსრკ-ის შინაგანი ჯარების შემოყვანას: „7 აპრილი, 1989, სკკპ ცენტრალური კომიტეტი; ბოლო დროს რესპუბლიკაში მკვეთრად გამწვავდა მდგომარეობა. ის, პრაქტიკულად, გამოდის კონტროლიდან. საბაბად იქცა აფხაზეთის ასსრ-ის სოფ. ლიხნში ა. წ. 18 მარტს გამართული შეკრება, სადაც დაისვა საკითხი აფხაზეთის ასსრ-ის საქართველოს სსრ-ის შემადგენლობიდან გასვლის შესახებ. მაგრამ მოვლენები გასცდა აღნიშნულ ჩარჩოებს. ექსტრემისტული ელემენტები ამძაფრებენ ნაციონალისტურ განწყობებს, მოუწოდებენ გაფიცვებისკენ, ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობისკენ, იწვევენ არეულობებს, ახდენენ პარტიული და საბჭოთა ორგანოების დისკრედიტაციას. აუცილებლად მიგვაჩნია: 1. დაუყოვნებლივ მიეცნენ სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ პასუხისგებაში ის ექსტრემისტები, რომლებიც გამოდიან ანტისაბჭოთა, ანტისოციალისტური, ანტიპარტიული ლოზუნგებითა და მოწოდებებით (ამის სამართლებრივი საფუძვლები არსებობს). 2. შსს-სა და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის დამატებითი ძალების მოზიდვით, თბილისში შემოღებულ იქნას საგანგებო მდგომარეობა (კომენდანტის საათი). 3. მდგომარეობის სტაბილიზაციის მიზნით, პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო აქტივის ძალებით განხორციელდეს პოლიტიკურ, ორგანიზაციულ და ადმინისტრაციულ ღონისძიებათა კომპლექსი. 4. საკავშირო და რესპუბლიკურ საინფორმაციო მასობრივ საშუალებებში არ გამოქვეყნდეს პუბლიკაციები, რომლებიც გაართულებს სიტუაციას. გთხოვთ თანხმობას 1, 2, 4 პუნქტებზე. საქართველოს კომპარტიის ცკ-ის პირველი მდივანი ჯუმბერ პატიაშვილი“.[293]

ეს ტელეგრამა სსრკ-ის სახალხო დეპუტატთა საბჭოს სესიაზე 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ გასაჯაროვდა. ამ ტელეგრამის გაგზავნა გადაწყდა საქართველოს კომპარტიის ცეკას ბიუროს გაფართოებულ სხდომაზე.[294] ჯარების შემოყვანის მოთხოვნაზე მხოლოდ ორმა ადამიანმა დააფიქსირა უარყოფითი პოზიცია – ცეკაშირის თავმჯდომარემ რესან კონცელიძემ და საქართველოს კომკავშირის ლიდერმა სესილი გოგიბერიძემ. ხოლო პოეტმა ჯანსუღ ჩარკვიანმა პროტესტი გამოაცხადა მისაღები დოკუმენტის იმ პუნქტზე, რომელიც არაფორმალთა ლიდერების დაპატიმრებას გულისხმობდა.

მიხეილ გორბაჩოვი იმ პერიოდში ინგლისში იმყოფებოდა, იგი მოეთათბირა შევარდნაძეს და როგორც ჩანს, ამის შემდეგ გასცა სანქცია სისხლიან სადამსჯელო ოპერაციაზე. თავად შევარდნაძე 8 აპრილს საიდუმლოდ ჩამოფრინდა თბილისში, მოეთათბირა რესპუბლიკის ხელმძღვანელებს და ინსტრუქტაჟი ჩაუტარა მათ.[295] რაც შეეხება ჯუმბერ პატიაშვილს, საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელს, იგი მოჯადოებულ წრეში აღმოჩნდა: მას თავიდან არ სურდა მოლაპარაკება არაფორმალური ორგანიზაციების ლიდერებთან, რამდენადაც მათი პოზიციები მეტისმეტად ხისტი ეჩვენებოდა. თუმცა მერაბ კოსტავასთან, ვისაც იგი ბავშვობიდან იცნობდა და ფეხბურთიც უთამაშიათ ერთად, მას, წესით, უნდა მოენახა საერთო ენა. ამის წინააღმდეგი არც მერაბი იქნებოდა. როდესაც პატიაშვილმა მაინც გადაწყვიტა გამოსვლა და ხალხსა და ლიდერებთან საუბარი, ამის საშუალება უკვე შიდაპარტიულმა აქტივმა აღარ მისცა.

რუსეთის ცენტრალური ტელევიზიის ამ განცხადების შემდეგ უკვე საქართველოს ტელევიზიით დაიწყო აღელვებული გამოსვლები საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანებისა, რომლებიც ორივე მხარეს მოუწოდებდნენ დიალოგისკენ. მოგვიანებით, პატრიარქის აქციაზე მოსვლის მომენტში, თავისუფლების მოედანზე პოზიციები დაიკავა სამხედრო ტექნიკამ, ასევე ფარებითა და ხელკეტებით შეიარაღებულმა საჯარისო ნაწილებმა. გვიან ღამით მომიტინგეებთან მოვიდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე. ამ დროს თავისუფლების მოედანზე უკვე გამოჩნდნენ სსრკ-ის შინაგანი ჯარის ნაწილები მსუბუქ ტანკებთან და ჯავშანტრანსპორტიორებთან ერთად. პატრიარქის გამოსვლას, რომელმაც ყურადღება გაამახვილა დარბევის საფრთხის რეალურობაზე და მოშიმშილეებს ქაშუეთის ტაძარში სალოცავად გადასვლისკენ მოუწოდა, სამარისებური სიჩუმე მოჰყვა.

სიჩუმე დაარღვია ირაკლი წერეთელმა, აქციის მონაწილეებს სთხოვა, გაემეორებინათ „მამაო ჩვენოს“ ლოცვა, რომელსაც ის წაიკითხავდა და დაიწყო ლოცვის წარმოთქმა. ხალხიც იმეორებდა. ამის შემდეგ მომიტინგეებმა გადაწყვიტეს, არ გასცლოდნენ იქაურობას და ბოლომდე გამოეხატათ თავიანთი პროტესტი. 9 აპრილის ღამეს დაუვიწყარია მერაბ კოსტავას საოცარი გზნებით, ექსპრესიითა და უზარმაზარი ზნეობრივი მუხტით გაჯერებული სიტყვები: „საქართველოს ისტორიაში ყოფილა დიდებული წამები, მაგრამ ეს წამი არის ერთ-ერთი უდიდებულესი, როდესაც ამ 70 წლის მანძილზე, ამ ტანჯვასა და ვაებაში, ამ სისხლისღვრაში ასე შეკრული, ასე მთლიანი წარმოსდგა ქართველი ერი ღვთის წინაშე!“ ეს სიტყვები, დაღუპვამდე ნახევარი წლით ადრე წარმოთქმულნი თითქოს მერაბ კოსტავას „ფაუსტური წამია“: ერთიანი სულისკვეთებით შეკრული ქართველობა განსაცდელის წინაშე. წამი, რომლის მშვენიერების ხილვისთვის სიცოცხლე ღირდა.

როდესაც ლოცვა და მერაბის გამოსვლა დასრულდა, რუსთაველზე შუქები ჩაქრა და ადამიანები ანთებული სანთლებით დარჩნენ. ზვიად გამსახურდია იგონებდა, რომ მთავრობის სასახლის სვეტებთან მდგარი ორი მაღალჩინოსანი,

ერთი – საქართველოს სსრ-ის იუსტიციის მინისტრი ვიქტორ შარაშენიძე, მეორე – ქალაქის მილიციის სამმართველოს უფროსი რომან გვენცაძე მასთან მივიდნენ და საკმაოდ მკვახედ მოუწოდეს, დაუყოვნებლივ გამოსულიყო ხალხის წინაშე და მიტინგის დაშლისკენ მოეწოდებინა. თუ ამას 15 წუთში არ გააკეთებდა, დარბევა დაიწყებოდა. ზვიად გამსახურდიას პასუხი ამაზე დაახლოებით ასეთი იყო: ნუთუ ვერ ხვდებით, რომ ვერცერთი ლიდერი ამ ადამიანებს ახლა ვერ დაშლის?! ისინი ბოლომდე დადგებიან, ხოლო ის, ვინც დაშლისკენ მოუწოდებს მათ, მოღალატედ და შტრეიკბრეხერად იქნება გამოცხადებულიო?! ამაზე ვ. შარაშენიძემ უპასუხა: თუ თქვენ ამას არ გააკეთებთ, მიტინგს ძალით მაინც დაშლიან, თქვენს სახლს ააფეთქებენ, თქვენს ოჯახს ფიზიკურად გაანადგურებენ, საბოლოოდ კი, თქვენც იგივე ბედი გელითო. ზვიადის პასუხი ასეთი იყო: „თუკი გორბაჩოვს სურს საკუთარი ავტორიტეტის აფეთქება, გააკეთოს ეს. მე თქვენი არ მეშინია. მიტინგის დაშლა კი შეუძლებელია 15 წუთში, 15 საათშიც კი შეუძლებელია. ამას ესაჭიროება დრო!“ ვაღიარებო, წერს იგი, მე თავად არ მსურდა სისხლის ღვრა, მაგრამ რომ მომეწოდებინა მომიტინგეებისთვის დაშლილიყვნენ, შედეგი ნული იქნებოდა, გარდა იმისა, რომ მოღალატედ გამოვაცხადებდნენო.[296]

დარბევა დაიწყო ჯავშანმანქანების მიერ კორიდორის გაკეთებით, რომელთაც ფარებიანი, ჩაფხუტებიანი და ხელკეტებიანი სპეცრაზმელები მოსდევდნენ. ამ დროს იქ, სადაც მოშიმშილეები იყვნენ, უსინათლო მომღერალი ლელა ვეფხვაძე მღეროდა სიმღერას „სალაღობო“, ლადო ასათიანის ტექსტზე – „დაუკარით, რომ ძველ ხანჯალს ელდა ეცეს, / დაიხარჯოს და ბრძოლებში გაიხარჯოს. / გაუმარჯოს საქართველოს მზეს და ზეცას, / საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს“. ჯარისკაცები მთავრობის სახლის გვერდითა ქუჩებიდანაც ჩამოვიდნენ. ჩვეულებრივი აღჭურვილობის გარდა, მათ ალესილი ნიჩბებიც ჰქონდათ, თუმცა მიტინგის დაღუპული მონაწილეები, პრაქტიკულად, ყველა ასფიქსიით არის დაღუპული. რამ გამოიწვია ასფიქსია? იმან, რომ ჯარისკაცებს ჰქონდათ მგუდავი გაზისებრი ნივთიერება, იყვნენ ცალკეული ჯარისკაცები, რომელთაც ბალონები ზურგზე ჰქონდათ მოკიდებული და ამ უცნობ ნივთიერებას აფრქვევდნენ, სხვებს, დაახლოებით, ფორთოხალზე ოდნავ დიდი, ბურთივით მრგვალი საგნები ან პარკები ეჭირათ ხელში, რომლებიც იქვე სკდებოდა, ხოლო შიგთავსი მაშინვე ორთქლდებოდა. ცვიოდა, ასევე, ჭურვები, რომლებიც სკდებოდა, თუმცა პირდაპირ დაზიანებას არ იწვევდა, რაღაც უცნაურ სუნს ტოვებდა. როგორც ჩანს, დაიღუპა ყველა ის, ვინც ეს უცნობი ნივთიერება სხვებზე მეტად შეისუნთქა.

ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა თავიანთ ადგილებზე რჩებოდნენ. ზვიად გამსახურდიას „ჩანაწერების“ მიხედვით, იყო გარკვეული მომენტი, როდესაც ვიღაცამ დაიძახა: „მოშიმშილეებო, დასხედით და ისინი ვერ მოგეკარებიან!“ მე მაშინვე შევერიე მოშიმშილეებში და დავიყვირე: „არ გაბედოთ დაჯდომა, გააკეთეთ კორიდორი, რომ დაუძლურებულები გავიყვანოთ!“ ჩვენ ისინი გა-

ვიყვანეთ და თვითონ აღმოვჩნდით თითქმის სამი მეოთხედით სპეცრაზმის მიერ გარშემორტყმულნი. ჯარისკაცებს თითქოს პისტოლეტები ეჭირათ ხელში, რომლებიც ცეცხლს აფრქვევდნენ. არ დამავიწყდება უცნაური სუნი და კვამლი. გონება დავკარგე. გონს მოვეგე მეორე მხარეს, ახალგაზრდებმა გამომიყვანეს. ფილარმონიასთან შემხვდა მერაბ კოსტავა, სადაც ორივემ ხალხს დაუმორჩილებლობისა და შიმშილობისკენ მოვუწოდეთ. დაახლოებით დილის 7 საათზე სახლში მივედი, მოწამვლის აშკარა ნიშნებით".[297]

ინფორმაცია მსხვერპლის რაოდენობის შესახებ დიდხანს არავინ იცოდა. გაზეთი „კომუნისტი" ორი დღის შემდეგ წერდა: „წარმოქმნილი არეულობის დროს დაიღუპა 16 კაცი, 200-ზე მეტმა მიიღო სხვადასხვა სიმძიმის ჭრილობა, მათ შორის, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის 91-მა მოსამსახურემ, მათგან 20 ჰოსპიტალიზებულია, 4 მძიმე მდგომარეობაში". ოფიციოზის განცხადება თავიდანვე იქით იყო მიმართული, რომ მომიტინგეები უნდა დაედანაშაულებინათ, რომ ადამიანები დაიღუპნენ „ჭყლეტის" შედეგად; რომ მომიტინგეებმა ჯარს გააფთრებული წინააღმდეგობა გაუწიეს. ცოტა მოგვიანებით გენერალი იგორ როდიონოვი, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდალი საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე ხაგზასმით ამბობდა, რომ თვლა არ ჰქონდა ჯარისკაცების დამტვრეულ მუზარადებს, გატეხილ ფარებს, რომ ბევრმა ჯარისკაცმა სერიოზული დაზიანებები მიიღო აგრესიული მომიტინგეებისგან. როდიონოვმა არც ლოზუნგები დაივიწყა — „ძირს რუსეთის დამპალი იმპერია!", „რუსო ოკუპანტებო, წაეთრიეთ!"

მერაბ კოსტავა დააკავეს 9 აპრილს, დილით, უნივერსიტეტის პირველ კორპუსთან, სადაც მან სცადა ჩაეტარებინა მცირე საინფორმაციო მიტინგი. რაც შეეხება ზვიად გამსახურდიას, იგი თავის სახლში აიყვანეს უშიშროების კომიტეტის თანამშრომლებმა და სამხედროებმა. მათ, დაახლოებით, დილის 9 საათზე, პრაქტიკულად, შემოამტერიეს კოლხური კოშკის კარი. მილიციისა და უშიშროების კომიტეტის თანამშრომლებმა უხეში ფორმით დააკავეს ზვიად გამსახურდია, მას აგინებდნენ და აფურთხებდნენ. მათ შორის განსაკუთრებული აგრესიულობით გამოირჩეოდნენ მილიციის თანამშრომლები: ლავრენტაშვილი და ყვარელაშვილი. შემდეგ მიიყვანეს ორთაჭალის ციხეში. რუს მედესანტეებს, რომლებსაც იქვე პოზიციები ჰქონდათ დაკავებული, უთხრეს: „აი, ეს არის გამსახურდია, უმთავრესი მოღალატე, ხალხისა და სახელმწიფოს მტერი! გადაუარეთ მას!" ჯარისკაცებმა ზვიად გამსახურდიას ცემა დაუწყეს, თუმცა ციხის პერსონალი ჩაერია და იგი ხელიდან გამოგლიჯეს ჯარისკაცებს. შემდეგ იგი ორთაჭალის საპატიმროს იზოლატორში მოათავსეს. ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას გარდა, დააპატიმრეს გიორგი ჭანტურია და ირაკლი წერეთელი. გიორგი ჭანტურია დარბევის დროს მთავრობის სასახლესთან საერთოდ არ ყოფილა, 4 აპრილის შემდეგ ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ საკუთარი პარალელური აქცია დაიწყო საქართველოს ტელევიზიის პირველ არხთან. დაპატიმრებულთა წინააღმდეგ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე.

ზვიად გამსახურდია მოათავსეს მეორე კორპუსში, სიკვდილმისჯილთა კამერებთან ახლოს, რომელთა შეძახილები და ყვირილი დღე და ღამე ისმოდა. მას ჰქონდა მოწამვლის აშკარა ნიშნები, აწუხებდა ასფიქსია, კიდურების დამძიმება, წნევის ცვალებადობა. ეს დაადასტურეს წითელი ჯვრის ექიმებმა, რომლებმაც ის საპყრობილეში მოინახულეს. [299]

9 აპრილის ღამესთან დაკავშირებით აღძრული საქმის გამოძიება საკუთარ თავზე აიღო ქალაქ თბილისის პროკურატურამ. ამავე დროს ცენტრიდან ჩამოვიდა სსრკ-ის გენერალური პროკურორის მოადგილე კატუსევი, რომელიც გამოთქვამდა მოსაზრებას ამ მიტინგის გამოკვეთილად ანტისაბჭოთა ხასიათზე და სახელმწიფოსთვის დიდი საფრთხის შემცველად მიიჩნევდა მას. ამიტომაც იგი მიზანშეწონილად თვლიდა საქმე გადაეგზავნათ მოსკოვში. ამას, ცხადია, პატიმრების გადაყვანაც მოჰყვებოდა, სავარაუდოდ, ისევ ლეფორტოვოს ციხეში. გამორიცხული არ იქნებოდა მათი არც ქვეყნიდან გაძევება, რადგან საეჭვოა, პოლიტიკურ საფუძველზე ხანგრძლივი პატიმრობის შემთხვევა დაეშვათ სსრკ-ში. აქაც გამოიკვეთა გარკვეული დაპირისპირება ცენტრალურ და რესპუბლიკურ ორგანოებს შორის: ფაქტია, რომ საქართველოს პროკურატურამ საქმე არ დათმო. ცენტრმა ისევ უკან დაიხია.

9 აპრილის დარბევიდან მალევე თბილისში ჩამოვიდა სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიიდან სახალხო დეპუტატად არჩეული აკადემიკოსი სახაროვი. იგი მივიდა აკად. გიორგი წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში და შეხვდა ამავე ინსტიტუტის დირექტორს, აკად. თამაზ გამყრელიძეს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თამაზ გამყრელიძე, ასევე, აირჩიეს სახალხო დეპუტატად და მალე მან ისტორიული სიტყვა წარმოთქვა მოსკოვში, სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე, 9 აპრილის მოვლენების შესახებ, როდესაც, ფაქტობრივად, დაადანაშაულა საბჭოთა პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელობა. მან მომხდარში პირდაპირი პასუხისმგებლობა დააკისრა გენერალ იგორ როდიონოვს, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდალს, რომელიც ასევე იმყოფებოდა სესიაზე. მანვე ძერჟინსკის დივიზიას „მკვლელთა რაზმეული“ უწოდა. აკად. სახაროვი სწორედ მისი კაბინეტიდან დაუკავშირდა სამხედროებს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბში და ცდილობდა გაეგო იმ გაზის შედგენილობა, რომელიც გამოიყენეს აქციის დარბევისას. სამხედროები მონოტონურად იმეორებდნენ, რომ ეს იყო ცრემლსადენი გაზი „ჩერიომუხა“, იგივე CN და CS, ანუ გაზი, რომელსაც პოლიცია იყენებს ხოლმე დემონსტრანტების გასაფანტავად. თუმცა არავის ჰქონია ახსნა, რატომ გამოიწვია ასეთი მძიმე ფორმის ასფიქსია ჩვეულებრივმა ცრემლსადენმა გაზმა.

ზურაბ ჭავჭავაძის სტატიაში, რომელიც „ახალგაზრდა ივერიელში“ გამოქვეყნდა, დასმულია საკითხი, კიდევ რომელი ქიმიური ნივთიერებები იყო გამოყენებული იმათ გარდა, რომლებიც სამხედროებისგან ისედაც ცნობილი იყო. იგი მიდიოდა დასკვნამდე, რომ აქ გამოყენებული იყო უცნობი მომწამვლელი ნივთიერება, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა ელემენტები – ბისმუტი და

გოგირდი. ეს გარემოება მას შემდეგ გაირკვა, რაც ხელმისაწვდომი გახდა 9 აპრილს გამოყენებული ქიმიური იარაღის ჭურვები, რომელთა შიგთავსსაც ჩაუტარდა ქიმიური ანალიზი. ზურაბ ჭავჭავაძე ამავე სტატიაში წერს: „9 მაისს მე შევხვდი დასავლეთ გერმანიიდან ჩამოსულ ექიმებს, დოქტორ ვოლფგანგ ფრიკეს და დოქტორ რაინჰარდ კაულს, რომლებიც IV სამმართველოს II საავადმყოფოში მოთავსებულ ავადმყოფებს სინჯავდნენ. მათ მითხრეს, რომ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მივიდნენ შემდეგ დასკვნამდე: მოწამლულთა სიმპტომატიკა არ ჯდება CS გაზით მოწამვლის კლინიკაში, და, როგორც ჩანს, მათი ნაწილი მოწამლულია რომელიღაც მძიმე მეტალით".[300] 9 აპრილის მოვლენების შემსწავლელი კომისიის მიერ გამოქვეყნებულ დასკვნაში არ ყოფილა ნახსენები მძიმე ლითონის შემცველი ტოქსიკური ნივთიერების გამოყენების ფაქტი.

ოპონენტების შეფასებით, 9 აპრილის ტრაგედია, ნაწილობრივ, ქართული ეროვნული მოძრაობის მოუქნელობისა და პოლიტიკური სიბეცის შედეგიც იყო.[301] მაგალითად, გოგა ხაინდრავა თვლის, რომ პატრიარქის მოწოდებისთვის ხალხს უნდა დაეჯერებინა და ქაშვეთში სალოცავად გადასულიყო: „ხომ წარმოგიდგენიათ, იქ პატრიარქს რომ ლოცვა დაეწყო? სასულიერო პირები ბევრნი იყვნენ, ეპისკოპოსები ბრძანდებოდნენ, სხვა მღვდლები და იქ ისეთი მისტიკა იქნებოდა, ტანკები გზაში დადნებოდნენ".[302]

მაგრამ ქაშვეთში გადანაცვლებას ერთი სირთულე ექნებოდა – აქციაზე, დაახლოებით, 20 ათასი მონაწილე იყო, ხოლო ქაშვეთში – როგორც ტაძარში, ისე ეკლესიის ეზოში მაქსიმუმ 1000 ადამიანი დატეულიყო. ამასობაში შინაგანი ჯარი მთავრობის სახლის წინ მოშიმშილეების ადგილს დაიკავებდა და ლოცვის დასრულებისას (თუ არა დასრულებამდე, ეს არავინ იცის) დაშლა მოუწევდათ როგორც ტაძარში, ისე მის გარეთ მყოფთ. აქ ნაკლებად სავარაუდოა, რომ სპეცრაზმი დაელოდებოდა ხალხის დაშლას – იგი აქტიურად ეცდებოდა დაშლასაც და დასჯასაც, ანუ იმას, რისთვისაც თბილისში ჩამოიყვანეს. გავიხსენოთ, რომ დაახლოებით ერთი წლის შემდეგ ბაქოში „დაშლილ" ხალხს სპეცრაზმელები სახლებამდე მისდევდნენ და სადარბაზოებში ხოცავდნენ. გარდა ამისა, თავად ეს შემოთავაზებაც იმისთვის კი არ გაკეთებულა, რომ რუსთაველზე მყოფ მომიტინგეებს პოზიციები გაემაგრებინათ, არამედ იმისთვის, რომ მათ ელოცათ აქციის დასრულების ნიშნად და დაშლილიყვნენ, ხოლო პატრიარქი მათ ამის კურთხევას აძლევდა.

შექმნილი განწყობიდან გამომდინარე, ვერცერთი ლიდერი ხალხს ვერ დაარწმუნებდა დაშლის აუცილებლობაში. ასევე დესტრუქციული როლი ითამაშა საქართველოს ცენტრალური კომიტეტის სრულიად შეუვალმა და ხისტმა პოზიციამ. ჯუმბერ პატიაშვილმა ვერ გამონახა საშუალება, შეხვედრა და დიალოგი გაემართა ხალხსა და „არაფორმალური ორგანიზაციების" ლიდერებთან. დიალოგის პროცესი კი გართულდებოდა განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ხმა დაირხა, რომ სსრკ-ის შინაგანი ჯარების შემოყვანა კომპარტიის ცეკას ბიუროს გაფართოებულმა სხდომამ მოითხოვა. აქციიდან კუდამოძუებული წასვლა

პოლიტიკურად მოაზროვნე ადამიანებისთვის ნიშნავდა ისევ იმავე სიტუაციაში დაბრუნებას, რაც 4 აპრილამდე იყო: გაურკვევლობა, როდესაც არ იციან, რეპრესიები დაიწყება თუ არა, ამის პარალელურად – გათავხედებული სეპარატისტები და უმწეო რესპუბლიკური მთავრობა, რომელსაც მართვის სადავეები ხელიდან გაექცა.

9 აპრილის ერთ-ერთი პოლიტიკური შედეგი ისიც იყო, რომ თანამდებობიდან გადააყენეს საქართველოს კომპარტიის ცეკას მდივანი ჯუმბერ პატიაშვილი. მის მაგივრად დაინიშნა სუკ-ის თავმჯდომარე, მანამდე ნაკლებად ცნობილი გივი გუმბარიძე. საქმე იმდენად პერსონალიებში არ იყო – პატიაშვილის წასვლა ნიშნავდა კომუნისტური ხელისუფლების ხისტი, ძველ მეთოდებზე ორიენტირებული სტილის დასასრულს. ეს იყო, პრაქტიკულად, მისი ჩამოშლის დასაწყისი. ამ ყოველივეს წინ უძღოდა მოსკოვიდან პოლიტბიუროს წევრების, საგარეო საქმეთა მინისტრის, ედუარდ შევარდნაძისა და გიორგი რაზუმოვსკის, ჩამოსვლა, რომლებიც საქართველოში მიხეილ გორბაჩოვმა გამოგზავნა. შევარდნაძემ გამართა რამდენიმე შეხვედრა შემოქმედებით კავშირებში, რომლებშიც ტრადიციულად მისდამი ლოალურად განწყობილი ადამიანები დომინირებდნენ. ყოფილ ცეკას პირველ მდივანს მოუწია არაერთი მძაფრი, კრიტიკული და აგრესიული გამოსვლის მოსმენა. მისთვის ცხადი გახდა, რომ ხალხის განწყობა რადიკალურად იყო შეცვლილი 9 აპრილის შემდეგ.

რაც შეეხება აქციის მოთხოვნებს, „ივერიის“ წერილის მიხედვით, ასევე შეცდომა იყო „ქართული ეროვნული მოძრაობის“ მიერ 6 აპრილის შემდეგ მიმდინარე აქციაზე აფხაზეთის საკითხის მოხსნა და სსრკ-დან საქართველოს გამოყოფის საკითხის წამოყენება, რაც იმჟამად სრულიად უპერსპექტივო მოთხოვნას წარმოადგენდა. გამოდის, რომ ეროვნულ მოძრაობას უნდა მოეთხოვა აფხაზი მაღალჩინოსნების დასჯა. მაგრამ დასჯა რისთვის, მხოლოდ „ლიხნის წერილის“ შედგენისთვის? საქართველოს კომუნისტურ ხელისუფლებას ამის რესურსი, ცხადია, არ ექნებოდა, ამიტომ ამ მოთხოვნის ადრესატი უნდა ყოფილიყო სსრკ-ის ცენტრალური ხელისუფლება. ეს მოთხოვნა ტიპოლოგიურად რაღაცით ჰგავს მეზობელი რესპუბლიკის „ყარაბაღის კომიტეტის“ მოთხოვნას მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის აზერბაიჯანისთვის მოწყვეტისა და სომხეთისთვის მიერთების შესახებ. ერევანში ხომ გარკვეულ ეტაპზე ჩათვალეს, რომ სომხეთის დამოუკიდებლობის მოთხოვნა უპერსპექტივო საქმე იყო და, თითქოს, „პერსპექტიული“, შესრულებადი მოთხოვნები წაუყენეს სსრკ-ის ხელმძღვანელობას. მაგრამ ცნობილია, რომ ამ მოთხოვნების შესრულებაზე არავის უფიქრია. სსრკ ისე დაიშალა, რომ ყარაბაღის ავტონომიური ოლქი სომხეთს ოფიციალურად არ მიერთებია.

ისტორიკოსი დ. შველიძე უკრიტიკოდ იღებს თეზისს, თითქოს 4 აპრილს აქცია მთავრობის სახლთან „ილია ჭავჭავაძის საზოგადოებამ“ წამოიწყო.[303] ხალხი ამ აქციაზე სტადიონიდანაც და შემდგომაც თამარ ჩხეიძისა და ზურაბ ჭავჭავაძის ავტორიტეტის გამო ნამდვილად არ მოსულა, არამედ ხალხმრავალი იყო

იმის გამო, რომ მოძრაობის ლიდერებად ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა ეგულებოდათ. თედო პაატაშვილი, „წმინდა ილია მართლის საზოგადოების“ აქტივისტი წერს იმ სიტუაციაზე, რომელიც 9 აპრილის დარბევისა და თბილისში კომენდანტის საათის გამოცხადების შემდეგ დედაქალაქში იყო: „10 აპრილს შეიქმნა „ეროვნული ხსნის კომიტეტი“, რომლის წინაშეც სამი ძირითადი ამოცანა იდგა: მსოფლიოს გაეგო სიმართლე თბილისში დატრიალებული ტრაგედიის შესახებ, ეროვნული მოძრაობის დაპატიმრებულ ლიდერთა განთავისუფლება და თავიდან აგვერიდებინა თბილისი უბნებში არსებული თუ რეგიონებიდან ჩამოსული პატარ-პატარა შეიარაღებული ჯგუფების დედაქალაქში აშკარად გამომწვევად მოსეირნე საბჭოთა პატრულებზე თავდასხმა, რაც ერთგვარად გაამართლებდა მათ მიერ ჩადენილ მხეცობას“.[304]

1989 წლის 19 მაისს, მას შემდეგ, რაც ინტელიგენციის ზოგიერთი წარმომადგენელი, მათ შორის, პოეტი ჯანსულ ჩარკვიანი, ასევე უნივერსიტეტის პრორექტორი ვახტანგ გოგუაძე, პოლიტპატიმრებს თავდებად დაუდგნენ, ისინი გაათავისუფლეს. ჯანსულ ჩარკვიანი ივლისში ამის თაობაზე წერდა: „ისინი დღეს გარეთ არიან და ჩვენთან ერთად იბრძვიან საქართველოს მომავლისთვის, განა ესეც ჩვენი დიდი მწერლობის სახელით არ გაკეთდა?.. დიახ, ერთად, მხოლოდ ერთად, ჩვენ ტანკი არ გვაქვს, არც ქიმიური მომწამვლელი ნივთიერება, ამიტომ ჩვენი ძალა ერთობაშია“.[305] რესპუბლიკაში უცნაური ამბები ხდებოდა: მწერალთა კავშირში მწერალთა ერთმა ნაწილმა პირდაპირ დაყარა კომუნისტური პარტიის მანდატები. იგივე ხდებოდა სხვადასხვა დოტაციურ ორგანიზაციაშიც, სადაც ხალხი მასობრივად ტოვებდა კომუნისტური პარტიის რიგებს.

იმავე წლის 26 მაისი იყო ნამდვილი აღდგომა. გრანდიოზული მიტინგები ჩატარდა როგორც უნივერსიტეტის ბაღში, ისე ვაკის პარკში. ხალხს სიტყვით მიმართეს ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ. ზვიად გამსახურდიამ თავის სიტყვაში, რომელიც უნივერსიტეტის ბაღში წარმოთქვა ასეთი შედარება მოიყვანა: „მაგრამ მე შეგახსენებთ წარსულს: როდესაც კბილებამდე შეიარაღებულ რომის იმპერიას უპირისპირდებოდნენ ერთი შეხედვით სუსტი, მაგრამ მართალი ქრისტიანები, და ის იმპერია დაილეწა და დაიმსხვრა, როგორც თიხისფეხებიანი კერპი, ხოლო ქრისტიანობა ჰგიებს უკუნისამდე. ასევე ჰგიებს საქართველო უკუნისამდე. რამეთუ მართალია ჩვენი გზა“.[306]

იმავე ზაფხულს ორივე, ზვიადიც და მერაბიც, ესწრებოდა „სახალხო ფრონტის“დამფუძნებელ ყრილობას, საიდანაც ისინი ყრილობის მონაწილეთა დიდ ჯგუფს წარუძღვნენ დარეჯანის სასახლისკენ, სადაც იმყოფებოდა თავისი ქველმოქმედებით, უპოვართა და დავრდომილთათვის დაუღალავი მოღვაწეობით მსოფლიოში ცნობილი კათოლიკე მონაზონი, მოწყალების ორდენის დამაარსებელი, ნობელის მშვიდობის პრემიის ლაურეატი დედა ტერეზა. იგი აქ მოსკოვში მცხოვრებ მოქანდაკეს, ზურაბ წერეთელს ჩამოეყვანა. დედა ტერეზა გამოვიდა მანიფესტანტებთან და სიტყვით მიმართა მათ. საბედნიეროდ, შემონახულია ამ შეხვედრის ამსახველი ფოტოები. ზვიადი და მერაბი დედა ტერე-

ზას მოკლედ მოუყვნენ, რა მოხდა 9 აპრილის ღამეს. დედა ტერეზამ განაცხადა, რომ იგი არასწორად იყო ინფორმირებული – თითქოს იმ ღამეს ადამიანებმა ერთმანეთი გადაჯეგეს. ერთობლივი ლოცვით ჩვენ მსოფლიოსთვის დიდ საქმეს გავაკეთებთო, – განაცხადა მან.

9 აპრილი გამოდგა არა მარტო მოვლენათა ერთგვარი ამაჩქარებელი, არამედ დიდ ისტორიულ გზაგასაყარზე ამავე მოვლენებისთვის მიმართულებისა და მძლავრი იმპულსის მიმცემიც. საბჭოური სისტემის დემონტაჟიც სწორედ ამ დღიდან დაიწყო საქართველოში, სადაც მანამდე საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი კომპარტია არსებობდა თავისი სტრუქტურებითა და გამართული იდეოლოგიური აპარატით. იმპერიის პროპაგანდისტული საინფორმაციო საშუალებები სსრკ-ის მასშტაბით მაშინვე ამოქმედდნენ და მომხდარის გამო მთელი პასუხისმგებლობა „ექსტრემისტ" ლიდერებს დააკისრეს. 1989 წლის აპრილ-მაისში საბჭოთა კავშირში არცერთი პოლიტიკური ჯგუფის ინტერესს არ შეესაბამებოდა მიტინგის გამომწვევი მიზეზების შესწავლა და დამრბევთა მხილება. გამონაკლისი არც ანატოლი სობჩაკის კომისია გახლდათ, რომელმაც, მართალია, პირველმა წამოსწია მიტინგის დარბევისას მომწამვლავი ნივთიერებების გამოყენების საკითხი, თუმცა, სამხედროებთან ერთად, მომხდარზე პასუხისმგებლობა დააკისრა მიტინგის ორგანიზატორებსაც. 9 აპრილის აქციის დარბევა პირველ ეტაპზე, ფაქტობრივად, არავის დაუგმია, გარდა ბალტიისპირეთის განმათავისუფლებელი მოძრაობებისა, დასავლეთ უკრაინის ნაციონალისტებისა და რუსეთის „დემოკრატიული კავშირისა" ვალერია ნოვოდვორსკაიას მეთაურობით. ერთადერთი ჟურნალისტი, რომელმაც ობიექტურად და სიღრმისეულად გამოიძია 9 აპრილის მოვლენები, იყო ირაკლი გოცირიძე (1923-2004), შემდგომში გაზეთ „იბერია სპექტრის" რედაქტორი. ამ გამოძიების შედეგები მან გამოსცა წიგნში „სიმართლის კვალდაკვალ" (თბილისი, 1990). სსრკ-ის მასშტაბით დაახლოებით იგივე მოიმოქმედა რუსმა ჟურნალისტმა იური როსტმა.

9 აპრილზე დიდხანს დუმდნენ დასავლეთის ოფიციალური წარმომადგენლები – მსგავსი აქცია ხომ რეალურ საფრთხეს უქმნიდა სსრკ-ის მთლიანობას, ხოლო სსრკ-ის დეზინტეგრაცია მოცემულ ეტაპზე რომ აშშ-ის ინტერესებში არ შედიოდა, ეს აღიარა პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის მრჩეველმა უშიშროების საკითხებში ბრენტ სკოუკროფტმა ინტერვიუში, რომელიც მისცა შვეიცარიულ გაზეთ „ნოიეციურხერ ცაიტუნგს", 1996 წლის სექტემბერში. როგორც ირკვევა, თეთრ სახლში ერჩიათ პროცესები სსრკ-ის დაშლის გარეშე წარმართულიყო, რათა ამით შენარჩუნებულიყო ერთიანი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული და საბაზრო-სავალუტო სივრცე. ვაშინგტონში, იმავდროულად, ჩინებულად იცოდნენ ერთი რამ: თვით „პერესტროიკის" დაწყება უკვე იყო სსრკ-ის, როგორც ზესახელმწიფოს მრავალმხრივი ბანკროტირების უმთავრესი სიმპტომი და ეს ბანკროტირება მოიცავდა საგარეო თუ საშინაო პოლიტიკას, სამხედრო ტექნოლოგიების სფეროს, ეკონომიკას, ფინანსებს. ყოველივე ამას დემორალიზაციის

უცილო ნიშნებიც ახლდა თან. უკურნებელი სენით დაავადებული ეს კოლოსი, თუნდაც თანამეგობრობად ან ერთგვარ კონფედერაციად გარდაქმნილი, უკვე ვეღარ იქნებოდა აშშ-ის, როგორც ერთადერთი ზესახელმწიფოს, კონკურენტი მსოფლიო არენაზე.

ასევე საინტერესოა ამერიკელების უშუალო რეაქცია თბილისის ამბებზე. ამის შესახებ მოკლედაა მოთხრობილი პრეზიდენტ ბ. კლინტონის ადმინისტრაციაში სახელმწიფო მდივნის მოადგილის, სტრობ ტალბოტის და მაიკლ ბეშლოსის წიგნში „უმაღლეს დონეზე", რომელიც ეძღვნება ცივი ომის დასასრულს. როდესაც თეთრ სახლში მისულა ინფორმაცია თბილისის დარბევის შესახებ, პრეზიდენტ ბუშსა და მის გარემოცვას გადაუწყვეტიათ, არ გამოეხატათ არანაირი პოზიცია. ყველასთვის მისაღები აღმოჩნდა ზემოთ უკვე ნახსენები ბ. სკოუკროფტის თვალსაზრისი, რომ ამ საკითხზე რეაგირებას, შესაძლოა, ზიანი მიეყენებინა გორბაჩოვისთვის. „ამერიკის ხმის" დირექტორატმა მიიღო მკაცრი მითითება, თავი შეეკავებინა რაიმე შეფასებისგან, რათა ამით ზეგავლენა არ მოეხდინა შექმნილ პოლიტიკურ ვითარებაზე. ამის შემდეგ ე. შევარდნაძეს მადლობაც კი გადაუხდია ბუშისა და ბეიკერისათვის, რომ ისინი „გაგებით მოეკიდნენ" მისი და გორბაჩოვის დილემას. ამავე დროს, ტალბოტი და ბეშლოსი უკმაყოფილებას ვერ მალავენ იმდროინდელი ვიცე-პრეზიდენტის, დენ კუეილის, საქციელის გამო, რომელსაც შორეულ აღმოსავლეთში ვიზიტისას „უპასუხისმგებლოდ" გაუმეორებია ქართულ პრესაში გავრცელებული ვერსია, თითქოსდა საბჭოთა არმიამ მომწამვლელი გაზი გამოიყენა დემონსტრანტების წინააღმდეგ.[307]

სტრობ ტალბოტთან და მაიკლ ბეშლოსთან კიდევ ერთ გაუგებრობას თუ ფალსიფიკაციას ვაწყდებით: ზვიად გამსახურდიამ, დამოუკიდებლობისთვის ცეცხლის დიდმა დამგზნებელმა (გამოყენებულია სიტყვა Firebrand, რაც პირდაპირ და ზუსტად არ მიგვანიშნებს, რა კონოტაციითაა ის ნახმარი – ანუ გულებში ცეცხლის აგზნება იგულისხმება, თუ – გარე სამყაროში, კ. გ.) და საქართველოს ყველაზე ცნობილი მწერლის შვილმა თითქოს პრეზიდენტი ბუში დაადანაშაულა, რომ მან ფაუსტური პაქტი დადო გორბაჩოვთან, თვალები დაეხუჭა, საბჭოელთა მხრიდან დათმობების სანაცვლოდ, სასტიკ ქმედებებზე რესპუბლიკების დასათრგუნად.[308] მსგავსი დადანაშაულება, მინიშნების დონეზეც კი, 9 აპრილამდე ზვიად გამსახურდიას არცერთ გამოსვლაში არ ყოფილა. 9 აპრილის ღამის შემდეგ კი გაუგებარია, როგორ უნდა გაეკეთებინა განცხადება პატიმრობაში მყოფს. როგორც ჩანს, ტალბოტმა და ბეშლოსმა არც კი იცოდნენ, რომ ზვიადი აქციების სამ ლიდერთან ერთად თვეზე მეტ ხანს იმყოფებოდა პატიმრობაში. შემდეგ ავტორები წერენ, რომ გორბაჩოვმა ეროვნებით ქართველი შევარდნაძე გაგზავნა თავის მშობლიურ საქართველოში სიტუაციის დასაწყნარებლად, რომელმაც თანამემამულეებს უთხრა: „თქვენი აღარ ხართ ის ხალხი, გუშინ რომ იყავით. მაგრამ მეც შევიცვალე".

თუმცა როგორც კონგრესში, ისე სენატში იყვნენ პოლიტიკოსები, რომლებიც საკითხს თეთრი სახლის ადმინისტრაციისგან და სახელმწიფო დეპარტამენტისგან განსხვავებულად ხედავდნენ. სენატორმა ჯესი ჰელმსმა, აშშ-ის საგარეო საქმეთა კომისიის წევრმა, 1989 წლის 12 აპრილს ამავე კომისიის სხდომაზე დაგმო 9 აპრილის დარბევის ვანდალური აქტი და დააყენა რეზოლუციის მიღების საკითხი. რეზოლუცია N110 მიღებულ იქნა და გამოქვეყნდა 19 აპრილს. რეზოლუციაში დადგენილია, რომ ამერიკის შეერთებული შტატები: 1. მხარს უჭერს ქართველი ხალხის ბრძოლას, მის მოთხოვნებსა და დემონსტრაციებს საკუთარ მიწა-წყალზე ეროვნული დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. 2. მხარს უჭერს ქართველი ხალხის ბრძოლას თვითგამორკვევისათვის, შესაბამისად, ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ჰელსინკის კონფერენციის დასკვნითი აქტისა, რომელზეც ხელი მოწერილი აქვს საბჭოთა კავშირსაც. 3. მხარს უჭერს ქართველი ხალხის ბრძოლას ადამიანის უფლებებისთვის, რომელიც გარანტირებულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით, რაზეც ხელი მოწერილი აქვს საბჭოთა კავშირსაც. 4. მოუწოდებს საბჭოთა მთავრობას, ყურად იღოს ქართველი ხალხის ხმა – დააკმაყოფილოს ქართველი ხალხის მიერ თვითგამორკვევისა და ადამიანის უფლებათა კანონიერი მოთხოვნები[309] (შდრ. სენატის რეზოლუცია 110, საბჭოების მიერ ანექსირებული საქართველოს შესახებ.).

მერაბ კოსტავას თქმით, 9 აპრილმა ქართველი ერი კი არ დააჩოქა, არამედ მოხდა წინააღმდეგობის ძალების გაზრდა და გაასკეცება.[310] ზვიად გამსახურდიას შეფასებით, 9 აპრილი იყო უდიდესი ტრავმა, მაგრამ მან დაიწყო ახალი ეტაპი, აქცია რა ჩვენი ეროვნული მოძრაობა, რომელიც ძირითადად ინტელიგენციისა და ახალგაზრდობის მოძრაობა იყო, საერთო-სახალხო მოძრაობად. რაც შეეხება ზოგადადამიანურ განზომილებას, ამ დღეს მსხვერპლად შეწირულთა სისხლი დაიღვარა არა მარტო საქართველოს კეთილდღეობისთვის, არამედ, საზოგადოდ, პოლიტიკაში ქრისტიანული ზნეობის, ადამიანურობის დასამკვიდრებლად. ამ სიტყვებით გაცემულია ლაკონიური პასუხი შეკითხვაზე, თუ რატომ დაიწყო იმ ღამეს ახალი ისტორიული ეპოქა, რომლის მნიშვნელობაც ნამდვილად სცდება საქართველოს ფარგლებს.

3.13. რატომ გაჩნდა არაფორმალებში თვითგანსაზღვრება – „რადიკალური". „სახალხო ფრონტის" დაფუძნება

„ილია ჭავჭავაძის საზოგადოების" შექმნის შემდეგ საქართველოში იწყება პოლიტიკური სპექტრის ფორმირება. „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება" იმ სახით და იმ შემადგენლობით, რომლითაც იგი დაფუძნდა 1987 წლის შემოდგომაზე, ვერ იარსებებდა დიდხანს ორი მიზეზის გამო: მისმა მესვეურებმა აირჩიეს არასწორი ტაქტიკა, რამდენადაც შეეცადნენ, ერთი მხრივ, დისიდენტური მოძ-

რაობის რაღაცნაირ გამგრძელებლად წარმოეჩინათ თავიანთი ორგანიზაცია, მეორე მხრივ, მისი დაფუძნების აქტორთა შორის უფრო დიდი იყო წინააღმდეგობა და შეუთავსებლობა, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანდა. დამკვიდრდა ისე, და ყოველ შემთხვევაში 90-იანების დასაწყისამდე, რომ „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების“ დარჩენილ ნაწილს უწოდებდნენ „ზომიერებს“, ხოლო მეორე ნაწილს, რომელიც უმეტესწილად არ თანამშრომლობდა მათთან და რიგ პრინციპულ საკითხებში განსხვავებული ხედვა გააჩნდა, უწოდებდნენ „რადიკალებს“. ამ მეორე ნაწილს ეს სახელი შეერქვა იმის გამოც, რომ თვითონ მოიხსენიებდნენ საკუთარ თავს რადიკალებად. რატომ მოხდა ასე და რა იყო ამის რეალური კონტექსტი?

ეს საკითხები ნამდვილად კარგად და გამოწვლილვითაა შესწავლილი დიმიტრი შველიძის წიგნში, რაც ამ ნაშრომის უდავო ღირსებაა. თუკი გადავხედავთ, ვინ იყო აქტიური ზვიად გამსახურდიას ირგლივ, დავინახავთ, რომ ეს პოლიტიკოსების ახალი თაობა იყო: გიორგი ჭანტურია, ირაკლი წერეთელი, მამუკა გიორგაძე, ვანო ხუხუნაიშვილი, ირაკლი ბათიაშვილი, თემურ სუმბათაშვილი, ვაჟა მთავრიშვილი... ეს ადამიანები რადიკალურ ძალად მოიაზრებდნენ თავს. ასე მაგალითად, გიორგი ჭანტურია წერდა: „თეთრხელება და ყბედ ადამიანებს არავითარი კარგი არ გაუკეთებიათ ერისათვის, ხოლო საკუთარი უნიათობით ბევრი რამ წაუხდენიათ“. მათ საპირისპიროდ „ახალი ძალა არ ელოდება მომენტსა და კონკრეტულ სიტუაციას, ის თავად იბრძვის ამ სიტუაციის შესაქმნელად, იბრძვის ყოველდღე, მთელი ძალ-ღონით და ენერგიით“.[311] ამ სტრიქონების ავტორს ახსოვს ჭანტურიას გამოთქმა – „ინტელიგენტიკობის თამაში“. ჭანტურიამ შემდგომში თავის მსჯელობებში გამოკვეთა ახალგაზრდობის როლი, მოჰყავდა რა იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მაგალითები XIX საუკუნეში და ხშირად ახსენებდა ჯუზეპე მაძინისეულ „ბუონების მოძრაობას“. ბუონები ახალგაზრდა პასიონარები იყვნენ მე-19 საუკუნის იტალიაში. საინტერესოა, რომ ჭანტურია აქცენტს აკეთებდა არა იმდენად გარიბალდიზე, რომელიც მართლაც ლეგენდარული ფიგურა იყო იტალიაში მიმდინარე თავისუფლებისთვის ბრძოლისა, არამედ მაძინიზე, რომელმაც შექმნა მოძრაობა „ახალგაზრდა იტალია“ და ამგვარად უპირისპირდებოდა დუნაის ავსტრიულ მონარქიას. გარიბალდი იყო არნახულად პოპულარული „კომანდანტე“, მაძინი კი – პოლიტიკური ასკეტი და ხშირად ჩრდილში მყოფი მებრძოლი. ჭანტურიასეული თეზისების ფსიქოლოგიურ ანალიზს თუ გავაკეთებთ, მივალთ დასკვნამდე, რომ მას, თითქოს, საკუთარი თავი წარმოედგინა ქართველ „მაძინად“, გარიბალდის როლზე კი არც ფიქრობდა. მისი თვალსაზრისით, მაძინიმ ჩაატარა ძირითადი სამუშაო, გარიბალდიმ კი, როგორც სახალხო გმირმა, ეს ყველაფერი დაასრულა, გააფორმა. რჩებოდა ისეთი შთაბეჭდილება, რომ გარიბალდის როლს ჭანტურია მაინც ზვიადსა და მერაბს უთმობდა, ქვეცნობიერად მაინც. არადა, მაძინი და გარიბალდი ერთი თაობის ადამიანები იყვნენ. ჭანტურია კი

სულ სხვა თაობას ეკუთვნოდა – სად იყო თავად, როდესაც ზვიადი და მერაბი კომუნისტურ სისტემას უპირისპირდებოდნენ.

რადიკალური მოთხოვნები წამოაყენა ასევე ირაკლი წერეთელმაც – უსწრაფესი დეოკუპაცია, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა, 9 აპრილის აქციებზე მან თვით ნატოსთვის დახმარების თხოვნით მიმართვის ლოზუნგიც კი წამოსწია. ასეთი ტიპის ლოზუნგები პრაგმატულ-ზომიერი ინტელიგენციის შეშფოთებასა და შიშნარევ უნდობლობას იწვევდა. თუკი დავუკვირდებით ქართველ რადიკალებს, ისინი იმ პერიოდში ემიჯნებიან როგორც ტერორს, ისე შეიარაღებული აჯანყების ფორმას. ისინი აღიარებენ მხოლოდ მშვიდობიან რადიკალურ მეთოდებს – ესაა დემონსტრაცია, მანიფესტაცია, პიკეტი, შიმშილობა, სირცხვილის კორიდორი, ეროვნული დაუმორჩილებლობა. რაც შეეხება ამ უკანასკნელს, ეს ყველაზე ნაკლებად ნათელი და ნაკლებად განმარტებული პუნქტი იყო, რამდენადაც არავინ იცოდა ბოლომდე, რას გულისხმობდა იგი. ასევე უცნობი იყო, რამდენად იმუშავებდა იგი საქართველოში, არსებული მენტალობისა და სოციოკულტურული მოცემულობების გათვალისწინებით. მაგალითად, „წმინდა ილია მართლის საზოგადოების" პრიორიტეტები დამოუკიდებლობის მისაღწევად და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აღსადგენად ასე იყო ჩამოყალიბებული: „მშვიდობიანი, პოლიტიკური ბრძოლის ფორმების, პროკლამაციებისა და თვითგამოცემითი ლიტერატურის გავრცელების, მიტინგების, დემონსტრაციების, მანიფესტაციების, გაფიცვების" საშუალებით.[312] ერთი ფაქტორიც სერიოზულადაა მხედველობაში მისაღები: საქართველოში არსებობდა სსრკ-ის მასშტაბით ერთ-ერთი უძლიერესი სკკპ-ის ფილიალი, კადრების ნამდვილი სამჭედლო უზარმაზარი ქვეყნის მასშტაბით, ასევე, საკმაოდ ძლიერი უშიშროების კომიტეტი თავისი ფართოდ განტოტვილი ორგანიზაციით და საცეცებით. „რადიკალიზმის" საკუთარი დროშაზე დაწერა ფსიქოლოგიურად გულისხმობდა იმასაც, რომ მოწინააღმდეგე მეტისმეტად სერიოზული, მეტისმეტად ძლიერი იყო. მასთან დაპირისპირება ექსტრემალურ დაძაბვას, სიფხიზლეს, ძალისხმევას მოითხოვდა. სხვა შემთხვევაში გარდაუვალი დამარცხებისთვის იყვნენ განწირულნი.

„ილია ჭავჭავაძის საზოგადოება" საკუთარ თავს განსაზღვრავდა, როგორც პოლიტიკური რეალიზმის პოზიციაზე მდგარ გაერთიანებას, ოპონენტებს კი ამ რეალიზმის უქონლობას საყვედურობდა. მათი თვალსაზრისით, გაუმართლებელი იყო ხელისუფლებისთვის ისეთი მოთხოვნების წამოყენება, რომელთაც ისინი ვერ შეასრულებდნენ. ეს მიდგომა ყველაფერს საბოლოოდ შეიყვანდა ჩიხში და შესაძლოა, შეტაკებებითა და სისხლის ღვრით დასრულებულიყო. მაგრამ თავად თამარ ჩხეიძის რადიკალიზმს რა ვუყოთ, რომელიც მან „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების" დაფუძნებისას გამოავლინა, როდესაც უარი თქვა ზვიად გამსახურდიასთან ყოველგვარ თანამშრომლობაზე? ან რას ნიშნავდა „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების" მხრიდან „მომავალ ნეობოლშევიზმზე" საუბარი, რის მიღმაც აშკარად ეროვნული მოძრაობის ის ფრთა იგულისხმებოდა, ვინც

თავის თავს „რადიკალად“ განსაზღვრავდა? „ეროვნულების“ ნეობოლშევიზმზე საუბარი კი (ეთნონაციონალიზმის ბრალდებასთან ერთად), ცხადია, ეროვნულ მოძრაობასთან მომავალში ანგარიშის გასწორების მომხრე, რევანშისტულ ძალებს წაადგებოდათ.

„სახალხო ფრონტის“ ჩამოყალიბებას კიდევ ერთი მნიშვნელობა ენიჭებოდა, გარდა იმისა, რომ ბალტიურ მოდელს საქართველოში ისედაც პატივისცემითა და ინტერესით უყურებდნენ. „სახალხო ფრონტი“ უნდა ყოფილიყო ყველა ასეთი ორგანიზაციის გამაერთიანებელი ცენტრი, რომელშიც რადიკალური, ზომიერი, მემარჯვენე, მემარცხენე თუ ცენტრისტული ორგანიზაციები თავის ადგილს პოვებდნენ. „სახალხო ფრონტსაც“ ხან უფრო მკვეთრი და რადიკალური პოზიცია ექნებოდა, ხანაც უფრო რბილი და ზომიერი, გააჩნია რას მოითხოვდა კონკრეტული პოლიტიკური მოცემულობა. მაგრამ ის მცდელობა „სახალხო ფრონტის“ ჩამოყალიბებისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1988 წლის ნოემბერში, ჩავარდა. შემდეგ, უკვე 9 აპრილისა და 26 მაისის შემდეგ, როდესაც საპყრობილიდან გაათავისუფლეს ეროვნული მოძრაობის ლიდერები და თბილისში საკმაოდ მრავალრიცხოვანი მიტინგი ჩატარდა, საზოგადოება საბოლოოდ დარწმუნდა: კომუნისტური ხელისუფლების მომნუსხველმა მაგიამ საბოლოოდ დაკარგა ძალა. რაღაც სრულიად ახალმა სიომ დაჰბერა. შესაბამისად, „სახალხო ფრონტის“ შესახებ კონსულტაციები განახლდა. მასში აქტიურად იყვნენ ჩართული ეკოლოგიური და ძეგლთა დაცვის მოძრაობების წარმომადგენლები, ინტელგენციის ერთი ფრთა, ფილოსოფოსები, ისტორიკოსები, მწერლები.

1989 წლის ზაფხულისათვის „სახალხო ფრონტის“ საინიციატივო ჯგუფები თბილისის გარდა უკვე საქართველოს რამდენიმე ქალაქში იყო შექმნილი. ნოდარ ნათაძის თქმით, იგი 50 ათასამდე წევრს აერთიანებდა. მისი ყრილობა 1989 წლის 21 ივნისს გაიხსნა თბილისში, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში და მიმდინარეობდა 25 ივნისამდე. პირველივე სხდომაზე, ზვიად გამსახურდიას წინადადებით, თავმჯდომარედ აირჩიეს ყოფილი პოლიტპატიმარი ავთანდილ იმნაძე.[313] სხვათა შორის, პირველივე სხდომამ კარგად აჩვენა, რომ შეკრებილი საზოგადოება არაფორმალური ლიდერების, მეტადრე კი ზვიად გამსახურდიას მიმართ ძალიან კეთილგანწყობილი იყო. ზვიად გამსახურდიას ძირითად სიტყვაში, რომლითაც მან „სახალხო ფრონტის“ დელეგატებს მიმართა, აღნიშნულია: პროგრამაში უნდა გამოიკვეთოს დამოუკიდებლობის მოთხოვნა; ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის, სტატუსი; ყველა ერის ინტერესები დაცული უნდა იყოს, მაგრამ ქართველი ხალხი და საქართველო ცალკე უნდა ჩანდეს პროგრამაში. უნდა განიმარტოს საქართველოს მოქალაქეობის სტატუსი. სხვა გამოსვლაში აღნიშნული იყო, პროგრამაში არ ჩანს, როგორ უნდა იბრძოლოს „სახალხო ფრონტმა“ სუვერენიტეტის აღდგენისთვისო.

„სახალხო ფრონტის“ ყრილობაზე ინტელიგენციის ერთი ნაწილი მიიჩნევდა, რომ საქართველოს სრული დამოუკიდებლობის საკითხის დაყენება არასწორი იქნებოდა. მერაბ კოსტავამ თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ საბჭოთა ჯარს

ოკუპანტის სტატუსი უნდა მინიჭებოდა და მისი გაყვანის საკითხიც დასაყენებელი იყო. როდესაც გადაწყდა, „სახალხო ფრონტის“ პროგრამაში მკვეთრად დაფიქსირებულიყო დამოუკიდებლობის მოთხოვნა, ალექსანდრე (ლალი) ჯავახიშვილმა და გივი თუმანიშვილმა დემონსტრაციულად დატოვეს დარბაზი.[314]

გამომსვლელთა უმრავლესობა იმ აზრზე იდგა, რომ არაფორმალურ ლიდერებთან ურთიერთობა აუცილებელი იყო „სახალხო ფრონტის“ წარმატებული საქმიანობისთვის. იყვნენ გამომსვლელები, რომლებმაც გამორიცხეს კომპარტიის წევრთა მონაწილეობა „ფრონტის“ ხელმძღვანელ ორგანოში. იყო შემთხვევები, როდესაც ე. წ. ზომიერებმა გაიზიარეს ზვიად გამსახურდიას გამოსვლის მთავარი მოთხოვნა – შეწყვეტილიყო ის ეკოლოგიური ომი, რომელსაც კრემლი ეწეოდა საქართველოს წინააღმდეგ. ეს გამომსვლელები იყვნენ რეზო ჩხეიძე, გივი თუმანიშვილი, ამირან კალაძე, დავით მაჭავარიანი. თუმცა „ფრონტის“ ორგანიზაციული მოწყობის და მმართველობის არჩევის თემა აღმოჩნდა ის, რამაც აქ შეკრებული საზოგადოება გაყო. ერთი იყო სათათბიროს საკითხი, მეორე კი – თავმჯდომარის არჩევის საკითხი.

„ფრონტში“ შესული ინტელიგენციის წარმომადგენლებისთვის სათათბირო უნდა ყოფილიყო ფართო წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც ყრილობებს შორის წარმართავდა „სახალხო ფრონტის“ საქმიანობას. ეს უნდა ყოფილყო ერთგვარი პარლამენტი. ამ იდეას მხარს უჭერდნენ მერაბ მამარდაშვილი, ალექსანდრე (ლალი) ჯავახიშვილი, გია ჟორჟოლიანი, გივი თუმანიშვილი, ელდარ შენგელაია, მერაბ კოკოჩაშვილი, ადა მარშანია და სხვები. მაგრამ არანაირად არ ჩანდა, ვის და როგორ უნდა აერჩია ეს ადამიანები „სათათბიროში“. გამოდის, რომ ისინი „სახალხო ფრონტის“ ხელმძღვანელობას კოოპტაციის წესით უნდა შეეყვანა. ეს კი, ზვიად გამსახურდიას მოსაზრებით, კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს საშუალებას მისცემდა, საკუთარი კონტროლის ქვეშ მყოფი პირები მრავლად შეეგზავნა ისეთ ორგანოში, რომელიც სრულად გააკონტროლებდა „სახალხო ფრონტს“. ზვიად გამსახურდიასა და არაფორმალების თვალსაზრისით, მცირერიცხოვანი გამგეობა უფრო მობილური და ეფექტური იქნებოდა. ამ იდეას მხარი დაუჭირა თავად „სახალხო ფრონტის“ შექმნის ინიციატორმა და თავმჯდომარეობის კანდიდატმა, პროფესორმა ნოდარ ნათაძემ, როდესაც განაცხადა, სათათბიროს საჭიროების სერიოზული დასაბუთება აქ ვერ მოვისმინეო. ამრიგად, სათათბიროს იდეა კენჭისყრის შედეგად უარყვეს.

სათათბიროს მომხრეთა ჯგუფს, რომელსაც ინტელიგენციის წარმომადგენლები შეადგენდნენ, „სახალხო ფრონტის“ თავმჯდომარეობისთვის საკუთარი კანდიდატი ჰყავდათ – ეს იყო ისტორიკოსი, ს. ჯანაშიას მუზეუმის დირექტორი, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, დიდი ივანე ჯავახიშვილის ვაჟი ალექსანდრე (ლალი) ჯავახიშვილი. გარკვეული წინააღმდეგობების გამო, მან სხდომა დატოვა და შემდეგ იმის გამო, რომ ძალიან ბევრმა დელეგატმა (470 ხმა) მისი დაბრუნების წინააღმდეგ მისცა ხმა, ველარ დაბრუნდა. რაც შეეხება ნოდარ ნათაძეს, მას თავმჯდომარეობა გარანტირებული ჰქონდა ზვი-

ად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას მხარდაჭერის გამო. მართლაც, დიდი უმრავლესობის მიერ ამ ორგანიზაციის თავმჯდომარედ აირჩეულ იქნა ნოდარ ნათაძე. ხოლო გამგეობაში შევიდნენ როგორც ინტელიგენციის წარმომადგენლები, რეჟისორები, მეცნიერები, მწერლები, ხელოვნების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები, ისე რამდენიმე ცნობილი ადამიანი, ასევე არაფორმალურ ორგანიზაციებთან ახლოს მდგომი პირები. გამგეობა საკმაოდ მრავალფეროვანი იყო. თუმცა ამ გამგეობამ შემდგომში მაინც ვერ იმუშავა, რადგან ეს ადამიანები არ იყვნენ მიჩვეულნი პოლიტიკური ცხოვრების სპეციფიკასა და რიტმს. ისინი შესანიშნავი პროფესიონალები იყვნენ თავიანთი საქმისა, ჰქონდათ საინტერესო, შემოქმედებითი ცხოვრება, მაგრამ პოლიტიკის სფერო განსხვავებულ მიდგომასა და დღის წესრიგს მოითხოვდა.

ეს საკითხები და მათი გადაწყვეტა გახდა სწორედ ფილოსოფოს მერაბ მამარდაშვილის განაწყენების მიზეზი. მას თავიდანვე სახეზე ეტყობოდა აშკარა უკმაყოფილება იმით, რომ დარბაზში შეკრებილი საზოგადოება არაფორმალი ლიდერების წინადადებებს მოწონებითა და კმაყოფილებით იღებდა. შემდეგ ფილოსოფოსმა თქვა თავისი ცნობილი ფრაზა, ჭეშმარიტება სამშობლოზე მაღლა დგასო. ეს ფრაზა, ისტორიკოს დიმიტრი შველიძის მართებული განმარტებით, არის არისტოტელესეული სენტენციის – პლატონი ჩემი მეგობარია, მაგრამ ჭეშმარიტება უფრო დიდი მეგობარია – ინტერპეტაციის შედეგად მიღებული. პლატონის მაგივრად აქ საკმარისია ჩავსვათ სიტყვა „სამშობლო“ და მივიღებთ მამარდაშვილისეულ თვალსაზრისს. გარდა ამისა, მსგავსი აზრი გამოთქმული აქვს პიოტრ ჩაადაევს (1794-1856), რუს ფილოსოფოსსა და პოლიტიკური შინაარსის წერილების ავტორს. ამ მოაზროვნეს, პუშკინის პოეტური გამოთქმისა არ იყოს, „ზეაღმტაცი ბედნიერების ვარსკვლავის“ ამოსვლის მომლოდინეს, ერთ-ერთ წერილში უწერია ეს ფრაზა: „ჭეშმარიტება უფრო ძვირფასია, ვიდრე სამშობლო“.

წმინდად ფილოსოფიური თვალსაზრისით თუ მივუდგებით, მერაბ მამარდაშვილის თეზისი სიმართლეს შეესაბამებოდა. ეს ფრაზა ზოგადია, ასევე ნეიტრალურიც. თუმცა ადგილი, სადაც ის ითქვა, არ ყოფილა მეცნიერებათა აკადემია, ან რომელიმე ფილოსოფიური ფორუმი. ეს იყო „სახალხო ფრონტის“ შეკრება, სადაც წყდებოდა კონკრეტული საკითხი – შექმნილიყო ისეთი ორგანიზაცია, რომელიც ყველაზე ეფექტური და მოკლე გზით მიიყვანდა ქვეყანას დამოუკიდებლობამდე, რისი შანსებიც ბოლოდროინდელი პოლიტიკური მოვლენების ფონზე, ასე თუ ისე, გამოიკვეთა. და, რა თქმა უნდა, ამ ფრაზას გარკვეულ დატვირთვას შექმნილი კონტექსტი ანიჭებს – „აი, ვიღაცამ, გამომდინარე თავისი განვითარებიდან და სიმამაციდან, როგორც იქნა, სიმართლე თქვა, რამაც „ბნელები“ და „რეტროგრადები“ გააღიზიანა“ – იტყოდა მავანი, „არაფორმალებზე“ სამართლიანად თუ უსამართლოდ გაღიზიანებული. ეროვნულ მოძრაობასა და ეროვნულ ხელისუფლებასთან საბოლოო ჯამში რადიკალურად დაპირისპირებული, „დანასისხლად“ გადაკიდებული ოპონენტები მამარდაშვილის ამ ფრაზას

ხშირად იშველიებენ იმის ცხადსაყოფად, რომ მერაბ მამარდაშვილი ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც შენიშნა: იქ, იმ პოლიტიკურ მოძრაობაში, სადაც არაფორმალებმა გადასწონეს „ინტელიგენცია", რაღაც ვერ იყო წესრიგში. თუმცა მამარდაშვილს არ განუმარტავს ფრაზა – „რა არის „ჭეშმარიტება". იქნებ მისი განმარტების შემთხვევაში იმავე არაფორმალებიც დაფიქრებულიყვნენ და ეთქვათ: ეს ჭეშმარიტება, გადმოთარგმნილი პოლიტიკური პროგრამის ენაზე, ნაწილობრივ მაინც მისაღებია ჩვენთვისაც. ეს ხომ ურთიერთთანამშრომლობისთვის გარკვეულ სივრცეს გააჩენდა ინტელიგენციასა და არაფორმალებს შორის. მაგრამ ასე არ მოხდა, მეტიც: ამის მოხდენის თეორიული შანსიც კი არ იყო.

არადა, ინტელიგენციაში ხომ იყვნენ ისეთი ფიგურებიც, რომლებიც ახერხებდნენ გარკვეულ თანამშრომლობას ამ რადიკალებთან – თუნდაც პოეტი ჯანსუღ ჩარკვიანი, რომელიც ლიდერებს თავდებად დაუდგა, თუნდაც რეზო ჩხეიძე, რომელმაც მათი მოღვაწეობა ყინულმჭრელს შეადარა. დიმიტრი შველიძე წერს: „ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი და სცენა მაინც პერმანენტული კამათის, შეჯახებებისა და შეურიგებლობის არენად იქცა. დღევანდელი გადასახედიდან და განვლილი ისტორიული კატაკლიზმების გათვალისწინებიდან გამომდინარე, შეიძლება დღესაც ორად გაიყოს აზრი – ერთნი, ალბათ, რადიკალებს დასდებენ ბრალს ამბიციურობაში, აჩქარებასა თუ შეურიგებლობაში, მეორენი ზომიერ ინტელიგენციას გაამტყუნებენ, რადგან იგი ხელისუფლებისა და კონიუნქტურის ტყვეობაში იყო გამოკეტილი. მაინც საითაა სიმართლე? ეს საკითხი ამ კონკრეტულ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რადგან სახალხო ფრონტის დამფუძნებელი ყრილობა პირველი მასშტაბური შეჯახება გახლდათ რადიკალებსა და ზომიერ ინტელიგენციას შორის და მაშინ ბევრი ისეთი რამ გამოვლინდა, რამაც შემდგომში მოვლენების დრამატულ განვითარებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა".[315] ასევე მართებულად შენიშნავს ისტორიკოსი, რომ „რადიკალები" ელიტარულ ინტელიგენციას უნდობლობით უყურებდნენ. ისინი თვლიდნენ, რომ ამ ხალხის მოკალათებით სახალხო „ფრონტის" მმართველობაში მიიღებდნენ მეორე „რუსთაველის საზოგადოებას", ანუ კომუნისტური ხელისუფლებისგან მართვად სტრუქტურას. ეს დაშვება სინამდვილისგან შორს ნამდვილად არ იდგა. ამაზევე მეტყველებს ზვიად გამსახურდიასეული შეფასება: „მე აქ სტუმარი ვარ, რა იქნება მომავალში ფრონტი, არ ვიცი. თუ დამოუკიდებელი იქნება, გავხდები მისი წევრი".[316]

როგორც ჩანს, აქ მიზნებიც ერთმანეთს სცდებოდა. ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას, როგორც პოლიტიკურ პროცესებში შემოსულ უფლებადამცველებსა და დისიდენტებს, ასევე, მათ თანამებრძოლებს, გაცხადებულ მიზნად ჰქონდათ დასახული კომუნისტური ხელისუფლების დემონტაჟი და საქართველოს დამოუკიდებლობის მიღწევა პრინციპული, თანმიმდევრული, მაგრამ, ამავე დროს, მშვიდობიანი, არაძალადობრივი ბრძოლით. ინტელიგენციის ბევრ წარმომადგენელს კი მიაჩნდა, რომ დამოუკიდებლობა და რუსეთის ჯარის გაყვანა საქართველოდან ან სრულიად შეუძლებელი ამბავი იყო, ან ძალიან შო-

რეულ მომავალში იქნებოდა შესაძლებელი. „დავაცადოთ ედუარდ შევარდნაძეს", – ამბობდნენ ისინი პირად საუბრებში. „ამ საქმიდან თუ საერთოდ გამოვა რამე, ყველაზე კარგად და ყველაზე ადრე მას ეცოდინება". რასაკვირველია, საქართველოს ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრებიც ავტორიტეტები იყვნენ მათთვის. ამაში არაფერია გასაკვირი – ბოლოს და ბოლოს, ეს ადამიანები საბჭოთა კავშირშიც ახერხებდნენ ფილმების გადაღებას, წიგნების დაწერას, შემოქმედებით ცხოვრებას. თუკი ამ ასპექტიდან შევხედავთ, საბჭოთა კავშირში ამგვარი საქმიანობისთვის ბევრად უკეთესი პირობები იყო, ანუ იქ, სადაც ცენტრალური დაგეგმარება მუშაობდა და კულტურა სისტემის მიერ განიხილებოდა, როგორც იდეოლოგიური ინსტრუმენტი. გავიდოდა სულ რაღაც სამი წელიწადი და „ველური" აღმოსავლეთის ლიბერტარიანულ-საბაზრო გარემოში ეს სურათი მკვეთრად შეიცვლებოდა – ყველანაირი საშუალება გაქრებოდა. თუმცა ამაზე ფილარმონიაში შეკრებილთაგან ყრილობის მიმდინარეობისას არავინ ფიქრობდა.

3.14. 1989 წლის ზაფხული და შემოდგომა

„სახალხო ფრონტი", მიუხედავად არაერთი წინააღმდეგობისა, ასე თუ ისე, დაფუძნდა. თბილისში ყველაზე უკეთ იგრძნობოდა, რომ კომუნისტურმა ხელისუფლებამ პოზიციები აშკარად დათმო. მთავრობის სასახლესთან აიღეს მუშურ-გლეხური სოცარტის სტილის ქანდაკებები, დაემხო სერგო ორჯონიკიძის ძეგლიც. თუმცა „არაფორმალთა" მოძრაობა 1989 წლის ზაფხულში მხოლოდ ამ ამბებით არ ყოფილა დაკავებული. მოქმედების ერთ-ერთი მთავარი მიმართულება იყო წევრამდელთა აქცია. ეს საკითხი ჯერ კიდევ 9 აპრილამდე იყო დასმული. მოთხოვნა იყო, რომ წევრამდელებს საქართველოში მოეხადათ სამხედრო სამსახური. აქციაში მონაწილეობდნენ ის წევრამდელები, რომლებმაც კოლექტიურად თქვეს უარი სამხედრო სამსახურზე. ზვიად გამსახურდია წერს, რომ იმ ქართველი ჯარისკაცების შემთხვევებით, რომელთაც საბჭოთა არმიაში არაადამიანურად მოექცნენ, დასავლეთის პრესის წარმომადგენლებიც დავაინტერესეო. თბილისში იმ ზაფხულს ჩამოვიდა „ფილადელფია ინქვაიერის" კორესპონდენტი სტივენ გოლდსტოუნი. ზვიად გამსახურდიას იგი დაჰყავდა ასეთი ჯარისკაცების ოჯახებში, სადაც კორესპონდენტი იწერდა ინტერვიუებს მათ ახლობლებთან.[317]

„ჩანაწერებში" ასევე აღნიშნულია, რომ სიტუაცია 9 აპრილის შემდეგ გართულდა მთელ საქართველოში. ცალკეულ ადგილებში გლეჯდნენ ქართულ ეროვნულ დროშებს, ხევდნენ და ანადგურებდნენ ქართულ წარწერებს. ეს ხდებოდა შიდა ქართლში ანუ ცხინვალის რეგიონსა და ქვემო ქართლში, სადაც გარედან ნაქეზებული აზერბაიჯანელების გარკვეულმა ჯგუფმა მოითხოვა ბორჩალოს ავტონომიის შექმნა. ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას, მაისის

თვეში საპყრობილიდან განთავისუფლების შემდეგ, ჰქონდათ გადაადგილების შეზღუდვა, რამდენადაც მათ წინააღმდეგ 9 აპრილის გამო აღძრული სისხლის სამართლის საქმე არ შეწყვეტილა. ამის გამო პროკურატურისგან ზეწოლას განიცდიდნენ, თუმცა პროკურატურა და შინაგან საქმეთა ორგანოები გადამწყვეტ ქმედებებზე არ წასულან. მიტინგები ეწყობოდა კრიზისულ რაიონებში, სადაც მოსახლეობას მოუწოდებდნენ სიმშვიდისაკენ, რათა აერიდებინათ ეთნიკური კონფლიქტი. ამასთანავე, მათი დაჟინებული მოთხოვნით, ყველგან იგზავნებოდა მილიცია ქართველი მოსახლეობის დასაცავად. აფხაზეთში, უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ქართველების ხოცვა-ჟლეტა მოაწყვეს აფხაზმა ექსტრემისტებმა. ეს მოხდა 15 ივლისს, როდესაც სეპარატისტების აგრესიულმა ბრბომ სოხუმში, პარკის ტერიტორიაზე შეკრებილ ქართველ მომიტინგეებზე თავდასხმა მოაწყო, მოკლა აქტივისტი ვოვა ვეკუა, ასევე დაჭრა არაერთი ადამიანი.

ამ მოვლენებზე უმწვავესი რეაგირება მოახდინა მოსახლეობამ. ათეულ ათასობით მომიტინგე შეიკრიბა ზუგდიდში, რომლებიც ფეხით, ენგურის ხიდის გავლით დაიძრნენ ოჩამჩირის მიმართულებით. საიდანღაც გაჩნდა უამრავი სატვირთო მანქანა, ავტობუსი, საწვავი, ცივი და ცეცხლსასროლი იარაღი. აშკარა იყო, რომ ეთნოკონფლიქტი გარკვეული ძალის ინტერესებში შედიოდა. ზვიად გამსახურდიამ – 16 ივლისს ზუგდიდის გამოსვლაზე, ხოლო მერაბ კოსტავამ ღალიძგის ხიდთან მოახერხეს, შეეჩერებინათ დემონსტრანტები. წინააღმდეგ შემთხვევაში დაიღუპებოდა და დაიჭრებოდა ასობით ადამიანი. ამ მოვლენებზე ზვიად გამსახურდიას „ჩანაწერებში“ თითქმის არაფერი წერია. ავტორთა კოლექტივის მიერ მომზადებულ წიგნში აფხაზეთის უახლესი მოვლენების შესახებ ვკითხულობთ:

„სოხუმში დატრიალებული ტრაგედიის შესახებ ინფორმაცია მყისიერად მოედო მთელ საქართველოს. 16 ივლისს სეპარატისტთა ვანდალიზმით აღშფოთებული ათასობით ქართველი დაიძრა სამეგრელოდან სოხუმისაკენ. მათ დაემატა ზუგდიდის ციხიდან გაქცეული 180 პატიმარი. დიდი მსხვერპლისაგან თავის აცილება მოხერხდა მთელი ქართველი საზოგადოებრიობის გააზრებული მოქმედების შედეგად. ეროვნული მოძრაობის ლიდერები, ასევე, საქართველოს მაშინდელი უმაღლესი ხელმძღვანელობა, ჩამოვიდნენ გალში და ადგილობრივ ხელმძღვანელებთან ერთად შეძლეს მოვლენების ნეგატიური მიმართულებით ესკალაციის შეჩერება. ათასობით ქართველი, რომლებიც სოხუმისკენ მიიწევდნენ, შეაჩერეს მდ. ღალიძგასთან (ოჩამჩირის რაიონი). ფაქტობრივად, ამან ჩაშალა „აიდგილარას“ გეგმა, რომლის მიხედვით, შეიარაღებული დაპირისპირება საშუალებას მისცემდა ცენტრს, ავტონომიის ტერიტორიაზე შემოეღო საგანგებო მდგომარეობა, რითაც საქართველო დაკარგავდა ამ რეგიონზე კონტროლის შესაძლებლობას, ეს კი სეპარატისტებს გზას უხსნიდა ხელისუფლების მონოეთნიკური სტრუქტურების ჩამოყალიბებისაკენ საქართველოსაგან აფხაზეთის მოსაწყვეტად. ამჯერად ძალები არ ეყოთ, მაგრამ ივლისის მოვლენები სეპარა-

ტისტების მიერ გამოყენებულ იქნა მომავალი ბრძოლებისათვის უკეთ მოსამზადებლად".[318]

აფხაზეთში მომხდარი ტრაგიკული მოვლენების შემდეგ, რომელთაც ემსხვერპლა 9 ქართველისა და 5 აფხაზის სიცოცხლე, 18 ივლისს შემოიღეს „მოქალაქეთა ქცევის განსაკუთრებული რეჟიმი". 25 ივლისი საქართველოს ხელისუფლებამ გლოვის დღედ გამოაცხადა. საქართველოს ხელისუფლებამ 1989 წლის სექტემბერში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმს მოახსენა, რომ აფხაზეთის მოვლენების გამოძიება, რომელსაც, აფხაზთა პროტესტის მიუხედავად, საქართველოს პროკურატურა აწარმოებდა, ნებისმიერ შემთხვევაში გაგრძელდებოდა. საქართველოს მწერალთა კავშირმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ხელისუფლება უმოქმედობასა და უნიათობაში დაადანაშაულა: „მომხდარი პროცესების განვითარებაში უარყოფითი და კატალიზატორის როლი ითამაშა ხელისუფლების მიერ მოვლენების ობიექტური შეფასებისაგან თავის არიდებამ, მისმა მოუქნელობამ და, რაც მთავარია, ცენტრის პოლიტიკამ, რომლის მოქმედების უმთავრესი პრინციპი „გათიშე და იბატონე" იყო".[319]

ის არასასურველი მოვლენა, რომელიც ზვიად გამსახურდიას „ჩანაწერებში" 1989 წლის 9 აპრილის წინა პერიოდშია შეცდომით გადმოტანილი, მოხდა აფხაზეთში 1989 წლის ზაფხულის ტრაგიკული მოვლენების შემდეგ. 25-26 აგვისტოს სოხუმში გაიმართა ყრილობა, რომელსაც დაესწრნენ აფხაზების, აბაზების, ადიღეელ-ჩერქეზების, ჩეჩნებისა და დაღესტნელების დელეგატები. უცნაურია, რომ კრებას არ დაესწრნენ ოსები, ბალყარელები და ყარაჩაელები. ეს შეხვედრა მოინათლა, როგორც „ჩრდილოეთ კავკასიის, აფხაზეთისა და დაღესტნის ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობისა და პარტიების კრება". მიიღეს გადაწყვეტილება კავკასიის მთიელ ხალხთა ასამბლეის შექმნის შესახებ. ასამბლეაში არ გაწევრიანდნენ ბალყარელები და ყარაჩაელები. ამის მიზეზი იყო ყარაჩაელებსა და ჩერქეზებს, ბალყარელებსა და ყაბარდოელებს შორის არსებული უთანხმოება. ეს უთანხმოება ამ ხალხების ელიტებს შორის არსებობს იმ პერიოდიდან, როდესაც რუსეთის ფედერაციის ფარგლებში შეიქმნა ამგვარად დაწყვილებული ავტონომიური რესპუბლიკები – ყარაჩაი-ჩერქეზეთი და ყაბარდო-ბალყარეთი. ამგვარი ლოკალური შუღლის შენარჩუნებას, ცხადია, სსრკ-ის ცენტრიდანაც ეწყობოდა ხელი. ასამბლეის საკორდინაციო საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს ყაბარდოელი იური (მუსა) შანიბოვი (ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი, ნალჩიკის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერული კომუნიზმის დოცენტი). პირველმა ყრილობამ მიზნად დაისახა „კავკასიის მთიელთა რესპუბლიკის" აღდგენა, რომლის დედაქალაქადაც რატომღაც სოხუმი გამოცხადდა. ასამბლეის მეორე ლიდერმა, ეროვნებით ჩეჩენმა იუსუფ სოსლანბეკოვმა განაცხადა: „ჩვენ მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი მთიელ ხალხთა ფედერაციის აღდგენა. იგი საქართველოს რესპუბლიკაზე ადრე გამოცხადდა და საერთაშორისო აღიარება პოვა... იგი ანექსირებული იყო რუსი და ქართველი გენერლების გარიგების შე-

დეგად. ამის გამო აფხაზეთი, კავკასიის ოდითგანდელი დედაქალაქითურთ, საქართველომ მიიტაცა; დანარჩენი ჩვენი ტერიტორიები რუსებმა დაიპყრეს".[320]

როგორც ამ განცხადებიდან ჩანს, სოსლანბეკოვი, ანტირუსული, კავკასიური პატრიოტიზმის მანტიაში გახვეული, ცდილობს ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებისა საქართველოსთან დაპირისპირებას. 1989 წლის 26 ივლისს, დღისით, ზვიად გამსახურდიას საცხოვრებელ სახლთან ხელყუმბარა აფეთქდა. აფეთქებას მსხვერპლი არ მოჰყოლია, მხოლოდ ეზოში შესასვლელი ჭიშკარი დაზიანდა. მილიციამ, რომელიც კარგა ხანს იძიებდა ამ ამბავს, ვერ დაადგინა, ვინ იყო ის პირი, ვინც ეს აფეთქება გამოიწვია.[321] ზვიად გამსახურდიასთვის ეს იყო სიგნალი, რომ ანონიმური მუქარები როგორც მისი, ისე მერაბ კოსტავას მისამართით ახლა უფრო სერიოზულად იყო მხედველობაში მისაღები. ამის შემდეგ ეროვნული მოძრაობის შედარებით ახალგაზრდა აქტივისტებისგან შედგენილ იქნა დაცვა, რომელიც მას – ცხადია, პერიოდულად განახლებული შემადგენლობით – თან დაჰყვებოდა პრაქტიკულად ყველგან.

1989 წლის ზაფხული მიიწურა. ამ დროისთვის მერაბ კოსტავას სიცოცხლის დღეები უკვე დათვლილი იყო. ამ წლის 12 ოქტომბერს მერაბი ზურაბ ჭავჭავაძესა და თამარ ჩხეიძესთან ერთად გაემგზავრა ქუთაისში, წვევამდელების საბჭოთა ჯარში გაწვევის პირობებთან დაკავშირებულ ღონისძიებაზე. მანამდე ზვიად გამსახურდიამ თავის მეგობარს რამდენიმეჯერ სთხოვა, მორიდებოდა პირადი დაცვის გარეშე გადაადგილებას, როგორც ქალაქში, ისე ქალაქგარეთ. მას არ ტოვებდა მოახლოებული საფრთხის შეგრძნება. თუმცა, მერაბის აზრით, ეს ზედმეტი სიფრთხილე იყო. მომდევნო დღეს, როდესაც ისინი უკან ბრუნდებოდნენ, რიკოთის უღელტეხილზე, სოფელ ბორითთან, თამარ ჩხეიძის მიერ მართული მანქანა, რომელშიც იმყოფებოდა მერაბ კოსტავა ზურაბ ჭავჭავაძესთან ერთად, მოსახვევში გადატრიალდა. ადგილზე, მომხდარიდან მალევე, დაიღუპა მერაბ კოსტავა, ხოლო ზურაბ ჭავჭავაძე სრულიად კომატოზურ მდგომარეობაში გადაიყვანეს საავადმყოფოში, რეანიმაციულ განყოფილებაში. ამის შემდეგ მან დაახლოებით ერთ თვეს იცოცხლა.

რამდენადაც არ ჩატარებულა სერიოზული გამოძიება და საფუძვლიანი სასამართლ-სამედიცინო ექსპერტული კვლევები, არავინ იცის, რის გამო მოხდა ავარია, ეს მხოლოდ უბედური შემთხვევა იყო თუ ამის უკან საგულისხმოა ბორტგანმზრახველის ხელი, რომელმაც ეს ყველაფერი ცივსისხლიანად დაგეგმა და განახორციელა. პასუხგაუცემელია კითხვები, რა იყო ის საგანი თუ სულიერი, რამაც წინ გადაუარა თუ გადაურბინა მანქანას, რის შემდეგაც მძღოლმა, თამარ ჩხეიძემ მანქანაზე კონტროლი დაკარგა; შემთხვევითობა იყო თუ არა სულ რამდენიმე წამში სასწრაფოს გამოჩენა იქ, რომლის ექიმმაც მერაბ კოსტავას, რომელიც ჯერ კიდევ გონებაზე იყო (თუმცა ლაპარაკი უჭირდა), ნემსი გაუკეთა; ან დაიკითხა თუ არა გამოძიების მიერ აღნიშნული ექიმი. თავად თამარ ჩხეიძე დანამდვილებით ვერ ამბობს, იყო ეს ჩვეულებრივი ავტოკატასტროფა

თუ განგებ მოწყობილი ავარია. მისი თქმით, მანქანაში იმდენად უხარისხო ბენზინი ესხა, რომ შეუძლებელია მანქანას მაღალი სიჩქარე განევითარებინა.[322]

ამ დღეს მართლაც რთული იყო შოკიდან გამორკვევა და იმ დანაკარგის გააზრება, რომელიც განიცადა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ. ეს ყოველივე მთელი სისრულით თანდათან, წლების შემდეგ გამოიკვეთა. ბორითის დაცერებული, ცოდვიანი და უიღბლო დაღმართიდან ქვეყნის მომავალი უბედურება ამოიოლანდა. თემურ ქორიძე იგონებს: „ამ საშინელი ამბის შეტყობისთანავე ყველანი რატომღაც კოლხურ კოშკს მივაწყდით. ზვიადი შინ იყო, სახეზე ენით აუწერელი მწუხარება ეტყობოდა, ნამტირალევი თვალები ჩაწითლებოდა. „როგორ არ ეცადნენ ჩვენს დაცილებას და აჰა, მიაღწიეს კიდეც საწადელს", – ჩუმად წარმოთქვა და თითქოს გაქვავდაო.

მომხდარი ყველაზე დიდი დანაკლისი ზვიადისთვის იყო. მერაბის სახით მესამე, უკანასკნელი ზღუდეც დაეცა: ჯერ დედა და მამა, შემდეგ – უერთგულესი მეგობარიც. მერაბ კოსტავა ის ადამიანი იყო, ვის მიმართაც პატივისცემა გააჩნდა პრაქტიკულად ყველა ჯგუფს, ფრაქციას, პარტიულ წარმონაქმნსა თუ ინდივიდს. მას შეეძლო პროცესებზე დიდი ზეგავლენის მოხდენა. დავით გამცემლიძესთან დამაფიქრებელ დაკვირვებას ვკითხულობთ: „იქნებ მართლა შემთხვევით მოხდა უბედურება, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან ნათლად ჩანს: მოვლენათა შემდგომი განვითარებისათვის მერაბ კოსტავას სიკვდილი გარდუვალობა იყო, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოვლენები 1989-1993 წლებში გარკვეულწილად სხვაგვარად განვითარდებოდა. თუმცა, 9 აპრილის შემდგომი სტრატეგიული ვექტორი ალბათ მაინც არ შეიცვლებოდა".[323] ზვიად გამსახურდიას თქმით, მერაბ კოსტავა ეროვნული მოძრაობისთვის შეუცვლელი პიროვნება იყო, მისი სიმბოლო და დიდება. იგი რუსთველური გაგების კაცი იყო და ამას ამჟღავნებდაო თავის ყოველ სიტყვაში, ყოველ საქმეში. იგი თითქოს იმ ძველი საქართველოდან გადმოხვეწილი კაცი იყო ამ მახინჯ თანამედროვეობაში და ამ ყოველივესთან, ამ ვაჭრულ სინამდვილესთან, იგი გასაოცარ დისონანსს ქმნიდაო.[324]

მერაბის დაკრძალვისას გამართულ სამგლოვიარო მიტინგზე თქმულ სიტყვაში იგი იტყვის, რომ უფალმა თითქოს წინაპარი აღგვიდგინა მისი სახით – აქ გულისხმობდა იმას, რომ მისი მრავალი ღირსებითა და სათნოებით შემკული პიროვნების საშუალებით ჩვენ დავინახეთ ღმერთთან ახლომყოფი ძველი საქართველოს სიმაღლე, ნამდვილი და არა გამოგონილი. მერაბ კოსტავას დაკრძალვა გადაწყდა ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში, არც ცეკას და არც ნომენკლატურულ ინტელიგენციას აღარ ჰქონდა ის ბერკეტები, რომ ხელი შეეშალათ ამისთვის. ასიათასობით ადამიანმა მიაგო პატივი მის ხსოვნას და გააცილა უკანასკნელ გზაზე. სამგლოვიარო მიტინგს ზვიად გამსახურდიას გარდა დაესწრნენ აკაკი ბაქრაძე, ნოდარ ნათაძე, პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების ლიდერები, მწერლები და სხვა

რესპუბლიკებიდან – რუსეთიდან, ლიტვიდან, უკრაინიდან, სომხეთიდან – ჩამოსული სტუმრები.[325]

3.15. ცხინვალის აქცია და აღძრული საქმის შეწყვეტა

1989 წლის შემოდგომაზე ოსური პრობლემის ეპიცენტრი, ცხადია, გახდა „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი". თუმცა, ყველანაირი რეალობის გათვალისწინებით, ეთნიკურად ოსი მოსახლეობა, რომელიც ძალიან კარგად იყო ინტეგრირებული ქართულ მოსახლეობასთან შიდა ქართლში – ქარელში, გორში, კასპში, მცხეთაში, საკუთრივ დედაქალაქში, ასევე, ბორჯომ-ბაკურიანში, კახეთის ცალკეულ ადგილებში, მაინცადამაინც დიდი გულშემატკივარი არ უნდა ყოფილიყო იმ ნაბიჯებისა, რომლებიც გადადგა სეპარატიზმის გზაზე დამდგარმა ავტონომიური ოლქის ხელმძღვანელობამ და ადგილობრივმა პარტაპარატმა. ქართველებსა და ოსებს შორის დამყარებული იყო საკმაოდ მყარი, ნათესაური და კულტურული კავშირები. თუმცა იმპერიის ცენტრიდან ინსპირირებულმა სეპარატიზმმა ეს ურთიერთობა მაინც დააზიანა.

ზვიად გამსახურდია წერს, რომ 1989 წლის შემოდგომაზე ქართველი მოსახლეობის მდგომარეობა გაუსაძლისი გახდა სამაჩაბლოში, საიდანაც სეპარატისტებმა განდევნეს ამ მოსახლეობის დიდი ნაწილი. ისინი წვავდნენ ქართველების სახლებს, სცემდნენ და აწამებდნენ ქართველებს, უკრძალავდნენ ქართულად ლაპარაკს. ზვიად გამსახურდია იქვე აღნიშნავს, რომ ოპოზიციის მტრულად განწყობილი ნაწილი მის შესახებ ავრცელებდა ცილისმწამებლურ განცხადებებს, თითქოს ზვიადი მოითხოვდა არაქართველთა გასახლებას, განადგურებასაც კი. ისინი ამ ტიპის ცილისმწამებლურ განცხადებებს ავრცელებდნენ მოსკოვში და საზღვარგარეთ. მე კი სინამდვილეში გამოვდიოდი ქართველი მოსახლეობის დაცვის მოთხოვნით სხვადასხვა ჯურისა და ეროვნების ექსტრემისტებისგან, რომლებიც გააქტიურდნენ კრემლისა და სუკ-ის წაქეზების შედეგადო, – წერდა იგი.[326] მსგავს დასკვნას ვკითხულობთ დიმიტრი შველიძესთანაც: „გამსახურდიას პოზიცია საბჭოთა ეპოქაში შელახულ-დაჩაგრული ეროვნული ინტერესების დაცვისკენ უფრო იყო მიმართული, ვიდრე არაქართველი მოსახლეობის წინააღმდეგ და მისი ნაციონალიზმისგან ისე არ წვიმდა, როგორც ქუხდა".[327]

თუკი ისტორიას გადავავლებთ თვალს, დავინახავთ ერთ რამეს: ოსი და აფხაზი ბოლშევიკები არ ყოფილან „ჩვეულებრივი" ინტერნაციონალისტი რევოლუციონერები, არამედ იყვნენ პრორუსი ნაციონალ-ბოლშევიკები. ტერიტორია, რომელზეც ისინი ცხოვრობდნენ, მათ მიერ „საქართველოს" ტერიტორიად არ მიიჩნეოდა, არამედ ეს იყო რუსეთის იმპერიის ტერიტორია, რომელზეც მათი წინაპრები ოდითგანვე ცხოვრობდნენ და როდესაც ამის დრო დადგა, რუსეთის იმპერიას შეუერთდნენ. მცირე ერებისა და ხალხების თვითგამორკვევის ლე-

ნინური პრინციპის ამუშავებისას, რა თქმა უნდა, ამ პრინციპის რეცეფცია და სათავისო განმარტება მათთანაც მოხდა. აჯანყებებს ორივე რეგიონში ჰქონდა ადგილი დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ, ეჭვქვეშ დააყენეს რა საქართველოს იურისდიქცია ამ ტერიტორიებზე. თუმცა, რომ არა საქართველოს ოკუპაცია და მისი იძულებითი გასაბჭოება, აფხაზურ ავტონომიაში პროქართული ძალები დარჩებოდნენ დომინანტური – აქ იგულისხმებიან პროქართულ პოზიციაზე მდგომი ეთნიკური აფხაზები, ხოლო ისტორიულ შიდა ქართლსა და დვალეთში არ შეიქმნებოდა სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი, ანუ ისეთი ეთნოპოლიტიკურ-ადმინისტრაციული რეალობა, რომელსაც იქ მანამდე არასოდეს უარსებია.

როდესაც შეიქმნა საქართველოს სსრ, ცენტრმა საკითხი ბოლომდე არც ისე გადაწყვიტა, როგორც ქართველებს სურდათ – მაგალითად, შექმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომია, ანუ სრულიად ახალი და სახიფათო რეალობა – და არც ისე, როგორც ოს ნაციონალ-კომუნისტებს მოეწონებოდათ – არ შექმნა ცალკე სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა, რომელიც პირდაპირ შევიდოდა საბჭოთა კავშირში მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსით და შეუერთდებოდა ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკას.

1989 წელს ქართველი საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა ალან ჩოჩიევის წერილი, რომელშიც ის მოუწოდებდა აფხაზებს დაეცვათ თავიანთი ქვეყანა ქართველი ექსტერმისტებისგან.[328] ცხინვალში მოქმედება დაიწყო ე. წ. „სახალხო ფრონტის“ ტიპის ორგანიზაციამ, სახელით „ადამონ ნიხასი“. სწორედ „ადამონ ნიხასის“ მზარდი ზეგავლენა იყო ის ნაბიჯები, რომლებიც გადადგა სამხრეთ ოსეთის მეოცე მოწვევის სახალხო დეპუტატთა საბჭომ, იმავე წლის 4 სექტემბერს დამტკიცებული ტრილინგვიზმი (ქართული, რუსული, ოსური) ჩაანაცვლა რა მონოლონგვიზმით, – სახელმწიფო ენად მხოლოდ ოსური გამოცხადდა. ხოლო იმავე წლის 10 ნოემბერს სახალხო დეპუტატთა საბჭოს XII საგანგებო სესიამ მიიღო გადაწყვეტილება ავტონომიური ოლქის ავტონომიურ რესპუბლიკად გადაკეთების შესახებ. როგორც ვხედავთ, სცენარი აქაც ლიხნის წერილის სქემის მიხედვით ვითარდებოდა.

მიუხედავად გივი გუმბარიძისა და პრემიერ ნოდარ ჭითანავას თხოვნისა, ავტონომიური ოლქის ხელმძღვანელობამ უკან არ დაიხია თავისი პოზიციებიდან, რაც გულისხმობდა ავტონომიურ ოლქში ოსური ენის ერთადერთ სახელმწიფო ენად დატოვებას. იმისთვის, რომ წარმოდგენა შეგვექმნეს, როგორი ტიპის ნაციონალისტური და საქართველოს წინააღმდეგ მიმართული პროპაგანდა მიდიოდა ოსებს შორის, საკმარისია, წავიკითხოთ ეს ამონარიდი ოსურ გაზეთ „არიაგ მუნდიში“ დაბეჭდილი წერილიდან: „სტუმარი აღმოჩნდა ასიათასობით ოსი (საქართველოში, კ. გ.), რომლებიც იმყოფებიან სოციალურ-პოლიტიკური პროცესების ფსკერზე და სავსებით მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, გაიკეთონ პოლიტიკური კარიერა რესპუბლიკაში და ძირითადად ასრულებენ მძიმე, დაბალანაზღაურებად სამუშაოს. დღეს სხვა ნაციონალურ უმცირესობებთან ერთად

ისინი ოპოზიციაში უდგანან იდეას „საქართველო ქართველებისთვის“. სავარაუდოდ, ყოველი სიტყვა ამ წერილისა იყო დაწერილი მოსკოვის უშიშროების კომიტეტის შესაბამის განყოფილებაში, რომელიც ეწეოდა პროპაგანდას საქართველოს ეროვნული უმცირესობების ასაჯანყებლად. ამასთანავე, აქ პირველად გამოჩნდა სლოგანი – „საქართველო ქართველებისთვის“, რაც, ვითომდაც, იყო საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სამოქმედო პრინციპი. ეს კი, ცხადია, მოსკოვში გამოჩეკილი სიყალბე და პროპაგანდისტული ილეთი იყო. სეპარატისტი ავტორები ამავე წერილში ემიჯნებიან „სამართლიან ოსთა საზოგადოებას“, რომელიც საქართველოს სსრ-ის ხელისუფლების მიერ მართულად ცხადდება. ხოლო ერთ-ერთ წერილში ალან ჩოჩიევისადმი, რომელსაც თბილისელი ოსების ანონიმური ჯგუფი აწერს ხელს, ასეთი რამ წერია: „ძალიან ვაფასებთ თქვენს იდეებს, თქვენს გულისტკივილს ოსეთის გამო, იმის გამო, რომ არ აღიგავოს პირისგან მიწისა ოსური ენა. იმიტომ, რომ თქვენ გამოაღვიძეთ ოსი ხალხი. ჩვენ ვართ ნამდვილი ოსი პატრიოტები, ვის ძარღვებშიც ჭეშმარიტი ოსურ-ალანური სისხლი ჩქეფს!“[329]

1989 წლის ნოემბერში ცხინვალში მიმდინარე ამბების შესახებ მსჯელობა გაიმართა „ეროვნული ხსნის კომიტეტშიც“. ამ კომიტეტში შემავალი პოლიტიკური ორგანიზაციების უმრავლესობამ გადაწყვიტა გამართულიყო მსვლელობა და მიტინგი ცხინვალში ადგილობრივი ქართველებისადმი სოლიდარობის გამოხატვის მიზნით. ამ იდეას არ დაეთანხმა მხოლოდ ეროვნულ-დემოკრატიული პარტია გიორგი ჭანტურიას მეთაურობით.

23 ნოემბერს დილით თბილისში, სპორტის სასახლესთან, შეიკრიბნენ დემონსტრანტები. ისინი ასობით მანქანითა და ავტობუსით დაიძრნენ ცხინვალისკენ, სადაც სტადიონზე უნდა ჩატარებულიყო მიტინგი. ერგნეთთან მათ გზა გადაუღობა მე-8 პოლკის ჯარმა, რომელიც იქ თავისი ჯავშანმანქანებით იყო მოსული. დემონსტრანტებს აქ დახვდათ შინაგან საქმეთა მინისტრი შოთა გორგოძე, რომელიც შეეცადა დაეყოლიებინა დემონსტრანტები, რათა ისინი უკან გაბრუნებულიყვნენ. დემონსტრანტებმა და არაფორმალური ორგანიზაციების ლიდერებმა მას განუმარტეს, რომ ცხინვალში მშვიდობიანი მიტინგის ჩატარების შემდეგ ისინი დაუყოვნებლივ დაბრუნდებოდნენ დედაქალაქში. ამის შემდეგ მათ გზა განაგრძეს. ცხინვალის შესასვლელთან, ზღუდერის ვიწრობში ისინი კვლავ გააჩერა სსრკ-ის შინაგანი ჯარის პიკეტმა. მათთან ერთად ოსი შეიარაღებული ექსტრემისტებიც ჩანდნენ. დაიწყო მოლაპარაკებები, რომელიც მთელი ღამის განმავლობაში გრძელდებოდა, თუმცა – უშედეგოდ. როდესაც ცხადი გახდა, რომ აქ შესაძლოა, სისხლის ღვრა მომხდარიყო, ჩატარდა თათბირი იქვე მყოფი რესტორნის შენობაში აქციის ორგანიზატორებს შორის და მცირე საინფორმაციო მიტინგის შემდეგ გამოცხადდა გეგმის შეცვლის შესახებ. დემონსტრანტებმა მოატრიალეს მანქანები და ავტობუსები. ისინი უკან, თბილისისკენ, გამოემართნენ.

ცხინვალისა და შიდა ქართლის ქართველი მოსახლეობა უკმაყოფილო დარჩა ამ მოტრიალებით – ჩვენ სრულიად დაუცველები დავრჩითო. ამის შემდეგ ქართველების დევნა ცხინვალის რეგიონში კიდევ უფრო გაძლიერდა.[330] ჯაბა იოსელიანი, რომელიც ასევე იმყოფებოდა იქ და თათბირში მონაწილეობდა, თავის მემუარებში წერს, თითქოს გადაწყვეტილება ცხინვალის შესასვლელში მიტინგის გამართვისა გამსახურდიამ და გუმბარიძემ ერთობლივად მიიღეს. გუმბარიძის მოტმასვნა ამ ამბებთან, ცხადია, უფრო ოპონენტის დაკნინებისა და დისკრედიტაციის მცდელობას წარმოადგენს. ჯ. იოსელიანი წერს, უმჯობესი იქნებოდა, 200-200 კაცი ქართული და ოსური მხრიდან, დავმსხდარიყავით ცხინვალის თეატრში და მოლაპარაკებები დაგვეწყოო.[331] ჯერ ერთი, ამ საკითხს წმინდად ტექნიკურად რომ შევხედოთ, ცხინვალის თეატრში ვინ აიღებდა საკუთარ თავზე იმის გაკოტროლებას, ვინ პროვოკატორი იყო და ვინ – არა, ვინ შეიარაღებული იყო შემოსული ასეთ შეხვედრაზე და ვინ – არა. ან ვინ იყო გარანტი იმისა, რომ ასეთი დიალოგი თუნდაც ცხინვალის თეატრში ფიზიკურ დაპირისპირებაში ან სროლაში არ გადავიდოდა? ან, თუ მსგავსი ფორმატის შეხვედრა რამეს მოიტანდა, რატომ არ შეიძლებოდა მისი ორგანიზება კომუნისტურ ხელისუფლებას აეღო თავზე და ჩაეტარებინა მილიციის ძალების მიერ უზრუნველყოფილი წესრიგით ეს შეხვედრა ცხინვალში, გორსა ან თბილისში? თუმცა საქართველოს სსრ-ის ხელმძღვანელობას ასეთი ნაბიჯი არ გადაუდგამს, რადგან კარგად იცოდა: ცხინვალისა და ჯავის ექსტრემისტები, ასევე მათი მოსკოველი პატრონები არ იქნებოდნენ მსგავს ფორმატში შეხვედრაზე თანახმა.

ამის შემდეგ ჯაბა იოსელიანი ჰყვება, როგორ განთავსდნენ მხედრიონელები იმავე ღამით ლიახვის ხეობის ქართულ სოფლებში, სადაც ახალგაზრდა, უფრო ფეხის ხმას აყოლილი ოსი „ბოევიკები“ განაიარაღეს და სახლებში გაუშვეს (ჯ. იოსელიანი არ აკონკრეტებს, რომ ამ დაჯგუფებას „მხედრიონი“ ჯერ არ ერქვა, მას სახელი საერთოდ არ ჰქონია. იგი იქვე ახსენებს თენგიზ მანაგაძეს, რაც იმას ნიშნავს, რომ შემდგომში „თეთრი გიორგის“ სახელით ცნობილი ორგანიზაციის წევრებიც იქვე იყვნენ, კ. გ.). შემდეგ „ნიხასისა“ და სხვა ოს ავტორიტეტულ პირებთან დავილაპარაკეთო, – წერს ჯ. იოსელიანი, კონფლიქტი ჩაწყნარებისკენ წავიდაო. ოსების უმრავლესობას ეროვნულ მოძრაობაში ჩაბმა სურდაო.[332] მისი მონათხრობიდან გამოდის, რომ ცხინვალთან ყველას თვალწინ თანდათან იდილიური სურათი იკვეთებოდა, მშვიდობა ერთი ხელის გაწვდენაზე იყო, მაგრამ ბოროტ ვაჟა ადამიასა და ასეთივე ზვიად გამსახურდიას კონფლიქტის დასრულება არ სურდათ, მათ შოვინისტური პროპაგანდა გააგრძელესო. „მერაბ კოსტავას საზოგადოების“ წევრები დაჭერილ ოსებს მეღვრიკისის შტაბში დაკითხვებს უტარებდნენ, ჩხრეკდნენ, მათ ღირსებას შეურაცხყოფდნენო. როგორც ვხედავთ, ჯაბა იოსელიანი საერთოდ არ ახსენებს იმ ფაქტს, რომ „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის ქართული მოსახლეობა ეთნიკური ნიშნით იდევნებოდა და სრულიად დაუცველი იყო. იგი არ ახსენებს აგრესიული სეპარატიზმის

წარმომადგენლებს, რომლებიც სსრკ-ის შინაგან ჯარს ეფარებოდნენ და საკავშირო უშიშროების არხებიდან იარაღდებოდნენ.

ამასობაში პროკურატურის მხრიდან ჩემზე გაიზარდა ზეწოლა – ვკითხულობთ ზვიად გამსახურდიას „ჩანაწერებში“. – პროკურატურა განაგრძობდა სისხლის სამართლის საქმეს და მოითხოვდა, არ დამერღვია ქალაქიდან გაუსვლელობის ვალდებულებაო. „სისხლის სამართლებრივი, პოლიტიკური, მორალური და სხვა პასუხისმგებლობა თავიანთი ქმედებების გამო უნდა დაეკისროთ მთავრობის სახლთან არასანქცირებული მიტინგის ორგანიზატორებს (ი. წერეთელს, ზ. გამსახურდიას, გ. ჭანტურიასა და არაფორმალურ ორგანიზაციათა სხვა ლიდერებს), რომლებმაც მისი ჩატარების დროს დაარღვიეს საზოგადოებრივი წესრიგი, მოუწოდეს ხელისუფლების კანონიერი მოთხოვნების შეუსრულებლობისკენ, ხოლო, როდესაც შეიქმნა შეიარაღებული ძალის გამოყენების რეალური საფრთხე, არ მიიღეს ზომები მიტინგის შესაწყვეტად, არ შეეცადნენ წინ აღდგომოდნენ მოვლენათა ტრაგიკულ შედეგს“ – ეწერა 9 აპრილის მოვლენებთან დაკავშირებით შექმნილ ანატოლი სობჩაკის კომისიის დასკვნაში, რომელშიც 23 დეპუტატი შედიოდა, მათ შორის იყვნენ ყაზახეთის მომავალი პრეზიდენტი ნურსულთან ნაზარბაევი, რეჟისორი ელდარ შენგელაია და აკადემიკოსი როალდ საგდეევი. ამ დასკვნაში იმავდროულად გამტყუნებული იყო სსრკ-ის შინაგანი ჯარიც და საქართველოს კომუნისტური ხელმძღვანელობაც.[333]

1990 წლის მარტში მოსკოვში ვიზიტით ჩავიდა ვაცლავ ჰაველი, ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტი. იგი მსოფლიოში ცნობილი დისიდენტი და ყოფილი პოლიტპატიმარი იყო. მან ზვიად გამსახურდია მიიწვია მოსკოვში, ჩეხოსლოვაკიის საელჩოში. როდესაც შეიტყო, რომ ზვიად გამსახურდიას უფლებას არ რთავდნენ მოსკოვში ჩასულიყო იმის გამო, რომ ვალდებული იყო დაეცვა ქალაქიდან გაუსვლელობის პირობა, მან სსრკ-ის საგარეო საქმეთა სამინისტროში პროტესტი განაცხადა, მოითხოვა რა 9 აპრილის გამო აღძრული სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა. ამის შემდეგ საქმე მართლაც შეწყდა და ზვიად გამსახურდიას მიეცა შესაძლებლობა, მოსკოვში ჩასულიყო. „ჩანაწერების“ მიხედვით, საელჩოში მიღებაზე იმყოფებოდნენ იმჟამად ოპოზიციაში გადასული ბორის ელცინი, უკრაინელი დისიდენტი ვიაჩესლავ ჩორნოვილი, ასევე, სტუმრები სომხეთიდან და ცენტრალური აზიიდან. ჩვენ მთელი სულითა და გულით დიდხანს ვისაუბრეთ ერთმანეთთანო. ამასობაში მოვიდა პრეზიდენტი ჰაველიც, რომელიც კრემლში იმყოფებოდა, გორბაჩოვთან შეხვედრაზე. იგი მიესალმა სტუმრებს და მისთვის დამახასიათებელი პირდაპირობითა და იუმორით განგვიცხადა: „მე ვიყავი კრემლში და იქ ბევრი სისულელე მოვისმინე“. მის ამ განცხადებას სიცილი და საყოველთაო მხიარულება მოჰყვაო. ზვიად გამსახურდია წერს, მადლობა გადავუხადე პრეზიდენტს იმის გამო, რომ დამეხმარა თავი დამეღწია შინაპატიმრობიდანო. მან მიპასუხა, ეს იმიტომ გავაკეთე, რომ თვითონაც ბევრჯერ ვიწვნიე შინაპატიმრობები და ეს რაც არის, კარგად ვიცი. პრეზიდენტმა ჰაველმა განაცხადა, რომ 9 აპრილის მოვლენებმა საქართველოში დააჩქარა იმპერიის დაშ-

ლის პროცესი და დაეხმარა არა მარტო საბჭოთა კავშირის, არამედ აღმოსავლეთ ევროპის ხალხებსაც, რამდენადაც ამის შემდეგ კრემლი ვეღარ ბედავდა ძალის გამოყენებას ანალოგიურ შემთხვევებში, ხედავდა რა მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის უკიდურესად მწვავე რეაქციას.[334]

სამწუხაროდ, ვაცლავ ჰაველის სიტყვებს ბოლომდე გამართლება არ ეწერათ: იმპერიამ ამ შეხვედრიდან, დაახლოებით, 10 თვის შემდეგ ვილნიუსში (1991 წლის 13-14 იანვარი) კვლავ საზარლად მოიქნია კუდი. ხოლო 2 თვით ადრე ბაქოში (1990 წლის 20 იანვარი) თბილისზე გაცილებით უარესი საშინელება დაატრიალა.

3.16. 1990 წლის მოვლენები და ეროვნული მოძრაობის სამი შესაძლო გზა

1990 წელი საკმაოდ მძაფრი და აგრესიული გამოსვლებით დაიწყო. აზერბაიჯანის სახალხო ფრონტის აქტივისტებმა დაიწყეს დემონსტრაციების სერია საბჭოთა კავშირ-ირანის საზღვარზე. ამ არეულობების დროს ნახიჭევანის ავტონომიურ რესპუბლიკაში ირანთან საზღვრის თითქმის 200-კილომეტრიან ზოლზე განადგურდა სასაზღვრო დაცვის ინფრასტრუქტურა.[335] ამით ყარაბაღის კონფლიქტმა საერთაშორისო რეზონანსი შეიძინა. ეს ყოველივე მიმართული იყო ირანში მცხოვრები აზერბაიჯანელების მიმართ, რომელთა რიცხვიც, სხვადასხვა შეფასების მიხედვით, 16 მილიონიდან 20 მილიონამდე მერყეობს. ამავე პერიოდში, ანუ 1990 წლის დასაწყისში, ცენტრალური კომიტეტი და პოლიტბიურო მოსკოვში ჩართული იყო ზოგად დისკუსიაში, რომლის ამოცანაც მდგომარეობდა შექმნილი სიტუაციის შეფასებაში, ასევე მომავალი ნაბიჯების დაგეგმვაში. ამ დებატების ცენტრში იდგა საკითხი, როგორ უნდა მომხდარიყო მიმდინარე მოვლენათა დინამიკის გათვალისწინებით სსრკ-ის შენარჩუნება. ფაქტი ჯიუტი იყო, რომ სოციალისტური სახელმწიფოების კავშირმა თავისი არსებობა პრაქტიკულად დაასრულა. ახლა საკითხი იდგა სსრკ-ის სახეცვლილი ფორმით შენარჩუნებაზე.

სრულიად მცდარი და არასაგნობრივი იქნებოდა იმის ფიქრი, რომ გორბაჩოვი და ის ძალები, რომელთაც წამოიწყეს „პერესტროიკა", სსრკ-ის დაშლაზე ფიქრობდნენ. ამასობაში აღმოსავლეთ ევროპაში პროცესებმა უფრო მეტად პროდასავლურად პროფილირებული და ანტიკომუნისტური სახე მიიღო. ბულგარეთში რეჟიმის მოწინააღმდეგე ოპოზიციამ „მრგვალი მაგიდის" შექმნა დაანონსა. პოლონეთში ამოქმედდა „ბალცეროვიჩის გეგმა", რაც გულისხმობდა ეკონომიკის ახლიდან სტრუქტურირებას ისეთნაირად, რომ სწრაფად მომხდარიყო გადასვლა საბაზრო ეკონომიკაზე; ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტი, ვაცლავ ჰაველი ოფიციალური ვიზიტით ეწვია ჯერ აღმოსავლეთ ბერლინს, შემდეგ მიუნხენს, სადაც შეხვდა კანცლერ კოლს და პრეზიდენტ ფონ ვაიცზეკერს. ძა-

ლიან მალე კანცლერი კოლი კერძო ვიზიტით ეწვია გასკონიაში მყოფ საფრანგეთის პრეზიდენტს, ფრანსუა მიტერანს, აღმოსავლეთ ევროპაში მიმდინარე ცვლილებებსა და გერმანიის გაერთიანებაზე სასაუბროდ. მიტერანს მისთვის გაუზიარებია დამაფიქრებელი მოსაზრება, რომ რუსეთთან დაკავშირებით მძიმე დღეები კიდევ წინ არისო. მართალია, კომუნისტური სისტემა ხერხემალში გადატყდა და ველარ გაიმართება, თუმცა რუსულ-იმპერიული ნაციონალური თავმოყვარეობა აღმოსავლეთ ევროპაში მიმდინარე მოვლენების გამო ძალიან შეილახაო. სამხედრო დიქტატურის პირობებში ლიბერალიზაცია კი გაგრძელდება, მაგრამ იმპერიის დაშლას ყველანაირი გზით დაუპირისპირდებიან, სისხლიც დაიღვრებაო. ამასობაში მიხეილ გორბაჩოვი ლიტვაში ჩავიდა. იგი პირველი (და უკანასკნელი) საბჭოთა პოლიტიკური ხელმძღვანელი იყო, ვინც ლიტვის სსრ-ის ოფიციალური ვიზიტით ესტუმრა. ლიტვის „სახალხო ფრონტმა" – „საიუდისმა" მოაწყო მიტინგი, რომელშიც, დაახლოებთ, 250-300 ათასმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. გორბაჩოვს მოუწია დისკუსიაში შესვლა მომიტინგეებთან და ამ კადრებმა მსოფლიო მასმედია მოიარა. საბჭოთა ლიდერის პოზიციები დისკუსიისას საკმაოდ უმწეოდ გამოიყურებოდა. იანვარში კიევშიც, წმ. სოფიას კათედრალის წინ მდებარე მოედანზე უკრაინულმა „რუხმა" მოაწყო მიტინგი 100 ათასი ადამიანის მონაწილეობით.

იანვრის შუა პერიოდში ისევ დაიძაბა სიტუაცია სომხეთსა და აზერბაიჯანში. ბაქოში შეტაკებებს სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის მსხვერპლი მოჰყვა (როგორც წერდნენ, 48 ადამიანი დაიღუპა). ამას შედეგად მოჰყვა თითქმის ნახევარმილიონიანი მიტინგი ერევანში. 19-20 იანვარს საბჭოთა არმიამ და შინაგანმა ჯარმა დაიკავა ბაქო, ასევე დაიწყო ყველა სტრატეგიული ადგილის გაკონტროლება. ჯარისკაცები პირდაპირ ესროდნენ მომიტინგეებს ცეცხლსასროლი იარაღიდან, ცეცხლს უხსნიდნენ ასევე შენობებს. დაიღუპა 100-ზე მეტი, დაიჭრა ასობით ადამიანი. ბაქოში კომენდანტის საათი გამოცხადდა, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია სამგლოვიარო მიტინგებისთვის, რომლებშიც მილიონამდე ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. ამ მოვლენებს 40-დღიანი გაფიცვაც მოჰყვა.

დასავლეთის პოზიცია ბაქოს მოვლენებთან, ისევე როგორც ერთი წლის წინ თბილისის 9 აპრილს მომხდარ დარბევასთან მიმართებით, ისევ, თავშეკავებული იყო. „ნიუსვიკთან" ინტერვიუში პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს უთქვამს, რომ მას, ცხადია, ერჩია, ბაქოში თავიდან ყოფილიყო აცილებული ძალის გამოყენება. თუმცა, სიტუაცია ისეთია, რომ სსრკ ცდილობს ეთნოკონფლიქტი, ანუ შინაგანი კონფლიქტი დაძლიოსო.[336]

საქართველოში რა სიტუაცია იყო? ფაქტია, რომ აქ ყინული 9 აპრილისა და 26 მაისის მიტინგების შემდეგ დაძრული იყო. ზვიად გამსახურდია წერს, მე წინააღმდეგი ვიყავი ძალადობრივი მეთოდების გამოყენების, ყოველგვარი შეიარაღებული ბრძოლისაო. ჩემი მოწოდებების აზრი იყო, გადმოგვეტანა ჩეხოსლოვაკიისა და პოლონეთის გამოცდილება ქართულ სინამდვილეში, ჩემი მიზანი იყო თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნების ჩატარება, მრავალპარ-

ტიული პარლამენტის არჩევა, კომუნისტური წყობილების გაუქმება სისხლის ღვრის გარეშე, ისეთი მთავრობის არჩევა, რომელსაც ექნებოდაო სახალხო ნდობა და ბოლოს – საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებაო.[337] მოსაზრება, თითქოს რადიკალურმა მოძრაობებმა 1990 წლის დასაწყისში კომპარტია, პრაქტიკულად, გააუქმეს და მისი გავლენა ნულოვანი გახადეს, ბოლომდე არ შეესაბამება სინამდვილეს. ამ მხრივ მართებულია დიმიტრი შველიძის თეზისი, რომელიც კარგად გამოხატავს იმ დროს შექმნილ ვითარებას: „რესპუბლიკის ხელისუფლებამ კონტროლი დაკარგა რადიკალურ მოძრაობაზე. იგი როგორლაც შეეგუა რადიკალების მიერ თითქმის პერმანენტულად ორგანიზებულ მიტინგებს, მანიფესტაციებს, სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი შენობების ოკუპირება-დაკავებას თვითნებურად, სანქცირებულ თუ არასანქცირებულ პროტესტებს და ა. შ. თავისებური ორხელისუფლებიანობის მსგავსი ვითარება შეიქმნა. როგორც იტყვიან, ქუჩას რადიკალები დაეპატრონნენ".[338]

რა თქმა უნდა, არავის სჯეროდა და სასაცილოდ არ ჰყოფნიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ წარმოდგენილი საქართველოს სსრ-ის ეროვნული განვითარების კონცეფცია, რომელშიც საუბარი იყო „სრული სუვერენიტეტის მოპოვებაზე". ეს „სუვერენიტეტი" ნიშნავდა საბჭოთა იმპერიაში გაფართოებული უფლებებით დარჩენას. საბჭოთა კავშირი თავისი არსით არასოდეს ყოფილა ფედერალური სახელმწიფო – ფედერალიზმი მხოლოდ დეკლარირებული ჰქონდა. ახლა თითქოს სსრკ-ის რეალურ ფედერალიზაციასა თუ კონფედერალიზაციაზე წავიდა საუბარი.

1990 წლის დასაწყისიდან შედარებით „ზომიერი" ძალები საქართველოში ალაპარაკდნენ არჩევნებში მონაწილეობაზე. ამ ძალების ფლაგმანი იყო საქართველოს „სახალხო ფრონტი", რომელმაც დააანონსა არჩევნებში მონაწილეობა, იცავდა არჩევნებში ყველა პოლიტიკური, ეროვნულად განწყობილი ძალის მონაწილეობის აუცილებლობის იდეას, რათა არჩეულიყო პატრიოტული უმრავლესობით დაკომპლექტებული პარლამენტი. ამ ახალ პარლამენტს აღარ უნდა დაეშვა საქართველოს მონაწილეობა ახალ სამოკავშირეო სახელმწიფოში და თავი აღარ უნდა გაეყო „კოლონიურ ყულფში". „სახალხო ფრონტის" თავმჯდომარე ნოდარ ნათაძე მიიჩნევდა, რომ არჩევნებში მონაწილეობას ალტერნატივა არ გააჩნდა. ნოდარ ნათაძის პოზიციის მთავარი არგუმენტი იყო „სახალხო ფრონტისა" და მთელი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის „ბალტიურ გზაზე" დადგომა, რაც ამ ძალებს აუცილებლად მიიყვანდა უმთავრეს მიზანთან – დამოუკიდებლობასა და თავისუფლებასთან". ბალტიისპირეთის სამივე რესპუბლიკაში ჩატარდა არჩევნები, რომლებშიც გაიმარჯვეს „სახალხო ფრონტებმა". თუმცა, თუკი შევადარებთ საქართველოს სიტუაციას, დავინახავთ: ბალტიისპირეთში „სახალხო ფრონტები", რადიკალები, ყოფილი დისიდენტები და ადგილობრივი კომუნისტური პარტიები არსებითად მუდმივ კომუნიკაციაში იყვნენ ერთმანეთთან, ბევრ საკითხში კიდევაც თანხმდებოდნენ. საქართველოში ეს მოცემულობა არ ყოფილა.

რა მოხდებოდა, თუკი ამ სცენარს წარმოვიდგენთ? ნოდარ ნათაძესა და რამდენიმე ზომიერ პოლიტიკურ ორგანიზაციის არჩევნებში მონაწილეობას დაუპირისპირდებოდა რადიკალების საკმაოდ დიდი ნაწილი – და ეს იმ შემთხვევაშიც, თუკი ზვიად გამსახურდია არჩევნებში მონაწილე „ფრონტს" გარკვეული ფორმით მხარს დაუჭერდა. ეს რადიკალები თავად არ მიიღებდნენ არჩევნებში მონაწილეობას და სხვებსაც მოუწოდებდნენ, ბოიკოტი გამოეცხადებინათ. ამ სიტუაციაში „სახალხო ფრონტი" საქართველოს კომუნისტურ პარტიასთან არჩევნებში დამარცხდებოდა – სავარაუდო თანაფარდობა იქნებოდა 70-30 კომუნისტების სასარგებლოდ. საბჭოთა რესპუბლიკებში, ასევე ბევრგან, სადაც საქართველოს შესახებ იცოდნენ, მოვლენათა ამგვარ განვითარებას, ალბათ, ახსნიდნენ იმით, რომ საქართველოს კომპარტია ყოველთვის პოპულარული იყო ხალხში, რამდენადაც იგი მუდამ ითვალისწინებდა ხალხის გაჭირვებასა და პრობლემებს, ყოველთვის მხარში ედგა მას და ლატენტურად ეროვნული ძალა იყო. ასეთი ხუმრობაც მახსენდება, როდესაც „ახალგაზრდა კომუნისტს" 1989 წელს სახელი გადაერქვა და „ახალგაზრდა ივერიელი" დაერქვა – თუ ამ ლოგიკით ვიარეთ, მაშინ გაზეთ „კომუნისტს" დაერქვას „ხნიერი ივერიელიო". იტყოდნენ, რომ „ხნიერი ივერიელების" პარტიამ კვლავ გაიმარჯვა, ამჯერად უკვე – კონკურენტულ არჩევნებშიც, 70 წელიწადი ხომ ისედაც „გამარჯვებული" იყო.

აი, ამ ფაქტორების გამო არ იმუშავებდა საქართველოში ზუსტად გადმოღებული ბალტიური გზა. თუმცა მოსაძებნი იყო ოპტიმალური მოდელი, როდესაც ის იმუშავებდა – და სწორედ ამაზე ფიქრობდა ზვიად გამსახურდია. საბჭოთა არჩევნებში მონაწილეობის სურვილსა და ნებას, რომელიც „სახალხო ფრონტისა" და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პარტიების ერთი, უფრო „ზომიერი" ნაწილის მიერ გამოიხატა, ხელისუფლების მხრიდან გარკვეული შემხვედრი მოძრაობაც მოჰყვა. ერთი შეხედვით, პარადოქსულად ჩანდა, რომ კომუნისტებით დომინირებულმა საქართველოს სსრ-ის უზენაესმა საბჭომ 1990 წლის 9 მარტს მიიღო დადგენილება, რომლის ძალითაც 1921 წლის 25 თებერვალი გამოაცხადა რუსეთის ჯარების მიერ საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის ოკუპაციის დღედ, ხოლო პოლიტიკურად ეს პროცესი განისაზღვრა ქვეყნის ანექსიად. ასევე, ბათილად იქნა მიჩნეული 1922 წლის 12 მარტის სამოკავშირეო ხელშეკრულება „ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური ფედერაციული კავშირის შექმნის შესახებ".

საინტერესოა, რომ საბჭოთა კავშირის ცენტრიდან საქართველოს სსრ-ის უზენაესი საბჭოს ამ გადაწყვეტილებებზე რეაგირება საერთოდ არ ყოფილა, რამაც გააძლიერა ეჭვი, რომ ეს ნაბიჯები, შესაძლოა, მათთან ფარულად შეთანხმებულიც კი იყო. რადიკალურ პოზიციაზე მყოფმა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ ამ ნაბიჯსა და 25 მარტს არჩევნების დანიშვნას უპასუხა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საგანგებო კონფერენციით, რომელიც 13-15 მარტს გაიმართა ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში. სცენაზე მოეწყო ერთგვარი პრეზიდიუმი, რომელშიც ისხდნენ ზვიად გამსა-

ხურდია, გიორგი ჭანტურია, ირაკლი წერეთელი, თემურ ჟორჟოლიანი, ირაკლი ბათიაშვილი, თემურ ქორიძე, ავთანდილ რცხილაძე, გიზო კორძაძე, თემურ სუმბათაშვილი და ირაკლი კაკაბაძე. აქ გამოცხადდა ეროვნული ხსნის კომიტეტის თვითლიკვიდაცია და დაფუძნდა „ეროვნული ფორუმი“, რომელშიც 22 ორგანიზაცია გაწევრიანდა. ფორუმმა გამოკვეთა თავისი პლატფორმა – უნდა შექმნილიყო საყოველთაო კენჭისყრით არჩეული, გარდამავალი კოალიციური ოპოზიციური ხელისუფლება და 1990 წლის 25 მარტის არჩევნებს უნდა გამოცხადებოდა სრული ბოიკოტი. კონფერენციის დადგენილებაში ბოიკოტის მეთოდიც კი კონკრეტულად იყო ჩამოყალიბებული: კანდიდატებს უნდა მოეხსნათ საკუთარი კანდიდატურა, ყველა პატიოსანი მოქალაქე უნდა გამოცხადებულიყო საარჩევნო უბანში საკუთარი გვარის საარჩევნო სიიდან ამოსაშლელად ან განცხადების დასაწერად, სადაც ბოიკოტს გამოაცხადებდა წერილობით და ამ შექმნილ დოკუმენტს რეგისტრაციაშიც გაატარებდა.[339]

რეალისტურად შეაფასა რა საკუთარი შესაძლებლობები, გივი გუმბარიძის ცენტრალურმა კომიტეტმა ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა და 25 მარტს დანიშნული არჩევნები, რომელიც სრულიად საბჭოური, ერთპარტიული პოლიტიკური სისტემის კანონმდებლობის საფუძველზე უნდა ჩატარებულიყო, საშემოდგომოდ გადაიდო. ასევე კონსტიტუციაში შეიტანეს რამდენიმე მუხლი, რომლებშიც ნახსენები იყო კომპარტიის გარდა სხვა პოლიტიკური პარტიებიც, პროფკავშირული, ახალგაზრდული თუ სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მასობრივი მოძრაობები. დიმიტრი შველიძე აქ ისევ მართებულად წერს: „აღნიშნული დადგენილებით მრავალპარტიული სისტემის შექმნისკენ პირველი ნაბიჯი გადაიდგა – მრავალპარტიული არჩევნები დაინიშნა. მრავალპარტიულობა დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ატრიბუტია და, ამდენად, მისი დამკვიდრება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დიდი წარმატება გახლდათ“.[340]

თუმცა ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯი იყო. ამ კანონში ლაპარაკი არ იყო მაგალითად, პროპორციულ სიებზე, ასევე, დამოუკიდებელ საარჩევნო კომისიაზე. ამიტომაც შემდეგი ნაბიჯი უნდა ყოფილიყო უკვე კანონმდებლობის დახვეწა და კონკრეტული მექანიზმების შემოღება, რომლებიც ამ მრავალპარტიულ და არასაბჭოურ არჩევნებს რეალურს გახდიდა. აქ კი ცენტრალური კომიტეტი და კომუნისტური უზენაესი საბჭო აღარ ჩქარობდნენ. ამრიგად, პირობითად თუ ვიტყვით, პირველი გზა – მონაწილეობა ოფიციალურ საბჭოთა არჩევნებსა და პარლამენტში გარკვეული პროცენტით შესვლა – უარყოფილი იქნა. „ეროვნული ფორუმი“, როგორც პარტიების კონგლომერატი, თავის შეხვედრებს აწყობდა ე. ნ. იმელის შენობაში, რომელშიც კომუნისტურ ეპოქაში განთავსებული იყო მარქსიზმ-ლენინიზმის სახელობის ინსტიტუტი, ასევე, სხვა რამდენიმე დაწესებულება ფილოსოფიის ინსტიტუტთან ერთად.

1990 წლის 27 მარტს „ფორუმმა“ მიიღო დადგენილება, რომლის მიხედვითაც, საქართველოს მოსახლეობის სახელით უფლებამოსილი იყო ელაპარაკა

„ეროვნულ კონგრესს“, რომელიც უარს იტყოდა საბჭოთა ოკუპაციის შედეგად შექმნილ და მათ სამართალმემკვიდრე ნებისმიერ ორგანოში რამენაირი ფორმით მონაწილეობაზე. ამ ორგანოს მიზანი უნდა ყოფილიყო საქართველოს სრული დეოკუპაცია, ხოლო ამ მიზნის მიღწევის საშუალება იყო „ეროვნული დაუმორჩილებლობა სრულიად საქართველოს მასშტაბით“. რასაკვირველია, ბოლომდე არავინ იცოდა, რას გულისხმობდა ეს და რამდენად იმუშავებდა ასეთი გეგმა საქართველოში. ამრიგად, გამოიკვეთა მეორე გზა – „ეროვნული კონგრესი“, რომელიც არაფორმალური არჩევნების გზით უნდა ყოფილიყო არჩეული.

„ეროვნულ ფორუმში“ განხეთქილება მოხდა 1990 წლის 24 აპრილს, როდესაც ადგილი ჰქონდა ინციდენტს პირდაპირ იმელის შესასვლელთან – ფორუმში გაწევრიანებული ორი ორგანიზაციის, „საქართველოს მხედრიონისა“ და „თეთრი გიორგის კავშირის“, წევრებმა ერთმანეთს ესროლეს. ეს ორივე ორგანიზაცია არ ყოფილა წმინდად პოლიტიკური – მათი დახასიათება შეიძლება, როგორც პოლიტიკურ-პარამილიტარული ორგანიზაციებისა. ორივე ორგანიზაცია ჩართული იყო სამაჩაბლოში ადგილობრივი ქართველი მოსახლეობის სეპარატისტული შეიარაღებული ბანდფორმირებებისგან დაცვის საქმეში – როდესაც ეს ორი ორგანიზაცია ჯერ კიდევ არ იყო გათიშული და არსებობდა კონკრეტული დასახელებების გარეშე. იმჟამად ერთმანეთთან თანამშრომლობის რეჟიმში იყვნენ, ერთი მხრივ, „მხედრიონის“ ლიდერი ჯაბა იოსელიანი და თამაზ ყურაშვილი („ბუღა“), მეორე მხრივ, „თეთრგიორგელები“ – თენგიზ მანაგაძე, ავთანდილ მანაგაძე, ზაზა ებრალიძე და სხვები. „თეთრი გიორგის“ წევრები ირწმუნებოდნენ, რომ ჯაბა იოსელიანი პირდაპირ კავშირზე იყო გასული საქართველოს სსრ-ის აგროპრომის ყოფილ უფროსთან, იმჟამად კომუნისტური ხელისუფლების ვიცეპრემიერ გურამ მგელაძესთან და ფინანსდებოდა ხელისუფლების მხრიდან. ამ ალიანსის მიზანი, „თეთრი გიორგის“ წევრთა მიხედვით, იყო ეროვნული მოძრაობის იმ ფრთის განეიტრალება, რომელსაც ზვიად გამსახურდია და მისი თანამებრძოლები წარმოადგენდნენ. „ბანდფორმირება უკვე რამდენიმე ასეულ შეიარაღებულ კაცს აერთიანებდა, იგი მე და ჩემს თანამებრძოლებს ღია ტერორით გვემუქრებოდაო. „თეთრი გიორგის“ წევრებმა უარი უთხრეს იოსელიანს თანამშრომლობაზე და განაცხადეს, რომ იარაღითაც დაუპირისპირდებოდნენ „მხედრიონს“, თუკი ისინი თუნდაც ერთ ტერორისტულ აქტს გაბედავდნენო ჩვენ წინააღმდეგ“ – წერს ზვიად გამსახურდია.[341]

გიორგი ჭანტურიას კომენტარი ამ სროლის შემდეგ უფრო საქმის არსებითი გარემოებების ჩაფარცხვისა და მათგან სხვა რამეზე ყურადღების გადატანისკენ იყო მიმართული. რამდენადაც ორივე ორგანიზაციის ლიდერები, ჯაბა იოსელიანი და თენგიზ მანაგაძე, „ფორუმის“ წევრები იყვნენ, ჭანტურიას თვალსაზრისით, მათგან დესტრუქციული ქმედებები მოსალოდნელი არ იყო. მაშასადამე, ეს დაბალ რგოლებში დაგეგმილ და განხორციელებულ პროვოკაციად უნდა ჩათვლილიყო, ხოლო მთავარ ინსპირატორად ძალიან ზოგადად უნდა გამოცხადებულიყო „უშიშროების კომიტეტი“. რეალურად ეს იყო არაფრისმთქმე-

ლი და აბსტრაქტული განცხადება. ამ დღეს ფორუმი ზვიად გამსახურდიასთან ერთად დატოვა ოთხმა წამყვანმა ორგანიზაციამ – „ჰელსინკის კავშირმა", „წმინდა ილია მართლის საზოგადოებამ", მონარქისტულმა პარტიამ და „მერაბ კოსტავას საზოგადოებამ". „თეთრი გიორგი" ამ ინციდენტის შემდეგ ისედაც არ აპირებდა ფორუმში დარჩენას.

თავად ზვიად გამსახურდია წერს „ეროვნული ფორუმის" დატოვებაზე: „1990 წლის მარტში შექმნილი „ეროვნული ფორუმი," რომლის ერთ-ერთი ლიდერიც მე ვიყავი, თავს აშკარად ვერ ართმევდა უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური ამოცანების გადაჭრას – აქ იგულისხმებოდა ზემოთ ჩამოთვლილი მკაფიოდ განსაზღვრული ამოცანები: თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნების ჩატარება, მრავალპარტიული პარლამენტის არჩევა, კომუნისტური წყობილების გაუქმება სისხლის ღვრის გარეშე, ისეთი მთავრობის არჩევა, რომელსაც ექნებოდა სახალხო ნდობა და ბოლოს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. ამის ერთ-ერთი მიზეზი იყო ისიც, რომ კომუნისტებმა მასში ჩანერგეს ბანდიტური ორგანიზაცია „მხედრიონი", რომლის ლიდერიც, ჯაბა იოსელიანი, ცდილობდა ყველა პარტიისა და ორგანიზაციის წევრების ტერორიზებას, „ფორუმის" პარალიზებასა და ჩემს იზოლირებას. სწორედ ამ მიზეზის გამო მოახდინეს მათ სროლა და დაპირისპირება იმელის შესასვლელთან".[342]

ზვიად გამსახურდიას ამით იმის თქმა სურს, რომ ეს ინციდენტი მხოლოდ ტრიგერი იყო, მიზეზი კი – ბევრად არსებითი. დგებოდა ზეამოცანა – არა არაფორმალური არჩევნებით შექმნილი „ეროვნული კონგრესი", არამედ ლეგალური, არასაბჭოური წესით არჩეული პარლამენტი, რომელიც ქვეყანას დამოუკიდებლობამდე მიიყვანდა. თუმცა, ერთი საქმე იყო „ეროვნული ფორუმის" დატოვება, მეორე კი – სრულიად ახალი პლატფორმით წარდგომა. ეს კი უკვე მესამე გზა იყო, რომლის პრაქტიკული განხორციელება დღის წესრიგში დგებოდა. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალშექმნილი ბანაკის ამომრჩევლისთვის უკეთ წარსადგენად და უფრო მჭიდრო კონსოლიდაციის საჭიროებიდან გამომდინარე, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 26 მაისის აღნიშვნას ლოკომოტივის სტადიონზე. რამდენიმე დღით ადრე დაინიშნა მიტინგი. „მრგვალი მაგიდის" წევრები ღელავდნენ, მოვიდოდა თუ არა საკმაო რაოდენობის ხალხი მიტინგზე. ხალხის დიდი მასა მართლაც მოვიდა სტადიონზე, მთელი ტრიბუნა შეავსო და ბევრი მათგანი ფეხზე მდგომარე ელოდა გამომსვლელებს, განაწილებულნი მოედანსა და სარბენ ბილიკებზე.

ცხადია, ამ მიტინგის მთავარი მოვლენა ზვიად გამსახურდიას გამოსვლა იქნებოდა. მან წარმოთქვა ექსპრესიული და ემოციური მუხტით გაჯერებული სიტყვა, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელზე. ამ სიტყვის ძირითადი აღნაგი დამყარებული იყო სახარებისეულ პარადიგმაზე, რომლის მიხედვითაც ღმერთი ერების ბედზე გადაწყვეტილებას იღებს თავად ამ ერთა მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად. „როდესაც მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე გამოიყვანეს ებრაელი ხალხის წინაშე რომაელებმა და მისმა მტან-

ჯველებმა, ისრაელს ჰქონდა წეს-ჩვეულება: სიკვდილით დასჯილი ერთ-ერთი ადამიანი ამ დღეს უნდა მიეტევებინათ ხალხისათვის. მაშინ რომაელთა ხელისუფლებამ მიმართა ისრაელის ერს: ვინ მოგიტევოთ? და წარუდგინა ქრისტე ღმერთკაცი და ბარაბა ავაზაკი. მაშინ იხუვლა ისრაელის ერმა: ჯვარს აცუ ეგე და მოგვიტევე ჩვენ ბარაბა, მოგვიტევე ავაზაკი და ის ავაზაკი გულში ჩაიხუტა და ჯვარცმად გაუშვა ქვეყნად მოვლენილი მესია-ღმერთკაცი! ... და, აი, ქართველი ერი, ღვთის ერი, ასევე ღვთის რჩეული, ვით ისრაელი, ვიდოდა ქრისტეს ეკლიანი გზით. მოვიდა მეოცე საუკუნემდე და მის წინაშე წარდგა არჩევანი. აი, ეროვნული მოძრაობა დიდი ილიასი, დიდი ჰუმანისტებისა, დიდი დემოკრატებისა და, აჰა მოძრაობა ყაჩაღებისა, ავაზაკებისა და უღმერთო ერისა, ბარაბასი. და როდესაც ისტორიამ სამსჯავროზე ჩვენ წინაშე გამოიყვანა დიდი ილია და გამოიყვანა ავაზაკი, ჩვენ ავირჩიეთ ავაზაკი, ჩვენ უარვყავით დიდი ილია და ჩვენ ტყვია ვესროლეთ მას. და, აი, დადგა ჟამი ჩვენი განთავისუფლებისა, ჩვენ მივიღეთ თავისუფლება, მაგრამ ბარაბას გზით. ბარაბას გზა ავირჩიეთ და ეს თავისუფლებაც უფალმა ისე წაგვართვა, ვით მოგვივლინა, და დაგვატეხა თავს არნახული სასჯელი, რომელიც სამოცდაათი წელი გვანადგურებს. აი, ამის გამო მივიღეთ, ძმანო, ეს სასჯელი, რამეთუ უარვყავით ქრისტე, ქრისტეს მოვლენილი კაცი, მესიად მოვლენილი კაცი და ავირჩიეთ ბარაბა ავაზაკის, სოციალ-დემოკრატიის და მსგავსთა მისთა გზა. აი, მიზეზი ჩვენი კატასტროფისა, აი, მიზეზი 26 მაისის დამარცხებისა, აი, მიზეზი იმისა, რომ ვიქმენით ჩვენ, ვითარცა ცხოვარნი კლვადნი, მტერთაგან ძლეულნი. მამული ჩვენი მტერთა ჩვენთა ფეხქვეშ გაითელა და ჩვენ დღეს უფსკრულის პირას ვართ. და, აი, მოდის ახალი არჩევანი, ძმანო და დანო, წარმოგიდგათ უფალი და გეუბნებათ: ქართველო ერო, შენ წინაშე არის ორი გზა; შენი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მივიდა გზაგასაყართან. აი, გზა ილია მართლისა, აი, გზა სიწმინდისა, ზნეობისა, აი, გზა დემოკრატიისა, აი, გზა ჭეშმარიტებისა და უმანკოებისა და აი, გზა ყაჩაღობისა და მზაკვრობისა, აი, გზა ტერორიზმისა!..“ როდესაც გამომსვლელმა ეს სიტყვა დაასრულა, აპლოდისმენტები დიდხანს არ წყდებოდა.

მკვლევარი დავით ხვადაგიანი წერს: „ისტორიული მითების და „მესამე დასის საქართველოს“ აშკარა გავლენა ჩანს ზვიად გამსახურდიას ცნობილ, ერთგვარ საეტაპო მნიშვნელობის გამოსვლაში 1990 წლის 26 მაისს „ლოკომოტივის სტადიონზე“ გამართულ მიტინგზე, სადაც მან ქართველი სოციალ-დემოკრატების კურსი „ბარაბას გზას“ შეადარა, ხოლო საქართველოს ჭეშმარიტ მიზნად კი „ღმერთკაცი ილიას გზა“ გამოაცხადა“.[343] რამდენადაც მკვლევრის ეს შეხედულება არასწორია, აქ საჭიროა განმარტება: აღნიშნულ სიტყვაში ასეთი დიფერენცირება არ გაკეთებულა, ორატორს არც დაკონკრეტება მოუხდენია, რომელ სოციალ-დემოკრატებს გულისხმობდა. შესაბამისად, ავტორის დასკვნაც ნაჩქარევი ჩანს – ზვიად გამსახურდია ნამდვილად არ გულისხმობდა ნოე ჟორდანიას, ნოე რამიშვილს და აკაკი ჩხენკელს 1918 წელს, რომლებმაც საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებაში და მისი საერთაშორისო აღიარების მილ-

წევაში საკვანძო როლი ითამაშეს. ეს პოლიტიკოსები, როდესაც საქართველოს დამოუკიდებლობას აცხადებდნენ და ქვეყნის ინტერესების დაცვის საქმეში რეალურად ერთვებოდნენ, ცხადია, ილია ჭავჭავაძის „ნავში“ უკვე გადამსხდარნი იყვნენ. მოგვიანებით ამ „ნავში“ მათ ირაკლი წერეთელი და კარლო ჩხეიძეც შეუერთდნენ. სხვა პოლიტიკური „ნავი“ არც არსებობდა, რადგან სტალინის, ორჯონიკიძისა და მახარაძის, ქართული სოციალ-დემოკრატიის ბოლშევიკური განაყარის გზა სოციალ-უტოპისტური ექსპერიმენტის ნიშნით აღდგენილი რუსეთის იმპერიის ზღვაში დახრჩობას ნიშნავდა. ამიტომაც „კურსს“ სწორედაც არ გულისხმობდა – უფრო მათ ძველ შეცდომებს საუკუნეთა მიჯნაზე. და ეს ძველი შეცდომა მის თვალში რა იყო? რუსული სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრობა, მარქსისტული პლატფორმა, რევოლუციური პროგრამა, ათეიზმსა და მატერიალიზმზე აგებული ფილოსოფიის გაზიარება და, რაც მთავარია, საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხის ასე თუ ისე იგნორირება.

აქვე მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ ამ სიტყვებს ზვიად გამსახურდიას სახით ქართველი კონსერვატორი ამბობს. კონსერვატორი პოლიტიკოსი რევოლუციონერი ვერ იქნება. მემარჯვენე-ცენტრისტი პოლიტიკოსის ეს ტიპი არ უნდა აურიონ რელიგიურ ფუნდამენტალისტსა ან ისეთ პერსონაში, ვინც ტრადიციების აბსოლუტიზაციას ეწევა. კონსერვატორისთვის ტრადიციაც და „ეროვნულობაც“, უწინარეს ყოვლისა, მშვიდობის, ადამიანთა მშვიდობიანი თანაცხოვრების ფორმაა. ადამიანები ერთად არიან იმ ფორმით, რომელიც მათთვის ჩვეული, მიღებული და დამკვიდრებულია – და ამ ყოველივეს მნიშვნელოვანი ნაწილი მათ წინაპართაგან მემკვიდრეობით მიიღეს. გარკვეულ საკითხებში შეუთავსებლობები, მიუხედავად იმისა, რომ ძირითად სტრატეგიულ საკითხებში მათი გეზი ერთმანეთის იდენტური გახდა – ქართველ სოციალ-დემოკრატებთან, შესაძლოა, ჰქონოდა არა მარტო რევაზ გაბაშვილს, რომლის საკმაოდ პრობლემურ და რიგ საკითხებში სუბიექტურ მემუარებსაც ახსენებს დავით ხვადაგიანი, არამედ სპირიდონ კედიასაც, ექვთიმე თაყაიშვილსაც, დათა ვაჩნაძესაც, შალვა ამირეჯიბსაც და ქაქუცა ჩოლოყაშვილსაც.

რაც შეეხება ავაზაკ ბარაბას ალუზიას, 26 მაისის ამბებზე ეს უმალ ფიგურალურად იყო ნახსენები, როგორც კონტროვერსულობის ხერხი, ხოლო ბოლო ხანს მომხდარ ამბებზე მინიშნება ხდებოდა უფრო თავის კონკრეტიკაში: სულ რაღაც ერთი თვე იყო გასული „მხედრიონის“ ლიდერების, ჯაბა იოსელიანისა და თამაზ ყურაშვილის (იმავე „ბუღას“), მიერ ზვიად გამსახურდიასა და ახალი პოლიტიკური ძალის მიმართ გამოთქმული მუქარებიდან. ადამიანების ყურთასმენაში ჯერ კიდევ ხმიანობდა იმელთან ატეხილი ცეცხლსასროლი იარაღის ბათქაბუთქი. თუმცა ვინ იფიქრებდა, რომ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო.

3.17. „მრგვალი მაგიდის“ პლატფორმა

„ეროვნულმა ფორუმმა“, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, ზვიად გამსახურდიას და ოთხი ორგანიზაციის ქმედება მკვეთრად უარყოფითად შეაფასა. იგი მოინათლა ეროვნული მოძრაობის ერთიანობის წინააღმდეგ მიმართულ ნაბიჯად. ამასთანავე, ფორუმის სახელით გავრცელდა განცხადება, რომ მიუხედავად ობსტრუქციებისა, საქართველოში ჩატარდებოდა არჩევნები და არჩეული იქნებოდა ანტისაოკუპაციო და ანტიკოლონიური ბრძოლის, ეროვნული დაუმორჩილებლობის ორგანო „ეროვნული კონგრესი“.[344]

ზვიად გამსახურდიასა და აღნიშნული ორგანიზაციების პასუხი ამაზე იყო კიდევ ერთხელ გახსენება „იმელთან“ მომხდარი სკანდალური ინციდენტისა. მაგრამ აშკარა გახდა, რომ გარკვეული უკმაყოფილება „ფორუმში“ შექმნილი სიტუაციით ამ ადამიანთა წრეში მანამდეც შესამჩნევი იყო. ასე მაგალითად, დაახლოებით, „ფორუმის“ ინციდენტამდე 3 კვირით ადრე ჩატარდა სრულიად საქართველოს „მერაბ კოსტავას საზოგადოების“ ყრილობა. ზვიად გამსახურდიამ მასზე გამოსვლისას აღნიშნა, რომ გარკვეულ ორგანიზაციებს ერთი ტაქტიკა და ერთი სტრატეგია უნდა ჰქონოდათ. რომ იმპერიამ, დაინახა რა, რომ ტერორით ვერაფერს გახდებოდა, მიზნად დაისახა თავად ეროვნული მოძრაობის სახელის გატეხა, რომ ხალხს ერთმანეთისგან უნდა გაერჩია ცრუ და ნამდვილი მოძრაობა, რომ „მერაბ კოსტავას საზოგადოება“, „წმინდა ილია მართლის საზოგადოება“, „ჰელსინკის კავშირი“, დამოუკიდებლობის პარტია, „თეთრი გიორგის კავშირი“ ჩემი და მერაბის სულიერი შვილები არიანო. როგორც ამ ჩამონათვალიდან ჩანს, აქ ნახსენებია დამოუკიდებლობის პარტია, რომლის ლიდერიც იყო ირაკლი წერეთელი. ზვიად გამსახურდია იმ პერიოდში იმედოვნებდა, რომ ირაკლი წერეთელი დატოვებდა „ეროვნულ ფორუმს“ და ახალ კოალიციას შემოუერთდებოდა, თუმცა ირაკლი წერეთელმა ასეთი ნაბიჯის გადადგმა ვერ შეძლო.

მაისის დასაწყისში აქციები დაიწყო თბილისში, საქართველოს კომკავშირის ცეკას შენობასთან, მაჩაბლის ქუჩაზე. მომიტინგეების მოთხოვნა იყო კომკავშირის გაუქმება და მათი ძირითადი შენობის დაცლა. მილიცია ვერაფერს გახდა. მოლაპარაკებებში შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან ჩართული იყვნენ რომან გვენცაძე და რობინზონ თუშურაშვილი. ყველაფერი დასრულდა იმით, რომ ეროვნული მოძრაობის „ფორუმიდან“ გასული ფრთის აქტივისტებმა დაიკავეს ეს შენობა. აქვე, 7 მაისს გამოცხადდა პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების „მრგვალი მაგიდის“ შექმნა. მისი დამფუძნებელი თავიდან ოთხი ორგანიზაცია იყო — „ჰელსინკის კავშირი“, მონარქისტული პარტია, „წმინდა ილია მართლის საზოგადოება“ და „სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოება“. პირველივე სხდომაზე მოწვეულ იქნენ სხვა პოლიტიკური ორგანიზაციების წარმომადგენლებიც. მოწვევა მიიღო, ასევე, მწვანეთა პარტიამ,

რომლის წარმომადგენლებიც, ზურაბ ჟვანია და გიორგი ბარამიძე, რამდენიმე სხდომას დაესწრნენ დამკვირვებლის სტატუსით.

ახალი კოალიციის პოლიტიკური გეზი და ტაქტიკა განისაზღვრა, როგორც უზენაესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობა, თუმცა მანამდე უნდა მომხდარიყო საარჩევნო კანონმდებლობის შეცვლა. ანუ მონაწილეობა არჩევნებში მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა მიზანშეწონილი, თუკი დაიდებოდა არასაბჭოთა, რეალური მრავალპარტიულობის ამსახველი საარჩევნო კანონი. ამას ესაჭიროებოდა გუმბარიძე-ჭითანავას ხელისუფლებასთან დიალოგი და, თუ ხელისუფლება გარკვეულ მომენტში უარს იტყოდა კომპრომისზე, მაშინ არსენალში რჩებოდა ისევ და ისევ ძველი, კარგად ცნობილი მეთოდები – საპროტესტო აქციები, მიტინგები, პიკეტები.

ამასობაში „ეროვნულ ფორუმში" დარჩენილმა ძალებმა, რათა გაემყარებინათ თავიანთი ლეგიტიმაცია, ორგანიზება გაუკეთეს შეკრებას, რომელსაც „ეროვნული ყრილობა" უწოდეს. „ფორუმის" წესდების მიხედვით, „ეროვნული ყრილობის" მოწვევა მხოლოდ მაშინ იყო შესაძლებელი, თუკი მას მხარს დაუჭერდა „ფორუმის" წევრთა ორი მესამედი, არადა, „მრგვალი მაგიდის" ორგანიზაციების გასვლით ეს ორგანიზაცია თითქმის ნახევარმა დატოვა. მიუხედავად ამ გარემოებისა, „ყრილობა" მაინც გაიხსნა სპორტის სასახლეში, 1990 წლის 23 მაისს და მასზე დარეგისტრირდა 6020 დელეგატი. უმთავრესი საკითხი, რომელიც ამ ყრილობაზე განიხილებოდა, იყო „ეროვნული კონგრესის" არჩევა. ამ შეკრებაზე საქართველოში შექმნილი მდგომარეობა საერთოდ არ განხილულა, რამდენადაც აპრიორი მიიჩნეოდა: ამ შეკრების ლიდერები და ორგანიზატორები ფლობდნენ საქართველოში შექმნილი მდგომარეობის ზუსტ სურათს და ასევე ჰქონდათ საფუძვლიანი ცოდნა იმ გზის შესახებ, რომელსაც ქვეყანა უნდა დასდგომოდა. ასევე არავის დაუსვამს კითხვა, იქ რამდენიმე პარტიის აქტივი იყო შეკრებილი თუ ეს მართლაც საერთო-ეროვნული, წარმომადგენლობითი ყრილობა იყო, სადაც გათვალისწინებული იქნებოდა როგორც მასში ჩართულ დელეგატთა ტერიტორიულ-რეგიონალური, ისე სოციალურ-პოლიტიკური შერჩევის წესი. შეკრება დალოცა საქართველოს სამოციქულო, მართლმადიდებელი ეკლესიის კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ, რომელმაც შემდეგი განცხადება გააკეთა: „ჩვენ დღეს ვიწყებთ ისტორიულ ეროვნულ კრებას და შევთხოვთ უფალს, რომ მოგვმადლოს მშვიდობა და კეთილდღეობა. ეშმა ყოფს ერს, ღმერთი კი აერთიანებს. არავის აქვს უფლება იფიქროს, რომ მხოლოდ მასშია ჭეშმარიტება, რომ მხოლოდ მას უყვარს სამშობლო".[345] აშკარაა, რომ ილია მეორე აქ ზვიად გამსახურდიას გულისხმობდა. ამ ყრილობას ასევე დაესწრო ინტელიგენციის გარკვეული ნაწილი, რომელიც (აქ არ იგულისხმება ჯანსუღ ჩარკვიანი) ადრე „რადიკალებთან" თანამშრომლობას, ცოტა არ იყოს, ამრეზით უყურებდა – ალექსანდრე (ლალი) ჯავახიშვილი, ელდარ შენგელაია, გოგი ხარაბაძე, თამაზ კვაჭანტირაძე და სხვები. ფაქტია, რომ „ფორუმის" რადიკალებმა ტაქტიკა შეცვალეს ინტელიგენციასთან მიმართებით და მათაც უპასუხეს

ამ ცვლილებას. თუმცა ერთიც არის – გიორგი ჭანტურიამ და სხვებმა ზუსტი გათვლა გააკეთეს ამ ადამიანებში ქვეცნობიერად ფეხმოკიდებულ „ფობიაზე“, რომელიც მათ იმთავითვე გააჩნდათ ზვიად გამსახურდიას მიმართ და რაც ყველაზე ცხადად 1989 წლის ივლისში, „სახალხო ფრონტის“ დამფუძნებელ შეკრებაზე გამოიკვეთა – შეიძლება, ითქვას, ახალ დონეზეც კი ავიდა.

ცოცხალი რომ დარჩენილიყო, მერაბ კოსტავა იქნებოდა ის ადამიანი, ვინც ამ დაძაბულობას, „ფობიას“, რომელიც შეიქმნა ზვიად გამსახურდიასა და ინტელიგენციას შორის, შეძლებისდაგვარად დააბალანსებდა, განმუხტავდა. მერაბის გარდა ეს არავის ხელეწიფებოდა, მაგრამ სადღა იყო მერაბი. „ეროვნული ყრილობა“ 25 მაისს დაიხურა. გადაწყდა, რომ „ეროვნული კონგრესის“ არჩევნები ჩატარდებოდა 1990 წლის 30 სექტემბერს. ინტელიგენციის წარმომადგენლები თავიანთი მისვლით „ეროვნულ ფორუმში“ დარჩენილ რადიკალებთან თითქოს ამბობდნენ: ახლა გვესმის, ვინ ბლოკავდა ჩვენს ჩართვას პოლიტიკურ პროცესებში, ან კი როგორ მივსულიყავით იქ, სადაც არ გვისმენენ? მაგრამ „პოლიტიკური“ არც ამ ინტელიგენციის მიდგომა იყო. იგი პიროვნულ ეგოიზმსა და ემოციებს არ იყო გაცდენილი. იგი არ იყო გაჯერებული იმ პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი შორსმჭვრეტელობით, რომ პატარა და მცირე რესურსების მქონე ქვეყანაში, რომელსაც ამდენი ძლიერი მტერი ჰყავდა, კონფრონტაცია სიკეთეს არ მოიტანდა. ნუთუ ადამიანები, რომლებსაც რაციონალობასა და პოლიტიკურ სიმწიფეზე პრეტენზია ჰქონდათ, შეიძლებოდა დათანხმებოდნენ თეზისს, რომელიც „ეროვნული კონგრესის“ პლატფორმაში იყო გადმოცემული შემდეგნაირად: „იმ შემთხვევაში, თუ საერთაშორისო სამართალი „საქართველოს ეროვნულ კონგრესს“ არ აღიარებს საქართველოს კანონიერი მოსახლეობის ნების გამომხატველ ოფიციალურ იურიდიულ პირად და არ ცნობს კანონიერად, „ეროვნული კონგრესი“ სრულიად საქართველოს მასშტაბით გამოაცხადებს ეროვნულ დაუმორჩილებლობას და ქართველ ერს მოუწოდებს ტოტალური შეუიარაღებელი წინააღმდეგობისაკენ“. იყვნენ ისეთებიც, რომელთაც უპირობოდ სჯეროდათ: მოსკოვში მყოფმა იმ ერთმა კაცმა, რომელიც არ ჩანს, მაგრამ ამ მოძრაობების უკან უნდა იდგეს, ყველაფერი იცის (გულისხმობდნენ სსრკ-ის დიპლომატიურ სამსახურში გადასულ ე. შევარდნაძეს). ამიტომ „ახლა ასეა საჭირო“. „ეროვნული კონგრესის“ მომხრე ძალების მხრიდან წამოსროლილი ბრალდების შესახებ, უწოდეს რა ზვიად გამსახურდიას „ახლად გამომცხვარი დიქტატორი“, დიმიტრი შველიძე სრულიად მართებულად წერს: „უფრო ადრე „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება“ სდებდა ბრალს ზ. გამსახურდიას, ჯერ კიდევ „ეროვნული ხსნის კომიტეტში“ დამყარებული ერთპიროვნული დიქტატის გამო. ამ პერიოდში ზ. გამსახურდიას ერთპიროვნულობას ობიექტური ხასიათიც ჰქონდა ალბათ. ზ. გამსახურდია წლოვანებითაც, პოლიტიკური წარსულითაც და გამოცილებითაც აღემატებოდა თავის ახალგაზრდა თანამებრძოლებს და მხარდამჭერი ორგანიზაციების მეთაურებს. მისი გამორჩეულობა ბევრწილად ბუნებრივად იყო განპირობებული. სხვა ამბავია, რამდენად აღიზიანებდათ ზვი-

ად გამსახურდიას მზარდი ავტორიტეტი მის ახალგაზრდა ამბიციურ ოპონენტებს".[346]

რაც შეეხება მეორე, ანუ მომავალი „მრგვალი მაგიდის" ბანაკს, იქაც მოქმედებდნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც ამ კონფრონტაციას აღვივებდნენ. იყვნენ ისეთნი, რომლებიც ამას სრულიად გულწრფელად აკეთებდნენ, რამდენადაც ასე სჯეროდათ. ისინი ვერ ივიწყებდნენ იმ მედროვეთა აღლუმს შევარდანაძის კომპარტიის ცეკას მდივნობის პერიოდიდან, რომელიც სხვაგვარად მოაზროვნეთა საზოგადოებას ყოველთვის აღიზიანებდა. იყვნენ ისეთებიც, რომლებიც შეგნებულად მუშაობდნენ კონფრონტაციის გაღვივებაზე, ანუ ცეცხლზე წყლის ნაცვლად ნავთის დამსხმელები.

15 მაისს გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელში" გამოქვეყნდა „საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდის" პოლიტიკური კონცეფცია. იგი მიზანშეუწონლად და არარეალისტურად თვლიდა ეროვნული დაუმორჩილებლობის იდეას არაერთი ფაქტორის გამო – მოსახლეობის ეთნიკური სიჭრელე, მოსახლეობის არცთუ მცირე ნაწილში გამჯდარი მომხვეჭელობა და კონფორმიზმი და ბოლოს იმპერიული მმართველობის სიძლიერე და საოკუპაციო არმიის ყოფნა საქართველოს ტერიტორიაზე. როგორც გამოსავალს, ეს კონცეფცია საქართველოს მოსახლეობას სთავაზობდა უმაღლესი არჩევითი ორგანოს შექმნას, რომელიც იქნებოდა მოსახლეობის ნების გამომხატველი. ეს კი უნდა შექმნილიყო „საყოველთაო, მრავალპარტიული, შეუზღუდავი, დემოკრატიული არჩევნების" შედეგად. არაოფიციალური არჩევნების გზით არჩეულ ორგანოს (მაგალითად, „ეროვნულ კონგრესს") არც ცნობდა საერთაშორისო სამართალი. ამიტომაც შესაბამისი ორგანო უნდა არჩეულიყო ოფიციალური არჩევნების შედეგად. საამისოდ კი საქართველოში უნდა შექმნილიყო შესაბამისი პოლიტიკური სიტუაცია. მიზანი იყო დამოუკიდებლობის გამოცხადება, რომელიც შესაძლებელი გახდებოდა 3 პირობის შესრულების შემდეგ: 1. საქართველოს უნდა მიეღო ახალი პოლიტიკური სტატუსი, შეეცვალა სახელი, ანუ აღარ უნდა რქმეოდა საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახელი; 2. უნდა შეჩერებულიყო საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის მოქმედება რესპუბლიკის ტერიტორიაზე; 3. უნდა გამოცხადებულიყო გარდამავალი პერიოდი, როდესაც ქვეყანას გარდამავალი პერიოდის დროებითი მთავრობა მართავდა. ვიდრე ეს ყოველივე გაკეთდებოდა, მანამდე მოსახლეობას თავისი ნება უნდა გამოეხატა ერთადერთ, არასაბჭოურ, საყოველთაო, დემოკრატიულ არჩევნებში.

1990 წლის ივნისში ზვიად გამსახურდიამ წერილით მიმართა პოლიტიკოსებს, რომლებიც „ეროვნულ ფორუმში" დარჩნენ – სათაური იყო „ძალაუფლებისათვის მებრძოლ 41 პოლიტიკურ პარტიას, საზოგადოებასა და კერძო პირს". წერილში, რომელშიც პრაქტიკულად ყველანაირ ბრალდებაზე პასუხია გაცემული, ვკითხულობთ: „წავიკითხე თქვენი განცხადება „მრგვალი მაგიდის" კონცეფციასთან დაკავშირებით და მსურს დაგისვათ რამდენიმე შეკითხვა და

გიპასუხოთ უსაფუძვლო ბრალდებებზე. თქვენ ეკამათებით ჩვენს პოლიტიკურ კონცეფციას და ამასთან აშკარად აღშფოთებულნი ხართ იმით, რომ მე მოხსენიებული ვარ, როგორც „მრგვალი მაგიდის“ სპიკერი, რის გამოც მიწოდებთ „ახალგამომცხვარ დიქტატორს“. განსაცვიფრებელია ის, რომ სიტყვა „სპიკერი“ თქვენს ცნობიერებაში გაიგივებულია სიტყვა „დიქტატორთან“, რაც, ჩემი აზრით, უნდა იყოს არა ტერმინოლოგიური უმეცრების შედეგი, არამედ შეგნებული ცდა საზოგადოების დეზინფორმირებისა. ნება მიბოძეთ, გკითხოთ: ა. წ. 15-19 მარტს ჩატარებულ ეროვნული მოძრაობის საგანგებო კონფერენციაზე განა თქვენ თავად არ ამირჩიეთ სპიკერად? განა ასეთად არ ვითვლებოდი კონფერენციის მთელი მუშაობის მანძილზე? რად არ მიწოდებდით იმჟამად დიქტატორს? ან როგორ ვიქეცი დიქტატორად სულ რაღაც ორ თვეში? ან იქნებ ვინმემ გიკარნახათ ჩემთვის ამგვარი „ტიტულის“ ბოძება? თანაც თქვენ თითქოს არ იცით, რომ „მრგვალ მაგიდას“ სხვა სპიკერებიც ჰყავს და რომ ა. წ. 15 მაისის სხდომაზე სპიკერი იყო ვ. ბახტაძე, 18 მაისის სხდომაზე – თ. ჟორჟოლიანი. როგორ, ნუთუ ესენიც დიქტატორები არიან? მაგრამ აქ საქმის ვითარება სხვაგვარია. ამას წინათ მოსკოვში გაიმართა ე. წ. თურქი მესხებისა და „პამიატის“ გაერთიანებული დემონსტრაცია, სადაც გამოიტანეს ლოზუნგი: „ძირს დიქტატორი გამსახურდია“. დიქტატორი კი თურმე იმის გამო ვარ, რომ წინააღმდეგობას ვუწევ ნახევარი მილიონი თურქის ჩამოსახლებას საქართველოში, რასაც მოითხოვს კრემლი და, სხვათა შორის, თქვენი „საკოორდინაციო საბჭოს“ ზოგიერთი წევრი ორგანიზაციაც. საინტერესოა, რას მივაწეროთ ტერმინების ეს ღირსშესანიშნავი დამთხვევა? ან სად შევაპარეთ ჩვენს კონცეფციაში „ძლიერი ხელის“ საჭიროება? ასეთი აზრი იყო სწორედ თქვენ მიერ განცხადებაში, რომელიც ამას წინათ გამოაქვეყნეთ „ახალგაზრდა ივერიელში“. აქაოდა, ეროვნულ მოძრაობას ხელმძღვანელობა არა ჰყავს, მას ძლიერი ხელმძღვანელობა ესაჭიროებაო. რაც შეეხება დიქტატორს, აქ კიდევ ერთხელ უნდა შეგახსენოთ: „ფორუმიდან“ თავდაპირველად სწორედ იმის გამო გავედი პიროვნულად, რომ არ მომეწონა ზოგიერთი თქვენგანის ქცევა და, ნაცვლად იმისა, მკაცრი მომთხოვნელობა გამომეჩინა, ავირჩიე სწორედ ყველაზე უფრო დემოკრატიული ფორმა პროტესტისა და განგერიდეთ. ჩვენი პოლიტიკური კონცეფციის გაყალბების ცდაზე ცალკე წერილში გაგცემთ პასუხს „მრგვალი მაგიდის“ ორგანიზაციები, ამიტომ აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებ. რაც შეეხება ჩემს „ახლადგამომცხვარობას“, ამას ნამდვილად არავინ დაგიჯერებთ არც საქართველოში, არც მის ფარგლებს გარეთ. ახლა თურმე იმასაც უარჰყოფთ, რასაც წლების მანძილზე გაჰყვიროდით ყოველ მიტინგზე: ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ ჯერ კიდევ 50-იან წლებში დაიწყესო ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა, ახლა კი თურმე „ახლად გამომცხვარიც“ გავმხდარვარ. საოცარია, თქვენი შეხედულებების ესოდენ ელვისებური ტრანსფორმაცია. თუმც რა უნდა მიკვირდეს „პერესტროიკის“ შემდეგ მართლაც, რომ ახლად გამომცხვარი, ახლად გამოჩეკილი ორგანიზაციებისაგან, რომელთაც ჰყოფნით კადნიერება „ეროვნულ მოძ-

რაობაში ჩაბმულ ძალთა აბსოლუტურ უმრავლესობად" გამოაცხადონ თავი, რაოდენობრივი პრინციპი თვისობრივზე მაღლა დააყენონ (ფრჩხილებს აღარ ვხსნი) და ჩვენ „ეროვნული მოძრაობის უმნიშვნელო ნაწილი" გვიწოდონ! თუმცა, მოდით, ერს მივანდოთ უახლოეს ხანში ყოველივე ამის განსჯა და ახლა გადავიდეთ იმ სასამართლოზე, რომლის მოწყობასაც, თურმე, მიპირებთ და რაც ამ განცხადებაშიც წამოგცდათ: „იგი ან ნებისმიერი სხვა პირი, თუ არ დაამტკიცებს „ფორუმის" წევრთა უზნეობას, ტერორისტობას თუ კორუმპირებულობას, „ეროვნულ ფორუმში" გაერთიანებული პირები და ორგანიზაციები მოითხოვენ ამ ბრალდების დამტკიცებას, წინააღმდეგ შემთხვევაში ზ. გამსახურდიას დაეკისრება მორალურ-პოლიტიკური პასუხისმგებლობა ამ ცილისწამებათა გამო". ამასთან დაკავშირებით ჩვენ წერილობით განმარტებას არ გამოვაქვეყნებთ, რადგან მაშინვე ასტეხთ ყიჟინას: არიქა, ოფიციოზს უხსნიანო ხელს ჩვენი რეპრესიებისთვის! მაგრამ რახან ესოდენ გაკადნიერდით, ჩვენ უახლოეს ხანში მოგვიწევს ერთად შეკრება, ამ შეკრებას დაესწრებიან დასავლეთის მოღვაწენი და ჟურნალისტები, რომელთა თანდასწრებით სათანადო დოკუმენტებითა და მოწმეებით დაგიმტკიცებთ ყოველივე იმას, რასაც თქვენ უარყოფთ. უფალი და ერი იყოს ჩვენი მსაჯული!"[347]

ამავე პერიოდში გიორგი ჭანტურია მიუნხენში მყოფ თენგიზ გუდავას წერდა შექმნილ სიტუაციაზე, რომელიც მას არცთუ იმდენად დრამატული ეჩვენებოდა. დამაფიქრებელია ეს ფრაზა აღნიშნული წერილიდან: „ყოველივე ამის წყალობით ინტელიგენცია იღვიძებს, ჩვენ სასარგებლოდ და ჩვენ გვერდით დგება. მოკლედ, ვფიქრობ, რომ ზვიადის პრობლემას ჩვენ ძალიან მალე გადავწყვეტთ, ამისათვის, პრაქტიკულად, უკვე ყველაფერი გაკეთებულია. დაგვრჩა ბოლო დარტყმის მიყენება და სულ მალე ზვიადი, როგორც პრობლემა, აღარ იქნება" (იხ. გაზეთი „იბერია-სპექტრი").[348] აქ გ. ჭანტურიამ ერთი რამ ვერ განჭვრიტა: ზვიად გამსახურდია, ვიდრე მის საკითხს „გადაწყვეტდნენ" – და ჭანტურიას ამ საქმეში მხოლოდ გამოიყენებდნენ, როგორც სადღაც სხვაგან შედგენილი გეგმების ინსტრუმენტს – ამასობაში ქვეყნის ისტორიას დაწერდა.

3.18. გუმბარიძის კომუნისტური რეჟიმის ბოლო გაბრძოლება

მოსაზრება, თითქოს გუმბარიძის რეჟიმმა უბრძოლველად დათმო ყველაფერი და ხავერდოვანი გზა გაუმზადა „მრგვალ მაგიდას" ხელისუფლებაში მოსასვლელად, სიმართლეს არ შეესაბამება. ზვიად გამსახურდია წერს, რომ 1990 წლის ზაფხულში ბრძოლა კომუნისტურ ხელისუფლებასთან გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. იგი აღნიშნავდა განსაკუთრებით ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა და მისი ლიდერის, გიორგი ჭანტურიას აქტიურობას. მან ზვიადი შევარდნაძის აგენტად გამოაცხადა და წამოსწიაო ლოზუნგი – „ძირს გამსახურდია-შევარდნაძის ალიანსი!". სწორედ ამ ლოზუნგებით აწყობდა იგი პიკეტებ-

სა და აქციებს „მრგვალი მაგიდის“ წინააღმდეგ. თუმცა, როგორც შემდგომში გაირკვა, და ამის შესახებ ზვიადის „ჩანაწერებშიც“ ვკითხულობთ, იგი თავად იყო დაკავშირებული მოსკოვში მყოფ შევარდნაძესთან, რომელსაც საიდუმლოდ შეხვდა და მოგვიანებით ამაზე უკვე ღიად საუბრობდა. შევარდნაძემ დაახ ფინანსა მისი ვიზიტები საზღვარგარეთ, რაც მიზნად ისახავდა საქართველოში შექმნილი სურათის ფალსიფიცირებას და ზვიადის დისკრედიტაციას მსოფლიო საზოგადოების თვალშიო. ასე მაგალითად, 1990 წლის ზაფხულში მან პრაღაში მოახერხა სსრკ-დან ემიგრირებული დისიდენტების კონფერენციის ორგანიზება. ამ კონფერენციაზე ჩამოვიდნენ, მაგალითად, ვ. ბუკოვსკი, ა. კორიაგინი, ი. რატუშინსკაია და სხვები. პრაღაში შექმნეს რეზოლუცია, რომელშიც ზვიად გამსახურდია გაკიცხული იყო, როგორც „ნაციონალისტი“, როგორც საქართველოს ეროვნული უმცირესობების მტერი, ფალსიფიცირებული ფაქტების საფუძველზე. ჭანტურიას ეხმარებოდნენ ძმები გუდავები, ყოფილი პოლიტპატიმრები, რომლებიც ასევე გადაიბირა შევარდნაძემ, ვადამდე გაათავისუფლა რა პატიმრობიდან და „მიავლინა“ აშშ-ში ზვიადის წინააღმდეგ საბრძოლველად და დეზინფორმაციების გასავრცელებლად.[349]

ამ „ჩანაწერებში“ ნახსენები კონფერენცია პრაღაში ჩატარდა 1990 წლის 4-6 ივლისს. იგი გახსნა პრეზიდენტმა ვაცლავ ჰაველმა. 24-ე რეზოლუციაში თავიდან ნახსენები იყო ეთნიკური კონფლიქტები საბჭოთა რესპუბლიკებში და ხაზგასმული იყო მათი დამაზიანებელი გავლენა დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის საქმეში. შემდეგ ეწერა: „ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება ჩვენი შეშფოთება არ გამოიწვიოს იმ ფაქტმა, რომ საქართველოს ეროვნულ მოძრაობაში გამოიკვეთა ცალკეულ პირთა და ორგანიზაციების ჯგუფი, რომელიც დგას ეროვნული შეუწყნარებლობის, ანტიდემოკრატიზმის და ეთნიკური საკითხის ძალისმიერად გადაწყვეტის პოზიციებზე. იმ ალიანსის მოღვაწეობა, რომელსაც სათავეში უდგას გამსახურდია, ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ნორმებს, რომლებიც ფორმულირებულია ჰელსინკის თათბირის 341 დასკვნით აქტში. ლოკალურ მიტინგებზე გამოსვლისას ზვიად გამსახურდია გამუდმებით წამოსწევს საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების გასახლების ლოზუნგს, რითიც ამ უკანასკნელთ აქეზებს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ“. შემდეგ რეზოლუციის ტექსტში შექებული იყო ეროვნული ფორუმი და საქართველოს ეროვნული მოძრაობის საკოორდინაციო ცენტრი, რომელთაც საქართველოს ეროვნული ყრილობის მუშაობაში ჩართეს საქართველოს ყველა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი. ეს ძალისხმევა გამოიხატებოდა იდეაში, საქართველოში ჩატარებულიყო „ეროვნული კონგრესის“ დემოკრატიული არჩევნები. რეზოლუციას ხელს აწერდნენ: პარუირ აირიკიანი, ირინა რატუშინსკაია, იაკოვ სუსლენსკი, იოსიფ ზისელსი, თენგიზ გუდავა, ედუარდ გუდავა, ანატოლი შჩიბიკო, ოლენა პროცივი, პეტრო რუბანი, იგორ გერაშჩენკო, დობროსლავ ბარაგა, გიორგი ჭანტურია, აიშე სეიტმურატოვა, არვო ვალტონი, ვიტაუტას სკუოდისი, აშოტ ნაზარიანი,

კარენ აგულიანი, ჰეიკი აჰონენი, ნიკოლაე ლუპანი, ანნა ლუპაკი, ვლადიმირ ბუკოვსკი, იური იარიმ-აგაევი, ტოფიკ გასიმოვი, არაზ ალი-ზადე, იანის როზკალნსი, კარენ სიმონიანი, პეტრას ვაიტეკუნასი, ალექსანდრ პოდრაბინეკი, ანატოლი კორიაგინი.[350] პრაღის რეზოლუციის შემდეგ თბილისში ჩატარდა საკმაოდ მრავალრიცხოვანი საპროტესტო მიტინგი, სადაც მონაწილეებმა დაგმეს სიცრუისა და დეზინფორმაციის გავრცელება საზღვარგარეთ, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, საქართველოსთვის იქნებოდა საზიანო.

საქართველოში ზაფხულის დასაწყისი პოლიტიკურად საკმაოდ „ცხელი" გამოდგა. ივნისის პირველივე დღეს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შიმშილობა გამოაცხადა ხუთმა სტუდენტმა, რომლებიც მანამდე ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის აქციებში იყვნენ ჩართულები. ესენი იყვნენ ემზარ გოგუაძე, ნუგზარ წიკლაური, სოსო გოლიაძე, ჯურხა ჯაფარიძე და გაგა არაბული. შიმშილობის მოთხოვნა იყო არასაბჭოური და დემოკრატიული არჩევნების დანიშვნა ისეთი კანონმდებლობით, რომელიც მრავალპარტიულობას რეალურად დაუშვებდა. როგორც ახალგაზრდა აქტივისტები ამბობდნენ, ეს აქცია მათ იმის გამო დაიწყეს, რომ მოიპოვეს ინფორმაცია იმ შიმშილობის გეგმაზე, რომელიც ცენტრალური კომიტეტიდან და სუკ-იდან მართულ სტუდენტებს უნდა დაეწყოთ ასევე უნივერსიტეტში. მათი მოთხოვნა კი უნდა ყოფილიყო მიმართული საქართველოს სსრ-ის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმისადმი და ის გულისხმობდა დამოუკიდებლობის გამოცხადებას. ნიკოლას გორჯესტანი თავის წიგნში ზვიად გამსახურდიას შესახებ აღნიშნავს, რომ სტუდენტებმა ეს შიმშილობა დაიწყეს თავიდანვე დამოუკიდებლობის მოთხოვნით, ხოლო ზვიად გამსახურდიასთან საუბრის შემდეგ, რომელმაც მხარდაჭერა აღუთქვა, მათ მოთხოვნა შეცვალეს და მოითხოვეს მრავალპარტიული არჩევნების დანიშვნა.[351]

ნ. გორჯესტანის ეს ვერსია შესწორებასა და დაზუსტებას საჭიროებს, რამდენადაც სტუდენტებმა აქცია თავიდანვე არჩევნების მოთხოვნით დაიწყეს. რაში ესაჭიროებოდა ცენტრალურ კომიტეტს გივი გუმბარიძის ხელმძღვანელობით ასეთი ნაბიჯი? აქ სავარაუდოა ორი ფაქტორი: 1. გამოვიდოდა, რომ დამოუკიდებლობას აცხადებდა საქართველოს სსრ-ის კომუნისტებით დომინირებული უზენაესი საბჭო, რომელიც დემოკრატიულ ლეგიტიმურობას მოკლებული ორგანო იყო; 2. ასეთ უზენაეს საბჭოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ შეეძლო უკვე ისეთი ნაბიჯების გადადგმა, რომელსაც წინასწარ ვერავინ გათვლიდა. ცხადია, იგი მოსკოვსა და იმპერიის ცენტრს რეალურად ვერასდროს მოწყდებოდა და ყოველთვის მის ორბიტაზე დარჩებოდა, მაგრამ ფორმალურად ცენტრსაც ვეღარავინ წაუყენებდა რაიმე მოთხოვნას – ისინი მას თავიდან აირიდებდნენ და განაცხადებდნენ, რესპუბლიკური ორგანოს კომპეტენციაში ვეღარ ჩავერევითო. მათ, ასევე, თავისუფლად შეეძლოთ რაიმე კონფედერაციული ტიპის ხელშეკრულების გაფორმება იმპერიის ცენტრალურ ორგანოებთან; 3. „ეროვნული ფორუმი", როგორც „ეროვნული კონგრესის" არჩევნების მომამზადებელი ორგანო ასეთ ნაბიჯზე დაუყოვნებლივ გააკეთებდა

რადიკალურ განცხადებას, რომ არალეგიტიმურმა კომუნისტურმა ორგანომ გამოაცხადა დამოუკიდებლობა, რაც ფიქციაიაო. რომ დამოუკიდებლობის გამოცხადება ამ ეტაპზე მხოლოდ კრემლსა და კომუნისტებს აწყობთ. და ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს, მთელ ხმაზე იყვირებდნენ ფორუმის წარმომადგენლები, თუ რამდენად სწორი გზა ჰქონდა არჩეული „ფორუმს“ – ეროვნული დაუმორჩილებლობის გზა იქამდე, ვიდრე არ მოხდებოდა ქვეყნის სრული დეოკუპაციაო.

გივი გუმბარიძემ პრორექტორ ვახტანგ გოგუაძის საშუალებით სცადა ზემოქმედება მოეხდინა მოშიმშილეებზე, მაგრამ უშედეგოდ. მათი სურვილი იყო, მოშიმშილეებს შეეცვალათ მოთხოვნა და გუმბარიძის უზენაესი საბჭოსგან მოეთხოვათ დამოუკიდებლობის გამოცხადება. წინაპირობები შემზადებული ჰქონდათ – ამავე საბჭომ ერთი წლით ადრე ხომ ოკუპაციად გამოაცხადა 1921 წლის 25 თებერვალი. შიმშილობის მესამე დღიდან ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და „მრგვალი მაგიდის“ აქტივისტები, პრაქტიკულად, ყოველდღე მოდიოდნენ უნივერსიტეტში, ბაღში ეწყობოდა საინფორმაციო მიტინგები, ხოლო სააქტო დარბაზში მიდიოდა მსჯელობა მომავალ ნაბიჯებზე. შიმშილობის მეთერთმეტე თუ მეთორმეტე დღეს ხუთიდან ოთხი მოშიმშილე საავადმყოფოში გადაიყვანეს. აქცია შეწყდა მას შემდეგ, რაც გივი გუმბარიძემ 8 ივნისს დადო პირობა, რომ მოწვეული იქნებოდა უზენაესი საბჭოს სესია. ამასთანავე, დაანონსდა ერთობლივი კომისიის შექმნა, რომელშიც ხელისუფლებასთან ერთად მონაწილეობას მიიღებდა როგორც „მრგვალი მაგიდა“, ისე რამდენიმე ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი. ამ მოლაპარაკებებში ჩაერთვნენ ასევე დას-ის წარმომადგენლები – იურისტები რევაზ შავიშვილი და ვახტანგ ხმალაძე. მათ უკვე ნამუშევარი ჰქონდათ ამ მიმართულებით და მომზადებული ჰქონდათ გარკვეული პროექტები (აბრევიატურა დას-ი იშიფრებოდა როგორც დემოკრატიული არჩევნები საქართველოში).

ამ მოლაპარაკებებზე საუბარი მიდიოდა პარტიების რეგისტრაციის წესსა და დამოუკიდებელი საარჩევნო კომისიის შექმნაზე, არჩევნების ტიპზე, დეპუტატების საერთო რაოდენობაზე, ასევე, ვინ შეიძლებოდა ჩათვლილიყო ამომრჩევლად. „მრგვალი მაგიდის“ წარმომადგენელთა პოზიცია იყო: 1. პარტიების რეგისტრაცია უნდა მოეხდინა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, რომელიც ახლა უნდა შექმნილიყო, რამდენადაც საქართველოს სსრ ასეთ ორგანიზაციას არ იცნობდა – მას არასდროს უარსებია აქ. თავისუფალი და მრავალპარტიული არჩევნებიც უკანასკნელად ჩატარდა 1919 წლის 14-17 თებერვალს, საქართველოს პირველ, დამოუკიდებელ რესპუბლიკაში, როდესაც აირჩიეს დამფუძნებელი კრება. ხოლო 1921 წლის 25 თებერვლის შემდეგ ყველა არჩევნები ერთპარტიული იყო. რაც შეეხება დამოუკიდებელ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, მისი ხუთი წევრი დაინიშნებოდა კომპარტიის მიერ, ხოლო თითო – არჩევნებში მონაწილე სხვადასხვა პარტიებისგან; 2. დეპუტატების რაოდენობა უნდა ყოფილიყო 150, აქედან ყველა არჩეული უნდა ყოფილიყო პროპორციული არჩევნებით, ანუ დარეგისტრირებული პარტიული სიებით. მოგვიანებით „მრგვალმა

მაგიდამ“ ეს პროექტი შეცვალა და დეპუტატების რაოდენობა ორას ერთამდე გაზარდა, ხოლო არჩევნები შერეული წესით უნდა გამართულიყო, ანუ ერთი ნაწილი პროპორციული წესით, მეორე ნაწილი კი მაჟორიტარული წესით ყოფილიყო არჩეული; 3. ამომრჩევლად ჩაითვლებოდა საქართველოში მცხოვრები ყველა ზრდასრული მოქალაქე, გარდა საბჭოთა არმიის სამხედრო მოსამსახურეებისა და მათი ოჯახის წევრებისა.[352]

მოლაპარაკებები ერთხანს გარკვეული წარმატებით მიდიოდა, თუმცა ივლისის დასაწყისში ისინი შეწყდა კომუნისტური ხელისუფლების მხრიდან გარკვეული კონსენსუსის მიღწევის სურვილის არქონის გამო. ამ ობსტრუქციიდან აშკარა გახდა, რომ ისინი არჩევნების ჩატარებას ისევ ძველი, კარგად ნაცნობი და აპრობირებული სისტემით ფიქრობდნენ. „მრგვალი მაგიდის“ პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა ამაზე საკმაოდ მწვავე და მყისიერი რეაგირება მოახდინეს. მათ მთელ საქართველოში გაფიცვისკენ მოუწოდეს მოსახლეობას, ხოლო პარტიული აქტივები პრაქტიკულად ყველგან მობილიზებულ იქნა. ძალიან მალე 900-მდე სასოფლო თემში, კულტურის სახლში, სოფსაბჭოს შენობასთან ან რომელიმე სხვა გამოსაჩენ ადგილას დასხდნენ მოშიმშილეები, გაიშალა კარვები. იგივე სურათი იყო ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებშიც, მიუხედავად იმისა, რომ ეს იმ დროს ადამიანებს დიდად არც აკვირვებდათ – რამდენადაც 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ ასეთი სურათები საკმაოდ ხშირი იყო. საბოლოოდ ყველაფერი დაგვირგვინდა სამტრედიის აქციით, რომელიც გაიმართა სარკინიგზო ხაზზე, 26-31 ივლისს. „წმინდა ილია მართლისა“ და „ჰელსინკის კავშირის“ აქტივისტებმა გადაკეტეს რკინიგზის ხაზი. აქციას უძღვებოდა „მრგვალი მაგიდის“ პოლიტიკური ორგანიზაციების ახალგაზრდა აქტივისტი ზვიად ძიძიგური. მოთხოვნა აქაც იგივე იყო – დემოკრატიული და მრავალპარტიული არჩევნების დანიშვნა.

ზვიად გამსახურდია წერს, რომ აქციას მოყვა რკინიგზელთა გაფიცვაც, გაჩერდა ასობით სატვირთო და სამგზავრო შემადგენლობა, მოხდა კავკასიის რკინიგზის ნაწილობრივი პარალიზება.[353] აქ საინტერესო მომენტი ის არის, რომ ის სატვირთო შემადგენლობები, რომლებიც მხოლოდ საქართველოს მომარაგებისთვის იყო განკუთვნილი, მოპიკეტეებმა გაატარეს. გაჩერდა აზერბაიჯანის შემადგენლობები (ისინი, რომლებიც ჩრდილოეთ კავკასიის ხაზით არ გადაადგილდებოდნენ) და სომხეთში მიმავალი ყველა შემადგენლობა. ხელისუფლება ლამის ისტერიკაში ჩავარდაო, განაგრძობს ზვიად გამსახურდია თავის „ჩანაწერებში“, ისინი ჩვენ ბრალს გვდებდნენ საბოტაჟში, მოსახლეობას ემუქრებოდნენ შიმშილითა და საწვავის უკმარისობით, რამდენადაც ბევრი რამ რუსეთის ფედერაციიდან სწორედ რკინიგზის საშუალებით შემოდიოდაო. ასევე შეფერხდა ტვირთების გადაზიდვა შავი ზღვის პორტებისკენ, ბათუმისა და ფოთისკენ, რამაც შეაშფოთა მოსკოვი. ამავე დროს, მოსკოვმაც ვერ გაბედა თავის თავზე აეღო მოპიკეტეების ძალით გარეკვა იქიდან, რამდენადაც 9 აპრილის გაკვეთილი მწარედ ახსოვდა.[354]

ხელისუფლებამ თავიდან დაბალი რანგის თანამდებობის პირები გაგზავნა მოლაპარაკებებისთვის, რომლებიც ცდილობდნენ დაეყოლიებინათ მოშიმშილეები, რათა შეეწყვიტათ ეს მჯდომარე აქცია და ამდგარიყვნენ, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. ამასობაში, ზვიად გამსახურდიას პირადად დაუკავშირდა სსრკ-ის შინაგან საქმეთა მინისტრი, გენერალი ვადიმ ბაკატინი, რომელმაც საკუთარ თავზე აიღო შუამავლობა გივი გუმბარიძის ცენტრალურ კომიტეტსა და ზვიად გამსახურდიას შორის. საინტერესოა, რომ ვადიმ ბაკატინი 1990 წლის პირველ დეკემბერს გაათავისუფლეს პოსტიდან რეაქციული და პროიმპერიულად განწყობილი ჯგუფის, „სოიუზის“ ინიციატივით. მათ თვალში ბაკატინი სცოდავდა, რამდენადაც მხარს უჭერდა მოკავშირე რესპუბლიკებში ადგილობრივი შინაგან საქმეთა სამინისტროებისთვის მეტი თავისუფლების მინიჭებას. გენერალ ბაკატინის შუამავლობას შედეგი მოჰყვა – გივი გუმბარიძე დათანხმდა მოლაპარაკებების გაგრძელებას. ეს კი უკვე ნიშნავდა, ბოლოს და ბოლოს, სესიის დანიშვნასა და მოლაპარაკებული საკითხების მასზე გატანას. სესია 19 აგვისტოს დაინიშნა.

19 აგვისტოს ათასობით მომიტინგე შეიკრიბა მთავრობის სასახლესთან. რუსთაველის პროსპექტი გადაიკეტა. ძირითადი ლოზუნგები იყო – „ვითხოვთ თავისუფალ არჩევნებს“ და „საქართველოს დამოუკიდებლობა.“ ამასთანავე ხალხი სკანდირებდა 201-ს, რაც ნიშნავდა ახალ პარლამენტში 201 სადეპუტატო მანდატის დაშვებას. კომუნისტებს კი, გუმბარიძის თაოსნობით, სურდათ 301 დეპუტატი. ზვიად გამსახურდიას „ჩანაწერების“ მიხედვით, სესიაზე კომუნისტებმა კიდევ ერთხელ სცადეს ჩაეშალათ არჩევნების დანიშვნა. მაშინ ჩვენ, ოპოზიციის წარმომადგენლობა, ვიმყოფებოდით რა დარბაზში სტუმრების სტატუსით, გარეთ გამოვედით და ხალხს მივმართეთ, რომ კომუნისტებმა კიდევ ერთხელ სცადეს ჩვენი მოტყუება. ამიტომაც მოვუწოდეთ ეროვნული დაუმორჩილებლობისა და პერმანენტული მიტინგებისკენო, – ვკითხულობთ „ჩანაწერებში“. ზვიად გამსახურდიას გარდა, სიტყვით გამოვიდნენ თემურ ქორიძე, ავთანდილ რცხილაძე და „მრგვალი მაგიდის“ სხვა აქტივისტები. მოლაპარაკებები გაგრძელდა, ხოლო სესიის მიმდინარეობისას რამდენიმეჯერ შესვენება გამოაცხადეს.

გივი გუმბარიძე აშკარად არ ავლენდა კომპრომისისთვის მზაობას, ვინაიდან მას სურდა ამ მოლაპარაკებების ჩაშლა და იმის ჩვენება, რომ ეროვნული მოძრაობის სამოქმედო ტაქტიკა მხოლოდ სწორხაზოვან დესტრუქციასა და დაპირისპირებას გულისხმობდა, რომ მას არ შეეძლო რაიმე პოლიტიკური ნაბიჯის გადადგმა. სრულიად მოულოდნელად ზვიად გამსახურდია შემოვიდა კომპრომისული წინადადებით – არც 201 და არც 301, თანახმა ვართ 250 დეპუტატზეო. ამაზე ხელისუფლების წარმომადგენლები სერიოზულად დაფიქრდნენ და აქ უკვე აშკარად გამოხატეს უკმაყოფილება გუმბარიძის მისამართით – ისინი თუ მოდიან ამ კომპრომისზე, ჩვენ რატომ არ უნდა გადავდგათ შემხვედრი ნაბიჯები? ნუთუ იქით მიგყავს საქმე, რომ მომიტინგეები უნდა შემოიჭრნენ მთავრო-

ბის სასახლეში? მიტინგზე მართლაც გაისმოდა შეძახილები, რომ მთავრობის სასახლის ყველა გასასვლელის ბლოკირება მოეხდინათ. გუმბარიძე მიხვდა, რომ სიტუაციაზე კონტროლი ხელიდან ეცლებოდა. „ახლა დავრწმუნდი, ზვიად, რომ შენ ნამდვილად შევარდნაძესთან ხარ შეკრული", – უთხრა მას, – „ეს ამბავი სხვანაირად აბა, როგორ იქნება". გუმბარიძემ, ფაქტობრივად, გაიმეორა გია ჭანტურიასა და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცნობილი სლოგანი ამ ალიანსზე. ამაზე ზვიად გამსახურდიამ ღიმილით უპასუხა, შენ თუ ამას ხედავ და კიდევ მე მიპირისპირდები, ნამდვილად დიდ სისულელეში შეგიტოპავსო. გუმბარიძისთვის ცხადი გახდა, რომ დათმობა მოუწევდა.

ამის შემდეგ სესია განახლდა. ზვიად გამსახურდიამ, რომელსაც ასევე მისცეს სიტყვა, სესიაზე საკმაოდ შემრიგებლური მიმართვა გააკეთა, რომელშიც ხაზი გაუსვა, რომ კონფრონტაციის გაგრძელება და ძველი მეთოდების გამოყენება ოპოზიციის მიმართ აზრს მოკლებული იქნებოდა. რომ ჩვენ ორმხრივი კომპრომისებისა და ეროვნული თანხმობის გზით ერთად უნდა ჩავატაროთ ეს არჩევნები, უნდა შევქმნათ ახალი, პლურალისტული საზოგადოება, რომელშიც ადგილი იქნება ყველა პოლიტიკური მიმდინარეობისა და პლატფორმისთვისო. ვაფრთხილებთ იმ „ცხელ თავებს" კომუნისტთა შორის, უპირისპირდებიან რა საქართველოში ეროვნული თანხმობის მიღწევას, რომ ეს ყოველივე ძალიან ცუდად მიუბრუნდებათ მათ, ვინც ვერ დაეხსნა მოძველებულ სტერეოტიპებსა და დიქტატს ძალის პოზიციებიდანო. ღამის 12 საათზე გადაწყვეტილება არჩევნებზე მიღებულ იქნა, როდესაც გამარჯვების ნიშნები ცხადად გამოიკვეთა. ნიკორწმინდელმა ეპისკოპოსმა ამბროსი ქათამაძემ, რომელიც მიტინგს ესწრებოდა, თავის გამოსვლაში ფერისცვალების დღე მიულოცა შეკრებილთ და აუწყა: გილოცავთ, მეგობრებო, დღეს დაიწყო საქართველოს ფერისცვალებაც.

3.19. არჩევნების წინა პერიოდი

როგორც კი გადაწყდა არჩევნების ჩატარება ისეთი კანონმდებლობით, რომელიც, მმართველი კომპარტიის გარდა, თავისი სერიოზული ფინანსური და ადმინისტრაციული რესურსებით, ჯერ კიდევ 400 ათასამდე წევრს რომ მოითვლიდა, არჩევნებში გამარჯვების შანსს სხვა პოლიტიკურ გაერთიანებებსაც აძლევდა, „მრგვალ მაგიდაში" დაიწყო ფიქრი ახალ ალიანსებზე. ჯერ კიდევ უნივერსიტეტში მიმდინარე აქციის დროს შეიქმნა ერთგვარი საკოორდინაციო საბჭო, რომელიც თავის სხდომებს უნივერსიტეტის პირველ კორპუსში ატარებდა. მასში ზვიად გამსახურდია და „მრგვალი მაგიდის" წევრები ხვდებოდნენ იმ ოპოზიციური ფლანგის წარმომადგენლებს, რომლებიც გარკვეულწილად თანამშრომლობდნენ „ფორუმთან", თუმცა ზვიად გამსახურდიას მიმართ პიროვნული აუტანლობით არ გამოირჩეოდნენ. ესენი იყვნენ ნოდარ ნათაძე, „სახალხო ფრონტის" თავმჯდომარე, ირაკლი შენგელაია „ეროვნული სამართლიანო-

ბის კავშირიდან", ზურაბ ჟვანია და გია ბარამიძე მწვანეთა პარტიიდან, ასევე, რევაზ შავიშვილი და ვახტანგ ხმალაძე ორგანიზაცია დას-იდან. ამ პარტიების ნაწილმა მოგვიანებით შექმნა საარჩევნო ბლოკი „თავისუფლება".

ივლისის თვეში იყო მცდელობა, შემდგარიყო დიალოგი ერთიანობის აღდგენის მიზნით თვით „ეროვნულ ფორუმში" შემავალ ეროვნული მოძრაობის რადიკალურ ფრთასთანაც კი. მხარეების პირველ შეხვედრაზე თითოეული მათგანი ათ-ათი დელეგატით იყო წარმოდგენილი. საუბარი შეეხო ძირითად სტრატეგიულ და ტაქტიკურ საკითხებს, თუმცა ამ შეხვედრას არ დასწრებიან არც გიორგი ჭანტურია, არც ზვიად გამსახურდია. შეხვედრამ, ასე თუ ისე, ნორმალურ ვითარებაში ჩაიარა, გადაწყდა, რომ მეორე შეხვედრამდე ერთმანეთზე არ გამოაქვეყნებდნენ არანაირი კონფრონტაციული შინაარსის პუბლიკაციას.[355] დაიგეგმა მეორე შეხვედრაც, თუმცა აქამდე საქმე აღარ მივიდა: „ფორუმის" მხარემ მეორე შეხვედრაზე უარი თქვა და მიზეზად მოიყვანა „მრგვალი მაგიდის" მხრიდან სიტყვის გატეხა, რამდენადაც, მათი თქმით, მანანა არჩვაძეს, ზვიად გამსახურდიას მეუღლეს, რომელიღაც გაზეთში გამოუქვეყნებია ძმები გუდავების სალანძღავი წერილი. მიუხედავად იმისა, რომ მანანა არჩვაძე არცერთ პარტიულ თანამდებობას არ იკავებდა და ფორმალურად არცერთ ორგანიზაციაში არ ყოფილა გაწევრიანებული, მისი ეს ნაბიჯი ერთმა მხარემ მაინც შეთანხმების დარღვევად ჩათვალა — „ის ხომ თქვენი ლიდერის მეუღლეა", — ითქვა ამ მხარის წარმომადგენლების მიერ.

19 აგვისტოს სესიის შემდეგ „მრგვალმა მაგიდამ" განავრცო თავისი სტრატეგია მოკავშირეების ძიებისა და პრიორიტეტულად მიიჩნია აკაკი ბაქრაძესა და „რუსთაველის საზოგადოებასთან" გარკვეული დიალოგის დაწყება. ამაში გარკვეული ლოგიკა იყო, რამდენადაც თავად აკაკი ბაქრაძის პოზიციაც იდენტური გახლდათ, იგი თავად მოუწოდებდა პარტიებს გაერთიანებისკენ. მან განაცხადა 1990 წლის 30 აგვისტოს პარტიათა და ბლოკთა შეკრებაზე, რომ არჩევნების დღისთვის ერთმანეთის პირისპირ უნდა დარჩენილიყო ორი ძალა, კომუნისტური პარტია და ეროვნული მოძრაობა; რომ პირველი რიგის ამოცანა კომუნისტური პარტიის დამარცხება და ეროვნული მოძრაობის გამარჯვება იყო, რაც, მისი თქმით, ეროვნული მოძრაობის შანსი გახლდათ.[356] ეს მოლაპარაკებები მართლაც დაიწყო და მათ წარმატებით დაგვირგვინებას თითქოს წინ არაფერი ედგა. ზვიად გამსახურდია მზად იყო აკაკი ბაქრაძისთვის პირველი ნომერი შეეთავაზებინა საარჩევნო სიაში, თუმცა მოლაპარაკებები მოულოდნელად შეწყდა. კონკრეტულად ეს საკითხი დაიხურა, თუმცა აკაკი ბაქრაძემ გარკვეული კონსულტაციების სურვილი სამომავლოდაც გამოთქვა. „რუსთაველის საზოგადოების" წევრის და, იმავდროულად, ეროვნული მოძრაობის დიდხნიანი, ჯერ კიდევ 70-იანი წლების აქტივისტის, ივ. თვალავაძის, შეფასებით „გამსახურდიასადმი დაპირისპირებულმა პარტიებმა, პარტიათა ლიდერებმა და ცალკეულმა პიროვნებებმა, უგულებელყვეს რა ქვეყნის ინტერესები, არ მისცეს აკაკი ბაქრაძესა და ზვიად გამსახურდიას საერთო საქმის გაკეთების საშუალება, დააშო-

რეს ერთმანეთს ორი დიდი მამულიშვილი, ყველაფერი იღონეს, რათა ქვეყნისთვის სასარგებლო საქმე ჩაშლილიყო და ჩაშალეს კიდეც".[357] იყო ვერსია, რომ ეს მოლაპარაკებები ჩაშალა ჯაბა იოსელიანმა, რამდენადაც აკაკი ბაქრაძესთან პირად საუბარში დაიმუქრა ზვიად გამსახურდიას ლიკვიდაციით, თუკი ეს ალიანსი შედგებოდა, თუმცა ეს უკვე სპეკულაციების სფეროა. ამ საკითხზე თავად ჯაბა იოსელიანს თავის წიგნში „სამი განზომილება" მსგავსი არაფერი უწერია.

ამასობაში „მრგვალი მაგიდის" შემადგენლობა რამდენადმე შეიცვალა. ივლისში ორგანიზაცია მის ძირითად გეზთან შეუთავსებლობის გამო დატოვა მონარქისტული პარტიის ლიდერმა თემურ ჟორჟოლიანმა, რომელიც ისევ „ფორუმს" დაუბრუნდა. მონარქისტული პარტიის წევრთა დიდი ნაწილი დარჩა „მრგვალ მაგიდაში" და შექმნა ახალი ორგანიზაცია – „ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი", რომლის თავმჯდომარედაც აკაკი ასათიანი აირჩიეს. „მრგვალი მაგიდის" ახალი წევრი გახდა ეროვნულ-ქრისტიანული პარტია ემზარ გოგუაძის ხელმძღვანელობით, ხოლო სექტემბერში მათ დაემატა ორი ახალი სუბიექტი – ერთი, ეს იყო „სახალხო ფრონტიდან" გამოყოფილი ფრაქცია „ეროვნული ფრონტი-რადიკალური კავშირი", მეორე კი – ეროვნულ-ლიბერალური პარტია. ამრიგად, „მრგვალი მაგიდის" ორგანიზაციათა რიცხვი შვიდამდე ავიდა.

სექტემბერში იყო მოლაპარაკებები ასევე ბლოკ „თავისუფლებასთან". განიხილავდნენ არჩევნებში ერთიანი საარჩევნო სიით გამოსვლის შესაძლებლობას. ზვიად გამსახურდია პირადად შეხვდა ამ ბლოკის წარმომადგენლებს. იგი მზად იყო „მრგვალი მაგიდის" სიის ნახევარი დაეთმო იმ შემთხვევაში, თუკი ეს ორი ბლოკი ერთიანი პარტიული სიით წარდგებოდა არჩევნებში. თუმცა, როდესაც შედგა რევაზ შავიშვილისა და მიხო ნანეიშვილის მორიგი შეხვედრა ზვიად გამსახურდიასთან, მოულოდნელად მიხო ნანეიშვილმა, ბლოკ „თავისუფლებაში" შემავალი ლიბერალთა პარტიის ლიდერმა, რომელსაც აშკარად არ მოსწონდა გაერთიანების იდეა, ზვიად გამსახურდიას წამოუყენა თავისი მოთხოვნა – იმისთვის, რომ ჩვენი გაერთიანება მოხდეს, საჭიროა 1978 წლის „მონანიების" გამო ჯერ საჯაროდ ბოდიში მოიხადოო. ბლოკმა „თავისუფლებამ" და მასში შემავალმა სუბიექტებმა სრული უმწეობა და აპოლიტიკურობა გამოავლინეს – საკუთარი პოზიცია ამ საკითხთან მიმართებით საერთოდ ვერ გამოხატეს. ეს რომ ასე მომხდარიყო, ნანეიშვილს თავის პარტიასთან ერთად მოუწევდა ბლოკიდან წასვლა და ეს გაერთიანება მაინც მოხდებოდა, მაგრამ მათ, როგორც ჩანს, ბლოკში ისევ ნანეიშვილის ყოფნა არჩიეს. ამიტომაც ეს მოლაპარაკებაც ჩაიშალა.

1990 წლის სექტემბერში ჩამოყალიბდა ცენტრალური საარჩევნო კომისია, რომლის თავმჯდომარედაც დაინიშნა კომუნისტი ირაკლი ჟორდანია, ხოლო მის მოადგილედ – „მრგვალი მაგიდის" წარმომადგენელი თენგიზ სიგუა, ასევე ყოფილი კომუნისტი, საქართველოს სსრ-ის მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული მეტალურგიის ინსტიტუტის დირექტორის ყოფილი მოადგილე. იგი ერთხანს „რუსთაველის საზოგადოებაშიც" იკავებდა გარკვეულ თანამდებობას. კომუნისტურ პარტიას ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ხუთი წევრის და-

ნიშვნის საშუალება მიეცა, დანარჩენ პარტიებს – თითო-თითო წევრის. საქართველოს სსრ-ის უზენაესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობის სურვილი 38-მა პოლიტიკურმა სუბიექტმა გამოთქვა, მათგან საარჩევნო კომისიამ დაარეგისტრირა 5 საარჩევნო ბლოკი და ექვსი პოლიტიკური პარტია.

ცალკე აღსანიშნავია საზოგადოება „სტალინის“ შემთხვევა, რომელიც შეიქმნა 1990 წელს. აშკარა იყო, რომ საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობამ შექმნა ეს სატელიტი ორგანიზაცია და იმედოვნებდა, რომ მისი წარმომადგენლობა ახალ პარლამენტში, სულ მცირე, 9-10 პროცენტით მაინც გაიზრდებოდა „სტალინის“ ხარჯზე. ამ საფრთხეზე რეაგირება მოახდინეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელებმა, მათ შორის, ემზარ გოგუაძემ, თეიმურაზ ლეჟავამ, ვანო ყვავილაშვილმა და სხვებმა. მათ 12 ოქტომბერს უნივერსიტეტში დაიწყეს უვადო შიმშილობის აქცია ორგანიზაცია „სტალინის“ რეგისტრაციიდან მოხსნის მოთხოვნით. უნივერსიტეტის ბაღში განახლდა მიტინგები. „მრგვალი მაგიდის“ აქტივისტები და არასაბჭოთა, დემოკრატიული არჩევნების მომხრე პროფესურის ნაწილი ისევ აქტიურად ჩაერთო პროცესებში. ემზარ გოგუაძემ, რომლის ორგანიზაციაც „მრგვალ მაგიდაში“ შედიოდა, იმჟამად განაცხადა: „საზოგადოება სტალინის“ არჩევნებში მონაწილეობა განიხილება, როგორც ბოლშევიზმის რესტავრაციის მცდელობა საქართველოში. ეს ამავე დროს მიზნად ისახავს მრავალპარტიული არჩევნების ფაქტიურად ჩაშლას, რამდენადაც მისი მონაწილეობა დისკრედიტაციას უქადის როგორც მომავალ პარლამენტს, ასევე მთელ ქართველ ერს. ჩვენი პროტესტი ემთხვევა პროკურატურის გადაწყვეტილებას ზედამხედველობის წესით სარჩელის აღძვრაზე უმაღლეს სასამართლოში, რამდენადაც ვთვლით, რომ ის სამი ორგანიზაცია, რომელზედაც აღძრულია სარჩელი, გაცილებით უხეში დარღვევის მატარებლები არიან, ვიდრე სხვა დანარჩენი, კერძოდ საზოგადოება „სტალინი“, ხელმძღვანელობს რა სკკპ-ის პროგრამისა და წესდების მუხლებით, განსაკუთრებით, იმ მუხლებით, რომელთაც შემდგომში რევიზია არ განუცდიათ, ფაქტიურად წარმოადგენს უკვე არსებული იმპერიული სტრუქტურის მქონე პარტიის ცალკე ფრაქციას. ხოლო ამგვარი ორგანიზაციები საარჩევნო კანონის მიხედვით არჩევნებში არ დაიშვება...“. [358]

16 ოქტომბერს უნივერსიტეტში გაიმართა სტუდენტთა და თანამშრომელთა საერთო კრება, მიიღეს რეზოლუცია, რომლის თანახმად, უნდა აღძრულიყო სარჩელი „საზოგადოება სტალინის“ წინააღმდეგ. „საზოგადოება სტალინი“ საქართველოს სსრ-ის უმაღლესმა სასამართლომ ოქტომბრის თვეში რეგისტრაციიდან მოხსნა. არჩევნების შემდეგ, 1990 წლის 7 დეკემბერს, ამერიკელი კორესპონდენტის, ედმუნდ სტივენსის, შეკითხვაზე, რომელიც შეეხებოდა სტალინსა და ქართველების დამოკიდებულებას მასთან, ზვიად გამსახურდიამ შემდეგი პასუხი გასცა: „არ არის გამართლებული სტალინის პიროვნებაში ხაზგასმით აღინიშნოს მისი ქართველობა. სტალინი ბოლშევიკურმა ტოტალიტარიზმმა წარმოშვა, და როდესაც იგი დიქტატორად და ტირანად იქცა, მასში უკვე

ქართული აღარაფერი იყო, როგორც ამას აღნიშნავს მისი ქალიშვილი სვეტლანა ალილუევა. მართალია, მან დიდი ტანჯვა-ვაება მოუტანა კავშირის ხალხებს, მაგრამ ყველაზე დიდი უბედურება დაატეხა თავის „მშობლიურ" საქართველოს, იმიტომ რომ მუდამ ცდილობდა დაემტკიცებინა თავისი ინტერნაციონალიზმი. მის ხსოვნას პატივს სცემს მხოლოდ საქართველოს მოსახლეობის უმნიშვნელო ნაწილი, ადამიანები, რომლებიც პოლიტიკური შეგნების დაბალ დონეზე იმყოფებიან. ეს დაამტკიცა ჩვენმა არჩევნებმაც, როდესაც არავინ არ დაუჭირა მხარი „საზოგადოება სტალინის" პრეტენზიას მონაწილეობა მიეღო არჩევნებში, და როდესაც, კანონის შესაბამისად, იგი ამოირიცხა არჩევნების მონაწილე პარტიების სიიდან".[359]

3.20. ინტერმეცო: საქართველოს სულიერი მისია და გელათის აკადემია

1990 წლის მაისი იმითაცაა საინტერესო, რომ ზეიად გამსახურდიამ წაიკითხა ორი მნიშვნელოვანი ლექცია, რაც ერთგვარი ამოსუნთქვა იყო მისთვის არჩევნებამდე. ჯერ თბილისში, 2 მაისს – „საქართველოს სულიერი მისია", ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში, ხოლო 20 მაისს, ქუთაისის ლადო მესხიშვილის თეატრის დარბაზში – „გელათის აკადემიის სულიერი იდეალები".

„იდრიარტის" ფესტივალი დაარსებულია მიჰა პოგაჩნიკის, სლოვენიელი მევიოლინის, ლექტორისა და ბიზნესექსპერტის მიერ. ეს ადამიანი დარწმუნებული იყო, რომ ხელოვნებას შეეძლო გამხდარიყო ადამიანთა შეხვედრებისა და კომუნიკაციების საფუძველი კრიზისულ ადგილებში. მისი შეხედულებით, ადამიანები ღია უნდა ყოფილიყვნენ რაღაც ახლისთვის. აქედან წარმოიშვა IDRIART-ის ფესტივალის იდეა, რომელიც ასე იშიფრება – „ხელოვნებათა საშუალებით ინტერკულტურული ურთიერთობების განვითარების ინსტიტუტი" (Institute for Development of intercultural Relations through the Arts). პოგაჩნიკმა 1981 წლიდან 180-ზე მეტი ფესტივალი და კონფერენცია ჩაატარა, საქართველოს გარდა ეს იყო ტიბეტში, სამხრეთ აფრიკაში, სარაევოში, ამაზონიაში და ა. შ. იდრიარტის ფესტივალი საქართველოში დაიწყო 1990 წლის აპრილის ბოლოს და მაისის პირველ დეკადაში დასრულდა, თუმცა იგი 1989 წელსაც ჩატარდა. ლექცია საქართველოს სულიერ მისიაზე წაკითხულ იქნა ქართულ ენაზე, თუმცა ფესტივალზე თბილისში ჩამოსულ უცხოელ სტუმრებს თარჯიმნები გერმანულად და ინგლისურად უთარგმნიდნენ ტექსტს.

ლექციაში მომხსენებელმა ისაუბრა ქართველთა ეთნოგენეზისზე. თავიდან მან კრიტიკული სულისკვეთებით აღნიშნა, რომ საბჭოთა დიქტატურის დროს, ქართული კულტურის ისტორიაში მრავალი რამ იყო მიჩქმალული, ტაბუირებული ან დამახინჯებული. ცენზურის ან ტერორის გამო ბევრი მეცნიერი და მკვლევარი ვერ გამოხატავდა საკუთარ პოზიციას, რადგან ეშინოდა ხელისუფ-

ლების, განსაკუთრებით ისეთ საკითხზე, როგორიც ქართველთა ეთნოგენეზისია. საბჭოთა დიქტატურა იოსებ სტალინის მეთაურობით უპირისპირდებოდა ისეთი დიდი მეცნიერების შრომებს, როგორებიც იყვნენ ივანე ჯავახიშვილი და ნიკო მარი. ამ ყოველივეს მიზანი იყო ქართველი ერისათვის არასრულფასოვნების კომპლექსი შთაენერგათ. ამის გამო შექმნეს მარქსისტულ-იდეოლოგიური პოსტულატი, რომ ქართველი ერი, როგორც ასეთი, ჩამოყალიბდა მეცხრამეტე საუკუნეში, როდესაც კაპიტალიზმი შემოვიდა. ზვიად გამსახურდია უპირისპირდება ამ თვალსაზრისს და ამბობს: დაუშვებელია, რომ ერს, რომელსაც ამხელა ისტორია, საკუთარი ენა და დამწერლობა აქვს, რითიც ამაყობს თითოეული ქართველი, ეუბნებოდნენ, თითქოს მას ისტორია მე-19 საუკუნემდე არ გააჩნდა. არადა, მისი ერადქმნადობის ისტორია ათასწლეულებს მოითვლის.

თუმცა იმ ათასწლეულებშიც ბევრი რამ ბუნდოვანი დარჩა, მეინსტრიმული მეცნიერების პასუხი კი არადამაკმაყოფილებელია. ქართული სამყარო კავკასიაში და ბასკური სამყარო პირენეებზე ვერ თავსდებიან ვერანაირ ენობრივ ჯგუფებში – არც ინდოევროპულში, არც სემიტურსა და არც ურალო-ალთაურში. ბუნებრივია, ისმის კითხვა, რომელი მათგანია ავტოქტონი? ზვიად გამსახურდიას ამ კითხვის პასუხად მოჰყავს გერმანელი მეცნიერისა და ფილოსოფოსის, ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტის (1767-1835), კვლევა, სადაც ეს ავტორი ბასკური ენის და პირინეის ნახევარკუნძულის უძველესი მოსახლეობის ეთნოკულტურული ვინაობის კვლევისას მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სამხრეთ ევროპის: პირინეების, იტალიის, ხმელთაშუა ზღვის კუნძულების პირველადი ავტოქტონური მოსახლეობა იყო იბერიული მოსახლეობა. მათ უწოდებენ პროტოიბერებს, რომელთაგან წარმოდგება გვიანდელი ევროპული მოსახლეობა. მეცნიერებაში მიღებულია აგრეთვე ტერმინი – „ხმელთაშუა ზღვის რასა“, იმ მოდგმის აღსანიშნავად, რომელიც იდენტურია ტერმინისა „კავკასიური რასა“. ეს იყო მონათესავე ენებისა და ეთნოკულტურული მემკვიდრეობის მქონე ხალხები, რომლებიც საკმაოდ ფართო გეოგრაფიულ არეალს მოიცავდნენ. ამავე ტიპის ეთნოკულტურული ელემენტის აღმნიშვნელი ტერმინი იყო ჰუმბოლდტის „ეუსკარო-ალაროდიული ხალხები“.

რაც შეეხება ენას, ამ მოდგმას ერთი ძირითადი ენა ჰქონდა თავისი განშტოებებით, ქართული ენაც მისი ერთ-ერთი მონათესავე ენა უნდა ყოფილიყო. ამავე კონსტექსტში ზვიად გამსახურდია განსაკუთრებით გამოყოფს პროფესორ რისმაგ გორდეზიანის გამოკვლევების როლს ჰომეროსისა და ეგეოსური სამყაროს ქართველურ ენებთან მიმართებებზე. ეს ლექცია, რასაკვირველია, ისეთი სულისკვეთებითაა წაკითხული, რომელიც სპეციფიკურად კონცეპტუალური დისიდენტობისა და არაინსტინქტური ოპოზიციონერობის წიაღში შეიძლებოდა აღმოცენებულიყო. მასში გათვალისწინებულია საბჭოთა და მსოფლიო ლინგვისტიკისა და ძველაღმოსავლური არქეოლოგიის მეინსტრიმული ავტორების თვალსაზრისები, თუმცა უფრო მეტად წამოწეულია აღნიშნული ავტორების ისეთი შეხედულებებიც, რომლებიც ახალ ეპოქაში აღარ ჩაითვალა იმდენად სა-

ინტერესოდ და მათზე მსჯელობა აღარ ყოფილა არც სამეცნიერო კონგრესებზე, არც წიგნებსა და არც სტატიებში. მაგალითად, საბჭოთა მეცნიერების იმ თაობამ, რომელიც 60-აინი წლების შუახანებიდან გამოვიდა ასპარეზზე, უარყო ნიკო მარის თეორიები „იაფეტურ“ ეთნოკულტურულ ელემენტზე, რამდენადაც ისინი მოძველებულად და სუბიექტურად ჩაითვალა. მათ ნაცვლად წამოიწია ხეთების ენაზე ფოკუსირებულმა ინდოევროპეისტიკამ – როგორც მაგალითად, ვ. ივანოვთან, ი. დიაკონოვთან, სტაროსტინთან, ასევე, ვლ. არძინბასთან გვხვდება, რომელიც ამავე სკოლის წარმომადგენელი იყო. კავკასიური ენებიდან ასეთი კვლევისთვის განსაკუთრებით აფხაზური ენა იყო საინტერესო. იყო მეორე, „ოსური“, ხაზი – იგი სათავეს იღებდა ფრანგ ჟორჟ დუმეზილთან, რომელიც ნართების ეპოსსა და შესაბამის ინდოირანულ კულტურას იკვლევდა და ყველაფერი იქიდან გამოჰყავდა.

ზვიად გამსახურდია ამ მიმართულებებს უპირისპირებდა ქართული მეცნიერების მიღწევებს – მეტადრე იმ კვლევას, რომელიც შეეხებოდა წინარექართველური ენების, ასევე, „იაფეტური“ ეთნოკულტურული ელემენტის როლსა და წვლილს როგორც ეგეოსურ სამყაროში, ისე მთელ წინააზიურ არეალზე. ამიტომაც მიუთითებდა აკადემიკოს თამაზ გამყრელიძისა და პროფესორ რისმაგ გორდეზიანის ფუნდამენტურ შრომებზე. ამ ლექციით ზვიად გამსახურდიას სურდა ხაზგასმა იმისა, რომ პროტოქართველური მოდგმის ხალხი იმავდროულად ევროპის აბორიგენი მოსახლეობა იყო, რომ მისი სამშობლო მხოლოდ საქართველოს დღევანდელი ტერიტორია და კავკასია კი არ ყოფილა, არამედ უზარმაზარი გეოგრაფიული არეალები. იგი „გაქრა“ მხოლოდ იმ გაგებით, რომ ასიმილირდა სხვა, პირობითად ინდოევროპული „ზევსის“ ნიშნით მოსული ხალხების მიერ, აბსორბირდა მათ მიერ დაარსებულ სახელმწიფოებში. გამოდის, რომ პროტოქართველები ევროპაში არსაიდან არ „მოსულან“ და არც ევროპიდან წასულან სადმე, თუნდაც კავკასიაში. თუმცა კავკასია ერთადერთი ადგილია, სადაც ამ ხალხმა თავისი ენა და კულტურა შეინარჩუნა, სახელმწიფოებრიობასთან ერთად. სურათხატოვნად პრომეთეს კავკასიონზე „მიჯაჭვულობაც“ ამასვე ნიშნავს.

ქრისტიანულ პერიოდზე მსჯელობისას ზვიად გამსახურდია აღნიშნავს, რომ შემთხვევითი არ არის საქართველოში ორი მოციქულის შემოსვლა, ანდრია პირველწოდებულისა და სვიმონ კანანელისა. ანდრია იყო პირველი მოწაფე ქრისტესი, ხოლო სვიმონ კანანელი – მისი ბოლო მოწაფე. პირველი და უკანასკნელი მოციქულები გამოხატავდნენ დასაწყისსა და დასასრულს. ძველი ბერძნები ქართველებს „გეორგოსებს“ უწოდებდნენ, რაც ნიშნავს მიწის დამმუშავებელს, მიწათმოქმედს. აქ იკვეთება ქართველი ადამიანის შრომის მიმართ სიყვარული, იმდენად, რომ მათივე ხასიათიდან, შრომისმოყვარეობიდან გამომდინარე, ასეთი სახელი შეარქვეს ბერძნებმა.

ეს ლექცია მაშინვე ითარგმნა გერმანულად, რასაც ორგანიზება გაუწია უცხო ენათა ინსტიტუტის რექტორმა, ვ. ჰუმბოლდტისა და გერმანული კულ-

ტურის დიდმა პოპულარიზატორმა, პროფესორმა გურამ რამიშვილმა. ამ ლექციის კიდევ ერთი საინტერესო ასპექტი წამოწეული აქვს მწერალ და ინტელექტუალ ირაკლი კაკაბაძეს, რომელიც თავად იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მონაწილე. იგი ამ ლექციას მაღალ შეფასებას აძლევს. მისი აზრით, ეს დოკუმენტი დაახლოებით იმავე მნიშვნელობისაა საქართველოსთვის, როგორიც თომას ჯეფერსონის მიერ დაწერილი „ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაცია“ – ამერიკის შეერთებული შტატებისთვის და ზუსტად ასახავს იმ განუმეორებელ ადგილს, რომელიც საქართველოს მთელ მსოფლიოში უნდა ეჭიროს მომავალში: „ამ დეკლარაციის მთავარი პრომეთეული მნიშვნელობა ის არის, რომ დღევანდელი ტექნოკრატიული და ფიზიოკრატიული მატერიალისტური მსოფლიო კრიზისის დროს პრაქტიკულად დავინყებულია ადამიანის შემოქმედებითი საწყისის გადამწყვეტი მნიშვნელობა კაცობრიობის პროგრესისათვის. უფრო მეტიც, დღეს „კრეატიულობა“ მიჩნეულია მეორეხარისხოვან, დამატებით ელემენტად მსოფლიო ერებსა და ადამიანებს შორის დაუნდობელი დარვინისტული „არსებობისთვის ბრძოლის“ მიმდინარეობისას.

ზვიად გამსახურდიას ამ მოხსენებაში კარგად ჩანს, რომ შემოქმედებითობის „მისტერიული ინიციაციის“ საკითხს სწორედაც რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კაცობრიობის განვითარებისა და პროგრესისათვის, რომელსაც წამყვანი როლი ჰქონდა პრეელინურ ხანაში და რომლის წყალობითაც კაცობრიობამ შემდგომშიაც მიაღწია ძალიან დიდ პროგრესს. თუმცა, მსოფლიოს დღევანდელი კრიზისის პირობებში კარგად ჩანს რომ შემოქმედებითი მიდგომის ადგილი ტექნოკრატიულმა დამოკიდებულებამ დაიკავა. ამის გამო, ჩვენ ახლა გავხდით მოწმეები მსოფლიო ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ჩიხური სიტუაციისა სადაც სხვადასხვა ელიტები ძალაუფლებისა და რესურსებისათვის უპირისპირდებიან ერთმანეთს და მათს მოქმედებებში კრეატიულობა სულ უფრო და უფრო ნაკლებად ჩანს. ზვიად გამსახურდიას ფუძემდებელ დოკუმენტში კი სწორედ ამ შემოქმედებითი გზის აღმატებულებაზეა საუბარი, რომელიც შეძლებს სწორედ რესურსებისა და ძალაუფლების უკმარისობის გადალახვას. ზვიად გამსახურდიას პოლიტიკური მოღვაწეობა და ცხოვრებაც იმის მაგალითი იყო, რომ ქართული სახელმწიფოს მისია სწორედაც რომ ამ უკმარისობის გადალახვაა და არა მისთვის ერთმანეთში ბრძოლა... მან თავისი ფუძემდებლური დოკუმენტით ზუსტად დასახა ქართული სახელმწიფოს მისია მსოფლიოში. ეს მისია, დღევანდელი პოლიტიკური მეცნიერების ენაზე რომ ვთქვათ, სწორედაც რომ „ნამცხვრის გაფართოებას“ ემსახურება, რაც თავისთავად ნებისმიერი პოლიტიკურ-ეკონომიკური კრიზისის გადალახვის შესაძლებლობაა. დღევანდელი ტექნოკრატიული სამყაროს მიერ კერპის ხარისხში აყვანილი მატერიალისტური „წარმატების“ კულტი აგრეთვე არის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა დღევანდელ წინააღმდეგობებით სავსე მსოფლიოში და ამ წინააღმდეგობების გადალახვას სჭირდება სწორედ ის სულიერი შემოქმედებითი მიდგომა, რაზეც ლაპარაკია „საქართველოს სულიერ მისიაში“. შემოქმედებითი მიდგომის ზეობა

ტექნოკრატიულ-ბიოპოლიტიკურ მიდგომაზე – ეს არის სწორედ მთავარი გასაღები საქართველოსა და მთელი კაცობრიობის ცხოვრებაში".[360]

თუკი ირაკლი კაკაბაძის აღნიშნული ციტატის აზრს გავყვებით, დავინახავთ, რომ „საქართველოს სულიერი მისია" არის ერთგვარი გაგრძელება კონცეპტუალური წერილისა – „კაცობრიობა დილემის წინაშე", რომელიც ზვიად გამსახურდიამ დაწერა დისიდენტური მოღვაწეობის დასაწყისში და აკადემიკოს სახაროვს გაუგზავნა. თუმცა ფიზიოკრატები, მსოფლიო ბიოპოლიტიკის ადეპტებისთვის, ასევე, მათი რეგიონალური მენეჯერ-პროპაგანდისტებისთვის მსგავსი აზროვნება მიუღებელია. ამ ტიპის ადამიანები დასავლეთსა და აღმოსავლეთშიც პოლიტიკის ყველა დონეზე არიან წარმოდგენილნი. ისინი ზვიად გამსახურდიას ხშირად სდებდნენ ბრალს, თითქოს მას გამუდმებულად ტანჯავდა არაჯანსაღი ეჭვი და შიში სუკ-ის აგენტებისა, რომლებიც, შესაძლოა, ყოფილიყვნენ ყველგან – პოლიტიკურ სპექტრში, სახელმწიფო ინსტანციებში, ასევე, მის გარემოცვაშიც. იმავდროულად, მის ბრალმდებელთა ნაწილი თავად არის დაკავებული იმით, რომ აღმოაჩინოს ფაშიზმი, ეთნონაციონალიზმი – სისხლის, გენისა და მიწის იდეოლოგია, ასევე, ქსენოფობია და შოვინიზმი ზვიად გამსახურდიას გამონათქვამებში, წერილებში, ინტერვიუებსა თუ საჯარო გამოსვლებში. ამ ყველაფერს რაღაცნაირი მანიაკალური, უჩვეულო აკვიატების ელფერი დაჰკრავს. აი, მაგალითად, რას წერს საქართველოს უახლესი ისტორიის ამერიკელი მკვლევარი, პროფესორი სტივენ ჯონსი:

„ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოსვლა ზვიად გამსახურდიასი გახლავთ 1990 წლის 2 მაისს თბილისში „იდრიატის" ფესტივალზე წაკითხული ლექცია „საქართველოს სულიერი მისია". ამ ლექციაში იგი ქართული ცივილიზაციის წარმოშობას მესიანისტური ტერმინოლოგიით აღწერდა. გამსახურდია ქართველებს იუპიტერის „თეთრ რასასთან" აკავშირებდა, ძველ კოლხებს განიხილავდა ელინური კულტურის დამაარსებლად და ამტკიცებდა, რომ აქილევსი იყო „ქართველური ხალხის" (ანუ ქართველების) წარმომადგენელი. ქვეყნის წარსულის გამსახურდიასეული ხედვა – ძლევამოსილი ქრისტიანული სახელმწიფო, რომელსაც მართავენ ქართველები – ემყარებოდა მისსავე იდეალს, ჰერენფოლკის დემოკრატიას, სადაც სულიერად და კულტურულად წინმდგომი ქართველები იქნებოდნენ დაშვებული სახელმწიფოს მართვის სადავეებთან".[361]

რატომ აკეთებენ ადამიანები თავიანთ კვლევებში ასეთ აბსურდულ დასკვნებს? ნუთუ ფაქტები მათი ლოგიკისთვის სხვა გასაქანს არ იძლევა? სად ამოიკითხა ასეთი ჰიტლერული „ჰერენფოლკის" (გერმ. „ბატონკაცთა ხალხი") იდეოლოგია ბ-მა ჯონსმა? ან „იუპიტერი" იგივე „ზევსი" არ არის, რომელიც ლექციაში „პრომეთეს" მეტოქედ და ძალადობრივი კულტურის პროტაგონისტად გვეულინება? აქ შესაძლოა, ამგვარი ყალბი, ცალმხრივი ინტერპეტაციის შემდეგი მიზეზები გამოიყოს: 1. ამ მკვლევრებს და ჟურნალისტებს შორის სხვებზე უფრო „ზარმაცნი" უკრიტიკოდ იმეორებენ 80-იანი წლებისა და 90-იანების დასაწყისის რადიკალური ან ზომიერი ოპოზიციის ერთი ნაწილის მოსაზრებებს, რომლებიც

ჩასაფრებული ცდილობდნენ ზვიად გამსახურდიას რეპუტაციულ დაზიანებას უფრო ქვეყნის გარეთ. ამის კლასიკური ნიმუშია ე. წ. პრაღის რეზოლუციის ტექსტი; 2. ეს ჟურნალისტები, კომენტატორები თუ მკვლევარნი, გარდა მსოფლიო ფიზიოკრატიისა და ბიოპოლიტიკის სამსახურში დგომისა, არიან მონოკაუზალისტებიც, ანუ ყველაფერი „ცუდი“ და ნეგატიური დაჰყავთ მხოლოდ „ეთნონაციონალიზმამდე“ ან ქსენოფობიამდე, რაც ზვიადს, მათი შეხედულებით, თავის სამოქმედო პრინციპებად გადაექცია. ისინი უკვე მზა კლიშეებს არგებენ მასალას, ფაქტებსაც ხშირად კონტექსტის გარეშე, მისგან ამოგლეჯილად წარმოადგენენ, ან საერთოდ თვითნებურად უცვლიან რაკურსებს. ასეთი მანიპულაციების შემდეგ კი სასურველ დასკვნებს აცხობენ. მათი უმეტესობა იცნობს მერაბ მამარდაშვილის შემოქმედებას და თაყვანს სცემს მას, თუმცა შემეცნებისას არ ოპერირებს ისე, როგორც ამას, მაგალითად, თვითონ მამარდაშვილი გააკეთებდა – წინასწარ შექმნილი კლიშეებითა და შაბლონებით არ მიუდგებოდა საკითხს; 3. ცალკეულ შემთხვევებში ისინი არიან ჩვეულებრივი ფალსიფიკატორები, რომლებიც მათთვის მიუღებელი ამა თუ იმ ისტორიული პირის მოთავსებით ფაშიზმთან ახლომდებარე ორბიტაზე ახდენენ მის დისკრედიტაციას.

რა არის „საქართველოს სულიერი მისიის“ ძირითადი აზრი? არცერთ შემთხვევაში სტ. ჯონსის ნახსენები „ჰერენფოლკის“ და ვინმეზე ბატონობის იდეა. როდესაც საუბარია წინარეინდოევროპულ კაცობრიობაზე, აქ იგულისხმება განსხვავებული მორალური ღირებულებები და უნარები. „საბაიზმი, რასაც ფრ. შელინგი, გერმანული იდეალიზმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელი, უწოდებს პელაზგურ, წინარეელინურ კულტურას და რაც ძველბერძნული ცივილიზაციის საფუძველია, „ბატონობასთან“ კავშირში არ არის. ამით ზვიადი ცდილობს, მსმენელში აღძრას ინტერესი და მისწრაფება იმავე მორალური იდეალებისკენ, რომლებიც იმ ძველ ხალხებსა და კულტურებში ცოცხლობდა.

მეორეც, „პრომეთეული“ კულტურა გულისხმობს ზევსის ძალადობრივი, ექსპანსიონისტური კულტურის უარყოფას, რომლის სიმბოლოა არწივი ან მსგავსი მტაცებელი ფრინველი და მითში იგი ღვიძლს უგლეჯს პრომეთეს. იმავდროულად, პრომეთეს ძმის, ეპიმეთეს, სემანტიკა გულისხმობს „თანადროულ, განსჯისმიერ-რაციონალურ აზროვნებას“, ხოლო პრომეთეს სემანტიკა – „წინასწარმეტყველურ აზროვნებას“. გაჩერება, ფიქსირება მხოლოდ რაციოსა და ინტელექტზე გახსნის პანდორას უბედურებათა ყუთს – მითის ასეთ ინტერპრეტაციას გვთავაზობს ავტორი. მისი შევსება პრომეთესეული ინტუიციური, „მისნური“ აზროვნებით კი აჩენს პანდორას ყუთის უბედურებათა დაძლევის შესაძლებლობას. საკითხი აქ ეპისტემიოლოგიურ შუქჭრილში გადადის. იგი გულისხმობს თვითკმარი და ობიექტურად არსებული სულიერ-ინტელიგიბლური სამყაროს არსებობას, გარეგანი გრძნობის ორგანოებისთვის მიუწვდომელს, რაც, თავის მხრივ, ყველა რელიგიის საფუძველია. ამასთანავე ლექტორი არსად, არც ლექციებში და არც სტატიებში თვით მინიშნების დონეზეც არ საუბრობს იმაზე, თითქოს „ქართველები“ ვინმეს თავზე უნდა მოასხდნენ. იოანე ზოსიმეს ტექ-

სტის შესახებ დაწერილ სტატიაში უბრალოდ ნათქვამია, რომ საქართველოს სულიერ ელიტას (პირობითად „იოანე-ლაზარეს ძმები“) შეუძლია მორალური მაგალითის მიმცემი გახდეს სხვებისთვის.

ასევე, ცხადია, რომ მომხსენებელი ამ ლექციაში საქართველოს სულიერი მისიის სახით გამოკვეთს რაღაც ისეთ ნიშანს, ანუ მახასიათებელს, რომელიც არ განხილულა არც თანამედროვე ერზე ან ერი-სახელმწიფოზე მსჯელობისას, არც მანამდე არსებულ ქართულ სამეფოებთან და თვითმყოფადი კულტურის მქონე, ქართულ თუ ქართველურენოვან ხალხთან მიმართებით. მაგრამ, რა აერთიანებდა ანტიკური ხანის კოლხურ-იბერიულ სამყაროს, შუა საუკუნეების ქართველობასა და ინდუსტრიულ ეპოქაში ფორმირებულ ქართველ ერს? ეს იყო „მისია“, როგორც სამყაროს ქართული აღქმა, საერთო-ქართული მორალი და ცხოვრებისეული ფილოსოფია. აქვე აღვნიშნავთ, რომ თანამედროვე გაგება „ერისა“ ან „ერი-სახელმწიფოსი“, განსხვავდება ქრისტიანობამდელი, ასევე შუა საუკუნეებიდან ვიდრე ინდუსტრიულ ეპოქამდე ჩამოყალიბებული შეხედულებებისგან „ერის“ შესახებ. ეს უნდა იყოს, ერთი მხრივ, ისტორიულ გზაზე გარკვეული ევოლუციის განმაპირობებელი ნიშანი, მეორე მხრივ, ეროვნულ-კულტურული იერსახის, იდენტობის შემანარჩუნებელი ფაქტორი.

ზოგადად, ეთნონაციონალიზმის თეზისის მომხრეები, მას შემდეგ, რაც დარწმუნდნენ, რომ მოსკოვის პროპაგანდის გავრცელებული და მათ მიერ ერთხანს ატაცებული ვითომდაც დევიზი ზვიად გამსახურდიასი „საქართველო მხოლოდ ქართველებს“, დეზინფორმაცია გამოდგა (იგი ერთხანს მისი ოპონენტი ორგანიზაციის, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პროგრამაშიც კი ეწერა),[362] ებღაუჭებიან ზვიადის გამონათქვამს სახალხო ფრონტის ყრილობაზე 1989 წლის ზაფხულში, რომ „საქართველო არის ქართველების ქვეყანა“. მაგრამ არც ეს გამონათქვამი ამტკიცებს რაიმეს მათ სასარგებლოდ, რადგან აქ განმარტებული არ არის ის, თუ ვინ არის „ქართველი“. აქ საუბარია სახელმწიფოს დამფუძნებელი ერის კონცეპტზე. ამაში არავის დისკრიმინაცია არ იგულისხმება. საქართველო არის ქართველების ქვეყანა ისევე, როგორც ინგლისი არის ინგლისელების ქვეყანა, გერმანია – გერმანელების, ესპანეთი – ესპანელების და ა. შ. სხვა ყველანი, რომლებიც იმყოფებიან ამ ქვეყნების ტერიტორიაზე და იმავდროულად არ არიან ინგლისელები, გერმანელები, ესპანელები, ითვლებიან უცხოელებად, რომელთაც გარკვეული კონკრეტული (ჰუმანიტარული და სხვა) მიზეზების გამო აქვთ აღნიშნულ ქვეყნებში ცხოვრების უფლება, ან ელოდებიან, როდის გახდებიან ამ ქვეყნების მოქალაქეები, ანუ მიიღებენ მოქალაქეობას. ისინი, როგორც ეროვნული უმცირესობები, უფლებრივად გათანაბრებულნი იქნებიან საქართველოს ყველა მოქალაქესთან. ზვიად გამსახურდიას არ შეუქმნია და არც მოუწოდებია „ანენერბეს“ ინსტიტუტის (შდრ. გერმ. Ahnenerbe „წინაპართა მემკვიდრეობა“, რაც არსებობდა მესამე რაიხში) შექმნისკენ, სადაც იკვლევენ ადამიანების სისხლის შედგენილობას, გვარების ისტორიებს, თავის ქალის ფორმებს ზომავენ ან სწავლობენ და ა. შ. და ამ ყოველივეზე დაყრდნობით შემდგომ

ადგენენ და იღებენ კანონებს. რაც არ ყოფილა და არ არის, იგი მონოტონური ბრალდებებით ვერ შეითითხნება.

მეორე ლექცია ჩატარდა 20 მაისს, უკვე ქუთაისში, საქალაქო თეატრის დარბაზში. იგი მიეძღვნა გელათის აკადემიის იდეალებს, იოანე პეტრიწის ფილოსოფიასა და მის „კომენტარებს", დავით აღმაშენებლის დამოკიდებულებას სწავლულებისა და წიგნიერებისადმი, ასევე გრაალის ევროპული გადმოცემების დაკავშირებას გელათთან და დავით აღმაშენებლის ეპოქის რაინდობასთან. ამ ლექციისას ზვიად გამსახურდიამ განაცხადა: „აღორძინდა არა მხოლოდ ბერძნული ანტიკური ტრადიციები, არამედ ქალდეური, ეგვიპტური, ძველი მსოფლიოს ყველა ის კულტურის კერები, მისტერიული სიბრძნის კერები, რომლებიც უწინ არსებობდნენ, და გელათის ბრძენნი ყოველივე ამას ორგანულად უთავსებდნენ ქრისტიანობას, ბიბლიას. მათთვის ბიბლიური სიბრძნე განუყოფელი იყო ამ ანტიკური სიბრძნისაგან. აი, ამიტომ იყო ეს „ახალი ათინა ფრიად უაღრეს მისსა", როგორც ამბობს ამას დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. შალვა ნუცუბიძის მოსაზრებით, რენესანსი გაცილებით ადრე დაიწყო საქართველოში, ვიდრე ევროპაში, რომ ის აქ დაიწყო უკვე XI საუკუნის მიწურულში, XII საუკუნის დასაწყისში, მაშინ როდესაც ევროპაში დაიწყო XIII-XIV სს-დან". ხოლო დავით აღმაშენებლის პიროვნების შესახებ მსჯელობისას ცხადი გახდა, რა იყო მისთვის პრიორიტეტული – დავითის გზა იყო ის, რაც საქართველოს ააცილებდა ლიბანიზაციასა და ეთნოკონფლიქტებს: „ჩემთვის იდეალი იყო და არის აღმაშენებელი იმ გაგებით, რომ დავითი ომშიც კი დადიოდა წიგნებით. თვით უსასტიკეს, უკიდურეს ომშიც ყოველთვის მოჰყვებოდნენ წიგნის მტვირთველნი. საფარში მჯდარიც კი ამუშავებდა გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებას. ერთხელ კინაღამ სიცოცხლეს გამოასალმეს თურქებმა. საფარში შეუვარდნენ, როცა გართული იყო ამ თეოლოგიური თხზულების დამუშავებით. ეს უნდა იყოს ჩვენთვის მაგალითი, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ გავველურდებით, აღარ ვიქნებით ცივილიზებულნი. იმპერია ყველანაირად ცდილობს, რომ ჩვენ ჩაგვაბას ომში, ჩაგვაბას ისეთ ცხოვრებაში, რომელიც მოწყვეტილია სულიერებასაც, განათლებასაც, კულტურასაც, ველურ ერად გვაქციოს. არა მარტო ჩვენ, არამედ ყველა დაპყრობილი ერი. ეს არის ლიბანიზაციის არსი, რომ ერები შეაჯახონ ერთმანეთს და დაავიწყონ ყველაფერი, გარდა ეთნიკური შუღლისა, არსებობისთვის ბრძოლისა. ეს არის იმპერიის მიზანი და ჩვენ ეს არ უნდა დავანებოთ. ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ ჩვენი სულიერი კულტურა, ჩვენი აზროვნება, ჩვენი მეცნიერება. ეს ყოველივე უნდა შევათავსოთ პოლიტიკურ და სხვა მოღვაწეობასთან. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ ჩვენს ტრადიციებს მოვწყდებით და სხვაგვარი ერი ვიქნებით. აღარ ვიქნებით ის ერი, რომელმაც შვა დავით აღმაშენებელი, რომელმაც შვა ვახტანგ VI და თამარ მეფე. ძველი ქართველებისგან ჩვენ იმით განვსხვავდებით, რომ ძველი ქართველობა ეს იყო უაღრესად სულიერი მსოფლმხედველობის ერი. ამ იმპერიულმა მონობამ ჩვენში სწორედ ეს ჩაახშო და მატერიალურმა საწყისმა წამოიწია წინა პლანზე. ამ პატარა ქვეყა-

ნაში 20 ათასი ეკლესია შემორჩა და გაცილებით მეტი იყო. სულით ცხოვრობდა ეს ერი და სული იყო პირველი."

ამ ლექციამდე, წინა დღით, ქალაქის ცენტრალურ მოედანზე ჩატარდა მიტინგი, რომელზეც სიტყვით გამოვიდა ზვიად გამსახურდია. ადგილობრივი ეროვნულ-დემოკრატიული პარტორგანიზაციის აქტივისტები, რომლებიც მომიტინგეების დიდ მასასთან შედარებით მცირე ზომის აგრესიულ ჯგუფს წარმოადგენდნენ, ლერი მაკარიძის მეთაურობით შეეცადნენ მიტინგის ჩაშლას, თუმცა მომიტინგეებმა ამის საშუალება არ მისცეს. ამავე 1990 წელს ზვიად გამსახურდია შოთა რუსთაველის შესახებ წაკითხულ მოხსენებაში ხსნიდა, თუ რატომ არ აწყობდა კომუნისტურ ხელისუფლებას საქართველოს ამ დიდი პოეტის პოპულარიზაცია. ნიჰილიზმი, რომელიც საკმაოდ გავრცელებული იყო „ინტელექტუალურ" საზოგადოებაში, არ ყოფილა შემთხვევითი მოვლენა და გარკვეული ინსტანციებიდან ინერგებოდა: „იმპერია ჩვენ მარტო პოლიტიკურად კი არ გვებრძვის, არამედ სულიერად გვებრძვის. მას სურს, რომ ჩვენი ერის კულტურა, ისტორია არ იქნეს გასული ფართო ასპარეზზე, რომ არ იყოს ჯეროვნად გაშუქებული. აი, თუნდაც, რუსთველი... რუსთველის შემოქმედების საერთაშორისო მასშტაბით, მსოფლიო მასშტაბით განხილვა, გაშუქება ამ იმპერიას არ აწყობს, იმიტომ რომ ის დამპყრობელი ერი, რომელმაც ჩვენ დაგვიპყრო და დაგვიმონა, თვლის თავის თავს ჩვენზე უფრო კულტურულ ერად, ჩვენზე უფრო დიდი ისტორიის პატრონად, ჩვენზე უფრო დიდი მწერლების პატრონად. როდესაც გამოირკვევა, რომ, თურმე, რუსთველის ბადალი მათ არავინ არ ჰყავთ, ეს მათთვის წამგებიანია პოლიტიკური თვალსაზრისითაც, ვინაიდან ის ქვეყანა, რომელიც მათ დაიმონეს და თავისი იმპერიის შემადგენელ ნაწილად აქციეს, თურმე მათზე მაღლა დგას კულტურული თვალსაზრისით და კულტურული უპირატესობა გააჩნია. ამიტომ მათ ეს არ აწყობთ, ამიტომ ყოველნაირად ხელს უშლიან ამას. თუნდაც, ის ფაქტი რად ღირს, რომ ის რუსთაველის ინსტიტუტი, რომელიც აქ არსებობს, ფაქტობრივად, არ არსებობს; ეს რეალური ინსტიტუტი არ არის, ეს ფიქციური დაწესებულებაა... რუსთველოლოგიის განყოფილება არაფერს არ აკეთებს რუსთაველთან დაკავშირებით. იქ ყველანაირი სხვა თემები მუშავდება, გარდა რუსთაველისა; რუსთაველზე იქ თუ რამე იკითხებოდა, სხვათა შორის, გაგიკვირდებათ და გაოცდებით, იკითხებოდა მხოლოდ ნეგატიური თვალსაზრისით; ლანძღავდნენ რუსთაველს, აკრიტიკებდნენ და ამცირებდნენ ყოველნაირად და ზოგჯერ ძალიან კურიოზულ მოსაზრებებსაც გამოთქვამდნენ, რაღაც მდარე პოეტად სახავდნენ – იყო ასეთი შემთხვევებიც. მე მივედი იმ დასკვნამდე, რომ ეს შემთხვევითი არ იყო, ამას გამიზნული ხასიათი ჰქონდა!" ზვიადისეული გაგება ერისა, ასევე მისი მიმართება ეროვნულ იდენტობასთან ცალკე სტატიაში საინტერესოდ აქვს წარმოდგენილი პროფ. მარიამ ჩხარტიშვილს.[363]

„საქართველოს სულიერი მისია" ცალკე წიგნად გამოვიდა 1990 წელს. მისი რედაქტირება გავაკეთეთ მე და ჟურნალისტმა ვახტანგ ბახტაძემ. ამ კრებულ-

ში ასევე შევიდა საბჭოთა პერიოდში ლექციად წასაკითხი მოხსენების თეზისები „კონსტანტინე გამსახურდია და ქრისტიანობა“. ეს თეზისები ზვიადმა კრებულში იმიტომ შეიტანა, რათა მომავალში გამოყენებული ყოფილიყო კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედების დასაცავად. მწერალს როგორც სტალინიზმის, ისე პოსტსტალინიზმის პერიოდში გაშმაგებით ესხმოდა თავს კრიტიკოსთა, უფრო სწორად, მაძაგებელთა (ის რაც, ინგლისურ ენაში არის Detractor) და განმაქიქებელთა სამი თაობა. ისე მოხდა, რომ ეს უმძიმესი ესტაფეტა დამოუკიდებლობის შემდგომ საქართველოშიც გადაიბარეს, როდესაც პერიოდულად ისევ ხდებოდა ორკესტრირებული შეტევები მწერალზე, ხან საეკლესიო ობსკურანტების, ხანაც დასავლურ განათლებასა და ლიბერალიზმზე პრეტენზიის მქონე პირების მხრიდან. არცერთ მწერალს ქართულ ლიტერატურაში არ ჰყოლია იმდენი მტერი, რამდენიც კონსტანტინეს. რასაკვირველია, ამ ყველაფრის უკან დგას რუსული ჰიბრიდული ომის სპეცსამსახურულ-პროპაგანდისტული სამზარეულო, რომლის ამოცანაა, ქართველი ერი დაარწმუნოს ერთ რამეში – რომ მას სრულფასოვანი პროზა არ გააჩნია. პოეზია – კი ბატონო, ასე თუ ისე გაქვთო, რა თქმა უნდა, პუშკინთან და ბლოკთან ვერც ის მოვაო, მაგრამ მაინცო... იქვე დამცინავად დააყოლებენ, თქვენს ხალხს სიმღერასა და ცეკვაში ხომ ვერავინ შეედრებაო. რუსული პოლიტიკა საკუთარ კლასიკასთან მიმართებით, რასაკვირველია, თანმიმდევრულია და მათი სახელმწიფოს იმპერიული მიზნების თანმხვედრია. ამის თქმა შეუძლებელია ქართულ სახელმწიფოსა და საზოგადოების არცთუ მცირე ნაწილზე. ქართველი სნობი რუსული კულტურული კოლონიის ბოსტანს ვერ სცდება, რის გამოც მათი ერთი ნაწილი ამ დამოკიდებულებას ვერ აცნობიერებს და ბრმა იარაღი ხდება, მეორე ნაწილი კი სწორედაც რომ აცნობიერებს.

სხვათა შორის, გია ჭანტურიამ, ვიდრე ზვიად გამსახურდიას მტრების რიგებს შეუერთდებოდა (და ვინც, სხვათა შორის, კონსტანტინეს მწერლობაზე მაღალი აზრისა იყო...), ერთი საყურადღებო, დამაფიქრებელი აზრი გამოთქვა და, როგორც მახსოვს, ეს იყო 1988 წლის დასაწყისში, რაც ამ საკითხს მეტად საინტერესო რაკურსიდან დაგვანახებდა: „ერს, რომელიც ყურადღებას მხოლოდ პოეზიასა და სიმღერას აქცევს და პროზას უგულებელყოფს, გაუჭირდება დამოუკიდებლობის მიღწევა და საკუთარი სახელმწიფოს აშენება“.

ზვიადი თავის ბოლოდროინდელ ნაწერებში კონსტანტინე გამსახურდიას არა მარტო ქართველ, არამედ კავკასიელ მწერლადაც იხსენიებდა. თბილისში მცხოვრებ ჩერქეზ მწერალს, მიხეილ ლოხვიცკის, უთქვამს მისთვის, 70-იანი წლების დასაწყისში კონსტანტინე ქუჩაში შემხვდა და მითხრა, არასოდეს დაგვაეწყდეს, რომ ჩვენი წინაპრები ხმლით ხელში ებრძოდნენ რუსეთის გათახსირებულ იმპერიასო. ზვიადი ამ მხრივ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა გველისმჭამელი მინდიას თემის გადამუშავებას, რომელიც სახეზეა 30-იან წლებში დაწერილ ნოველაში „ხოგაის მინდია“. ერთხელ პოეტმა ერეკლე საღლიანმა ასეთი რამ თქვა მინდიას თემაზე: იმისთვის, რომ ლეონარდოს შემდეგ საიდუმლო სერობა დახატო, სალვადორ დალის დონეზე უნდა იდგე, და ვაჟას

შემდეგ მინდიას თემა რომ გაშალო, კონსტანტინე გამსახურდიაო უნდა იყოო. თუკი შევადარებდით: ვაჟას მინდია ეცემა ყოფითი ცხოვრების გამო, რომელიც მისი ცოლის, მზიას, სახითაა წარმოდგენილი, კონსტანტინეს მინდია კი (ვისთვისაც ყოფა აღარაფერს ნიშნავს, ის დაძლეული აქვს, არც ცოლი, აშექალია ყოფითი ცხოვრების გაუსაძლის სიმძიმეთა კრებითი საფრთხე) კვდება იდეალის გამო, რაც სატრფოს სახითაა სიმბოლიზებული (შდრ. ხადიშათი, „მზისფერი ქალა"). მინდია „გუგულების ქვეყანაში" წასვლას (ანუ ინიციაციას, საზეო რეალობასთან ზიარებას) ვერ შეძლებდა, შვიდი წელი „უცხოებთან" – ქისტებთან ანუ ჩეჩენ-ინგუშებთან რომ არ დაეყო. ეს იდეალი იმავდროულად ამ ორი სამყაროს, ანუ ისტორიის უკუღმართობისგან გაუცხოებული სამყაროების – ქართულის და ჩეჩენ-ინგუშურის – შერიგებასა და გამთლიანებას გულისხმობს, რასაც ნაწარმოებში ეწირება ხოგაის მინდია.

3.21. „ეროვნული კონგრესის" არაფორმალური არჩევნები

ამასობაში მოახლოვდა „ეროვნული კონგრესის" არაფორმალური არჩევნები, რომელიც 30 სექტემბერს იყო დანიშნული. ამ ორგანიზაციის კონტურებიც, ასე თუ ისე, გამოიკვეთა: იგი თავისი არსით უფრო მეხუთე კოლონას წააგავდა და საქართველოს ჯერ კიდევ არდამარცხებული კომპარტიის გაგრძელებას წარმოადგენდა. მათთან შეერთებული ბევრი ადამიანი, როგორც ჩანს, ამას ვერ აცნობიერებდა და მათ შორის იყვნენ ისეთნი, რომელთაც უდავოდ დიდი დამსახურება ჰქონდათ როგორც ქართული კულტურის წინაშე, ისე დისიდენტურ ეპოქაში გარკვეული სამოქალაქო აქტივობით გამოირჩეოდნენ. საარჩევნო ექსპერტების ორგანიზაციამ, დას-მა „ეროვნული ფორუმის" ლიდერთა თხოვნითა და დაკვეთით, დაამუშავა „ეროვნული კონგრესის" არჩევის „კანონი", რომელიც ასევე ითვალისწინებდა საარჩევნო კომისიას. ეს საარჩევნო კომისიაც მალევე შეიქმნა. „ეროვნული კონგრესის" ამოცანები შემდეგნაირად იყო განსაზღვრული: 1. საქართველოს ტერიტორიიდან საბჭოთა საოკუპაციო ჯარის სრული და უპირობო გაყვანა; 2. 1921 წლის თებერვალში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ საბჭოთა რუსეთის აგრესიის, ოკუპაციის და ანექსიის შედეგად შექმნილი სახელმწიფო, საზოგადოებრივი, საკანონმდებლო და სამართლებრივი სტრუქტურების სრული დემონტაჟი; 3. საქართველოს კონსტიტუციის საფუძველზე დამოუკიდებლობის აღდგენა და ერის ნებაზე დამყარებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობის განსაზღვრა. თვით „ეროვნული კონგრესი", როგორც დეკოლონიზაციის ორგანოს შექმნის იდეა, როგორც ჩანს, აღებული იყო სამხრეთ აფრიკის რეგიონში მდებარე ქვეყნების გამოცდილებიდან, თუმცა რა კავშირში იყო იმ ქვეყნების პოლიტიკურ-კულტურული კონტექსტი და რეალობა საბჭოთა კავშირში შემავალ ერთ-ერთ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასთან, არავის განუმარტავს. მსგავსი მოდელი არცერთ

საბჭოთა რესპუბლიკაში არ ჩანს. მომავალი „კონგრესის“ ლიდერები უფრო კომფორტულად გრძნობდნენ თავს მაშინ, როდესაც გამუდმებული რევოლუციური სიტუაცია იყო, ოღონდ მეტად სპეციფიკური: ამ სიტუაციაში „ძველიც“ არ მიდიოდა და „ახალიც“ არ მოდიოდა.

რაც შეეხება კომუნისტურ და საბჭოთა არჩევნებს, „ფორუმის“ მესვეურთა პოზიცია იმთავითვე ცხადი იყო: ვინც უნდათ, ის აურჩევიათ საქართველოს კომუნისტებს და როგორი არჩევნებიც სურთ, ისეთი ჩაუტარებიათ. ეს „ეროვნულ კონგრესს“ არ უნდა აწუხებდეს. მათ აღქმაში, ეტყობა, ეს „კონგრესი“ „ქურდების სხადნიაკის“ ტიპის ორგანიზაცია იყო, რომელსაც ერჩია ყველანაირად სტიგმატიზებული, დისკრედიტირებული, კომუნისტებით დომინირებული უზენაესი საბჭო. მას, როცა მოესურვებოდათ, მაშინ ჩასცხებდნენ თავში, მისი არსებობა კი ხელს არ უშლიდათ. კრემლის მიზანი გიორგი ჭანტურიამ შემდეგნაირად „წაიკითხა“: ისინი ფიქრობენ მოკავშირე რესპუბლიკების „ბულგარიზაციას“ და ვარშავის ხელშეკრულების, ანუ სოციალისტური ბანაკის ქვეყნების „ფინეთიზაციას“. დ. გამცემლიძესთან ვკითხულობთ მართებულ დასკვნას, რომ „დეკლარირებული ორხელისუფლებიანობა სამოქალაქო ომის წინაპირობაა. უკლებლივ ყველა „მოკავშირე რესპუბლიკამ“ დამოუკიდებლობა მოიპოვა და ეროვნული ინტერესები დაიცვა სწორედ იმ „ლეგალურ სტრუქტურათა“ გამოყენებით, რომლებთან თანამშრომლობა ან მათში მონაწილეობაც „ღალატად“ ცხადდებოდა საქართველოში რადიკალთა მიერ“.[364]

მიუხედავად მონაცემების გამოქვეყნებისა, რომ „კონგრესი“ აირჩია თითქმის მილიონ-ნახევარმა მოქალაქემ, არავის სჯეროდა, რომ ეს სიმართლეს შეესაბამებოდა. ეს უფრო თვალებში მტვრის შეყრას ჰგავდა. აი, რომელი პარტიები და ბლოკები შევიდნენ „კონგრესში: „ეროვნული კონგრესის“ პარტიების ჩამონათვალი: 1. ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია – „ეროვნული კავშირი“; 2. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა და დემოკრატიული პარტიის საარჩევნო ბლოკი; 3. საარჩევნო ბლოკი „დემოკრატიული საქართველო“; 4. კომპარტიის დემოკრატიული ფრაქცია; 5. საქართველოს სახალხო პარტია; 6. „საქართველოს მოქალაქეთა ლიგა“. „ეროვნულ კონგრესთან“ ასოცირებული და ჩართული ინტელიგენცია: დავით ანდღულაძე – რეჟისორი, უპარტიო; გუძა აფაქიძე – ისტორიკოსი, „ივ. ჯავახიშვილის საზოგადოება“; ირაკლი ბათიაშვილი – ფილოსოფოსი, უპარტიო; ირაკლი ბაზაძე – მათემატიკოსი, თავისუფალ დემოკრატთა კავშირი; თორნიკე ბერიშვილი – თავისუფალ დემოკრატთა კავშირი; გიორგი ბუმბიაშვილი – ეკონომისტი, ეროვნულ-სოციალური პარტია; ნაირა გელაშვილი – მწერალი, უპარტიო; ნოე გელაშვილი – ფიზიკოსი, პროფესორი, სკკპ; ედიშერ გიორგაძე – ჟურნალისტი, „არჩილ ჯორჯაძის საზოგადოება“; მამუკა გიორგაძე – ინჟინერი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია; გურამ გოგბაიძე – „წმ. ილია მართლის საზოგადოება“; ზურაბ გოგრიჭიანი – ინჟინერი, საქართველოს სახელმწიფოებრივი აღდგენის პარტია; ვახტანგ გოგუაძე – ფილოსოფოსი, მეცნიერებათა დოქტორი, უპარტიო; რეზო ესაძე – რეჟისორი,

უპარტიო; ვალერი ვაშაკიძე – ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება“; ზაზა ვეფხვაძე – ინჟინერი, უპარტიო; ჯაბა იოსელიანი – მწერალი, უპარტიო; ნანა კაკაბაძე – ქიმიკოსი, უპარტიო; ბორის ბოკუჩავა – ზოოტექნიკოსი, „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება“; თეიმურაზ კანდელაკი – ინჟინერ-ეკონომისტი, პროფესორი, სკკპ; კახაბერ კახაძე – ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება“; თამაზ კვაჭანტირაძე – ფილოლოგი, „რუსთაველის საზოგადოება“; მამუკა კიკალეიშვილი – მსახიობი, უპარტიო; ზურაბ კიკნაძე – პროფესორი, „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება“; გიორგი კობახიძე – ფიზიკოსი, უპარტიო; ჯუმბერ კოპალიანი – ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება“; ვახუშტი კოტეტიშვილი – ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, უპარტიო; რაულ კუპრავა – დოცენტი, „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება“; თემურ ლომაია – ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება“; მერაბ მამარდაშვილი – ფილოსოფოსი, პროფესორი, თბილისის პოლიტკლუბი; აკაკი მაჭავარიანი – ინჟინერი, საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის პარტია; ირაკლი მაჭავარიანი – ენათმეცნიერი, დემოკრატიული „სახალხო ფრონტი“; კარლო მაჭარაშვილი – ფილოლოგი, პროფესორი, სკკპ; ვაჟა მთავრიშვილი – ინჟინერი, „საქართველოს მოქალაქეთა ლიგა“; რუსლან მიქაბერიძე – მსახიობი, უპარტიო; ნანა მჭედლიძე – კინორეჟისორი, უპარტიო; დავით მჭედლური – მწერალი, უპარტიო; გელა ნიკოლაიშვილი – ისტორიკოსი, „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება“; დავით ონანიშვილი – ინჟინერი, საქართველოს სახელმწოფოებრიობის აღდგენის პარტია; გიორგი ჟორჟოლიანი – ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, თავისუფალ დემოკრატთა კავშირი; ვიქტორ რცხილაძე – ისტორიკოსი, „წმ. დავით აღმაშენებლის ქრისტ. კავშირი“; ირინა სარიშვილი – ფილოლოგი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია; გიორგი სიხარულიძე – ფილოლოგი, საქართველოს სახალხო პარტია; თეიმურაზ სუმბათაშვილი – მხატვარი, საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია; ვახტანგ ტალახაძე – ინჟინერ-ფიზიკოსი, საქართველოს დემ. პარტია, გერმანე ფაცაცია – ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი, სკკპ; თორნიკე ფიფია – ინჟინერ-ფიზიკოსი, საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია; თემურ ფიფია – ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი, უპარტიო; მორის ფოცხიშვილი – პოეტი, უპარტიო; ირაკლი ქადაგიშვილი – სტუდენტი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია; მიხეილ ქურდიანი – ენათმეცნიერი, „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება“; ტარიელ ღვინიაშვილი – საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ორგანიზაცია (სეგო); ჯანსულ ღვინჯილია – ისტორიკოსი, ფილოლოგი, უპარტიო; თენგიზ შარმანაშვილი – ფილოლოგი, საქართველოს დემ. პარტია; ლუიზა შაკიაშვილი – რეჟისორი, უპარტიო; თამარ ჩხეიძე – ისტორიკოსი, „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება“; რეზო ჩხეიძე – კინორეჟისორი, უპარტიო; ზურაბ ცინცაძე – ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება“; ირაკლი წერეთელი – ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია; ნიკო ჭავჭავაძე – ფილოსოფოსი,

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი; გია ჭანტურია – ისტორიკოსი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია; ოთარ ჭილაძე – მწერალი, უპარტიო; კობა ხაბაზი – ინჟინერი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია; ივლიანე ხაინდრავა – ქიმიკოსი, „თავისუფალ დემოკრატთა კავშირი".

მიუხედავად იმისა, რომ „მრგვალი მაგიდის" შემადგენლობასა და „ეროვნულ კონგრესშიც" იყვნენ ადამიანები, რომლებსაც ერთმანეთთან ნამდვილად არაფერი ჰქონდათ გასაყოფი და თავისუფლად შეეძლოთ დიალოგიცა და თანამშრომლობაც, ეს იმ ეტაპზე შეუძლებელი ჩანდა სწორედ პოლიტიკური მიმართულებების განსხვავებულობის გამო: „მრგვალი მაგიდა" მიზნად ისახავდა არასაბჭოურ არჩევნებში გამარჯვებას და დამოუკიდებლობის, როგორც გამოცხადებას, ისე მის რეალურად მიღწევას. „კონგრესი" კი ხალხს ჰპირდებოდა ბუნდოვნად, გაურკვევლად ახსნილ დეოკუპაციასა და დეკოლონიზაციას ასეთივე გაურკვეველი „ეროვნული დაუმორჩილებლობის" მეთოდით. გაზეთმა „იბერია-სპექტრმა" 1999 წელს გამოაქვეყნა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარისა და ეროვნული „ფორუმის" ერთ-ერთი ლიდერის, გიორგი ჭანტურიას, საუბრის ჩანაწერი მიუნხენში მყოფ თენგიზ გუდავასთან. ამ საუბარში თემატიზებულია ის მტრული ქმედებები, როგორც წერილობით, ისე ფიზიკური დაპირისპირებების დონეზე, რომლებსაც ახორციელებდნენ ორივე მხრიდან. ამ ჩანაწერში ვკითხულობთ:

„29-ში თბილისში ჩატარდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საგანგებო კონფერენცია, რომელსაც 232 დელეგატი დაესწრო ყველა რაიონიდან. კონფერენციამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ დროა ბოლო მოეღოს გამსახურდია–КГБ-ს ალიანსს. ამასთან დაკავშირებით ჩვენ ვიწყებთ დიდ აქციას – КГБ-ს პიკეტირებას. ამ აქციაში ჩვენ მხარს გვიჭერს „მხედრიონი", დემოკრატიული პარტია, „საქართველოს მოქალაქეთა ლიგა", ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიამაც გამოთქვა ჩვენი მხარდაჭერის სურვილი. მოკლედ, ორშაბათიდან ჩვენ ყველაფერ ამას ვიწყებთ." შემდეგ საუბარია იმაზე, რომ ზვიად გამსახურდიამ „საზიზღარი აქცია" წამოიწყო, რის შედეგადაც არ შემოდიოდა არც პროდუქტი, არც ბენზინი. აშკარაა, რომ ედპ-ის ლიდერი აქ სამტრედიის აქციას გულისხმობს (ამ დროს მოპიკეტეები მხოლოდ საქართველოსთვის განკუთვნილ პროდუქტსა და ბენზინს ატარებდნენ, როგორც უკვე აღინიშნა, კ. გ.). აქციის შედეგიდან გამომდინარე იგი ასკვნის, რომ ეს ზვიადისა და გუმბარიძის ალიანსის შედეგია. შემდეგ ასეთი რამ მოდის: „ინტელიგენცია იღვიძებს, ჩვენს სასარგებლოდ და ჩვენს გვერდით დგება. მოკლედ, ვფიქრობ, რომ ზვიადის პრობლემას ჩვენ ძალიან მალე გადავწყვეტთ". [365]

სხვათა შორის, ეროვნული ფორუმის წევრისა და „მხედრიონის" ლიდერის, ჯაბა იოსელიანის, მემუარული ხასიათის წიგნშიც პირდაპირაა საუბარი იმაზე, რომ ზვიადის პრობლემის გადასაჭრელად თავადაც მუშაობდა კომუნისტური ხელისუფლების ვიცე-პრემიერ გურამ მგელაძესთან ერთად. ჯაბა იოსელიანის დამოკიდებულება საქართველოს ცეკას პირველი მდივნის, გივი გუმბარიძის მი-

მართ მისი არაეფექტურობის გამოა კრიტიკული; იოსელიანი მიიჩნევს, რომ იგი ქმედითად ვერ ანეიტრალებდა ზვიად გამსახურდიასა და მის მომხრე ეროვნულ მოძრაობას. მისი ინფორმაციით, გურამ მგელაძე დათანხმდა, დაკავშირებოდა შევარდნაძეს და ეს საკითხი გადაეჭრა. „მოსკოვში ერთ-ერთი მივლინების დროს მგელაძე მართლაც შეხვდა შევარდნაძეს და აუხსნა ყველაფერი ზემოთ აღნიშნული. მან უარით გამოისტუმრა: სულ ერთი წელია, რაც რეკომენდაციით დაინიშნა და ახლა მისი გადაყენება ვერ მოხერხდებაო. სამაგალითოდ დაუსახელებია ანალოგიური ვითარება აზერბაიჯანში. სამაგიეროდ, სხვათა შორის უთქვამს ფრიად მნიშვნელოვანი რამ: ახლა რუსეთს თქვენთვის არ სცალიაო. ამან მე გამიჩინა აზრი, ჩვენ თვითონ ხომ არ გადაგვეყენებინა გ. გუმბარიძე. ერთი შეხედვით, ეს შეიძლება მომხდარიყო სულ უბრალოდ. ცეკას ბიუროს წევრებს მისთვის უნდობლობა უნდა გამოეცხადებინათ, მაგრამ საქმეც ის იყო, თუ ვინ შეაბამდა კატას ეჟვანს. ბიუროს ზოგიერთი წევრი შემპირდა ამის გაკეთებას, მხოლოდ პირველკაცობაზე უარს ამბობდნენ. ის ყბადაღებული აზრი, რომ ყველა ქართველს პირველობა სურს, სწორი არ გამოდგა. მივაკითხე პროფკავშირების მაშინდელ ბოსს, პეტრე (ზურაბ) ჩხეიძეს. ისიც ბიუროს წევრი გახლდათ. პირველ მდივნობაზე არ დათანხმდა, მაგრამ დასძინა, თუ სხვა ვინმე გამოჩნდება, თუ გინდა, გურამ მგელაძე, მე მხარს დავუჭერო. ჩემთან, სახლში შევიკრიბეთ მგელაძე, რესპუბლიკის გენერალური პროკურორი ვახტანგ რაზმაძე, გია ჭანტურია (ედპ-ს ლიდერი), ირაკლი წერეთელი (ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ლიდერი). ავუხსენი ვითარება. ცალკე წერეთელი, ცალკე ჭანტურია (მოგვიანებით მოვიდა) სკეპტიკურად შეხვდნენ საკითხის ასეთ გადაწყვეტას“.[366]

ჯაბა იოსელიანთან ერთად 1989 წლის შემოდგომაზე ცხინვალისა და ჯავის რაიონებში მოქმედი შეიარაღებული ფორმირების ზოგიერთი წევრის თქმით (რომლებიც შემდგომში „თეთრი გიორგის“ წევრები გახდნენ), გურამ მგელაძე ორჯერ ჩამოფრინდა სამაჩაბლოში ვერტმფრენით ჯაბა იოსელიანთან შესახვედრად, თუმცა თავად ჯაბა ამ ფაქტს არ ახმაურებდა: მან მხოლოდ ზოგადად დასძინა, რომ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, საქართველოს ვინ გაათავისუფლებსო – ზვიად გამსახურდია, ედუარდ შევარდნაძე თუ გურამ მგელაძე.

3.22. უზენაესი საბჭოს არჩევნები

დადგა 1990 წლის 28 ოქტომბერი. შემოდგომის ამ დღეს არაფერი განსაკუთრებული არ ეტყობოდა. გამარჯვების მოლოდინი დიდი იყო, მიუხედავად მმართველი კომუნისტური პარტიის დამარცხების მაღალი ალბათობისა, მისი შედეგის მეტ-ნაკლებად ზუსტი პროგნოზირება არ გაკეთებულა. არჩევნები საკმაოდ ორგანიზებულად და მოწესრიგებულად ჩატარდა, ექსცესები, პრაქტიკულად, არ აღუნუსხავთ. საბჭოთა საქართველოში ეგზიტპოლების სისტემა ჯერ კიდევ

არ მუშაობდა. როდესაც შედეგები გამოცხადდა, ადამიანების ერთი ნაწილის თქმით, ისინი ელოდნენ „მრგვალი მაგიდის“ გამარჯვებას, თუმცა შედეგმა მათ მოლოდინს გადააჭარბა.

ზვიად გამსახურდიას „ჩანაწერებში“ ვკითხულობთ, რომ 1990 წლის 28 ოქტომბერს პირველად კომუნისტური საქართველოს ისტორიაში ჩატარდა მრავალპარტიული, დემოკრატიული არჩევნები. მისი შედეგები, რომელიც დაამტკიცა ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, ისტორიიდან ცნობილია: „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“ – 155 სადეპუტატო მანდატი; საქართველოს კომუნისტური პარტია – 64 სადეპუტატო მანდატი; „საქართველოს სახალხო ფრონტი“ – 12 სადეპუტატო მანდატი; ბლოკი დემოკრატიული საქართველო – 4 მანდატი; „რუსთაველის საზოგადოება“ – 1 მანდატი; „განთავისუფლება და ეკონომიკური აღორძინება“ – 1 მანდატი; დამოუკიდებელი კანდიდატები – სულ 9 მანდატი,[367] გაუნაწილებელი დარჩა 4 მანდატი. მათ გასანაწილებლად ხელმეორედ უნდა ჩატარებულიყო არჩევნები ტყვარჩელის, გუდაუთის, ცხინვალისა და ჯავის საარჩევნო ოლქებში. საქმე აქამდე აღარ მისულა, თუმცა მოვლენათა განვითარების ლოგიკა თითქოს იმასაც უშვებდა, რომ ამ ოლქებშიც ახლო მომავალში პრობლემა არ უნდა ყოფილიყო საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს არჩევნების ჩატარება. რაც შეეხება ამომრჩევლის საერთო რაოდენობას, ეს იყო 3 444 002 ადამიანი, აქედან 28 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 2 406 742 ადამიანმა, ანუ ამომრჩეველთა 69,88%-მა. როგორც აქედან ჩანს, ეს საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია, მეტადრე შემდეგი ათწლეულების არჩევნების სტატისტიკას თუ გავითვალისწინებთ.

იმავე საღამოს, 28 ოქტომბერს, რუსთაველის პროსპექტზე გაიმართა არჩევნებში გამარჯვებისადმი მიძღვნილი მიტინგი, რომელზეც სიტყვა ზვიად გამსახურდიამ წარმოთქვა. მან გამარჯვება მიულოცა შეკრებილ საზოგადოებას და ოპონენტებს საკმაოდ დამთმობი, მათი პლატფორმებისა და თვალსაზრისებისადმი დემოკრატიული მიმღებლობის გამომხატველი სიტყვით მიმართა: „მართალია, კომპარტია დავამარცხეთ ამ არჩევნებში, მაგრამ მე რუსთაველის მიმდევარი ვარ. როგორც ყოველი თქვენგანი და საერთოდ ქართველი ერი და ჩვენი კრედო, ჩვენი უდიდესი კრედო გადმოცემულია „ვეფხისტყაოსანში“. ესაა უდიდესი შემწყნარებლობა და სიყვარული ქრისტიანული, რომელიც გამოხატულია შემდეგ სტრიქონებში: „ბრძენთა ვინმე მოსწავლემან საკითხავსა ესე ვპოვნე, / ესააო მამაცისა მეტისმეტის საგულოვნე, / ოდეს მტერსა მოერიო, ნუღარ მოჰკლავ, დაიყოვნე, / გინდეს სრული მამაცობა, ესე სიტყვა დაიხსოვნე“. აი, ეს არის, მეგობრებო, ჩვენი ცხოვრების წესი. ამ გზით მიდიოდა ჩვენი უდიდესი წმინდანი, ჩვენი უსაყვარლესი ადამიანი მერაბ კოსტავა. ამ გზით მიდიოდა ცხოვრებაში და ამიტომ აღზევდა იგი მთელ საქართველოზე და დაჰნათის ზეციური საქართველოდან ჩვენს მოძრაობას, მეგობრებო. ეს დღევანდელი გამარჯვება მისი გამარჯვებაა – მისი გამარჯვებაა, უწინარეს ყოვლისა, და როგორც იგი ვიდოდა ცხოვრებაში, როგორი გზითაც იგი მიდიოდა, როგორც იგი

იყო განწყობილი თვით მტრების მიმართ – ასევე ვიქნებით ჩვენ! ასევე ვიქნებით და დავამტკიცებთ, რომ ჩვენ მისი ნამდვილი მიმდევრები ვართ... მერაბ კოსტავა იტყოდა ხშირად: „საქართველოში ჩვენ გვინდა ნამდვილი დემოკრატია, ნამდვილი „ჰაიდ პარკი“. მას უყვარდა ამ სიტყვის ხშირად ხმარება – „ჰაიდ პარკი“, მასში გულისხმობდა აზრის თავისუფალ გამოთქმას, თავისუფალ პაექრობას ყოველგვარი ურთიერთსიძულვილის გარეშე“.[368]

სავსებით ლოგიკურია ასეთი გზავნილები ზვიად გამსახურდიას სიტყვაში. მისთვის ცხადი იყო, რომ არჩევნების მოგებაზე რთული მიღწეული შედეგის შენარჩუნებაა. ეს კი შეუძლებელია მომზადებული კადრების გარეშე. ამით იგი კიდევ ერთხელ სთავაზობდა თანამშრომლობას ოპონენტებს. ძალაუფლების დელეგირება და პასუხისმგებლობის გაზიარება, რასაკვირველია, შეამსუბუქებდა ხელისუფლების სატარებელ მძიმე ტვირთს. იმპერიის ცენტრიდან დარტყმაც, რომელიც მოსალოდნელი იყო მომავალში, გადანაწილდებოდა. მიტინგზე ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის აქტივისტებმა პროვოკაციის მოწყობა სცადეს, თუმცა მომიტინგეებმა შეძლეს მათ ალაგმვა. ამ დღესაც და მომდევნო დღეებშიც დიდი სიხარული მოიცავდა სრულიად საქართველოს. იგივე პათოსი მუხრან მაჭავარიანის ამ სტრიქონებშიც აისახა:

„გულს მისალკლდევებს ათას ცხრაას ოთხმოცდაათი:
დედაღვთისასი საქართველოს სახე დაჰნათის!“

3.23. მიმდინარე ამბების ქრონიკა, როგორც ფონი

ინტენსიური ცვლილებები მიდიოდა საბჭოთა სივრცესა და ვარშავის ბლოკის ქვეყნებშიც. უნგრეთში ყოფილი დისიდენტი არპად გენცი ეროვნულმა ასამბლეამ 1990 წლის 4 აგვისტოს აირჩია პრეზიდენტად. იგი ვაცლავ ჰაველის ტიპის ლიდერი გახლდათ, მწერალი და ჰუმანიტარი, 1956 წლების უნგრეთის აჯანყების მონაწილე, ამ აჯანყების საბჭოთა ჯარების მიერ ჩახშობისა და პრემიერი იმრე ნადის დახვრეტის შემდეგ წლების განმავლობაში პოლიტპატიმარი. ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთისა და პოლონეთის შემდეგ ის მეოთხე ლიდერი იყო, რომელიც კომუნისტურ ნომენკლატურასთან დაპირისპირებულ პოლიტიკურ ბანაკს ეკუთვნოდა.[369] იმავე წლის ივლის-აგვისტოში უკრაინის რადამ ჯერ სუვერენიტეტი გამოაცხადა, შემდეგ კი მიიღო დეკლარაცია უკრაინის ეკონომიკური დამოუკიდებლობის შესახებ. უკრაინელი ნაციონალისტები გააქტიურდნენ დასავლეთ უკრაინაშიც: აგვისტოში „რუხის“ – უკრაინის „სახალხო ფრონტის“ აქტივისტებმა დაიკავეს ლვოვის წმ. გიორგის კათედრალი და მოითხოვეს მისი გადაცემა ბერძნულ-კათოლიკური (უნიატური) რელიგიური თემისთვის, რაც ორ დღეში დაკმაყოფილდა. ძალიან მალე უნიატური ეკლესიის მეთაურმა, არქიეპისკოპოსმა ვოლოდიმირ სტერნიუკმა საბჭოთა ორგანოების მიერ ამ ეკლესიის ჩამორთმევის შემდეგ პირველი საზეიმო მესსა ჩაატარა აღნიშნულ

ტაძარში. სომხეთის ეროვნულმა მოძრაობამ, რომელიც, ძირითადად, მთიანი ყარაბაღის საკითხზე იყო ფოკუსირებული, ასევე გამარჯვება მოიპოვა – მისი თავმჯდომარე ლევონ ტერ-პეტროსიანი სომხეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს. ეს სიმბოლური იყო, რამდენადაც, როგორც სომხეთის კომპარტია, ისე სომხეთის ეროვნული მოძრაობა ყარაბაღის საკითხში, ასევე, აზერბაიჯანსა და თურქეთთან მიმართებით, არსებითად, იდენტურ პოზიციებზე იდგნენ. სომხეთმა ამავე წლის 23 აგვისტოს გამოაცხადა დამოუკიდებლობა. სომხეთის სსრ-ის სახელი გადაერქვა და დაერქვა „სომხეთის რესპუბლიკა". 1918 წლის დამოუკიდებლობის პერიოდის დროშა გამოცხადდა ახალი „სომხეთის რესპუბლიკის" ეროვნულ დროშად.[370] გამოსვლები იყო აზერბაიჯანშიც – „სახალხო ფრონტმა" ბაქოში, ლენინის მოედანზე დაახლოებით 200 000 მომიტინგეს მოუყარა თავი. მიტინგის ორგანიზატორთა მოთხოვნა პოლიტპატიმრების განთავისუფლება იყო. მოლდავეთში უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე, მირჩა სნეგური რესპუბლიკის პრეზიდენტად აირჩიეს. რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ რესპუბლიკის მცხოვრებლებისთვის გააუქმა საბჭოთა კანონი საყოველთაო სამხედრო სავალდებულო სამსახურის შესახებ. 1990 წლის 2 სექტემბერს პრორუსულად განწყობილმა სეპარატისტებმა „დნესტრის რესპუბლიკა" გამოაცხადეს, რომელიც მოლდავეთის იურისდიქციას აღარ ცნობდა. დამოუკიდებლობისკენ შემდგომი ნაბიჯები გადაიდგა ბალტიურ სივრცეშიც: ესტონეთის უზენაესმა საბჭომ მიიღო „გადაწყვეტილება ესტონეთის რესპუბლიკასა და სსრკ-ის ურთიერთობების შესახებ". ამ გადაწყვეტილების მიხედვით, საბჭოთა ჯარების ყოფნა ესტონეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე „ეწინააღმდეგებოდა საერთაშორისო სამართალს". ლიტვამ რუსეთის ფედერაციასთან 15 აგვისტოს გააფორმა ეკონომიკური თანამშრომლობის ხელშეკრულება – ურთიერთობა რუსეთის ფედერაციასთან ბილეტარალურ ფორმატში გადავიდა. ხოლო სექტემბრის დასაწყისში ვილნიუსში გაიმართა „ბალტიური საბჭოს" შეხვედრა. მისი მონაწილეების მიერ მიღებულ კომუნიკეში აღნიშნულია, რომ გერმანიის მოსალოდნელი გაერთიანების წინ ბალტიური რესპუბლიკები ევროპის ბოლო სახელმწიფოებია, რომელთა დამოუკიდებლობაც, დაკარგული მეორე მსოფლიო ომის შედეგად, ჯერაც არ არის აღდგენილი.

საინტერესო ამბები ხდებოდა რუსეთის ფედერაციაშიც. ოპოზიციონერმა ბორის ელცინმა, რომელიც რუსეთის ფედერაციის რეგიონებში მოგზაურობდა და შეხვედრებს აწყობდა, გააკეთა ცნობილი განცხადება: „აიღეთ თქვენთვის იმდენი სუვერენიტეტი, რამდენის გადაყლაპვასაც შესძლებთ". ეს შეეხებოდა რუსეთის ფედერაციის 16 ავტონომიურ რესპუბლიკას, თხუთმეტ ავტონომიურ ოლქს და დანარჩენ ათობით რეგიონულ ერთეულს. ეს განცხადება გაკეთდა უშუალოდ უფაში, დიდი დემონსტრაციის შემდეგ, ბაშკორტოსტანის ავტონომიურ რესპუბლიკაში. რუსეთის ამ ავტონომიურ წარმონაქმნებში ერთიმეორის მიყოლებით ცხადდებოდა „სუვერენიტეტები". აღმოსავლეთ ევროპის პოლიტიკის ექსპერტთა წრეებში, გარკვეული დაკვირვებების საფუძველზე, ჩამოყალი-

ბებული იყო აზრი, რომ ამას რუსეთის ფედერაციაში, ალბათ, ყალმუხეთისა და მორდოვიის გარდა, ძირითადად, აკეთებდნენ ძველი კომუნისტური ელიტები, რომლებიც საბჭოთა კავშირის პრეზიდენტის რეფორმატორულ კურსს ამ გზით კონსერვატორულად ემიჯნებოდნენ. რუსეთის ფედერაციის თოთხმეტმა სუბიექტმა იმ პერიოდში გამოაცხადა სუვერენიტეტი.

მართლაც, ეპოქალური მოვლენები ხდებოდა საერთაშორისო ასპარეზზეც. 1990 წლის 23 აგვისტოს, დაახლოებით, ღამის სამ საათზე, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატამ მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შესვლისა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შემადგენლობაში, გერმანული კანონმდებლობის 23-ე მუხლზე დაყრდნობით. ეს გადაწყვეტილება ძალაში უნდა შესულიყო იმავე წლის 3 ოქტომბერს. ამ გადაწყვეტილებას ყველა პარტიამ დაუჭირა მხარი, გარდა „დემოკრატიული სოციალიზმის პარტიისა“.

1990 წლის 9 სექტემბერს ჰელსინკში ერთმანეთს შეხვდნენ აშშ-ის პრეზიდენტი ჯორჯ ბუში და საბჭოთა კავშირის სახელმწიფოს მეთაური მიხეილ გორბაჩოვი. მათ ერთობლივი განცხადება გააკეთეს ერაყის მხრიდან კუვეიტში ინვაზიის გამო. ამით გორბაჩოვმა მწვანე შუქი აუნთო ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომ განეხორციელებინა სამხედრო ოპერაცია ერაყის წინააღმდეგ. გორბაჩოვის ამ ნაბიჯს, ცხადია, სკკპ-ის კონსერვატორები გაგებით ვერ შეხვდებოდნენ, რამდენადაც სადამ ჰუსეინის ერაყი დიდხანს ითვლებოდა საბჭოთა კავშირის მოკავშირედ. მოგვიანებით ევგენი პრიმაკოვის გაგზავნა ერაყში, სადამ ჰუსეინთან სწორედ კომპარტიის ამ კონსერვატორებისთვის განკუთვნილი ჟესტი იყო. ჯორჯ ბუშმა კი 1990 წლის 11 სექტემბერს კონგრესის წინაშე ისაუბრა „ახალი მსოფლიო წესრიგის“ შესახებ: „დღეს ახალი მსოფლიო იბრძვის თავისი დაბადებისთვის, მსოფლიო, რომელიც საკმაოდ განსხვავდება იმისგან, რომელსაც ჩვენ აქამდე ვიცნობდით. მსოფლიო, რომელშიც კანონის მმართველობა შეცვლის ჯუნგლის მმართველობას. მსოფლიო, რომელშიც ერი-სახელმწიფოები აღიარებენ თავის თავზე აღებულ პასუხისმგებლობას თავისუფლებისა და სამართლიანობის წინაშე. მსოფლიო, რომელშიც ძლიერი პატივს სცემს სუსტის უფლებას. ეს არის ის ხედვა, რომელიც მე გავიზიარე პრეზიდენტ გორბაჩოვისგან ჰელსინკში. როგორც მას, ისე ევროპის, სპარსეთის ყურისა და მსოფლიოს სხვა ლიდერებს ესმით: თუ როგორ ვმართავთ ამ კრიზისს დღეს, ამაზეა დამოკიდებული იმის ჩამოყალიბება, რაც მომავალი თაობებისთვის რეალობად იქცევა“.[371]

4

საქართველოს მეორე დამოუკიდებელი რესპუბლიკა

4.1. პარლამენტის პირველი სესია და გამარჯვებული კოალიციის პროგრამა

ხავერდოვანი, კანონიერი შეცვლა ხელისუფლებისა, კომუნისტური მმართველობის ჩანაცვლება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის არჩეული, წარმომადგენლობითი ხელისუფლებით, პირველად მოხდა რესპუბლიკის უახლეს ისტორიაში.[372] ნაცვლად ერთპარტიული, დადგმული და წინასწარგანსაზღვრული კომუნისტური არჩევნებით აღზევებული უმაღლესი საბჭოსი, ეროვნული ძალების ხელში აღმოჩნდა პარლამენტი, როგორც საკანონმდებლო ხელისუფლების თვისობრივად ახალი ინსტრუმენტი და მის მიერ ჩამოყალიბებული, სახალხო-ეროვნული მთავრობა. საქართველოს ისტორიაში ეს იყო, ამავე დროს, მეორე პარლამენტი 1919 წელს არჩეული დამფუძნებელი კრების შემდეგ, რომელიც თავისუფალი არჩევნების გზით აირჩიეს. თუკი მის შემადგენლობას გადავხედავთ, მასში ვნახავთ აქტივისტებს, რომლებიც იყვნენ დისიდენტურ-უფლებადამცველურ მოძრაობას ან პერესტროიკის შემდეგ მოსულ ნაკადში, იყვნენ საზოგადოებისთვის ცნობილი პიროვნებები ცხოვრების სხვადასხვა სფეროდან, რომელთაგანაც დიდი ნაწილი მთლიანად ან ნაწილობრივ იყო ასოცირებული კომუნისტურ პარტიასთან. თუმცა, აქ თითქმის არ ჩანდა ინტელიგენცია, რომელიც „ეროვნულ კონგრესს" შეუერთდა და, ფაქტობრივად, ობსტრუქციის გზა არჩია.

ამ პარლამენტის შემადგენლობა ასეთი იყო: აბაკელია ვაჟა, აბაშიძე ასლან, აბესაძე ბეჟან, აბზიანიძე შალვა, ადამია ვაჟა, ალექსიძე ლევან, ანდღულაძე ლია, არაბული ალექსი, არევაძე დავით, ასათიანი აკაკი, ასათიანი ლევან, აფაქიძე ანდრია, დადეშქელიანი-აფრასიძე ბიმურზა, ახვლედიანი ალექსანდრე, ახმეტელი ლევან, ბალარჯიშვილი მერაბ, ბარათაშვილი იოსებ, ბარათაშვილი პაატა, ბარამიძე თენგიზ, ბდოიანი მელს, ბეჟაშვილი თენგიზ, ბერძენიშვილი დავით, ბიბინეიშვილი ბესარიონ, ბობოხიძე აკაკი, ბოკუჩავა ზვიად, ბურკაძე იური, ბურჭულაძე ნემო, გაბაშვილი მანანა, გამსახურდია ზვიად, გამყრელიძე თამაზ, გასანოვი აკოფ, გაფრინდაშვილი შოთა, გაჩეჩილაძე გივი, გელანტია ტარიელ, გვანცელაძე თეიმურაზ, გველესიანი თამაზ, გვერდწითელი გურამ, გიგოლაშვილი ზურაბ, გიორგობიანი ბიძინა, გოგაძე დავით, გოგუაძე ემზარ, გოლეთიანი დავით, გოლეთიანი ჯემალ, გონაშვილი ბეჟან, გოცირიძე რომან, გუგავა ბერდია, გუგუშვილი ეთერ, გუგუშვილი თამაზ, გულბანი გიორგი, გულუა ბაკურ, გუმბარიძე გივი, გურგენიძე ვაჟა, გუჩუა ზურაბ, გუჯაბიძე გურამ, დანგაძე ბიძინა, დევნოზაშვილი შუქრი, დეკანოსიძე თამარ, დვალიშვილი დემურ, დვალიშვილი მალხაზ, დიაკონიძე ფირუზ, დიასამიძე თამაზ, დიხამინჯია თენგიზ, დოგუზოვი პავლე, დომუხოვსკი ვიქტორ, ელოშვილი ომარ, ვარძელაშვილი ალექსანდრე, ზვიადაძე სალომე, თალაკვაძე გივი, თაქთაქიშვილი გივი, თოიძე პაატა, თომაძე მაია, თუშმალიშვილი მედეა, იმერლიშვილი გივი, იმნაძე ავთანდილ, იმნაძე ნოდარ, ინასარიძე ხვედრი, ინგოროყვა ანტონ, იონათამიშვი-

ლი ჯემალ, იოსელიანი რამაზ, ისაკაძე გრიგოლ, კავსაძე ალექსანდრე, კალაძე ამირან, კანდელაკი ზურაბ, კანკავა გურამ, კაპანაძე კონსტანტინე, კასრაძე იოსებ, კაცაძე ლია, კახიანი ზაალ, კემულარია რევაზ, კეშელავა ვარლამ, კვანჭილაშვილი მალხაზ, კვაჭაძე ნუგზარ, კვეზერელი ალექსი, კვეტენაძე ავთანდილ, კვიციანი კანდიდ, კიკნაძე მერაბ, კილასონია ნიკოლოზ, კიტოვანი თენგიზ, კობაძე აკაკი, კობერიძე გელა, კონცელიძე რესან, კორძაძე გაიოზ, კოსტავა ზაურ, კოლუაშვილი პაატა, კუბლაშვილი თენგიზ, კუდბა ანზორ, კუპრეიშვილი დავით, ლობჟანიძე გივი, ლორთქიფანიძე თემურ, ლორთქიფანიძე როსტომ, მათიაშვილი აკაკი, მამალაძე ნუგზარ, მამულაძე ნოშრევან, მამულია გურამ, მამფორია თენგიზ, მარგიანი ავთანდილ, მარგიანი გრიგოლ, მარკოზია არკადი, მარჯანიშვილი გიორგი, მასხარაშვილი ირაკლი, მაქაცარია გურამ, მაყაშვილი მიხეილ, მაჭავარიანი არჩილ, მაჭავარიანი მაია, მაჭავარიანი მუხრან, მგალობლიშვილი ნუგზარ, მდინარაძე თემურ, მელაშვილი ირაკლი, მელაძე ალეკო, მემარნიშვილი როდენ, მეტრეველი როინ, მეუნარგია ვახტანგ, მინდიაშვილი არჩილ, მირიანაშვილი მირიან, მირცხულავა ველოდი, მოლოდინაშვილი ნუგზარ, მჟავია თემურ, ნადარეიშვილი ზვიად, ნადარეიშვილი თამაზ, ნათაძე მაია, ნათაძე ნოდარ, ნარმანია იგორ, ნინიძე თედო, ნონიაშვილი ნოდარ, ობგაძე თამაზ, ოდიშარია არჩილ, ოჩიაური გიორგი, პაატაშვილი თედო, პავშენცევი ალექსანდრე, პაპუნიძე გურამ, პეტრიაშვილი გურამ, პეტრიაშვილი რობერტ, პოპიაშვილი ავთანდილ, ჟორჟოლიანი თამაზ, ჟღენტი ალექსანდრე, რიგვავა სერგო, რცხილაძე ავთანდილ, საკანდელიძე ანზორ, სალუქვაძე მინდია, სალუქვაძე რევაზ, სანებლიძე ნიკოლოზ, სანიკიძე გუბაზ, სანიკიზ ზურაბ, საყვარელიძე ავთანდილ, საყვარელიძე მერაბ, საჯაია ნუგზარ, საჯაია ჯემალ, სილაგაძე აპოლონ, სიჭინავა ანზორ, სუბელიანი გია, სურმანიძე რამაზ, ტაბიძე დავით, ტალიაშვილი ირინე, ტურაშვილი ივანე, ტუხაშვილი ლოვარდ, უგრეხელიძე მინდია, ურიათმყოფელი გივი, ურიდია მერაბ, ფაჩუაშვილი ჯეირან, ფაცაცია გერმანე, ფიდანიანი მამიკონ, ფიროსმანაშვილი დალი, ფირცხალავა კონსტანტინე, ფრანგიშვილი ივერი, ფუტკარაძე ტარიელ, ფხალაძე ვიქტორ, ქავთარაძე გიორგი, ქაშაკაშვილი გურამ, ქებურია დიმიტრი, ქიტიაშვილი შოთა, ქობალია ზაურ, ქობულაშვილი ალექსანდრე, ქორიძე თემურ, ქუთათელაძე ბესიკ, ქუთელია ნათელა, ღონღაძე რუსლან, ყაველაშვილი ეთერ, ყრუაშვილი ანრი, ყურაშვილი თამაზ.

გამარჯვებული კოალიცია, ცხადია, თავისი პროგრამით მოვიდა ხელისუფლებაში. „ინტელიგენციის“ კოლაბორაციონისტულმა, საბჭოურ სენტიმენტებს აყოლილმა ნაწილმა, ასევე, ყოველივე ეროვნულისადმი ზიზღით ტვინგადაკეტილმა ადამიანებმა საქმე ისე წარმოაჩინეს, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დღის წესრიგი მხოლოდ ურაპატრიოტული პათეტიკითა და ეთნოსიძულვილით გალეშილი ბრბოს გაუთავებელი მიტინგები იყო, რკინიგზის გადაკეტვებთან ერთად – მიტინგი დღე და ღამე, მიტინგი კომუნისტური ხელისუფლების, საკუთარი თავის, ოპოზიციის, კრემლის, მეზობელი ქვეყნების, ლამის მთელი მსოფლიოს წინააღმდეგ.

სინამდვილეში როგორ იყო საქმე? ხელისუფლებაში მოსული კოალიციის, „მრგვალი მაგიდის“, შეხვედრები ტარდებოდა 1990 წლის 7 მაისიდან 1990 წლის 19 ოქტომბრამდე. სულ ჩატარდა 63 შეხვედრა, რომელთა შეჯამებაც დოკუმენტირებულ იქნა შესაბამის ოქმებში. პირველ სესიამდე „მრგვალი მაგიდა“ გამოვიდა შემდეგი პროგრამული ინიციატივებით: 1. სახელმწიფოს სახელისა და სიმბოლიკის შეცვლა. 2. 1921 წლის კონსტიტუციის, ასევე, 1978 წლის საქართველოს სსრ-ის კონსტიტუციის სრულიად რევიდირებული ტექსტის საფუძველზე (გაკეთდა 250-მდე შესწორება, ასევე, ამოიღეს ყველა საბჭოთა ტერმინი) უნდა მომხდარიყო გარდამავალი პერიოდის ძირითადი კანონის, კონსტიტუციის მიღება. მაგალითად, 77-ე მუხლის მიხედვით, კოლიზიის შემთხვევაში საბჭოთა კანონთან, საქართველოს კანონს ენიჭებოდა უპირატესობა. 3. უნდა მომხდარიყო 1921 წლის 16 თებერვლის შემდეგ ხელისუფლების მიერ დადებული ყველა ხელშეკრულების ბათილად ცნობა. ასევე დაისახა ძირითადი ამოცანები: საქართველოს ტერიტორიის განსაზღვრის საკითხი; ბუნებრივი რესურსების ნაციონალიზაცია და დაცვა; მიწის, საჰაერო სივრცის, წყლის, რესურსების, კონტინენტური შელფისა და ნიაღისეულის ეროვნულ საკუთრებად გამოცხადება; სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო საზღვრების დადგენა; საბაჟო სამსახურის შექმნა; სატრანზიტო ტვირთბრუნვა; ეროვნული საჯარისო ფორმირებების შექმნა; საბჭოთა არმიისთვის უცხო ქვეყნის შეიარაღებული ძალის სტატუსის მიცემა; ეროვნული უშიშროების სამსახურის შექმნა.[373]

„მრგვალი მაგიდის“ პლატფორმის მიხედვით, 1918-1921 წლების საქართველოს რესპუბლიკა 1990 წლის ოქტომბერშიც არსებობდა, იგი არავის გაუუქმებია, ხოლო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მისი მემკვიდრე იყო. ანალოგიურად მისი სამართალმემკვიდრე ხდებოდა ახლადარჩეული უზენაესი საბჭო, რომლის არასაბჭოური, მრავალპარტიული არჩევნების გზით ხელისუფლებაში მოსვლამდე არსებულმა კომუნისტური ხელისუფლების დე ფაქტო ორგანომ: 1. 1990 წლის 9 მარტისა და 20 ივნისის დადგენილებებით აღიარა რუსეთის მიერ დამოუკიდებელი რესპუბლიკის ოკუპაცია და ფაქტობრივი ანექსია, ასევე, მისი ძალდატანებითი მიერთება საბჭოთა რუსეთთან; 2. უზენაესი საბჭოს არჩევნებში მონაწილე პარტიების რეგისტრაცია მოხდა პარიტეტული პრინციპით შედგენილ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში; 3. საკანონმდებლო ორგანოს ერქმეოდა „საქართველოს უზენაესი საბჭო“, „სსრ-ის“ გარეშე; 4. საარჩევნო კანონი ითვალისწინებდა არა სსრკ-ის კონსტიტუციას, არამედ საყოველთაოდ აღიარებულ საერთაშორისო სამართლის ნორმებს; 5. ახალარჩეულ ორგანოს შეეძლო სსრკ-ის კონსტიტუციის შეჩერებაც და შეწყვეტაც. ეს ყველაფერი ძალაში შევიდა ისტორიულ პირველ სესიაზე, რომელიც გაიმართა 1990 წლის 14 ოქტომბერს. იგი ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ჟორდანიამ გახსნა. გარკვეული რუტინული პროცედურების გავლის შემდეგ სიტყვა გადასცეს პოეტ მუხრან მაჭავარიანს. მუხრან მაჭავარიანმა, რომლის ხმაც, 60-იანი წლებიდან მოყოლებული, ყოველთვის ისმოდა დამოუ-

კიდებლობისა და ეროვნული სახის შენარჩუნებისთვის ბრძოლის წლებში, დაასახელა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის კანდიდატურა – ზვიად გამსახურდია. „ამ დღეს თითქმის ერთხმად ვიქენი არჩეული სესიის მიერ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობაზე", – ვკითხულობთ ზვიადის „ჩანაწერებში". აკაკი ასათიანი და ნემო ბურჭულაძე ჩემს მოადგილეებად აირჩიესო.[374] აკაკი ასათიანი ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის თავმჯდომარე იყო, ნემო ბურჭულაძე კი – „მრგვალ მაგიდაში" მოგვიანებით გაწევრიანებული პარტია „ეროვნული ფრონტი-რადიკალური კავშირის" წარმომადგენელი.

უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის არჩევაში მონაწილეობა მიიღო 238 დეპუტატმა, აქედან მომხრე იყო 232, თავი შეიკავა ერთმა, ხოლო წინააღმდეგი იყო 5 დეპუტატი.[375] უზენაესი საბჭოს ახალარჩეულმა თავმჯდომარემ თავის სიტყვაში აღნიშნა: „ქართველმა ერმა გამოამჟღავნა უდიდესი პოლიტიკური სიმწიფე, მაღალი ეროვნული და მოქალაქეობრივი შეგნება, ქართველმა ხალხმა დაამტკიცა, რომ იგი მზად არის თავისუფლებისთვის. ჩვენ უდიდესი მადლობა უნდა მივაგოთ ყველა ქართველს, საქართველოს ერთგულ ყველა მოქალაქეს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს წინასაარჩევნო ბრძოლაში, იღვაწეს და გაისარჯნენ ეროვნული ძალების გამარჯვებისთვის, რამეთუ ეს გამარჯვება დემოკრატიის გამარჯვებაა, თავისუფლებისა და სამართლიანობის პრინციპების გამარჯვებაა ჩვენს ქვეყანაში. მაგრამ, ამასთან, მეგობრებო, უნდა აღვნიშნო, რომ ეს ყოველივე დასაწყისია ახალი, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი და ხანგრძლივი ომისა, რომელშიც უნდა გაიმარჯვოს ჩვენმა ერმა და რომელსაც ჰქვია თავისუფალი, დამოუკიდებელი საქართველოს მკვდრეთით აღდგინება!"[376] უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ასევე გამოყო ის ძირითადი საკითხები, რომელთაც სესიის მუშაობა მიეძღვნებოდა: კონსტიტუციის რეფორმის საკითხი გარდამავალ პერიოდში, გარდამავალი პერიოდის დროებითი ძირითადი კანონის შექმნა არსებულ კონსტიტუციაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის საფუძველზე, დეკლარაცია თავად გარდამავალი პერიოდის მიზნებისა და ამოცანების შესახებ; ეკონომიკური რეფორმა და ეკონომიკური დამოუკიდებლობისთვის საფუძვლის ჩაყრა გარდამავალ პერიოდში, განთავისუფლება საკავშირო ცენტრალური დაგეგმვის დიქტატისგან, ახალი პოლიტიკური სტრუქტურების ჩამოყალიბება, მიწის კანონი, პრივატიზაცია და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ძირითადი პრინციპები, მუნიციპალური არჩევნები, სამართალდამცავი ორგანოების დეპარტიზაცია, მართლწესრიგის განმტკიცება, კულტურისა და განათლების სისტემის რეორგანიზაცია.[377]

როგორც აქედან ჩანს, ძირითადი პრიორიტეტები გახლდათ დამოუკიდებლობა, სამართლებრივი სახელმწიფო, რომლის კანონმდებლობაც მოყვანილი იყო საერთაშორისო აქტებთან შესაბამისობაში, საბაზრო ეკონომიკა და კერძო საკუთრება. რაც შეეხება კონსტიტუციას, რეალურად იყო ორი არჩევანი: ან 1921 წელს სოციალ-დემოკრატიული ხელისუფლების მიერ მიღებული კონსტიტუციის აღდგენა, ან არსებული საბჭოთა კონსტიტუციის დროებითი, შეც-

ვლილი, ანუ „მუშა“ ვერსიის მიღება. დამოუკიდებლობის პერიოდის კონსტიტუციის მოქმედების განახლება ვერ გამოიღებდა სასურველ შედეგს, რამდენადაც გაძნელდებოდა მისი მისადაგება თანამედროვე პოლიტიკური ვითარებისადმი. ახალი კონსტიტუციის მიღებას სერიოზული და ხანგრძლივი სამუშაოს ჩატარება დასჭირდებოდა, ამიტომაც აირჩიეს მესამე გზა: საბჭოთა საქართველოს სსრ-ის მიერ 1978 წელს მიღებული კონსტიტუცია გადაამუშავეს – იქიდან ამოიღეს ყველა საბჭოთა ატრიბუტი, ასევე, არსებული იურიდიული და პოლიტიკური მოცემულობების გათვალისწინებით, მასში შეიტანეს 200-ზე მეტი შესწორება. მაგალითად, ამოიღეს სიტყვები „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა“, „კომუნისტური მშენებლობა“, „კომუნისტური აღზრდა“ და ა. შ. ახლებურად უნდა ჩამოყალიბებულიყო 68-ე, 77-ე, 180-ე, 188-ე მუხლები, მთლიანად უნდა ამოღებულიყო მე-3, მე-9, მე-14, მე-15, მე-16, მე-20, 23-ე, 30-ე, 61-ე მუხლები, მე-8, 34-ე, 38-ე და 74-ე მუხლებში ამოსაღები იყო მეორე ნაწილები. ასევე შესაცვლელი იყო 58-ე მუხლის ფორმულირებაც. ამ დროებითი კონსტიტუციის მიღების შემდეგ საქართველოს ტერიტორიაზე საბჭოთა კონსტიტუციის მოქმედება უნდა შეჩერებულიყო.[378]

გარდამავალი პერიოდის გამოცხადება ამ სესიაზე იმას ნიშნავდა, რომ დამოუკიდებლობა ჯერ არ გამოცხადდებოდა. საწყის ეტაპზე ახალარჩეული ეროვნული ხელისუფლების სუვერენიტეტი და იურისდიქცია უნდა გავრცელებულიყო ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე და დადგენილიყო ქვეყნის საზღვრები. მხოლოდ ამის შემდეგ უნდა მომზადებულიყო დამოუკიდებლობის აღდგენა-გამოცხადების სამართლებრივი საფუძვლები. ეს იყო დამოუკიდებლობის მიღწევის ეტაპობრივ-ევოლუციური კონცეპტი. მომხსენებელი გამოეხმაურა „ეროვნულ კონგრესში“ შეკრებილი ოპოზიციის მოწოდებას, რომ უნდა მომხდარიყო საქართველოს გამოცხადება კოლონიურ ქვეყნად, ხოლო მის ხელისუფლებას საკუთარი თავისთვის უნდა ეწოდებინა კოლონიური თვითმმართველობის ორგანო. ისტორიას არ ახსოვს, – აღნიშნა მომხსენებელმა, რომ კოლონიაში მრავალპარტიული და დემოკრატიული არჩევნები ჩატარებულიყოს, რამდენადაც იგი კოლონიად ვეღარ დარჩება ამის შემდეგ. კოლონიაში ხელისუფლებას მეტროპოლია ნიშნავს, რომ მას ხალხი არ ირჩევს. არჩევნებიც იმიტომ ჩატარდა, რომ ქვეყანაში დაიწყოს ანექსიის შედეგების ლიკვიდაცია. სხვა საკითხია, საბჭოთა ჯარისთვის უცხო ქვეყნის შეიარაღებული ძალების სტატუსის მიცემა და მათი გაყვანის საკითხის დაყენება საერთაშორისო დონეზე. ამავე გამოსვლაში თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ახალარჩეული პარლამენტის ამოცანა იყო გამოეხატა მკაფიო პოზიცია ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების მიმართ, რომლის წინააღმდეგაც იყვნენ იმ მიზეზის გამო, რომ გარდამავალი პერიოდის საქართველო ჯერჯერობით არ იყო დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფო და საერთაშორისო სამართლის სუბიექტი. კიდევ ერთი განსხვავება საბჭოთა პერიოდში ცენტრის მიერ პრაქტიკულად დანიშნული უზენაესი საბჭოსგან უნდა ყოფილიყო ახალი პარლამენტის მუდმივმოქმედი ხასიათი, თავის ასევე

მუდმივმოქმედ კომისიებთან ერთად (ქართულ საკანონმდებლო ორგანოში მათ მოგვიანებით დაერქვათ „კომიტეტები“, კ. გ.), რომელთა მიზანიც იქნებოდა საკანონმდებლო საფუძვლების შემზადება გარდამავალი პერიოდის რეფორმებისთვის.[379]

კომისიების თავმჯდომარეებიც ამავე სესიაზე დაინიშნენ. თავდაცვის კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს ვაჟა ადამია, „მერაბ კოსტავას საზოგადოების“ თავმჯდომარე. იურიდიული კომისიის თავმჯდომარე გახდა ამავე საზოგადოების წარმომადგენელი ნუგზარ მოლოდინაშვილი. განათლებისა და მეცნიერების კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს თემურ ქორიძე „ჰელსინკის კავშირიდან“, ეროვნული მოძრაობის პოპულარული ლიდერი და მიტინგების ცნობილი ორატორი; საგარეო ურთიერთობათა კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს თედო პაატაშვილი, „წმ. ილია მართლის საზოგადოებიდან“. ადამიანის უფლებების დაცვისა და სოციალური საკითხების კომისიას სათავეში ჩაუდგა რობერტ პეტრიაშვილი, „ეროვნული ფრონტი-რადიკალური კავშირიდან“; საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას სათავეში ჩაუდგა ტარიელ გელანტია, ეკონომიკური რეფორმების კომისიას გივი თაქთაქიშვილი, „ეროვნული ფრონტი-რადიკალური კავშირიდან“, მრწეველობის კომისიას სათავეში ჩაუდგა ბაკურ გულუა, რომლის კანდიდატურაც წამოაყენა ავთანდილ საყვარელიძემ, კომპარტიის სიით გასულმა დეპუტატმა; ხოლო სოფლის მეურნეობის კომისიას – ირაკლი ჩხეიძე, „ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირიდან“.

უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოხსენებაში ნახსენებია გარდამავალი პერიოდის პოლიტიკური რეფორმის ძირითადი მიმართულებანი: საბჭოთა ბიუროკრატიული აპარატისა და სტრუქტურების დემონტაჟი, ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის გაუქმება და მისი ჩანაცვლება ახალი დემოკრატიული სტრუქტურებით, ასევე, მუნიციპალური არჩევნების ჩატარება, რის შედეგადაც ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები თავად უნდა გამხდარიყვნენ მოსახლეობის სამოქალაქო, პოლიტიკური და სოციალური უფლებების დამცველნი. რაც შეეხება ადამიანის უფლებებს, მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ სახელმწიფო წყობილება უნდა ემყარებოდეს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს, გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაო დეკლარაციას, ჰელსინკისა და ვენის საერთაშორისო შეთანხმებებს. აქვე აღნიშნული იყო საქართველოს მკვიდრი მოსახლეობის ჩაგვრის შესახებ იმპერიის ცენტრიდან მართული ეთნოკრატიებით, სადაც თანასწორობის პრინციპი დარღვეული იყო ქართველთა საზიანოდ. ისინი ხშირად დისკრიმინაციას განიცდიდნენ, ქართული ენა კი აკრძალვასა და დევნას ექვემდებარებოდა. ამავე დროს, ამ მოხსენებაში ხაზგასმით იყო ნათქვამი, რომ საქართველოს ახალარჩეული ხელისუფლება არ უგულებელყოფდა ეროვნული უმცირესობების უფლებებს, რომელნიც კანონიერად მკვიდრობდნენ საქართველოს მიწა-წყალზე და ხელს უწყობდნენ ქართველი ერის ბრძოლას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. მომხსენებელის თქმით, ამასთან მიმართებით

განზრახული ჰქონდათ საქართველოში ეროვნულ უმცირესობათა არსებული ავტონომიების შენარჩუნება, უფრო მყარ კონსტიტუციურ სამართლებრივ საფუძველზე. მოხსენებაში ყურადღება გამახვილდა ეკონომიკურ მდგომარეობაზეც, რომელიც მემკვიდრებით გადმოეცა ქვეყანას წინა ხელისუფლებისგან. მოყვანილი იყო კონკრეტული რიცხვები გარღვევებსა და დეფიციტებზე, რომლებიც ცენტრალურ დაგეგმარებაზე აგებულმა ეკონომიკამ გამოიწვია 1990 წლის შემოდგომის პერიოდში – საცალო ვაჭრობის, მეცხოველეობის, კვების პროდუქტების მრეწველობის, აგროსამრეწველო კომპლექსის სფეროში. ასევე აღწერილია, როგორი იყო რეალური მდგომარეობა საკოლმეურნეო ბაზრებზე, აღნიშნულია ჩავარდნები ბინათმშენებლობის სფეროში, ასევე, გარღვევები საქართველოს ბიუჯეტში, მდგომარეობა საქაგრომშენში, საქნახშირსა და საქნავთში. ასევე წარმოდგენილია 66 ორგანიზაციასა და საწარმოზე დაკვირვების შედეგად მიღებული სურათი, ექსპორტის სფეროს მონაცემებიდან გამომდინარე. აქვე ხაზგასმული იყო, რომ ამგვარი საწარმოების საქმიანობა შესაბამისობაში უნდა მოსულიყო ეროვნული ეკონომიკის ინტერესებთან, საჭირო იყო ასევე განსაკუთრებული კონტროლი, სტრატეგიული ნედლეულისა და პროდუქციის ექსპორტზე, საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე თანდათან გადასვლის პერიოდში.[380]

აქვე წარმოდგენილია ძალიან მნიშვნელოვანი თვალსაზრისები: „მსოფლიოს ცივილიზებულ ქვეყნებთან რესურსებს უნდა ანაწილებდეს საბაზრო ძალები და არა ბიუროკრატია, სახელმწიფო კონტროლი კი ამ განაწილებისადმი, ისევე, როგორც ფასების კონტროლი, არ უნდა ემყარებოდეს ადმინისტრირების დრომოჭმულ მეთოდს. ამასთან, არსებობს დიდი საფრთხე ე. წ. „საბაზრო სოციალიზმისა“, საბაზრო ეკონომიკა უნდა დაეყრდნოს კერძო სექტორს და ღია საერთაშორისო ვაჭრობას. აუცილებელია პრივატიზაციის პროცესის დაჩქარება, განსაკუთრებით, სოფლად, საჭიროა შემოღება მიწის კანონისა, რომელიც აუცილებლად უნდა მოჰყვეს საქართველოს მოქალაქის სტატუსის შემოღებას. „ამ კანონის საფუძველზე საქართველოს მოქალაქეებს უნდა გადაეცეთ მიწა კერძო მფლობელობაში, გასხვისების უფლების გარეშე, რაც უთუოდ შეუწყობს ხელს მოსახლეობის სოფლად დამკვიდრებასა და გლეხური მეურნეობის განვითარებას საქართველოში“.[381]

გამოსვლის ამ ნაწილთან დაკავშირებით, შესაძლოა ითქვას, რომ „მრგვალ მაგიდასთან“ მოთანამშრომლე ექსპერტები ითვალისწინებდნენ ერთ ელემენტარულ პრინციპს, რომელიც სახელმძღვანელოებშია მოცემული: ლატიფუნდიების დაშლა წვრილ-წვრილ ნაკვეთებად არანაირად არ უწყობს ხელს სოფლის მეურნეობის განვითარებას. აქვე ერთი ადგილი ალოგიკური ჩანს: „ამ კანონის საფუძველზე საქართველოს მოქალაქეებს უნდა გადაეცეთ მიწა კერძო მფლობელობაში გასხვისების უფლების გარეშე“ – თუკი მიწას კერძო საკუთრებაში გადმომცემ, გასხვისების უფლება როგორ არ მაქვს? მაგრამ ამის უკან იგრძნობა გარკვეული საფრთხის განცდა და შიშები, რომ მეურნეობების სწრაფ დაშ-

ლას მოჰყვებოდა მიწებით ვაჭრობა, მისი რამდენჯერმე გადაყიდვა, ისე, რომ სავარგულები მეტწილად დაუმუშავებელი დარჩებოდა. ეს მოგვიანო წლებმაც დაადასტურა: მიწები უფასოდ მიიღეს მაღალჩინოსნებმა ან მათთან დაახლოებულმა პირებმა, შემდეგ დიდხანს უცდიდნენ ფასების აწევას, რომ გაეყიდათ. ამ პერიოდში მათ, ცხადია, ხელი არ უხლიათ ამ მიწებისთვის, არც უცდიათ მათი დამუშავება. არადა საბჭოთა საქართველოს ბოლო წლებშიც მოსახლეობა სოფელში ჯერ კიდევ მყარად იდგა ფეხზე, აქტიურად ამუშავებდა მიწას და მანქანა-ტრაქტორთა სადგურებსაც იყენებდა. ამ ტექნიკის გამოყენება მას ნამდვილად არ უჯდებოდა ძვირი, შემდგომ წლებში კი ეს საშუალება მას ხელიდან გამოეცალა. პრაქტიკულად ასე უნდა მომხდარიყო – მიწების გადაცემა კერძო საკუთრებაში მოხდებოდა გარკვეული წესების დაცვით. მიწა გადაეცემოდა მომავალ მეპატრონეს ჯერ დასამუშავებლად გარკვეული რეალისტური ვადით. თუ იგი ამ ვადაში მიწას მოუვლიდა და დაამუშავებდა, მიწა, ამ საიმატრიკულაციო ვადის გასვლის შემდეგ, კერძო საკუთრებაში გადავიდოდა. რაც შეეხება კერძო საკუთრებას, ჯერ კიდევ „მრგვალი მაგიდის“ პლატფორმაში იყო აღიარებული „კერძო საკუთრების ხელშეუხებლობის პრინციპი“, ისევე როგორც სამეურნეო და კომერციული საქმიანობის თავისუფლება. ამავე დროს დაშვებული იყო სახელმწიფო საკუთრების არსებობა. საბაზრო ეკონომიკის პრინციპების დამკვიდრების პროცესში თავისუფალი მეწარმეობისა და კერძო საკუთრების სისტემის შესაქმნელად უნდა შემუშავებულიყო არსებული სახელმწიფო საკუთრების პრივატიზაციისთვის საჭირო ღონისძიებები.[382]

მომხსენებელი შეეხო, ასევე, რესპუბლიკაში შექმნილ კრიმინოგენურ სიტუაციას. აქაც კონკრეტული მონაცემები იქნა მოტანილი. ამის საწინააღმდეგო გრძელვადიან სტრატეგიად, როგორც ცივილიზებული კაცობრიობის ერთადერთი გზა, დასახელდა რელიგიის აღორძინება, ახალგაზრდობის სწორი აღზრდა, ზნეობრივი იდეალების დამკვიდრება საზოგადოებაში. მოკლევადიან სტრატეგიაში კი, დანაშაულის კონკრეტულ გამოვლინებასთან ბრძოლაში ეს უნდა ყოფილიყო სამართალდამცავ-საგამოძიებო ორგანოების დეპარტიზაცია, ასევე, ეროვნული შინაგანი ჯარის შექმნა, რაც ხელს შეუწყობდა ქვეყნის სტაბილურობას გარდამავალ პერიოდში (აქ, არსებითად, ეროვნული გვარდია იგულისხმება, რომელიც თავიდან უნდა ყოფილიყო საქართველოს შინაგანი ჯარი, შინაგან საქმეთა სამინისტროს ბაზაზე). აქვე დადებითადაა მოხსენიებული საქართველოს მართლმადიდებელი, სამოციქულო ეკლესიის მეთაურის, კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორის დადგენილება, რომლის მიხედვითაც, ანათემას და მოკვეთას დაიმსახურებდა ყველა ის, ვინც თავის მოძმეს სასიკვდილოდ გაიმეტებდა.

კულტურისა და განათლების სფეროზე საუბრისას ზვიად გამსახურდიამ ასევე ხაზგასმით აღინიშნა რეფორმირების აუცილებლობა, წამოსწია საჭიროება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის დამოუკიდებელი სახელმწიფო ინსპექციის შექმნისა, მეორე მხრივ, წამყვანი კულტურული სახელმწიფო დაწესე-

ბულების სტატუსის დადგენისა და მატერიალური ბაზის გაუმჯობესებისა. ეს, პირველ რიგში, შეეხებოდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს, ხელოვნების მუზეუმს, ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრს. ეს შეეხებოდა, ასევე, სხვა, მათ შორის, რაიონულ თეატრებს, მხარეთმცოდნეობისა და მემორიალურ მუზეუმებს, კონსერვატორიას, თეატრალურ ინსტიტუტსა და ა. შ. უნდა მომხდარიყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სტატუსის განხილვა, ჩასატარებელი იყო მეცნიერების მართვის რეფორმა, რომელიც უნდა განთავისუფლებულიყო მართვის ცენტრალიზებულ-ბიუროკრატიული სისტემიდან, საქართველო სამომავლოდ უნდა გაწევრიანებულიყო სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციაში, მაგალითად, ძეგლთა დაცვისა და სამუზეუმო საქმის ხაზით.

გამოსვლის ბოლოს გაკეთებული იყო ისტორიული შეფასება მსოფლმხედველობრივ რეზიუმესთან ერთად: რომ ახალი ხელისუფლების ბრძოლა მიმართული იყო ეროვნული და რელიგიური იდეალების აღორძინებისკენ, რომ ქართველი ერი თავის ისტორიულ გზაზე ზნეობისა და სამართლიანობის ქომაგი იყო, რისთვისაც მრავალგზის ეწამა წარმართთა და ბარბაროსთაგან; მან ხორცი გასწირა სულისთვის. მომხსენებლის თქმით, ქართველი ერი არ წავიდოდა ბარაბას გზით, ულმერთობის, ავაზაკობის, ტერორიზმის გზით, არამედ – სიყვარულის, სიქველის, სათნოების, ქრისტეს გზით.[383]

როგორც პლატფორმაში იყო გათვალისწინებული, სესიამ მიიღო კანონი, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოს ოფიციალურად ეწოდა „საქართველოს რესპუბლიკა“. ამასთანავე, სესიამ გააუქმა საქართველოს სსრ-ის ატრიბუტები და დაამტკიცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ატრიბუტიკა: სახელმწიფოს დროშა (სამფეროვანი, შინდისფერი, თეთრი, შავი), გერბი (ცხენზე ამხედრებული „თეთრი გიორგი“, რომლის შექმნაშიც თავის დროზე მონაწილეობა მიიღო მხატვარმა ი. შარლემანმა, ე. ლანსერესთან ერთად, პროფესორ ივ. ჯავახიშვილის კონსულტაციით) და რესპუბლიკის ჰიმნი – „დიდება“ (ავტორი კოტე ფოცხვერაშვილი).

უზენაესმა საბჭომ მიიღო „მიმართვა მსოფლიოს ხალხებს“, რომელშიც საყურადღებო გზავნილები იყო ჩამოყალიბებული. თავიდან იყო მსჯელობა იმაზე, რომ მსოფლიო პროგრესული ძალების, ასევე, დემოკრატიული ოპოზიციისა და მოსახლეობის ძალისხმევით, საბჭოთა კავშირში შესაძლებელი გახდა დემოკრატიული, მრავალპარტიული არჩევნების ჩატარება. შემდეგ ტექსტში ვკითხულობთ: „საქართველო უკანასკნელ დრომდე დასავლეთისთვის უაღრესად საშიში ზესახელმწიფოს ნაწილს წარმოადგენდა. ამდენად, კარგად გვესმის, რომ საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლა ერთობ გართულდება, თუ იგი დაუპირისპირდება დასავლეთისა და აღმოსავლეთის დაახლოების პროცესს. ეს პროცესები პოზიტიური, დემოკრატიული ნიშნით ვითარდება და, სასურველია, მოხერხდეს მათი ურთიერთშეთავსება. საქართველოს მრავალპარტიული უზენაესი საბჭო სახელმწიფოებრიობის აღდგენის ეტაპობრივ პროცესს განიხილავს, როგორც ამიერკავკასიასა და აღმოსავლეთ

ევროპის რეგიონში სტაბილიზაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს, რამეთუ საქართველოს, ისევე როგორც ბალტიური რესპუბლიკების, ხელოვნური გაერთიანება, თუნდაც, განახლებული საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, აუცილებლად გამოიწვევს ამ რესპუბლიკებში სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობის დესტაბილიზაციას. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო გარდამავალი პერიოდის ხელისუფლების ორგანოა და მიზნად ისახავს 1921 წლის თებერვალ-მარტში შეიარაღებული აგრესიის შედეგად დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენას. ჩვენ არ ვაპირებთ არც რომელიმე სახელმწიფოსთან და არც საქართველოში მცხოვრებ რომელიმე ეროვნებასთან დაპირისპირებას. ეს არის გზა, რომლითაც გარანტირებული იქნება საქართველოში ადამიანის, მოქალაქის, ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვა. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ საქართველო, გახდება რა მსოფლიოს თავისუფალ სახელმწიფოთა ოჯახის წევრი, თავის წვლილს შეიტანს სამართლიანი და ჰარმონიული მსოფლიოს შექმნაში. ამ გზაზე კი სხვა სახელმწიფოთაგან სოლიდარობისა და მხარდაჭერის იმედი გვაქვს".[384]

ამავე სესიაზე იქნა მიღებული „მიმართვა ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების პარიზის კონფერენციას". მასში ხაზგასმული იყო, რომ ევროპის სახელმწიფოთა შორის საზღვრების გადასინჯვის პროცესი ჯერაც არ იყო დამთავრებული, რისი თვალნათლივი მაგალითიც გახლდათ წარსულში ევროპული ტიპის დემოკრატიული სახელმწიფოებრიობის მქონე ბალტიური ქვეყნებისა და საქართველოს ბუნებრივი სწრაფვა დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენისაკენ. პარიზის კონფერენციისადმი და მასში მონაწილე ქვეყნების მთავრობებისადმი იყო მოწოდება, რომ ისეთივე გულისხმიერება გამოეჩინათ საქართველოს დამოუკიდებლობისკენ სწრაფვისადმი, როგორსაც ისინი გერმანიის გაერთიანების პროცესისადმი იჩენდნენ.[385]

პირველ სესიამდე რამდენიმე დღით ადრე საქართველოში დაბრუნდა ემიგრანტი, ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრები ალექსანდრე სულხანიშვილი, ქაქუცა ჩოლოყაშვილის შეფიცულთა რაზმის მებრძოლი, რომელმაც რაზმის მეთაურთან ერთად დატოვა სამშობლო 1924 წელს. მან ჩამოიტანა ის დროშა, რომელსაც ქაქუცა და მისი თანამებრძოლები თან ატარებდნენ მტერსა და დამპყრობელთან ბრძოლებში. გადაწყვეტილი იყო, რომ პირველ სესიაზე სწორედ ალექსანდრე სულხანიშვილს შემოეტანა ეს დროშა, რაც ღრმად სიმბოლური იქნებოდა. მაგრამ 90 წელს გადაცილებული მოხუცი, მას შემდეგ, რაც საქართველოს მიწას ფეხი დაადგა, შესაძლოა, ემოციური სტრესის შედეგადაც, სამშობლოში დაბრუნებიდან 18 დღეში გარდაიცვალა. მისი სასვენებელი დაკრძალვის პროცესიაზე, სხვებთან ერთად, ზვიად გამსახურდიასაც მიჰქონდა თავისი მხრით. ამის შემდეგ თხოვნით მიმართეს პოლიო გოგელიას, ძველი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ვეტერანს, რათა მას შემოეტანა ეს დროშა სესიაზე. ბ-ნი პოლიო დათანხმდა, თუმცა, სამწუხაროდ, აქაც იგივე მოხდა, რაც

ალ. სულხანიშვილის შემთხვევაში – ისიც იმ დღეებში გარდაიცვალა. ამის შემდეგ ეროვნული დროშა სესიაზე შემოიტანეს ბავშვებმა – გიორგი გამსახურდიამ და არჩილ მოლოდინაშვილმა. მაშინ ზვიად გამსახურდიამ განაცხადა: „ქალუცა ჩოლოყაშვილის რაზმის დროშის შემოსვენებამ დაარწმუნა ქართველი ერი, რომ ქართველი ემიგრაცია ჩვენთან არის. ეს დროშა ჩვენთან ერთად იბრძოლებს საქართველოს სრული განთავისუფლებისათვის".[386]

ზვიად გამსახურდიას საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ არჩევა მიულოცეს: ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტმა ვაცლავ ჰაველმა, ჩეხოსლოვაკიის ფედერალური კრების თავმჯდომარემ ალექსანდრ დუბჩეკმა, ლიტვის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ვიტაუტას ლანდსბერგისმა. ამ უკანასკნელის წერილი ქართულ ენაზე იყო დაწერილი. ზვიად გამსახურდიას გამარჯვება მიულოცეს, ასევე, ესპანეთიდან გიორგი ბაგრატიონმა და ხორხე ბაგრატიონ-მუხრანელმა. სხვადასხვა მოსალოც წერილს შორის ყურადღებას იქცევდა საქართველოში მცხოვრები ეთნიკური აზერბაიჯანელების მოლოცვა – სულ 62 ხელმოწერით. ისინი არაქართველ მოსახლეობას ახალი პარლამენტის მხარდაჭერისკენ მოუწოდებდნენ. მოლოცვის ტექსტში ეწერა: „ვიცოდეთ, რომ საქართველო ჩვენი სამშობლოცაა, საქართველოში დაბადებული და გაზრდილი ყოველი არაქართველი თავისუფალი საქართველოს დამცველი მეომარია". ხელმომწერთა შორის იყვნენ მწერალი ეიმაზ ჰასანოვი, პოეტი იმირ მამედოვი, ჟურნალისტი ისლამ ალიევი და სხვები.[387] სესიის დღეს ესტონეთის უზენაესი საბჭოს სპიკერმა იულიო ნუგისმა საინფორმაციო სააგენტო „საქართველოს" სპეციალურ კორესპონდენტს, თენგიზ ჩხიკვაძეს შემდეგი პასუხი გასცა: „ჩემთვის და ჩემი კოლეგებისთვის ერთი წლის წინ გაუგებარი იყო საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნებისადმი ბოიკოტის გამოცხადების მიზეზი. ამ დროს არჩევნები, პრაქტიკულად, ბალტიისპირეთის ყველა რესპუბლიკაში ჩატარდა. მაგრამ დღეს ყველაფერი ნათელი გახდა. მხოლოდ ერთი მიზეზის გამო არ გამართა არჩევნები მაშინ ქართველმა ხალხმა: მას სურდა მრავალპარტიული არჩევნების მოწყობა. ჩვენთან, სამწუხაროდ, არჩევნებს პიროვნული ხასიათი ჰქონდა. ცივილიზებულ სამყაროში კი ეს მხოლოდ პარტიულ ბაზაზე ხდება. ჩემი აზრით, თქვენი პარლამენტის მუშაობა არ დაექვემდებარება მხოლოდ პიროვნებათა ზეგავლენას".[388]

4.2. მინისტრთა კაბინეტი და კადრების ყბადაღებული საკითხი

სესიამ მომდევნო დღეს, 15 ნოემბერსაც, განაგრძო მუშაობა. ახალ მინისტრთა კაბინეტს უნდა დაედო რეალური გეგმა, რომლითაც საქართველო ახალ საფეხურზე, ახალ დონეზე შეძლებდა ასვლას. ამის ყველანაირი წინაპირობა თითქოს მოცემული იყო. თავისი ფართო ნატურალური რესურსით, ზომიერი ჰავით, ზოგადად, ნიჭიერ მუშათა კადრებით საქართველოს ჰქონდა პოტენცი-

ალი ცხოვრების უფრო მაღალი სტანდარტის მისაღწევად. სოციალური ინდიკატორების მიხედვით საქართველო უტოლდებოდა ან იყო უფრო უკეთეს ნიშნულზე საშუალო საბჭოთა სტანდარტთან მიმართებით, მაგრამ, არსებითად დაბლა დასავლეთ ევროპის ქვეყნების შედარებით, როგორც ამას ნ. გორჯესტანი აღნიშნავს.[389]

რაც შეეხება მინისტრთა კაბინეტის ფორმირებას, ზვიად გამსახურდიას „ჩანაწერებში" ვკითხულობთ: „კომუნისტური მთავრობა დათხოვნილ იქნა. მე დავიწყე ახალი მთავრობის შედგენა. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ წამოვაყენე მეტალურგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის, თენგიზ სიგუას კანდიდატურა, რომელიც იმავდროულად იყო ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, გამოირჩეოდა „მრგვალი მაგიდის" მიმართ ლოიალურობით და ავლენდა ობიექტურობას ამ თანამდებობაზე მუშაობის დროს. იმავე დროს იგი ნიღბავდა თავის ალიანსს კომუნისტებთან და სუკ-თან, ხოლო წარსულში იგი თავისი ინსტიტუტის პარტიული კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეც იყო".[390] ამ ჩამონათვალში გამორჩენილია „რუსთაველის საზოგადოება", რომლის თავმჯდომარის მოადგილეც თ. სიგუა გახლდათ. ასევე ისიც, რომ მეტალურგიის ინსტიტუტშიც იგი ბოლო ხანებში დირექტორი გახდა. იგი „რუსთაველის საზოგადოების" თავმჯდომარედაც აირჩიეს, მას შემდეგ, რაც აკაკი ბაქრაძე გადადგა. როგორც ზვიად გამსახურდია ზემოთ მოტანილ „ჩანაწერებში" აღნიშნავს, სიგუა თავიდანვე ნიღბავდა გარკვეულ ძალებთან თავის ალიანსს. ეს დასკვნა, ცხადია, მოგვიანებითაა გაკეთებული. სიგუას სპეცსამსახურებთან კავშირის დამადასტურებელი არც კართოტეკა უნახავს ვინმეს, არც რაიმე სხვა, პირდაპირი ნივთიერი მტკიცებულება. ამ დასკვნების ერთადერთი წყარო მხოლოდ მისი დესტრუქციული ქმედებებია 1991 წლის აგვისტოდან 1993 წლის ჩათვლით.

ცხადია, პოლიტიკა იცნობს პრემიერებს, რომლებიც გადამდგარან კიდეც და წასულან ოპოზიციაში, თუმცა ოპონირებაცაა და ოპონირებაც. რჩება შთაბეჭდილება, რომ სიგუა დეაქტივირებული ნაღმივით იყო, რომელიც საჭირო მომენტში გაააქტიურეს. ისტორია ასევე იცნობს ამა თუ იმ სპეცსამსახურის მიერ გადაბირებულ და ჩანერგილ ადამიანებს. ასეთი იყო, მაგალითად, ბრიტანეთის დაზვერვის სამსახურის უფროსი, კიმ ფილბი, იგივე ჰაროლდ ადრიან რასელ ფილბი, რომელიც საბჭოთა სუკ-მა გადაიბირა დაზვერვის (Mi-6) ოთხ თანამშრომელთან ერთად (მათ პირობითად „კემბრიჯის ხუთეული" ეწოდებათ). მას შემდეგ, რაც მისი საქმიანობა გამჟღავნდა, იგი 1963 წელს გაიქცა სსრკ-ში და სიცოცხლის ბოლომდე მოსკოვში ცხოვრობდა. თეორიულად, იმ სპეცსამსახურს, რომელმაც მოახერხა ესოდენ ძლიერი სახელმწიფო ინსტიტუტებისა და ტრადიციების მქონე ქვეყანაში, დიდ ბრიტანეთში, ხსენებულ მაღალ თანამდებობაზე ჰყოლოდა თავისი კაცი, ნამდვილად არ უნდა გასჭირვებოდა ახალფეხადგმულ საქართველოს რესპუბლიკაში იმავეს გაკეთება პოლიტიკურ თანამდებობაზე. ყოველ შემთხვევაში, თენგიზ სიგუა საერთოდ არ ტოვებდა თა-

ნამშრომლებზე და პოლიტიკურად იმავე პლატფორმაზე მდგომ ადამიანებზე საეჭვო პირის შთაბეჭდილებას არც მეტალურგიის ინსტიტუტში, არც „რუსთაველის საზოგადოებაში“, არც ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში. იგი იმდენად დადებით შთაბეჭდილებას ახდენდა, რომ პერიოდში არჩევნებიდან პირველ სესიამდე, როდესაც მიმდინარეობდა კონსულტაციები და მსჯელობები როგორც მინისტრთა კაბინეტზე, ისე ახალ სტრატეგიაზე, ზვიად გამსახურდიას გარკვეული რეკომენდაციებიც კი მისცეს ამ მიმართულებით. აკაკი ბაქრაძემაც ურჩია, რომ ეს პრემიერობის კარგი და შესაფერისი კანდიდატი იქნებოდა. ზვიად გამსახურდია დათანხმდა, რამდენადაც იგი დაინტერესებული იყო, რომ სტრატეგიული გადაწყვეტილებები სხვა, გარკვეული საზოგადოებრივი რენომესა და ავტორიტეტის მქონე ადამიანებთან ერთად მიეღო. ამით პასუხისმგებლობის გარკვეული გადანაწილება მოხდებოდა. შესაბამისად, ის დარტყმის ძალაც, რომელიც ცენტრიდან გარდუვალად მოსალოდნელი იყო, ასევე გადანაწილდებოდა.

პირველ სესიაზე პრემიერ-მინისტრად დანიშვნის შემდეგ თენგიზ სიგუამ თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ რესპუბლიკაში მძიმე მდგომარეობა იყო შექმნილი: „მკვეთრად გაუარესდა ხორცისა და რძის პროდუქტებით, ბოსტნეულით, ხილითა და კარტოფილით, სურსათის სხვა სახეობებით მოსახლეობის უზრუნველყოფა. მოშლილია სამრეწველო საქონლის ბაზარიც, შეუჩერებლად იზრდება ფასები, მატულობს ინფლაციის ტემპი გაკოტრების პირასაა მისული სამრეწველო და სამშენებლო, ეკონომიკის სხვა დარგების საწარმოთა და ორგანიზაციათა მნიშვნელოვანი ნაწილი“. ჩამოთვალა რა კონკრეტული მონაცემები და დაახასიათა რა სხვადასხვა სფეროში შექმნილი კრიტიკული მდგომარეობა, მომხსენებელმა აღნიშნა: „ცხადია, რომ, სანამ საქართველოს ეკონომიკა ამ სტრუქტურებიდან თავის დაღწევას ვერ შეძლებს, რუსეთისა და სხვა რესპუბლიკების ჩავარდნები, რასაც ამჟამად აქვს ადგილი, საქართველოს ეკონომიკას წინსვლის საშუალებას არ მისცემს. როცა ამ ამოცანას გადავჭრით, მაშინ ჩვენს პოლიტიკურ მიღწევებს საიმედო და მყარი ეკონომიკური ფუნდამენტი ექნება.“ სიგუა ამას იმით ხსნიდა, რომ სსრ კავშირის მთავრობამ ეკონომიკურ სიძნელეთა უმეტესი ნაწილის რესპუბლიკებისთვის გადაკისრება მოისურვა. მარცვლეულის, მეცხოველეობის პროდუქტების შესასყიდი ფასების გადიდებასთან ერთად ფასთა სხვაობის დაფარვა საკავშირო ბიუჯეტის ნაცვლად რესპუბლიკებზე იქნა გადატანილი, ასევე გაიზარდა ხარჯები პენსიების მომატებასთან მიმართებით. ბოლოს მან ასეთი დასკვნა გააკეთა: „მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენი საქმე ხელიდან წასულია და ცენტრს შეუძლია შიმშილითა და სიცივით გვაიძულოს უკან დავიხიოთ ჩვენი მიზნებისგან. საქმე ის გახლავთ, რომ, როგორც ჩვენ ვართ მიბმული რუსეთის ეკონომიკაზე, ისე რუსეთის ეკონომიკაც არის ჩვენზე დამოკიდებული. თუ იგი უარს გვეტყვის ენერგეტიკული და სანედლეულო რესურსების მოწოდებაზე, თვითონაც იძულებული იქნება ეძებოს თავისი გადამმუშავებელი მრეწველობის, არცთუ ისე მაღალხარისხოვანი პროდუქციის გასაღების ბაზარი და გამოძებნოს სავალუტო რესურსები ჩვენი ღვი-

ნის, ჩაის, ხილ-ბოსტნეულის, ციტრუსის, კონსერვებისა და სხვათა ნაცვლად, ამ პროდუქციის სხვაგან შეძენისთვის. ამიტომ ჩვენცა და ისინიც იძულებულნი ვართ, შევინარჩუნოთ არსებული სამეურნეო კავშირები, თუმცა საჭიროა ამ კავშირების ალტერნატივები მოვძებნოთ და, რაც შეიძლება, სწრაფად. ამგვარად, 1991 წლისთვის ჩვენ ცენტრთან ეკონომიკურ თანამშრომლობაზე უნდა წავიდეთ. არ არის გამორიცხული, რომ ამ თანამშრომლობას ჰქონდეს ერთიანი გეგმის, ან რაც უფრო სასურველია, სამეურნეო შეთანხმების სახე".[391]

მინისტრთა კაბინეტი 22 ნოემბრის სესიაზე დამტკიცდა. დიმიტრი შველიძე წერს, რომ პირველ მინისტრთა კაბინეტს პროფესიონალიზმის, პატრიოტიზმისა თუ პიროვნული მახასიათებლების მიხედვით წუნი არ დაედებოდა.[392] იუსტიციის მინისტრად დაინიშნა ჯონი ხეცურიანი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი (რაც უტოლდება დღევანდელ აკადემიურ დოქტორს), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის კვლევის ცენტრის დირექტორის მოადგილე და იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე გუმბარიძის ხელისუფლებაში; კულტურის მინისტრი გახდა ნოდარ წულეისკირი, მწერალი და პროზაიკოსი, არაერთი საინტერესო წიგნის ავტორი, მთელ მსოფლიოში პოპულარული ფილმის, „მონანიების", სცენარის თანაავტორი, 70-იანი და 80-იანი წლების დისიდენტურ-უფლებადამცველური მოძრაობის მონაწილე; ჯანმრთელობის დაცვისა და სოციუზრუნველყოფის მინისტრის პოსტი შეინარჩუნა ირაკლი მენაღარიშვილმა, რომელსაც იგი 1986 წლიდან იკავებდა. მან 9 აპრილის პერიოდში საკმაო პოპულარობა მოიპოვა თავისი გამოსვლებითა და საჭირო მომენტებში ჩართულობით; კავშირგაბმულობის მინისტრი გახდა ფელიქს ტყებუჩავა, ფიზიკოსი, დოქტორი, არაერთი შრომის ავტორი, თბილისის სოხუმის უნივერსიტეტის ფილიალის რექტორი; ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დაინიშნა თემურ კვანტალიანი, 37 წლის რეჟისორი, წესით, საქმეს კარგად უნდა გაძღოლოდა; მეცნიერების, ტექნიკისა და პერსპექტიული დაგეგმვის მინისტრი გახდა ირაკლი ჟორდანია, მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, რომელიც ბოლოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ხელმძღვანელობდა; ვაჭრობის მინისტრი გახდა თამაზ გველესიანი, რომელიც „წმ. ილია მართლის საზოგადოების" აქტივისტი იყო. ფინანსთა მინისტრი გახდა გურამ აბსანძე, მას საკმაოდ კარგი გამოცდილება ჰქონდა სხვადასხვა უწყებაში მუშაობის, როგორც საქართველოს, ისე სსრკ-ის მასშტაბით. იგი შეთავსებით ერთ-ერთი ვიცე-პრემიერიც იყო, ჰქონდა ძალიან კარგი ურთიერთობები იმ საკავშირო უწყებებთან, რომლებზეც რესპუბლიკა ჯერ კიდევ დამოკიდებული იყო; განათლების მინისტრი გახდა ლია ანდღულაძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი, რომელიც ჯერ კიდევ საბჭოთა დისიდენტობის პერიოდში აქტიურობდა; ტრანსპორტის მინისტრი გახდა ალექსანდრე (პეტრე) ჩხეიძე, რომელიც მანამდე მუშაობდა ტრანსპორტის სამინისტროს ხელმძღვანელ თანამდებობებზე; შინაგან საქმეთა მინის-

ტრი გახდა დილარ ხაბულიანი, ცნობილი სპორტსმენი, ძიუდოისტი, ევროპის ჩემპიონი და არაერთი საერთაშორისო ასპარეზობის პრიზიორი. მას მანამდე არ ჰქონია სამართალდამცავ ორგანოებში მუშაობის გამოცდილება; საგარეო საქმეთა მინისტრი კი გახდა გიორგი ხოშტარია, მეცნიერებათა აკადემიის გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, არაერთი წიგნისა და სტატიის ავტორი. გენერალურ პროკურორად დროებით დარჩა ვახტანგ რაზმაძე; ხოლო უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე გახდა სამართლის აღიარებული სპეციალისტი მინდია უგრეხელიძე. უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე მაშინვე არ დანიშნულა – 1991 წლის იანვარში ამ პოსტზე დაინიშნა გენერალ-მაიორი ოთარ ხატიაშვილი, რომელიც ჯერ კიდევ საქართველოს სსრ-ში იყო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე. მრავალპარტიულ და არასაბჭოთა არჩევნებამდე საინტერესო ცვლილებები მოხდა საქართველოს უშიშროების კომიტეტში – თანამშრომელთა ერთმა ნაწილმა დატოვა ეს სახელმწიფო სტრუქტურა და სამუშაოდ გადავიდა „ზაკვოში“, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ცენტრალურ ოფისში. გადასვლამდე ისინი იქ უმრავლესობას არ შეადგენდნენ. მათთვის, ვინც დარჩა, მისაღები უნდა ყოფილიყო ეროვნულ ხელისუფლებასთან თანამშრომლობა. მიუხედავად ამისა, რადიკალურმა და არაკონსტრუქციულმა ოპოზიციამ მაინც გაავრცელა ნარატივი, თითქოს ზვიად გამსახურდია მხოლოდ „ერთგულების“ პრინციპიდან გამომდინარე ნიშნავდა კადრებს. არადა, ამ მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობა აშკარად ხელისუფლების პრაგმატულ მიდგომაზე მიანიშნებდა. მაშ, სადღა იყო რადიკალიზმი? დიმიტრი შველიძე ამ შეკითხვაზე ასე პასუხობს: „ახალი ხელისუფლების ძველი რადიკალები, ვიმეორებთ, დამოუკიდებლობისათვის იბრძოდნენ, რადგან დამოუკიდებლობა სხვებზე მეტად სწყუროდათ და სწორედ ამ გარემოებაში იდო მათი რადიკალიზმი“.[393]

ნიკოლას გორჯესტანის დაკვირვებით, „ზვიადი ეწინააღმდეგებოდა ძველი, კომუნისტური გვარდიის წმენდისკენ მიმართულ მოწოდებებს და მათ გასამართლებას, თუნდაც, 9 აპრილამდე მიღებული უკანონო აქტების გამო (მათ ერთ ნაწილს პასუხი მართლაც არ აგებინეს 9 აპრილის ხოცვა-ულეტის გამო). ეს პრაგმატული ნაბიჯიც იყო, რამდენადაც ტექნიკური და მენეჯერული უნარების მქონე ადამიანების რიცხვი მცირე იყო. ფაქტობრივად, ზვიადისა და მისი მთავრობის ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევა იყო, მოეძებნათ თან კომპეტენტური, თანაც სანდო ადამიანები არა მარტო მინისტრის პოზიციებზე დასანიშნად, არამედ სხვა მაღალი ფუნქციების ოფისებისა და მათი ადმინისტრაციული აპარატებისთვის. გორჯესტანი ამ მხრივ ახსენებს ნოდარ ჭითანავასა და ბაკურ გულუას, ასევე ირაკლი მენაღარაშვილს.[394] ყოფილი პრემიერი ჭითანავა მინისტრად მოგვიანებით დაინიშნა, ბაკურ გულუა კი ერთ-ერთ საპარლამენტო კომისიას ხელმძღვანელობდა.

ზემოთ ნახსენებ სამინისტროებს შორის არ ფიგურირებს თავდაცვის სამინისტრო. მართალია, უზენაესმა საბჭომ შეაჩერა სსრკ-ის კონსტიტუციის მოქ-

მედება საქართველოს ტერიტორიაზე, თუმცა ასეთი სამინისტროს შექმნა 1990 წლის ნოემბერ-დეკემბერში, შესაძლოა, ცენტრისთვის საბაბი გამხდარიყო დამატებითი პროვოკაციებისთვის. რამდენადაც თავდაცვის ახალი სტრუქტურა სამინისტროს ფორმით იმჟამად არ შექმნილა, ეროვნული გვარდია შეიქმნა, როგორც საქართველოს შინაგანი ჯარი. ეს მოხდა 1990 წლის 20 დეკემბერს, საქართველოს უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებით „საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი ჯარების, ეროვნული გვარდიის შექმნის შესახებ". სახელწოდება „შინაგანი ჯარი" ნიშნავდა იმას, რომ ეს სტრუქტურა შინაგან საქმეთა სამინისტროში იყო ინტეგრირებული. გვარდიის მშენებლობის საკითხებით თავიდანვე დაინტერესებული იყო „მრგვალი მაგიდის" სიით გასული მაჟორიტარი დეპუტატი თენგიზ კიტოვანი. იგი 1991 წლის 2 აგვისტომდე უზენაესი საბჭოს მაჟორიტარ დეპუტატად ითვლებოდა. თენგიზ კიტოვანი დაკავშირებული იყო მხატვართა კავშირთან, თვითონაც ხატავდა და ჩართული იყო სამხატვრო მოღვაწეობისთვის საჭირო მომარაგების საკითხებში. მას ადრე შეხება არ ჰქონია არც სამხედრო საქმესა და არც დისიდენტურ მოღვაწეობასთან, მიუხედავად იმისა, რომ თავადაც პირველ საშუალო სკოლაში სწავლობდა, როგორც „გორგასლიანის" ბიჭები. ახალგაზრდობის წლებში მისი სახელი, როგორც თბილისელისა, უფრო ქალაქურ სუბკულტურთან იყო ასოცირებული (ამაზევე მეტყველებს მისი მეტსახელი „ბატია"). მან სამუშაო კაბინეტი აიღო არა მთავრობის სახლის იმ ფლიგელში, სადაც განთავსებული იყო უზენაესი საბჭოს თავმჯდომარისა და მისი მოადგილეების კაბინეტები, არამედ მეორე ფლიგელში, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, თენგიზ სიგუას, კაბინეტის გვერდით.

ამ ურთულესი გადაწყვეტილებების მიღების დროს იყვნენ ისეთი ადამიანებიც, რომლებმაც ზვიად გამსახურდიას უარი უთხრეს თანამშრომლობაზე. ასეთი იყო, მაგალითად, საბჭოთა გენერალი ლერი აბაშიძე, რომელმაც უარი განაცხადა, ხელში აეღო თავდაცვის საკითხები. ახალგაზრდობის წლებში „გორგასლიანის" წევრმა გურამ დოჩანაშვილმა უარი განაცხადა კულტურის მინისტრის პოსტზე, მწერალმა რევაზ თვარაძემ უარი თქვა განათლების მინისტრის პოსტზე (სთავაზობდნენ ჯერ მოადგილეობას, შემდეგ, ძალიან მალე, მინისტრის პოსტსაც), აკადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ უარი განაცხადა გამხდარიყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი. რატომ მოხდა ასე? ეს ადამიანები ხომ მაღალი პროფესიონალიზმით გამოირჩეოდნენ და გარკვეულ მოვლენებთან მიმართებით თავიანთი არცთუ მიუღებელი პოზიცია ეკავათ. აქ, სავარაუდოა, რომ მათ იმ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოცემულობაში ჯერ კიდევ ვერ წარმოედგინათ, რა სისწრაფით შეიძლებოდა მორყეულიყო საბჭოთა სისტემა, ქვეყანა კი უსწრაფესი ტემპით წასულიყო დამოუკიდებლობისკენ.

ამავე სესიაზე პარლამენტმა მიიღო დადგენილება მანამდე მოქმედი ოფიციალური დღესასწაულების გაუქმებისა და საქართველოს დამოუკიდებლობის დღის – 26 მაისის, აგრეთვე, ტრადიციული ქრისტიანული დღესასწაულების აღდგენის შესახებ. დადგენილების მიხედვით, უქმ დღებად გამოცხადდა: 1. 26

მაისი, საქართველოს სახელმწიფოებრიობის, დამოუკიდებლობის აღდგენის დღე; 2. აღდგომა იესო ქრისტესი (თარიღი გარდამავალია); 3. ნათლისღება, 19 იანვარი; 4. მცხეთობა (სვეტიცხოვლობა, კვართის დღესასწაული) 14 ოქტომბერს; 5. მარიამობა (მიძინება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა), 28 აგვისტო; 6. გიორგობა, 23 ნოემბერი (ძვ. სტილით, 10 ნოემბერი); 7. შობა იესო ქრისტესი, 7 იანვარი (ძველი სტილით, 25 დეკემბერი); 8. ახალი წლის პირველი დღე (1-ელი იანვარი); 9. მიცვალებულთა მოხსენიების დღე (აღდგომის მეორე დღე, ორშაბათი, თარიღი გარდამავალია.).[395]

სესია დასრულდა, თუმცა შენობის საკითხი პრემიერ-მინისტრის ოფისის განთავსებისთვის ისევ გაურკვეველი რჩებოდა. მინისტრთა საბჭო, ანუ კაბინეტი კანცელარიის შენობაში უნდა განთავსებულიყო, თუმცა კომუნისტური პარტია, რომელიც არჩევნებში დამარცხდა, აჭიანურებდა შენობის დაცლას. ამასთან დაკავშირებით ასეთი თავშესაქცევი ისტორია არსებობს: არჩევნებში დამარცხებულ კომპარტიას სათავეში ჩაუდგა ჯიმი მიქელაძე, მილიციის ყოფილი გენერალი. ზვიად გამსახურდია თავის სატელევიზიო გამოსვლებში რამდენიმეჯერ შეეხო შენობის დაცლის საკითხს და განაცხადა, რომ ისინი, ვინც სათავეში ჟანდარმი დაიყენეს, შენობის დაცლას ყველანაირად აჭიანურებენო. ამის შემდეგ ჯიმი მიქელაძე შეხვდა „მრგვალი მაგიდის" წარმომადგენლებს და უთხრა, ყველაფერი ისე იქნება, როგორც ბატონ ზვიადს სურსო. ოღონდ ერთი თხოვნა გადაეცით – როდესაც ჟანდარმად მომიხსენიებს, მე ეს მწყინს, ასე აღარ მახსენოსო. ისინი შეპირდნენ, აუცილებლად გადავცემთო. გავიდა სულ რაღაც ორი დღე და ისევ გამოვიდა ზვიადი ტელევიზიით. მან კვლავ ახსენა კომუნისტური პარტია ჟანდარმით სათავეში, რომელიც არჩეულ ხელისუფლებასთან თანამშრომლობაზე უარს აცხადებდა და შენობის გადაცემას აჭიანურებდა. მეორე დილით ჯიმი მიქელაძე უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მისაღებში მივიდა. იგი ზვიად გამსახურდიასთან კაბინეტში შეუშვეს. „ბატონო ზვიად, ყველაფერი ისე მიდის, როგორც თქვენ ბრძანეთ. უბრალოდ, ერთი თხოვნა მქონდა, რომ ჩემთვის ჟანდარმი არ გეწოდებინათ საჯაროდ და მაინც ასე მომიხსენიეთ", – უთხრა სტუმარმა ნაწყენი ტონით. ზვიადი გულწრფელად შეწუხდა: უკაცრავად, ადვაძე ვიგულისხმეო, – ესღა უთხრა. ასეთ პასუხზე ჯიმი მიქელაძემ ვერაფერი უთხრა. იგულისხმებოდა სსრკ-ის პარლამენტის დეპუტატი, ზვიად გამსახურდიას ოპონენტი, ეკონომისტი ვალერიან ადვაძე. იგი ზვიადმა ერთ-ერთ ინტერვიუში „კრემლის მებრძოლად" მოიხსენია.[396]

4.3. „ეროვნული კონგრესი" და „მხედრიონი"

ჟურნალისტი და ისტორიკოსი დავით გამცემლიძე 1990 წლის შემოდგომის მოვლენებზე კომენტარისას მართებულად წერდა: „ის, რაც 28 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ მოხდა საქართველოში, „კონგრესის იდეის" გამართლებად

ვერ გამოდგება. პირიქით, ადასტურებს კიდეც შეხედულებას, რომ, თუნდაც, დეკლარირებული ორხელისუფლებიანობა სამოქალაქო ომის წინაპირობაა.[397] „ეროვნული კონგრესი" ერთმანეთისგან საკმაოდ განსხვავებული წარსულის მქონე და პოლიტიკური გემოვნების ადამიანებისგან შედგებოდა, ასევე ნამდვილად შეიძლებოდა თქმა, რომ ამ ადამიანებიდან ზოგიერთი გარკვეული დამსახურებების მქონეც იყო ეროვნულ მოძრაობაში და არც შეგნებული დესტრუქციის განზრახვები ჰქონდა; თუმცა ფაქტია ისიც, რომ ისინი ვერ ახერხებდნენ ეფექტური ზეგავლენა მოეხდინათ ამ „კონგრესის" წარმმართველ ბირთვზე. „კონგრესის" პოლიტიკის წარმმართველები კი თავისას არ იშლიდნენ, მათი პოზიცია კონფრონტაციული და შინაარსობრივად სრულიად ანტიპოლიტიკური რჩებოდა.

ჯერ კიდევ 1990 წლის ნოემბერში „ეროვნულმა კონგრესმა" საქართველოს ახალარჩეულ უზენაეს საბჭოს წაუყენა მოკლე ულტიმატუმი. აქ ჩამოყალიბებული იყო გარკვეული პირობები, რა შემთხვევაში დაუპირისპირდებოდა „კონგრესი" ხელისუფლებას: 1. მას არ უნდა მოეწერა ხელი ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე. ამაზე შეიძლება იმის აღნიშვნა, რომ მსგავსი გაფრთხილების მიზეზი „ეროვნულ კონგრესს" წესით არ უნდა ჰქონოდა, რამდენადაც უზენაესი საბჭოსა და „მრგვალი მაგიდის" არცერთ განცხადებაში მინიშნებაც კი არ ყოფილა ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებასთან მიერთებაზე. ეს უფრო ჰგავდა დადანაშაულებას, თითქოს უზენაესი საბჭო და მისი თავმჯდომარე სინამდვილეში ამ ნაბიჯის გადადგმას აპირებენ, მაგრამ ამას ხმამაღლა ვერ ამბობდნენ და საპირისპიროს გაიძახოდნენ. 2. თუკი გამოაცხადებდა საქართველოს დამოუკიდებლობას. ამაზე უნდა აღინიშნოს, რომ „კონგრესის" მესვეურები უზენაეს საბჭოს ცენტრალური ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოდ თვლიდნენ, კრემლი კი, თავის მხრივ, მოკავშირე რესპუბლიკების „ბულგარეთიზაციას", ხოლო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების „ფინეთიზაციას" ეწეოდა. ისინი ჯიუტად, ხისტად და მონოტონურად იმეორებდნენ, ვიდრე საქართველოში დგას უცხო ქვეყნის ანუ რუსეთის ჯარი, დამოუკიდებლობა არ უნდა გამოცხადდესო. ისმის კითხვა, როგორღა მიაღწევდა რეალურ დამოუკიდებლობას და უცხო ქვეყნის ჯარების გაყვანას ქვეყანა, რომელიც საკუთარი მიზნებსა და უმთავრეს ზეამოცანაზე განაცხადსაც კი არ გააკეთებდა? 3. თუკი დაიწყებდა რეპრესიებს და „დაუპირისპირდებოდა „კონგრესს" და მთელ ეროვნულ მოძრაობას" – ამ მოთხოვნაში უკვე ლატენტურად იყო დაანონსებული, რომ „კონგრესში" მყოფი ძალები სრულიად დესტრუქციული პოლიტიკური აქციებისთვის ემზადებოდნენ, რომლებიც კონსტიტუციური ფარგლებიდან აუცილებლად გავიდოდა. ამის პირველი ნიშანი იყო თუნდაც „მხედრიონის" გასამხედროებული ფორმირების გააქტიურება, რომლის ლიდერიც, ჯაბა იოსელიანი, „კონგრესის" წევრი იყო და ხშირად სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ესწრებოდა სხდომებს. 4. „კონგრესი" დაუპირისპირდებოდა ხელისუფლებას, თუკი ჩათვლიდა, რომ იგი დეოკუპაციისთვის არ იბრძოდა. არც ასეთი პირობისთვის ჰქონდა საფუძველი

„კონგრესს", რამდენადაც ახლად არჩეული ხელისუფლება მკაფიოდ აყენებდა საბჭოთა კავშირის მიერ საქართველოში განთავსებული შეიარაღებული ძალების ნაწილებისთვის „საოკუპაციო" სტატუსის მინიჭების საკითხს. მათი გაყვანა კი შესაძლებელი იქნებოდა პოლიტიკური ნაბიჯების გადადგმით, საერთაშორისო საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობითა და არა – მათზე ლოკალური პროვოკაციებისა და შეიარაღებული თავდასხმების განხორციელების გზით, რაც თავისთავად საკმაოდ სახიფათოც შეიძლებოდა გამხდარიყო. 5. „კონგრესი" დაუპირისპირდებოდა ხელისუფლებას, თუკი ის განახორციელებდა ანტიდემოკრატიულ კურსს, მტრობას გამოიჩენდა ქართველი ერის ინტერესებისადმი. ეს ძალიან ზოგადი, არაფრისმთქმელი და წყალწყალა პუნქტია. შეიძლება ითქვას, ერთგვარი ტავტოლოგიაა. ამასთანავე, როგორც მართებულად აღნიშნავს დ. შველიძე, ხელისუფლებას თუნდაც „იდეალური, დემოკრატიული კურსი გაეტარებინა, „კონგრესი" მაინც მოუძებნიდა ნაკლს და ანტიდემოკრატიულად მონათლავდა ხელისუფლების ნამოქმედარს".[398] ანუ ეს ოპოზიცია არბიტრის როლს თავადვე ირგებდა. ასეთი „არბიტრი" უფრო მზა, პროპაგანდისტული ბრალდებებით იხელმძღვანელებდა და მტკიცებულებების წარდგენით დიდად არ შეიწუხებდა თავს. მიუხედავად ამისა, თვით „ეროვნულ კონგრესშიც" არსებობდა ნება, მომხდარიყო დიალოგი ხელისუფლებასთან და გარკვეულ საკითხებში მაინც მიღწეულიყო კონსენსუსი, რაც ვითარების ნორმალიზაციას ხელს შეუწყობდა.

1990 წლის 8 დეკემბერს მწერალთა კავშირის სასახლეში შედგა დაპირისპირებული მხარეების წარმომადგენელთა შეხვედრა. პარიტეტულ საწყისებზე შეიქმნა კომისია და დაინიშნა მოლაპარაკებების დაწყების დრო – 1990 წლის 13 დეკემბრის 12 საათი. მიუხედავად იმისა, რომ მცდელობა ორმხრივი იყო, მორიგება შეუძლებელი აღმოჩნდა. ეს ნიშნავდა, რომ გონივრულობისკენ მიდრეკილი ძალა „კონგრესში" სულ უფრო მეტად განიცდიდა მარცხს. „კონგრესი" გადადიოდა „მხედრიონისა" და გია ჭანტურიას ედპ-ს ხელისუფლებისადმი შეურიგებელ, კონფრონტაციულ კურსზე. ეს, ცხადია, იმას არ ნიშნავს, რომ „კონგრესის" შიგნით ყველანი კმაყოფილნი იყვნენ მოვლენათა ასეთი განვითარებით. ასე მაგალითად, ირაკლი წერეთელმა 1990 წლის 21 დეკემბერს, იხელმძღვანელა რა მაჰათმა განდის მიერ ოდესღაც გადადგმული ნაბიჯით, სცადა ორივე მხარეზე მოეხდინა ზემოქმედება და გამოაცხადა შიმშილობა, რომლის მოთხოვნაც იყო ურთიერთობის მოგვარება ეროვნულ ხელისუფლებასა და „კონგრესს" შორის. თუმცა ამ შიმშილობას იმდენად დიდი ყურადღება არ მიაქციეს მხარეებმა. რამდენადაც ირაკლი წერეთელი სხვებზე მეტად გულშემატკივრობდა ეროვნული შერიგების იდეას, იგი პრობლემური ფიგურა იყო „კონგრესისთვის". ასე მაგალითად, გია ჭანტურია თავის წერილში თენგიზ გუდავას წერდა: „ირაკლი წერეთელმა ასეთი რამ გააკეთა: ტელევიზიით გამოვიდა და თქვა, გიორგი ჭანტურიაც მიყვარს და ზვიად გამსახურდიაც. წარმოგიდგენია? ერთ სიბრტყეზე დაგვაყენა მე და ზვიადი! ისიც თქვა, ზვიადს რომ გაუჭირ-

დება, მას ამოვუდგებიო მხარში, როცა გიას გაუჭირდება – მას მივეხმარებიო. ხომ გესმით, ამით მას უნდოდა იაფფასიანი ქულები მოეგროვებინა, მაგრამ ამანაც უკურეაქცია გამოიწვია – ჩვენები და საერთოდ, ყველა პატიოსანი ადამიანი, ირაკლი წერეთელს ლანძღავს, ზვიადის ხალხმა კი ის მაინც არ მიიღო. ასე რომ, ირაკლიმაც ჩვენსავით უკურეაქცია მიიღო“. ირაკლი წერეთელი გიორგი ჭანტურიას თვალში ის ფიგურა იყო, რომელიც მუდმივად პრობლემებს შექმნიდა. ამას გ. ჭანტურია, ცხადია, ირონიულად დასძენდა, რადგან იგი ი. წერეთელს სერიოზულ კონკურენტად არასოდეს განიხილავდა.[399]

აგრესიულად მოქმედებდა „მხედრიონიც“. უკვე პირველ სესიაზე მოვიდა ინფორმაცია, რომ მხედრიონელებმა კახეთში დაცხრილეს მილიციის რამდენიმე საგუშაგო. თავდასხმები ასევე განხორციელდა გურჯაანის, თელავის, ყვარლისა და ლაგოდეხის შინაგან საქმეთა განყოფილებებზე იარაღის გატაცების მიზნით. კახეთის „მხედრიონის“ წევრებმა, რომელთა მეთაურიც გელა გოდერძიშვილი იყო, გაიტაცეს „მაკაროვისა“ და „ტეტეს“ სისტემის პისტოლეტები, „რაკეტნიცები“, დამცავი ჟილეტები, მანქანები, გაათავისუფლეს უწინ არაერთგზის ნასამართლევი პატიმრები. ამის შესახებ ინფორმაცია გააკეთა მილიციის პოლკოვნიკმა გრიგოლ შონიამ, რომელმაც განაცხადა, რომ გარკვეული პერიოდულობით სესიას მიაწვდიდა ინფორმაციას კახეთში ამ მხრივ შექმნილ დაძაბულ სიტუაციაზე. სესიამ დაავალა „მრგვალი მაგიდის“ სიით გასულ მოძღვარს, არჩილ მინდიაშვილს, შეხვედროდა ორგანიზაცია „მხედრიონის“ ლიდერებს და დაერწმუნებინა ისინი დიალოგის აუცილებლობაში. მოძღვარი არჩილ მინდიაშვილი მართლაც წავიდა მათთან შესახვედრად, თუმცა დაბრუნებისას განაცხადა, რომ მათთან საკმაოდ რთული საუბარი ჰქონდა. „მხედრიონის“ შესახებ იმთავითვე განსხვავებული შეხედულებები არსებობდა. ერთი მხარის აზრით, ეს ორგანიზაცია, რომელსაც მოგვიანებით დაერქვა „მაშველთა კორპუსი“, შეიარაღებულ, პატრიოტულ ორგანიზაციად მიიჩნეოდა, რომელიც თითქოს პოზიტიურ ფუნქციას ასრულებდა კონფლიქტურ რეგიონებში, რაც შეეხებოდა ადგილობრივი ქართული მოსახლეობის დაცვას. უზენაესი საბჭოს პირველი სესიის შემდეგ „მხედრიონმა“ ძალის დემონსტრაცია დაიწყო. მათ გაჰყავდათ „დოსააფის“ ტექნიკა, იარაღდებოდნენ. თუმცა ამდენი შეიარაღებული ადამიანის შენახვას ესაჭიროებოდა ფინანსები, კვება და მომარაგება, რისი საშუალებაც მის საველე მეთაურებს არ ჰქონდათ. ამიტომაც ხშირად ადგილობრივ მოსახლეობას აიძულებდნენ გამოეკვება იქვე ახლოს დაბანაკებული მხედრიონელები.

„მხედრიონის“ შექმნის შესახებ საქართველოს სსრ-ის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, გენერალი ანზორ მაისურაძე, ერთ-ერთი ქართული გაზეთისთვის მიცემულ თავის ინტერვიუში აცხადებდა: „პირდაპირ გეტყვით: უკანონო სამხედრო ფორმირება „მხედრიონი“ შეიქმნა, ჩამოყალიბდა და დაფინანსდა საქართველოს მთავრობის მიერ... გივი გუმბარიძის ცკ-ის პირველი მდივნობის პერიოდში. ნოდარ ჭითანავა, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, შვებულებაში იყო, როცა მთავრობამ „მხედრიონს“ სამი

მილიონი მანეთი გამოუყო. „მხედრიონს“ პერსპექტივაში უნდა ემოქმედა დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტის ჩამოსაგდებად“. იგივე ინტერვიუში ა. მაისურაძე ამბობს, რომ ორგანოები ვერაფერს უხერხებდნენ ამ შეიარაღებულ ფორმირებას: „თერთმეტჯერ გავაჩერე მანქანები, მხედრიონელების მიერ მილიციის განყოფილებებიდან გატაცებული იარაღით დატვირთული. თერთმეტჯერვე გაუშვეს“.[400]

1990 წლის 1-ელ დეკემბერს ტელევიზიით გამოვიდა საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი ვახტანგ რაზმაძე. მან ისაუბრა ქვეყანაში შექმნილ მძიმე კრიმინოგენურ სიტუაციაზე და დაასახელა ციფრები – 48 მკვლელობა, 76 სხეულის განზრახ დაზიანება, 23 თავდასხმა მილიციის მუშაკებზე, 47 ყაჩაღობა, 46 ძარცვა, 461 ქურდობა, მოქალაქეთა გატაცების 5 შემთხვევა. ძნელია დაზუსტებით თქმა, აქედან რამდენი დანაშაული ჩაიდინეს „მხედრიონთან“ ასოცირებულმა პირებმა. რასაკვირველია, „მხედრიონში“ იყო ადამიანების ის ნაწილიც, რომელსაც მსგავსი დანაშაული წესით არ უნდა ჩაედინა, თუმცა სახეზე იყო საკმაოდ დიდი რაოდენობა და, შესაძლოა, უმრავლესობა მოკრიმინალო ელემენტებისა, რომლებიც განეკუთვნებოდნენ როგორც ქალაქების, ისე რაიონების სუბკულტურას. გენერალური პროკურორის მიერ ჩამოთვლილი შემთხვევები მომხდარი იყო უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში და აქედან, ერთი თვე და ორი კვირა ეროვნული ხელისუფლების მმართველობის პერიოდზე მოდიოდა.[401]

ამის შემდეგ „მხედრიონმა“ ოპერის ბაღში შიმშილობა დაიწყო. ჯაბა იოსელიანის წიგნში „სამი განზომილება“ ამ მხრივ უცნაური სიცარიელეა – მე-14 გვერდზე თხრობა შეეხება 1989 წლის ნოემბერ-დეკემბრის მოვლენებს სამაჩაბლოში, ცხინვალის რეგიონში, შემდეგ გაკვრით ნახსენებია „მხედრიონელთა“ 1990 წლის დეკემბრის შიმშილობა ოპერის ბაღში, რომელიც დაიწყო 2 დეკემბერს და მათ საპირისპიროდ დაწყებული შიმშილობის კონტრაქცია „წმ. ილია მართლის აქტივისტებისა“, მთავრობის სასახლესთან. შემდეგ მთხრობელი პირდაპირ გადადის მხედრიონელების დაპატიმრებებზე, რაც მოგვიანებით, 1991 წლის თებერვალში, განხორციელდა. 1990 წლის 28 დეკემბერს უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება „კანონით გაუთვალისწინებელი შეიარაღებული ფორმირების აკრძალვის შესახებ“.[402] ეს დადგენილება კრძალავდა რესპუბლიკაში კანონით გაუთვალისწინებელი შეიარაღებული ფორმირებების შექმნასა და მოქმედებას; ამგვარ უკანონო შეიარაღებულ ფორმირებაში გაწევრიანებულ პირებს წინადადება ეძლეოდათ, ერთი თვის ვადაში ჩაებარებინათ იარაღი სამართლადამცავი ორგანოებისთვის; თუკი დადასტურდებოდა, რომ ამ დადგენილების მეორე პუნქტში აღნიშნული პირები დათქმულ ვადაში ნებაყოფლობით ჩააბარებდნენ იარაღს, მათ მიმართ არ იქნებოდა გამოყენებული კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ღონისძიებები. ასევე მიიღეს კანონი „ეროვნული გვარდიის“ შესახებ. გაკეთდა მოწოდება ყველა შეიარაღებული ფორმირებისადმი – და ასეთი, „მხედრიონის“ გარდა, კიდევ რამდენიმე იყო – გაერთიანებულიყვნენ

გვარდიაში. მათში, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, უნდა გაერთიანებულიყვნენ ის „ღირსეული ადამიანები, ვინც არ დაისახავდა მიზნად საქართველოს ეროვნულ მთავრობასთან ბრძოლასა და კონფრონტაციას".[403]

„მხედრიონის" ლიდერი აცხადებდა: „ეროვნული გვარდია ეს არის ნამდვილი ბლეფი. არავითარი გვარდია საქართველოში არ არსებობს. ეს არის იმავე მოსკოვის შინაგანი ჯარების გაძლიერების პროცესი. ჩვენ დავემორჩილებით მხოლოდ ისეთ ორგანოს, რომელიც იქნება მთელი ქართველი ხალხის ნებისა და ინტერესების გამომხატველი. პირადად ვინმეს, თუნდაც ზვიად გამსახურდიას ან სხვას, ჩვენ არ დავემორჩილებით. ჩვენ ისე დავრჩებით, როგორც შევიქმენით. თუ ვინმე ჩვენს დაშლას მოინდომებს, ვურჩევ, ილუზიებს თავი დაანებოს. მართალია, სისხლი დაიღვრება, მაგრამ ყველამ იცოდეს, რომ ჩვენი მოწინააღმდეგის იარაღი ჩვენს ხელში გადმოვა. სხვა გამოსავალი არ არის. თუ რუსის ჯარს მოიშველიებენ, ჩვენ ტყეში გავალთ და იქიდან ვიბრძოლებთ".[404] ეს, ცხადია, ნიშნავდა ამ შეიარაღებული ფორმირების გადასვლას სახელმწიფოსა და ხელისუფლებასთან შეიარაღებული დაპირისპირების რეჟიმში.

ზვიად გამსახურდიას „ჩანაწერებში" აღნიშნულია, რომ 1990 წლის 14 ნოემბრიდან გააქტიურდა ბანდფორმირება „მხედრიონი", რომელმაც დაიწყო მოსახლეობის ძარცვა, რაიონებში ადგილობრივი მილიციის განყოფილებებზე თავდასხმა, იარაღისა და ავტომანქანების გატაცება. მიხეილ გორბაჩოვმა თავის გამოსვლაში ეს ამბები მონათლა „სახალხო მღელვარებებად", რომელიც საქართველოში ვითომდაც ხელისუფლების ცვლილებამ გამოიწვია.[405] 1990 წლის 8 დეკემბერს, პრესცენტრში გამართულ პრესკონფერენციაზე უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს დაუსვეს შეკითხვა ჯაბა იოსელიანის ინტერვიუზე, რომელიც მან მისცა „ამერიკის ხმას". ამაზე ზვიად გამსახურდიამ განაცხადა: „მე ვიცოდი, რომ ამ ინტერვიუში ბატონმა ჯაბამ აღიარა ყველაფერი, რასაც უარყოფს ამჟამად და რის ნინააღმდეგაც აცხადებს შიმშილობას. როდესაც ჩვენ ვეუბნებით, რომ მას კრიმინალები და პროვოკატორები ჰყავს, ის ამბობს, რომ ეს ცილისწამებაა და შიმშილობას აცხადებს. ინტერვიუში კი შიმშილობის მიზეზად ცილისწამებად მიჩნეული ფაქტები აღიარა... საინტერესო იყო ეს. გამოდის, რომ ჯაბა იოსელიანი ცილს სწამებს ჯაბა იოსელიანს. ამის შემდეგ ის ვეღარ იტყვის, ეს ჩემი ხმა არ არისო. ჩვენ ხომ სწორედ მაგას ვეუბნებით, რაც ინტერვიუში თვითონ აღიარა, კერძოდ, მას კრიმინალები ჰყავს „მხედრიონში", ამიტომ ის უნდა დაიშალოს, რათა ქართველი ერი საფრთხეში არ ჩავარდეს. ჩვენ მათთან პოლიტიკური დისკუსიები არ გვაქვს. მათთან საქმე მხოლოდ სამართალდამცავმა ორგანოებმა უნდა დაიჭირონ. მაგრამ ისინი ქართველები არიან და ჩვენ გვეცოდებიან, არ გვინდა, რომ დაიღუპონ, ამიტომ ვუგზავნით ჩვენს წარმომადგენლებს, ვცდილობთ, ასე ვთქვათ, მათ მოლბობას".[406]

თუმცა მოლაპარაკებებმა შედეგი არ გამოიღო. 1991 წლის 17 თებერვალს პროცესების განვითარებამ სხვა სიმძაფრე შეიძინა. ზვიად გამსახურდიას ზემოთ ნახსენებ „ჩანაწერებში" ვერაფერს ვკითხულობთ თავად „მხედრიონის"

დროებით განეიტრალებაზე. ჯაბა იოსელიანი კი ასე აღწერს ამ პროცესებს: „დაიწყო მხედრიონელთა მასობრივი დაპატიმრებები. კახეთში დაიჭირეს ასამდე მხედრიონელი. სასიკვდილოდ დაჭრეს გელა გოდერძიშვილი და კიდევ რამდენიმე წევრი... ყველა მხედრიონელს ადანაშაულებდნენ ან იარაღის ტარებაში, ან „დოსააფის“ მანქანების გატაცებაში. არადა, „დოსააფის“ მანქანები და ტექნიკა თვით მათ უფროსთან, გუდაძესთან შეთანხმებით წამოვიყვანეთ. „დოსააფი“ (ანუ „Добровольное общество содействия армии, авиации и флоту“), როგორც ორგანიზაცია, უკვე იშლებოდა. მის კუთვნილ ტექნიკას: სატვირთო მანქანებს, ბულდოზერებს, ტრაქტორებს – რუსეთში გასატანად ამზადებდნენ. ამ დროისთვის ჩვენ უკვე მაშველთა კორპუსის, საზოგადოებრივი ორგანიზაციის, ოფიციალური სტატუსით შევიერთეთ „დოსააფი“ თავისი ავლადიდებით. დავდეთ ხელშეკრულება ხელმძღვანელობასთან – ეს ყველაფერი გაფორმებულია საერთო კრებაზე, დოკუმენტურად ვიდეოკასეტაზე, მოწმეების ჩვენებებით. და მაინც, პროკურატურა თავისი ჩვეული საბჭოთა მეთოდებით, ჯიუტად გვაკერებს ამ „დაყაჩაღებას“. ქაღალდის მთელი ზეწრები შეუდგენიათ, დაუხატავთ, დაუხაზავთ, ვინ საიდან წამოიყვანა ეს მანქანები. ბევრი მათგანი შავნაბადაზე, ფარეხში გვქონდა შენახული. დარბევის დღეს რუსის ჯარმა დალეწა, ტანკებით გადაუარა ამ მამასისხლად შეძენილ ტექნიკას“.[407] ეს ცნობა ჯაბა იოსელიანის წიგნიდან საკმაოდ ფასეულია. „დოსააფი“ იყო აბრევიატურა, რომელიც ასე იშიფრებოდა: „საბჭოთა არმიასთან, ავიაციასთან და ფლოტთან ნებაყოფლობითი მოქმედების საკავშირო საზოგადოება“). სიტყვა „ნებაყოფლობითი“ აქ პირობითად ეწერა, ტოტალიტარულ სახელმწიფოში არავის შეეკითხებოდნენ, ასეთ ორგანიზაციებში ჩართვა „ნებაყოფლობით“ უნდოდა თუ არა. ეს ორგანიზაცია თავისი პირველადი ფორმით ჯერ კიდევ 1927 წელსაა დაარსებული, ხოლო 1951 წელს ჩამოყალიბდა როგორც მასობრივი, სამხედრო-პატრიოტული ორგანიზაცია.

1990-1991 წლებში, როდესაც ცენტრალიზებული საბჭოთა სტრუქტურების რღვევა დაიწყო, ყველა რესპუბლიკაში თავისებურად წარიმართა ამ ორგანიზაციის ბედი – მაგალითად, აზერბაიჯანში იგი გარდაიქმნა მოხალისეთა ტექნიკურ-სპორტული ორგანიზაციის სამხედრო-პატრიოტულ საზოგადოებად, სომხეთში მის ბაზაზე თავდაცვითი სპორტულ-ტექნიკური ორგანიზაცია შეიქმნა. როგორც ვხედავთ, ამ ორგანიზაციის ბედს ყველგან სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლებები განსაზღვრავდნენ. საქართველოში „დოსააფის“ ტექნიკის გადაცემა „მხედრიონისთვის“, უპირველეს ყოვლისა, განაპირობა გუმბარიძემ, ვიცე-პრემიერმა გურამ მგელაძემ, ასევე, შინაგან საქმეთა სამინისტროს და სუკ-ის მაღალჩინოსნებმა. რასაკვირველია, ეს აპრიორი შეთანხმებული იქნებოდა საბჭოთა არმიის გენერალურ შტაბსა და საბჭოთა სამხედრო დაზვერვასთანაც. ჯ. იოსელიანი აქ არ ასახელებს ზუსტ თარიღს, როდის მოხდა ეს შეთანხმება საქართველოს „დოსააფის“ ხელმძღვანელობასთან, რასაც მნიშვნელობა აქვს. ისინი, რომლებიც კომუნისტური ხელისუფლების მარცხს

წინასწარ ხედავდნენ, ერთგვარი რევანშის ინსტრუმენტს უკვე ამზადებდნენ – ეს იყო „მხედრიონი-მაშველთა კორპუსი“.

იოსელიანი აქვე საუბრობს რუსული ჯარის ქმედებებზე „მხედრიონის“ შავნაბადას ბაზაზე თავდასხმისას. რესპუბლიკებში განთავსებული საბჭოთა არმიის ნაწილები, რომელთაც, დაახლოებით, ერთი წლის წინ უკვე განხორციელებული ჰქონდათ სისხლიანი სპეცოპერაცია ბაქოში, ხოლო ამ მოვლენებამდე, ვილნიუსშიც, სადაც მათ დამოუკიდებლობის კურსის გამტარებელი, დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლების დამხობა სცადეს, საქართველოშიც მზად იყვნენ პროვოკაციებში ჩართვისთვის. თუკი საქართველოს არჩეული ხელისუფლება ვერ გამოიჩენდა სათანადო ოპერატიულობასა და სიმარჯვეს, ხოლო „მხედრიონის“ ბირთვი, იოსელიანის მეთაურობით, მოახდენდა ხელახალ ფორმირებას, მაშინ საქართველოში რუსული ჯარი მათ წინააღმდეგ დაიწყებდა მოქმედებას და ამ საკმაოდ სისხლიან მოვლენებში არაერთი რაიონი ჩაერთვებოდა – იქ, სადაც მხედრიონელებს ჰქონდათ გარკვეული მხარდაჭერა და შექმნილი ჰქონდათ ბაზები. რასაკვირველია, ისინი ხელისუფლებასა და მილიციის ნაწილებსაც თავს დაესხმებოდნენ. ამისთვის საქართველოს რესპუბლიკა ნამდვილად არ იყო მზად. ამის გამო 17-19 თებერვალს თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში მოხდა „მხედრიონის“ ხელმძღვანელი ელიტის დაპატიმრება – ჯაბა იოსელიანისა და მისი მოადგილის, ზაზა ვეფხვაძის, ასევე, ს. არაქელოვის, ზ. გველესიანის, გ. კაპანაძის, ვ. იმერლიშვილის, ზ. ოთარაშვილის, გ. სახელაშვილის, ნ. პატარქალიშვილისა და სხვების (სულ70-მდე ადამიანის). მათ წინააღმდეგ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე.[408] რამდენიმე ადამიანმა მოახერხა გაქცევა, მათ შორის იყო თამაზ ყურაშვილი, მეტსახელად „ბუღა“.

1991 წლის 18 თებერვალს გამოსული გაზეთი „მხედრიონი“ აღნიშნავდა: „შუადღისას, რუსთაველის პროსპექტზე ერთდროულად ორი მიტინგი გაიმართა – მთავრობის სახლის, ოპერისა და ბალეტის თეატრის წინ. მთავრობის სახლთან მრავალათასიან მიტინგზე გამოსულმა საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ზვიად გამსახურდიამ, უზენაესი საბჭოს წევრებმა თემურ ქორიძემ და მანანა ძოძუაშვილმა, რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა გიორგი ხოშტარიამ და სხვებმა დაგმეს სამხედრო ძალის გამოყენება რესპუბლიკის მოქალაქეთა წინააღმდეგ, ამასთან განაცხადეს, რომ შავნაბადასთან მომხდარი შეტაკება „მხედრიონის“ მიერ არის ინსცენირებული და მიზნად ისახავს საფრთხე შეუქმნას ხალხის მიერ არჩეულ პარლამენტს და რესპუბლიკის მთავრობას, რომ საოკუპაციო ჯარის წინააღმდეგ ყოველგვარი გამომწვევი მოქმედება, შეიძლება, ჩვენს რესპუბლიკაში ჯარის დამატებითი ნაწილის შემოყვანისა და ქართველი ხალხის წინააღმდეგ სისხლიანი ანგარიშსწორების საბაბი გახდეს. იმავე დღეს საპირისპირო მიტინგი გაიმართა ოპერისა და ბალეტის თეატრის შენობასთან. სიტყვით გამოვიდნენ „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების“ წევრები, არქეოლოგი ჯუმბერ კოპალიანი და ისტორიკოსი გურამ ყორანაშვილი, ასევე, „მხედრიონის“ ხელმძღვანელი ჯაბა იოსელიანი და ეროვნულ-დემოკრატიუ-

ლი პარტიის თავმჯდომარე გია ჭანტურია. მათ შავნაბადის ინციდენტში ბრალი რესპუბლიკის პარლამენტსა და მის თავმჯდომარეს დასდეს".[409] „ეროვნულ კონგრესში" ელიტარული ინტელიგენციის წარმომადგენლები ამ ამბებით აღშფოთებას გამოხატავდნენ. ისინი „მხედრიონის" წევრებს დემოკრატიისთვის მებრძოლებად ნათლავდნენ, ხოლო ხელისუფლებას ადანაშაულებდნენ მოსკოვთან გარიგებაში.

4.4. „სამხრეთ ოსეთის" დამოუკიდებელი რესპუბლიკა ზვიად გამსახურდიას „ჩანაწერებში"

აღნიშნულია, რომ ოსი ექსტრემისტების მიერ მოწყობილი სისხლიანი პროვოკაციები, მეტადრე 1990 წლის 29 ოქტომბრის შემდეგ, გახშირდა ეგრეთ წოდებულ „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაში", სადაც ქართველებს კლავდნენ, ცოცხლად წვავდნენ, სახლებს უწვავდნენ; ცხინვალის ეროვნებით ქართველი მოსახლეობა მთლიანად განდევნეს იქიდან. ცხინვალში, ამ უძველეს ქართულ ქალაქში, ოსმა ექსტრემისტებმა გამოაცხადეს „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა", რითაც მათ გააუქმეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. ამის საპასუხოდ საქართველოს უზენაესი საბჭო იძულებული გახდა, გაეუქმებინა უკვე აღარ არსებული ავტონომიური ოლქი. ცხინვალში დაიწყო საბჭოთა ჯარების შეყვანა ოსი ექსტრემისტების მხარდასაჭერად, რომელთაც გააძლიერეს ქართველი მოსახლეობის ტერორი და გენოციდი.[410]

ამ ყოველივეს, რასაკვირველია, თავისი წინაისტორია ჰქონდა. ისტორიულ შიდა ქართლსა და მთიან დვალეთში მცხოვრები კუდარელი ოსები, რომლებიც გვიან შუა საუკუნეებში გამოჩნდნენ კავკასიის ქედის სამხრეთ კალთებსა და ხეობებში, გააქტიურდნენ ჯერ კიდევ 1918 წლის 26 მაისის შემდეგ, რამდენადაც დაუპირისპირდნენ ახალშექმნილ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას. მათი გააქტიურების ხარისხზე ზემოქმედებას ახდენდა ჯერ თეთრგვარდიელი დენიკინელების მოძრაობა ჩრდილოეთ კავკასიაში, შემდეგ კი – ბოლშევიკების კონსოლიდაცია. დამოუკიდებელი საქართველოს თავდაცვის მინისტრი გრიგოლ ლორთქიფანიძე თავის მოგონებებში წერდა: „როკის უღელტეხილით შემოჭრილმა რუსეთმა „ოსეთის აჯანყების სპექტაკლი დადგა".[411] ხოლო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის სარდალი, გენერალი ვალიკო ჯუღელი, როდესაც 1920 წლის მაისი-ივნისის ოსთა აჯანყებას შეეხება, წერს: „ოსი ნაციონალისტები ჩვენი ბოროტი და დაუძინებელი მტრები არიან. ისინი ყოველთვის სარგებლობენ ჩვენი სისუსტეებით და გვიწყობენ აჯანყებას. რამდენიმე წლის წინ ისინი თავიანთი აჯანყებებით თურქებს უადვილებდნენ ბათუმის აღებას. წინა წელს ისინი ეხმარებოდნენ დენიკინს, ხოლო ეხლა ბოლშევიკებთან ერთად იბრძვიან".[412] აქ უნდა დაზუსტდეს, რომ ეს ოსები

არა ჩვეულებრივი ნაციონალისტები, არამედ ნაციონალისტ-ბოლშევიკები იყვნენ.

ქართველი ბოლშევიკი, პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე ბესარიონ კვირკველია, რომელიც წითელი არმიის მიერ საქართველოს ოკუპაციის დროს გახდა საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი, თავის სპეციალურ დასკვნაში სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნის მიზანშეწონილობის შესახებ აღნიშნავდა, რომ ასეთი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულის შექმნა სამაზრო ერთეული უფლებებით, გეოგრაფიული და ეკონომიკური მოსაზრებებით შეუძლებელი და მიუღებელი იყო. ბოლშევიკებმა კვირკველიას დასკვნა უარყვეს და 1922 წლის 20 აპრილს შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. თავად ამ საკითხზე უარყოფითი დასკვნის ავტორი ამავე წელს საქართველოდან გაასახლეს და 1937 წელს, დიდი რეპრესიების დროს, დახვრიტეს.

1989 წლის 9 აპრილის შემდეგ ქალაქ ცხინვალში ჩამოყალიბდა ანტიქართული შეიარაღებული ექსტრემიზმისა და ანტიქართული პოლიტიკის ნამდვილი ცენტრი – არანაკლები და, გარკვეული თვალსაზრისით, უფრო რადიკალურიც, ვიდრე ეს იყო გუდაუთაში, ტყვარჩელში, სოხუმში. ამ ცენტრმა, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული საბჭოთა არმიის გენერალურ შტაბთან, სამხედრო დაზვერვასა და საბჭოთა სუკ-თან, გამოიყენა „პერესტროიკის" სიტუაცია, ასევე, საქართველოს კომპარტიისა და სუკ-ის სისტემაში უნიათო, არაეროვნული, აპოლიტიკური და ცენტრის მიმართ მხდალი დამოკიდებულებების არსებობა და საკმაოდ მოიკიდა ფეხი ადგილზე, განსაკუთრებით ქალაქ ცხინვალსა და ჯავაში. ლ. სარალიძის სტატიაში ისინი ჩამოთვლილნი არიან: ტორეს კულუმბეგოვი, „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის" უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ალან ჩოჩიევი, ორგანიზაცია „ადამონ ნიხასის" თავმჯდომარე, ჰაჯი-მურატ ძუწათი, ქ. ცხინვალის მწერალთა კავშირის წევრი, ევგენია ძაგოევა, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე, ასევე, აღსარ ჯიკაევი, ბორის ჩოჩიევი, მურატ ცხოვრებოვი, ვადიმ გაბარაევი და სხვები. 9 აპრილის შემდეგ განვითარდა „კანონების ომი", რომელსაც ავტონომიური ოლქი იმპერიის ცენტრის წაქეზებით აწარმოებდა საქართველოს სსრ-ის ხელისუფლების წინააღმდეგ. ეს „ომი" ანტიქართული მობილიზაციისა და ქართველთა ეთნიკურ ნიადაგზე შევიწროების უფრო საშიში ტენდენციის გამოხატულება იყო, რომელსაც, საბოლოო ჯამში, ეთნოწმენდა მოჰყვებოდა.

„სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელი რესპუბლიკის" გამოცხადება ბოლო წვეთი იყო ფიალაში. 1990 წლის 11 დეკემბერს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიამ იმსჯელა ცხინვალში შექმნილ ვითარებაზე. კამათში მონაწილეობა მიიღეს დეპუტატებმა: ალექსანდრე ვარძელაშვილმა, ალექსანდრე ქობულაშვილმა, ავთანდილ მარგიანმა, ნოდარ ნათაძემ, ლოვარდ ტუხაშვილმა, ანდრია აფაქიძემ, ფოტი ჩიტლოვმა, ვლადიმერ მირცხულავამ, თეიმურაზ გვანცელაძემ და ლევან ალექსიძემ. დეპუტატების წინაშე გამოვიდა, ასევე, სსრკ-

ის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების სამმართველოს უფროსის მოადგილე, გენერალ-მაიორი გენრიხ მალიუშკინი. მისი გამოსვლა პარლამენტში ზოგიერთმა დეპუტატმა, მაგალითად, ნოდარ ნათაძემ, ნეგატიურად მიიღო. თუმცა ზვიად გამსახურდიას მიდგომა შექმნილი კრიზისისადმი აქ გულისხმობდა იმას, რომ სსრკ-ის შინაგანი ჯარი ნაწილობრივ მაინც გაენეიტრალებინა და, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნებოდა, კანონის დაცვა აეძულებინა ავტონომიურ ოლქში – იქ, სადაც ექსტრემისტების თავზეხელაღებული ჯგუფები მძვინვარებდნენ.[413] სესიამ ერთხმად მიიღო კანონი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ, აგრეთვე, კანონი, რომელიც ადგენდა საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში სათანადო ცვლილების შეტანას. მანამდე უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატთა წინაშე წარდგა ვრცელი მოხსენებით, რომელშიც დასაბუთებული იყო გადასადგმელი ნაბიჯის როგორც ისტორიული, ისე იურიდიული მიმართებები და გარემოებები.

რეალური ისტორიის ობიექტური სურათის აღდგენისთვის მოხსენებაში თავიდანვე აღინიშნა, რომ ავტონომიები ჩამოყალიბდა ბოლშევიკური ანექსიის შემდგომ, ქართველი ერის ინტერესების საწინააღმდეგოდ და ეს არღვევდა ერთა შორის თანასწორობის პრინციპს, ხოლო ახლანდელი უზენაესი საბჭოს პოზიცია მიზნად ისახავდა ერთაშორისი ურთიერთობების მშვიდობიანად განვითარებას, საკონფლიქტო საკითხების მოლაპარაკების გზით მოგვარებას, სამოქალაქო მშვიდობისა და სტაბილიზაციის პროცესისთვის ხელშეწყობას. აქვე აღინიშნა, რომ ოს ხალხს სრული უფლება ჰქონდა ეცხოვრა საქართველოს ტერიტორიაზე, თუმცა რაც შეეხებოდა თვითგამორკვევასა და საკუთარი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას, ეს მათ შეეძლოთ განეხორციელებინათ თავიანთ ისტორიულ სამშობლოში, ანუ ჩრდილოეთ ოსეთში. ოსი სეპარატისტები ცდილობდნენ მოეწყვიტათ საქართველოსთვის მისი გული, ქართველი ხალხის მატერიალური და სულიერი კულტურის ისტორიული კერა, და თვითგამორკვევის უფლების რეალიზაციის საბაბით ქმნიდნენ ე. წ. „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკას“, თანაც გვარწმუნებდნენ, რომ ეს გეგმა არაფრით არ ემუქრებოდა საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიულ მთლიანობას. თუმცა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს მიერ მიღებული დეკლარაცია ამის საპირისპირო ვითარებას აჩვენებდა. ეს „დეკლარაცია“ უგულებელყოფდა საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციას და საერთოდ საქართველოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სხვა სასიცოცხლოს ინტერესებს, სსრ კავშირის კონსტიტუციის ქვაკუთხედ პრინციპებს, რომლებიც ავტონომიურ ოლქს მთლიანად უმორჩილებდა მოკავშირე რესპუბლიკის სუვერენიტეტს და მიაკუთვნებდა ადგილობრივი ხელისუფლების სტატუსს.[414]

მოხსენებაში აღინიშნა, რომ საქართველოს მთავრობის ყველა ცდა, შეეწყვიტა ეს ანტიკონსტიტუციური ქმედება მშვიდობიანი ურთიერთმოლაპარაკებების საშუალებით, უშედეგო აღმოჩნდა. თვითმარქვია ხელისუფლების მესვეურები განსაცვიფრებელი ცინიზმითა და უტიფრობით პასუხობდნენ ყოველ

წინადადებაზე, შეეწყვიტათ თავიანთი უკანონო საქმიანობა. სეპარატისტთა ინფორმაციით, თვითმარქვია, ანტიკონსტიტუციურ არჩევნებში ამომრჩევლის 71-მა პროცენტმა მიიღო მონაწილეობა, მაგრამ ვინ იყოს ამის შემმოწმებელი? რა ნაბიჯი უნდა გადადგმულიყო? კანონთა ომის გაგრძელება რას მოიტანდა? თუკი დავეყრდნობით იმ ფაქტს, რომ საქართველო დაპყრობილ იქნა სამხედრო ინტერვენციისა და ოკუპაციის შედეგად, ყველა იურიდიული აქტის უარყოფა, რომელიც „სამხრეთ ოსეთში“ მიიღებოდა, ახლავე შესაძლოა, უარყოფილი ყოფილიყო, თუმცა, გარდამავალი პერიოდის ამოცანები სხვას კარნახობდა საქართველოს ხელისუფლებას: ეს იყო თავად სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სტატუსთან დაკავშირებული საკითხების განხილვა ისევ საბჭოთა კანონმდებლობის მიხედვით, რამდენადაც ოპონენტები სწორედ ამ აქტებით შეიარაღებულნი ახორციელებდნენ შეტევას. ამის შემდეგ მოხსენებაში მოდის დაწვრილებითი ისტორიული ანალიზი XI-XVIII საუკუნეების მიგრაციებიდან დაწყებული, მეფის რუსეთის ეპოქის ჩათვლით, შემდეგ 1920 წლის ოსი სეპარატისტების აჯანყება შიდა ქართლში და საბჭოთა რუსეთის ბოლშევიკური ხელისუფლების პარირება ამაზე, შემდგომ 1921 წლის ოკუპაციის შედეგად შექმნილი რეალობა და ავტონომიის შექმნა. ჩამოთვლილია ძირითადი საკანონმდებლო აქტები, რომლებიც მიიღეს 1922 წლიდან 1980 წლამდე – იგულისხმება აღნიშნული წლის 12 ნოემბერს მიღებული კანონი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შესახებ – „სამხარეო საოლქო საბჭოების ავტონომიური ოლქებისა და ავტონომიური ოკრუგების სახალხო დეპუტატთა საბჭოების ძირითად უფლებამოსილებათა შესახებ“. ეს კანონი თითქოს აღიარებს საქართველოს სსრ-ის უფლებას, დააწესოს ოლქის საზღვრები, მაგრამ მითითება იმაზე, რომ ოლქის ტერიტორია არ შეიძლება შეიცვალოს ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს თანხმობის გარეშე, სინამდვილეში ამ უფლებას აუქმებს. ხოლო სსრ კავშირის ძირითადი კანონი, რომელსაც, წესით, ეს აქტი უნდა ეყრდნობოდეს, ასეთ მუხლს არ შეიცავს. სასოფლო, სადაბო და სხვა ოლქის ადმინისტრაციული ერთეულებისა და ორგანოების შექმნის უფლებას საქართველოს სსრ კონსტიტუცია აკუთვნებდა ცენტრალურ ხელისუფლებას თბილისში, ანუ საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს. ახლა კი ეს უფლება იყო უზენაესი საბჭოს პრეროგატივა. ეს ნიშნავდა, რომ ხელისუფლება ადგენდა და ცვლიდა ავტონომიური ოლქის რაიონულ დაყოფას, ქმნიდა ქალაქებს, რაიონებს, დაბებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებს. ეს ნიშნავს, რომ 1980 წლის კანონი ეფუძნებოდა საქართველოს სსრ-ის 1977 წლის კონსტიტუციის ამ მუხლს. ხოლო საქართველოს განახლებული კონსტიტუცია, როგორც ძირითადი კანონი, 1980 წლის კანონთან შედარებით, უფრო აძლიერებდა რესპუბლიკის სუვერენიტეტს ავტონომიური ოლქის ტერიტორიის მიმართ.[415] რამდენადაც სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის შექმნა საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში სათანადო ცვლილებას უკავშირდებოდა, უზენაესი საბჭო უფლებამოსილი იყო ემოქმედა კონსტიტუციის 104-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად. ამ პუნ-

ქტის მიხედვით, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო იღებდა გადაწყვეტილებებს ეროვნულ-სახელმწიფო წყობილების საკითხებზე, რომლებიც განეკუთვნებოდა რესპუბლიკის გამგებლობას. ოლქის გარდაქმნა რესპუბლიკად, მით უმეტეს, სუვერენულ ერთეულად, უზენაესი საბჭოს თანხმობის გარეშე იურიდიულ საფუძველს მოკლებული აქტი გახლდათ.

და სსრკ-ს რა უფლებამოსილება გააჩნდა ამ მხრივ? იგი ახალი ერთეულის შექმნას მხოლოდ ამტკიცებდა. არსებითი გარემოება კი ის იყო, რომ საკითხი მხოლოდ იმ შემთხვევაში დაისმებოდა სსრკ-ის სახალხო დეპუტატთა საბჭოს წინაშე, თუკი მას დადებითად გადაწყვეტდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო. ოსები, რომლებიც შიდა ქართლში ცხოვრობდნენ, არ წარმოადგენდნენ ერს (აქ ზ. გამსახურდია გულისხმობდა ტერმინ Nation-ს, ანუ „ერი-სახელმწიფოს", კ. გ.), რომელსაც, საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, სათანადო სტატუსიც მიეკუთვნება, ამ ტერმინის სრული მნიშვნელობით, არამედ წარმოადგენდნენ ეროვნულ უმცირესობას, რომელსაც, შეიძლებოდა ჰქონოდა მხოლოდ ეროვნულ-კულტურული და მუნიციპალურ-ფუნქციონალური ავტონომიის პრეტენზია. აქვე გამომსვლელი აპელირებდა ადამიანის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტზე, რომლის მიხედვითაც, „იმ ქვეყნებში, სადაც ცხოვრობდნენ ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი უმცირესობანი, პირებს, რომლებიც მიეკუთვნებოდნენ ასეთ უმცირესობებს, არ შეიძლება, უარი თქმოდათ ამ უფლებებზე ამ ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად ესარგებლათ, ზიარებოდნენ თავის რელიგიასა და შეესრულებინათ მისი წესჩვეულებები, ასევე ესარგებლათ თავისი კულტურით, მშობლიური ენით". ამიტომ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ავტონომია, რომელიც დაინერგა სსრკ-ის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი წყობილების ჩამოყალიბების პროცესში, ზოგიერთ შემთხვევაში, ხელოვნურად ანიჭებდა ადმინისტრაციულ ავტონომიას ეროვნულ უმცირესობას, რითაც მოკავშირე რესპუბლიკის ბალკანიზაციას ახდენდა. შიდა ქართლში მცხოვრებ ოსებს ეროვნული უმცირესობის სტატუსიდან გამომდინარე, ვერ მიენიჭებოდა ვერც ავტონომიური რესპუბლიკის, ვერც სხვა სახის სახელმწიფო წარმონაქმნის სტატუსი. აქვე მოხმობილ იქნა სამართლებრივი ცნობარი საბჭოთა კონსტიტუციის შესახებ ა. ლუკიანოვის, ვ. კუდრიავცევისა და ბ. ლაზარევის რედაქციით, საიდანაც ცხადი გახლდათ, რომ ავტონომიური ოლქი ეროვნული წარმონაქმნი იყო, რომელიც თავის ადმინისტრაციულ და კულტურულ ცხოვრებას მშობლიურ ენაზე აწარმოებდა. ავტონომიური ოლქი ხელისუფლების ადგილობრივი ერთეულების რიცხვს მიეკუთვნებოდა – მის ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხის ეროვნული ნიშნების გათვალისწინებით. ანალიზი გვიჩვენებს, რომ ერთ შემთხვევაში ავტონომიური ოლქის სტატუსი ხელოვნურად ზღუდავდა ერის თვითგამორკვევის უფლებას, მეორე შემთხვევაში კი ზუსტად ასახავდა არსებულ მდგომარეობას, ხოლო მესამე შემთხვევაში – აღემატებოდა მასში მცხოვრების მოსახლეობისთვის მისანიჭებელი დასაშვები სამართლიანი იურიდიული ჩარჩოს ნორმებს. აქედან გამომდინარე, ასკვნიდა

მომხსენებელი, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მოსახლეობას არ შეიძლებოდა ჰქონოდა იგივე თვითგამორკვევის უფლება, როგორც თავის ისტორიულ მიწაზე მცხოვრებ ერს ან ხალხს, თუნდაც ჩრდილო ოსეთში მცხოვრებ ოსებს. მათ მხოლოდ ვიწრო, თავისებური ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის სტატუსის პრეტენზია შეიძლებოდა ჰქონოდათ. თვითგამორკვევას არ შეიძლებოდა ხელეყო მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობა, ე. ი. მისულიყო გამოყოფამდე ან ავტონომიური სახელმწიფოს შექმნამდე, რადგან ეროვნული უმცირესობა ცხოვრობდა არა თავის ისტორიულ მიწაზე, არამედ სხვა ერის (ერი-სახელმწიფოს, კ. გ.) ტერიტორიაზე, თუნდაც მრავალი წლის განმავლობაში.

რაც შეეხება სსრკ-ის 1990 წლის 26 აპრილის კანონს „სსრ კავშირისა და ფედერაციის სუბიექტებს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ", მომხსენებლის აღნიშვნით, საბჭოთა სახელმწიფოს ისტორია განიცდიდა არამარტო უნიტარიზაციის ტენდენციას, რომელშიც იზღუდებოდა მოკავშირე რესპუბლიკის კომპეტენციები „ცენტრის" სასარგებლოდ, არამედ იგი ხასიათდებოდა რესპუბლიკების „ბალკანიზაციით" – ანუ ავტონომიური ხვედრითი წონის გადიდებით სუვერენული რესპუბლიკების მთლიანობის ხარჯზე. რუსეთის ფედერაციაში შემავალ ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიური ოლქების ხალხებს, მიუხედავად იმისა, რომ არცერთ მათგანს სახელმწიფოებრიობა არასოდეს ჰქონიათ, ჰქონდათ უფლება ესარგებლათ „რუსეთის ხალხთა უფლებათა" 1917 წლის დეკლარაციის მიერ ნაბოძები თავისუფლებით. ბევრ მათგანს შეეძლო საკუთარი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნაც, მაგრამ გარკვეული პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, მათ ირჩიეს რუსეთის ფარგლებში დარჩენა. დღეს ზოგიერთმა მათგანმა მოითხოვა უფრო მაღალი სტატუსის მიღება. მომხსენებლის თქმით, ეს რუსეთის ფედერაციის საშინაო საქმეა და ჩვენ ამ პროცესის შეფასებისგან თავს შევიკავებთო.[416]

და შეიძლებოდა თუ არა ავტონომიური ოლქის გაუქმება? საქართველოს კონსტიტუცია 1989 წლის 18 ნოემბრამდე ითვალისწინებდა საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში ახალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების შექმნასა და შემდგომ წარდგენას სსრკ-ის სათანადო ორგანოში. კონსტიტუციის 104-ე მუხლი ამ უფლებას უმაღლესი საბჭოს განსაკუთრებული კომპეტენციის საგნად მიიჩნევდა. რაც შეეხება ავტონომიური ერთეულის გაუქმებას, მას საბჭოთა კონსტიტუცია არ ითვალისწინებდა და, თუკი ასეთი საკითხი დაისმებოდა, ამ შემთხვევაში მხოლოდ ანალოგიის პრინციპით უნდა ეხელმძღვანელა. თუმცა მდგომარეობა შეიცვალა 1989 წლის 18 ნოემბრის კანონის მიღების შემდეგ, როდესაც ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა 104-ე მუხლი. ამ ახალ რედაქციაში ახალი ავტონომიური ერთეულის შექმნაზე კი აღარ მიდიოდა საუბარი, არამედ დადგენილი იყო, რომ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო იღებდა გადაწყვეტილებებს ეროვნულ-სახელმწიფო წყობილების საკითხებზე, რომლებიც საქართველოს რესპუბლიკის განმგებლობას განეკუთვნებოდა. აღ-

ნიშნული მუხლი ახალი ავტონომიური ოლქის გაუქმებასაც მოიცავდა, რადგან ეს იყო ეროვნულ-სახელმწიფო წყობილების ერთ-ერთი საკითხი და საქართველოს სსრ, როგორც „სუვერენული სახელმწიფო", უფლებამოსილი იყო გადაეწყვიტა იგი. ამრიგად, ავტონომიური ოლქის გაუქმების საკითხის განხილვა და გადაწყვეტა სსრკ-ისა და საქართველოს რესპუბლიკების კონსტიტუციის ძალით შეეძლო მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს. თუმცა სსრკ-ის კონსტიტუციის 108-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, სსრკ-ის სახალხო დეპუტატთა ყრილობის განსაკუთრებული კომპეტენცია გახლდათ გადაწყვეტილების მიღება ეროვნულ-სახელმწიფოებრივი წყობილების საკითხებზე. ავტონომური ოლქის გაუქმების საკითხი მოკავშირე რესპუბლიკასთან ერთად სსრკ-ის კომპეტენციასაც მიეკუთვნებოდა, ვინაიდან სსრკ-ის კონსტიტუციის მე-11 თავის 27-ე მუხლში სახელდებითაა ჩამოთვლილი ყველა ავტონომიური ოლქი, რომლებიც კი იყო მოკავშირე რესპუბლიკებისა და საქართველოს შემადგენლობაში. მაშასადამე, ცვლილება უნდა შეხებოდა სსრკ-ის კონსტიტუციის 87-ე მუხლს, რაც სსრკ-ის სახალხო დეპუტატთა ყრილობის განსაკუთრებულ განმგებლობას განეკუთვნებოდა. თუკი მოკავშირე რესპუბლიკა ამ გადაწყვეტილებას მიიღებდა, საჭირო გახდებოდა სათანადო ცვლილების შეტანა სსრკ-ის კონსტიტუციაში. თუ მას სახალხო დეპუტატთა ყრილობა დაეთანხმებოდა, საკითხი ამოწურულად ჩაითვლებოდა, თუ არა, მაშინ წარმოიშობოდა კოლიზია მოკავშირე რესპუბლიკისა და სსრკ-ის გადაწყვეტილებებს შორის. ასეთ ვითარებაში, კანონის ლოგიკურ-ისტორიული ახსნა-განმარტებების მიხედვით, უპირატესობა მოკავშირე რესპუბლიკის გადაწყვეტილებას უნდა მისცემოდა. ამის შემდეგ მოხსენებაში იყო მოყვანილი სტატისტიკური მონაცემები სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შესახებ: ეთნიკური ოსებისა და ეთნიკური ქართველების რაოდენობის, მათი ხვედრითი წილის შესახებ სახელმწიფო აპარატში, მომსახურების, ვაჭრობისა და კულტურის სფეროებში. აქედან ჩანდა, რომ თანასწორობის პრინციპი დარღვეული იყო ეთნიკური ქართველების საზიანოდ, მეტადრე, ხელმძღვანელი თანამდებობების სტატისტიკიდან გამომდინარე. სამხრეთ ოსეთში ქართველ მოსახლეობას არსებითად არ ჰქონდა შესაძლებლობა განევითარებინა ქართული კულტურა, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში თავისუფლად გამოეყენებინა თავისი დედაენა, რომელიც რესპუბლიკის სახელმწიფო ენა გახლდათ. ხდებოდა აშკარა დევნა ქართული კულტურისა, ქართული ისტორიული ძეგლების უხეში ხელყოფა, ოდინდელი ქართული ტოპონიმების ხელოვნური დამახინჯება ან გადარქმევა, ნიშანდობლივია, რომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე არ მოიპოვებოდა ოსური კულტურის არცერთი ძეგლი და ტოპონიმიკა ქართული იყო. მოხსენებაში ნახსენებია 1929 წლით დათარიღებული ერთ-ერთი მოხსენებითი ბარათი, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ „სამხრეთ ოსეთში ეროვნულ უმცირესობას წარმოადგენენ ქართველები, სომხები, ებრაელები, რუსები და სხვა".[417]

მოხსენებაში ასევე აღინიშნა, რომ საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში, ალბათ, არ ყოფილა ეროვნულ ნიადაგზე შუღლის გაღვივების ანალოგიური შემთხვევები. ამაში დიდ როლს ასრულებდა საქართველოს ტრადიციული, ეროვნულ-სახელმწიფო წყობილება. იგი შეესაბამებოდა ქართველი ხალხისა და საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები სხვა ეროვნების ადამიანთა ინტერესებს, უზრუნველყოფდა მათ ნორმალურ, მშვიდობიან თანაცხოვრებას. სამხრეთ ოსეთის კონფლიქტი გასცდა ლოკალურ ფარგლებს და უკვე აშკარა ხდებოდა, რომ საფრთხეს უქმნიდა ქართველი ხალხის საერთო ეროვნულ ინტერესებს. მომხსენებელმა ახსენა 1975 წელს დადებული ჰელსინკის ხელშეკრულება, რომლის დასკვნით აქტში, კერძოდ, VII პარაგრაფში, ეროვნულ უმცირესობათა შესახებ, ნათქვამი იყო: „მონაწილე სახელმწიფოები, რომელთა ტერიტორიაზეც არიან ეროვნული უმცირესობანი, პატივისცემით მოეკიდებიან კანონის წინაშე ასეთ უმცირესობათა წარმომადგენელ პირთა თანასწორობის უფლებას, მიანიჭებენ მათ სრულ შესაძლებლობას, ნამდვილად ისარგებლონ ადამიანის უფლებებით, ძირითადი თავისუფლებებით და, ამრიგად, დაიცავენ მათ ინტერესებს ამ სფეროში“. ოსები ეროვნულ უმცირესობას წარმოადგენენ მთელი საქართველოს მასშტაბით, ხოლო სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში სწორედ ქართველები წარმოადგენენ ეროვნულ უმცირესობას. ქართველთა უფლებების დარღვევა, ჩაგვრა და დისკრიმინაცია ამ რეგიონში წარმოადგენდა სწორედ ეროვნული უმცირესობის უფლებათა ხელყოფას და უნდა განხილულიყო, როგორც დარღვევა ჰელსინკის ხელშეკრულებისა და სხვა საერთაშორისო სამართლებრივი აქტებისა. საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრები ოსი მოსახლეობის უფლებებს კი არავინ არღვევდა, მათ არავინ ჩაგრავდა, მათ ეროვნულ ღირსებას არავინ შეურაცხყოფდა.

დასკვნის სახით მოხსენების ბოლოს ითქვა, რომ ისტორიულ შიდა ქართლში ეროვნულ უმცირესობად ქცეული ქართველი მოსახლეობის უფლებათა დაცვის სრული და საიმედო გარანტია შეიძლებოდა ყოფილიყო სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმება, რაც ქვეყანას თავიდან აარიდებდა ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფასა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობების შემდგომ გამწვავებას ამ რეგიონში. ამით დაკმაყოფილდებოდა შიდა ქართლისა და სრულიად საქართველოს მოთხოვნა, ასევე, საქართველოში მცხოვრები ოსი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის მოთხოვნა. ამასთან, გარანტირებული უნდა ყოფილიყო შიდა ქართლის ოსი მოსახლეობის უფლებათა დაცვა, ოსური ენის განვითარება, ოსური სკოლების შენარჩუნება, ფართო კულტურული ავტონომია.[418]

სესიამ ერთხმად მიიღო კანონი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ, ამასთან დაკავშირებით აგრეთვე მიიღეს კანონი საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ. დადგენილებას, პრეამბულური ნაწილის გარდა, 8 პუნქტი ჰქონდა:

1. გაუქმდეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი.

2. გაუქმდეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭო, მისი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანო – აღმასრულებელი კომიტეტი და ოლქის სხვა სახელმწიფო ორგანოები.
3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს 1922 წლის 20 აპრილის N2 დეკრეტი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მოწყობის შესახებ“ და „საქართველოს სსრ 1980 წლის 12 ნოემბრის კანონი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შესახებ“.
4. დადასტურდეს საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების მიერ ადრე მიღებული გადაწყვეტილებები სეპარატისტული ძალების მიერ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკად გარდაქმნის ანტიკონსტიტუციურობის შესახებ. ცნობილი იქნეს ბათილად და იურიდიული ძალის არმქონედ ე. წ. „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის“ უმაღლესი საბჭოს 1990 წლის 9 დეკემბრის არჩევნები და მისი შედეგები.
5. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის კომისიამ წარმოადგინოს წინადადებანი საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციისა და სხვა საკანონმდებლო აქტებში ცვლილებათა შეტანის თაობაზე.
6. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ: საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს წარმოუდგინოს წინადადებანი ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის შესახებ; განახორციელოს კანონით გათვალისწინებული ზომები ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის დასამყარებლად თვითმარქვია ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების ფუნქციონირების აღსაკვეთად; შეუსაბამოს მთავრობის გადაწყვეტილებები ამ კანონს.
7. საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურამ განაახლოს და გადაწყვიტოს იმ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებიც სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში არ დაემორჩილნენ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების გადაწყვეტილებებს, უხეშად დაარღვიეს კონსტიტუციით დადგენილი არჩევნების ჩატარების წესები, ხელყვეს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობა, ბოროტად გამოიყენეს თანამდებობის პირთათვის კანონით მინიჭებული უფლებები და რწმუნებები.
8. კანონი ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.[419]

უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოხსენებაში ნახსენებია საქართველოში მცხოვრები ოსი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც ემხრობოდა ავტონომიური ოლქის გაუქმებას. საქმე ის იყო, რომ ზვიად გამსახურდიას არჩევის შემდეგ ჰქონდა შეხვედრები და კონსულტაციები „სამართლიან ოსთა საზოგადოებასთან“, ხოლო 1991 წლის თებერვალში გაზეთმა „საქართველოს

რესპუბლიკამ" გამოაქვეყნა ოსი ეროვნების მოქალაქეების მიმართვა სსრკ-ის პრეზიდენტის, მიხეილ გორბაჩოვისადმი, საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის, ზვიად გამსახურდიასადმი, პროგრამა „ვრემიას" რედაქციისადმი და გაეროს გენერალური მდივნის, ჰავიერ პერეს დე კუელიარისადმი.

წერილში აღნიშნული იყო: „კმარა, თითოეული ჩვენგანის მოთმინების ფიალა აივსო. დაე, იცოდეს მსოფლიო საზოგადოებამ, რომ პრეზიდენტი გორბაჩოვი „საერთაშორისო მშვიდობის განმტკიცების ლიდერი", არის ჩვენი უბედურების, ჩვენი ცხოვრების გაუკუღმართების მოთავე. დროა, ყველა მოქმედებას დაერქვას სახელი. იცოდეს მსოფლიომ, ვინ არის დამნაშავე. დამნაშავეა ყველა, ვინც საუკუნეებით ნაჭედი ქართველი და ოსი ერის ძმობა, ერთობა, მეგობრობა, ნათესაობა დაარღვია... ჩვენ, ოსი ინტელიგენციის წარმომადგენლები, პროტესტს ვუცხადებთ პროგრამა „ვრემიას" ცრუ სიუჟეტებისა და ინფორმაციების გამო და მოვითხოვთ: 1. კომპეტენტური კომისიის შექმნას, რომელშიც გაერთიანდებიან საერთაშორიოს მასშტაბით – ჟურნალისტები, იურისტები, ჩვენი კავშირის კომპეტენტური, სამართლიანი განწყობის შემქმნელი ინტელიგენციის წარმომადგენლები; 2. კომისიამ აქ, ადგილზე, უნდა შეისწავლოს სამაჩაბლოში შექმნილი დაძაბული სიტუაციის მიზეზები და აუწყოს მსოფლიო საზოგადოებას საქმის ძირითადი არსი; 3. მოვითხოვთ სამაჩაბლოდან, ე. წ. „სამხრეთ ოსეთიდან", საბჭოთა არმიის გასვლას. იმ ოსებმა, რომელთაც არ სურთ საქართველოს, ქართველი ხალხის დამოუკიდებლობა და რომელნიც იზიარებენ იმპერიის დამპყრობლურ, უმართებულო მოქმედებებს, დროა, დატოვონ საქართველოს მიწა-წყალი. ჩვენ საქართველოს შვილები ვართ, ქართულმა მიწამ გვშვა და ქართული მიწისთვის დავიხოცებით"[420] (შდრ. „საქართველოს რესპუბლიკა", N41(61)). ოსური საზოგადოება „რასთძინადის" („სიმართლე") სახელით ასოციაციის თავმჯდომარემ ბორის დუდაროვმა საპროტესტო წერილით მიმართა მიხეილ გორბაჩოვს და 7 იანვრის ბრძანებულების შეცვლა მოსთხოვა, რომელიც საქართველოს შინაურ საქმეებში უხეშ ჩარევად და მისი სუვერენიტეტის შელახვად იყო შეფასებული.

მ. გორბაჩოვისადმი მიმართულ წერილში ასევე ეწერა: „პირადად ჩვენ პრეზიდენტად არ აგვირჩევიხარ, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო კი მთელს ქართველ ხალხთან ერთად ნამდვილი დემოკრატიული წესით ჩვენ ავირჩიეთ, როგორც საქართველოში მოსახლე ოსმა ხალხმა". უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის განცხადების მიხედვით, გორბაჩოვის ამ ბრძანებულებით გამხნევებულმა ტერორისტებმა რამდენიმე თავდასხმა მოაწყვეს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგუშაგოებზე, რის შედეგადაც დაიღუპა 7 და დაიჭრა რამდენიმე ათეული ადამიანი.[421]

ოსი საზოგადოების რეცეფცია ამ ამბებისა არ ყოფილა ერთგვაროვანი კავკასიის ქედის ორივე მხარეს. ასე მაგალითად, მსოფლიო მასშტაბის ირანისტი, კავკასიოლოგი, ლინგვისტი და ეტიმოლოგიების სპეციალისტი, პროფესორი

ვასილ აბაევი (1900-2001), რომელიც საქართველოში, სოფელში კობში დაიბადა და აღიზარდა, რუსეთში გამომავალ **независимая газета**-ში (22.06.1992) გმობდა და ემიჯნებოდა ოსების სეპარატიზმს: „სამხრეთელი ოსების თავიანთი ჩრდილოელი თანამოძმეებისკენ ლტოლვა გასაგებია, მაგრამ გეოპოლიტიკური პლანით იგი მცდარია. კავკასიონის მთავარი ქედი ბუნებრივი საზღვარია საქართველოსა და ოსებს შორის. იმისთვის, რომ ტრადიციული მეგობრობის კალაპოტში დავაბრუნოთ ოსი ხალხის ურთიერთობა, უწინარესად, უნდა მოვსპოთ ლაპარაკი საქართველოდან გამოყოფაზე. იმიტომ, რომ ეს იქნება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა". ვ. საბანაძის ამავე სტატიაში მოყვანილია ოსი მეცნიერის, ჰუმანიტარისა და პედაგოგის, ხარიტონ ცალაევის თეზისი, რომლის მიხედვითაც, მე-13 საუკუნიდან მოყოლებული, სამხრეთელი ოსების ისტორია მჭიდროდ არის დაკავშირებული ქართველი ხალხის ისტორიასთან, ამიტომ სამხრეთელი ოსების ისტორიის მოწყვეტა ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიისგან იქნებოდა არაბუნებრივი, არალოგიკური, და, უფრო მეტიც, არაკორექტული და უმადური აქტიც იმ ერის მიმართ, რომელთან ერთადაც ცხოვრობდა ოსი ხალხის არაერთი თაობა. სეპარაციის საკითხის დასმა უკანონო და სახიფათოა, მას, შესაძლოა, განუჭვრეტელი შედეგები მოჰყვეს.[422]

ასე მსჯელობდნენ ოსი ხალხის დიდსულოვანი, გონებრივად და ინტელექტუალურად განვითარებული, შორსმჭვრეტელურ პოზიციაზე მდგომი წარმომადგენლები. თუმცა, საბჭოთა კავშირის გენშტაბში, სამხედრო დაზვერვასა და სხვა სპეცსამსახურებში ნაკლებად აინტერესებდათ ჰუმანურად და სამართლიანად მოაზროვნე ადამიანების ლოგიკა, როგორც დიდი კავკასიონის ჩრდილოეთში, ისე მის სამხრეთში. სამწუხაროდ, ცენტრის მიერ ინიცირებულ, შემდგომში საქართველოს წინააღმდეგ ჰიბრიდული ომის მეთოდებით გაღვივებულ კონფლიქტს, რომელსაც შედეგად მოჰყვა ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის არნახული წმენდა ე. წ. ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე, რეაქციის პრინციპით მოჰყვა ანტიოსური განწყობილებების ზრდა და მათდამი „ფობიური" დამოკიდებულება ყოფილი ავტონომიური ოლქის ფარგლებს მიღმაც. ოსებმა დაკარგეს ქონება მხოლოდ ეთნიკური წარმომავლობის გამო, ან იმ ეჭვიდან გამომდინარე, თითქოს კავშირში იყვნენ ან მხარს უჭერდნენ სეპარატისტებს. იყვნენ ისეთებიც, რომლებიც მათი ქონების ძალიან იაფად დაუფლების მიზნით აშინებდნენ ოსური წარმომავლობის პირებს და აიძულებდნენ მათთვის უკიდურესად დაბალ ფასებში მიეყიდათ უძრავი ქონება. საქართველო დატოვეს ისეთმა ეთნიკურმა ოსებმაც, რომლებიც უბრალოდ არ უჭერდნენ მხარს საქართველოს დამოუკიდებლობას და ამიტომაც არ სურდათ აქ ცხოვრების გაგრძელება. აქ, სავარაუდოდ, საბჭოთა კავშირის სამხედრო დაზვერვაც აფათურებდა ხელებს, რადგან კონფლიქტის გაღვივება აწყობდა. ასეთ დროს, ბუნებრივია, იღვიძებენ არაკეთილშობილური ინსტინქტები, რაც სახელმწიფოსთვის დამაზიანებელია. სამწუხაროდ, სამართალდამცავმა ორგანოებმა და უშიშროების სამსახურმა

ვერ აღკვეთეს ასეთი ფაქტები, თუმცა აქ არც იმის დავიწყება ეგების, რომ ამავე ორგანოებმა კრიტიკულ დროს თავად ქართული სახელმწიფო ვერ დაიცვეს.

4.5. 1990 წლის დეკემბრის დღის წესრიგი – შიდა ქართლი და სხვა საკითხები

ოსი ექსტრემისტები საკმაო ხნით ადრე მოემზადნენ ყველანაირი განვითარებისთვის, რასაკვირველია, საბჭოთა კავშირის გენშტაბისა და სამხედრო დაზვერვის (ГРУ) აქტიური მხარდაჭერით. მათი ერთ-ერთი ლიდერის, ტორეს კულუმბეგოვის, შტაბი ცხინვალში სტაციონირებული საბჭოთა არმიის ერთ-ერთ სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე იყო განთავსებული. მიმდინარეობდა დივერსანტების, უახლესი სამხედრო ტექნიკით აღჭურვილი სნაიპერების მობილიზაცია არა მარტო ჩრდილოეთ ოსეთის, არამედ, პრაქტიკულად, მთელი საბჭოთა კავშირის ტერიტორიიდან. საბჭოთა კავშირის საინფორმაციო საშუალებებში მიმდინარეობდა აღვირახსნილი დეზინფორმაციული კამპანია, გადიოდა ისეთი რეპორტაჟები, რომლებშიც მიმდინარე პროცესები დამახინჯებულად იყო გადმოცემული – ოსი ეროვნების მოსახლეობა ქართველი აგრესორებისა და მოიერიშეების მსხვერპლად იყო წარმოჩენილი. სწორედ ცხინვალში დაიწყო ჰიბრიდული, ანუ „პროქსი“ ომი საქართველოს წინააღმდეგ.

1990 წლის პირველ დეკემბერს ცხინვალში მოლაპარაკებებისთვის ჩასული „წმ. ილია მართლის საზოგადოების“ აქტივისტები რეზო ურიდია და დავით ზარდიაშვილი სწორედ ასეთმა „ბოევიკებმა“ ჩაცხრილეს იმ მსუბუქ მანქანაში, რომლითაც გადაადგილდებოდნენ. დეკემბრის მიწურულს გენერალმა გივი კვანტალიანმა, შინაგან საქმეთა სამინისტროს უმაღლესი სკოლის ხელმძღვანელმა ცხინვალში, ერთი წვეთი სისხლის დაღვრის გარეშე დააკავა ოსი სეპარატისტების ლიდერი ტორეს კულუმბეგოვი, რომელიც თბილისში ჩამოიყვანეს და წინასწარი პატიმრობის საკანში მოათავსეს. მის წინააღმდეგ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. დეკემბრის ბოლოს ცხინვალში განთავსებულმა ქართველმა ძალოვნებმა დააკავეს სეპარატისტების ერთი-ერთი საკვანძო ფიგურა ალან ფუხაევი, რომლის განთავისუფლების მოთხოვნითაც აგრესიულმა ბრბომ რამდენიმე საათით მძევლად აიყვანა საქართველოს მილიციის თანამშრომლები, თუმცა იმავე გივი კვანტალიანის ჩარევის შემდეგ ისინი გაათავისუფლეს.[423]

15 დეკემბრის სატელევიზიო გამოსვლაში ზვიად გამსახურდიამ ისაუბრა წინა დღეს პარლამენტის მიერ გადადგმულ ნაბიჯზე და გააკეთა განმარტება სსრკ-ის შინაგან ჯარზე, რომლის იქ ყოფნასა და თითქოს რუსი კომენდანტის დანიშვნას აპროტესტებდა ზოგიერთი ოპოზიციონერი: „ეს ჯარი სამაჩაბლოში იყო, ოდნავ გაიზარდა მხოლოდ კონტინგენტი და რუსი კომენდანტი არავის დაუნიშნავს. პირიქით, ... გუშინ დანიშნული იყო ქართველი შალამბერიძე, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, რამაც გამოიწვია უმწვავესი რეაქცია ცხინვალ-

ში. სწორედ იმ დროს მიმდინარეობდა მიტინგი, რომელიც კატეგორიულად მოითხოვდა შალამბერიძის გადაყენებას კომენდანტობიდან და, რასაკვირველია, თავიანთი კანდიდატურის დანიშვნას. ამასთან, ცხინვალის ე. წ. ახლად შეკოწიწებულმა მთავრობამ ოსეთის ე. წ. საბჭოთა რესპუბლიკისამ, გააგზავნა ტელეგრამა საკავშირო შინაგან საქმეთა მინისტრ პუგოსთან, რომელშიც მოითხოვდნენ მათი ე. წ. მინისტრის, კოჩიევის დანიშვნას სამხედრო კომენდანტად, რისი კატეგორიული წინააღმდეგიც, რასაკვირველია, ჩვენ ვიყავით, და ამიტომ თავიდან პირობითად ითქვა, რომ თითქოს უნდა დანიშნულიყო პუზირნი. ეს იყო შინაგანი ჯარების რეკომენდაცია, მაგრამ ჩვენ არც ამას დავეთანხმეთ და დავნიშნეთ შალამბერიძე. ამან ძალზე მწვავე რეაქცია გამოიწვია თვით ადგილობრივი სეპარატისტების მხრიდან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენ განზრახული გვაქვს, არ შევცვალოთ ეს კანდიდატურა... ჩვენ ახლა ვიბრძვით ცენტრთან, თუ შეიძლება ითქვას, კონსტიტუციური ომია ამასთან დაკავშირებით. თქვენ მოგეხსენებათ ლუკიანოვის ამასწინანდელი განცხადება. მან ბრალი დაგვდო კონსტიტუციურ შეტევაში. თითქოს ჩვენ გადავედით შეტევაზე საბჭოთა კონსტიტუციის წინააღმდეგ. ჩვენ საბჭოთა კონსტიტუციას თავის ფარგლებში არ ვეხებით, მაგრამ საქართველოს ტერიტორიაზე უნდა მოქმედებდეს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია... ჩვენი მიზანია, სამაჩაბლოში დაქვემდებარებული შინაგანი ჯარები დაექვემდებარონ ჩვენ მიერ დანიშნულ ქართველ კომენდანტს და, აგრეთვე, ჩვენს უზენაეს საბჭოს. და, თუ ჩვენ ამას ვერ მივაღწევთ ... ჩვენ ყოველგვარი საპროტესტო აქციებით, გამოსვლებით ვაიძულებთ ცენტრს, რომ ანგარიში გაუწიოს ჩვენს მოთხოვნებს და დაგვიქვემდებაროს შინაგანი ჯარები ან საერთოდ გაიყვანოს სამაჩაბლოდან".[424] ზემოთ ნახსენები ოპოზიციონერები კი იყვნენ „სახალხო ფრონტის" თავმჯდომარე ნოდარ ნათაძე და „ეროვნული კონგრესის" წევრი, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თავმჯდომარე ირაკლი წერეთელი.

მანამდე, „მხედრიონის" ლიდერმა ჯაბა იოსელიანმა 2 დეკემბერს ოპერის ბაღში მოწყობილი შიმშილობის დროს აღნიშნა გაზეთ „საქართველოს მხედრიონისთვის" მიცემულ ინტერვიუში, რომ „მხედრიონი" მზადყოფნას გამოთქვამდა შესულიყო სამაჩაბლოში და ეცადა სიტუაციის მოგვარება. ამისთვის საჭირო იყო უზენაეს საბჭოს მოეთხოვა კრემლისთვის ჯარის გაყვანა ოსეთის ტერიტორიიდან და საგანგებო წესების შემოღების შესახებ დადგენილებიდან ამოეღო მუხლის ის ნაწილი, რომელიც აკანონებდა სსრკ-ის შინაგან საქმეთა ჯარის მოქმედებას საქართველოს ტერიტორიაზე. ასევე, ხელისუფლებას უნდა გაეუქმებინა კომენდანტის საათი და გაეყვანა სამაჩაბლოდან ქართული მილიცია, რომელიც იქ თითქოს ტოვებდა საომრად ჩასულის შთაბეჭდილებას. შემდეგ იქ შევიდოდა „მხედრიონი" და „ნდობით, ავტორიტეტით" მოაგვარებდა კონფლიქტს. „მხედრიონი" არაპოლიტიკური ორგანიზაციაა და ამიტომ პოლიტიკურ სვლებზე მას პრეტენზია არა აქვს, ეს პოლიტიკური პარტიის საქმეაო. ჩვენ მხოლოდ ვაუკაცურ საქციელსა და პატრიოტიზმზე ვაცხადებთ პრეტენ-

ზიას, ღმერთმა ქნას, საქმე კარგად წავიდეს და იარაღს უსიტყვოდ ჩავაბარებთ საქართველოს ღირსეულ მთავრობას, წავალთ ჩვენ-ჩვენს ოჯახებშიო. ჯაბა იოსელიანმა ასევე განაცხადა, რომ „მხედრიონს“ იარაღი აქვს და არ აპირებს მის ჩაბარებას. ყველა ნორმალურ ქვეყანაში იარაღი აქვს და თავის დაცვა შეუძლია ყველას, ვისაც უნდა. მისი აკრძალვა და ჩამორთმევა ბოლშევიკური პრინციპია და „მხედრიონი“ ამ მოთხოვნის მიღებას არ აპირებსო.[425]

აქ მხოლოდ იმის აღნიშვნა შეიძლებოდა, რომ მსგავსი იდილია, რომლის შექმნასაც „მხედრიონის“ ლიდერი ყოფილ ოლქში შესვლის შემთხვევაში ჰპირდებოდა საზოგადოებას, თვით საბავშვო ფილმების სიუჟეტებშიც კი იშვიათია. სახელმწიფო ვერ დაეყრდნობოდა ასეთ რომანტიკულ და იმავდროულად სახიფათო შემოთავაზებებს. დედამინის ზურგზე რომელი სახელმწიფო იგუებდა კერძო არმიის არსებობას ქვეყანაში? კანონს ეროვნული გვარდიის შესახებ მოჰყვა დადგენილება „კანონით გაუთვალისწინებელი შეიარაღებული ფორმირებების აკრძალვის შესახებ“. ამ კანონში პუნქტობრივად ეწერა: 1. აიკრძალოს რესპუბლიკაში კანონით გაუთვალისწინებელი შეიარაღებული ფორმირებების შექმნა და მოქმედება; 2. წინადადება მიეცეთ კანონით გაუთვალისწინებელ შეიარაღებულ ფორმირებებში გაერთიანებულ პირებს, ერთი თვის ვადაში ჩააბარონ იარაღი საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოებს; 3. დადასტურდეს, რომ, თუ ამ დადგენილების მეორე პუნქტში აღნიშნული პირები დათქმულ ვადაში ნებაყოფლობით ჩააბარებენ იარაღს, მათ მიმართ არ იქნება გამოყენებული კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ღონისძიებანი“.[426]

ამ დროს რა პროცესები ვითარდებოდა საბჭოთა კავშირში? ავიღოთ საბჭოთა კავშირის მოკავშირე რესპუბლიკების, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქების გათანაბრების კანონი. ეს კანონი თავის სათავეს, როგორც ჩანს, იღებს ჯერ კიდევ ე. წ. სახაროვის კონსტიტუციიდან. სახაროვის კონსტიტუციის პროექტში საბჭოთა კავშირის უფლებამონაცვლე ქვეყანას უნდა დარქმეოდა „ევროპისა და აზიის რესპუბლიკების კავშირი“. ეს პროექტი საბჭოთა პარლამენტს წარედგინა ყრილობის რეგიონთაშორისი ჯგუფის თანათავმჯდომარის, აკადემიკოსი ანდრეი სახაროვის მიერ. პროექტი დაიწერა გალინა სტარაჟოიტოვასთან, ანატოლი სობჩაკსა და სხვებთან ერთად. ეს პროექტი ამოდიოდა იქიდან, რომ საბჭოთა კავშირში არსებული ვერტიკალი, სადაც სტატუსით ყველაზე მაღლა იდგა მოკავშირე რესპუბლიკა, შემდეგ ავტონომიური რესპუბლიკა და ბოლოს ავტონომიური ოლქი, უნდა გაუქმებულიყო და უნდა გადაქცეულიყო (საკმარისად) 50 სრულიად თანასწორუფლებიან რესპუბლიკად, რომლებიც უფლებრივად ერთ ჰორიზონტალში მოექცეოდა.[427] ამ ახალი კანონის მიხედვით, საბჭოთა ფედერაციის სუბიექტებად ცხადდებოდნენ არა მხოლოდ მოკავშირე რესპუბლიკები (როგორც ადრე მოქმედი კონსტიტუციის შესაბამისად), არამედ ავტონომიური რესპუბლიკები, ავტონომიური ოლქები და ოკრუგებიც. ეს საქართველოსთვის ცუდ ამბავს მოასწავებდა: ხსენებულის განხორციელება ნიშნავდა, რომ აფხაზეთი, აჭარა და „სამხრეთ ოსეთი“ გამო-

დიოდნენ საქართველოს იურისდიქციიდან და პირდაპირ, ჰორიზონტალურად, უშუალოდ ექვემდებარებოდნენ ცენტრს – მოსკოვს. საქართველო, ფაქტობრივად, ოთხ ნაწილად იშლებოდა თვით საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში.

ქართველი დეპუტაცია ხმას თუ იღებდა ამის საწინააღმდეგოდ? როგორც დავით გამცემლიძე თავის წიგნში წერს, ერთხელ ამოიღო, თუმცა – უშედეგოდ. „განსაკუთრებით ნიშანდობლივია, რომ „გათანაბრების" ტენდენციის წინააღმდეგ გალაშქრება უმალვე ცხადდებოდა „სტალინიზმად" და „მცირე ერების მიმართ შოვინისტური გრძნობების გამოვლინებად". როდესაც ერთ-ერთმა ქართველმა დეპუტატმა ვეღარ მოითმინა და ხმამაღლა განაცხადა: რა უბედურებაა, ამ გზით ხომ თხუთმეტის ნაცვლად ლამის ოთხმოც თანასწორუფლებიან რესპუბლიკას მივიღებთო, ცნობილმა ყალმუხმა პოეტმა (ყალმუხეთის ავტონომიური რეპუბლიკის წარმომადგენელმა) დავიდ კუგულტდინოვმა საჯაროდ შეუღრინა მთელი საბჭოთა კავშირის გასაგონად: **„Это страхи тех, кто не уверен в своём праве быть пятнадцатым. Вы, грузины, должны понять – ведь совершенно случайно, что Грузия стала союзной республикой а Татария лишь автономной, – это всё из за Сталина"**. ქართველმა დეპუტატებმა კამათის გაგრძელება ვეღარ გაბედეს და ჩვეულებისამებრ თავი ჩაქინდრეს" (ანუ „ეს მათი შიშებია, ვინც დარწმუნებული არ არის თავის უფლებაში იყოს მეთხუთმეტე. თქვენ, ქართველებმა, უნდა შეიგნოთ – ხომ სრულიად შემთხვევით მოხდა ისე, რომ საქართველო მოკავშირე რესპუბლიკა გახდა, თათარისტანი კი მხოლოდ ავტონომიური და ეს ყოველივე სტალინის გამო".). ამიტომაც სამხრეთ ოსეთის ავტონომიის გაუქმება ამ მოვლენების შუქჭრილშიც გამართლებული ნაბიჯი ჩანს.

ახლა საჭირო იყო სიტუაციის კონტროლი. პრესცენტრში მიცემულ ინტერვიუში უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აცხადებდა: „მოსკოვი, როგორც ჩანს, სამაჩაბლოს იმედად დარჩა, ვინაიდან აფხაზეთში არ გამოუვიდა თავისი ხრიკები. ახლა ცოტა აფხაზეთის უშიშროების კომიტეტთან დაკავშირებით არის ბუნდოვნად საქმე. არ არის გარკვეული, რა ძალები გაიმარჯვებენ იქ, მაგრამ მე მაინც მჯერა, რომ უშიშროების კომიტეტშიც ისეთი კადრები დაინიშნება, რომლებიც ადგილობრივი მოსახლეობის ძირითად ნაწილს აძლევს ხელს. ამის შემდეგ აღარ გვექნება საგანგაშო მდგომარეობა აფხაზეთში. სამაჩაბლოში კი მოსკოვს უფრო დიდი წარმატება აქვს და იქ ჯერჯერობით ვერ ხორციელდება ჩვენი კონტროლი, მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელდება".[428] დავით გამცემლიძეს თავის წიგნში „ჟამი ჭეშმარიტი", ნახსენები აქვს ინტერვიუ ერთ-ერთ რუსულ გამოცემასთან, სადაც ზვიად გამსახურდია ვითომდაც ამბობს, რომ „არაქართველები კოსმოსური სისწრაფით მრავლდებიან". ეს აშკარა სიყალბე უნდა იყოს – ჟურნალისტური „ფეიკი". რუს ჟურნალისტებს რამდენიმეჯერ აქვთ ეს მეთოდი ზვიად გამსახურდიასთან მიმართებით გამოყენებული. რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, სხვაგან, სხვა ინტერვიუსა ან განცხადებაში იმავე განწყობისა და მიმართულების აზრი არსად გვხვდება. არადა, ზვიად გამსახურდიას სჩვეოდა: ის, რაც ჭეშმარიტებად მიაჩნდა, არაერთგზის გაემეორებინა სხვა-

დასხვა ვარიაციებში. მსგავსი ნარატივის მიწერა მისთვის, რომ მართლაც იხარშებოდა მავანთა თავებში და ამას არასასურველი პოლიტიკოსის წინააღმდეგ „ანტიპიარული" დაგეგმვა უძღოდა წინ, ამაზე მოწმობს თუნდაც ფრანგული გაზეთის, Le Mond-ის ერთ-ერთი რედაქტორის მტკიცება, თითქოს ზვიად გამსახურდიას არაქართველებისთვის მიეღოს ისეთი კანონი, რომელიც ერთ შვილზე მეტის ყოლას უკრძალავდა არაქართველს. ეს კი სრულიად ბოროტი, ცილისმწამებლური ფანტაზიის მაჩვენებელი მონაჭორი და ბოდვაა. როგორც ამ რედაქტორმა საიდუმლოდ გაუმხილა მედეა თუშმალიშვილს, 1991 წლის მეორე ნახევარში უზენაესი საბჭოს საგარეო ურთიერთობათა კომისიის თავმჯდომარეს, მან ეს ამბავი 1990 წელს ფილოსოფოს მერაბ მამარდაშვილისგან შეიტყო.

ზვიად გამსახურდია 1990 წლის ოქტომბერში აცხადებდა: „შემდეგი საკითხი, რომელზეც მრავალ შეკითხვას გვისვამენ, არის ჩვენი დამოკიდებულება არაქართველ მოსახლეობასთან. ჩვენ არაერთხელ განგვიცხადებია, რომ არ მოვითხოვთ არაქართველთა გასახლებას საქართველოდან, როგორც ამას ზოგიერთი მოგვაწერს. არ მოვითხოვთ მათ დისკრიმინაციას, დევნას. ჩვენ მოვითხოვთ თანასწორუფლებიანობას. ამჟამად არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ ქართველი მოსახლეობა ბევრ რაიონში დისკრიმინირებულია, იჩაგრება. ჩვენ მოვითხოვთ მხოლოდ უფლებათა გათანაბრებას, ქართველთა დისკრიმინაციის შეწყვეტას, ამავე დროს, რასაკვირველია, არაქართველი ეროვნული უმცირესობების უფლებათა დაცვას". სხვათა შორის, დიმიტრი შველიძე ამაზე მართებულად აღნიშნავს: „გამსახურდიას პოზიცია საბჭოთა ეპოქაში შელახული და ჩაგრული ეროვნული ინტერესების დაცვისკენ უფრო იყო მიმართული, ვიდრე არაქართველი მოსახლეობის წინააღმდეგ და მისი ნაციონალიზმისგან ისე არ წვიმდა, როგორც ქუხდა".[429]

1990 წლის ნოემბერში საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ გამოსცა კანონი ამნისტიის შესახებ. ეს იყო მრავალპარტიულ დემოკრატიულ არჩევნებში საქართველოს ეროვნული მოძრაობის მიერ მოპოვებული გამარჯვებისა და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის გარდამავალი პერიოდის დაწყების აღსანიშნავი ჰუმანური აქტი. უზენაესმა საბჭომ იმჟამად გადაწყვიტა, პატიმრობიდან ყველა ქალი, ყველა 60 წელს გადაცილებული მამაკაცი, პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდები განთავისუფლებულიყვნენ; მსჯავრდებულები, რომლებსაც მისჯილი ჰქონდათ 5 წლამდე პატიმრობა და მანამდე არ ჰქონდათ მოხდილი სასჯელი შრომა-გასწორებით დაწესებულებაში. განთავისუფლდნენ მსჯავრდებულები, რომელთა სასჯელი არ იყო დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან. ამნისტიას ექვემდებარებოდნენ ის პირებიც, რომლებიც პირველად იმყოფებოდნენ პატიმრობაში და მოხდილი ჰქონდათ სასჯელის ნახევარი; არასრულწლოვნები; გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულის გამო გასამართლებულები, რომლებსაც მისჯილი ჰქონდათ 8 წლამდე პატიმრობა; 8 წელზე ზემოთ პატიმრობამისჯილებს კი უნდა განახევრებოდათ პატიმრობის ვადა. ამნისტია არ შეეხო პირებს, რომლე-

ბიც სასჯელს იხდიდნენ ყალბი ფულისა ან ფასიანი ქაღალდების დამზადება-გასაღებისთვის, განზრახ მკვლელობისთვის, სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებისთვის, მილიციის თანამშრომლის სიცოცხლის ხელყოფისთვის, გაუპატიურებისთვის, სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით გატაცებისთვის ქურდობის, ძარცვისა ან ყაჩაღობის გზით, დამამძიმებელ გარემოებებში სახელმწიფო ან საზოგადოებრივი და მოქალაქეთა პირადი ქონების ქურდობისთვის, დამამძიმებელ გარემოებებში გაძარცვისთვის, ყაჩაღობისთვის, განსაკუთრებით ბოროტი ხულიგნობისთვის, ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის ან ფეთქებადი ნივთიერებების გატაცებისთვის; ნარკოტიკულ საშუალებათა უკანონოდ დამზადება-შეძენა-შენახვა-გადაზიდვა-გასაღებისთვის. ასევე მორატორიუმი გამოცხადდა სიკვდილით დასჯაზე – თბილისის საპყრობილე იყო ის ადგილი, სადაც სასიკვდილო განაჩენების აღსრულება ხდებოდა.

1990 წლის 20 დეკემბერს ცვლილება მოხდა საბჭოთა იმპერიის ცენტრში, მოსკოვში, სსრკ-ის საგარეო საქმეთა მინისტრი, გორბაჩოვის „პერესტროიკის" ერთ-ერთი მთავარი აქტორი ედუარდ შევარდნაძე მოულოდნელად თანამდებობიდან გადადგა, გააკეთა რა ხმამაღალი განცხადება „დიქტატურის მოახლოების" თაობაზე. მის წიგნში „ჩემი არჩევანი", ვკითხულობთ: „როცა 1990 წლის 20 დეკემბერს ჩემი გადადგომის შესახებ განცხადებაში ვახსენე დიქტატურის საშიშროება, ბევრმა თავის მტვრევა დაიწყო, თუ კონკრეტულად ვის ვგულისხმობდი. მოითხოვდნენ დიქტატორის კანდიდატის დასახელებას, მკითხაობდნენ, თუ რა სახით მოგვევლინებოდა ის. მაშინაც და ახლაც შემეძლო მათთვის მეპასუხა ერთი საბჭოთა პოლიტოლოგის სიტყვებით: ამ ძალას კონკრეტული სახე და მისამართი არა აქვს. ეს არის მეთოდი და სტილი, ეს არის სიცრუე და პროვოკაცია, მზაკვრული პოლიტიკა, რომელიც ყოველთვის მზად არის სამსახურის გასაწევად".[430]

ადამიანი, რომელმაც ასე თუ ისე იცის, რა გზებით იარა ედუარდ შევარდნაძემ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრობიდან სსრკ-ის საგარეო საქმეთა მინისტრობამდე, ნამდვილად სახტად დარჩება მისი ახსნით – რომ „დიქტატურა" ეს „მეთოდი და სტილი", „სიცრუე და პროვოკაცია", „მზაკვრული პოლიტიკა" ყოფილა. იგი თავის მიერ გადადგმული ნაბიჯის შემდეგ ახსნას აკეთებს: საჭირო იყო მსოფლიოს დარწმუნება, რომ საბჭოთა საფრთხე არ არსებობდაო, დასავლეთს უნდა ერწმუნა ჩვენი ზრახვების სიწმინდე და სიწრფელეო. დაეკვირდეთ – მას სურდა მსოფლიო დაერწმუნებინა საბჭოთა (ანუ იგივე რუსული) საფრთხის არსებობაში კი არა, მის არარსებობაში. რასაკვირველია, შევარდნაძე და გორბაჩოვი, კრიუჩკოვი და პუგო ნამდვილად არ ყოფილან ყველაზე ცუდი სახეები სსრკ-ის ისტორიაში. მათ მიერ განხორციელებული ლიბერალიზაცია, ფასადური იყო ეს თუ შინაარსობრივი, მაინც ფაქტია. რასაკვირველია, მათზე გაცილებით თავაწყვეტილი, რადიკალურად მოქმედი და ყველაფრის ჩამდენი ტირანული განწყობის ფიგურებიც არსებობდნენ; ისინი არსებობენ ახ-

ლაც და მათთან შედარებით ესენი, შესაძლოა, უცოდველ კურდღლებადაც წარმოჩნდნენ. თუმცა ისიც ფაქტია, რომ ამ ფიგურების „ზრახვების სიწმინდე და სიწრფელე“ მსოფლიო პოლიტიკის დიდმა ნაწილმა, იმ დროს და შემდგომშიც, მართლაც ირწმუნა, ან მიამიტობის გამო, ან თვითშთაგონების მეთოდით. სულ რაღაც ერთ კვირაში სსრკ-ის სახალხო დეპუტატთა ყრილობამ გააუქმა საპრეზიდენტო საბჭო, პრეზიდენტს დაუქვემდებარა მინისტრთა კაბინეტი, შექმნა სახელმწიფო უშიშროების საბჭო; აირჩია სსრკ-ის ვიცეპრეზიდენტი (ეს პიროვნება, გენადი იანაევი წინა პლანზე წამოიწევს 1991 წლის აგვისტოში, კ.გ.), გენერალური პროკურორი და მთავარი სახელმწიფო არბიტრი; განხორციელდა როტაცია ძალოვან სტრუქტურებში. ყრილობამ მიიღო დადგენილება სამოკავშირეო ხელშეკრულების კონცეფციის, აგრეთვე საბჭოთა კავშირის თანასწორუფლებიანი, სუვერენული რესპუბლიკების ფედერაციის სახით შენარჩუნების შესახებ. ასევე გადაწყდა ჩატარებულიყო რეფერენდუმი „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის“ შენარჩუნების საკითხზე.[431]

ლოგიკურად შეიძლებოდა დასკვნის გაკეთება, რომ ე. შევარდნაძე გარკვეული საკითხების ასე გადაწყვეტის წინააღმდეგი იყო, თუმცა ძნელია დანამდვილებით თქმა, კონკრეტულად რომელი საკითხების. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გიორგი ხოშტარიამ შევარდნაძის გადადგომის თაობაზე გააკეთა განცხადება, რომელშიც ყურადღება მახვილდებოდა სსრკ-ის პარლამენტის დეპუტატის, როი მედვედევის, ვარაუდზე, თითქოს შევარდნაძე იმის გამო ტოვებდა პოსტს, რომ, როგორც ქართველს, არ სურდა უსიამოვნება თავის ხალხთან, რომელიც სახელმწიფო დამოუკიდებლობისთვის იბრძოდა. „უფრო არაპროფესიონალური, უფრო პრიმიტიული განცხადება სსრკ-ის პარლამენტში არ მომისმენია“. – განაგრძობდა ხოშტარია. – „დიახ, ედუარდ ამბროსის ძე წარმოშობით ქართველია, მაგრამ ის, უპირველესად, საკავშირო მასშტაბის მოღვაწეა და იმდენად ჭკვიანი, რომ თავის პოსტზე არასდროს არ განასახიერებდა ქართველი ერის წარმომადგენელს. მიუხედავად ამისა, ჩვენს რესპუბლიკაში ცოტა არ ამაყობს იმით, რომ მათი ნიჭიერი და ჭკვიანი თანამემამულე დიდხანს მეთაურობდა სსრკ საგარეო საქმეთა სამინისტროს და უშუალოდ მონაწილეობდა საერთაშორისო დონეზე ქვეყნის პოლიტიკის შეცვლაში. გარდა ამისა, იგი მეტად გამბედავი ადამიანია. სწორედ თავისმა ცნობილმა გამბედაობამ მისცა საშუალება შევარდნაძეს, დროულად ეპასუხა რეაქციონერთა შეტევაზე“.[432] საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის კომენტარიდან ჩანს, რომ თბილისის სამთავრობო წრეებსა და უზენაეს საბჭოშიც ამ დროს სადღაც გულის სიღრმეში ფიქრობდნენ გარკვეული ფორმით შევარდნაძის ფაქტორის გამოყენებაზე როგორც კონფლიქტურ რეგიონში სიტუაციის დარეგულირებასთან დაკავშირებით – და ასეთი იყო ჯერჯერობით შიდა ქართლი – ისე ქვეყნის საერთაშორისო აღიარების საქმეში, რისი აუცილებლობაც დამოუკიდებლობის გამოცხადების შემთხვევაში აუცილებლად დადგებოდა დღის წესრიგში. როდის

იქნებოდა მიზანშეწონილი „გარდამავალი პერიოდის“ დასრულება, ამას წინასწარ ვერავინ იტყოდა 1990 წლის მიწურულს.

თუმცა შევარდნაძის მიერ გადადგმულ ნაბიჯს თბილისში სხვა კუთხიდანაც ხედავდნენ. ასე მაგალითად, ზვიად გამსახურდია თავის სატელევიზიო მიმართვაში (01.01.1991) ამბობდა: „არ არის დასამალი, რომ ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია შევარდნაძის გადადგომამ... შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს არის გარკვეული მანევრი, რათა მას შეუქმნან კიდევ დიდი ავტორიტეტი, აამაღლონ მისი პოპულარობა და შემდეგ სცადონ მისი მეშვეობით საქართველოს შინაურ საქმეებში ჩარევა და, შესაძლოა, მისი ჩამოყვანაც საქართველოში... შესაძლოა, ეს მანევრი განხორციელდეს სწორედ იმ მიზნით, რომ ხელახლა სცადონ საქართველოს დაქვემდებარება თავიანთი დიქტატისადმი. ეს, შესაძლოა, სწორედ ამ მიზნით განხორციელდა, მაგრამ ჯერჯერობით საბოლოო შეფასებისგან თავს ვიკავებთ. ასე რომ, კიდევ ვიმეორებ, ცენტრში მიმდინარე პროცესები გვაფიქრებინებს, რომ უფრო და უფრო ხდება საბჭოთა იმპერიის დეზინტეგრაცია“.[433]

პაველ ვოშჩანოვისთვის მიცემულ, 1991 წლის 21თებერვალს გამოქვეყნებულ ინტერვიუში კი ზვიად გამსახურდია ასე პასუხობს ჟურნალისტის შეკითხვაზე, ხომ არ ეშინია მას შევარდნაძის საქართველოში დაბრუნებისა: „სრულებითაც არა. მოდით, ასე ვიმსჯელოთ: რა პოზიციებს დაადგება შევარდნაძე, თუ მაინც დაბრუნდება საქართველოში? პირადად მე მგონია, იმავე პოზიციებს, როგორც ყოველთვის – კრემლისას. აქვს თუ არა იმის შანსი, რომ ხალხი გაიყოლიოს? მე მგონი, არავითარი!“[434] ამავე დღეს ზვიად გამსახურდიამ ინტერვიუ მისცა „კომსომოლსკაია პრავდას“ კორესპონდენტს. შეკითხვაზე, ჰქონდა თუ არა სატელეფონო კავშირი სსრკ-ის პრეზიდენტთან, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ უპასუხა: „დიახ, იყო ტელეფონით საუბრები, გზავნილთა ურთიერთგაცვლა, დინჯად, მშვიდად ვსაუბრობდით, მაგრამ გარკვეული უთანხმოებანი გვქონდა ზოგიერთ საკითხებზე. ამჟამად სასურველად არ მიმაჩნია ამაზე ლაპარაკი“. იმავე ინტერვიუში ზვიად გამსახურდიამ დააანონსა საქართველოში ბორის ელცინის ვიზიტი, რომელიც შესაძლოა, წლის ბოლოს ან იანვრის დამდეგს შემდგარიყო. ბორის ელცინი 1990 წლის 29 მაისიდან იკავებდა რუსეთის ფედერაციის უზენაესის საბჭოს თავმჯდომარის პოსტს. ამავე ინტერვიუში ზვიად გამსახურდიამ განაცხადა, რომ აფხაზეთის ავტონომიას გაუქმება არ ემუქრებოდა. ასევე განაცხადა, რომ პარლამენტი ამზადებდა ახალ კანონპროექტებს – მოქალაქეობასა და პრეფექტურის ინსტიტუტზე.[435] საქართველოს რესპუბლიკამ ამავე წელს დადო ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის ხელშეკრულება ოთხ რესპუბლიკასთან – ესტონეთთან, უკრაინასთან, აზერბაიჯანსა და მოლდოვასთან.

1990 წლის ბოლოს ჩატარდა „მრგვალი მაგიდის“ კოალიციის ერთ-ერთი პარტიის, „ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის“ ყრილობა, რომლის თავმჯდომარედაც კვლავ ერთხმად დამტკიცდა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე აკაკი ასათიანი. ყრილობის დასრულების შემდეგ ზვიად გამსახურ-

დიამ მიმართა ესპანეთში მცხოვრებ გიორგი (ხორხე) ბაგრატიონ-მუხრანელს, რომელმაც 1977 წელს მამისგან მემკვიდრეობით მიიღო საქართველოს სამეფო სახლის თავკაცობა. მიმართვაში ნათქვამი იყო: „თქვენო უმაღლესობავ! დიდ მადლობას გიძღვნით მოლოცვისთვის საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ ჩემი არჩევის გამო. დღეს საქართველოში იწყება ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის გადამწყვეტი ეტაპი. დარწმუნებული ვარ, რომ ქართველი ერი კვლავაც გმირულად იბრძოლებს თავისუფლებისთვის, ვითარცა ეს ეკადრება ჩვენი დიდი წინაპრების ღირსეულ შთამომავალთ. ვფიქრობ, შორს აღარ არის ის დღე, როდესაც თქვენი უმაღლესობა სამშობლოში ჩამობრძანდება და პირადად მოგვეცემა თქვენი გაცნობის შესაძლებლობა. გულწრფელი პატივისცემით, ზვიად გამსახურდია“.[436] ზვიადის პოლიტიკური ორიენტაცია ზოგად შტრიხებში აქაც იკვეთება – ცენტრისტულ-ზომიერი, განმანათლებლური, დასავლეთზე ორიენტირებული, ქრისტიან-დემოკრატიული კონსერვატიზმი.

4.6. 1991 წლის დასაწყისი

1991 წელი უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის, ზვიად გამსახურდიას, მიმართვით დაიწყო, რომელშიც მან ანგარიში ჩააბარა ერსა და იმ ადამიანებს, რომლებმაც მხარი დაუჭირეს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ხელისუფლების სათავეში მოსვლისას. გამოსვლაში თავიდანვე გარკვევით აღინიშნა, რომ ცენტრისთვის რესპუბლიკების შინაგან საქმეებში ჩარევა უკვე შეუძლებელი ხდებოდა. ჩვენ ცენტრს განვუმარტეთ, რომ გვაქვს ჩვენი კონსტიტუცია და კანონმდებლობა, რომლის პრიმატიც საქართველოს ტერიტორიაზე ამავე კონსტიტუციითაა გარანტირებული. ამიტომ ცენტრი აქტიურად არ ერევა ჩვენს საქმეებშიო. ეროვნული ხელისუფლების ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი ახლა არისო მსოფლიოს ეკონომიკურ ენტეგრაციაში ჩართვა და იმ კავშირების აღდგენა, რომლებიც საქართველოს ჰქონდა ცივილიზებულ ქვეყნებთან, თავისი დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის განმავლობაში (იგულისხმება 1918-1921 წლების დამოუკიდებელი, დემოკრატიული რესპუბლიკა, კ. გ.). მოხსენებაში აღინიშნა, რომ ჩვენი დამოკიდებულება რუსეთის საოკუპაციო ჯარებისადმი საერთაშორისო სამართლის მოთხოვნებიდან გამომდინარეობდა. ისინი უკვე კონსტიტუციის პრეამბულაში მოიხსენიებოდნენ, როგორც საოკუპაციო ჯარები, რომ მათ მიერ განხორციელდა საქართველოს ანექსია. ამ გამოსვლაში საყურადღებო ისაა, რომ ზვიად გამსახურდიას თქმით, 1918 წლის 26 მაისს უკვე მოხდა დამოუკიდებლობის დეკლარირება და აღარ იყო საჭირო ახალი დეკლარაციის მიღება. საქართველო იურიდიულად ყოველთვის დამოუკიდებელი იყო და ახლაც დამოუკიდებელია, ოღონდ საქმეა დე ფაქტო ე. ი. ფაქტობრივი დამოუკიდებლობის აღდგენაში, ეროვნული მოძრაობა ამისთვის იბრძვისო.

თავის გამოსვლაში უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ასევე შეეხო სამხრეთ ოსეთის ყოფილ ავტონომიურ ოლქს, იქ ახლა სტაბილიზაციის პროცესი მიმდინარეობსო. ჩვენი მილიციაც უფრო აქტიურად იწყებს მოქმედებასო. ეკონომიკის სფეროს შესახებ ითქვა, რომ სახელწიფო ყველანაირ ძალისხმევას სწევდა, რომ ფასები სტაბილური დარჩენილიყო. საზკვების კოოპერატივების მოქმედება დროებით შეჩერდებაო. ამ გამოსვლაში ახსენა დემოგრაფიული საკითხიც და აღნიშნა, რომ მზადდებოდა კანონი მოქალაქეობის შესახებ. ქართველი მოსახლეობის ინტერესები დაცული უნდა იქნეს, თუმცა ასევე დაცული უნდა იყოს ეროვნული უმცირესობების უფლებებიცო: „არავითარ შემთხვევაში არავინ იფიქროს, რომ ეროვნული უმცირესობების უფლებები დათრგუნვილი ან იგნორირებული იქნება. თუმცა ამას ჩვენ გვწამებენ ცენტრალურ პრესაში ხშირად, მაგრამ ეს სინამდვილეს არ შეესაბამება. საქართველო ისეთი ქვეყანაა, სადაც ტრადიციულად მშვიდობიანად ცხოვრობენ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები, სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლები და ეს ასე გაგრძელდება". გამოსვლის ბოლოს ითქვა, რომ, სახელმწიფო დამოუკიდებლობის მიღწევასთან ერთად, ჩვენი მიზანი იყო ეროვნული შეიარაღებული ძალების შექმნა. უკვე ჩამოყალიბდა შინაგანი ჯარი ანუ ეროვნული გვარდია, რომელიც სტაბილური მდგომარეობის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი უნდა ყოფილიყო. ასევე გაკეთდა კიდევ ერთი მოწოდება ყველა არაოფიციალური შეიარაღებული ფორმირების მიმართ, რომ ჩაებარებინათ იარაღი, დაშლილიყვნენ და შემოერთებოდნენ ეროვნულ გვარდიას, რათა საქართველოში ყოფილიყო სტაბილური მდგომარეობა, სამოქალაქო მშვიდობა, აღმოფხვრილიყო დამნაშავეობა და მოსახლეობას მშვიდობიანად ეცხოვრა.[437]

ამავე დღეს გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკამ" ინტერვიუ ჩამოართვა პრემიერ-მინისტრ თენგიზ სიგუას. მან განაცხადა, რომ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ამჟამინდელი მდგომარეობა უაღრესად კრიზისული იყო, მძიმე მდგომარეობა იყო ყველა დარგში და არცერთი მათგანი არ შეესაბამებოდა თანამედროვე მოთხოვნებს. პრემიერმა ისაუბრა ასევე 1991 წლის პერსპექტივებზე. ოპტიმისტური განწყობის საფუძვლად მოიყვანა რუსეთის ფედერაციასთან დადებითი სავაჭრო სალდო მაშინ, როდესაც საქართველოს თითქმის ყველა სტრატეგიული ნედლეული რუსეთიდან შემოჰქონდა. ეკონომიკური წინსვლა კი მოსალოდნელი იყო იმ ხელშეკრულებების გამო, რომლებიც საქართველომ ესტონეთთან, აზერბაიჯანთან, მოლდოვასა და სხვა ქვეყნებთან გააფორმა.[438]

საკმაოდ ნაყოფიერი გამოდგა მუშაობა როგორც პარლამენტის იურიდიულ კომისიაში, ისე იუსტიციის სამინისტროში. ამ უკანასკნელის ინიციატივით მიიღეს საკანონმდებლო აქტების მთელი პაკეტი, რომელიც საბჭოთა პერიოდისგან სრულიად განსხვავებულად არეგულირებდა მართლმსაჯულების საკითხებს. მთავარი მიზანი სასამართლოსა და მოსამართლეების დამოუკიდებლობის მიღწევა და გავლენებისგან განთავისუფლება იყო. ეს აქტები ადგენდა საქართველოს სრულ სუვერენიტეტს მართლმსაჯულების აღსრულებაში. მართლმსა-

ჯულება კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეებზე მთავრდებოდა საქართველოში და არ შეიძლებოდა საქართველოს სასამართლოების გადაწყვეტილებების გადასინჯვა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოების მიერ. ამრიგად, – ასკვნის მ. ბოკუჩავა, – „საქართველომ დამოუკიდებლობა მართლმსაჯულების სფეროში სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამდე მოიპოვა.[439] იუსტიციის მინისტრი ჯონი ხეცურიანი კი აღნიშნავდა: „სიმბოლურია ისიც, რომ საქართველოს განთავისუფლებისთვის ბრძოლა სწორედ იმ სასამართლო სისტემის რეფორმით დაიწყო, რომელიც დღესაც ასეთი პრობლემურია.[440]

რამდენადაც 1990 წლის 27 დეკემბერს, სსრკ-ის სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე მიიღეს გადაწყვეტილება, ჩატარებულიყო რეფერენდუმი „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის“ შენარჩუნებაზე, მისი ზუსტი თარიღის დასახელების გარეშე, უზენაესმა საბჭომ გადაწყვიტა კანონის მიღება საქართველოს რეფერენდუმზე, რაც განხორციელდა 1991 წლის 20 იანვარს. ახალარჩეული ხელისუფლებისთვის დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხი იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ ამისთვის საჭირო იყო არა მარტო დეკლარაცია, არამედ ხალხის მონაწილეობა, მისი ნების გამოვლინება გადაწყვეტილების მიღების გასამყარებლად. ეს გაამყარებდა და აამაღლებდა გადასაჭრელი საკითხის ლეგიტიმაციას. ამის შემდეგ ნამდვილად ვერავინ იტყოდა, რომ ეს გადაწყვეტილება მიიღებულ იქნა ერთი პოლიტიკური ჯგუფის მიერ თვითნებურად, ხალხის აზრის გათვალისწინების გარეშე. საინტერესოა, რომ ეს იდეა ჯერ კიდევ საქართველოს პირველი, დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელობაშიც არსებობდა. პლებისციტის ფორმით იგი ნახსენებია აკაკი ჩხენკელის, პირველი საგარეო საქმეთა მინისტრისა და საფრანგეთის რესპუბლიკაში საქართველოს პირველი საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის, წერილში, რომელიც მან სტამბოლში დაწერა, სადაც ქართული პოლიტიკური ემიგრაცია 1921 წლის ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ პირველ ეტაპზე გაჩერდა.

1991 წლის 12 იანვარს საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ, ზვიად გამსახურდიამ, წერილით მიმართა სსრკ-ის პრეზიდენტს, მიხეილ გორბაჩოვს. წერილის დაწერის მიზეზი გახდა სსრკ-ის პრეზიდენტის ბრძანებულება, რომლის მიხედვითაც, საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ მიღებულ საკანონმდებლო აქტებს ცხინვალის ავტონომიასთან მიმართებით უკანონოდ და ანტიკონსტიტუციურად აცხადებდა. წერილში აღნიშნულია, რომ საქართველოს კონსტიტუციის 77-ე მუხლის თანახმად, სსრკ-ის კანონებსა და რესპუბლიკის კანონებს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში მოქმედებს საქართველოს რესპუბლიკის კანონები. ამავე წერილში გორბაჩოვს მოუწოდებდა, ყოფილი სამხრ. ოსეთის ოლქის ტერიტორიიდან გაეყვანა ყველა შეიარაღებული ფორმირება, სსრ კავშირის შინაგანი ჯარების გარდა. წერილი ასეთი დასკვნით სრულდებოდა: „გასათვალისწინებელია, რომ საქართველოში მცხოვრებ ოსთა უმრავლესობის ნებაა დაამყაროს რეგიონში მშვიდობა და თანხმობა, კვლავაც განავითაროს ეროვნული კულტურა, რისთვისაც სუ-

ლაც არ არის სავალდებულო ჰქონდეს ხელოვნურად შექმნილი ავტონომიური ოლქი ან თუნდაც რესპუბლიკა, რასაც ნათლად მოწმობს ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკაში შექმნილი ვითარება, სადაც ეროვნულ-კულტურული ავტონომიის დონე გაცილებით დაბალია. რაც უფრო ადრე მიხვდებიან ხელისუფლების საკავშირო ორგანოები, თუ როგორია შიდა ქართლში ნამდვილი ვითარება და სათანადო პოზიციას დაადგებიან, მით უფრო სწრაფად მოხდება მდგომარეობის სტაბილიზაცია რეგიონში".[441]

4.7. „პერესტროიკა" და გორბაჩოვი, უშუალო შეხება

1990-1991 წლები „პერესტროიკის" კულმინაცია იყო. მიხეილ გორბაჩოვი, ამ პროცესების გმირი, მსოფლიოს ლიდერების ყურადღების ცენტრში მოექცა. მარგარეტ ტეტჩერი აცხადებდა, რომ იგი მზად იყო მასთან ეთანამშრომლა. რონალდ რეიგანი მოსკოვში და სხვაგანაც ხვდებოდა მას. იგივე პოლიტიკა გააგრძელეს აშშ-ის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა და სახელმწიფო მდივანმა ჯეიმს ბეიკერმა. ზვიად გამსახურდია არ განეკუთვნებოდა იმ პოლიტიკოსთა რიცხვს, რომლებიც მოხიბლულნი იყვნენ გორბაჩოვის ფიგურით ან რაიმე მოლოდინი ჰქონდათ მის მიმართ. ნ. გორჯესტანი თავის წიგნში იგონებს, რომ ზვიადთან საუბრებში უმალ ამის საპირისპირო დამოკიდებულება იკვეთებოდა. იგი არ მიიჩნევდა, რომ ამ ყოველივეს შედეგად ნამდვილი დემოკრატიზაცია მოჰყვებოდა, ან სსრკ-ში ეროვნული საკითხი სამართლიანად და ადამიანურად გადაწყდებოდა. „იმედია, ტეტჩერის და ამერიკელების მსგავსად, შენც არ წაგიცდა ფეხი და არ მოიხიბლე!" – ხსენებული წიგნის ავტორის თქმით, ასეთი იყო ზვიად გამსახურდიას პოზიცია. გორბაჩოვი მას ნიკიტა ხრუშჩოვის ერთგვარ რეინკარნაციად მიაჩნდა, ოღონდ, ცხადია, თანამედროვე სამოსელში. იგი ძირეულად არ განსხვავდებოდა სხვა საბჭოთა ლიდერებისგანო. გორჯესტანისთან აღნიშნულია, რომ ზვიადი სავსებით ეთანხმებოდა ფრანგი ავტორის, ჯან-ფრანსუა რევალის, თვალსაზრისს, რომ საბჭოთა სოციალიზმის გაუმჯობესების ერთადერთი გზა მისი თავიდან მოცილება იყო. ამის დასტურად მას მოჰყავდა გორბაჩოვის გამოსვლა ბოლშევიკური რევოლუციის 70 წლისთავის გამო.

რაც შეეხებოდა ტერმინებს, „პერესტროიკა" და „გლასნოსტი", ეს მას ცარიელ სიტყვებად მიაჩნდა. გორბაჩოვის მოღვაწეობაში ზვიად გამსახურდია განჭვრეტდა შენიღბულ მიზანს, რომლის ძირითადი აზრიც მდგომარეობდა კომუნისტური პარტიის ძალაუფლებისა და საზოგადოებაზე დამყარებული კონტროლის შენარჩუნებაში. იგი თვლიდა, რომ „პერესტროიკისა" და „გლასნოსტის" სახით ადგილი ჰქონდა დასავლეთის ნეიტრალიზაციის მცდელობას ორი გზით: პირველი, ეს იყო მოჩვენებითად სარწმუნო ალტერნატიული საინფორმაციო წყაროს წინ წამოწევით, რათა ამის საშუალებით შეენელებინა და დაესუსტებინა უფრო კრიტიკული დასავლური წყაროები. მეორე, დასავლური მედიის

დე ფაქტო კოოპტაციით, რომელიც, თავის მხრივ, მიამიტურად ავრცელებდა ინფორმაციას, რომელსაც ავრცელებდნენ საბჭოთა ორგანოები დასავლეთში თავიანთი „მოკავშირეების“, ანუ „სასარგებლო იდიოტების“ საშუალებით შედარებით პროგრესულ წრეებში. ეს ყველაფერი საკმაოდ ემთხვეოდა ძველი საბჭოური „აგიტპროპის მიდგომებს“. დასავლეთი ბლეფზე წამოეგო, მან მიიღო თანამედროვე ჟარგონები — „პერესტროიკა“ და „გლასნოსტი“ სიღრმისეული შეფასებების გაკეთების გარეშე. „გლასნოსტი“ იყო საშუალება საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედებისა შინ და საზღვარგარეთ. „გორბაჩოვიზმი“ არ ყოფილა ცალკე არსებული იდეოლოგია, არც საშუალება, რათა მოეხდინა დემოკრატიის ცალკეული ელემენტების კოპირება და დანერგვა. ისე ჩანდა, რომ ეს უფრო იყო კომუნისტური პარტიის სტრატეგია, რათა, რაც შეიძლება, მეტხანს დარჩენილიყო ძალაფულებაში. ასე მიიჩნევდა ზვიად გამსახურდია. ამიტომაც განიხილავდა იგი გორბაჩოვს, როგორც მორიგ საბჭოთა ლიდერს, რომლის ამოცანაც, სინამდვილეში, იყო საბჭოთა კავშირის, ხალხთა ამ საპყრობილის, შენარჩუნება „ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების“ ნიღბით.[442]

დასავლეთში ამავე დროს ამოქმედებული იყო პროპაგანდისტული მანქანა, რომელიც საკმაოდ წარმატებულად მუშაობდა. ამ ყველაფრის გამართლება იყო ის შაბლონი, რომელიც დასავლეთს ფრიად ჭკვიანურად და მოხერხებულად მიეწოდა: რომ ქვეყანაში იყვნენ „ლიბერალური ძალები“, რამდენიმე ჟურნალის ირგვლივ შემოკრებილნი, ასოცირებულნი იაკოვლევთან, ახლახან გადამდგარ შევარდნაძესთან, და იყვნენ კონსერვატორები, კონცენტრირებულნი იგორ ლიგაჩოვის, ძალოვანი მინისტრებისა და სუკ-ის, ჟურნალ „კრასნაია ზვეზდას“, ასევე ბლოკ „სოიუზის“ ირგვლივ. ეს სქემა კარგად ჯდებოდა დასავლურ მემარჯვენე-მემარცხენეების მოდელში, რომელიც, პრაქტიკულად, ყველა პარლამენტსა და მრავალი ქვეყნის პოლიტიკურ სპექტრში სახეზე იყო. აღნიშნული პროპაგანდისტული მანქანა, პირველ რიგში, მათ წინააღმდეგ ამუშავდა, ვისაც საფრთხედ განიხილავდა

პრესკონფერენციაზე, რომელიც ზვიად გამსახურდიამ 1991 წლის 2 თებერვალს გამართა, მან განაცხადა: „ჩვენ დღეს კრემლის უზარმაზარი საინფორმაციო მანქანა გვიპირისპირდება, უფრო სწორად, დეზინფორმაციის მანქანა, „საკდესის“ სახით, სუკ-ის სახით. მათ მიზნად აქვთ დასახული დეზინფორმაცია მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების შესახებ. სამწუხაროა, რომ ამაში მათ ჩვენივე გადაგვარებული ქართველები უწყობენ ხელს“.[443] მოსკოვის ერთერთი ცენტრალური გაზეთის კორესპონდენტის ჩართვაზე, რომ, „საკდესის“ ადგილობრივი კორესპონდენტის წყალობით, მოსკოვში მეტწილად არასწორი ინფორმაცია ჩადიოდა, ზვიად გამსახურდიამ ასეთი პასუხი გასცა: „მე არ მიკვირს, რომ „პრავდა“ ამას აკეთებს, მაგრამ საოცარია, რომ ე. წ. დემოკრატიულ-დისიდენტური გაზეთებიც კი ჩაებნენ ამ პროცესში. ეს გაზეთებიც გადაიქცნენ ჩვენ წინააღმდეგ საბრძოლველ იარაღად. ყველანი ერთი პოზიციით არიან ჩვენდამი განმსჭვალულნი“. ასევე, საინტერესო პასუხი გასცა კითხვაზე, თუ

ვის მოიაზრებდა ამ სიტუაციაში მოკავშირეებად. მისი თქმით, ეს კავშირი და თანამშრომლობა ჯერ კიდევ 70-იან წლებში ჩამოყალიბდა, ის რომ არ ყოფილიყო, ვერც აქამდე მოვაღწევდითო. ეს ძალები თავმოყრილნი იყვნენო მოსკოვში, ასევე, ბალტიისპირეთში. თუმცა იქვე დასძენს, რომ მოსკოველ დემოკრატებში ბევრია შოვინისტი, რომელთა პოზიციაც კრემლის პოზიციისგან დიდად არ განსხვავდებაო.

ზვიად გამსახურდია მარტის დასაწყისში, საბჭოთა კავშირის შენარჩუნებაზე ცენტრის მიერ დანიშნულ რეფერენდუმამდე, ტელეფონით ესაუბრა მიხეილ გორბაჩოვს. ამ უკანასკნელმა თავად დაურეკა მას და საუბრისას საკმაოდ გასაგებად და მკაფიოდ უთხრა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობისკენ მიმართული კურსი არ იქნებოდა სიკეთის მომტანი საქართველოსთვის. სსრკ-ის პრეზიდენტის თქმით, აფხაზები და ოსები არ იყვნენ ამ დამოუკიდებლობის მომხრენი და ისინი მხარს უჭერდნენ ახალ სამოკავშირეო ხელშკრულებაში საქართველოს ჩართვას. „საქართველოს მთელი მოსახლეობის რიცხვი, დაახლოებით, 5 მილიონი ადამიანია, ამ ავტონომიებში კი ერთად აღებული, აფხაზური და ოსური ეთნოსის მქონე, სადღაც 120 ათასამდე მცხოვრებია. გამოდის, რომ უმრავლესობამ ასეთი უმცირესობის ჭკუაზე უნდა იაროს?“ — ჰკითხა ზვიად გამსახურდიამ გორბაჩოვს. ამას მცირე პაუზის შემდეგ გორბაჩოვის პასუხი მოჰყვა: „თუკი ხელს არ აიღებთ დამოუკიდებლობისკენ მიმართულ კურსზე, უნდა ელოდოთ პრობლემებს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში“. ამ საუბარს ზვიად გამსახურდია ახსენებს ინტერვიუში, რომელიც გერმანულ ჟურნალს, „დერ შპიგელს“, 1991 წლის მარტში მისცა.

მიუხედავად იმისა, რომ გორბაჩოვი თავიდანვე შეეცადა დაერწმუნებინა ზვიად გამსახურდია, მხარი დაეჭირა „ახალი სამოკავშირეო“ ხელშეკრულებისთვის, ასევე არაერთხელ შეეცადა ზეწოლის მოხდენას, მან არ აღიარა კრემლის გეგმების ლეგიტიმურობა როგორც საქართველოს, ისე დანარჩენი საბჭოთა რესპუბლიკების მიმართ. რაც შეეხება კრემლის მიერ დანიშნულ რეფერენდუმს, მის მიმართ საქართველოს ხელისუფლებას იმთავითვე მკაფიოდ ჩამოყალიბებული პოზიცია ჰქონდა. ზვიად გამსახურდიამ, შეკითხვაზე, თუ როგორ აფასებდა დანიშნულ რეფერენდუმს სსრკ-ის შენარჩუნების საკითხზე, ასეთი პასუხი გასცა: „რეფერენდუმი კრემლს სურს გამოიყენოს რესპუბლიკების წინააღმდეგ საბრძოლველად. ამით უნდა მიაღწიოს სამოკავშირეო ხელშეკრულების დადებას. ჩვენ უნდა ვამხილოთ ამ რეფერენდუმის უსამართლობა. როდის იყო, რომ სხვა ქვეყნებში ჩატარებული რეფერენდუმი წყვეტდა მეორე ქვეყნის ბედს. ეს არის უსამართლო სამართალი, რომლის აბსურდულობაც მსოფლიოს უნდა დავუმტკიცოთ“.[444]

თუმცა საბჭოთა კავშირში და, კერძოდ, რუსეთის ფედერაციაში მეორე ძალაც იკრებდა თავის მომხრეებს. იგი ცალკე მიზიდულობის ცენტრად ყალიბდებოდა — ეს იყო რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ბორის ელცინი და მისი გუნდი. როდესაც ზემოთ უკვე ნახსენებმა ვოშჩანოვმა 1991

წლის თებერვალში აღებულ ინტერვიუში ჰკითხა, გორბაჩოვს თუ შეხვდებიო, საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ უპასუხა, კრემლის ზღურბლს მხოლოდ მაშინ გადავაბიჯებ, როდესაც თავისუფალი საქართველოს მოქალაქე ვიქნებიო. ასევე დადებითად ახსენა რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობა: „ჩვენ ყველას რუსეთის, ელცინის დიდი იმედი გვაქვს. ვიცით, როგორ უჭირს – იქნებ ყველაზე მეტადაც ჩვენ შორის. როგორ დავეხმაროთ ამ კაცს? ერთადერთი იმედი ისაა – მებრძოლია და მაინც ვშიშობ... მით უმეტეს, რეაქციული ძალები ცენტრშიც უტევენ“.[445]

ეს ის პერიოდია, როდესაც ბორის ელცინი და მისი გუნდი იმპერიაში მეორე მიზიდულობის ცენტრის შექმნისთვის მუშაობენ. მათი დამოკიდებულება ბალტიისპირეთის, უკრაინის, ბელორუსის „სახალხო ფრონტებსა“ და ხელისუფლებებთან, ასევე, საქართველოსთან, საკმაოდ პოზიტიური იყო. ეს ის ძალაა, რომელზეც საქართველო ამ ეტაპზე ფსონს უნდა ჩასულიყო; რასაკვირველია, ეს ამ ეტაპზე იყო ნაგულისხმები, ვინაიდან არავინ იცოდა, მომავალში რას იზამდა ელცინი, როდესაც გეოპოლიტიკური მოცემულობა რამდენადმე შეიცვლებოდა. სამთავრობო წრეებშიც აქტიურად მიდიოდა საუბარი ელცინის დაგეგმილ ვიზიტზე საქართველოში.

4.8. ბორის ელცინის ჩამოსვლა საქართველოში

ბორის ელცინი, ვიდრე საქართველოში ჩამოვიდოდა, იმყოფებოდა ვლადიკავკაზსა და ნაზრანში, რამდენადაც სიტუაცია ოსებსა და ინგუშებს შორის, პრიგოროდნის ანუ თერგის მარცხენა ნაპირზე განფენილი სადავო ტერიტორიის გამო, საკმაოდ დაძაბული იყო. მოლაპარაკება ამ დაგეგმილ შეხვედრაზე მიმდინარეობდა მისი პრესმდივნის, პაველ ვოშჩანოვის, საშუალებით, რომელმაც ზვიად გამსახურდიასთან აიღო ინტერვიუ. ელცინის კორტეჟი ლარსის გავლით შემოვიდა საქართველოში და გეზი აიღო დაბა ყაზბეგისკენ, სადაც უნდა შემდგარიყო ეს შეხვედრა. ბორის ელცინი გენერალ კორჟაკოვსა და ჩრდილოეთ ოსეთის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარესთან, ახსარბეკ (გიორგი) გალაზოვთან ერთად მოვიდა ყაზბეგის გამგეობის შენობაში, სადაც მას საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ელოდა. მისალმებისას მასპინძელმა ასეთი სიტყვებით მიმართა: „მე მინდოდა თქვენთვის მეთქვა, რომ ჩვენ დიდხანს ველოდით ამ დღეს. დიდხანს ველოდით და სიმბოლურია, რომ ჩვენ იმ ადგილას ვხვდებით ერთმანეთს, სადაც პუშკინმა პირველად დადგა ფეხი საქართველოს მიწაზე. ეს ლამაზად გამოვიდა და ჩვენ ბედს ვმადლობთ ამის გამო“.

ყაზბეგში მხარეებს შორის ხელი მოეწერა ახალ ხელშეკრულებას, რომლის ტექსტიც შედგენილ იქნა თბილისში. გაფორმდა შეხვედრისა და მოლაპარაკების ოქმი, რომელშიც, კერძოდ, აღინიშნა: „1991 წლის აპრილის განმავლობაში ხელმოსაწერად მომზადდეს რუსეთის სფსრ-სა და საქართველოს რესპუბლიკის

სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის ხელშეკრულების პროექტი, რისთვისაც შეიქმნა სამუშაო ჯგუფები ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის რეგიონში ვითარების სტაბილიზაციისათვის. ერთობლივი მოქმედების მიზნით შეთანხმების შედეგად მხარეები მორიგდნენ: რუსეთის სფსრ-ის შინაგან საქმეთა სამინისტრომ და საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ 10 დღეში შექმნან ერთობლივი კომისია აღნიშნულ რეგიონში ვითარების შესასწავლად და მიმდინარე წლის 20 აპრილამდე სიტუაციის ობიექტურად შეფასების მიზნით. რუსეთის სფსრ-ის შინაგან საქმეთა სამინისტრომ და საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ 10 აპრილამდე შექმნან მილიციის გაერთიანებული რაზმი ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე ყველა უკანონო ფორმირების განსაიარაღებლად. ამ რაზმს დაევალება საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა მოცემულ ტერიტორიაზე ვითარების სტაბილიზაციამდე. სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს წინადადება მიეცეს, გაიყვანოს ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიიდან აქ დისლოცირებული საბჭოთა არმიის ნაწილები. რუსეთის სფსრ, საქართველოს რესპუბლიკისა და ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა დაუყოვნებლივ დაიწყონ საიმისო მუშაობა, რომ ლტოლვილებს მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნების საშუალება შეექმნათ, უზრუნველყონ ადგილობრივი ხელისუფლების კანონიერი ორგანოების აღდგენა. რუსეთის სფსრ, საქართველოს რესპუბლიკისა და ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ მთავრობებმა შექმნან დევნილებისათვის მიყენებული ზარალის შემფასებელი კომისია და დამატებითი სახსრები გამოყონ ამ ზარალის ასანაზღაურებლად. შექმნილი კომისიებისა და რაზმების საბოლოო ამოცანად ჩაითვალოს რეგიონში მშვიდობისა და სიმშვიდის აღდგენა. შეიქმნას მუდმივი ჯგუფი, რომელიც კონტროლს გაუწევს ამ ოქმის შესრულებას და განიხილავს წამოჭრილ მიმდინარე საკითხებს" (დაბა ყაზბეგი, 1991 წლის 23 მარტი).[446]

თუმცა ამ შეხვედრას შედეგად მოჰყვა მოსკოვში ელცინის ოპოზიციის გააქტიურება, რომელიც, თავისი პროიმპერიული შეხედულებებიდან და პოლიტიკური პლატფორმიდან გამომდინარე, ჯგუფ „სოიუზთან" ახლოს იდგა. ცხინვალის სეპარატისტებმა მოაწყვეს საპროტესტო მიტინგი, რომელზეც გაშალეს პლაკატი წარწერით „სირცხვილი ელცინს ქართველ ფაშისტებთან გარიგების გამო". გააქტიურდნენ ასევე სამხედროები და ელცინის იმპიჩმენტზეც დაიწყო საუბარი. ელცინის ცენტრში მასალებს შორის დაცულია მიმართვა, რომელიც ამგვარი წრეების გავლენით ბორის ელცინმა გაუგზავნა საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს. სამთავრობო ტელეგრამა ასეთი შინაარსისა იყო: ქ. თბილისი, საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, ზ. კ. გამსახურდიას, პატივცემულო ზვიად კონსტანტინეს ძევ! ვთვლი საჭიროდ, კიდევ ერთხელ დავადასტურო რუსეთის ფედერაციის განზრახვა, საქართველოს რესპუბლიკასთან სახელმწიფოთაშორისი კეთილსინდისიერი კონტაქტების განვითარების თაობაზე, ჩვენი ქვეყნების საერთო ჰუმანისტური ტრადიციებისა და საერთა-

შორისო სამართლის პრინციპების საფუძველზე. ვიმედოვნებ, რომ ჩვენ შორის მიღწეული შეთანხმებები, რომლებიც მიმართულია სამხრეთ ოსეთში მშვიდობისა და წესრიგის დასამყარებლად, განუხრელად იქნება დაცული. ამასთან ერთად, ჩვენ შეწუხებული ვართ ჩვენი შეხვედრის პროტოკოლის არაადეკვატური განმარტებით საქართველოს რესპუბლიკის მასობრივ საინფორმაციო საშუალებებში. უფრო მეტად ჩვენ გვაღელვებს საქართველოსა და ჩრდილოეთ ოსეთიდან მიღებული ინფორმაციები, კვლავ მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებისა და არაკანონიერი ფორმირებების შესახებ, ეროვნული ნიშნით ძალადობის შესახებ ზნაურის რაიონსა და სხვა ადგილებში. დაჟინებით გთხოვთ, გააკეთოთ ყველაფერი, რაც საქართველოს რესპუბლიკაზეა დამოკიდებული, რათა შეწყდეს სისხლის ღვრა რესპუბლიკის ტერიტორიაზე და უზრუნველყოთ სიტუაციის სტაბილიზაციისკენ მიმართული, ჩვენი საერთო გადაწყვეტილებების აღსრულება. ჩვენი მხრიდან შევუდგებით განსაზღვრული ზომების მიღებას. რსფსრ-ის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ბ. ელცინი, 27 მარტი, 1991 წელი".[447]

რამდენიმე დღეში, კერძოდ, 31 მარტს (და ეს თარიღიც სიმპტომატურია, კ. გ.), რუსეთის სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე მიიღეს მიმართვა, რომელშიც ხელმომწერნი მოითხოვდნენ „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის" აღდგენას, ასევე, „უკანონოდ დაპატიმრებული" სეპარატისტთა ლიდერის, ტორეს კულუმბეგოვის, განთავისუფლებას. ეს, ზვიად გამსახურდიას განცხადებით, ქმნიდა შთაბეჭდილებას, რომ იმპერიულად განწყობილი ძალები ცენტრში ქმნიდნენ ერთიან ფრონტს საქართველოს რესპუბლიკის ახალარჩეულ პარლამენტთან საბრძოლველად. პრაქტიკულმა ნეგატიურმა შედეგმაც არ დაახანა: 1991 წლის აპრილის დასაწყისში საბჭოთა კავშირმა ჩრდილოეთ ოსეთიდან როკის გვირაბის გავლით ცხინვალის რეგიონში ჯარები შეიყვანა. ელცინის ცენტრის არქივში ინახება 7 აპრილის ტელეგრამა ბ. ელცინისადმი, რომელიც მას ზვიად გამსახურდიამ გაუგზავნა. ტელეგრამაში საქართველოს ხელისუფალი გამოხატავდა უკმაყოფილებას ცხინვალში საბჭოთა რეგულარული ჯარების შეყვანის გამო და საქართველოს „ახალ ავღანეთად" მოიხსენიებდა. მიმართვაში ასევე ნათქვამი იყო: „ჩვენ ვიმედოვნებდით, რომ საბჭოთა ხელისუფლება გაგებით მოეკიდებოდა ჩვენს კონსტრუქციულ პოზიციას, თუმცა იგი ბოლო დროს სულ უფრო იხრება პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და ნაციონალური პრობლემების ძალადობრივი გზით გადაჭრისკენ. იქმნება შთაბეჭდილება, რომ გარკვეულმა წრეებმა მიზნად დაისახეს საქართველოს მიწაზე ახალი ავღანეთის მოწყობით საბჭოთა ხელისუფლების ყურადღების გადატანა მაღაზიების ცარიელი თაროებიდან, მასობრივი დემონსტრაციებიდან და გაფიცვებიდან, რომლებმაც ქვეყანა მოიცვეს. ვიმედოვნებთ, რომ სსრკ-ის ხელისუფლება ამ კრიტიკულ მომენტში გამოავლენს ჯანსაღ აზრს და არ გამოვა საქართველოს წინააღმდეგ ახალი ინტერვენციის ინიციატივით, როგორც სამოქალაქო ომის ინიციატორი საკუთარ ქვეყანაშივე".[448]

1991 წლის 7 აპრილს შედგა სატელეფონო საუბარი ზვიად გამსახურდიასა და ბორის ელცინს შორის. ამ საუბრის შინაარსი არ გავრცელებულა მასმედიაში. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ბორის ელცინი საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარესთან საუბრისას მას მოუყვა იმ წინააღმდეგობებისა და ობსტრუქციის შესახებ, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის მიმართ არაკეთილგანწყობილმა ძალებმა მას კავკასიიდან მოსკოვში დაბრუნებისას მოუწყვეს. ელცინის სიტყვებით, მისი იმპიჩმენტი სრულიად რეალური ჩანდა – ამ საკითხის გატანას სულ 2 ხმა დააკლდა, თუმცა არავინ იცოდა, შემდეგ ჯერზეც რამდენად გადაილახებოდა ეს მიჯნა. ამიტომაც, იკითხა ელცინმა, თუკი ასე მოხდა, ანუ შედგა იმპიჩმენტი, შეუძლია საქართველოს რომ შემიფაროსო? ზვიად გამსახურდიამ, რასაკვირველია, დადებითი პასუხი გასცა რუსეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ასეთ მოულოდნელ წინადადებას. მან უპასუხა, რომ ასეთ შემთხვევაში ელცინს ორი რეზიდენცია დაეთმობოდა, გამოეყოფოდა ვერტმფრენი და შეიარაღებული დაცვა. სატელეფონო საუბრის დასრულების შემდეგ ზვიად გამსახურდიამ მთავრობას დაავალა, მოეძებნათ შესაფერისი რეზიდენციის შენობები დასავლეთ საქართველოში, რათა იქ მოეთავსებინათ რუსეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე, თუკი მას დევნის გამო რუსეთის ფედერაციის დატოვება მოუწევდა. ასეთი სავარაუდო რეზიდენცია სამი მოიძებნა – გურიის მთიან ნაწილში, სამეგრელოსა და სვანეთში.

1991 წლის 15 მარტს სატელევიზიო გამოსვლაში ზვიად გამსახურდიამ შეაფასა რუსეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარესთან, ბორის ელცინთან, შეხვედრა და მასთან ხელშეკრულების გაფორმება. მისი თქმით, ეს შეხვედრა დიდი ხანია მზადდებოდა, მაგრამ რამდენიმეჯერ ჩაიშალა ბნელი ძალების მეცადინეობით (აქ იგი გულისხმობდა არა მარტო კრემლსა და სსრკ-თან დაკავშირებულ დესტრუქციულ ძალებს, არამედ რუსეთის ფედერაციის უმაღლეს საბჭოში კონცენტრირებულთაც, რომლებიც არსებითად ერთი და იმავე ძალის ორ ფლანგს წარმოადგენდნენ, კ. გ.). ეს შეხვედრა მაინც მეტად სასარგებლო იყოო ჩვენი ქვეყნისთვის. უმთავრესი მნიშვნელობა კი ექნება რუსეთ-საქართველოს ახალ ხელშკრულებას, რომელსაც თბილისში უნდა მოეწეროსო ხელი. ფაქტობრივად, ის, რაც ზვიად გამსახურდიას თვალსაზრისით უნდა მომხდარიყო, იქნებოდა ერთგვარი „გეორგიევსკის ტრაქტატის“ ანტიპოდი. მას უნდა დაერღვია და გაეუქმებინა ის უსამართლობა, რაც „გეორგიევსკის ტრაქტატს“ მოჰყვა და საფუძველი უნდა ჩაეყარა თანასწორუფლებიანი სუბიექტების მეგობრობის, კეთილმეზობლობისა და ბევრ სფეროში პარტნიორული ურთიერთობისთვის, რაც დაფუძნებული იქნებოდა ურთიერთაღიარებასა და წარსულში მომხდარი უსამართლობების ეტაპობრივ გამოსწორებაზე. სამუშაო ჯგუფები უკვე შექმნილია და მუშაობენო, აღინიშნა ამ სატელევიზიო გამოსვლაში. ამისთვის საჭირო იყო თავად რუსეთის ფედერაციის თავისუფლება სსრკ-ისგან. საქართველო უნდა მისალმებოდა რუსეთის სწრაფვას სუვერენიტეტისკენ. ხოლო საპრეზიდენტო არჩევნებში, რომელიც რუსეთის ფედერაციაში მალე ჩატარდებოდა,

აუცილებლად გაიმარჯვებდა ბორის ელცინი. ზვიად გამსახურდიას თქმით, ეს ყოველივე დააჩქარებდა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობათა ნორმალიზაციას და შექმნიდა რუსეთსა და საქართველოს შორის მომავალი ურთიერთობების პერსპექტივებს. ითქვა, რომ ახალი ხელშეკრულების დადება ჩვენსა და რუსეთს შორის ჩვენი პოლიტიკის მიზანიაო.[449]

ეს შესაძლოა, მართლაც კარგი და პოზიტიური სურვილები იყო მოცემულ ეტაპზე. გამორიცხული არ არის, რომ ისინი მომავალშიც კვლავ რელევანტური გახდნენ, თუმცა იმ პირობებში, როდესაც სსრკ-ის ფუნქციები, მიზნები, ექსპანსიონიზმი და მოქმედების აგრესიული მეთოდები მთლიანად გადაიბარა რუსეთის ფედერაციამ, განუხორციელებელი აღმოჩნდა. ამიტომაც აქ ნახსენები ხელშეკრულების დადება ვერ მოხერხდა. რაც შეეხება შიდა ქართლის საკითხსა და ცხინვალის რეგიონში შექმნილ დაძაბულ ვითარებას, იყო სურვილი, მომხდარიყო თანამშრომლობა რუსეთის ფედერაციასთან ამ კონფლიქტის დასასრულებლად. ერთობლივი კომისიის იდეა გულისხმობდა მართლწესრიგისთვის ბრძოლას ერთობლივი ძალებით, რამდენადაც შიდა ქართლში მოქმედი ბანდფორმირებები ძირითადად რუსეთის ფედერაციის ტერიტორიიდან შემოდიოდნენ. მათი განიარაღება, საქართველოს გარდა, რუსეთის ფედერაციის ინტერესებშიც უნდა ყოფილიყო. დრომ და ისტორიამ, სამწუხაროდ, აჩვენა, რომ ეს ასე არ იყო. რუსეთის ინტერესებში არ შედიოდა მშვიდობის დამყარება შიდა ქართლში, არც ამ ტერიტორიების აღიარება საქართველოს ნაწილად.

4.9. კავკასიური ვექტორი და აფხაზეთი

კავკასიური დიპლომატია, ძირითადად, ორი მიმართულებით წარიმართებოდა: ჩრდილოეთში, ერთი – ჩეჩენეთ-ინგუშეთის რესპუბლიკისკენ, მეორე კი – ჩერქეზული სამყაროსკენ, რომელიც რუსეთის ფედერაციის სამ ავტონომიურ რესპუბლიკას მოიცავდა: ყაბარდო-ბალყარეთს, ყარაჩაი-ჩერქეზეთსა და ადიღეს. აქ საქართველოს მიზნები უკავშირდებოდა ჩერქეზულენოვანი საზოგადოების დაინტერესებას საქართველოს დამოუკიდებლობითა და აფხაზური სეპარატიზმის მხარდაჭერის შეძლებისდაგვარად განეიტრალებით. არ უნდა წარმოვიდგინოთ, თითქოს ბალყარული და ყარაჩაული საკითხები ავტომატურ რეჟიმში მიბმული იყო ჩერქეზულ-ადიღურ ელემენტთან – მათ ცალკე განიხილავდნენ. ეს საზოგადოებები საკმაოდ მტკივნეულად აღიქვამდნენ იმ შუქჩრდილებისა და წინააღმდეგობების ვერშემჩნევას, რომლებიც მათ იდეოლოგიურ ნარატივებს აღბეჭდავდა. იყო მესამე მიმართულებაც – ჩრდილოეთ ოსეთისა, თუმცა უფრო ფრაგმენტული და ნაკლებად პროფილირებული, რამდენადაც ოსური ადგილობრივი ელიტა ვლადიკავკაზში სხვებზე გაცილებით მეტად კონტროლდებოდა იმპერიის ცენტრიდან და ყველაზე მეტადაც იყო ინფილტრირებული საბჭოურ-ველიკორუსული გავლენის აგენტურისგან. ზვიად

გამსახურდიას რამდენიმეჯერ აღუნიშნავს, რომ საბჭოთა არმიაში მოქმედებდა ოსური ლობი, რომელშიც საკმაოდ დაწინაურებული და დიდი გავლენების მქონე ეთნიკურად ოსი სამხედროები შედიოდნენ. ისინი როგორც გენშტაბის, ისე სამხედრო დაზვერვის დონეზე ახერხებდნენ, გარკვეულწილად, ემოქმედათ რუსეთის ფედერაციის პოლიტიკაზე.

სამხრეთკავკასიურ სივრცეში კი მუშაობა დაიწყო როგორც სომხური, ისე აზერბაიჯანული მიმართულებით. საქართველოს პოზიცია ყარაბაღის კონფლიქტის ირგვლივ გარკვეული იყო – ნეიტრალიტეტი და ჩაურევლობა ამ დაპირისპირებაში, იმავდროულად, შუამავლის, მედიატორის როლი დაპირისპირებულ მხარეებს შორის. ამასთან, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში შეიქმნა ცალკე ჯგუფი, რომელიც კავკასიის საკითხებით იყო დაკავებული. ჯგუფს კურირებდა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გიორგი ხონელიძე. 17-18 ნოემბერს თბილისში, ჟურნალისტთა სახლის სააქტო დარბაზში გაიმართა საერთო-კავკასიური შეხვედრა დიალოგი, რომელსაც დაესწრნენ სახალხო დეპუტატები, ჟურნალისტები და მეცნიერები. განიხილებოდა ეკონომიკის, ეკოლოგიისა და უსაფრთხოების საკითხები. კავკასიის პრაქტიკულად ყველა რეგიონიდან ჩამოსულ სტუმრებს მიესალმა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნემო ბურჭულაძე, რომელმაც მათ გადასცა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის სალამი, ამასთან, ხაზი გაუსვა განსახილველი საკითხების აქტუალობასა და მნიშვნელობას ახალარჩეული პარლამენტისთვის.

პირველები, რომლებიც საქართველოში მრავალპარტიული, დემოკრატიული, არასაბჭოთა არჩევნების შემდეგ ჩამოვიდნენ, ინგუშები იყვნენ. ისინი ინგუში მწერლისა და უფლებადამცველის, ისა კოძოევის, თავკაცობით არაერთხელ შეხვდნენ ზვიად გამსახურდიას. ინგუშები, გარდა საქართველოსა და ქართველთა მხარდაჭერისა, ეძებდნენ შესაძლებლობას შეეძინათ იარაღი, რამდენადაც ელოდნენ კონფლიქტის დაწყებას ვლადიკავკასში, „პრიგოროდნი რაიონის“ გამო, რომელიც 1944 წლის დეპორტაციამდე ინგუშებს ეკუთვნოდათ, თუმცა დეპორტაციის შემდეგ უკან დაბრუნებულთ საბჭოთა ხელისუფლებამ არ მისცა საშუალება იქ ჩასახლებულიყვნენ. შესაბამისად, თერგის მარცხენა სანაპიროზე 1944 წლიდან 1960-იანების დასაწყისამდე დემოგრაფიული სურათი მკვეთრად შეიცვალა. საქართველოში უაღრესად თავაზიანად და მეგობრულად შეხვდნენ ინგუშებს, თუმცა მათთვის ისეთი დახმარება, როგორიც იყო იარაღის მიწოდება, არ გაუწევიათ. იარაღი ჭირდა თვით საქართველოში. მაგალითად, მისი დეფიციტი იყო თვით კონფლიქტურ ზონაში, ცხინვალის რეგიონში, სადაც ქართველ მოსახლეობას ბანდფორმირებებისგან თავი უნდა დაეცვა.

23 თებერვლის პრესკონფერენციაზე, რომელიც ჩაატარა ზვიად გამსახურდიამ, ჟურნალისტებმა ყურადღება გაამახვილეს მიმართვაზე ჩეჩენი და ინგუში ხალხებისადმი და იკითხეს, რა ურთიერთობის დამყარება იგეგმებოდა საქართველოს მეზობელ ხალხებთან. ამაზე უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ უპასუხა: „ჩვენ გვაქვს ურთიერთობა სომხეთისა და აზერბაიჯანის პარლამენტა-

რებთან, აგრეთვე, ჩეჩენ-ინგუშეთის წარმომადგენლებთან და ვცდილობთ, რომ ყველგან კეთილი ურთიერთობა გვქონდეს, არსად არ აღმოცენდეს კონფლიქტი. ოსებთან კონფლიქტი ჩვენი ბრალი არ არის. ეს ცენტრის ინსპირირებულია, ცენტრმა მოგვიწყო. ასე რომ, აქ არიან გარკვეული წრეები ექსტრემისტებისა, რომლებსაც იყენებს მოსკოვი. საკმარისია ითქვას: ამას წინათ გამოქვეყნდა ცნობა, რომ ჩოჩიევი მოსკოვის სუკ-ის პოლკოვნიკია და კულუმბეგოვიც კრიუჩკოვის თანამშრომელია, რაც იმით დასტურდება, რომ შინაგანმა ჯარებმა საიდუმლო შიფროგრამა მიიღეს მოსკოვიდან, რომლითაც პირდაპირ უბრძანებდნენ შინაგან ჯარებს, გაათავისუფლეთ კულუმბეგოვი, რა საშუალებითაც გნებავთ, და წამოიყვანეთ მოსკოვში. ე. ი. ჯარს უბრძანებენ. ასე რომ, ეთნიკურ კონფლიქტს იწვევენ მოსკოვის აგენტები. საბედნიეროდ, ასეთი ეთნიკური კონფლიქტები არ გვაქვს ჩვენ არც ჩეჩნებთან და არც ინგუშებთან. მათთან კეთილი ურთიერთობა გვაქვს. სხვათა შორის, აფხაზები რომ ცდილობენ ჩრდილოკავკასიის ხალხების გაერთიანებას ჩვენ წინააღმდეგ, ეს არ გამოუვათ, რადგან ჩეჩნები და ინგუშები ამას არ დაუშვებენ. ჩაიშლება აფხაზეთის ის ცდაც, რომ ე. წ. მთის რესპუბლიკა შექმნან ცენტრით სოხუმში, ესეც ჩაიშლება ჩეჩენი და ინგუში ხალხის ძალისხმევის შედეგად".[450]

ის, რასაც ზვიად გამსახურდია ამ ინტერვიუში გულისხმობდა, მალე გახდა ცხადი: რუსული საბჭოთა სპეცსამსახურები გულხელდაკრეფილნი რომ არ ისხდნენ, ეს ადრეც აღინიშნა: მათ ჯერ კიდევ 1989 წლის აგვისტოში სოხუმში ჩაატარეს კავკასიის მთიელ ხალხთა ასამბლეის ყრილობა. თავიდან მათ პროგრამაში უფრო კულტურული საკითხები იყო წინ წამოწეული. ამ ასამბლეის შექმნის ნამდვილი მიზანიც მალევე გამოიკვეთა – დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი საქართველოსა და აზერბაიჯანისთვის წინაღობის აღმართვა, ასევე, ჩრდილოკავკასიელი ხალხების დაპირისპირება მათთან. მათი მეორე ყრილობა ნალჩიკში, ყაბარდო-ბალყარეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ჩატარდა 1990 წლის 13-14 ოქტომბერს, ხოლო მესამე ყრილობა ერთ წელიწადში – 1991 წლის 1-2 ნოემბერს, კვლავ სოხუმში ჩატარდა. იგი „მთის ხალხთა კონფედერაციად" გარდაიქმნა. შეიქმნა, ყოველგვარი დემოკრატიული პროცედურების გარეშე, „კავკასიის პარლამენტი" და „თავდაცვის კომიტეტი". არც სიტყვა „კონფედერაცია" ყოფილა შემთხვევითი – მათ დააანონსეს სუვერენულ-ეროვნული სუბიექტის შექმნა, რომლის დედაქალაქიც სოხუმი უნდა ყოფილიყო.

როგორც თეიმურაზ გვანცელაძე სამართლიანად აღნიშნავს, ყველა ეს აქცია ჩატარდა საქართველოს სსრ-ის, 1990 წლის 14 ნოემბრიდან კი საქართველოს რესპუბლიკის, აფხაზეთის ასსრ-ის, რუსეთის ფედერაციის, ყაბარდო-ბალყარეთის ასსრ-ის, ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ-ის, ჩეჩნეთ-ინგუშეთის ასსრ-ის, დაღესტნის ასსრ-ის, აგრეთვე საბჭოთა კავშირის იმ დროს მომქმედი კონსტიტუციისა და სამართლებრივი ნორმების, მათ შორის, სისხლის სამართლებრივი ნორმატივების უხეში დარღვევით. განსაკუთრებით მძიმე კანონდარღვევა იყო სამხედრო სტრუქტურის შექმნა. მიუხედავად ამისა, საბჭოთა კავშირის

შინაგან საქმეთა სამინისტრო საერთოდ არ დაინტერესებულა ამ ქმედებებით – არადა, ამ ორგანიზაციამ ხომ ახალი სახელმწიფოს შექმნა დააანონსა – ეს უნდა ყოფილიყო კავკასიაში კონფედერაციული წარმონაქმნი და ამას, წესით, სამართლდამცავების ყურადღება უნდა მიექცია. ის ფაქტი, რომ ეს ნაბიჯები უყურადღებოდ დარჩა, მეტყველებს იმაზე, რომ მათ უკან გარკვეული პოლიტიკური ნება და იმპერიის ცენტრში მოქმედი სპეცსამსახურების დაკვეთა იდგა.[451]

საინტერესოა ის, რომ ყველა რესპუბლიკიდან ამ ქმედებებში ჩართულნი იყვნენ კომუნისტური ნომენკლატურის, პარტოკრატიის წარმომადგენლები. იყო ორი რესპუბლიკა, სადაც საერთოდ გაუჭირდათ ასეთი ადამიანების მოძებნა. ამის გამო ინგუშებმა და ბალყარელებმა, რომლებიც თავიდან მოწვეულნი იყვნენ, უარი თქვეს ჯერ ასამბლეაზე, შემდეგ კი – კონფედერაციაზე დასწრებაზე.

1991 წლის 23-24 თებერვალს საქართველოს უზენაესი საბჭოს დელეგაცია ჩავიდა ჩეჩნეთსა და ინგუშეთში, აგრეთვე, დიდი დეპორტაციის შემდეგ ჩრდილოეთის ოსების მიერ მიტაცებულ ინგუშურ სოფელ ანგუშტიში. ქალაქ გროზნოსა და ინგუშურ სოფელ კანტიშევოში ჩატარებული მიტინგის მონაწილე ჩეჩენი და ინგუში მოსახლეობა, როგორც აღნიშნავდა თ. გვანცელაძე, „მადლიერებას გამოხატავდნენ პირადად ზვიად გამსახურდიასა და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიმართ, მათი პრობლემების გათავისების გამო, რაც გამოიხატა, ერთი მხრივ, საქართველოს უზენაესი საბჭოს დელეგაციის ვიზიტით და, მეორე მხრივ, ამავე უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მიმართვით „ჩეჩენ და ინგუშ ხალხებს".[451] აღნიშნულ მიმართვაში ზვიად გამსახურდია წერდა: „ჩეჩენ, ინგუშ და ქართველ ხალხებს შორის ძმობას, მეგობრობასა და კეთილმეზობლურ ურთიერთობას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ჩვენს წინაპრებს არაერთგზის შეუშველებიათ ხელი ერთმანეთისთვის გასაჭირის დროს. გასაჭირი კი ხშირად დაგვტეხია თავს. კავკასიაში შემოსული ყოველი მტერი, პირველ რიგში, კავკასიელ მკვიდრ ხალხთა გათიშვას და მათ ცალ-ცალკე განადგურებას ცდილობდა... „გათიშე და იბატონეს" პოლიტიკამ განსაკუთრებით გამოიღო ნაყოფი ცარიზმის დამკვიდრების შემდეგ. იმ დროის განმალობაში, რაც კავკასიელი ხალხები ჯერ მეფის რუსეთის, შემდეგ კი საბჭოთა იმპერიაში მოექცნენ, ყველაზე მეტი ტანჯვა-ვაების გადატანამ სწორედ ჩეჩენ და ინგუშ ხალხებს მოუწიათ".[452] მიმართვაში თემატიზებული იყო რუსული სამხედრო ადმინისტრაციის მიერ 1864 წლის ჩეჩენთა და ინგუშთა დეპორტაცია ოსმალეთის იმპერიაში, ასევე, 1944 წლის სტალინური დეპორტაცია. მიმართვის ბოლოს გამოთქმული იყო სამძიმარი 1944 წლის 23 თებერვლის აქციის მსხვერპლთა ხსოვნის აღსანიშნავად.

1991 წლის მარტის პირველ დეკადაში საქართველოს უზენაესი საბჭოს დელეგაცია ყაბარდო-ბალყარეთში, ნალჩიკში, ჩავიდა. შეხვედრები მოეწყო ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან. ამ შეხვედრებისას ქართული დელეგაციის წარმომადგენლებმა ისაუბრეს საქართველოს პოლიტიკურ კურსზე, ასევე, ახალარჩეული ხელისუფლების ძირითად მიზნებ-

სა და ამოცანებზე. დელეგაცია ასევე შეხვდა კავკასიის ხალხთა კონფედერაციის ლიდერს, იური (მუსა) შანიბოვს. შეხვედრისას შანიბოვმა დაადასტურა, რომ მოქმედებდა საბჭოთა კავშირისა და რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით.[453] ამის შემდეგ დამყარდა ურთიერთობები „თიორესთან", ბალყარეთის ეროვნულ მოძრაობასთან. ზვიად გამსახურდიამ მიმართვა გაუგზავნა ბალყარელ ხალხს, რომელშიც ნათქვამი იყო: „შესანიშნავი მაგალითია ბალყარელ და ქართველ მთიელთა შორის ძმადანფიცობის მტკიცე და ურღვევი ტრადიციის შექმნა, რომელმაც ჩვენს დრომდეც მოაღწია. ეს ტრადიცია ხელს გვიწყობდა, გაგვეზიარებინა ერთმანეთის ჭირიც და ლხინიც. სწორედ ამიტომ მადლიერნი უნდა ვიყოთ ჩვენი ბრძენი წინაპრებისა, უნდა გვახსოვდეს და პატივს მივაგებდეთ დიდი ბალყარელი პოეტის, ყაისინ ყულიევისა და მის ქართველ ძმადნაფიცთა მეგობრობასაც, ჩვენი ორი ხალხის სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენელთა უანგარო ურთიერთობასაც. დღეს ცენტრის დიქტატის ქვეშ მყოფი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები გააფთრებულ ანტიქართულ კამპანიას ენევიან და ყოველგვარი ხერხებით ცდილობენ ერთმანეთს გადაამტერონ კავკასიაში მცხოვრები ხალხები. საგანგებო ყურადღებას უთმობენ მეორე მსოფლიო ომის დროს რეპრესირებულ ხალხებს, რომელთაც შთააგონებენ, თითქოს მათი უბედურების დროს სტალინისა და ბერიას წყალობით ქართველ ხალხს არავითარი შევიწროება არ განეცადოს. თითქოს ქართველებს დეპორტირებულ ხალხთა ხარჯზე პირობებიც კი გაეუმჯობესებინოთ. ამგვარი „მტკიცების" აბსურდულობა ნათელია ყველასთვის, ვინც იცის, რომ ქართველმა ხალხმა არაერთგზის გამოსცადა საკუთარ თავზე საბჭოთა წყობილების „ჰუმანურობა". უამრავი ქართველი შეეწირა რეპრესიებს 1921-24 წლებში, კოლექტივიზაციის დროს, 30-იან წლებში, მეორე მსოფლიო ომის დროს, 1949-51 წლებში, 1955 წელს, 1989 წლის 9 აპრილს".[454] ამ მიმართვაში, ასევე, ღრმა მწუხარება იყო გამოთქმული იმ ტრაგედიის გამო, რომელიც 1944 წლის 18 მარტს თავს დატყდა ბალყარელ ხალხს დიდი სტალინური დეპორტაციის შედეგად.[455]

რაც შეეხება ჩერქეზ, ანუ ადიღე ხალხებს (რამდენადაც ჩერქეზული სამყარო არაერთი ეთნოლინგვისტური ჯგუფისგან შედგება, კ. გ.), ზვიად გამსახურდიამ მათ სახელზე მიმართვა გააგზავნა 1991 წლის 21 მაისს. ამ დღეს, 1864 წელს, დასრულდა რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში მიმდინარე რუსეთ-კავკასიის ომი კავკასიის ხალხთა დასამორჩილებლად, რის შედეგადაც ჩერქეზმა ხალხმა დაკარგა თავისუფლება და დამოუკიდებლობა. მიმართვაში ნახსენები იყო მუჰაჯირობა, რომლის შედეგადაც ასეულობით ათას ჩერქეზს მშობლიური მიწა დაატოვებინეს და თურქეთში გადაასახლეს: „ქართველი ხალხი დიდი გულისტკივილით შეხვდა თავისუფლებისმოყვარე ჩერქეზ ხალხთა ტრაგედიას. მე-19 საუკუნის გამოჩენილმა ქართველმა მწერლებმა და საზოგადო მოღვაწეებმა გამოხატეს ღრმა პატივისცემა და გულწრფელი თანაგრძნობა კეთილშობილი და მამაცი ჩერქეზების მიმართ, მათი მშობლიური მხარიდან გასახლების

გამო". მიმართვაში ასევე აღნიშნული იყო, რომ ქართველთა და ჩერქეზთა მეგობრობა კავკასიის ერთიანობისა და წარმატებების მტკიცე გარანტია იქნებოდა. ზვიად გამსახურდიამ უზენაესი საბჭოს ეროვნებათშორის ურთიერთობათა და ეროვნული ერთიანობის ქვეკომისიას პარლამენტში დაავალა, პროცესში მაქსიმალურად ჩაერთოთ ქართველი ინტელიგენციის ის წარმომადგენლები, რომლებსაც მნიშვნელოვანი კონტაქტები ჰქონდათ საბჭოთა ეპოქაში დამყარებული ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებთან და იქაური საზოგადოებების შემოქმედებით, სამეცნიერო თუ პოლიტიკურ ელიტარულ წრეებთან, ასევე, გაეღრმავებინათ ურთიერთობები ჩრდილოეთ კავკასიასთან. ამ ყველაფერს ჰქონდა როგორც თვითკმარი მნიშვნელობა, ისე გავლენა აფხაზეთში მიმდინარე პროცესებზე, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ „კავკასიური კონფედეციის" მსგავსი ორგანიზაციების შექმნით ცენტრი აშკარად ცდილობდა აფხაზეთში წყლის ამღვრევას.

აფხაზეთში, საქართველოში ჩატარებული არჩევნებისა და ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, ბუნებრივია, ასევე დადგა საკითხი ცვლილებებისა. აფხაზურ პოლიტიკურ ელიტაში გამოიკვეთა ახალი ფიგურა — ვლადისლავ არძინბა, სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი 1989 წლის მარტიდან, არჩეული გუდაუთის საქალაქო საარჩევნო ოლქიდან. იგი თავისი პოლიტიკური განწყობით ახლოს იდგა ჯგუფ „სოიუზთან", სკკპ-ის რევანშისტულ და კონსერვატიულ ნაწილთან. მან სსრკ-ის უმაღლეს საბჭოში მოღვაწეობის პერიოდში ყველაზე პრობლემური კომისია აირჩია სამუშაოდ, რომელსაც გ. ტარეზევიჩი ხელმძღვნელობდა. იგი ძირითადად ავტონომიური ერთეულების უფლებათა გაზრდაზე მუშაობდა და ამ მხრივ ცდილობდა ცვლილებათა განხორციელებას. ამის გამო მას, ბუნებრივია, დაძაბული ურთიერთობები ჰქონდა იმ საბჭოთა რესპუბლიკების ხელმძღვანელებთან, რომელთა შემადგენლობაშიც შედიოდა ავტონომიური რესპუბლიკები ან ოლქები. ხოლო საქართველოს უზენაესი საბჭოს პირველი სესიიდან რამდენიმე დღეში არძინბამ გააკეთა განცხადება, რომლითაც მხარი დაუჭირა „ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებას", რომელშიც აფხაზეთს, ისევე როგორც სხვა ავტონომიურ წარმონაქმნებს, თანაბრად უნდა მიეღო მონაწილეობა.[456]

ზვიად გამსახურდია დილემის წინაშე აღმოჩნდა. ერთი მხრივ, ფაქტი იყო, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი ხელისუფალის პოსტზე პრეტენზიას აცხადებდა ფიგურა, რომელიც აშკარა მტერი იყო ქართული სახელმწიფოებრიობისა და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა. მეორე მხრივ, მის უკან დარაზმული იყო მთელი აფხაზური ელიტა. კიდევ ერთი ფრონტის გახსნა ცხინვალის პარალელურად, არ იქნებოდა სიკეთის მომტანი. ამიტომაც ზვიად გამსახურდიამ არძინბასთვის თანამშრომლობის შეთავაზება ამჯობინა. არძინბა თავიდან დათანხმდა, თბილისში ჩამოვიდა და ზვიად გამსახურდიას ნოემბრის მიწურულს უზენაესი საბჭოს შენობაში შეხვდა. ამ შემხვედრის შემდეგ იგი 1990 წლის 4 დეკემბერს აირჩიეს აფხაზეთის ავტონომიური

რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ. ზვიად გამსახურდიას მოგვიანებით საყვედურობდნენ, თუ რატომ არ მოახდინა არძინბას კანდიდატურის ბლოკირება და მის სანაცვლოდ რატომ არ წარადგინა რომელიმე სხვა ფიგურა, მაგალითად, ლორიკ მარშანია. ლორიკ მარშანია ნამუშევარი იყო როგორც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტრუქტურებში, ისე საქართველოს ცენტრალური კომიტეტის სასოფლო-სამეურნეო განყოფილებაში. იგი იმდენად ლოიალური იყო საქართველოსა და ქართველების მიმართ, რომ აფხაზები მას საერთოდ არ აღიქვამდნენ თავისიანად. ლორიკ მარშანიას წარდგენასა და არძინბასთვის წითელი შუქის ანთებას არავითარი აზრი არ ექნებოდა: ავტონომიურ რესპუბლიკაში მივიღებდით სრულ შეიარაღებულ პოლარიზაციას უკვე 1990 წელს – აფხაზურ ელიტას, რომელსაც სათავეში ჩაუდგებოდა ვლ. არძინბა და იქაურ ქართველებს, რომელთა სათავეშიც აღმოჩნდებოდა ლორიკ მარშანია, ადამიანი, რომელიც არასოდეს ყოფილა აქტიურად ჩართული პოლიტიკურ ბრძოლაში. ავტონომიურ რესპუბლიკაში გარდაუვალი იქნებოდა ის ომი და ეთნოკონფლიქტი, რომელიც დაახლოებით ერთი წლის წინ – 1989 წლის სოხუმის მოვლენების დროს კინაღამ გაჩაღდა. ზვიად გამსახურდია ყველანაირად შეეცადა თავიდან აერიდებინა ეს ომი და ამავე დროს მოეხერხებინა ისე, რომ არძინბას, გარკვეული უფლებების ხელში ჩაგდებასთან ერთად, ასევე მოვალეობებიც დაკისრებოდა. ამას პოლიტიკურ პროცესში შემოტყუებაც შეიძლება ვუწოდოთ. ასე მაგალითად, იმ დროისთვის აფხაზეთის ბოლო მოწვევის უმაღლეს საბჭოს ვადა ჯერ კიდევ 1990 წლის თებერვალში ჰქონდა ამოწურული, ამიტომ დეპუტატებს უფლებამოსილება 1991 წლის 1-ელ ოქტომბრამდე გაუგრძელდათ.

12 მარტს გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკამ“ გამოაქვეყნა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის, ზვიად გამსახურდიას, მიმართვა აფხაზი ხალხისადმი. მიმართვაში თავიდანვე ყურადღება გამახვილებული იყო აფხაზთა და ქართველთა ძმობასა და საერთო კოლხურ წარმოშობაზე, ნათესაობაზე, საერთო კულტურაზე. ეს წერილი სრულიად აქარწყლებს ზვიად გამსახურდიას ოპონენტების უმართებულო და დისკრედიტაციის მიზნით გავრცელებულ თვალსაზრისს, რომელიც მისი ადრეული გამონათქვამის არასწორ ინტერპრეტაციას ეფუნებოდა – თითქოს ზვიადი ამბობდა, რომ აფხაზი ხალხი არ არსებობდა და იგი მხოლოდ ქართველი ხალხის ნაწილი იყო. თუმცა ზვიადი იქვე აღნიშნავს, რომ მრავალსაუკუნოვანმა თანაცხოვრებამ ეს ორი ეროვნება იმდენად დააახლოვა, რომ ძნელად ასხვავებდნენ ერთმანეთისგან ქართველსა და აფხაზს. რომ აფხაზი თავადები თავიანთ თავს ქართველ თავადებსაც უწოდებდნენ და „ვეფხისტყაოსნის“ კულტურის მიმდევარნი იყვნენ. რომ თამარის ხიდი ბესლეთზე, უძველესი ქართული წარწერები ბედიასა და მოქვში, ამბარასა და ბიჭვინთაში ამ ძმობის, ამ ერთობის მოწმენი იყვნენ. მიმართვაში ნახსენებია კონსტანტინე გამსახურდია, რომელმაც თავისი რომანით „მთვარის მოტაცება“ სახელი გაუთქვა აფხაზურ კულტურასა და ყოფას, აფხაზთა გმირობასა და კეთილშობილებას; დასახელებული იყვნენ ქართველი მეცნიერები – ნიკო მარი, არნოლდ ჩიქობა-

ვა. ქეთევან ლომთათიძე, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს აფხაზოლოგიის დაფუძნებაში, ასევე ივანე ჯავახიშვილი, სიმონ ჯანაშია, ნიკო ბერძენიშვილი, რომელთაც დიდი ღვაწლი მიუძღვით აფხაზეთის ისტორიის კვლევაში. შემდეგ მიმართვაში ნახსენებია რუსეთის იმპერიის ძალისხმევა, ერთმანეთთან დაეპირისპირებინა აფხაზი და ქართველი ხალხი, ხოლო კომუნისტურმა იმპერიამ, საუბედუროდ, მიაღწია ამას თავისი აგენტურის საშუალებით, რაც, მისი გეგმით, კავკასიის ბალკანიზაციისა და ლიბანიზაციის დასაწყისი უნდა გამხდარიყო. ამ შესავლის შემდეგ მიმართვაში თემატიზებულია პრეფექტის დანიშვნა გალში. რამდენადაც ცნობილია, ზვიად გამსახურდიამ 1991 წლის 29 იანვარს ხელი მოაწერა კანონს პრეფექტის ინსტიტუტისა და პრეფექტურების შექმნის შესახებ. ამ კანონის მიხედვით, რაიონსა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქში უმაღლესი თანამდებობის პირი იყო პრეფექტი. მისი ამოცანა იყო საერთო რესპუბლიკური ინტერესების დაცვა და მმართველობის ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებების განხორციელება.[457]

პრეფექტები დაინიშნენ ყველგან. აფხაზეთში გალის რაიონი იყო ის გამონაკლისი, სადაც დაინიშნა პრეფექტი – ეს იყო გალის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი ედიშერ ჯანჯულია. ეს ამბავი გააპროტესტა აფხაზურმა მხარემ. ამაზე მიმართვაში ნათქვამია, რომ ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობას უნდა წარმოედგინა პრეფექტის კანდიდატურები, რომელთაც დაამტკიცებდა, მინისტრთა საბჭოსთან შეთანხმებით, საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი. მიუხედავად არაერთგზისი თხოვნისა, არძინბა თბილისში არ ჩამოსულა და არ დასწრებია პრეზიდიუმის სხდომებს, რომლის წევრიც იყო (იგულისხმება 1991 წელი, კ. გ.). ასეთ შემთხვევაში საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს უფლება ჰქონდა, თავად დაენიშნა პრეფექტი. შემდეგ ვ. არძინბაზე მიმართვაში ნათქვამია, რომ მას სურდა აფხაზეთში დრომოჭმული კომუნისტური სისტემის შენარჩუნება, თუმცა ისტორიის ჩარხს უკუღმა ვერავინ დააბრუნებდა. ადრე თუ გვიან, საბჭოთა კავშირის დამონებული ხალხები გადაიგდებდნენ მონობის უღელს და არძინბას მსგავსნი შეფასდებოდნენ, როგორც საკუთარი ხალხის მოღალატენი. აფხაზეთში შექმნილი იყო „ინტერფრონტი“, რომელიც ბალტიური ქვეყნების მსგავსად ცდილობდა იმპერიის ჯარების შემოყვანას, რათა გამოეწვია სისხლის ღვრა. ამით არძინბას სურდა აფხაზი ხალხი ჩაეთრია სახიფათო ავანტიურაში, რაც სირცხვილისა და უბედურების მომტანი იქნებოდა. აფხაზეთის მოსახლეობის მონაწილეობა 17 მარტს დაგეგმილ რეფერენდუმში ასევე სახიფათო იქნებოდა აფხაზეთის მოსახლეობისთვის, რამდენადაც მიზნად ისახავდა ეროვნებათაშორისი შუღლის გაღვივებას აფხაზეთში, ქართველების, აფხაზების, სომხების, რუსებისა და სხვა ეროვნებების ურთიერთდაპირისპირებას. მიმართვა მოუწოდებდა აფხაზეთის მოსახლეობას, ბოიკოტი გამოეცხადებინა საბჭოთა რეფერენდუმისთვის და მონაწილეობა მიეღო 31 მარტის რეფერენდუმში, რომელიც დაკავშირებული იქნებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენასთან. მიმართვა ასე სრულდებოდა:

„დამოუკიდებელი საქართველო თქვენ გაცილებით მეტს მოგცემთ, ვიდრე მოდერნიზებული საბჭოთა იმპერია, რომლის მიზანიც არის ყველა პატარა ხალხის ასიმილაცია და რუსიფიკაცია. თვითმყოფად საქართველოში იარსებებს ჭეშმარიტად თვითმყოფადი აფხაზეთი, ჭეშმარიტი თვითმმართველობით, როგორც მას ჰქონდა აფხაზთა და ქართველთა ერთიანი სამეფოს არსებობის დროს საუკუნეთა განმალობაში. გაუმარჯოს ჩვენს ისტორიულ ძმობას, ერთობას და დამოუკიდებლობას! გვფარავდეს ღმერთი სიყვარულისა და ჭეშმარიტებისა!"[458] ხოლო ვლადისლავ არძინბას 29 მარტს, დანიშნულ რეფერენდუმამდე ორი დღით ადრე, საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე შემდეგი სიტყვებით მიმართავდა: „თქვენ, როგორც განათლებულ პიროვნებას, მეცნიერს (ყოველ შემთხვევაში, ასეთად გიცნობდით დღემდე), უნდა მოგეხსენებოდეთ, რომ ყოველი ადამიანის, განსაკუთრებით, ხელმძღვანელის ვალია, იცხოვროს სიკეთის, ურთიერთპატივისცემის მაღალზნეობრივი პრინციპებით, არ აჰყვეს პირად ამბიციას თუ წაქეზებას. დღეს აფხაზეთის მოსახლეობის ბედი (აქედან 47 პროცენტზე მეტი ქართველი) თქვენ გაბარიათ. შეცდომის უფლება არა გვაქვს, რადგან ერთა შორის ჭიდილში გამარჯვებული არ არსებობს. კიდევ ერთხელ დაფიქრდით, გაითვალისწინეთ ისტორიის გაკვეთილები და, როგორც საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა, მონაწილეობა მიიღეთ მის მუშაობაში და, რაც მთავარია, შეუსაბამეთ თქვენი პოლიტიკა საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობას, რომლის იურისდიქციის ქვეშაც ბრძანდებით".[459]

31 მარტის რეფერენდუმი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხზე, იყო საქართველოს ხელისუფლების უმთავრესი საზრუნავი. ვიდრე იგი ჩატარდებოდა ცენტრის მიერ დანიშნული იყო საკავშირო რეფერენდუმი საბჭოთა კავშირის ყოფნა-არყოფნის შესახებ. როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ 1991 წლის 28 თებერვალს მიიღო დადგენილება, რომლის თანახმადაც, საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე არ უნდა ჩატარებულიყო 1991 წლის 17 მარტისთვის დანიშნული საკავშირო რეფერენდუმი. კანონი, რომელიც არეგულირებდა ამ რეფერენდუმის ჩატარებას უზარმაზარი ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, ყველა ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ ერთეულში, მათ შორის, საქართველოშიც, შეჩერებულ იქნა საქართველოს ტერიტორიაზე. ზვიად გამსახურდიას 16 მარტის სატელევიზიო მიმართვაში აღნიშნული იყო, რომ ამ რეფერენდუმის ჩატარება, თუკი ვინმე ამას ეცდებოდა, მიჩნეული იქნებოდა ანტიკონსტიტუციურ ქმედებად და სისხლის სამართლის დანაშაულად. ეს ეხებოდა ყველა მათ, ვინც აფხაზეთსა და ე. წ. სამხრეთ ოსეთში გეგმავდა ამ რეფერენდუმთან დაკავშირებული ღონისძიებების ჩატარებას და არაფრად აგდებდა საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებას. აფხაზეთის ტერიტორიაზე ამ რეფერენდუმის ჩატარება იმითაც იყო ყოვლად გაუმართლებელი, იყო ნათქვამი ამ მიმართვაში, რომ ეს ჩაითვლებოდა საქართველოსთვის კონსტიტუციური ომის გამოცხადებად, მისი ტერიტორიული მთლი-

ანობის ხელყოფად. ამ მიზნით აფხაზეთში სეპარატისტთა მიერ შექმნილი იყო სპეციალური სარეფერენდუმო კომისია, რომელსაც ხელმძღვანელობდა ყოფილი პარტიული ფუნქციონერი ენვერ კაპბა. მისი ჩატარების ორგანიზატორები იყვნენ საკავშირო კომპარტიის აფხაზეთის საოლქო ორგანიზაცია, აფხაზეთის „სახალხო ფრონტი" – „აიდგილარა" და „აფხაზეთის ინტერნაციონალისტთა საზოგადოება". ამ კომისიის საქმიანობაში აღრიცხული დარღვევები მიზნად ისახავდა საკავშირო რეფერენდუმში მონაწილე აფხაზეთის ამომრჩეველთა პროცენტის გაზრდას. ამ მიზნით ხელოვნურად მცირდებოდა ამომრჩეველთა რაოდენობა იმ კატეგორიის ამომრჩევლის ხარჯზე, რომელიც საბჭოთა რეფერენდუმის ბოიკოტირებას აპირებდა. ასე მაგალითად, ამომრჩეველთა რიცხვში შეიყვანეს 6 800 ჯარისკაცი, რომლებიც მსახურობდნენ საოკუპაციო არმიაში, 3 850 დამსვენებელი; ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებიდან ორგანიზებულად ჩამოყვანილი კომპარტიის წევრთა დიდი ჯგუფები და არსად ყოფილა მითითება, რომ ეს ადამიანები აფხაზეთის მკვიდრნი არ იყვნენ. მთლიანად აფხაზეთში კი ფიქსირებული იყო 338 042 ამომრჩეველი.

ამ რეფერენდუმის ჩატარების შემდეგ აფხაზეთში მისი ორგანიზატორები აცხადებდნენ, რომ მასში მონაწილეობა მიიღო ამომრჩევლის 52,32-მა პროცენტმა, ხოლო სსრკ-ის შენარჩუნებას ხმა მისცა 98,6-მა პროცენტმა. ყველაფერი, დაახლოებით, ისე წარიმართა, როგორც ეს საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის განცხადებაში მანამდე ითქვა – ეს იყო ფალსიფიკაცია და რიცხვებით მანიპულირება. ამ მიუღებელ ქმედებათა გამო ზვიად გამსახურდია აცხადებდა, რომ რეფერენდუმისა და სსრკ-ის სახალხო დეპუტატის არჩევნების ამგვარი მეთოდებით ჩატარებისას მისი ორგანიზატორები დადებდნენ მათ მიერვე წინასწარ დაგეგმილ ფალსიფიცირებულ შედეგს, რის გამოც ეს უკანონობა უნდა აღკვეთილიყო. და, როგორი უსამართლოც იყო თავად შექმნა ე. წ. საბჭოთა კავშირისა, იმავე უკანონო და უსამართლო მეთოდებით სურდათ მისი შენარჩუნებაცო. მიმართვაში, ასევე, აღნიშნული იყო, რომ სავსებით უპრეცედენტო ამბავია, სხვა ქვეყნის წარმომადგენლებმა განსაზღვრონ ქართველი ერის ბედი და მისი მომავალი ყოფნა თუ არყოფნა საბჭოთა კავშირშიო. ამის გამო იგი მოუწოდებდა როგორც ქართველ, ისე არაქართველ მოსახლეობას აფხაზეთში, ბოიკოტი გამოეცხადებინა 17 მარტის რეფერენდუმისთვის.[460]

საბჭოთა კავშირის შენარჩუნებისთვის გამართული რეფერენდუმის ბიულეტენში დასმული იყო მხოლოდ ერთი კითხვა: „თვლით თუ არა აუცილებლობად, რომ შენარჩუნდეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი, როგორც განახლებული თანასწორუფლებიანი სუვერენული რესპუბლიკების ფედერაცია, რომელშიც სრულად იქნება დაცული ნებისმიერი ნაციონალობის ადამიანის უფლებები?" აქვე საინტერესოა, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მეათე სესიის მორიგ სხდომაზე არაფერი თქმულა იმ დადგენილებაზე, რომელიც აფხაზეთის ასსრ-ის ტერიტორიაზე საკავშირო რეფერენდუმის ჩატარებას შეეხებოდა. აღსანიშნავია ასევე, რომ არც სესიის დღის წეს-

რიგის განხილვისას, არც, მით უმეტეს, დღის წესრიგის დამტკიცებისას, რეფერენდუმის ჩატარების თაობაზე საკითხი შეთავაზებული არ ყოფილა. როგორც გაირკვა, სესიის დამთავრების შემდეგ დამატებით დაისვა ეს საკითხი. გამოითქვა სხვადასხვა თვალსაზრისი. სესიაზე ერთსულოვნება აშკარად არ ყოფილა, მთელმა რიგმა დეპუტატებმა დარბაზი დატოვეს, მეორე ჯგუფმა კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო, თუმცა უმაღლესი საბჭოს დადგენილება დეპუტატების გვერდის ავლით მაინც იქნა მიღებული. ეს ის მეთოდები იყო, რომლებსაც ზვიად გამსახურდია „შულერულ მეთოდებს“ უწოდებდა.

1991 წლის 22 მარტს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა ბათილად ცნო აფხაზეთში ჩატარებული საკავშირო რეფერენდუმის შედეგები. როგორც შემდგომში გაირკვა, აფხაზეთის სეპარატისტულად განწყობილმა ხელმძღვანელობამ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის, ვ. არძინბას, მეთაურობით საკავშირო რეფერენდუმის შედეგები გადაგზავნა მოსკოვში, ვინაიდან, მათი თვალსაზრისით, არსებობდა საფრთხე, ეს დოკუმენტები საქართველოს ხელისუფლებას ჩავარდნოდა ხელში. 1991 წლის სექტემბერში ქართულმა მხარემ სსრკ-ის ცენტრალური საარჩევნო კომისიისგან მართლაც გამოითხოვა აფხაზეთის 17 მარტის რეფერენდუმთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, მაგრამ ვერ მიიღო – მოსკოვიდან მათ უარი ეთქვათ. სამაგიეროდ ვლ. არძინბამ წარმატებით გამოითხოვა იგი და მისი ბრძანებით ეს დოკუმენტები განადგურდა. ეს ყველაფერი ცხადად მეტყველებს იმაზე, რომ 17 მარტის რეფერენდუმი აფხაზეთში მართლაც გაყალბებული იყო.[461]

ფაქტია, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხზე რეფერენდუმის ჩატარებით ვადაზე ადრე სრულდებოდა პარლამენტის პირველ სესიაზე გამოცხადებული გარდამავალი პერიოდი. თავიდან იყო დათქმა, რომ იგი, სულ მცირე, ორი წელი უნდა გაგრძელებულიყო, მაგრამ გარკვეულმა ისტორიულმა მოვლენებმა დამაჩქარებლის როლი შეასრულა. ეს ფაქტორი, შესაძლოა, ყოფილიყო ძირითადად ორი: 1. პოლიტიკურ საფრთხეს ქმნიდა „ეროვნული კონგრესი“, როგორც რადიკალური ოპოზიცია. მართალია, იგი მოსახლეობის ფართო ფენებზე ზეგავლენას ვერ ახდენდა, მაგრამ მაინც მეტისმეტად აგრესიული წინააღმდეგობის ფონს ქმნიდა. ეს ადამიანები ვერაფრით ვერ ეგუებოდნენ მარცხს, რომელიც ჯერ კიდევ 1990 წლის 28 ოქტომბრის არასაბჭოურ, დემოკრატიულ და მრავალპარტიულ არჩევნებამდე განიცადეს, მიუხედავად იმისა, რომ მათ საერთოდ არ მიიღეს მონაწილეობა ნახსენებ ოფიციალურ არჩევნებში და თავიანთი არაფორმალური, პარალელური არჩევნები მოაწყვეს. უკვე არცთუ მცირე ხანი იყო გასული მას შემდეგ, რაც ისინი მარგინალიზაციის გზას დაადგნენ. იმავდროულად „კონგრესის“ მესვეურნი უზენაეს საბჭოს კოლონიური თვითმმართველობის ორგანოდ მიიჩნევდნენ და ირწმუნებოდნენ, რომ ხელისუფლებას არ ჰქონდა დამოუკიდებლობის დეკლარაციის მიღების უფლება; 2. იმპერიის ცენტრის აგრესიული პოლიტიკა, რომელიც, რეალური დამოუკიდებლობისკენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ გადადგმუ-

ლი ნაბიჯების კვალდაკვალ, სულ უფრო ხისტი ხდებოდა. ეს მეტადრე ე. წ. სამხრეთ ოსეთის გაუქმებულ ავტონომიურ ოლქში გამოიხატებოდა, სადაც რუსი სამხედროების, ასევე, მთელი საბჭოთა კავშირიდან და არამარტო ჩრდილოეთ ოსეთიდან ჩამოყვანილი „ბოევიკების" მხრიდან მიმდინარეობდა შეტევა სამაჩაბლოს ქართულ სოფლებზე. ამის დამადასტურებელი იყო 17 მარტის საკავშირო რეფერენდუმიც. ასევე, ნოვო-ოგარიოვოს პროცესიც დაძრული იყო კრემლის მიერ, რაც გულისხმობდა ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების დადებას, ანუ საბჭოთა კავშირის აღორძინებას ახალი ფედერაციის სახით. თხუთმეტი მოკავშირე რესპუბლიკიდან ექვსი უარს აცხადებდა ნოვო-ოგარიოვოს ხელშეკრულებაში მონაწილეობაზე, მათ შორის იყო საქართველოც. მოყოლებული იანვრიდან, როდესაც გადაწყდა რეფერენდუმის ჩატარება საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხზე, ცხადი გახდა: საჭირო იყო მუშაობა მოსახლეობის ფართო ფენებზე, ამასთანავე, ეროვნულ უმცირესობებზე. მოსკოვური პროპაგანდა, მიმართული ქვეყნის თავისუფლების კურსის წინააღმდეგ, უკვე იკრებდა ძალებს და ყველანაირად ცდილობდა ყალბი სურათის ტირაჟირებას, თითქოს საქართველოს ხელისუფლება და მისი უზენაესი საბჭო ხელმძღვანელობდა დევიზით „საქართველო მხოლოდ ქართველებისთვის". ხსენებული დევიზი, ამ დეზინფორმაციული ნარატივის მიხედვით, ვითომდაც გულისხმობდა არაქართველების საქართველოდან გასახლებას ან მათ მეორეხარისხოვან მოქალაქეებად დატოვებას და დისკრიმინაციას ეთნიკური ნიშნით.

თუ როგორ მიმდინარეობდა მუშაობა ეროვნულ უმცირესობებთან, ეს კარგად ჩანს ზვიად გამსახურდიას 1991 წლის 27 მარტით დათარიღებულ მიმართვაში ჯავახეთის სომხური მოსახლეობისადმი. მიმართვაში თავიდან ნახსენები იყო ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონებში შრომისმოყვარეობით გამორჩეული, ძვირფასი და პატივცემული თანამოქალაქეები — მიწათმოქმედები, მეკარტოფილეები, მეცხოველეები, ადგილობრივი ინტელიგენციის წარმომადგენლები, რომლებიც ჯავახეთის მაღალმთიან რაიონებში, უმძიმეს კლიმატურ პირობებში თავდადებული შრომით ამრავლებდნენ ჩვენი რესპუბლიკის სიმდიდრეს. შემდეგ მათ განემარტებოდათ, რომ სიტყვა „დიახ" რეფერენდუმში ნიშნავდა საქართველოს მიერ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვებას. ასეთი პოზიციის დაკავება იძლეოდა გარანტიას, რომ მათი შვილები და შვილიშვილები იცხოვრებდნენ დემოკრატიულ და დამოუკიდებელ საქართველოში. აქედან გამომდინარე, მათთვის გარანტირებული იქნებოდა მეტი თავისუფლება და უსაფრთხოება პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში. გამოთქმული იყო რწმენა, რომ ამ რაიონების მოსახლეობა მზად იქნებოდა მიეღო საქართველოს დემოკრატიისა და დამოუკიდებლობისკენ მიმართული კურსი. „დღეს, როგორც არასდროს, ისეა საჭირო ჩვენი ხალხებისთვის დამახასიათებელი ერთიანობა, მოთმინება და გონივრული ნაბიჯები ჩვენი მიზნისკენ მიმავალ გზაზე" — ნათქვამი იყო მიმართვაში. ნახსენები იყვნენ ისეთი პირებიც, რომლებიც ცდილობდნენ შეერყიათ ორი ხალხის მრავალსაუკუნოვანი მეგობრობა

და სრულიად დამახინჯებულად განმარტავდნენ სახელმწიფოს მიერ აღებულ გეზს. რეფერენდუმში მონაწილეობის არმიღებით ეჭვქვეშ დგებოდა მოქალაქეობის მიღება, იმიტომ რომ ცივილიზებულ სამყაროში მოქალაქეობას იღებდნენ მაშინ, როდესაც არსებობდა ურთიერთვალდებულებისადმი მზაობა: პოტენციური მოქალაქისა სახელმწიფოს წინაშე და სახელმწიფოსი – მოქალაქის წინაშე. ყველა ქვეყანაში მოქალაქეობის მიღება გულისხმობდა ქვეყნის ენისა და სუვერენიტეტისადმი პატივისცემას. ეს ის ბალანსი იყო, რომელიც საჭირო გახლდათ იმისთვის, რომ მოქალაქეობა ფორმალური არ ყოფილიყო, ვინაიდან უფლებებში თანასწორობა, შეუძლებელი იყო მოვალეობებში თანასწორობის გარეშე. მიმართვაში ზვიად გამსახურდია დასძენდა, რამდენად არასასიამოვნო და შემაწუხებელი იყო მისთვის სიტყვა „უცხოელების" ხსენება. „უცხოელების" მიღმა იგულისხმებოდა არა საქართველოში მცხოვრები სომხები (და იგივე შეიძლებოდა გავრცელებულიყო სხვა, საქართველოში ტრადიციულად მცხოვრებ ეთნოსებზე, კ. გ.), არამედ ის მოსახლეობა, რომელიც უკანონოდ დასახლდა, ასევე უკანონოდ შეიძინა სახლები საქართველოში და გაუგებარი პრეტენზიები წამოაყენა. მიმართვის ბოლო ნაწილში ნათქვამი იყო:

„31 მარტს წყდება საქართველოს, ისევე როგორც მოძმე სომხეთის, მომავლის საკითხი, რომელიც სექტემბერში ჩაატარებს რეფერენდუმს საბჭოთა კავშირიდან გამოსვლის შესახებ. ყოველი ჩვენგანის ხმა 31 მარტს შეიძლება ის ერთადერთი იყოს, რომელიც გადაწყვეტს ჩვენი სახელმწიფოს, საქართველოს, ბედს. თუ იქნება დამოუკიდებელი, დემოკრატიული საქართველო, სოციალურად დაცული იქნება ჩვენი მრავალეროვანი ოჯახის თითოეული წევრი, დაცული იქნებიან ჩვენი ოჯახები, ჩვენი შვილები და შვილიშვილები. მარტში თუ ვიტყვით, „დიახ" თავისუფალ საქართველოს, ნიშნავს, რომ სექტემბერში გაცილებით უფრო გაუადვილდება სომხეთს. ორი დემოკრატიული, დამოუკიდებელი რესპუბლიკა – საქართველო და სომხეთი – უნდა იყოს. მაშასადამე, იქნება მშვიდობისა და სამოქალაქო თანხმობის გარანტიები. თუ ვერ დავიცავთ, ისე იქნება, როგორც განვლილი 70 წლის განმავლობაში იყო – სრული უბედურება და გაჭირვება, კვლავაც იქნება მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების მასობრივი დამცირება. მოგიწოდებთ ყველა თქვენგანს, 31 მარტს გააერთიანოთ რიგები და ხმა მისცეთ საქართველოს დამოუკიდებლობას".

1991 წლის 30 მარტს ზვიად გამსახურდიამ ახალგახსნილ სასტუმრო „მეტეხი პალასში" პრესკონფერენცია გამართა. ჟურნალისტის შეკითხვაზე, რა შედეგს ელოდა იგი ხვალინდელ რეფერენდუმზე, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა: „ჩვენ ველოდებით, რომ საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობა საქართველოს დამოუკიდებლობას მისცემს ხმას. ხოლო, რაც შეეხება ჩვენს შემდგომ ნაბიჯებს, ყველა საიდუმლოებას ჩვენ ჟურნალისტებს არ ვუმხელთ". იყო კითხვები აფხაზეთთან მიმართებითაც, რაზეც ზვიად გამსახურდიას მიერ ითქვა, რომ აფხაზეთში მოსახლეობის დიდი უმრავლესობა საქართველოს დამოუკიდებლობას მისცემდა ხმას. ასევე აღინიშნა, რომ არაქარ-

თველი მოსახლეობა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, ძირითადად, აპირებდა ხმა მიეცა საქართველოს დამოუკიდებლობისთვის.[462]

მომდევნო დღეს, 1991 წლის 31 მარტს, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ჩატარდა რეფერენდუმი ერთადერთი კითხვით: „მხარს უჭერთ თუ არა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენას 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის დეკლარაციის საფუძველზე?“ რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ (დაახლოებით 90-მა პროცენტმა). აქედან 98,5-მა პროცენტმა კითხვას დადებითი პასუხი გასცა და მხარი ქვეყნის დამოუკიდებლობას დაუჭირა. საინტერესოა, რომ, დაახლოებით, მსგავსი შედეგები დაიდო სომხეთში, აზერბაიჯანსა და მოლდოვაში. დამოუკიდებლობის იდეას შედარებით ნაკლები მომხრე ჰყავდა ბალტიის ქვეყნებში, იქ ეთნიკური რუსებისა და რუსულენოვნების დიდი რაოდენობის გამო: ლიეტუვაში – 93,2%, ესტონეთში – 78,4%, ლატვიაში კი – 74,9%. თუმცა ეს ქვეყნები, ევროპული ინტეგრაციის გზასა და საბჭოთა სივრციდან მთლიანად გამოსვლას რაც შეეხება, ყველაზე წარმატებულნი აღმოჩნდნენ.

31 მარტის რეფერენდუმით შეიქმნა საქართველოს სახელმწიფოებრიობის სამართლებრივი საფუძველი. შემთხვევითი არაა, რომ ამ რეფერენდუმის შედეგები 1995 წლის 24 აგვისტოს პარლამენტის მიერ მიღებულ კონსტიტუციაშიცაა შეტანილი, როგორც ქვეყნის სახელმწიფოებრიობის დამადასტურებელი იურიდიული დებულება. „საქართველო არის დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო, რაც დადასტურებულია 1991 წლის 31 მარტს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის, აფხაზეთის ასსრ-სა და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ჩატარებული რეფერენდუმით და 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით“. – ამბობს საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის 1-ელი მუხლის 1-ელი პუნქტი. მაშასადამე, როგორც აფხაზეთში, ასევე ე. წ. „სამხრეთ ოსეთში“, ამ რეგიონების მოსახლეობის უმრავლესობამ (რომელმაც მონაწილეობა მიიღო რეფერენდუმში) ხმა მისცა საქართველოს დამოუკიდებლობას. შინაარსობრივად, 31 მარტის რეფერენდუმმა იურიდიულად დაადასტურა და განამტკიცა ქვეყნის ერთიანობაც.

31 მარტის საღამოს, ცნობილი გახდა რა ჩატარებული რეფერენდუმის შედეგები, კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაში დიდი მიღება მოეწყო. ეს იყო, დაახლოებით, 300-კაციანი ქართული სუფრა. როგორც ამ საზეიმო შეხვედრის მონაწილენი აღწერენ, ბანკეტს ესწრებოდნენ XX საუკუნის 20-იანი წლებიდან დევნილი ქართველი დიასპორისა და პოლიტიკური ემიგრაციის წარმომადგენლები, მსოფლიოს არაერთი ქვეყნიდან რეფერენდუმზე ჩამოსული უცხოელი დამკვირვებლები, საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირები, ქართული ხალხური სიმღერების აღიარებული შემსრულებლები. თამადობდა თავად ზვიად გამსახურდია. მან განსაკუთრებით დიდი ყურადღება დაუთმო მერაბ კოსტავას სადღეგრძელოს და თითქმის ნახევარი საათი ისაუბრა

მის ღვაწლზე. მიუხედავად იმისა, რომ დიდი იყო გამარჯვების სიხარული, თამადის სიტყვებში დიდი ტკივილი გამოსჭვიოდა. მან აღნიშნა, რომ შინაურმა და გარეშე მტრებმა ზუსტად ამოიცნეს, ვინ უნდა მოეკლათ, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას მოუკლეს მისი უპირველესი გამაერთიანებელი, კირივით შემკრავი და სიყვარულით განმასხივოსნებელი, განუმეორებელი თვისებებით დაჯილდოებული პიროვნება. ამ ხარვეზის შევსება შეუძლებელიაო, – დასძინა ორატორმა. ისიც თქვა, რომ ჩვენი წარმატება, შესაძლოა, დროებითი აღმოჩნდეს ჩვენი რიგების შინაგანი გახლეჩის გამოო.[463] ეს სიტყვები გამარჯვების ეიფორიის ფონზე ერთგვარ გაფრთხილებად ჟღერდა. თუმცა, კიდევ ბევრი რამ იყო მოსასწრები – უპირველეს ყოვლისა, დამოუკიდებლობის აღდგენის დეკლარაციის მიღება.

4.11. ისტორიული მოხსენება და დამოუკიდებლობის აღდგენა

ვიდრე ჩატარდებოდა რეფერენდუმი საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხზე და მიღებული იქნებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დეკლარაცია, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ მიიღო მიხეილ გორბაჩოვის 1991 წლის 30 მარტით დათარიღებული წერილი. ამ წერილის მიხედვით, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოსა და პრეზიდენტის სახელზე მოდიოდა უამრავი მიმართვა, რომლებშიც გამოთქმული იყო შეშფოთება სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ვითარების მკვეთრი გამწვავების გამო. ამაში ბრალი ედებოდათ „ექსტრემისტებს“, რომელთა გამოც იღვრებოდა როგორც ქართველთა, ისე ოსთა სისხლი. საქართველოს ხელისუფალისადმი იყო მოწოდება, აღეკვეთა ექსტრემისტების მოქმედებები, აღეკვეთა მათი ზრახვები და დაეწყო მოლაპარაკებები. ამ წერილზე მიხეილ გორბაჩოვს ზვიად გამსახურდიამ ორ დღეში უპასუხა. მის საპასუხო წერილში გაზიარებული იყო სსრკ-ის პრეზიდენტის შეშფოთება და აღნიშნული იყო ის გარემოება, რომ რესპუბლიკის სამართლადამცავებმა განაიარაღეს ექსტრემისტთა მნიშვნელოვანი ნაწილი, მათზე უფრო ადრე კი განიარაღებულნი იქნენ ქართველი ექსტრემისტებიც (იგულისხმებოდა „მხედრიონი“, კ. გ.), რომ ცენტრალურ ტელევიზიაში ტენდენციურად შუქდებოდა ყოფილ ავტონომიურ ოლქში მიმდინარე ამბები. მოლაპარაკებები დაწყებული იყო რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობასა და ჩრდილოეთ ოსეთის ხელისუფლებასთან. ხოლო საქართველოს ხელისუფლებას არ შეიძლებოდა მოლაპარაკებები გაემართა ადგილობრივ ექსტრემისტებსა და ტერორისტებთან. ცენტრიდან გამოგზავნილი ეს წერილი იყო აშკარა გაფრთხილება, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენასთან ერთად, დაძაბულობა და თავდასხმები ქართულ მოსახლეობაზე შიდა ქართლში უფრო ინტენსიური გახდებოდა.

საქინფორმის ცნობით, 9 აპრილს გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის საგანგებო სხდომა. იგი დაიწყო 12 საათსა და 30 წუთზე. მის დაწყებამდე შეკრებილებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს საქართველოს შვილების ხსოვნას, რომლებიც ემსხვერპლნენ თბილისში 1989 წლის 9 აპრილის ტრაგიკულ მოვლენებს. დღის წესრიგის მთავარი საკითხი იყო საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე. ამ საკითხთან დაკავშირებით მოხსენება გააკეთა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ზვიად გამსახურდიამ. მან განაცხადა: „როგორც ცნობილია, 1918 წლის 26 მაისს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ გამოაცხადა ქვეყნის დამოუკიდებლობა და შექმნა დემოკრატიული რესპუბლიკა. ამიერკავკასიის სეიმი, რომელიც თურქეთთან გამწვავებულმა ურთიერთობამ კრიზისის წინაშე დააყენა, იმავე დღეს დაიშალა. ეროვნული საბჭო ჯერ კიდევ 1917 წლის ნოემბერში აირჩია საქართველოს პირველმა ეროვნულმა ყრილობამ. საქართველოს ეროვნულმა საბჭომ მიიღო დამოუკიდებლობის აქტი, რომელშიც ნათქვამი იყო: 1. ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა. 2. დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმა დემოკრატიული რესპუბლიკაა. 3. საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა. 4. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს, განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა. 5. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ეროვნულ საბჭოს დაეკისრა საკანონმდებლო სახელმწიფო ორგანოს ფუნქციაც. შეიქმნა კოალიციური მთავრობა.

1919 წლის მარტში ეროვნული საბჭო შეცვალა დამფუძნებელმა კრებამ, რომლის არჩევნებში მონაწილეობდა ამომრჩეველთა 60 პროცენტზე მეტი. დამფუძნებელმა კრებამ დაადასტურა საქართველოს დამოუკიდებლობა და დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადება. ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენას აღტაცებით შეხვდა ქართველი ხალხი. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ჰქონდა დამოუკიდებელი სახელმწიფოს ყველა ატრიბუტი და მისი მთავრობა, მძიმე საშინაო და საგარეო ვითარების მიუხედავად, თავის ფუნქციებს ასრულებდა. ამ მთავრობის მიერ განხორციელებული აქციებიდან უპირველესად უნდა აღინიშნოს საქართველოს სახელმწიფო საზღვრების დადგენა, საქართველოს სახელმწიფო ენად ქართული ენის გამოცხადება (1918 წლის სექტემბერი), სკოლისა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოების გაეროვნულება, ეროვნულ უმცირესობათათვის სკოლების გახსნა, მათი ენების პატივისცემა. გატარდა სასამართლო რეფორმა, შეიქმნა სახალხო გვარდია და რეგულარული არმია, ჩამოყალიბდა ერობები (ადგილობრივი მმართველობის

ორგანოები), პროფკავშირები, განხორციელდა ზოგიერთი ღონისძიება მუშათა ცხოვრების გასაუმჯობესებლად, მკვეთრად გაიზარდა სკოლების რაოდენობა, მემამულეებისათვის ჩამორთმეული მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი გლეხებს მიეყიდა. საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ 1921 წლის 21 თებერვალს მიიღო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია".[464]

ამის შემდეგ გრძელდება ისტორიული ექსკურსი, რომლიდანაც ჩვენ მხოლოდ ძირითად დასკვნებს გამოვყოფთ: საქართველოში – ჯერ გერმანელების, შემდეგ კი ინგლისელების ყოფნა არ ყოფილა ოკუპაცია. საქართველოს ოკუპაცია-ანექსიისთვის საბჭოთა რუსეთს ხელი ინგლისელების გასვლამ შეუწყო 1920 წლის ზაფხულში. საბჭოთა რუსეთი საქართველოს დამოუკიდებლობისადმი ნეგატიურად იყო განწყობილი, თუმცა 1918 წლის 18 ივლისის ესერთა ამბოხის შემდეგ გადაწყვიტა არაპირდაპირ ეცნო საქართველოს დამოუკიდებლობა, რაც რუსეთ-გერმანიის 1918 წლის 27 აგვისტოს დამატებითი ხელშეკრულების მე-13 მუხლში აისახა; 1918-1919 წლებში დასავლეთის სახელმწიფოები საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხს რუსეთთან ურთიერთობის ჭრილში განიხილავდნენ და თავს იკავებდნენ მისი აღიარებისგან – თავს არიდებდნენ რა რუსეთთან ურთიერთობის გართულებას. პარიზის საზავო კონფერენციამაც ამის გამო თავი შეიკავა, მიეღო რაიმე გადაწყვეტილება საქართველოს შესახებ. გამონაკლისს შეადგენდა არგენტინა, რომელმაც 1919 წლის 13 სექტემბერს ცნო საქართველო. ზვიად გამსახურდია აქ აშკარად დე იურე აღიარებებს გულისხმობს, რამდენადაც აღნიშნულ პერიოდში პრაქტიკაში გამოიყენებოდა დე ფაქტო და დე იურე აღიარებები.

1920 წელს ბოლშევიკებმა ჩრდილოეთ კავკასიაში დაამარცხეს დენიკინის არმია და წითელი არმია ამიერკავკასიის საზღვრებს მოადგა. როგორც კი აიღეს ბაქო, 1920 წლის აპრილში, მაშინვე დადგა საქართველოში შემოჭრის საკითხი. შემდეგ ნახსენებია 1920 წლის 7 მაისს დადებული ხელშეკრულება საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს შორის, ხელმოწერილი ლენინისეული რწმუნების მქონე ლ. მ. კარახანისა და საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრის, გ. ურატაძის, მიერ. ეს, ზვიად გამსახურდიას შეფასებით, იყო „უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი აქტი, რომელიც განამტკიცებდა საქართველოს დამოუკიდებლობის სამართლებრივ სტატუსს საერთაშორისო მასშტაბით, საფუძველს უყრიდა ახალ თანასწორუფლებიან ურთიერთობას ქართველ და რუს ხალხებს შორის. ხელშეკრულება უდავოდ ხელს უწყობდა ახალგაზრდა სახელმწიფოს სუვერენიტეტისადმი პატივისცემის გაზრდას. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისადმი ევროპის საზოგადოებრივი აზრის პოზიტიური დამოკიდებულება განამტკიცა მეორე ინტერნაციონალის ბელადების ვიზიტმაც, რომლებიც 1920 წლის შემოდგომაზე ეწვივნენ საქართველოს, რათა პირადად გასცნობოდნენ მსოფლიოში პირველი სოციალ-დემოკრატიული დამოუკიდებელი მთავრობის პრაქტიკულ საქმიანობას". ამის უშუალო შედეგი, მომხსენებლის თვალსაზრისით, იყო საქართველოს დემოკრა-

ტიული რესპუბლიკის აღიარებები მსოფლიოს ბევრი ქვეყნის, მათ შორის, გერმანიის, საფრანგეთის, ინგლისის, იტალიის, იაპონიის, პოლონეთის, ავსტრიის მიერ. მოხსენებაში აღნიშნულია 1920 წლის მაისის მცდელობა საქართველოს გასაბჭოებისა, რაც აღიკვეთა 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით. საბჭოთა რუსეთის ხელმძღვანელობამ იმ ეტაპზე მიზანშეუწონლად მიიჩნია საქართველოს გასაბჭოება, რადგან ამას, შესაძლოა, საერთაშორისო გართულება მოჰყოლოდა. თუმცა შემდგომ სიტუაცია შეიცვალა. ამის მაგალითია XI არმიის სარდლის, ა. ჰეკერის, 1920 წლის 18 დეკემბრის მოხსენება, რომელშიც ჩამოყალიბებული იყო მოსაზრება, თუ რა პირობებში უნდა მომხდარიყო საქართველოში შეჭრა. აქვე მომხსენებელს მოჰყავს 1921 წლის 2 იანვრის გ. კ. ორჯონიკიძისა და ს. მ. კიროვის მოხსენებითი ბარათი ცენტრალური კომიტეტისადმი კავბიუროს სახელით, რომელშიც ისინი ასაბუთებდნენ საქართველოს დაუყოვნებლივი ოკუპაციის აუცილებლობას, თუმცა ცენტრალურმა კომიტეტმა ისევ ნაადრევად მიიჩნია ასეთი ნაბიჯის გადადგმა. და მაინც, 1921 წლის დამდეგს, საბჭოთა რუსეთისთვის შექმნილ ხელსაყრელ ვითარებაში (როდესაც მოხდა თეთრპოლონელთა და ვრანგელის არმიების განადგურება, დიდ ბრიტანეთთან სავაჭრო ხელშეკრულების მომზადება და სხვ.) შემუშავდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დამხობისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების გეგმა. აქვე ნახსენებია ი. სტალინის წერილი ცენტრალური კომიტეტის წევრებისადმი, რომელშიც საუბარია საქართველოში სამხედრო ინტერვენციის ორგანიზებაზე და აჯანყებულთა გამოსვლების მომზადებაზე. „აჯანყება“, რომლის ინსცენირებაც ბორჩალოს მაზრის სომხურ და რუსულ სოფლებში მოხდა, როდესაც საქართველოს საზღვრებს გარეთ შეიქმნა რევკომი, რომელმაც საბჭოთა რუსეთს სამხედრო დახმარება სთხოვა.

წითელ არმიას, რომელიც საქართველოს ყოველი მხრიდან უტევდა, საქართველოს რეგულარული არმია და სახალხო გვარდია მედგარ წინააღმდეგობას უწევდა. მწვავე ბრძოლები გაიმართა ვაზიანში, სოღანლუღში, კოჯორთან, ტაბახმელასთან, კახეთ-ზაქათალის გზაზე, ოსიაურთან და სხვ. 1921 წლის 25 თებერვალს წითელმა არმიამ თბილისი დაიკავა. საომარი ოპერაციები მარტის მეორე ნახევარში დასრულდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ემიგრაციაში გაიხიზნა. აქვე ნახსენებია ემიგრირებული მთავრობის აპრილის განცხადება: „საქართველოს ყოველი მხრიდან შემოესივნენ რუსეთის ჯარები, კერძოდ, მე-11 არმია, შემდეგ კი მე-8, მე-9 და მე-13 არმიები და აგრეთვე ბუდიონისა და ჟლობას კავალერიის ნაწილები... სამხედრო ტექნიკას და მასალას მოკლებული, უმოკავშირეოდ, თავის ბედის ანაბარა მიტოვებული საქართველო, რომელიც არსაიდან დახმარებას არ მოელოდა, ხანგრძლივად ვერ გაუძლებდა დიდ რუსეთს“. მას, რაც მოხდა, ი. სტალინი უწოდებდა „სამხედრო ჩარევას და საქართველოს ოკუპაციას“, ლ. ტროცკისთვის კი ეს იყო „სამხედრო ინტერვენცია“.[465] გამოსვლის ტექსტში მოტანილია ფილიპე მახარაძის მოხსენებითი ბარათი, რომელშიც აღნიშნულია, რომ საქართველოს საზღვრებში წითე-

ლი ჯარების შემოსვლამ და საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებამ გარედან დაპყრობის ხასიათი მიიღო. აჯანყების დაწყება კი არც უფიქრია ვინმეს და არც საამისო რესურსი არსებობდა. ხოლო ბ. ლომინაძის მოხსენებაში ეწერა, რომ რევოლუციას 1921 წელს საქმის დაწყება იმით მოუხდა, რომ საქართველო წითელი არმიის ხიშტებით დაიპყრო.

დაპყრობის შემდეგ საქართველოს სსრ ინარჩუნებდა დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსს, რაც ცნო საბჭოთა რუსეთის მთავრობამ 1921 წლის 21 მაისის ხელშეკრულებით და რაც აისახა 1922 წლის კონსტიტუციაში, მაგრამ ეს იურიდიული ფორმა არ ასახავდა პოლიტიკურ სინამდვილეს. საქართველოში წითელი არმიის ყოფნა ზღუდავდა ქართველი ხალხის მიერ თავისი პოლიტიკური ნება-სურვილის გამოხატვის შესაძლებლობას. საქართველოს კომპარტია რუსეთის კომუნისტური პარტიის შემადგენელი ნაწილი იყო და საქმიანობას მისი მითითებით წარმართავდა. ამის გამო ქართველ კომუნისტთა ერთი ნაწილი, „ნაციონალ-უკლონისტებად“ წოდებული, იბრძოდა საქართველოს იურიდიულად განმტკიცებული დამოუკიდებლობის შეზღუდვის, ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნისა და ამ ფედერაციის მეშვეობით სსრ კავშირის შემადგენლობაში შესვლის წინააღმდეგ, მაგრამ არსებულ პოლიტიკურ ვითარებაში „ნაციონალ-უკლონისტების“ ეს ცდები განუხორციელებელი დარჩა. ყოველივე ამაზე დაყრდნობით, 1989 წელს საქართველოს სსრ-ის უზენაესი საბჭოს მიერ შექმნილმა სპეციალურმა კომისიამ მართებულად დაასკვნა, რომ საქართველოში ჯარების შემოყვანა და მთელი ტერიტორიის დაპყრობა სამართლებრივი თვალსაზრისით წარმოადგენდა სამხედრო ჩარევას (ინტერვენციას) და ოკუპაციას არსებული პოლიტიკური წეს-წყობილების შეცვლის მიზნით. ეს აქცია, მისგან გამომდინარე შედეგებით, პოლიტიკური თვალსაზრისით, უნდა შეფასდეს როგორც ფაქტობრივი ოკუპაცია და ანექსია. ამის შემდეგ ნათქვამი იყო: „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამხობასა და საქართველოს ფაქტობრივ ანექსიას მოჰყვა ქართველი ხალხის სუვერენული უფლებების უგულებელყოფა, მას თავს მოახვიეს მისთვის უცხო პოლიტიკური და სამართლებრივი ინსტიტუტები, ეკონომიკური სისტემა. საქართველოს საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ძალდატანებით შეყვანის პროცესმა და მთელმა მომდევნო ისტორიამ სავსებით დაადასტურა, რომ საქართველოში საბჭოთა კონსტიტუციით თითქოსდა გარანტირებული სახელმწიფოებრიობა, ადამიანის უფლებები რეალურად არ არსებობდა. პირიქით, რაც დრო გადიოდა, ამ ინსტიტუტების შემდგომი „გამოშიგვნა“ ხდებოდა.

ქართველი ხალხი არასოდეს შეჰგუებია შექმნილ მდგომარეობას და იბრძოდა დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის. მთელი საბჭოთა პერიოდი სავსეა რეპრესიებითა და ტერორით ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიმართ. მაგრამ ეროვნული ძალები არ ყრიდნენ ფარ-ხმალს, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა სულ უფრო მასობრივ ხასიათს იღებდა. 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ საქართველოს სახელმწიფოებრივი

დამოუკიდებლობის აღდგენისთვის ბრძოლამ თვისებრივად ახალი ხასიათი მიიღო. კომუნისტური ხელისუფლება იძულებული გახდა, წასულიყო დათმობაზე ეროვნული ძალების წინაშე, რის შედეგად მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკანონმდებლო აქტები იქნა მიღებული".[466] ამის შემდეგ ნახსენებია საქართველოს სსრ-ის უზენაესი საბჭოს მიღებული სამართლებრივი აქტები. 1989 წლის 18 ნოემბერს ხსენებულმა საბჭომ მოიწონა კომისიის დასკვნა, რომელშიც პოლიტიკურად და სამართლებრივად შეფასებული იყო საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის 1920 წლის 7 მაისს დადებული ხელშეკრულების დარღვევა. საბჭომ ეს საკითხი სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის წინაშე დააყენა, რათა მათ შეფასება მიეცათ, მაგრამ საკავშირო ხელისუფლებას პასუხი არ გაუცია. მომხსენებელმა მიუთითა 1990 წლის 9 მარტის დადგენილებაზე საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვის გარანტიების შესახებ, რომელშიც აღიარებული იყო 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების დარღვევა საბჭოთა რუსეთის მხრიდან და ჯარების შემოყვანა საქართველოში შეფასებულია ინტერვენციად და ოკუპაციად არსებული პოლიტიკური წყობილების დამხობის მიზნით. ასევე ბათილად იქნა გამოცხადებული 1921 წლის 21 მაისის მუშურ-გლეხური სამოკავშირეო ხელშეკრულება საქართველო სსსრ-სა და რსფსრ-ს შორის, ასევე, 1922 წლის 12 მარტის ხელშეკრულება ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირის შექმნის შესახებ. აქ მიღებული დასკვნის მიხედვით, 1922 წლის 30 დეკემბრის ხელშეკრულება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის შესახებ საქართველოს მიმართ მიიჩნიეს არაკანონიერად. თუმცა ეს დადგენილებაც დარჩა სათანადო მსვლელობის გარეშე და მას იმდროინდელ საბჭოთა კავშირის სივრცეში რაიმე პოლიტიკური და სამართლებრივი შედეგები არ მოჰყოლია.

მომხსენებელი შეეხო ეროვნული მოძრაობის როლსაც, რომლის გააქტიურებაც ზემოთ ჩამოთვლილმა ამბებმა გამოიწვია. ეს იყო მოძრაობა, რომელიც საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ფაქტობრივი ანექსიის შემდგომ არასოდეს არ შეწყვეტილა და თავის უმთავრეს მიზნად ისახავდა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენას. 1987 წლის დამდეგიდან საქართველოში ფართოდ გაიშალა მასობრივი საპროტესტო მოძრაობა, რომლის კულმინაცია იყო 1989 წლის 4-9 აპრილის დემონსტრაციები და მიტინგები, ესოდენ ბარბაროსულად დარბეული იმპერიის დამსჯელი ძალების მიერ. როგორც 1991 წლის 31 მარტს ჩატარებული რეფერენდუმის ერთგვარი წინაისტორია, ნახსენებია 1989 წლის 25 თებერვალს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაღში გამართულ მიტინგზე წაკითხული პეტიცია, მიმართული გაერთიანებული ერების ორგანიზაციისადმი. მასში მოთხოვნილია საქართველოს ე. წ. სუვერენიტეტი ჩაითვალოს არარსებულად, მისი ყოფნა სსრკ-ში შეფასდეს, როგორც აგრესიის უშუალო შედეგი და გაგრძელება და ამით მიეცეს ქართველ ხალხს შესაძლებლობა, სამართლებრივი და პოლიტიკური ქმედებით მიაღწიოს დამოუკიდებლობის აღდგენას. პეტიციას იმჟამად 20 ათასმა ადამიანმა მოაწერა ხელი და იგი გადაეცა

თბილისში მყოფ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენლებს. ანალოგიური პეტიცია 4-9 აპრილსაც შედგა. მართალია, გაეროს რეაგირება არ მოუხდენია ამ პეტიციაზე, მაგრამ იმავე წლის 17 მარტს აშშ-ის სენატში განახლდა განხილვა საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხისა (თავდაპირველად ეს საკითხი 1975 წელს წამოაყენა კონგრესმენმა ვაგონერმა, რომელმაც კონგრესს გააცნო საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, ამბროსი ხელაიას, მიერ გენუის კონფერენციისადმი გაგზავნილი მემორანდუმი). 1989 წლის მარტში ეს საკითხი წამოსწიეს სენატორებმა ჯესი ჰელმსმა და ჯო უილსონმა.

მომხსენებელს არ გამორჩენია ეთნიკურად არაქართული მოსახლეობა. მან აღნიშნა, რომ „ხელისუფლებას ქართველებთან ერთად მხარს უჭერდნენ არაქართველებიც და რომ მითი იმის შესახებ, თითქოს ახალი ხელისუფლების მიზანი იყო არაქართველთა დევნა, კრემლის აგენტების მიერ იყო მოჭორილი. მათ თავიანთი პროპაგანდით მოახერხეს მოტყუება არაქართველთა ძალზე მცირე ნაწილისა, რომელმაც უარი თქვა რეფერენდუმში მონაწილეობაზე ან უარყოფითი პასუხი გასცა რეფერედუმის კითხვას (ეს გახლავთ სულ რამდენიმე ათასი ამომრჩეველი მთელ საქართველოში). „ჩვენ მადლიერების გრძნობით აღვნიშნავთ ამ მხარდაჭერას და დიდ მადლობას ვუხდით ჩვენს არაქართველ ძმებსა და დებს, რომ არ მიგვატოვეს ამ გაჭირვებაში და ღირსეულად ამოგვიდგნენ მხარში. ამის გამო საქართველოს უზენაეს საბჭოს უნდა გაეთვალისწინებინა რეფერენდუმზე გამოხატული ხალხის ნება და მსოფლიოს ცივილიზებული ხალხების წინაშე გამოეცხადებინა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე“, – აღნიშნა გამომსვლელმა. ითქვა ასევე, რომ საქართველოს რესპუბლიკა ავტონომიის შენარჩუნების მტკიცე გარანტიას აძლევდა აფხაზ ხალხს, ხოლო აჭარის ავტონომიის საკითხი გადაწყდებოდა რეფერენდუმით.

მოხსენება სრულდება 9 აპრილის გმირების ხსენებით. „სიმბოლურია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადება 9 აპრილს. ვინაიდან ამ დღეს გადაწყდა საქართველოს ბედი, 9 აპრილს წამებულთა სულები დაგვცქერიან ჩვენ და ხარობენ ზეციურ ნათელში, რამეთუ აღსრულდა ნება მათი, აღსრულდა ნება ქართველი ერისა. გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს! გვფარავდეს ღმერთი!“[467]

1991 წლის 9 აპრილს, 12 საათსა და 30 წუთზე მთავრობის სასახლის მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ დღეის შემდეგ მის (ანუ საქართველოს) ტერიტორიაზე უზენაესი იყო მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია და ხელისუფლება. ყოველი მოქმედება, მიმართული საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების უზენაესობის შეზღუდვის ან ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისაკენ, ჩაითვლებოდა სუვენერული სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩარევად და აგრესიად, საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეშ დარღვევად. დეკლარაციას ხელი მოაწერა პარლამენტის თითქმის ყველა დეპუტატმა.

როგორც მოგვიანებით გაირკვა, კომუნისტური პარტიიდან მაინც აღმოჩნდა შვიდი დეპუტატი, რომლებიც უარს აცხადებდნენ, ხელი მოეწერათ დამოუკიდებლობის აღდგენის დეკლარაციაზე. ზვიად გამსახურდია პირადად ესაუბრა მათ და სათითაოდ დაიყოლია ისინი. უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ მათ განუმარტა, რომ ამ ნაბიჯით ისინი უმძიმეს მდგომარეობაში ჩაიგდებდნენ თავს შთამომავლობის წინაშე (მათი სახელებისა და გვარების გამოქვეყნებისგან ავტორი ამ ეტაპზე თავს იკავებს, კ. გ.). მათში მხოლოდ ერთმა მათგანმა, კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი ლიდერმა, სერგო რიგვავამ, არ დათმო თავისი პოზიცია და ეს გაამართლა იმით, რომ ის, როგორც საბჭოთა კავშირის მოქალაქე და კომუნისტი, ასეთ დეკლარაციას ხელს არ მოაწერდა. ამიტომაც მისი ხელმოწერა 1991 წლის 9 აპრილს მიღებულ დეკლარაციაზე არ არის.

დეკლარაციაზე ხელი მოაწერინეს ოლღა დემურია-კოსტავას, ეროვნული გმირის, მერაბ კოსტავას დედას. ამას, ცხადია, სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა. თუმცა ამ ხელმოწერამ გამოიწვია კიდევ ერთი ხელმოწერა პარლამენტის არაწევრის მხრიდან – ეს იყო მანანა არჩვაძე, ზვიად გამსახურდიას მეუღლე. რასაკვირველია, გარდა იმისა, რომ ამგვარმა ქმედებამ შეურიგებელი და „თვალში ხიწვის მაძიებელი" ოპოზიციის წისქვილზე დაასხა წყალი და მათი მხრიდან საფუძველი დაუდო სრულიად არასაჭირო, კრიტიკულ ტირადებს, მან პარლამენტის შიგნითაც, მომხრეებს შორისაც აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. უმრავლესობის წევრთა განწყობა, ცხადია, ნეგატიური იყო, თუმცა მათ, გარკვეული მოსაზრებით, ღია განაცხადისგან მაინც თავი შეიკავეს. ცხადი იყო, რომ მერაბ კოსტავას დედა გარდაცვლილ მერაბს წარმოადგენდა, მაგრამ ვის წარმოადგენდა მანანა არჩვაძე? მისი მეუღლე, საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ხომ პირველი აწერდა ხელს აღნიშნულ დეკლარაციას. გამოდის, რომ ეს ქალბატონი თავის განსაკუთრებულ მნიშვნელოვნებას უსვამდა ხაზს.

დამოუკიდებლობის გამოცხადება, რასაკვირველია, ჯერ არ გულისხმობდა ქვეყნის პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული ყოფის დამოუკიდებლობის რეალური შინაარსით აღვსებას. როგორც განვლილი გზა, ისე არსებული პოლიტიკური მოცემულობა მიანიშნებდა, რომ ამ გზაზე მძლავრი დაბრკოლებები წამოიმართებოდა. ამავე დროს უდიდესი იყო სიხარული და შვება ადამიანებისა. თბილისის ცენტრალური ქუჩები სავსე იყო მოზეიმე მოქალაქეებით. პრეზიდენტმა საზეიმო მიტინგზე, გარდა მილოცვისა, გამომაფხიზლებელი სიტყვებითაც მიმართა ხალხს, ნამდვილი ბრძოლა ახლა იწყებაო. ამავე დროს, მოუწოდა შინაგანი სიმშვიდისკენ, შეახსენა რა რუსთაველის ეს სტროფი: „ანუ არის ბრძენი ვინმე, მაღალი და მაღლად მხედი, / არცა ჭირი ჭირად უჩანს, არცა ლხინი ზედაზედი, / ვით ზღაპარი ასრე უჩანს უბედობა, გინა ბედი, / სხვაგან არის, სხვაგან ფრინავს, გონება უც ვითა ტრედი".

საინტერესოა, რომ ხელისუფლება წინასწარ არ მომზადებულა ამ დღისთვის და არც ამ ნაბიჯის გადადგმა დაუანონსებია. ამის შესახებ არაფერი იცოდა

ოპოზიციის „ეროვნული კონგრესის“ ფრთამაც, რომელიც 9 აპრილის ტრაგედიის ორი წლისთავის აღსანიშნავად ემზადებოდა. დამოუკიდებლობის აქტის მიღებას ვერ დაესწრო თვით კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე. ამის თაობაზე უზენაესი საბჭოს დეპუტატმა, მოძღვარმა არჩილ მინდიაშვილმა განაცხადა: ჩვენ წინასწარ არაფერი ვიცოდით დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადების შესახებ და არც მისმა უწმინდესობამ, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა იცოდაო. მას ადრე ჰქონდა დაგეგმილი წირვა სამთავროს ეკლესიაში, ამიტომაც უზენაეს საბჭოში ვერ მობრძანდაო.

რატომ მოხდა ასე? საფიქრებელია, რომ ზვიად გამსახურდია და უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი უშვებდნენ განსაკუთრებულად მძიმე პროვოკაციის ან ცენტრიდან მართული ისეთი ინციდენტის შესაძლებლობას, რომლის გამოც დამოუკიდებლობის გამოცხადება ან გადაიფარებოდა, ან მოუწევდათ მისი გადადება; არადა, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 9 აპრილს მომხდარიყო დამოუკიდებლობის აღდგენის დეკლარაციის მიღება.

მომდევნო დღეს პრესკონფერენცია გაიმართა ქართველი და უცხოელი ჟურნალისტებისათვის. შეკითხვაზე, თუ როდის მიაღწევდა საქართველო სრულ დამოუკიდებლობას, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ უპასუხა: „ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად არის მზად კრემლი დაიწყოს მოლაპარაკება და რამდენად მალე იტყვის უარს იმ დიქტატის პოლიტიკაზე, რომელსაც დაჟინებით ადგას. ცხადია, დასავლეთის პოზიციაზეც. რაც უფრო ხშირად დაუთმობენ ყურადღებას საქართველოს, როგორც, მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების დეპარტამენტმა გააკეთა, მით უფრო მეტი გარანტიები იქნება იმისა, რომ მალე მივაღწევთ სრულ დამოუკიდებლობასა და საოკუპაციო ჯარების გაყვანას“.[468]

4.12. ძალისხმევა საერთაშორისო აღიარებისთვის

1991 წლის გაზაფხულზე მრავალპარტიულმა, დემოკრატიულმა და არასაბჭოურმა არჩევნებმა, რეფერენდუმმა დამოუკიდებლობის საკითხზე და დამოუკიდებლობის აღდგენამ საქართველოს და მისი ხელისუფლების პროფილი საერთაშორისო მასშტაბითაც გამოკვეთა. ბალტიურ ქვეყნებს დასავლეთში, პრაქტიკულად, არც აღიქვამდნენ საბჭოთა კავშირის სივრცის ნაწილად, თუმცა დანარჩენ 12 რესპუბლიკას განსხვავებულ ჭრილში განიხილავდნენ. მიაჩნდათ, რომ ეს ქვეყნები, გაფართოებული პოლიტიკური და ეკონომიკური უფლებების სანაცვლოდ, ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების დადების პროცესში უნდა ჩართულიყვნენ. თუმცა საქართველოს მაგალითი ამ ძველ პარადიგმას ანგრევდა.

1991 წლის 15 მარტს მოსკოვში, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის, მელტოკის, რეზიდენციაში, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჯეიმს ბეიკერი შეხვდა საბჭოთა სივრცის ლიდერებსა და საზოგადოე-

ბის წარმომადგენლებს. შეხვედრაზე მიწვეულნი იყვნენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზვიად გამსახურდია და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე თენგიზ სიგუა. მონვეულ სტუმრებს შორის იყო სომხეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. მანუკიანიც. შეხვედრას ესწრებოდა ზოგიერთი საკავშირო უმაღლესი საბჭოს დეპუტატიც. გაიმართა დისკუსია, რომელიც საბჭოთა კავშირში მიმდინარე რეფორმებს შეეხებოდა. შეხვედრაზე სიტყვა წარმოთქვა ზვიად გამსახურდიამ. მან საბჭოთა კავშირში შექმნილ ვითარებასა და აშშ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობათა პრობლემებზე ისაუბრა. საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ თავის გამოსვლაში ჯეიმს ბეიკერს უთხრა, რომ აშშ ის ქვეყნა იყო, რომელმაც დედამიწის ზურგზე მოსპო მონობა, დაიცვა პიროვნების უფლებანი და თავისუფლებანი, და რომ ისევ აშშ-ს უნდა ეკისრა ხალხთა მონობის მოსპობის უდიდესი მისია. ბედნიერი ვარო იმით, რომ აქ, ამავე დარბაზში, 1988 წლის 29 მაისს, ეს ყოველივე ვუთხარი მოსკოვში ვიზიტად მყოფ პრეზიდენტ რეიგანს, რომელმაც ანალოგიური მიღება გამართა და მისგან მოვისმინე გარანტია, რომ ადრე თუ გვიან საბჭოთა კავშირისგან დაპყრობილი ერებიც განთავისუფლდებოდნენ და რომ ამერიკის წვლილი დიდი იქნებოდა ამ საქმეშიო. ჯეიმს ბეიკერმა ეს გამოსვლა დიპლომატიური გასხეპილობით მიიღო. მან საუბრისას აღნიშნა, რომ საბჭოთა რესპუბლიკების რეალურად გამოსვლის მექანიზმი, ალბათ, უნდა გადაისინჯოს, რომ უფრო ქმედითი გახდესო.

სწორედ ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლების დაინტერესებას უკავშირდება საქართველოში აშშ-ის რიგით 37-ე პრეზიდენტის, რიჩარდ ნიქსონის ვიზიტი. იგი 1991 წლის 29 მარტს კიევიდან თბილისში ჩამოფრინდა. იგი აშშ-ის მოქმედი პრეზიდენტის, ჯორჯ ბუშის, დავალებით იყო ჩამოსული და მისი ვიზიტი აქ გაცნობით ხასიათს ატარებდა. როგორც ზვიად გამსახურდიამ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რიჩარდ ნიქსონის საქართველოში ჩამოსვლის მიზანი შექმნილი სიტუაციის პოლიტიკური შესწავლა იყო. ეს ნიშნავს, რომ საქართველოთი დაინტერესებულია პრეზიდენტი ბუში. ხვალ ბატონი ნიქსონი დაათვალიერებს რამდენიმე სარეფერენდუმო და საარჩევნო უბანს თბილისში და მოსკოვს გაემგზავრებაო. თბილისში ვიზიტისას რიჩარდ ნიქსონმა ზვიად გამსახურდიასთან შეხვედრის დროს განაცხადა, რომ შტატები საქართველოსთან ურთიერთობით იყო დაინტერესებული. მან დაადასტურა აშშ-ის მთავრობის პატივისცემა საქართველოს დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლებისადმი და იმედი გამოთქვა, რომ გარდამავალი პერიოდი საქართველოში უსისხლოდ დასრულდებოდა.[469]

თავის მხრივ, საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობების სურვილი გამოხატა. მან ამერიკელ სტუმარს უთხრა, რომ მსოფლიოს დიდ სახელმწიფოებს არ უნდა დაეშვათ კრემლის ძალადობა რესპუბლიკებზე. რიჩარდ ნიქსონმა პასუხად ხაზი გაუსვა ამ საკითხისადმი თავისი ქვეყნის ოფიციალურ პირთა მიდგომას: ამერიკას ყოველთვის

მიაჩნდა, რომ ყოველმა ხალხმა და მის მიერ არჩეულმა მთავრობამ თავისი ბედი თვითონვე უნდა განაგოსო. საუბრისას რიჩარდ ნიქსონმა მასპინძელს მოუყვა იმ შიშების შესახებ, რომელიც აშშ-ის ხელისუფლებას ჰქონდა გორბაჩოვის ინტერესების შესაძლო დაზიანების გამო. ეს დაზიანება გამოიწვევდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის კონსერვატორული და რევანშისტული ფრთის გაძლიერებას, რასაც, თავის მხრივ, შესაძლოა, მოჰყოლოდა დესტრუქციული შედეგები და საშიში პროცესების განვითარება. ამიტომაც ნიქსონმა ჰკითხა მასპინძელს, აპირებდა თუ არა შეერთებოდა ნოვო-ოგარიოვოს პროცესს ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების დადების საკითხზე. ზვიად გამსახურდიამ მასპინძელს აუხსნა, რატომ არ აპირებდა საქართველო ამ პროცესთან მიერთებას.

რიჩარდ ნიქსონი მასპინძელს ასევე შეჰპირდა, ისე მოეხერხებინა, რომ საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე, როგორც უმაღლესი ხელისუფალი, ოფიციალური ვიზიტით ჩასულიყო ვაშინგტონში პრეზიდენტ ჯორჯ ბუშთან შესახვედრად. ნ. გორჯესტანის ცნობით, პრეზიდენტ ბუშის გზავნილი, რომელიც რ. ნიქსონმა ზვიად გამსახურდიას ჩამოუტანა, მდგომარეობდა იმაში, რომ მას უნდა შეენებებელებინა დამოუკიდებლობისკენ აღებული კურსი. ზვიადი ამას, რასაკვირველია, არ დაეთანხმა.[470] ამერიკელ ავტორებს, სტროუბ ტალბოტს და მაიკლ ბეშლოსს თავიანთ წიგნში აღნიშნული აქვთ, თითქოს ზვიად გამსახურდიამ ბუში 9 აპრილის შემდეგ დაადანაშაულა. აზრი, რომელიც მათ ზვიადს მიაწერეს – და ზემოთ დასაბუთებულად განვმარტე, რატომ იყო შეუძლებელი იმ დროს ასეთი აზრის გაჩენა და გავრცელება – სინამდვილეში დიპლომატიური და ზოგადი, არაპოლემიკური ფორმით გამოითქვა რ. ნიქსონთან შეხვედრაზე. თუმცა „ფაუსტური პაქტი" აქ არ ხსენებულა. დაახლოებით მსგავსი პოლიტიკური კონტექსტი წარმოიშვა ბუშის კიევში გამოსვლისა და მოსკოვის აგვისტოს პუტჩის პერიოდში, თუმცა არც მაშინ თქმულა რაიმე საქართველოს პრეზიდენტის მხრიდან „ფაუსტურ გარიგებაზე". ამრიგად, აღნიშნული პასაჟი ამერიკელი ავტორების ფანტაზიის ნაყოფი ჩანს.

მეორე დღეს ზვიად გამსახურდიამ პრესის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე თქვა: „ოფიციალური ამერიკის ინტერესი ამჟამად მიმართულია არა ცენტრისკენ, არამედ საბჭოთა კავშირის რეგიონებისკენ. ამის დასტურია ნიქსონის ვიზიტი და მისი განცხადება, რომ საქართველოთი თეთრი სახლია დაინტერესებული, ამასვე ადასტურებს სსრკ-ში ვიზიტი ბეიკერისა, რომელიც არა მარტო გორბაჩოვს, არამედ რესპუბლიკის ხელმძღვანელებსაც შეხვდა". საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის, გოგი ხოშტარიას, თქმით, ნიქსონი „ძალიან ჭკვიანი პრეზიდენტი იყო, მიუხედავად იმისა, რომ გადადგომამ მოუწია. მის გასვენებაში პრეზიდენტების ისტორიაში ყველაზე მეტი ხალხი მივიდა. რიჩარდ ნიქსონი სამი დღე იყო საქართველოში და ამ დროის განმავლობაში გვერდიდან არ მოვშორებივარ. საქართველოსა და ჩვენს მომავალზე ბევრს ვსაუბრობდით. ძალიან დაღლილი იყო, ხუთი ინფარქტი ჰქონდა გადატანილი, მაინც ყველგან ხალისით მიდიოდა. გადაირია, როდესაც „მართვეს" სიმღერა მოისმინა. თქვენ

ისეთი ჯიში გაქვთ, ვერავინ დაგამარცხებთო, – მითხრა. მაფრთხილებდა, საქართველოს ბევრი გასაჭირი შეიძლება შეხვდესო".

როდესაც რიჩარდ ნიქსონი ზვიად გამსახურდიას დაემშვიდობა, მან, დაახლოებით, ასეთი რამ უთხრა: მე ვხედავ, რომ თქვენ ისევ ის მამაცი კაცი ხართ, როგორიც ამ თხუთმეტი-ოცი წლის წინ იყავითო. ამ ნათქვამს, შესაძლოა, მხოლოდ ერთი მნიშვნელობაც არ ჰქონდეს. შესაძლოა, ეს იყო გაფრთხილება, რომ თქვენ მძიმე წარსულმა ვერაფერი დაგაკლოთ, მაგრამ შეიძლება უარესი პრობლემების წინაშეც აღმოჩნდეთ, და თქვენ მათ უნდა გაუმკლავდეთო. ინტერვიუში აშშ-ის 37-ე პრეზიდენტმა საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე დაახასიათა, როგორც „ძალიან ძლიერი ლიდერი".

დამოუკიდებლობის აღდგენის დეკლარაციის მიღების შემდეგ, 1991 წლის 9 აპრილს, მალევე დაიწყო საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის, გოგი ხოშტარიას, ვიზიტი ჯერ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დედაქალაქ ბონში, შემდეგ კი – საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში. ნიკოლოზ გორჯესტანი, რომელიც ამ დროს პარიზში იმყოფებოდა, იგონებს ამ ვიზიტს, რომლის მიზანიც იყო საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს, აღიარების მიღწევა. რამდენადაც მაშინ საქართველოს არც საფრანგეთში, არც ევროპის სხვა ქვეყნებში არ ჰყავდა საკუთარი დიპლომატიური წარმომადგენლობები იმის გამო, რომ ჯერ საერთაშორისო აღიარება არ ჰქონდა, გოგი ხოშტარია ბუნებრივია, დაუკავშირდა ქართული ემიგრაციის სათვისტომოს პარიზში. ამავე მიზნით, ზვიად გამსახურდიამ, პრეზიდენტად არჩევის შემდეგ, ცნობილი ემიგრანტული ოჯახის წარმომადგენელი, ოთარ ზურაბიშვილი დანიშნა საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალურ წარმომადგენლად პარიზში. გოგი ხოშტარიამ არაერთი შეხვედრა მოაწყო პარიზში, მათ შორის ევროპის ბანკების წარმომადგენლებთან, რომლებთანაც საუბარი იყო ინვესტიციების განხორციელებაზე საქართველოში. ამ შეხვედრების დროს ხაზგასმით იქნა წარმოდგენილი ხელისუფლების ხედვა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლაზე და გამოიკვეთა უცხოური ინვესტიციების პრიორიტეტული სფეროები – ტურიზმი, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება, საწარმოო სფეროს განვითარება, ინფრასტრუქტურული პროექტები და ა. შ.

მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთის ხელისუფალნი ძალზე პოზიტიურად იყვნენ განწყობილნი საქართველოს დელეგაციის მიმართ, ისინი მაინც სიფრთხილეს იჩენდნენ საქართველოს აღიარების საკითხში, რამდენადაც ეს მეტად სენსიტიური თემა იყო ამ საკითხთან მოსკოვისა და გორბაჩოვის დამოკიდებულების გათვალისწინებით. ამის გამო გოგი ხოშტარიამ ვერ მოახერხა თავის კოლეგასთან, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან, როლანდ დიუმასთან, შეხვედრა, იგი მხოლოდ დირექტორების დონის ოფიციალურ პირებს შეხვდა. თუმცა, ნ. გორჯესტანის დაკვირვებით, საფრანგეთის სამთავრობო წრეებს ასეთი დამოკიდებულება მხოლოდ საქართველოს მიმართ არ ჰქონიათ. ამავე პერიოდში პარიზს ეწვია ბორის ელცინი და მასაც მოუწია იმავე დიპლომატი-

ურ აკრობატიკასთან შეხება მასპინძლების მხრიდან, რომლებიც იმას ფიქრობდნენ, რომ გორბაჩოვისთვის წყენა არ მიეყენებინათ. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც დასავლეთი საკმაოდ უხალისოდ ურთიერთობდა რესპუბლიკებთან და ამით, ცხადია, ხელს უწყობდა გორბაჩოვს. გოგი ხოშტარიამ ინტერვიუ მისცა რამდენიმე გაზეთს. მან ხაზი გაუსვა, რომ ცხინვალის კონფლიქტი არ ყოფილა კონფლიქტი ქართველებსა და ოსებს შორის, არამედ ეს იყო საქართველოს დაპირისპირება ცენტრთან. მან აღნიშნა, რომ გორბაჩოვი, რომელმაც რუსეთის მეფეზე მეტი ძალაუფლება მოიპოვა და აშკარად ავტორიტარიზმის გზას დაადგა, დასავლეთში დემოკრატად იყო მიჩნეული. გორბაჩოვი აცხადებდა, რომ მას არაფერი ჰქონდა საერთო იმ მსხვერპლთან, რომელიც მოჰყვა ალმა-ათის, ბაქოს, თბილისის, რიგისა და მინსკის მოვლენებს. ასეთი სიტუაციის გამო ხოშტარიამ ერთ-ერთი ინტერვიუში საქართველოს „ევროპის მიტოვებული ასული" უწოდა.[471]

როდესაც საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა 1991 წლის 26 მაისს, საქართველოში ჩამოვიდა დასავლეთში ყველაზე ცნობილი სოვეტოლოგი, რუსეთის ახალი და უახლესი ისტორიის მკვლევარი, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი რიჩარდ პაიფსი. გარდა საარჩევნო პროცესზე დაკვირვებისა, იგი შეხვდა და ესაუბრა ზვიად გამსახურდიას. პროფესორ პაიფსის ჩამოსვლამდეც უკვე, ცხადი გახდა, რომ დასავლეთში დეზინფორმაციულმა კამპანიამ საქართველოსა და მისი ხელმძღვანელობის პოლიტიკური კურსის მიმართ, საკმაოდ გაშალა ფრთები. ამიტომაც სტუმარს განსაკუთრებით აინტერესებდა ადამიანის უფლებათა მდგომარეობა, სამხრეთ ოსეთის ყოფილ ავტონომიურ ოლქთან დაკავშირებული ამბები, ასევე, საქართველოს დამოკიდებულება სსრკ-ის ცენტრთან. პრეზიდენტთან საუბრისას ასეთი კურიოზიც მოხდა: იმ დროს მთავრობის სასახლის წინ თავი მოიყარეს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის აქტივისტებმა, რომლებიც სკანდირებდნენ – „ჩაუშესკუ! ჩაუშესკუ!" პროფესორი დაინტერესდა, რატომ ახსენებდნენ დემონსტრანტები რუმინელი დიქტატორის გვარს და რა კავშირი ჰქონდა მას საქართველოსთან. მაშინ ზვიად გამსახურდიამ აუხსნა, რომ ისინი „ჩაუშესკუს" მე მეძახიანო. შემდეგ კი სტუმარს დაუსვა კითხვა: არის თუ არა ეს დემოკრატია, რომ მათ შეუძლიათ გარკვეული სიხშირით აქ მოვიდნენ და ჩაუშესკუდ მომიხსენიონო? ამაზე პროფესორმა მიუგო, ცალსახად არის დემოკრატია, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი შინაარსის შეძახილი სრულიად აბსურდულიაო.

რამდენადაც რიჩარდ პაიფსზე დადებითი შთაბეჭდილება მოახდინა პრეზიდენტთან საუბარმა, ასევე ზოგადად საქართველოში შექმნილმა სიტუაციამ, შინ დაბრუნებულმა მან სტატია გამოაქვეყნა „ვაშინგტონ პოსტში", რის გამოც მალე მოუწია ისეთ ადამიანებთან დისკუსიაში შესვლა, რომლებიც საქართველოში შექმნილ სიტუაციასა და მის პრეზიდენტს განსხვავებულად, უფრო კრიტიკულად და მუქ ფერებში ხედავდნენ.[472] ამ შეხვედრა-დიალოგის ორგანიზება რადიო „თავისუფლებამ" მოახდინა, ხოლო მისი საბაბი ამერიკელი სოვეტოლო-

გის ზემოაღნიშნული სტატია გახდა. სტატიაში ავტორი აღნიშნავდა, რომ საქართველოსა და მის ხელისუფლებას პრესა ხშირად უარყოფით შუქჭრილში წარმოაჩენს, მას ბრალად ედება ეროვნულ უმცირესობათა დევნა და მართვის ტოტალიტარული მეთოდებიო. გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას" მოჰყავდა პაიფსის შემდეგი ციტატა: „ვერცერთი ეს ბრალდება ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. ამგვარ ბრალდებათა პრინციპული წყაროა დეზინფორმაცია, საბჭოთა მთავრობა რომ ავრცელებს, რომელიც ყოველნაირად ცდილობს უცხოელთა თვალში სახელი გაუტეხოს დამოუკიდებლობის მსურველ საქართველოს. თუ მხედველობაში არ მივიღებთ გარდაუვალ შეცდომებს, საქართველო დემოკრატიულ საზოგადოებას აშენებს".[473]

რადიო „თავისუფლების" მოწყობილ დიალოგში პაიფსის ოპონენტი იყო ადამიანის უფლებათა დაცვის აქტივისტი ვალერი ჭალიძე. ეს ის ჭალიძეა, რომელიც 1974 წელს აკადემიკოს სახაროვსა და ვ. ტვერდოხლებოვთან ერთად მიესალმა საქართველოში ადამიანის უფლებათა საინიციატივო ჯგუფის შექმნას ზვიად გამსახურდიას მიერ. ამ დიალოგიდან აშკარაა, რომ მასზე გავლენა მოახდინა საბჭოთა იმპერიის ცენტრის მიერ მართულმა დეზინფორმაციულმა კამპანიამ, ხოლო კონკრეტულად ზვიად გამსახურდიასთან მიმართებით ასეთ ადამიანებზე ზემოქმედებას ახდენდნენ თბილისიდან გიორგი ჭანტურია და მისი მეუღლე ირინა სარიშვილი, უცხოეთში ემიგრირებულებიდან კი – თენგიზ და ედუარდ გუდავები. ჭალიძე უაპელაციოდ აცხადებდა: „ამჟამად საქართველოში გამსახურდიას ნაცისტური რეჟიმია. როცა მე საქართველოში ვცხოვრობდი, ასეთი „არჩევნები" ეწყობოდა ხოლმე მჟავანაძის დროს. მაშინაც იმას ირჩევდნენ, ვინც საჭირო იყო. ხალხი გულგრილად და შიშით აძლევდა ხმას. ამიტომ ყურადღებად არ ღირს პროცენტები. არამედ მხედველობაში მივიღოთ ის, თუ როგორ აშინებენ საქართველოში ეროვნულ უმცირესობებს. ლოზუნგი „საქართველო ქართველებისთვის", მიუხედავად იმისა, აცხადებენ მას თუ არა, ფაქტობრივი გზის მაჩვენებელი ძაფია იმათთვის, ვინც ამ რესპუბლიკაში ახალ რეჟიმს ქმნის". პაიფსი შეეპასუხა, რომ ზვიად გამსახურდია არცერთ შემთხვევაში სომხებს არ გულისხმობდა, რომლებიც საქართველოში ოდითგანვე ცხოვრობენო. ასევე ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ არავინ საუბრობდა გორბაჩოვის შოვინიზმზე, რომელსაც დემოკრატს უწოდებდნენ, არადა იგი ლიტველებს, ლატვიელებსა და ქართველებს ხოცავდა. საქართველოში ზვიად გამსახურდიას მმართველობის დროს კი არავინ მოუკლავთ სომხობის ან აზერბაიჯანელობის გამოო. ამის შემდეგ ჭალიძემ ზვიად გამსახურდია ოსების დახოცვაში დაადანაშაულა. ეს ყოველივე მაშინ დაიწყო, როდესაც მან სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკა გააუქმაო. რიჩარდ პაიფსმა ამაზე ჰკითხა: „რატომ არის, რომ გორბაჩოვს ორი სტანდარტი აქვს, გამსახურდიას კი – ერთი?" ჭალიძის პასუხი ამაზე იყო, რომ გორბაჩოვს ადამიანები არასოდეს დაუყვია სისხლის მიხედვით, გამსახურდია კი ამის მიხედვით ჰყოფს, რაც იგივე ჰიტლერიზმიაო. ამაზე პაიფსის პასუხი იყო, რომ ის, რაც საქართველოში ხდება, კავშირში საერთოდ

არ არის ჰიტლერიზმთან. ახლა სომხეთში უამრავ სომეხს კლავენ და ამას საბჭოთა ჯარები სჩადიან, რაც გორბაჩოვის ბრალია. საქართველოში კი ქართული შეიარაღებული ძალები არავის ხოცავსო. როგორც საუბრის ბოლოს რადიო „თავისუფლების“ მიმომხილველი აღნიშნავს, თანამოსაუბრენი რამე დასკვნამდე ან ინტელექტუალურ კომპრომისამდე ვერ მივიდნენ. მაგრამ, ასეა თუ ისე, ეს საუბარი დაკვირვებისა და ფიქრის საფუძველს იძლევა.

4.13. საპრეზიდენტო კამპანია და პროგრამა

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველოს პარლამენტში გადაწყდა კონსტიტუციის შეცვლა საპრეზიდენტო ინსტიტუტისა და მმართველობის შემოღების მიზნით. სახელმწიფოს შიგნით გაბატონებული რეზონის მიხედვით, ეს წაადგებოდა დამოუკიდებელი ქვეყნის სტრუქტურათა აღმშენებლობასა და კონსტიტუციური წესრიგის შენარჩუნებას, ცენტრის მხრიდან საკმაოდ აგრესული და დესტრუქციული ქმედებების ფონზე, ასევე ქვეყნის უმთავრესი საგარეო-პოლიტიკური მიზნის – საერთაშორისო აღიარების, მიღწევას. 1991 წლის 14 აპრილს გამართულმა უზენაესი საბჭოს სესიამ ზვიად გამსახურდია ერთხმად აირჩია პრეზიდენტად, ხოლო უზენაესი საბჭოს ახალ თავმჯდომარედ აირჩიეს აკაკი ასათიანი. საკონსტიტუციო ცვლილებების მიხედვით საქართველოში საპრეზიდენტო ინსტიტუტი შეიქმნა საფრანგეთის მეხუთე რესპუბლიკის მოდელის შესაბამისად: პრეზიდენტს შეეძლო საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება, საჭიროების შემთხვევაში ომის გამოცხადება, დროებითი საპრეზიდენტო მმართველობის შემოღება, პრეფექტების დანიშვნა, ასევე, მოქალაქეობის მინიჭება ან ჩამორთმევა. პირდაპირი საპრეზიდენტო არჩევნები 26 მაისისთვის ჩაინიშნა.

ხშირად დასმულა კითხვა, – არსებობდა თუ არა საქართველოში საპრეზიდენტო ინსტიტუტი ზვიად გამსახურდიამდე, კერძოდ, 1918-1921 წლებში? როგორც კვლევა გვიჩვენებს, ასეთი ინსტიტუტი მაშინ შემოღებული არ ყოფილა. 1919 წელს პარლამენტის, იმავე დამფუძნებელი კრების, არჩევის შემდეგ ამ წარმომადგენლობითმა ორგანომ იმავე წლის 14 მარტს მიიღო დეკრეტი, რომლის მიხედვითაც, ნოე ჟორდანიას დაევალა მთავრობის შედგენა მისივე თავმჯდომარეობით. ამ თემაზე იმჟამად შედგა პოლიტიკური დებატები, რომელთა შედეგადაც გადაწყდა, მონარქისა და პრეზიდენტის გარკვეული პრეროგატივები მთავრობის თავმჯდომარეს გადასცემოდა – როგორებიც იყო, მაგალითად, საერთაშორისო წარმომადგენლობა, ელჩების დანიშვნა, უცხოელი დიპლომატიური კორპუსის აკრედიტაცია, მთავრობის შემადგენლობის ფორმირება, მთავრობის წევრების გაწვევა ან დანიშვნა, კაბინეტის დათხოვნა და, განსაკუთრებულ შემთხვევებში, პარლამენტის თანხმობით, შეიარაღებული ძალების გა-

მოყვანა. აღსანიშნავია ასევე, რომ მთავრობის თავმჯდომარეს ევროპულ ენებში „პრეზიდენტი“ ეწოდებოდა. [474]

ამდენად, ეს საპრეზიდენტო არჩევნები, წესით, უნდა ყოფილიყო გაგრძელება და განვითარება იმ არასაბჭოური, თავისუფალი და დემოკრატიული პროცესისა, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნების შედეგად. ხალხს და საზოგადოებას უნდა ეხილა არა ერთი, არამედ რამდენიმე კანდიდატი, მათი პოლიტიკური პლატფორმები, შეჯიბრება იდეებისა და თვალსაზრისებისა. ამომრჩეველს უნდა მისცემოდა საშუალება, ამოერჩია მათ შორის საუკეთესო და ყველაზე დამაჯერებელი. ერთი მხრივ, ეს ყველაფერი მართლაც ასე მოხდა, საარჩევნო კამპანია დემოკრატიის წესების მიხედვით წარიმართა, იყვნენ კანდიდატებიც და მათ საშუალება მიეცათ, გადმოეცათ თავიანთი პროგრამული შეხედულებები, თუმცა, მეორე მხრივ, ეს არჩევნები არც ფსიქოლოგიურად, არც დემოკრატიის კუთხითა და არც პოლიტიკური კულტურის მხრივ დადებითად არ დაამახსოვრდა საზოგადოებას.

1991 წლის 11 მაისს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გამოაქვეყნა საპრეზიდენტო არჩევნების კანდიდატების ექვსკაციანი სია, რომელშიც შედიოდნენ: 1. ზვიად გამსახურდია, „მრგვალი მაგიდის“ სპიკერი, „საქართველოს ჰელსინკის კავშირისა“ და „წმინდა ილია მართლის საზოგადოების“ თავმჯდომარე, პრეზიდენტად არჩეული უზენაესი საბჭოს მიერ, რომელიც კანდიდატად წარმოდგენილ იქნა „მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველოს“ პოლიტიკური ორგანიზაციების მიერ; 2. ირაკლი შენგელაია, არაფორმალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, „ეროვნული სამართლიანობის კავშირის“ დამფუძნებელი, წარადგინა საპარლამენტო ბლოკ „თავისუფლებამ“; 3. ჯიმი (ჯემალ) მიქელაძე, საქართველოს დამოუკიდებელი კომუნისტური პარტიის პირველი მდივანი და ლიდერი, კანდიდატად წარმოადგინა ამავე პარტიამ; 4. ვალერიან ადვაძე, „საქართველოს ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირის“ გამგეობის თავმჯდომარე, წარადგინა თავისივე ორგანიზაციამ; 5. ნოდარ ნათაძე, ფილოსოფოსი, „სახალხო ფრონტის“ გამგეობის თავმჯდომარე, წარადგინა ამავე ორგანიზაციამ, რესპუბლიკურ პარტიასთან ერთად; 6. თამაზ კვაჭანტირაძე, თსუ-ის დოცენტი, ჟურნალ „ბალავარის“ რედაქტორი, კანდიდატად დაასახელა „თავისუფალ დემოკრატთა კავშირმა“.[475]

ზვიად გამსახურდიას საპრეზიდენტო პროგრამა, რომელიც გამოაქვეყნა გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკამ“, საკმაოდ ვრცელი დოკუმენტია.[476] იგი იწყება ზოგადი პოლიტიკური ნაწილით, რომელშიც გაკეთებულია საბჭოთა კავშირში „გარდაქმნის“ პერიოდში შექმნილი სიტუაციის ანალიზი, ცენტრის დამოკიდებულება, ერთი მხრივ, რესპუბლიკებთან, მეორე მხრივ, მისი პოზიციონირება მსოფლიოში მიმდინარე პროცესებთან. გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები და ჩამოთვლილია გასატარებელი პოლიტიკური რეფორმის შემდეგი მიმართულებები: 1. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის სამართლებრივი გარანტიები; 2. სახელმწიფო მმართველობის

რეფორმის განხორციელება; 3. ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობა; 4. სამართლებრივი სისტემის რეფორმის გატარება; 5. ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის სტრუქტურების ფორმირება. პირველ პუნქტზე, ანუ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის სამართლებრივ გარანტიებთან მიმართებაში, ჩამოთვლილი იყო ყველა ის ნაბიჯი, რომელიც უზენაესმა საბჭომ გადადგა 1990 წლის 14 ნოემბრის სესიიდან 1991 წლის მაისამდე, რაც გულისხმობდა საქართველოს დამოუკიდებლობისთვის საჭირო იურიდიული საფუძვლების შექმნას. მეორე პუნქტთან დაკავშირებით, ანუ მმართველობის რეფორმაში, ნახსენებია ერთპარტიული დიქტატურის ლიკვიდაცია და მრავალპარტიულობის დაკანონება, მთავრობის რეორგანიზაცია, ადგილობრივი მმართველობების ინსტიტუტების, საკრებულოებისა და პრეფექტურების შემოღება, ასევე, პრეზიდენტის ინსტიტუტის შემოღება. სახელმწიფოებრივ მოწყობას, ანუ მეორე და მესამე პუნქტებს რაც შეეხება, აღნიშნულია, რომ უზენაესმა საბჭომ არჩევნებისთანავე მოახდინა აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიათა ხელშეუხებლობის დეკლარირება, თუმცა სამხრეთ ოსეთში „დამოუკიდებელი რესპუბლიკის“ გამოცხადებამ საფრთხე შეუქმნა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, რასაც მოჰყვა უკანონოდ შექმნილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმება. აღნიშნული იყო, რომ არცერთი ქვეყანა, მათ შორის, საქართველო, არ დაუშვებდა საკუთარი სახელმწიფოს ისეთ მოწყობას, რომელიც საფრთხეს შეუქმნიდა ტერიტორიულ მთლიანობას, სამოქალაქო მშვიდობას, ისეთი სტრუქტურების არსებობას, რომლებიც უცხო ქვეყნების მიერ გამოყენებული იქნებოდა საშინაო საქმეებში ფარული თუ აშკარა ჩარევისთვის, მით უმეტეს, რომ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო პაქტები და კონვენციები ეროვნულ უმცირესობათათვის ითვალისწინებდა მხოლოდ კულტურულ ავტონომიას. მეოთხე პუნქტთან დაკავშირებით, შეეხება რა სამართლებრივი სისტემის რეფორმას, აღნიშნულია, რომ გაუქმდებოდა სიკვდილით დასჯა, ასევე, სამართლისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსიდან ამოღებულ იქნებოდა ყველა ანტიჰუმანური მუხლი. მოხდებოდა სამართალდამცავი ორგანოების დეპოლიტიზაცია და დეპარტიზაცია, სასამართლო გათავისუფლდებოდა ძველი რეჟიმის მიერ თავსმოხვეული რეპრესიული ფუნქციისგან, სახელმწიფო არბიტრაჟი გამოყვანილი იქნებოდა მმართველობის ორგანოების სისტემიდან და ჩამოყალიბდებოდა საარბიტრაჟო სასამართლოს სახით. მეხუთე პუნქტთან ნათქვამია, რომ 26 აპრილს ფიცი დადეს ეროვნული გვარდიის პირველმა შენაერთებმა, თავდაცვის სისტემის ფორმირებისთვის ჩატარებული იყო პირველი სამუშაოები, მიღებული იქნებოდა სამხედრო ვალდებულთა ეროვნულ გვარდიაში გაწვევის კანონი, რომლის საფუძველზეც ორი წლის შემდეგ საქართველოს მიეცემოდა შესაძლებლობა 60-ათასიანი არმიის შექმნისა. საქართველოს სამხედრო დოქტრინა თავდაცვითი ხასიათის უნდა ყოფილიყო. პირველ რიგში, მას საერთო ევროპული უსაფრთხოების სისტემის შექმნისთვის უნდა შეეწყო ხელი. ეს გარემოება წარმოადგენდა საქართველოს

რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბებისა და მათი სტატუსის განსაზღვრის წინაპირობას.

რაც შეეხება პოლიტიკური სისტემის საბოლოოდ ფორმირებას, პრიორიტეტად გამოცხადდა სასამართლოს რეფორმა, რომელსაც უნდა უზრუნველეყო: 1. კანონის უზენაესობა, ხელისუფლების დანაწილების პრინციპის საფუძველზე სახელმწიფო სუვერენიტეტის განმტკიცება; 2. სასამართლო სისტემის რეფორმის დასრულება, რაც გულისხმობდა მართლმსაჯულების ორგანოების ობიექტურობისა და დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის ყველაზე ადეკვატური ფორმის – ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღებას. საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური უფლებების საკითხში ნათქვამი იყო, რომ სახელმწიფო ხელისუფლებასა და მოქალაქეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობის ჩამოყალიბებას საფუძვლად დაედებოდა პრინციპი – „სახელმწიფო მოქალაქისთვის და არა – მოქალაქე სახელმწიფოსთვის". მოქალაქეების უფლება-მოვალეობათა უმთავრესი პირობა უნდა ყოფილიყო ზნეობრივ პრინციპებზე დაფუძნებული კანონების უზენაესობა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა, ამავე დროს, მოითხოვდა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტის, მოქალაქეობის, საკანონმდებლო რეგულირებას. ამისთვის უახლოეს ხანებში მისაღები იყო კანონი საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის შესახებ. კანონპროექტის საბოლოო ვარიანტში გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო უცხოეთის დემოკრატიული ქვეყნების, ასევე, ბალტიისპირეთის ქვეყნების გამოცდილება. კანონს უნდა განემტკიცებინა ბინადრობის, ცენზის, საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის პატივისცემის ვალდებულებისა და მოქალაქეობის სხვა უმთავრესი პრინციპები. მოქალაქე გახდებოდა ის პირი, ვინც მუდმივად იყო ჩაწერილი საქართველოში, ჰქონდა მუდმივი სამუშაო ადგილი ან ლეგალური შემოსავლის წყარო და დეკლარაცია, ფიცზე ხელმოწერით დაამტკიცებდა თავის ერთგულებას საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სუვერენიტეტის, მისი ტერიტორიული მთლიანობის მიმართ.

შემდეგ საუბარია საქართველოს რესპუბლიკის საზღვრების დადგენაზე, კანონის მიღება სასაზღვრო რეჟიმზე, ემიგრაციისა და იმიგრაციის წესებზე, საბაჟო სამსახურზე. პრიორიტეტად გამოცხადებული იყო ეროვნული უშიშროების სამსახურის, ეროვნული გვარდიისა და, ასევე, საქართველოს შეიარაღებული ძალების ორგანიზება. საპრეზიდენტო ხელისუფლებას ურთიერთპატივისცემის საფუძველზე უნდა უზრუნველეყო რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა განვითარების შესაძლებლობა. დაანონსდა კანონი ეროვნულ უმცირესობათა შესახებ, რომლის მიხედვითაც საქართველოს მოქალაქეებისთვის გარანტირებული უნდა ყოფილიყო: მშობლიურ ენაზე განათლების მიღების, ეროვნული კულტურის განვითარების, კულტურულ-საგანმანათლებლო მიზნით სათვისტომოებად და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებად გაერთიანების, მშობლიურ ენაზე ბეჭდვისა და საინფორმაციო საშუალებების

გამოყენების უფლებები. საქართველოს მოქალაქეთა უფლებები, მონაწილეობა მიეღოთ ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, არ უნდა შეზღუდულიყო მათი ეროვნული კუთვნილების გამო. ამასთან, ყოველი მოქალაქე და, მათ შორის, ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი, ვალდებული იყო, პატივი ეცა და დაეცვა საქართველოს რესპუბლიკის კანონები და ინტერესები.

სახელმწიფოსა და საქართველოს მართლმადიდებელი, სამოციქულო ეკლესიის ურთიერთმიმართების პუნქტში ნათქვამია, რომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ეკლესიის უფლება – იყოს საერო ცხოვრების აქტიური თანამონაწილე. სახელმწიფომ უნდა დაიცვას ეკლესიის ქონება, ხელი შეუწყოს ეკლესიას ტრადიციულ სამონასტრო მოღვაწეობაში. სახელმწიფომ უნდა იზრუნოს, რათა ეკლესიამ მიიღოს საჭირო მატერიალური დახმარება საგანმანათლებლო საქმიანობის წარმართვისათვის, უნდა აღდგეს საეკლესიო საკუთრება მიწაზე. შემდეგ საუბარია იმაზე, რომ აღნიშნული არ ხელყოფდა სხვა რელიგიის აღმსარებელთა, აგრეთვე, ათეისტთა მოქალაქეობრივ უფლებებს. სახელმწიფოს მიერ გარანტირებული იქნებოდა სინდისის თავისუფლება და თითოეულ პიროვნებას მიეცემოდა შესაძლებლობა, ყოფილიყო აღმსარებელი იმ სარწმუნოებისა, რომელსაც თავად აღიარებდა. მოქალაქეთა პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური უფლებები არ შეიზღუდებოდა რელიგიური ნიშნით. ქართული სახელმწიფო კვლავაც ერთგული დარჩებოდა ტრადიციული რელიგიური შემწყნარებლობისა.

საგარეო პოლიტიკის ნაწილში აღნიშნულია, რომ ძირითადი ამოცანაა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის რეალური აღდგენის უზრუნველყოფა 1918 წლის 26 მაისისა და 1991 წლის 9 აპრილის აქტების საფუძველზე. საქართველო ასევე უნდა ცნოს სსრკ-მა და მათ შორის უნდა დამყარდეს თანასწორუფლებიანობაზე, ურთიერთპატივისცემასა და ურთიერთდაინტერესებაზე აგებული ურთიერთობა. ორივე სახელმწიფომ უნდა აიღოს ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემის ვალდებულება. შეთანხმება უნდა მომხდარიყო შემდეგ საკითხებზე: 1. ერთობლივი სახელმწიფო საზღვრისა და მისი რეჟიმის შესახებ, საზღვრის გადაკვეთის და საბაჟო კონტროლის თაობაზე; 2. ეკონომიკური ურთიერთობების შესახებ; 3. ჰუმანიტარულ სფეროში თანამშრომლობისა და ადამიანის უფლებათა ერთობლივი უზრუნველყოფის შესახებ; 4. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სამხედრო ბაზების სტატუსის, მათი დისლოკაციის პირობებისა და ვადების შესახებ. საქართველოსთვის ასევე განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობის საკითხებს. საქართველოს რესპუბლიკასა და რუსეთის ფედერაციას შორის თანასწორუფლებიანი და კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარება წარმოადგენდა ორივე მხარის ჭეშმარიტ ინტერესს. საქართველო, ასევე, მხარს უჭერდა და სოლიდარობას უცხადებდა დამოუკიდებლობისთვის

მებრძოლ რესპუბლიკებს, მათთან ურთიერთობა დაემყარებოდა მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთპატივისცემის აღიარებულ პრინციპებს. რაც შეეხება სსრკ-სთან ურთიერთობის საკითხს, კომენტარის სახით აქ უნდა ითქვას, რომ დოკუმენტში იგულისხმებოდა ის შემთხვევა, თუ სსკრ-ის შემადგენლობაში მოკავშირე რესპუბლიკების გარკვეული რაოდენობა მაინც დარჩებოდა, რადგან ამ დროისთვის არავინ იცოდა, რა ბედი ეწეოდა გორბაჩოვის მიერ ინიცირებულ ნოვო-ოგარიოვოს პროცესს. ამ დროისთვის ნათელი იყო, რომ ბალტიური რესპუბლიკები და საქართველო დამოუკიდებლობის აღდგენის კურსზე მყარად იდგნენ. საქართველოს საერთაშორისო აღიარების საკითხზე ნათქვამია, რომ პრეზიდენტის მთელი ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს იქითკენ, რათა: 1. საქართველოს დამოუკიდებლობა ცნონ უცხოეთის ქვეყნებმა და, შესაბამისად, აღდგეს მისი დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფოს სტატუსი; 2. აღდგეს და გაფართოვდეს საქართველოს დიპლომატიური და საკონსულო ურთიერთობები უცხოეთის ქვეყნებთან; 3. საქართველო გახდეს გაეროსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წევრი და მათ საქმიანობაში შეასრულოს აქტიური როლი. ასევე აღნიშნულია, რომ საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენელთა ვიზიტები აშშ-ში, საფრანგეთში, ავსტრიაში, იტალიაში, თურქეთში, ესპანეთში შეიძლება ჩაითვალოს მოსამზადებელ ეტაპად მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოში საქართველოს წარმომადგენლობითი ცენტრების დაარსებისთვის. ეს ცენტრები შექმნიდნენ საქართველოს რესპუბლიკის საელჩოთა ჩამოყალიბების საფუძველს. ასევე მნიშვნელოვანი იყო საქართველოს ტერიტორიაზე სხვა სახელმწიფოების წარმომადგენლობათა შექმნისთვის ხელშეწყობა. სხვა პრიორიტეტებად ნახსენებია ურთერთობები კავკასიის, შავი ზღვისა და ახლო აღმოსავლეთის რეგიონებთან. 1. კავკასიის სახელმწიფოებსა და ხალხებთან ტრადიციულად მჭიდრო ურთიერთობათა აღორძინება უნდა წარმოადგენდეს საქართველოს რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტულ მიმართულებას; 2. შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებთან ურთიერთობამ ხელი უნდა შეუწყოს საქართველოს ჩამოყალიბებას საზღვაო სახელმწიფოდ. გამოყენებულ უნდა იქნეს არსებული კავშირები რუსეთსა და უკრაინასთან, უნდა განვითარდეს პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობა ბულგარეთსა და რუმინეთთან. ხოლო ეკონომიკურ სფეროში თურქეთის რესპუბლიკასთან თანამშრომლობის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ არსებობს გარკვეული ერთობლივი ინტერესები და წინაპირობები მათი განვითარებითვის; რომ ეს ყოველივე შესაძლოა გახდეს შავი ზღვის აუზის სახელმწიფოთა რეგიონული თანამშრომლობის ხელშემწყობი ფაქტორი; 3. საქართველოს რესპუბლიკის საგარეო-პოლიტიკური საქმიანობის ამოცანაა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან ისტორიულად არსებული პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობების აღდგენა. ამ მიზნით ხელი უნდა შეეწყოს რეგიონის ყველა დემოკრატიულ სახელმწიფოსთან ურთიერთსარგებლიანობის პრინციპებზე აგებულ თანამშრომლობას. პროგრამაში ცალკეა გამოყოფილი ქართველ და

ებრაელ ხალხთა შორის ტრადიციულად არსებული მეგობრული დამოკიდებულება, რაც შექმნიდა პირობებს ამ უძველესი ერების სახელმწიფოთაშორის და მთავრობათაშორის დონეზე კავშირისათვის.

პროგრამის ეკონომიკურ ნაწილში ნათქვამი იყო, რომ საქართველოს მაშინდელი ეკონომიკური სტრუქტურა განვითარების იმ სტრატეგიის შედეგი გახლდათ, რომელიც საბჭოთა წყობილების მიერ იყო თავს მოხვეული. მან საქართველოს თავის დროზე წაართვა სუვერენული სამეურნეო არჩევანის უფლება. ტოტალიტარულ სახალხო სამეურნეო სისტემაში ჩართული საქართველო იზოლირებული აღმოჩნდა საერთაშორისო ეკონომიკური პროცესებისგან. უცხო ეკონომიკურმა სისტემამ, მიწისა და წარმოების სხვა საშუალებებისგან გაუცხოებამ, ქართველი კაცისთვის არატრადიციულმა წარმოებითმა ურთიერთობებმა საქართველოს ეკონომიკა უმძიმეს მდგომარეობაში ჩააყენა. შექმნილი ვითარებიდან გამოსავალი და გარანტი ეკონომიკის აღორძინებისა იყო ის უდიდესი პოტენციალი, რომელიც საქართველოს სპეციფიკურ გეოპოლიტიკურ მდგომარეობაში იგო, მის ბუნებრივ რესურსებში, კლიმატურ პირობებში, ცივილიზებულ მსოფლიოზე ორიენტაციასა და ქართველი კაცის შესაძლებლობებში არსებობდა. მხოლოდ თავისუფალ მეწარმეობაზე დამყარებული მეურნეობის საფუძველზე იყო შესაძლებელი იმპერიული ეკონომიკური ზღუდის გარღვევა, ხალხის კეთილდღეობის ამაღლება და საქართველოს ჩართვა საერთაშორისო ეკონომიკურ პროცესებში, რაც, თავის მხრივ, განაპირობებდა საქართველოს სახელმწიფო ძლიერებასა და ცივილიზებულ ქვეყნებს შორის ღირსეული ადგილის დამკვიდრებას.

ეროვნული ხელისუფლების ეკონომიკური მიდგომებისადმი და პროგრამისადმი იმთავითვე განსხვავებული დამოკიდებულება არსებობდა გარკვეულ წრეებში. ოპონენტთა შორის ყველაზე უსინდისოებს ხშირად უთქვამთ, თითქოს ეროვნულ ხელისუფლებას ეკონომიკური პროგრამა საერთოდ არ ჰქონია. რომ იმ პერიოდში მოქმედებდა პრინციპი – „მჭადს და ყველს დავჯერდებით, ოღონდ თავისუფლები ვიყოთ“, რომ, ბოლოს და ბოლოს, „ბორჯომის, ჩაისა და ღვინის გაყიდვა“ შეგვინახავს. არადა, საპრეზიდენტო პროგრამაში ნათქვამია, რომ საქართველოს რესპუბლიკის რეალური დამოუკიდებლობის აღდგენის საფუძველს წარმოადგენდა საკუთრების სხვადასხვა ფორმაზე აგებული, ცივილიზებული სამყაროს ეკონომიკური კანონებით მოქმედი და ქართულ ყოფით ტრადიციებზე დაფუძნებული ეკონომიკა. უნდა მომხდარიყო სახელმწიფო საკუთრების განსახელმწიფოებრიობა, რაც განხორციელდებოდა თანდათან, ეტაპობრივად, იმ ვარაუდით, რომ სახელმწიფო საკუთრებაში დარჩებოდა მხოლოდ ის საწარმოები, რომელთა ფუნქციონირებაც კერძო მეწარმეობის პრინციპებზე, დროის მოცემულ მონაკვეთში, გაუმართლებელი იქნებოდა. ეს სრულიად აქარწლებს ოპონენტების მტკიცებას, თითქოს ხელისუფლება პრივატიზაციას საერთოდ არ აპირებდა და ძირითადად საბჭოთა ტიპის ეკონომიკის დატოვებას გეგმავდა. პროგრამაში შემდეგ არის ასეთი განმარტება: „სახელმწიფო ჩაერევა

ეკონომიკაში იმ ზომებით, რომელიც აუცილებელია ქვეყნის ერთიანი პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური ინტერესების ხორცშესხმისა და სამეურნეო საქმიანობის განვითარებისთვის“. ანუ პრიორიტეტად ცხადდებოდა სახელმწიფო მონოპოლისტური სისტემის ლიკვიდაცია და სოციალური საბაზრო ეკონომიკის შექმნა, რომლის პირობებშიც ერთმანეთთან შეთანხმებული იქნებოდა თავისუფალი შრომისა და სოციალური უფლებების გარანტიები, კერძო საკუთრებისადმი პატივისცემა და საზოგადოებრივი სარგებლობა, თავისუფალი მეწარმეობა და კეთილსინდისიერი კონკურენცია. პროგრამაში დაანონსებული იყო ისეთი კანონების მიღება, რომლებიც წარმოების ძირეულ რგოლებს მიანიჭებდნენ ეკონომიკურ დამოუკიდებლობას და მაქსიმალურად შეზღუდავდნენ სხვა ორგანოთა ჩარევას მათ სამეურნეო საქმიანობაში. ეს კანონები უნდა შეხებოდა: პრივატიზაციას, საკუთრებას, მიწის კერძო საკუთრებაში გადაცემას, მიწათმოწყობასა და მიწათსარგებლობას, გლეხურ მეურნეობებს, დასაქმებას, საგადასახადო სისტემას, სააქციო საზოგადოებებს, სამეურნეო საქმიანობას, ინვესტიციებსა და ერთობლივ საწარმოებს, ანტიმონოპოლიურ რეგულაციებს, სოციალურ გარანტიებს, სახელმწიფო და კერძო დაზღვევებს. აღნიშნულ კანონებს უნდა უზრუნველეყოთ: 1. სამეწარმეო საქმიანობის თავისუფლება; 2. მომხმარებელთა ინტერესების დაცვა და მათი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაძლებლობა; 3. კონკურენციის გაფართოება, ამა თუ იმ საწარმოს ჯგუფის ხელში ეკონომიკური ძალაუფლების კონცენტრაციის დაუშვებლობა. სოფლის მეურნეობის სფეროში უნდა შეცვლილიყო საკუთრებითი ურთიერთობები, უნდა ჩატარებულიყო მიწის რეფორმა, ქვეყნის ყოველ კუთხეში, მათი თავისუბურებების გათვალისწინებით. საზოგადოებრივი მეურნეობები უნდა დაშლილიყო და მათ ბაზაზე გლეხური მეურნეობები უნდა ჩამოყალიბებულიყო. მიწა კერძო საკუთრებაში უნდა გადასულიყო, საკარმიდამო ნაკვეთები ასევე სრული მოცულობით გადაცემოდა მოსახლეობას. საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს იმ ეტაპზე მიწა შეიძლება გადასცემოდათ მოკლევადიან, გრძელვადიან ან მუდმივ მფლობელობაში მემკვიდრეობის უფლებით, რეგიონის თავისებურებათა გათვალისწინებით. სახელმწიფოებრიობის ფაქტობრივი აღდგენისა და მოქალაქეობის კანონის შემოღების შემდეგ კი მიწაზე უახლოეს ხანებში დაკანონდებოდა კერძო საკუთრება. სახნავ-სათესები ძირითადად უნდა გადასცემოდა გლეხურ მეურნეობებს, საძოვრები კი სათემო და სასოფლო მფლობელობაში უნდა ყოფილიყო; მიწის გარკვეული ნაწილი სახელმწიფოს საკუთრებაში უნდა დარჩენილიყო სტრატეგიული, თავდაცვითი და სამეურნეო საქმიანობის წარმართვისათვის; სახელმწიფო საკუთრებაში უნდა ყოფილიყო ასევე ნაკრძალები და ეროვნული ტყე-პარკები. სახელმწიფოს ყოველმხრივ უნდა შეეწყო ხელი სოფლად სხვადასხვა ასოციაციების, გაერთიანების შექმნისა და ფუნქციონირებისთვის. მათ უნდა შეესრულებინათ გლეხური მეურნეობების ტექნიკით მომსახურებისა და აუცილებელი მასალებით მომარაგების ფუნქცია.

სამრეწველო წარმოების პერსპექტივების განსაზღვრისას ძირითადი ყურადღება ეთმობოდა მეცნიერაბატევადი დარგების განვითარებას, რაშიც ახალი ტექნოლოგიების დანერგვა იგულისხმებოდა. ენერგორესურსებზე ნათქვამია, რომ სსრკ-ის რესპუბლიკებსა და უცხოეთის ქვეყნებთან საჭირო იყო პირდაპირი ეკონომიკური კავშირების დამყარება და ენერგორესურსების მიღება. ნახსენებია ენერგიის არატრადიციული წყაროებიც, მცირე და საშუალო ელექტროსადგურების მშენებლობა. სატრანსპორტო სფეროსთან მიმართებით ნათქვამია, რომ უნდა აღმდგარიყო საქართველოს, როგორც „ევროპა-აზიის დამაკავშირებელი ხიდის", ისტორიული ფუნქცია, რაც აუცილებლად მოითხოვდა საქართველოს საზღვაო (ბათუმი, ფოთი, სოხუმი) და საჰაერო კარიბჭეთა ოპტიმალურ გამოყენებასა და მათ სწრაფ რეკონსტრუქციას. საინვესტიციო პოლიტიკა უნდა განხორციელებულიყო უცხოური სახელმწიფო თუ კერძო ინვესტიციების ხარჯზე, მათი დაბანდების, გამოყენებისა და დაცვის მტკიცე გარანტიების შექმნით მსოფლიოში აღიარებული ფორმების გათვალისწინებით. რაც შეეხება საფინანსო და ფულად-საკრედიტო სისტემას, აქ დაანონსებული გახლდათ ორიარუსიანი საბანკო სისტემა, რომლის სათავეშიც იქნებოდა ცენტრალური ეროვნული ბანკი, ხოლო მეორე იარუსზე განლაგდებოდნენ კომერციული ბანკები. ცენტრალური ეროვნული ბანკის ფუნქცია იქნებოდა ფულის მიმოქცევის, ემისიისა და კრედიტების, დაფინანსების, ანგარიშსწორებისა და სავალუტო სფეროში რესპუბლიკის ერთიანი პოლიტიკის გატარება, მყარი ფულადი მიმოქცევისა და ქართული ფულის მსყიდველობითი უნარის განმტკიცების უზრუნველყოფა, მისი გასაცვლელი კურსის დადგენა.

რასაკვირველია, ნახსენებია ეროვნული ფულიც — სახელმწიფოებრიობის აღდგენის გზაზე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა იყო ქართული ფულის შემოღება. პროგრამაში ვკითხულობთ: ეროვნული ვალუტის სწორი მიმოქცევის, კონვერტირებულობისა და კურსის განმტკიცებისთვის ზრუნვა უახლოესი პერიოდის მთავარი ამოცანაა. რეფორმა უნდა შეეხოს საგადასახადო სისტემას, რომელიც მოქნილი და ეფექტური უნდა გახდეს. მან განაკვეთებისა და შეღავათების დიფერენციაციის საშუალებით სტიმული უნდა მისცეს დარგის, რეგიონის, საწარმოს, ცალკეული პროდუქციის წარმოებისა და მომსახურების განვითარებას. ამასთანავე, მოხმარების საგნების წარმოების გაზრდის, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების დანერგვის, ბუნების დამცავი ღონისძიებების და სხვ. სტიმულირებების მიზნით გადასახადებიდან უნდა გათავისუფლდნენ ან შეღავათიანად დაიბეგრონ საწარმოები და ორგანიზაციები მოგების იმ ნაწილში, რომლებიც ამ მიმართულებით დაიხარჯება. პროგრამაში ყურადღება მახვილდება რეგიონალურ ფინანსებზე, რაც ასევე საინტერესო საკითხია. დაგეგმილია, რომ ადგილობრივი მმართველობის ორგანოების როლის შემდგომი ზრდისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიზნით უნდა ამაღლდეს მათი უფლებამოსილებანი რეგიონის ფინანსების მართვაში, გაფართოვდეს პრეფექტურების და საკრებულოების საბიუჯეტო უფლებები, გაძლიერდეს ად-

გილობრივი ბიუჯეტის დამოკიდებულება შესაბამის ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის საფინანსო შედეგებზე. ქალაქის, რაიონის, დაბისა და სოფლის ტერიტორიაზე განლაგებული ყოველი საწარმო აუცილებლად უნდა მონაწილეობდეს შესაბამისი ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირებაში, ხოლო ამავე ბიუჯეტის ფორმირება უნდა განხორციელდეს საერთო სახელმწიფოებრივი გადასახადებიდან ანარიცხების სტაბილური გრძელვადიანი ნორმატივების ბაზაზე. ფასწარმოებასთან დაკავშირებით პროგრამაში მოცემულია ფასების სამსაფეხურიანი სისტემა: ა) მტკიცე სახელმწიფო ფასები, რომლებიც უნდა მოიცავდეს სახელმწიფო, სატრანსპორტო და საფოსტო-სატელეფონო მომსახურების, ელექტროენერგიის, სახელმწიფო კომუნალური მეურნეობის ტარიფებს, პირველადი მოხმარების საგნებისა და მედიკამენტების ფასებს; ბ) შერეული ფასები, როდესაც სახელმწიფო აწესებს ქვედა და ზედა ზღვარს, რომლის ფარგლებშიც ამა თუ იმ საქონელზე ფასი შეიძლება იცვლებოდეს მოთხოვნისა და მიწოდების მიხედვით; გ) თავისუფალი ფასები, რომლებიც ბაზარზე ჩამოყალიბდება მოთხოვნა მიწოდების თანაფარდობის შესაბამისად. იქვე განმარტებულია, რომ სოციალურ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა გულისხმობს მოსახლეობის სოციალური დაცვის ეფექტიანი სისტემის შემუშავებას, რომელიც შემდეგ ელემენტებს უნდა მოიცავდეს: 1. რესპუბლიკის სამომხმარებლო ბაზრის დაცვას. 2. მოსახლეობის შემოსავლების ინდექსაციას. 3. სახელმწიფოს მიერ ხელფასის, პენსიის, დახმარების და სხვა განაკვეთების მინიმალურად დასაშვები დონის დაწესებას არა უმცირეს საარსებო მინიმუმისა. 4. მოსახლეობის ყველაზე სუსტად დაცული ჯგუფების (მოსწავლეთა, პენსიონერთა, ინვალიდების, მარტოხელა მოხუცების, ობლების და ა. შ.) დახმარების მიზნობრივ პროგრამას; უმუშევრებზე დახმარების გაცემას, ეკონომიკის სტრუქტურული ცვლილების პროცესში გამოთავისუფლებულ მუშაკთა გადამზადებას, სახელმწიფო შრომითი ბირჟების ფართო ქსელის მეშვეობით სამუშაო ადგილების შექმნის სტიმულირებას; საქველმოქმედო ღონისძიებათა წახალისებას შეღავათიანი დაბეგვრის, სუბსიდირების, საზოგადოებაში შესაბამისი კლიმატის შექმნას საზოგადოებრივ და რელიგიურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გზით.

კომენტარის სახით შეიძლება ამ ნაწილთან დაკავშირებით ითქვას, რომ გარდამავალი პერიოდის სირთულეები, როდესაც საკითხი ეხება სოციალისტური, ცენტრალიზებული და გეგმური ეკონომიკიდან თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას, გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო და მათ არ უნდა გამოეწვიათ დამანგრეველი ეფექტი. სახელმწიფო თავის თავზე იღებდა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის კონტროლს, თუმცა ცდილობდა თავიდან აერიდებინა „ველურ კაპიტალიზმში“ ერთბაშად გადავარდნა, რაც ბევრ საშიშ და მახინჯ მოვლენას წარმოშობდა. ეს იქნებოდა, მაგალითად, ქონების კონცენტრაცია მცირე ჯგუფის ხელში, რომელიც ამ ქონებას ფულად აქცევდა და გაიტანდა უცხოეთში. მომხვეჭელთა და ოლიგარქთა ალტერნატივა უნდა ყოფილიყო მე-

წარმეთა კლასის შექმნა, რომელსაც ექნებოდა არა მარტო ფინანსური და ეკონომიკური ინტერესები, არამედ პასუხისმგებლობაც სახელმწიფოსა და ქვეყნის მიმართ. ეს არც ლიბერტარიანული პროგრამაა, არც სოციალისტური. მისი განსაზღვრა დაახლოებით შეიძლება, როგორც ზომიერი, მემარჯვენე-ცენტრისტული ეკონომიკური კონცეპტისა. და თუ მასში ცალკეულ კონვერგენციულ ელემენტს ვხედავთ, ეს დროებითი დაშვებებია, გარდამავალი პერიოდის და იმ პრობლემების გათვალისწინებით, რომლებიც, შესაძლოა, ეკონომიკური დამოუკიდებლობის გზაზე წამოჭრილიყო.

დასასრულ ნათქვამია, რომ საქართველოს უნდა ჰქონოდა ღია ეკონომიკა, რომლის განვითარებისა და წინსვლის ტემპები დამოკიდებული იქნებოდა საერთაშორისო ეკონომიკურ პროცესში მიზანმიმართულ ჩართვაზე, რისთვისაც აუცილებელი იყო, საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარების ეროვნული პროგრამის შემუშავება. ეს კი განსაზღვრავდა რესპუბლიკის საექსპორტო შესაძლებლობებსა და მის რეზერვებს, უცხოურ ფირმებთან, სამთავრობოთაშორისო და რეგიონალურ საფინანსო ორგანოებთან თანამშრომლობის ფორმებს, საშინაო ბაზრის დაცვასა და აუცილებელი საიმპორტო პროდუქციის შემოზიდვის ხელშემწყობ საბაჟო სისტემას; საგარეო ბაზარზე ეროვნული კაპიტალის დამკვიდრების მიზნით სახელმწიფო დახმარებისა და შეღავათების ფორმებს; პროტექციონისტული ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების საშუალებებს, უცხოური კაპიტალის მოზიდვის რეგულირების მექანიზმს, უცხოეთში აქტიური საინვესტიციო საქმიანობის წარმართვის საშუალებებს, საგარეო-ეკონომიკური მართვის სტრუქტურის სრულყოფის მიმართულებებს. სიტყვა „პროტექციონისტული“ აქ შემთხვევით არ არის გამოყენებული. საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების პროცესში ეს იყო უფრო იძულებითი მეთოდი ეკონომიკის ზოგიერთ დარგში, რათა ახლად აღმოცენებული წარმოებები დაცული ყოფილიყო მაღალგანვითარებული კაპიტალისტური წარმოებების შემოდინების პროცესში, რასაც გარდაუვალად მოყვებოდა პირველთა „ჩაყლაპვა“. ეკონომიკურ ნაწილში ზვიად გამსახურდიას კონსულტაციას უწევდნენ ეკონომიკის მინისტრი მურმან გედენიძე, ასევე დავით იაკობიძე, გივი აბდუშელიშვილი, ომარ ვარძელაშვილი, ნოდარ ჭითანავა, დეპუტატები — ტარიელ გელანტია, ბაკურ გულუა და გივი თაქთაქიშვილი.

ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ნათქვამი იყო, რომ სსრკ-ის სტრუქტურებისგან სრული დამოუკიდებლობის მიღწევის გარდა უნდა მომხდარიყო სისტემის სრული ინვენტარიზაცია, არსებული რესურსების რაციონალური განანილება, ასევე, საზღვარგარეთის ქვეყნებთან პირდაპირი კავშირების დამყარება ამ სფეროში; მართვის ვერტიკალური სტრუქტურების შეცვლა ჰორიზონტალური სტრუქტურებით. უნდა შექმნილიყო ერთიანი რესპუბლიკური საინფორმაციო ბანკი; უნდა მიღწეულიყო სამედიცინო დაწესებულებათა მრავალგვაროვნება (სახელმწიფო, სადაზღვევო, კომერციული), ასევე, სახელმწიფო და კერძო დაწესებულებების თანასწორუფლებიანი თანაარსებობა. სახელმწიფო ბიუჯე-

ტიდან ჯანდაცვაზე გამოყოფილი სახსრების ზრდა, ასევე, დაფინანსების დამატებითი წყაროების ძიება; სადაზღვევო სამედიცინო სისტემაზე გადასვლა; პირდაპირი კავშირი უნდა დამყარებულიყო მომსახურების ხარისხსა და სამედიცინო პერსონალის შრომით ანაზღაურებას შორის, ასევე, უნდა მომხდარიყო ჯანმრთელობის დაცვის გამართული კანონმდებლობის შექმნა.

განათლების სფეროში აღნიშნული იყო, რომ ამ სისტემის შინაარსი უნდა დაფუძნებოდა ეროვნულობას, ქართული კულტურის, ქრისტიანული რელიგიის, მშობლიური გარემოსა და ტრადიციების გათავისებას, ზოგადად ჰუმანიზაციას, სასკოლო დისციპლინისადმი პასუხისმგებლობის ამაღლებას. აქვე არის ასეთი ფრაზა: „სკოლა ყოველი მოსწავლის პიროვნული განუმეორებლობის სრულყოფისა და შენარჩუნებისთვის უნდა ზრუნავდეს".[477] განათლების ციკლის მდგენელი უნდა ყოფილიყო სკოლამდელი აღზრდა, დაწყებითი და საშუალო სკოლა, სხვადასხვა პროფილური სასწავლებელი, გიმნაზიები, კოლეჯები, უმაღლესი სასწავლებლები. სახელმწიფო არ უნდა ყოფილიყო განათლების სისტემის ერთადერთი დამფინანსებელი და მაკონტროლებელი.

კულტურისა და ხელოვნების დარგში უმთავრეს ამოცანად დასახულია ქრისტიანული სარწმუნოების სულიერ კოდექსზე დამყარებული ქართული კულტურული მემკვიდრეობის, მისი ესთეტიკური და ეთიკური ფასეულობების, მათი განუმეორებლობის შენარჩუნება, რამაც საქართველოს ღირსეული ადგილი უნდა დაუმკვიდროს მსოფლიოს ერთა შორის. აქვე აღნიშნული იყო, რომ, ქართული და აფხაზური კულტურების დაცვისა და განვითარებისთვის აუცილებელი სამართლებრივი საფუძვლების შექმნის პარალელურად, უნდა დამუშავებულიყო საქართველოში მცხოვრები ყველა ხალხის წარმომადგენელთა კულტურული ტრადიციის სამართლებრივი გარანტიები, საქართველოს ისტორიული მხარეების თვითმყოფადი კულტურის შენარჩუნებისთვის საჭირო საფუძვლები. სახელმწიფოს და მის ინსტიტუტებს ხელი უნდა შეეწყოთ ქართული კულტურის განვითარებისა და საერთაშორისო ასპარეზზე გატანისათვის, მსოფლიოში ხელოვნების წამყვან სკოლებსა და მიმართულებებთან უშუალო კონტაქტების დამყარებისთვის. ქართული კულტურის თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად უნდა შექმნილიყო ფილტრები მასობრივი ფსევდოკულტურის ელემენტებით დანაგვიანებისგან დასაცავად. ასევე უნდა შემუშავებულიყო ძეგლთა დაცვის განახლებული პროგრამა, უნდა გაზრდილიყო მათი მოვლისთვის დაწესებული ბიუჯეტიც.

დემოგრაფიასთან დაკავშირებით პროგრამაში აღნიშნულია, რომ საქართველოს წინააღმდეგ მიმართულმა დივერსიებმა შექმნა დემოგრაფიული დისბალანსი, რომელმაც დააზიანა როგორც ქართველები, ისე აფხაზები, როგორც საქართველოს მკვიდრი ორი ხალხი, რამაც დაძაბა ურთიერთობა საქართველოში. ამ კონტექსტში მისაღებია კანონი მიგრაციის შესახებ. დროთა განმავლობაში უნდა მოხდეს, ასევე, ჭარბად დასახლებული რეგიონებიდან მოსახლეობის გადინების ხელშეწყობა მეჩხერად დასახლებულ რეგიონებში. მსურველთ უნდა

გაეწიოთ სახელმწიფო დახმარება, მათ უნდა გამოეყოთ გრძელვადიანი კრედიტები, ხელი უნდა შეეწყოს სტიქიისგან დაზარალებული მოსახლეობის მოთხოვნათა დაკმაყოფილებას. პრიორიტეტული უნდა გახდეს მცირე და საშუალო ზომის ქალაქების განვითარება, ხოლო დემოგრაფიული პოლიტიკის ერთ-ერთი მიმართულება უნდა იყოს დახმარება ახალგაზრდა მრავალშვილიანი ოჯახებისთვის.

ტურიზმსა და სპორტთან მიმართებით ნათქვამია, რომ ხელი უნდა შეეწყოს რეკრეაციულ-ტურისტული კომპლექსების განვითარებას, რაც ამავდროულად კარგი საფუძველი იქნებოდა როგორც უცხოური ვალუტის მოზიდვისა, ისე ცივილიზებულ მსოფლიოსთან კულტურული და საქმიანი თანამშრომლობის საწყისების შექმნისთვის. მართალია, სპორტის პოლიტიზება არ უნდა მომხდარიყო, თუმცა ფაქტია ისიც, რომ საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის კვალობაზე პირველად სწორედ ქართული სპორტის წარმომადგენლებმა შეიგრძნეს დამოუკიდებლობისა და თავისუფლების სურნელი. ამ გადაწყვეტილებების მიღება დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული.

ბუნების დაცვა და ეკოლოგია ასევე ცალკეა პროგრამაში წარმოდგენილი. ნათქვამია, რომ ახალმა კანონმდებლობამ უნდა გამორიცხოს გიგანტური ჰესებისა და გრანდიოზული წყალსაცავების მშენებლობა, ასევე, ატომური ელექტროსადგურების, ისევე როგორც გარემოსთვის მავნე საწარმოების, აგება. სოფლის მეურნეობაში უპირატესი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ნიადაგდამცავი ტექნოლოგიების გამოყენებას, პროდუქტების მოყვანას არაორგანული სასუქებისა და პესტიციდების გამოყენების გარეშე, სოფლის მეურნეობაში ბიოლინამიკური მეთოდით მიღებულ პროდუქტს. ასეთი პროდუქციის მწარმოებლებისთვის უნდა დაწესებულიყო შეღავათიანი გადასახადები და კრედიტები. ხოლო ეკოლოგიის სფეროში სამართალშემოქმედებითი საქმიანობა მიმართული უნდა ყოფილიყო არა მარტო ბუნების დაცვისკენ, არამედ ისეთი ტრადიციული ყოფითი გარემოს აღდგენა-შენარჩუნებისკენ, რომელმაც ქართული ცნობიერება ჩამოაყალიბა.[478]

სხვათა შორის, ზეიად გამსახურდიასთვის არც კულტურული თვალსაზრისით ყოფილა უნაყოფო 1991 წელი: გამოიცა მისი ორი წიგნი – სრული ვერსია შარლ ბოლდერის მის მიერ ფრანგულიდან თარგმნილი კრებულისა „ლექსები პროზად“, რომლის ცალკეული ნაწილებიც მანამდე სხვადასხვა სალიტერატურო პერიოდიკაში ჰქონდა გამოქვეყნებული და „ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება“, როგორც ერთგვარი შეჯამება შოთა რუსთაველის პოემის ტექსტზე მრავალწლიანი მუშაობისა. ეს კლევა, ცხადია, მხოლოდ ფილოლოგიურ ჩარჩოში არ ეტევა და სრულიად ინტერდისციპლინარულია: პოემა განხილულია ფართო კულტურული და. ისტორიული კონტექსტების შუქჭრილში. ამ წიგნის საფუძველზე ავტორს თვრამეტი კომპეტენტური პირისგან შედგენილი აკადემიური სამეცნიერო საბჭოს მიერ მიენიჭა საპატიო დოქტორის წოდება 1991 წლის 25 ნოემბერს, რასაც ცალკე თავში შევეხები.

4.14. საპრეზიდენტო არჩევნების წინ: არჩევნები აჭარაში და დამანგრეველი მიწისძვრა

საპრეზიდენტო კამპანია გარკვეული პოლიტიკური მოვლენების ფონზე მიმდინარეობდა. მარტში რუსეთის ფედერაციაში დაიწყო კუზბასის მეშახტეების გაფიცვა. მოსკოვში უზარმაზარი მიტინგები ტარდებოდა, ხოლო სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის მთიანი ყარაბაღის გამო ვითარება იმდენად დაიძაბა, რომ ნამდვილი ომის სიმპტომები გამოიკვეთა. ასეთ სიტუაციაში საქართველოს ხელისუფლებამ აქტიური პოზიციის დაკავება არჩია. სამტრედიაში კვლავ გადაიკეტა რკინიგზა. გაფიცულთა მოთხოვნა იყო, კრემლს შეეწყვიტა დესტრუქციული და აგრესიული ქმედებები შიდა ქართლში, აწ გაუქმებულ „სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში“. ცენტრი ამ გაფიცვას იმდენად არ იმჩნევდა, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ იგი უმტკივნეულო იყო მისთვის. მატარებლების შემადგენლობების ნაწილი აზერბაიჯანზე ისედაც ჩრდილოეთ კავკასიის ხაზით გადაადგილდებოდა, მაგრამ სომხეთი განსაკუთრებით ზარალდებოდა რკინიგზის ასეთი გადაკეტვით.

ამავე დროს, ეს იყო 1991 წლის მარტის მეორე ნახევარი – უზენაეს საბჭოში განიხილავდნენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი ხელმძღვანელის საკითხს. კანდიდატურა ორი ჩანდა: ერთი იყო თენგიზ ხახვა, გ. გუმბარიძის დროიდან აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი და უზენაესი საბჭოს წევრი კომუნისტური პარტიის სიიდან, მეორე კი – ასლან აბაშიძე, დიდი პატრიოტის, მემედ აბაშიძის (1873-1937), შვილიშვილი. მემედ აბაშიძემ დიდი როლი შეასრულა აჭარულ ისლამიზებულ ელიტაში პროქართული განწყობის გაღვივებასა და განმტკიცებაში. მანვე სერიოზული წინააღმდეგობა გაუწია ოსმალეთის იმპერიას, რომელიც ყველანაირი გზებით ცდილობდა, აჭარა საქართველოსთვის არ დაეთმო.

ამ საკითხზე გუნდის შიგნით ერთიანი აზრი იმთავითვე არ ყოფილა. თავდაცვის კომისიის თავმჯდომარემ, ვაჟა ადამიამ, მაგალითად, ხახვას დაუჭირა მხარი, განაცხადა რა, რომ ხახვა ლაზური წარმოშობისაა და მომავალში თურქეთის ქართველობის გადმობირებაში გამოგვადგებაო. გადამწყვეტი აღმოჩნდა ზვიად გამსახურდიას პოზიცია, რომელმაც ასლან აბაშიძეს დაუჭირა მხარი და იგი დაინიშნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად. თავად არჩევნები კი იმავე წლის ივლისისთვის ჩაინიშნა. ისე ჩანდა, რომ ასლან აბაშიძის კანდიდატურა იყო სტაბილურობის ყველაზე დიდი გარანტი, იგი სრულიად დეიდეოლოგიზებული და პრაგმატული პერსონა ჩანდა, რომელიც, შესაძლოა, გამხდარიყო ყველაზე მისაღები ფიგურა აჭარის რეგიონული ელიტარული ჯგუფებისთვის. ფიგურა, რომელიც ამავე დროს იქნებოდა როგორც ხსენებული ელიტის, ისე თბილისის ცენტრალური ხელისუფლების კონსენსუსის შედეგი. მას თავისთავად შეეძლო გადაეწონა კომუნისტური დაჯგუფება აჭარაში, რომელიც ხახვას გვერდზე გაწევის შემთხვევა-

ში მზად იქნებოდა საკუთარი კანდიდატის წინ წამოსაწევად და, თუ საჭიროება მოითხოვდა, არც დესტაბილიზაციას მოერიდებოდა. აჭარაში საკმაოდ ძლიერი იყო საბჭოური და კომუნისტური გავლენები. თუმცა ამ ამბავს მძიმე კონფლიქტის გარეშე მაინც არ ჩაუვლია. ასლან აბაშიძის მოადგილედ მოიაზრებოდა ნოდარ იმნაძე, „წმინდა ილია მართლის საზოგადოების“ აქტივისტი, ზვიადი გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას თანამებრძოლი 1988-1990 წლების ბრძოლებში. რასაკვირველია, იგი უკმაყოფილო იყო ისეთი ადამიანის დანიშვნითა და წინ წამოწევით, რომელიც ეროვნული მოძრაობიდან არ მოდიოდა. მათ შორის ურთიერთობებიც საკმაოდ დაიძაბა. მიტინგზე ნოდარ იმნაძემ ასლანი დიქტატორ სადამ ჰუსეინს შეადარა. 1991 წლის 30 აპრილს, გვიან ღამით, ნოდარ იმნაძე ავტომატით შეიარაღებული, ქალიშვილთან ერთად შევიდა ბათუმში, აჭარის უზენაესი საბჭოს შენობაში მდებარე ასლან აბაშიძის კაბინეტში, სადაც იმ დროს, აბაშიძის გარდა, ტრანსპორტის მინისტრის მაშინდელი მოადგილე მურმან ომანიძე და აჭარის უშიშროების მაშინდელი შეფი, გენერალი ანზორ ჯაიანი იმყოფებოდნენ. იმ ჩვენებებში, რომლებიც გენერალმა ჯაიანმა და მურმან ომანიძემ წლების შემდეგ სასამართლოს მისცეს, აღნიშნულია, რომ პირველად სროლა ნოდარ იმნაძემ დაიწყო და აბაშიძე და ომანიძე დაჭრა. საპასუხოდ ისროლეს ჯაიანმა და აბაშიძემ, ბოლოს აბაშიძემ ახლო მანძილიდან გასროლით მოკლა კიდეც დაჭრილი ნოდარ იმნაძე. ნატო იმნაძის თქმით, 25 წლის წინ, მის თვალწინ, ასლან აბაშიძემ უმოწყალოდ დახვრიტა ნოდარ იმნაძე და თავად ამ ფაქტის მოწმე იყო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არც აბაშიძე ყოფილა დაჭრილი და არც ომანიძე. ნოდარ იმნაძის ცხედარი ამ ინციდენტის შემდეგ თბილისში გადმოასვენეს და შესაბამისი პატივით დაკრძალეს.

სისხლის სამართლის საქმე აღიძრა, თუმცა სასამართლო არ შედგა პოლიტიკური მიზანშეუწონლობის გამო, რამდენადაც ამ სენსიტიურ ინციდენტთან დაკავშირებულ პროცესს, შესაძლოა, საკმაოდ მძიმე კონფლიქტი გამოეწვია აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში. ასევე ცხადი გახდა, რომ ასლან აბაშიძემ იმოქმედა (და ეს მოგვიანებით ჩატარებულმა სასამართლომაც დაადასტურა) „აუცილებელი მოგერიების“ ფარგლებში.

ცალსახაა, რომ ნოდარ იმნაძე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეალების ერთგული ადამიანი იყო, თუმცა თავისი სულისკვეთებისა და წარსული გამოცდილებიდან გამომდინარე, მას გაუჭირდებოდა აჭარის ისე მართვა, რომ მძიმე დესტაბილიზაცია და ინციდენტები თავიდან ყოფილიყო არიდებული. ის ელიტა, რომელსაც აჭარაში გაბატონებული პოზიციები ეპყრა, როგორც სხვადასხვა ბერკეტის, ისე ფინანსური რესურსის საშუალებით, რასაკვირველია, კონფლიქტში შევიდოდა ნოდარ იმნაძესთან. ეს კი თბილისთანაც, ბუნებრივია, დაძაბავდა ურთიერთობას. თუმცა ასეთი მძიმე, ტრაგიკული შედეგის დადგომას ვერც ზვიადი და ვერც ვერავინ წარმოიდგენდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, საერთოდ გამოარიდებდნენ ნოდარ იმნაძეს იქაურობას და თბილისში დაასაქმებდნენ. აბაშიძის შემთხვევაში კი სხვა სურათი იხატებოდა. დ. გამ-

ცემლიძე სწორად აღნიშნავს, რომ ასლან აბაშიძე აჭარაში თავიდანვე აღიქვეს იმ პოლიტიკის მიმდევრად, რომელსაც შემდგომ მრავალი წლის განმავლობაში ატარებდა.[479]

ამის შემდეგ 23 ივნისს ჩატარდა არჩევნების პირველი ტური, ხოლო 10 ივლისს – მეორე ტური მაჟორიტარებისთვის. ასლან აბაშიძე საბოლოოდ დამტკიცდა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ. ასლან აბაშიძემ ერთი თუ ორი ხმით გადაწონა თავისი კონკურენტი, როსტომ დოლიძე. საერთოდ, ეს არჩევანი იურიდიულად აბლანდული იყო, რამდენადაც უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს პირი, რომელიც საერთოდ არ იყო აჭარის უზენაესი საბჭოს დეპუტატი. ასლან აბაშიძის არჩევა ჰგავდა არა საკანონმდებლო ხელისუფლების, არამედ აღმასრულებელი ხელისუფლების პირველი პირის დამტკიცებას ან მისთვის ნდობის ვოტუმის მიცემას. ზოგადადაც, ის უფრო აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელს ჰგავდა თავისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროფილით, ვიდრე კანონმდებელს. კარგი იქნებოდა, რომ მანამდე თბილისში მომხდარიყო საკონსტიტუციო ცვლილების ინიცირება და აჭარაში შემოეღოთ ისეთივე პრემიერის პოსტი, როგორიც არის, თუნდაც, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სხვადასხვა მიწაზე. მაშინ ყველაფერი იურიდიულადაც გამართული იქნებოდა, მაგრამ ასეთი საკანონმდებლო ცვლილებების დრო აღარ იყო, ყველაფერი ფორსმაჟორულ სიტუაციაში მიდიოდა.

1991 წლის 29 აპრილს, დაახლოებით, 13 საათსა და 13 წუთზე დასავლეთ საქართველოში მოხდა მიწისძვრა, რომლის მაგნიტუდა იყო 6,9, ხოლო ინტენსივობა ცენტრში – 9 ბალი. მისი ეპიცენტრი რაჭისა და იმერეთის მაღალმთიან სოფლებში მდებარეობდა. ამ მიწისძვრის შედეგად დაინგრა და დაზიანდა რაჭისა და ზემო იმერეთის ქალაქები, დაბები და სოფლები. ახლად დაფუძნებული ქართული სახელმწიფოსთვის ეს დიდი გამოწვევა იყო, თუმცა მისი ხელმძღვანელობა არ დაბნეულა. თბილისში მაშინვე შეიქმნა მიწიძვრის შედეგების ლიკვიდაციის ცენტრალური შტაბი, რომელშიც პირადად ჩაერთო პრეზიდენტი. ცოტა მოგვიანებით დაზარალებული კუთხეების რაიონულ ცენტრებში შეიქმნა აღდგენითი სამუშაოების ადგილობრივი შტაბები. აღდგენის საქმე თავის თავზე აიღო „კავგვირაბმშენმა“, რომელსაც ხელმძღვანელობდა უნარიანი და ენერგიული მენეჯერი ავთანდილ ჩალაძე. მისი თქმით, მარტო ონის რაიონში ხუთი ათასამდე სახლი იყო აღსადგენი. დაახლოებით, იგივე სურათი იყო ამბროლაურის, საჩხერისა და ჭიათურის რაიონებში.

პრეზიდენტი რამდენიმეჯერ ჩავიდა დაზარალებულ რაიონებში და შეხვდა მოსახლეობას. მიწისძვრამ დააზიანა ან დაანგრია 46 000 შენობა. მაშინდელი დაანგარიშებით, მსხვერპლი 114-270 ადამიანით განისაზღვრა. ზარალი კი იმდროინდელი სავალუტო კურსით 100 მილიონ მანეთს აჭარბებდა. მიწისძვრის შედეგები 700 სოფელზე გავრცელდა. შენობების აღდგენის გარდა უნდა მოწესრიგებულიყო ინფრასტრუქტურა, კომუნიკაციები, მისასვლელი გზები, წყალმომარაგება და ა. შ.[480] მიწისძვრის შემდეგ ბიძგები ერთხანს კიდევ გრძელდე-

ბოდა. ბოლო ძლიერი ბიძგი 15 ივნისს აღნუსხეს. დაინგრა ასევე ისტორიული ძეგლები – მაგალითად, შუა საუკუნეების ჯრუჭის მონასტერი საჩხერის რაიონში, ასევე მრავალძალის ეკლესია რაჭაში. ბანკში გაიხსნა ანგარიშები, სადაც უამრავმა ადამიანმა გადარიცხა თანხები, დაიძრა ჰუმანიტარული დახმარებები, დაზარალებულ რეგიონებში ჩაჰქონდათ მედიკამენტები, სურსათ-სანოვაგე, კარვები. საქართველოს სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობის მისაღებად მომზადდა. ამავე დროს თბილისიდან დაზარალებულ რაიონებს უწყვეტ რეჟიმში მიეწოდებოდა სამშენებლო მასალები – ცემენტი, აგური, სამშენებლო ბლოკი, რკინისა და ხის მასალა და ა. შ. რესპუბლიკის მარაგები სრულად გაიხსნა.

ზვიად გამსახურდიამ ბოლოს კიდევ ერთხელ მოიარა მინისძვრით დაზიანებული რაიონები. „ყველაფერს ავაშენებთ. ყველანაირ დახმარებას გაგიწევთ", – იყო მისი გზავნილი. – „მადლობა ღმერთს, რომ უფრო დიდი მსხვერპლი არ არის". სამუშაოების ტემპი ზაფხულშიც არ დავარდნილა, სექტემბრისთვის ძირითადი აღდგენითი სამუშაოების უმეტესობა შესრულებული იყო, რამაც მინისძვრით დაზარალებულ მოსახლეობას თავიანთ სახლებში დაბრუნების საშუალება მისცა. საჩხერელი ექიმი ოქროპირ სადუნიშვილი იგონებს ზვიად გამსახურდიასთან შეხვედრას საჩხერეში, მინისძვრიდან სულ რამდენიმე საათში, როდესაც პრეზიდენტი სასწრაფოდ ჩამოვიდა კატასტროფის ზონაში. ჯერ ადგილობრივ მაცხოვრებელთა ჯგუფი გამოკითხა ნგრევის მასშტაბებზე, შემდეგ ბრძანება გასცა: „ეროვნული გვარდიის ნაწილები დაუყოვნებლივ ჩაერთონ აღდგენით სამუშაოებში. იმერეთმა და რაჭამ უნდა აღიდგინოს პირვანდელი სახე". მცირე პაუზის შემდეგ კი დაამატა: „უკეთესად რატომ არ უნდა ავაშენოთ?"

4.15. საპრეზიდენტო არჩევნები

საპრეზიდენტო არჩევნები საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების შემდეგ, წესით, დემოკრატიისა და პოლიტიკური კულტურის ახალ ეტაპზე ასვლის ნიშანსვეტი უნდა გამხდარიყო. სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა, მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი თითქოს ნორმალურად ჩატარდა. იყო საპრეზიდენტო კამპანია, იყვნენ კანდიდატები თავიანთი პლატფორმებით, საარჩევნო პროცედურებიც წესისა და რიგის მიხედვით ჩატარდა. ამ ყოველივემ გარკვეული სიმძიმე და უსიამო მოვლენების მოლოდინის ყრუ წინათგრძნობა დატოვა. გამართული დისკუსიების თემები იყო სამაჩაბლო, აფხაზეთი, დამოუკიდებლობისკენ აღებული გეზი, გადაწყვეტილებების მიღების წესი და ა. შ. ამასთანავე, მიდიოდა გამუდმებული კრიტიკა და ძაგება ზვიად გამსახურდიას პიროვნებისა. მას განიხილავდნენ, როგორც ემოციურ, გაუწონასწორებელ, დაკავებული თანამდებობისთვის შეუფერებელ პიროვნებას, რომელიც სხვების აზრს არც უსმენდა, არც ითვალისწინებდა. რამდენად სამართლიანი იყო

ეს კრიტიკა, ეს ცალკე საკითხია. რჩებოდა ისეთი შთაბეჭდილება, რომ ხუთივე საპრეზიდენტო კანდიდატი – ჯ. მიქელაძე, ი. შენგელაია, ნ. ნათაძე, თ. კვაჭანტირაძე და ვ. ადვაძე მარტო საპრეზიდენტო არჩევნებისთვის კი არ უწევდნენ ოპონირებას ყველაზე რეალურ კონკურენტს, არამედ მომავალი დაპირისპირებისთვის გარკვეულ პლატფორმას ქმნიდნენ. შესაძლოა, არც ზვიად გამსახურდიას პასუხები და განცხადებებიც ამ ბრალდებებზე, ხშირად, არ ყოფილა თავაზიანი და ვერ წვდებოდნენ პოლიტიკური კორექტულობის თუნდაც საშუალო თამასას, რომელიც იმდროინდელ საქართველოში არც არსებულა. ამის გამო საპრეზიდენტო დებატები არ შედგა. დ. შველიძე წერს: „პრეზიდენტობის კანდიდატებისა და მათი მხარდამჭერების მიერ ზვიად გამსახურდიას კრიტიკა გარეგნულად უფრო კორექტულ ფორმას ატარებდა, მაგრამ ისმოდა მძიმე პოლიტიკური ბრალდებებიც, გადაჭარბებული, უკიდურესი კვალიფიკაციები, უზუსტო და გამიზნული შეფასებები, რომლებსაც საბოლოო შედეგად ზვიად გამსახურდიას, როგორც პოლიტიკური ლიდერის, იმიჯის დანგრევა უნდა მოჰყოლოდა. გარეგნულად და ფორმალურად გამსახურდიასადმი კრიტიკა თითქოს კორექტულ სახეს ატარებდა, მაგრამ შინაარსობრივად იგი დაუმსახურებელი და ცილისმწამებლური ბრალდებების მატარებელი იყო“.[481]

1991 წლის 26 მაისს, პირველად საქართველოს ისტორიაში, გაიმართა დემოკრატიული წესით ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნები. ამ არჩევნებში ზვიად გამსახურდიას აქტიური ამომრჩევლის 87,03-მა პროცენტმა დაუჭირა მხარი. ოფიციალური შედეგების მიხდევით, 7,17-მა პროცენტმა ვალერიან ადვაძეს დაუჭირა მხარი, 1,58-მა პროცენტმა – ჯიმი მიქელაძეს, 1,14-მა პროცენტმა – ნოდარ ნათაძეს, 0,88-მა პროცენტმა – ირაკლი შენგელაიას, 0,25-მა პროცენტმა კი – თამაზ კვაჭანტირაძეს. ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა 3 594 810 იყო. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 2 978 247 ამორჩეველმა. ზვიად გამსახურდიამ დამაჯერებლად გაიმარჯვა თბილისში, სოხუმსა და ბათუმში. არჩევნები ვერ ჩატარდა ტყვარჩელში, ცხინვალსა და ჯავაში, რამდენადაც ამ სამ ქალაქში არჩევნების ორგანიზების პირობები არ ყოფილა. პრეზიდენტმა ხმების დიდი რაოდენობა მიიღო ასევე საჩხერესა და ჭიათურაში, მიწისძვრით დაზარალებულ რაიონებში. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ წერდა: „მიწისძვრით დაზარალებული ამომრჩევლები, 26 მაისს ერთსულოვნად დარაზმულნი, ზოგი ძაძებით, მაინც სიყვარულისა და სიხარულის დიდი გრძნობით აძლევდა ხმას ჩვენი რესპუბლიკის პრეზიდენტობის კანდიდატს ბატონ ზვიად გამსახურდიას, რომელიც ერთ-ერთი პირველი ჩამოვიდა იმ ავებედით დღეებში მიწისძვრით დაზარალებულ საჩხერესა და ჭიათურაში. ზვიად გამსახურდიას პირადი დამსახურებაა ის უპრეცედენტო შემთხვევა არათუ კავშირის ისტორიაში, არამედ სხვაგანაც, როცა გადაწყდა, რომ საქართველოში შეწყდება ყოველგვარი სამშენებლო სამუშაოები, სანამ არ აღადგენენ მიწისძვრით დანგრეულ და დაზიანებულ ნაგებობებს. მან ფეხით მოიარა დანგრეული რეგიონები და უსამძიმრებდა მოსახლეობას ამ დიდ ტრაგედიას. ასეთი თანადგომა და მათი სატკივრის გაზი-

არება მოსახლეობას არ უგრძვნია სხვა კანდიდატებისგან. ამან განაპირობა ის დიდი სიყვარული და მხარდაჭერა, რომელიც ზვიად გამსახურდიამ დაიმსახურა. საჩხერის რაიონის საარჩევნო უბნებში გამოცხადებული 27 796 ამომრჩევლიდან მას ხმა მისცა 25 565 მოქალაქემ, ანუ 92-მა პროცენტმა, ხოლო ჭიათურის საარჩევნო უბნებში გამოცხადებული 37 740 ამომრჩევლიდან მას ხმა მისცა 32 433-მა მოქალაქემ ანუ 86-მა პროცენტმა".[482]

არჩევნების დღეს შედგა ისტორიული აღლუმი თბილისში, ბორის პაიჭაძის სახელობის დინამოს სტადიონზე, რომელშიც ახალშექმნილი პირველი და მეორე გვარდიული ბრიგადების, დაახლოებით, 10 ათასამდე ოფიცერმა და ჯარისკაცმა მიიღო მონაწილეობა. მანამდე, იმავე წლის 30 აპრილს, საქართველოში გამოცხადდა პირველი საგაზაფხულო გაწვევა, რომლის დროსაც გაიწვიეს 18-დან 25 წლამდე მოქალაქეები. თავიდან ფიქრობდნენ, რომ გვარდიაში სამსახურისთვის გამოცხადდებოდა 800 წვევამდელი, მაგრამ მოულოდნელად მათი რიცხვი 8000-მდე ავიდა. იმ სამხედროებს შორის, რომლებიც შევიდნენ ეროვნულ გვარდიაში, იყვნენ საბჭოთა ჯარიდან წამოსული პროფესიონალი სამხედროები. რაც შეეხება სამხედრო ტექნიკას, გვარდიის პირველად ბირთვს ბევრი არ ჰქონია – ეს იყო რამდენიმე ჯავშანტრანსპორტიორი, ერთი ჰაუბიცა და ზვავსაწინააღმდეგო სამსახურიდან მობილიზებული რამდენიმე საზენიტო ტიპის ზარბაზანი. პირველი ეროვნული სამხედრო აღლუმის სარდლის, პოლკოვნიკ ავთანდილ ცქიტიშვილის, გადაწყვეტილებით აღლუმმა მძიმე სამხედრო ტექნიკის გარეშე ჩაიარა, რაც სავსებით გასაგებია. სტადიონზე მხოლოდ ცხენოსანთა მცირე რაზმი იქნა გამოყვანილი. მთავარსარდალს პირველმა ეროვნული გვარდიის მთავარი სამმართველოს უფროსმა, პოლკოვნიკმა გოგი პაპავაძემ, მიმართა, აღლუმის სარდალს კი პრეზიდენტმა ოფიციალურად გადასცა გვარდიის დროშა. სტადიონის ტაბლოზე ანთებული იყო წარწერა – „ეროვნულ გვარდიას დიდება!". აღმოსავლეთ ტრიბუნაზე კი ეროვნული გვარდიის სიმბოლო – წმინდა გიორგის გამოსახულება განათდა. პირველად 70-წლიანი კომუნისტური ოკუპაციის შემდეგ, ქართველმა გვარდიელებმა ფიცი საკუთარი სამშობლოს სამსახურისთვის დადეს.[483]

საპრეზიდენტო ინაუგურაცია გაიმართა 1991 წლის 12 ივნისს, სადაც რესპუბლიკის პრეზიდენტმა დადო ფიცი: „ძვირფასო მეგობრებო, ქართველმა ხალხმა, საქართველოს მოსახლეობამ ღირსმყო დავიკავო ესოდენ მაღალი თანამდებობა პრეზიდენტისა, რაც მავალებს, საჯაროდ წარმოვთქვა ფიცი: „ვფიცავ და საზეიმოდ ვაცხადებ ღვთისა და ერის წინაშე, რომ ერთგულად განვახორციელებ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის მოვალეობას; ვიღვაწებ ჩვენი ქვეყნის აღორძინებისა და გაძლიერებისთვის; დავიცავ მის დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას; განუხრელად განვახორციელებ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციასა და კანონებს, დავიცავ ადამიანის უფლებებს. ღმერთი იყოს ჩემი შემწე ყოველივე ამაში" (12. 06. 1991)! ამ ფიცის ერთგვარი გაგრძელება იყო 14 ივლისს, სოფელ მატანში ჩატარებული ეროვნული

გმირის, პოლკოვნიკ ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის, ხსოვნისადმი მიძღვნილი ზეიმი. პრეზიდენტი ოფიციალურ პირებთან ერთად დაესწრო ამ სახალხო დღესასწაულს. გაზეთი „თბილისი“ 1991 წლის 15 ივლისს წერდა, რომ პრეზიდენტმა თავის გამოსვლაში ისაუბრა ქაქუცა ჩოლოყაშვილისა და მისი რაზმის წევრთა დიდ წვლილზე ეროვნული გამოღვიძების საქმეში, თვით ქაქუცას შეუპოვრობასა და სიმამაცეზე. „ვფიცავ ქაქუცას ნაქონ წმინდა დროშას, რომ მასავით სულის ამოსვლამდე ვიბრძოლებ საქართველოს განთავისუფლებისათვის!“ ქაქუცას მშობლიურ სოფელში სამშობლოს ერთგულების ფიცი დადეს ასევე საქართველოს გვარდიელებმა. ნ. გორჯესტანის თქმით, „ეს ღირსშესანიშნავი პიროვნული ტრიუმფი იყო მთელი ცხოვრების განმავლობაში დისიდენტისა, რომელმაც უარი თქვა საბჭოთა სისტემასთან თანამშრომლობაზე, რომელმაც არაერთი პატიმრობა, დამცირება გამოიარა და სხვა მხრივაც გაიღო მსხვერპლი, რომ ენახა თავისი ქვეყნის სუვერენობის მოპოვება. როგორც პრეზიდენტისთვის, ცხადი იყო, რომ დაეკისრა განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ხომალდის გაძღოლისა ძალიან ტურბულენტურ პოლიტიკურ წყლებში. მიუხედავად ამისა, იყო იმედი, რომ ზოგადად დასავლეთისა და განსაკუთრებით აშშ-ის დახმარების იმედით, საქართველო შეძლებდა ნავიგაციას ამ ბობოქარ გარემოში. თავდაპირველი ნიშნები პოზიტიური იყო, რობერტ მაკივენის, რესპუბლიკელი კონგრესმენის მოთხოვით, აშშ-ის დროშა აღიმართა კაპიტოლიუმზე ზვიად გამსახურდიას საქართველოს პრეზიდენტად არჩევის აღსანიშნავად. აშშ-ის კონგრესმა ასევე შესწორება შეიტანა საგარეო დახმარების ავტორიზაციის კანონმდებლობაში, რათა შესაძლებელი გაეხადა დემოკრატიული ქვეყნისთვის აშშ-ის დახმარება რესპუბლიკურ დონეზე“. ეს ცვლილება, ცხადია, კარს ხსნიდა პირდაპირი ამერიკული დახმარებისთვის, რომელიც გვერდს აუვლიდა კრემლს.[484]

4.16. რა ხდებოდა საბჭოთა კავშირში

1991 წლის 27 მაისის პრესკონფერენციაზე, უკვე პრეზიდენტად არჩევის შემდეგ, ზვიად გამსახურდიას დაუსვეს შეკითხვა, აპირებდა თუ არა გორბაჩოვთან შეხვედრას და როდის იგეგმებოდა შეხვედრა ბორის ელცინთან, რაზეც შემდეგი პასუხი გასცა: „მე მგონი, 12 ივნისამდე ბატონ ბორის ელცინთან არ არის მოსალოდნელი ჩემი შეხვედრა, ბატონი გორბაჩოვი ცოტა უცნაურად იქცევა. ის მომხრე იყო ჩვენი შეხვედრისა და აპირებდა ჩემთან დარეკვას. მე რამდენიმე დღეა ველი, მაგრამ ის არ რეკავს. მე დავასკვენი, რომ მუშაობენ რაღაც ძალები, რომელთაც უნდათ ჩემი და გორბაჩოვის შეხვედრის ჩაშლა. მე ასეთ დასკვნას ვაკეთებ. მისმა პრესცენტრმა გააკეთა განცხადება, რომ არავითარი შეხვედრა არ შედგებაო. 20 მაისს მივიღე სამთავრობო დეპეშა, რომელშიც იგი მთხოვდა 24 მაისს მოსკოვში ჩასვლას, მაგრამ მე, რამდენადაც წინასაარჩევნო კამპანია მქონდა, ვერ წავედი მოსკოვში. აი, ახლა ვიკვლევთ ჩვენ – რა პოზიცი-

ას იჭერს გორბაჩოვი ჩვენი შეხვედრის საკითხში. ეს, ალბათ, დღეს გაირკვევა. მე რატომღაც მგონია, რომ ელცინის არჩევნებამდე შეიძლება შეხვედრა არც გორბაჩოვთან მოხერხდეს. თვითონ გორბაჩოვსაც არა აქვს გარკვეული, თუ რა პოზიცია დაიჭიროს, ვთქვათ, ისეთ რესპუბლიკებთან მიმართებით, როგორიც საქართველოა. ეს ყველაფერი რუსეთის პრეზიდენტობის საკითხისა და რუსეთის ფედერაციასთან ცენტრის ურთიერთობების საბოლოოდ გარკვევის შემდეგ გახდება ნათელი. ამაზე ძალიან ბევრი რამაა დამოკიდებული".[485]

1991 წლის დასაწყისიდან საბჭოთა კავშირში მოვლენები როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური მიმართულებით ვითარდებოდა. პირველის მაგალითი იყო, თუნდაც, 1991 წლის 1-ელი იანვრიდან ძალაში შესული კანონი საზოგადოებრივი ორგანიზაციების შესახებ. ამ კანონის მიხედვით პარტიები და სხვა პოლიტიკური ორგანიზაციები შეიძლებოდა დარეგისტრირებული ყოფილიყო სსრკ-ის იუსტიციის სამინისტროს მიერ. სსრკ-ის შენარჩუნების საკითხზე გამართული რეფერენდუმის პარალელურად რუსეთის ფედერაციაში ჩატარდა რეფერენდუმი თემაზე, სურდა თუ არა მოსახლეობას ქვეყნის პრეზიდენტის თანამდებობის შემოღება, რომელსაც პირდაპირი არჩევნებით აირჩევდნენ, რასაც მოსახლეობის 69 პროცენტმა დადებითი პასუხი გასცა.[486] მეორე მხრივ, ნოვო-ოგარიოვოს პროცესს ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე, თავიდანვე ეტყობოდა, რომ წარმატებით ვერ დაგვირგვინდებოდა. ამას კი, წესით, გარკვეული ბნელი, რეგრესულ-კონსერვატიული ძალების გააქტიურება უნდა მოჰყოლოდა. ამიტომაც ზვიად გამსახურდია 13 მაისის პრესკონფერენციაზე უცხოელი ჟურნალისტების შეკითხვაზე, ხომ არ იყო იზოლირებული მიხეილ გორბაჩოვი სამხედროებისა და სუკ-ის მიერ, აცხადებდა: „დიახ, გორბაჩოვი მართლაც მათი გავლენის ქვეშ იმყოფება, მას ამჟამად მართლაც უჭირს ამ გავლენის დაძლევა, მაგრამ მე ვფიქრობ, ამაში მას დასავლეთი, აშშ, გერმანია დაეხმარება. თუ მას დაეხმარებიან, იგი შეძლებს ამ სიტუაციიდან თავის დაღწევას. ბევრი რამ არის დამოკიდებული ბატონ ელცინზეც".[487]

ეს დასკვნა, ცხადია, გარკვეული მოვლენების ანალიზს ეფუძნებოდა, რომელთაც მანამდე ჰქონდა ადგილი. მაგალითად, 1991 წლის 7 იანვარს კრემლმა ახალი სამხედრო ძალები შეიყვანა ლიტვაში, ლატვიაში, ესტონეთში, მოლდოვასა და უკრაინის დასავლეთ ნაწილში. ოფიციალური დასაბუთების მიხედვით ეს ჯარები საჭირო იყო, რათა შესრულებულიყო კანონი სამხედრო ვალდებულების შესახებ. 1990 წლიდან ლიტვაში წვევამდელთა მხოლოდ 12,5 პროცენტი, ხოლო ლატვიასა და ესტონეთში 25 პროცენტი დაემორჩილა ბრძანებას, ემსახურა საბჭოთა არმიის რიგებში. ეს, იმავდროულად, იყო შედეგი ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისა, წვევამდელთა რეგისტრაციის საკითხში ეთანამშრომლათ საბჭოთა არმიასთან. თუმცა ისიც ცხადი იყო, რომ ჯარები ლიტვაში შეიყვანეს არა იმდენად იმისთვის, რომ წვევამდელები შეეგროვებინათ, არამედ დაემხოთ ჯერ ლიტვის ხელისუფლება და, თუ ეს საქმე წარმატებით დაგვირგინდებოდა, სხვაგანაც ეცადათ იგივე. ესტონეთში ჯარების გაგზავნა

შეფერხდა პარლამენტარების, არნო სილარისა და ედგარ სავისაარის ხმამაღალი პროტესტის გამო, ხოლო ლიტვის პრემიერ-მინისტრი კაზიმირა პრუნსკენე შეხვდა გორბაჩოვს, რათა გამოეხატა თავისი პროტესტი ჯარების გადაადგილებასთან დაკავშირებით. გორბაჩოვმა მოუწოდა მას, დაბრუნებულიყო ლიტვაში და თავად დაემყარებინა წესრიგი, რათა საჭირო აღარ გამხდარიყო გარედან ჩარევა.[488]

ვილნიუსის მოვლენები ასე განვითარდა: სურსათზე ფასების გაძვირების შემდეგ, 1991 წლის 8 იანვარს, პოლიტიკურმა გაერთიანება „ედინსტვომ", რომელიც იყო ინტერფრონტის ტიპის ორგანიზაცია და, არსებითად, რესპუბლიკის მეხუთე კოლონა, დემონსტრაცია მოაწყო სეიმასთან (პარლამენტთან). მათ სცადეს პარლამენტის დაკავება, ამასობაში ვიტაუტას ლანდსბერგისმა, სახელმწიფოს მეთაურმა და პალამენტის სპიკერმა, ხალხს მოუწოდა, დაეცვათ არჩეული ხელისუფლება. ხალხის დიდი მასის წინაშე „ედინსტვოს" მომიტინგეებმა უკან დაიხიეს, ხოლო პარალელურად საბჭოთა ჯარებმა ვილნიუსის რკინიგზის სადგური დაიკავეს. პარლამენტმა იმავე დღეს გააუქმა სურსათზე გაზრდილი ფასები, ხოლო პრემიერი კაზიმირა პრუნსკენე გადააყენა.

10 იანვარს გორბაჩოვმა ლიტვის ხელისუფლებას მოუწოდა, დაუყოვნებლივ აღედგინა სსრკ-ის კონსტიტუცია და 1990 წლის 11 მარტიდან მიღებული ანტიკონსტიტუციური აქტები ძალადაკარგულად გამოეცხადებინა. ამის შემდეგ ლანდსბერგისმა და მოტიეკამ, პარლამენტის ვიცე-სპიკერმა, ხალხს მოუწოდეს გამოსულიყვნენ და დაეცვათ პარლამენტი. „დამოუკიდებლობის მოედანი" ხალხით გაივსო, მომიტინგეები ჩამოვიდნენ ასევე ვილნსიუსის მახლობლად მდებარე დასახლებებიდან. კოლაბორაციონისტმა კომუნისტებმა შექმნეს ანონიმური „ლიტვის ეროვნული ხსნის კომიტეტი", რომლის ორი ხელმძღვანელი სახელითა და გვარით იყო ცნობილი — მიკოლას ბურაკიავიჩუსი და იუოზას იერმალავიჩუსი. კომიტეტმა გამოაცხადა ძალაუფლების ხელში აღების შესახებ და საშვეულად მიმართა მოსკოვს. 13 იანვარს მედესანტეებმა „ალფას" სპეცრაზმთან ერთად შეუტიეს რადიოსა და ტელევიზიის შენობასთან შეკრებილ მომიტინგეებს. ამ დღეს თოთხმეტი უიარაღო მომოტინგე დაიღუპა. პარლამენტთან შეკრებილ დიდ მასაზე იერიშის მიტანა კი სამხედროებმა ვერ გაბედეს.[489] ეს უმაგალითო სისხლის ღვრას გამოიწვევდა და სრულიად გაანადგურებდა გორბაჩოვის რენომეს მთელი მსოფლიოს თვალში. ამის გამო კრემლმა უკან დაიხია. 20 იანვარს მასშტაბით ნაკლები, თუმცა შინაარსით იგივე მოვლენები რიგაშიც გათამაშდა — იქაც დემონსტრანტების უზარმაზარი მასა შეიკრიბა პარლამენტის წინ და ბარიკადების აგებას შეუდგა. ომონის ნაწილებმა იმავდროულად სცადეს აეღოთ რადიოს შენობა რიგაში. მათთან შეტაკებისას დაიღუპა ექვსი უიარაღო ადამიანი, რომლებიც შენობას იცავდნენ. ზვიად გამსახურდიამ, რომელიც სსრკ-ის შესანარჩუნებლად დანიშნული რეფერენდუმის ჩაშლითა და ცხინვალის კონფლიქტით გამოწვეული სირთულეების თავიდან აცილებით იყო დაინტერესებული, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის თავმჯდომარეს, ხავიერ პერეს

დე კუელიარს, გაუგზავნა შემდეგი შინაარსის მიმართვა: „გამოვხატავ რა ქართველი ერის ნებას, მაქვს პატივი შეგატყობინოთ, რომ ჩვენ მთლიანად ვიზიარებთ შეხედულებებსა და პოზიციას, რაც გამოხატული იყო ბალტიის რესპუბლიკებისა და რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოების თავმჯდომარეთა 1991 წლის 13 იანვრის მიმართვაში. შესაბამისად ამისა, მომეცით უფლება, თქვენო აღმატებულებავ, ვითვლებოდე ამ უაღრესად მნიშვნელოვანი დოკუმენტის კიდევ ერთ ხელმომწერად“.[490] ამ მიმართვის ხელმომწერები (ელცინი, ლანდსბერგისი, გორბუნოვი და რიუიტელი) ითხოვდნენ გაეროს ეგიდით სპეციალური კონფერენციის მოწვევას ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში მომხდარი ესკალაციის გამო.

15 იანვარს კი ვილნიუსში საქართველოდან ჩავიდა საგარეო ურთიერთობათა საპარლამენტო კომისიის წევრი ორი დეპუტატი – მერაბ ურიდია და ირაკლი მელაშვილი, რომელთაც მომხდარის გამო საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარისა და მთელი პარლამენტის სახელით სამძიმარი გამოუცხადეს რესპუბლიკის პოლიტიკურ ხელმძღვანელობასა და ლიტველ ხალხს.[491] ზვიად გამსახურდიამ მალე ასეთი განცხადებაც გააკეთა პრესკონფერენციაზე, როდესაც შეახსენეს, რომ ახლოვდებოდა 11 მარტი, ლიტვის დამოკიდებლობის წლისთავი: „აუცილებლად გავუგზავნით მილოცვას ამ დიდმნიშვნელოვან თარიღთან დაკავშირებით. ეს შეახსენებს მსოფლიოს, რომ საბჭოთა კავშირში გაერთიანებული არიან იარაღის ძალით ანექსირებული ქვეყნები, რომლებსაც დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში დასავლეთის ქვეყნებიც უნდა დაეხმარონ, რასაც ხშირად ივიწყებენ“.[492] მიმართვა ვ. ლანდსბერგისის სახელზე მართლაც გაიგზავნა და მასში ეწერა: „თქვენო აღმატებულებავ! ქართველი ერის სახელით გილოცავთ თქვენ და თქვენი სახით მთელ ლიტველ ხალხს ლიტვის სახელმწიფოს აღდგენის შესახებ ლიტვის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს აქტის მიღების წლისთავს. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი რესპუბლიკების მეგობრული ურთიერთობა კვლავაც განვითარდება ჩვენი ხალხების ინტერესებისა და მისწრაფებების შესაბამისად“. იანვრიდან მოყოლებული ხალხმრავალი დემონსტრანციების ტალღამ გადაუარა სსრკ-ის ქალაქებს: ლენინგრადს, პერმს, კრასნოდარს, დონის როსტოვს, ომსკს, სამარას, სვერდლოვსკს, ირკუტსკსა და ვორონეჟს – რუსეთში; კიევს, ოდესას, ტერნოპოლს, ლვოვს, ჩერნიგოვს, ხარკოვს, ივანო-ფრანკოვსკს, ლუგანსკსა და სიმფეროპოლს – უკრაინაში; კიშინიოვს – მოლდოვაში.[493]

თუმცა ყველაფრის პიკი მაინც იყო 1991 წლის 4 მარტს გამართული მიტინგი მოსკოვში, რომელშიც, სხვადასხვა შეფასების მიხედვით, დაახლოებით 300 000-მა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. იგი „დემროსიის“ მიერ იყო ორგანიზებული და მისი უმთავრესი მოთხოვნა გორბაჩოვის გადადგომა იყო. ამასობაში, 17 იანვარს სპარსეთის ყურეში დაიწყო საბრძოლო მოქმედებები. აშშ-მ და მისმა პარტნიორებმა დაიწყეს საბრძოლო მოქმედებები ერაყის წინააღმდეგ. ბრძოლები გაგრძელდა 28 თებერვლამდე, ვიდრე მხარეები ცეცხლის შეწყვეტაზე არ შეთანხმდნენ. 1990 წლის 8 დეკემბერს გამართულ პრესკონფერენციაზე

საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ შეკითხვაზე, თუ რა გავლენას ახდენდა მათზე დასავლეთისა და ერაყის კონფლიქტი, ასეთი პასუხი გასცა: „ერაყ-ქუვეითის პრობლემამ კიდევ უფრო დააახლოვა დასავლეთი და სსრკ, და ისიც უნდა ვთქვათ, რომ ჩვენი პოზიციებიც გააძლიერა, ვინაიდან ამ სიტუაციაში კავკასიაში სტაბილურობა აუცილებელი ხდება, როგორც ერთი, ისე მეორე მხარისთვის. არ დაგიმალავთ, რომ უკვე შეერთებული შტატები დასვამენ საკითხს თბილისში საკონსულოს გახსნის შესახებ. არის ლაპარაკი სამხედრო ჰოსპიტლების მშენებლობაზე ამერიკის დაჭრილებისთვის დახმარების საჭიროების შემთხვევაში“. ხოლო შეკითხვას, საქართველო ხომ არ გახდება ბუფერული სახელმწიფოო, ასე უპასუხა: „არა, საქართველო ბუფერის როლში არ გამოდგება. იგი შეიძლება პლაცდარმი გახდეს. საქართველოში სტაბილურობის აუცილებლობით არის გამოწვეული იმპერიის ორგვარი დამოკიდებულება ჩვენდამი – თან ბლოკადით გვახრჩობს, თან კეთილგანწყობასაც ავლენს. ფრთხილი პოლიტიკა აქვს. დასავლეთის ქვეყნებიც, მე მგონი, დაინტერესებულნი არიან კავკასიაში სტაბილურობით“.[494]

1991 წლის 12 ივნისს რუსეთის ფედერაციაში ჩატარდა პირველი საპრეზიდენტო არჩევნები. როგორც მოსალოდნელი იყო, მასში გაიმარჯვა ბორის ელცინმა, რომელმაც საკმაოდ დამაჯერებლად მოუგო კონკურენტებს. არცთუ მცირე რაოდენობის ხმები – 6 მილიონი ამომრჩევლის მხარდაჭერა – მოაგროვა ვლადიმირ ჟირინოვსკიმ, რუსმა ულტრაშოვინისტმა. ელცინის ინაუგურაციის საზეიმო ცერემონია კრემლის ყრილობათა დიდ სასახლეში გაიმართა. მისასალმებელი სიტყვა ოლეგ ბასილაშვილმა წარმოთქვა. ზვიად გამსახურდია მოსკოვში ჩავიდა და ამ ინაუგურაციას დაესწრო. ბანკეტზე, რომელსაც პოსტსაბჭოთა სივრცის ლიდერებიც დაესწრნენ, ახალარჩეულმა ბორის ელცინმა საქართველოს პრეზიდენტს თამადობა სთხოვა, რაზეც ზვიად გამსახურდია დათანხმდა და გაუძღვა ნადიმს. წარმოთქმულ სადღეგრძელოებში მან ისურვა მჭიდრო, მეგობრული, თანამშრომლობასა და კეთილმეზობლურ პოლიტიკაზე აგებული ურთიერთობები რუსეთსა და საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკას შორის, ბატონისა და მონის, უფროსისა და უმცროსი ძმების, მჩაგვრელისა და ჩაგრულის გარეშე. როდესაც ნადიმი დასასრულს მიუახლოვდა, ზვიად გამსახურდიამ მასპინძელსა და სტუმრებს შესთავაზა ქართული სუფრისთვის დამახასიათებელი ბოლო სადღეგრძელო: „ყოვლადწმინდას გაუმარჯოს, ბორის ნიკოლოზის ძეს, როგორც ჩვენთან იტყვიან“, – უთხრა მასპინძელს. ელცინი, რომელიც უკვე გვარიანად შეზარხოშებული იყო, ფეხზე წამოდგა, ჭიქა ასწია და თქვა: „არა. მოდით გაუმარჯოს წარმატებულ აფრენას და საიმედოდ დაჯდომას“.

ყარაბაღის კონფლიქტი ზაფხულშიც არ შენელებულა, თუმცა ნამდვილი ესკალაცია მაინც შემოდგომაზე დაიწყო. თბილისში ყოველთვის არსებობდა აზრი, რომ საქართველოს შეეძლო თავზე აეღო შუამავლობა ამ კონფლიქტში. ყურადღება ექცეოდა ასევე ბილატერალური ურთიერთობების განვითარებას სომხეთსა და აზერბაიჯანთან. 1991 წლის 12 ივლისს თბილისს ეწვია აზერბაი-

ჯანის პრეზიდენტი აიაზ მუტალიბოვი. საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის გაფორმდა მეგობრობისა და კეთილმეზობლობის ხელშეკრულება. პრეზიდენტების ერთობლივ ბრიფინგზე ზვიად გამსახურდიამ ეს ჩარჩო-ხელშეკრულება ასე დაახასიათა: „აქ მოცემულია ჩვენი მომავალი ურთიერთობის ზოგადი პრინციპი, მაგრამ ისინი განვითარდება და დეტალიზებული იქნება. მომავალში დავდებთ სხვა ხელშეკრულებებსაც სხვა დარგებში. ეს ხელშეკრულება კი შეასრულებს ფუძემდებლურ დებულებათა როლს. მე ვიტყოდი, ეს ჩვენს ურთიერთობაში ახალი ერის დასაწყისია, რამეთუ ცივილიზებული სამყარო სწორედ ასეთ ნაბიჯებს მოელის ჩვენგან. დასავლეთს მობეზრდა კონფლიქტები კავკასიაში“.[495]

16 ივლისს ზვიად გამსახურდიამ წერილით მიმართა აზერბაიჯანის პრეზიდენტს, აიაზ მუტალიბოვს, და აღნიშნა, რომ ორ ხალხს შორის ურთიერთობის ახალი დონე იმედს იძლევა, სუვერენული სახელმწიფოების ხელმძღვანელები ყველაფერს იღონებენ, რათა მაქსიმალურად ხელშემწყობი პირობები შეექმნას საქართველოში აზერბაიჯანელთა და აზერბაიჯანში ქართველთა კულტურული ავტონომიის უზრუნველყოფას, ეს ხელს შეუწყობს ორ ხალხს შორის ისტორიულად არსებული ძმობისა და კავშირის განმტკიცებასო. საქართველოს პრეზიდენტი აზერბაიჯანელ კოლეგას სთხოვდა, საინგილოში მცხოვრები ქართველობის სხვადასხვა კულტურული პრობლემის მოგვარებას. ამ წერილის საპასუხოდ აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდია ბაქოში მიიწვია. პასუხის პასუხად დაწერილ კიდევ ერთ წერილში ზვიად გამსახურდიამ მადლობა გადაუხადა აზერბაიჯანელ კოლეგას. ამ დოკუმენტში ეწერა: „გარწმუნებთ, რომ ქართველმა ხალხმა, ისევე, როგორც აზერბაიჯანელმა ხალხმაც, მეგობრობისა და კეთილმეზობლობის ხელშეკრულება აღიქვა დიდი ენთუზიაზმით და იმის იმედით, რომ იგი ხელს შეუწყობს ჩვენს რესპუბლიკებს შორის ტრადიციული ძმობის განმტკიცებას და მთლიანად ჩვენს რეგიონში კლიმატის გაჯანსაღებას“.[496]

1991 წლის 27 ივლისს საქართველოში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა სომხეთის პრეზიდენტი ლევონ ტერ-პეტროსიანი. სომხეთის სახელმწიფოს მეთაურის თქმით, მისი თბილისში ჩამოსვლის მიზანი იყო სომხეთისა და საქართველოს თანამშრომლობის ძირითადი პრინციპების თაობაზე ხელშეკრულების დადება. ზვიად გამსახურდიამ ასეთი კომენტარი გააკეთა სომხეთ-საქართველოს ურთიერთობაზე: „სომხეთთან ურთიერთობა ყოველთვის მეგობრული იყო. სერიოზული წინააღმდეგობანი, სერიოზული კონფლიქტები ჩვენ არ გვქონია და, თუ ყოფილა გაუგებრობების ცალკეული ფაქტები, ყველაფერი ეს მოგვარდება. ამას ხელს შეუწყობს მომავალი სამთავრობათშორისო შეთანხმებაც: დაიდება ხელშეკრულებანი სხვა დარგებშიც, მათ შორის, ეკონომიკის სფეროშიც. ასე რომ, ყველა ეს ღონისძიება კიდევ უფრო გააუმჯობესებს ჩვენს ურთიერთობას, ახალ სიმაღლეზე აიყვანს მას. ჩვენი დღევანდელი შეხვედრა კეთილი დასაწყისია, ორი სახელმწიფოს ურთიერთობის კეთილი დასაწყისი, რომლებიც

დამოუკიდებლობის გზას ადგანან". ყარაბაღის კონფლიქტს რაც შეეხება, აქ ესკალაცია შემოდგომაზე დაიწყო. ამასთან დაკავშირებით ზვიად გამსახურდიას მიმართვა აზერბაიჯანისა და სომხეთის პრეზიდენტებისადმი შეიცავს იმ ოპტიმალურ პოზიციას, რომელიც შემდგომ ათწლეულებში საქართველოს ჰქონდა ამ კონფლიქტთან მიმართებით და დღემდე აქვს:

„პატივცემულო ბატონებო! ჩვენ ვიმყოფებით სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობის მიღწევის ზღურბლთან, ნებისმიერი კონფრონტაცია ჩვენს რეგიონში ართულებს ამ უმნიშვნელოვანესი ამოცანის გადაწყვეტას. რეაქციული, იმპერიული ძალები ცდილობენ გამოიწვიონ ურთიერთდაპირისპირება და დესტაბილიზაცია მთელ რეგიონში, გააღვივონ კონფლიქტები და ერთა შორის შუღლი, და ამით დაუმტკიცონ მთელ მსოფლიოს ჩვენ მისწრაფებათა უსუსურობა და შეუძლებელი გახადონ ჩვენი სანუკვარი მიზნის – ჩვენი ქვეყნების მიერ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მიღწევა. იმ ხალხებისთვის, რომლებიც ათასწლეულების განმალობაში გვერდიგვერდ ცხოვრობენ, ერთად მიყვებიან ისტორიის რთულ გზას, რომელთაც ბედმა არგუნა მომავალში კვლავაც გვერდიგვერდ ცხოვრება, ყოველგვარი პრობლემის გადაწყვეტის ერთადერთ გზას წარმოადგენს მოლაპარაკებები, ურთიერთპატივისცემა და კეთილმეზობლური თანაარსებობის აუცილებლობის აღქმა. აზერბაიჯანს, სომხეთსა და საქართველოს ძალუძთ დადებითი გავლენა მოახდინონ არა მარტო კავკასიის, არამედ წინა აზიის პოლიტიკურ კლიმატზე – აქედან გამომდინარე, ყველა შედეგით. სწორედ ამიტომ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს დაძაბულობისა და სისხლის ღვრის ყოველგვარი კერის ლიკვიდაცია. პატივცემულო ბატონებო! მოგიწოდებთ კონფრონტაციის შეწყვეტისკენ და გიწვევთ თბილისში მოლაპარაკებების ჩასატარებლად, არსებული პრობლემების პოლიტიკური გზით მოგვარების მიზნით. დარწმუნებული ვარ, რომ მხოლოდ ამგვარად არის შესაძლებელი ჩვენთვის სასურველი შედეგის მიღწევა. გთხოვთ, მაცნობოთ შეხვედრის თარიღი. გულწრფელი პატივისცემით ზვიად გამსახურდია, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი".[497] წერილი თარიღდება 1991 წლის 26 ნოემბრით. პუტჩის დაწყებამდე დარჩენილ ერთ თვეში გამოხმაურება ადრესატებისგან არ ყოფილა.

4.17. 1991 წლის ზაფხულის საშინაო დღის წესრიგი

ოპოზიცია საქართველოში 1991 წლის ზაფხულშიც ორ ფლანგზე იყო გადანაწილებული. ერთი მათგანი, კერძოდ, საპარლამენტო ოპოზიცია, უფრო მეტად ჩართული იყო პოლიტიკურ პროცესებში, მეორე კი, ძირითადად, „ეროვნულ კონგრესში" თავმოყრილი, ისევ ხისტი, რადიკალური და შეურიგებელი პოზიციონირებით გამოირჩეოდა. მათზე 31 მარტის რეფერენდუმმა, დამოუკიდებლობის აქტის მიღებამ და საპრეზიდენტო არჩევნებმა თითქოს შთაბეჭდილება არც

კი მოახდინა, თუმცა სამტრედიაში რკინიგზის გადაკეტვის ინფორმაციამ გამოაცოცხლა – მათთვის ეს იმის ნიშანი იყო, რომ ხელისუფლება ეროვნული დაუმორჩილებლობის გზაზეც არ ამბობდა უარს, რაც მათ დადებითად შეაფასეს და მხარდაჭერაც კი გამოუცხადეს ხელისუფლებას. თუმცა, გარკვეული ხნის შემდეგ ისინი ისევ ხისტი დაპირისპირების რეჟიმს დაუბრუნდნენ, არ ეყოთ არც სახელმწიფოებრივი მიდგომა, არც ფანტაზია.

ზვიად გამსახურდიამ თავისი ზოგადი თვალსაზრისი ოპოზიციის მიმართ ასე ჩამოაყალიბა 27 მაისს მიცემულ ინტერვიუში: „ჩემს ოპონენტებს და ოპოზიციას ვუსურვებდი კეთილსინდისიერი მეთოდებით მოქმედებას და პოლიტიკური, ასე ვთქვათ, ამბიციების დავიწყებას, და უფრო მეტად ფიქრს ქართველი ერის დღევანდელ მდგომარეობაზე, ვინაიდან მათი ე. წ. ოპოზიციური საქმიანობა, რომელიც მიზნად ისახავს ჩემ წინააღმდეგ ბრძოლას, გამოდის საქართველოს წინააღმდეგ და საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ. იგი აზიანებს ამ ინტერესებს, განსაკუთრებით, საზღვარგარეთ“.[498] აქ პრეზიდენტი გულისხმობს იმ დეზინფორმაციულ კამპანიას დასავლეთში, რომელმაც ძალა აკრიბა პრაღის ყბადაღებული რეზოლუციიდან და არაერთ გამოცემაში რეგულარული ხასიათი მიიღო: ამ პუბლიკაციებში საუბარი იყო დიქტატურაზე, ეთნიკური უმცირესობების ჩაგვრაზე საქართველოში და ა. შ. ხოლო, რომელ ოპოზიციურ ძალებს გამოარჩევდა საქართველოს პრეზიდენტი სხვებისგან, ეს ჩანს გერმანიის საარის მხარის ტელე-რადიოკორპორაციის ჟურნალისტთან, ელიზაბეტ დენცერთან, ინტერვიუში 1991 წლის 28 ივნისს, როდესაც დაასახელა მისთვის მისაღები ოპოზიცია: „სახალხო ფრონტი“, კომუნისტური პარტია, ბლოკი „თავისუფლება“, „თანხმობისა და აღორძინების კავშირი“. „ისინი ჩემი მოწინააღმდეგენი იყვნენ პრეზიდენტის არჩევნებში, ჩვენ დისკუსიას ვაწარმოებდით, ისინიც მაკრიტიკებდნენ“, – ამბობს მათ შესახებ. თუმცა, იქვე დასძენს: ოპოზიციის იმ ნაწილს, ვისაც დამნაშავეებთან კავშირი აქვს, ოპოზიციად ვერ ჩავთვლითო.[499] როგორც ჩანს, „ეროვნული კონგრესის“ მესვეურები, რომლებიც ჯიუტად მიჰყვებოდნენ ერთი წლის წინ დეკლარირებულ მიზნებს, საერთოდ არ ფიქრობდნენ, რომ საბჭოთა სისტემა ასეთ რყევებში მოყვებოდა. ისინი თვლიდნენ, რომ სისტემა ასე თუ ისე გააგრძელებდა თავის არსებობას ჩვეულ რეჟიმში და კაცმა არ იცის, მათ მიერ მხარდაჭერილი იდეა „ეროვნული დაუმორჩილებლობისა“, როდის დადებდა რამე ხელშესახებ შედეგს. მაგრამ მათ კი არა, როგორც ირკვევა, თავად გორბაჩოვმაც ბევრი არაფერი იცოდა, თუ როგორ განვითარდებოდა პროცესი. ასე მაგალითად, სოვეტოლოგი, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი რიჩარდ პაიფსი ინტერვიუში ამბობდა: „ჩემი აზრით, პირიქით, მან (ანუ გორბაჩოვმა, კ. გ.) დააჩქარა პროცესი. ძველი სისტემა კიდევ გაძლებდა წლების განმავლობაში. გორბაჩოვმა დაიწყო მისი შეკეთება და აღმოჩნდა, რომ ყველაფერი დაინგრა. იგი ცდილობდა განემტკიცებინა სისტემა, პირიქით კი აღმოჩნდა, მან დააჩქარა სისტემის ნგრევა... დიახ, მან სწრაფად დაკარგა კონტროლი „პერესტროიკაზე“. მე არ მგონია, რომ მას თავად კარგად ესმოდა, რას

აკეთებდა, როცა ქვეყნის მმართველობას ჩაუდგა სათავეში. მას წარმოდგენა არ ჰქონდა, როგორ განვითარდებოდა მოვლენები. ნამდვილად სჯეროდა, რომ შეძლებდა სისტემის გამართვას და ამით ყველაფერი გამოსწორდებოდა".[500]

თუმცა გარკვეული წინააღმდეგობები „ეროვნულ კონგრესშიც" გამოიკვეთა. იგი უკავშირდება ირაკლი წერეთელს, რომელიც სხვებზე მეტად რეალისტი გამოდგა და კრიტიკულ ვითარებაში საღი აზრის გამომუშავების უნარიც აღმოაჩნდა. მან რამდენიმე ისეთი განცხადება გააკეთა, რამაც მისი თანამებრძოლების გაღიზიანება გამოიწვია „კონგრესში". ამიტომაც დადგა საკითხი ამ არაფორმალური ორგანიზაციიდან მისი გარიცხვისა. გიორგი ჭანტურია აცხადებდა, რომ კონფლიქტის მიზეზი ირაკლი წერეთელთან არ ყოფილა პიროვნული უთანხმოება, არამედ ცნობილი გახდა რამდენიმე ფაქტი, რომლებიც თითქოს ადასტურებდა ირაკლი წერეთლისა და ზვიად გამსახურდიას ალიანსში ყოფნას. ამ თანამშრომლობის მიზანი კი ყოფილა „ეროვნული კონგრესის" შიგნიდან აფეთქება. ჭანტურია აცხადებდა: „ალიანსმა (გამსახურდია-წერეთლისამ, კ. გ.) ჩვენი საწინააღმდეგო მუშაობა სხვადასხვა ფორმით დაიწყო. თავდაპირველად ჩვენს სხდომებსა და კრებებზე საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის წევრთა გამოუცხადებლობის გამო სისტემატურად არ იკრიბებოდა კვორუმი, გვეშლებოდა მუშაობა. შემდეგ ირაკლი წერეთელმა საქვეყნოდ გამოაცხადა, „კონგრესმა" ფუნქციონირება უნდა შეწყვიტოსო. ანტისაოკუპაციო მოძრაობაც ამ მიზნით წამოიწყო. საერთოდ ამ მოძრაობის საჭიროებას ჩვენ არ გამოვრიცხავთ, შეიძლება სხვა შემთხვევაში იგი ეფექტიანიც ყოფილიყო, მაგრამ საქართველოში შექმნილი პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, იგი უაზრობაა. იგი მოგონილია იმისთვის, რომ შეიქმნას შთაბეჭდილება, თითქოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია სასარგებლო და საჭირო საქმეს აკეთებს, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია კი ხელისუფლებასთან ღვარძლიან და გესლიან ბრძოლას არის გადაყოლილი. ყოველივე ეს და კიდევ სხვა მოვლენა გახდა მიზეზი „კონგრესში" არასასიამოვნო სიტუაციის შექმნისა. „კონგრესის" რეგლამენტი ითვალისწინებს შემდეგს: თუკი მასში შემავალი რომელიმე პარტია ან პიროვნება თავისი საქმიანობით დისკრედიტაციას უწევს მას, „კონგრესი" უფლებამოსილია გარიცხოს იგი თავისი რიგებიდან". ირაკლი წერეთელს არ უარუყვია, რომ იგი 28 ოქტომბერს არჩეულ ხელისუფლებას ხალხის ნების გამომხატველად განიხილავდა. „კონგრესიდან" მისი გარიცხვის განზრახვა შიდა ოპონენტების ჩვეულებრივ ახირებად ჩათვალა. „მე კვლავაც დაბეჯითებით ვიმეორებ", – ამბობდა იგი, – „ვინაიდან ქართველმა ხალხმა არ გაიზიარა ჩვენი პრინციპები და აირჩია უზენაესი საბჭო, ჩვენ აღარ უნდა გვქონდეს პრეტენზია, რომ ვართ ერის ნების გამომხატველი ორგანო. ჩვენი ხალხის ნებას სწორედ ამ არჩევნებში გამოიხატება. მან მხარი დაუჭირა საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის პარლამენტურ გზას, ეს არის ფაქტი".[501]

ამ პერიოდში პირველი განხეთქილება ბლოკ „მრგვალ მაგიდაშიც" გამოიკვეთა. შედარებით სუსტი მხარე კოალიციისა, საიდანაც განხეთქილების სულმა

მმართველ ძალაში შეაღწია, „მერაბ კოსტავას საზოგადოება“ გამოდგა. საზოგადოების ლიდერი ვაჟა ადამია თავდაცვის საპარლამენტო კომისიას ედგა სათავეში. ივნისში მათ თავიანთი რიგებიდან გარიცხეს ბიძინა დანგაძე, ყველასთვის პატივსაცემი და გამორჩეული პიროვნება თავისი ღირსებებით. გარიცხვის მიზეზი იყო ის, რომ დანგაძემ კამათში, სადაც მერაბ კოსტავას საზოგადოებამ „მრგვალი მაგიდის“ ზოგადი პოზიცია არ გაიზიარა, კოალიციის მხარე დაიჭირა. ბიძინა დანგაძემ დაახლოებით ისე იმოქმედა, როგორც მერაბ კოსტავა იტყოდა — „გვიყვარდეს ეროვნული მოძრაობა და არა ჩვენი თავი ეროვნულ მოძრაობაში“. მაგრამ მისი თანაპარტიელები, რომლებიც ორგანიზაციულად მერაბის სახელს ატარებდნენ, ასე არ ხედავდნენ საკითხს. როგორც ჩანს, პარტიული ეგოიზმი მათთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე სახელმწიფოებრივი პოზიციის დაკავება. კონფლიქტი გამწვავდა მას შემდეგ, რაც კოალიციის გაზეთმა („თავისუფალი საქართველო“) დაბეჭდა სტატია მარნეულის პრეფექტის, არჩილ მაჭავარიანის, საქმიანობაში აღმოჩენილი დარღვევების შესახებ. რამდენადაც პრეფექტი „მერაბ კოსტავას საზოგადოების“ წევრი იყო, მას საზოგადოების მთელი დეპუტაცია გამოექომაგა. თავიანთ გაზეთში („სარანგი“) გამოქვეყნებულ წერილში ისინი სპეციალური საპარლამენტო კომისიის შექმნას ითხოვდნენ ამ საკითხის შესასწავლად. რა თქმა უნდა, მხოლოდ ამ საკითხზე კომისიას არავინ შექმნიდა. ამას მოჰყვა ის, რომ აგვისტოს დასაწყისში ვაჟა ადამიას გუნდმა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის, აკაკი ასათიანის გადადგომა მოითხოვა. ეს პოლიტიკური ჯგუფი ხმამაღლა მოითხოვდა, რომ კადრების დანიშვნისას მათი აზრიც ყოფილიყო გათვალისწინებული. თუმცა მალევე წარმოჩნდა, რომ საქმე სხვა — კომპეტენციების საკითხს ეხებოდა, ასევე, იმ კომისიებს, რომლებიც 1990 წლის 14 ნოემბრის სესიაზე შეიქმნა. საკამათო გახდა, ერთი მხრივ, თავდაცვის, მეორე მხრივ, კანონიერებისა და მართლწესრიგის კომისია. პირველ მათგანს სწორედ ვაჟა ადამია ხელმძღვანელობდა, იმავდროულად, „მერაბ კოსტავას საზოგადოების თავმჯდომარე“. პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას თვალსაზრისით, ეს კომისიები ან უნდა გაერთიანებულიყო, ან მათ სათანადო პროფილისა და გამოცდილების ადამიანები უნდა ჩასდგომოდნენ სათავეში. ვაჟა ადამიამ, რომელიც განათლებით კბილის პროთეზების დამზადების სპეციალისტი იყო, თავის დროზე საკუთარ თავზე აიღო ეს მისია და ასე თუ ისე თავიც გაართვა, თუმცა, პრეზიდენტის თქმით, დგებოდა დრო, როდესაც პროფესიონალებს უნდა მოეკიდათ საქმისთვის ხელი. და, თუ ორივე კომისია დარჩებოდა, ერთს იურისტი უნდა ჩადგომოდა სათავეში, მეორეს კი — სამხედრო პირი, საკადრო ოფიცერი ან გენერალი. ახალშქმნილი ეროვნული გვარდიის პერიოდული შემოწმება, რასაც ვაჟა ადამიას კომისიის მხრიდან ჰქონდა ადგილი, არ შედიოდა მის კომპეტენციაში და იწვევდა უკმაყოფილებებს, ქმნიდა კონფლიქტის საფუძველს.

შემდგომში გაჩნდა ვერსია, რომ ადამია კონკურენციას უწევდა გვარდიის სარდალ კიტოვანს, რამდენადაც თავად სურდა გვარდიის სარდალი გამხდარი-

ყო. ზვიად გამსახურდიამ ორ არაპროფესიონალ პირს შორის ერთზე გააკეთა არჩევანი – ეს იყო პროფესიით მხატვარი თენგიზ კიტოვანი, ხოლო მეორეს, ვაჟა ადამიას, უარი უთხრეს. აქ ჩანს გარდამავალი ეპოქის მთელი ტრაგიკულობა. ადამიანები, რომლებსაც გარკვეული პროფესიონალური დონე გააჩნდათ, ხშირად უარს აცხადებდნენ თანამშრომლობაზე. ეს კარგად გამოჩნდა ერთერთ წინა თავში ნახსენები საბჭოთა გენერლის, ლერი აბაშიძის, შემთხვევაში, რომელმაც უარი უთხრა ზვიად გამსახურდიას, ხელში აეღო მომავალი არმიის ფორმირებისა და თავდაცვის საქმე. არა იმიტომ, რომ ასეთ ადამიანებს პროფესიონალიზმი, ზნეობა ან პატრიოტიზმი აკლდათ: სავარაუდოდ, ისინი ჯერ კიდევ ვერ გამორკვეულიყვნენ საბჭოური ტოტალიტარიზმის შოკიდან და ამიტომაც არ სჯეროდათ, რომ დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს შექმნა და ფეხზე წამოდგომა ასე მალე იქცეოდა სინამდვილედ.

ამდენად, ვაჟა ადამია გადააყენეს კომისიის თავმჯდომარეობიდან, რამაც იგი უკიდურესად გაანაწყენა. „ნუ დაგავიწყდებათ, რომ თქვენ ჩემნაირების მხრებით შემოხვედით ამ პარლამენტში", – საკმაოდ უხიაგი ტონით მიმართა ვაჟა ადამიამ პრეზიდენტს. რა თქმა უნდა, იმ დროს ოპოზიციაში არსებობდა მეორე, ამისგან რადიკალურად განსხვავებული შეხედულებაც, და მისი ავტორი იყო ყოფილი საპრეზიდენტო კანდიდატი, ზვიად გამსახურდიას რადიკალური ოპონენტი თამაზ კვაჭანტირაძე, რომელსაც მიაჩნდა, რომ „მრგვალი მაგიდის" დეპუტაცია გამსახურდიას კოსტუმზე ჩამოკიდებული „მაკაკებივით" შემოვიდა პარლამენტში. აქ გაჩნდა ის ნაპრალი, რომელიც სახელმწიფო გადატრიალებისას იმ ზომამდე გაიზარდა, რომ ვაჟა ადამია თავის შეიარაღებულ გუნდთან ერთად პუტჩისტების გვერდით აღმოჩნდა.

ამავე წლის აგვისტოში პარლამენტმა განიხილა კანონი საქართველოს მოქალაქეობაზე. მიუხედავად იმისა, რომ მანამდელ დისკურსში მაინც ითვალისწინებდნენ მეფის რუსეთის დროინდელ და საბჭოთა საქართველოს ისტორიულად წარმოქნილ დემოგრაფიულ რეალობებს, ამოსავალი მაინც ჰელსინკისა და ვენის შეხვედრების ძირითადი დოკუმენტების სული გამოდგა, რომლებიც არაერთგზისაა ნახსენები „მრგვალი მაგიდის" დოკუმენტებში. ნ. გორჯესტანი ამიტომაც წერს: „საბოლოოდ, ზვიადის ორიენტაცია განვითარდა მოქალაქეობის ინკლუზიურ მიდგომამდე. 1991 წლის აგვისტოში პარლამენტმა განიხილა კანონი მოქალაქეობაზე, რომელიც ყველაზე მეტად ინკლუზიური იყო მსგავს კანონთა შორის, რომელიც უნდა მიეღოთ ან მიიღეს საბჭოთა კავშირის ყოფილ რესპუბლიკებში. კანონი საქართველოს ყველა მცხოვრებს ცნობდა მის მოქალაქედ, გარდა საბჭოთა არმიის ეთნიკურად არაქართველი პერსონალისა და მათი ნათესავებისა. ზვიადმა თვით ამ ბოლო საკითხშიც სიცხადე შეიტანა, რომ იმ შემთხვევაში, თუკი საბჭოთა სამხედროები დათანხმდებოდნენ, ემსახურათ საქართველოს ეროვნულ გვარდიაში ქართული სარდლობით სათავეში, მათ შეეძლებოდათ საქართველოს მოქალაქეობის მოთხოვნა. ამაზე მეტიც და უფრო მნიშვნელოვანიც ისაა, რომ არც ტესტი ეთნიკურობაზე, არც რეზიდენტობის

მოთხოვნა მოქალაქეობის ავტომატური მინიჭებისას საწყის ფაზაში არ მოხდებოდა. მეტიც, კანონმა წარმოაჩინა მომავლისთვის ლიბერალური პროცესი. სპეციფიკურად, იგი ადგენდა, რომ თავდაპირველი ავტომატური მინიჭების შემდეგ ყველა ხდებოდა იმ პროცესის მონაწილე, რომელიც მსგავსია ბევრ დემოკრატიულ ქვეყანაში არსებული კანონისა".[502] დავამატებდით: არც სახელმწიფო ენისა ანუ ქართულის ცოდნის მოთხოვნა იყო კანონში, რასაც, შესაძლოა, დაეძაბა და გაერთულებინა სიტუაცია. ამიტომაც ძირითადი მიდგომა საკითხისადმი სწორი იყო.

4.18. აფხაზეთის სტრატეგია

1991 ივლისი გამოირჩევა იმითაც, რომ ამ თვეს უზენაეს საბჭოსა და პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ინტენსიური მუშაობა დაიწყო აფხაზეთის საკითხზე. ამ პროცესში ზვიად გამსახურდიამ ჩართო ორი ადამიანი – ერთი სამართლის პროფესორი ლევან ალექსიძე, რომელმაც დაიწყო მუშაობა კანონპროექტზე, ხოლო მეორე იყო უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ასათიანი, რომელიც პრეზიდენტის დავალებით რამდენიმეჯერ იყო ჩასული სოხუმში მოლაპარაკებებისთვის. თბილისის ხელისუფლებამ თავიდანვე შეიმუშავა ამ მოლაპარაკებების სტრატეგია, რომელიც ითვალისწინებდა პოლიტიკურ რეალობას: აფხაზურ უმცირესობას ავტონომიურ რესპუბლიკაში, შეეძლო სხვა უმცირესობებთან ერთად შეექმნა საარჩევნო ბლოკი და წარმოედგინა მთელი მოსახლეობის 57 პროცენტი, ხოლო ქართული მხარის მიერ წამოყენებულ კანდიდატს მხარს დაუჭერდა დარჩენილი 43 პროცენტი მთელი მოსახლეობისა.

ამ სტრატეგიის ძირითადი პუნქტი იყო ის, რომ ქართულ მხარეს აფხაზეთის უზენაეს საბჭოში მიეღო მნიშვნელოვანი ნაწილი მანდატებისა. სტრატეგია, ნ. გორჯესტანის დაკვირვებით, საკმაოდ გონივრული იყო, რამდენადაც აირეკლავდა აფხაზთა ინტერესს, მიეღოთ რაც შეიძლება მეტი ადგილი თავიანთი კანდიდატებისთვის ეთნიკური ნიშნით. და, თუ აფხაზური მხარე ბლოკთან ერთად გავიდოდა, მაშინ მათ მოუწევდათ ადგილების დათმობა სხვა უმცირესობების წარმომადგენლებისთვის.[503]

აკაკი ასათიანი იგონებდა თავის პირველ ჩასვლას სოხუმში, როდესაც იგი მიიყვანეს აფხაზური პოლიტიკური ელიტის სუფრაზე. თამადა, ცნობილი სეცესიონისტი და გუდაუთის რაიონის ყოფილი ხელმძღვანელი, კონსტანტინ ოზგანი, ფეხზე წამოდგა და მასთან ერთად წამოდგნენ სუფრის სხვა წევრებიც (აფხაზური ნადიმი მეტწილად ისედაც ფეხზე მდგომარე მიდის, კ. გ.). ოზგანმა წარმოთქვა სადღეგრძელო – „შევსვამთ ჩვენი პრეზიდენტის, ზვიად კონსტანტინეს ძე გამსახურდიას სადღეგრძელოს". აქედან კარგად ჩანს მათი ზოგადი განწყობა, რამდენადაც აფხაზური მხარე ინფორმირებული იყო იმ დათმობებზე, რომლებიც თბილისში იგეგმებოდა და თავადაც ფიქრობდა დათმობაზე წასვლას.

კომპრომისი ასე გამოიყურებოდა: აფხაზეთის უზენაეს საბჭოში იყო სულ 65 ადგილი. აფხაზური მხარე გარანტირებულად იღებდა 28 ადგილს (43 პროცენტი), ქართული მხარე – 26 ადგილს (40 პროცენტი), დანარჩენი 11 ადგილი კი ნაწილდებოდა სხვადასხვა ეროვნულ უმცირესობაზე (17 პროცენტი). ძირითადი თანამდებობები, როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელ ხელისუფლებაში, ასევე ეთნიკურ ფარგლებში ნაწილდებოდა – უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე იქნებოდა აფხაზი, ქართველი იქნებოდა მისი მოადგილე, პრემიერ-მინისტრის, შინაგან საქმეთა მინისტრისა და მთავარი პროკურორის თანამდებობას ასევე ქართველები დაიკავებდნენ. დანარჩენი თანამდებობები კი გადანაწილდებოდა აფხაზებს, ქართველებსა და სხვა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს შორის. აფხაზეთის კომპრომისი, ნ. გორჯესტანის შეფასებით, მნიშვნელოვანი იყო რამდენიმე მიზეზის გამო. პირველი იმიტომ, რომ ორივე მხარისთვის გამარჯვება იყო: აფხაზური ელიტა ინარჩუნებდა პოზიციებს, კომუნისტური პარტიის სტრუქტურების გაქრობის მიუხედავად. ქართველები ასევე მნიშვნელოვან როლს ინარჩუნებდნენ აფხაზეთის მართვა-განმგებლობაში. მეორე ის, რომ ეს კომპრომისი ეწინააღმდეგებოდა მტრების მიერ ზვიად გამსახურდიასთვის შექმნილ იმიჯს, ძირითადად, სსრკ-ის ცენტრიდან ინსპირირებულს, რომ იგი „რადიკალი“ და „ფაშისტი“ იყო; როგორ შეეძლო ძალაუფლებას დახარბებულ „ფაშისტს“ ასეთ კომპრომისზე წასვლა? მესამე, ეს ნაბიჯი აჩვენებდა ზვიადის უნარს მიეღწია მშვიდობიანი გზით კომპრომისისთვის, როდესაც არსებობდა შეიარაღებული კონფლიქტის საფრთხე; მეოთხე, ეს იყო ოპტიმალური შეთანხმება აფხაზეთში ხალხთა შორის მშვიდობიან თანაარსებობაზე.[504] დავამატებდით: ამ ეტაპზე თავიდან იქნა არიდებული კიდევ ერთი ფრონტის გახსნა.

ოპოზიციამ ამ კანონს უწოდა „აპარტეიდის კანონი“ და მისი სპიკერები აღნიშნავდნენ, რომ მეოცე საუკუნის ბოლოს წარმოუდგენელი იყო ეთნიკურ პრინციპზე კანონის მიღება. ამას გარდა, ისინი თვლიდნენ, რომ ამ კანონმა სეპარატისტები უფრო გაათავხედა. სინამდვილეში, აქ საქმე ეთნიკურ პრინციპში არ ყოფილა და საკითხის ასე დაყენება დამაბნეველი იყო. საქმე ისაა, რომ როგორც „აფხაზურ“, ისე ქართულ კვოტაში შესაძლოა, სხვა ეთნიკური კუთვნილების ადამიანებიც მოხვედრილიყვნენ. ამ ადამიანებს განსხვავებული პოლიტიკური მიდგომა ჰქონდათ საქართველოს იურისდიქციისადმი აფხაზეთში და ზოგადად, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისადმი. პირველნი სეცესიას ანუ გამოყოფას უჭერდნენ მხარს, ღიად თუ ფარულად, მეორენი ამის წინააღმდეგნი იყვნენ. ამავე დროს, პირველნი ხედავდნენ, რომ მოცემულ მომენტში გამოყოფის მოთხოვნის დაყენება არარეალისტური იყო. ამის გამო ფორმალურად რჩებოდნენ საქართველოს სამართლებრივ სივრცეში. რაც შეეხება „გათავხედებას“, სეპარატისტები კანონს როდი გაუთავხედებია. ისინი გაათავხედა სსრკ-ის ცენტრის წამქეზებლურმა პოლიტიკამ, რომელიც ახლიდან აღორძინდა 1978 წლიდან.

4.19. 1991 წლის ზაფხულის საგარეო დღის წესრიგი

მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტიდან საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების საკითხზე მაინცადამაინც პოზიტიური სიგნალები არ მოდიოდა, ხელისუფლება თბილისში თანმიმდევრულად მიყვებოდა ამ გეზს. 1991 წლის იანვარში, ზვიად გამსახურდიას ვიზიტისას მოსკოვში, სადაც ასევე ჩასული იყო სახელმწიფო მდივანი ჯეიმს ბეიკერი, შეხვედრა ჰქონდა მის მოადგილესთან, რიჩარდ შიფტერთან. შიფტერი იგონებს, რომ ჩემმა თვალსაზრისმა გამსახურდია გააწბილაო. მე მას ვუთხარი, გავუცრუე რა იმედი, რომ აშშ მხარს უჭერს ბალტიური რესპუბლიკების დამოუკიდებლობას, მაგრამ საქართველოს დამოუკიდებლობას მხარს ვერ დაუჭერს, ჩვენ სსრკ-ის დაშლა არ გვინდაო („I told him, to his great disapointment, that while United States supported Baltic independence, it would not advocate Georgian independence... we would not support the dissolution of the Soviet Union").[505]

ასეთი პოზიცია არაპირდაპირ გულისხმობდა ნოვო-ოგარიოვოს პროცესის მხარდაჭერასაც. 1991 წლის 23 აპრილს გორბაჩოვმა სსრკ-ის ცხრა რესპუბლიკის წარმომადგენლის მაგიდასთან დასმა მოახერხა და მათ ხელი მოაწერეს დეკლარაციას სსრკ-ის შენარჩუნების შესახებ, რაც გულისხმობდა ახალი ფედერალური ხელშეკრულებისა და ახალ კონსტიტუციის მიღებას. ეს რესპუბლიკები იყვნენ: რუსეთი, უკრაინა, ბელარუსი, ყაზახეთი, უზბეკეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი და აზერბაიჯანი. ამ „ცხრა პლუს ერთი" ფორუმზე მონაწილეობა არ მიუღიათ ესტონეთს, ლატვიას, ლიტვას, საქართველოს, სომხეთსა და მოლდავეთს. ამ რესპუბლიკებმა ცალკე ფორმატი შექმნეს 1991 წლის ივნისში, რომელსაც მოლდავეთის დედაქალაქის სახელის მიხედვით „კიშინიოვის ფორუმი" უწოდეს. ამ ფორუმის მიზანი სსრკ-დან გამოყოფის სტრატეგიების კოორდინაცია და პოლიტიკური ძალების კონსოლიდაცია იყო.

საქართველოს პრეზიდენტი ამავე წლის 3 ივლისს კიდევ ერთხელ ჩავიდა მოსკოვში და პრესკონფერენცია გამართა. მას, ბუნებრივია, ჰკითხეს „ცხრა პლიუს ერთის" ფორმატზე, რომლის გარშემოც მორიგი შეხვედრა წინა დღით გაიმართა და მას საქართველოს წარმომადგენელიც დაესწრო, როგორც დამკვირვებელი. ამაზე ზვიად გამსახურდიამ შემდეგი პასუხი გასცა: „საუბარი იყო რესპუბლიკებსა და ცენტრს შორის ურთიერთობაზე. გუშინდელი შევხვედრა გაიმართა იმ მიზნით, რომ ლონდონში წასვლის წინ შექმნან ილუზია რაღაც ერთიანობისა. მე ვფიქრობ, სსრკ-ის პრეზიდენტი ცდილობს დასავლეთში მოახდინოს შთაბეჭდილება, რომ მას რესპუბლიკებისგან აქვს თანხმობა „ცხრა პლიუს ერთის" ხელშეკრულებაზე, თუმცა შეხვედრაზე იყვნენ იმ რესპუბლიკების წარმომადგენლებიც, რომლებმაც უარი განაცხადეს ხელი მოაწერონ სამოკავშირეო ხელშეკრულებას. იყო ძალიან გულახდილი საუბარი ჩვენს ურთიერთობაზე სსრკ-თან. მინდა გადმოგცეთ მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელიც გუშინ პრემიერმა პავლოვმა გამოგზავნა. ეს ნიშნავს ეკონომიკურ ომს საქართველოს

წინააღმდეგ, საიდანაც ჩანს, თუ რა ურთიერთობაა ცენტრსა და საქართველოს შორის. ეს არის რეალური ეკონომიკური ბლოკადა, საქართველოს დისკრიმინაცია და ეკონომიკური ბლოკადის დასაწყისი ჩვენ წინააღმდეგ. ამ დოკუმენტით პავლოვი უბრძანებს შინაგან ჯარებს ყველა სასურსათო რეზერვის კონფისკაციას. მე მინდა გადმოგცეთ თქვენ ეს დოკუმენტი. დღეს დასავლეთს უცხადებენ, რომ მათ კარგი დამოკიდებულება აქვთ ბალტიისპირეთის რესპუბლიკებსა და საქართველოსთან, რომ არანაირი ზეწოლა არ არსებობს და მომავალი ურთიერთობა შესანიშნავი იქნება. აქვე აცხადებენ იმასაც, რომ არავითარი ძალდატანება არ მოხდება ბალტიისპირეთისა და საქართველოს რესპუბლიკებზე, რათა სსრკ-ის შემადგენლობაში დარჩნენ. იანაევმა ეს „შპიგელისთვის" მიცემულ ინტერვიუში თქვა. ამ დროს კი პავლოვი ასეთ ბრძანებას იძლევა. შეადარეთ მათი სიტყვა მათ საქმეს, თუ როგორ შეესატყვისებიან ერთმანეთს".[506]

რაც შეეხება ზვიად გამსახურდიას პოზიციას ნოვო-ოგარიოვოს პროცესთან მიმართებაში, მან ასე განსაზღვრა: „მე მომხრე ვარ სსრკ-ში რეალური რეფორმისა, რაც რესპუბლიკების ნამდვილ დამოუკიდებლობას გულისხმობს. მაშინ ეს ჭეშმარიტი რეფორმა იქნება. ამის გარეშე და კომუნისტური სისტემის ლიკვიდაციის გარეშე სსრკ-ში არაფერი შეიცვლება. მათ კი არაფრის შეცვლა არ სურთ. პავლოვი ძალიან კონსერვატორი და რეაქციული კომუნისტია. სანამ პავლოვის მთავრობა იარსებებს, არავითარი რეფორმა არ იქნება".

1991 წლის პირველ ივლისს ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტი მოხდა: პრაღაში გამოცხადდა „ვარშავის პაქტის" დაშლა. ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტის, ვაცლავ ჰაველის თქმით, მიუხედავად კომუნისტური პარტიის ძალაუფლებიდან ჩამოცილებისა და დემოკრატიული არჩევნებისა, პრესის თავისუფლებისა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისა, „ვარშავის პაქტის", ანუ საბჭოთა ჰეგემონიის ამ ინსტრუმენტის გაუქმება, თვით რადიკალურ ძალებსაც კი საშიშ ნაბიჯად მიაჩნდათ, გორბაჩოვს კი საერთოდ არც დაესიზმრებოდა ამგვარი რამ. ჰაველის თქმით, ეს მისი ცხოვრების სრულიად განსაკუთრებული მომენტი იყო, გორბაჩოვი ამ შეხვედრას თავად არ დასწრებია, მან ვიცე-პრეზიდენტი გენადი იანაევი გამოგზავნა, „სავალალო ლოთი დოსტოევსკიდან" (ჰაველის იუმორი ცნობილი იყო, კ. გ.), რომელიც სადღაც სამი კვირის შემდეგ ამ ამბებიდან პუტჩის მოწყობას შეეცადა. ჰაველს მიაჩნდა, რომ ამით მან თავად სსრკ დაასაფლავა. ამით ბოლო მოელო მსოფლიოს ბიპოლარულ დაყოფას.[507]

1991 წლის ივნისში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გოგი ხოშტარია აშშ-ის ეწვია. მას ამერიკის ოფიციალური პირები საკმაოდ პოზიტიური განწყობით შეხვდნენ, თუმცა ყველაფერს, როგორც ამას აღნიშნავს ნ. გორჯესტანი, გარკვეული ჩრდილი მიაყენა „ნიუ-იორკ თაიმსსა" და „ვაშინგტონ პოსტში" გამოქვეყნებულმა სტატიებმა, რომელშიც საქართველოს პრეზიდენტი ნეგატიურ შუქჩრილში იყო წარმოჩენილი. სტატიებში საუბარი იყო, რომ საქართველოში დემოკრატია დაბადებამდე მოკვდებოდა. ამის მაგალითებად მოჰყავდათ საპრეზიდენტო კანდიდატის, ვალერიან ადვაძის, პირადი მცველების დაკავება,

რომლებიც მას რუსეთიდან ჰყავდა ჩამოყვანილი და რომლებიც რუსეთის ფედერაციის მკვიდრნი იყვნენ. ასევე ნახსენები იყო „რადიო თავისუფლების" ვითომდაც რეპორტიორის გაძევება პრესკონფერენციიდან, რომელიც სინამდვილეში იყო თავისუფალი ავტორი (free-lence writer) და არა „რადიო თავისუფლების" კორესპონდენტი. ამ ყოველივეს აშკარად კამპანიური სახე ჰქონდა, რამდენადაც ეს გაზეთები „მძიმე არტილერიას" განეკუთვნებოდნენ. ნ. გორჯესტანი ორივე სტატიის ავტორს ახასიათებს, როგორც ცუდად ინფორმირებულებს, მათ სტატიებს კი – როგორც შეცდომებით სავსესა და მდარე ჟურნალიზმის ნიმუშებს. მათში იყო არაერთი სრულიად ფანტასტიკური მტკიცებულება, რომელთა წყაროც საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნებში დამარცხებული კანდიდატები იყვნენ. გიორგი ხოშტარიამ დაწერა საპასუხო წერილი, რომელშიც ფაქტებზე დაყრდნობით გაქარწლებული იყო ზემოთ ნახსენებ წერილებში ჩამოთვლილი „ფაქტები" და დეზინფორმაციები.[508]

თუმცა ზემოხსენებული პუბლიკაციებისგან ამერიკულ პრესაში განსხვავებული პოზიციაც გამოიკვეთა. ამავე ხანებში – კერძოდ, ივნისის დასაწყისში, „ვაშინგტონ პოსტში" გამოქვეყნდა აშშ-ის ოცდამეჩვიდმეტე პრეზიდენტის, საქართველოში მანამდე ნამყოფი რიჩარდ ნიქსონის წერილი. ნ. გორჯესტანს თავის წიგნში მოჰყავს ამონარიდი „ვაშინგტონ პოსტში" გამოქვეყნებული თავისი სტატიიდან. ამ წერილში მოცემული იყო არაპირდაპირი ახსნა იმისა, თუ რატომ იწერებოდა ისეთი სტატიები, რომლებიც ამავე გაზეთმა გამოაქვეყნა. ნიქსონის აღნიშნული სტატიიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ხარს პირდაპირ რქებში სტაცეს ხელი: „აშშ-ის სტრატეგიული ინტერესი ძირითადად მიმართულია კომუნისტური სისტემის დემონტაჟისკენ, რომელიც საკუთარ ხალხს 75 წლის განმავლობაში ჩაგრავდა და დაკავებული იყო შეუნელებელი ექსპანსიონიზმით თავისუფალი სამყაროს წინააღმდეგ. გორბაჩოვის ხედვა ეძიებს საბჭოთა სისტემის გაძლიერებას, არა – მის ჩამოშლას. გორბაჩოვმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, რათა დაეთანხმოს მათ გამოყოფას, ვისაც აქვს განზრახვა იცოცხლოს. დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკის ხელშეწყობასთან ერთად, არიერგარდიდან ბრძოლა მომაკვდავი იმპერიის გადასარჩენად შეუძლებელია. საბჭოთა კავშირისთვის ბევრად უკეთესია მეზობლებად ჰყავდეს მეგობრული ხალხები, მცხოვრებნი, როგორც თავისუფალი ერი-სახელმწიფოები, ვიდრე მტრულნი, მკვიდრნი დაპყრობილი ქვეყნებისა. ამერიკის პოლიტიკა არ შეიძლება აიგოს ერთი კაცის ფორტუნაზე. მომავლის ტალღა არის დემოკრატიული რეფორმა და არა – კომუნისტური რეაქცია. თავისუფალი ერების, თავისუფალი ხალხების, თავისუფალი იდეებისა და თავისუფალი ბაზრების რევოლუციამ ძალაუფლებას ჩამოაცილა კომუნისტები აღმოსავლეთიდან და ახლა სსრკ-ს გადაუვლის. გორბაჩოვის ხანგრძლივ ვადაზე გათვლილი იმედი უნდა გულისხმობდეს იდეოლოგიური და იმპერიალისტური ტვირთის გვერდზე გადადებას და ამ ახალი რევოლუციის გაძღოლას".[509] გორჯესტანი აღნიშნავს, რომ ნიქსო-

ნის ეს სიტყვები ზვიადისთვის მუსიკად ჟღერდა, თუმცა ბუშის საგარეო-პოლიტიკური გუნდი ამ სიტყვების აღსაქმელად ყრუ იყო. [510]

1991 წლის თებერვალში ამერიკის შეერთებულ შტატებს საქართველოს უზენაესი საბჭოს დელეგაციაც ეწვია. მასში შედიოდნენ დეპუტატები: უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ასათიანი, აკად. თამაზ გამყრელიძე, საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე თედო პაატაშვილი, დეპუტატები – მერაბ ურიდია და ზვიად ბოკუჩავა, ასევე საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გიორგი ხონელიძე. მათ საინტერესო და საქმიანი შეხვედრები გამართეს აშშ-ის კონგრესში, ასევე სახელმწიფო დეპარტამენტში, შეხვდნენ კარტერის პრეზიდენტობის დროს ყოფილ მრჩეველს უშიშროების საკითხებში, მსოფლიო ცნობადობის მქონე პოლიტოლოგს, ზბიგნევ ბჟეზინსკის, ასევე, აშშ-ის რიგით მეორმოცე პრეზიდენტს, რონალდ რეიგანს. ამ ვიზიტის ძირითადი ამოცანა იყო მოემზადებინა საქართველოს საერთაშორისო აღიარება და ინფორმაცია გაევრცელებინა იმის შესახებ, თუ რა პროცესები მიდიოდა ქვეყანაში.

იმავე წელს პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ, აშშ-ის დამოუკიდებლობის დღესთან (რომელიც 4 ივლისს აღინიშნება) დაკავშირებით, წერილით მიმართა მის აღმატებულებას, ჯორჯ ბუშს, აშშ-ის 41-ე პრეზიდენტს. მიმართვაში ეწერა: „თქვენო აღმატებულებავ! მაქვს პატივი, ქართველი ხალხის სახელით მოგილოცოთ თქვენ და მთელ ამერიკელ ხალხს დამოუკიდებლობის დღე. ვუსურვებ თქვენს ქვეყანას შემდგომ წინსვლასა და აყვავებას, ახალ გამარჯვებებს მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების საქმეში. ამერიკელი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის, მის მიერ მოპოვებული წარმატებები დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის შექმნაში, ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია – ბრწყინვალე მაგალითია საყოველთაო დემოკრატიული ფასეულობებისა მთელი მსოფლიოსთვის, კერძოდ კი, საქართველოს რესპუბლიკისთვის. ვიმედოვნებთ, რომ ამერიკელი ხალხი და აშშ-ის მთავრობა მიესალმებიან ქართველი ხალხის სწრაფვას დამოუკიდებლობისკენ, რაც გამოიხატა მის მიერ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტის მიღებაში. იმედი გვაქვს, აგრეთვე, რომ საქართველო მალე მიაღწევს სრულ დამოუკიდებლობას მსოფლიოს ერთა თანამეგობრობის, დემოკრატიული წრეების, პირველ რიგში, ამერიკის შეერთებული შტატებისა და, პირადად, თქვენი მხარდაჭერით, ბატონო პრეზიდენტო. ღრმა პატივისცემით, ზვიად გამსახურდია, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი“.[511]

1991 წლის 29 იელისიდან პირველ აგვისტომდე პრეზიდენტი ბუში იმყოფებოდა მოსკოვში, სადაც ხელი მოაწერა START-ის ხელშეკრულებას. ეს ხელშეკრულება გულისხმობდა სტრატეგიული ატომური იარაღისა და ქობინების ერთი მესამედით შემცირებას. მოსკოვიდან პრეზიდენტი ბუში ჩავიდა კიევში, სადაც სიტყვით გამოვიდა ადგილობრივი უზენაესი საბჭოს წინაშე. აქ წარმოთქმულ სიტყვას „ნიუ-იორკ თაიმსის“ კომენტატორმა უილიამ საფაირმა (William Safire) „კიევის წიწილის სიტყვა“ უწოდა („Chicken-Kiev-Speech“). ამერიკის პრეზიდენ-

ტის წარმოთქმულ სიტყვაში იყო, მაგალითად, ასეთი ადგილი: „ჩვენ შევინარჩუნებთ შეძლებისდაგვარად მჭიდრო ურთიერთობას პრეზიდენტ გორბაჩოვის საბჭოთა მთავრობასთან. თუმცა, ჩვენ ასევე ვაფასებთ ახალ რეალობას სსრკ-ში და ამიტომ გვსურს კარგი ურთიერთობების დამყარება რესპუბლიკებთან ... თავისუფლება არ არის იგივე, რაც დამოუკიდებლობა. ამერიკელები არ დაუჭერენ მხარს მათ, რომლებიც ეძიებენ ისეთ დამოკიდებულებას, რომ დრომოჭმული ტირანია შეცვალონ ადგილობრივი დესპოტიზმით. ამერიკა არ დაეხმარება მათ, რომლებიც ხელს უწყობენ თვითმკვლელ ნაციონალიზმს, დაფუძნებულს ეთნიკურ შუღლზე".[512] ამავე დროს, პრეზიდენტმა ბუშმა თავის გამოსვლაში მხარი დაუჭირა ნოვო-ოგარიოვოში დადებულ ხელშეკრულებას: „ცხრა პლუს ერთი" შეთანხმება იძლევა იმედს, რომ რესპუბლიკები მოახერხებენ მეტი ავტონომიის შეთავსებას უფრო მეტ ნებაყოფლობით ინტეგრაციასთან, პოლიტიკურთან, სოციალურთან, კულტურულთან, ეკონომიკურთან, ვიდრე არჩევენ, რომ დაადგნენ უიმედო იზოლაციის კურსს". ამ გამოსვლის ძირითადი კომენტატორები დარწმუნებულნი არ არიან, რამდენად სწორად იქნა შერჩეული ფორუმი იმ გზავნილთა გახმოვანებისთვის, რომლებიც აღნიშნულ სიტყვაში არსებითი იყო. ბუში ცდილობდა უკრაინის პარლამენტის დეპუტატები მიემხრო, რათა მათ მხარი დაეჭირათ სსრკ-ში დარჩენის იდეისთვის. რამდენადაც ცნობილია, მათ მოგვიანებით სხვა გადაწყვეტილება მიიღეს. გამოსვლა თითქმის ემთხვეოდა გორბაჩოვის პროპაგანდას და იყო გზავნილიც, რომ მუშაობა ნოვო-ოგარიოვოს პროცესზე მთელი ძალებით უნდა გაგრძელებულიყო. სიტყვაში ნახსენები იყო ბალტიისპირეთი, უკრაინა და სომხეთი, სადაც, პრეზიდენტის თქმით, „თავისუფლების სული აღორძინდა"; საქართველო კი გამომსვლელმა საერთოდ გამოტოვა. სამაგიეროდ, სიტყვის ის ნაწილი, რომელშიც საუბარი იყო ადგილობრივ დესპოტიზმზე, ასევე, ეთნიკური შუღლის გაღვივებაზე, აშკარად საქართველოს პრეზიდენტს ეხებოდა.

საქართველოს პრეზიდენტმა ვერ დამალა თავისი იმედგაცრუება და შეშფოთება ბუშის კიევური გამოსვლის გამო. მან „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც ეწერა: „იმპერიის მიერ დაპყრობილ ყველა სახელმწიფოს უნდა მიეცეს სრული თავისუფლება არჩევანის გაკეთებაში. ბატონი ბუში საბჭოთა კავშირის მიერ დაპყრობილი ერების ბრძოლას თავისუფლებისა და თვითგამორკვევისთვის ნაციონალიზმის სახიფათო გამოვლინებას უწოდებს. ჩვენ ვისურვებდით, რომ შეერთებული შტატების პრეზიდენტი და მთავრობა მხარს უჭერდნენ არა კომუნიზმს, ტირანიასა და მოჩვენებით რეფორმებს, არამედ ჭეშმარიტ დემოკრატიას, ერთა თავისუფლებასა და დემოკრატიას. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში დარჩება ამერიკის შეერთებული შტატები თავისი ისტორიული მისიის ერთგული".[513]

ამ მხრივ ასევე საინტერესოა კომენტარი, რომელიც მოგვიანებით საქართველოს მესამე პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გააკეთა ამ საკითხზე: „ბუ-

შის სიტყვები კიევში და ზვიადის რეაქცია მათზე გამსახურდიას დამხობის 50 პროცენტს შეადგენს".

წლების შემდეგ ჯორჯ ბუშმა განაცხადა, რომ მისი სიტყვები კიევში კრიტიკოსებმა ჯეროვნად ვერ გაიგეს. როგორც მან აღნიშნა, მისი განზრახვა იყო რესპუბლიკებისთვის იმ გზავნილის გადაცემა, რომ „სისულელე არ ჩაედინათ". მისი თქმით, თუკი ლიდერები ჭკვიანურად არ მოიქცეოდნენ, ამას, შესაძლოა, შედეგად მოჰყოლოდა სასტიკი და ბრუტალური ქმედებები მოსკოვის მხრიდან.[514]

ნ. გორჯესტანის დასკვნით, ამ მოვლენებმა კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ ზვიად გამსახურდია ისტორიის სწორ მხარეზე იდგა.[515]

4.20. აგვისტოს კრიზისი მთავრობაში და შევარდნაძის ფაქტორი

სამთავრობო კრიზისი, რომელიც „მერაბ კოსტავას საზოგადოებასთან" კოალიციის დანარჩენი ნაწილის კონფლიქტით დაიწყო, აგვისტოში გაღრმავდა და მთავრობასაც შეეხო. ყველაფერი დაიწყო ბუშის ვიზიტიდან მოსკოვში, სადაც საგარეო საქმეთა მინისტრი გოგი ხოშტარია ჩავიდა. მისი მიზანი იყო თუნდაც მცირე ხნით შეხვედროდა ბუშს და მოემზადებინა საქართველოს პრეზიდენტის შეხვედრა მასთან აშშ-ში მიპატიჟების ფორმით. არსებობდა ამ შეხვედრის კონკრეტული გეგმაც და დაპირება მოდიოდა ზურაბ წერეთლისგან, რუსეთში მოღვაწე წარმატებული და რენომირებული ქართველი მოქანდაკისგან. მას რომ გაადვილებოდა მოქმედება, იგი მანამდე ფორმალურად საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილედაც კი დანიშნეს. მოხდა ისე, რომ ბუში ნამდვილად ეწვია მის სახელოსნოს მოსკოვში, თუმცა ამ შეხვედრაზე ვერ მივიდა გოგი ხოშტარია. შესაბამისად, ვერც საქართველოსა და აშშ-ის პრეზიდენტების შეხვედრის ორგანიზება მოხერხდა. ეს კი, როგორც ჩანს, ბოლო წვეთი იყო ფიალაში: ზვიად გამსახურდიამ ჩათვალა, რომ გოგი ხოშტარიამ თავი ვერ გაართვა თავის ამოცანას. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან რთული საკითხია და ძნელია მასზე ცალსახა პასუხის გაცემა, თუკი იმდროინელ პოლიტიკურ კონიუნქტურასა და განვითარებული მოვლენების მთელ კონტექსტს გავითვალისწინებთ.

შეძლებდა კი გოგი ხოშტარია, გადაეფარა ის ურთიერთობა, რომელიც მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის არსებობდა? პრეზიდენტი ბუში ზვიად გამსახურდიას არ ხვდებოდა სწორედ გორბაჩოვისა და შევარდნაძის გავლენის გამო, რომლებიც ცალსახად მიანიშნებდნენ მას, რომ გამსახურდია, ისევე როგორც ზოგიერთი სხვა ლიდერი საბჭოთა „პერესტროიკულ" სივრცეში, ასე თუ ისე დალაგებულ გეგმებს შლიდა. ნიქსონმა ასევე ცალსახა გზავნილი ჩაუტანა ბუშს, რომ საქართველო არ აპირებდა შეენელებინა თავისი სწრაფვა დამოუკიდებლობისკენ. ამიტომაც ჰიპოთეტიურ დონეზე შეიძლებოდა დაგვეშვა, რომ საქართველოს პრეზიდენტსა და საგარეო საქმეთა მინისტრს შორის კომუნი-

კაციის პრობლემა იდგა. გოგი ხოშტარიამ, ალბათ, ვერ შეძლო მისთვის აეხსნა შექმნილი სიტუაცია. ხოლო პრეზიდენტს, შესაძლოა, ჩაეთვალა, რომ საგარეო საქმეთა მინისტრმა, თავის პოსტზე ყოფნის მეათე თვესაც, პრეზიდენტის ვერცერთი ვიზიტის დანიშვნა ვერ შეძლო. აქ იგივე კონიუნქტურა მოქმედებდა, რომლის გადალახვაც, ძნელი წარმოსადგენია ვინმეს შესძლებოდა. ამიტომაც 16 აგვისტოს შეხვედრაზე პრეზიდენტმა წინადადება მისცა საგარეო საქმეთა მინისტრს, რომ გადამდგარიყო. გამოიკვეთა ასევე საგარეო საქმეთა მინისტრობის სავარაუდო კანდიდატიც – ტრანსპორტის მინისტრის მოადგილე მურმან ომანიძე.

ამ საუბარს თავად გოგი ხოშტარია ასე იხსენებს: „მითხრა, მეგობრებად დავრჩეთო და, როცა ვკითხე, თანამდებობას ვის ვაბარებ-მეთქი, მურმანი დამისახელა. გამიკვირდა, ვკითხე, შენ არ თქვი, „კაგებე“ არისო? გეჭირდებაო, – მიპასუხა. რაში გამოადგა, არ ვიცი“.[516] ომანიძის დანიშვნა და ეს ამონარიდი გოგი ხოშტარიას ინტერვიუდან გვაფიქრებინებს, რომ საქმე მხოლოდ კომუნიკაციის პრობლემაშიც არ ყოფილა. რაში შეიძლება გამოსადეგი ყოფილიყო ომანიძე? მასზე, როგორც თანამდებობის პირზე (იგი, როგორც უკვე აღინიშნა, ტრანსპორტის მინისტრის მოადგილის პოსტს იკავებდა), მხოლოდ ის იყო თვალსაჩინო, რომ პრაქტიკულ-ორგანიზაციულ საკითხებს საოცარი სისწრაფითა და ოპერატიულობით აგვარებდა, ზედმეტი ძალისხმევის გარეშე. ისეთ ფიგურებს, როგორებიც იყვნენ ვიცე-პრემიერი გურამ აბსანძე და მინისტრობის კანდიდატი ომანიძე, ჰქონდათ კარგი ურთიერთობები რუსეთში. რამდენადაც როგორც სსრკ, ისე რუსეთის ფედერაცია, საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობისკენ მიმართულ კურსს ვერანაირად ვერ ეგუებოდნენ და ყველანაირად ზღუდავდნენ მას, რის გამოც რეალურად ხორციელდებოდა ბლოკადა, საჭირო იყვნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც შეძლებდნენ თუნდაც ხელფასებისა და პენსიების ფონდის ჩამოტანას ცენტრალური ბიუჯეტიდან. ამ ამოცანას კი აბსანძე და ომანიძე თავს კარგად ართმევდნენ. ომანიძეს ასევე საკმაოდ კარგი ურთიერთობა ჰქონდა ლუკიანოვთან, სსრკ-ის დეპუტატთა უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარესთან. მიუხედავად ამისა, ომანიძე მაინც „დროებითი“ მინისტრი იყო ამ პოსტზე და იგი, სავარაუდოდ, დატოვებდა ამ თანამდებობას საქართველოს საერთაშორისო აღიარების შემდეგ. არის ინფორმაცია, რომ ზვიად გამსახურდიამ მოსკოვის ვერშემდგარი პუტჩის შემდეგ საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობა შესთავაზა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობილ დიპლომატს, ალექსანდრე ჩიკვაიძეს, რომელიც მუშაობდა სხვადასხვა დიპლომატიურ თანამდებობაზე და იყო სსრკ-ის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ნიდერლანდების სამეფოში. ჩიკვაიძეს უარი არ უთქვამს, თუმცა მოსაფიქრებელი დრო მოითხოვა.

ნ. გორჯესტანი ასახელებს კიდევ ერთ მიზეზს, რამაც, შესაძლოა, დაძაბა ურთიერთობა ზვიად გამსახურდიასა და გოგი ხოშტარიას შორის – ეს იყო ამ უკანასკნელის შეხვედრა შევარდნაძესთან. საქართველოს საგარეო საქმეთა

მინისტრი შევარდნაძეს მოსკოვში სულ სამჯერ შეხვდა. აქედან პირველი ორი შეხვედრა საქართველოს პრეზიდენტთან იყო შეთანხმებული, ბოლო შეხვედრა კი – არა. ამ შეხვედრების ძირითადი თემა ეხებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებასა და რესპუბლიკის ირგვლივ შექმნილი მძიმე ვითარების განმუხტვას. ამ შეხვედრებზე შევარდნაძეს უთქვამს, რომ მას არც ბეიკერზე, არც გორბაჩოვზე ზეგავლენის მოხდენა არ შეეძლო. იგი ხოშტარიას აბარებდა, გადაეცა საქართველოს პრეზიდენტისთვის, რომ ახლო მომავალში მოსალოდნელი იყო კონსერვატიულ-რეაქციული ძალების რევანში, რომლებიც თავმოყრილნი იყვნენ უშიშროების კომიტეტში, არმიასა და სამხედრო-სამრენველო კომპლექსში. თავიდან საქართველოს პრეზიდენტმა ჩათვალა, რომ შევარდნაძე მათ უბრალოდ აშინებდა, თუმცა ივლისის ბოლოსა და აგვისტოში აზრი შეიცვალა. არსებობს ასევე გვარდიის სარდლის, თენგიზ კიტოვანის, მოგონება, რომ იგი პრეზიდენტმა გაგზავნა მოსკოვში შევარდნაძესთან შესახვედრად. კიტოვანი იხსენებდა, როდესაც შევდიოდი, გოგი ხოშტარიამ სწორედ მაშინ დატოვა შევარდნაძის ოფისიო.[517] არ არის გამორიცხული, რომ ამ შეხვედრაზე ხოშტარიას ბუშთან აუცილებლობისთვის დახმარებაც ეთხოვა შევარდნაძისთვის. რაც შეეხება ზემოთ ნახსენებ მესამე შეხვედრას სსრკ-ის გადამდგარ საგარეო საქმეთა მინისტრთან, თავად გოგი ხოშტარია შეცდომად თვლიდა ამ ნაბიჯს, რომ შევარდნაძესთან შეხვედრა არ შეათანხმა პრეზიდენტთან.[518]

რაც შეეხება კომუნიკაციას საქართველოს პრეზიდენტსა და მოსკოვში მყოფ ედუარდ შევარდნაძეს შორის, იგი, ზვიად გამსახურდიას „ღია წერილის" მიხედვით, ტელეფონით რამდენიმეჯერ შედგა. ერთ-ერთ საუბარში, რომელსაც ახსენებს, ზვიადმა დახმარება სთხოვა ცხინვალში შექმნილი მძიმე სიტუაციის გამო. თავად შევარდნაძე ახსენებს „ყვირილით" საუბარს, რისი მტკიცებულებაც, როგორც ყოველთვის, არ მოჰყავს (მაგალითად, აუდიო ან ვიდეოჩანაწერი. უცნაურია, საიდან მოიტანა „ყვირილი", რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ეს საუბარი ჩვეულებრივ ტონალობაში წარიმართა). ზვიად გამსახურდია კი „წერილში" ასე მიმართავს სსრკ-ის ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრს: „როდესაც ტელეფონით დაგიკავშირდით, თქვენ მითხარით, რომ მე უნდა დამერეკა გორბაჩოვისთვის და მეთხოვა შეეჩერებინა საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება. ეს იმას მოასწავებდა, რომ გორბაჩოვი სანაცვლოდ მომთხოვდა საკავშირო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერას, ამიტომ, ცხადია, აღარ დავურეკე მას. შემდეგ მე მოვითხოვე თქვენგან დაგვხმარებოდით საქართველოს გამოყოფაში სსრ კავშირიდან, თანაც შეგახსენეთ, რომ თქვენ თქვენი სამშობლოს მეტი არაფერი დაგრჩენოდათ და უნდა გეფიქრათ მის კეთილდღეობაზე. „დამანებეთ თავი, მე ერთი პენსიონერი კაცი ვარ და ნუ მთხოვთ იმაზე მეტს, რაც შემიძლია!" – ასეთი იყო თქვენი პასუხი; მე გკითხეთ, აგრეთვე, მიეცით თუ არა ხმა საქართველოს დამოუკიდებლობას 31 მარტის რეფერენდუმზე, რაზედაც თქვენ დუმილით მიპასუხეთ". ცენტრალური ტელევიზიის ჟურნალისტთან, ურმას ოტთან, ინტერვიუში, რომელიც დეკემბერში შედგა, ზვიად გამსახურდია ამბობს, რომ

შევარდნაძესთან იშვიათად საუბრობს ტელეფონით. იგი არ შეცვლილა, მხოლოდ ნიღაბი შეიცვალაო. მისი (ანუ შევარდნაძის) აზრით, საქართველო რუსეთის ნაწილია, ურუსეთოდ ჩვენ დავიღუპებითო.[519]

ამრიგად, გოგი ხოშტარიამ აგვისტოში დაწერა განცხადება გადადგომაზე, რომლის უმთავრეს მიზეზად ჯანმრთელობის მდგომარეობა დაასახელა. როდესაც იგი შეიტანა პრემიერ სიგუასთან, რომელთანაც მას საკმაოდ მეგობრული და ახლო ურთიერთობა აკავშირებდა, თენგიზ სიგუამ არ მოიწონა ეს ამბავი. თუმცა სიგუა რამდენიმე დღე დუმდა. მეტიც, იგი პრეზიდენტთან ერთად 16 აგვისტოს ფოთში გაემგზავრა, სადაც გაიხსნა ევროპის წყალსათხილამურო ჩემპიონატი, რომელსაც ათობით ათასი მაყურებელი, ასევე, ამ სპორტის საერთაშორისო ფედერაციის თავმჯდომარე, ბრიტანელი ობრი შინა ესწრებოდა. ჩემპიონატის მონაწილეებს სიტყვით მიმართა როგორც პრეზიდენტმა, ისე პრემიერმა. სხვადასხვა კულტურული ღონისძიება გვიან საღამომდე გაგრძელდა.[520] ყოველივე ბანკეტით დაგვირგვინდა, სადაც პრეზიდენტი და პრემიერი ერთმანეთის გვერდით ისხდნენ. ისინი იმავე ღამით თბილისში დაბრუნდნენ.

პრემიერმა სიგუამ მომდევნო დღეს პრეზიდენტთან შეხვედრისას გააპროტესტა ხოშტარიას გადაყენება და აქეთ წაუყენა პრეზიდენტს სამი მინისტრის გადაყენების პირობა – ესენი იყვნენ შინაგან საქმეთა მინისტრი დილარ ხაბულიანი, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი, მანანა ძოძუაშვილი და ვაჭრობის მინისტრი ზურაბ კოპალიანი. რაც შეეხება მურმან ომანიძეს, იგი, მისი თვალსაზრისით, ისედაც არ უნდა დანიშნულიყო საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, სიგუა გადადგომით დაიმუქრა. ძალიან უცნაური და დაუჯერებელია უმაღლესი თანამდებობის პირის მხრიდან განწყობილებისა და პოზიციის ისეთი რადიკალური ცვლილება ერთ ან რამდენიმე დღეში, როგორც ეს პრემიერ თენგიზ სიგუას შემთხვევაში მოხდა. მანამდე იგი თავის გამოსვლებსა და ანგარიშში, რომელიც 1991 წლის აპრილის ბოლოს გააკეთა, საუბრობდა იმ წარმატებებზე, რომლებსაც რესპუბლიკამ ნოემბრის შემდეგ მიაღწია, მაგალითად, აზერბაიჯანთან, უკრაინასთან, ესტონეთთან, მოლდოვასთან, ასევე, მოხდა მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან პირდაპირი ხელშეკრულებების გაფორმება, საბაჟო სამსახურის შექმნა, ფასების ზრდა პროდუქტებზე, როგორც აუცილებელი ღონისძიება, სოფლის მეურნეობის ინდუსტრიული ბაზის შესაქმნელად ქმედითი ნაბიჯების გადადგმა და ა. შ. მისი თქმით, ქვეყანაში მიდიოდა რეფორმების შემუშავებისა და განხორციელების პროცესი და, თუ რამ შეცდომა დაგვიშვია, ეს ნორმალური იყო გარდამავალი პერიოდისთვის და სხვა რესპუბლიკების მაგალითებიც ამას გვიჩვენებსო. დ. შველიძე წერს: „საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე ზვიად გამსახურდიას გონივრულ მიდგომას იმოწმებს კადრების საკითხში, თურმე, „როცა კადრების საკითხი დადგა დღის წესრიგში, მაშინ ბ-ნმა ზვიად გამსახურდიამ ბრძანა, რომ ისინი ყველა გამოსაცდელი ვადით ინიშნებოდნენ“. ამის შემდეგ თენგიზ სიგუა ამართლებს სამინის-

ტროების გაერთიანებას, მთავრობის სხვა ღონისძიებებს და თავის ინტერვიუერსაც კი ოპტიმიზმისკენ მოუწოდებს – ესეთი რთული გზა ყველამ გაიარაო".[521]

როდესაც სიგუა გადადგა, მან ბრალდებების მთელი კასკადი წამოსწია. თავის მოგვიანებით ჩაწერილ ინტერვიუში მან გაიმეორა ის ბრალდებები, რომელთაც იმჟამად უყენებდა ქვეყნის პრეზიდენტსა და მის გუნდს: „ზოგიერთი მომავალი მინისტრი სულაც იმ დღეებში გავიცანი, ბევრნი სრულიად არაკომპეტენტურნი იყვნენ. მაგალითად, ბატონი დილარ ხაბულიანი თავისი პროფესიონალიზმის დონით ვერ შეესაბამებოდა დაკავებულ პოსტს; ან ჯანდაცვის მინისტრი ავიღოთ, ქ-ნი მანანა ძოძუაშვილი. ასეთი ადამიანის დანიშვნა რესპუბლიკის ჯანდაცვისა და სოცუზრუნველყოფის მინისტრად სრულიად დაუშვებელი იყო. დღეს თითქმის ყველამ იცის, რომ ეს ორივე დანიშვნის შემთხვევაც და კიდევ სხვაც, პრეზიდენტის მეუღლის ჩარევის შედეგად მოხდა. მსგავსმა ამბებმა დიდად შეუშალა ხელი კაბინეტის ნორმალურად ჩამოყალიბებას. ისინი მე, პირდაპირი მნიშვნელობით, დამინიშნეს, სათანადო კომპეტენცია კი უმრავლესობას არ ჰქონდა". განა, რომელი ქვეყნის პრემიერია, რომელიც თავის მინისტრებს სკოლის მერხიდან იცნობს ანდა მეგობრობის წლები აკავშირებს მათთან. თენგიზ სიგუამ ათი თვის განმავლობაში შესანიშნავად შეძლო ამ ადამიანებთან თანამშრომლობა. ეს ადამიანები, ცხადია, წამოყენებულნი იყვნენ მმართველი პარტიის გარკვეული სტრუქტურებისა და საპარლამენტო მუდმივმოქმედი კომისიების მიერ, სადაც გადიოდნენ ერთგვარ საკვალიფიკაციო ტესტს. სიგუა ისე წარმოაჩენს საქმეს, თითქოს პრეზიდენტის მეუღლეს პირდაპირ მოჰყავდა ისინი და მინისტრთა სავარძლებში სვამდა. ყოფილი პრემიერი განსაკუთრებით გაღიზიანებული იყო ჯანდაცვის მინისტრ მანანა ძოძუაშვილზე. ამ ქალბატონზე, დღევანდელი გადმოსახედიდან, ერთი რამ შეიძლება ითქვას: იგი პრეზიდენტის მეუღლის, მანანა არჩვაძის, ნების მთავარი აღმსრულებელი ეგონათ. სინამდვილეში, პირიქით იყო საქმე. მიუხედავად, ერთი შეხედვით, ახლობლური ურთიერთობებისა, მანანა ძოძუაშვილი არ ყოფილა მანანა არჩვაძის კონტროლქვეშ მყოფი ფიგურა. იგი უშუალოდ პრეზიდენტთან იყო ანგარიშვალდებული და არა – მის მეუღლესთან, რომელიც, თავის მხრივ, სამთავრობო წრეებში თავისი გავლენის გაფართოებას ცდილობდა. რა მოტივაცია ამოძრავებდა მას, ამის განხილვას აქ არ შევუდგებით. თუმცა, ფორმალურად, ჯანდაცვის მინისტრის, მანანა ძოძუაშვილის, ამოცანა ჩანს პრეზიდენტის მეუღლის ამბიციებისა და სურვილების გაკონტროლება და შეძლებისდაგვარად დაბალანსება, რათა მათ არ გამოეწვიათ ქაოსი და კონფლიქტები.

რაც შეეხება სიგუას კიდევ ერთ ბრალდებას, თითქოს თავად მეცნიერებათა დოქტორებს სთავაზობდა კადრებად, პრეზიდენტი კი ამ უკანასკნელთ კომპარტიის ცეკას ყოფილ წევრებსა და რაიკომის მდივნებს არჩევდა, ამგვარი მოსაზრება იმდენად არაკონკრეტული და უსაგნოა, რომ განხილვას ვერ დაექვემდებარება. რა თქმა უნდა, კადრები, ზოგადად, იყო პრობლემა და მათი შერჩევისას, გინდ სიგუას, გინდ პრეზიდენტის მხრიდან, შეცდომისგან არავინ

იყო დაზღვეული. საბჭოთა სახელმწიფო, როგორც მკაცრად ვერტიკალური და არათავისუფალი სისტემა, ცხადია, ვერ აღზრდიდა ისეთ კადრებს, რომლებიც ამ ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის ჩამოშლის პირობებში, ყველა პრობლემას გაუგებრობების გარეშე, იოლად გაართმევდნენ თავს.

8 ოქტომბრის სესიაზე პრეზიდენტმა ასეთი რამ განაცხადა სიგუას ულტიმატუმების შესახებ: „თუმც, ერთიც უნდა მოგახსენოთ, რომ ჯერ კიდევ მანამდის საკმაოდ დიდი ხნით ადრე მან თქვა, რომ როდესაც ირჩევენ პრეზიდენტს, მაშინ ძველი მთავრობა უნდა გადადგეს და პრეზიდენტმა ახალი მთავრობა უნდა შექმნასო და ყველგან და ყველა ქვეყანაში ასე ხდებაო. ადრე ის ამ აზრის იყო, მაგრამ, რატომღაც, ჩემდა გასაცვიფრებლად, შემდეგ ეს აზრი მან შეიცვალა და ამას უკვე ძალიან არაკანონზომიერ მოვლენად მიიჩნევდა და უკვე მუქარაზე იყო გადასული".[522]

4.21. შედავება პრივატიზაციასა და ეკონომიკურ რეფორმებზე

სიგუას შემდეგი ბრალდება შეეხებოდა მიწის კანონსა და პრივატიზაციას. მოგვიანებით, გადადგომის შემდეგ, იგი აცხადებდა: „ჩვენ მაშინ ასე ვხედავდით საქმეს, 1991 წელი კანონების შემუშავებასა და მათ ამოქმედებას დასჭირდებოდა, 1992 წელს ეს ყოველივე საბოლოოდ განმტკიცდებოდა, როგორც უკვე ბუნებრივი მექანიზმი სამეურნეო საქმიანობისა და რესპუბლიკაში, 93-ში მნიშვნელოვანი შედეგებისათვის უნდა მიგვეღწია. უფრო დაწვრილებით? საერთო იმპერიული ეკონომიკური კრიზისი გარდაუვალი იყო, ეს ყველამ კარგად იცოდა, ქვეყნის მოღონიერება კი სოფლის მეურნეობით იწყება. ეს დრო საკმარისი იყო საფუძველი ჩაგვეყარა სოფლის რეფორმის კანონმდებლობისათვის, წინ 1991-ის გაზაფხული გვქონდა. პრიმიტიულად რომ ვთქვათ, თესვის დრო, გნებავთ, მოსავლის დაგეგმვის, დაპროგრამების, საფუძვლის ჩაყრის დრო, უნდა მომზადებულიყო მიწის კერძო მფლობელობაში გადაცემის კანონიც. გაკეთდა რამე? არაფერი. არც კანონი შეიქმნა, არც კოლმეურნეობები დაიშალა, არც მიწა გადაეცა კანონიერ პატრონს, სოფლის მუშაკს, გლეხს". სიგუას განცხადებაზე საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახურმა აგვისტოს მიწურულს შემდეგი განცხადება გაავრცელა: „თ. სიგუა ატყუებს საზოგადოებას, თითქოს საქართველოს ხელისუფლება არ აპირებდეს პრივატიზაციას, ვითომ „არ იცის", რომ პრივატიზაციას სჭირდება საკანონმდებლო საფუძველი, პრივატიზაციის კანონი კი ეს-ესაა მიიღო პარლამენტმა. მიწის გადაცემა გლეხობისთვის კი აბა, როგორ განხორციელდება, როდესაც მიწის კანონი ჯერ არ გვაქვს, რასაც თან მრავალი სირთულე ახლავს... სიყალბეა იმის განცხადებაც, თითქოს საქართველოს პრეზიდენტს სოციალიზმის ელემენტების შემოტანაზე უთქვამს რაიმე ოდესმე. თ. სიგუას, როგორც ჩანს, არ გაუგია ტერმინი „კონვერგენცია", რომელიც ახსენა პრეზიდენტმა, რაც ნიშნავს ორი სისტემისთვის დამახასიათებე-

ლი ელემენტების შერწყმას, რაც გარდამავალ პერიოდს ახასიათებს. ვინაიდან, სანამ ჩვენში შეიქმნება მსხვილი კაპიტალის კანონიერ მფლობელთა ფენა, სახელმწიფო ხელიდან ვერ გაუშვებს ვერც მსხვილ კაპიტალსა და ვერც საბაზრო მექანიზმების მართვის ინიციატივას. ასეთია გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის სპეციფიკა, ამიტომ სახელმწიფო კონტროლის აუცილებლობაზე ლაპარაკობს დღევანდელი ლიტვაც. ნუთუ იგი სოციალიზმისკენ მიიღტვის?"[523]

თენგიზ სიგუა მაშინვე არ გააქტიურებულა. იგი თავიდან უხმოდ გადადგა. მის გადადგომას კი პირდაპირ მოჰყვა რაღაც ისეთი დიდი რეზონანსის მქონე მოვლენა, რომლის გადავლის შემდეგაც სიგუა უკვე მთელი ძალებით გააქტიურდა როგორც ოპოზიციონერი. რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ იგი ამ მოვლენაზე ინფორმირებულიც კი იყო, თუმცა ამის მტკიცება, ცხადია, ძნელია. ეს მოვლენა კი, რომელმაც სამი დღე სუნთქვაშეკრული აკვირდებოდა მსოფლიო, იყო პუტჩის მცდელობა საბჭოთა იმპერიასა და მის დედაქალაქ მოსკოვში.

სიგუას განცხადებაში ნახსენებია სახელმწიფოს განსაკუთრებული როლი, რის გამოც პრეზიდენტის პრესსამსახური მას ამ საკითხზე პასუხობს. ეს თემა, როგორც ჩანს, პირდაპირ კავშირშია მომდევნო პრემიერ-მინისტრთან. პრემიერ-მინისტრის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად დაიწყო კონსულტაციები. თავიდან ეს პოსტი შესთავაზეს პარლამენტის კომიტეტის თავმჯდომარეს, დეპუტატ ბაკურ გულუას, რომელიც კომუნისტების სიით იყო გასული. გულუამ თანხმობა განაცხადა, თუმცა მომდევნო დღეს, აშკარა ზეწოლის გამო, გადაიფიქრა. ზეწოლის უკან, სავარაუდოდ, იდგნენ მისი კოლეგები კომპარტიდან, რომლებიც მოსკოვის მითითებით მოქმედებდნენ. სავარაუდოა გარკვეული სუბიექტური ფაქტორებიც, რაზეც აღარ შევჩერდებით. ამის შემდეგ თანამდებობაზე გადაწყვიტეს დაენიშნათ გივი თაქთაქიშვილი, „მრგვალი მაგიდის" კოალიციიდან (ეროვნული ფრონტი-რადიკალური კავშირი), რომელიც წარმატებულად ხელმძღვანელობდა უზენაესი საბჭოს ეკონომიკური რეფორმების კომისიას. იგი დათანხმდა, თუმცა ორ საათში გადაწყვეტილება შეცვალა. 1991 წლის 26 აგვისტოს პრემიერის თანამდებობა დაიკავა ბესარიონ გუგუშვილმა, რომელიც მანამდე შერეული სახელმწიფო-კერძო კომპანია „საქართველოს კინოკორპორაციის" პრეზიდენტი იყო, რომელიც შეიქმნა ყოფილი სახელმწიფო კინემატოგრაფიის კომიტეტისა და ყოფილი კინოსტუდია „ქართული ფილმის" გაერთიანებისა და რეორგანიზების შედეგად. გუგუშვილს, პარალელურად, კულტურის მინისტრის მოადგილის თანამდებობაც ეკავა.

ბესარიონ გუგუშვილი, ისევე როგორც მურმან ომანიძე, გარდამავალი პერიოდის ფიგურები იყვნენ. გუგუშვილი, როგორც კი დასრულდებოდა საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარების პროცესი, თანამდებობას დატოვებდა. მანამდე მან წამოაყენა „სახელმწიფო კაპიტალიზმის" თეზისი, რამაც, ცხადია, დიდი გაუგებრობა გამოიწვია, ოპონენტებს კი საბაბი მისცა წამოეყენებინათ მორიგი ბრალდება იმაზე, რომ საქართველოში საბაზრო ეკონომიკასა და ლიბერალურ საწარმოო ურთიერთობებს სამთავრობო დონეზე ენინააღმდე-

გებოდნენ. საიდან მოდიოდა ტერმინი „სახელმწიფო კაპიტალიზმი“? გუგუშვილი თითქოს თავადვე სცემდა პასუხს ერთ-ერთ ჩანაწერში, რომ თავიდან, 1991 წლის მარტში, საგაზეთო სტატიის დაწერა განიზრახა, რომლის თემაც უნდა ყოფილიყო რუსეთში მოსალოდნელი სამხედრო დიქტატურა და საქართველოსთან ომის დაწყება, რომელიც ან ლოკალური იქნებოდა, ან სხვა რეგიონებზეც გავრცელდებოდა. ამ სტატიაში იგი თითქოს წერდა სამხედრო ეკონომიკის ტიპზე, რაც იმას ნიშნავს, რომ ეკონომიკა უნდა გადასულიყო სამხედრო რელსებზე. აქ გასათვალისწინებელი იყო მზარდი საბაზრო ურთიერთობების ფაქტორი, რის გამოც მომიწია სტატიაში შემომეტანა „სახელმწიფო კაპიტალიზმის“ ცნებაო. გუგუშვილის მტკიცებით, ეს სტატია მაშინ გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკამ“ არ გამოაქვეყნა, მან დღის სინათლე იხილა მხოლოდ მას შემდეგ, რაც გუგუშვილი პრემიერად დაინიშნა, თუმცა ფაქტია: ეს სტატია არც 1991 წლის 26 აგვისტოს შემდგომ იძებნება.

სხვათა შორის, ბ. გუგუშვილი რომ გარდამავალი პერიოდის დროებით დანიშნულ პრემიერად მიაჩნდა ზვიად გამსახურდიას, იქიდანაც ჩანს, რომ მის ექსპონირებას ხშირად ერიდებოდა. გივი თაქთაქიშვილი, უზენაესი საბჭოს ეკონომიკური რეფორმების კომისიის თავმჯდომარე იგონებს: „1991 წლის სექტემბერში საქართველოს ეწვია ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმენთა დელეგაცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა კონგრესის წარმომადგენელთა პალატის მუდმივი საბიუჯეტო კომისიის ვაჭრობის ქვეკომისიის თავმჯდომარე სემ გიბსონი. შეხვედრის შემდეგ ბატონმა ზვიადმა მე და ჩემი კოლეგა (ანუ დეპუტატი ტარიელ გელანტია, კ. გ.) გვიხმო, გაგვაცნო სტუმარი, შემოგვთავაზა, როგორც ეკონომისტები გავსაუბრებოდით მას“.[524] როგორც აქედან ჩანს, ზვიადს ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი სტუმარი ბესარიონ გუგუშვილთან არ გაუგზავნია, რადგან იცოდა: მას, თავისი „იდეებით“, შესაძლოა სტუმარი დაებნია. „სახელმწიფო კაპიტალიზმის“ შესახებ არსებობს სხვაგვარი ინტერპეტაციებიც. მაგალითად, მკვლევარი გოჩა გვასალია წერს: ინტელიგენცია გამსახურდიას დასცინოდა სახელმწიფო კაპიტალიზმის იდეის, სხვაგვარად – სოციალურად ორიენტირებული ბაზრის იდეის გამო. რა იყო აქ სასაცილო? ... ზვიადი ცდილობდა, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა მომხდარიყო ნაკლები დანაკარგებით. ზვიადმა ისიც თქვა, რომ უცხოეთიდან მოვიწვევთო სპეციალისტებს საბაზრო ეკონომიკაზე გადასასვლელად და ამის გამოც ქილიკი დაიწყეს მისი დამხობის მოსურნეებმა“.[525]

სიგუას კრიტიკაში იყო რაიმე სიმართლე? „პრივატიზაცია შეფერხებულია, ხელისუფლება გვაბრუნებს სსრკ-ში“, – მონოტონურად გაიძახოდა ის. რა თქმა უნდა, ეს სინამდვილეს არანაირად არ შეესაბამებოდა. უზენაესმა საბჭომ 1991 წლის 9 აგვისტოს მიიღო კანონი საწარმოთა პრივატიზების შესახებ და დაადგინა, რომ იგი ოქტომბრიდან უნდა ამოქმედებულიყო. ლენტი გაიჭრა მაღაზია „გოლიათის“ პრივატიზებით და მას უნდა მოჰყოლოდა სხვა საწარმოები და ობიექტები. ახლა ვნახოთ, როდის მიიღო კანონი პრივატიზების შესახებ და

როდის დაიწყო სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზება ზოგიერთმა ყოფილმა საბჭოთა რესპუბლიკამ და აღმოსავლეთ ევროპის ყოფილმა სოციალისტურმა ქვეყანამ. რუსეთში 1991 წლის 29 დეკემბერს გამოიცა „რუსეთის ფედერაციაში 1992 წელს სახელმწიფო და მუნიციპალური საწარმოების პრივატიზაციის ძირითადი დებულებები“, ხოლო 1992 წლის ზაფხულში დაიწყო პრივატიზების პროგრამის განხორციელება. ამავე წლის აგვისტოში გამოიცა რუსეთის პრეზიდენტის ბრძანებულება „რუსეთის ფედერაციაში საპრივატიზაციო ჩეკების შემოღების შესახებ“; ყაზახეთში 1991 წლის 22 ივლისს მიიღეს კანონი „სახელმწიფო საწარმოთა განსახელმწიფოებრიობისა და პრივატიზების შესახებ“; უკრაინაში 1991 წლის 31 ოქტომბერს უმაღლესმა რადამ დაამტკიცა „სახელმწიფო საწარმოების, მიწისა და საბინაო ფონდის განსახელმწიფოებრიობისა და პრივატიზების კონცეფცია“, რომლის საფუძველზეც დაიწყეს მუშაობა პრივატიზაციის ძირითად კანონპროექტებზე; მოლდოვაში 1991 წლის 4 ივლისს მიიღეს კანონი პრივატიზების შესახებ; აზერბაიჯანში 1993 წლის 7 იანვარს მიიღეს კანონი „აზერბაიჯანის რესპუბლიკაში სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების შესახებ“; ესტონეთში 1992 წლის 4 ივნისს მიიღეს კანონი „კოოპერატიული, სახელმწიფო-კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ქონების განსახელმწიფოებრიობისა და პრივატიზების შესახებ“. 1992 წელსვე ესტონეთში შეიქმნა საპრივატიზაციო სააგენტო, რომელიც ყიდდა ქონებას როგორც ადგილობრივ, ისე უცხოელ მყიდველებზე; ლიტვაში პრივატიზების შესახებ საბაზისო კანონი მიღებულ იქნა 1991 წლის მარტში. 1992 წლის ბოლოსათვის ლიტვაში პრივატიზებულ იქნა საწარმოთა 50%, ანუ კერძო საკუთრებაში გადაეცათ ქვეყნის საწარმოო ფონდების ერთ მესამედზე მეტი: ლატვიაში პარლამენტმა 1991 წლის მარტში წარადგინა პირველი დოკუმენტი „სახელმწიფო ქონების კონვერსიის შესახებ“, ხოლო 1991 წლის ბოლოს დაიწყო მუშაობა პრივატიზების კანონმდებლობის შესაქმნელად. აქ საყურადღებოა ერთი ფაქტი. ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირში ცნობილი რიგის მიკროავტობუსების ქარხანა 2017 წელს შეიძინა ნიდერლანდურმა ფირმამ და დაიწყო მიკროავტობუსების წარმოება.

როგორც ვხედავთ, პრივატიზების შესახებ არც საკანონმდებლო საქმიანობასა და არც პრივატიზების რეალურ განხორციელებაში საქართველოს უზენაესი საბჭო და მთავრობა 1990-1991 წლებში არანაირად არ ჩამორჩებოდა და როგორც ქუჩის, ისე საპარლამენტო ოპოზიციის ბრალდებები სრულიად უსაფუძვლო იყო. გივი თაქთაქიშვილი წერს: „მაგრამ რა იყო ეს, მართლა ოპოზიციის ბრალდება თუ ქართველი წითელი დირექტორების ან ე. წ. „ცეხავიკების“ ან კიდევ საქმოსნების, ან მართლაც სულით ხორცამდე მეწარმეთა მოუთმენლობითა და სულსწრაფობით გამოწვეული სურვილი, ოღონდ რაიმე და თან სასწრაფოდ ჩაეგდოთ ხელში და მერე ღმერთმა იცის, ვინ რისთვის და როგორ გამოიყენებდა ამ სახელმწიფო ქონებას. ამის შედეგიც სახეზეა: სახელმწიფო გადატ-

რიალების შემდეგ გავერანდა, გაიძარცვა და ჯართად გაიყიდა ჯერ კიდევ უკანასკნელ დრომდე წარმატებული უდიდესი და მნიშვნელოვანი საწარმოები".[526]

აქ შეიძლებოდა ამონარიდის მოტანა ჯაბა იოსელიანის წიგნიდან „სამი განზომილება": „კიტოვანი გარშემორტყმულია საქმოსნებით. ისინი რუსი სამხედროების გამოთავისუფლებულ შენობებს, ჰოსპიტლებს, რომელიღაც გასამხედროებულ ქარხნებს უმიზნებენ, მათ ხელში ჩასაგდებად ჩალიჩობენ... მამუკა გვარიშვილს ჩემთან მოჰყავს ვიღაც ვახტანგ რჩეულიშვილი, გინდა თუ არა, რუსის ჯარის რომელიღაც ყოფილი ქარხანა ჩვენ გადმოგვეცით, რაღაც ფირმას თუ კოოპერატივს ვხსნითო. ვინ ხართ თქვენ? მათ ჩემი კოწია გაუყოლებიათ, რაღაც კოოპერაცია შეუქმნიათ. ძალიან თავხედი ვინმეა. კოწიას მაგრად დავუცაცხანე, მამუკასაც უარი ვეტკლიცე, თუმცა არ ვიცი, რა ქარხანაზეა საუბარი".[527]

საწარმოებს იმ პერიოდში მუშაობა მართლაც გაუჭირდათ. ცხადია, ეკონომიკური კავშირები მოიშალა და ამან თავისი ზეგავლენა იქონია. 80-იან წლებში საქართველო, მოკავშირე რესპუბლიკებს შორის მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის გამოშვებით, მეორე-მესამე ადგილს ინარჩუნებდა. თუმცა, ჩვენ სათანადო სანედლეულო ბაზა არ გაგვაჩნდა და ნედლეული უმთავრესად ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკებიდან შემოგვქონდა. ასეთივე მდგომარეობა გვქონდა სხვა დარგებში. ამ გარემოებამ, სხვა ფაქტორებთან ერთად, დიდი როლი ითამაშა ჩვენი ეკონომიკის დაქვეითებაში. 1991 წელს 1889 წელთან შედარებით მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა შემცირდა 33,0%-ით, 1992 წელს კი – 63,1%-ით. ეს იყო ყველაზე ცუდი მაჩვენებელი ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებში. ბუნებრივია, თვით საქართველოში შექმნილმა პოლიტიკურმა დაძაბულობამაც და შემდეგ სახელმწიფო გადატრიალებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ქვეყნის ეკონომიკის დაქვეითებასა და მოშლას. შექმნილი რთული ვითარების შესარბილებლად საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებზე გასულიყო პირდაპირ, გაეფორმებინა ორმხრივი ხელშეკრულებები. მაგრამ ეს არ იყო საკმარისი. საჭირო იყო ქვეყანაში ძირეული ეკონომიკური რეფორმების გატარება. საქართველოს უზენაესი საბჭოს შესაბამისი კომისიები აქტიურად მუშაობდნენ ეკონომიკური კანონმდებლობის დრულად შესაქმნელად. მიუხედავად ამისა, იყო შემთხვევები, როდესაც წარმოიშობოდა ეკონომიკური პრობლემები და კანონი დაგვიანებით მიიღებოდა. ისიც ცხადი იყო, რომ გაბატონებული სოციალისტური ფსიქოლოგიის დაძლევასა და საბაზრო ეკონომიკის წესების დამკვიდრებას გარკვეული დრო დასჭირდებოდა.

ზაფხულში მიიღეს კანონი „სამეწარმეო საქმიანობის შესახებ".[528] საინტერესოა აღინიშნოს, რომ 1991 წლის პირველი სექტემბრიდან ძალაში შევიდა საქართველოს რესპუბლიკის კანონი უცხოური ინვესტიციების შესახებ, მაგრამ თითქმის მთელი სექტემბერი ქვეყანაში, უმთავრესად, დაძაბული სიტუაცია იყო. მიუხედავად ამისა, ოქტომბერ-ნოემბერში დარეგისტრირდა 10-ზე მეტი ერთობლივი საწარმო, ძირითადად, მრავალდარგობრივი, რომლებიც აპირებ-

დნენ მრეწველობის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის, სამშენებლო მასალების, კვების მრეწველობის, ტურიზმისა და სხვა დარგებში (20-დე მიმართულებით) მუშაობის დაწყებას. გარდა ამისა, შეიქმნა ორი – თბილისისა და კავკასიის ბირჟა („თბილისის უნივერსალური ბირჟა" გია მაისაშვილმა გახსნა). თითქმის ბოლომდე იქნა მიყვანილი „პეპსი-კოლასთან" მოლაპარაკება საქართველოში ქართული, ერთჯერადი პაკეტირებული ჩაის წარმოების შესახებ. ამერიკულ კომპანია „მაკოილთან" მიდიოდა მოლაპარაკება საქართველოში ნავთობის მოძიება-მოპოვებაზე. თურქი პარტნიორების დახმარებით მიდიოდა მოელაპარაკება გერმანულ ფარმაცევტულ ფირმა „ბაიერთან" საქართველოში ადგილობრივი სამკურნალო მცენარეების ნედლეულის საფუძველზე მედიკამენტების წარმოებაზე და ა. შ.

1991 წლის 12 დეკემბერს ლიტვის რესპუბლიკასა და საქართველოს შორის ხელი მოეწერა სავაჭრო-ეკონომიკურ ხელშეკრულებას. 14 დეკემბერს კი სომხეთსა და საქართველოს რესპუბლიკებს შორის დაიდო ორმხრივ ეკონომიკურ ურთიერთობათა ხელშეკრულება. 1991 წლის 31 იანვარს უზენაესი საბჭოს მრწველობის, ენერგეტიკის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუდმივმოქმედი კომისიის გაფართოებულ სხდომას კონსტრუქტორ-დიზაინერმა ანზორ ჩაჩუამ წარუდგინა ევრაზიის ქვეყნებს შორის სატრანსპორტო მაგისტრალის პროექტი საქართველოზე გავლით და, საქართველოს, როგორც სატრანსპორტო დერეფნის, გათვალისწინებით. სხდომამ პროექტი მოიწონა და შესაბამისი წინანადებითაც შეავსო. იმავე წლის 15 ნოემბერს კი მინისტრთა კაბინეტმა განიხილა ეს წინადადება და მიიღო გადაწყვეტილება, რომ ამ საკითხის პრაქტიკულად განსახორციელებლად შექმნილიყო სამთავრობო საკოორდინაციო საბჭო. მას უნდა მოემზადებინა და მოეწვია საერთაშორისო თათბირი.[529] ზოგადი სახით ეს ის პროექტია, რომელიც საქართველოში შემდგომში განხორციელდა; ელმავალმშენებელ ქარხანაში დაიწყეს მცირე ჰესების დანადგართა წარმოება, რომლებიც 10-დან 50-მდე ოჯახის ელექტროენერგიით მომარაგებას გაწვდებოდა; მოსალოდნელი სასურსათო კრიზისის აღსაკვეთად მთავრობამ იმთავითვე დაიწყო რეზერვების შექმნა და პროდუქტის გატანა აკრძალა რუსეთში. ამ დროს საბჭოთა კავშირში თვეში 75% ინფლაცია მიდიოდა. გადაგზავნილი პროდუქციის სანაცვლოდ გადმორიცხული თანხა ამ პროდუქტის თვითღირებულებასაც კი ვერ ფარავდა. ამიტომ საბაზრო ფასებზე გადასვლამდე საჭიროდ ჩაითვალა პროდუქციის დასაწყობება. თუმცა მაშინდელ ოპოზიციას ძალიან უჭირდა ხელისუფლების მიერ გადადგმულ პოზიტიურ ნაბიჯთა დანახვა.

4.22. პუტჩის მცდელობა მოსკოვში და მასზე რეაგირება საქართველოში

საბჭოთა იმპერიაში განსაკუთრებით სახიფათო ნიშნები 1991 წლის დასაწყისიდან გამოიკვეთა, თუმცა გარკვეული ესკალაცია ზაფხულში თვალსაჩინო

გახდა. 23 ივლისს გაზეთმა „სოვეტსკაია რასიამ" გამოქვეყნა წერილი „მიმართვა ხალხისადმი", რომელშიც სსრკ-ის თავდაცვის მინისტრის ორივე მოადგილე, არმიის გენერალი ვალენტინ ვარენნიკოვი და ავღანეთის ომის გმირი, გენერალ-ლეიტენანტი ბორის გრომოვი კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ერთ-ერთი განყოფილების გამგესთან, იმჟამად ნაკლებად ცნობილ გენადი ზიუგანოვსა და ნაციონალისტურად განწყობილ რამდენიმე რუს მწერალთან ერთად, რომელთაგანაც ერთ-ერთი კარგად ცნობილი ვალენტინ რასპუტინი გახლდათ, საბჭოთა არმიას მოუწოდებდნენ გააქტიურებულიყო „საბჭოთა სამშობლოს" გადასარჩენად. „სადაც არ უნდა იყოთ, ქალაქებში თუ სოფლებში, სტეპებში თუ ტყეებში, ოკეანის ნაპირებზე თუ სხვაგან, გამოფხიზლდით, ფეხზე დადექით თავისუფლებისთვის, სამშობლოს დამაქცევართათვის წინააღმდეგობის გასაწევად", — ეწერა ამ მიმართვაში.[530]

ჯერ კიდევ ბუშის ვიზიტის დროს მოსკოვში, თავდასხმები მოხდა ლიტვის ახალშექმნილ საბაჟოზე, სადაც რუსმა ომონელებმა ცეცხლსასროლი იარაღით დახვრიტეს ექვსი ლიტველი მებაჟე. მსგავსი თავდასხმები მოხდა ესტონეთისა და ლატვიის საბაჟო პუნქტებზეც. ეს ყოველივე ძალიან საშიში სიმპტომები იყო იმისა, რომ იმპერია აუცილებლად მოიქნევდა კუდს. ამავე წლის 14 აგვისტოს გაზეთმა „მოსკოვსკიე ნოვოსტიმ" გამოაქვეყნა პირველი მონახაზი ნოვო-ოგარიოვოს ხელშეკრულებისა. იგი მომდევნო დღეს გაზეთმა „იზვესტიამაც" გადაბეჭდა. იმავდროულად, პოლიტბიუროს წევრმა ალექსანდ იაკოვლევმა დატოვა სსრკ-ის კომუნისტური პარტიის რიგები და გააკეთა განცხადება, რომ შესაძლოა ყველაფერი მისულიყო პუტჩამდე, რომ პარტიაში არსებობდა გავლენიანი სტალინური დაჯგუფება, რომელსაც სურდა 1985 წლიდან აღებული კურსის უარყოფა.[531]

მიხეილ გორბაჩოვი, რომელიც 20 აგვისტოს გეგმავდა „ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების" ხელმოწერას, ყირიმში იმყოფებოდა, სამთავრობო აგარაკზე, ფოროსში. გადაწყვეტილება საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასა და ვიცე-პრეზიდენტ იანაევზე უფლებამოსილებების გადატანაზე ხელმოსაწერად მას სწორედ ფოროსზე ჩაუტანა „შეთქმულთა" დელეგაციამ 18 აგვისტოს, საღამოს საათებში. მათ შორის იყვნენ: ოლეგ ბაკლანოვი, უმაღლესი საბჭოს დეპუტატი და თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, ოლეგ შენინი, პოლიტბიუროს წევრი და ცეკას მდივანი, იური პლეხანოვი, სუკ-ის გენერალი, ვალერი ბოლდინი, პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი და ასევე ვალენტინ ვარენნიკოვი, არმიის გენერალი, საბჭოთა არმიის სახმელეთო ჯარების სარდალი. რაც შეეხება „გეკაჩეპეს", ანუ „საგანგებო მდგომარეობის მთავარ კომიტეტს", მასში, ვიცე-პრეზიდენტ გენადი იანაევის გარდა შედიოდნენ სუკ-ის თავმჯდომარე ვლადიმირ კრიუჩკოვი, ნახსენები ოლეგ ბაკლანოვი და ოლეგ შენინი, თავდაცვის მინისტრი, მარშალი დიმიტრი იაზოვი, შინაგან საქმეთა მინისტრი ბორის პუგო, პრემიერ-მინისტრი ვალენტინ პავლოვი, „გლეხობის კავშირის" თავმჯდომარე ვასილი სტაროდუბცევი და მრწეველობის, მშენებლობი-

სა და კავშირგაბმულობის გაერთიანების უფროსი ალექსანდრ ტიზიაკოვი. მათ მხარს უჭერდა უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ანატოლი ლუკიანოვი.

19 აგვისტოს დილით, „იტარ-ტასმა“ გაავრცელა ვიცე-პრეზიდენტ გენადი იანაევის განცხადება, რომ იგი თავის თავზე იღებდა პრეზიდენტის მოვალეობების შესრულებას. მომდევნო დღეს, 20 აგვისტოს, გამოქვეყნდა ნახსენები საგანგებო კომიტეტის „მიმართვა საბჭოთა ხალისადმი“, რომელშიც გამოთქმული იყო შეშფოთება საბჭოთა კავშირის მოსალოდნელი დაშლის გამო. აიკრძალა პოლიტიკური პარტიების საქმიანობა, მიტინგები, დემონსტრაციები, ასევე დამოუკიდებელი გაზეთები. ამის შემდეგ საბჭოთა არმიის ნაწილები და ჯავშანტექნიკა მოსკოვისკენ დაიძრა. ეს, უწინარეს ყოვლისა, იყო ტამანის დივიზია, სამხედრო კონტინგენტი, რომელიც მოსკოვის ოლქში იყო დისლოცირებული. ბორის ელცინმა, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა, არხანგელსკოეში მდებარე თავისი სახლიდან გაავრცელა მიმართვა, საიდანაც მოსახლეობას საყოველთაო გაფიცვისა და წინააღმდეგობისკენ მოუწოდა, ასევე მოითხოვა გორბაჩოვის დაბრუნება. პრეზიდენტმა ელცინმა, შუადღისას, ტანკზე მდგომმა გააკეთა ცნობილი ისტორიული მიმართვა, რომელშიც მოუწოდა მოსახლეობას წინააღმდეგობა გაეწიათ პუტჩისტებისთვის. „თეთრის სახლის“ გარშემო ცოცხალი ჯაჭვი გაკეთდა, რომელსაც „დემოკრატიული რუსეთის“ მოძრაობა უწევდა კოორდინაციას. 20 აგვისტოს „თეთრ სახლთან“ უზარმაზარი მიტინგი შეიკრიბა. სპეცრაზმმა „ალფამ“ უარი განაცხადა შეესრულებინა ბრძანება იერიშის მიტანისა „თეთრ სახლზე“. ღამით, დემონსტრანტებმა გზა გადაუღობეს ტანკებს, რომლებიც კალინინის პროსპექტის გვირაბიდან დემონსტრანტებისკენ ცდილობდნენ გზის გაკვლევას. ამ დროს დაიღუპა სამი დემონსტრანტი.

21 აგვისტოს, 16 საათსა და 30 წუთზე „ტას“-მა გაავრცელა ცნობა საგანგებო კომიტეტის დაშლისა და ჯარების ყაზარმებში დაბრუნების შესახებ. 22 აგვისტოს მოსკოვში, ლუბიანკის მოედანზე მოქალაქეებმა დაამხეს „ჩეკას“ დამაარსებლის, ფელიქს ძერჟინსკის ძეგლი. მოგვიანებით პუტჩისტები დააკავეს.

რესპუბლიკებში დამოკიდებულება „გეკაჩეპეს“ მიმართ ერთგვაროვანი არ ყოფილა. დ. შველიძის დაკვირვებით, იყვნენ შედარებით „ნეიტრალურები“ (სომხეთი, ყაზახეთი, უკრაინა), სადაც აღმასრულებელი ხელისუფლებისა და საკანონმდებლო ხელისუფლებების პოზიციები ერთმანეთისგან განსხვავდებოდა და უფრო დროის გაყვანის პოლიტიკა იკვეთებოდა; „მხარდამჭერები“ (ბელარუსი, უზბეკეთი, თურქმენეთი, ყირგიზეთი და ტაჯიკეთი) და „დამოუკიდებლები“ (მოლდოვა, ლიტვა, ლატვია და ესტონეთი), სადაც ამ ნაბიჯებს ღიად განიხილავდნენ „სამხედრო დიქტატურის დამყარების მცდელობად“, იყო მონოდებები, არ ეთანამშრომლათ ამ ანტიკონსტიტუციურ ორგანოსთან და შეძლებისდაგვარად ყველგან არაძალისმიერი წინააღმდეგობა გაეწიათ. მოლდოვაში კი იყო მონოდება, რათა მოხალისეთა შეიარაღებულ რაზმებს სახელმწიფო ობიექტები დაეცვათ.[532]

რა ვითარებაში აღმოჩნდა საქართველო? რამდენადაც ცნობილია, 19 აგვისტოს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, რომელიც ყაზბეგში დასასვენებლად იმყოფებოდა, სასწრაფოდ დაბრუნდა თბილისში და მოუწოდა მოქალაქეებს, შეენარჩუნებინათ სიმშვიდე, წესრიგი და დისციპლინა. ამავე დღეს გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკამ“ გამოაქვეყნა პრეზიდენტის, უზენაესი საბჭოსა და მინისტრთა კაბინეტის ერთობლივი მიმართვა, რომელშიც ნათქვამი იყო: „მოგიწოდებთ, ყველანი ვიყოთ სამუშაო ადგილებზე, შევასრულოთ სამსახურებრივი მოვალეობა, არ ავყვეთ პროვოკაციებს, არ დავუშვათ თვითნებური მოქმედება, დავემორჩილოთ საქართველოს ხელისუფლების ორგანოთა განკარგულებებს. დარწმუნებული ვართ, მხოლოდ ამგვარად შევძლებთ ჩვენს რესპუბლიკაში სამოქალაქო სიმშვიდისა და პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფას. იმედია, საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობა გამოიჩენს მაღალ მოქალაქეობრივ შეგნებასა და პასუხისმგებლობას“.[533]

როგორც აღნიშნული აქვს ისტორიკოს გიორგი არქანიას, 19 აგვისტოს თბილისში უკვე იმყოფებოდა სსრკ-ის თავდაცვის მინისტრის მოადგილე, გენერალი ვლადიმირ შურავლიოვი, პარალელურად, „ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის თბილისის გარნიზონის ნაწილებმა კონტროლი დააწესეს თბილისის აეროპორტსა და რკინიგზის სადგურზე, საქართველოს ტერიტორიაზე არსებული საბჭოთა სამხედრო ბაზები სრულ საბრძოლო მზადყოფნაში იყვნენ. შურავლიოვი შეხვდა გამსახურდიას და კატეგორიულად მოსთხოვა ეროვნული გვარდიის გაუქმება, წინააღმდეგ შემთხვევაში საბჭოთა ჯარი ქართულ გვარდიას გაანადგურებდა“.[534]

რუს გენერალთან პოლემიკაში შესვლის გარეშე პრეზიდენტმა მას განუმარტა, რომ ეროვნული გვარდია იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურა. მან იმავე დღეს დამატებით მოაწერა ხელი ბრძანებულებას „შს სამინისტროს შინაგანი ჯარების – ეროვნული გვარდიის რეორგანიზაციის შესახებ“, რომლის ძირითადი პუნქტები ასე გამოიყურებოდა: შს სამინისტროს შინაგანი ჯარების ეროვნულ გვარდიას მიეცეს განსაკუთრებული დანიშნულების მილიციის ქვეგანაყოფის სტატუსი; გაუქმდეს შინაგანი ჯარების – ეროვნული გვარდიის სარდლის თანამდებობა და ქვეგანაყოფი დაექვემდებაროს მინისტრის მოადგილეს; შინაგანმა ჯარებმა ისარგებლონ მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს ტაბელური იარაღით (თბილისი, 19.08.1991). თავად ზვიად გამსახურდიამ კი თავის „ჩანაწერებში“ აღნიშნა, რომ ამ ბრძანებით მან მხოლოდ იმის კონსტატირება მოახდინა, რომ გვარდია ისედაც შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურაში იყო მოქცეული, ანუ დადასტურდა სტატუსი, რომელიც მას უზენაესი საბჭოს მიერ მიენიჭა, რამდენადაც გვარდიას საფრთხე ემუქრებოდა „გეკაჩეპეს“ დღეებში.

ამასობაში ოპოზიციამ მის მიმართ წამოაყენა ბრალდება, თითქოს საქართველოს პრეზიდენტმა მხარი დაუჭირა „გეკაჩეპეს“ და ამის მტკიცებულებად იშველიებდა „იანაევის დაკითხვის ოქმებს“.[535] გენერალთან შეხვედრაზე უარს

ან მასთან დისკუსიას, რომ „ჩვენ დამოუკიდებლობა გამოვაცხადეთ და ფეხზე გვკიდია, თქვენ რას იფიქრებთ“, აზრი არ ჰქონდა და ამავე დროს ძალიან საშიშიც იყო – ასეთ შემთხვევაში პირველი, რასაც მაღალი ალბათობით დაარტყამდნენ სსრკ-ის შეიარაღებული ძალები ჰაერიდანაც და მიწიდანაც, ეს საქართველოს ეროვნული გვარდია იქნებოდა. პრეზიდენტმა ამ უსიამო ვიზიტორს აჩვენა საბუთი, რომლის მიხედვითაც საქართველოს ეროვნული გვარდია იურიდიულად რესპუბლიკის შინაგანი ჯარი იყო, რასაც სსრკ-ის კონსტიტუცია არ კრძალავდა. გენერალი და მისი გამომგზავნელები მიხვდნენ, რომ აქ დისკუსია უადგილო იყო. ეს საკითხი დელიკატურად მოგვარდა. და რატომ იყო ეროვნული გვარდია მოქცეული შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში? იმიტომ, რომ თავდაცვის სამინისტროს შექმნა მოსკოვის პუტჩამდე გამოიწვევდა გარდაუვალ კოლიზიას მოსკოვთან, რასაც შესაძლოა, ძალიან საშიში მასშტაბები მიეღო. ეს ნაბიჯი მანამდე არცერთ რესპუბლიკას არ გადაუდგამს.

ნოდარ ნათაძე, უზენაესი საბჭოს დეპუტატი და „სახალხო ფრონტის“ ლიდერი, იმ დღეების მოვლენებს ასე იგონებს: „თბილისი დაბნეულობამ მოიცვა, უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი შეიკრიბა და ამ დროს ზვიადიც ჩამოვიდა. ძალიან მძიმე ვითარება იყო, პუტჩისტებმა განაცხადეს, რომ საბჭოთა კავშირის გაძლიერება უნდოდათ. ეს კი ნიშნავდა სისხლსა და ნგრევას საქართველოში და ისევ ჩვენ დამონებას. ზვიადმა მშვიდად თქვა, პუტჩი უნდა დავგმოთ, მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ, რომ ის სხვა სახელმწიფოში მოხდა და ვერ ჩავერევითო. ბოლოს კი დასძინა, ერთხელ მაინც მოვიქცეთ ისე, ჩვენი ქვეყანა სხვის ნანგრევებში არ მოყვესო. ასეც გავაკეთეთ. ოპოზიცია კი მოითხოვდა, ხელჩართულ ბრძოლაში ჩავრთულიყავით. იყო მიტინგები და გამოსვლები. განსაკუთრებით ედპ და გიორგი ჭანტურია აქტიურობდნენ. ბრალად გვდებდნენ, სამშობლოს ულალატეთო. მახსოვს, როდესაც პუტჩისტების თავკაცმა იანაევმა დაურეკა ზვიადს, გვერდით ვედექი. იანაევმა მხარდაჭერა მოითხოვა. ზვიადმა კი უპასუხა, მე ჩემი ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ვიბრძვიო. მაშინ თბილისს ისე დავბომბავ, მისგან მტვერიც არ დარჩებაო... ამას ვერ შეძლებო, – უთხრა ზვიადმა“.[536]

ამავე დროს, პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ გააკეთა მიმართვა დასავლეთის ქვეყნების ხალხებისა და მთავრობებისადმი, რომელშიც ეწერა: „საბჭოთა კავშირში შეიქმნა არასტაბილური სიტუაცია, რომლის გაკონტროლება ახლო მომავალში, შესაძლოა, შეუძლებელი გახდეს. მოვლენათა ასეთი განვითარება ყოველთვის გარდაუვალია ტოტალიტარულ იმპერიაში, სადაც იწყება დიდი ლიბერალიზაცია. ასეთი მოვლენების პირისპირ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება დასავლეთის სახელმწიფოთა პრინციპულ პოზიციას, უკომპრომისო შეფასებას, ყოველივე იმას, რაც ხდება, აგრეთვე, აქტიურ დიპლომატიურ თუ სხვაგვარ მოქმედებას. დასავლეთი არ უნდა იყოს მაყურებლის როლში. პოლიტიკური შეფასება მომხდარი გადატრიალებისა ძალზე რთულია, ვინაიდან ჯერჯერობით არ არის ნათელი, ნამდვილი გადატრიალებაა ეს თუ მხოლოდ გა-

რიგება ან შოუ, რომლისგანაც პოლიტიკური დივიდენდების მიღებას მიელტვიან ცალკეულ სახელმწიფოთა ლიდერები. მთავარზე უმთავრესია, დასავლეთმა მხარი დაუჭიროს საბჭოთა კავშირის მხოლოდ ხალხის მიერ არჩეულ ხელისუფლებას, დემოკრატიის, პლურალიზმის დამკვიდრებას. შექმნილი არასტაბილური მდგომარეობა, რეაქციული ძალების შესაძლო გამარჯვება საფრთხეს უქმნის, უწინარეს ყოვლისა, საბჭოთა კავშირში შემავალ იმ რესპუბლიკებს, რომლებიც იბრძვიან დამოუკიდებლობისთვის და რომელთაც ჰყავთ ხალხის მიერ არჩეული პარლამენტი და პრეზიდენტი. ისინი უშუალო სამხედრო აგრესიის საფრთხის წინაშე დგანან. ამიტომ მე მოვუწოდებ დასავლეთის მთავრობებს, უწინარეს ყოვლისა, აშშ-ის, სასწრაფოდ და გადაუდებლად დე ფაქტო და დე იურე ცნონ ამ რესპუბლიკების, მათ შორის, საქართველოს დამოუკიდებლობა და დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარონ მათთან, რათა დაიცვან ჭეშმარიტად დემოკრატიული რეფორმების მონაპოვარი ამ ქვეყნებში".[537]

მართალია, მოსკოვურმა ხუნტამ 2-3 დღეში არსებობა შეწყვიტა, თუმცა დეზინფორმაციულმა ნაკადმა და ლანძღვამ უკვე თბილისში არ დაახანა საქართველოს ხელისუფლებისა და პრეზიდენტის მისამართით. კრიტიკის თემა იყო მიუღებელი კომპრომისი მოსკოვთან და გვარდიის დაშლა. თუ წარმოვიდგენთ, რომ მოვლენები სხვა მხრივ განვითარდებოდა და საბჭოთა არმია დარტყმას განახორციელებდა ჩვენი ახალწვეულების მიმართ, კრიტიკა და ლანძღვა ხელისუფლების უკვე „რადიკალიზმისა", ალბათ, ყველანაირ წარმოსადგენ ნიშნულს გასცდებოდა. ამ ყოველივეს მოჰყვა მომავალი პუტჩისტების, უკვე რკონში გასასვლელად გამზადებული ორი თენგიზის – კიტოვანისა და სიგუას დეზინფორმაციული ნაკადი, რომ მოღალატე პრეზიდენტმა გვარდია „გეკაჩპეს" ბრძანებით დათმო და დაშალა (სხვათა შორის, ისინი „ჟურავლიოვად" მოიხსენიებდნენ ცენტრიდან მოვლინებულ გენერალ შურავლიოვს).

რკონში გასვლის შემდეგ გვარდიელთა რიგებში პროკლამაცია გაავრცელეს, სათაურით „მიმართვა საქართველოს ეროვნული გვარდიის წევრებისადმი". ეს „მიმართვა" ეკუთვნოდა ხელისუფლების ყველაზე რადიკალური ოპონენტების ჯგუფს, „ეროვნულ-დემოკრატიულ" პარტიას. მასში ნათქვამი იყო, რომ საქართველოს მართავდა „კრემლის მორჩილი მარიონეტების", მოსკოვის „შენიღბული და საშიში აგენტების" ხელისუფლება, რომელსაც გვარდია სჭირდებოდა პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა გასანადგურებლად, მიტინგებისა და დემონსტრაციების დასაშლელად. ამიტომაც იყო მოწოდება, გვარდია დაუყოვნებლივ გამიჯვნოდა „ბოროტებას". რა მიზნებით ხსნის თენგიზ სიგუა კიტოვანის გასვლას რკონში გვარდიის ახლად ფორმირებულ ნაწილებთან ერთად? ინტერვიუში ვკითხულობთ: „კიტოვანისათვის პროგრამა-მინიმუმს ახალწვეულების დაუცველი გარნიზონებიდან გაყვანა და ტყეში გახიზვნა წარმოადგენდა. პროგრამა-მაქსიმუმს – პოზიციების გამაგრება და პარტიზანული ბრძოლა. მას ჰქონდა ამის საფუძველი, რადგანაც, როგორც ვთქვით, პოლიტიკური პროგნოზის ლოგიკა მეტყველებდა, რომ იგი ამ ბრძოლაში არამცთუ მარტო არ

იქნებოდა, არამედ მთელი იმპერიის ტერიტორიაზე გაიშლებოდა ასობით წინააღმდეგობის კერა. თუ საქმე ხელჩართულ ბრძოლამდე მივიდოდა, პუტჩისტთა მომხრე ჯარს არცთუ მცირე საზრუნავი ექნებოდა თვით რუსეთშიც. ახლა გამსახურდიას განცხადება გავიხსენოთ – მე გვარდია გადავარჩინეო, თქვა მან და ამაში სტატუსის შეცვლა იგულისხმა. გავხსნათ გვარდიის ოფიცერთა ძველი წიგნაკები, პირველსავე გვერდზე შავით თეთრზე სწერია: „შინაგანი ჯარები ეროვნული გვარდია". შინაგანი ჯარები დავარქვიო, ეს ტყუილია, უკვე ერქვა. მოდით, სხვა რამეზე დავფიქრდეთ, ნუთუ ვინმეს ისე გულუბრყვილო ჰგონია რუსის გენერლები, რომ ორ სიტყვის, „ეროვნული გვარდიის" ამოღებით მათ გვარდია ლიკვიდირებული ჰგონებოდათ? ამ შემთხვევის ანალიზი ცხადყოფს იმას, რომ არსებობდა ფარული შეთანხმება პუტჩისტთა, „გეკაჩეპესა" და გამსახურდიას შორის. „გეკაჩეპემ" რამოდენიმე წინასწარი ულტიმატუმი გაუგზავნა გამსახურდიას და ისიც ასრულებდა მათ".[538]

ამ ამონარიდის გაცნობისას ჩნდება კითხვა: რა შეიარაღებით, რა ლოგისტიკური და მომარაგების შესაძლებლობებითა და საბრძოლო გამოცდილებით აპირებდნენ თენგიზ კიტოვანი და თენგიზ სიგუა მათთან ერთად მყოფ გვარდიასთან ერთად საბჭოთა ჯარებთან დაპირისპირებას? რამდენადაც ცნობილია, ეროვნული გვარდიის ბაზისური შეიარაღება, განვითარების იმ ეტაპზე, საკმაოდ ჩამორჩებოდა ელემენტარულ სტანდარტებს. ასეთი საფრთხე კი იმ ეტაპზე ნამდვილად არსებობდა და ამის შესახებ გაზეთი „იზვესტიაც" წერდა: „სამხედრო კონფრონტაციის შემთხვევაში ეროვნული გვარდიის წინააღმდეგ დაუყოვნებლივ იქნებოდა გადმოსროლილი მასზე ოთხჯერ მეტი ძალები. შესაძლებელი შეტაკების შედეგი ამ შემთხვევაში სამხედროებში არავითარ ეჭვს არ იწვევს".[539] და, თუ რუს გენერლებს ყოველგვარი წინაპირობის გარეშე ქართულ გვარდიაზე თავდასხმა სურდათ, მაშინ რაში ესაჭიროებოდათ გამსახურდიას მხრიდან ულტიმატუმების შესრულება ან გარიგება მასთან? მოქმედების დასაწყებად საქართველოს პრეზიდენტის ნებართვას ელოდებოდნენ? თუმცა შეთქმულების თეორიის აქ წამოწევას სიგუას მხრიდან უფრო თავის მართლების სუნი ასდის. ასევე არადამაჯერებელია, რომ კიტოვანი პროგრამა-მინიმუმისა და პროგრამა-მაქსიმუმის კატეგორიებით აზროვნებდა იმ დროს. რაც მას ნამდვილად ანუხებდა, ეს იყო შინაგან საქმეთა მინისტრის, დილარ ხაბულიანის, განცხადება 24 საათში იარაღის ჩაბარებაზე და პრეზიდენტის 28 აგვისტოთი დათარიღებული ბრძანებულება მის გადაყენებაზე გვარდიის სარდლის თანამდებობიდან. ან რა იყო იმაში გასაკვირი, რომ იგი გადააყენეს – გვარდიის სარდლის მხრიდან მაინც კანონდარღვევა იყო ჯარის გადაადგილება თავდაპირველი დისლოკაციის ადგილიდან მინისტრსა და პრეზიდენტთან შეთანხმების გარეშე.

თავდაცვის საკითხებიდან არაპროფესიონალი ვაჟა ადამიას ჩამოშორების შემდეგ თენგიზ კიტოვანმა, როგორც მისმა მსგავსმა არაპროფესიონალმა (რაც შეეხება სამხედრო საქმეს და თავდაცვის სისტემას), ასევე იცოდა, რომ მას შემდეგ, რაც შეიქმნებოდა თავდაცვის სამინისტრო, იგი მინისტრი ვერ გახდე-

ბოდა. ამ პოსტზე პროფესიონალ და სანდო სამხედრო პირს დანიშნავდნენ. დიმიტრი შველიძე ყურადღებას ამახვილებს კიტოვანის წერილზე, რომელიც გაზეთმა „თავისუფალმა საქართველომ“ გამოაქვეყნა. ეს წერილი, ისტორიკოსის აზრით, „უნიკალური“ მასალაა: კიტოვანი წერს, რომ მოსკოვის მოვლენებამდე გარკვეული ხნით ადრე ოფიციალურად დანიშნული იყო გვარდიის მანევრები და სამხედრო სწავლება 10 აგვისტოდან 5 სექტემბრამდე. გვარდიას უნდა დაეკავებინა წინასწარ მომზადებული საწვრთნელი ბანაკები შატილსა და მუცოში. მოსკოვის გადატრიალების დაწყებისას კი გვარდიამ გადაწყვეტილება შეცვალა. საწვრთნელი ადგილი თრიალეთის ქედის ერთ-ერთ კალთასთან გადმოიტანა. პრობლემური საკითხი აქ ის არის, რომ კიტოვანი არსად წერს, თითქოს ეს გადაწყვეტილებაც შეთანხმებული იყო შს მინისტრსა და პრეზიდენტთან. ანუ ისევ თვითნებობასთან გვაქვს საქმე. შემდგომ კიტოვანი წერს, რომ იგი გაგებით მოეკიდა რესპუბლიკის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებას ეროვნული გვარდიის განსაკუთრებული სახის მილიციად გარდაქმნის შესახებ, როგორც იურიდიულ აქტს, რომელსაც ფარად გამოიყენებდნენ პუტჩისტების წარმატების შემთხვევაში. იქვე კიტოვანი აღშფოთებას გამოთქვამს მინისტრ ხაბულიანის გამოსვლაზე, რომელიც სისხლის სამართლის საქმეების აღძვრით დაემუქრა გვარდიელებს, თუკი 24 სააათში არ მოხდებოდა განიარაღება. ეს ყველაფერი კიტოვანს „პიროვნულ ამბიციებამდე“ დაჰყავს, თუმცა ესეც დემაგოგია და საკითხის გაუბრალოებაა. სინამდვილეში ხაბულიანი ამ მოცემულ შემთხვევაში კონსტიტუციიდან და კანონიდან გამომდინარე მოქმედებდა, რამდენადაც გვარდია იყო შინაგანი ჯარი და საგანგებო შენაერთი შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენლობაში. სარდალს მინისტრთან კონსულტაცია არ გაუვლია, ვიდრე რკონისკენ დაძვრის ბრძანებას გასცემდა.

კიტოვანის დასკვნით, „ეჭვები“ გაფანტა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ აკაკი ასათიანმა, რომელიც რკონის ხეობაში დეპუტატთა ჯგუფთან ერთად ჩავიდა და განაცხადა, რომ ხელისუფლებას გადაწყვეტილი ჰქონდა თავდაცვის სამინისტროს შექმნა.[540] მთელი წერილი ისეთი ტონითაა დაწერილი, რომ, მიუხედავად დაუმორჩილებლობისა და ავტონომიური ქმედებისა, კიტოვანის მხრიდან ცალსახა ამბოხი ხელისუფლების წინააღმდეგ თითქოს არ იკვეთება. სიტუაცია უფრო შუალედური ჩანს. წერილში ხელისუფლების ქმედებათა გამართლებაც კი ხდება. დასაშვებია, რომ აგვისტოს მეორე ნახევარში სარდალი კიტოვანი ხელისუფლებისადმი ჯერ კიდეც ლოიალურ განწყობას ინარჩუნებდა, თუმცა მასზე მიდიოდა მუშაობა, რათა იგი სრული და რადიკალური დაპირისპირების რეჟიმში გადაეყვანათ.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, სიგუა ხალხს შეჰპირდა თვით მოსკოვური ხუნტის თავმჯდომარის, „იანაევის საიდუმლო ოქმებს“, რომლებიც ანტისემიტთაგან შეთხზულ „სიონის ბრძენთა ოქმებზე“ ნაკლები არ უნდა ყოფილიყო — მათში უნდა ასახულიყო ზვიად გამსახურდიასა და მოსკოვური გეკაჩეპეს შეთქმულება საქართველოს, ასევე, მთელი მსოფლიოსა და კაცობრიობის წინააღ-

მდეგ. როგორც არ უნდა ყოფილიყო, ეროვნული გვარდიის სარდლის მხრიდან დაუმორჩილებლობისა და რკონის ხეობაში გადასვლის ფაქტმა დატოვა მოსკოვის პუტჩის დღეების ძალიან ნეგატიური, არასასურველი რელიქტი პოლიტიკურ ბრძოლაში – შეიარაღებული კომპონენტი „კიტოვანის გვარდიის" სახით.

საქართველოს ხელისუფლების მოქმედება 1991 წლის აგვისტოს პუტჩის დღეებში, შესაძლოა, არ იყო პროპაგანდისტული თვალსაზრისით იმდენად დამაჯერებელი, რომ იმთავითვე გამოერიცხა სპეკულაციები იმის თაობაზე, იყო თუ არა ის გარიგებული მოსკოვის პუტჩისტებთან. სიფრთხილე და გაუბედაობა გამომდინარეობდა იქიდან, რომ, როგორც პრეზიდენტმა, ისე მისმა თანაგუნდელებმა კარგად იცოდნენ, რა შეეძლოთ მოსკოვის ნომენკლატურულ-ძალოვან წრეებს. მათი რეაგირება მოსკოვურ პუტჩზე, ერთი მხრივ, სახელმწიფოებრივი სიფრთხილის, თავის მაქსიმალურად დაზღვევისა და წინდახედულობის მაგალითია, მეორე მხრივ, ეს ის შემთხვევაა, როდესაც სახელმწიფოს პოზიცია ბოლომდე ითქვა – იგულისხმება მიმართვა დასავლეთის ქვეყნების ხალხებისა და მთავრობებისადმი. პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ 23 აგვისტოს შემდეგ განცხადება გაავრცელა: „საქართველოს რესპუბლიკა მთელ მსოფლიოსთან ერთად უაღრესად გახარებულია მოსკოვის რეაქციული გადატრიალების ჩაშლით. როგორც პრეზიდენტმა ბუშმა განაცხადა, დემოკრატიამ კიდევ ერთხელ იზეიმა, რაც იმის ნიშანია, რომ საბჭოთა იმპერიაში შემავალ ხალხებს უნდათ, რომ ჰქონდეთ თავისთვის სასურველი მთავრობის არჩევის უფლება და შესაძლებლობა. სწორედ ეს მისწრაფება თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისკენ უნათებს გზას საქართველოსა და სხვა რესპუბლიკებს, რომელთაც თვითონ სურთ იყვნენ საკუთარი ბედ-იღბლის გამგებელნი".[541]

5

იმპერიული ნომენკლატურის რევანში

5.1. პუტჩის დასაწყისი თბილისში

როდესაც CNN-ის კორესპონდენტმა ზვიად გამსახურდიას დაუსვა შეკითხვა მოსკოვის ჩაშლილი პუტჩზე, მან უპასუხა, რომ შესაძლოა, ეს თავად გორბაჩოვის მიერ დადგმული სპექტაკლი ყოფილიყო. ასეთ მოსაზრებას, ბუნებრივია, ჰქონდა არსებობის უფლება. აშშ-ში მოსკოვის პუტჩს ეჭვის თვალით უყურებდნენ გაერთიანებული შტატების ხელმძღვანელი, გენერალი კოლინ პაუელი და თავდაცვის მინისტრი დიკ ჩეინი. ისინი მიიჩნევდნენ, რომ ეს ჩვეულებრივი პუტჩი არ იყო. სამხედროები, პაუელის თქმით, თითქოს მისიის გარეშე შეიყვანეს მოსკოვში.[542] მსგავსი შეხედულება არაერთგზის გახმიანდა რუსეთშიც, როდესაც მიიჩნიეს, რომ გორბაჩოვი ყველაფერში ჩართული იყო თავიდან, შემდეგ, რაც „გეკაჩეპემ" ყველაფერი თავის თავზე აიღო, ის კი მოულოდნელად გამოეთიშა პროცესებს. როდესაც ჯორჯ ბუშს ზვიად გამსახურდიას ვერსიაზე აზრი ჰკითხეს, იგი განრისხდა: „This Guy better get his head examined" – რაც იმას ნიშნავდა, რომ ეს კაცი (ანუ ზვიად გამსახურდია) ჭკუიდან ხომ არ გადასულაო. ჟურნალისტის მიერ დასმული კითხვა და აშშ-ის პრეზიდენტის კომენტარი ასეთი იყო:

„Q. Mr. President, just now on CNN's air, the President of Georgia said that this was all a plot inspired by Gorbachev himself. Now, whether that's true or not, what does that say to the state of the interethnic rivalry?

The President: say to him he needs to get a little work done on the kind of statements he's making. I mean that's ridiculous. There's a man who has been also swimming against the tide, it seems to me, a little bit. And I don't want to go overboard on this, but he ought to get with it and understand what's happening around the world". [543]

კითხვა: „ბატონო პრეზიდენტო, ახლახან CNN-ის ეთერში საქართველოს პრეზიდენტმა თქვა, რომ ეს ყოველივე იყო თავად გორბაჩოვის შეთქმულება. რაზე მეტყველებს ეს, ეთნიკური დაპირისპირებების მქონე სახელმწიფოსთან მიმართებით" (იგულისხმება საქართველო)?

პრეზიდენტი: „უთხარით მას (იგულისხმება ზვიად გამსახურდია), რომ ცოტა მეტად დაამუშავოს ის განცხადებები, რომლებსაც აკეთებს. მე მიმაჩნია, რომ ეს სასაცილოა. ის არის ადამიანი, რომელიც დინების წინააღმდეგ მიცურავს, ცოტა არ იყოს, ასე მეჩვენება. არ მსურს გავცდე ჩარჩოებს, მაგრამ მან ეს მხედველობაში უნდა მიიღოს და გაიგოს, რა ხდება მსოფლიოში".

ზვიად გამსახურდიამ იმავე CNN-ის საშუალებით საკმაოდ მოზომილი და თავაზიანი პასუხი გასცა ჯორჯ ბუშის კრიტიკას: „პრეზიდენტმა ბუშმა მე გამაკრიტიკა, მე მას დიდ პატივს ვცემ, მაგრამ, ვფიქრობ, რომ იგი ცდება, ის მოვლენებს გარედან ხედავს, მე კი შიგნიდან. მე აქ ვარ და კარგად ვხედავდი, რაც ხდებოდა საბჭოთა კავშირში".[544]

ოპოზიცია საქართველოს პრეზიდენტის მიერ გაცემული ასეთი პასუხებისა და განცხადებების იგნორირებას ეწეოდა. მისი სპიკერები აცხადებდნენ, რომ

საქართველოს პრეზიდენტი ამერიკელ კოლეგას უკიდურესი და არათავაზიანი ფორმით დაესხა თავს. ამით ისინი ორ კურდღელს იჭერდნენ: ერთი, რომ ამყარებდნენ თავიანთ პროპაგანდისტულ განაცხადს, აშშ მხარს ჩვენ გვიჭერსო, და მეორე, რომ საქართველოს პრეზიდენტი არაკვალიფიციური განცხადებებით საქმეს თავად იფუჭებსო. იგი თავადაა დამნაშავე იმაში, რომ აშშ-ს დაუპირისპირდაო. დავით გამცემლიძის ჟურნალისტური ნარკვევის მიხედვით, როდესაც გორბაჩოვს, ყირიმიდან დაბრუნების შემდეგ, პრესკონფერენციაზე შეახსენეს ზვიად გამსახურდიას ვერსია მოსკოვის პუტჩში მის (ანუ გორბაჩოვის) მონაწილეობაზე და კომენტარი სთხოვეს, მან უხეშად უპასუხა: **„Гадание на кофейной гуще я остовляю на совести Шеварднадзе"** – ანუ ყავის ნალექზე მკითხაობა ისევ შევარდნაძის სინდისზე იყოსო.[545] უცნაურია, რომ გორბაჩოვი ამ მოსაზრებას შევარდნაძის მოსაზრებად მიიჩნევს, არადა, ეს თვალსაზრისი უკვე გადამდგარ საგარეო საქმეთა მინისტრის სახელთან რატომღაც ასოცირებული იმდენად არ იყო. თუმცა, რომ ყოფილიყო, ამაში, შევარდნაძის მხრიდან, ალბათ, ასეთი ლოგიკა იქნებოდა: იმიტომაც გადავდექი საგარეო საქმეთა მინისტრობიდან 1990 წელს, რომ დავინახე მომავალი „დიქტატურა" და მის უკან დამალული მიხეილ სერგის ძეო. აღსანიშნავია, რომ რუსეთის პოლიტოლოგთა გარკვეულ წრეებში ახლაც ასე ხედავენ საკითხს: „გორბიმ" თქვა, თქვენ დაიწყეთ, ბიჭებო და მეც შემოგიერთდებითო. მათაც დაიწყეს, თუმცა სსრკ-ის პირველი და უკანასკნელი პრეზიდენტი შემდეგ უკვე აღარ შემოუერთდა მათო. და, თუ შევარდნაძეც ასე ხედავდა საკითხს, იქნებ ჯორჯ ბუშს მასთანაც გადაერეკა და ეკითხა, რაშიაო საქმე. თუმცა, ნაკლებ სავარაუდოა, მასზეც ისეთივე კრიტიკული ტონით ესაუბრა, როგორც საქართველოს პირველ პრეზიდენტზე საუბრობდა.

ზვიად გამსახურდია მოსკოვის ჩაშლილი პუტჩიდან, დაახლოებით, ერთი კვირის შემდეგ შეეხო შევარდნაძის პოზიციას თავისი გამოსვლისას უზენაესი საბჭოს წინაშე: „ეხლა მე მინდა ვისურვო დიდი კონსოლიდაცია ჩვენ შორის, მეგობრებო. მიუხედავად ჩვენი სიმპათია-ანტიპათიებისა, დავა-კამათისა, შეჯახებებისა, დადგა დრო, როდესაც უნდა ვიყოთ ძალიან ერთიანნი. არ დაგიმალავთ, რომ არის პატარ-პატარა ხელის შემშლელი ფაქტორები უცხოეთში, მწუხარებით უნდა ვთქვა, რომ ერთი ჩვენი თანამემამულე ძალიან განაწყენებულია ჩვენზე, და ყოველნაირად ხელს უშლის საქართველოს, რომ ის აღიარონ უცხოეთის ქვეყნებმა. ვისაც მიგიწვდებათ ხელი, ნათესაობა, ახლობლობა ამ კაცს უნდა მივუსიოთ, რომ როგორმე გადმოვიყვანოთ ამ ღალატის გზიდან... ვისაც აქვს ნაცნობობა ბუშთან, ტეტჩერთან, მიტერანთან და მთელს მსოფლიოსთან. აი, ეს თანამემამულე, განაწყენებული პირადად ჩემზე, ჩვენს ხელისუფლებაზე, ყოველნაირად ძირს უთხრის საქართველოს დე ფაქტოდ და დე იურედ ცნობის საკითხს. ... არც ეს კაცი მინდა გავწირო, ჰოდა, რაღაცნაირად ვიმოქმედოთ ამ ადამიანზე... იქ შემოიკრიბა ეს რენეგატები, ფოფხაძე, მგელაძე, შექმნა შტაბი, რომელიც გეგმავს რაღაც ღონისძიებებს ჩვენ წინააღმდეგ. კი ბატონო, მე ცუდი ვარ, მაგრამ საქართველომ რა დააშავა? მიდის საშინელი ინფორმაციები ბუ-

შის აპარატში, რომ ჩვენ ვართ ფაშისტები, ოსების მტრები, აფხაზების მტრები, მჩაგვრელები, რაღაც საშინელი სადამ ჰუსეინები, როგორმე უნდა ვიმოქმედოთ ამ კაცზე". იქვე აღნიშნა, რომ ედუარდ შევარდნაძემ საქართველოს ჟურნალისტები ინტერვიუსთვის არ მიიღო, არადა მსოფლიოში ავტორიტეტი აქვს, მსოფლიო იცნობსო.[546]

ეს გამოსვლა იყო რაღაცნაირი გზავნილიც შევარდნაძის მიმართ, უფრო პოზიტიურად ჩართულიყო საქართველოს საერთაშორისო აღიარებისთვის ბრძოლაში, მაგრამ მოსკოვში მყოფ სსრკ-ის ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრს ამაზე რეაგირება არ მოუხდენია. დიმიტრი შველიძის წიგნში ერთი ასეთი გაუგებრობაა აღწერილი 1991 წლის ზაფხულის პერიოდთან დაკავშირებით: „ზ. კ. გამსახურდიასავე ინფორმაციით, ზვიად გამსახურდიამ 1991 წლის ივლისში გაგზავნა თეთრ სახლში მამხილებელი წერილი. მან დაადანაშაულა ჯორჯ ბუში, რომ მან გორბაჩოვთან დადო საიდუმლო ფაუსტური ხელშეკრულება: საბჭოთა კავშირის მხრიდან დათმობების საპასუხოდ ამერიკელები თვალს დახუჭავდნენ, თუკი კრემლი ურჩი რესპუბლიკების დათრგუნვის მიზნით მიმართავდა ძალადობას".[547] აქ უნდა ითქვას, რომ წიგნში მოყვანილი ინფორმაციის ავტორები არიან სტ. ტალბოტი და რ. ბეშლოსი. იგი 1991 წლის ივლისითაც არ თარიღდება, არამედ, 1989 წლის 9 აპრილის ახლო პერიოდს მიანერეს მათ და, რასაკვირველია, წარმოადგენს ფაქტებისა და კონტექსტების აღრევას ამერიკელი ავტორების მიერ – და როგორც უკვე ზემოთ, შესაბამის თავში აღინიშნა, ასეთი შინაარსის წერილი 9 აპრილის შემდეგ ზვიად გამსახურდიას არავისთვის გაუგზავნია და ვერც გაგზავნიდა, რამდენადაც იგი უშუალოდ 9 აპრილის შემდეგ პატიმრობაში იმყოფებოდა. ამ შინაარსით წერილი არც შემდგომ, 1991 წელს, გაუგზავნია ვინმესთვის, უკვე, როგორც პრეზიდენტს.

ამასობაში კომპარტიების დაშლისა და დემონტაჟის პროცესი არნახული ტემპით წავიდა წინ. 23 აგვისტოს ყაზახეთის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა, ყაზახეთის სსრ-ის პრეზიდენტმა, პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, ნურსულთან ნაზარბაევმა დატოვა პოლიტბიუროც და პარტიის ცენტრალური კომიტეტიც. იმავე დღეს ბორის ელცინმა 1990 წელს დაფუძნებული რუსეთის ფედერაციის კომუნისტური პარტია აკრძალა, ხოლო 29 აგვისტოს მის მიერ აიკრძალა ასევე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიაც. მომდევნო დღეს, ანუ 24 აგვისტოს მიხეილ გორბაჩოვი გადადგა სკკპ-ის გენერალური მდივნის პოსტიდან, რომელიც 1989 წელს ჯერ კიდევ 19 მილიონ წევრს ითვლიდა მთელი ქვეყნის მასშტაბით, ხოლო 1991 წლის პირველ ივლისს ჯერ კიდევ 15 მილიონამდე წევრი ჰყავდა. როგორც არბატოვმა შენიშნა – „სახელმწიფო გადატრიალება აღმოჩნდა პარტიისთვის სასიკვდილო დარტყმა". რუსეთის ფედერაციამ 24 აგვისტოს აღიარა ბალტიური რესპუბლიკების – ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის – დამოუკიდებლობა: ამ რესპუბლიკების დამოუკიდებლობა ასევე აღიარა ჯერ გერმანიამ (27 აგვისტოს), შემდეგ – ამერიკის შეერთებულმა შტატებმა (2 სექტემბერს) და ბოლოს – სსრკ-მ (6 სექტემბერს).[548]

1991 წლის 26 აგვისტოს აიკრძალა საქართველოს კომპარტია და სადეპუტატო უფლებამოსილება შეუწყდა პარლამენტში მყოფ 64 დეპუტატს, რომლებიც კომუნისტური პარტიის სიით იყვნენ შემოსულნი საკანონმდებლო ორგანოში. საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ 1991 წლის აგვისტოში მოსკოვის ჩაშლილი პუტჩისას პირდაპირ გამოუცხადა მხარდაჭერა მოსკოვურ „გეკაჩეპეს“ – რუსულ ხუნტას, რომელიც ცდილობდა საბჭოთა კავშირის დეზინტეგრაციის პროცესის შეჩერებას და ურჩ რესპუბლიკებში სადამსჯელო ღონისძიებების გატარებას. საქართველოს კომპარტია, რომელსაც იმ დროს სათავეში ავთო მარგიანი ედგა, გაუქმდა, როგორც საქართველოს დამოუკიდებლობის მიმართ მტრულად განწყობილი დანაშაულებრივი ორგანიზაცია, რომლის მმართველობის ცენტრიც განთავსებული იყო საქართველოს გარეთ, საბჭოთა იმპერიის დედაქალაქში.

გარდა ამისა, საქართველოს უშიშროების სამსახურმა დააკავა საქართველოს კომპარტიის პრეზიდიუმის წევრი სერგო რიგვავა, რომელმაც „გეკაჩეპესადმი“ მხარდამჭერი წერილი გამოაქვეყნა თავისი და თავისი კოლეგების სახელით. რამდენადაც არც მარგიანს, არც სხვა წამყვან ფიგურებს ამის უარმყოფელი განცხადება არ გაუკეთებიათ, ჩაითვალა, რომ ეს ზოგადად პარტიის პოზიცია იყო, რაც გასაკვირი ნამდვილად არ იქნებოდა. რიგვავა, დაახლოებით, ორ კვირაში გაათავისუფლეს, მას შემდეგ, რაც კომპარტია უკვე აკრძალული იყო. პარლამენტში ვერ იქნებოდა წარმოდგენილი პარტია, რომელსაც რეგისტრაცია გაუუქმეს. თუმცა პრეზიდენტი ცალკე შეხვდა კომუნისტური პარტიის ფუნქციონერთა ერთ ნაწილს და აღუთქვა, რომ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილების მქონე, საქართველოს დამოუკიდებლობის მიმართ ლოიალურად განწყობილი არცერთი ადამიანი არ დარჩებოდა თანამდებობის გარეშე. ამ კურსის პირველივე დასტური იყო საქართველოს სსრ-ის ბოლო პრემიერის, ნოდარ ჭითანავას, დანიშვნა სოფლის მეურნეობის მინისტრად.

1991 წლის 2-5 სექტემბერს მოსკოვში ჩატარდა სსრკ-ის სახალხო დეპუტატთა საბჭოს უკანასკნელი, რიგით მე-5, ყრილობა. ყრილობამ მიიღო დადგენილება „გარდამავალ პერიოდში სახელმწიფო ხელისუფლებისა და სსრკ-ის მართვის შესახებ“. ყრილობის მუშაობის ბოლო დღეს კი მიიღეს „ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დეკლარაცია“, გამოცხადდა გარდამავალი პერიოდი, რათა მომზადებულიყო ხელშკრულება სუვერენულ სახელმწიფოთა კავშირის შესახებ. მ. გორბაჩოვის წინადადებით, ყრილობამ, ფაქტობრივად, თვითდაშლა გამოაცხადა. ასევე იყო სურვილი მიღებული ყოფილიყო კანონი გარდამავალ პერიოდში სახალხო დეპუტატთა საბჭოს შეკრების მიზანშეუწონლობის შესახებ, თუმცა ეს წინადადება, დადგა რა კენჭისყრაზე, უარყვეს დეპუტატებმა. ამ დროისთვის სსრკ-ის თითქმის ყველა რესპუბლიკას დამოუკიდებლობა გამოცხადებული ჰქონდა. ყველაზე გადამწყვეტი ხმა, ალბათ, უკრაინას ჰქონდა, რომლის „ვერხოვნა რადამაც“ დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1991 წლის 24 აგვის-

ტოს. ყველაზე ბოლოს დამოუკიდებლობა ტაჯიკეთმა გამოაცხადა – 1991 წლის 9 სექტემბერს.[549]

სსრკ-ის დეპუტატთა უკანასკნელ ყრილობას დაესწრო საქართველოს დელეგაცია უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის, აკაკი ასათიანის, ხელმძღვანელობით. ასათიანმა დაადასტურა, რომ საქართველო მზად იყო მიერთებოდა ფორმულა 11+1-ს, თუკი აღიარებული იქნებოდა საქართველოს დამოუკიდებლობა, ანუ მთლიანობა. ამ შემთხვევაში საქართველო მზად იყო, ეფიქრა კონფედერაციული ტიპის ხელშეკრულებაზეც კი, თუ კრემლი საბოლოოდ იტყოდა უარს „მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკათა გათანაბრების" გეგმაზე, რაც საქართველოსათვის ოთხ ნაწილად, ანუ ოთხ სუბიექტად დანაწევრებას ნიშნავდა. ყრილობაზე ხელი მოეწერა შეთანხმებას, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლის იურიდიული გაფორმების დასაწყისი გახდა, თუმცა საქართველომ ყრილობაზე მხოლოდ დამკვირვებლის იურიდიული სტატუსი დააფიქსირა.[550] დ. გამცემლიძე არ ახსენებს იმ ფაქტს, რომ საქართველოს პოზიცია შეიცვალა მას შემდეგ, რაც გორბაჩოვმა გააკეთა განცხადება ბალტიის სამივე რესპუბლიკის დამოუკიდებლობის შესაძლო აღიარებაზე. ქვემოთ ასევე ნახსენები იქნება, თუ როგორ ხედავდა სსრკ-ის მეთაური საქართველოს საკითხს.

ასეთი სიტუაციის ფონზე დაიწყო სახელმწიფო გადატრიალების პროცესი საქართველოში, რომელიც თავიდან თითქოს აქეთკენ არ მიდიოდა, თუმცა იგრძნობოდა უკიდურესად ხისტი და რადიკალური დაპირისპირების პოტენციალი. სიგუას გადადგომამ, ჩაშლილმა პუტჩმა მოსკოვში და გვარდიასთან დაკავშირებულმა მოვლენებმა მძიმებული რადიკალური ოპოზიცია საკმაოდ გამოაცოცხლა. თემები, რომლებიც ოპოზიციამ აიტაცა, თავიდან უკავშირდებოდა ხელისუფლების მიერ გადადგმულ ნაბიჯებს ეროვნულ გვარდიასთან მიმართებით, შემდეგ კი ჯორჯ ბუშისა და საქართველოს პრეზიდენტის შეპაექრებას მოსკოვის პუტჩის თემაზე. „იქამდე მივედით, რომ დასავლეთიც კი გავაკრიტიკეთ", – იყო თენგიზ სიგუას კომენტარი. ეს კი, ოპოზიციის თვალსაზრისით, ქვეყნის საერთაშორისო აღიარებას ხელს შეუშლიდა და საქართველოს „ალბანიზაციის" კალაპოტში მოაქცევდა. როდესაც ოპოზიცია იყენებდა ტერმინ „ალბანიზაციას", იგი გულისხმობდა ენვერ ხოჯასეულ (1908-1985) ალბანეთს, რომელიც ევროპისგან სრულიად იზოლირებული იყო. თუმცა ამ ყველაფერს აკლდა ერთგვარი „ტრიგერი", – კონფრონტაციული პროცესისთვის იმპულსის მიმცემი, გამამწვავებელი და დამაჩქარებელი საკითხი. ასეთი კი გამოდგა 1991 წლის 2 სექტემბერს მომხდარი ამბები.

2 სექტემბერს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის (ედპ) მომიტინგეები შეიკრიბნენ კინოს სახლის წინ, სადაც ისინი მიტინგის ჩატარებას შეეცადნენ. ტერიტორიის ნაწილი უკვე დაკავებული ჰქონდა მილიციის საგანგებო დანაყოფს, რომელიც აქ საკმაოდ კარგად აღჭურვილი მოვიდა ხელკეტებით, ჩაფხუტებითა და ფარებით. მიტინგი მაინც დაიწყო. ედპ-ს აქტივისტები სკანდირებდნენ თავიანთ საყვარელ სლოგანს – „ჩაუშესკუ, ჩაუშესკე", ანუ პრეზიდენტს ადა-

რებდნენ რუმინელ დიქტატორს და ირიბად გამართლებას უძებნიდნენ სახალხო აჯანყებას, რომელიც, მათი გაგებით, აუცილებელად უნდა მომხდარიყო საქართველოშიც. გამომსვლელები მოითხოვდნენ პრეზიდენტის გადადგომასა და „პოლიტპატიმარ“ ჯაბა იოსელიანის გათავისუფლებას პატიმრობიდან. როდესაც მომიტინგეებმა გაფართოება სცადეს, სპეცრაზმელებმა მათ არ მისცეს საშუალება მთელი პერიმეტრის დაკავებისა, დაიწყო შეტაკება. მომიტინგეებმა სპეცრაზმელებს ქვები დაუშინეს, ზოგიერთი მომიტინგე შეიარაღებული იყო ჯოხებითაც, სპეცრაზმელებმა საპასუხოდ მათი ცემა დაიწყეს ხელკეტების გამოყენებით. მოულოდნელად მოხდა რამდენიმე გასროლა ჰაერში – და არავინ იცის, საიდან იყო ეს თავდაპირველი გასროლა. მაშინ სპეცრაზმელებმაც ამოიღეს ცეცხლსასროლი იარაღები და ჰაერში გაისროლეს. ამის შემდეგ მიტინგი დაიშალა, თუმცა ამას მოჰყვა უმართავი პროცესები, რომლებიც თვეზე მეტხანს გაგრძელდა.

ამ დღეს საქართველოს პრეზიდენტი უზენაესი საბჭოს შენობაში ხვდებოდა ამერიკელ კონგრესმენებს. ეს იყო დელეგაცია, რომელიც დაკავშირებული იყო სენატის ადამიანის უფლებათა დაცვის თავმჯდომარე სენატორ დეკონსინისთან. რამდენადაც დელეგაციას აცნობეს, რომ ადგილი ჰქონდა დარბევასა და სროლას, კონგრესმენებმა იკითხეს, რის გამო მოხდა ეს ინციდენტი. ზვიად გამსახურდიამ განუმარტა სტუმრებს, რომ სროლაზე არავის გაუცია ბრძანება. მანვე განაცხადა, რომ აღიძრებოდა სისხლის სამართლის საქმე, რათა გამოძიებული ყოფილიყო ყველაფერი. ამ ამბის შემდეგ დეკონსინის დელეგაციის წევრებმა მოინახულეს ოპოზიციონერები, რომლებმაც მათ უთხრეს, რომ საქართველოში სასტიკი დიქტატურა მძვინვარებდა. „კონგრესმენებმა კრიზისით გაოცებულებმა დატოვეს საქართველოს“, – წერდა გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“.[551]

15 სექტემბრის სესიაზე ზვიად გამსახურდიამ განაცხადა: „როდესაც ამერიკის კონგრესის დელეგაცია ჩამოდის თბილისში. დრო, როდესაც მე მას ვხვდები... ამ დროს გაისმის სროლა რუსთაველის პროსპექტზე. რა ჰქონდა მიზნად დასახული ყოველივე ამის ჩამდენს და მომწყობს, გეკითხებით მე! მე მგონი, დღესავით ნათელია, მეგობრებო, მზადდებოდა ცნობა ჩვენი ქვეყნისა მრავალი უცხო ქვეყნების მიერ, დელეგაციის ჩამოსვლა მისადაგებული იყო სწორედ ამასთან და ეს უნდა ჩაშლილიყო. ნუთუ ამის მიხვედრა ასე ძნელია, მეგობრებო?! ... მე მწარე სიმართლე უნდა ვთქვა: მილიციაში არის ჩვენდამი მტრულად განწყობილი ძალები... ეს იყო შეგნებულად მოწყობილი პროვოკაცია ჩემ წინააღმდეგ ორივე მხრიდან, რომლებიც, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ერთი ცენტრიდან იმართებოდნენ და ერთი ავტორი ჰყავს ყოველივე ამას... ჩვენ უნდა მივიღოთ ყველა ზომები, რომ დამნაშავეები დაისაჯონ, ეს არის ჩვენი მოვალეობა“.[552] აქვე საყურადღებოა, რომ კონგრესის კომისიის წარმომადგენლებმა ვიზიტი საქართველოში და შეხვედრები პრეზიდენტთან საკმაოდ პოზიტიურად შეაფასეს და ეს არ ყოფილა მხოლოდ დიპლომატიური თავაზიანობა. დელეგაციის მეთაურმა ასეთი მიმართვა გაავრცელა: „ძვირფასო ბატონო პრეზიდენ-

ტო, კონგრესის დელეგაციის სახელით უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენ მხარს ვუჭერთ თქვენს მისწრაფებას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისადმი. ჩვენ ვიმუშავებთ კონგრესში იმისთვის, რომ თქვენ მიაღწოთ ამ მიზნებს. ჩვენ შორის აზრთა ურთიერთგაზიარება იყო უაღრესად მნიშვნელოვანი ნაბიჯი საქართველოს რესპუბლიკასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ურთიერთობათა განმტკიცებისთვის. კონგრესის დელეგაციის ყველა წევრი მადლიერია თქვენი ჩვენთან კეთილშობილური და აზრიანი ურთიერთობისთვის. გულწრფელი პატივისცემით, სემ გიბონსი, აშშ-ის კონგრესის წევრი, 3.09.1991“. [553]

პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნა უკვე 2 სექტემბერს გაისმა. პირველი, ვინც ეს გაახმოვანა, „სახალხო ფრონტის“ თავმჯდომარე და უზენაესი საბჭოს დეპუტატი ნოდარ ნათაძე იყო. იგი მოგვიანებით დანანებით იგონებდა ამ ეპიზოდს: „უკიდურესად აღგზნებულმა მასამ უნებო რუპორივით ამიყვანა ტრიბუნაზე და მიკროფონი მომაჩეჩა, მე არ უნდა დავყოლოდი მის ნებას, არამედ მყარად უნდა დამეცვა ჩემი ერთადერთი სწორი პოზიცია, სანამ ყველაფერი არ მეცოდინება, ჩემი აზრი მომხდარზე ვერ მექნება-მეთქი. მე ასე ვერ მოვიქეცი“.[554] 2 სექტემბერს მომხდარი შეტაკებისას რამდენიმე ადამიანი დაიჭრა. თითქოს ყველა ჩასაფრებული ელოდებოდა ამ მიტინგის მოსალოდნელ შედეგს. რუსეთის ტელევიზიაში აჩვენეს მიტინგის დარბევის კადრები, რომელთაც აღშფოთებულ კომენტარებს უკეთებდნენ „რუსი დემოკრატების“ ბანაკის წარმომადგენლები. კიტოვანის გვარდიის მხრიდანაც გაკეთდა განცხადება – ჯერ ხალხი, მერე პრეზიდენტიო. ეს სიახლე იყო, რადგან გვარდიის მხრიდან აქამდე პოლიტიკური განცხადებები არ გაკეთებულა. ამბოხის გზაზე დამდგარნი მუქარის ტონით კატეგორიულად აფრთხილებდნენ ხელისუფლებას, არ გამოეყენებინა ძალა ხალხის წინააღმდეგ.

მომდევნო დღეს კიტოვანის გვარდიამ დატოვა რკონის ხეობა და შავნაბადაზე გადმოვიდა. ამ მანევრითაც, რა თქმა უნდა, მიზნად ისახავდნენ ზემოქმედების მოხდენას პოლიტიკურ პროცესებზე. დავით გამცემლიძის მართებული დასკვნით, „სინამდვილეში, 2 სექტემბერი წინასწარ დადგმული სპექტაკლი იყო. ამ სპექტაკლში, ერთი მხრივ, მონაწილეობდა მაშინდელი მილიციის ხელმძღვანელობა, რომელმაც „ომონი“ წინასწარი შეთანხმებით „მიუსია“ მიტინგს და ამით გადატრიალების შემდეგ მაღალი თანამდებობები გაინაღდა, ხოლო, მეორე მხრივ, „გარეთ დარჩენილი“ მხედრიონელები, რომელთაც ევალებოდათ მილიციასთან ჩხუბის ატეხა და ამით შეტაკების პროვოცირება. სპექტაკლის წარმატებაში იმდენად ძლიერი და გავლენიანი ძალები იყვნენ დაინტერესებულნი, რომ ტრიუმფი, ფაქტობრივად, გარანტირებული ჰქონდათ, მაგრამ ისტორიას არაფერი გამოეპარება. იგი ამ აქციას შეაფასებს ერთმნიშვნელოვნად: ეს იყო პროვოკაცია; იგი განხორციელდა რუსეთის სპეცსამსახურთა უშუალო მონაწილეობით, შიდა დესტრუქციულ ძალებზე დაყრდნობით, რომლებიც იმდენად იყვნენ დაბრმავებულნი სიძულვილითა და ამბიციით, რომ ვეღარ ამჩნევდნენ, ვის წისქვილზე ასხამდნენ წყალს. საბოლოო ანგარიშით, ამიტომაც წააგეს“.[555]

5.2. დაპირისპირების ესკალაცია 1991 წლის სექტემბერში

ხელისუფლების მომხრეების უმეტეს ნაწილს ეგონა, რომ ორ სექტემბერს გაგრძელება აღარ მოჰყვებოდა, მაგრამ ეს არასწორი მოლოდინი გამოდგა. პარლამენტში გააქტიურდა ოპოზიცია, სადაც ნათაძეს, ბობოხიძესა და სხვებს შეემატათ ვაჟა ადამია თავის მომხრეებთან ერთად, ასევე, თედო პაატაშვილის გუნდი, რომელმაც დატოვა „მრგვალი მაგიდის" კოალიცია და შექმნა ფრაქცია „ქარტია 91". გარეთ დაიწყო აქციები, რომელთაც სამი ეპიცენტრი ჰქონდა: რუსთაველის პროსპექტი, სადაც სამშენებლო ნარჩენების ბარიკადებით გადაიხერგა მანქანების სავალი ნაწილი ორ ადგილას – „ცისფერ გალერეასთან" და რამდენიმე ასეულ მეტრში, „ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის" ოფისთან. აქციების მეორე ეპიცენტრი იყო ტელევიზიის პირველი არხის შენობასთან, ხოლო მესამე – უნივერსიტეტის ბაღთან, სადაც ეწყობოდა ხმაურიანი აქციები. ყველგან ითხოვდნენ პრეზიდენტისა და ხელისუფლების გადადგომას, ასევე „პოლიტიკურ პატიმრებად" შერაცხილი მხედრიონელების გათავისუფლებას. მთავრობის სასახლესთან აქციების მოწყობა თავიდან ვერ ხერხდებოდა ე. წ. „კარვის" გამო. აღნიშნული „კარავი" გახდა ათწლეულების განმავლობაში ოპოზიციის ლექსიკონში ოდიოზურობის, ფანატიზმის, აბსურდულობისა და თვითმიზნად ქცეული პროტესტის მასხრად ასაგდები სიმბოლო. დაცინვის ობიექტები, განსაკუთრებით, „კარვის ქალები" იყვნენ, რომლებსაც „გამსახურდიას ჯავშანმანქანებსაც" უწოდებდნენ. ამ „კარვის" აქტივისტებს დასცინოდნენ და ამცირებდნენ, ერთი მხრივ, საბჭოთა განათლებული ინტელიგენციის დროშით, მეორე მხრივ, დასავლური დემოკრატიის სახელით მოქმედი ადამიანები. სინამდვილეში, აქ სრულიად უბრალო ტაქტიკური ჩანაფიქრი იყო: იმ შემთხვევაში, თუკი, ესა თუ ის აგრესიული და რადიკალური პოლიტიკური პარტიის აქტივისტები შეეცდებოდნენ დაეკავებინათ ადგილი პარლამენტის შენობის წინ, რათა ამით მოემზადებინათ სათანადო პლაცდარმი შემდგომი ძალების მოსაზიდად და შენობაში ძალადობრივი შეჭრის განსახორციელებლად, კარავში მყოფნი შეეცდებოდნენ, ხელი შეეშალათ მათთვის ჩხუბითა და აყალმაყალით, ამასობაში შეგროვდებოდა ხალხი, ბოლოს სამართალდამცავებიც მოვიდოდნენ და მომხვდურებს გარეკავდნენ. თუმცა იმედის დამყარება ამ უკანასკნელებზე არ შეიძლებოდა, რადგან 2 სექტემბრის მოვლენების შემდეგ პოლიცია, პრაქტიკულად, პარალიზებული იყო, დრო კი მისი რეორგანიზაციისთვის – ძალიან ცოტა. „კარვის" ეს მარტივი იდეა მსგავსი იყო ლიტვური მოდელისა, სადაც ხალხს ვილნიუსში პარლამენტის შენობის წინ სადღეღამისო მორიგეობა ჰქონდა დაწესებული, რამდენადაც დღე-ღამის ნებისმიერ მონაკვეთში არსებობდა შენობის შტურმის საფრთხე „დამრტყმელი" აქტივისტების მხრიდან. რამოდენიმე კარავი იქაც იდგა. ისტორიკოსი გიორგი არქანია მართებულად აღნიშნავდა: „გამსახურდია მართლაც ინარჩუნებდა „მიტინგების რეჟიმს" და ამას მარტივი და ობიექტური ახსნა აქვს: მართალია, „მრგვალი მაგიდა" ხელისუფლებაში მოვიდა,

მაგრამ ის ყველას და ყველაფერს ვერ აკონტროლებდა – ძალოვან სტრუქტურებსა და უშიშროების სამსახურში კვლავ საბჭოთა ელემენტი დომინირებდა, ქვეყნის ტერიტორიაზე განლაგებული იყო რუსული ჯარები, ქართული არმიის ჩანასახი კი ძალიან ცუდად იყო შეიარაღებული, მოქმედებდნენ უკანონო შეიარაღებული ფორმირებები, არსებობდა რადიკალური ოპოზიცია, რომელმაც რეალური სახე დეკემბერ-იანვრის მოვლენების დროს გამოაჩინა, ძლიერი იყო საბჭოთა ნომენკლატურა და ა. შ. ამ ყველაფრის ფონზე გამსახურდიას ხელისუფლების ერთადერთი საიმედო მოკავშირე იყო ხალხი".[556]

უზენაესი საბჭოს გარეთ გამოიკვეთნენ ოპოზიციის სხვა ძირითადი მოთამაშეებიც: ეს იყო თენგიზ სიგუასა და თენგიზ კიტოვანის ტანდემი, რომლებიც გვარდიის დაუმორჩილებელ ნაწილთან ერთად იყვნენ ბაზირებულნი ან მათთან ერთად გადაადგილდებოდნენ, „ეროვნული კონგრესის" რადიკალური ჯგუფები, უწინარეს ყოვლისა, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია და „მხედრიონი". აქტიურობდა ტელევიზიის პირველი არხის მუშაკთა ნაწილი, რომლებმაც გაფიცვა გამოაცხადეს, ასევე, ელიტარული ინტელიგენციის წარმომადგენლები, უნივერსიტეტის პროფესურის ნაწილი, მწერლები, კინოს სფეროს მუშაკები. ოპოზიციის რიგებში ასევე ჩანდნენ კომუნისტური პარტიის რევანშისტული ნაწილის წარმომადგენლებიც.

თენგიზ სიგუამ, როგორც ოპოზიციონერმა, ასე ჩამოაყალიბა თავისი ბრალდებები: „ცრუობს პრეზიდენტი, როდესაც აცხადებს, რომ თუ იგი გადადგება, დაიკარგება აფხაზეთი და სამაჩაბლო. სწორედ მისმა „დიდმა დიპლომატიამ" მიიყვანა დღეს სამაჩაბლო და აფხაზეთი ამ მდგომარეობაში. ცრუობს პრეზიდენტი, როდესაც აცხადებს, რომ მთელი მსოფლიო, მთელი ცივილიზებული სამყარო მზად არის, აღიაროს საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, მაგრამ ეს მოხდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამას მოსკოვი აღიარებს. ცრუობს პრეზიდენტი, როდესაც ამბობს, რომ ეკონომიკა საქართველოში კატასტროფის წინაშე დადგება, თუ ის დატოვებს ამ პოსტს. სწორედ მისმა აბსოლუტურმა უცოდინრობამ ეკონომიკაში მიიყვანა საქართველო ამ მდგომარეობამდე. ცრუობს პრეზიდენტი, როდესაც აცხადებს, რომ მას უჭირს ინტელექტუალური კადრების შერჩევა. ჩვენ დღეს გვიჭირს, ჩვენ დღეს არა გვაქვს სურსათი, ჩვენ არ გვაქვს პირველადი მოთხოვნილების საგნები, მაგრამ ქართველი ბედნიერია იმით, რომ ინტელექტუალური ხალხის ნაკლებობა აქ აბსოლუტურად არ იგრძნობა. ცრუობს პრეზიდენტი, როცა აცხადებს, რომ დღისით და ღამით ხალხისთვის ზრუნავს".[557]

1991 წლის ოპოზიციონერები სექტემბრის მოვლენებს იხსენიებდნენ, როგორც „სექტემბრის რევოლუციას". თუმცა ეს „რევოლუცია" ვერ შედგა ორი უბრალო მიზეზის გამო – მოსახლეობის დიდი უმრავლესობა მხარს უჭერდა ხელისუფლებას და რევოლუციური სცენარის წინააღმდეგი იყო და ოპოზიციამ, თვით ყველაზე მრავალრიცხოვან და მაქსიმალური ძალისხმევით მობილიზებულ აქციაშიც კი, 20 ათას ადამიანზე მეტი ვერ გამოიყვანა. ეს კი ის სიმრავ-

ლე არ იყო, რომელიც ქუჩის აქციების საშუალებით ხელისუფლების დამხობას ეყოფოდა. ამ მოვლენებს ჰქონდა ესკალაციის პერიოდი, პიკი და ბოლოს დაღმასვლა. ესკალაცია იყო 2 სექტემბრიდან 24 სექტემბრამდე, როდესაც ოპოზიციონერების ბარიკადები აიღეს რუსთაველის პროსპექტიდან და ისინი იქიდან განდევნეს. ამ დროს კიტოვანის შეიარაღებული გვარდიელები გამოჩნდნენ როგორც მთავრობის სასახლისგან გარკვეული დაშორების მქონე ადგილებში (მაგალითად, კოლმეურნეობის მოედანთან და დედა-ენის პარკთან), ისე ტელევიზიასთან, სადაც ქვემეხიც და დააყენეს. მოვლენები დაცხრა 4-5 ოქტომბრის შემდეგ, როდესაც მომიტინგეებმა სცადეს იერიში მიეტანათ მთავრობის სახლზე, თუმცა შეიარაღებული სეგმენტი ოპოზიციისა, გვარდიის განდგომილი ნაწილის სახით, ამ მოვლენებში არ ჩაერთო.

რა მიზნებს ისახავდა ეს საკმაოდ ჭრელი ოპოზიცია? მაგალითად, ელიტარული ინტელიგენციის წარმომადგენლების საყვარელი გამოთქმა, ჯუმბერ პატიაშვილისა და გივი გუმბარიძის პერიოდში, იყო „კონსტრუქციული დიალოგი", „მშვიდი მსჯელობა დარბაზებში მიტინგების ნაცვლად", „არ გვინდა ქუჩა, რომელიც აგრესიული პროვინციალების ადგილია" და ა. შ. მოულოდნელად ისინი ალაპარაკდნენ რევოლუციაზე და დაიწყეს ისეთი მეთოდების გამოყენება, რომლებსაც ადრე ემიჯნებოდნენ: როგორც უნივერსიტეტის, ისე პირველი არხის კიბეებზე დასხდნენ მწერლები, რეჟისორები, პროფესორები; მიტინგებსა და შეკრებებზე გამოჩნდნენ მათი ორატორები, რომლებიც უკიდურესი და რადიკალური რიტორიკით გამოირჩეოდნენ, ისინი ღიად აკეთებდნენ ძალადობისკენ მოწოდებებს, მზად იყვნენ, მონაწილეობა მიეღოთ შენობების პიკეტირებაში, ქუჩების გადაკეტვაში, ხმაურიან მსვლელობებში. რჩებოდა ისეთი შთაბეჭდილება, რომ უხილავმა დირიჟორმა ჯოხი აიქნია და ამ მეტად უჩვეულო „ორკესტრსაც" მომენტალური რეაქცია ჰქონდა ამ აქნევაზე. ოპოზიციამ, ცხადია, თავის დროშას დაანერა „დემოკრატია". ეს გულისხმობდა იმას, რომ ხელისუფლება, რომლის სათავეშიც იდგა „მრგვალი მაგიდის" კოალიცია, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიათი სათავეში, ავტორიტარული იყო, მეტიც – დიქტატორული. მტკიცებულებად მოჰყავდათ „მხედრიონის" მაღალი რანგის ფუნქციონერებისა და თავად იოსელიანის პატიმრობა, რომელთაც პოლიტპატიმრებს უწოდებდნენ. რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ ეს ადამიანები საქართველოს დამოუკიდებლობის რეალობად ქცევას არ განიხილავდნენ თვითკმარ მიზნად: ყველაზე მეტად პოპულარული იყო სლოგანი – „ჯერ დემოკრატია, შემდეგ – თავისუფლება".

ამ ოპოზიციის უკან, ცხადია, ილანდებოდა საქართველოს კომპარტიის ყოფილი ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, გორბაჩოვის, კაბინეტში სსრკ-ის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის, „პერესტროიკული" ხაზის პოპულარული ფიგურის, მსოფლიო დიპლომატიის სცენასთან გაშინაურებული ედუარდ შევარდნაძის აჩრდილი. სექტემბრიდან მოყოლებული, გახშირდა ოპოზიციის წარმომადგენელთა ვიზიტები და კონსულტაციები შევარდნაძესთან მოსკოვში,

რაც თავად ედუარდ შევარდნაძეს, უკვე საქართველოში დაბრუნების შემდეგ, არაერთგზის უხსენებია კონკრეტულ პირებთან მიმართებითაც. შეთქმულების თეორია რომ ავირიდოთ თავიდან და დასკვნები მთლიანად მკითხველის ანალიტიკურ უნარებს, ასევე პოლიტიკურ გემოვნებას მივანდოთ, აქ შეიძლება ერთი რამ ითქვას: მოსკოვში, ედუარდ შევარდნაძის ოფისის ირგვლივ ფორმირდებოდა საქართველოს შიდაპოლიტიკურ ვითარებაზე ფოკუსირებული პოლიტიკური გავლენის ქსელი, რომელშიც შედიოდნენ ცალკეული ოპოზიციონერი პოლიტიკოსები, ყოფილი პარტიული ნომენკლატურის გავლენადაკარგული ფიგურები, ხელოვნებისა და კულტურის მუშაკები, საქმიანი წრეების წარმომადგენლები, ძალოვნები. ეს ქსელი გარკვეული ფორმით მანამდეც არსებობდა, თუმცა მოსკოვის ჩაშლილი პუტჩის შემდეგ იგი განსაკუთრებით გააქტიურდა. ედუარდ შევარდნაძე, ვიდრე პირდაპირ ჩაერთვებოდა საქართველოში მიმდინარე მოვლენებში, წინდახედულობიდან გამომდინარე, აცხადებდა: „ქართველმა ხალხმა თავის პრეზიდენტად ზვიად გამსახურდია აირჩია. ჩემს სიმპათია-ანტიპათიას ამ პიროვნების მიმართ მნიშვნელობა არა აქვს. ჩვენ პატივი უნდა ვცეთ ქართველი ხალხის ნებას".[558] ამ განცხადებას წუნი ნამდილად არ დაედება, არც დიპლომატიურობის, არც კორექტულობის მხრივ. აქვე საინტერესოა, როგორ იხსენებს ჯაბა იოსელიანი ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტად არჩევას: „ჩემი შიმშილობის ოცდამეთორმეტე დღეს ზვიად გამსახურდია საქართველოს პრეზიდენტად გამოაცხადეს. მოდის მოლოცვები. შევარდნაძე საზღვარგარეთიდან ულოცავს. ოჰ, ეს პოლიტიკური პირფერობა!"[559] ხოლო დ. გამცემლიძე წერს, რომ შევარდნაძემ მიულოცა გამსახურდიას გამარჯვება, მიუხედავად იმისა, რომ გულზე არ ეხატებოდა, მაგრამ გამსახურდია მის მიმართ იმავეს არ გააკეთებდაო. სახელმწიფო გადატრიალებამდე განა ასეთი რა გამარჯვება მოიპოვა შევარდნაძემ, რომ მისალოცი ყოფილიყო. ან პუტჩის შემდეგ „ნეტავ" რა იყო მისალოცი. ამიტომ ვინ რას იზამდა, ამაზე ნურავინ დადებს თავს.

დიმიტრი შველიძე ოპოზიციის მიზნებზე მსჯელობისას მართებულად აღნიშნავს, რომ რადიკალური პარტიებისა და ელიტარული ინტელიგენციის მიზნებში დემოკრატიული უფლებებისთვის ბრძოლაც შედიოდა.[560] თუმცა განმარტებული არ არის, სად იყო 1991 წელს ეს უფლებები დარღვეული; სად, ანდა როდის მიაღწია ამ დარღვევებმა ისეთ მასშტაბს, რომ ეს პოლიტიკური თუ პოლიტიზებული ჯგუფები ასეთი რადიკალური დაპირისპირების რეჟიმში გადავიდნენ ხელისუფლებასთან? შემდგომ დ. შველიძე აღნიშნავს: „რადიკალებისთვის მთავარი იყო გამსახურდიასთვის ხელისუფლების წართმევა, ე. ი. მისი დამხობა და ხელისუფლებაში მოსვლა. მათგან განსხვავებით, ელიტარული ინტელიგენციისთვის უმთავრესი, გარდა გამსახურდიას რადიკალური ხელისუფლების დამხობისა, გახლდათ სოციალური სტატუსის დაბრუნება და ცენტრთან ურთიერთობის ნორმალიზება. დემოკრატიის მაძიებლებისთვის დემოკრატია მეორეხარისხოვან ღირებულებას წარმოადგენდა. გამსახურდიას რომ ყველა მათი მოთხოვნა დაეკმაყოფილებინა: შეეზღუდა პრეზიდენტის უფლებები, უზენაე-

სი საბჭოს სესიების ტელეტრანსილაცია უზრუნველეყო, დაეთმო ტელეეთერი, განსაზღვრული დროით, ოპოზიციისთვის, სასწრაფო წესით განეხორციელებინა რეფორმები, რომლებსაც ის, მიუხედავად რთული ვითარებისა, თანდათანობით ატარებდა კიდეც, მოეხსნა რამდენიმე არაკომპეტენტური მინისტრი, შესაძლებლობის ფარგლებში ეთანამშრომლა „კონგრესთან", კომპრომისზე წასულიყო ცენტრთან, ხელი მოეწერა სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე და ა. შ. ოპოზიცია მასთან ბრძოლას მაინც არ შეწყვეტდა".[561]

დ. შველიძე, იქვე სამართლიანად აღნიშნავს რა, რომ იმ დროს „საქართველოში დიქტატურა არ არსებობდა", ცდილობს, გარკვეულ განსაზღვრებაში მოაქციოს ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება, როგორც „სუსტი ავტორიტარიზმი" და „ავტორიტარული ნაციონალური კონსერვატიზმი".[562] ვფიქრობთ, ეს უფრო ტერმინების რახარუხია, ვიდრე მათი შინაარსის გააზრებული გამოყენება გარკვეული მოვლენის დასახასიათებლად. ჩნდება კითხვა, რა არის ის სუბსტანცია და რესურსი, რომელზე დაკვირვებითაც მკვლევარმა ასეთი „ღრმააზროვანი" დაკვირვება გააკეთა? რეალურად, ზვიად გამსახურდიასა და მისი ხელისუფლების ზეობის დრო შეიძლება აითვალოს 1990 წლის 14 ნოემბრის სესიიდან, როდესაც მათი მმართველობა ძალაში შევიდა, 1991 წლის 22 დეკემბრამდე, როდესაც დაიწყო შეიარაღებული პუტჩი, სახელმწიფო გადატრიალებასთან ერთად. ნუთუ წელიწადსა და ორმოციოდე დღეზე დაკვირვება აძლევს მკვლევარს ასეთი უცნაური, არაფრისმთქმელი და, იმავდროულად, სრულიად „კონიუნქტურული" დასკვნის გაკეთების უფლებას? მკვლევარს გაუჭირდა გამოეყენებინა აქ ცნება „დემოკრატია", თუმცა, როდესაც საუბრობს „სუსტ ავტორიტარიზმზე", გაუცნობიერებელ მკითხველს, შესაძლოა, გაუჩნდეს ბუნდოვანი შეგრძნება, თითქოს 1990 წლის 28 ოქტომბრამდე საქართველოში ინსტიტუციონალიზებული დემოკრატია გვქონდა, ხოლო ამ დღიდან აქ დამყარდა ავტორიტარიზმი, თუნდაც, „სუსტი". მკვლევარი თითქოს აპრიორი მიიჩნევს, რომ შეუძლებელია და გამორიცხული, ზვიად გამსახურდიას დემოკრატიაზე ეფიქრა ან რაიმე ნაბიჯები გადაედგა აქეთკენ. დავიწყოთ იქიდან, რომ საბჭოთა ტოტალიტარიზმი წელში გადატყდა ჯერ კიდევ 9 აპრილის ღამეს, ხოლო მისი დასასრული გაფორმდა 28 ოქტომბრის არჩევნებსა და 9 აპრილს მიღებული დამოუკიდებლობის აქტით. სამართლებრივ ჭრილში თუ შევხედავთ, ის ინსტიტუტი, რომელსაც ზვიად გამსახურდია წარმოადგენდა 1991 წლის 26 მაისიდან, ასევე, მისი ხელისუფლებაც, რესპუბლიკური მმართველობის ტიპს წარმოადგენდა. კონსტიტუცია, რომელსაც იგი ეყრდნობოდა, იყო 1978 წლის მოდიფიცირებული და ახალ სამართლებრივ პოლიტიკურ რეალობებთან ადაპტირებული კონსტიტუცია. ხელისუფლება ლეგიტიმირებული იყო სამი — საპარლამენტო, საპრეზიდენტო და ადგილობრივი თვითმმართველობის — არჩევნებით.

მმართველობის ეს ტიპი შეიძლება დავახასიათოთ, როგორც „შერეული მოდელის" კონკრეტული ფორმა, სადაც, პარლამენტის გარდა აღმასრულებელ ხელისუფლებაში არსებობს პრეზიდენტის ინსტიტუტიც და პრემიერიც. მათ

შეთანხმებით უნდა მართონ აღმასრულებელი ხელისუფლება. ამ მოდელს აქვს გარკვეული მსგავსება საფრანგეთის სემიპრეზიდიალურ მმართველობასთან. „გარდამავალი დემოკრატია“ სულაც არ ნიშნავს, რომ ეს უკვე ჩამოყალიბებული, დახვეწილი და სრულყოფილად ფუნქციონირებადი დემოკრატიული სისტემაა, გამყარებული თავისი ინსტიტუტებით. რა თქმა უნდა, 1991 წელს ვერ იქნებოდა დემოკრატია, ან საიდან უნდა ყოფილიყო იგი სამხრეთ კავკასიაში, რუსეთის იმპერიის ავისმომასწავებელ ჩრდილში (იმპერიისა, რომელიც თვითონაც გაურკვეველ სიტუაციაში აღმოჩნდა). ეს ყველაფერი ხომ დროსა და გამოცდილებას, პოლიტიკურ სტაბილურობას საჭიროებს. ავტორიტარიზმი, როგორც ცნება, გამოიყენება ისეთი რეჟიმების დახასიათებისთვის, როგორიც დღეს არსებობს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, ჰუგო ჩავესისა და მადუროს ვენესუელაში, იყო რობერტ მუგაბეს მოზამბიკში, არის პუტინის რუსეთში და ა. შ. გაუგებარია, რით ჰგავდა საქართველო ჩამოთვლილ ქვეყნებს 1991 წელს, ანუ როგორ იყო პოლიტიკურად იმავე ტიპის ქვეყანა, ოღონდ მათი „სუსტი“ ანალოგი. ასეთი ავტორიტარიზმის არსებითი ნიშანია ძალაუფლებაში მყოფებსა და დაქვემდებარებულებს შორის ისეთი დემოკიდებულება, როდესაც ძალაუფლება, მთლიანად მოქცეული ერთი თანამდებობის პირისა და მისი ადმინისტრაციის ხელში, ხორციელდება „საიდუმლო პოლიციისა“ და მისი ფართოდ განტოტვილი ქსელის მიერ, რომლის ამოცანაა მმართველი კლასის ძალაუფლების დაცვა და ოპოზიციის დათრგუნვა, რომლისთვისაც მართვაში ყველანაირი მონაწილეობა მმართველი ჯგუფის მიერ აღკვეთილია. მოქმედებს ცენზურა, რომელიც სახელმწიფოს პროპაგანდას ემორჩილება, ასევე, არ მიმდინარეობს დებატები. სად არის ეს ჩამოთვლილი ნიშნები საქართველოში 1990 წლის 14 ნოემბრიდან 1991 წლის 22 დეკემბრამდე?

ზოგჯერ რჩება შთაბეჭდილება, რომ ოპონენტები ზვიად გამსახურდიასგან თითქოს რაღაც ჯადოსნური ჯოხის გამოყენებით ითხოვდნენ ისეთი უნაკლო დემოკრატიის დამყარებას, რომელიც მსოფლიოში არსად არის. რამდენადაც ცნობილია, ზვიად გამსახურდიას მოღვაწეობის პერიოდში, 1991 წლის 10 აგვისტოს, მიიღეს „კანონი პრესისა და მასობრივი ინფორმაციების სხვა საშუალებების შესახებ“, რომელიც კრძალავდა ყოველგვარ ცენზურას და უზრუნველყოფდა გაზეთების გავრცელებას მთელი რესპუბლიკის ტერიტორიაზე.[563] სტ. ჯონსის ცნობით, 1991 წლის მაისში გამსახურდიამ ოპოზიციის კანდიდატებს სახელისუფლებო პრესის გამოყენება აუკრძალა. ასევე, 1991 წლიდან, მთავარი სამთავრობო გაზეთების რედაქტორებს ზვიად გამსახურდია თავად ნიშნავდა.[564] ჯონსი აღნიშნავს, რომ შემოდგომაზე დაიხურა რუსულენოვანი „ნოვაია გაზეტა“ (Новая Газета), ყოფილი „მოლოდიოჟ გრუზიი“ (Молодежь Грузии) და „ახალგაზრდა ივერიელი“ (ყოფილი „ახალგაზრდა კომუნისტი“). თუმცა აღარაფერს წერს იმაზე, რაც შემდგომ მოხდა: „ახალგაზრდა ივერიელი“, რომელიც ფინანსდებოდა ხელისუფლების მიერ, გამოიცემოდა მისსავე სტამბაში და ოფიციალურად შედიოდა ხელისუფლების ბეჭდვითი ორგანოების სტრუქტურაში,

მართლაც დაიხურა იმის გამო, რომ ხელისუფლებამ აღარ ჩათვალა საჭიროდ, დაეფინანსებინა ოფიციოზის პოზიციებთან დაპირისპირებული, დამოუკიდებელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. თუმცა, ხელისუფლებამ გაზეთი ორ კვირაში აღადგინა და რედაქციას მიუთითა, რომ, თუკი თავისუფალ და დამოუკიდებელ გაზეთად დარჩენა სურდა, ხელისუფლების სტრუქტურაში არ უნდა დარჩენილიყო. ზუსტად იგივე ითქმის „ნოვაია გაზეტაზეც", რომელშიც არცთუ იშვიათი იყო ოფიციალური მოსკოვის პოზიციების ამსახველი პუბლიკაციები.

ამ ყოველივეზე ზვიად გამსახურდიამ პასუხი ოპონენტებს მოგვიანებით გასცა: „მომაწერდნენ, რომ ტირანი, დიქტატორი ვიყავი. ერთი მითხარით, სად გინახავთ ისეთი დიქტატურა, რომლის დროსაც 25 ოპოზიციური გაზეთი გამოდიოდეს, რომლებიც დღე და ღამე ლანძღავენ პრეზიდენტს, ცილს სწამებენ მას?" შეკითხვაზე, რატომ შეაჩერა მოსკოვის ტელევიზიის გადაცემა, მან უპასუხა: „მე რამდენიმეჯერ შევაჩერე ტრანსლაცია, რადგანაც გადმოსცემდნენ ისეთ დეზინფორმაციას, რომელსაც შეეძლო გამოეწვია სისხლის ღვრა აფხაზეთში, ე. წ. სამხრეთ ოსეთში და სხვა ადგილებში. ასე რომ, ეს კეთდებოდა არა სისტემატურად, არამედ ცალკეულ შემთხვევებში".[565] დ. შველიძე ზვიად გამსახურდიას პიროვნულ ხასიათსაც ეხება და წერს, თითქოს ავტორიტარულობის შთაბეჭდილებას აძლიერებდა მისი ფეოდალური ხასიათი, იდეალისადმი ერთგულებაში საკუთარი შეუცვლელობისადმი რწმენა, ეროვნულ მოძრაობაში საკუთარი დამსახურების უპირობო აღიარება და ა. შ.[566] ამ მსჯელობაშიც ბევრი გაუგებრობა და ბუნდოვანებაა: რას ნიშნავს ფეოდალური ხასიათი? არსებობს კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია ამ ხასიათის განსაზღვრა? ყმები ჰყავდა, როგორც ბატონს თუ სამართალსა და კანონზე მაღლა აყენებდა თავის თავს? სხვათა შორის, ამას არც ფეოდალები აკეთებდნენ შუა საუკუნეებში. ნუთუ „ფეოდალიზმის" რაიმენაირი დადასტურებაა ის ფაქტიც, რომ მისი გარდაცვალებიდან 30 წლის თავზეც მისი თანამშრომლები და თანამებრძოლები, რომელთა შორის ბევრმა ნამდვილი დევნა და შევიწროება გამოიარა, თავს მისი გზისა და იდეების ერთგულებად თვლიან? ან იქნებ ამ ლოგიკით საქართველოს შემდგომი ხელისუფალნიც, რომელთაც თავიანთ მომხრეებში მაღალი ავტორიტეტი ჰქონდათ, ასევე „ფეოდალები" არიან?

1991 წლის 7-8 სექტემბერს, კონგრესმენ ჰოიერის ხელმძღვანელობით, საქართველოს ეწვია ამერიკელ კონგრესმენთა მორიგი დელეგაცია. პრეზიდენტსა და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან შეხვედრის შემდეგ დელეგაცია ოპოზიციის წარმომადგენლებსაც შეხვდა. ოპოზიციონერებმა გამსახურდია მოსკოვის 1991 აგვისტოს პუტჩის ორგანიზატორებთან თანამშრომლობაში დაადანაშაულეს. მათი მტკიცებით, მხარდაჭერის სანაცვლოდ, გამსახურდია დათანხმდა საგანგებო კომიტეტის ყველა გადაწყვეტილების აღსრულებას. შეთანხმების თანახმად, გამსახურდიას უნდა გაეუქმებინა ყველა არაფორმალური შეიარაღებული დაჯგუფება, მათ შორის, ეროვნული გვარდია, დაეშალა ადგილობრივი თვითმმართველობა და გადაეყენებინა მერები და პრეფექტები.

საამისოდ ოპოზიციონერებს არანაირი მტკიცებულება და დოკუმენტი არ მოუტანიათ, ყველაფერი დარჩა მხოლოდ ზეპირი ბრალდებების დონეზე. „სახალხო ფრონტის“ თავმჯდომარემ ნოდარ ნათაძემ პრეზიდენტი საკანონმდებლო ხელისუფლების უზურპაციაში, ოპოზიციური მედიის გაჩუმებასა და საარჩევნო კანონის დარღვევაში დაადანაშაულა. ეროვნული გვარდიის სარდალმა თენგიზ კიტოვანმა განუცხადა კონგრესმენებს, რომ, მიუხედავად იმისა, სამართლებრივად ის პრეზიდენტს ექვემდებარებოდა, ის აღარ ენდობოდა გამსახურდიას და მხოლოდ ხალხის წინაშე იქნებოდა პასუხისმგებელი. სიგუას მტკიცებით, გამსახურდიამ არ შეასრულა წინასაარჩევნო პირობა დემოკრატიის აშენების შესახებ და საქართველოში დიქტატურა დაამყარა. გადაყენებულმა პრემიერმა სიგუამ განაცხადა: გამსახურდია „ცდილობს ალბანეთის მსგავსი სახელმწიფოს შექმნას“, ხოლო ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა გიორგი ხოშტარიამ განუცხადა დელეგაციას, რომ დემოკრატია და თავისუფლება ერთმანეთთან გადაჯაჭვული იყო და საქართველოს ვერ ექნებოდა ამათგან ერთი, მეორის გარეშე. ამ დოკუმენტის მიხედვით, ხოშტარიამ ურჩია გამსახურდიას, დაევიწყებინა წარსული წყენა და შეეთავაზებინა ედუარდ შევარდნაძისთვის საქართველოში დაბრუნება, რათა თავისი საერთაშორისო ავტორიტეტით დამოუკიდებელი საქართველოს ჩამოყალიბებაში დახმარებოდა. ხოშტარიას აზრით, შევარდნაძე, როგორც მსოფლიო რეპუტაციის მქონე პიროვნება, პოზიტიურ როლს ითამაშებდა ტრანზიციის პერიოდში. ხოშტარიას თქმით, გამსახურდია ეწინააღმდეგებოდა ნებისმიერ თანამშრომლობას შევარდნაძესთან.

ამავე დოკუმენტში არის კიდევ ერთი საყურადღებო ცნობა: შევარდნაძის მხარდამჭერი განცხადებები გაკეთდა 11 სექტემბერს მოსკოვში, ამერიკის საელჩოს თანამშრომელთან შეხვედრაზე, როდესაც ქართული ოპოზიციის წარგზავნილმა (რომლის ვინაობაც დოკუმენტში დაშიფრულია) განაცხადა, რომ ოპოზიციური ძალები საქართველოში აღიქვამდნენ შევარდნაძეს, როგორც დემოკრატიისა და დამოუკიდებლობის უდიდეს იმედს. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პრესმდივანმა ირინა სარიშვილმა უთხრა კონგრესმენებს, რომ საპრეზიდენტო არჩევნებზე უცხოელი დამკვირვებლები არჩევნების დღეს ჩამოვიდნენ და მათ არ ჰქონდათ საშუალება წინასაარჩევნო პერიოდისთვის ედევნებინათ თვალი. მან დასძინა, რომ თბილისის ამომრჩევლების მხოლოდ 25%-მა მიიღო არჩევნებში მონაწილეობა და რომ დემოკრატიული არჩევნები დემოკრატიის გარანტია არ იყო. სარიშვილის მტკიცებით, საქართველოში მოსკოვში გამოცემული მრავალი გაზეთის შემოტანა აკრძალული იყო, რამდენიმე ადგილობრივი გაზეთი კი დაიხურა.[567]

5.3. სექტემბრის სესია, როგორც ესკალაციის შენელების მცდელობა

უზენაესი საბჭოს 15 სექტემბრის სესია იყო მცდელობა ესკალაციის შეჩერებისა და შექმნილი ფეთქებადსაშიში სიტუაციის განმუხტვისა. ძირითადი განსახილველი საკითხი იყო 2 სექტემბრის მოვლენების შეფასება. მასზე გამო-

ვიდნენ როგორც ოპოზიციონერი, ისე სახელისუფლებო გუნდის დეპუტატები. გამოსვლები შეაჯამა ზვიად გამსახურდიამ, რომელმაც განაცხადა: „ძვირფასო მეგობრებო, მე ამდენი ხანია ვისმენ შეფასებას იმ სავალალო მოვლენებისა, რომელიც მოხდა 2 სექტემბერს და გაოცებული ვარ ერთი გარემოებით. არავის არ გახსენებია, არ გამოუთქვამს მოსაზრება, თუ ვის წინააღმდეგ იყო ეს ყოველივე მიმართული და ვინ დაზარალდა ყველაზე მეტად ამ სავალალო ინციდენტის შედეგად. ამით ყველაზე მეტად დაზარალდა რესპუბლიკის პრეზიდენტი. და, მე მგონი, არც თუ ისე ძნელი მისახვედრია, რომ ეს იყო მიმართული, პირველ რიგში, პრეზიდენტის წინააღმდეგ და ჩვენი ხელისუფლების წინააღმდეგ. რასაკვირველია, მთლიანად პარლამენტისაც, ვინაიდან ჩვენ განუყოფელი ნაწილი ვართ".[568]

ამის შემდეგ პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ხელისუფლებაში მოსულ ძალას წინა ხელისუფლებიდან დახვდა იგივე მილიცია. მან, მართალია, 9 აპრილს დიდი ევოლუცია განიცადა, მათი დიდი ნაწილი თავისუფლების მხარეს იყო, მაგრამ იქ მტრული ძალებიც მოქმედებდნენ. ეს ძალები იმპერიული ცენტრის მიერ იმართებოდნენ. ამის გამო დადგებოდა დრო, როდესაც ეს ყოველივე გამომზეურდებოდა და გაირკვეოდა, რომ ეს იყო შეგნებულად მოწყობილი პროვოკაცია ორივე მხრიდან, როგორც მილიციის მხრიდან, ისე – მომიტინგეების მხრიდან.[569] „კარგად შევაფასოთ ეს მოვლენები და გამოვავლინოთ ის ძალები, რომლებიც ჩვენ ამას გვიწყობენ ჩვენივე მილიციის შიგნიდან. აი, ეს არის, მეგობრებო, ჩემი თვალსაზრისი. და რაც შეეხება იმას, რომ საქართველოს იმიჯი ძალიან გაფუჭდა და ამ ყველაფერში პრეზიდენტია დამნაშავე, ავინყდებათ, რამხელა დეზინფორმაციის მანქანა ებრძვის პრეზიდენტს და ებრძვის საქართველოს". იმავე სესიაზე კიდევ ერთ გამოსვლაში პრეზიდენტმა საპარლამენტო ოპოზიციასაც მიმართა, რომლის ერთმა ნაწილმა ხმაურიანად, დემონსტრაციულად დატოვა პარლამენტის სესია: „მე ახლა გთხოვთ, ვიპოვოთ ერთმანეთთან საერთო ენა. მე ბევრ თქვენგანთან მაკავშირებს წლების მეგობრობა და, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ახლა დაპირისპირებული მხარეები ვართ, რაც სხვათა შორის, ძალიან მწყინს და მტანჯავს, გავიხსენოთ ის ყოველივე კეთილი, რაც ყოფილა ჩვენ შორის და რამაც გვაბრძოლა ამდენ ხანს საქართველოს კეთილდღეობისთვის. გავიხსენოთ უმძიმესი წუთები, რომლებიც ერთად გაგვიტარებია და მხარდამხარ ვყოფილვართ ჩვენ ეროვნული მოძრაობის პერიოდში. მოდით, ახლა ვიპოვოთ საერთო ენა, მოგიწოდებთ არა იმიტომ, რომ ვთქვათ, მე მემუქრება რაიმე საფრთხე და ჩემს პოსტს, ან თანამდებობას. მე მგონი, დამეთანხმებით, საქართველოა საფრთხის წინაშე, უდიდესი საფრთხის წინაშე. მერწმუნეთ, რომ ის პოლიტიკური პრობლემები, რომლებიც ჩვენი გადასაწყვეტია, ჩვენი და ოპოზიციისა ერთად, თუ ისინი არ მოგვარდა უახლოეს ხანებში, შეიძლება, უახლოეს საათებში ამას მოჰყვეს კატასტროფული შედეგები და რაც, ყველაზე მთავარია, მესამე ძალა უკვე აცხადებს პრეტენზიას ამ პრობლემების მოგვარებაში პრიორიტეტისას".[570]

პრეზიდენტს არ დაუკონკრეტებია, რომელი ძალა იყო „მესამე“, თუმცა იმის ვარაუდი, თუ რას გულისხმობდა, ძნელი არ არის: ეს ძალა კონცენტრირებული იყო ძირითადად „ეროვნულ კონგრესში“ და გააჩნდა ახლო კავშირები რუსეთის პოლიტიკურ, სამხედრო და სპეცსამსახურების წრეებთან. ოპოზიციას პრეზიდენტმა სთხოვა, თავი შეეკავებინა პარლამენტის დატოვებისაგან, ჩართულიყო დიალოგში, რათა ყველა პრობლემა გადაწყვეტილიყო კონსტიტუციური გზით. ოპოზიცია საკმაოდ აგრესიული გამოსვლებით გამოირჩეოდა ამ სესიაზე, ბრალდებები, არსებითად, იყო იგივე. რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ მათ აინტერესებთ არა საქმის გარკვევა და სახელმწიფოს წინაშე მდგარი რეალური პრობლემების გადაჭრაში მონაწილეობა, არამედ ესკალაცია. და, თუ საკითხი კენჭისყრაზე დადგებოდა და უმრავლესობა იმას არ უყრიდა კენჭს, რასაც ოპოზიცია ითხოვდა, ოპოზიცია პარლამენტს ტოვებდა. ასე მოიქცა, მაგალითად, „მერაბ კოსტავას საზოგადოების“ დეპუტაცია მას შემდეგ, რაც არ გავიდა საკითხი პარლამენტის სესიის პირდაპირი ტრანსილაციის შესახებ, რადგან უმრავლესობის ხმები ვერ გადასწონეს. უზენაესმა საბჭომ ოთხპუნქტიანი დადგენილება მიიღო:1. დაიგმოს ამა წლის 2 სექტემბრის ექსცესები და მიტინგის დროს ძალის გამოყენების ფაქტი; 2. ცნობად იქნეს მიღებული, რომ ამ ფაქტის გამო საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის მიერ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს გამოძიება; 3. მომხდარი ფაქტის ყოველმხრივი შესწავლისა და სათანადო დასკვნების გამოტანის მიზნით, უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა შექმნას საპარლამენტო კომისია ყველა რეგისტრირებული პარტიისა და საზოგადოების წარმომადგენლების მონაწილეობით; 4. კომისიის მიერ გამოტანილი დასკვნები წარედგინოს უზენაესი საბჭოს სესიას.[571]

აქ ნახსენებ კომისიას, წესით, უნდა შეესწავლა შინაგან საქმეთა მინისტრის, დილარ ხაბულიანის, მისი მოადგილის, რომან გვენცაძის, მილიციის მაღლაჩინოსნის, დავით ზეიკიძის, ასევე, ომონის ერთ-ერთი მეთაურის, გელა ლანჩავას როლი 2 სექტემბრის მოვლენებში, თუმცა საქმე აქამდე არ მივიდა. ერთადერთი ადამიანი, რომელსაც მოუწია თანამდებობის დატოვება, იყო მილიციის თბილისის სამმართველოს უფროსი, პოლკოვნიკი ალეკო მიქაბერიძე, რომელიც, ყველა ნიშნის მიხედვით, საერთოდ არ ჩანდა გარეული ამ საქმეში. მიუხედავად იმისა, რომ 15 სექტემბრის სესიის მიზანი დეესკალაცია იყო და აღნიშნულ დადგენილებას ამაში წვლილი უნდა შეეტანა, საპირისპირო შედეგი დადგა.

მომდევნო დღეს, 16 სექტემბერს, უნივერსიტეტის ბაღში გაიმართა მიტინგი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს როგორც საპარლამენტო, ისე არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებმა. უხვად იყვნენ წარმოდგენილი ელიტარული ინტელიგენციის სახეებიც. აქედან ხალხი დაიძრა უკვე რესპუბლიკის მოედანზე, სადაც სხვებიც შემოემატნენ. „ეროვნული კონგრესი“ აქ სრული შემადგენლობით იყო წარმოდგენილი. აქ უკვე გამოჩნდა ოპოზიციის ახალი ლიდერი – გადამდგარი პრემიერ-მინისტრი თენგიზ სიგუა, რომელსაც თენგიზ კიტოვანის ავტომატიანი გვარდიელები მიაცილებდნენ. პარალელურ რეჟიმში

პერმანენტული აქციები დაიწყო მთავრობის სასახლესთანაც. ხელისუფლებამ მოუწოდა ხალხს, დაეცვათ მთავრობის სასახლე, რაც ნიშნავდა იმას, რომ ვილნიუსის მოდელი სამთავრობო დანესებულების დაცვისა ხალხის მასის მიერ, საქართველოშიც ამუშავდა. თუმცა, ვერ მოხერხდა ტელევიზიის დაცვა, სადაც 1991 წლის 9 სექტემბრიდან მჯდომარე აქცია მიმდინარეობდა. 20 სექტემბერს, ვალერი კვარაცხელიას ორგანიზებითა და თავმჯდომარეობით, შედგა თანამშრომელთა კრება, რომელმაც გაუქმებულად გამოაცხადა თეიმურაზ კვანტალიანის მმართველობა ტელევიზიაში. კვანტალიანი, რომელიც დიდი დიპლომატობითა და მოქნილობით არ გამოირჩეოდა, იმთავითვე არ სარგებლობდა ტელევიზიაში პოპულარობით. მან ერთ წელიწადში ვერ მოახერხა ძლიერი პოზიციები შეექმნა ამ დანესებულებაში, რომელიც, თავის მხრივ, სავსე იყო გავლენის აგენტურით, ნომენკლატურის წარმომადგენლებით, ასევე „მკვდარი სულებით“. ცხადია, ეს იმას არ ნიშნავდა, რომ ტელევიზიის პირველი არხის ყველა თანამშრომელი ოპოზიციის აქციების სულისკვეთებას იზიარებდა, თუმცა მომიტინგეები, 9 სექტემბრიდან მოყოლებული, შენობის ბლოკირებას ახდენდნენ და თანამშრომლებს შენობაში არ უშვებდნენ. სწორედ ეს გახდა მიზეზი, რომლის გამოც სამართალდამცავებმა დააკავეს ოპერატორი გოგა ხაინდრავა, ოპოზიციის ერთ-ერთი აქტივისტი. მის წინააღმდეგ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. ხაინდრავა თავს დამნაშავედ არ ცნობდა და თვლიდა, რომ არაფერი დაუშავებია.

20 სექტემბრიდან გადაცემები სახელმწიფო ტელე-რადიოდეპარტამენტის შენობიდან გაითიშა. ცოტა ხანში იგი აღდგა იმ სპეციალური ავტობუსიდან, რომელიც იდგა მთავრობის სასახლის შიდა ეზოში და მოხერხდა მისი მიერთება მთაწმინდის პარკის ტერიტორიაზე მდგარ თბილისის სატელევიზიო ანძასთან. რუსთაველის პროსპექტზე რჩებოდა სამშენებლო ნარჩენებისგან აგებული ბარიკადები. დღის განმავლობაში იქ თითო-ოროლა აქტივისტს თუ მოჰკრავდით თვალს. ბუნებრივია, ისმის კითხვა, სად იყო მილიცია? ორჯერ იყო მცდელობა ამ ბარიკადების აღებისა, როდესაც მილიციამ ამწე მიაყენა მათ, მაგრამ ორივეჯერ იქ მყოფი აქტივისტები ჩაებღაუჭნენ ასაღებ ბლოკებს. მილიციის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ უბედური შემთხვევის მოხდენის მაღალი ალბათობის გამო, ისინი თავის თავზე ვერ აიღებდნენ პროსპექტის განმენდას. აშკარა იყო, რომ აქ 2 სექტემბრის „კომპლექსიც“ მოქმედებდა და მილიცია თითქოს პარალიზებული იყო. შეიძლება ითქვას, რომ მილიცია თითქმის ჩაეხსნა პროცესებს.

16 სექტემბერს, უკვე ღამით, დააპატიმრეს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი გია ჭანტურია. დაპატიმრების ფორმა სკანდალური იყო. ის და ირინა სარიშვილი ისხდნენ თვითმფრინავში, რომელმაც გეზი, ის-ის იყო, მოსკოვისკენ აიღო, რომ მას უკანვე დაჯდომა მოუწია. უსაფრთხოების თვალსაზრისით, ასეთი რამ რეკომენდებული არ არის. ჩვენთვის ცნობილია ზვიად გამსახურდიას პოზიცია ასეთი ფორმით დაპატიმრებაზე: გიორგი ჭანტურია თით-

ქმის ორი ათეული შეიარაღებული მცველის თანმხლებით გადაადგილდებოდა, თუკი მისი დაკავების მცდელობა იქნებოდა სახლში, ოფისსა ან ქუჩაში, ამას, შესაძლოა, მოჰყოლოდა სროლა და სისხლის ღვრა. ეს ნიშნავდა, ამავე დროს იმას, რომ შესაძლოა, მისავე სიცოცხლეს შექმნოდა საფრთხე. თითქოს დანა პირს არ უხსნიდა ზვიად გამსახურდიას ამ დღეებში. ციხის ადმინისტრაციას სთხოვა, ისე გაეკეთებინათ, რომ მას ყოველდღე მიეღო ინფორმაცია პატიმრების, ჭანტურიასა და ხაინდრავას, მდგომარეობაზე. მათ არაფერი უნდა გასჭირვებოდათ, ასევე უნდა სცოდნოდათ, რომ აუცილებლად გამოვიდოდნენ გარეთ, როგორც კი დასრულდებოდა საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარების პროცესი.

სიტყვები, რომლებიც მან უზენაესი საბჭოს სესიაზე წარმოთქვა, ალბათ, ამ მოვლენათა მიმართ პრეზიდენტის დამოკიდებულების გასაღებს იძლევა: „მე ბევრ თქვენგანთან მაკავშირებს წლების მეგობრობა და, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ახლა დაპირისპირებული მხარეები ვართ, რაც სხვათა შორის, ძალიან მწყინს და მტანჯავს...“. მას შინაგანი განცდა არ ტოვებდა, რომ სადღაც აქ იყო წითელი ხაზები, რომლებსაც იგი, თვით უმაღლესი პასუხისმგებლობის ამღები პირი ხალხისა და სახელმწიფოს წინაშე, ვერ გადალახავდა.

რამდენადაც მილიცია სრულიად პარალიზებული და პასიური იყო, რუსთაველის პროსპექტის გაწმენდა საკუთარ თავზე ხალხმა აიღო. ესეც ვილნიუსის მოდელის ქართული მოდიფიკაცია იყო – თუკი ხალხს შეეძლო სამთავრობო შენობის დაცვა, რატომ არ შეეძლო მის უშუალო სიახლოვეში გაენეიტრალებინა არასტაბილურობისა და აგრესიის ისეთი კერა, რომელიც სახელმწიფოს საფრთხეს უქმნიდა? ამ ამბების კვინტესენცია ეს იყო, როგორ არასიმპათიურადაც არ უნდა მოჩანდეს იგი უპირატესად ერთი ამბის გამო – ორივე მხარეს ქართველები იყვნენ. ასეთი მოვლენები, ზოგადად, ხელს უწყობს საზოგადოების პოლარიზაციას, და არ არსებობს უფრო დიდი საჩუქარი მტრისთვის, ვიდრე პოლარიზაცია და დაპირისპირებაა. სახელმწიფოს დილემა იმაში მდგომარეობდა, რომ ძალოვანი სექტორის პარალიზების გამო შეუძლებელი იყო იმ გაუსაძლისი ვითარების დასრულება, რომელიც ქალაქის ცენტრში შეიქმნა. ამიტომაც, ოფიციალური ძალოვანი სექტორი ვერ ალაგმავდა და არც ალაგმავდა მოხალისეებს, რომლებმაც მზადყოფნა გამოთქვეს თავიანთ თავზე აეღოთ სამართალდამცავთა ფუნქციები.

21 სექტემბერს, ღამით, ორივე ბარიკადი აიღეს, ხალხმავე გაწმინდა იქაურობა სამშენებლო ნარჩენებისგან, რომელიც სპეციალური თვითმცლელებით გაიტანეს იქიდან. რუსთაველის პროსპექტზე მოძრაობა აღდგა. ოპოზიციის შემდეგი სვლა იყო გამაგრება ტელევიზიის წინ. აქციები იქ სადღეღამისო გახდა და, რაც მთავარია, 3 სექტემბერს რკონიდან შავნაბადაზე გადასული ნაწილები 22 სექტემბერს ჩამოვიდნენ ტელევიზიასთან და დაიკავეს პოზიციები. მათ იქვე ქვემეხებიც კი დადგეს. 22 სექტემბრიდან გამოსვლებმა თბილისში მიიღო სახიფათოდ ანტისახელმწიფოებრივი, ანტიკონსტიტუციური ხასიათი. 24 სექტემ-

ბერს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულებით ქალაქ თბილისში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა. ბრძანებულებაში ეწერა, რომ საქართველოში მიმდინარეობდა სამხედრო და სამოქალაქო პუტჩი, შექმნილი იყო ხუნტა, რომელსაც გააჩნდა სამხედრო ძალა. შემდეგ ჩამოთვლილი იყო პუნქტები: 1. გამოცხადდეს ქალაქ თბილისში საგანგებო წესები ამა წლის 25 სექტემბრიდან; 2. დაინიშნოს ქ. თბილისის სამხედრო კომენდანტად პოლკოვნიკი ჯემალ ალექსანდრეს ძე ქუთათელაძე; 3. გამოცხადდეს საერთო მობილიზაცია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე; 4. დაევალოს ადგილობრივ მმართველობის ორგანოებს შექმნან სამობილიზაციო პუნქტები, ჩამოაყალიბონ სახალხო რაზმები; 5. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს, გამოიყენოს კანონით მინიჭებული უფლებები ქალაქ თბილისში სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებისა და მოსახლეობის უსაფრთოების უზრუნველსაყოფად.[572] სამთავრობო გვარდიის ნაწილებმა მომდევნო დღეს დაიკავეს კიტოვანელების მიერ მიტოვებული შავნაბადას ბაზის ტერიტორია. ოპოზიციამ ამ ნაბიჯს დეზინფორმაციის გავრცელებით უპასუხა, თითქოს ხელისუფლებამ შურისძიების მიზნით რეპრესიები დაიწყო. გვიან ღამით თბილისის სხვადასხვა უბანში დაგზავნეს აქტივისტები, რომლებიც გაჰყვიროდნენ: „ხალხნო, გაიღვიძეთ, ზვიად გამსახურდიამ სამოცი უდანაშაულო გვარდიელი დახვრიტა!" ეს ვერსია, ცხადია, მოსკოვის ტელევიზიამაც გადმოსცა.

ამავე დღეს პრეზიდენტმა გამართა პრესკონფერენცია მსოფლიოს წამყვანი საინფორმაციო სააგენტოების წარმომადგენლებისა და ჟურნალისტებისთვის, მან აღნიშნა, რომ მიმდინარეობდა სამხედრო გადატრიალების პროცესი, შექმნილი იყო ხუნტა, მათ მიერ აღებული იყო ტელევიზიის შენობა და ისინი მოქმედებდნენ ზუსტად ისე, როგორც საბჭოთა ჯარი მოქმედებდა ლიტვაში. მისი თქმით, ამის გამო ხელისუფლება იძულებული გახდა, გამოეცხადებინა საგანგებო მდგომარეობა. ყოფილი პრემიერი სიგუა ოთხი დღე იმყოფებოდა მოსკოვში, სადაც, როგორც ჩანს, სათანადო ინსტრუქციები მიიღოო. ხოლო მოსკოვის ტელევიზია მთავრობის სასახლესთან გამართულ მრავალრიცხოვან მიტინგებს ასაღებდა, როგორც მთავრობის საწინააღმდეგო მიტინგებს. ჩვენ მრავალჯერ მივმართეთ ამ შეიარაღებული ფორმირებების ხელმძღვანელებს, მივეცით ხელშეუხებლობის გარანტია, მაგრამ მათ ამაზე რეაგირება არ მოახდინესო.[573] პრეზიდენტმა განაცხადა, რომ პარლამენტის დათხოვნა და ახალი არჩევნების დანიშვნა შესაძლებელი იყო ერთადერთ შემთხვევაში – თუკი ოპოზიცია საბოლოოდ დატოვებდა პარლამენტს. მაშინ პრეზიდენტს ჰკითხეს, რას ფიქრობდა ამაზე უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ასათიანი. ამაზე მან უპასუხა, რომ ასათიანს თავისი, განსხვავებული მოსაზრება აქვს და იგი არ ემთხვევა ჩემსას. იგი თვლის, რომ ოპოზიციონერი დეპუტატები, ალბათ, გამოფხიზლდებიან, გაერკვევიან სიმართლეში და გაემიჯნებიან პუტჩისტებს, თუმცა მე მაინც მეეჭვება ასე მოხდესო. პრესკონფერენციის ბოლოს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ იგი და რესპუბლიკის მთავრობა ეძიებდნენ დიალოგის, ურთიერთგაგების გზას,

ქართველი ერის საკეთილდღეოდ, არა ძალადობით, სროლით, ძმათა შეხლა-შემოხლით, არამედ საზოგადოებრივი აზრის მობილიზაციით უნდა მოგვარებულიყო ეს პოლიტიკური კრიზისი, რომელშიც ერია მესამე ძალის ხელი.

მომდევნო დღეს მთავრობის სასახლის წინ გამართულ მიტინგზე ზვიად გამსახურდიამ წარმოთქვა სიტყვა, რომელშიც ასე მიმართა მოწინააღმდეგე მხარეს: „გონიერია ასეთი მოქმედება, მეგობრებო? თბილისელის სახელით არათბილისელს შუბლი გაუხვრიტო – ეს არის მათი ადამიანობა? ეს არის მათი დემოკრატია? ... ეს არის, დემოკრატებო, ჰუმანისტებო, თქვენი ადამიანობა? ეს არის თქვენი მაღალი იდეალები? ქართველი ერი გაგცემთ პასუხს ყოველივე ამისთვის. მაგრამ, მეგობრებო, მოდით, ვეძებოთ გზები ყოველივე ამისგან თავის დაღწევისა, თავის დაღწევისა იმ ჩიხიდან, რომელშიც მათ შეგვიყვანეს, მათ თავიანთი თავი შეიყვანეს. კიდევ ერთხელ მოვუწოდებ მათ, დაყარეთ იარაღი, დაშალეთ ეს ხუნტა, დაშალეთ ეს უკანონო შეიარაღებული ფორმირებები! ხელს არ გახლებთ, წაბრძანდით სახლში, იმუშავეთ, იშრომეთ, იყავით ქართველები, იყავით მოქალაქენი!"[574]

მომდევნო დღეს, 25 სექტემბერს, კიტოვანის გვარდიელები თავს დაესხნენ თელასის შენობას, რომელსაც შეიარაღებული მილიციელები იცავდნენ. ამ თავდასხმას შედეგად მოჰყვა სამი მილიციელისა და ორი გვარდიელის დაღუპვა. შეტაკება მოხდა ცირკთანაც. ეს პირველი სიმპტომები იყო იმისა, რომ საქართველოში, პოლიტიკური კრიზისის გარდა, დაიწყო ძალადობრივი, შეიარაღებული გადატრიალება.

5.4. ესკალაციის წასვლა დროებითი დასრულებისკენ

მწერლებში ოქტობრის დღეებში თითქოს გაიღვიძა 1977 წლის აპრილის საგანგებო შეკრების სულმა, რომელზეც მათ, კომპარტიის ცეკას დავალებით, თავიანთი კოლეგა, დისიდენტი ზვიად გამსახურდია დაგმეს და მწერალთა კავშირიდან გარიცხეს. შერიგებასა და დიალოგზე ფიქრს მათმა ერთმა ნაწილმა ცეცხლზე ნავთის დასხმის პოლიტიკა არჩია. 1991 წლის 12 სექტემბერს გაიმართა საქართველოს მწერალთა კავშირის საერთო კრება, რომელზეც 2 სექტემბრის აქციის შეფასებებმა დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ მუხრან მაჭავარიანმა განაცხადა: „2 სექტემბერს მოხდა დიდი უბედურება. მე არ ვიცი, იქ არ ვიყავი. ათას რამეს ლაპარაკობენ. ჩემი აზრი ასეთია: ორი სექტემბრის მიტინგი არ უნდა ჩატარებულიყო!.. ამ მიტინგს უსათუოდ პროვოკაციული ხასიათი ჰქონდა. მე ეჭვი არ მეპარება არც ირაკლი წერეთლის ქართველობაში, არც გიორგი ჭანტურიას, არც ჩხეიძის. ჭანტურიაზე და წერეთელზე ვარ გაოცებული. როგორ შეიძლება?! რაგინდ პირადი ინტერესიც არ უნდა ჰქონდეთ, განა ვერ ხვდებიან, რომ ეს დაღუპავდა. როცა კონგრესმენები იმყოფებიან საქართველოში, როცა წყდება საქართველოს ბე-

დი, რა ხდება?.. მე მიმაჩნია, რომ ამ მიტინგის ჩატარება დიდი შეცდომა იყო და თითქმის ღალატი და მე გაოცებული ვარ, ეს ნიჭიერი ხალხი, რომლებიც ორგანიზატორები არიან ამ მიტინგისა, როგორ ვერ ხვდებიან. ეს გარეშე ძალის ზემოქმედების შედეგია". ხოლო უზენაესი საბჭოს დეპუტატმა, ლიტერატურის კრიტიკოსმა თემურ ქორიძემ შემდეგნაირად დაახასიათა შექმნილი ვითარება და ის, რაც აქედან შეიძლებოდა განვითარებულიყო: „შემზარავი და საზიზღარია სამოქალაქო ომი, მაგრამ გაცილებით უფრო შემზარავია ის, ვინც ამ სამოქალაქო ომში გაიმარჯვებს. იმისთვის, რომ ეს სამოქალაქო ომი ავიცილოთ, ეს არ არის ცალსახა ამბავი. პრეზიდენტს მომხრეებიც ჰყავს. ასე რომ, გამოუვალი მდგომარეობა შეიქმნება, თუ არ დაიწყება ჯანსაღი ტენდენციების განვითარება. პირადად ჩემთვის ყველაზე საინტერესო არ არის ხელისუფლებაში ყოფნა".

სიტყვით გამოვიდნენ ოპოზიციის მხარეს მდგომი მწერლებიც. პროზაიკოსმა ჯემალ ქარჩხაძემ აღნიშნა, რომ საქართველოში ნამდვილი დიქტატურა იყო. პატივცემულ მწერალს მხოლოდ „სამამულო" დიქტატურა ჰქონდა ნანახი, რომელიც არცთუ დიდი ხნის წინ ამ შეკრებამდე საკმაოდ ქმედითი და ხელშესახები იყო. სხვა დიქტატურები მას ნანახი არ ექნებოდა – მაგალითად, სმიტის, ფორსტერის, პაკ-ჩჟონ-ხის ან პინოჩეტის – ერთი უბრალო მიზეზის გამო: მას იმ ქვეყნებში, სადაც ეს დიქტატორები იყვნენ, არ შეუშვებდნენ. მან რატომღაც ჩათვალა, რომ ის, რაც ახლა საქართველოში იყო, იგივე გახლდათ, რაც სსრკ-ში იყო, ოღონდ, ნაციონალურ სამოსელში გამოწყობილი. ამას აბერაცია შეიძლება ვუწოდოთ. იზა ორჯონიკიძემ კი განაცხადა, რომ ზვიადს არაფერი არ აკლდა, არც ოჯახიშვილობა, არც განათლება, არც გარეგნობა, არც სიმდიდრე, ასევე, არც ღირსებები, აკლდა მხოლოდ ყველას მიმართ სიყვარული. მე, მაგალითად, თხუთმეტი წელია, სუკ-ის აგენტს მეძახისო. არც მახსოვს, არც წამიკითხავს, არც მომისმენია, იზა ორჯონიკიძე ზვიადს სუკ-ის აგენტად მოეხსენიებინა და იქნებ გაეხუმრა კიდეც ამ ფორმით, თუ ასე ახლოს იყო მასთან.

1991 წლის 19 ოქტომბერს ოპოზიციონერმა მწერლებმა ლონდონში მიმართვა გაუგზავნეს საერთაშორისო პენ-კლუბის პრეზიდენტს კონრადს, რომელშიც ისინი სთხოვდნენ მას, მიეღოთ ქართველი მწერლები მწერალთა საერთაშორისო ორგანიზაციის შემადგენლობაში, რადგან საქართველოში დრამატული მოვლენები ვითარდებოდა. ისინი აცხადებდნენ, რომ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას პირობებში ქართველ მწერალთა ერთგულება დემოკრატიის იდეალებისადმი „სასტიკ დევნას" განიცდიდა. მიმართვას ხელს აწერდნენ: ჭაბუა ამირეჯიბი, გრიგოლ აბაშიძე, დათო მაღრაძე, მორის ფოცხიშვილი. ჯანსულ ჩარკვიანი, გიგი სულაკაური, ვაჟა გიგაშვილი, ირაკლი სამსონაძე, არჩილ სულაკაური, ნუგზარ შატაიძე, თამაზ კვაჭანტირაძე, აკაკი ვასაძე, ჯემალ ქარჩხაძე, ლაშა თაბუკაშვილი, გურამ გეგეშიძე, გურამ დოჩანაშვილი, ირაკლი აბაშიძე, თენგიზ ბუაჩიძე, თამაზ წივწივაძე, გურამ ფანჯიკიძე, კობა იმედაშვილი, რეზო ამაშუკელი, რომან მიმინოშვილი და სხვები.

მუხრან მაჭავარიანი ამ ამბავს გამოეხმაურა გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში" (N48, 29.11.91). თავის წერილში მან დასვა კითხვა, რაში გამოიხატებოდა ხელისუფლების მხრიდან მწერლების შევიწროება. „რომელიმე მათგანს სოციალისტური შრომის გმირობა ჩამოართვეს თუ კომკავშირის პრემია აჰყარეს? თანმიმდევრული პარტიული ფუნქციონერობის გამო პასუხი მოსთხოვეს თუ წარსულში ჩადენილი ცოდვები მოჰკითხეს? ვინმემ ხელისუფლების საწინააღმდეგო რამე დაწერა და არ დაუბეჭდეს?" მუხრანი ასკვნის, რომ საქართველოს შესახებ კიდევ ერთი, ყოვლად უხამსი დეზინფორმაცია გავრცელდა მთელ მსოფლიოში.

მწერლების ამ ჯგუფის შეხვედრა პრეზიდენტთან 1991 წლის შემოდგომაზე კონფრონტაციულ და არათავაზიან ხასიათს ატარებდა. ზვიად გამსახურდიამ ასე მიმართა მათ: „ადგილიდან შეძახილები არ გეკადრებათ, სოლიდური ხალხი ხართ, აქ გამობრძანდით, ტრიბუნაზე, დაასაბუთეთ თქვენი აზრი და ჩვენც გაგცემთ პასუხს. ვისწავლოთ პარლამენტური გზით მოქმედება, გვეყოფა ექსცესები. ეს ხალხი ქადაგებდა, რომ პარლამენტური გზა სისულელეა, კრემლის აგენტების მოგონილი. რომ ლანდსბერგისი კრემლის აგენტია, გამსახურდია კრემლის აგენტია, ესენი ამ გზით ვერასდროს მიაღწევენ დამოუკიდებლობასო. გავიდა თუ არა ლიტვა? ყოფილან ესენი წინასწარმეტყველები და პოლიტიკოსები? როგორ შეიძლება საბჭოთა არჩევნებიო, ხომ გაიძახოდნენ? ლანდსბერგისი ლამის კრიუჩკოვის თანამოაზრედ გამოიყვანეს. ეს იმისთვის გააკეთა, რომ ლიტვაში ჩაახშოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა და სამოკავშირეო ხელშეკრულებას მოაწეროს ხელიო. მე რომ ამირჩიეს, მაშინ თქვეს, თითქოს იმისთვის ვარ არჩეული, რომ მეც სამოკავშირეო ხელშეკრულებას მოვაწერო ხელი. როგორ მოვაწერ, აგერ ნახავთ თქვენ". შემდეგ კი პრეზიდენტმა დამაფიქრებელი განცხადება გააკეთა: „აღარ შეიძლება ამდენი უგუნურისა და თავზეხელაღებულის გაძლება ... სირცხვილია, ერი სოლიდარულია, როდესაც საქმე დამოუკიდებლობას, სუვერენიტეტს, ერის გადარჩენას ეხება".

ეს არასრული სიაა იმ მწერლებისა და კრიტიკოსებისა, რომლებიც ზვიადისა და ეროვნული ხელისუფლების კურსს მხარს უჭერდნენ: მუხრან მაჭავარიანი (მწერალთა კავშირის თავმჯდომარე), ალექსანდრე ბარამიძე (ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი), აკაკი გაწერელია, სარგის ცაიშვილი (ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე), ელიზბარ ჯაველიძე, სოსო სიგუა, ნოდარ წულეისკირი, ოთარ ჩხეიძე, თემურ ქორიძე, გურამ პეტრიაშვილი, სერგეი სერებრიაკოვი, ბელა შალვაშვილი, ნოდარ ჯალაღონია, ნომადი ბართაია, მაკა ჯოხაძე, გივი ძნელაძე, ბერდია ბერიაშვილი (მოკლეს პუტჩის შემდგომ), ოთარ შალამბერიძე, ბადრი გუგუშვილი (თავი მოიკლა პუტჩის შემდგომ), თინათინ მღვდლიაშვილი, ეკა ბუალავა, ლეილა მესხი, დილარ ივარდავა, ამირან კალაძე (მოკლეს პუტჩის შემდეგ), ვაჟა ხორნაული, ენვერ ნიფარაძე, აპოლონ ადონია, მიხეილ ღანიშაშვილი, მარინა ხმალაძე, ედემ კვირტია, ჯემალ დავლიანიძე, მიხეილ ჩაჩუა, მერაბ ელიოზიშვილი, ომარ გოჩელაშვილი და სხვები.

მწერალთა კავშირში, გარკვეულ მწერლებს, რომლებიც პუტჩს თანაუგრძნობდნენ, რატომღაც იმედი ჰქონდათ, რომ მუხრან მაჭავარიანი პრეზიდენტს მხარს არ დაუჭერდა და გადადგომას ურჩევდა. მუხრანმა მათ ცივი წყალი გადაასხა, როდესაც მთავრობის სახლთან გამართულ მიტინგზე ხელისუფლების მოწინააღმდეგეების მისამართით განაცხადა: მირჩევნია, ზვიად გამსახურდიასთან ერთად დავმარცხდე, ვიდრე თქვენთან ერთად გავიმარჯვო. მწერლების ჯგუფი გამოჩნდა პრეზიდენტთან 1991 წლის ნოემბერშიც, როდესაც სექტემბერ-ოქტომბრის მღელვარებები გადავლილი იყო. უზენაესი საბჭოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე თემურ ქორიძე იგონებს: „1991 წლის ნოემბრის მიწურულს ზვიად გამსახურდიას მწერალთა მცირერიცხოვანი ჯგუფი ეწვია. მისი თხოვნით, ამ შეხვედრას მეც დავესწარი. სამუშაო მაგიდის მახლობლად, სავარძელში ვიჯექი და საუბარს გულისყურით ვისმენდი. ლაპარაკით მხოლოდ ერთი, იმჟამად ფრიად გავლენიანი რომანისტი ლაპარაკობდა, ის და ზვიადი ერთმანეთს კარგად იცნობდნენ და საუბარიც აუღელვებლად მიმდინარეობდა. ეტყობოდა, რომ მწერალი რომელიღაც ძალზე დაინტერესებული ჯგუფის პოზიციას გამოხატავდა. მისი სიტყვები ჩემთვის მეტად მძიმე მოსასმენი იყო, მაგრამ ზვიადი წონასწორობას ინარჩუნებდა და მათი შეხვედრა ისე დასრულდა, საუბარში არც ჩავრეულვარ. პოზიცია, რომელსაც მწერალი ახმოვანებდა, დაახლოებით, ასე ჟღერდა: საქართველოს საერთაშორისო აღიარებას ზვიად გამსახურდიას დიქტატორული მიდრეკილებები აფერხებდა. ამიტომ გარკვეული წრეები სთავაზობდნენ მას, ქვეყნის პრეზიდენტს, დროებით, ერთიორი წლით დაეტოვებინა ეს პოსტი და სამკურნალოდ ევროპაში გამგზავრებულიყო. ფინანსურ უზრუნველყოფას ჯგუფი თავის თავზე იღებდა. ზვიად გამსახურდიას პასუხი კი ასეთი იყო: „მე სრულიად ჯანმრთელი ვარ, საქართველოში არანაირი დიქტატურა არ არსებობს. აღიარება კი იმიტომ იგვიანებს, რომ ჯერ კიდევ არ დაშლილა საბჭოთა კავშირი, ის კვლავ საერთაშორისო სამართლის სუბიექტია. ახლა იმპერია, ფაქტობრივად, რღვევის პირასაა მისული. ექვსი თვის განმავლობაში ის იურიდიულადაც შეწყვეტს არსებობას და აღიარებაც მაშინვე წამოვა. როგორც კი ეს პროცესი დასრულდება, მე მაშინვე დავნიშნავ ვადამდელ არჩევნებს და ლიტერატურულ საქმიანობას დავუბრუნდები. ხელისუფლებაში ყოფნას ნამდვილად არ ვაპირებ“.[575]

თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ საქართველოში არ იყვნენ ისეთი ადამიანები, რომლებსაც თავის თავში სინდისის ხმა არ ჩაუხშია. ასეთნი შეშფოთებულნი უყურებდნენ მოვლენებს და ცდილობდნენ, როგორღაც პოზიტიური როლი შეესრულებინათ და ხელი შეეწყოთ შინაგანი დიალოგისა და შერიგებისთვის. ასეთთა რიცხვს განეკუთვნებოდა ექიმი-კარდიოლოგი გია აბესაძე, რომელმაც 1991 წლის 21 სექტემბერს, ყველას თვალწინ ბენზინი გადაისხა და თავი დაიწვა პროტესტის ნიშნად ქვეყანაში მიმდინარე დაპირისპირების გამო.

ტელევიზიით, რომელიც ვეღარ ტრანსლირებდა თავისი შენობიდან, იყო საინტერესო გამოსვლები. ასეთი იყო, მაგალითად, პროფესორის, რუსთველო-

ლოგის, ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელის სერგეი სერებრიაკოვის გამოსვლა. თავის სატელევიზიო გამოსვლაში მან მოუწოდა საქართველოს ერთიანობისკენ. „ხომ არ გაგიჟდი, ქართველო კაცო?" – ასე იწყებოდა მისი მიმართვა. იგი შესანიშნავი ქართულით ავითარებდა აზრს, რომ ასეთი დაპირისპირება მხოლოდ რუსეთის ინტერესებში შეიძლებოდა ყოფილიყო. „მე, რუსი კაცი, გეუბნებით ამას", – ხაზს უსვამდა ის. ამავე ინსტიტუტის დირექტორმა, რუსთველოლოგმა, პროფესორმა სარგის ცაიშვილმა ღია წერილი მისწერა თენგიზ კიტოვანს, რომელშიც მოუწოდა დიალოგისკენ და გააფრთხილა იგი, ასეთმა კონფრონტაციამ, შესაძლოა, ეროვნულ კატასტროფამდე მიგვიყვანოს, იგი ისეთ შედეგებს გამოიღებს, რომელთა გამოსწორებაც შეუძლებელი გახდებაო. „სახალხო ფრონტის" თავმჯდომარემ, ნოდარ ნათაძემ, კიტოვანს მოუწოდა თავის გვარდიელებთან ერთად ცხინვალის რეგიონში გასულიყო, სადაც ქართველი მოსახლეობის დაცვის რეალური საჭიროება იდგა. აკადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ კი მოითხოვა ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის შეწყვეტილი დიალოგის განახლება. იგი აუცილებლად მიიჩნევდა მწვავე მსჯელობის გადატანას პარლამენტში.[576]

ზვიად გამსახურდიას მხარდასაჭერად სექტემბერში გაიმართა, ასევე, ხელოვნების წარმომადგენელთა მიტინგი, სადაც გამოჩნდნენ მისი მომხრე ინტელიგენციის წარმომადგენლები: ლატავრა ფოჩიანი (ცნობილი მოცეკვავე, საქართველოს სახალხო არტისტი,) ოთარ კობერიძე (მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი), ლეილა აბაშიძე (მსახიობი,საქართველოს სახალხო არტისტი), იზა გიგოშვილი (მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი), მედეა ფანიაშვილი (პაიანისტი), მაია თომაძე (ოპერის მომღერალი), თენგიზ კიკაჩეიშვილი (თსუ-ის პროფესორი) და სხვები. მოლაპარაკებების პროცესიც ერთხანს თითქოს დაიძრა კიდეც.

28-29 სექტემბერს იუსტიციის სამინისტროში მიმდინარეობდა მოლაპარაკება ხელისუფლების წარმომადგენლებსა და ოპოზიციას შორის. პირველ დღეს თითქოს შეთანხმდნენ განიარაღების პირობების, ფორმის, ვადების შესახებ. ხელისუფლება გარანტიას იძლეოდა, რომ ხელს არ ახლებდა არცერთ განიარაღებულ გვარდიელს. მიუხედავად ამისა, მომდევნო დღეს ოპოზიციამ საპრეზიდენტო ინსტიტუტის დაუყოვნებლივ გაუქმება მოითხოვა და ისევ წამოაყენა ძველი პრეტენზიები. ეს იმას ნიშნავდა, რომ მოლაპარაკებები ჩაიშალა. თუმცა მოლაპარაკებები გაგრძელდა საპატრიარქოში, სადაც 2 ოქტომბერს მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომელსაც ხელი მოაწერეს თენგიზ კიტოვანმა და ვაჟა ადამიამ. მოლაპარაკებაში საპატრიარქოს მხრიდან მონაწილეობდნენ დეკანოზი ელიზბარი და პროტოპრესვიტერი გიორგი. შეთანხმება გულისხმობდა, რომ თენგიზ კიტოვანისა და ვაჟა ადამიას დაქვემდებარებაში მყოფ შეიარაღებულ ფორმირებებს დედაქალაქი უნდა დაეტოვებინათ. მათ თანხმობა განაცხადეს ამაზე, თუმცა იქვე მუქარანარევ დათქმასავით გააკეთეს: თუ ხელისუფლება ოპოზი-

ციის მიმართ რეპრესიებს გაატარებდა, ისინი იტოვებდნენ უფლებას, ემოქმედათ საკუთარი მოქალაქეობრივი და პატრიოტული მრწამსის მიხედვით.[577]

1991 წლის 24 სექტემბერს ტელევიზიის შენობასთან ბომბი აფეთქდა, ხოლო ქვემეხიდან, რომელიც იქვე დააყენეს, განხორციელდა გასროლა კვების მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიმართულებით. ამავე დღეს გაკეთებულ პრეზიდენტის განცხადებაში ნათქვამი იყო შემდეგი: „ჩვენ არ დავსჯით დამნაშავეებს, თუ ისინი მშვიდობიანად დაიშლებიან, იარაღს ჩააბარებენ და სახლებს მიაშურებენ, ჩვენ მათ ხელშეუხებლობას ვპირდებით და ვითხოვთ, იცხოვრონ როგორც ქართველებმა და პატიოსანმა მოქალაქეებმა. მათი დაშლისთანავე მთავრობა შეწყვეტს საგანგებო მდგომარეობას და ყველაფერს იღონებს იმისთვის, რომ ჩვენი ხალხი დაუბრუნდეს მშვიდობიან ცხოვრებას. წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ კანონით გათვალისწინებულ ყველა ზომას". როგორც ჩანს, ამ განცხადებას გულისხმობდა მერაბ კოსტავას დედა, ქალბატონი ოლღა დემურია-კოსტავა, როდესაც ვაჟა ადამიასა და მის შეიარაღებულ ჯგუფს მოსთხოვა, ჯავშანტრანსპორტიორი გაეყვანათ მერაბის ეზოდან: „მეტი რაღა უნდა ქნას ზვიად გამსახურდიამ, ევედრება, შევრიგდეთო. არ ვიცი, მეტი რაღა დემოკრატია უნდათ".[578]

კიტოვანის შეიარაღებულმა ფორმირებამ 3 ოქტომბერს დატოვა ქალაქის ცენტრი და გადაინაცვლა თბილისის ზღვაზე, რაც, პრინციპში, არ ნიშნავდა შეთანხმების შესრულებას, რამდენადაც თბილისის ზღვა დედაქალაქის ტერიტორიაზეა. ადგილი, სადაც ისინი დაბანაკდნენ, სულ რაღაც, სამი კილომეტრით იყო დაშორებული რუსული სამხედრო ბაზიდან მახათას მთაზე. როგორც ჩანს, ადგილის შერჩევა დაკავშირებული იყო აღნიშნული სამხედრო ბაზის მდებარეობასთან. მომდევნო დილას, 10 საათზე, კიტოვანელების წარმომადგენლებმა ოპოზიციას აუწყეს, რომ მათზე განხორციელდა „ომონისა" და მილიციის მხრიდან თავდასხმა, თავდამსხმელთა შორის თითქოს იმყოფებოდნენ ჩეჩნეთიდან და ინგუშეთიდან ჩამოსული შეიარაღებული პირები. სროლის შედეგად ორივე მხრიდან იყვნენ დაჭრილები. ოპოზიციის წარმომადგენლები მთელი დღე მოუწოდებდნენ თბილისელებს ასულიყვნენ თბილისის ზღვაზე და დაეცვათ იქ დაბანაკებული ოპოზიცია. საღამოს განცხადება გააკეთა ახალდანიშნულმა კომენდანტმა ჯემალ ქუთათელაძემ, რომელმაც განაცხადა, რომ სიმართლეს არ შეესაბამებოდა არც სამოცი გვარდიელის დახვრეტის ფაქტი, არც ჩეჩნებისა და ინგუშების ჩართულობა მილიციისა და ეროვნული გვარდიის მხარდამხარ.

ყველაზე მართებული დასკვნა კიტოვანის შეიარაღებული რაზმის დისლოკაციის შეცვლაზე გაკეთებული აქვს დავით გამცემლიძეს. იგი თვლის, რომ ალყისას, რომელსაც ვახტანგ ქობალიას ნაწილები ახორციელებდნენ, სამთავრობო ძალებს ოდნავ უკეთესი პოზიციები ჰქონდათ. თბილისში ოპოზიციონერებმა იგრძნეს, რომ კიტოვანის გვარდიის განადგურება ან დაპატიმრება მათთვის პოლიტიკურ სიკვდილს ნიშნავდა და მძლავრი აქციები მოაწყვეს რუსთაველზე. თბილისის ზღვაზე და ზოგადად ქალაქში დიდი როლი შეასრულა ნოდარ

ნათაძის აქტიურობამ. ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინებით, პრეზიდენტი მოერიდა კიტოვანის ამბოხებული ნაწილის განადგურების ბრძანების გაცემას, ამიტომ ხანმოკლე სროლის იქით საქმე არ წასულა. თუკი ქობალია შეტევას დაიწყებდა, ვკითხულობთ დ. გამცემლიძესთან, ბრძოლაში ჩაერეოდა რუსული ავიაცია, რამდენადაც მოსკოვი არ დაუშვებდა კიტოვანის გვარდიის განადგურებას, რომელზეც დიდ იმედებს ამყარებდა. საქმე აქ მხოლოდ მორალურ გადაწყვეტაში არ იყო, რომ იქით მხარესაც ქართველები იდგნენ და ისინი ჰუმანური თვალსაზრისიდან გამომდინარე, უნდა დაენდოთ. სამთავრობო ჯარი არ იყო სათანადოდ შეიარაღებული ასეთი სპეცოპერაციისთვის, შეიძლება ითქვას, რომ შეიარაღება, დაახლოებით, ერთნაირი იყო ორივე მხარეზე. მათ არ ჰქონდათ მძიმე ტექნიკა, ნამდვილი არტილერია, ერთ-ორი ჯავშანტრანსპორტიორისა და ქვემეხის გარდა, არ გააჩნდათ სპეციალური საფრენი აპარატები და ავიაცია, რომელიც საჭიროა ასეთი სამხედრო ოპერაციის ჩასატარებლად, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ერთ ვერტმფრენს, საიდანაც ტყვიამფრქვევის გამოყენება იყო შესაძლებელი – იგი ცოტა ხნით გამოჩნდა და მალე დისლოკაციის ადგილზე დაბრუნდა.

კიტოვანელებს არ ეტყობოდათ, რომ ისინი ჩაბარებისთვის მზად იყვნენ, ისინი ბრძოლას აპირებდნენ. სამთავრობო ჯარის რამდენიმე ოფიცერი მზად იყო სპეცოპერაციისთვის. პრეზიდენტთან შეხვედრისას მას ამ სამხედროებისთვის უთქვამს: რომც დავიწყოთ მოქმედება, ამბოხების მოთავეები მაინც გაიქცევიან, მათ ამაში ხელს შეუწყობენ და ვინ, ძნელი მისახვედრი არ არის (პრეზიდენტი გულისხმობდა რუსეთის სამხედრო შტაბს, „ზაკვოს", კ. გ.). სანაცვლოდ შეგვანყდებიან სრულიად ახალგაზრდა ბიჭები, რომლებიც უცოდინრობისა ან სხვა მიზეზების გამო წააქეზეს და ხელისუფლების წინააღმდეგ იარაღი ააღებინეს ხელში. ამის შემდეგ კი ოპოზიცია გააათმაგებს ქადაგებას, რომ ჩვენ ის ჯალათები ვართ, რომლებმაც ქართველი ახალგაზრდები ამოვხოცეთო.

ამის შემდეგ მოვლენების ეპიცენტრმა მთავრობის სასახლესთან გადაინაცვლა, როდესაც ოპოზიციამ სცადა, დაეკავებინა მოედანი მთავრობის სასახლის წინ. ოპოზიციონერთა დიდი ნაწილი ქვებითა და ჯოხებით იყო შეიარაღებული. 4-5 ოქტომბერს, მთავრობის სასახლეზე იერიშის მიტანისას დაიღუპა ხელისუფლების საჯარისო სტრუქტურის ერთი გვარდიელი, ასევე, „წმინდა ილია მართლის საზოგადოების აქტივისტი" გია ტეტელაშვილი. სამთავრობო გვარდიის ჯავშანტრანსპორტიორებმა, რომლებიც ცოტა მოგვიანებით გამოჩნდნენ რუსთაველზე, გაფანტეს ოპოზიციის აგრესიული ბრბო. გვიან ღამით ოპოზიციურმა ჯგუფებმა რუსთაველის პროსპექტი დატოვეს. 4-5 ოქტომბრის მოვლენები ნამდვილად იყო ესკალაციის პიკი, რის შემდეგაც მკვეთრი დეესკალაცია დაიწყო, თუმცა მოჩვენებითმა სტაბილურობამ მხოლოდ 20-21 დეკემბრამდე გასტანა.

შეტაკებებს, რომელთაც მოჰყვა მსხვერპლი, ადგილი ჰქონდა 24 სექტემბერს „იმელთან", რუსთაველის პროსპექტზე, მომდევნო დღეს დიდუბეში, „თე-

ლასთან," 3 ოქტომბერს – თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე და ბოლოს 5 ოქტომბერს – მთავრობის სასახლის წინ. მთლიანობაში, 2 სექტემბრიდან 5 ოქტომბრამდე მიმდინარე ესკალაციის დროს სხეულის დაზიანება მიიღო 200-მდე ადამიანმა, აქედან სტაციონარში იმკურნალა 73-მა მათგანმა, ხოლო დაიღუპა 10 მოქალაქე.[579] ამ მოვლენების შეფასება პრეზიდენტმა გააკეთა 1991 წლის 8 ოქტომბრის სესიაზე, სადაც მას ხანგრძლივი გამოსვლა ჰქონდა. სიტყვის დასაწყისში მან პირველად ისაუბრა იმ ურთიერთობაზე, რომელიც ჩამოყალიბდა პრეზიდენტსა და ყოფილ პრემიერს შორის მის გადადგომამდე. ეს, მისი თქმით, გამოიხატებოდა თვითნებური გადაწყვეტილებების მიღებაში, უმნიშვნელოვანესი საკითხების პრეზიდენტთან შეუთანხმებლობაში. ეს, მეტადრე, სამხედრო სფეროს შეეხებოდა. ისინი თვითნებურად, პრეზიდენტთან შეუთანხმებლად წყვეტდნენ ისეთ საკითხებს, როგორებიც იყო, მაგალითად, გვარდიის რაოდენობა, დაფინანსება, ლოგისტიკური საკითხები. მოსკოვის პუტჩის მოახლოებასთან ერთად ისინი გადავიდნენ პრეზიდენტთან კონფრონტაციის მოსამზადებელ ეტაპზე. ისინი იმუქრებოდნენ ტელევიზიის აღებით. არადა, პრემიერ სიგუას საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ გამოთქმული ჰქონია მოსაზრება, პრეზიდენტმა ახალი მთავრობა უნდა ჩამოაყალიბოსო, თუმცა შემდგომში მან აზრი შეიცვალაო (ეს ზემოთაც არის აღნიშნული, კ. გ.).

2 სექტემბერი პრეზიდენტმა შეაფასა, როგორც პროვოკაცია, რომელშიც ჩართულნი იყვნენ ცალკეული პირები როგორც ოპოზიციიდან, ისე შინაგან საქმეთა სამინისტროდან. ეს ყოველივე მოხდა, რათა განხორციელებულიყო ხელისუფლების ძალადობრივი დამხობა. მას მოჰყვა პროვოკაციული ინციდენტები და გვარდია ჩამოვიდა თბილისში. ქალაქში გაუარესდა კრიმინოგენული ვითარება, მოხდა თავდასხმები სახელმწიფო დაწესებულებებზე. ამ ძალებმა სახელმწიფოს გამოუცხადეს პირდაპირი შეიარაღებული ბრძოლა, რის გამოც ეს ყოველივე წარმოადგენდა სამხედრო და სამოქალაქო ამბოხებას, ანუ პუტჩს.

ამის შემდეგ პრეზიდენტი გადავიდა საკითხზე, თუ როგორი რესპუბლიკა უნდა ჩამოყალიბებულიყო საქართველოში, საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო. მან ახსენა ოპოზიციის მიერ წამოყენებული მოთხოვნები პრეზიდენტის გადადგომაზე და განაცხადა: „ყველამ კარგად იცით, რომ მე არ ვეჭიდები ამ თანამდებობას და უკიდურესად მძიმეა და რთული ჩემთვის ამ მოვალეობის შესრულება, ძალზე მძიმეა და, ვინც არ უნდა იყოს ჩემს ადგილას, ყველასთვის ეს იქნება უკიდურესად მძიმე ჯვარი. ამას მე სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ. ამავე დროს პირდაპირ გეუბნებით, მიუხედავად იმისა, რომ პიროვნულად არა ვარ მოსურნე ამ პოსტზე დარჩენისა, ამას მე გულწრფელად ვაღიარებ, ჩემი ამ პოსტიდან წასვლა გამოიწვევს საქართველოში, სულ მცირე, რამდენიმე ათეული პარალელური მთავრობის შექმნას და რამდენიმე ათეული პრეზიდენტის აღმოცენებას. უფრო მეტიც, გამოიწვევს საქართველოს ადგილზე რამდენიმე სახელმწიფოს ჩამოყალიბებას, აბსოლუტური გადაჭარბების გარეშე გეუბნე-

ბით, ფრჩხილებს არ ვხსნი, ყველანი მიხვდით. ყველამ დაძაბეთ გონება და განსაკუთრებით გთხოვთ, ბატონო ოპოზიციონერებო, თქვენ, რამეთუ არ იცით, რას ითხოვთ. გესმით? მე ქუჩის გონებადაბნელებულ ოპოზიციას ვერ მოვუწოდებ ვერაფრისკენ, მაგრამ აქ ხართ განათლებული ადამიანები, ეხლა პირფერობა არ მინდა, ამ ჩვენს ოპოზიციაში უაღრესად განათლებული, უაღრესად გათვითცნობიერებული და, მე ვიტყოდი, პოლიტიკურად საკმაოდ მომწიფებული ადამიანები, როდესაც აყენებენ ამ მოთხოვნას, არ იციან, რას იქმან, ვინაიდან ეს უახლოეს ხანში გამოიწვევს საქართველოს სახელმწიფო მთლიანობის სრულ დეზინტეგრაციასა და დარღვევას, სრულ ანარქიას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და, კერძოდ, თბილისში და მე დაგიხატავთ თბილისს, თუ ეს ამბავი მოხდა. აი, ასეთ შემთხვევაში თბილისი გადაიქცევა რამდენიმე უბნად დანაწევრებულ ქალაქად, სადაც იქნება ერთადერთი ხელისუფლება – შეიარაღებული ბანდები და მათი ხელმძღვანელები. ყოველი უბანი იქნება თითო შეიარაღებული ბანდის ხელში. მათ შორის იქნება შეიარაღებული ბრძოლა ძალაუფლებისთვის და ზეგავლენისთვის, და იქნება მოსახლეობის არნახული ძარცვა, არნახული დარბევა, მოიშლება ყველაფერი: ელექტროენერგია, გაზი, კომუნიკაციები. აღარ იარსებებს სამართალდამცავი ორგანოები, აღარ იარსებებს სურსათით მომარაგება, აღარ იარსებებს სამედიცინო მომსახურება, თბილისი, შესაძლოა, გადაიქცეს მკვდარ ქალაქად და საერთოდ შეწყვიტოს არსებობა, თუ დაიწყო თბილისში ის ანარქია, რომლისკენაც სურთ უბიძგონ ამ ეგრეთ წოდებულ ოპოზიციონერებს და ვიმეორებ, იქნება ხელისუფლების რამდენიმე კერა. ერთ-ერთი და უძლიერესი იქნება მათ ხელში, ვის ხელშიც მეტი არის შეიარაღებული ფორმირებები. დანარჩენები იქნებიან გაბნეულნი თბილისის სხვადასხვა უბნებში. საქართველოს გადაედება შემდეგ ეს ტენდენცია და საქართველოშიც დაიწყება იგივე ლიბანიზაცია, რასაც ჩვენ დავინახავთ თბილისის ტერიტორიაზე. ამას შედეგად ის არ მოყვება, რაც ეგონათ, რაც გონია ზოგიერთს, რომ შემოვა რუსეთი, მოსკოვი და იქ დაამყარებს სამხედრო დიქტატურას. ვერ დაამყარებს, ფიზიკურად ვერ დაამყარებს საქართველოში ამას. საქართველო გახდება მსხვერპლი ტოტალური ანარქიისა და საერთოდ საქართველოს არსებობა დადგება კითხვის ნიშნის ქვეშ. აი, რა მოჰყვება ჩემს შესაძლო გადადგომას, რომელსაც ესოდენ მხურვალედ მოითხოვენ ზოგიერთი ოპოზიციური პარტიები და, მგონი, ზოგიერთში, პარლამენტური ოპოზიციის ზოგიერთ წარმომადგენელსაც ეს გულში ღრმად აქვს დამარხული. ეს არ არის მუქარა, ეხლა რაც მე ვთქვი, ეს არ არის გადაჭარბება და ეს არ არის ჩემი პიროვნების, ვთქვათ, თავზე მოხვევა თქვენთვის, ანდა სურვილი, რომ მაინცადამაინც მე დავრჩე ამ პოსტზე. ჩემო ბატონებო, ეს არის რეალობა და, მე გთხოვთ, გაახილოთ თვალი და გაუმართოთ თვალი აი ამ რეალობას".[580]

გამოსვლაში პრეზიდენტი შეეხო სახელმწიფო მოწყობის ფრანგულ მოდელს, რომელიც მან დააკავშირა პრეზიდენტ დე გოლთან. ასევე აღნიშნა, რომ გარდამავალ პერიოდში საქართველოსთვის უფრო მისაღები იქნებოდა ფრან-

გული და არა გერმანული, საპარალმენტო რესპუბლიკის მოდელი. რატომ? იმიტომ, რომ ჩვენს ხალხს ძლიერი ანარქიული ინსტინქტები ახასიათებს, არ არის კანონმორჩილი; საზოგადოება არ არის კონსოლიდირებული, მიდრეკილია დაპირისპირებისა და დაშლისკენ, რომ შინაგანი ერთობითა და კონსოლიდაციის უნარით ჩვენ ვერ შევედრებით ისეთ ხალხებს, როგორებიც არიან გერმანელები ან ისრაელელებიო. ამ საკითხზე კიდევ ასეთი რამ ითქვა: „დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლებმა მკითხეს მე: კი მაგრამ, როგორ მოხდა, რომ ოპოზიცია მივიდა აი, იმ შეიარაღებულ ფორმირებებთან, მათთან ერთად გიპირისპირდებათ. ინგლისის პარლამენტში ოპოზიცია თანამშრომლობს მმართველ პარტიასთან და ისინი ერთად იღვწიან ერის უკეთესო მომავლისთვისო. მე ვუთხარი: სამწუხაროდ, იმიტომ, რომ ჯერ ნამდვილი დემოკრატია ჩვენში არ არის. დიახ, არ არის ნამდვილი დემოკრატია. ნამდვილი დემოკრატია არის სწორედ აი, ეს ერთობა ხელისუფლებისა და ოპოზიციისა და ჰარმონიული მოქმედება. კი ბატონო, კრიტიკა, კი ბატონო, მწვავე შეფასებები, მაგრამ არა იარაღით ხელში ბრძოლა. აი, ეს დავძლიოთ და მაშინ ჩვენ ჩვენს პარლამენტს გადავარჩენთ ჩემო ბატონებო. გადავარჩენთ ჩვენს პარლამენტსაც, ჩვენს საქართველოსაც, რამეთუ სხვა გამოსავალი ჩვენ არ გაგვაჩნია“. შემდეგ დაამატა, ახლა დადგა დრო, პარლამენტში დაიწყოს საერთო ენის გამონახვა ჩვენსა და ოპოზიციას შორის, ურთიერთ აზრის პატივისცემაო. ამიტომ, მისი თქმით, საჭირო იყო მისცემოდა ყველაფერს შეფასება და აღდგენილიყო საქართველოში სამოქალაქო მშვიდობა და წესრიგი.[581] ეს კი ამ სესიის შემდეგ, არც ოქტომბერში, არც ნოემბერ-დეკემბერში ნამდვილად არ მომხდარა – ეს, არსებითად, არც მშვიდობა იყო, არც წესრიგი: იგი უფრო სიჩუმეს ჰგავდა მოახლოებული ქარიშხლის წინ.

5.5. სადოქტორო დისერტაცია, როგორც ყინულმჭრელი

1991 წელს გამოვიდა ზვიად გამსახურდიას შრომა „ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება“, რომელშიც კომპაქტურად გადმოცემულია თითქმის 20-წლიანი შრომის შედეგი: რუსთველის პოემის აღნაგის სემანტიკური საზრისი, მისი მსოფლმხედველობრივი საფუძვლები, მართლმადიდებლურ-ბიზანტიური პატრისტიკისა და ღვთისმეტყველების, შარტრისა და გელათის პლატონური აკადემიების, ქართული ფოლკლორის, არაბული და სპარსული სუფიზმის, ინდური პროტორომანის („რამაიანას“), და ბოლოს ძველევროპული რაინდული რომანების სამყაროთა გათვალისწინებით, საიდანაც ბევრი საინტერესო პარალელი იქნა მოხმობილი.

ამ რუსთველოლოგიურ კვლევაში ჩართული იყო ისეთი ავტორების შრომებიც, რომლებიც მანამდე არ გამოუყენებიათ ამ ინტენსივობით – მაგალითად, ვლადიმირ ლოსკის, იდრის შაჰის, მირჩა ელიადეს, ცეცილ მორის ბოურას, ჰარი აუსტრინ უოლფსონის, ოტო რანის, კლოდ ლევი-სტროსის, გეო ვიდენგრენისა

და სხვების. 1991 წლის ნოემბერში, როდესაც პოლიტიკური ბატალიები დროებით ჩაცხრა, გადაწყდა, ეს წიგნი, როგორც სადოქტორო შრომა, წარდგენილი ყოფილიყო დაცვაზე. მაგრამ „ჩვეულებრივი" პროცედურა დაცვისა ვერ განხორციელდებოდა. რატომ? იმიტომ, რომ მანამდე, ანუ საქართველოს სსრ-ში არსებული სამეცნიერო განაწესის მიხედით, სადოქტორო შრომა ჯერ გაივლიდა „აპრობაციას", მომზადდებოდა რეფერატი, შემდეგ შედგებოდა დაცვა და აღნიშნული რეფერატი, დაცვის ოქმსა და სათანადო დოკუმენტაციასთან ერთად, რუსულ ენაზე გადაეგზავნებოდა ვაკ-ს. ეს იყო იმპერიის ცენტრალიზებული სადისერტაციო ორგანო, რომელიც, რა თქმა უნდა, დაკავშირებული იყო საკავშირო ცეკას იდეოლოგიურ აპარატთან, ასევე, სუკ-თანაც. და, თუ აღნიშნული ვაკ-იდან იყო თანხმობა, ხდებოდა სამეცნიერო ხარისხის მინიჭება. მაგრამ 1991 წლის ბოლოს შექმნილი იყო არაორდინარული სიტუაცია: საბჭოთა კავშირი, როგორც ერთიანი სახელმწიფო, თავისი არსებობის ბოლო დღეებს ითვლიდა, საქართველოს რესპუბლიკამ კი 1991 წლის 9 აპრილს დამოუკიდებლობა გამოაცხადა. დისერტაციის რეფერატის გაგზავნა ვაკ-ში იმ პრეზიდენტის მხრიდან, რომელმაც დამოუკიდებლობის აქტის პრეზენტაცია თავად მოახდინა და ხელიც პირველმა მოაწერა, მეტად უხერხული და არამართებული იქნებოდა. ამიტომაც ზვიად გამსახურდიამ გადაწყვიტა, ამ მხრივაც შეექმნა პრეცედენტი, როდესაც დისერტანტს დამოუკიდებელი საქართველოს სამეცნიერო საბჭო მიანიჭებდა ხარისხს და არა – იმპერიული, ბიუროკრატიული ორგანო მოსკოვში.

ეს საბჭო შეიქმნა შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტში, მასში შევიდნენ საუკეთესო მეცნიერები. საბჭოს თავმჯდომარე იყო ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი სარგის ცაიშვილი, მისი წევრები იყვნენ ამავე ინსტიტუტის ყოფილი დირექტორი აკადემიკოსი ალექსანდრე ბარამიძე, ასევე, პროფესორი რევაზ სირაძე. რეცენზიები აღნიშნულ ნაშრომზე სწორედ მათ დაწერეს. ამავე დროს, თვრამეტკაციან საბჭოში შედიოდნენ პროფ. სოსო სიგუა, პროფ. ლეო მენაბდე და სხვები. გადაწყდა ერთგვარი ჰიბრიდული მოდელის შერჩევა: ეს იქნებოდა შუალედური ვარიანტი საპატიო დოქტორობასა („ჰონორის კაუზას") და ჩვეულებრივ სამეცნიერო ხარისხს შორის.

1991 წლის 25 ნოემბერს სხდომა დაიწყო ლიტერატურის ინსტიტუტში, თუმცა მალე პროფესორმა სარგის ცაიშვილმა დამსწრეთ განუცხადა, რომ უმჯობესი იქნებოდა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში გადანაცვლება. სხდომა იქ გაგრძელდა და მას თავმჯდომარეობდა სარგის ცაიშვილი. მთავარი სიტყვა თქვა ქართული ფილოლოგიის უდავოდ დიდმა ავტორიტეტმა, ფილოლოგიის ნესტორმა, 90 წელს მიტანებულმა აკადემიკოსმა ალექსანდრე ბარამიძემ. მან ვრცლად ისაუბრა ზვიად გამსახურდიას წიგნის უმთავრეს ღირსებებზე, კვლევის მეთოდებსა და საინტერესო მიგნებებზე. ეს ფუნდამენტური მოხსენება საათზე მეტხანს გაგრძელდა. ამის შემდეგ რამდენიმე პროფესორმა წარმოთქვა სიტყვა, მათ შორის, ლეო მენაბდემ და იოსებ

მეგრელიძემ. ბოლოს აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე, რომელიც ასევე ესწრებოდა სხდომას, შემოვიდა წინადადებით, კენჭისყრა დაწყებულიყო. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოს თერამეტ წევრში ზვიად გამსახურდიას პოლიტიკური მოწინააღმდეგეებიც იყვნენ, მას არცერთი „შავი“ ხმა არ მიუღია. ამრიგად, ზვიად გამსახურდიას მიენიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის წოდება. თანამედროვე დასავლეთის აკადემიური ტერმინოლოგიით თუ მივუდგებით, 1974 წელს მის მიერ დაცული საკანდიდატო დისერტაცია აკადემიური დოქტორის შესაბამისია, ხოლო 1991 წლის 25 ნოემბრის დაცვა შეესაბამება ჰაბილიტაციას. ფაქტობრივად, ეს იყო „ყინულმჭრელის“ აქტი, რამაც სათავე დაუდო ახალ პროცესს – ამიერიდან მაძიებელს სამეცნიერო ხარისხს საქართველოში შექმნილი სამეცნიერო საბჭო მიანიჭებდა.

ეს დაცვა მეცნიერებათა აკადემიაში ტრანსლირდებოდა ტელევიზიით. ამის შემდეგ ბანკეტი გაიმართა კრწანისის რეზიდენციაში. აქ კვლავ პროფესორმა სარგის ცაიშვილმა ითამადა. ბანკეტს დაესწრნენ აკადემიური სფეროს, მწერლობისა და ხელოვნების წარმომადგენლები, ასევე, პარლამენტარები და მინისტრები. ზვიად გამსახურდიამ წარმოთქვა სამადლობელი სიტყვა, რომელშიც აღნიშნა, რომ ამ დაცვას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ახლა, როდესაც საქართველო გზას იკვლევდა დამოუკიდებლობისკენ, რომ ეს პრეცედენტი საქართველოში ხარისხის მინიჭებისა ახალ პრაქტიკას დაუდებდა სათავეს. რაც შეეხება „ვეფხისტყაოსანს“, იგი მომავლის საქართველოში განსაკუთრებულად უნდა იქნეს დაფასებული და გაგებული, როგორც ჩვენი კულტურისა და ერის ფუძემდებელი წიგნიო.

5.6. მდგომარეობა 1991 წლის ზამთრის პირზე

მდგომარეობა, პირდაპირი გაგებით, უაღრესად ტრაგიკული იყო: ქვეყანაში ძალოვანი სექტორი სათანადოდ ვერ ფუნქციონირებდა. მიუხედავად სახელის გადარქმევის რეალური პროექტისა – იგი „საქართველოს რესპუბლიკამ“ 1991 წლის 5 დეკემბერს გამოაქვეყნა, როგორც კანონპროექტი საქართველოს ახალი პოლიციის შექმნის შესახებ – შინაარსობრივად ეს სტრუქტურა კვლავ საბჭოთა მილიციად რჩებოდა. მას აკლდა როგორც მოტივაცია, ისე ორგანიზება, აკლდა მკაფიო პროგრამა და მიზნები შექმნილ სიტუაციასთან გასამკლავებლად. იგი ჯერაც არ იყო რეფორმირებული. სახეზე იყო გარკვეული ფაქტორები, რომელთა ქმედების შედეგადაც ძალოვანი ბლოკი პარალიზებული რჩებოდა. შინაგანი ჯარი ჩანასახოვან მდგომარეობაში იყო, თავდაცვის სამინისტრო – შექმნის პროცესში. ექსტრემალური სიტუაციების მოგერიება, რომლებიც რამდენიმეჯერ შეიქმნა ქალაქში, ისევ შეკრებილ მოქალაქეებს უწევდათ, რაც არაკეთილმოსურნეთათვის პროცესებს სულ სხვა ჭრილში წარმოაჩენდა. მოქმედ და შენარჩუნებად სტრუქტურად რჩებოდა მხოლოდ გვარდიის მთავარი სამმართველო.

ოქტომბრის პირველ ნახევარში ჩატარებულ სესიაზე გამოსულმა შინაგან საქმეთა მინისტრმა ხაბულიანმა თენგიზ სიგუას განცხადებაზე ისაუბრა, რომლის მიხედვითაც, „გამსახურდია გაძლებდა მაქსიმუმ ორი კვირა". დაანონსებული იყო აქციების აგორება, რომლებიც აუცილებლად გადაიყოლებდა პრეზიდენტსა და ხელისუფლებას. დ. შველიძე წიგნში ახსენებს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარისა და მინისტრ ხაბულიანის საპასუხო არაფრისმთქმელ განცხადებებს.[582] მაგრამ აქ მხოლოდ განცხადებები, თუნდაც მკვეთრი, ვერაფერს შეცვლიდა, თუ არ მოხდებოდა ოპერატიული მასალების მოძიება, მათი ნაწილის მაინც გასაჯაროება (მაგალითად, საიდან მოდიოდა იარაღი თბილისის ზღვაზე დაბანაკებულ მეამბოხეებთან, ვინ რა მისიით დადიოდა მოსკოვში და ა. შ.) და აქტიური და ენერგიული პოლიციურ-სპეცსამსახურული ქმედებები მათ გასანეიტრალებლად. „ქაღალდის ვეფხვობით" აქ ვერავინ გახდებოდა რამეს.

ამავე პერიოდში პარლამენტარი გივი თაქთაქიშვილი შეხვდა უშიშროების პოლკოვნიკს, ანზორ მაისურაძეს, და ჰკითხა, რა მონაცემები ჰქონდა მას ოპოზიციის გეგმებსა და მოძრაობებზე. ამაზე უშიშროების მუშაკმა მიუგო, რომ „ამერიკის ხმას" მოუსმენდა, ანალიზს გააკეთებდა და მოახსენებდა. ამ კურიოზული პასუხიდან ჩანს, რამდენად „სერიოზულად" უდგებოდნენ ქართული უშიშროების სამსახურში მიმდინარე ამბებს.

საინტერესო მდგომარეობა იყო სასამართლოს სისტემაში – როდესაც დააპატიმრეს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ჯგუფი ამ ორგანიზაციის ერთ-ერთ ლიდერთან, მამუკა გიორგაძესთან ერთად, მოსამართლემ იგი გაათავისუფლა. ანალოგიური ამბავი მოხდა ვალერი კვარაცხელიასთან დაკავშირებითაც, რომელსაც პროკურატურის მხრიდან ბრალად ედებოდა საბოტაჟი და ტელევიზიის პარალიზება. მოსამართლემ აქაც იგივე გადაწყვეტილება მიიღო – კვარაცხელია გაათავისუფლეს დარბაზიდან სათანადო სამხილებისა და საქმეში დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო. როგორც ნ. გორჯესტანი აღნიშნავს, ზვიად გამსახურდიას გარემოცვაში იყვნენ ადამიანები (ოღონდ პერსონალურად არ ასახელებს), რომლებიც მოითხოვდნენ პრეზიდენტის ჩარევას სასამართლო სისტემაში, რაზეც ზვიად გამსახურდიამ უპასუხა, რომ სასამართლო დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი უნდა იყოს.[583]

ეს ამბავი მოხდა მას შემდეგ, რაც ეროვნულ-დემოკრატებმა კინოს სახლთან შიმშილობის დაწყება და აქციების აგორება სცადეს. იმ პერიოდში გიორგი ჭანტურია ციხიდან ასეთ წერილს აგზავნიდა ედპ-ის მთავარი კომიტეტის სახელზე: „ჩემს უფლებამოსილებას ჩემი პატიმრობის პერიოდში გადავცემ ირინა სარიშვილს. ის, ვინც დღეს სტაბილიზაციისკენ გადადგამს ნაბიჯს, საკუთარ თავს დააყენებს პარტიის გარეთ". ძნელი წარმოსადგენია უფრო დესტრუქციული და ნეობოლშევიკური პოზიცია პარტიის ლიდერისგან, რომელსაც პრეტენზია ჰქონდა, რომ ევროპულ პარტიას აყალიბებდა და დემოკრატიული გზით ფიქრობდა ხელისუფლებაში მოსვლას.

რამდენადაც ოპოზიციამ, სექტემბრის აქციებიდან მოყოლებული, მოახდინა სახელმწიფო ტელე-რადიოკომიტეტის შენობის ოკუპაცია, ოპოზიციამ იქ საკუთარი შტაბი გამართა. ხელისუფლებას ამისთვის ხელი არ შეუშლია, მით უმეტეს, რომ ტელემაუწყებლობა მაინც არ მიმდინარეობდა ტელე-რადიოს შენობიდან. ამის სანაცვლოდ მთავრობის სასახლის ეზოში მდგარი სპეციალური ავტობუსი იყო მიერთებული თბილისის მთავარ ტელეანძასთან. დ. შველიძეს თავის წიგნში მოჰყავს რესპუბლიკური პარტიის წევრის, ვახტანგ ძაბირაძის, მოსაზრება, რომ ოპოზიციას თავადვე გამოეცხადებინა მორატორიუმი გარკვეული ვადით პოლიტიკურ საქმიანობაზე, რათა ხელისუფლებისთვის მიეცათ საშუალება განეხორციელებინა თავისი გეგმები, რახან ხელისუფლება აცხადებდა, ოპოზიციის აქციები საშუალებას არ გვაძლევს, რათა რადიკალური გარდაქმნები დავიწყოთო. ამით მოსახლეობა თითქოს თავად დარწმუნდებოდა ხელისუფლების უუნარობაში. აქ დ. შველიძე სწორად ასკვნის – ძაბირაძის „დემოკრატი" თანამებრძოლები უფრო რეალისტურები აღმოჩნდნენო. ვაითუ, მართლა გამოიჩინოს ხელსუფლებამ ქვეყნისთვის სასარგებლო უნარი და შესაძლებლობა; მაშინ დემოკრატიული რევოლუციის შანსი ხომ სამუდამოდ დაეკარგებოდათო.[584] სამწუხაროდ, ოპოზიციის უმრავლესობას რუსული ბოლშევიზმის ისტორიიდან კარგად ცნობილი ლოგიკა ჰქონდა გათავისებული: „რაც უარესი, მით უკეთესი".

9 დეკემბერიდან ილიასა და აკაკის ძეგლთან აქცია დაიწყეს თბილისის სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტებმა. აქ იყვნენ შემდგომში პოლიტიკისა და სხვადასხვა სფეროს ცნობილი სახეები: გიგა ბოკერია, გოკა გაბაშვილი, გიორგი მაისურაძე, გივი თარგამაძე, ასევე, თსუ-ის პრესკლუბის წარმომადგენლები, დავით ტურაშვილი, თედო ისაკაძე, ფიქრია ჩიხრაძე და სხვები. მათი მოთხოვნები იყო ტელევიზიის დირექტორობიდან თემურ კვანტალიანის მოხსნა და მათთვის მისაღები პირის დანიშვნა, რომელიც ოპოზიციას ეთერს ხშირად დაუთმობდა, „პოლიტპატიმრების", – იოსელიანის, დანარჩენი მხედრიონელების, ჭანტურიასა და ხაინდრავას – განთავისუფლება, კიტოვანის შეიარაღებული ჯგუფისთვის გვარდიის სტატუსის დაბრუნება და თავად კიტოვანის აღდგენა გვარდიის სარდლის თანამდებობაზე, ასევე, უნივერსიტეტის მოქმედი რექტორის გადაყენება და მათთვის მისაღები კანდიდატურის არჩევნებით გაყვანა – ანუ სისტემა უნდა შეცვლილიყო, დანიშვნის წესის ნაცვლად უნდა დაწესებულიყო არჩევნები. ისინი პრეზიდენტთან შეხვედრასაც ითხოვდნენ, მიუხედავად იმისა, რომ მათ მოთხოვნებში პრეზიდენტის გადადგომაც ფიგურირებდა. ამავე დროს, მთავრობის სასახლესთან საპირისპირო აქცია დაიწყეს ხელისუფლების მომხრე სტუდენტებმა, კერძოდ, ქრისტიანულ-დემოკრატიული გაერთიანების წევრებმა, რომელთა შორისაც იყვნენ სანდრო ბრეგაძე, ცოტნე ბაკურია, გაიოზ მამალაძე, ანი ფანქველაშვილი, ეკა ხერხეულიძე, ხატია ღუდუშაური, ნიკო ნორაკიძე და სხვები. ეს გაერთიანება „მრგვალი მაგიდის" კოალიციაში შევიდა მას შემდეგ, რაც „მერაბ კოსტავას საზოგადოება" იქიდან გაირიცხა.

ზვიად გამსახურდია აღნიშნულ ოპოზიციურად განწყობილ სტუდენტებს შეხვდა და ესაუბრა. რამდენადაც მათი მოთხოვნების უმეტესობის შესრულებას დრო სჭირდებოდა, პრეზიდენტმა მხოლოდ ერთი შეასრულა დაუყოვნებლივ – მათთან შეხვედრა. მისი ეს ჟესტი მინიშნება იყო იმაზე, რომ იგი სამომავლოდაც მზად იყო სტუდენტებთან თანამშრომლობისთვის, თუკი ისინიც მოისურვებდნენ. ზოგიერთ მათგანს თავის გამოსვლაში, სამწუხაროდ, აგრესიული და შეურაცხმყოფელი ტონი ჰქონდა, თუმცა ზვიადმა ეს არ შეიმჩნია. დ. შველიძე თვლის, რომ ერთ-ერთი მოთხოვნა დაუყოვნებლივ შესრულებადი იყო – ოპერატორ გოგა ხაინდრავას გათავისუფლება, მით უმეტეს, რომ მისი გათავისუფლების პეტიციაზე ისეთმა ცნობილმა ხელოვანებმა მოაწერეს ხელი, როგორებიც იყვნენ ფედერიკო ფელინი და ბერნარდო ბერტოლუჩი.[585] ვფიქრობთ, ზვიადი, რომელიც ელოდა ძალიან მძიმე ამბებს, მათ შორის, შეიარაღებულ თავდასხმას მთავრობის სასახლესა და ხელისუფლებაზე, სხვა მიზანშეწონილობიდან გამომდინარე ხედავდა საკითხს. მათ, როგორც ხაინდრავას, ისე ჭანტურიას და სხვებსაც, მოუწევდათ ჩაბმა შეიარაღებულ დაპირისპირებაში და ეს მათივე სიცოცხლისთვის იქნებოდა სახიფათო. ხოლო გარკვეული კონსენსუსი პოლიტიკურ და სასამართლო ხელისუფლებას შორის, რომელიც აშკარად ჩამოყალიბების პროცესში იყო, საბოლოოდ გამოიკვეთებოდა საქართველოს საერთაშორისო აღიარების ძირითადი ფაზის დასრულების შემდეგ, ანუ, სადღაც, მომდევნო წლის გაზაფხულის მეორე ნახევარში.

ჯაბა იოსელიანი, რომელიც იმ დროს პატიმრობაში იყო, გაკვრით ახსენებს ამ შეხვედრას: „უნივერსიტეტის სტუდენტობა გიორგი მაისურაძისა და სხვათა მეთაურობით ულტიმატიურად ითხოვენ ჩემს და პოლიტპატიმრების განთავისუფლებას. „ვერაფერს ააგორებთ", – პასუხობს გამსახურდია".[586] ამ შეხვედრაზე პრეზიდენტმა სტუდენტებს საკმაოდ მკაფიოდ უთხრა, რომ, მიუხედავად მათი სრულიად გულწრფელი შეხედულებებისა (და არ ჰქონდა მნიშვნელობა, რამდენად ემთხვეოდა ისინი ან არ ემთხვეოდა ხელისუფლების თვალსაზრისებს), ისინი გამოყენებულნი იყვნენ მავანი ავანტიურისტების მიერ ძალიან სახიფათო პოლიტიკურ თამაშში, რომელსაც წარმართავდნენ ქართული სახელმწიფოს, ასევე, ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ; რომ მისი, როგორც უმაღლესი ხელისუფალის, გადადგომა რეალურ საფრთხეებს შექმნიდა ქვეყნის, მისი ინტერესების წინააღმდეგ. სამწუხაროდ, ეს სიტყვები შეუსმენელი დარჩა. სტუდენტებმა გააგრძელეს აქცია, ფაქტობრივად, საომარი მოქმედებების დაწყებამდე, რუსთაველის პროსპექტზე.

5.7. საბჭოთა გეოპოლიტიკური კოლოსის დასასრული

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, თანამდებობაზე ფაქტობრივად დაბრუნებულმა მიხეილ გორბაჩოვმა, რომელსაც პუტჩის მცდელობისას იურიდიულად

პრეზიდენტობა არც დაუთმია, 1991 წლის 2-5 სექტემბერს მოიწვია საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატთა საბჭო. მან იქ დააანონსა თავისი გადაწყვეტილება, რომ ბალტიისპირეთის სამი რესპუბლიკისთვის – ლიტვისთვის, ლატვიისა და ესტონეთისთვის – მიეცათ საბჭოთა კავშირის დატოვების უფლება. ყრილობაზე ჩასულმა საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ აკაკი ასათიანმა ჰკითხა მიხეილ გორბაჩოვს, რატომ არ ჰქონდა იგივე უფლება საქართველოსაც. ამაზე საბჭოთა კავშირის პირველმა და უკანასკნელმა პრეზიდენტმა მიუგო: იმიტომ, რომ იქ ადამიანის უფლებები ირღვევაო.[587]

ბუნებრივია, აქ ჩნდება კითხვა, რამდენად უკავშირდება გორბაჩოვის ეს განცხადება 2 სექტემბრის პროვოკაციასა და ინსცენირებულ ძალადობას. ამასობაში დეზინტეგრაციული პროცესები უზარმაზარ იმპერიაში ელვის სისწრაფით ვითარდებოდა. 1991 წლის 3 სექტემბერს ჰეიდარ ალიევი, საბჭოთა პოლიტბიუროს წევრი, ნახჭევანის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს. ასე დაიწყო მისი მეორე კარიერა მას შემდეგ, რაც იგი გორბაჩოვმა აითვალწუნა. თანაც იმპერია, რომლის პოლიტბიუროს წევრიც ალიევი გახლდათ, თავისი არსებობის ბოლო წუთებს ითვლიდა. პოლიტბიუროში ისიც ახსოვდათ, რომ ალიევმა 1990 წლის 21 იანვარს საბჭოთა ჯარების მიერ ბაქოში, სამხედრო ოპერაციის დროს, დემონსტრანტების მიმართ გამოვლენილი სისასტიკე საკმაოდ მკაცრად ამხილა. ისე ჩანდა, რომ ჰ. ალიევი უზარმაზარი ხომალდის კატასტროფისას პატარა ნავზე გადაჯდა და ეს პატარა ნავი მისი სამშობლო იყო – საბჭოთა კავშირის ზეობისას ძირითადი მოვლენების ეპიცენტრისგან სრულიად განყენებულად მდგომი პატარა ავტონომიური ერთეული.[588]

1991 წლის 23 ნოემბერს აზერბაიჯანის რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ გააუქმა მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქი, მოტივით: „ეწინააღმდეგება აზერბაიჯანელი ხალხის ნაციონალურ ინტერესებს და ხელს უწყობს კონფლიქტს აზერბაიჯანელ და სომეხ ხალხებს შორის“.[589] საქართველოს მეზობლად, ჩეჩნეთის რესპუბლიკაში ასევე გამოჩნდა ახალი პოლიტიკური ფიგურა – ეს იყო საბჭოთა გენერალ-მაიორი, ავღანეთის ომის ვეტერანი და სტრატეგიული ბომბდამშენის მფრინავი ჯოხარ დუდაევი, რომელიც სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ჩეჩნეთის ეროვნულმა ყრილობამ თავის თავმჯდომარედ აირჩია. მანამდე იგი ესტონეთში მსახურობდა, როგორც სამხედრო ნაწილის უფროსი, რომელმაც ესტონური ეროვნული დროშა აღმართა თავის ნაწილში. 1991 წლის 6 სექტემბერს დემონსტრანტებმა დაიკავეს ჩეჩნეთ-ინგუშეთის მოსკოვისადმი ლოიალურად განწყობილი ადგილობრივი კომუნისტებით დომინირებული პარლამენტი და ძალაუფლება ამ გზით აიღეს ხელში რესპუბლიკაში, რომელიც მალე გაიყო ჩეჩნეთისა და ინგუშეთის რესპუბლიკებად.

საქართველოს ეროვნული მოძრაობის აქტივისტი, ისტორიკოსი მათე ციხესაშვილი, ეროვნებით პანკისელი ქისტი, ჩართული იყო ჩეჩნეთში მიმდინარე მოვლენებში. იგი ერთგვარი შუამავლის როლს ასრულებდა ჯოხარ დუდაევსა და ზვიად გამსახურდიას შორის. მან გროზნოში ჩაიტანა ვიდეოკასეტა, რომ-

ლის საშუალებითაც ზვიად გამსახურდია მიესალმა ჩეჩნეთის ბრძოლას დამოუკიდებლობისთვის და მხარი დაუჭირა „ჩეჩენი ხალხის საამაყო შვილს, ჯოხარ დუდაევს“. 27 ოქტომბერს დუდაევი აირჩიეს ჩეჩნეთის რესპუბლიკა „იჩქერიის“ პრეზიდენტად, ხოლო პირველ ნოემბერს გამოცხადდა ჩეჩნეთის დამოუკიდებლობა. ამას მოჰყვა საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება, ოღონდ იგი გამოაცხადა არა ჯერ კიდევ არსებულმა სსრკ-მ, არამედ რუსეთის ფედერაციამ, ბორის ელცინის „უკაზის“ საფუძველზე. გროზნოში საბჭოთა მედესანტეებით სავსე რამდენიმე თვითმფრინავი დაჯდა, რომლებიც ჩეჩენმა მებრძოლებმა მალევე განაიარაღეს და უკანვე გააბრუნეს.

17 სექტემბერს სუვერენიტეტი გამოაცხადა დაღესტნის მრავალეთნიკურმა რესპუბლიკამ. ამასთან დაკავშირებით რიჩარდ პაიფსი წერდა: „უპირველეს ყოვლისა, უნდა გავიგოთ, რომ სსრკ-ის კოლაფსი არის საუკუნის უდიდესი კოლაფსი. რუსული (საბჭოთა) ერი-სახელმწიფოსთვის გახდა ნამდვილ დრამა. ათობით მილიონი მათი თანამოქალაქე და თანამემამულე რუსეთის ფედერაციის ტერიტორიის გარეთ აღმოჩნდა. უფრო მეტიც, დაშლის ეპიდემია გადაედო თავად რუსეთის ფედერაციას“.[590] აქედან ჩანს, რომ თვით პაიფსსაც კი, რომელსაც ამდენად სიღრმისეულად აქვს ნაკვლევი საბჭოთა კავშირის ისტორია, მაინც სჯეროდა რუსულ-საბჭოთა ერი-სახელმწიფოს რეალურად არსებობა. ერი-სახელმწიფო, როგორც ასეთი, სრულიად ჰომოგენური თუ არა, გარკვეულ დროში ჰომოგენიზებული, ერთმანეთთან საბოლოოდ შეთანხმებული და შერწყმული ნაწილებისგან შედგება. იგი დემოკრატიზაციის პროცესში არ იშლება, რადგან ციხე, ხიშტი, მათრახი და სახელმწიფო პროპაგანდა, მსგავსი ცალმხრივი მოძრაობის ქუჩისა (რომელთან შედავებაც აკრძალულია), არ წარმოადგენენ მისი არსებობის წინაპირობებს.

ამასობაში ნოვო-ოგარიოვოში საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საბჭოს სხდომები გაგრძელდა. მანდვე გამოიკვეთნენ ის აქტორები, რომლებმაც იმპერიის დაშლა გააფორმეს. 14 და 25 ნოემბრის სხდომებში გორბაჩოვის გარდა მონაწილეობდნენ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ბორის ელცინი, ბელორუსის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე სტანისლავ შუშკევიჩი, უკრაინის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ლეონიდ კრავჩუკი, ასევე, შუა აზიის ხუთი რესპუბლიკის ლიდერები. კრავჩუკი ბოლო შეხვედრას აღარ დაესწრო, რამდენადაც უპერსპექტივო პროცესად ჩათვალა. მიდიოდა მსჯელობა „სუვერენულ სახელმწიფოთა კავშირის“ შექმნაზე. უკრაინა დამკვირვებლის სტატუსით მონაწილეობდა შეხვედრებში, მისი საგარეო საქმეთა მინისტრი კი აქტიურად ცდილობდა საერთაშორისო აღიარების მოპოვებას. ბოლოს შეხვედრაზე ელცინმა განაცხადა, რომ იგი მხარს აღარ უჭერდა „კავშირის“ შექმნას, არამედ რუსეთი მხარს დაუჭერდა დამოუკიდებელი სახელმწიფოების კონფედერაციის შექმნას.[591]

პირველი დეკემბრისთვის უკრაინაში დაინიშნა საპრეზიდენტო არჩევნები, რომელშიც ორი ძირითადი კანდიდატი იყო — უმაღლესი საბჭოს მოქმედი თავ-

მჯდომარე ლეონიდ კრავჩუკი და ყოფილი დისიდენტი ვიაჩესლავ ჩორნოვილი. ამ არჩევნებზე მიბმული იყო რეფერენდუმი, რომელზეც რესპუბლიკის დამოუკიდებლობის საკითხი გადიოდა. ზვიად გამსახურდიამ ასე მიმართა უკრაინაში მცხოვრებ ქართველებს: „უკრაინა, რომელმაც შეგიფარათ თავის ბარაქიან მიწაზე, მტკიცედ დაადგა ეროვნული დამოუკიდებლობის გზას და თანმიმდევრულად იბრძვის თავისუფლებისთვის. სუვერენული საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობა და ხალხი მხარს უჭერენ მოძმე უკრაინელი ხალხის მოსწრაფებას, მიაღწიონ საუკუნეობრივ ოცნებას – თავისი ქვეყნის თავისუფლებას. და არ არსებობს არავითარი დაბრკოლება, რომელიც ხელს შეუშლის სახელმწიფოებრიობისა და დემოკრატიის განმასახიერებელი ამ ოცნების ახდომას, ადამიანთა უდრეკ ნებასა და ნათელ მისწრაფებებს რომ აერთიანებს. პირველ დეკემბერს თქვენ მიხვალთ ხმის მისაცემად საარჩევნო ყუთებთან. გახსოვდეთ, თუ რა პირადი პასუხისმგებლობა გეკისრებათ ამ დღეს, რომელმაც უნდა განსაზღვროს თავისუფალი უკრაინის ბედი და მომავალი. მოგიწოდებთ მოახდინოთ სწორი, ქართველი ხალხის ჭეშმარიტი შვილების ღირსი არჩევანი, ხალხისა, რომელიც ქვეყნად ყველაზე მეტად აფასებს თავისუფლებას, უსაზღვროდ ერთგულებს მის იდეალებს, მზად არის გაიღოს ყოველგვარი მსხვერპლი მისი გულისათვის“ (28 ნოემბერი, 1991 წ.).[592] უკრაინის არჩევნებში, რომელიც პირველ დეკემბერს ჩატარდა, მონაწილეობა მიიღო მოსახლეობის 84 პროცენტმა. პრეზიდენტად აირჩიეს ლეონიდ კრავჩუკი, რომელმაც ხმების 61 პროცენტი მიიღო, ხოლო ვიაჩესლავ ჩორნოვილმა – ხმების 23 პროცენტი, რაც ასევე მნიშვნელოვანი შედეგი იყო.

მომდევნო დღეს რუსეთის ფედერაციამ, კანადისა და პოლონეთის შემდეგ, აღიარა უკრაინის დამოუკიდებლობა. ამ პროცესებმა სსრკ-ის დაშლის პროცესი საგრძნობლად დააჩქარა.[593]

1991 წლის 7 დეკემბერს, საღამოს, ბელორუსის რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ბელოვეჟის ტყის მონადირის სახლში ერთმანეთს შეხვდნენ რუსეთის, უკრაინისა და ბელორუსის ლიდერები – ბორის ელცინი, ლეონიდ კრავჩუკი და სტანისლავ შუშკევიჩი. ელცინი აქ გორბაჩოვთან ხელისუფლებისთვის წარმართული ბრძოლის ინერციით მოქმედებდა, ამავე დროს, მას კარგად ესმოდა, რომ უკრაინის გვერდის ავლით არაფერი გამოუვიდოდა. ვახშმის შემდეგ ელცინმა კრავჩუკს გააცნო გორბაჩოვთან მოლაპარაკებული ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების ტექსტი (რაც სსრკ-ის რეფორმირებასა და შენარჩუნებას გულისხმობდა, კ. გ.), როგორც ვარიანტი ხელმოწერისთვის. უკრაინის პრეზიდენტმა ხელის მოწერაზე უარი განაცხადა. მისი თქმით, უკრაინელმა ხალხმა რეფერენდუმში უკვე გამოხატა ნება დამოუკიდებლობისა და ეს პროცესი ამიტომაც შეუქცევადი იყო. ელცინმა საუბარში აპელირება გააკეთა რუსი და უკრაინელი ხალხების ისტორიულ მეგობრობაზე, მაგრამ კრავჩუკმა პოზიცია არ შეიცვალა. მომდევნო დღეს, დილით, სამივე პრეზიდენტი ისევ შეხვდა ერთმანეთს. რუსულმა და ბელორუსულმა დელეგაციებმა მოამზადეს ხელშეკრულების მო-

ნახაზი, თუმცა კრავჩუკი მაინც მოითხოვდა, რომ მხარეები საერთო ტექსტზე შეჯერებულიყვნენ. 14 საათზე, ნაშუადღევს, სამივე პრეზიდენტმა ხელი მოაწერა შეთანხმებას, რომელიც ასე იწყებოდა:

„ჩვენ, ბელორუსის რესპუბლიკა, რუსეთის ფედერაცია (რსფსრ) და უკრაინა, საბჭოთა კავშირის დამფუძნებელი ქვეყნები, რომლებმაც 1922 წელს ხელი მოაწერეს სამოკავშირეო ხელშეკრულებას, ვადასტურებთ, რომ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირმა ამით შეწყვიტა თავისი არსებობა, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტმა და დასრულდა, როგორც გეოპოლიტიკური რეალობა“.[594] ზვიად გამსახურდიამ ამ პროცესებზე ზუსტად ორ დღეში მოახდინა რეაგირება და წერილით მიმართა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს, ბორის ელცინს: „ბელორუსიის რესპუბლიკის, რუსეთის სფს რესპუბლიკისა და უკრაინის 1991 წლის 8 დეკემბრის შეთანხმების შესაბამისად, სსრ კავშირმა, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტმა, შეწყვიტა არსებობა. ამის საფუძველზე, ერთადერთ სამართლებრივ დოკუმენტად, რომელიც განსაზღვრავს რუსეთის სფს რესპუბლიკისა და საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოთაშორის ურთიერთობას, უნდა მივიჩნიოთ 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება, ვინაიდან საქართველოს რესპუბლიკა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის უფლებამონაცვლეა, რადგან საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ 1991 წლის 9 აპრილს გამოაცხადა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე. 1991 წლის 31 მარტს გამართული რესპუბლიკური რეფერენდუმის შედეგების თანახმად, ეს ხელშეკრულება არ არის დენონსირებული არც რუსეთის სფს რესპუბლიკის, არც საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების უზენაესი ორგანოების მიერ. მოგიწოდებთ, ჩვენი ქვეყნების საერთაშორისო ურთიერთობა შეუსაბამოთ ზემოთ ნახსენებ ხელშეკრულებას რუსეთის სფს რესპუბლიკის და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოების თავმჯდომარეთა 1991 წლის 23 მარტის ყაზბეგის შეხვედრის ოქმის სულისკვეთებით, რათა შესაძლებელი გახდეს ბოლო ათწლეულების პერიოდში წამოჭრილი საკითხების მოგვარება. ღრმა პატივისცემით, ზვიად გამსახურდია. 1991 წლის 10 დეკემბერი“.[595]

საბჭოთა კავშირის, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტის გაუქმების შემდეგ დაიწყო მუშაობა ახალ ფორმატზე, რომელიც თავიდან ჩაფიქრებული იყო, როგორც „დემოკრატიული სახელმწიფოების კავშირი“, თუმცა კრავჩუკმა აქაც არ დათმო – მისი თვალსაზრისით, „კავშირი“ აღარ უნდა ყოფილიყო დასახელებაში. მართებული იქნებოდა „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის“ (დსთ) შექმნა. ამის შემდეგ ბორის ელცინი ტელეფონით დაუკავშირდა აშშ-ის პრეზიდენტს, ჯორჯ ბუშს, შემდეგ – სტანისლავ შუშკევიჩს და მიხეილ გორბაჩოვს. ამ უკანასკნელის რეაგირება საკმაოდ მძაფრი იყო. მან მომხდარს სახელმწიფო გადატრიალება უწოდა, ელცინი კი „მოღალატედ“ მოიხსენია.[596]

„დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის“ დამფუძნებელი შეხვედრის გამართვა ალმა-ატაში გადაწყდა. 1991 წლის 21 დეკემბერს, ყაზახეთის დედაქალაქ ალმა-ატაში, გაიმართა დსთ-ის დამფუძნებელი სამიტი. შეხვედრას ესწრებოდა 11 ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის დელეგაცია, თუმცა არ ესწრებოდნენ ბალტიისპირეთის ქვეყნების წარმომადგენლები. საქართველოს დელეგაცია ასევე ჩავიდა იქ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, ნემო ბურჭულაძისა და ვიცე-პრემიერ გურამ აბსანძის შემადგენლობით. მათ განაცხადეს, რომ ისინი დამკვირვებლის სტატუსით იმყოფებოდნენ შეხვედრაზე. მათ ასევე ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ამ ახალი გაერთიანების დებულება შესასწავლად არავის გამოუგზავნია საქართველოს უზენაესი საბჭოსთვის, რათა მანამდე საფუძვლიანად გასცნობოდნენ მის პრინციპებს. საქართველოს წარგზავნილებმა ალმა-ატაში შეკრებილთ გააცნეს საქართველოს პრეზიდენტისა და მთავრობის პოზიცია – საქართველო ითხოვდა გარკვეულ დროს ამ ახალი ხელშეკრულებისა და გაერთიანების პრინციპებისა და რეალური შინაარსის შესასწავლად, რის შემდეგაც მიიღებდნენ გადაწყვეტილებას.

პრეზიდენტი ელცინი უკმაყოფილო და გაღიზიანებული დარჩა. მან ვიცე-პრემიერ გურამ აბსანძესთან საუბარში აღნიშნა, რომ საქართველოს პრეზიდენტმა თავის ქვეყანაში დიქტატურა დაამყარა. შემდეგ მოაყოლა, ხვალ, დილის 8 საათამდე დარეკოს ჩემთან ზვიადმა, ველოდები და გვითხრას თავისი საბოლოო პოზიცია, უერთდება თუ არა ხელშეკრულებასო. იმავეს ადასტურებს იქ ჩასული ნემო ბურჭულაძეც.[597] ეს წინადადება უცნაურად და ავისმომასწავებლად ჟღერდა: საქმე ისაა, რომ ალმა-ატაში მიმდინარე დსთ-ის დაფუძნების სამიტის დროს კიტოვანის „გვარდიად“ წოდებულმა შეიარაღებულმა ფორმირებამ, თბილისის ზღვიდან, თან ნამოიღო რა მათ განკარგულებაში არსებული მძიმე შეიარაღება, უკვე დაიკავა პოზიციები რუსთაველის პროსპექტზე.

მავანი იკითხავს, რა მოხდებოდა, თუკი ზვიად გამსახურდია თუნდაც ტაქტიკური მოსაზრებით მიიღებდა ელცინის შემოთავაზებას და საქართველო დსთ-ს შეუერთდებოდა? ამით ხომ რუსეთის ჯარის ფაქტორსაც შედარებით გაანეიტრალებდა და არც პუტჩისტები მიიღებდნენ ამხელა დახმარებას მათგან. მაგრამ ამით მხოლოდ რამდენიმე თვით გადაიდებოდა საკითხი, შემდეგ კი ისევ გამწვავდებოდა. რადიკალური ოპოზიცია მაშინვე აყვირდებოდა პრეზიდენტზე, რომელმაც „საქართველო განახლებულ სსრკ-ში შეიყვანა“, რითაც მისი დამოუკიდებლობა გაანულა. თუმცა, არც ეს ბრალდება იქნებოდა იმხელა პრობლემა, მაგრამ საქმე ის იყო, რომ ზვიად გამსახურდია პრეზიდენტ ელცინს აღარ ენდობოდა. ეს ხომ იგივე ელცინი იყო, რომელმაც ყაზბეგის ხელშეკრულება სულ რაღაც ორ თვეში ფარატინა ქაღალდად აქცია. ელცინი, რომელიც ადრე, ოპოზიციაში ყოფნის დროს, ასე თუ ისე ეწინააღმდეგებოდა რუსული არმიის გენშტაბისა და სპეცსამსახურების ნებას, ამჯერად კი მათი ნების გამტარად ქცეულიყო. რაც შეეხება შესაძლებლობას, რუსი სამხედროები ხელისუფლების მხარეზე ჩართულიყვნენ პროცესებში „წესრიგის დამყარების“ მიზნით, ზვიადი

დაშვებითაც კი ვერ დაუშვებდა იმას, რომ რუსული არმიის გამოყენებით ჩაეხშო ქართული შეიარაღებული თუ შეუიარაღებელი ოპოზიცია, რომელშიც არაერთი მისი ყოფილი თანამებრძოლიც იყო. ვერც ელცინის, შესაბამისად, ვერც რუსეთის გენშტაბისა და სპეცსამსახურების გარანტიებზე ააგებდა საკუთარ პოლიტიკურ მომავალს. ამიტომაც, სწორედ ასე აირჩია ისტორიაში პოზიციონირება და არა სხვაგვარად.

5.8. პუტჩი

ზვიად გამსახურდიას „ჩანაწერების" მიხედვით, 21-22 დეკემბრის ღამეს შეიარაღებულმა ოპოზიციამ დაიკავა მთავრობის სასახლესთან ახლომდებარე სასტუმრო „თბილისი", ქაშვეთის ეკლესია, კავშირგაბმულობის სახლი და ყველა შენობის სახურავი, რომლებშიც განათავსეს სნაიპერები და შორიახლოს დადგეს სარაკეტო სისტემა „ალაზანი" საარმიო ჰაუბიცასთან ერთად,.[598] თუმცა, ვიდრე ეს მოხდებოდა, ხელისუფლებამ ავტობუსებით გადაახერგინა რუსთაველის პროსპექტი ჩიტაძის ქუჩასთან. 20 დეკემბერს ოპოზიციამ გამართა არც ისე მრავალრიცხოვანი მიტინგი რესპუბლიკის მოედანზე, საიდანაც მომიტინგეები მთავრობის სასახლისკენ დაიძრნენ. მათ ავტობუსებს მიაყენეს დიდი ზომისა და გამწეობის თვითმცლელი, რომლის საშუალებითაც ერთი-მეორის მიყოლებით გამოათრიეს ავტობუსები და გზა გაითავისუფლეს მთავრობის სასახლისკენ. ორივე მხარის მომიტინგეები ერთმანეთის პირისპირ იდგნენ, თუმცა, მიუხედავად ექსცესებისა, დასაწყისში საქმე მასობრივ დაპირისპირებამდე არ მისულა. მიტინგის პარალელურად მიდიოდა მოლაპარაკებები. დეპუტატიები უზენაესი საბჭოდან შეხვდნენ შეიარაღებული ოპოზიციის ლიდერებს. ისინი ძველებურად მოითხოვდნენ პრეზიდენტის გადადგომას, ასევე, უზენაესი საბჭოს დაშლას. თავად ზვიადი პუტჩისტებს პირადად არასოდეს დალაპარაკებია, მათ შორის, არც ტელეფონით. ამიტომაც თენგიზ სიგუას მიერ რიხიანი მუქარები ვითომდაც სატელეფონო საუბრისას შეშინებულ პრეზიდენტთან, რომელიც კამერებზეა გადაღებული, ჩვეულებრივი სიყალბეა. ამ პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართულნი დეპუტატები თემურ ქორიძე და ვალტერ შურღაია. უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ აკაკი ასათიანმა კი 29 ნოემბერს დატოვა თავისი ოფისი პარლამენტში და გადავიდა ქობულეთთან არსებულ ბობოყვათის სამთავრობო რეზიდენციაში, ოფიციალურად, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო. იგი პროცესებს გამოეთიშა.

სიგუას პირველი თემურ ქორიძე შეხვდა და გადასცა პრეზიდენტის შეთავაზება ერთობლივი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ, რომელიც დაკავდებოდა საარჩევნო კანონმდებლობის შექმნით, მომავალი საარჩევნო კომისიის შედგენის საკითხებით, ასევე, დროებითი კოალიციური მთავრობის შექმნაზე მოლაპარაკებების პროცესს წარმართავდა სხვა დეპუტატებისა თუ მთავრობის წევრთა

ჩართულობით. ამ საკითხზე სალაპარაკოდ სიგუას შესთავაზეს პრეზიდენტთან შეხვედრა, თუნდაც, ნეიტრალურ ადგილას, რა დროსაც თემურ ქორიძე ადგილზე დარჩებოდა სასტუმრო „თბილისში“, ვიდრე მოლაპარაკებები არ დასრულდებოდა და სიგუა უკან არ დაბრუნდებოდა. სიგუა აშკარად დაიბნა, განაცხადა, რომ საბოლოო პოზიციის ჩამოყალიბებისთვის დრო სჭირდებოდა. თემურ ქორიძის შთაბეჭდილებით, აშკარად ჩანდა, რომ იგი არ იყო დამოუკიდებელი ქმედებებსა და გადაწყვეტილებებში და თითოეულ ნაბიჯს ვიღაცასთან ათანხმებდა. უზენაესი საბჭოს დეპუტატი, ბიმურზა აფრასიძე-დადეშქელიანი, ადასტურებს, რომ 1991 წლის 21 დეკემბრის ღამეს პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ საპარლამენტო დელეგაცია, ბიმურზა აფრასიძე-დადეშქელიანის, ალექსანდრე ქობულაშვილისა და აკაკი გასვიანის შემადგენლობით, გაგზავნა მანქანების ბარიერის მეორე მხარეს სიგუასთან მოლაპარაკებაზე, მოახლოებული სისხლის ღვრის შესაჩერებლად. ისინი ოპოზიციის ყველა მთავარ მოთხოვნაზე უნდა დათანხმებულიყვნენ (ახალი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნა, კოალიციური მთავრობის შექმნა და ა. შ.), მაგრამ სიგუამ ისინი რამდენიმე საათს ალოდინა, ბოლოს კი დაღლილობა მოიმიზეზა და არ შეხვდა.

22 დეკემბერს, გამთენიისას, დაიწყო დაბომბვა პარლამენტის შენობისა, რომელშიც იმყოფებოდნენ პრეზიდენტი და პარლამენტის წევრები. ზვიად გამსახურდიას „ჩანაწერების“ მიხედვით, თავიდან სროლა მიდიოდა ჩვეულებრივი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან, შემდეგ კი გაგრძელდა საარტილერიო ქვემეხებით, რაკეტებით, ნაღმსატყორცნებით. პარლამენტის დამცველები მათ პასუხობდნენ ავტომატებისა და ტყვიამფრქვევების ცეცხლით. სნაიპერები, რომლებიც ირგვლივ განლაგებული ყველა შენობის სახურავზე იყვნენ, ესროდნენ ყველა ადამიანს, ყველა მანქანას, რომელიც მთავრობის სასახლეს მიუახლოვდებოდა. ისინი თვით სასწრაფო დახმარებისა და სახანძრო მანქანებსაც კი ესროდნენ, რომლებსაც ამის გამო აღარ შეეძლოთ არც დაჭრილებისთვის დახმარების აღმოჩენა, არც ცეცხლის ჩაქრობა. მთავრობის სასახლის ირგვლივ დაიწვა ათობით სახლი, უსახლკაროდ დარჩა ასობით მცხოვრები. პრეზიდენტმა და პარლამენტის წევრებმა დაბომბვის დაწყებისთანავე თავი შეაფარეს უზენაესი საბჭოს ბუფეტს, რომელიც, პარლამენტის შენობის თავისებური დაგეგმარების გამო, დახრილ რელიეფზე, მიწისქვეშა სართულზე, მდებარეობდა. ამ სივრცეს ოპოზიციამ „ბუნკერი“ შეარქვა, რათა მომხდარიყო იქ მყოფთა ასოცირება ადოლფ ჰიტლერთან და მის მომხრეებთან.

შეიარაღებულმა ოპოზიციამ იმთავითვე გაავრცელა თავისი თვალსაზრისი, რომ პირველი გასროლა, თითქოს, მთავრობის სასახლიდან განხორციელდა. თითქოს ისინი თბილისის ზღვიდან სწორედ იმ მიზნით არ ჩამოსულიყვნენ რუსთაველზე, რომ თავდასხმა განეხორციელებინათ პარლამენტის შენობაზე. მთავრობის სასახლის დაცვას კიდევ ორი ფიგურა გამოეთიშა – შინაგან საქმეთა მინისტრი დილარ ხაბულიანი და შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე რომან გვენცაძე. პირველ მათგანს პუტჩისტებმა გაურკვეველი სითხე შეას-

ხურეს თვალებში, რის გამოც მან ვეღარ შეძლო გადაადგილება, ხოლო რომან გვენცაძე ფეხში დაჭრეს. ძნელია რაიმეს დაბეჯითებით მტკიცება, თუმცა შეიძლება დაისვას კითხვა, დაპირისპირების დაწყების შემდეგ რატომ მოძრაობდნენ ასე უპასუხისმგებლოდ ხსენებული პირები, რომელთაც ძალოვან ბლოკში გადამწყვეტი სიტყვა ეთქმოდათ, ისეთ სახიფათო ადგილებში, სადაც, შესაძლოა, მიზანმიმართულად ან ბრმად ნასროლი ტყვია მოხვედროდათ? მათ ფიზიკურ ყოფნას მეორე მხარის მომიტინგეებსა ან შეიარაღებულ პირებთან რა არსებითი კორექტივის შეტანა შეეძლო მოვლენებში? თუ მეორე მხარეს შინაგან საქმეთა მინისტრთან მოლაპარაკება სურდა, ეს შესაძლებელი იქნებოდა დახურულ და დაცულ შენობაშიც. რატომ არ შეიძლებოდა მინისტრისა და მისი მოადგილის მაგივრად იქ ემოძრავათ პოლიციელებს (მილიციელებს) სპეციალური აღჭურვილობითა და ჯავშანჟილეტებით? იმავე რომან გვენცაძის ჩვენებაში, რომელიც დაიკითხა მოწმედ უზენაესი საბჭოს დეპუტატის, ზაურ ქობალიას ბრალდების საქმეში, წერია, თითქოს პირველი გასროლა განხორციელდა ეროვნული გვარდიის სარდლის, ვახტანგ ქობალიასა და სხვა გვარდიელების მიერ, რაც სამხედრო დაპირისპირების მიზეზი გახდა; რომ არა ეს სროლა, ოპოზიცია ვერ გაბედავდა უზენაესი საბჭოს მიმართულებით ცეცხლის გახსნასო. ეს სიმართლეს არ შეესაბამება. ის გაურკვეველი და უმოქმედო პოზიცია, რომელსაც შსს იკავებდა სექტემბრიდან მოყოლებული, პუტჩის დროს დაგვირგვინდა იმით, რომ ძალოვანი უწყება საერთოდ გამოეთიშა პროცესებს.

გამოძიება, რომელიც 2004 წლის შემდეგ ჩატარდა, უკვე განსხვავებულ შუქჭრილში აჩვენებდა ყველაფერს. როგორც ირკვევა, იმავე გვენცაძემ ამბოხებულთა მეთაურს, თენგიზ კიტოვანს, სთხოვა, უზენაესი საბჭოს მიმდებარე ტერიტორიიდან გაეყვანა შეიარაღებული პირები, რომ სისხლი არ დაღვრილიყო. კიტოვანმა მას არ დაუჯერა და ბრძანება გასცა, თვითმცლელით გაეთრიათ ავტობუსები, რომელთა საშუალებითაც რუსთაველის პროსპექტი იყო ჩახერგილი. იქვე მასალებში აღნიშნულია, რომ შეიარაღებულ ოპოზიციას მანამდეც არაერთი თავდასხმა ჰქონდა განხორციელებული დედაქალაქში მდებარე სხვადასხვა ობიექტზე, რომელიც დასრულდა არაერთი პირის დაღუპვით ან სხეულის დაზიანებით.[599]

ნოდარ ნათაძის ინფორმაციით, ამბოხებული გვარდიელების რიცხვი საწყის ეტაპზე იყო 160 კაცი, ან, შეიძლება, ცოტა მეტიც.[600] კიტოვანს მალევე შეემოუერთდა გია ყარყარაშვილის რაზმი, რომელიც ერთხანს გაემიჯნა პუტჩის პროცესს და წავიდა ცხინვალში, რათა მონაწილეობა მიეღო ქართული სოფლების დაცვაში. თუმცა ხელისუფლებასთან თითქოს შერიგება და მერე ისევ დაპირისპირება მისი მხრიდან მაინც მანევრი აღმოჩნდა. გენერალი თამაზ დუმბაძე წერს: „სასწრაფოდ ჩამოვიდნენ გია ყარყარაშვილი და დევი ჭანკოტაძე. ბრძოლის ხელმძღვანელობა გიას დაევალა. დევიმ ზარბაზანი (100-მილიმეტრიანი კალიბრის საზენიტო ქვემეხი KC-19, შეიარაღებაში ჰქონდა საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ გვარდიას) სასტუმროს წინ დადგა ჯორჯიაშვილის

ქუჩაზე".[601] როდესაც თბილისში საბრძოლო მოქმედებები დაიწყო, ხალხი საპატრიარქოსთან შეიკრიბა. დიდი იყო მოლოდინი, რომ საპატრიარქო გარკვეულ პოზიციას დაიკავებდა და განცხადებას გააკეთებდა, მაგრამ ასე არ მოხდა. განცხადება არც პატრიარქის, არც სინოდის სახელით 22 დეკემბერს არ გაკეთებულა. ითქვა, რომ პატრიარქი ავადმყოფობდა. მხოლოდ ნიკორწმინდელი ეპისკოპოსი ამბროსი (ქათამაძე) შემოსილი მივიდა მთავრობის სასახლეში და იქ რჩებოდა არაერთი დღე. მომდევნო დღეს, 23 დეკემბერს, გავრცელდა განცხადება საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის სახელით, რომელშიც მან ქართველ ერს მიმართა. მასში მწყემსთმთავარი მოლაპარაკებისკენ, დიალოგისკენ, სისხლის ღვრის შეწყვეტისკენ მოუწოდებდა დაპირისპირებულ მხარეებს. მიმართვის ტექსტი დაეგზავნათ ქრისტიანული ეკლესიების მეთაურებს, ასევე, მსოფლიოს საინფორმაციო საშუალებებს.[602] ამის შემდეგ საპატრიარქოს ამ საკითხზე განცხადება აღარ გაუვრცელებია.

შუამავლობის მცდელობა სხვა მხრიდანაც იყო. 1991 წლის 25 დეკემბერს საქართველოში ჩეჩნეთის რესპუბლიკის დელეგაცია ჩამოვიდა. დელეგაციას ჯოხარ დუდაევის მიერ გამოგზავნილი საგარეო საქმეთა მინისტრი შამილ ბენო ხელმძღვანელობდა. მათ მიზანს წარმოადგენდა მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით მოეხერხებინათ სადავო საკითხების მოგვარება. საგარეო საქმეთა მინისტრმა, მურმან ომანიძემ, მათ ჩამოსვლაზე პუტჩისტებს მიაწოდა ინფორმაცია, ამიტომ ისინი აეროპორტიდან პირდაპირ სიგუასთან მიიყვანეს. ბენოს შეკითხვაზე: „შეიძლება თუ არა შეიარაღების გზით დაამყარო დემოკრატიული წყობილება?", სიგუამ ასეთი პასუხი გასცა: „ანტიდემოკრატიული ხელისუფლების ჩამოგდება, რა თქმა უნდა, შეიძლება!"[603] დელეგაციის წევრებს საშუალება არ მისცეს, შესულიყვნენ მთავრობის სასახლეში, რათა პრეზიდენტს შეხვედროდნენ და აიძულეს, რაც შეიძლება, მალე დაეტოვებინათ თბილისი. უკრაინის პრეზიდენტმა ლეონიდ კრავჩუკმა ასევე განაცხადა, რომ მზად იყო თბილისში დაპირისპირებულ მხარეთა შორის მოლაპარაკებების პროცესში ჩასართავად. ოპოზიციამ ამაზე წაყრუების პოლიტიკა არჩია, მარტო ხელისუფლების პოზიცია კი არაფერს წყვეტდა. ასევე რადიოსადგური „ამერიკის ხმა" იუწყებოდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის შეშფოთებას საქართველოს დედაქალაქში მიმდინარე ამბების გამო.[604]

პრეზიდენტმა გააკეთა განცხადება, რომელიც 25 დეკემბერს გამოქვეყნდა. მასში ნათქვამი იყო:„ძვირფასო თანამემამულენო! როგორც ხედავთ, შავი დღე დაუდგა საქართველოს. იმპერიულმა ძალებმა და მისმა აგენტურამ საქართველოში თავს მოგვახვიეს საყოველთაო დესტაბილიზაცია. გრძელდება ხალხის მიერ არჩეული კანონიერი ხელისუფლების შეიარაღებული ძალადობით დამხობის ცდები. მინდა გესაუბროთ, თუ რა მეთოდებით ცდილობს ე. წ. ოპოზიცია ხელში ჩაიგდოს ძალაუფლება. თუ რა დეზინფორმაციას ავრცელებს ქალაქში და მთელ საქართველოში. მსურს, ქართველმა ერმა შეიტყოს სიმართლე ყოველივე იმის შესახებ, რაც ხდება. ამჟამად ჩვენ ვართ კვლავ პარლამენტის შენო-

ბაში, რომელსაც ესვრიან ჭურვებს, იგი მნიშვნელოვანწილად დააზიანეს, მაგრამ მთავრობის სასახლის, პარლამენტის შენობაში არიან ჩვენი დიდი ძალები. ისინი ვერასგზით შესძლებენ მის აღებას, თუმცა კი ამტკიცებენ, რომ პარლამენტის შენობის აღება შტურმით მოხდება. ძირითადად, ქუჩებსა და მაგისტრალებს ჩვენ ვაკონტროლებთ, თუმცა არის გარკვეული ქუჩები, სადაც ბანდიტები არიან დაბანაკებულნი. მათი შეიარაღებული ძალები განლაგებულია სასტუმრო „თბილისსა“ და კავშირგაბმულობის შენობაში. იქიდან გვესვრიან ჩვენ და ხშირად მშვიდობიან მოსახლეობასაც არ ერიდებიან. ტელევიზია, რადიოხაზი, კავშირგაბმულობა ბლოკირებულია, ე. წ. ოპოზიციამ, პრაქტიკულად, გამოიყვანა მწყობრიდან სატელევიზიო კავშირები. დეზინფორმაციაა, თითქოს მე დავთანხმდი მათ ულტიმატუმზე გადადგომის შესახებ. ის, რომ საქართველოში თითქოს აღარ არსებობს ხელისუფლება, ესეც ყოველგვარ საფუძველს მოკლებული ჭორია. მე მოვუწოდებ მთელ საქართველოს, აღდგეს და ამოუდგეს მხარში თავის მიერ კანონიერად არჩეულ ხელისუფლებას, ალაგმოს მოღალატე ტერორისტთა ბანდა, რომელიც ჩადის ათასგვარ უმსგავსობას და რომლის მოქმედებაც განწირულია, ვინაიდან მთელი ქართველი ერი არის ჩვენთან. მე მჯერა, რომ გამარჯვება ჩვენი იქნება. ორჯონიკიძეების და ბერბიჭაშვილების შთამომავლობას სამართლიან განაჩენს გამოუტანს ქართველი ერი. გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!“[605]

იმიტომ ვამახვილებთ ყურადღებას ულტიმატუმზე (რომელიც პრეზიდენტს არ მიუღია), რომ, სიგუას მიერ გავრცელებული დეზინფორმაციის მიხედვით, პრეზიდენტი, თითქოს, თავიდან დათანხმდა გადადგომასა და ბათუმში წასვლაზე, შემდგომ კი უარყო – ჩემზე არ არის დამოკიდებულიო. ამ დროისთვის დაღუპულთა და დაჭრილთა რიცხვი 128 ადამიანს აღწევდა. მათ შორის იყვნენ უზენაესი საბჭოს დეპუტატი, გაგრის ქართველობის წამომადგენელი არკადი მარკოზია, ასევე, ხობის რაიონის პრეფექტი თენგიზ ქაჯაია. მთავრობის სასახლის ჭიშკარში შეჭრა სცადა ჯავშანტრანსპორტიორმა, რომელიც გვარდიელებმა ყუმბარმტყორცნით გაანეიტრალეს და დახოცეს მისი ეკიპაჟის წევრები. ორივე მოკლული ჯარისკაცი ეროვნებით რუსი აღმოჩნდა, რომლებიც საქართველოში განთავსებულ საბჭოთა არმიის კონტინგენტს ეკუთვნოდნენ. იმავე დღეს, პრეზიდენტის ბრძანებით, თავდაცვის მინისტრი, გენერალ-მაიორი ჯონი ფირცხალაიშვილი დაინიშნა ქვეყნის ყველა სახეობის შეიარაღებული ძალების ოპერატიულ ხელმძღვანელად.[606]

24 დეკემბერს პრეზიდენტმა ასევე განცხადება გააკეთა დასავლეთის ლიდერების მიმართ, „მხარი დაეჭირათ დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლებისთვის. სხვა შემთხვევაში დასავლეთი უღალატებდა დემოკრატიის იდეალებს და დადგებოდა ტერორის მხარეზე“.[607] 23 დეკემბრიდან 25 დეკემბრამდე ბრძოლები მიმდინარეობდა როგორც სასტუმრო „თბილისის“ გასათავისუფლებლად, ისე თავისუფლების მოედანზე და ალექსანდრეს ბაღის მიდამოებში. ბრძოლებში ჩართული იყვნენ შინაგანი ჯარის „ომონელები“ ვანო ჭელიძის ხელმძღანელო-

ბით და ავღანელთა ვეტერანები თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილის, ნოდარ გიორგაძის ხელმძღვანელობით. კიტოვანის მეამბოხე გვარდიელებთან ერთად, მათ წინააღმდეგ იბრძოდნენ ვაჟა ადამიას მომხრეები, რომლებმაც, ბედის ირონიით, „მერაბ კოსტავას საზოგადოების“ სახელი დაინერეს დროშაზე – იმ კაცისა, ვინც ყველანაირი შიდა დაპირისპირების წინააღმდეგი იყო, მშვიდობასა და შერიგებას ქადაგებდა. დიმიტრი შველიძე იშველიებს უჩა ბლუაშვილის ციტატას: „მრგვალმა მაგიდამ“ სრული კრახი განიცადა. იგი ორ ნაწილად გაიყო და ერთმანეთს იარაღით დაუპირისპირდა“.[608] დავაზუსტებდით: ეს ტრაგიკული დაპირისპირება იმის ნიშანი იყო, რომ ჩრდილოეთის იმპერიის გეგმა განხორციელების ახალ დონეზე ავიდა მისი საკმაოდ საზრიანი, ვერაგი და ქართული ფსიქოტიპის ძალიან კარგად მცოდნე დამგეგმავებისა, ასევე, ბრიყვი და იოლად მოსყიდვადი შემსრულებლების მეშვეობით. მათ ორივე მხარეს ისე იმუშავეს, ისეთ მდგომარეობაში ჩააყენეს ორივე მხარე, რომ ქართველებს ერთმანეთისთვის სროლის გარდა სხვა აღარაფერი დარჩენოდათ. ხელისუფლება თავს იცავდა, თუმცა საკმარისი ძალა და რესურსი მას არ გააჩნდა, მიუხედავად იმისა, რომ ჰქონდა ძალის გამოყენების კანონიერი უფლება.

ოპოზიციაც ასევე თავს იცავდა, რამდენადაც მან ისე შეტოპა, ძალადობრივ, დანაშაულებრივ ქმედებებში იმდენად შორს წავიდა, რომ უკან დასახევი გზა აღარ დარჩა.

რაც შეეხება „მრგვალი მაგიდის“ გაყოფის ამბავს, ცნობილი პარადიგმის დონეზე თუკი ვიტყვით, რომ ხესა და ნაჯახს შორის კონფრონტაცია ერთი და იმავე სუბსტანციის დაპირისპირებაა, აქაც, ახალდაარსებულ ქართული სახელმწიფოს „ხეს“ იმ ნაჯახით დაუპირისპირდნენ, რომლის ტარიც მისივე მოკვეთილი ტოტისგან დამზადდა.

ამასობაში მიდიოდა ქვეყნის საერთაშორისო აღიარების პროცესი: 25 დეკემბერს საქართველო აღიარეს კანადამ და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, 26 დეკემბერს საქართველო ცნეს ბრაზილიამ, ტაილანდმა, კუბამ და ინდოეთმა, 27 დეკემბერს – ვიეტნამმა, ეგვიპტემ, ჩინეთმა, ბელორუსმა, ალჟირმა და სლოვენიამ, 28 დეკემბერს – იორდანიამ და ხორვატიამ, 31 დეკემბერს – პაკისტანმა, მომდევნო წლის 2 იანვარს – ლაოსმა, ეთიოპიამ და ერაყმა, 6 იანვარს კი – ბურუნდიმ. მანამდე საქართველო, როგორც სუვერენული სახელმწიფო, 1991 წლის აგვისტოდან 20 დეკემბრამდე აღიარეს რუმინეთმა, აზერბაიჯანმა, უკრაინამ, მონღოლეთმა, სომხეთმა, მოლდავეთმა, თურქეთმა და ლიტვამ.[609]

ზვიად გამსახურდია სისხლიანი დაპირისპირების დაწყების დღიდან მთავრობის სასახლეში იმყოფებოდა. იგი საკვებს, შეიძლება თქვას, თითქმის არ იღებდა. ღამე 2-3 საათი თუ წათვლემდა მჯდომარე მდგომარეობაში. სამხედროებთან დღეში რამდენიმეჯერ იყო თათბირი. მისი თხოვნა ოჯახის წევრთა მიმართ იყო ის, რომ სახლში დარჩენილიყვნენ. პუტჩის დაწყებისას ტელევიზით გამოვიდა ჯანდაცვის მინისტრი მ. ძოძუაშვილი და განაცხადა, რომ პუტჩისტები ფიქრობდნენ პრეზიდენტის ოჯახის წევრების მძევლად აყვანას და ამით

ზვიად გამსახურდიას იძულებას, დანებებულიყო. კოლხური კოშკი ასევე ალყაში იყო მოქცეული. „ჩანაწერებში" საგანგებოდ აღნიშნულია, რომ რუსთაველზე ქვემეხები, ნაღმსატყორცნები და რაკეტები ისეთი სიზუსტით გამოიყენებოდა, რომ ეჭვს არ ტოვებდა – მათ სწორედ „ზაკვოს", საბჭოთა არმიის ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის, სპეციალისტები გამოიყენებდნენ, რადგან პუტჩისტებმა მხოლოდ მსუბუქი ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება იცოდნენ. ისინი სისტემატურად მარაგდებოდნენ „ზაკვოს" მთავარი შტაბის მიერ იარაღითა და საბრძოლო ტექნიკით. როდესაც პარლამენტის დამცველები გაანადგურებდნენ მათ საბრძოლო ჯავშანმანქანებს, სანაცვლოდ ახალი და ახალი ტექნიკის ერთეულები ემატებოდათ. რუსთაველის პროსპექტზე, მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტთან, სადაც განთავსებული იყო პუტჩისტების შტაბი, წარამარა მოდიოდნენ საბრძოლო მასალითა და იარაღით დატვირთული მანქანები.[610]

24 დეკემბერს პუტჩისტებმა ვერტმფრენით სცადეს მთავრობის სასახლის შიდა ეზოში ჩამოეგდოთ ამონალით სავსე დიდი ზომის კასრი. იგი მიზანს ასცდა და პირველი სკოლა გაანადგურა. გარდატეხა ხელისუფლების საზიანოდ 27 დეკემბერს დაიწყო. ამ დღეს, გამთენიისას, უშიშროების საპყრობილიდან გაათავისუფლეს ადრე დაკავებულები – ისინი, რომლებიც რადიკალურად იყვნენ დაპირისპირებულნი ხელისუფლებასთან, ზოგი იარაღით ხელში, ზოგიც უიარაღოდ. უზენაესი საბჭოს წევრი ლია ანდღულაძე თავის წიგნში – „რაც არ მავიწყდება", იხსენებს: „ჯაბა იოსელიანისა და 400 კრიმინალის ციხიდან გამოშვებამ განსაკუთრებით დაძაბა სიტუაცია".[611]

აი, როგორ აღწერს ჯაბა იოსელიანი გათავისუფლების მომენტს, როდესაც მეამბოხეთა ერთ-ერთმა მეთაურმა, გელა ლანჩავამ, მიაკითხა: „გია ჭანტურია ფეხს ითრევს. ბულა არ წამოჰყოლია ბიჭებს, საკნიდან არ გამოსულა. „წავედით!" ვბრძანებ. ჩავრბივართ. სუფთა, სუსხიან ჰაერს დენთის სუნი შერევია, თავისუფლება ავტომატების გამაყრუებელი კაკანით გვხვდება. ვინ ისვრის, საიდან, არაფერი ვიცით. ლანჩავა გვერდზე მომდევს, როგორც ნადავლს, მიფრთხილდება". შემდეგ აღწერილია სიგუასთან შეხვედრა დამწვარი სასტუმრო „თბილისის" ჰოლში: „კუთხეში, ყუთებზე, როგორც სავარძელში, თენგიზ სიგუა ზის, ფეხებზე შინაურულად პლედი მოუხურავს. ერთმენეთს ვეხვევით. ეს უფრო პოზიციების შერწყმაა, ვიდრე ახლობლების შეხვედრის გამოხატულება".[612] ამავე დღეს გაათავისუფლეს ოსი სეპარატისტი ტორეს კულუმბეგოვიც. ჯაბა იოსელიანი წერს: „ისიც (კულუმბეგოვი) ხომ პოლიტპატიმრად არის აღიარებული. გოგა ხაინდრავაც ამ აზრზეა. ამ საქმის მოგვარებას მას ვავალებ".[613]

ამის შემდეგ ჯ. იოსელიანი აღწერს შეხვედრას სახელმწიფო ტელე-რადიოკომიტეტის შენობაში, სადაც 27 დეკემბერს თავი მოიყარა, პრაქტიკულად, ყველა ძალოვანმა ფიგურამ როგორც ხელისუფლების, ისე მისი მოწინააღმდეგე მხრიდან, გადაყენებულ გენერალურ პროკურორ ვახტანგ რაზმაძესთან ერთად: „აქ არის თავდაცვის მინისტრი ნოდარ გიორგაძე (სინამდვილეში თავდაცვის მინისტრის მოადგილე, კ. გ.), გამსახურდიას ერთ-ერთი გავლენიანი სამ-

ხედრო მეთაური და უზენაესი საბჭოს დეპუტატი ბესიკ ქუთათელაძე (ამ დროს ქუთათელაძე დეპუტატი არ ყოფილა, ისიც თავდაცვის მინისტრის მოადგილე იყო, კ. გ.), გვარდიის შენაერთის, „თეთრი არწივის" ხელმძღვანელი გია ყარყარაშვილი, მილიციის უმაღლესი სკოლის უფროსი გივი კვანტალიანი, შინაგანი ჯარების სარდალი ვანო ჭელიძე... მე ვიწყებ მოკლე შესავალით. ვამბობ, რომ პრეზიდენტი, რომელიც სამოქალაქო ომამდე მიიყვანს ქვეყანას, უნდა გადადგეს. არავინ მეწინააღმდეგება. ვაცხადებ ისევ ჩემს ფორმულას: „ყველა მინუს ერთი". ზვიად გამსახურდია უნდა წავიდეს საქართველოდან, დროებით მაინც, არჩევნებამდე. ვინც შეგვეწინააღმდეგება – მუშტს ვურტყამ მაგიდას – დედას ... (ცხარედ ვიგინები)".[614]

აი, რას წერს ამ ამბებზე საბჭოთა საქართველოს ყოფილი სამხედრო კომისარი, პუტჩისტების ჯგუფსა და „ზაკვოს" შორის ერთ-ერთი მეკავშირე, გენერალი ლევან შარაშენიძე: „არ მეგონა, რომ სისხლი დაიღვრებოდა. გახსოვთ 22 დეკემბრის ღამე? კიტოვანს მაშინ 183 კაცი ჰყავდა. ეს არ იყო სერიოზული ძალა, დისციპლინა არ ჰქონდათ. მოწინააღმდეგე მათ იქვე გაანადგურებდა. ჯაბამ რომ ხალხი გამოიყვანა, ისინი მერე გაძლიერდნენ. გამსახურდიასაც ყველამ უღალატა".[615]

შარაშენიძის შუამავლის როლზე თავის მოგონებებში წერს გენერალი თამაზ დუმბაძეც: „გენერალ-ლეიტენანტი ლევან შარაშენიძე ძირითადი მეკავშირის როლს ასრულებდა რუსებთან (წითელდროშოვანი ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის დაზვერვის უფროსი, გენერალ-მაიორი ვიქტორ ივანენკოვი) ურთიერთობისას, განსაკუთრებით, იარაღის მოწოდების დროს".[616]

ხელისუფლებისთვის საბედისწერო გამოდგა სატელევიზიო ანძის ჩაბარება, რომლის დაცვაც ევალებოდა თავდაცვის მინისტრის მოადგილის, ბესიკ ქუთათელაძის, ჯგუფს. ჯ. იოსელიანი იგონებს: „ვხვდებით ბესიკ ქუთათელაძეს. დიდხანს ესაუბრობთ, ვუმტკიცებ, რომ გამსახურდიას ნაგებული აქვს ყველაფერი. გაჯიუტებული მეჩვენება. ჩუმად მისმენს. მოულოდნელად თანხმდება ყველაფერზე. თვითონ თამაშიდან გადის და ელოდება ჩვენს რაზმს ანძაზე, შემდეგ თავის ხალხთან ერთად წავა შინ – საჩხერეში". ამის შემდეგ თხრობა აღნიშნულ საკითხზე ასე გრძელდება: „ტელევიზია ჩვენია. საღამოს გამოვიდა ბესიკ ქუთათელაძე. კარგად ილაპარაკა, თავისი პოზიცია გამოხატა, ძმათამკვლელ ომში მონაწილეობას ვერ მივიღებო. კარგი პოზიციაა, მაგრამ რეალური? დაგვიანებული არ არის? ახლა გამოსვლა დანებების ტოლფასია, რეპრესიების და ტერორის, ან ანარქიისა და ბოლოს მაინც მეტი სისხლის ღვრის საწინდარია".[617] შემდეგ ნათქვამია, რომ თბილისში ცხადდება კომენდანტის საათი, კომენდანტად ინიშნება გია ყარყარაშვილი, მოადგილედ – გიგა არველაძე, დროებით იკრძალება მიტინგები. „ბუნკერში" მყოფთ, დანებების შემთხვევაში გარანტირებული აქვთ სიცოცხლე და, სურვილისამებრ, ქვეყანაში დარჩენა ან უსაფრთხოდ გასვლა.

ოთარ ჩხეიძეს ბელეტრისტულად, ამავე დროს, გამანადგურებელი სატირითა და სარკაზმით ასე აქვს აღწერილი ანძის გადაცემის ეპიზოდი, როდესაც ქუთათელაძე გამოცხადდა აჯანყებულთა შტაბში: „...მე ჩემით მოვედი, ბოლოს და ბოლოს, რას მოითხოვთ? „თუ მართლა შენით მოხვედი, მართლა!" ხმას აღიმაღლებს ბატონი სიგუა, თითქოს ოტელო უნდა გააცოცხლოს ხორავასიო, „მართლა!.. მაშინ ანძას გაგვიხსნი, ტელევიზიით მოველაპარაკებით". „ტელევიზიით!.. ტელევიზიით!.. ტელევიზიით!.. დასძენს ერთბაშად არტისტული თბილისი, წარჩინებული კომუნისტების სამეფო კარზედა, პრეზიდენტმა რო არ აღიარა და არც ამან აღიარა პრეზიდენტი. ახლა ხო აქ არის, შტაბშია აჯანყებული, აქ აღამებს და აქ ათენებს. დასძენს, დასძენს და გარს ეხვევა: „გაგიხსნით მხოლოდ ერთი პირობითა..." „ბრძანე, თანახმა ვარ, წინასწარ თანახმა ვარ. მეტი რა გინდა!" წარმოსთქვამს ბატონი სიგუა კვლავაც ისევე ხმის ამაღლებით. საზეიმოდა. გარდაწყდა გარდასაწყვეტიო. „ტყუილს არ იტყვი" აღმოთქვამს ბესიკი თავის პირობასა. ალალმართალი, პატიოსანი, რო დაეჭვებულა და რო მაინც სჯერა ადამიანისა. „ღმერთო მომკალი!" ბ-ნი სიგუა ორივე ხელს მოიჭდობს გულზედა. „ღმერთო მომკალი!" ზეცად აღაპყრობს ორივე ხელსა: „მე მაგას ვიკადრებ?"[618]

რაც შეეხება ნოდარ გიორგაძეს, მან თავისი გეგმა წერილის სახით გაუგზავნა პრეზიდენტს. მასში ნათქვამი იყო, რომ თავის „ბიჭებს" ვერ უბრძანებდა ესროლათ ქართველებისთვის. ამიტომაც ჩამოწერა პირობები: 1. ორივე მხარის შეიარაღებული ძალები დატოვებდნენ დედაქალაქს; 2. უზენაესი საბჭოს სესია ჩატარდებოდა 48 საათის განმავლობაში, რომელიც დანიშნავდა ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს, ასევე, რეფერენდუმს პრეზიდენტის ინსტიტუტის მიზანშეწონილებაზე; 3. შემოღებული იქნებოდა კომენდანტის საათი ძალოვანთა ხელმძღვანელობით. სხვა გადაწყვეტილების შემთხვევაში გიორგაძე გადადგებოდა. ეს წინააღდეგობრივი „გეგმა", ცხადია, იმას ნიშნავდა, რომ გიორგაძე თავის „ავღანელებთან" პროცესებს ეთიშებოდა. იგი დროებით საბჭოშიც კი არ შესულა, რომელიც უკვე მომდევნო დღეს შეიკრიბა. ხელისუფლების მხრიდან მასში შევიდნენ შს მინისტრი დილარ ხაბულიანი, იუსტიციის მინისტრი ჯონი ხეცურიანი, უშიშროების მინისტრი თამაზ ნინუა, თავდაცვის მინისტრის მოადგილე ბესიკ ქუთათელაძე, მილიციის სკოლის დირექტორი, გენერალი გივი კვანტალიანი; ამბოხებულთა მხრიდან კი – თენგიზ კიტოვანი, ვაჟა ადამია, გენერალი გუჯარ ყურაშვილი, ყოფილი გენპროკურორი ვახტანგ რაზმაძე, ასევე, გენერალი ჯემალ ჭუმბურიძე. ხელისუფლების მხარეზე დარჩა გვარდიის მთავარი სამმართველოს უფროსი ვახტანგ (ლოთი) ქობალია, რომელიც იმ დროს დაჭრილი იყო და მკურნალობდა, ასევე, თავდაცვის მინისტრი, გენერალი ჯონი ფირცხალაიშვილი და შტაბის უფროსი გია უჩავა. მის შესახებ გენერალი თამაზ დუმბაძე, პუტჩის თანმიმდევრული მომხრე და მონაწილე, წერს: ერთხანს გაკვირვება გამოიწვია იმან, რომ გია უჩავა, თავგამოდებული გვარდიელი, ზვიად გამსახურდიას ბანაკში გადაბარგდა... მაშინ არავინ იცოდა და არც უნდა სცოდნოდა, რომ ის ჩემი სპეციალური დავალებით წავიდა. ასე ვთქვათ, თავისებური

მზვერავი იყო. შეძლებისამებრ მაწვდიდა ინფორმაციას ზვიადის ბანაკში არსებული მდგომარეობის შესახებ".[619] იმის გადამოწმება, რასაც თ. დუმბაძე წერს, ძნელია, თუმცა თავად გია უჩავას ქმედებები პუტჩის შემდეგ ბევრ რამეზე სცემს პასუხს – 6 იანვრის შემდეგ იგი უკვე ახალი ხელისუფლების სამსახურში ჩადგა.

8-29 დეკემბრის კონტრშეტევა სახელისუფლებო ძალების მხრიდან და რუსთაველის გაწმენდა „იმელამდე", იყო უკანასკნელი გაბრძოლება. თ. დუმბაძის ინფორმაციით, სიგუა და კიტოვანი იმდენად შეშინდნენ, რომ დროებით რუსული არმიის მთავარ შტაბს შეაფარეს თავი. „ახალი წლის ღამე თენგიზ კიტოვანმა და თენგიზ სიგუამ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის დაჯგუფებაში გაატარეს... ორი-სამი დღე დარჩნენ".[620]

წლის ბოლო დღეს რუსთაველზე უკვე გამოჩნდნენ T-72-ის ტიპის საუკეთესო რუსული ტანკები და საბოლოო გარდატეხაც შესამჩნევი გახდა. ცხადია, დამკვირვებელთაგან არავინ კითხულობდა, საიდან ჰყავდათ პუტჩისტებს ასეთი უახლესი ტანკები (ისინი ქართულ გვარდიას აგვისტოს ამბოხებამდე არასოდეს ჰყოლია) ან მათი პერსონალი, რომელიც საოცრად მარჯვედ და გამართულად დაატარებდა მძიმე ტექნიკას რუსთაველზე, ხოლო ტრაქტორის მართვის პრაქტიკის მქონე მძღოლი სამთავრობო ჯავშანმანქანისა ისე ვერ ახერხებდა რუსთაველზე გაელას, ხეს რომ არ დაჯახებოდა. გამოჩნდა, ასევე, განსაკუთრებული, მოკლელულიანი ქვემეხები, რომლებთანაც, დ. გამცემლიძის შენიშვნით, „ქერათმიანი რუსი სპეციალისტები ფუსფუსებდნენ" (შდრ. „ჟამი ჭეშმარიტი"). ამიტომაც დასძენს საბჭოთა გენერალი ლევან შარაშენიძე თავის ინტერვიუში: „არავინ უარყოფს, რომ გამსახურდიას ჩამოგდებით რუსეთი იყო დაინტერესებული".[621]

ამის შემდეგ, 1992 წლის 6 იანვრამდე, არსებითად აღარაფერი შეცვლილა. ამ დღეს პრეზიდენტმა და მასთან ერთად მთავრობის სასახლეში მყოფმა პარლამენტის, მთავრობის, სამთავრობო დაცვისა და გვარდიის წარმომადგენლებმა პარლამენტის შენობა დატოვეს. ამის თაობაზე ზვიად გამსახურდია ძალიან მოკლედ და პროტოკოლურად წერს: „1992 წლის 2 იანვარს პუტჩისტებმა შექმნეს „სამხედრო საბჭო" და „დროებითი მთავრობა", რომლის შემადგენლობაშიც შევიდნენ თ. სიგუა, თ. კიტოვანი და ჯ. იოსელიანი, რომელიც ამ პერიოდში ციხიდან გაიქცა და „მხედრიონის" ბანდასთან ერთად შეუერთდა მათ. ამავდროულად, ციხეებიდან გაათავისუფლეს ოთხი ათასამდე სისხლის სამართლის დამნაშავე (დაპატიმრებულნი ჯერ კიდევ კომუნისტების დროს), რომლებიც შეაიარაღეს და ჩარიცხეს „დემოკრატიისთვის მებრძოლთა" რიგებში.

1992 წლის 6 იანვარს პრეზიდენტმა და პარლამენტის წევრებმა, რათა თავიდან აერიდებინათ შემდგომი სისხლის ღვრა და ქალაქის დანგრევა, დატოვეს მთავრობის სასახლე და საქართველოს ტერიტორია. დეკემბრის ბოლოს მოსახლეობაში პერიოდულად ვრცელდებოდა ხმები, რომ რუსთაველი გაწმინდეს „ეპიტაშვილის ტანკებმა". იგულისხმებოდა საბჭოთა არმიის პოლკოვნიკი თენ-

გიზ ეპიტაშვილი, რომელიც საქართველოს შეიარაღებულ ძალებში გადმოვიდა და ხელმძღვანელობდა სამაჩაბლოში ქართული სოფლების დაცვას. ეს, რა თქმა უნდა, სიმართლეს არ შეესაბამებოდა და წყალწაღებულის ხავსზე მოჭიდებას ჰგავდა. ჯერ ერთი, ეპიტაშვილს არანაირი ტანკები არ ჰყოლია და, მეორეც, მას არც უფიქრია თავის ჯარისკაცებთან ერთად თბილისში ჩამოსვლა. შ. ვადაჭკორიასა და ბ. რამიშვილის სტატიაში ნათქვამია: „გამსახურდიას მომხრეებმა რუსთაველის პროსპექტიდან მთლიანად განდევნეს ოპოზიცია. კიტოვანი თამაშიდან გასვლასა და კორდონს მიღმა გაქცევას აპირებდა. ვითარება კრიტიკული იყო და რუსეთის ჯარის პატარა ქვედანაყოფის დახმარება რომ არა, პრეზიდენტის მოწინააღმდეგეები დამარცხდებოდნენ“. [622] პუტჩისა და დედაქალაქის ცენტრში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებების შედეგად 1 000-მდე ადამიანი დაიღუპა ან დაიჭრა.[623]

უკანასკნელ პრესკონფერენციაზე, რომელიც ალყაშემორტყმული მთავრობის სასახლის მიწისქვეშა სართულზე გაიმართა, პრეზიდენტმა განაცხადა, რომ, შესაძლოა, მის მიერ შეცდომები ყოფილიყო დაშვებული, ასევე აღნიშნა, რომ მან რეფერენდუმი შესთავაზა ოპოზიციას, თუმცა ოპოზიცია არ დაეთანხმა ამ წინადადებას, რამდენადაც მას სურდა ძალით მიეტაცებინა ხელისუფლება; მისი თქმით, ის, რაც მოხდა, მოსკოვის ნახელავი იყო, რადგან მოსკოვს არ სურდა თავისუფალი საქართველო.[624] რუსეთის ფედერაცია, როგორც სსრკ-ის მემკვიდრე, ღიად დგებოდა მეხუთე კოლონის უკან – პოლიტიკურად, როგორც ამას აკეთებდნენ ელცინის თანამებრძოლი, რუსეთის სახელმწიფო მდივანი და პირველი ვიცე-პრემიერი გენადი ბურბულისი, საგარეო საქმეთა მინისტრი ანდრეი კოზირევი, ფინანსურად, როგორც შვებოდა გავრილ პოპოვი, მოსკოვის მერი, სამხედრო თვალსაზრისით, როგორც აკეთებდნენ „ზაკვოს“ გენერლები სუფიან ბეპაევი და ვიქტორ ივანენკოვი. თუმცა ეს უკანასკნელი ადრეც მათთან იდგა.

1992 წლის 6 იანვარს პრეზიდენტმა და პარლამენტის წევრებმა, რათა თავიდან აერიდებინათ შემდგომი სისხლის ღვრა და ქალაქის დანგრევა, დატოვეს მთავრობის სასახლე და საქართველოს ტერიტორია.[625] დატოვება მოულოდნელად მოხდა, გამთენიისას.

ზვიად გამსახურდია თავის „ჩანაწერებში“ ახსენებს, ასევე, რუსეთის სახელმწიფო დუმის დეპუტატს, ისტორიკოს იური აფანასიევს, რომლის განცხადებითაც, მ. გორბაჩოვმა და ე. შევარდნაძემ 65 მლნ. მანეთი გამოყვეს საქართველოში პუტჩისა და გადატრიალების მოსამზადებლად.[626] ამ პუტჩის შედეგად დაიღუპა ან დაიჭრა ათასამდე ადამიანი. 1992-1993 წლებში შევარდნაძის ხელისუფლებაში ერთხანს უშიშროებისა და დაზვერვის სამსახურის უფროსი ირაკლი ბათიაშვილი სტატიაში წერს, რომ ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლები 1991 წელს დადიოდნენ შევარდნაძესთან, ბურბულისთან, კოზირევთან, რუცკოისთან, რათა დაესმინათ გამსახურდიას ეგრეთ წოდებული დიქტატურა და რუსეთისგან მიეღოთ შეპირება დახმარებაზე მასთან დაპირისპირებაში.[627]

თუმცა რუსული სარდლობა ოფიციალურად უარყოფდა საბჭოთა არმიის ჩართვას თბილისის მოვლენებში, როგორც ამტკიცებდა, მაგალითად, იური გრეკოვი, „ზაკვოს“ მთავარსარდლის, პატრიკეევის მოადგილე. მისი თქმით, საბჭოთა ჯარის ჩართვა შიდაქართულ კონფლიქტში არ ყოფილა წინაპირობა იმ ახალი ხელშეკრულებისა, რომელიც პუტჩის დასრულების შემდეგ დაიდო ახალ ხელისუფლებასა და „ზაკვოს“ შორის.[628]

ამ ამბებიდან დაახლოებით ერთი წლის შემდეგ გაზეთ „მასკოვსკიე ნოვოსტიში“ გამოქვეყნდა გენერალ-პოლკოვნიკ სუფიან ბეპაევის, ასევე, პატრიკეევის მოადგილის, წერილი, სადაც საუბარი იყო, რომ 1991 წლის 28 დეკემბრიდან საბჭოთა არმია ამბოხებულებს მატერიალურ-ტექნიკურ დახმარებას უწევდა. ამ წერილის მიხედვით, რუსი ჯარისკაცების მხრიდან გაწეული დახმარების გარეშე ზვიად გამსახურდიას მომხრეებს გამარჯვება გარანტირებული ჰქონდათ. ამავე ვერსიამ ფაქტოლოგიის მხრივ ასევე გამოავლინა რუსი ჯარისკაცების მონაწილეობა თბილისის სატელევიზიო ანძისთვის ბრძოლაში.[629] ეს ცნობა კიდევ ერთი ახსნაა ბ. ქუთათელაძის მიერ გადადგმული ნაბიჯისა. მისთვის, როგორც სამხედრო საქმის კარგი სპეციალისტისთვის, ცხადი გახდა, რომ ანძას ჩვეულებრივი პუტჩისტები არ უტევდნენ. თავად ფაქტი რუსი სამხედროების ღიად გამოჩენისა, მისთვის ხელისუფლების დასასრულის დასაწყისის ნიშანი იყო. დანარჩენი, რაც ამ გადაწყვეტილებას მოჰყვა, უკვე ცარიელი რიტორიკაა იმის გასამართლებლად, რომ განწირულ ხელისუფლებასთან დარჩენას ძალოვანთაგან არც ჭელიძე, არც გიორგაძე, არც ქუთათელაძე, არც გვენცაძე არ აპირებდნენ.

ნ. გორჯესტანის წიგნის მიხედვით, ცენტრის სტრატეგია, რამაც ეს პუტჩი განაპირობა, როგორც ერთ-ერთმა ფაქტორმა, მდგომარეობდა: ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმმართველობის დისკრედიტაციაში; ახალი მთავრობის დესტაბილიზაციაში; საქართველოში მეხუთე კოლონის ელემენტების კულტივაციაში და პარამილიტარული შესაძლებლობების შექმნაში ხელისუფლების ძალით დამხობისთვის, თუკი ამის საჭიროება გაჩნდებოდა. ეროვნული მოძრაობის დისკრედიტაციის კრიტიკა 80-იანი წლების ბოლოდან იღებს სათავეს და გრძელდება ზვიადის ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში. სწორედ ამ მიზანს ისახავდა მძლავრი კამპანია, რომელიც დეზინფორმაციასა და პროპაგანდას სინამდვილედ ასაღებდა. ეს არის პოსტ-ჭეშმარიტების ერის დასაწყისი, სადაც ფაქტები წალეკილია სიცრუით, შემდეგ კი ხდება მისი შერევა ფსევდოსიმართლესა და პროპაგანდაში. ეს სწორედ იმ მოდელის ბაზისი იყო, რომელსაც რუსეთი ხვეწდა შემდეგი 25 წლის განმავლობაში.[630]

საზოგადოებრივ დისკურსში, რომელიც პუტჩის თემაზე ათწლეულების განმავლობაში გაგრძელდა და, გარკვეული თვალსაზრისით, დღესაც გრძელდება, მის გამომწვევ არაერთ მიზეზზეა აპელირება. ერთ-ერთი მათგანი არის თავად ზვიად გამსახურდიას ხასიათი, რომელიც მისი დისიდენტობისას უნდა ჩამოყალიბებულიყო და ამგვარმა ხასიათმა განაპირობა თითქოს ის შეცდომები, რომ-

ლებმაც ტრაგიკულ შედეგებამდე მიგვიყვანა. ასე მაგალითად, დ. გამცემლიძე წერს: „ზვიად გამსახურდია დისიდენტი იყო. „დისიდენტი“ და პოლიტიკოსი კი ერთი და იგივე არ არის: იშვიათია შემთხვევა, როდესაც დისიდენტი პოლიტიკოსის ნიჭსაც ამჟღავნებს. ეს უფრო გამონაკლისია, ვიდრე წესი. „ჩვეულებს“ რაც შეეხება, მათი გამომუშავება მხოლოდ წლობით დაგროვილი გამოცდილებით ხდება“ (შდრ. „უამი ჭეშმარიტი“). პატივცემულ ავტორს უნდა მოეხსენებოდეს, რომ ეს არც ისეთი გამონაკლისია. დისიდენტები არაერთი ქვეყნის სათავეში არაერთხელ მოსულან და იქ ისინი არავის დაუმხია. აღმოსავლეთ ევროპაში ესენი იყვნენ ვაცლავ ჰაველი – ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტი, არპად გენცი – უნგრეთის პრეზიდენტი, ლეხ ვალენსა – პოლონეთის პრეზიდენტი, ასევე, ლეხ კაჩინსკი – იმავე პოლონეთის პრეზიდენტი შემდგომში. დისიდენტებთან დაახლოებული პირი იყო ასევე ლიტვის პრეზიდენტი ვიტაუტას ლანდსბერგისი; ხოლო ყოფილი ბრიტანული თანამეგობრობის სივრცეში ასეთი პოლიტიკური ფიგურა იყო სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პრეზიდენტი ნელსონ მანდელა. თუ დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ ამ ქვეყნებში რუსეთის პოლიტიკური, სამხედრო და სპეცსამსახურული ინტერესები არსებითად განეიტრალებული და მინიმუმამდე დაყვანილი იყო დასავლური გავლენის მიერ. ამ ქვეყნებში ასევე ევროპული პოლიტიკური კულტურაც, ასე თუ ისე, ფეხმოკიდებული ჩანდა. ეს კი პოსტსაბჭოთა საქართველოში ასე არ ყოფილა.

საინტერესოა, თავად ზვიად გამსახურდია როგორ ხედავდა ამ საკითხს, თუ რამდენად თავსებადი იყო მისი, როგორც ყოფილი დისიდენტის, ფსიქოლოგია ესოდენ საპასუხისმგებლო თანამდებობასთან. „ლიტერატურნაია გაზეტას“ რედაქტორს, ოლეგ მოროზს ზვიად გამსახურდიამ რამდენიმე თვის შემდეგ ინტერვიუ მისცა, სადაც ასეთ შედარებას აკეთებს: „მე ვფიქრობ, რომ ფსიქოლოგია აქ არაფერ შუაშია. ჩემს ადგილას მყოფი ნებისმიერი ადამიანი დამარცხდებოდა ალბათ, თუკი მის წინააღმდეგ დაირაზმებოდა მთელი კრემლის იმპერია, პირადად გორბაჩოვი, შევარდნაძე და მათი გარემოცვა, ასევე, უზარმაზარი სამხედრო მანქანა, ძირითადად შემდგარი სისხლის სამართლის დამნაშავეებისაგან, პლუს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქი. ფაქტიურად, ეს იყო პრეზიდენტობა დრაკონის მუცელში“.[631] შემდეგ იგი განაგრძობს და აღწერს იმ კონკრეტულ სირთულეებს და დაბრკოლებებს, რომლებთანაც მას კონფრონტირებამ მოუწია: „რაც შეეხება რევოლუციონერისა და ხელმძღვანელის ფსიქოლოგიას, განსხვავება, რასაკვირველია, არის. ამაში თქვენ მართალი ხართ. ადამიანი უნდა გარდაიქმნას. მაგრამ, თუ განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერს ხალხი მხარს უჭერს, ეს დიდი პლუსია მისთვის, როგორც სახელმწიფოს ხელმძღვანელისათვის, ასეთი მხარდაჭერა მე მქონდა, მაგრამ არ მყოფნიდა იარაღი და არმიის მხარდაჭერა. ვერ შევძელი მისი შექმნა. ამაში იყო მთელი ჩემი ტრაგედია. ფაქტიურად, აღმოვჩნდი ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის, მოსკოვის სუკ-ისა და შინაგან საქმეთა განყოფილების ბრჭყალებში. როგორც კი დავიწყე ეროვნული გვარდიის შექმნა, მაშინათვე დამირეკა პუგომ და მითხრა, რომ იგი მიკ-

რძალავს ამის გაკეთებას. ასეთ მდგომარეობაში ვინ გააკეთებდა იმაზე მეტს, ვიდრე მე. ამას ერთვოდა კომუნისტური პარტიის საბოტაჟი. ფაქტიურად, მთელი კადრები კომუნისტური იყო. ისინი სულ ჩრდილოეთით, მოსკოვისკენ იყურებოდნენ და ელოდებოდნენ შევარდნაძის ჩამოსვლას. ... რა თქმა უნდა, ვერ მიტანდნენ, როგორც თეთრ ყვავს და როგორც არა მათი კლანის ადამიანს. აი, ამიტომ მოაწყვეს ჩემ წინააღმდეგ შეთქმულება. თქვენ ფიქრობთ, რომ ჩემს წინააღმდეგ მხოლოდ მოსკოვი და შევარდნაძე მუშაობდნენ? პრეზიდენტმა ელჩიბეიმ ამასწინათ თქვა, რომ გამსახურდიას წინააღმდეგ მუშაობდნენ ბაქოშიც და ერევანშიც, შუა აზიაშიც".

თუკი ზვიადის სუსტ მხარეზე მსჯელობა შეიძლება, ეს, ალბათ, დიპლომატია იქნება. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მას არ შეეძლო ყოფილიყო დიპლომატიური. არაერთხელ მომხდარა, რომ მისი ნაბიჯი დიპლომატიურიც ყოფილა და პოლიტიკურად სრულიად რეალისტური. მაგრამ მეხსიერებას ასევე შემორჩა მომენტები, როდესაც იგი მეტისმეტად პირდაპირ და ხისტად გამოსულა. ამ დროს იგი ჰგავდა არა ათენელ ან რომაელ პოლიტიკოსს, არამედ უფრო სპარტელს, ლაკონიელს – ძალზე მკვეთრი, მოუხეშავი და ლაპიდარული ფორმულირებებით. ამას, ცხადია, მოწინააღმდეგეები წყობიდან გამოჰყავდა.

პუტჩის წარმატებაში თავისი უარყოფითი როლი ითამაშა ხელისუფლებაში ან მის ორბიტაზე მყოფი ადამიანების ჯგუფმა, რომლის დაყოფაც შეიძლება ორ ნაწილად: რუსული გავლენის აგენტურა და გულწრფელი ოპონენტები (მტრული სპეცსამსახურები მათ „სასარგებლო იდიოტებსაც" უწოდებდნენ), ეს უკანასკნელნი, ხშირად, თავიანთი აპოლიტიკურობითა და ანტისახელმწიფოებრივი გამოხდომებით ცეცხლზე ნავთს ასხამდნენ, თუმცა ბევრ მათგანს, შესაძლოა, სწამდა, რომ ეროვნულ საქმეს ემსახურებოდა. ხუნტა თავიდან შეეცადა, უზენაესი საბჭოს მთელი შემადგენლობა თუ არა, უბრალო უმრავლესობა მაინც შეეკრიბა, რათა პარლამენტს მისთვის სასურველი განცხადებები გაეკეთებინა და მიეღო ასეთივე აქტები. დეპუტატები, რომლებიც პუტჩს მხარს უჭერდნენ ან ჩათრეულნი აღმოჩნდნენ მასში, რამდენიმეჯერ შეიკრიბნენ, თუმცა უბრალო უმრავლესობამდეც ბევრი დააკლდათ. ამიტომაც ხუნტამ მალევე აიღო ხელი ამ განზრახვაზე. მან პარლამენტი დათხოვნილად გამოაცხადა და ახალი არჩევნებისთვის მზადება დააანონსა.

5.9. პუტჩის შემდეგ – აზერბაიჯანი, ერევანი, გროზნო

პრეზიდენტის განწყობის გადმოცემის მცდელობა პუტჩის დასასრულს, არის ოთარ ჩხეიძის წიგნში „არტისტული გადატრიალება", სადაც ზვიად გამსახურდია თითქოს საქართველოს რუკას დაჰყურებს: „ტელევიზია ქვეყანას ამცნობს: პრეზიდენტი ჩამოგდებულიაო. ეს ჯერ კიდევ არაფერიო. პატრიკეევი კიდევ აცხადებს: ჩვენ კვლავ მტკიცე ნეიტრალიტეტს ვიცავთო. საქვეყნოდ

აცხადებს, რაღა თქმა უნდა, ხოლო პრეზიდენტს ტელეფონით აფრთხილებს: დერეფანს დაგიტოვებენ გასასვლელადა. ნახვალ. გაეცლები. თუ არადა, დაიწყება ოპერაცია ალფაო. დაიმარხები ცოცხლადაო, ამასა ნიშნავდა. ბრძანა აყრილიყვნენ. უკანასკნელადა ბრძანა როგორც რო პრეზიდენტმა. ისევ რუკას ჩაჰყურებდაო. მზად იყო ყველაფერი".[632]

ზვიად გამსახურდიამ თავისი ოჯახის წევრებთან, პარლამენტარებთან, მთავრობის ცალკეულ წევრებთან, პირად დაცვასა და გვარდიელებთან ერთად მთავრობის სასახლე დატოვა 1992 წლის 6 იანვარს, გამთენიისას. ესკორტი საკმაოდ გრძელი იყო, ის შედგებოდა ჯავშანმანქანისგან, რამდენიმე ავტობუსისა და ასევე მსუბუქი ავტომანქანებისგან. თავიდან თითქოს დასავლეთ საქართველოსკენ წასვლაზე იყო საუბარი, თუმცა, მიღებული ინფორმაციის მიხედვით, გზა, შესაძლოა, უხიფათო არ ყოფილიყო. ყველანაირი ლოგიკით, ხუნტა არ დაუშვებდა პრეზიდენტისა და მისი ესკორტის გადასვლას დასავლეთ საქართველოში. ამის გამო მათ გეზი სამხრეთისკენ აიღეს, წითელი ხიდისკენ. ჯერ კიდევ თბილისის ტერიტორიაზე, მაიდანის მიდამოებში, ესკორტი ჩასაფრებაში მოყვა. უცნობი შეიარაღებული პირები სხვადასხვა იარაღიდან ისროდნენ. სროლაში დაიღუპა და დაიჭრა ათობით ადამიანი, მათ შორის, მთავრობის წევრებიც, მაგალითად, ვიცე-პრემიერი გურამ აბსანძე, რომელსაც რვა ტყვია მოხვდა. ესკორტის დიდმა ნაწილმა ავტობუსები დატოვა და, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო, იქაურობას ფეხით გაერიდა, ან იმ უბნის მცხოვრებთა ბინებს შეაფარა თავი დღის დადგომამდე. პრეზიდენტმა, მისი ოჯახის წევრებმა და პირადმა დაცვამ მოახერხეს ამ გაურკვეველი ხაფანგისგან გარიდება (რომელიც უფრო ქაოსურ შურისძიებასა და კოლექტიურ დასჯას ჰგავდა, ვიდრე სისტემურად მოფიქრებულ ხაფანგს) და გადალახეს საქართველოს საზღვარი წითელ ხიდთან.

ჯაბა იოსელიანი ამ უმძიმესი ინციდენტის შესახებ წერს: „ზაზა ვეფხვაძე აგროვებს ბიჭებს და იქით მიიჩქარის. „დევიატკა" და გოგას (ანუ გ. ხაინდრავას, კ. გ.) მეგობრები მოედნისკენ მიდიან. იქ გია სვანაძეა და მათ შეუერთდებიან".[633] შემდეგ აგრძელებს: „თათრის მოედნის გასასვლელთან გია სვანაძის და „დევიატკის" ბიჭებს ცეცხლი გაუხსნიათ". თუმცა გოგა ხაინდრავა დღემდე უარყოფს როგორც მისი, ისე „დევიატკის" ბიჭების მონაწილეობას მაიდნის ინციდენტში. ეს მძიმე ამბავი არც ფოტოზეა აღბეჭდილი, არც ვიდეოფირზე, ამიტომ დაბეჯითებით ვერაფერს ამბობენ.

როდესაც ესკორტი გადავიდა აზერბაიჯანში, პრეზიდენტი განჯაში ჩავიდა და ქალაქის მთავარი პროკურორის ოფისში მივიდა. პროკურორი და პრეზიდენტის თანმხლები პირები დაუკავშირდნენ პრეზიდენტ აიაზ მუტალიბოვის ოფისს ბაქოში და შეატყობინეს, რომ საქართველოს პრეზიდენტი იძულებული იყო დაეტოვებინა საქართველო. ახლა კი ის და მისი თანმხლებნი ითხოვდნენ ბაქოში ჩასვლის ნებართვას. აზერბაიჯანის პრეზიდენტის ოფისმა მათ უარი უთხრა, რამდენადაც ასეთი რამ ადრე შეთანხმებული არ ყოფილაო. ამის შემ-

დეგ ესკორტმა გეზი სომხეთისკენ აიღო და საზღვარი გადაკვეთა მთიანი ყარაბაღის ავტონომიურ ოლქთან ახლოს. ისინი კურორტ იჯევანის პანსიონში განათავსეს. პანსიონში არ იყო სითბო, არ იყო საკვები, რაზეც პრეზიდენტის დაცვას უნდა ეზრუნა. როდესაც თბილისში შეიტყვეს, რომ განდევნილი პრეზიდენტი სომხეთში ჩავიდა, თბილისიდან ერევანში გაემგზავრა „სამხედრო საბჭოს“ დელეგაცია მისი ექსტრადიციის მოთხოვნით. სომხეთის ოფიციალურ პირებს განუცხადეს, რომ „ექსპრეზიდენტის“ წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე იყო აღძრული. გარდა სახელმწიფოს წინააღმდეგ ჩადენილი „დანაშაულისა“, თენგიზ სიგუა ახსენებდა, დაახლოებით, ერთ მილიარდ საბჭოთა მანეთს, რომელიც თითქოს პრეზიდენტის ბრძანებით საქართველოდან სომხეთში თან წაიღეს. ეს ყოველივე ერთობლივად თბილისის ზოოპარკიდან ზოგიერთი ცხოველის პრეზიდენტის პირად საჩიხეში გადაყვანასთან დაკავშირებით წამოყენებულ ბრალდებას. რა თქმა უნდა, არანაირი მტკიცებულება ამ გაუგონარ სისულელეებზე არ წარუდგენიათ.

მართალია დაჯავშნული „მერსედესის“, ანუ საპრეზიდენტო ავტომობილის ქონა საბრალდებო დასკვნაში არ შეუტანიათ, თუმცა ის ყბადაღებული „მერსედესი“ გაკილვისა და აღშფოთების ობიექტი მაინც გახდა პუტჩისტების განცხადებებში. ამით ისინი პრეზიდენტისთვის ჩირქის მიცხებას ცდილობდნენ. სინამდვილეში საქართველოში ჩამოყვანილი ორივე დაჯავშნული „მერსედესი“ იყო SL კლასის, მათ შორის პრეზიდენტის მანქანა, მუქი ნაცრისფერი, მეშვიდე კატეგორიისა; მეორე კი – მუქი მწვანე, მეხუთე კატეგორიისა, რომელიც ჩამოსვლიდან მალევე მოხმარებისთვის გადაეცა ასლან აბაშიძეს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს. ორივე მანქანა შეიძინეს 1991 წლის თებერვალში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, მთავრობის წარმომადგენლის, კახი ასათიანის, მიერ და თითოეულში გადაიხადეს 42 ათასი გერმანული მარკა. ავტომანქანები სახელმწიფო საკუთრებად ითვლებოდა. პრეზიდენტი იჯევანში ამ მანქანით ჩავიდა, ხოლო, როდესაც მან დატოვა სომხეთი, მანქანა იქ დარჩა და მოგვიანებით სამხედრო საბჭომ იგი კვლავ საქართველოში გადმოიყვანა.[634]

გენერალურმა პროკურორმა ვახტანგ რაზმაძემ, რომელიც პუტჩისტებმა თანამდებობაზე დააბრუნეს, ჯერ კიდევ პუტჩის მიმდინარეობისას ასეთი უცნაური, ეზოპესებური განცხადება გააკეთა: „საქართველოს რესპუბლიკის ყოფილი პრეზიდენტი ზვიად კონსტანტინეს ძე გამსახურდია პასუხისგებაშია მიცემული, სისხლის სამართლის დანაშაულობათა ჩადენაში ედება ბრალი. ასეა ამჯერად, დანაშაულობათა ხასიათზე წარმოდგენა გვაქვს, მაგრამ არც თუ სრული და არც ყოველთვის კონკრეტული“.[635] როდესაც ზვიად გამსახურდია იჯევანში ჩავიდა, მან ქალაქის გამგეობას სთხოვა შეექმნათ კომისია, რომელიც დაათვალიერებდა მთელ ესკორტს და ყველა მანქანის საბარგულს, შემდეგ კი შედგებოდა ოქმი, რომელშიც ყველა ნივთი სათითაოდ იქნებოდა აღნუსხული. კომისია გამოიყო და ოქმიც შედგა. ამ დათვალიერების მიზანი იყო იმ გაუგო-

ნარი ბრალდებების გაქარწყლება, რომლებსაც თბილისის ხუნტა განდევნილ პრეზიდენტს გიგანტური ოდენობის გატაცებულ თანხასთან დაკავშირებით უყენებდა.[636]

პრეზიდენტმა ინტერვიუ მისცა ერთ-ერთ სომხურ გამოცემას. შეკითხვაზე, თუ რატომ არ გადადგა, მან უპასუხა: „ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტი ადამიანთა, მათ შორის, საკმაოდ საეჭვო რეპუტაციის მქონე გარკვეული ჯგუფების სურვილის მიხედვით არ უნდა გადადგეს. მე მხოლოდ ამომრჩეველთა მოთხოვნის შემდეგ გადავდგები. არ ვაპირებ პოლიტიკური არენიდან წასვლას, თუნდაც ამას ჩემი ოპონენტები მოითხოვდნენ". როდესაც ჟურნალისტმა ჰკითხა, თუ რა მიზეზთა გამო მოუწია ქვეყნის დატოვებამ, მან ასეთი რამ განაცხადა: „ეს ჩვეულებრივი შეთქმულების შედეგია. დიახ, მე დავტოვე საქართველო, მაგრამ არა იმიტომ, რომ წინააღმდეგობის გაწევა არ შემეძლო, არამედ იმიტომ, რომ სისხლისღვრა შემეჩერებინა".[637]

თბილისის ხუნტის ტონი ერევნის მიმართ თანდათანობით უფრო დაჟინებული და მომთხოვნი გახდა. ისინი დევნილის გადაცემას ითხოვდნენ. ამ დროს სომხეთის პრეზიდენტთან, ლევონ ტერ-პეტროსიანთან, სატელეფონო ხაზით კონტაქტზე გამოვიდა ჩეჩნეთის პრეზიდენტი, გენერალი ჯოხარ დუდაევი. რამდენადაც ბევრი სპეკულაცია არსებობს მათ შორის გამართული საუბრის შინაარსზე და ტონზეც, ამ საკითხზე აღარ შევჩერდები. ჯოხარ დუდაევს სომხეთის პრეზიდენტისთვის ზვიად გამსახურდიასა და მის თანმხლებ პირთა სომხეთიდან გაყვანა უნდა შეეთავაზებინა. ამის შემდეგ ლევონ ტერ-პეტროსიანმა თავის ერთ-ერთ მრჩეველს, ზვიადისა და მერაბის ახალგაზრდობის დროინდელ მეგობარს, ერევნის უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და კულტურის ისტორიის პროფესორს, კარენ სვასიანს, დაავალა იჯევანში ჩასვლა და ზვიად გამსახურდიასთან საუბარი სომხეთის დატოვების საკითხზე. ჯაბა იოსელიანი ამ დღეებზე წერს: „გამსახურდიას არ გვაძლევენ, მაგრამ ერევანშიც არ უშვებენ, კვლავ დილიჟანთან არის დაბანაკებული. ჩვენც თავს არ ვიკლავთ. კატეგორიულობას არ ვიჩენთ. გივი კვანტალიანის ოპერაცია, რაღა თქმა უნდა, ბლეფი აღმოჩნდა"[638] (ეტყობა, ხუნტის მხარეს გადასული პოლიციის გენერალი, სომხეთიდან პრეზიდენტის მოტაცებას გეგმავდა, კ. გ.).

მფრინავ ზაურ ბედიას გადმოცემით, 14 იანვარს, იგი დაიბარა სოხუმის აეროპორტის უფროსმა და შესთავაზა განსაკუთრებული მისიით გროზნოში გადაფრენა. ამ დროს აფხაზეთის დიდი ნაწილი არ კონტროლდებოდა არც თბილისის ხუნტის, არც აფხაზეთის სეპარატისტულ-პროკრემლური რეჟიმის მიერ. აეროპორტის თანამშრომელთა უმეტესობა დამხობილი ხელისუფლების მომხრე იყო. ზაურ ბედია თავიდან ტუ-134-ით გადაფრინდა გროზნოში და შეხვდა ჯოხარ დუდაევს. ზაურ ბედია იგონებს: „დავაყენე ჩემი ეკიპაჟი, მოვიდა ჯოხარი, ეკიპაჟის წევრებს ყველას ხელი ჩამოართვა და მე მხარზე კოცნით მომესალმა. მითხრა, ძალიან სარისკო დავალებაა, მაგრამ, როგორც ქართველი, შენ ამოგირჩიესო. მე არც ვიცოდი, ვინ ამირჩია. თურმე თბილისელ მფრინავებს უარი

უთქვამთ“. ერევანში გადაფრენისა და ზვიად გამსახურდიას იქიდან წამოყვანის ოპერაცია ჯოხარ დუდაევის კაბინეტში დაიგეგმა. რამდენიმე ვარიანტს ამუშავებდნენ. ჩუმად უნდა გაფრენილიყვნენ, დისპეტჩერისთვის თვითმფრინავის ნამდვილი ნომერი არ უნდა ეთქვათ, არსად უნდა გამოჩენილიყო, რომ ეს საქართველოს თვითმფრინავი იყო. „გაფრენის დღეს ეკიპაჟს ჩეჩნეთის შს მინისტრი და ორი კარატისტიც გამოჰყვა“.[639]

თვითმფრინავი ტუ-134 მომდევნო დღეს, 15 იანვარს, დაჯდა ზვარტნოცის აეროპორტში, სადაც მფრინავმა ადგილობრივ დისპეტჩერებს აუხსნა, თითქოს იგი ბალტიისპირეთიდან გარკვეული ტვირთის წასაღებად მოფრინაედა, რომლის აღების შემდეგაც უკან უნდა დაბრუნებულიყო. ამასობაში პროფესორი სვასიანი კიდევ ერთხელ ჩავიდა იჯევანში ერევნიდან და ზვიადს გადასცა ტერ-პეტროსიანის შემონათვალი, რაც შეიძლება, სწრაფად დაძრულიყვნენ აეროპორტისკენ. სომხეთის პრეზიდენტი, როგორც ჩანს, გარკვეულ შთაბეჭდილებას უქმნიდა თბილისის წარმომადგენლებს და რუს სამხედროებს, რომ ხელს უშლიდა ზვიად გამსახურდიას სომხეთის დატოვებაში და პრეზიდენტის ექსტრადიცია მის მიერ ერთ-ერთ შესაძლო ვარიანტად განიხილებოდა. ამავე დროს, ფაქტია: მას ხელი არ შეუშლია საქართველოს დევნილი პრეზიდენტისთვის გროზნოდან ჩამოფრენილი თვითმფრინავით დაეტოვებინა სომხეთი.

ერევანში გავრცელდა ხმა, რომ ჩეჩნების სპეცჯგუფი უკვე ჩამოსულია და შესაძლოა, ტერაქტები განხორციელდესო. ზვიად გამსახურდიას ზვარტნოცის აეროპორტში „იზვესტიას“ კორესპონდენტმა ჰკითხა, შეზღუდული ხომ არ იყო მისი თავისუფლება სომხეთში ყოფნის დროს. „ეს ასე არ არის“, – უპასუხა ზვიადმა, – „მე მადლიერი ვარ სომხეთის, მისი პრეზიდენტისა და ყველა თქვენგანის. მე სომხეთის ხალხის მიმართ საუკეთესო გრძნობები გამაჩნია. ეს უნდა იცოდეთ“. შეკითხვაზე, თუ რა მიმართულებით აპირებდნენ გაფრენას, პრეზიდენტმა კორესპონდენტს პასუხი არ გასცა. ერევნის აეროპორტში ვარაუდობდნენ, რომ თვითმფრინავი გროზნოსა ან სოხუმში გაფრინდებოდა.[640] თვითმფრინავმა ზვარტნოციდან დაუბრკოლებლად მოახერხა აფრენა და გეზი ჩრილო-დასავლეთისკენ აიღო.

მფრინავი ზაურ ბედია იხსენებს: „საქართველოს ზონაში რომ შემოვედით, სამი გამანადგურებელი დავინახე, უნდოდათ, ვაზიანის აეროპორტში დავესვით და ზვიადი ხელში ჩაეგდოთ. ისეთი ილეთები გავაკეთე, იმათ იფიქრეს, გიჟია ვიღაცაო. ამხელა თვითმფრინავით დასატაკებლად რომ მიდიხარ, არც იმას უნდა სიკვდილი. დაიფანტნენ. ისე წამოვედი პარტიზანულად, რომ ვერც შემამჩნიეს. ეგონათ, დასავლეთისკენ მივდიოდი, მაგრამ მერე ჩრდილოეთისკენ ავიღე გეზი და კავკასიონს გამოვყევი“. ბოლოს თვითმფრინავი გროზნოში მშვიდობიანად დაჯდა. ნიკოლას გორჯესტანის წიგნში განვითარებულია ვერსია, თითქოს ზვიად გამსახურდია გროზნოში ჩასვლის დღესვე გადაფრინდა სოხუმში, საიდანაც გადაინაცვლა არცთუ ისე შორს მდებარე ზუგდიდში, რათა თავის მომხრეებს შეხვედროდა. მან თითქოს სიტყვითაც მიმართა მიტინგისთვის მოედანზე შეკ-

რებილ რამდენიმე ათას მომხრეს, იქ დაჰყო რამდენიმე დღე და შემდეგ ისევ გროზნოში დაბრუნდა.[641] ეს ცნობა არცერთი მთავრობისა და პარლამენტის წარმომადგენლის მიერ არ დასტურდება. თუმცა არის ერთი გარემოება, რამაც დაეჭვება შეიძლება გამოიწვიოს: ამ წიგნის ავტორი, როდესაც შეხვდა სოხუმში ბათუ საღინაძეს, ორგანიზებულ დანაშაულთან მებრძოლი მილიციის განყოფილების უფროსს იმ წლებში, ამ უკანასკნელმა დაადასტურა, თითქოს მიიღო სატელეფონო ზარი განდევნილი პრეზიდენტის სოხუმში ჩამოსვლასთან დაკავშირებით. სავარაუდოა, რომ ეს ხმები განგებ დაიყარა და მათ გასამყარებლად სამეგრელოდან შემოიყვანეს პირი, რომელიც, შესაძლოა, გარეგნულად მიემსგავსებინათ ზვიად გამსახურდიასთვის.

მას შემდეგ, რაც ვაზიანის სამხედრო აეროპორტიდან საბჭოთა არმიის გამანადგურებლები აფრინდა, რათა ზაურ ბედიას თვითმფრინავი ჩამოგდების მუქარით დაესვათ თბილისში, უალრესად სახიფათო იქნებოდა ასეთი გაფრენის განხორციელება სოხუმისკენ და უკან გროზნოში დაბრუნება ზვიადთან ერთად თვითმფრინავის ბორტზე. პრეზიდენტი ჯოხარ დუდაევი ჩასვლისთანავე შეხვდა ზვიად გამსახურდიას, რომელიც დიდი სიხარულითა და პატივით მიიღო. მისი ბრძანებით, დევნილობაში მყოფ პრეზიდენტს გამოუყვეს სამთავრობო რეზიდენცია ქალაქ გროზნოს ცენტრალური პარკის ტერიტორიაზე, მდინარე სუნჟის ნაპირზე, ჩეხოვის ქუჩაზე. ეს იყო ორსართულიანი სახლი შიდა ეზოთი და ბაღით, რომელსაც გარს აგურით ნაშენი გალავანი ერტყა.

1992 წლის 27 იანვარს ზვიად გამსახურდიამ უკვე გროზნოდან გააერცელა განცხადება, რომლითაც მიმართა მსოფლიოს მთავრობებს, ასევე გაერთიანებული ერების ორგანიზაციას. განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ საქართველოში 1992 წლის იანვარში პოლიტიკური ავანტიურისტებისა და ადგილობრივი მაფიის მიერ შექმნილმა სამხედრო ხუნტამ მოახდინა სამხედრო გადატრიალება ქალაქ თბილისში, ძალადობის გზით მოახდინა ძალაუფლების უზურპირება, გააჩაღა ომი კონსტიტუციურად არჩეული ხელისუფლების წინააღმდეგ, რის შედეგადაც დაიხოცა ასობით ადამიანი, განადგურდა საქართველოს დედაქალაქის, თბილისის, ნაწილი. მან, როგორც საქართველოს პრეზიდენტმა, ოჯახთან ერთად დატოვა ქვეყანა, რამდენადაც მას ემუქრებოდა ანგარიშსწორება. განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ ხუნტა დემოკრატიის დამყარების ლოზუნგით სისტემატურად ხვრეტდა ან აპატიმრებდა ადამიანებს, სჩადიოდა გაუგონარ დანაშაულებებს. საქართველოს დევნილი პრეზიდენტი მოითხოვდა მსოფლიოს მთავრობებისგან ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევების მხილებას, ასევე, დახმარებას ქვეყანაში კონსტიტუციური ხელისუფლების აღდგენისთვის.[642]

5.10. რა ხდებოდა თბილისში 1992 წლის 6 იანვრის გადატრიალების შემდეგ

სამხედრო საბჭო თბილისში პოზიციებს იმაგრებდა. ყველგან ნიშნავდა თავის ერთგულ და აპრობირებულ კადრებს. თუ არ ვიგულისხმებთ „ეროვნული

კონგრესის“ მხარდამჭერებსა და პუტჩისტების აქტიურ მომხრეებს, თბილისის საზოგადოება აღშფოთებული და გაოგნებული იყო მომხდარით – ოღონდ აქ არ იგულისხმება საზოგადოება „თბილისელი“, რომელიც, პირიქით, პუტჩს უჭერდა მხარს. პირველი საპროტესტო მიტინგი ჩატარდა 2 იანვარს, პუტჩის მიმდინარეობის დროს, დიდუბის მეტროსთან, დღევანდელ ავტოსადგურ „ოკრიბას“ ტერიტორიაზე, სადაც, სავარაუდოდ, „მხედრიონის“ ან მისი მონათესავე დაჯგუფებების წარმომადგენლები მანქანებით მოვიდნენ და პირდაპირი ცეცხლი გაუხსნეს მომიტინგეებს. დაიღუპა და დაიჭრა რამდენიმე ადამიანი. მათ შორის იყო არასრულწლოვანი გივიკო რეხვიაშვილი, რომელიც ტყვიით ადგილზევე გარდაიცვალა.

6 იანვრის შემდეგ გაიმართა არაერთი მიტინგი, რომლის მონაწილეებიც ხუნტის გადადგომასა და კანონიერი ხელისუფლების აღდგენას ითხოვდნენ. ამ მიტინგების ეპიცენტრი ძირითადად ვაგზლის მოედანზე მდებარეობდა. მიტინგების უმრავლესობა ასევე დაიხვრიტა „სამხედრო საბჭოს“ ბანდიტების მიერ. მათ შორის ყველაზე საზარელი იყო 1992 წლის 2 თებერვლის მიტინგის ბედი, რომელშიც 100 ათასამდე ადამიანი მონაწილეობდა. მიტინგი დაიხვრიტა ცირკთან ახლოს – ფერდობებზე განთავსებულმა „სამხედრო საბჭოს“ მებრძოლებმა მომიტინგეებს ცეცხლი გაუხსნეს. საუბარი იყო 14 დაღუპულზე, მათ შორის იყო დროშით ხელში ყველაზე წინ მიმავალი მოზარდი მამუკა ტერიშვილი. ქალაქის კომენდანტი ამ დროს იყო გელა ლანჩავა, თენგიზ კიტოვანის კადრი. ორი თებერვლის შემდეგ სიტუაცია დაიძაბა. ჯაბა იოსელიანი წერს: „თბილისში არეულობა და დაბნეულობაა, კომენდანტის მოვალეობიდან ვათავისუფლებ ლანჩავას, ავტორიტეტი არა აქვს. ვნიშნავ გიგა არველაძეს... ტელევიზიით გამოვდივარ, მკაცრად ვაფრთხილებ რევანშისტებს, დემოკრატია ლობიორობა არ არის, დემოკრატიას ჩვენ დავიცავთ. როგორც ამბობენ, ჩემმა გამოსვლამ ნაყოფი გამოიღო, ყოველ შემთხვევაში, რევანშისტების ე. წ. მიტინგი და დემონსტრაცია არც დაგეგმილ და არც მომდევნო დღეებში ძალოვანი ექსცესების პროვოცირებით არ შედგა“.[643] ასეთია ჯაბა იოსელიანის ეზოპური ენა, რომელსაც, ალბათ, თავად ეზოპეც ვერ გაიგებდა.

პუტჩისშემდგომი მოვლენების ყველაზე ორიგინალური შეფასება მაინც მწერალ ნაირა გელაშვილს ეკუთვნის, რომელიც გაზეთ „მამულისთვის“ 1992 წლის იანვარს მიცემულ ინტერვიუში ამბობდა, რომ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება, თურმე, იმიტომ იყო დასამხობი, რომ ის ყველაზე „არამამაკაცური ხელისუფლება“ იყო, ხოლო მის დამამხობელ გვარდიელებს ყველაზე უკეთ ესმოდათ კაცობა, მამაკაცური კოდექსი და სიტყვა. შემდეგ მან ალექსანდრე დიუმას პოპულარული რომანის მუშკეტერებიც გაიხსენა, რომელთაც შეადარა სამხედრო საბჭოს ლიდერები: „ბატონი თენგიზ სიგუა ისეთ წარმოუდგენელ როლში მოგვევლინა მოულოდნელად და ისეთი სასწაულებრივი კოშმარი გამოიარა, რომ, რაკი აქამდე ჭკუაზე არ შეცდა, რაკი შესანიშნავად ფლობს საკუთარ თავს და ნერვიულ სისტემას, სიმშვიდეს ასხივებს და არავითარ აგრესიას არ ამჟღავ-

ნებს და ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ იცის რას აკეთებს, ეს უკვე ღვთის წყალობად უნდა ჩავთვალოთ... ხოლო, თუ ცოტა მხატვრულად შევხედავთ ამ ყოველივეს, დიდად კოლორიტულ ფიგურებთან გვაქვს საქმე: შემოდგომიდან მოყოლებული, ჩვენი საქართველო ხომ „სამი მუშკეტერის“ საფრანგეთს დაემსგავსა, აქეთ მეფის გვარდიას, იქით კარდინალის, რომლებიც შეიძლება გავანაწილოთ: ბ-ნი თ. კიტოვანი, რა თქმა უნდა, პორთოსია, ბატონი თ. სიგუა – არამისი (ყველაზე უფრო გამოუცნობი), ათოსი და დარტანიანი ჯაბა იოსელიანმა და გია ყარყარაშვილმა შეიძლება გადაინაწილონ“.[644] მაგრამ ცხადზე უცხადესი იყო: მხოლოდ „მუშკეტერების“ იმედად ეს წარმონაქმნი ვერ „გაფრინდებოდა“. მათ შორის პოლიტიკოსს, შედარებით წააგავდა სიგუა, თუმცა რეპუტაციულად ისიც სრულიად განულებული იყო მომხდარის შემდეგ. ამიტომაც საჭირო ხდებოდა იმ კაცის გამოსვლა წინა პლანზე, რომელიც ზვიად გამსახურდიამ რამდენიმეჯერ ახსენა, როგორც დაინტერესებული პირი საქართველოს დესტაბილიზაციაში და იგი პუტჩისტებისთვის, თუ ყველასთვის არა, მათი დიდი ნაწილისთვის მაინც, დროშა გახლდათ – ედუარდ შევარდნაძე. ქართველი პუტჩისტების არცთუ მცირე ნაწილი მასთან მოსკოვში ნამყოფი იყო შეხვედრებზე. საერთაშორისო რენომე მას ნამდვილად არ აკლდა. საქართველოში მისი დაბრუნებით განსაკუთრებით დაინტერესებულნი იყვნენ ჯაბა იოსელიანი, ასევე, თენგიზ კიტოვანი და თენგიზ სიგუაც, თუმცა ესენი, თითქოს, ჯაბაზე ნაკლებად. მაგრამ ეს „გაზომვა“, ვის მეტად უნდოდა და ვის ნაკლებად შევარდნაძის ჩამოსვლა, მაინც უმარჯვოა, რადგან იმავე კიტოვანსა და სიგუას პუტჩამდეც, პუტჩის დროსაც და შემდეგაც – იანვარ-თებერვალში კონტაქტი ჰქონდათ შევარდნაძესთან. გენერალი დუმბაძე წერს: „მოსკოვის გზაზე ჯგუფები და პიროვნებები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ. თენგიზ სიგუასა და თენგიზ კიტოვანს მე და კახა გველესიანი მივყვებოდით ხოლმე. ისინი ესაუბრებოდნენ და ეთათბირებოდნენ ხოლმე ედუარდ შევარდნაძეს“.[645]

გენერალი ლევან შარაშენიძე, მეკავშირე ამიერკავკასიის რუსული „ზაკვოს“ სარდლობასა და ქართველ პუტჩისტებს შორის, საკმაოდ საინტერესო ინფორმაციას იძლევა, რომელშიც ამ პროცესებში შევარდნაძის როლი იკვეთება: „1992 წლის 15 თებერვალს მინსკში დსთ-ის ქვეყნების სხდომა გაიმართა. სიგუა ვერ წავიდა. მე გამგზავნეს. ეს იყო პირველი განცხადება, რომელიც საქართველოს მთავრობის სახელით გაკეთდა. ტექსტი მე მოვამზადე. მინსკიდან მოსკოვში ედუარდ შევარდნაძეს დავურეკე და განცხადება გავაცანი – მოეწონა. სხდომას კრავჩუკი ხელმძღვანელობდა. მე აღვნიშნე, რომ საქართველოში სახალხო-დემოკრატიულმა რევოლუციამ გაიმარჯვა. ჩვენ ვიბრძოდით არა საპრეზიდენტო მმართველობის, არამედ პრეზიდენტის პიროვნების წინააღმდეგ. მაშინ საქართველოს დსთ-ში შესვლაზე არაფერი იყო ნათქვამი. უბრალოდ, მადლობა გადავუხადე ყველას, ვინც მხარი დაგვიჭირა. განცხადების შემდეგ კრავჩუკმა იკითხა – ვინ არის თანახმა, რომ ეს განცხადება მივიღოთ, როგორც საქართველოს ახალი მთავრობის ინფორმაციაო. ელცინმა, ნაზარბაევმა, ყველამ მხარი

დაუჭირა. ბელორუსიის პრეზიდენტმა შუშკევიჩმა კი განაცხადა – მიმაჩნია, რომ საქართველოში სისხლიანი გადატრიალება მოხდა, ეს მთავრობის წარმომადგენლის კი არა, კერძო პირის გამოსვლააო".[646]

მოსკოვში მოლოდინის რეჟიმში მყოფი და დროებით უმუშევარი შევარდნაძე 1991-1992 წლების საქართველოს პუტჩს არასოდეს გამიჯვნია, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი პუტჩს „სამოქალაქო ომად" განიხილავდა, რომლის გაჩაღებაშიც ბრალს ცალსახად ხელისუფლებას სდებდა, ხოლო პუტჩს ანუ „გადატრიალებას" – ხელისუფლების უუნარობასა და არასწორ ნაბიჯებზე რეაქციად, მას ერთგვარ „ღირსების ამბოხებად" თვლიდა. ცინცაძე-ბაღათურიას „ჩემი არჩევანი", ფაქტობრივად, მისი ავტორიზებული ბიოგრაფიაა, დაწერილი ორი ავტორის მიერ. წიგნს წამძღვარებული აქვს წარწერა: „ჩემი მეგობრები, ამ წიგნის ავტორები შეეცადნენ ერთ მთლიანობაში წარმოედგინათ ჩემი რთული პოლიტიკური მოღვაწეობა. ზოგი რამ აქ მონათხრობიდან იქნებ თქვენთვისაც საყურადღებო იყოს. ედუარდ შევარდნაძე, 4.09.2002 წელი".

როგორია მის ბიოგრაფიაში მოკლედ გადმოცემული ნარატივი 1991-1992 წლების მიჯნაზე მომხდარი მოვლენებისა? შევაჯამოთ: გამსახურდიამ გვარდიის რეფორმირება განიზრახა. გვარდია არ დაემორჩილა და კიტოვანთან ერთად რკონში დაბანაკდა. სექტემბერში დაძაბულობამ და ვნებათაღელვამ პიკს მიაღწია. გვარდია გაფიცული ჟურნალისტების დასაცავად თბილისში ჩამოვიდა, პრეზიდენტი თავის მომხრეებს მოუწოდებდა მოსულიყვნენ პარლამენტის შენობის დასაცავად. ოქტომბერში მთავრობის სასახლესთან რაიონებიდან ჩამოსული ხალხი „თბილისის მოსახლეობას" დაუპირისპირდა. ამის შემდეგ „გამარჯვებულმა" მხარემ ზეიმი გამართა, იყო ბაკქანალია და „ისმოდა ზვიადისტი ქალების ისტერიული კივილი". ამჯერად თბილისის ზღვაზე დაბანაკებულმა კიტოვანმა გააფრთხილა პრეზიდენტი, არ დაეშვა მიტინგების დარბევა. სამოქალაქო ომს ის იმ შემთხვევაში აიცილებდა თავიდან, თუ გადადგებოდა და ახალ არჩევნებს დანიშნავდა. მაგრამ პრეზიდენტს ამის გამბედაობა არ ეყო. აფხაზეთში ჩატარდა „აპარტეიდული" არჩევნები, ტერორიზმი და ყაჩაღობა იყო სამაჩაბლოსა და დანარჩენ საქართველოში. ამასობაში სსრკ-ც დაიშალა. 22 დეკემბერს მთავრობის სასახლიდან მომიტინგეებს ცეცხლი გაუხსნეს. გვარდიელები ჩამოვიდნენ რუსთაველზე, კიტოვანმა და სიგუამ შტაბი სასტუმრო „თბილისში" მოაწყვეს და დაიწყო გააფთრებული შეტაკებები. მთავრობა „ბუნკერში" გადავიდა. ოპოზიციის სამხედრო ძალა გაძლიერდა, ციხიდან გათავისუფლდნენ ჯაბა იოსელიანი და მხედრიონელები. „სამხედრო გადატრიალება" წარმატებით დასრულდა. გამსახურდია ხელშეუხებლობის გარანტიითა და მცირე ამალით ტოვებს მთავრობის სახლს და სომხეთში პოვებს დროებით თავშესაფარს, აქედან კი გროზნოში აღმოჩნდება, შემდეგ „შემოიკრებს ლეგიტიმური უზენაესი საბჭოს ნაწილს და ახლა უკვე შეუნიღბავად გააგრძელებს ბრძოლას საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ". შემდეგ მსჯელობა ასეა გაშლილი – რა იყო „თბილისის ომი", სამხედრო გადატრიალება თუ სახალხო რევოლუცია?

ვარაუდობდნენ, რომ 1992 წლის გაზაფხულამდე გამსახურდიას ხელისუფლება თავისით დაემხობოდა, მაგრამ ეს სცენარისტების გეგმაში არ შედიოდა. ბოლოს წიგნში ისევ შევარდნაძის დასკვნაა ეზოპურ ენაზე, რომლის აზრსაც, როგორც ზემოთ, ჯაბა იოსელიანის შემთხვევაში, თვით ეზოპეც ვერ ჩახვდებოდა, ცოცხალი რომ ყოფილიყო, და, ალბათ, ვერც დიდი ჰერმენევტიკოსი ზენონი: „ახლა ბევრს კამათობენ, საქართველოში გადატრიალება იყო თუ რევოლუცია! ეს არსი როდია. ვითარება ექსტრემალური იყო. არსებითად მაშინ დამყარდა სამხედრო მმართველობა". იქვე, თითქოს განგებ, შეცდომითაა აღნიშნული, რომ თენგიზ კიტოვანი გამსახურდიას დროს თავდაცვის მინისტრი იყო.[647]

ჯაბა იოსელიანი 1992 წლის იანვარ-თებერვალში შექმნილი სიტუაციის ასეთ სურათს წარმოგვიდგენს: „არის გვარდია – კიტოვანი, არის „მხედრიონი" – ჯაბა, არის ეკონომიკური სადავეების მქონე ბიუროკრატია – სიგუა, არის სათათბირო – პოლიტიკური პარტია პლუს საზოგადო კულტურის მოღვაწეები და არიან ხალხის სავარაუდო წარმომადგენლები გამგებლების სახით. მაშასადამე, ყველაფერ ამას ახალი გაფორმება სჭირდება. ჰოდა, თუ სათათბირო სახელმწიფო საბჭოს რანგში ამაღლდება, პარლამენტის ფუნქციებით, ვიდრე არჩევნებამდე გვექნება დემოკრატიული მმართველობა, ხელისუფლების ასეთ სისტემაში შეიძლება ჩაირთოს შევარდნაძეც. როგორც სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე. თვით საბჭოში კი პრეზიდიუმი, როგორც ბალანსი და მაკონტროლებელი ორგანო".[648] ამის შემდეგ იოსელიანი წერს, რომ დარეკა მოსკოვში, შევარდნაძესთან და ულტიმატური ფორმით უთხრა, ჩამოსვლა ათი დღისთვის არ გადაეცილებინა, – თუ გადააცილებ, მერე შეიძლება გვიან იყოსო. იოსელიანი აღნიშნავს, რომ ამ ნაბიჯის, ანუ შევარდნაძის ჩამოყვანის, გარეშე კიტოვანი ტიპურ ხუნტას შექმნიდა და სამხედროებს შემოყრიდაო – თითქოს ეს წარმონაქმნი – ჯერ სამხედრო, მერე კი სახელმწიფო საბჭო – ყველა ნიშნით „ხუნტა" არ ყოფილიყო.

იოსელიანი ახსენებს კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორესაც, რომელსაც იგი რამდენიმეჯერ შეხვდა: „ილია მეორე ხშირად მპატიჟებს თავისთან, მამაშვილურად მეფერება... ბაგრატიონების პატივსაცემად გამართული ვახშმის წინ ვისაუბრეთ საქართველოს ახლო მომავალზე. ძალიან გახარებულია, რომ ვითავე შევარდნაძის ჩამოყვანა".[649]

ედუარდ შევარდნაძე თბილისში 1992 წლის 7 მარტს ჩამოფრინდა მოსკოვიდან. იოსელიანი არაფერს წერს მის მიერ აეროპორტშივე გაკეთებულ განცხადებაზე, სადაც ინტელიგენციას მიესალმა და მადლობა გადაუხადა, რომ იარაღი აიღო ხელში „დიქტატურის" წინააღმდეგ და დემოკრატიის დასამყარებლად. დ. გამცემლიძე წერს, ამ ფრაზით შევარდნაძემ სავსებით სწორად და სამართლიანად განსაზღვრა ადრესატი და წაართვა მას ისტორიული პასუხისმგებლობისაგან თავის დაძვრენის (ამ პასუხისმგებლობის სხვაზე გადაბრალების) საშუალებაო.[650] საოცარი მსჯელობაა თავისი ალოგიკურობითა და მიკერძოებულობით: რაში ესაჭიროებოდა შევარდნაძეს 1991-1992 წლების მიჯნაზე მომხდარისგან გამიჯვნა იმ პერიოდში? მას ეს რეალურად არც არასდროს დასჭირვებია. 2000 წელს ზუ-

რაბ ჟვანიამ პარლამენტს, რომლის თავმჯდომარეც თავად იყო, მიაღებინა ამ მოვლენების შემაფასებელი დოკუმენტი – დადგინდა, რომ ეს იყო „სახელმწიფო გადატრიალება". თუმცა, დოკუმენტს არ ახლდა არანაირი ნორმატიული აქტი, არც განმარტება, ვინ იყვნენ მისი აქტორები, მამოძრავებელი ძალა. ან „ინტელიგენცია" ასეთ რა საფრთხეს წარმოადგენდა შევარდნაძისთვის მისი ხელისუფლებაში ყოფნის ან თუნდაც გარანტირებული, მშვიდი პენსიონერის ცხოვრებისას, რომ მათთვის დაეკისრებინა პასუხისმგებლობა?

შევარდნაძის ჩამოსვლის შემდეგ ოფიციალურად ცხადდება სამხედრო საბჭოს „სახელმწიფო საბჭოდ" გარდაქმნა. ჯ. იოსელიანთან ვკითხულობთ: „ოთხკაციანი პრეზიდიუმი ვეტოს უფლებით, საბჭოს თავმჯდომარე შევარდნაძე, მოადგილე მე და საბჭო დაკომპლექტებული, როგორც გათვალისწინებული იყო, პარტიების ლიდერებით, საზოგადო მოღვაწეებით, გამორჩეული ადამიანებით".[651]

აფხაზი ისტორიკოსი სტანისლავ ლაკობა თავის ინტერვიუში ხსნის, რომ შევარდნაძის ჩამოყვანის მიზანი 1992 წლის ხუნტისთვის მისი ავტორიტეტით საკუთარი კრიმინალური წარსულისა და პუტჩის დანაშაულის გადაფარვა იყო: „როდესაც იოსელიანს ჰკითხეს, შევარდნაძე რად გინდათო, მან უპასუხა: „შენ ხომ იცი, ჩვენ ვინ ვართ? ჩვენ შირმა გვჭირდება". მე ვუთხარი: „თქვენ თავს დაიღუპავთ!". ის მაინც თვლიდა, რომ შევარდნაძე ესაჭიროებოდათ, როგორც შირმა, მას იცნობდნენ მსოფლიოში. „შენ ხომ იცი ჩვენი ბიოგრაფია", – მითხრა მან. აი, ასე სჯიდა. ეს ნაწილობრივ კრიმინალური ხელისუფლება იყო. გამსახურდია, რასაკვირველია, სხვა გარემოს ადამიანი იყო, ინტელიგენტური ოჯახიდან, მწერლის შვილი".[652]

გროზნოში 1992 წლის 12 მარტს შეიკრიბა უზენაესი საბჭოს სესია. დეპუტატები, რომლებიც გაფანტულები იყვნენ თბილისში, გროზნოში, მოსკოვსა და რამდენიმე ქალაქში, სათითაოდ ჩავიდნენ გროზნოში. ამ შეკრებას, რა თქმა უნდა, სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა – ჩვენ ვცოცხლობთ და პოლიტიკაში დარჩენას ვაპირებთ, მიუხედავად იმისა, რომ ამოქმედებული იყო ფორმულა – „ყველა მინუს ერთი". ბევრი დეპუტატი დაჭრილი, ნაცემი ან პატიმრობაში ნამყოფი იყო. ყველგან, სადაც უნდა გაჩერებულიყვნენ, ბოლო თვეების განმავლობაში, უკიდურესად მძიმე პირობებსა და სიღარიბეში უწევდათ ცხოვრება. პრეზიდენტმა შეკრებილ დეპუტატებს სიტყვით მიმართა, რომ ხუნტის ტერორს ისინი არ უნდა შეეკრთო და საჭირო იყო მშვიდობიანი მეთოდებით ბრძოლა კანონიერების აღდგენისათვის. აკაკი ასათიანის ნაცვლად, დევნილობაში წასული უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შესრულება დეპუტატ მერაბ კიკნაძეს მიანდეს. დეპუტატებს ასევე მიმართა ჩეჩნეთის დამოუკიდებელი რესპუბლიკის, „იჩქერიის" პრეზიდენტმა ჯოხარ დუდაევმა.

მომდევნო დღეს, 13 მარტს, საქართველოს უზენაესმა საბჭომ დევნილობაში ასეთი პოლიტიკური შეფასება მისცა თბილისში მომხდარ მოვლენებს: „1. 1991 წლის დეკემბრისა და 1992 წლის იანვრის მოვლენები, რომლებიც მოხდა საქარ-

თველოში, კვალიფიცირებულ იქნეს როგორც სახელმწიფო გადატრიალება; 2. არაკანონიერი ხელისუფლების სტრუქტურების – „სამხედრო საბჭო“ და ა. შ. შექმნა კვალიფიცირებულ იქნეს, როგორც ხელისუფლების უზურპაცია; 3. ყველა აქტი, რომელიც მიღებულია საქართველოს არაკანონიერი ხელისუფლების მიერ, მათ შორის, პარლამენტის არჩევნების დანიშვნის აქტი, გამოცხადდეს იურიდიული ძალის არმქონედ; 4. სახელმწიფო გადატრიალების ორგანიზატორების მოქმედება კვალიფიცირებულ იქნეს, როგორც სამშობლოს ღალატი; 5. საქართველოს მოსახლეობას მოვუწოდებთ უკანონო ხელისუფლების დაუმორჩილებლობას“.

პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ დევნილობაში ასევე განცხადება გააკეთა ედუარდ შევარდნაძის საქართველოში დაბრუნებასთან დაკავშირებით, რომელშიც აღნიშნა, რომ საბოლოოდ აეხადა ფარდა იმ ალიანსს, რომელიც არსებობდა დანაშაულებრივ ხუნტასა და იმპერიის ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრს შორის. ასევე ჩამოთვალა იმპერიის ცენტრის მიერ დასახული ინსტრუქციები და მიზნები, რომელთა განხორციელებასაც შეეცდებოდა შევარდნაძე: ხელისუფლების უზურპაცია, საქართველოს ხელახალი ანექსია იმპერიის საოკუპაციო ჯარების დახმარებით, საქართველოში ტერორისტული, ტოტალიტარული რეჟიმის დამყარება, ეროვნული მოძრაობის განადგურება, მთელი ძალაუფლების მოქცევა ისევ პარტოკრატიისა და მაფიის ხელში, საქართველოს კვლავ დაბრუნება რუსეთის პოლიტიკურ ორბიტაზე, მისი შეყვანა ე. წ. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში.[653]

1992 წლის 12 აპრილს საქართველოში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ჰანს-დიტრიხ გენშერი, რაც იმის ნიშანი იყო, რომ მოსკოვიდან პარიზამდე და ვაშინგტონამდე არსებულ პოლიტიკურ ველში გარკვეული კონსენსუსი იკაფავდა გზას – საქართველო რჩებოდა რუსეთის გავლენის არეალში და მას დასავლეთისა და ელცინის გუნდისთვის კარგად აპრობირებული ედუარდ შევარდნაძე უხელმძღვანელებდა. საერთაშორისო აღიარების პროცესი ჯერ კიდევ პუტჩამდე დაიწყო და პუტჩის დროსაც გრძელდებოდა. ამჯერად, გერმანიაც შეუერთდა იმ ქვეყნებს, რომლებმაც საქართველო აღიარეს. რუსეთისა და დასავლეთის ლიდერების ძირითადი ჯგუფისგან ზვიად გამსახურდია გაიწირა, თუმცა დასავლეთში რჩებოდნენ ძალები, რომლებიც დაახლოებით ისევე ხედავდნენ საკითხს, როგორც ბელორუსის ლიდერი შუშკევიჩი. ლეგიტიმურობა, მიუხედავად მაკიაველისტური მიდგომებისა, სანაგვე ურნაში ასე იოლად მოსასროლი ცნება მაინც არ გამოდგა, რამდენადაც ესმოდათ, რომ ამ შემთხვევაში დასავლეთი საკუთარ თავსა და პრინციპებს კიდევ ერთხელ უღალატებდა, ეს კი დროთა განმავლობაში იმ პრინციპების ეროდირებას გამოიწვევდა, რომლებზეც დასავლური ცივილიზაცია იდგა. ეს დაადასტურა მოგვიანებით ზვიად გამსახურდიას ვიზიტმა ევროპაში.

გენშერმა საქართველოში 300 ათასი დოლარი ჩამოიტანა, რამაც გააჩინა ცრუ იმედები, რომ დასავლეთი სისტემატურად განახორციელებდა „ფინანსუ-

რი შპრიცების“ შეშხაპუნებას მარადიორულ, რეიდერულ და ბანდიტურ გარეშოში; რომ „ხელფასებს გერმანულ მარკებსა და დოლარებში დაარიგებდნენ“. ამ დროს – იგულისხმება 1992-1993 წლები – წინააღმდეგობის მოძრაობაც იკრებდა ძალას. მისი აქტივისტები იყვნენ: თენგიზ კიკაჩეიშვილი, ვახტანგ ცაგარეიშვილი, ეთერ მგალობლიშვილი, რამინ როგავა, ჯულიეტა მილდიანი, ლეილა ცომაია, ირინა ტალიაშვილი, ეთერ ხახუბია, თამაზ რევია, რუსუდან პატარაია, თამარ დადიანი, ქეთევან აბდალაძე, მირანდა ქორიძე, ლია ენუქიძე, მორის მუსერიძე, კობა ბუკია, ნონა დოჭვირი, ანა ჭავჭავაძე, მელორ წურწუმია („ბაბუ“), მიხეილ დიდებულიძე, მაია კერესელიძე, ნანა ზუმბურიძე, დალი ქვირია, ნანა გელაშვილი, ჯემალ გამახარია, კახა მიგინეიშვილი, მზია ჟღენტი და სხვები. მიტინგებსა და დარბევებს იღებდა ოპერატორი ზურაბ შანიძე. სამეგრელოში აქტიურობდნენ კახა მიქაია, მერაბ ჩუხუა, გია მამფორია – აქ აღარ ჩამოვთვლი დეპუტატებს, ასევე, პრეფექტურის თანამშრომლებსა და გვარდიის წარმომადგენლებს. სტუდენტური მოძრაობა თბილისში ცალკე ჩამოყალიბდა. მისი აქტივისტები იყვნენ გოჩა კელენჯერიძე, ეკა ხერხეულიძე, ცოტნე ბაკურია, ხატია ღუდუშაური, სანდრო ბრეგაძე, ანა ფანქველაშვილი, თამარ ძნელაძე, თამარ გიორგობიანი და სხვები. გამოდიოდა ხუთი გაზეთი: „იბერია სპექტრი“ (რედაქტორი ირაკლი გოცირიძე), „საქართველოს სამრეკლო“(რედაქტორი ელიზბარ ჯაველიძე), „აღდგომა“ (რედაქტორი მურმან ზაქარაია), „წალენჯიხის ზარები“ (რედაქტორი თამაზ ფიფია), „საქართველოს ცის ქვეშ“ (რედაქტორი მზია შერვაშიძე). პირველი ორი გაზეთი ოფიციალურად რეგისტრირებული იყო, მაგრამ მათ გავრცელებას კრძალავდნენ ხუნტის შეიარაღებული ფორმირებები, რომელთა წარმომადგენლები აკავებდნენ ან სცემდნენ გაზეთის გამავრცელებლებს, იყო არაერთი შემთხვევა შეიარაღებული პირების მხრიდან რედაქციებში შეჭრისა. ამის გამო ეს გაზეთები მეტწილად არალეგალურად ვრცელდებოდა.

5.11. კოლხური კოშკის მდგომარეობა პუტჩის შემდეგ და მისი გადარჩენის საქმეში გურამ შარაძის ჩართვა

კოლხურ კოშკს ამბოხებულები ჯერ კიდევ 22 დეკემბრიდან უშენდნენ ტყვიებს. პუტჩისტებმა წმინდა პანტელეიმონის ტაძარზე დაამონტაჟეს ტყვიამფრქვევი, საიდანაც პერიოდულად კოშკის მიმართულებით ისროდნენ. მიზანი ცხადია იყო – ზეწოლის გაზრდა, რათა მოწინააღმდეგე იძულებული გაეხადათ გამოეცხადებინა კაპიტულაცია. ამავე დროს დაცვის გაძლიერება აქ, ბუნებრივია, შეიარაღებული დამცველების გარკვეულ რაოდენობას მოაკლებდა მთავრობის სასახლეს. ნლის ბოლოს კოშკზე იერიშები თითქმის შეწყდა, ხოლო დაცვის უკანასკნელი შენაერთი, რომელმაც დატოვა კოშკის მიმდებარე ტერიტორია, იყო დედოფლისწყაროს პატარა საპოლიციო რაზმი, რომელიც დაახლოებით 30 პოლიციელისგან შედგებოდა. როდესაც პრეზიდენტმა თავის ოჯახთან

ერთად დატოვა დედაქალაქი, კოშკს არავინ იცავდა. დაცვაც მთლიანად გაჰყვა პრეზიდენტს აზერბაიჯანისკენ.

იმჟამად ლიტერატურის მუზეუმის დირექტორი, პროფესორი გურამ შარაძე იხსენებდა, რომ 6 იანვარს, გამთენიისას, მიიღო სატელეფონო ზარი ნაცნობი ქალბატონისგან, რომელმაც უთხრა, პრეზიდენტმა საქართველო დატოვა, ეს ნაძირალები კი კოშკს შეესივნენ და კონსტანტინე გამსახურდიას არქივს საფრთხე ემუქრებაო. „ჩემს ვალდებულებად ჩავთვალე, რომ კოშკისთვის უნდა მომეველო და მეპატრონა, რადგან ჩემთვის იგი მუზეუმზე მეტია", – იხსენებდა ბატონი გურამი. თუმცა კოშკთან მას დახვდნენ მხედრიონელები, რომლებმაც ეზოში შესასვლელად იოსელიანის ან კიტოვანის ხელმოწერილი საშვი მოითხოვეს. გურამი მეცნიერებათა აკადემიის შენობაში შეხვდა ჯაბა იოსელიანს, სადაც მას გათავისუფლების შემდეგ კაბინეტი ჰქონდა მოწყობილი და მეტად ემოციურად, შემტევად აუწყა შექმნილი მდგომარეობის შესახებ. ჯაბა, რომელსაც ახსოვდა, რომ გურამ შარაძე წლების წინ მისი დისერტაციის დაცვისას სამეცნიერო საბჭოს წევრი იყო, მოერიდა მასთან ურთიერთობის გამწვავებას და საშვი გაუმზადა. გურამ შარაძე ამ საშვით კოშკთან მივიდა, მაგრამ ის უკვე დაელუქა პროკურატურის წარმომადგენელს. მან მოითხოვა რომელიმე ოჯახის წევრის ან ახლო ნათესავის მისვლა იქ, რათა მისი თანდასწრებით მომხდარიყო ლუქის ახსნა. როდესაც ეს ინფორმაცია მოვისმინე, ბუნებრივია, წამოიჭრა საკითხი, რა უნდა მექნა. რამდენადაც ფეხმძიმე მეუღლესა და მცირეწლოვან ვაჟთან ერთად იატაკქვეშეთში ვიყავი გადასული, მოვერიდე იქ მისვლას. ჩავთვალე, რომ ჩემი გამოჩენა იქ, შესაძლოა, მტერს ბოროტად გამოეყენებინა, რის შემდეგაც უკვე ხუნტის მძევალი გავხდებოდიო – იგონებს გურამ შარაძე.

გურამ შარაძემ მეზობლებისა და მუზეუმის თანამშრომლებისგან სასწრაფოდ შექმნა კომისია, რომლის ერთ-ერთი წევრიც იყო ეროვნული მოძრაობის აქტივისტი ციცი ბუქურაული. კოშკთან მორიგეობა დაწესდა, რომელიც მალე ჩაანაცვლა მთაწმინდის რაიონის პოლიციის უფროსის, ელგუჯა ჯამბურიას, მიერ საგანგებოდ გამოყოფილმა ჯგუფმა. მაგრამ 15 მარტს კოშკს ცეცხლი გაუჩინეს, რის შესახებაც გურამს ღამის სამ საათზე შეატყობინეს მეზობლებმა. ცეცხლის გაჩენის მიზეზი იყო ზემო ვერაზე მდებარე ათსართულიანი სახლის სახურავიდან ნასროლი ცეცხლგამჩენი ტყვიები, რომლებმაც დააზიანა კრამიტები და გამოიწვია სახურავის ძელების აალება. ცეცხლი გადავიდა ხის კიბეზე და მთელ სახლს მოედო. გურამ შარაძის თქმით, ეს შეასრულა ისეთმა პირმა, რომელიც კარგად იცნობდა ამ სახლის შიდა აგებულებასა და ხის კონსტრუქციებს.

ამ დროს ედუარდ შევარდნაძე ცხრა დღის დაბრუნებული იყო საქართველოში.[654] პირველი, რაც გურამ შარაძემ კოშკთან მისვლისას გააკეთა, იყო ის, რომ მეხანძრეებს შეაწყვეტინა წყლის უკონტროლო დასხმა – რასაც ცეცხლი ვერ გააფუჭებდა, მას უთუოდ დააზიანებდა წყალი. ბატონი გურამის მიერ იმ დღესვე შეიქმნა ახალი კომისია და განხორციელდა ყველაფრის აღწერა. ეს გა-

დარჩენილი არქივი, მასალები, სურათები, ცალკეული ნივთები და ა. შ. თავიდან ეროვნულ ბიბლიოთეკაში მიუტანიათ, რომლის დირექტორსაც, აკაკი ძიძიგურს, უარი უთქვამს მათ მიღებაზე და ეს ასე აუხსნია: მაგის გამო ახლა ამ ბიბლიოთეკასაც ხანძარს გაუჩენენო. უარი ითქვა მათ მიღებაზე ასევე ხელოვნების მუზეუმშიც, რომელსაც ახალი დირექტორი ჰყავდა, პუტჩის აქტიური და თავგამოდებული მომხრის, პროფესორ ნოდარ ლომოურის სახით. გურამ შარაძის თქმით, ლომოურმა უარი თქვა თვით დავით კაკაბაძისა და ლადო გუდიაშვილის ნამუშევრების მიღებაზე, რახან ისინი კოლხურ კოშკს ეკუთვნოდა. მხოლოდ საარქივო დეპარტამენტის დირექტორმა ზურაბ მახარაძემ მიიღო მათი ერთი ნაწილი.

ამასობაში კი მუშა ჯგუფი შეუდგა არქივის რესტავრაციასა და დახარისხებას. სტეინვეის ფორტეპიანო დროებით დააბინავეს პიანისტ მედეა ფანიაშვილთან, ავეჯი, მათ შორის, მწერლის სამუშაო მაგიდა და ნივთების გარკვეული რაოდენობა, შეინახეს იზაბელა ერგემლიძესთან. ამ ქალბატონმა თავისი ბინა სამი წლით დაუთმო მუზეუმს ამ ნივთების შესანახად. ბევრი ნივთი სამუდამოდ განადგურდა, როგორც, მაგალითად, მწერლის მეუღლისა და ზვიადის დედის, მირანდა ფალავანდიშვილის პორტრეტი, დახატული გრაბარის მიერ და თავად მწერლის ცნობილი პორტრეტი, შესრულებული ქეთევან მაღალაშვილის მიერ. ცეცხლმა ზემოდან ჩააღწია, ასევე, პირველ სართულზე და გაანადგურა ზვიადის ოთახი, მთელი არქივითა და ბიბლიოთეკით. შემდეგ გურამ შარაძე იგონებს: „ამ წამებაში ვარ და შეიარაღებული ნაძირალებისგან შემდგარი რაზმით მომადგა გელა ლანჩავა, მაგრამ კოშკის ეზოში არ შევუშვი. ერთი საათის შემდეგ უკვე სავსე ავტობუსით მობრუნდა. ამას დამიდასტურებს მაშინ რაზმაძის მოადგილე, დღეს კი საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე ვახტანგ გვარამია. მე მაინც არ ვუშვებდი და ხეს ამოფარებული ვახტანგ გვარამია შორიდან ადევნებდა თვალს ჩემს საუბარს ამ ნაძირალებთან. წამოყვანეს ავტობუსში და რაციით მასაუბრეს თენგიზ სიგუასთან. შენ მანდ რეებს ბედავო, დაგხვრეტ ადგილზეო, – მეუბნება სიგუა. შენ რანაირი პრემიერ-მინისტრი ხარ, გურამ შარაძეს საათ-ნახევარი ელაპარაკები, ან დამხვრიტე, ბოლოს და ბოლოს, ან თავი დამანებე-მეთქი, ვუთხარი. ამასობაში ჩვენი საუბარი რადიოხულიგნებს ჩაუწერიათ და გაუგზავნიათ ბატონი ზვიადისთვის გროზნოში მირეკავს ბატონი ზვიადი და მეუბნება: „ჩემო გურამ, მე სათანადოდ ვერ დაგაფასე და თუ მეღირსა როდესმე საქართველოში დაბრუნება, ამ დიდ ამაგს ოდესმე გადაგიხდი“. როგორც გურამ შარაძე ადასტურებს, ზვიადი თავიდანვე წინააღმდეგი იყო კოლხური კოშკის აღდგენის. მას სურდა, რომ იგი დარჩენილიყო შევარდნაძის ხელისუფლების ვანდალიზმის ცოცხალ ძეგლად.

შემდეგ დავურეკე გროზნოში და გადავაფიქრებინეო, – აგრძელებს გურამ შარაძე, მან დამიჯერა, მოლბა... „ამის შემდეგ რაც მოვახერხეთ, გადავხურეთ კოშკი და დღემდე კოლხური კოშკი რომ დგას, არ ჩამოიქცა, არ ჩამოინგრა და აგურ-აგურ არ იქნა გატანილი – ეს მე გავაკეთე! ამაში ძალიან დიდი დახმარება

გამიწია ბატონმა ირაკლი ანდრიაძემ (ზვიადის ხელისუფლებაში ყოფნის დროს ქალაქის მერმა, კ. გ.), რომელმაც ბორჯომიდან ჩამომიტანა არაჩვეულებრივი ხის მასალა. შემდეგ, გაზაფხულზე, ბოტანიკოსებიც კი მოვიყვანე, აღვწერე ბაღი და ზოგიერთი რამ აღვადგინე კიდეც".

გურამ შარაძე, ზვიადის ანდერძის მიხედვით, ითვლებოდა კოლხური კოშკის შენარჩუნებისა და მისი აღდგენის ხელმძღვანელად. იგი თვლიდა, რომ კონსტანტინე გამსახურდიას საფლავი არ უნდა დარჩენილიყო კოლხური კოშკის ბაღში, არამედ მისი ნეშტი უნდა გადასვენებულიყო მთაწმინდის პანთეონში. მოგვიანებით, ამ ამბებიდან თხუთმეტი წლის შემდეგ, ტრაგიკული და საზარელი იყო გურამ შარაძის აღსასრული და ვიდრე ქალაქის ცენტრში უმოწყალოდ დახვრეტდნენ, გარკვეული ხნით ადრე, მოვასწარი მისთვის მადლობის თქმა, რამაც თუნდაც ერთი სიმძიმე მომხსნა გულიდან.

5.12. დასავლეთ საქართველოს ვანდეა პუტჩის შემდგომ და საინფორმაციო ომი

მთავრობის სასახლეს პუტჩის დროს დასავლეთ საქართველოდან, განსაკუთრებით კი სამეგრელოდან ჩამოსული არაერთი გვარდიელი იცავდა. ხუნტის პროპაგანდისტებმა სრულიად ტრაიბალისტური, საქართველოს ერთიან ერად შეკვრის იდეოლოგების საწინააღმდეგო პროპაგანდა გააჩაღეს – ამით მათ თითქოს იმის დამტკიცება სურდათ, რომ პუტჩის, შევარდნაძის, ინტელიგენციის, სამხედრო საბჭოს მხარეზე ურბანული და შედარებით ცივილიზებული მოსახლეობა იდგა, პრეზიდენტს კი მხარს „სოფლელები" უჭერდნენ, განსაკუთრებით კი, სამეგრელოდან ჩამოსულები. რატომ? რითი ასაბუთებდნენ ამას? იმიტომ, რომ ზვიად გამსახურდიას ძირი სამეგრელოდანაა, – ამბობდნენ ისინი, და ეს იყო პრიმიტიული, გონებაშეზღუდული ადამიანებისთვის განკუთვნილი ახსნა. ისე გამოდიოდა, რომ ზვიადი მამათსა ან რომელიმე სხვა სოფელში გაიზარდა, ხოლო შევარდნაძე მთაწმინდასა და ვერაზე. პუტჩისტებმა მალევე აიტაცეს ჯერ კიდევ პუტჩამდე საბჭოთა ინტელიგენციის წიაღში გამოჩეკილი პროპაგანდისტული გამოთქმა – „პროვინციული ფაშიზმი", რომელსაც ფრთებიც მიაწებეს, ახალგაზრდა ინტელექტუალებისთვისაც მიმზიდველი რომ გაეხადათ (ამ დროს, სამეგრელოს მოწინავე ადამიანების, მისი ინტელიგენციის კულტურა და დონე მთლიანად გადაწონიდა ამ ფსევდოინტელექტუალი ცვედანებისას.). აქვე ჩადებული იყო კარგად მოფიქრებული კონცეპტიც – ისტორიული ფაშიზმი ევროპაში დაიძლია სამხედრო ძალით. ამ კონცეპტით ეს „პროვინციული ფაშიზმიც", თუკი ამის საჭიროება დადგებოდა, ანალოგიური მეთოდებით უნდა დაძლეულიყო და მასთან მებრძოლნი სინდისს დიდად არ უნდა შეეწუხებინა, თუკი აოხრდებოდა მთელი კუთხე, განადგურდებოდა ოჯახები, რადგან ეს ფასი მაინც გადასახდელი იქნებოდა.

მოსკოვურ არხებზე კი აქტუალური გახდა ტერმინი „ზვიადისტები". ამით რუსეთის ფედერაციის პროპაგანდა ცდილობდა ეჩვენებინა, რომ საქმე არა ღირებულებებში, არა სახელმწიფოებრიობისა და დამოუკიდებლობის დაცვაში, არამედ ერთი კაცის კერპად ქცევაში, მისდამი კაპრიზულ თაყვანისცემაში იყო. თავად ეროვნული მოძრაობის „მრგვალი მაგიდის" ფრთის მომხრეები თავიანთ თავს ასე არ მოიხსენიებდნენ, თუმცა მას შემდეგ, რაც მოხდა დამხობილი ხელისუფლების მომხრეთა გამოსვლების მასობრივი დარბევები ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით, დაიწყო დაპატიმრებები და მათ მიმართ გაძლიერდა არაადამიანური მოპყრობა, ბევრ მათგანს აშკარად მოეწონა მტრის მიერ არცთუ კეთილი განზრახვით შერქმეული სახელი და თავადაც იწყო გამეორება: „დიახ, ჩვენ ზვიადისტები ვართ", – ამბობდნენ ისინი.

ეს პოლიტიკური ტერმინი პირველად გამოიყენა საქართველოდან აშშ-ში ემიგრირებულმა ედუარდ გუდავამ წერილში, რომელშიც იგი საქართველოს ეროვნული მოძრაობისა და მოღვაწეების შესახებ მსჯელობს. ამ წერილში იგი აღნიშნავს: „ცრუწინასწარმეტყველები თავს მხსნელებად აცხადებენ ... ეს დემოკრატიული ღირებულებების ღია ანტიპოდია, ჩვენი შეხედულებით „ზვიადიზმი" არის უკიდურესი ხარისხის შოვინისტური პოპულიზმი, პოლიტიკური პრიმიტივიზმი", „ზვიადისტურ" საქართველოს არასოდეს არ ექნება ადგილი ცივილიზებულ ქვეყნებს შორის, რომ არაფერი ვთქვათ სხვა დამლუპველ შედეგებზე".[655] დააკვირდით წერილის დაწერის თარიღს – 1990 წლის ივნისი. სწორედ ამ პერიოდში გამოიკვეთა ის ფაქტორი, რომ ეროვნული მოძრაობა „მრგვალი მაგიდის" გზით წავიდოდა და არა – „ეროვნული კონგრესის გზით", რაც გულისხმობდა ახალი ხელისუფლების ლეგიტიმაციას ერთი ოფიციალური და თავისუფალი არჩევნებით, და არა – არაფორმალური ორგანოს არჩევით, რომელსაც გაურკვეველი ფუნქციები ექნებოდა და საერთოდ არ ექნებოდა ლეგიტიმაცია.

1992 წლის 6 იანვარს, როდესაც ხელისუფლებამ მთავრობის სასახლე დატოვა, სამეგრელოდან ჩამოსული გვარდიელების ნაწილი თავიანთი ავტობუსით დასავლეთისკენ დაადგა გზას. მცხეთასა და ქსანს შორის, სოფელ აღაიანის მისადგომებთან, ისინი ჩასაფრებაში მოყვნენ, რომელიც „მხედრიონმა" ან მისმა მოკავშირე რომელიღაც პარამილიტარულმა დაჯგუფებამ მოაწყო. გვარდიელთა ნაწილი, თითქმის ორმოცი მებრძოლი, ამოხოცეს, ნაწილი დააკავეს. არადა, კანონიერ ხელისუფლებასა და სამთავრობო ძალების ჯარისკაცებს, თუკი ისინი მთავრობის სასახლისა და ქალაქის დატოვებას გადაწყვეტდნენ, ხუნტა თითქოს ხელშეუხებლობის გარანტიებს აძლევდა. აქედან ჩანს, რა ფასიც ჰქონდა ხუნტის გარანტიებს.

ჯაბა იოსელიანი თავის მოგონებებში წერს, რომ ხუნტის ძალებმა დასავლეთ საქართველოსკენ გადაადგილება თბილისში ძალაუფლების ხელში აღებიდან მალევე დაიწყეს. იანვრის შუა პერიოდსა და თებერვლის დასაწყისში ისინი უკვე ოპერირებდნენ ლიხის ქედს გადაღმა. იოსელიანი წიგნში გაკვრით, მაგრამ მაინც აღნიშნავს და ვერ მალავს ხალხის ნეგატიურ განწყობას ხუნტისადმი.

თუმცა იგი ცდილობს, უფრო მუქად და დრამატულად წარმოაჩინოს ძველი სახელმწიფო რესურსის მიერ ორგანიზებული შეიარაღებული წინააღმდეგობის როლი და მიჩქმალოს სპონტანური, შეუიარაღებელი მიტინგების ფაქტორი. მხოლოდ სიტყვაძუნწად აღნიშნავს, ქუთაისში „ზვიადისტების“ მიტინგებს ვიღაც მასწავლებელი ქალი (ალბათ, იგულისხმება ქუთაისის „ჰელსინკის კავშირის“ აქტივისტი ლია კაცაძე, კ. გ.) უწევდა ორგანიზებასო. ასევე ახსენებს ვანში გამაგრებულ 100-კაციან, ავტომატებით შეიარაღებულ რაზმს, ასევე სამტრედიის პრეფექტის, ზვიად ძიძიგურის, „რაზმს“, რომელიც დაითანხმეს დაეტოვებინა სამტრედია. აქ აშკარა ფაქტების გაბუქებას აქვს ადგილი საკუთარი მნიშვნელოვნებისა და განსაკუთრებული როლის წარმოჩენის მიზნით, რადგან შეიარაღებული ძალის ასეთი ორგანიზება და კონცენტრაცია დამხობილი ხელისუფლების მხარეზე, აღნიშნულ ეტაპზე დასავლეთ საქართველოში არ ყოფილა. არც იარაღი და ამუნიცია იყო, მომხდარი მძიმე ამბების შემდეგ ხალხი საგონებელში იყო ჩავარდნილი.

იოსელიანის ინფორმაციით, მხედრიონელებმა კიტოვანსა და ყარყარაშვილთან ერთად, 2 000-მდე შეიარაღებულ კაცს მოუყარეს თავი და გაგზავნეს დასავლეთ საქართველოში. აქვე იგი ახსენებს მოლაპარაკებას ხონში, ვინმე ენუქი კიკაბიძის კერძო სახლში (რომელიც, სხვათა შორის, კანონიერი ქურდი იყო, კ. გ.), სადაც იოსელიანი და ყარყარაშვილი შეხვდნენ ზვიად გამსახურდიას თანამებრძოლებს – უზენაესი საბჭოს დეპუტატებს, ვალტერ შურლაიას და ზაურ ქობალიას. ხუნტის წარმომადგენლებმა მათ ულტიმატუმები წაუყენეს, თუმცა მათ საპასუხო მოთხოვნებს თავად ჯაბა არ ახსენებს, მხოლოდ დასძენს, რომ მიუღებელი იყოო. ვცდილობთ, ამ ადამიანებს გავაგებინოთ, რომ გამსახურდიას რეჟიმი სამუდამოდ დაემხო და აღარაფერი უშველისო.[656] ამ დროს სხვა წყაროებიდან ცნობილია ის მოთხოვნები, რომლებსაც ზუგდიდიდან ჩასული დელეგაცია აყენებდა – ხუნტას თავი უნდა შეეკავებინა სამეგრელოს ქალაქებში შესვლისა და იქ შეიარაღებული რაზმების ჩაყენებისგან, რადგან იქ შესვლა გამოიწვევდა კონფლიქტს ადგილობრივ მოსახლეობასთან. ამას კი მოჰყვებოდა იმავე მოსახლეობის დარბევა, ძარცვა და ანიოკება მომხვდურთა მიერ, რამდენადაც არ არსებობდა არანაირი მექანიზმი, რომელიც მას დაიცავდა. თუმცა ხუნტის პოზიცია შეუვალი იყო – იგი მოითხოვდა ცალსახა კაპიტულაციას. ჯაბა იოსელიანი თავის „მხედრიონს“ განიხილავდა დემოკრატიულობის სტანდარტად და უტყუარ საზომად. ვინც მასთან საერთო ენას ნახულობდა ან არ დაუპირისპირდებოდა, მას ნამდვილად დემოკრატია აინტერესებდა, ვინც ასე არ ჩათვლიდა, იგი ავტორიტარიზმის მომხრედ გამოცხადდებოდა.

ხუნტის შეიარაღებულმა ფორმირებებმა ვანისა და სამტრედიის შემდეგ დაიკავეს აბაშა, სენაკი, ფოთი და ზუგდიდი. ეს მოხდა, პრაქტიკულად, წინააღმდეგობის გარეშე. სხვათა შორის, ხონის შეხვედრამ მხარეებს შორის საფუძველი ჩაუყარა მოლაპარაკებების სერიას, რომელიც ძალიან ხშირი იყო უაღრესად კონკრეტულ, პრაქტიკულ საკითხებზე და ხშირად რაღაც შედეგითაც სრულ-

დებოდა. ქართველობა თითქოს ფხიზლდებოდა საშინელი კოშმარიდან და მომხდარზე ბევრად მძიმე სამომავლო პერსპექტივის განჭვრეტას იწყებდა – თუ რა ელოდა სამოქალაქო ომის გაღვივების შემთხვევაში. დამხობილი კანონიერი ხელისუფლების ტაქტიკა და სტრატეგიაც გარკვეულ ფორმას იღებდა – ეს იყო დეფენსიური, უკანდახევითი ტაქტიკა, რომელიც გულისხმობდა, ძირითადად, პერიოდულად შეტევით მოძრაობებს, რომელიც ისევ გარკვეული მოლაპარაკებით უნდა დამთავრებულიყო. და ამგვარი ტაქტიკის აზრი რაში მდგომარეობდა? თუკი მხარეები შეეჩვეოდნენ რაღაცაზე მორიგებას, კონფრონტაციის ხარისხი დაიკლებდა, ეს კი პოლიტიკური პროცესისთვის მეტ სივრცეს გამოათავისუფლებდა. ხალხის მანამდე ნეიტრალური ნაწილი გამოერკვეოდა, მოწინააღმდეგის რიგებშიც მეტი დაფიქრდებოდა, რას იქმოდა. ეს უკანასკნელი დაშვება, ცხადია, იმედის უაღრესად სუსტ ძაფზე იყო დაკიდებული, მაგრამ სხვა გზაც არ ჩანდა. დამხობილი ხელისუფლება, რომელსაც იმპერიული ძალები და მათი გეგმების უგუნური შემსრულებლები 1991 წლის შემოდგომიდან თავზე გამალებით ახვევდნენ სამოქალაქო ომს, ცდილობდა, არ დაფიქსირებულიყო ამ ომში სამხედრო მხარედ, თუმცა პოლიტიკურად თვლიდა, რომ იგი ისტორიის სწორ მხარეს იდგა. განრიდება პარლამენტის შენობიდან და თბილისიდან წასვლა თავსმოხვეული ომის თავის საწყის ფაზაში ჩატოვება იყო. თუმცა, კანონიერი ხელისუფლება არ თმობდა პოლიტიკურ პოზიციას, არადა, ხუნტა სწორედ ამას ითხოვდა: გადადგეს პრეზიდენტი და ხელისუფლება იურიდიულადაც, ის არ არის საკმარისი, რომ ჩვენ ისინი დე ფაქტო გადავაყენეთ ძალის გამოყენებით და განვდევნეთ: ჯერ ყველაფერი დაიშალოს, გამოაცხადოს კაპიტულაცია, მერე ჩვენ როგორც საჭიროა, ისე ჩავატარებთ არჩევნებს და თუ ჭკუით მოიქცევით, შესაძლოა, რაღაც ნაწილს მოგცეთ კიდეც საშუალება პოლიტიკურ პროცესში მონაწილეობა მიიღოთ, ნაწილი, რა თქმა უნდა, გასამართლდება ან სამუდამოდ სახლში წავაო.

შეიარაღებული წინააღმდეგობის ცენტრები იყო სოხუმი და ზუგდიდი. აქ შეიკრიბნენ კანონიერი ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილი ოფიცრები, პოლიციის თანამშრომლები და მოხალისეები: ვახტანგ (ლოთი) ქობალია, ჯემალ ქობალია, აკაკი ელიავა, სოსო ჟღენტი, სლავა მინჯია; მოგვიანებით მათ შეუერთდნენ გოჩა ბახია, სოსო ჯომიდავა, რომეო კუჭუხიძე, გოჩა ესებუა, გოჩა ნაჭყებია და სხვები. ეს ის კონტინგენტი იყო, რომელსაც პოეტმა თინათინ მღვდლიაშვილმა თავის ლექსში „მარმარილოს ბიჭები“ უწოდა („ჯიხაშკარში შაშვი გალობს, მაფშალია ოდიშში...“). თინათინ მღვდლიაშვილმა ისინი ქრისტეს მხედრობას შეადარა, ისევე როგორც ოდესღაც რუსმა პოეტმა ქალმა მარინა ცვეტაევამ, რუსეთის თეთრი გვარდია ლექსში „თეთრი, ღვთისმიერი თავის სხეულით, ღვთისავე თეთრი საქმის აღმსრულებლად“ მოიხსენია. კანონიერებისთვის მებრძოლ ამ პირველ ჯგუფებს იარაღს არავინ ჩუქნიდა, როგორც ეს ხუნტასთან მიმართებით მოხდა. მათ ხელში თავიდან მხოლოდ მსუბუქი შეიარაღება იყო, ნაალაფარი, ჩამორთმეული ან შესყიდული. მათ თანდათან შეიძი-

ნეს შედარებით „მძიმეც“, თუმცა ეს შენაძენი ათიოდე ჯავშანტრანსპორტიორს, ამდენივე ჰაუბიცას, ნაღმსატყორცნსა და ტანკს არ გასცილებია. ეს ტექნიკაც მოგვიანებით, უკვე აფხაზეთის ომის დაწყების შემდეგ გაჩნდა აქ.

1992 წლის მარტის შუა რიცხვებიდან კანონიერებისთვის მებრძოლი სახალხო მილიცია, რომელმაც ზუგდიდიდან განდევნა ხუნტის ძალები, აკონტროლებდა ზუგდიდს, ხობსა და წალენჯიხას. ჯაბა იოსელიანს თავის მემუარებში კანონიერების აღდგენისთვის მებრძოლი გაერთიანებული ჯარის შექმნის თარიღი ერთი წლით იქით – 1993 წლის გაზაფხულზე გადააქვს და წერს: „ლოთი ქობალიამ თითქმის გააერთიანა ბანდებად დაქსაქსული შეიარაღებული ზვიადისტები და განაგებს არა მხოლოდ მათ, არამედ სამოქალაქო ცხოვრებასაც. ჯემალ ქობალია ცდილობდა, შეესუსტებინა ლოთის გავლენა, მაგრამ მისი 20-კაციანი რაზმი ძალას არ წარმოადგენს, ამიტომაც გალისკენ გადმოინაცვლა“[657] როდესაც „ბანდებს“ ახსენებს, იოსელიანს, ცხადია, ავიწყდება, რომ ზუგდიდში „მხედრიონსა“ და მის მოკავშირე დაჯგუფებებს ასევე „ბანდებად“ მოიხსენიებდნენ.

სოხუმში „მრგვალი მაგიდის“ ადგილობრივმა პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა მჯდომარე საპროტესტო აქცია მიტინგებთან ერთად 6 იანვრის შემდეგ დაიწყეს. 1992 წლის აპრილში მათ აღნიშნეს პერმანენტული აქციების მიმდინარეობის მეასე დღე. ეთნიკური აფხაზები ამ აქციებს ან შიშით უყურებდნენ, ან სოლიდარობის გრძნობით – მათ ახსოვდათ გამსახურდია-ალექსიძის კანონი, რომლის საფუძველზე ჩატარდა კომპრომისული არჩევნები აფხაზეთში და ადგილობრივ უზენაეს საბჭოში ადგილების კვოტირება მოხდა: 26 (ქართველი)-28 (აფხაზი)-11 (დანარჩენი) თანაფარდობით, აფხაზი პრეზიდენტით, ქართველი პრემიერითა და შინაგან საქმეთა მინისტრით; იმავდროულად, თბილისში პრეზიდენტით, რომელმაც მთლიანად უარი თქვა აფხაზეთთან მიმართებით რაიმე გადაწყვეტილების მიღებასა და მის განხორციელებაზე, მხოლოდ ვეტოს უფლება დაიტოვა, თუკი ავტონომიური რესპუბლიკა საქართველოდან გამოყოფას დააპირებდა. იყვნენ მესამე ტიპის აფხაზებიც – რუსეთსა და მის სამსახურებთან მჭიდროდ დაკავშირებულნი. ისინი ნელ-ნელა იწყებდნენ იმის გაცნობიერებას, რომ გამსახურდიასეულმა კომპრომისმა აგრესიული სეპარატიზმი არსებითად დაადამბლავა; ახლა დგებოდა დრო, ახალი ძალით წამოეწყოთ ცენტრიდანული, თბილისის საწინააღმდეგო მოძრაობა, ცხადია, მიმართული რუსეთისკენ, ოღონდ აფხაზეთის დამოუკიდებლობის დროშით ხელში. 1992 წლის 22 დეკემბრიდან მოყოლებული, ისინიც კი გააოგნა თბილისის ცენტრის გადაწვამ და ხუნტის მიერ დასავლეთ საქართველოს დალაშქვრამ. ამავე დროს, 1921 წლის კონსტიტუციის მოუხეშავმა, არასენსიბილურმა, თანამედროვე რეალობების უგულებელმყოფელმა აღდგენამ, რა თქმა უნდა, გააძლიერა მათი შიშები, რადგან მაშინდელი ავტონომიის ტიპი და საბჭოთა-პოსტსაბჭოთა მოდელი მთლად ერთი და იგივე არ ყოფილა.

იანვრის ბოლოს ზუგდიდში ჩავიდა გია ყარყარაშვილი. ეს მისი პირველი ჩასვლა იყო იქ პუტჩის შემდეგ. ქალაქში უკვე სამხედრო მდგომარეობა იყო,

იქ იმყოფებოდა გვარდიის ტყიბულის ბატალიონი, შესულები იყვნენ, აგრეთვე, „მხედრიონის“ ნაწილები, სამეგრელოში მოსახლეობის ძარცვა-გლეჯა, წამება და ხოცვა ჩვეულებრივ მოვლენად იყო ქცეული. თებერვალში ზუგდიდის ცენტრში ერთმა გვარდიელმა იქ სტუმრად ჩამოსული ახალგაზრდა კაცი, არქიტექტორი გოჩა ჯიქია მისივე ოჯახის წევრების თვალწინ მოკლა. ასეთი შემთხვევები სამეგრელოს სხვა ქალაქებშიც მოხდა.

1992 წლის მარტში ხუნტის პროპაგანდისტული საშუალებებით ითქვა, რომ ვ. ქობალიას რაზმის წევრები „ჩეჩნებთან ერთად“ თავს დაესხნენ ზუგდიდში, ქაღალდის კომბინატის სასტუმროში განლაგებულ „სახელმწიფო საბჭოს“ ქუთაისის ორმოცამდე გვარდიელს. რადიომ გადმოსცა, რომ რამდენიმე გვარდიელი მოკლეს, დანარჩენები კი ტყვედ აიყვანეს. თავდასხმისას სასტუმროს ცეცხლი მოეკიდა და დაიწვა. ასევე გავრცელდა ინცორმაცია, რომ მეორე დღეს მათ გამოსახსნელად ჩაფრენილი გიორგი ყარყარაშვილი და ბესიკ ქუთათელაძე 12 გვარდიელთან ერთად სოფელ რუხში დაატყვევეს.[658] გია ყარყარაშვილმა ეს ცნობები არ დაადასტურა. იგი ინტერვიუში აცხადებდა: „ზუგდიდში სულ სხვა სიტუაცია დამხვდა. გაირკვა, რომ არც ჩეჩნები იყვნენ იქ, არც ქუთაისის ბატალიონის წევრები და არც მისი მეთაური მოუკლავს ვინმეს. სამაგიეროდ, ლეგენდებს მიყვებოდნენ ტყიბულის ბატალიონის რამდენიმე წევრის ბოროტმოქმედებასა და მხედრიონელებზე... ვხედავდი შეურაცხყოფილ, სასტიკად დასჯილ, ბანდების თარეშისგან გაბოროტებულ სამეგრელოს მოსახლეობას და მათი კარგად მესმოდა. ჩემი თანამებრძოლნი საპყრობილეში იყვნენ... ტყვედ ჩავარდნილი მზად ხარ წამებისთვის, შეურაცხყოფისთვის, დაცინვისთვის, მაგრამ, როდესაც ერთ-ერთი დაღუპულის, გოჩა ჯიქიას, სახლში მიმიყვანეს, მოულოდნელად ისეთი დარტყმა მივიღე, ნამდვილად არ ველოდი. ეს სინდისის ქენჯნა იყო. ვაჟკაცობა არ გყოფნის, როდესაც შავებში ჩაცმულ დედას უყურებ... მაშინ პირველად ჩავხედე თვალებში მოწინააღმდეგე მხარის ტანჯვას“.[659]

ზვიად გამსახურდიას მიმართვის ბოლო ნაწილში, რომელიც 1992 წლის 10 აპრილს გააკეთა, ნათქვამი იყო: „ჩვენ მხოლოდ იმით განვსხვავდებით „დემოკრატიული ოპოზიციისგან“, რომ ვირჩევთ მიზნის მიღწევის რთულ, მაგრამ მშვიდობიან გზას, თუმცა კარგად გვესმის საქართველოს მოსახლეობის იმ ნაწილისაც, რომელმაც ველარ გაუძლო თავსდამტყდარ უბედურებას, სახლ-კარის აოხრებას, ახლობელთა სიკვდილს და მხოლოდ თავდაცვის მიზნით მოჰკიდა იარაღს ხელი. ამის გამო საქართველოს წინააღმდეგობის მოძრაობა თავდაცვითი, სამართლიანი მოძრაობაა. ხალხს აქვს უფლება, შექმნას ამგვარი მოძრაობის ერთიანი ფრონტი, რათა დაიცვას თავი, დაიცვას ქვეყანა ბარბაროს კრიმინალთა ურდოებისაგან. კანონიერი ხელისუფლების დასამხობად ციხეებიდან დამნაშავეთა გამომშვებნი, კრიმინალური ხუნტის შემქნელნი აქ მსაჯულებად ვერ გამოდგებიან, მათ ერი და ისტორია გაასამართლებს სამშობლოს ღალატისთვის, ათასობით ადამიანის დარბევასა და გაუბედურებისთვის, ვანდალიზმისა და ბარბაროსობისათვის“.[660] თუ მხედველობაში არ მივიღებთ რამდენიმე

სასტიკ შეტაკებას, როგორიც, მაგალითად, წალენჯიხაში 1992 წლის ივლისის დასაწყისში მოხდა და საკმაო მსხვერპლი მოჰყვა (სხვათა შორის, 7 ივლისის მიმართვაში ბორის ელცინისადმი ზვიად გამსახურდიამ აღნიშნა, რომ რუსეთის არმიის ხუთი სამხედრო ვერტმფრენი ბომბავდა წალენჯიხას),[661] ძირითადად მაინც პოზიციური დაპირისპირება იყო სახეზე, თან ახლდა რა პერმანენტული მოლაპარაკებები. ფაქტია, რომ თვითგადარჩენის ინსტინქტი ორივე მხარეზე ამუშავებული იყო. ის, როგორც ჩანს, ხელს უშლიდა ნამდვილი მასშტაბური სამოქალაქო ომის გავრცელებას ყველა მიმართულებით. ხუნტის მომხრეებში რადიკალური ელემენტები, ასე თუ ისე, სუსტდებოდნენ, კანონიერი ხელისუფლების მომხრეები კი თავდაცვით ტაქტიკას მიჰყვებოდნენ.

1992 წლის 25 მაისს საქართველოს ეწვია ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჯეიმს ბეიკერი. იგი თავისი დიპლომატი კოლეგის, ედუარდ შევარდნაძის, მხარდასაჭერად ჩამოვიდა, რომელმაც ორთვე-ნახევრის წინ ხუნტის რეფორმა და კონსოლიდაცია მოახდინა და სათავეში ჩაუდგა მას. ბეიკერმა გააკრიტიკა ზვიად გამსახურდიას მმართველობა, გამოიყენა რა ცნება „ტირანია“ – რომლის გაგონებაზეც მრისხანე დემონები და არცთუ კეთილი ისტორიული აჩრდილები წამოიმართებიან ხოლმე ადამიანის წარმოდგენაში. ამავე დროს, იმედი გამოთქვა, რომ ედუარდ შევარდნაძის მმართველობის ქვეშ საქართველო განუხრელად დაადგებოდა რეფორმების კურსს.[662] იმ მოედნიდან საკმაოდ ახლოს, სადაც ეს საპატიო სტუმარი მიიღეს, კონცერტის ფონზე, შეიარაღებულმა, რეიბანებიანმა ჯეელებმა ცეცხლი გაუხსნეს დამხობილი ხელისუფლების მომხრეების მიტინგს და მსუბუქი მანქანებით შეიჭრნენ ხალხის მასაში. როგორც ნ. გორჯესტანი წერს, შევი-ბეიკერის ტანდემმა საგანგებო და ოდიოზური შედეგი დადო, ძალაუფლების ანტიკონსტიტუციური მიტაცების ლეგიტიმაციის ჩათვლით.[663]

ამავე მაისს სიტუაცია დაიძაბა სამაჩაბლოშიც. ტორეს კულუმბეგოვის გათავისუფლებამ საპყრობილიდან, რასაკვირველია, ფრთები შეასხა სამხრეთელ ოსთა სეპარატიზმს. რუსეთის ფედერაციის სპეცსამსახურებმაც ჩვეულებრივ გააგრძელეს მებრძოლების გამოგზავნა ამ სეპარატიზმის გასაძლიერებლად. მოხდა ისე, რომ უცნობმა პირებმა ცხინვალთან დაცხრილეს სამგზავრო ავტობუსი, რომლითაც ადგილობრივი მოსახლეობა გადაადგილდებოდა, უპირატესად, ეთნიკური ოსები. მგზავრთა უმეტესობა ამ თავდასხმისას დაიღუპა. აშკარა იყო, რომ ეს საზარელი დანაშაული გარკვეული პროცესის მომზადებასა და დაძვრას ემსახურებოდა, რომელიც ამ დავალების მიმცემთა ინტერესებიდან გამომდინარე უნდა ყოფილიყო განსაზღვრული. ხელწერა აშკარად რუსული იყო და, რასაც ემსახურებოდა, მალევე გამოიკვეთა კიდეც – ეს იყო დაგომისის კაპიტულანტური ხელშეკრულება. თუმცა დაგომისის ხელშეკრულების დადების წინ ადგილი ჰქონდა თავზეხელაღებულ აქციას, რომელიც, მაღალი ალბათობით, ამ მავნებლობის გადასაფარად დასჭირდათ სპეცსამსახურებს. ეს მოხდა ხელშეკრულების დადების დღეს.

1992 წლის 24 ივნისს კანონიერებისთვის მებრძოლმა აქტივისტებმა, რომელთაც მეთაურობდა უზენაესი საბჭოს დეპუტატი ვალტერ შურღაია, რადიოს პირდაპირი ეთერით გააკეთეს განცხადება კრიმინალური ხუნტის ძალაუფლებიდან ჩამოშორებაზე და საპროტესტო აქციებისკენ მოუწოდეს ხალხს. ვალტერ შურღაია იყო კანონიერების აღდგენისთვის მებრძოლი ძალების ერთერთი თვალსაჩინო ლიდერი, თუმცა იგი მაშინვე ვერ გაერკვა შექმნილ სიტუაციაში. ძალიან მალე ხუნტამ შეიარაღებული პირების მობილიზაცია მოახდინა ტელევიზიასთან, რომლებმაც გარედან დაცხრილეს შენობა და შტურმით აიღეს იგი. ვალტერ შურღაია და ათეულობით აქტივისტი დააპატიმრეს, ხოლო სამი გვარდიელი იმავე დღეს დახვრიტეს. მოგვიანებით ზვიად გამსახურდიამ ასეთი კომენტარი გააკეთა ამ აქციაზე: „არავითარი თავდასხმა ტელეცენტრზე არ ყოფილა. ყოველივე ეს ინსცენირება იყო. თბილისში მას „ედუარდ-შოუს“ უწოდებენ. ეს, დაახლოებით, ასე მოხდა: მოვლენათა ცენტრში აღმოჩნდა დეპუტატი შურღაია, რომელიც ხელმძღვანელობდა სამოქალაქო დაუმორჩილებლობის კომიტეტს და რომელიც ჩემი რწმუნებული იყო. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მე მას გადავაბარე პრეზიდენტობა, როგორც ამას თქვენს გაზეთებში წერენ. ასეთი რწმუნებულები საქართველოში ათობით მყავს. ისინი ხელმძღვანელობას უწევენ სწორედ სამოქალაქო დაუმორჩილებლობას და არა – შეიარაღებულ ბრძოლას, როგორც ამას ზოგიერთი წარმოსახავს. და აი, დეპუტატ შურღაიასთან მივიდნენ შინაგანი ჯარების ოფიცრები, რომლებმაც მას განუცხადეს, რომ ისინი მომხრეები არიან და აპირებენ ხელისუფლების თავიანთ ხელში აღებას, რომ მათ უკვე დაიკავეს ტელევიზია და დეპუტატებს იწვევენ, რათა მიმართონ ხალხს, უთხრან მათ სიმართლე. დეპუტატი შურღაია ამ მომენტში წინასაინფარქტო მდგომარეობაში იყო და ავადმყოფი კაცი ძალით ააყენეს საწოლიდან, ლოგინში იწვა და ტელევიზიაში მიიყვანეს. ასე და ამგვარად, ზუსტად ასევე მიიტყუეს იქ სხვა დეპუტატებიც – დანგაძე, ჩოლოყაშვილი და სხვები. ვიმეორებ, რომ არავითარი აღება არ ყოფილა, ადრიდანვე გაკეთდა ისე, რომ დაცვა წავიდა. ამით შექმნეს ტელევიზიის აღების ილუზია. დეპუტატებმა რადიოთი მიმართეს ხალხს, გამოვიდა აგრეთვე რამდენიმე სტუდენტი, რა თქმა უნდა, ხუნტის მოქმედების კრიტიკით. რისთვის გათამაშდა მთელი ეს ინსცენირება? საქმე ისაა, რომ სახელმწიფო საბჭო ხედავდა პოლიტიკური ოპოზიციის ტალღის საშიშ მომძლავრებას ტერორისა და სადიზმის წინააღმდეგ. მათ შეეშინდათ მასობრივი გამოსვლების, დემონსტრაციების, მიტინგებისა და ამიტომაც მოაწყვეს „გადატრიალების ცდა“, რათა საბაბი ჰქონოდათ მასობრივი რეპრესიების ჩასატარებლად. მიიღეს კიდეც ასეთი საბაბი. როგორც კი ტელევიზიის „ამღებნი“ ტელევიზიაში მოხვდნენ, შინაგანი ჯარების ოფიცრები, რომლებმაც ყოველივე ეს წამოიწყეს, მიიმალნენ, ხოლო მათ ადგილას საქმეში ჩაება „მხედრიონის“ „სადამსჯელო ბანდების“ ორგანიზაცია, რომელიც საკუთარ თავს უწოდებს „პატრიოტს“, სინამდვილეში კი მისი წევრები სისხლის სამართლის დამნაშავეები არიან. მათ დაიწყეს ადამიანთა დახვრეტა და დაპატიმრებები.

შემდეგ იმავე შინაგანი ჯარების ოფიცრები გამოვიდნენ ტელევიზიით და განაცხადეს, რომ გადატრიალების მოხდენა მათ გამსახურდიამ დაავალა. განა გაგიგიათ როდესმე ან რომელიმე ქვეყანაში, რომ სამხედროები, რომელთაც გადატრიალების მოხდენა სურდათ, არ დაეპატიმრებინოთ და მათ ემხილებინოთ პრეზიდენტი, რომელმაც ყოველივე ეს დაავალა. ყოველივე ეს გაკეთებული იყო ბავშვურ დონეზე. სხვათა შორის, არავინ წამოეგო პროვოკაციაზე, არავინ მიკარებია ტელევიზიას, თუმცა ხალხს კი მოუწოდებდნენ... მაგრამ ეს პროვოკაცია, ვიმეორებ, გახდა მიზეზი არნახული მასშტაბის რეპრესიებისა და ტერორისა. დააპატიმრეს ასობით ადამიანი. ამასთან აპატიმრებენ არა მარტო რაღაცაში ეჭვმიტანილებს, არამედ მათ ნაცნობებს, ნათესავებს, მეზობლებს".[664]

აფხაზი ისტორიკოსი სტანისლავ ლაკობა თვლის, რომ შევარდნაძე ამ ინსცენირების ხელშეწყობით ცდილობდა მოსკოვის შეშინებას, თითქოს ზვიადის მომხრეები ეს-ესაა გარდატეხას შეიტანდნენ პროცესებში და ამით ეწეოდა მის დაშანტაჟებას, რათა ქართული მხარისთვის მიეცათ იარაღი, რომელიც ქრონიკულად აკლდა ქართულ შეიარაღებულ ძალებს. მხოლოდ შავ ბაზარზე ნაყიდით ან რუსებისთვის წართმეული იარაღით შორს ვერავინ წავიდოდა: „მაშინდელი რუსეთის ხელისუფლებისა და ელცინის მთავარ მიზანს წარმოადგენდა გამსახურდიას შეცვლა შევარდნაძით და მისგან დსთ-ში შესვლაზე თანხმობის მიღება. მაგრამ, როგორც კი შევარდნაძე საქართველოში აღმოჩნდა, მან სხვანაირად დაიწყო მოქმედებები: დაივიწყა საკუთარი მოვალეობები და მათ შესრულებას აჭიანურებდა. იგი ამბობდა: ახლა დასუსტებული ვართ, ზვიადისტებს ვებრძვით, არმიას გაძლიერება სჭირდება წესრიგის დასამყარებლადო, რომ მათ შეიარაღება არ ჰქონდათ და ამიტომ შესაძლებელი იყო; მათი გადაგდება და გამსახურდიას რეჟიმის რესტავრაცია. ამით ის თითქოს აშინებდა ელცინს და თბილისში ტელეცენტრზე თავდასხმის ინსცენირებაც კი მოაწყო. ეს 24 ივნისს მოხდა, დღისით. შევარდნაძემ ამ გადატრიალებას წინააღმდეგობა გაუწია და შემდეგ მოულოდნელად თქვა: „თამაში დასრულებულია!" საღამოს იგი ელცინთან გაფრინდა მის დასარწმუნებლად, რომ იარაღი მიეცა, იმის მიუხედავად, რომ საქართველო დსთ-ს წევრი არ იყო".[665]

იმავე 24 ივნისს რუსეთის შავიზღვისპირეთის კურორტ დაგომისში ხელი მოეწერა ხელშეკრულებას, რომელშიც მონაწილეობდა ქართული მხრიდან „სახელმწიფო საბჭოს" თავმჯდომარე ედუარდ შევარდნაძე, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ბორის ელცინი, 1990 წელს გაუქმებული „სამხრეთ ოსეთისა" და რუსეთის ფედერაციაში მდებარე ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკების ხელმძღვანელები. მხარეები შეთანხმდნენ სამმხრივი, ქართულ-რუსულ-ოსური სამშვიდობო სამხედრო კონტინგენტის სტაციონირებაზე ცხინვალში. რუსეთის ფედერაციამ ოფიციალურად მიიღო „მშვიდობისმყოფელის" სტატუსი ამ რეგიონში, რომელიც იურიდიულად საქართველოს ტერიტორია იყო. ზვიად გამსახურდიამ ეს აქტი შეაფასა, როგორც საქართველოს ინტერესების გაყიდვა, სამაჩაბლოს შესახებ ორმხრივ გარიგებაზე დათანხმება, ე. წ. სამხრეთ ოსეთის

რესპუბლიკის ცალკე სახელმწიფოდ აღიარება.[666] ქართველი ერისადმი მიმართვაში კი დაგომისის გარიგებაზე წერდა: „დღეს ლაპარაკობენ ხელშეკრულების შესახებ. რას ნიშნავს ეს? ე. ი. ცხინვალს ჰყოლია მთავრობა ისეთი, როგორიც დღეს ჰყავს საქართველოს (ერთი მხრივ, მართლია, ცხინვალს ისეთივე უკანონო მთავრობა ჰყავს, როგორიც დღეს საქართველოს) და ამ ორ მთავრობას შორის იდება სამთავრობოთაშორისი ხელშეკრულება. აი, შედეგი შევარდნაძის გარიგებისა რუსეთთან და ოსურ „ლობისთან" (აქ იგი გულისხმობს რუსეთის არმიის მაღალ ეშელონში მომსახურე ეთნიკურად ოსი სამხედროების ლობის, კ. გ.), დაგომისის გარიგების პირდაპირი შედეგი".[667]

სტ. ლაკობას თქმით, დაგომისის შემდეგ შევარდნაძემ რამდენიმე დივიზიის სამყოფი შეიარაღება მიიღო (შდრ. ლაკობა, იქვე). ეს შეფასება აშკარად გადაჭარბებულია, თუმცა ამ დროიდან მოყოლებული ხუნტას იარაღი ნამდვილად არ აკლდა. რომ არ ჰქონოდათ იარაღი, ისინი არც 1992 წლის 14 აგვისტოს გადადგამდნენ იმ ნაბიჯს, რომელიც აფხაზეთში „რკინიგზის დაცვის" საბაბით ჯარის შეყვანას გულისხმობდა. მიუხედავად იმისა, რომ ხუნტა სულაც არ იყო მომგებიან პოზიციაში 1992 წლის გაზაფხულზე, ე. შევარდნაძის გავლენიანი მეგობრების შემწეობით, იგი სულ უფრო მეტად იკვლევდა გზას მსოფლიო პრესასა და დიპლომატიურ ფორმატებში. თუმცა ცალკეულ უფლებადამცველურ ორგანიზაციებში, როგორებიც იყო მაინის ფრანკფურტის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ორგანიზაცია, ასევე, ადამიანის უფლებათა ჰელსინკის ფედერაცია ძირითადი ოფისით ვენაში, საკმაოდ დიდი ზომის ანგარიშები იყო დადებული 1992 წლის ზაფხულისთვის იმ გაუგონარ სისასტიკესა და სადამსჯელო აქციებზე, რომელთაც ხუნტის ორგანოები ან მასთან ასოცირებულ პირთა გაერთიანებები ახორციელებდნენ მომიტინგეებისა და „მრგვალი მაგიდის" წევრთა წინააღმდეგ. ამ მასალების შეკრებას დიდი რისკის ფასად ახერხებდნენ სამოქალაქო აქტივისტები ნანა ზუმბურიძე, მაია კერესელიძე, ზურაბ შანიძე, ლალი ლომაძე, თამარ დადიანი, ზურაბ ვარდოსანიძე, ანა ჭავჭავაძე და სხვები.

1992 წლის ივლისში ე. შევარდნაძემ პატიმრობიდან გაათავისუფლებინა ვალტერ შურღაია და დანარჩენი პოლიტიკური პატიმრები, 24-25 ივნისის მოვლენების გამო დაპატიმრებული ასამდე აქტივისტი. ამავე დროს გამოქვეყნდა „დიდი შერიგების მანიფესტი". ამაზე ზვიად გამსახურდიამ გააკეთა განცხადება, რომელშიც აღნიშნული იყო შემდეგი: „რაც შეეხება ე. წ „დიდი შერიგების მანიფესტს", ესეც ტყუილია, რაც გამოიხატება იმაში, რომ ამით ხუნტა ხაზს უსვამს თითქოსდა ჩვენს შეურიგებელ პოზიციებს. ჯერ კიდევ პირველი ოქტომბრის პუტჩის ჩაფუშვის შემდეგ მე არაერთხელ გამოვაცხადე შერიგება, გამოცემული იქნა ბრძანებები, რომლებშიც აღნიშნული იყო, რომ ის პირები, რომლებიც უარს იტყოდნენ შეიარაღებულ ბრძოლაზე, კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ, თავისუფლდებოდნენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან. მიუხედავად ამისა, პუტჩისტებმა არ შეისმინეს ჩემი მოწოდებები. სულ ახლახან, მიმდინარე წლის 17 ივლისს მე გამოვეცი ბრძანებულება, რომ-

ლის მიხედვითაც, პასუხისმგებლობიდან თავისუფლდებოდა შეიარაღებული ფორმირების ნებისმიერი წარმომადგენელი, რომელიც გადმოვიდოდა კანონიერი ხელისუფლების მხარეს და საქმით დაამტკიცებდა თავის ერთგულებას მიუხედავად კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ წარსულში ჩადენილი დანაშაულისა. ვინაიდან, ჩვენი თვალსაზრისით, ხუნტა წარმოადგენს უკანონო შეიარაღებული ფორმირებების შემადგენელ ნაწილს, მე ისინი არ გამომიყვია. მოცემული ბრძანებულება გამოქვეყნდა „საქართველოს რესპუბლიკაში“, ხუნტის ბეჭდვით ორგანოშიც კი. რა იყო ეს, თუ არა მოწოდება შერიგებისკენ?"[668]

ეს დროული და სწორი განცხადება იყო, თუმცა მას დიდი რეზონი არ ჰქონია, რადგან ელექტრონულ მედიაში არ გაშუქებულა, ასევე, არც საზღვარგარეთის საინფორმაციო სააგენტოებამდე მისულა. აგვისტოს დასაწყისში ჰელსინკიში გაიმართა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის საბჭოს ქვეყნების უმაღლესი დონის შეხვედრა. ეს იყო პირველი უმაღლესი დონის შეხვედრა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. ამ შეხვედრას საქართველოს სახელით დაესწრო „სახელმწიფო საბჭოს“ მეთაური ედუარდ შევარდნაძე. ზვიად გამსახურდიას, რომელმაც საქართველოს ლეგიტიმური პრეზიდენტის რანგში ასევე გამოთქვა სურვილი დასწრებოდა შეხვედრას, ვიზაზე უარი უთხრეს. თუმცა მის სახელზე ფინეთის საკონსულოს მიერ ვიზა გაიცა მას შემდეგ, რაც ეს შეხვედრა დასრულდა.

5.13. დაძაბულობა და ომის დაწყება აფხაზეთში

აფხაზეთში მეტად თავისებური სიტუაცია შეიქმნა: წინააღმდეგობის მოძრაობის ცენტრი ზუგდიდის გარდა გალში და სოხუმშიც იყო. ეს, ცხადია, სულაც არ მოსწონდა არძინბას და მის სეპარატისტულ კლანს, მაგრამ ისინი გარეგნულად მაინც ინარჩუნებდნენ რესპექტაბელურობას – აცხადებდნენ, რომ გამსახურდიას ხელისუფლება კანონიერი იყო, თუმცა მათ არ იცოდნენ, საქართველოს ახლანდელი ხელისუფლების სახით ვისთან ჰქონდათ საქმე. ეს განცხადება, ცხადია, არ ასახავდა მათ რეალურ განწყობასა და სულისკვეთებას. ისინი აქტიურად ემზადებოდნენ, რომ თავიანთ სასარგებლოდ გამოეყენებინათ არეულობა საქართველოში და მიმდინარე დესტრუქციული და ტრაგიკული პროცესების ფონზე მიეცათ სითამამე, გადაედგათ ანტიკონსტიტუციური ნაბიჯები, რასაც ვერ ბედავდნენ მაშინ, როდესაც ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება ფაქტობრივადაც მართავდა ქვეყანას. 1921 წლის კონსტიტუციის აღდგენას მათ უპასუხეს ცალმხრივ რეჟიმში, აფხაზეთის უზენაესი საბჭოს ქართულ დეპუტატებისათან რაიმე შეთანხმებისა ან კონსენსუსის გარეშე, 1925 წლის აფხაზეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის აღდგენით, რომელიც წარმოადგენდა ერთგვარ შუალედურ მდგომარეობას – არც სრულფასოვანი საბჭოთა რესპუბლიკა იყო და არც ტიპური ავტონომიური რესპუბლიკა საქართველოს სსრ-ის

შიგნით. ის, თითქოს, ხელშეკრულებით იყო მიერთებული საქართველოს სსრ-სთან. ბაკურ გულუა იგონებს, რომ ჯერ კიდევ მთავრობის სასახლეში ყოფნის დროს, როდესაც შენობა გარედან იბომბებოდა და პრეზიდენტი იმყოფებოდა მის „ბუნკერად" წოდებულ ნაწილში, ზვიადმა აფხაზეთის დეპუტაციას უთხრა: ახლა დაბრუნდით აფხაზეთში. არავითარ შემთხვევაში სოხუმში იარაღს ხელი არ მოკიდოთო, როგორც კი ამას გააკეთებთ, აფხაზეთი დაიკარგებაო.[669]

აფხაზი ისტორიკოსის, სტანისლავ ლაკობას მიხედვით, 1992 წლის 23 ივლისს სოხუმში აფხაზურმა დეპუტაციამ – სულ 44 დეპუტატმა – მიიღო გადაწყვეტილება, სახელმწიფოსთვის დაერქმიათ ახალი სახელი – „აფხაზეთის რესპუბლიკა". ქართულმა დეპუტაციამ ამ სხდომაში მონაწილეობა არ მიიღო, რამდენადაც ისინი ცალკე აწყობდნენ სხდომებს. მხატვარ ვალერი გამგიას ესკიზების მიხედვით შექმნეს ახალი დროშა და გერბი. ამავე სხდომაზე შეჩერდა 1978 წლის კონსტიტუცია, რომლის მიხედვითაც არსებობდა აფხაზეთის ასსრ და ძალაში შევიდა 1925 წლის კონსტიტუცია. იგი გულისხმობდა იმ რესპუბლიკის აღდგენას, რომელმაც იარსება 1927 წლამდე. რა თქმა უნდა, სტ. ლაკობა არც აქ ამბობს სიმართლეს, რამდენადაც 1978 წლის კონსტიტუციის ბაზაზე 1990 წლის 14 ნოემბრის სესიაზე დამტკიცდა კონსტიტუციის შესწორებული ვარიანტი, რომელშიც აფხაზეთის პოლიტიკური ავტონომია სწორედაც გათვალისწინებული იყო, ხოლო გამსახურდია-ალექსიძის კანონი კვოტირებაზე სწორედ მას ეყრდნობოდა. სტ. ლაკობა წერს, რომ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასა და მისი ხელისუფლების დამხობის შემდეგ საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ აღადგინა 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია. ლაკობა იქვე ამბობს, რომ ის კონსტიტუცია აფხაზეთის პოლიტიკურ ავტონომიას არ გულისხმობდაო. იქ ნახსენები იყო სოხუმის ოკრუგიო, და იყო ჩანაწერი, რომ დებულება ავტონომიაზე მომავალში იქნება დამუშავებულიო.[670]

უკვე აფხაზეთის ომის დაწყების შემდეგ ზვიად გამსახურდიამ 21 აგვისტოს მიმართვაში ვლადისლავ არძინბას მოუწოდა, აღედგინა ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი და 1978 წლის კონსტიტუცია.[671] ივლისში აფხაზებმა საკუთარი კაბინეტიდან გააძევეს აფხაზეთის შინაგან საქმეთა მინისტრი გივი ლომინაძე. იგი, როგორც ეთნიკურად ქართველი კადრი, „გამსახურდია-ალექსიძის" კანონის საფუძველზე შემდგარი შეთანხმების შედეგად იკავებდა აღნიშნულ თანამდებობას. ამ აქციით აფხაზმა სეპარატისტებმა, ფაქტობრივად, განაცხადეს, რომ ის შეთანხმება ძალაში აღარ იყო.

ამასობაში სამეგრელოში გრძელდებოდა ხუნტის სადამსჯელო ოპერაციები. პარტიზანულ რეჟიმში გადასულმა მებრძოლებმა აგვისტოს დასაწყისში გაიტაცეს სამეგრელოში ჩასული რომან გვენცაძე და სანდრო კავსაძე, რომლებიც ფაქტობრივი ხელისუფლების შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმოადგენდნენ. ისინი გალის რაიონში გადაიყვანეს. რუსეთის ტელეკომპანია „ოსტანკინომ" გაავრცელა ინფორმაცია, თითქოს ისინი ზვიად გამსახურდიას უშუალო მითითებით დააკავეს. ზვიად გამსახურდიას 12 აგვისტოს განცხადებაში ნათქვამი იყო:

„თავდაცვის მიზნით მოსახლეობა მიმართავს უკიდურეს ზომებს. გამოჩნდნენ შურისმაძიებელთა ჯგუფები, რომლებმაც ცოტა ხნის წინ მძევლებად აიყვანეს ე. წ. სახელმწიფო საბჭოს წევრები, ხალხისთვის საძულველი დამსჯელები: თვითმარქვია შსს-ს მინისტრი და სხვა. მე, როგორც საქართველოს პრეზიდენტი, ვაცხადებ, რომ ყოველივე ეს ხდება ჩემგან დამოუკიდებლად. არავითარი მითითებები ჩემი მხრიდან ამ პირებს არ მიუღიათ".[672]

აქ საქმე ისაა, რომ გამტაცებლები ამით სწორედ ხუნტის წისქვილზე ასხამდნენ წყალს, შეგნებულად თუ შეუგნებლად. ხუნტა კი ამ დროს აფხაზეთში შესაჭრელად იმზადებდა ფონს. არსებობდა მძლავრი რუსული ინტერესი აფხაზეთში ომის გაჩაღებისა. რუსული სპეცსამსახურების დამგეგმავთა თავებში ცხადი ხდებოდა, რომ ისინი ამ ომით ერთდროულად, სულ მცირე, ოთხ „ჩიტს" მოკლავდნენ. 1. ეს თუნდაც დროებითი ერთობა და სოლიდარობა პუტჩის შემდეგ, რომელიც აფხაზთა ერთ ნაწილსა და კანონიერი ხელისუფლების მომხრეებს შორის გაჩნდა აფხაზეთში, ერთხელ და სამუდამოდ დაირღვეოდა. ამით აფხაზებს ეტყოდნენ, რომ სჯობს დაუჯეროთ და მხარში ამოუდგეთ თქვენს ხელმძღვანელობას, რომელმაც რესპუბლიკის სუვერენიტეტი უნდა დაიცვას და თავიდან ამოიგდეთ ილუზია, თითქოს შესაძლებელია ქართველებთან ერთად ფედერაციულ გაერთიანებაში ცხოვრება, როგორც გამსახურდია გაჯერებდათ ამასო; 2. ამ ომში ჩაერთვებოდა ორივე მხარე – როგორც დამხობილი ხელისუფლების მომხრეები, ისე დე ფაქტო ხელისუფლებისა. ადამიანები დაიხოცებოდნენ ორივე მხრიდან, რაც საგრძნობლად დაასუსტებდა საქართველოს თავდაცვისუნარიანობას; 3. ამ ომში უპირობოდ ჩაერთვებოდა რუსული ინტერესების გამტარებელი „კავკასიის მთის ხალხთა კონფედერაცია" და არ ექნებოდა მნიშვნელობა იმას, რომ ჩრდილოეთ კავკასიელთა, მათ შორის ჩეჩენთა და ინგუშთა, სოლიდური ნაწილი საქართველოს მხარეზე იდგებოდა. მთავარია, რომ ქართველთა თვალში ჩრდილოკავკასიელები „მტრის ხატი" გახდებოდნენ; 4. რუსეთი რეალურად თავის გავლენის სფეროდ აქცევდა აფხაზეთის რივიერას, რასაც ექნებოდა როგორც სამხედრო, ისე კულტურულ-ეკონომიკური მნიშვნელობა. აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონთან ერთად, დარჩებოდა ბერკეტად საქართველოზე ზეგავლენის მოსახდენად, მას შემდეგ, რაც რუსეთს მოუწევდა საქართველოდან ჯარის გაყვანა. შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა აჩვენა, რომ ამ ფაქტორებმა რეალურად იმუშავა. ძნელი წარმოსადგენია, ედ. შევარდნაძეს არ სცოდნოდა, რამდენად მაღალი იყო აფხაზეთში საქართველოს ჯარის დამარცხების რისკი. დღესავით ცხადი იყო, რომ რუსეთის გენშტაბი სეპარატისტებს დაეხმარებოდა ტექნიკით, რესურსებით, ინსტრუქტორებით, პერსონალით (მაგალითად, მფრინავები, ტანკისტები, არტილერისტები და ა. შ.).

ქართული ჯარი, მიუხედავად იმისა, რომ ჰქონდა გარკვეული შეიარაღება, არანაირად არ იყო მომზადებული ასეთი მძიმე და ხანგრძლივი ომისთვის, არ არსებობდა ერთიანი სარდლობა, არ არსებობდა ზურგი – ზურგის ნაცვლად იყო ხუნტის ლაშქრობებით შეურაცხყოფილი და გაღიზიანებული სამეგრე-

ლო, რომლის მოსახლეობის უმეტესობაც დამხობილ კანონიერ ხელისუფლებას უჭერდა მხარს. ჯარს, რომელიც აფხაზეთში 14 აგვისტოს შეევიდა, თვით რუკებიც კი არ ჰქონია.[673] მოსკოვში დიდი კავშირების მქონე პოლიტიკოსს საქმე რუსეთშიც არ ჰქონდა დიპლომატიურად მოგვარებული იმ ვარიანტისთვის, თუკი ომის შემთხვევაში რუსეთი ნეიტრალიტეტს შეინარჩუნებდა და დახმარებას არ აღმოუჩენდა სეპარატისტებს. დაახლოებით იმავეს ამბობს გენერალი ლევან შარაშენიძეც – მას, როგორც სახელისუფლებო სტრუქტურებიდან წასულ პირს, არაფერი ზღუდავდა, რომ სიმართლეც ეთქვა ხოლმე. შეკითხვაზე, რა რეაქცია მოჰყვა ომამდე ყარყარაშვილის შესვლას აფხაზეთში, როდესაც მან „ფსოუს წყალი დალია", მან ასე უპასუხა: „მაშინაც კიტოვანი იყო მინისტრი. იმ შესვლამ გააღიზიანა აფხაზები. მე არძინბას ხუთჯერ შევხვდი. მას ძალიან უნდოდა შევარდნაძესთან შეხვედრა. იცის ეს ბ-ნმა ედუარდმა. ჩვენს შეხვედრებს მერე ისეთი კუდები გამოაბეს, გივი ლომინაძე გაიძახოდა, რისთვის ხვდებით ერთმანეთს, რა საიდუმლო გაქვთო. როგორ არ უნდა შევხვედროდით? ყველაფერი დაიღუპა. შევედით, მაგრამ, ვაი, იქ შესვლას. თავს იმით ვიმართლებდით, კომუნიკაციებს ვიცავდითო. ამას ვინ დაიჯერებს? სამეგრელოში ომი ბობოქრობდა. ზურგი არ გვქონდა. ასე, გეგმის გარეშე, შეიძლებოდა?"[674]

პუტჩის შედეგად მოსული დე ფაქტო ხელისუფლების (ანუ ხუნტის) ინტერესი ომის დასაწყებად აფხაზეთში იყო ორი: ერთი, ეს იყო სამეგრელოს წინააღმდეგობის მოძრაობისთვის ზურგის მოშლა. ისინი ველარ დაიმალებოდნენ აფხაზეთში; და მეორე, რომ 1992 წლის 11 ოქტომბრისთვის ჩანიშნული „იმედის" არჩევნები ამ ფორსმაჟორულ სიტუაციაში არსებითად ყველგან, მათ შორის, სამეგრელოსა და აფხაზეთშიც, ჩატარდებოდა, ხოლო ბოიკოტი, რომელსაც აანონსებდნენ დამხობილი კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენლები, არაეფექტური იქნებოდა. არსებობდა, ასევე, ნარკომაფიის კონკრეტული ინტერესიც, რომელიც ხუნტის შეიარაღებულ ფორმირებებთან საკმაოდ გადახლართული იყო და გარკვეულ გავლენებს ფლობდა: ომის შემთხვევაში დიდძალი ნარკოტიკი გასაღდებოდა.

ე. შევარდნაძემ ბრალეულობა ომის დაწყებაზე თენგიზ კიტოვანს დააკისრა. კაზუს ბელი, ანუ ომის ფორმალური საბაბი იყო რკინიგზის დაცვა მძარცველებისგან. ფაქტია, რომ შევარდნაძის მოქმედების წესი უმეტესწილად ეფუძნებოდა პოლიტიკურ ამნეზიასა და აზროვნებით შეცდომებს, რომელთაც საზოგადოების არცთუ მცირე ნაწილი მასთან მიმართებით ხშირად უშვებდა. კიტოვანს, რომელიც ჩვეულებრივი პუტჩისტი იყო, სწორედ მან მიანიჭა ლეგიტიმაცია. სწორედ მისი (ანუ შევარდნაძის) ფაქტორის გამო დაეხმარა რუსეთი პუტჩისტებს სამხედრო ძალითა და ტექნიკით. აფხაზეთის ომის დაწყება გაუმართლებელი რისკი იყო. შევარდნაძემ ეს იცოდა და ამიტომაც ცდილობდა მისი დაწყების გადაბრალებას კიტოვანზე. აქვე ერთი საყურადღებო დეტალიცაა, ალბათ, გასათვალისწინებელი: იოსელიანის მოგონებების მიხედვით, სამხედრო საბჭოს შიგნით, ოთხკაციან პრეზიდიუმში, მოქმედებდა ვეტოს წესი.[675] რატომ არ დაა-

დო ვეტო შევარდნაძემ ამ გადაწყვეტილებას? კიდევ ერთი კითხვა ჩნდება: 1995 წლის იანვარში თენგიზ კიტოვანი, ვითომდაც აფხაზეთისკენ დაძრული, დააკავეს. იგი გაასამართლეს, მაგრამ მის ბრალდებასა და განაჩენში საერთოდ არ ფიგურირებდა 1992 წლის 14 აგვისტოს თვითნებური შესვლა აფხაზეთში. იგი სულ სხვა ბრალდებით გასამართლდა.

მათე ციხესაშვილი, საქართველოს მკვიდრი და ჩეჩნეთის რესპუბლიკა „იჩქერიის" მოქალაქე, ჩეჩნების ჩართვის ფაქტს აფხაზეთის ომში რუსული პროპაგანდის მიერ გაბუქებულად მიიჩნევს. მისი აზრით, 400-500 ჩეჩენი მებრძოლი იქ არ ყოფილა, არამედ – გაცილებით ნაკლები: „მაშინ აფხაზებმა გააკეთეს მიმართვა ჩრდილო კავკასიელებისადმი: ძმებო, დაგვეხმარეთო. ამან გამოიწვია კავკასიელების მასობრივი შესვლა და დახმარება. ყველაფერი კეთდებოდა საქართველოს გადასარჩენად. ზვიადს რომ ეთქვა ჯოხარისთვის, დახმარება მინდაო, საქართველოს პოლიტიკური ატლასი, როგორიც დღესაა, ისეთი არ იქნებოდა. ჯოხარ დუდაევმა რამდენჯერმე გააკეთა მოწოდება ტელევიზიით, რომ აფხაზეთის ომში იჩქერიის მთავრობა არ აგზავნის მებრძოლებს და დააბრუნეთ თქვენი შვილებიო. მაგრამ მოხალისეებს ვერცერთი მთავრობა ვერ აკონტროლებს. იმ ხანებში გროზნო-სოხუმის მარშრუტით თვითმფრინავი არ დაფრინავდა, დაცვას ვერ დააყენებდი, რომ სოხუმის მიმართულებით არ წასულიყვნენ. რამდენი აეყვანა აღრიცხვაზე ჩეჩნეთის შსს-ს?"[676]

რამდენადაც ზვიად გამსახურდია თავიდან ფიქრობდა, რომ დიპლომატიურ კავშირს შეინარჩუნებდა აფხაზურ მხარესთან, რაც მოლაპარაკებების პროცესში, შესაძლოა, გამოსადეგი ყოფილიყო, მან თავიდან დაგმო ეს ომი, სამხედრო ავანტიურად გამოაცხადა (რაც, პრინციპში, ასეც იყო საწყის სტადიაში. ეს პოზიცია მოგვიანებით შეიცვალა.) და პასუხისმგებლობა მის გაჩაღებაზე მთლიანად ხუნტას დააკისრა. მის მიმართვაში ეწერა: „საქართველოს დანაშაულებრივი სამხედრო ხუნტის მეთაურმა შევარდნაძემ დაიწყო ფართომასშტაბიანი სადამსჯელო ოპერაციები აფხაზეთში. ამის საბაბად, გამოიყენეს ხუნტის დამსჯელთა დაკავების ფაქტი დასავლეთ საქართველოში... სინამდვილეში, შევარდნაძის უკანონო რეჟიმი მიზნად ისახავს ავტონომიური რესპუბლიკის კანონიერი ხელისუფლების დამხობას და ქართველებსა და აფხაზებს შორის ძმათამკვლელი ომის გაჩაღებას, რაც იმპერიის დიდი ხნის მიზანს წარმოადგენდა. ნიშანდობლივია, რომ მოსკოვის ტელევიზია ცდილობს, ამ სისხლიან აქციაზე ბრალი მთლიანად ჯალათ კიტოვანს დააკისროს, რომელიც თითქოსდა არ ემორჩილება შევარდნაძეს. სინამდვილეში ბოლო რამდენიმე თვის განმალობაში შევარდნაძე გამუდმებით გამოდიოდა საქართველოს ტელევიზიით და ემუქრებოდა აფხაზეთს, რომ ყაზბეგიდან ლესელიძემდე დააყენებს ჯარებს და დაამყარებს წესრიგს. მე მოვუწოდებ ქართველ ხალხს, კავკასიის ხალხებს, მთელი მსოფლიოს საზოგადოებრიობას, ყველა კეთილი ნების ადამიანს გენოციდისგან დაიცვას მცირერიცხოვანი, მრავალტანჯული აფხაზი ხალხი, აფხაზეთის ქართული მოსახლეობა".[677]

ეს პოზიცია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოგვიანებით შეიცვალა, რამდენადაც ის, რასაც თავიდან ერთგვარი სპეცოპერაციის სახე ჰქონდა, გადაიქცა იმპერიულ ძალებთან საშინლად უთანასწორო, სამკვდრო-სასიცოცხლო ომად, რომელშიც ადგილობრივი თუ მოხალისე ქართველები თავგანწირულად ჩაერთნენ. ბრძოლაში ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად სამეგრელოს წინააღმდეგობის ძალებიც ჩაერთნენ. ამ საკითხს მოგვიანებით შევეხები.

ამ მიმართვის შემდეგ რუსული პროპაგანდა, რასაკვირველია, შეეცადა ზვიად გამსახურდიას, მანამდე ყბადაღებული „ეთნიკური ნაციონალიზმისგან" (რომელიც მანამდე არაერთგზის დაუბრალებია დეზინფორმაციის დახვეწილი მეთოდებით) შორსმდგომი, პოზიცია აფხაზეთის საკითხში სათავისოდ გამოეყენებინა. ამის გამო საქმე ისე წარმოაჩინეს, თითქოს იგი საქართველოს ერთიანობას მხარს აღარ უჭერდა. პრეზიდენტის მიერ გაკეთებულ 23 აგვისტოს მიმართვაში ნათქვამი იყო: „ა. წ. 23 აგვისტოს რუსეთის ტელევიზია „ვესტის" პროგრამამ გადასცა ხუნტის სააგენტო „იფრინდას" პროვოკაციული მონაჩმახი იმის შესახებ, თითქოს მე ჩემს მიმართვაში მთიელთა კავშირისადმი, ვნანობ, რომ ვიბრძოდი საქართველოს მთლიანობისთვის, და რომ საქართველო არის მცირე იმპერია, რომელიც შედგება სხვადასხვა ხალხისგან, სინამდვილეში ჩემი ასეთი მიმართვა მთიელთა კავშირისადმი არ არსებობს, იგი ხუნტის ნაყალბევია. ჩემს ყოველ მიმართვაში ქართველი ერისადმი მოვუწოდებ საქართველოს ერთიანობის შენარჩუნებისკენ და ვგმობ ხუნტის ცდებს საქართველოს დაშლისა და კუთხეებად დანაწევრებისა. ეს მორიგი სიცრუე ხუნტას დასჭირდა იმისთვის, რომ გადაარჩინოს რეპუტაცია შევარდნაძისა და მისი ე. წ. სახელმწიფო საბჭოსი, რომელთაც განიცადეს პოლიტიკური კრახი. მე პროტესტს ვაცხადებ ამ დეზინფორმაციის გამო და მოვითხოვ, რომ ეს ჩემი მიმართვა გადაიცეს რუსეთის ტელევიზიის იმავე პროგრამით".[678] რასაკვირველია, რუსეთის პროპაგანდისტულმა ორგანოებმა ამ მიმართვას, როგორც სჩვეოდათ, ნაუყრუეს.

5.14. ზვიად გამსახურდიას მოგზაურობა ევროპაში – მოკლეხნიანი შეჩერება თურქეთში

ვიზაზე უარის თქმამ ფინეთის საკონსულოს წარმომადგენლობის მხრიდან, რაც, ფაქტობრივად, ნიშნავდა ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის თათბირის შეხვედრაზე მისი დასწრების აკრძალვას, ზვიად გამსახურდიას გადააწყვეტინა საინფორმაციო ბლოკადის გარღვევა და ევროპაში მოგზაურობა. რამდენადაც ფინეთის საკონსულოს ვიზის გაცემაზე საბოლოო უარი არ უთქვამს, ზვიადმაც გადაწყვიტა, ესარგებლა ამ შესაძლებლობით. მას გზად მოუწია ხანმოკლე შეჩერება თურქეთში, რაც მისი ევროპული ტურნეს პირველი ეტაპი იყო. ავსტრიის გარდა, სადაც მეც ვიყავი, ერთადერთი წყარო ზვიად გამ-

სახურდიას მაშინდელი მოგზაურობის შესახებ, მერაბ კიკნაძის ჩანაწერებია, რომელმაც პირუთვნელად აღწერა ეს ყოველივე.

1992 წლის ნოემბრის დასაწყისში პრეზიდენტ ჯოხარ დუდაევთან კონსულტაციის შედეგად გადაწყდა გროზნოდან ჩარტერული რეისით გაფრენა სტამბოლში. ეს რეგულარული ფრენა არ ყოფილა, რამდენადაც ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერია არ იყო საერთაშორისო აღიარების მქონე სუბიექტი და, შესაბამისად, პირდაპირი ფრენები მას არც ჰქონია სხვა ქვეყნებთან. ზვიად გამსახურდია თანმხლებ პირებსა და იჩქერიის საგარეო საქმეთა მინისტრ შამსუდდინ იუსუფთან ერთად მფრინავების კაბინაში მოთავსდა. ეს უკანასკნელი კვიპროსელი ჩეჩენი იყო, მისი თურქული ნაწილიდან, მე-19 საუკუნეში რუსული კოლონიურ-საოკუპაციო ადმინისტრაციის მიერ ოსმალეთში გასახლებული მუჰაჯირების შთამომავალი. იგი სტამბოლში ჯ. დუდაევის საგანგებო დავალებით მიფრინავდა. ეს რეისი ნახევრად ლეგალური იყო და ხან ბაქოს გავლით დაფრინავდა, ხან – პირდაპირ სტამბოლზე კავკასიის ქედის გასწვრივ. საქართველოს სადისპეტჩერო სამსახურმა თვითმფრინავი საქართველოს საჰაერო სივრცეში არ შეუშვა და შემოვლითი გზით – კავკასიონის გაყოლებით შავი ზღვის გავლით – ჩაფრინდა სტამბოლის ათათურქის სახელობის აეროპორტში, იმჟამად ჯერაც მოქმედში.

ზვიად გამსახურდიას თან ახლდა მერაბ კიკნაძე, დევნილობაში მყოფი პარლამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი. თურქეთში შესვლა სტამბოლში მსხვილი კომპანიის, Arslan Transmarin Shipping Trading and Industry Co. Inc.-ის გენერალური დირექტორის, აიდინ კუტლუგის, დახმარებით მოხერხდა, რომელმაც სტუმრები VIP სალონში შეიპატიჟა. ვიზებზე გართულება არ ყოფილა, რამდენადაც იმ დროს თურქეთში პოსტსაბჭოური სივრცის მოქალაქეებისათვის გამარტივებული სავიზო რეჟიმი მოქმედებდა. დამოუკიდებელი საქართველოს პასპორტები ამ დროს ჯერ კიდევ არ არსებობდა. აეროპორტიდან აღნიშნული კომპანიის სათავო ოფისში მისვლამდე ზვიად გამსახურდიას შეხვდნენ კომპანიის მფლობელი იბრაჰიმ არსლანი, თურქეთის მეჯლისის რამდენიმე დეპუტატი და კომპანიის უმაღლესი მენეჯმენტის სხვა წარმომადგენლები. გაიმართა სახელდახელო სადილი. არსლანი, რომელსაც თურქეთის პრეზიდენტის, ტურგუტ ოზალის, ოჯახთან ახლო ურთიერთობა აკავშირებდა, რამდენჯერმე იყო ნამყოფი გროზნოში, ერთხელ – ოზალის ვაჟთან ერთად. მათ კავკასიური ერთობის იდეა აინტერესებდათ და მხარდაჭერას უცხადებდნენ. ამ ამბებში ჩართული იყო ასევე აზერბაიჯანის პრეზიდენტი აბულფაზ ელჩიბეი, რომელიც გროზნოში იყო ჩასული. იგი შეხვდა როგორც ზვიად გამსახურდიას, ისე ჯოხარ დუდაევს.

თვითმხილველთა გადმოცემით, გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ დევნილობაში მყოფ ზვიად გამსახურდიას თურქეთში პრეზიდენტის შესაფერისი დახვედრა მოუწყვეს. კომპანიის მფლობელმა ჰკითხა პრეზიდენტს, თუ რა გეგმები ჰქონდა. მან უპასუხა, რომ ჰქონდა მიწვევა გერმანიაში ადა-

მიანის უფლებათა საერთაშორისო ორგანიზაციისგან და შეძლებისდაგვარად სწრაფად სურდა იქ მოხვედრა. თურქმა მასპინძელმა იქვე გაატანა მათი პასპორტები კომპანიის ერთ-ერთ დირექტორს გერმანიის საკონსულოში ვიზების მისაღებად. ამის შემდეგ გაიმართა სადილი, ბოსფორში ღუზაზე მდგარ ერთ-ერთ იახტაზე. მ. კიკნაძე იგონებს: „კომპანიის წარმომადგენელმა გაერთიანებულ სამეფოში, ახალგაზრდა კაცმა, სახელად საქარია გუნდოგლუმ, ზვიადს ჰკითხა: „მე წარმოშობით ლაზი ვარ. მართალია, რომ ჩვენ და გურჯები ბიძაშვილები ვართ?“ ამაზე ზვიადმა უპასუხა: „მე თავად ლაზი გახლავარ ნახევრად, დასავლეთ საქართველოს დიდი ნაწილი ლაზებითაა დასახლებული და გურჯები და ლაზები ბიძაშვილები კი არა, ერთნი ვართ“. აღმოჩნდა, რომ დამხვდურთა ლამის ნახევარი ლაზი იყო, მათ შორის, მეჯლისის წევრებიც. ამ განცხადებით გაამაყებულნი საგრძნობლად გაიშალნენ მხრებში. როგორც ყვებიან, არალაზური წარმოშობის თურქი იბრაჰიმ არსლანი, ცოტა არ იყოს, დაფრთხა, თუმცა დიპლომატიურად არ შეიმჩნია (შდრ. მ. კიკნაძე).[679]

ამასობაში ვიზებზე გაგზავნილი კაცი გაოცებული დაბრუნდა გერმანიის საკონსულოდან და განაცხადა: კონსულს პირადად შევხვდი. გამსახურდიას გაგონებაზე ნირი ეცვალა და პირდაპირ წამოროშა: მე ამ საკითხს მარტო ვერ გადავწყვეტ, მოსკოვს (და არა ბონს!) უნდა შევუთანხმოო. საერთაშორისო თანამშრომლობის ამ „მარგალიტმა“ საყოველთაო მხიარულება გამოიწვია და, მ. კიკნაძის დაკვირვებით, ზვიად გამსახურდიას გაორმაგებული პატივისცემით მიაჩერდნენ. მასპინძელმა ფრანკფურტში თავის წარმომადგენელს დაურეკა, რომელმაც განაცხადა – პირდაპირ ფრანკფურტში ჩამოფრინდეს და ვიზას აქვე გავაკეთებო, თუმცა პრეზიდენტმა ეს გაუმართლებელ „ხულიგნობად“ მიიჩნია. როგორც ცნობილია, ზვიად გამსახურდია გერმანიაში არც მოგვიანებით შეუშვეს (მოსკოვის თვალსაზრისი, ეტყობა, ამდენად მნიშვნელოვანი იყო, კ. გ.).

იმავე დღეს უპრობლემოდ გაკეთდა ფინეთის ვიზები, რამდენადაც ფინეთის პარლამენტართა საქართველოს მხარდამჭერი ჯგუფი ჰელსინკიში ელოდა მას. ამ ყოველივეს კოორდინაციას უწევდა ადამიანის უფლებათა ორგანიზაციის თავმჯდომარე, ქალბატონი აილა ნიინიმაა-კეპო. ზვიად გამსახურდიამ ღამე SWISS HOTEL-ში გაათია. დილით, სასტუმროში, საუზმისას, მიმტანმა კაცმა, რომელიც ემსახურებოდა, დაიმარტოხელა აიდინ კუტლუგი და ჰკითხა: ეს მართლა გამსახურდიაა თუ მისი ორეულიაო. უჩვეულო ამაში ისაა, რომ ამ კლასის სასტუმროს მომსახურე პერსონალი, როგორც წესი, არ იმჩნევს ხოლმე ცნობილი სახეების იქ ყოფნას, – აღნიშნავს მ. კიკნაძე.

ნაშუადღევს ბატონმა არსლანმა მოულოდნელი შეთავაზება გაუკეთა პრეზიდენტს: უცხოეთიდან ანკარაში დაბრუნებისას პრეზიდენტი ოზალი სტამბოლში რამდენიმე საათით გაჩერდება და შესაძლებელია ხანმოკლე შეხვედრის მოწყობაო. ოზალი თურქეთის მერვე პრეზიდენტი იყო, 1989 წლიდან 1993 წლამდე. ზვიად გამსახურდია სიამოვნებით დათანხმდა და მცირე ხნის შემდეგ იბრაჰიმ არსლანის თანხლებით სტამბოლის სამხედრო აეროპორტისაკენ გაე-

მართა, სადაც ოზალის თვითმფრინავი დაეშვა. შეხვედრა აეროპორტში შედგა, VIP-ის არეალში. საუბარი, ცხადია, შეეხო საქართველო-თურქეთის სამომავლო ურთიერთობებს. როგორც ზვიადმა უთხრა თურქ კოლეგას, თურქეთის როლი სამომავლოდ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა როგორც პოლიტიკურ, ისე სამხედრო, ენერგეტიკულ და ეკონომიკურ ასპექტებში, რამდენადაც რუსეთის ფედერაცია, გადაიბარა რა საბჭოთა იმპერიის ფუნქციები, ყველაფერს გააკეთებდა საქართველოს იზოლაციისა და გარე სამყაროსგან მოწყვეტისთვის. ისინი აქამდე ხელს უწყობენ ქვეყანაში დესტრუქციულ პროცესებს, როგორც, მაგალითად, სახელმწიფო გადატრიალების დროს მოხდაო. თავის მხრივ, პრეზიდენტმა ოზალმა უთხრა: „ბედნიერი ვარ, რომ თქვენთან შეხვედრის საშუალება მომეცა“, – შემდეგ არსლანს მიუბრუნდა: ყველაფერი გააკეთეთ, რაც ძალგიძთ. მეზობელს გაჭირვებაში უნდა დაეხმაროო. სამხედრო აეროპორტიდან სტამბოლისკენ მომავალ გზაზე მასპინძელმა, რომელიც ძალიან კმაყოფილი ჩანდა, უთხრა ზვიადს, რომ მომავალში აუცილებელი იყო უფრო ხანგრძლივი და სერიოზული შეხვედრის ორგანიზება პრეზიდენტ ოზალთან ანკარაში, დეტალურად გაწერილი დღის წესრიგით. ამის შემდეგ ზვიად გამსახურდიამ თანმხლებ პირებთან ერთად სტამბოლი დატოვა და ჰელსინკიში გაფრინდა (თხრობა თითქმის უცვლელად მიჰყვება მ. კიკნაძისეულს).[680]

5.15. ზვიად გამსახურდიას მოგზაურობა ევროპაში – ფინეთი

რაც შეეხება ზვიად გამსახურდიას ვიზიტს ფინეთში, აქაც, ისევე როგორც თურქეთის ვიზიტისას, ვეყრდნობით მერაბ კიკნაძის ჩანაწერებს, არსებულს სტატიის ფორმით, რომელმაც პირუთვნელად აღწერა ეს ყოველივე. ვცდილობთ, უფრო ისტორიული ნარატივის ფორმა ჰქონდეს მონათხრობს. ჰელსინკის აეროპორტში ზვიად გამსახურდიას (მას აქაც, ისევე როგორც სტამბოლში, თან ახლდა პარლამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი მერაბ კიკნაძე) რეპორტიორების დიდი ჯგუფი, აწ განსვენებული ქალბატონის, აილა ნიინიმაა-კეპო და სხვა ფინელი მეგობრები, იქაური ქართველი ემიგრანტი რენო სირაძე და ფინეთში სამკურნალოდ მყოფი თბილისის ოპერის პრიმადონა და უზენაესი საბჭოს წევრი მაია თომაძე ელოდებოდნენ. ზვიად გამსახურდიამ ჩასვლისთანავე კორესპონდენტებს განუცხადა: „ბედნიერი ვარ იმით, რომ ჰელსინკის ვსტუმრობ. ამ ქალაქის სახელთან ბევრი რამ მაკავშირებს, ჰელსინკის შეხვედრის დასკვნით აქტში დეკლარირებული პრინციპებისათვის ბრძოლას მთელი ცხოვრება შევალიე იმედი მაქვს, რომ, ბოლოს და ბოლოს, მოვახერხებთ გავაგებინოთ სიმართლე მსოფლიოს საქართველოსა და კავკასიაში მიმდინარე მოვლენების შესახებ“. არცერთი, თუნდაც ირიბი საყვედურის სიტყვა ფინეთის მთავრობის მიმართ არ თქმულა. არადა, რამდენიმე თვით ადრე ფინეთმა ეუ-

თოს კონფერენციაზე დასასწრებად ვიზა არ მისცა ზვიადს. 1992 წლის ივლისში საქართველოს იქ ე. შევარდნაძე წარმოადგენდა.

საქართველოსა და ფინეთის ალმებიანი ავტომობილი აეროპორტიდან სასტუმრო Holiday inn-ისაკენ გაემართა. მეორე დილით სასტუმროს კონფერენც-დარბაზში დიდი პრესკონფერენცია გაიმართა, სადაც მთლიანად იყო წარმოდგენილი ფინური და ფინეთში აკრედიტებული საინფორმაციო საშუალებები. ზვიადმა განაცხადა, რომ საქართველოში მომხდარი გადატრიალება იყო სრულიად გაუგებარ პოლიტიკურ კურსზე გადასული პრეზიდენტ ბუშის, ცოტა ხნის წინ „მხედრიონის" საპატიო წევრად გამხდარი ჯეიმს ბეიკერისა და გორბაჩოვის შეთქმულება მის წინააღმდეგ, რომლის უშუალო შემსრულებლები კომუნისტური ნომენკლატურა და „ზაკვოს" საჯარისო ნაწილები იყვნენ. „ესაა ნომენკლატურის რევანში", – თქვა ზვიადმა და მოაყოლა, რომ ეს რევანში არამარტო ქართული მოვლენა გახლდათ. „დააკვირდით", – თქვა მან, – „თითქმის ყველგან, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში, ხელისუფლებაში ისევ კომუნისტები დაბრუნდნენ, ამის უახლესი მაგალითი ლიტვაა. დასავლეთის დემოკრატიებს მეტი სიფხიზლე მართებთ". ფინეთში ჩასვლამდე რამდენიმე დღით ადრე ლიტვაში ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები, სადაც დამოუკიდებლობის მომხრე კომპარტიის ფრთის ყოფილმა ლიდერმა, ბრაზაუსკასმა, გაიმარჯვა (ტერმინი „ნომენკლატურის რევანში" ზვიად გამსახურდიამ პირველად ბრიტანელი ჟურნალისტისა და ანალიტიკოსის, ქრისტოფერ სტორის, Soviet analyst-ში გამოქვეყნებულ სტატიაში გამოიყენა, რომელიც ასევე იყო დასათაურებული).

ზვიად გამსახურდიამ ამავე პრესკონფერენციაზე ვრცლად ისაუბრა იმაზე, რომ შევარდნაძის ხუნტამ დაშალა ხელისუფლებისა და მმართველობის ყველა დონის ორგანო, შეაჩერა კონსტიტუციის მოქმედება, რაც საფრთხეს უქმნიდა ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას; რომ რეჟიმი უმოწყალოდ უსწორდებოდა კანონიერი ხელისუფლების მომხრეებს მთელ საქართველოში; რომ აფხაზეთში ჯარის შეყვანის ერთადერთი მიზანი იქ ქართველი მოსახლეობის მშვიდობიანი დაუმორჩილებლობის კამპანიის დათრგუნვა იყო; ხაზი გაუსვა იმას, რომ საქართველოს კანონიერი პრეზიდენტი და პარლამენტი არ გადამდგარან და დევნილობაში აგრძელებდნენ ფუნქციონირებას, რომ ამ ბრძოლის მიზანი არა ხელისუფლების დაბრუნება, არამედ ქვეყანაში კანონიერების აღდგენა იყო; თქვა, რომ დასავლური პრესა და ადამიანის უფლებების დამცველი ორგანიზაციები, იშვიათი გამონაკლისების გარდა, ყველაფერ ამაზე თვალს ხუჭავდნენ. „თუ ასე გაგრძელდა, საქართველო მალე სომალის მდგომარეობაში აღმოჩნდება. ერთადერთი გამოსავალი დანაშაულებრივი რეჟიმის საერთაშორისო იზოლაციაა".

ფინეთში ჩასვლისთანავე ზვიად გამსახურდიამ შეიტყო ზუგდიდის პოლიციის შენობაში მოწყობილი აფეთქების შედეგად კანონიერი ხელისუფლების რამდენიმე მომხრის, მათ შორის, გვარდიის პოლკოვნიკის, სლავა მინჯიას, ვერაგული განადგურების ამბავი, რაც ძალიან განიცადა. ამ ტრაგიკული შემთხვევის შესახებ ზვიადმა პრესკონფერენციაზეც ისაუბრა და დამსწრეთ მოუყვანა,

როგორც არსებული რეჟიმის ტერორისტული ხასიათის საილუსტრაციო მაგალითი. სააგენტო AP-ის კორესპონდენტის შეკითხვაზე, რა რეაქცია გქონდათ, ეუთოს შეხვედრაზე ფინეთმა ვიზა რომ არ მოგცათო? ზვიადმა უპასუხა: „ეს ფინეთის მთავრობის ბრალი არ არის, მსოფლიო მთავრობის გადაწყვეტილებაა“. მისი პასუხიდან გამოდის, რომ ფინეთი ვერ შეცვლიდა ამ ვერდიქტს; ასევე ჩანს, რომ ზვიადმა მისთვის გამოტანილი განაჩენის შესახებ ძალიან კარგად იცოდა. ფინურმა მედიამ პრესკონფერენცია დეტალურად გააშუქა – არაერთი დამკვირვებლის აღნიშვნით – საკმაოდ ობიექტურადაც. ფინური საზოგადოებრივი ტელევიზიის პირველმა არხმა ასეთი კომენტარიც მოაყოლა: „გამსახურდიას გადაწყვეტილი აქვს ხელისუფლებაში მშვიდობიანი გზით დაბრუნება. საინტერესოა, არის თუ არა მისი პოზიციები საქართველოში ისეთივე ძლიერი, როგორიც მისი სიტყვებია?“

პრესკონფერენციის ანგარიში და მასალები საქართველოში შექმნილი მდგომარეობის შესახებ, ყველა იქაურმა გაზეთმა გამოაქვეყნა. ფინეთში პრეზიდენტ გამსახურდიას ჩასვლას წინ უსწრებდა ერთი საინტერესო ეპიზოდი. გავლენით მეორე გაზეთის Ilta Sanomat-ის მთავარმა რედაქტორმა მატტი ბაკმანმა ხანგრძლივ სატელევიზიო გამოსვლაში აღნიშნა, თუ როგორ გახდა „დიქტატორ“ გამსახურდიასა და საქართველოს ეროვნული ხელისუფლების წინააღმდეგ გაჩაღებული ცილისმწამებლური საერთაშორისო კამპანიის მსხვერპლი და უნებლიე მონაწილე. მ. კიკნაძე აღნიშნავს, რომ ამ სატელევიზიო გადაცემის ვიდეოჩანაწერი აილა ნიინიმაა-კეპომ დაახვედრა, რომლის დამსახურებაც თავის „მოქცევაში“ თვით ბაკმანმაც დაადასტურა. მისი სიტყვებით, შეხედულების ასეთ მკვეთრ ცვლილებაში ძირითადი როლი იმ ფაქტმა ითამაშა, რომ ყოფილი კომუნისტი დიქტატორისა და „დასავლეთის ფავორიტის“ საქართველოში დაბრუნების შემდეგ დასავლურ მედიაში საქართველოზე, სადაც ხალხს პირდაპირ ქუჩაში ხვრეტენ, მხოლოდ პოზიტიური ინფორმაცია ვრცელდებოდა. „ახლა ვხვდები, რომ გამსახურდიას „დიქტატორობა“ გულუბრყვილო ხალხზე გათვლილი მედიახრიკი იყო. ვწუხვარ, რომ ამ გულუბრყვილო ხალხის სიაში თავად აღმოვჩნდი. არადა, თავს ასეთად ნამდვილად არ მივიჩნევდი“. საკუთარი გულუბრყვილობის მსხვერპლი ბაკმანი ამჯერად გულახდილობისა და პატიოსნების გამო დაზარალდა. ამ სატელევიზიო გამოსვლის შემდეგ ის მთავარი რედაქტორის თანამდებობიდან გადადგა. როგორც ჩანს, „დინების საწინააღმდეგოდ ცურვა“ არსად არაა იოლი.

„ფინეთ-საქართველოს საზოგადოების“ ოფისში პრეზიდენტ გამსახურდიასა და მარტი ბაკმანს შორის ხანგრძლივი მეგობრული საუბარი შედგა. უცნობია, აისახა თუ არა ეს საუბარი შემდგომ რაიმე სახის პუბლიკაციაში. ფინეთში ერთკვირიანი სტუმრობისას კიდევ ბევრი საინტერესო შეხვედრა გაიმართა. მათ შორის, ყველაზე მნიშვნელოვანი პარლამენტში გამართული მიღება იყო, რომელიც ფინეთის პარლამენტის საქართველოს ჯგუფის თავმჯდომარემ, აწ

გარდაცვლილმა ჰეიკკი რიიჰიიარვიმ საქართველოს დევნილი პრეზიდენტის პატივსაცემად მოაწყო. თავად ჰეიკკი იყო ჯავშანსაწინააღმდეგო ქვედანაყოფის თადარიგის კაპიტანი, შემდგომ – ლუთერანული ეკლესიის არქიეპისკოპოსი, ფინეთის პარლამენტის ოთხი მოწვევის დეპუტატი, ჰეიკკი რიიჰიიარვი პროფესიონალ პოლიტიკოსთა იმ იშვიათ რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომლებიც არა ყბადაღებული „პრაგმატიზმის“, არამედ საკუთარი სინდისის კარნახით მოქმედებენ. შეხვედრას ესწრებოდნენ პარლამენტის წევრები, ჟურნალისტები, ფინეთ-საქართველოს საზოგადოების წევრები, მათ შორის, ცნობილი ჟურნალისტი და დისიდენტი ჰეიკკი ესკილინენი, რომელიც პრეზიდენტმა ურჰო კალევო კეკკონენმა 60-იან წლებში ციხეში გამოამწყვდია, აგრეთვე, ფინეთის ჰელსინკის ჯგუფის უცვლელი თავმჯდომარე ჰეიმო რანტალა. ჰეიკკი რიიჰიიარვი და ჰეიკკი ესკილინენი მოკლე მოხსენებებით გამოვიდნენ, სადაც სრულ მხარდაჭერას უცხადებდნენ პრეზიდენტ გამსახურდიას. აღნიშნეს, რომ ფინელებს, საკუთარი მწარე ისტორიული გამოცდილების წყალობით, განსაკუთრებით კარგად ესმოდათ, თუ ვინ უქმნიდა პრობლემებს საქართველოს დამოუკიდებლობას, და ეჭვი არ ეპარებოდათ იმაში, რომ ეს სწორედაც საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა გახლდათ.

საერთოდ, ფინეთის პარლამენტის საქართველოს ჯგუფმა, ფინეთ-საქართველოს საზოგადოებამ, ფინეთის ჰელსინკის ჯგუფმა არაერთი საპროტესტო განცხადებით მიმართეს დასავლეთის მთავრობებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს, აგრეთვე, შევარდნაძის რეჟიმს საქართველოში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით. ჰეიკკი რიიჰიიარვიმ ასე მიმართა დევნილობაში მყოფ საქართველოს პრეზიდენტს: „ჩემთვის, როგორც სასულიერო პირისათვის, განსაკუთრებულად ძვირფასია ის ჭეშმარიტად ქრისტიანული თავშეკავება და მარადიული ღირებულებების პატივისცემა, რომლებითაც თქვენს ბრძოლაში ხელმძღვანელობთ“. ზვიადის გარდაცვალების შემდეგ ჰეიკკის ეკუთვნის ეს სიტყვებიც, რომლებიც კერძო საუბარში უთქვამს: „ზვიადი ჭეშმარიტი ქრისტიანი იყო და ასევე იბრძოდა, მათ წინააღმდეგ კი სხვანაირი მოქმედებაა საჭირო. ფინეთის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის (1918 წ.) შეუდარებლად უფრო დაუნდობელი იყო. ამ ომში „წითლების“ მხარეს რამდენიმე ჩემი უახლოესი ნათესავი დაიღუპა, მაგრამ ვთვლი, რომ თავისუფლება ამად ნამდვილად ღირდა; თუმცა, ახლა უკვე ჩვენში ბევრი სხვანაირად ფიქრობს“. როგორც აღენიშნეთ, ეს კაცი საერო ცხოვრებაში თადარიგის კაპიტანიც იყო.

გაიმართა შეხვედრა საგარეო საქმეთა სამინისტროშიც. იქ პრეზიდენტ გამსახურდიას მოკლე განცხადება ზრდილობიანად და უკომენტაროდ მოისმინეს და „დახმარება აღუთქვეს“. ამის შემდეგ ფინელმა ბიზნესმენმა იუსსი კ.-მ, რომელმაც ფინეთში პრეზიდენტის სტუმრობის ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილი გაიღო, სტუმრის პატივსაცემად თავის კერძო კლუბში ვახშამი გამართა, რომელსაც ათამდე ადამიანი ესწრებოდა. ვახშამი ცალკე ოთახში იყო სერვირებუ-

ლი. მ. კიკნაძის მოგონებების მიხედვით, მეზობლად განლაგებული დიდი დარბაზიდან სიმღერის ხმა შემოდიოდა, რაც ფინეთისათვის საკმაოდ უჩვეულო გახლდათ. სტუმარი დაინტერესდა, თუ რა ხდებოდა. გამოირკვა, რომ ჰელსინკის უნივერსიტეტის უძველესი და ფინეთში საუკეთესო მომღერალთა გუნდი ტრადიციულ ყოველწლიურ შეხვედრას მართავდა. გუნდი „ფინელი" შვედებით იყო დაკომპლექტებული. მასპინძელი დაინტერესდა, ხმაურმა ხომ არ შეგაწუხათო? ზვიადმა უპასუხა: პირიქით, ხმაური კი არა, შესანიშნავად მღერიანო. როგორც ჩანს, აილას მეშვეობით ეს ამბავი გუნდის წევრებმა გაიგეს და ცოტა ხნის შემდეგ ნებართვა ითხოვეს: პრეზიდენტ გამსახურდიას საპატივცემულოდ ვიმღერებთო. ზვიადი სიამოვნებით დათანხმდა და პატარა ოთახი სხვადასხვა ასაკის, ფრაკებში გამოწყობილი შექეიფიანებული მომღერლებით აივსო. სიმღერას სიმღერა მოჰყვა. შესანიშნავად იმღერეს. თვითმხილველთა თქმით, საოცრად ამაღელვებელი განწყობა შეიქმნა.

სტუმრობა შედგა ცნობილი ფინელი დირიჟორის, კარი ტიკკას, ოჯახშიც, სადაც დირიჟორმა ზვიადი პირადად დაპატიჟა. საღამოს მაია თომაძეც ესწრებოდა. საღამოზე მაიამ შესანიშნავად იმღერა. აკომპანიატორი თავად კარი ტიკკა იყო. ზვიადმა ჰკითხა მაიას, ჰქონდა თუ არა რეპერტუარში შუბერტის „ავე მარია" – აღმოჩნდა, რომ არა. „ვეცდებოდი აკომპანიმენტი გამეწია", – უთხრა ზვიად გამსახურდიამ. მაიას რეპერტუარში რომ ყოფილიყო ეს სიმღერა, დუეტი შედგებოდა, რომელსაც ნამდვილად ჩაიწერდნენ და ის ისტორიასაც დარჩებოდა.

ზვიად გამსახურდია დაპატიჟეს, ასევე, ფინეთის ჰელსინკის ჯგუფის უცვლელი თავმჯდომარის, ჰეიმო რანტალას, ოჯახშიც. ამ საღამოზე ჩამოვარდა საუბარი იმის შესახებ, რომ იმპერიის წინააღმდეგ საქართველოს გუშინდელი მოკავშირე ბალტიელები, განსაკუთრებით, ესტონელები და ლატვიელები (ლიტვა არ უხსენებიათ, ვინაიდან ლანდსბერგისი სწორედაც რომ მკაფიოდ გამოხატავდა თავის პოზიციას), სამარცხვინო გულგრილობას იჩენდნენ საქართველოში განვითარებული მოვლენების მიმართ. მასპინძელი ამან ძალიან აღაშფოთა: „რა სწრაფად დაავიწყდა ზოგიერთ ახლანდელ ესტონელ პარლამენტარს, რომ სამშობლოდან გამოქცეული ჩემს სახლში ემალებოდა ფინეთის მთავრობისაგან მოსალოდნელ ექსტრადიციას!" რამდენადაც ფინეთი თებერვლის რევოლუციამდე რუსეთის იმპერიის ნაწილი იყო, სტუმარმა მოინახულა XIX საუკუნის შუა წლებში აშენებული „უსპენსკის" კათედრალი, რომელსაც ამჟამად ფინეთის მართლმადიდებელი ეპარქია განაგებს. ტაძარი, რომელიც ჰელსინკის ერთ-ერთი მთავარი ტურისტული ღირსშესანიშნაობაა, დაკეტილი აღმოჩნდა, მაგრამ სტუმრის ხათრით გააღეს. ზვიადმა სანთლები დაანთო და ილოცა. შემდგომ ზვიად გამსახურდია თითქმის ერთი სრული დღით განმარტოვდა ჰელსინკის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

ფინეთში ყოფნის ბოლო დღეს ზვიად გამსახურდიამ მოისურვა Suomen Akateeminen Kirijakauppa-ში შესვლა, რაც ითარგმნება, როგორც „ფინეთის აკადე-

მიური წიგნის მაღაზია", – ასრულებს თხრობას მ. კიკნაძე. აქ მას რამდენიმე სოლიდური გამოცემა უსახსოვრეს. გამვლელები ხშირად ცნობდნენ, მოკრძალებულად – როგორც ფინელებს სჩვევიათ – ესალმებოდნენ და წარმატებას უსურვებდნენ. ამის შემდეგ (ნოემბრის 6 ან 7 უნდა ყოფილიყო, 1992 წლისა) ზვიად გამსახურდიამ დატოვა ჰელსინკი და ვენისკენ აიღო გეზი.[681]

5.16. ზვიად გამსახურდიას მოგზაურობა ევროპაში – ავსტრია

ჯერ კიდევ ფინეთში ყოფნისას, როგორც ამას მ. კიკნაძე წერს, ქალბატონმა აილა ნიინიმაა-კეპომ მიმართა გერმანიის საკონსულოს ჰელსინკიში და პირადად ესაუბრა კონსულს. ამ უკანასკნელმა აუწყა, რომ არანაირი აზრი არ ექნებოდა აპლიკაციის შევსებას, რადგან, მისი ინფორმაციით, გერმანია არ აპირებდა ზვიად გამსახურდიას შეშვებას ქვეყანაში. მაშინ ზვიად გამსახურდიამ ფაქსის ფორმით მოკლე წერილი გაგზავნა გერმანიის კანცლერის სამდივნოში: „კომუნისტური რეჟიმის დროიდან ვცდილობ გერმანიაში მოხვედრას, სადაც მამაჩემმა, ქართული ლიტერატურის კლასიკოსმა, განათლება მიიღო და რომელთან მეც, როგორც მკვლევარს, უამრავი რამ მაკავშირებს. კომუნისტები ჩემი ქვეყნიდან არ მიშვებდნენ, ახლა თქვენ თქვენს ქვეყანაში არ მიშვებთ. რამ შეგაშინათ, არანაირი პოლიტიკური, მით უმეტეს, „დესტრუქციული" მოქმედების გაშლას მანდ არ ვაპირებ. კერძო მონვევით მსურს ჩამოსვლა". ამ წერილზე ზვიადს პასუხი არ მიუღია, თუმცა ეს საკითხი მაინც ამოტივტივდა გერმანულ პრესაში: ეს იყო გაზეთი „Die Welt", რომელშიც განთავსდა სტატია, სათაურით „მეტერნიხი ბონში". სტატიის ავტორი იყო კორესპონდენტი კარლ-გუსტავ შტრიომი. სტატიაში ავტორი გერმანიის ხელისუფლებას რიტორიკულ კითხვას უსვამს: „რატომ უნდა ჩააკმენდინო ადამიანს ხმა, მით უმეტეს მაშინ, როდესაც მის დამამხობელს დიდ დემოკრატად მიიჩნევ. ან რატომ, რა ნიშნით არის ზვიად გამსახურდია ედუარდ შევარდნაძეზე ნაკლები დემოკრატი?" სიმართლე, რომლის თქმაც მას გერმანიაში სურდა, ეტყობა, არასასიამოვნოა გერმანიის ხელისუფლებისთვის, წერდა შტრიომი. სახელი „მეტერნიხი", აშკარად ირონიული კონოტაციით იყო ნაგულისხმევი სტატიაში და არც კანცლერი ჰელმუტ კოლი, არც საგარეო საქმეთა მაშინდელი მინისტრი კლაუს კინკელი, გადამდგარი ჰ. დ. გენშერის მემკვიდრე ამ უწყებაში, არ ყოფილან, ცხადია, პირდაპირი გაგებით შედარებულნი მე-19 საუკუნის ევროპული სახელმწიფო საქმეების ახლიდან მოწესრიგების ამ გიგანტთან.

გერმანიაში მანამდე ძალიან აქტიურობდა „ადამიანის უფლებათა საერთაშორისო საზოგადოება" (IGFM), რომლის მთავარი ოფისიც მაინის ფრანკფურტში მდებარეობდა. იგი სისტემატურად აქვეყნებდა ცნობებს თბილისში ხუნტის დამსჯელების მხრიდან მიტინგების დარბევაზე, ასევე, პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ ადამიანებზე მთელ საქართველოში. ამ ორგანიზაციის მთავა-

რი მენეჯერი იყო ქალბატონი ვანდა ვანზიდლერი, სსრკ-დან ემიგრირებული საბჭოთა გერმანელი, რომელიც პოლიტპატიმარიც იყო თავის დროზე, რამდენადაც სცადა საბჭოთა კავშირის საზღვრის არალეგალურად გადაკვეთა. იგი შესანიშნავად იცნობდა საბჭოურ სისტემას. ვანდა ავსტრიაში დაუკავშირდა თავის კოლეგას, კატარინა გრიბს, რომელმაც ავსტრიის მოწვევა გამოგზავნა. ავსტრიის ხელისუფლებამ ნება დართო ზვიადსა და მის თანმხლებ პირს, მერაბ კიკნაძეს, შესულიყვნენ ავსტრიაში.

ავსტრიაში ჩავედი გერმანელ ჟურნალისტებთან, იოჰან-მიხაელ გინტერთან, ჟანეტ ჰააკესა და ფელიქს შულცთან ერთად. ვენაში, ასევე, მატარებლით ჩამოვიდა ვანდა ვანზიდლერი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტივისტთან, გერმანიაში მცხოვრებ რუსუდან შმიდტთან ერთად.

პირველ ნოემბერს, ღამით, ვენის აეროპორტში დაჯდა თვითმფრინავი ჰელსინკიდან, რომელსაც აქ ჩამოყვნენ ზვიადი და მერაბ კიკნაძე. ზვიადი დაბინავდა სასტუმრო „კუგელში“, ვენის ცენტრში, ზიბენშტერნგასსეზე. „კუგელ“ გერმანულად ტყვიას ნიშნავს. სასტუმროს ჰოლში, კედლებზე ანტიკვარული სანადირო თოფები იყო ჩამოკიდებული. სასტუმროს მეპატრონე იყო იოჰანეს როლერი, რომელიც ფრიად აღფრთოვანებული იყო ასეთი სტუმრობით. ამ კაცს მხოლოდ გერმანული იერ-სახე არ ჰქონია, იგი უფრო გერმანულ-სამხრეთული, გარკვეულწილად მედიტერანული გარეგნობის კოლორიტული მოხუცი იყო. იგი ყოველ დილით ყავას თვითონ ამზადებდა და მიართმევდა ხოლმე „ჰერრ პრეზიდენტს“. მას ძალზე გაუხარდა, როდესაც აღმოაჩინა, რომ პრეზიდენტი გერმანულადაც საუბრობდა.

ავსტრია იმჟამად ეკუთვნოდა და ნაწილობრივ ახლაც ეკუთვნის იმ ქვეყნების რიგს, რომლებიც გარკვეულ თავისუფლებასა და დამოუკიდებელი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების ტრადიციას ინარჩუნებდნენ ევროკავშირში. ზვიად გამსახურდიას, დევნილობაში მყოფი საქართველოს პრეზიდენტის, შემოშვება ქვეყანაში ასევე პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო. ამ ამბებში ჩართული ჩანდა ევროპარლამენტის დეპუტატი, პარტია „პანევროპული კავშირის“ თავმჯდომარე ოტტო ფონ ჰაბსბურგი, რომელიც იყო ავსტრო-უნგრეთის უკანასკნელი იმპერატორის, კარლის, ვაჟი. იგი მიუნხენთან ახლოს ცხოვრობდა, სადაც იყო განთავსებული მისი პარტიის ძირითადი ოფისიც. იგი ძალიან აქტიურად ცდილობდა ზეგავლენის მოხდენას გერმანიაზე, რათა ამ ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროს ზვიად გამსახურდიას შემოსვლაზე ვიზა გაეცა. მას გავლენიანი მეგობრები ჰყავდა ავსტრიაშიც და, როგორც ჩანს, ამ ფაქტორმაც იმუშავა. ჰაბსბურგმა დარეკა „კუგელში“ კვიპროსიდან, სადაც პოლიტიკურ შეხვედრაზე იმყოფებოდა. საუბრისას ზვიადი მას მიმართავდა, როგორც „თქვენო უდიდებულესობავ“ (Your Highness), ხოლო ოტტო ფონ ჰაბსბურგი – როგორც „ბატონო პრეზიდენტო“. ჰაბსბურგმა საუბრის ბოლოს უთხრა, რომ იგი ხშირად დარეკავდა, რათა მიმდინარე ამბების კურსში ყოფილიყო.

ჩასვლიდან მომდევნო დღეს ზვიად გამსახურდია მიიწვია ავსტრიის მთავარმა ტელეკომპანია „ORF პირველმა“, რომელმაც მას თითქმის 10-წუთიანი სიუჟეტი მიუძღვნა. გადაცემა კარგად იყო დოკუმენტირებული პუტჩის კადრებით. ზვიადმა განაცხადა, რომ ყველანაირი ბრალდება მის დიქტატორობაზე მცდარი და პროპაგანდისტული მიზნებით იყო მოტივირებული. შეეხო საქართველოში შექმნილ უმძიმეს სიტუაციასაც. დღის მეორე ნახევარში სასტუმროში მოვიდა დოქტორი ჰოპტლი, რომელიც ესაუბრა პრეზიდენტს შექმნილ სიტუაციაზე. მან ინგლისურად შედგენილი მასალები წაიღო და შეპპირდა, რომ გადასცემდა საგარეო კომიტეტს ავსტრიის პარლამენტში.

1992 წლის 3 დეკემბერს ვენის პრესკლუბ „კონკორდიაში“ ჩატარდა პრესკონფერენცია, რომელზეც თავიდან სიტყვით გამოვიდა ვანდა ვანზიდლერი. მან წარმოადგინა ვიდეომასალა დარბევებზე, ასევე, პოლიტპატიმართა სია. ცალკე ვიდეოზე აღბეჭდილი იყო „მხედრიონის“ მიერ მოსახლეობის საზარელი დარბევის შედეგები, რომელსაც ადგილი ჰქონდა წალენჯიხაში, ივლისის დასაწყისში. შემდეგ ზვიადმა ისაუბრა საქართველოში შექმნილ სიტუაციაზე, ახსენა ხელისუფლების მიტაცება მაფიისა და ბანდების მიერ, რომელთაც საერთაშორისო იმიჯს დასავლეთში დემოკრატად წოდებული ედუარდ შევარდნაძე უქმნიდა. პრესკონფერენციის დასრულების შემდეგ მისგან ინტერვიუები აიღეს ИТАР-ТАСС-მა, იაპონურმა სააგენტომ The Sehai Nippo-მ, ვატიკანის რადიოს კორესპონდენტმა, ასევე, გერმანიისა და ბრიტანეთის ტელევიზიებმა. აქ იყვნენ, ასევე, ვენის გაზეთების, „შტანდარტის“, „დი პრესესა“ და „კურიერის“ წარმომადგენლები.

4 დეკემბერს შეხვედრა შედგა ავსტრიის საგარეო საქმეთა სამინისტროში. ზვიადი მიიღო სახელმწიფო მდივანმა ვოლფგანგ შალენბერგმა. ზვიადმა შეხვედრისას ყურადღება გაამახვილა კატასტროფულ ჰუმანიტარულ სიტუაციაზე, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოსა და აფხაზეთში, ისევე როგორც ადამიანის უფლებათა უმძიმეს დარღვევებზე. აღნიშნა, რომ ხუნტა, იმ ძალებისთვის, რომლებმაც მონაწილეობა არ მიიღეს ან წინააღმდეგნი იყვნენ გადატრიალებისა, პოლიტიკურ პროცესში ჩართვის არანაირ შესაძლებლობას არ ტოვებდა. მან დასავლეთის მეტი ჩართულობა მოითხოვა პროცესებში. მან ამავე დროს განაცხადა, რომ გაგებით ეკიდებოდა პატარა ქვეყნების პრობლემებს, როდესაც, ასე თუ ისე, უწევდათ დიდი ქვეყნების პოლიტიკური გადაწყვეტილებების გათვალისწინება. იმავე დღეს ინტერვიუები ჩაიწერეს ჯერ Deutsche Funk-მა, შემდეგ კი Oesterreichische Funk-მა. აქ საინტერესო იყო სარედაქციო კომენტარები, რომლებშიც ჩანდა აშკარად „არამეინსტრიმული“ თვალსაზრისი საქართველოში მიმდინარე ამბების მიმართ. მაგალითად, ერთი ასეთი იყო: „საქართველოში პუტჩი მაფიასა და მოსკოვთან დაპირისპირების გამო მოხდა“. ხოლო Oesterreichische Funk-ის, ყველაზე პოპულარული, ახალგაზრდული რადიოსადგურის ეთერში ზვიადმა განაცხადა: „ჩვენ თავისუფალ არჩევნებში დავამარცხეთ კომუნისტები. შევქმენით დემოკრატიული პარლამენტი. საპრეზიდენ-

ტო არჩევნებში ხუთი მოწინააღმდეგე მყავდა, რომელთაც ჩემი კრიტიკა ყველგან უპრობლემოდ შეეძლოთ. მე მსახავენ აღმოსავლური ტიპის დიქტატორად, ფაშისტად. ჩემ წინააღმდეგ საშინელი კამპანია გაჩაღდა დასავლეთის პრესაში. პუტჩს გორბაჩოვი და შევარდნაძე ამზადებდნენ და ხელმძღვანელობდნენ. პუტჩისტებს იარაღითა და სპეციალისტებით რუსეთის არმიის შტაბი, „ზაკვო“ ამარაგებდა. პუტჩის შემდეგ საქართველოში სახელმწიფო მაფიამ ჩაანაცვლა“. ინტერვიუ პირდაპირ ეთერში არ გასულა. მისი გაშვების შემდეგ, მომდევნო დღეს, ახალგაზრდულმა როკ-ბენდმა ზვიადს სიმღერა მიუძღვნა, რომლის შინაარსიც თავისუფლების საკითხს შეეხებოდა. მოხდა ისე, რომ ამ დროს ვენაში ტაქსით გადავაადგილდებოდით. ზვიადმა სთხოვა ტაქსის მძღოლს, რადიოსთვის ხმა აეწია. როდესაც ინტერვიუ მორჩა და სიმღერა დაიწყო, მძღოლმა შეხედა და უთხრა: ბატონო, ეს სიმღერა, მგონი, თქვენ გეძღვნებათო. თურმე მას უნახავს ინტერვიუ ORF-ში და თავიდანვე უცნია ზვიადი, თუმცა არ შეიმჩნია.

მომდევნო დღეს ზვიადმა ვენის სახელმწიფო მუზეუმი მოინახულა. იქ ტრამვაით წავედით. ერთ-ერთი ბაროკული ეპოქის მხატვრის სურათთან, რომელზეც ძველი ბერძენი მეომრები იყვნენ გამოსახულნი, თქვა: პროტაქართველურმა ხალხებმა, ხალიბებმა და მოსხებმა, მისცეს კაცობრიობას ბრძოლაში ყველაზე ეფექტური ფოლადის იარაღი. მაგრამ როგორი საოცარია ბედისწერა, რომ დღესაც ეს იარაღი გვანადგურებსო. ალბათ, ამ დღეს გულისხმობდა მწერალი დათო ტურაშვილი, როდესაც წერდა: „იქნებ იმ შეცდომებზე ლაპარაკობდნენ კიდეც ზვიად გამსახურდია და მისი ვაჟი ვენაში, სადაც პრეზიდენტი საქართველოში დაბრუნებამდე გროზნოდან ჩავიდა. ისინი მთელი დღე ისხდნენ ვენის ტრამვაის ვაგონში, სულ ბოლო სკამზე და საუბრობდნენ საქართველოზე, ალბათ, ისე სევდიანად, რომ ტრამვაის ვატმანი მხოლოდ გახედავდა ხოლმე მათ და არ ეუბნებოდა, რომ ეს უკვე ბოლო გაჩერებაა. ვინ იცის, რამდენჯერ შემოუარა იმ ტრამვაიმ ავსტრიის წვიმიან დედაქალაქს და იქნებ ზვიად გამსახურდიამაც დანამდვილებით იცოდა, რომ იგი საქართველოში სიკვდილთან შესახვედრად ბრუნდებოდა“. ეს მგზავრობა ნამდვილად ასე იყო, თუმცა ტრამვაიში ამდენ ხანს არ ვყოფილვართ. „ხუნტაზე“ კი ვხუმრობდით, სალაღობო ლექსიც კი გამოვთქვი. ვენის მუზეუმიდან ტრამვაიმ როგორც კი მიაღწია ზიბენშტერნგასსემდე, მაშინვე ჩამოვედით. შემდეგ კატარინა გრიბმა ვახშამზე დაპატიჟა ზვიადი და მასთან ერთად ჩვენც ვენის ერთ-ერთ საუკეთესო რესტორანში.

მომდევნო დღეს შედგა შეხვედრა ვატიკანის ოფიციალურ წარმომადგენელთან ვენაში, ანუ ნუნციუსთან, რომელსაც ზვიად გამსახურდიამ გადასცა წერილი და უთხრა, რომ, შექმნილი რთული სიტუაციიდან გამომდინარე, მისთვის შეუძლებელი იყო წერილის ჩვეულებრივი გზით გაგზავნა და სთხოვა, პაპისთვის, იოანე პავლე მეორისთვის, გადაეცა ის, რაც ნუნციუსმა თავაზიანად აღუთქვა. რამდენიმე დღის შემდეგ ზვიადმა მოწვევა მიიღო ზალცბურგიდან, სადაც მას სთხოვეს, ესაუბრა გარკვეულ წრესთან. რამდენადაც მატარებელს ვენიდან ზალცბურგამდე სამი საათი სჭირდება და ცოტა ადრე ჩავედით, ზვი-

ადმა მოცარტის მუზეუმი მოინახულა, სადაც რეკვიემს მოუსმინა განსაკუთრებული გულისყურით. ზალცბურგის გოეთეს ცენტრში კი იმპროვიზებული ლექცია წაიკითხა გერმანულად. ლექცია ეხებოდა ზვიადისა და მერაბის ბრძოლას სულიერებისათვის ტოტალიტარიზმის ეპოქაში, ანთროპოსოფიის, როგორც სულიერი მეცნიერების, როგორც მებრძოლი ქრისტიანობის საერო-ზეპური ფორმის როლს ამ ბრძოლაში. ლექციას ასამდე მსმენელი დაესწრო. შეკითხვების დასმისას და აზრის გამოთქმისას ერთ-ერთმა მსმენელმა აღნიშნა, რომ სრულიად ირაციონალური სიძულვილი თქვენდამი, რომელიც მძვინვარებს არა მარტო საქართველოსა და რუსეთში, არამედ მან მსოფლიო პრესის არაერთ ორგანოშიც გამოჟონა, უდავოდ ფენომენალურიაო. ის შეიძლება შეედაროსო კასპარ ჰაუზერისა (იდუმალებით მოცული პიროვნება, სავარაუდოდ, ბადენის ჰერცოგთა სახლის შთამომავალი მე-19 ს-ში, კ. გ.) და რუსეთის მეფე დიმიტრიოსის (შდრ. ოფიციალური რუსული ისტორიოგრაფიის ცრუ-დიმიტრი, კ. გ.) მიმართ გაღვივებულ უმაგალითო სიძულვილსო. ზვიად გამსახურდიამ მიანიშნა, რომ ნახსენები ისტორიული პირები უნიკალურები იყვნენ და მათ ასეთად წარმოაჩენდა ეპოქაც, რომელსაც აპოკალიფსური ნიშნები ჰქონდა. ასეთი ადამიანები დიდ საიდუმლოსაც ატარებენო, რის დასადასტურებლადაც გაიხსენა ლათინური წარწერა კასპარ ჰაუზერის საფლავზე – Aenigma sui temporis, Ignota natavitas. Oculta mors (შდრ. ქართ. „თავისი დროის ენიგმა, უცნობი დაბადებით, საიდუმლო სიკვდილით“). რუსეთზე საუბრისას მიხეილ გორბაჩოვზე და ელცინზე თქვა, რომ ხშირად მათ თავადაც არ იცოდნენ, რას აკეთებდნენო. ისინი ხან სამყაროს პროგრესული ძალების, ხან კი დამანგრეველი და რეტროგრადული ძალების ინსტრუმენტები იყვნენო. ამიტომაც, საბჭოთა იმპერიის დემონტაჟს რაც შეეხება, ზოგიერთი საკითხი გადაწყვეტისკენ წავიდა, ზოგი რამ კი დაბრკოლდაო.

ზალცბურგიდან ვენაში იმავე ღამით დავბრუნდით.

ზვიად გამსახურდიამ, მას შემდეგ, რაც წაიკითხა საინტერესო და ობიექტურად დაწერილი სტატია საქართველოში მიმდინარე პროცესებზე ლონდონურ გაზეთ „ივნინგ სტანდარტში“, გადაწყვიტა ბრიტანეთში ჩასვლა. გარდა ამისა, მან მოწვევაც მიიღო ლონდონში მცხოვრებ ჩარლზ ჩხოტუასგან. ვიზაზე განაცხადი გაკეთდა როგორც ბრიტანეთის, ისე საფრანგეთის საკონსულოების სახელზე. თუმცა მანამდე გადაწყდა შვეიცარიაში გამგზავრება ჩემთან ერთად, სადაც ვცხოვრობდი ოჯახთან ერთად პოლიტიკური დევნილის სტატუსით. ჩემი უმცროსი ვაჟი, ბაბუის მოსახელე ზვიადი, რომელიც ემიგრაციის შემდეგ დაიბადა, მას საერთოდ ნანახი არ ჰყავდა, ხოლო პირველი შვილიშვილი, დემეტრე, კარგა ხანია, არ ენახა. შვეიცარიის საკონსულოში გასაუბრებისას კონსულმა იკითხა, რა გზით აპირებდა პრეზიდენტი უკან დაბრუნებას. როდესაც პასუხად მიიღო, რომ ეს მოხდებოდა სტამბოლიდან, მაშინ გაგვანდო, რომ მისი ინფორმაციით, თურქეთი მის პასპორტს ძალადაკარგულად მიიჩნევდა, რაც იმას ნიშ-

ნავდა, რომ იგი უკან ვერ დაბრუნდებოდა: თქვენ გაუგებარ და რთულ სიტუაციაში აღმოჩნდებით, გამოსავალზე, სჯობს, ახლავე იფიქროთო.

მაშინვე წავედით თურქეთის საკონსულოში და შევხვდით კონსულს, ქალბატონ სოისალს. კონსულმა განაცხადა, რომ, თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს თვალსაზრისით, თქვენი პასპორტი ძალადაკარგულად ითვლება. „კი მაგრამ, ამ პასპორტით არ შემოვედი თურქეთში?" — ჰკითხა ზვიადმა. ამაზე კონსულს პასუხი არ ჰქონდა, მან მხოლოდ მოითხოვა, კოორდინატები დამიტოვეთ და პასუხს გაგცემთ, როცა მექნებაო. ამით საუბარი დასრულდა. როდესაც მერაბ კიკნაძემ თურქეთში ნაცნობ ლაზთან, საქარია გუნდოგლუსთან, დარეკა იმის გასარკვევად, თუ რა მოხდა, საქარიამ უთხრა: „ძალიან ცუდი ამბებია: თქვენი აქედან წასვლიდან რამდენიმე დღეში სტამბოლის წამყვანმა გაზეთმა (ეს უნდა ყოფილიყო Milliet) გამოაქვეყნა სტატია იმის შესახებ, თითქოს გამსახურდიამ არალეგალურად შემოაღწია თურქეთში. რომ გამსახურდია და დუდაევი ქურთ სეპარატისტებთან თანამშრომლობენ და მათ იარაღით ამარაგებენ. ყველას ესმის, რომ ეს აბსურდია, მაგრამ, როგორც ჩანს, კამპანია ძალიან გავლენიანი ძალების მიერაა ორგანიზებული." (მ. კიკნაძე).

სრულიად აშკარა იყო, რომ შევარდნაძის დიდი მეგობარი, პრემიერი სულეიმან დემირელი უქმად არ იჯდა. აქვე გროზნოდან მოვიდა ინფორმაციაც, რომ ჩარტერი გროზნო-ბაქო-სტამბოლი ICAO-ს აკრძალვის გამო ისეთი სიხშირით ვეღარ დაფრინავდა. ასევე გაურკვეველი იყო, შეიძლებოდა თუ არა სატრანზიტო ზონაში ძალადაკარგული პასპორტით შესვლა. წესით, ეს გაუმართლებელი რისკი იქნებოდა. ამავე დროს, ვერ მოხერხდა ვერც აზერბაიჯანის პრეზიდენტ ელჩიბეისთან, ვერც შინაგან საქმეთა მინისტრ გამიდოვთან დაკავშირება, ამდენად, აზერბაიჯანის გზით დაბრუნება გამოირიცხა. ამასობაში სასტუმრო „კუგელში" მოვიდა ავსტრიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი, რომელმაც მოიტანა ამბავი, რომ ავსტრია ვიზებს გააგრძელებდა. მანვე იკითხა, თავშესაფარს ხომ არ მოითხოვთო. ზვიადმა ამაზე უარი განაცხადა. პასპორტები მერაბ კიკნაძემ წაიღო სამინისტროში და ვიზები გააგრძელეს. ვიზების საკითხზე წინა დღით დარეკა ოტტო ფონ ჰაბსბურგმა და ავსტრიული ვიზის გაგრძელებაში დახმარება აღუთქვა: „მეც, ჩემი სამშობლოდან განდევნილს, ზუსტად ასე მაწვალებდნენ საზღვრებზე მეორე მსოფლიო ომის დროს. ყველაფერს ვიღონებ, ბატონო პრეზიდენტო. გამხნევდით, რაც უფრო ბნელია ღამე, მით უფრო ახლოა განთიადი".

რადიო „თავისუფლებიდან" რამდენიმეჯერ დარეკა კოტე ნადირაშვილმა. ზვიადმა მას ინტერვიუ მისცა და უკმაყოფილება გამოთქვა სარედაქციო პოლიტიკაზე პუტჩისტური თვალსაზრისების დიდი გავლენის გამო. სასტუმროში დარეკა, ასევე, ქართული წარმოშობის ფრანგმა დიპლომატმა, პრეზიდენტ მიტერანთან დაახლოებულმა, კლოდ დე კემულარიამ. მან საუბარში ზვიადს უთხრა, რომ შევარდნაძე მზადყოფნას გამოთქვამდა, გადმოფრენილიყო ვენაში და მას შეხვედროდა სალაპარაკოდ. ზვიადმა უპასუხა, რომ ამისთვის შევარდნაძეს უნ-

და შეესრულებინა ერთი პირობა – ღიად გამოეჯვნოდა ბანდფორმირების მეთაურებს, რომელთაგანაც ერთი მისი მოადგილე იყო. ეს იქნებოდა შევარდნაძის მხრიდან პუტჩის დაგმობის ტოლფასიც და ის მხოლოდ ამ შემთხვევაში შეხვდებოდა მას. მოთხოვნა თავშესაფარზე ავსტრიასა ან რომელიმე სხვა ქვეყანაში კემულარიამაც ახსენა, რაზეც ზვიადმა უარით უპასუხა.

ლოდინში რამდენიმე დღე გავიდა, პასუხი არსაიდან მოდიოდა. ზვიადის დავალებით მერაბ კიკნაძე დაუკავშირდა პრაღას, პრეზიდენტ ვაცლავ ჰაველის სამდივნოს ჰრაჩინის რეზიდენციაში, სადაც იკითხა, რამდენად შესაძლებელი იქნებოდა დევნილობაში მყოფი საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტი პრაღაში და ჰაველთან შეხვედრა. სამდივნოს წარმომადგენლის პასუხის მიხედვით, ჰაველს ამ დროს არ ეცალა. შემდეგ თავად ზვიადი დაუკავშირდა უნგრეთის საგარეო საქმეთა თანამშრომელს, რუსთველოლოგს და ქართული ენის მცოდნეს, ჰაინალკა ბაბირაქს, რომელსაც ადრე იცნობდა. სატელეფონო საუბრისას ჰაინალკას ჰკითხა, რამდენად შესაძლებელი იყო პრეზიდენტ არპად გენცის ოფისთან დაკავშირება, რათა მომხდარიყო მასთან შეხვედრა ბუდაპეშტში. ჰაინალკამ უპასუხა, რომ ამ საკითხის გადაწყვეტას გარკვეული დრო დასჭირდებოდა. მანამდე კი, სთხოვა ზვიადს, ჩასულიყო ბუდაპეშტში, ვენიდან, სულ რაღაც, ორ-სამ საათში აქ იქნებითო, მე კი ამასობაში შევეცდები შეხვედრის ორგანიზებასო. ეს ამბავი, შესაძლოა, საკმაოდ გაწელილიყო, ამდენი დრო კი აღარ რჩებოდა. ამიტომ ბუდაპეშტისკენ აღარ დაძრულან.

ისე ჩანდა, რომ გროზნოში დასაბრუნებელი გზა სრულიად გადაკეტილი იყო. ზვიადის მოცილება გროზნოდან აწყობდა რუსეთსაც და თბილისსაც. რაც შეეხება მოთხოვნას თავშესაფარზე, ზვიადმა ამაზე თქვა, რომ ეს კაპიტულაციის ტოლფასი ნაბიჯი იქნებოდა. ამასობაში გამოიკვეთა საფრანგეთის მთავრობის პოზიციაც: ზვიად გამსახურდია ვიზას იმ შემთხვევაში მიიღებდა, თუ საფრანგეთის სათვისტომო ოფიციალურად მიიწვევდა მას. სათვისტომოში ამ საკითხზე კენჭისყრა შედგა, თუმცა ერთი ხმით გაიმარჯვა თვალსაზრისმა, რომ სათვისტომოს ეს მომწვევა არ გაეკეთებინა. დღემდე უცნობია, ვის ეკუთვნოდა ეს ერთი ხმა.

შექმნილი ჩიხიდან გამოსავალი ბოლოს მაინც გამოჩნდა. ჯერ კიდევ ხელისუფლებაში მყოფმა ლიტვის პრეზიდენტმა ვიტაუტას ლანდსბერგისმა შესთავაზა ზვიადს ვილნიუსში ჩაფრენა, სადაც პარალელურად ჩაფრინდებოდა ჩარტერი გროზნოდან. ასეც მოხდა და ზვიად გამსახურდია მერაბ კიკნაძესთან ერთად გროზნოში დაბრუნდა. მომდევნო დღეს, ვენიდან უკვე შვეიცარიაში ვაპირებდი დაბრუნებას, რომ ბრიტანეთის საელჩოდან დარეკეს – ვიზები მზადაა, შეგიძლიათ მობრძანდეთო. რა თქმა უნდა, დასანანი იყო. ეს ინფორმაცია ორი-სამი დღით ადრე რომ მოსულიყო, ზვიადი ნამდვილად გაემგზავრებოდა დიდ ბრიტანეთში.

ასეთი იყო ჩემი ბოლო შეხვედრა მამასთან – 1992 წლის 1-ელიდან 17 დეკემბრის ჩათვლით. ვენის აეროპორტში დავემშვიდობებთ ერთმანეთს, რა თქმა უნდა, იმ იმედით, რომ ვნახავდით სამართლიანობის აღდგენას საქართველოში.

5.17. ვილნიუსის გავლით გროზნოში დაბრუნება

სანამ გადაწყვეტდნენ, რომელი მიმართულებით დაეტოვებინათ ვენა, ზვიადს გაახსენდა ვიტას ედუკაიტისი, ავიაციის პოლკოვნიკი, რომელიც საბჭოთა არმიაში გენერალ დუდაევის სტრატეგიული ბომბდამშენების დივიზიაში მსახურობდა. რამდენადაც ვიტასი ჯოხართან მეგობრობდა, ის ხშირად სტუმრობდა გროზნოს და, რითიც შეეძლო ეხმარებოდა „იჩქერიის“ პრეზიდენტს. ამიტომაც სასტუმროდან რამდენიმეჯერ დარეკეს ჩეჩნეთში. როგორც აღმოჩნდა, ვიტასი ამ დროს გროზნოში ყოფილა. ზვიადი მას ტელეფონით გაესაუბრა და თავისი მდგომარეობა აუხსნა. ვიტასმა ურჩია, ასეთ სიტუაციაში ვენიდან ვილნიუსში გაფრენილიყო. იქ ვიზები არ დაგჭირდებათ, ყველაფერს მე თვითონ უზრუნველვყოფო. ვიტასი ლიტვის პრეზიდენტ ლანდსბერგისსა და მის გარემოცვასთან დაახლოებული პირი იყო. ყველაზე საინტერესო მომენტი ის იყო, რომ ლანდსბერგისმა ზუსტად ამ პერიოდში წააგო არჩევნები ყოფილ კომუნისტ ბრაზაუსკასთან, თუმცა ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციამდე ის ჯერ კიდევ ინარჩუნებდა თანამდებობას. და აი, ასეთ სიტუაციაში ედუკაიტისმა თავის თავზე აიღო ზვიადის ჯერ ვილნიუსში ჩაფრენა, შემდეგ კი გროზნოდან ჩარტერის ორგანიზება მის წამოსაყვანად.

ამ თავშიც თხრობა ისევ მერაბ კიკნაძის მონათხრობს მიჰყვება: „ვილნიუსში 14 საათსა და 50 წუთზე ჩავფრინდით. წვიმს. თვითმფრინავს ტრაპი მოადგეს. ტრაპთან ახლოს ორი შავი მანქანა და რამდენიმე საყელოაწეულლაბადიანი და „შლაპიანი“ ფიგურა ჩანს – ტიპური „სამოქალაქოში გამოწყობილი ბიჭები“. ზვიადს ვთხოვე: „ბატონო ზვიად, თქვენ ცოტა ხანს აქ დაიცადეთ – რაც გინდა იყოს, თვითმფრინავი ავსტრიის ტერიტორიაზეა; მე გადავალ და სიტუაციაში გავერკვევი“. თავი დამიქნია. კარი გააღეს თუ არა, გარეთ პირველი გავიდა. ერთი დამხვდურთაგანი მოგვიახლოვდა. „ბატონი გამსახურდია?“ „დიახ.“ „მე ვიტაუტას რამანაუსკასი ვარ (სახელი ისაა, რაც ედუკაიტისმა თქვა). კეთილი იყოს თქვენი ჩამობრძანება ლიტვაში“. უსიტყვოდ ჩავსხედით მანქანებში ზვიადი, მე, რამანაუსკასი და მძღოლი, პირველში, დანარჩენები – მეორეში. რამანაუსკასმა პასპორტები გვთხოვა და ვიღაცას გაატანა. რამდენიმე წუთში უკან მოიტანეს – შიგნით მხოლოდ ქვეყანაში შესვლის ბეჭედია ჩარტყმული. დავიძარით. ასაფრენი ბილიკიდან ჭიშკრის გავლით პირდაპირ ქალაქში გამოვედით – არც საპასპორტო, არც საბაჟო კონტროლი არ გაგვივლია. რამდენიმე წუთმა დუმილში გაიარა – ზვიადი გაყუჩებულია, ლიტველებიც არ არიან დიდი მოლაპარაკე ხალხი. მივადექით ქალაქის ცენტრში განლაგებულ ყოფილ სამთავრობო რეზიდენცი-

ას. რამანაუსკასი გვიხსნის, რომ რეზიდენცია ახლახან გააპრივატეს – სასტუმრო Draugist-ს გადასცეს, ახალ პატრონს ჯერ არ აუთვისებია, ამიტომ სრულიად ცარიელია. არც მაცხოვრებელი, არც მცხოვრები, პერსონალი არ ჩანს, მაღალი გალავანი აქვს შემოვლებული და შესასვლელში შეიარაღებული ჯარისკაცი დგას". შემდეგ მ. კიკნაძე განაგრძობს: „ორსართულიან სასტუმრო სახლში მოგვათავსეს, რამანაუსკასმა ამიხსნა, სად რა არის და ხვალამდე დაგვემშვიდობა. სიტუაცია, ცოტა არ იყოს, კომიკურია. სად ვართ, მეგობრებთან სტუმრად თუ კომფორტულ შინაპატიმრობაში? ზვიადს ვუთხარი: სიგარეტი გამითავდა და ვიყიდი-მეთქი. გამოვედი გარეთ და ჭიშკრისაკენ გავემართე. ჯარისკაცმა უსიტყვოდ გამიღო კარი. იქვე ახლოს, პირველსავე ჯიხურში, სიგარეტი ვიყიდე და უკან დავბრუნდი. გულზე მომეშვა. დავრეკე გროზნოში. მითხრეს, რომ ედუკაიტისი 18 დეკემბერს ჩამოფრინდება. ვენაში დარჩენილებს შევატყობინე, რომ სამშვიდობოს ვართ. სხვათა შორის, ჩვენი წამოსვლის შემდეგ თურქეთის კონსულს დაურეკავს და სატრანზიტო ვიზაზეც უარი უთქვამს.

მეორე დღეს რამანაუსკასი დილით მოვიდა და სადილობამდე ვილნიუსს გვათვალიერებინებდა. მერე ზვიადს ჰკითხა: ჩემმა მეუღლემ ოჯახური სადილი მოგიმზადათ, თანაც შემჭამა, ზვიად გამსახურდიას ნახვა მინდა და კადნიერებაში ხომ არ ჩამომართმევთ, რომ მოვიყვანოო? ზვიადი სიამოვნებით დათანხმდა და ჩვენს სასტუმრო სახლში რამანაუსკასი ცოლთან ერთად გვეწვია. ერთად ვისადილეთ. გვიან საღამოს უეცრად ლანდსბერგისი მოვიდა. ძალიან დაღლილი და მობერებული ჩანდა. თბილი შეხვედრა ჰქონდათ. „კომუნისტებთან არჩევნებში როგორ წააგეთ?" – პირდაპირ ჰკითხა ზვიადმა. ოთახიდან ჩუმად გამოვედი და ლანდსბერგისის ახსნა-განმარტება აღარ მომისმენია. დაახლოებით, ორი საათი ისაუბრეს. 18 დეკემბერს, დაპირებისამებრ, ვილნიუსში გროზნოდან ჩარტერული რეისით ტუ-134 ჩამოფრინდა, რომელსაც ვიტას ედუკაიტისი და სოსო თორია ჩამოჰყვნენ. ვიტასი ტრაბახობდა: კომუნისტებს მაგარი ფანდი ჩავუტარე, ახლაც აზრზე არ არიან, ზვიადი რომ აქ არისო! არ ჰქონდა სატრაბახო?

19 დეკემბერს ვიტასმა გროზნოდან ჩამოსული თვითმფრინავისათვის ახალი საფრენი ნომერი და მარშრუტი გააფორმა – ვითომ, ვილნიუსი-ბაქოს ჩარტერული რეისი სრულდებოდა. ცარიელ თვითმფრინავში ზვიადი, მე და სოსო თორია ჩავსხედით და ვილნიუსიდან „ბაქოსკენ" 18 საათზე და 45 წუთზე გამოვფრინდით. სამი საათის შემდეგ გროზნოსთან მოახლოვებულმა თვითმფრინავმა საჰაერო-სადისპეტჩერო სამსახურისათვის მოულოდნელი მანევრი შეასრულა და გროზნოს აეროპორტში დაეშვა. თვითმფრინავიდან გადმოსვლისას ზვიადმა თქვა: „აქ დაბრუნება თივის ზვინში ნემსის პოვნას ჰგავს". ზვიადის გროზნოში დაბრუნებიდან რამდენიმე თვეში თურქეთის პრეზიდენტი ტურგუტ ოზალი უეცარი გულის შეტევით გარდაიცვალა" (შდრ. მ. კიკნაძე).[682]

5.17. გროზნოული პერიოდი და სამშვიდობო ინიციატივები

გროზნოში ყოფნა იდილიური არასოდეს ყოფილა. იქ, სულ ცოტა, ორჯერ ჰქონდა ადგილი პუტჩის მცდელობას დუდაევის წინააღმდეგ, რომელშიც, რა საკვირველია, რუსული სპეცსამსახურები იყვნენ ოპოზიციის მხარეზე ჩართულნი. 1992 წლის ზაფხულში იყო განტემიროვის პუტჩი, შემდეგ, მომდევნო წელს ამას მოჰყვა თეატრალური მოედნის პუტჩი. პრომოსკოვური ოპოზიცია აქტიურად ცდილობდა პრეზიდენტ ჯოხარ დუდაევის დამხობას, მაგრამ ის, რაც მოსკოვს გაუვიდა საქართველოში, აქ შეუძლებელი იყო. ჩეჩნები ჯოხარის, როგორც მათი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ლიდერის, ჩეჩნეთში გამოჩენიდან ომისთვის ემზადებოდნენ. იქმნებოდა და იწვრთნებოდა ახალ-ახალი ბატალიონები. ჯოხარ დუდაევმა ასეთ მცდელობებს სათანადო პასუხი გასცა. მას ეკუთვნის ასეთი ფრაზაც – „მე არ გეგონოთ ზვიად გამსახურდია ბიბლიით ხელში“, რაც იმას ნიშნავდა, რომ მეამბოხეები პასუხს ფოლადითა და ცეცხლით მიიღებდნენ.

ამასობაში ზვიადისა და მისი ოჯახისთვის პოლიტიკური თავშესაფრის მოთხოვნის საკითხზე ერთმანეთს დაუკავშირდნენ საქართველოს პრეზიდენტის წარმომადგენელი ფინეთში რენო სირაძე, ასევე, მარია სილიბერტი – საქართველოს მეგობარი და აშშ-ის რესპუბლიკური პარტიის აქტივისტი, სახელმწიფო დეპარტამენტის ყოფილი თანამშრომელი. მარია გამოთქვამდა სურვილს ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებასთან გაეწია შუამდგომლობა დევნილობაში მყოფი საქართველოს პრეზიდენტისთვის თავშესაფრის მიცემის თაობაზე და მზად იყო, ზვიადისთვის თავისი სახლიც კი დაეთმო ვაშინგტონში. აღნიშნულ საკითხზე გროზნოში ფინეთიდან რამდენიმეჯერ ჩავიდა რენო სირაძე. როგორც იგი იგონებს, ამის წინააღმდეგი იყო ზვიადის მეუღლე მანანა არჩვაძე. იგი ხანგრძლივი საუბრის შედეგადაც ვერ დაუთანხმებიათ. არადა, რენო სირაძის ცნობით, ზვიადი ამბობდა, ასეთი შესაძლებლობა ხელ-ფეხს გამიხსნიდაო.

ზვიადი ჩეხოვის ქუჩაზე ცხოვრობდა, ოჯახსა და პირად დაცვასთან ერთად, ხოლო დანარჩენები მეტწილად განთავსებულნი იყვნენ ქალაქის ცენტრში მდებარე სასტუმრო „კავკასში“. მათი იქ ყოფნის ხარჯებს ჯოხარ დუდაევის სამდივნო ფარავდა. თუმცა კეთილგანწყობა თავად ზვიად გამსახურდიასა და მასთან ერთად იქ ჩასული საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლების მიმართ იმთავითვე თვალსაჩინო იყო. ასეთივე კეთილგანწყობილი ატმოსფერო წარმოჩნდა მაშინ, როდესაც თბილისის უმძიმესი მოვლენების შემდეგ, ქართველებმა აღდგომის დღესასწაული აღნიშნეს ჩეჩნეთში, რასაც მათთვის, გამოვლილი უმძიმესი ტრავმების შემდეგ, უდიდესი ფსიქოლოგიური მნიშვნელობა ჰქონდა. ზვიად გამსახურდია იგონებდა:

„ჩეჩნეთის მიწაზე ჩვენი სტუმრობის მანძილზე მრავალი ღირსშესანიშნავი ამბავი მოხდა. ერთ-ერთი იყო აღდგომის დღესასწაული. ჩვენ ვნახეთ ამ ხალხის

რელიგიური ცხოვრება, რომელსაც ფანატიზმის ნატამალიც არ ეტყობა, მაგრამ არ ვიცოდით, როგორი იქნებოდა მათი რეაქცია ჩვენ მიერ აღდგომის აღნიშვნაზე. გულისფანცქალით მოველოდით აღდგომას, წითელ პარასკევს. რამდენიმე მეგობარი ჩამოგვივიდა საქართველოდან, ჩამოგვიტანეს პასექი, სააღდგომო კვერცხი. აღდგომა ღამე ხატებთან გავატარეთ, დავანთეთ სანთლები, ვილოცეთ. გროზნოს ეკლესიაში სააღდგომო წირვა შესრულდა. მოკრძალებული სააღდგომო სუფრა გავშალეთ. ვფიქრობდით, რომ ამ სუფრას, როგორც რიტუალურს, მუსლიმები ითაკილებდნენ. მაგრამ პირიქით მოხდა. როდესაც სუფრას შემოვუსხედით, ერთ-ერთი მასპინძელთაგანი შემოვიდა და ჩვენდა განსაცვიფრებლად შემოგვძახა: ქრისტე აღსდგა!" „ჭეშმარიტად," – შევძახეთ ჩვენ და გავმხნევდით. შემდეგ სხვა მუსლიმებიც შემოგვემატნენ. მობრძანდა თავად ჩეჩნეთის პრეზიდენტიც, ჩეჩენი ხალხის საყვარელი შვილი, ბატონი ჯოხარ დუდაევი. პრეზიდენტმა ჯოხარ დუდაევმა, ქრისტიანთა პატივსაცემად, წლევანდელი აღდგომა მთელ ჩეჩნეთში უქმე დღედ გამოაცხადა".[683]

საქართველოს პრეზიდენტმა დევნილობაში, თავის მხრივ, გამოსცა 1992 წლის 13 მარტით დათარიღებული დადგენილება, რომლის შესაბამისადაც 1991 წლის პირველ და ორ ნოემბერს ჩეჩნეთის მთელ ტერიტორიაზე დემოკრატიულად ჩატარებული და, ამდენად, ლეგიტიმური არჩევნების შედეგებიდან გამომდინარე, ცნობილი იქნა ჩეჩნეთის რესპუბლიკა „იჩქერიის" სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა.

როდესაც აფხაზეთში ომი დაიწყო, მდგომარეობა ჩრდილოეთ კავკასიაშიც დაიძაბა. რუსეთმა ისევ გააააქტიურა „კავკასიის მთის ხალხთა კონფედერაცია", რომელსაც, ყაბარდოელი იური (მუსა) შანიბოვის გარდა, სათავეში ჩეჩენიც ედგა – იუსუფ სოსლანბეკოვი, რუსლან ხასბულატოვთან, რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმის თავმჯდომარესთან დაახლოებული პირი. ეს უკანასკნელი, ისევე როგორც სოსლანბეკოვი, დუდაევთან დაპირისპირებული იყო. კონფედერაციამ საქართველო უბედურების ზონად გამოაცხადა და ჩრდილოეთ კავკასიაში მოხალისეების მობილიზაცია დაიწყო. საველე მეთაურებიდან ამ კამპანიაში ორი მათგანი ჩაერთო – შამილ ბასაევი და ჰამზატ ხანკაროვი. ბასაევი ბატალიონის მეთაური იყო, რომელსაც შემდგომში „აფხაზური" ეწოდა. როგორც მისი ინტერვიუდან ირკვევა, საქმის ვითარება ამგვარი იყო: როგორც კი ვთქვი ბატალიონში, რომ აფხაზეთში მივდივართ, დუდაევმა მაშინვე გადამაყენა. მაშინ ბიჭებს ვუთხარი, ვისაც გინდათ, მე წამომყევით, ვისაც არა, დუდაევთან დარჩითო. ბატალიონის ორი მესამედი მე წამომყვა, ერთი მესამედი კი დარჩაო.

„კონფედერაციას" თითქოს კავკასიური ერთიანობის იდეა ჰქონდა, მაგრამ აფხაზეთის საკითხის მისებრ გადაწყვეტას, ანუ საქართველოსგან გამიჯვნასა და თავად საქართველოს გამიჯვნას კავკასიური კონტექსტიდან – ეტყობოდა რუსული იმპერიისა და მისი სპეცსამსახურების ხელი. ამიტომაც ზვიად გამსახურდიამ და ჯოხარ დუდაევმა დაიწყეს მუშაობა ამის საპირწონე იდეაზე, რომელსაც უწოდეს „მრგვალი მაგიდა-კავკასიური სახლი". ეს არსებითად ევ-

როპული იდეა იყო – რამდენადაც იმეორებდა ევროკავშირის შექმნის იდეებსა და პრინციპებს. თუ „კონფედერაცია“ აშკარად საქართველოს წინააღმდეგ შეიქმნა, „მრგვალი მაგიდა-კავკასიური სახლი“ არავის წინააღმდეგ არ შექმნილა. იგი კონფლიქტების მშვიდობიანი გზით გადაწყვეტას ითვალისწინებდა. მისი საკონსულტაციო შეხვედრა შედგა გროზნოში 1992 წლის 3 სექტემბერს. ზვიად გამსახურდიას განმარტებით, იგი გულისხმობდა ხალხთა და სახელმწიფოთა ანტიიმპერიალისტურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ გაერთიანებას, დაფუძნებულს საერთაშორისო სამართლის ძირითად პრინციპებზე.

„მრგვალი მაგიდა-კავკასიური სახლის“ მონაწილეთა ძირითადი კომუნიკე ასე გამოიყურებოდა: „ჩვენ, „მრგვალი მაგიდა-კავკასიური სახლის“ მონაწილენი, შეკრებილნი ძალისხმევისა და კავკასიის ხალხთა სახელმწიფოების გაერთიანების მიზნით, ქვემოთ მოყვანილზე შევთანხმდით: 1. კავკასიის ხალხებს, სახელმწიფოებს, საზოგადოებრივ და რელიგიურ ორგანიზაციებსა და გაერთიანებებს, პოლიტიკურ პარტიებსა და მოძრაობებს მივმართოთ მოწოდებით, ყოველმხრივად დაგვეხმარონ „კავკასიური სახლის“ შექმნაში, რომელშიც ყოველ ხალხს უზრუნველყოფილი ექნება უსაფრთხოება და თავისუფალი განვითარების შესაძლებლობა; 2. მოვუწოდოთ ერთმანეთთან კონფლიქტში მყოფ მხარეებს, კავკასიის ტერიტორიაზე დაუყოვნებლივ შეწყვიტონ ყველა საომარი მოქმედება და დაიწყონ სადავო საკითხების მშვიდობიანი გზით გადაწყვეტა. „კავკასიური სახლი“ მზადაა შუამავლის როლი შეასრულოს; 3. დაიგმოს სამხედრო გადატრიალება და შევარდნაძის მეთაურობით საქართველოს ე. წ. სახელმწიფო საბჭოსა და რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობის დანაშაულებრივი ქმედებანი ქართველი და აფხაზი ხალხების წინაშე, ასევე, უკანონო არჩევნების ჩატარების მცდელობა. მოთხოვნილ იქნას საქართველოს კონსტიტუციური ხელისუფლების დაუყოვნებლივი აღდგენა, აფხაზეთის ტერიტორიიდან სადამსჯელო ჯარების გამოყვანა; 4. კავკასიის ხალხთა წინაშე ჩადენილ დანაშაულთა გამოსაძიებლად შეიქმნას იურისტთა ჯგუფი; 5. სსრკ-ის სამართალმემკვიდრეს მოეთხოვოს, კავკასიის სახელმწიფოებსა და ხალხებს შორის, მატერიალური და სხვა ფასეულობების, მათ შორის, სამხედრო ტექნიკისა და შეიარაღების სამართლიანად განაწილება; 6. მიემართოს რუს ხალხს თხოვნით, მხარი დაუჭიროს კავკასიის ხალხთა ლტოლვას ყველასთან მშვიდობიანად და კეთილმეზობლურად ცხოვრებისაკენ; 7. მრგვალი მაგიდა „კავკასიური სახლის“ მონაწილეთა მიერ, ყველა დაინტერესებული მხარის აუცილებელი მონაწილეობით, შეიქმნას საკონსულტაციო საბჭოს სამუშაო ჯგუფები, დელეგაციების მიერ დაყენებული პრობლემების განსახილველად და „მრგვალი მაგიდა-კავკასიური სახლის“ დოკუმენტების მოსამზადებლად" (1992 წლის 4-5 სექტემბერი, გროზნო, ჩეჩნეთის რესპუბლიკა).[684]

ზვიად გამსახურდიამ ამ შეხვედრაზე გამოსვლისას განაცხადა, რომ აქ სახელმწიფოებად შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ სამი სუბიექტის, საქართველოს, აზერბაიჯანისა და ჩეჩნეთის მონაწილეობა, დანარჩენები კი აქ წარმოდ-

გენილნი უნდა ყოფილიყვნენ, როგორც ხალხები. ამ სამ სახელმწიფოს, მისი თვალსაზრისით, ვეტოს უფლება უნდა ჰქონოდა. ხოლო სეპარატისტულ ანკლავებს (ეს სიტყვა მას არ გამოუყენებია, კ. გ.) საქართველო ცალკე სახელმწიფოებად ვერ აღიარებდა. ამის გამო აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის საკითხი შეხვედრაზე საერთოდ არ განხილულა, ხოლო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა უპირობოდ იქნა აღიარებული.

რაც შეეხება აფხაზეთის ომს, საკითხი სამხედრო ავანტიურის გზით არ უნდა გადაჭრილიყო, არამედ მშვიდობის აღდგენით. შეხვედრის ყველა მონაწილე აფხაზეთს საქართველოს ნაწილად მიიჩნევდა. ასევე ითქვა, რომ სახელმწიფოებად ვერ იქნებოდნენ აღიარებულნი რუსეთის ფედერაციაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკები, რომელთაც კომუნისტური, მარიონეტული მთავრობები მართავდნენ. ხუნტამ, რასაკვირველია, უკუღმა შეატრიალა ზვიადის მონაწილეობა ამ შეხვედრაში და გააყალბა მისი პოზიცია – თითქოს მან მხარი დაუჭირა „კავკასიის მთის ხალხთა კონფედერაციას“ ჯარები შეეყვანა აფხაზეთში. თბილისის პროპაგანდა ძველებურად განაგრძობდა მტკიცებას, რომ აფხაზეთში ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსული მოხალისეები ძირითადად „ჩეჩნები“ იყვნენ და მათი ორგანიზებისა და გამოგზავნის უკან ზვიად გამსახურდიაც იდგა. არსებითად, მებრძოლთაგან ყველას, რომლებიც, ინგუშეთის გარდა, ყველა ავტონომიური რესპუბლიკიდან იყვნენ, „ჩეჩნის“ იარლიყი ეკერებოდა.

ამ დროს, სხვადასხვა მონაცემი რომ შევაჯეროთ, აფხაზეთში მებრძოლ ჩეჩენთა რეალური რიცხვი, ალბათ, არ სცდებოდა 200-300 მებრძოლს. როგორც ირკვევა, „კონფედერაციის“ რამდენიმე წარმომადგენელი გროზნოს სექტემბრის შეხვედრას დასწრებია, თუმცა მათი მხრიდან არცერთი განცხადება არ გაკეთებულა. ისინი ჩვეულებრივი დამკვირვებლები და, სავარაუდოდ, მოენები იყვნენ. რაც შეეხება იური შანიბოვს, იგი კონფერენციას საერთოდ არ ესწრებოდა. ზვიად გამსახურდია წერს: „მე არავითარი ურთიერთობა არ მაქვს „კონფედერაციასთან“ და მათი დამოკიდებულება ჩემდამი შესანიშნავად არის გამოხატული „კონფედერაციის“ პრეზიდენტის, იური შანიბოვის, განცხადებაში, რომელმაც აღნიშნა: „კონფედერაცია“ არ ენდობა გამსახურდიას, იგი უფრო მეტად ენდობა სიგუას, კიტოვანს და სხვებს. ეს განცხადება გამოქვეყნდა „ნეზავისიმაია გაზეტასა“ და „იბერია სპექტრში“. გარდა ამისა, საინტერესოა, ვინღა შეიყვანა აფხაზეთში კაზაკები და დნესტრისპირელები? მაგრამ საქმეც ის გახლავთ, რომ რუსეთი ორმაგ თამაშს ეწევა, იგი ორივე მხარეს ეხმარება, რათა საბოლოოდ თავად დაეპატრონოს აფხაზეთს“ (1992 წლის 21 სექტემბრის განცხადება).[685]

საქართველოში ამ ამბებიდან მალევე, 1992 წლის 11 ოქტომბერს ჩატარდა ე. წ. „იმედის არჩევნები“. ამ არჩევნებში გატარდა პრინციპი „ყველა მინუს ერთი“, რომლის შემოქმედიც თავდაპირველად იყო ჯაბა იოსელიანი და რომელიც სრულიად აიტაცა ედუარდ შევარდნაძემ. ეს გულისხმობდა „მრგვალი მაგიდის“ ელექტორატის დატოვებას პოლიტიკური პროცესის მიღმა. ამ პრინციპის შე-

დეგად საქართველოს ამომრჩევლის, სულ ცოტა, 60 პროცენტი პოლიტიკური ცხოვრებიდან საბოლოოდ გაირიყა. ამან სამომავლოდ სათავე დაუდო არაერთ სოციალურ-პოლიტიკურ დაავადებას ქვეყანაში. შევარდნაძის მხარის სპიკერები ხშირად აღნიშნავდნენ, რომ ზვიად გამსახურდიას მომხრეები ყველანაირ ბოიკოტზე მიდიოდნენ და საერთოდ ეწინააღმდეგებოდნენ მოლაპარაკებას. ეს, რა თქმა უნდა, ასე არ ყოფილა. მეორე მხარე მხოლოდ კაპიტულაციას სთავაზობდა და რა რეაქცია უნდა ჰქონოდათ მათ ამაზე? თუკი იქნებოდა ამის პოლიტიკური ნება, თუნდაც თბილისში, შესაძლებელი იქნებოდა გარკვეული კომპრომისული ვარიანტის მოფიქრება და ამისთვის კრეატიული ადამიანებიც გამოჩნდებოდნენ. მაგრამ საქმეც ისაა, რომ ეს ნება არანაირად არ ჩანდა.

„ეროვნული კონგრესის“ წევრი, სახელმწიფო გადატრიალების მხურვალე მომხრე და მხედრიონელთა დიდი მეგობარი რუსლან მიქაბერიძე, მაგალითად, ლექსის ფორმით წერდა: „არაკაცებთან სალაპარაკოდ მხოლოდ მახვილის არსებობს ენა“. ეს ფრთიანი ფრაზა კარგად გამოხატავდა ხუნტის ძირითად განწყობილებას. ანალოგიური ტიპის აგრესიული განცხადებები კეთდებოდა ფილარმონიის დარბაზში ე. შევარდნაძის მხარდასაჭერად გამართულ შეხვედრებზე, სადაც ქვეყნის მოღალატედ აცხადებდნენ ზვიად გამსახურდიას, სამეგრელოს წინააღმდეგობის მოძრაობის წარმომადგენლებს „ბანდიტებად და ტერორისტებად“ მოიხსენიებდნენ, ასევე იყო მოწოდებები მათთან ანგარიშსწორებაზე. შეიძლება ზოგიერთი მათგანის ციტირება: „დღეს საკითხი ასე უნდა დაისვას: ბანდიტები საბოლოოდ უნდა განადგურდნენ“ (ნოდარ ლომოური, პროფესორი), „მოგიწოდებთ ყველას, გვერდში ამოგვიდგეთ... დრო აღარ ითმენს, სატანას ცეცხლითა და მახვილით უნდა გავუსწორდეთ (ლუიზა შაკიაშვილი, ეროვნული მოძრაობის პროშევარდნაძისტული ფრთის წარმომადგენელი), „ბანდიტები უნდა მოშორდნენ საქართველოს, როგორც შავი ჭირი“ (ელდარ შენგელაია, რეჟისორი), „ისინი უნდა მოისპონ, როგორც კუთხეში მომწყვდეული ვირთხები (მზექალა შანიძე, მეცნიერი, პროფესორი).[686]

ამ არჩევნების შედეგად აირჩიეს ე. წ. იმელის პარლამენტი, ხოლო ედუარდ შევარდნაძე ასევე აირჩიეს ცალკე, როგორც „პარლამენტის თავმჯდომარე-სახელმწიფოს მეთაური“. ხუნტამ პრეზიდენტის ინსტიტუტი ვერ გააუქმა, თუმცა ზვიად გამსახურდიას „ექსპრეზიდენტად“ მოიხსენიებდნენ. ამ პარლამენტში შევიდა ორი ათეული პოლიტიკური პარტია. გამოკვეთილი უმრავლესობა პარლამენტში არცერთ პოლიტიკურ ძალას არ ჰქონია. ამ ქაოსურ ატმოსფეროს მოწყალე ღიმილით შეჰყურებდა ე. შევარდნაძე, როგორც „სტაბილიზაციისა და დემოკრატიის გარანტი“. როგორც პრეზიდენტმა ბორის ელცინმა ამავე წელს უთხრა რუსეთის ფედერაციის ავტონომიურ სუბიექტებს, „აიღეთ თქვენთვის იმდენი სუვერენიტეტი, რამდენის გადაყლაპვასაც შეძლებთ“, — ასევე უთხრა ე. შევარდნაძემ მინი-პარტიებს, რომლებმაც სახელმწიფო გადატრიალება კანონზომიერ და მართებულ მოვლენად მიიჩნიეს: „აიღეთ თქვენთვის იმდენი დემოკრატია, რამდენის გადაყლაპვასაც შეძლებთ“. ჰოდა, მათაც, ერთი წლის

წინ გამსახურდიას დიქტატურაზე აღშფოთებული ტონით მოსაუბრეებმა, – „აიღეს“, რაც გამოიხატა „იმელის“ თაღებქვეშ დაუსრულებელ ყაყანში, დაპირისპირებებში, ქაოსში.

არჩევნებიდან რამდენიმე დღეში, 1992 წლის 14 ოქტომბერს, ჩეჩნეთის რესპუბლიკის დედაქალაქ გროზნოში კვლავ გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის დევნილობაში მყოფი უზენაესი საბჭოს პირველი მოწვევის საგანგებო სესია, რომელზეც მიიღეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება – „საქართველოს რესპუბლიკაში ანტიკონსტიტუციური არჩევნების ჩატარების შესახებ“, რომელშიც გაცხადდა, რომ: „1992 წლის 11 ოქტომბერს საქართველოს რესპუბლიკაში ე. წ. სახელმწიფო საბჭომ, რომელმაც შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალების შედეგად მოახდინა ხელისუფლების უზურპაცია, ანტიხალხური რეჟიმის დაკანონების მიზნით ჩაიდინა ანტიკონსტიტუციური ქმედება და უწოდა მას „პარლამენტის არჩევნები“; ვინაიდან საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კონსტიტუციით, რომელიც ყველა იურიდიული ნორმის დარღვევით გაუქმებულად გამოცხადდა, სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევნების დანიშვნის უფლება აქვს მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს, რომელსაც თავისი უფლებამოსილება არ მოუხსნია; ვინაიდან, „დებულება არჩევნების შესახებ“, რომლის მიხედვითაც ჩატარდა არჩევნები, სრულად არ შეესაბამება ხუნტის მიერ აღდგენილ 1921 წლის კონსტიტუციას, უპრეცედენტოა თავისი ანტიდემოკრატიულობით (არ არის განსაზღვრული მინიმალური საარჩევნო კვორუმი, აბსოლუტურად არ არის გათვალისწინებული კანდიდატთა წინააღმდეგ მიცემული ხმები, დაკანონებულია არჩევნების შედეგების ფალსიფიკაციის მექანიზმი), ხოლო სპიკერის არჩევა საყოველთაო კენჭისყრით არ ახსოვს მსოფლიო საპარლამენტო პრაქტიკას, და ნიშნავს უმაღლესი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების კონცენტრაციას და, აქედან გამომდინარე, ერთი პიროვნების ხელში შეუზღუდავი ძალაუფლების მოქცევას; ვინაიდან არჩევნების უალტერნატივობა არსებითად აღადგენს არჩევნების კომუნისტურ პრაქტიკას; ვინაიდან უკანონო რეჟიმის მიმართ არალოიალური პოლიტიკური ძალები, თავიანთი სურვილის შემთხვევაშიც, მოკლებულნი აღმოჩნდნენ საარჩევნო პროცესში მონაწილეობის საშუალებას, ხოლო საარჩევნო კომისიები დაკომპლექტდა ხუნტის ერთგული პირებით; ვინაიდან არჩევნები საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილში არ ჩატარებულა; ვინაიდან არჩევნები ჩატარდა მასობრივი ტერორის, სამოქალაქო ომის, საგანგებო, ხოლო აფხაზეთში საალყო მდგომარეობის პირობებში და არსებითად დაქვემდებარებული იყო მხოლოდ ხიშტების კონტროლს; ვინაიდან ამომრჩევლებს არ მიეცათ თავიანთი ნების თავისუფალი გამოხატვის საშუალება, შანტაჟსა და მუქარას [დაწყებული სამსახურიდან დათხოვნით, დამთავრებული ფიზიკური განადგურების მოთხოვნით] მასობრივი ხასიათი ჰქონდა; ვინაიდან საერთაშორისო დამკვირვებლების ნაწილის მოქმედება წარმოადგენდა ტენდენციურობისა და პროტექ-

ციონიზმის მაგალითს; ვინაიდან არსებობს უტყუარი მონაცემები იმის შესახებ, რომ არჩევნების შედეგები მთლიანად ფალსიფიცირებული იყო, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს: 1. 1992 წლის 11 ოქტომბერს ჩატარებული არჩევნები ცნობილ იქნას არაკონსტიტუციურად, ხოლო შედეგები – ბათილად. 2. დადგენილება ძალაში შედის მიღების მომენტიდან".[687]

რასაკვირველია, ყველა არგუმენტი, რომელიც უზენაესი საბჭოს დასკვნაშია, სწორი და სამართლიანია. მაგრამ უკვე აღარ არსებობდა არანაირი საშუალება ან ბერკეტი, რომელიც ამ დოკუმენტსა და მასში გადმოცემულ პოზიციას საერთაშორისო რელევანტურობას მისცემდა. ხუნტა, რა თქმა უნდა, თავისი არსით იგივე დარჩა, თუმცა ფორმალურად ის „დე ფაქტო" ხელისუფლებად იქცა.

5.18. 1993 წლის მღელვარე ზაფხული

აფხაზეთში საომარი მდგომარეობა სერიოზულად დაიძაბა, მეტადრე, მას შემდეგ, რაც გაგრა დაეცა. მთელი ადგილობრივი ქართველობა იძულებული გახდა, გაგრა დაეტოვებინა. ზვიად გამსახურდიასთვის ყოველთვის ცხადი იყო, რომ მიმართვები აფხაზური მხარისადმი „მგლის თავზე სახარების კითხვას" ჰგავდა, თუმცა ამჯერად მათ აშკარად მეტი მხარდაჭერა იგრძნეს ჩრდილოეთიდან. მშვიდობაზე ლაპარაკი შეუძლებელი გახდა, რადგან პოლარიზაციამ აფხაზეთში „ომის პარტიის" პოზიციები სრულიად ურყევი გახადა. მის ბოლო, 1993 წლის 4 მაისის, მიმართვაში აფხაზი ხალხისადმი ეწერა: „მე მწამს, რომ ჩვენ უნდა შევთანხმდეთ სახელმწიფო მოწყობის საკითხებში. აქ მთავარია ხალხის ნება, ოფიციალური განცხადება აფხაზური ხელმძღვანელობისა იმის თაობაზე, რომ მას სურს მოლაპარაკებები საქართველოს კანონიერ ხელისუფლებასთან... ამის გარეშე საომარი კონფლიქტები, შესაძლოა, კატასტროფით დამთავრდეს ჩვენი ხალხებისათვის".[688] ეს მიმართვა არ იქნა შესმენილი არც აფხაზი ხალხის მიერ, რომელსაც პირზე კლიტე დაადო საოკუპაციო ძალამ, და არც მთავრობის მიერ, რომელიც ყოველთვის იდგა და არც ამჯერად გადაუხვევია რუსეთის ხელისუფლებასა და გენშტაბთან მჭიდრო თანამშრომლობა-ინტეგრაციის გზიდან.

აფხაზეთის კონფლიქტში არ იმუშავა არც კავკასიურმა ფორმატმა, რომელსაც ზვიად გამსახურდიას ჩანაფიქრით, უნდა უზრუნველეყო, ერთი მხრივ, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება და აფხაზეთის დარჩენა საქართველოს შემადგენლობაში, მეორე მხრივ კი – მშვიდობა აფხაზეთში და მხარეების დაშორიშორება. რუსეთის ფედერაციას მოვლენათა ასეთი განვითარება არ აწყობდა. ერთი ჩეჩნეთი კი ამ ყველაფერს ვერანაირად ვერ გასწვდებოდა. ამ დროს სამშვიდობო პროცესიც დაიწყო, სადაც, ერთი მხრივ, მონაწილეობდა „პარლამენტის თავმჯდომარე-სახელმწიფოს მეთაური", მეორე მხრივ კი – აფხაზური მხარე. ზვიად გამსახურდიას პოლიტიკაში, საერთოდ, ჰქონდა ასეთი მიდგომა: „ის, რაც შემთხვევითი მოჩანს, შესაძლოა, არ იყოს შემთხვე-

ვითი, არამედ იყოს გარკვეული მოფიქრებული გეგმის ნაწილი". ასე მაგალითად, როდესაც სახელმწიფო გადატრიალების შემდგომ ერთხანს თავდაცვის მინისტრი და პოპულარული სარდალი გიორგი ყარყარაშვილი ამბობდა ერთერთ ინტერვიუში აფხაზეთის ომზე, ჯარისკაცებს ჯერ სადღაც შეგვიშვებენ, ჩავებმებით ბრძოლებში და ზიანსაც ვნახავთ, მერე მოლაპარაკებები იწყება; რატომ არ შეიძლება, რომ მოლაპარაკებები თავიდანვე იყოს, ვიდრე ბრძოლაში ჩავებმებითო, ამასთან დაკავშირებით ზვიადი იტყოდა: ე. შევარდნაძის ყაიდის პოლიტიკოსის ნავში მჯდომმა უნდა იცოდე, რომ ბრძოლაში ჩაბმა გეგმის ნაწილია, რომლის შედეგიც, მაღალი ალბათობით, წინასწარ იციან და, შესაბამისად, ისიც, თუ როგორ უნდა დასრულდეს მოლაპარაკებებიო.

14 მაისის შეხვედრაზე მოსკოვში, რომელზეც ე. შევარდნაძე და ბ. ელცინი ერთმანეთს შეხვდნენ, განიხილეს აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების შესაძლებლობები. ზვიად გამსახურდიამ ამ შეხვედრის შესახებ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ნათქვამი იყო: „შევარდნაძესთან შეხვედრით ელცინი განამტკიცებს იმ (უკანონო) რეჟიმს, რითაც გამორიცხავს ომის შეწყვეტის შესაძლებლობას. კომუნიკეს ქვეტექსტებიდან ჩანს, რომ საქართველოსგან მოითხოვენ სოხუმის დათმობას, რაც მტკიცდება აგრეთვე რუსეთის სამხედრო ავიაციის მიერ სოხუმის პერმანენტული დაბომბვით. ქართველი ხალხი ამას არასოდეს დაუშვებს, ისევე, როგორც თავისი ტერიტორიის დაკარგვას გუმისთადან ფსოუმდე".[689]

აფხაზეთის ომი, დაწყებული როგორც ავანტიურა, ყოვლად მოუმზადებლად, გამარჯვებისთვის აუცილებელი სამხედრო, პოლიტიკური და დიპლომატიური წინაპირობების შექმნის გარეშე, გადაიზარდა თვგანწირულ სამამულო ომში სამშობლოსთვის, რომელშიც აფხაზეთის ქართველ მოსახლეობას დაემუქრა აფხაზეთიდან მთლიანად აყრის, ეთნიკურ ნიადაგზე მოსალოდნელ წმენდაში მოყოლის საფრთხე. როდესაც ვკითხულობთ ზვიად გამსახურდიას 1993 წლის 7 ივნისის მიმართვას სოხუმის, ოჩამჩირისა და გალის ქართველი მეომრებისადმი, უკვე ცხადია: იგი ვერ დარჩებოდა ამ ავბედითი მოვლენების გარეთ. მიმართვაში მოცემულია შექმნილი სიტუაციის ზოგადი პოლიტიკური შეფასება. ნათქვამია, რომ აფხაზეთის ქართველი მოსახლეობა განწირულია, თუ არ აღდგა კანონიერი ხელისუფლება, ასევე უარყოფილია ხუნტის მიერ გავრცელებული ჭორი, თითქოს ჩეჩენი მეომრების შემოსვლასთან აფხაზეთში მას რაიმე კავშირი ჰქონდა: „ომის დაწყებისთანავე ჩეჩნეთის პრეზიდენტმა ჯოხარ დუდაევმა გამოაცხადა, რომ ჩეჩნეთი არ ჩაერევა ამ ომში და ჩეჩნეთის არმიის არცერთი ჯარისკაცი არ იბძოლებს აფხაზეთში, მაგრამ იმპერიის აგენტურამ ე. წ. კონფედერაციამ გაგზავნა აფხაზეთში თავისი მოხალისეები, ხუნტამ კი შეთითხნა ყალბი მიმართვები ვითომდაც ჩემი სახელით, დაამონტაჟა ყალბი სატელეფონო საუბრები, რომლებსაც თბილისის ტელევიზიის თანამშრომლები ახმოვანებდნენ ჩემი ხმის მიბაძვით, რათა ქართველი ხალხი დაერწმუნებინათ, თითქოს მე ვხელმძღვანელობდი ჩეჩნებს".[690]

რაც შეეხება დეზინფორმაციას, თითქოს ზვიადი წინააღმდეგი იყო ტყვარჩელის აღებისა, მიმართვაში ამასთან დაკავშირებით ვკითხულობთ: „ჩემი პოზიცია ასეთია: თუ ოჩამჩირის აფხაზობა უარს იტყვის ჩვენთან შემორიგებაზე, ტყვარჩელი აუცილებლად უნდა იქნეს აღებული, რათა ოჩამჩირეც არ დავკარგოთ და სოხუმი ალყაში არ აღმოჩნდეს".[691] შემდეგ მიმართვაში ნათქვამია: „დღეს, როგორც არასდროს, აუცილებელია ჩემი ყოფნა ჩემს ხალხთან, განსაკუთრებით ისეთ რეგიონში, სადაც მას ყველაზე მეტად უჭირს. ასეთი რეგიონია აფხაზეთი, სადაც ხუნტამ იმპერიის კარნახით გააჩაღა ძმათამკვლელი ომი, რომლის მიზანია, აფხაზეთის ქართველი მოსახლეობის განადგურება და ამ კუთხის მტრისთვის გადაცემა. მიუხედავად ჩემი არაერთგზისი ცდისა, შევარდნაძის, იოსელიანის, ბათიაშვილის სპეცსამსახური მიქმნის ყოველგვარ დაბრკოლებებს, რათა ვერ ჩამოვიდე საქართველოში. შეგახსენებთ, რომ ჩემი ჩამოსვლა გამოიწვევს არა მარტო მოსახლეობის კონსოლიდაციას, არამედ სრული და საყოველთაო მობილიზაციის დაწყებას მთელი საქართველოსა და, განსაკუთრებით, სამეგრელოს მასშტაბით აფხაზეთის ქართველობის დასახმარებლად. თქვენ კარგად იცით, რომ შევარდნაძისა და მისი ხუნტის მოწოდებით არავის სურს ჯარში წასვლა, ამიტომ ჩაიშალა მობილიზაცია. ჩემი საქართველოში ჩამოსვლა და, კერძოდ, აფხაზეთში გამოჩენა კი კარდინალურად შეცვლის მდგომარეობას და ომის ბედიც ჩვენს სასარგებლოდ გადაწყდება. ამავე დროს, ჩემი ჩამოსვლა სოხუმში უფრო მეტად დააფიქრებს აფხაზურ და რუსულ მხარეს, რაც შესაძლებლობას შექმნის რეალური მოლაპარაკებისას, რომელიც ჩვენ უნდა ვაწარმოოთ ძალის პოზიციიდან". ამავე დღეს ზვიად გამსახურდიამ, საქართველოს პრეზიდენტმა, დევნილობაში საგანგებო მიმართვით სამძიმარი გამოუცხადა შეიარაღებული ძალების დაღუპული მებრძოლების ოჯახებს.[692]

ამასობაში აფხაზური ჯარი საგრძნობლად გაძლიერდა – მას საიდანღაც აღმოაჩნდა საუკეთესო არტილერისტები, მედესანტეები, დამნაღმველები, შვეულმფრენებისა და ავიაგამანადგურებლების პილოტები, ასევე, პერსონალი, რომელმაც შესანიშნავად იცოდა ტანკებისა და ჯავშანმანქანების მართვაცა და საბრძოლო გამოყენებაც. რა თქმა უნდა, ეს ადამიანები, მეტწილად, არ ყოფილან აფხაზები, არამედ ეს იყო რუსეთის რეგულარული არმიის პერსონალი, ასევე იქ იყვნენ რუსეთის ფედერაციიდან ჩამოსული „პროქსი ომის" მებრძოლებიც. რუსეთის შეიარაღებული ძალები პირდაპირ იყვნენ ჩართულნი გარკვეულ სამხედრო ოპერაციებში. მაგალითად, ასეთი იყო ტამიშის ბრძოლა 1993 წლის 2-11 ივლისს. შეტაკება დაიწყო მაშინ, როდესაც რუსულმა სამხედრო გემებმა ზღვიდან დაბა ტამიშის სიახლოვეს გადმოსხეს, დაახლოებით, 500-კაციანი დესანტი. მათ, როგორც ამბობენ, ან გენერალი ალ. ლებედი მეთაურობდა, ან მისი ძმა, რომელიც ცნობილი საველე მეთაური იყო მოლდავეთის დნესტრისპირეთში წარმოებულ ომში. ქართველთა მხრიდან ტამიშის ბრძოლაში თითქმის ყველა ჩაერთო, მათ შორის, ახალციხის, ქუთაისის, ბათუმის ბრიგადები, „ავაზა" და სხვა შენაერთებიც. ბრძოლაში ჩაებნენ საქართველოში კანონიერი

ხელისუფლების აღდგენისთვის მებრძოლი, ძირითადად ზუგდიდში დისლოცირებული, შენაერთებიც. ნაური ჯიქია იგონებდა: „2 ივლისი რომ გათენდა, ზუგდიდს დავუკავშირდი, ლოთი ქობალიას. ვუთხარი, დიდი პრობლემა გვაქვს, გზა გადაკეტილია, სოხუმში ბრძოლები მიდის, ხალხი სჭირდებათ-მეთქი. ლოთის სიტყვა არ უთქვამს ისე, მოვდივარო და 300-350 კაცით 12 საათზე უკვე ოჩამჩირეში იყო. მერე შინაგანი ჯარი წამოვიდა, „მხედრიონი“ ჩამოვიდა. დაიგეგმა გარღვევითი ოპერაცია. ცენტრალურ მიმართულებაზე „მხედრიონი“ მიდიოდა, მარცხნივ – ლოთის ხალხი და მარჯვნივ – შინაგანი ჯარი. პირველი შეტევით ვერაფრით ვერ გავარღვიეთ და უკან დავაბრუნეთ მეომრები. რამდენიმე დღე დაგვჭირდა მოსამზადებლად. შემდეგ 8 საათი მიდიოდა ბრძოლა, ოჩამჩირის მხრიდანაც ვუტევდით და სოხუმიდანაც და გავარღვიეთ, გავხსენით გზა“.[693]

ის, რაც ამ მონათხრობშია, დასტურდება ჯაბა იოსელიანის მემუარებიდანაც: „დილით გამოჩნდა ლოთი ქობალია თავისი რაზმით, პირველი ას ოცი კაცით. ლოთის ცაგერას შტაბში ვხვდები. მეგობრულად ვუწვდი ხელს. შეყოვნდა. „ჰა!“ – ვეუბნები უხეშად, – „მოიტა ხელი!“ მიწვდის, თან გასამართლებლად მეუბნება: „რა ქენი შენ წალენჯიხაში?“ „მე თუ თქვენ? მძინარეებს დაგვესხით თავს“. „მე სულ არ ვყოფილვარ წალენჯიხაში მაშინ“. „ვიცი! რაც იყო, მოდი, ახლა საქმეზე ვილაპარაკოთ“. ლოთი თავისი შტაბის უფროსს ჩვენს საველე შტაბში, რაციასთან ტოვებს. მისი რაზმი, რომელსაც კიდევ 80 კაცი დაემატა, ზღვის პირას განლაგდება და ჩვენთან შეთანხმებით იმოქმედებს“.[694]

აქ პარადოქსი ის იყო, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე ორივე მხარე ერთად იბრძოდა, თუმცა როგორც კი ენგურს გადმოვიდოდნენ, მაშინვე დაპირისპირებულ მხარეებად იქცეოდნენ ხოლმე. მანამდე ჯაბა იოსელიანი ყვება, რომ კანონიერების აღდგენისთვის მებრძოლ ჯარის მეთაურებს – ვახტანგ (ლოთი) და ზაურ ქობალიებს – ასეთი რამ შეუთვალა: „ახლა პოლიტიკური განხეთქილების დრო არ არის. თუ მართლა პატრიოტები ხართ, ვიომოთ ჩვენი ქვეყნის მთლიანობისთვის. თორემ რა გამოდის, კახელი ბიჭები, რომელთაც შავი ზღვა საერთოდ არ უნახავთ, თავს დებენ აფხაზეთში. თქვენ კი, აქ მცხოვრებლები, არათუ იცავთ თქვენს სამშობლოსა და მხარეს, არამედ ხელს გვიშლით და ზურგში დანას გვცემთ“.[695] როდესაც ჯაბა იოსელიანი წარამარა ახსენებს თუნდაც „გენოს ბიჭებს“ (იგულისხმება გენერალი გენო ადამია, სოხუმის დამცველთა მეთაური, კ. გ.), ისინი და აფხაზეთის შეიარაღებულ მკვიდრთა აბსოლუტური უმრავლესობა რომელი ხელისუფლებისა და რომელი პრეზიდენტის მომხრეები იყვნენ? მაგრამ აქედან ცხადი ხდება, რომ ჯაბა იოსელიანს ერთი პრობლემა ჰქონდა: მისთვის სახელმწიფო გადატრიალება, თავისი კატასტროფული შედეგებითურთ, არაფერი განსაკუთრებული არ ყოფილა. თავის მემუარებში იგი ვერანაირ მიზეზობრივ კავშირს პუტჩსა და აფხაზეთის ომს შორის, ვერ ხედავს. მან და მისმა თანამებრძოლებმა წარმოისახეს აბსოლუტური ბოროტება ზვიად გამსახურდიასა და მისი ხელისუფლების სახით, რომელსაც „დიქტატურასთან

ბრძოლის“ ლოზუნგით დაუპირისპირდნენ, ხოლო ამ ყველაფრის შედეგებზე ისინი ნაკლებად ფიქრობდნენ.

1993 წლის 7 ივნისის მოწოდების ანალოგიური მიმართვა აფხაზეთის ფრონტის მეომრებისადმი ზვიად გამსახურდიას მიერ უკვე სოჭის ხელშეკრულების წინ გაკეთდა, რომელშიც ნათქვამი იყო: „ე. შევარდნაძე ბუნდოვნად საუბრობს აფხაზეთის რაღაც დემილიტარიზაციაზე, კონფლიქტის ზონიდან ყველა ჯარების გაყვანაზე, რაც არარეალურია და, შესაძლოა, გამოყენებულ იქნას მტრის მიერ გადამწყვეტი სტრატეგიული უპირატესობის მოპოვებისთვის. ჯერ კიდევ ელცინ-შევარდნაძის შეხვედრისას დაიგეგმა სოხუმიდან მძიმე ტექნიკისა და არტილერიის გაყვანა, რაც ნიშნავს სოხუმის ჩაბარებას. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის, ბ. პასტუხოვის, მიერ შემოთავაზებული ე. წ. „სამმხრივი ხელშეკრულების“ გეგმაც სწორედ ამას ითვალისწინებს. სოხუმიდან ქართული ჯარის გაყვანა ნიშნავს ქართველი მოსახლეობის გაყვანას, ვინაიდან შეიარაღებული ძალების 93 პროცენტს ადგილობრივი მოსახლეობა შეადგენს. სოხუმის ჩაბარებას მთელი აფხაზეთის ჩაბარება მოჰყვება, ხოლო ყოველივე ამას, – ქართველი მოსახლეობის არნახული გენოციდი და დეპორტაცია. მე მოვუწოდებ აფხაზეთის ტერიტორიაზე დისლოცირებულ ყველა ქართველ მებრძოლს და მეთაურს, სრულიად საქართველოს მოსახლეობას: არ დაემორჩილოთ ე. შევარდნაძისა და მისი კომუნისტური ხუნტის ბრძანებებს, არ დათმოთ აფხაზეთის – ძირძველი ქართული მიწის – არცერთი გოჯი, არ ჩააბაროთ მტერს უკვე მოპოვებული პოზიციები, აღადგინეთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა. გახსოვდეთ, რომ საქართველოს რესპუბლიკის საზღვარი მდინარე ფსოუზე გადის!“[696]

ტამიშის ბრძოლის შემდეგ ვახტანგ (ლოთი) ქობალია სოხუმში ჩავიდა. იგი მივიდა გენო ადამიას შტაბში და უთხრა გენოს, რომ ახლა მტერი დემორალიზებული ჩანს, ამიტომაც კარგი მომენტი იქნებოდა შეტევაზე გადასასვლელად. გენომ ამაზე უპასუხა: კარგი იქნებოდა, თუმცა ამის უფლებას არ მოგვცემენო. როდესაც მოსკოვში 1992 წლის 3 სექტემბერს სამშვიდობო ხელშეკრულებას ხელი მოეწერა, ყველამ იფიქრა, რომ გარკვეული სტატუს-კვო დადგებოდა. ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს არა მარტო შევარდნაძემ და ელცინმა, არამედ ვლადისლავ არძინბამ და ზოგიერთმა ლიდერმა ჩრდილოეთ კავკასიის ავტონომიური რესპუბლიკებიდან, ცხადია, ჯ. დუდაევის გამოკლებით. ამ ხელშეკრულებით ჩრდილოეთ კავკასიდან ჩამოსული მოხალისეები აფხაზეთიდან უნდა გასულიყვნენ, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. რუსებმა, „კონფედერატებმა“ და აფხაზმა პრორუსმა სეპარატისტებმა ერთ თვეში გაგრა აიღეს და იქ საშინელი სისხლის კალო დაატრიალეს. ერთი წელიც არ იყო გასული და პროცესი იმავე წერტილში დაბრუნდა: საბრძოლო მოქმედებები გაგრძელდა და, ერთწლიანი ომის შემდეგ, 1993 წლის 27 ივლისს სოჭში მორიგი სამშვიდობო ხელშეკრულება გააფორმეს. ამ ხელშეკრულებით ქართულ და აფხაზურ მხარეებს კონფლიქტის ზონიდან მძიმე ტექნიკა უნდა გაეყვანათ, უნდა გასულიყვნენ ჩრდილოეთ

კავკასიის სამხედრო ძალებიც. შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ომი დასასრულს უახლოვდებოდა, მაგრამ რეალურად ამჯერადაც ყველაფერი პირიქით მოხდა. ქართულმა მხარემ მძიმე ტექნიკა გაიყვანა – იგი მთლიანად ფოთში გადაიტანეს, აფხაზურმა მხარემ, როგორც ამბობენ – არა. თუმცა, „აფხაზური ტექნიკა" ბუნებაში არც არსებობდა, ეს იყო იგივე რუსული ტექნიკა. შევარდნაძე და მისი პროპაგანდა განაგრძობდა თეორიების თხზვას ორ რუსეთზე, რომელთაგანაც, ვითომდაც, ერთი, ანუ ელცინისეული, დემოკრატიული იყო, რომელსაც საქართველოს დაჩაგვრა და მისი ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა არ სურდა. მეორე რუსეთი კი რეაქციული გახლდათ და სახელმწიფო დუმის თავმჯდომარე ხასბულატოვთან, ვიცე-პრეზიდენტ რუცკოისთან და სამხედროებთან იყო კავშირში, ყოველივე ზემოჩამოთვლილი სიავე სწორედაც რომ მათ უნდათ საქართველოსთვის. ვისაც ამის სჯეროდა, მწარედ მოტყუებული დარჩა. ამ ხელშეკრულების შემდეგ თითქმის ყველა ქართველი ლტოლვილი სოხუმში დაბრუნდა. პირველ სექტემბერს დაიწყო სწავლა სკოლებში. ამ სიტუაციაზე პოლკოვნიკი ნაური ჯიქია წერდა: „შევარდნაძე იღებდა პოლიტიკურ და არა სამხედრო გადაწყვეტილებებს. ომი და პოლიტიკური გადაწყვეტილება ვერაა კარგად ერთმანეთთან. პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო სოხუმიდან ტექნიკის გაყვანა და მერე სექტემბერში სკოლებში სწავლა რომ დაიწყეს, ისიც". ის, რაც პოლკოვნიკ ჯიქიასთვის პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო, ზვიად გამსახურდიასთვის აფხაზეთის ჩაბარებას ნიშნავდა.[697]

5.19. ბობოყვათის მოლაპარაკებები, როგორც ლეგიტიმურობის ერთობლივად აღდგენის შეთავაზება

აღნიშნული მოლაპარაკებები გაიმართა აჭარაში, სადაც არ შესულა არც „მხედრიონი", არც მისი მონათესავე პარამილიტარული ორგანიზაციები. იქ არც შევარდნაძის უშიშროების სამსახური და შინაგანი ჯარი დომინირებდა, ამდენად, გარკვეული თვალსაზრისით, თავისუფლება იყო შენარჩუნებული. ამიტომაც აჭარაში კანონიერი ხელისუფლების მხარდამჭერი მეორე ცენტრი ჩამოყალიბდა. რაც შეეხება ასლან აბაშიძეს, იგი, დაბალანსების პრინციპიდან გამომდინარე, ურთიერთობას ინარჩუნებდა ხუნტის სახით არსებულ ფაქტობრივ ხელისუფლებასთან, ზოგჯერ ეხმარებოდა კიდეც მას, თუმცა, არც კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენლებთან წყვეტდა კავშირს. ბათუმსა და აჭარაში დაუბრკოლებლად მოქმედებდა „მრგვალი მაგიდის" ორგანიზაციები, გააქტიურდა როგორც „კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოება", რომელსაც სათავეში ჩაუდგა პოეტი მუხრან მაჭავარიანი, ისე ეროვნულ-პატრიოტული საზოგადოება „ჭყონდიდელი", რომლის ფილიალიც აჭარაში 1992 წლის მარტში დაფუძნდა. ეს ორგანიზაციები მხარს უჭერდნენ კანონიერი ხელისუფლების აღდგენის იდეას.

1993 წლის მაისში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 103-მა პროფესორმა და თანამშრომელმა პეტიციით მიმართა ედუარდ შევარდნაძეს შექმნილი უმძიმესი მდგომარეობის გამო და გადადგომისკენ მოუწოდა მას. ბათუმში, 26 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებულ მიტინგზე „კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოებამ“, პატრიოტულმა ორგანიზაცია „ჭყონდიდელმა“, ასევე, „მრგვალი მაგიდის“ ორგანიზაციებმა, რომელთაც თსუ-ის პროფესორი თენგიზ კიკაჩეიშვილი ჩაუდგა დროებით სათავეში, მხარი დაუჭირეს 103-თა მიმართვას, მოითხოვეს ახალი, ე. წ. პარლამენტის გადადგომა შევარდნაძესთან ერთად და კანონიერი ხელისუფლების აღგენა. ამავე დროს, ზუგდიდსა და ბათუმში დაბრუნდა განდევნილი დეპუტატების გარკვეული რაოდენობა. რამდენადაც ხუნტის კონტროლი დასავლეთ საქართველოში საგრძნობლად შესუსტებული იყო, ისინი ახერხებდნენ მოძრაობას ზუგდიდსა და ბათუმს შორის.

1993 წლის 8 ივლისს ზუგდიდში ჩატარდა სესიის მოსამზადებელი სამუშაოები, საბოლოოდ დაიხვეწა დოკუმენტები, რომლებიც სესიაზე უნდა გასულიყო. 9-10 ივლისს ზუგდიდში გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესია, რომელზეც დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე მოხსენებები გააკეთეს დეპუტატებმა გ. ფირცხალაიშვილმა, შ. აბზიანიძემ, ვ. ცაგარეიშვილმა, მ. გაბაშვილმა, რ. პეტრიაშვილმა. გ. თაქთაქიშვილმა, ნ. მოლოდინაშვილმა და სხვებმა. სესიაზე განიხილეს საკითხები საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის, საქართველოს რესპუბლიკის 1993 წლის 9 ივლისის კანონის სამოქმედოდ შემოღების შესახებ და ა. შ. მეტად მნიშვნელოვანი იყო დეპუტატ ბ. გიორგობიანის განცხადება – საკუთარ მოქალაქეთა წინააღმდეგ გენოციდის პოლიტიკის გატარებისათვის შევარდნაძის მეთაურობით მოქმედი რეჟიმის საერთაშორისო სამართლის მიერ გასამართლების მიზანშეწონილობის შესახებ.

სესიამ მოისმინა და დაამტკიცა შემდეგი დოკუმენტები: საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიმართვები ქართველი ერისადმი, ლტოლვილებისადმი, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მსოფლიო პარლამენტებისადმი, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის აფხაზეთში მებრძოლი მეომრებისადმი, კავკასიის ხალხებისადმი, უკანონო ხელისუფლების დაქვემდებარებაში მყოფი გვარდიისა და პოლიციისადმი, საქართველოს პრეზიდენტისადმი. მოისმინა განცხადებები ჩეჩნეთში მიმდინარე მოვლენებისა და ე. შევარდნაძის საერთაშორისო სამართლის მიერ გასამართლების აუცილებლობის შესახებ. სესიაზე ასევე აღინიშნა, რომ ქვეყნის გადარჩენის ერთადერთი გზა იყო კანონიერი ხელისუფლების აღდგენა საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე. ამ შეკრებაზე გაიმართა დებატები, დაისახა საქართველოში შექმნილი უმძიმესი მდგომარეობიდან გამოსვლის საგანგებო ღონისძიებები.[698]

საქართველოს დევნილმა უზენაესმა საბჭომ 1993 წლის 2 სექტემბერს ზუგდიდში მორიგი სესია გამართა და მიიღო დადგენილებანი „საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის საქართველოში ფუნქციონირების აღდგენის

შესახებ“ და „საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის დევნილობიდან საქართველოში დაბრუნების შესახებ“. ამ უკანასკნელში აღნიშნულია: „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს: მოეთხოვოს საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ ზვიად გამსახურდიას, დაბრუნდეს დევნილობიდან საქართველოში და განაგრძოს თავისი უფლებამოსილების შესრულება“. უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ საბოლოოდ დაამტკიცეს მერაბ კიკნაძე, ხოლო მინისტრთა კაბინეტს სათავეში ჩაუდგა გროზნოდან ზუგდიდში დაბრუნებული ბესარიონ გუგუშვილი. ამავე დროს, გროზნოში მყოფმა ზვიად გამსახურდიამ წერილობით მიმართა აშშ-ის ახალარჩეულ პრეზიდენტს, ბილ კლინტონს, ჩართულიყო სამშვიდობო პროცესში და მისი შუამავლობით გაეროს თავისი დამკვირვებლების გუნდი გამოეგზავნა საქართველოში, რათა თავიდან ყოფილიყო არიდებული ახალი ბოსნია.[699] თუმცა დევნილობაში მყოფი პრეზიდენტის ამ წერილს რეაგირება არ მოჰყოლია.

ამ დადგენილებებს მოჰყვა დასავლეთ საქართველოს რიგ რაიონებში, განსაკუთრებით სამეგრელოში, სახელმწიფო ხელისუფლების კანონიერი სტრუქტურების აღდგენა და მათი მშვიდობიანი დამკვიდრება. ამ ამბავმა შეაფიქრიანა და შეაშფოთა ხუნტა, მაგრამ აშკარა იყო, რომ მათ ძალა არ შესწევდათ ქმედითი ღონისძიებების გასატარებლად. მაგალითად, იმის შიშით, რომ ფოთშიც იგივე არ მომხდარიყო, დაუმორჩილებელი რეგიონებისაგან ფოთის პორტისა და იქიდან რკინიგზით მომარაგების მიღების ბლოკირებისათვის ხუნტის მიერ დანიშნულმა მერმა რომან მელიამ ფოთის მისადგომებთან ვაგონები დაადუღებინა რელსებზე და ეს ქმედება გამსახურდიას მომხრეებს დააბრალა. თავის მხრივ, ე. შევარდნაძემ მოაწყო მორიგი შეხვედრები დასავლეთ საქართველოში თავისი პოზიციების განსამტკიცებლად და 1993 წლის 5 სექტემბერს ჩავიდა ქუთაისსა და ფოთში, იმავე დღეს ეწვია ბათუმს და შეხვდა აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ასლან აბაშიძეს. ამავე შეხვედრების დროს იგი შეხვდა სამხედრო ნაწილის მეთაურებს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, თავდაცვისა და საინფორმაციო სადაზვერვო სამსახურის ხელმძღვანელებს – გ. ყარყარაშვილს, თ. ხაჩიშვილს, ჯ. იოსელიანს, კ. კობალაძეს. ამავე დროს, გააქტიურდნენ შევარდნაძის რეჟიმთან მოთანამშრომლე პარტიები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები. რადიოსადგურ „ამერიკის ხმის“ კორესპონდენტის ცნობით, ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ თხოვნით მიმართა ბ-ნ შევარდნაძეს, რომ საგანგებო მდგომარეობა გამოეცხადებინა და სასტიკი ზომები მიეღო იმ სიტუაციის აღმოსაფხვრელად, რომელიც მაშინ სუფევდა დასავლეთ საქართველოში.[700]

ჯაბა იოსელიანის მემუარებში 1993 წლის ზაფხულის ბოლოსა და შემოდგომის დასაწყისში წარმოქმნილი სიტუაცია შემდეგნაირადაა დახასიათებული: „ზვიადისტები უკვე კარგა მაგარ, სერიოზულ ძალას წარმოადგენენ. თვითონ კი გაიძახიან, რომ ათი ათასი კაცი ჰყავთ და საჭიროების შემთხვევაში ოცდაათი ათასი იქნებიან, მაგრამ ჩვენი მონაცემებით, სულ ათასამდე არიან, აქვთ მძიმე ტექნიკაც. ასე რომ, წალენჯიხის პატარა ბანდა მალე არმიად წარმოგვიდგება.

პარლამენტში გამსახურდიას და ქობალიას ხსენებისას ეპითეტები „პრეზიდენტი“ და „ბატონი ლოთი“ აღარ ავიწყდებათ. სულ უფრო მეტი დაჟინებით ვრცელდება ხმები ზვიად გამსახურდიას ჩამოსვლის შესახებ. შევარდნაძე, იმის მაგიერ, რომ მიხედოს ამ კრიტიკულ სიტუაციას, კიდევ უფრო ძაბავს ვითარებას“.[701]

ასეთ სიტუაციაში აჭარის ხელისუფლებამ სცადა ურთიერთდაპირისპირებულ მხარეთა შორის ნდობის აღდგენა ურთიერთკომპრომისის მიღწევის გზით. ეს ნაბიჯი ნამდვილად დროული გახლდათ – ეს იყო მცდელობა პოლიტიკურ ფორმატთან დაბრუნებისა, თუმცა ამ პროცესის წარმატება მაინც სათუო იყო. ორივე მხარემ თანხმობა განაცხადა შეხვედრაზე. ორივე დელეგაცია ერთმანეთს ქობულეთის მახლობლად, ბობოყვათის სამთავრობო რეზიდენციაში შეხვდა. ფაქტობრივი ხელისუფლების დელეგაციაში, მარგიანის გარდა, იყვნენ ვახტანგ რჩეულიშვილი და რამდენიმე დეპუტატი, კანონიერი ხელისუფლების დელეგაციაში, თენგიზ ჩაჩავას გარდა, – ტარიელ გელანტია, ნუგზარ მოლოდინაშვილი, ირაკლი ჩხეიძე და გივი თაქთაქიშვილი. მოლაპარაკება გაიმართა 1993 წლის 8 და 9 სექტემბერს. უზენაესი საბჭოს დეპუტატის, თენგიზ ჩაჩავას ცნობით: „7 სექტემბერს ჩვენი დელეგაცია ჩავიდა ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათში. დაგვხვდა მოლაპარაკების მასპინძელი, აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ბ-ნი ასლან აბაშიძე. საღამოს ჩამოვიდა დელეგაცია თბილისიდან, რომელსაც ხელმძღვანელობდა ე. შევარდნაძის ხელისუფლების მინისტრთა კაბინეტის ვიცე-პრემიერი, ბ-ნი ავთანდილ მარგიანი. მძიმე, მაგრამ კონკრეტული კამათის შედეგად, შევთანხმდით სამ აქტუალურ საკითხზე. თითქმის ყველაფერი ნორმალურად მიმდინარეობდა, მაგრამ მოულოდნელად აღიმართა ბარიერი: თბილისის მხარემ მოითხოვა, რომ მიღებულ დოკუმენტზე ყველას ხელი მოგვეწერა არა ოფიციალური დელეგაციების სახელით, არამედ პერსონალურად, პირადად. ეს ყოვლად მიუღებელი მოთხოვნა იყო, რადგან ჩვენც და ისინიც გამოყოფილნი ვიყავით, როგორც ოფიციალური დელეგაციები – ჩვენ, დევნილი ხელისუფლების მიერ, ისინი, ფაქტობრივი ხელისუფლების მიერ – და არავითარ შემთხვევაში არ წარმოვადგენდით დამოუკიდებელ პიროვნებებს. ეს ფრიად საეჭვოდ გამიზნული მოთხოვნა იყო, მით უმეტეს, რომ იმავე დღეს გენერალურმა პროკურორმა თედო ნინიძემ ჩვენს მხარეს უწოდა ბანდიტთა მხარე და მოითხოვა ჩვენი პასუხისგებაში მიცემა სისხლის სამართლის 73-ე მუხლით. ამას დაერთო უზენაესი საბჭოს დეპუტატის, შოთა ქიტიაშვილის, დემონსტრაციულად დაპატიმრება და ფრიად შემაშფოთებელი აქცია თბილისის ფილარმონიის დარბაზში ბ-ნ ე. შევარდნაძის თანდასწრებითა და მისი წაქეზებით. ამ მიზეზების გამო მიღებულ დოკუმენტს ხელი არ მოვაწერეთ. სხვათა შორის, თბილისელთა მოთხოვნამ პროტესტი გამოიწვია თვით თბილისის (ანუ დე ფაქტო ხელისუფლების, კ. გ.) დელეგაციის რამდენიმე წევრში“, – იგონებს თენგიზ ჩაჩავა.[702]

რა უნდა მოჰყოლოდა ამ შეთანხმებას, თუკი ის წარმატებულად დასრულდებოდა? ალბათ, ძალიან სერიოზული შედეგი: პირველ რიგში, ერთმანეთის

ცნობა „ფაქტობრივ“ და „კანონიერ ხელისუფლებებად“. პირველ რიგში, უნდა მომხდარიყო შეიარაღებულ ძალთა დაშორიშორება და მათ შორის დემილიტარიზებული ზონის შექმნა.[703] ამის შემდეგ დაინიშნებოდა ერთობლივი არჩევნები, მოხდებოდა შეთანხმება ასევე ერთობლივ საარჩევნო კომისიასა და არჩევნების ჩატარების პირობებზე. ამ არჩევნებში არჩეული იქნებოდა ერთადერთი კანონიერი ხელისუფლება. ეს იქნებოდა სამოქალაქო დაპირისპირების დასასრული და დემოკრატიის გზაზე გადადგმული უდიდესი ნაბიჯი. აბაშიძე, სანამ გამოვიდოდა ამ ინიციატივით, რა თქმა უნდა, გაეცნო მხარეების პოზიციებს მოცემულ ეტაპზე. ასეთი მოლაპარაკება მისაღებად მიაჩნდა ზვიად გამსახურდიას, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი აუკრძალავდა დეპუტატებს ქობულეთში ჩასვლას. თვით დელეგაციის შემადგენლობაც კი მასთან იქნა შეთანხმებული. ამ მიმართულებით მოლაპარაკების მოსურნე ფრთა იყო, ასევე, თბილისში, დე ფაქტო ხელისუფლებაში.

ბობოყვათის პროცესს განსაკუთრებით დაუპირისპირდნენ ჯაბა იოსელიანი და ედპ-ის ლიდერი გია ჭანტურია. ბობოყვათის მოლაპარაკება საბოლოოდ ჩაშალა ედ. შევარდნაძემ და ფაქტობრივი ხელისუფლების აგრესიული პოლარიზაციის მომხრე, პუტჩის განწყობაში ჩარჩენილმა ფრთამ. ამის რამდენიმე მიზეზი არსებობდა: 1. შევარდნაძე ვერ შეელია პუტჩის თავდაპირველ ფორმულას – „ყველა მინუს ერთი“, რაც ნიშნავდა საქართველოს ამომრჩევლის, სულ ცოტა, 60 პროცენტის დატოვებას პოლიტიკური პროცესის მიღმა. ეს ნიშნავდა, რომ ზვიად გამსახურდიასა და „მრგვალ მაგიდასთან“ ასოცირებული ორგანიზაციებისთვის გზა ლეგალური პოლიტიკური ცხოვრებისკენ გადაკეტილი დარჩებოდა, ხოლო ოფიციალური პროპაგანდა თავს გაიმართლებდა იმით, რომ ისინი („ზვიადისტები“) განუხრელად რჩებოდნენ ბოიკოტის პოზიციებზე (ამავე მიზნით უშიშროების შეგზავნილი მსტოვრებიცა და მიამიტი რადიკალებიც ზვიადის მომხრე ბანაკში გამუდმებით გაიძახოდნენ სიტყვა „ბოიკოტს“ და კრულავდნენ ყველას, ვინც განსხვავებულ, უფრო რაციონალურ პოზიციაზე იდგა, კ. გ.). ვერ შეელია იმიტომ, რომ თავისუფალ და დემოკრატიულ არჩევნებში ის და გაერთიანებული პუტჩისტური ფრაქციები, საკმაოდ მაღალი ალბათობით, არჩევნებს წააგებდნენ, ხოლო „მრგვალი მაგიდა“ აიღებდა, სულ ცოტა, იმდენ ხმას, რამდენიც 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებში აიღო; 2. დათანხმების შემთხვევაში ე. შევარდნაძეს მოუწევდა ბანდების ალაგმვა, მაგრამ ამას აღნიშნულ ეტაპზე ვერ გაბედავდა. მან ეს მხოლოდ მოგვიანებით შეძლო, უკვე რეორგანიზებული პოლიციის დახმარებით; 3. ე. შევარდნაძე არ დაუშვებდა იმ პრობლემის ასლან აბაშიძის ხელით მოგვარებას, რომელსაც თვითონ ვერაფერი მოუხერხა. დაპატიმრებების სერია, რომელიც შ. ქიტიაშვილის დაკავებით დაიწყო, გაგრძელდა და არამარტო თბილისში. ხუნტამ პოლიტიკურ დარეგულირებაზე უარი განაცხადა და მოლაპარაკებათა ჩაშლა გადააბრალა კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენლებს. ითქვა, რომ ქობალიას მოახლოება რიკოთთან

გამოიწვევდა იმას, რომ თბილისში არ დარჩებოდა არცერთი ზვიადის მომხრე, რომელსაც არ დააკავებდნენ.

5.20. სოჭის ხელშეკრულების საბედისწერო შედეგები და პრეზიდენტის სამშობლოში დაბრუნება

ქართველ ლტოლვილთა უმეტესობა სოჭის ხელშეკრულების დადების შემდეგ დაბრუნდა სოხუმში. 20 სექტემბერს სკოლებში სწავლის დაწყება იგეგმებოდა, მაგრამ აგვისტოს ბოლოდან გუმისთის მხრიდან ავისმომასწავებელი სიჩუმე ჩამოწვა. რუსულ-კავკასიურ-აფხაზური ფორმირებები თავიდან გამოჩნდნენ რამდენიმე სტრატეგიულად მნიშვნელოვან ადგილზე სოხუმთან ახლოს. 16 სექტემბერს სოხუმზე დაიწყო მანამდე არნახული შეტევა რამდენიმე მხრიდან, ყველა სახის სამხედრო ტექნიკის ჩართულობით. სოხუმს ათასობით შეიარაღებული ჯარისკაცი იცავდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ისინი, პრაქტიკულად, უიარაღოდ იყვნენ დარჩენილები კბილებამდე შეიარაღებული მოწინააღმდეგის პირისპირ. ლაზარეთი დაჭრილი მეომრებით გადაივსო, რაც უთანასწორო ბრძოლის წარმოებაზე მეტყველებდა. რაც შეეხება შექმნილ სამხედრო და პოლიტიკურ სიტუაციას, გენერალი ლევან შარაშენიძე ინტერვიუში ამბობს: „1993 წლის 15 სექტემბერს გია ყარყარაშვილი, მე – მისი მოადგილე, თამაზ დუმბაძე და ნიკუშა კეკელიძე გრაჩოვს შევხვდით. მას დიდი ხანია ვიცნობ. მაშინ რუსეთის ჯარებს სტატუსი ჯერ კიდევ არ ჰქონდათ. ეს ის დრო იყო, როცა ქობალია დაფნარში იყო. ყარყარაშვილი დაბრუნდა, მე მოსკოვში დავრჩი. სტატუსზე ხელმოწერის შემდეგ, შავი ზღვის ფლოტიდან ძალები უნდა გამოეყოთ, რითაც ქობალია უნდა შეგვეჩერებინა. 16 სექტემბერს არძინბამ სოჭის ხელშეკრულება დაარღვია და ოჩამჩირის მიმართულებით ბრძოლა დაიწყო. შევარდნაძესთან დავრეკე. მითხრა, გამაგებინე, რუსები რას აპირებენო. გრაჩოვი ჰოსპიტალში ვნახე – კენჭის გავლა ჰქონდა. მითხრა, რომ შევარდნაძეს, ყარყარაშვილს და ბათიაშვილს ადლერში უნდა შეხვედროდა – ორ დივიზიას შევიყვანთ, ერთი აზერბაიჯანში უნდა შევიდეს, მეორე იქ დარჩებაო. ბრძოლაში არ ჩავებმებით, მაგრამ, იქნებ სისხლის ღვრა შევაჩეროთო. დავურეკე ყარყარაშვილს. ეს საქართველოს ოკუპაცია იქნება, არ დავთანხმდებიო, განმიცხადა. ჩხუბზე გადავედით და ყურმილი დავუკიდე. ადლერის შეხვედრა უშედეგოდ დამთავრდა. გრაჩოვი ძალიან გაღიზიანებული დაბრუნდა. ღამის 11 საათზე კაბინეტში შევხვდი. მითხრა, ყველაფერი მზად იყო, მაგრამ რა ვქნა, არ უნდათ, რაც გინდათ, ის გიქნიათო. შევარდნაძეს დავურეკე – სტატუსი წამოიღე და წამოდიო. სოხუმში ჩავედი. ქვეყანა იქცევა. ხუთი დღე პასუხი ვერ მივიღე. 23-ში შევარდნაძემ მითხრა, გრაჩოვს დაურეკე, თანახმა ვარო. სხვათა შორის, მან მერე აღიარა, შეცდომა დავუშვითო. როგორ შეიძლებოდა, ყარყარაშვილისთვის დაგვეჯერებინა?! დავურეკე გრაჩოვს, მაგრამ მითხრეს, დივიზიას კი არა, ერთ ჯარისკაც-

საც ვერ გამოიყვანთო. მოსკოვში თეთრ სახლთან ის ცნობილი მოვლენები იყო დაწყებული. ასე დავკარგეთ სოხუმი".[704]

დღეს ძნელი სათქმელია, რამდენად შეესაბამება სიმართლეს შარაშენიძის მტკიცება, თითქოს რუსეთის ფედერაციის თავდაცის მინისტრი, არმიის გენერალი პაველ გრაჩოვი მზად იყო, ისეთნაირად აეღო თავის თავზე მშვიდობის-მყოფელის მისია, რომ სოხუმი ქართული მხარისთვის დაეტოვებინა. მაშინ გაუგებარი რჩება, რატომ ჩაერთო რუსული მხარე ამ ომში თავიდანვე, ან რატომ მოამარაგა სეპარატისტები იარაღით, ცოცხალი ძალითა და სამხედრო სპეციალისტებით. შესაძლოა, შარაშენიძე იმჟამად გავრცელებული ნარატივის გაქარწყლებას ცდილობს, რომლის მიხედვითაც, ელცინის „დემოკრატიული" რუსეთი ფიქრობდა ქართველებისთვის სოხუმის შენარჩუნებას, ხოლო რუსეთის „ანტიდემოკრატ" სამხედროებს სურდათ ქართველთა განდევნა იქიდან; ასევე შესაძლოა, ცდილობს, უფრო უკეთეს შუქჭრილში წარმოაჩინოს თავისი როლი აღნიშნულ მოვლენებში. ასევე მცდარია შარაშენიძის ინფორმაცია, თითქოს ქობალია ამ დროს დაფნარში იყო. სინამდვილეში, ქობალია და ლაკია ამ დროს ოჩამჩირესთან იყვნენ და სოხუმისკენ გარღვევას ცდილობდნენ.

ეს ამბავი ჯაბა იოსელიანის მემუარებშიცაა ნახსენები: „ამ ორი დღის წინ შევარდნაძე შეხვედრია რუსეთის თავდაცვის მინისტრს, პაველ გრაჩოვს. „მითხრა, არაფერი შემიძლია, აფხაზებმა შეთანხმება დაარღვიეს, ახლა თუ გინდათ, ორ დივიზიას შემოვიყვან და განვალაგებ გუმისთაზე. მერე დასხედით და მოილაპარაკეთო". „მერე?" „არაფერი, უარი ვუთხარი". „რატომ?" „ყარყარაშვილი და ბათიაშვილი მახლდნენ. მათ თქვეს, თუ ეს მოხდება, ჩვენ გადავდგებით, ეს ანექსია არისო". „მე რატომ არ წამიყვანეთ?" „ისინი მინისტრები არიან". ირონიულად ვიცინი. სწყინს და მეუბნება: „ხალხი მაინც ვერ გაგვიგებდა". „ვინ ხალხი ვერ გაგვიგებდა?" გული მომდის. ოღონდ კი ომი შეწყდეს და ვინ იქნებოდა ამის წინააღმდეგი. „აი, შევკრიბოთ აქაურები, ჯერ ჩვენი გარემოცვა". მართლაც სხდომის მაგვარ შეკრებას ატარებს ეგრეთ წოდებულ აქტივთან. მე ჩუმად ვზივარ და ვუსმენ. იგი ინფორმაციის სახით ჰყვება გრაჩოვის წინადადების შესახებ. აქ ეს არავისთვის საიდუმლო არ არის. ამიტომ, რახან დააფასეს და საჭიროდ ჩათვალეს მათი აზრის გაგება, თითქმის ყველანი ურჩევენ, რომ დათანხმდეს და დაუკავშირდეს გრაჩოვს. მე ვერ ვითმენ და ზოგადად, უმისამართოდ ვამბობ: „ანექსია! ვითომც სოხუმში რუსის ჯარი არ არის, ან ბომბორაზე სულ ხევსურები დგანან".[705] ამ მონათხრობებიდან გამოდის, რომ შევარდნაძემ ისრები ყარყარაშვილსა და ბათიაშვილზე გადაამისამართა, თითქოს მათი კუდაბზიკა რადიკალიზმისა და ჯიუტი „სუვერენისტობის" გამო უთხრა გრაჩოვს უარი. ეს წინადადება, ამავდროულად, ერთგვარი ultima ratio – ანუ „საბოლოო გონივრული გამოსავალი" იყო შექმნილი კრიტიკული სიტუაციიდან. მერე კი გრაჩოვსაც ჰქონდა საფუძველი უარის სათქმელად – პოლიტიკური კრიზისი თავად მოსკოვში დაიწყო, „თეთრ სახლთან" – პარლამენტის თავმჯდომარე ხას-

ბულატოვი და ვიცე-პრეზიდენტი რუცკოი პარლამენტის შენობაში გამაგრდნენ და მათ წინააღმდეგ სამხედროებისა და ჰაუბიცების გამოყენება გახდა საჭირო.

როგორც არ უნდა ყოფილიყო, გროზნოში მყოფი ზვიადი სოხუმთან მიმდინარე დრამატულ განვითარებას ყურადღების მთელი მობილიზებით ადევნებდა თვალს. ტრაგედიის კვანძი იკვრებოდა. აფხაზეთი იკარგებოდა, აფხაზეთის ქართველობა სამშობლო მხარის გარეშე დარჩენის საფრთხის წინაშე დგებოდა. მეტად ძნელი წარმოსადგენია, ზვიად გამსახურდიას შორიდან ეყურებინა აფხაზეთის მოვლენებისთვის. მიმართვაში, რომელიც მანამდე სოხუმში, ოჩამჩირესა და გალში მყოფი მებრძოლების მიმართ გააკეთა, უკვე დაანონსებული იყო მისი სურვილი ჩასულიყო სოხუმში, ჩემს ამ ნაბიჯს შეეძლება გარდამტეხი ფაქტორის როლი შეასრულოს, თუნდაც საქართველოს მასშტაბით საყოველთაო მობილიზაციას რაც შეეხებაო.[706]

დამდგარი შედეგიდან გამომდინარე, დღემდე მიდის კამათი, უნდა დაბრუნებულიყო თუ არა მაშინ ზვიადი საქართველოში. გადავხედოთ საქართველოსა და, ზოგადად, მსოფლიო ისტორიას და ასეთი კითხვა დავსვათ:

ვინმეს რომ ეთქვა ილია ჭავჭავაძისთვის პეტერბურგში გამგზავრების წინ: „ბატონო ილია, ნუ გახდებით რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭოს წევრი, რადგან თქვენ სასიკვდილო განაჩენს გამოგიტანენ რევოლუციის ღალატის ბრალდებით და რევოლუციის სახელით!"

ვინმეს რომ ეთქვა ნაპოლეონისთვის ელბას დატოვების წინ: „არც იფიქროთ სირ, პარიზში დაბრუნება. ყველაფერი გაცილებით უარესად მოხდება, ვიდრე წარმოგიდგენიათ!"

ვინმეს რომ ეთქვა ცოტნე დადიანისთვის ანისში გამგზავრების წინ: „პატონისქუა, ნუ წახვალ ანისს. წესი მონღოლთა საზარელ არს და წამებით ამოგხდიან სულს!"

დაბოლოს, ვინმეს რომ ეთქვა უფალი იესოსთვის: „რაბი, ნუ შეხვალ იერუსალიმად. ჯვარცმით სიკვდილი არ აგცდება. მეფე ავგაროსს ხომ სურს შენი შეფარება და წარვედ მასთან" – რა იქნებოდა? ისტორიისთვის ოთხივე შემთხვევაში გადადგმული ნაბიჯები, დამდგარ შედეგებთან ერთად, ცნობილია. ამიტომაც მოხდა ყველაფერი ასე და არა სხვანაირად.

ეს ნაბიჯი ზვიადის არჩევანი იყო და არ ექვემდებარება მცდარისა და მართებულის რეგისტრში განხილვას. არჩამოსვლა მისთვის ნიშნავდა მორალურ სიკვდილს, ჩამოსვლის შემთხვევაში კი ფიზიკური განადგურების ალბათობა ძალიან მაღალი იყო. მან მეორე შესაძლებლობა აირჩია.

როგორც ზვიად გამსახურდიას ერთ-ერთი პირადი მცველი, სოსო თორია, იგონებს, 1993 წლის სექტემბრის ერთ საღამოს, გროზნოს რეზიდენციის ბაღში სეირნობისას, პრეზიდენტმა უთხრა, მოემზადე, საქართველოში მივდივართო. თორია აღწერს იმ გაოგნებას, რომელიც დაეუფლა მას, რამდენადაც მანამდე არსად, არცერთ ფორმატში საუბარი არ ყოფილა ზვიადის საქართველოში დაბრუნებაზე.[707] ეს იმაზე მეტყველებს, რომ თავად პრეზიდენტს სხვებთან ამ სა-

კითხზე არასოდეს უსაუბრია. აქ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ 1993 წლის 2 სექტემბერს უზენაესი საბჭოს სესიაზე ზუგდიდში მიღებულ კომუნიკეში ჩაიწერა პრეზიდენტის დაბრუნების შესახებ, რაც, ცხადია, მასთან შეთანხმებით მოხდა. ასევე, სიმართლეს არ შეესაბამება ვერსია, თითქოს ზვიად გამსახურდიას მეუღლე, მანანა არჩვაძე, წინააღმდეგი იყო მისი დაბრუნებისა. პირიქით, იგი ამ დაბრუნების მომხრე იყო. ხოლო ალა დუდაევას, ჯოხარ დუდაევის მეუღლის, ჩანაწერის მიხედვით, ზვიადი საქართველოში მაშინ დაბრუნდა, როდესაც ხალხმა მოითხოვა მისი დაბრუნება.[708]

მანამდე ზვიად გამსახურდიამ გროზნოში დაიბარა იმ დროს მოსკოვში მყოფი ვიცე-პრემიერი გურამ აბსანძე (რომელსაც ტელეფონზე საუბრისას მიმართავდა საძახისით „შაქრო“) და დაავალა მას, მოეძებნა კომერციული თვითმფრინავი, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა სენაკის სამხედრო აეროპორტში დაჯდომა. გურამმა შეარჩია ორი ჩეჩენი და ორი ქართველი მფრინავი ეკიპაჟისთვის და 100 ათასი დოლარი გადაიხადა თვითმფრინავისთვის, რომელიც რამდენიმე დღეში მოიძებნა. მანამდე არაერთხელ დარეკა მასთან ზვიადმა და იკითხა საქმის ვითარება. აშკარა იყო, რომ მას ეჩქარებოდა ჩასვლა. არაერთხელ დარეკა, თავის მხრივ, ზვიადის ცოლმა მანანა არჩვაძემაც, რომელიც ასევე გააქტიურებული იყო და დაინტერესებული, რაც შეიძლება ჩქარა მოძებნილიყო თვითმფრინავი. ზვიადმა, სავარაუდოდ, გროზნოს დატოვებამდე კონსულტაციები გაიარა ჯოხარ დუდაევთანაც. ამის თაობაზე თავად პრეზიდენტმა დუდაევმა აღნიშნა 1994 წლის თებერვალში, გროზნოში გამართულ პრესკონფერენციაზე, რომ სამჯერ შედგა საუბარი ამ თემაზე. დუდაევმა აღწერა საკითხები, რომლებიც მათ გაიარეს ამ საუბრებისას. აღნიშნა ისიც, რომ ზვიადის მიერ გადადგმულ ნაბიჯში – იგულისხმება საქართველოში მისი დაბრუნება – ძალიან დიდ რისკებსაც ხედავდა, თუმცა, ამ საკითხს მოგვიანებით უფრო დაწვრილებით შევეხებით. ასევე შევეხებით მიზეზებს, რომელთა გამოც ხედავდა საკითხებს განსხვავებულად ჯოხარ დუდაევი.

თუმცა, თვალში საცემი აქ ერთი ამბავია – ზვიადს არ უთქვამს ჯოხარ დუდაევისთვის, რომ კონკრეტულად ამა და ამ დღეს, ამა და ამ საათზე დატოვებდა გროზნოს და სამშობლოში დაბრუნდებოდა. ასეთ შემთხვევაში სრულიად ლოგიკური იქნებოდა, რომ თვითმფრინავი თავად დუდაევს მიეცა მისთვის, თავის ეკიპაჟთან ერთად და არც თანხის გადახდა იქნებოდა საჭირო. გროზნოში ჩამოსულ გურამ აბსანძეს ზვიადმა უთხრა, მანამდე მინდა საქართველოში ჩასვლა, ვიდრე შევარდნაძე საბოლოოდ ჩააბარებს აფხაზეთს; ეგებ ეს მოღალატური გეგმა, რომელიც სოჭის ხელშეკრულების შესრულებაში'მდგომარეობს, სოხუმში ჩემმა გამოჩენამ ჩაშალოსო. არაფერი იცოდნენ მის ჩამოსვლაზე არც ზუგდიდში – არც ვახტანგ (ლოთი) ქობალიამ, არც იქ მანამდე ჩასულმა პრემიერ-მინისტრმა ბესარიონ გუგუშვილმა.

თვითმფრინავი გროზნოს შეიხ მანსურის სახელობის აეროპორტიდან 24 სექტემბერს, დილით აფრინდა. ზვიადმა, საბოლოო ჯამში, მიიღო გადაწყვე-

ტილება მხოლოდ ორი პირადი მცველი წაეყვანა თან. საჰაერო ხომალდმა კავკასიონის მთავარ ქედს გადაუფრინა და გეზი შავი ზღვისკენ აიღო. სალონში ზვიადთან და ვიცე-პრემიერ გურამ აბსანძესთან ერთად მისი პირადი მცველები იმყოფებოდნენ, რომელთაგანაც ერთ-ერთი სოსო თორია იყო. როსტოვში განთავსებულმა რადარებმა, როგორც კი დააფიქსირეს უცნობი თვითმფრინავი დასავლეთ საქართველოს თავზე, სამხედრო აეროდრომის სიახლოვეს, რუსმა ავიადისპეტჩერებმა მაშინვე დაიწყეს კავშირზე გამოსვლა ამ უცნობი რეისისა და მისი დანიშნულების გარკვევის მიზნით, თუმცა მფრინავებმა რადიომიმღები გათიშეს. ამ ცნობიდან ჩანს, რომ საქართველოს საჰაერო სივრცე, მიუხედავად იმისა, რომ სსრკ თითქმის ორი წლის წინ დაიშალა, ჯერ კიდევ არ იყო გამოსული საკავშირო საავიაციო კონტროლიდან.

თავიდან თვითმფრინავი კინაღამ კოპიტნარში დაჯდა, რომელიც ხუნტის ძალოვანთა კონტროლქვეშ იყო. ღრუბლიანობის გამო კარგად ვერ დააკვირდნენ აეროპორტს, თუმცა მიწასთან უფრო ახლოს დაშვების შემდეგ ზვიადმა გურამ აბსანძეს ჰკითხა, ჩვენს ჯარებს „მიგები“ (ანუ ავიაგამანადგურებლები) ჰყავთო? შენობასთან, როგორც ზემოდან მოჩანდა, ორი „მიგი“ იდგა. ამაზე აბსანძის პასუხი იყო, „მიგები“ კი არა, ტრაქტორებიც არ ჰყავთო. ამის შემდეგ გეზი დაკორექტირდა და თვითმფრინავმა დაბალ სიმაღლეზე სენაკის სამხედრო აეროპორტის ასაფრენი ზოლის ძებნა დაიწყო. დისპეტჩერს, რომელმაც კოპიტნარიდან იკითხა, საითკენ მიფრინავთო, უპასუხეს, ბათუმში ჰუმანიტარული ტვირთი მიგვაქვსო. თვითმფრინავმა ორი წრე დაარტყა, თუმცა, უშედეგოდ. მესამე წრეზე ითქვა, თუ არ დავჯდებით, შესაძლოა, სიმაღლე ვეღარ ავიღოთ და საავარიო სიტუაცია შეიქმნას, ამიტომ გამოსავალი ბათუმში დაჯდომა იქნებაო. ამაზე ზვიადს უთქვამს, ბათუმში დაჯდომას ისევ თბილისში დაჯდომა მირჩევნიაო. ამ დროს ზვიადმა ილუმინატორიდან გაიხედა და იცნო ხიდი მდინარე ტეხურზე, მფრინავს უთხრა, ახლოს ვართო. ერთ-ერთმა მფრინავმა, რომელიც სამეგრელოდან იყო, კურსი დააკორექტირებინა და თვითმფრინავმა მოახერხა სენაკის აეროპორტში დაჯდომა. არც ეს დაჯდომა იყო ბოლომდე უხიფათო, რამდენადაც ასაფრენ ზოლზე არაერთი ძროხა და კამეჩი იწვა.

გურამ აბსანძეს აეროპორტის დირექცია გაფრთხილებული ჰყავდა, რომ მეომრებისთვის ჰუმანიტარული ტვირთი მოჰქონდა. თუმცა ყოველი შემთხვევისთვის ასაფრენ ზოლზე გაჩერებული თვითმფრინავი პირველი მან დატოვა და მასში მყოფნი გააფრთხილა: ჩავალ, დაველაპარაკები, ვნახავ, რა ხდება. თუ რამე არ მომეწონება, განიშნებთ და არ დამელოდოთ, აფრინდითო. ზვიადმა უპასუხა, რომ არსად გაფრენას არ ვაპირებთ, თუ რამეა, ან თავი დავიცვათ, ან მოველაპარაკოთო. თვითმფრინავთან ამასობაში მოვიდა მანქანა და ჯავშანტრანსპორტიორი. აბსანძეს თვითმფრინავის ჩამოსვლის შესახებ გაფრთხილებული ჰყავდა კანონიერებისთვის მებრძოლი ჯარის ერთ-ერთი მეთაური, პოლკოვნიკი აკაკი ელიავა, რომელიც ჯარისკაცებთან ერთად მივიდა აეროპორტში. როდესაც ელიავამ იკითხა, სად იყო ჰუმანიტარული ტვირთი, მას უპასუხეს, რომ

თავად პრეზიდენტი ჩამოვიდა. ელიავა გაშრა, ენა ჩაუვარდა. ამის შემდეგ ზვიადმა თვითმფრინავი დატოვა. მან ღრმად ჩაისუნთქა, გარემოს თვალი მოავლო, კიბეზე ჩავიდა, რამდენიმე ნაბიჯი გაიარა, უეცრად შეჩერდა, დაიჩოქა და მიწას აკოცა.[709] ამის შემდეგ ზვიადს შეხვდნენ მისი ერთგული მებრძოლები. მივიდნენ სენაკის შტაბში, სადაც უამრავი ხალხი მივიდა, გაიგეს რა პრეზიდენტის ჩამოსვლა. ვიდრე ზუგდიდში ჩავიდოდნენ, ზვიადმა გზად მოილოცა სუჯუნის წმინდა გიორგის ეკლესია, ოდიშელი გამსახურდიების სალოცავი. მანქანების ესკორტმა საღამოსკენ ზუგდიდს მიაღწია. ხმა დევნილობიდან პრეზიდენტის დაბრუნებაზე საოცარი სისწრაფით გავრცელდა. ათეულ ათასობით ადამიანი გამოვიდა მის შესახვედრად, ზუგდიდის ქუჩები სავსე იყო. პრეზიდენტი ვახტანგ (ლოთი) ქობალიას სახლში დაბინავდა, ზუგდიდის რაიონის სოფელ ოდიშში.

მომდევნო დღეს, 1993 წლის 25 სექტემბერს, ზვიად გამსახურდიამ გააკეთა პოლიტიკური განცხადება, რომელშიც ნათქვამი იყო: „მე, საქართველოს კანონიერი პრეზიდენტი, დავუბრუნდი სამშობლოს და განვაგრძობ ერის წინაშე ჩემი მოვალეობის შესრულებას. მე ვხედავ საქართველოს უმძიმეს მდგომარეობას, მე არ შემეძლო ასეთ დროს ვყოფილიყავი საქართველოს გარეთ, მე ჩამოვედი არა მხოლოდ იმიტომ, რომ შევასრულო ჩემი თანამდებობრივი მოვალეობა, არამედ იმისთვის, რომ სათავეში ჩავუდგე ეროვნული ხსნის მოძრაობას. ძმანო და დანო! ჩვენი ერის ყოფნა-არყოფნის საკითხი დგას და ასეთ დროს დიდი დაფიქრება და პასუხისმგებლობა გვმართებს. მე ჩამოვედი არა იმისთვის, რომ გავაჩაღო სამოქალაქო ომი ან დავსაჯო ვინმე, არამედ ჩემი მიზანია ერის გამთლიანება და ეროვნული შერიგება. და თუ მოწინააღმდეგე მხარე შეიგნებს თავის შეცდომებს, შეინანებს თავის დანაშაულს ერის წინაშე, მე მზად ვარ მათაც გავუწოდო ხელი. თუ უკანონო ხელისუფლება გამოიჩენს კეთილგონიერებას და გადადგება, მე მზად ვარ უზენაეს საბჭოსთან შეთანხმებით დავნიშნო ახალი არჩევნები. ყველას მიეცემა ხელშეუხებლობის გარანტია სათანადო პირობების გათვალისწინებით. ალბათ, მრავალ თქვენგანს სურს შეიტყოს, თუ რად დაგვიანდა ჩემი ჩამოსვლა. იმის გამო, მეგობრებო, რომ მქონდა უამრავი დაბრკოლება, რომელთა დაძლევაც ვერ ხერხდებოდა. მაგრამ, აი, დადგა ჟამი და ბოლოს მივაღწიე იმას, რომ დღეს თქვენთან ვარ. დღეს საქართველო უნდა დაირაზმოს ერის ხსნისათვის, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დაცვისათვის, ჩვენი ეკონომიკის აღდგენისათვის, ქართული სულის აღორძინებისათვის. გაუმარჯოს ჩვენს ბრძოლას საქართველოს გადასარჩენად! გილოცავთ კანონიერი ხელისუფლების აღდგენას!"[710]

ზვიადი დაბრუნდა იმისათვის, რათა სოჭის კაპიტულანტური ხელშეკრულების შესრულებას წინ აღდგომოდა, რაც, მისი გაგებით, ნიშნავდა სოხუმის ჩაბარებას, აფხაზეთის დაკარგვას და ჯერ არნახულ ეთნოწმენდას. სოხუმში ჩასული ზვიადი ნამდვილად მონახავდა საერთო ენას ჟიული შარტავასთანაც, აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარესთან სოხუმში, და გენო ადამიასთანაც,

სოხუმის დამცველთა მეთაურთან. და შევარდნაძე? ასეთ შემთხვევაში, მასაც მოუწევდა იქ დადგომა.

5.21. ზუგდიდი და აფხაზეთის ფრონტის ხაზი

ლეგიტიმური პრეზიდენტის სამშობლოში დაბრუნებისა და ზუგდიდში ჩასვლის შემდეგ ქალაქის ცენტრში უზარმაზარი მიტინგი გაიმართა, რომელზეც სიტყვა წარმოთქვა დევნილობიდან დაბრუნებულმა ზვიად გამსახურდიამ. მან შეკრებილთ უთხრა, ამდენი ხანია, სამშობლო არ მინახავს, ტანჯვასა და ბრძოლაში ვიყავი, მაგრამ ჩემი ფიქრი, ჩემი აზრი ყოველდღე თქვენთან იყო, ყოველდღე თქვენთან ვიყავი უხილავადო. საქართველო ახლა გაპარტახებული და განადგურებულია, მტერმა, რა დაინახა უპატრონოდ ქვეყანა, შემოგვესია და ჩათვალა, რომ ხალხი მას წინ არ აღუდგებოდა, იგი ულეტს ჩვენს თანამოძმეებს, არნახული ბარბაროსობით, არაადამიანობით აცვიფრებს მსოფლიოს, მაგრამ ეს მტრები საქართველოსთან ბრძოლაში დამარცხდებიანო. ამავე დროს, მან ხაზი გაუსვა იმას, რომ მოწინააღმდეგე მხარეს ჩვენმა მხარემ არაერთგზის შესთავაზა მოლაპარაკებები და შერიგება, რათა ეს ძმათამკვლელი ომი დასრულებულიყო. რატომ ვერ ჩამოვედი ამდენ ხანს? იმიტომ, რომ ხუნტამ და მისმა მხარდამჭერმა ძალებმა ისეთი ბლოკადა მომიწყვეს, მრავალგზისი მცდელობის მიუხედავად, ვერ გამოვაღწიეო. მან აფხაზეთის ფრონტზე მებრძოლებს ამ სიტყვებით მიმართა: „ძმებო, თქვენი შემართება, თქვენი თავდადება, თქვენი ვაჟკაცობა მთელ საქართველოს აოცებს, აღაფრთოვანებს, იმედს აძლევს, ამავე დროს მე, როგორც საქართველოს რესპუბლიკის მთავარსარდალი, რომელსაც ფიცი მაქვს მიცემული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვისა, მოგიწოდებთ, მტკიცედ დავდგეთ და დავიცვათ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა, დავიცვათ ჩვენი ქართველი მოსახლეობა! ... დღეს ჩვენი ბიჭები იბრძვიან ოჩამჩირე-სოხუმის მიმართულებით, ჩვენი ძვირფასი ლოთი იქ არის. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ჩვენმა ჯარმა გაიმარჯვოს და კატეგორიულად ვუცხადებ ხუნტას – რასაკვირველია, მას ესმის ჩემი: ამჟამად, როცა საქართველოს უჭირს, მან ხელი არ უნდა შეგვიშალოს და ჩვენ უნდა მოვთხოვოთ მას, რაც ერგება საქართველოს, რაც მას უკანონოდ აქვს მიტაცებული, ყველაფერი ეს გადმოვიდეს ჩვენი კანონიერი ჯარის ხელში და მოხმარდეს საქართველოს“.[711]

ამ გზავნილში ორი მნიშვნელოვანი მომენტია: ერთი – ოჩამჩირე-სოხუმის მიმართულების ხსენება, მეორე კი – ის, რაც კანონიერ ჯარს უნდა გადასცემოდა, ოღონდ, ბოლომდე არ არის ფრჩხილები გახსნილი. ეს ორივე საკითხი ერთმანეთთან გადაჯაჭვულია. რა იგულისხმებოდა აქ? როდესაც რუსულ-აფხაზურმა მხარემ დაარღვია ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულება, მათ სოხუმზე ორი მხრიდან დაიწყეს შეტევა. ერთი მიმართულება იყო გუმისთის ხიდიდან, რომე-

ლიც მათ სრულიად დაუბრკოლებლად გადმოლახეს და არც მერე, სოხუმამდე დიდი წინააღმდეგობა არ შეხვედრიათ, და მეორე მიმართულება – ზემოდან, შრომა-კამანის მიმართულებიდან. ეს არ ყოფილა რიგითი აფხაზური ფორმირების რუტინული იერიში – ეს იყო კარგად მომზადებული კონტინგენტის შეტევა, რომელშიც, აფხაზების გარდა, შედიოდნენ კაზაკები, რუსეთის არმიის პარამილიტარულად გადაცმული მედესანტეები და ჩრდილოკავკასიელი კონფედერატები. ამ ძალას შეტევაში ჩართული ჰყავდა სპეციალურად მომზადებული სავეღე მეთაურებიც, ხოლო ოპერაციის დაგეგმვასა და ამ გეგმის განხორციელებას ხელმძღვანელობდნენ სამნი – გენერალ-ლეიტენანტი კვაშნინი, რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ოპერატიული სამმართველოს უფროსი, გენერალ-მაიორი სიგუტკინი და სადესანტო ჯარების სარდლის პირველი მოადგილე, გენერალ-პოლკოვნიკი ჩინდაროვი. რაც შეეხება ორ უკანასკნელს, მათ, მოსკოვში 1992 წლის 3 სექტემბერს დადებული ხელშეკრულების ძალით, სადაც ოთხმა მხარემ მოაწერა ხელი (ქართულმა, რუსულმა, აფხაზურმა და გაერომ) მინიჭებული ჰქონდათ „სამშვიდობოების“ სტატუსი. 16 სექტემბრიდან მოყოლებული, ქართული საჯარისო ფორმირებები სოხუმში თავგანწირულ წინააღმდეგობას უწევდნენ მტერს, თუმცა ძალიან უჭირდათ მათი შეჩერება.

შევარდნაძის ფაქტობრივი ხელისუფლების გვარდიასთან, გენო ადამიას ადგილობრივ მცხოვრებთაგან შედგენილ რაზმსა და საქართველოს სხვადასხვა მხარიდან იქ ჩასულ შეიარაღებულ ფორმირებებთან ერთად სოხუმში იბრძოდა სოსო ჯომიდავას ბატალიონიც, რომელიც დაკომპლექტებული იყო კანონიერების აღდგენისთვის მებრძოლი ფორმირების წევრებისგან. საქმე ისაა, რომ სოხუმის დამცველები, პრაქტიკულად, მსუბუქი იარაღის – ავტომატების, ტყვიამფრქვევებისა და ყუმბარმტყორცნების – ანაბარა აღმოჩნდნენ. გენო ადამიას, სოჭის ხელშეკრულების პრაქტიკული განხორციელების შემდეგ, სადღაც გადაენახა ორიოდე მუხლუხებიანი ჯავშანტრანსპორტიორი, ასევე, სამი თუ ოთხი ჰაუბიცა D-30, რაც ასეთ უთანასწორო ბრძოლაში არანაირად არ იყო საკმარისი. სოჭის ხელშეკრულების შესრულება ნიშნავდა ქართული სამხედრო ძალის პრაქტიკულად ცალმხრივად განიარაღებას და ასეც მოხდა – მთელი მძიმე ტექნიკა და არტილერია გატანილ იქნა სოხუმიდან და, უფრო მეტიც, რუსმა ინსპექტორებმა ქართული შეიარაღებული ძალების ქვემეხებს, რომლებიც ფოთში გადაიტანეს, დააძვრეს გადატენვის ბერკეტები, რითიც გამოუსადეგარი გახადეს ისინი.

ორად ორი ადამიანი, რომლებსაც თავისი ავტორიტეტიდან გამომდინარე შეეძლოთ ხმა აღემაღლებინათ სოჭის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ცალმხრივი განიარაღების წინააღმდეგ, იყვნენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ჟიული შარტავა და გენერალი გენო ადამია. გენო ადამიამ 27 ივლისის ხელშეკრულების დადების შემდეგ დაურეკა თენგიზ სიგუას და განუცხადა, რომ ასეთ მდგომარეობაში, მძიმე შეიარაღების გარეშე, თუკი განმეორდებოდა სოხუმზე თავდასხმა, შეუძლებელი იქ-

ნებოდა მისი დაცვა. ამაზე თენგიზ სიგუამ უპასუხა, რომ იგი ვეღარაფრით დაეხმარებოდა, რამდენადაც პრემიერ-მინისტრის პოსტიდან უკვე გადაყენებული იყო. ჟიული შარტავამ, რომელმაც სოხუმის დაცვისას შეუპოვრად იბრძოლა ბოლომდე, ვერ შეძლო თავის დროზე გაეპროტესტებინა სოჭის ხელშეკრულების ცალმხრივი აღსრულება. აშკარაა, რომ მან ვერ დაძლია შევარდნაძის ფაქტორი. როგორც ჩანს, მან დაუშვა, რომ შევარდნაძე, როგორც ამხელა გამოცდილების მქონე პოლიტიკოსი, გარკვეული პოლიტიკური გათვლის საფუძველზე იღებდა გადაწყვეტილებებს და რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობისგან მიღებული ექნებოდა შესაბამისი გარანტიები. თუმცა ასეთი გაუგონარი უპასუხისმგებლობას (და კიდევ ღმერთმა უწყის, რას) გამოჩენას შევარდნაძის მხრიდან იგი ვერ დაუშვებდა.

გენო ადამიამ, როგორც 23-ე ბრიგადის ხელმძღვანელმა, როდესაც საბოლოოდ დარწმუნდა, რომ სოხუმი უფსკრულის პირას იდგა, 1993 წლის 26 სექტემბერს, მთავარი შტაბის სხდომაზე ოპერატიულ რუკას ხელი აღარ მოაწერა და სხდომა პროტესტის ნიშნად დატოვა, რასაც ადასტურებს აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე აკაკი გასვიანი. იგი ამბობს, გენო ადამიას ნაცვლად ხელი თავად შევარდნაძემ მოაწერაო. მისი თქმით, მოსახლეობისგან დაცლილ ქალაქში ყოვლად უცნაური სიტუაცია იყო, არ მუშაობდა არცერთი სამსახური მთავრობის ოფისის გარდა, ხოლო მოწინააღმდეგე ქალაქში თითქმის ყველგან შემოსული და ფეხმოკიდებული ჩანდა. ამ დროს ედ. შევარდნაძემ მოითხოვა, ყველამ თავისი პოზიცია დაიკავოსო. მთავრობის შესვლა ძირითად ადმინისტრაციულ შენობაში, არაფერს შეცვლიდა, მხოლოდ მის წევრებს მოუწევდათ იმ აზრთან შეგუება, რომ განწირულნი იყვნენ – მათ ან ამოხოცავდნენ, ან ტყვედ აიყვანდნენ. ის მომენტი, როდესაც ამ ყველაფრის თავიდან არიდება შესაძლებელი იქნებოდა, კარგა ხნის წინ წარსულში დარჩა.

რაც შეეხება ჯაბა იოსელიანს, იგი მემუარებში მხოლოდ გაკვრით ახსენებს სოჭის ხელშეკრულების გამანადგურებელ შედეგებს და საერთოდ არ შედის სიღრმისეულად საკითხის განხილვაში. დასძენს მხოლოდ, რომ მას თავისი შეთავაზება ჰქონდა, რომელიც არ გაითვალისწინეს, რის ირგვლივაც პასუხგაუცემელი კითხვები უჩნდებოდა: „რუსები მუხანათურად მოგვექცნენ, ხელი მოგვაწერინეს შეთანხმებაზე კონფლიქტის ზონაში ცეცხლის შეწყვეტისა და ტექნიკის გატანის შესახებ. მერე, ფაქტობრივად, ჩვენ განგვაიარაღეს და აფხაზები შეაიარაღეს. თუმცა რა, ჩვენ ჩვენი ქართველური დაუდევრობით, სამხედრო ხელმძღვანელობის უპასუხისმგებლობითა და არაორგანიზებულობით მივენდეთ მტრის სიტყვას. მერამდენედ? ჩემი რჩევით ვითომ ხომ გადაწყდა არტილერიისა და ტექნიკის – შესაბამისად ახალ ათონში და მაჭარკაზე დაკონსერვება? რატომ არ მოხდა ეს? ვინ უგულებელყო ჩემი რჩევა?"[712]

ოჩამჩირე-სოხუმის მიმართულებაზე რუსულ-აფხაზურმა მხარემ სოხუმზე შეტევის დაწყებიდან ორ დღეში გადაკეტა კოდორზე გამავალი გზა. ამ გადაკეტვაში მონაწილეობდნენ ძირითადად ტყვარჩელში გამაგრებული აფხაზური

ფორმირებები, ისევე როგორც ივლისის თვეში ტამიშში გადმოსხმული და ქართველების გაერთიანებული ძალების მიერ დამარცხებული რაზმის ნარჩენები, რომლებმაც თავი ტყვარჩელსა და აფხაზურ სოფლებს შეაფარეს და შემდეგ ხელახლა მოახდინეს ფორმირება. ისინი ამჯერად კარგად მოემზადნენ და სათანადოდ უზრუნველყოფილნი ჩანდნენ რუსული იარაღით. ფაქტობრივი ხელისუფლების ეროვნული გვარდია, რომლის შტაბიც განთავსებული იყო ოჩამჩირეში, გენერალ ჯემალ ჭუმბურიძის მეთაურობით ბრძოლაში ჩაერთო. ზუგდიდიდან, დევნილობაში მყოფი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას, ბრძანების საფუძველზე, კანონიერებისთვის მებრძოლი შენაერთები – დაახლოებით 700 მებრძოლის შემადგენლობით – ასევე შევიდნენ აფხაზეთში პოლკოვნიკ გურამ ლაკიას მეთაურობით. მანამდე ვახტანგ ქობალიას სახლში გაეწყო სუფრა, სადაც, ერთი მხრივ, ქობალია და კანონიერებისთვის მებრძოლი რამდენიმე ოფიცერი, მეორე მხრივ, გენერლები – ჯემალ ჭუმბურიძე, ზაურ უჩაძე და გუჯარ ყურაშვილი, ასევე „მხედრიონის“ წარმომადგენელი თოხაძე ერთმანეთს შეხვდნენ. სუფრაზე ყანწით დაილია ერთიანობის სადღეგრძელო. მანამდე, ტამიშის მოგებული ბროლის შემდეგ, კანონიერებისთვის მებრძოლი ჯარის ერთ-ერთი რაზმი, სოსო ჯომიდავას მეთაურობით, სოხუმთან, აჩადარაში გადავიდა და იბრძოდა გენო ადამიას ბიჭებთან ერთად და ისინი ბოლომდე დარჩნენ იქ, სოხუმის დაცემამდე.

კანონიერებისთვის მებრძოლი ჯარის აფხაზეთისთვის ბრძოლაში ჩართვას ახსენებს ზვიადი ზუგდიდის მიტინგზე წარმოთქმულ სიტყვაში. მეთაურების შეხვედრაზე მათ მოილაპარაკეს, ერთობლივი ძალებით გაეკვლიათ გზა სოხუმისკენ. ორივე დაჯგუფებამ თავისი მიმართულება აიღო. ლაკიას დაჯგუფება შევიდა ბრძოლაში ზღვის სანაპიროსთან ახლო ზონაში, რკინიგზის მარცხენა მხარეს და გარღვევა განახორციელა ვარჩა-ოჯიბინეს მიმართულებით, დაიკავა სოფელი კარიერი, შემდეგ – კინდღი, თუმცა გაჩერდა ოჯიბინესთან, რამდენადაც ეფექტური წინსვლა დამოკიდებული იყო მარჯვენა ფლანგის დაცვაზე, ასევე, მათი მხრიდან საარტილერიო მხარდაჭერაზე, ხოლო მოწინააღმდეგემ უკან დაიხია და ახალი პოზიციები დაიკავა. კანონიერებისთვის მებრძოლმა რაზმმა დაკარგა მებრძოლების გარკვეული რაოდენობა, იყვნენ დაჭრილებიც. მტერმა ააფეთქა ერთი ჯავშანტრანსპორტიორი. ვახტანგ ქობალია დაუკავშირდა გენერალ ჭუმბურიძის შტაბს, გადასცა მონაცემები კვადრატზე და ითხოვა საარტილერიო მხარდაჭერა. ნაცვლად იმისა, რომ ნასროლი ჭურვები მტერს მოხვედროდა, ისინი მოხვდა დამწვარ ჯავშანტრანსპორტიორს, თუმცა ისე, რომ, საბედნიეროდ, არავინ დაშავებულა. ეს, ქობალიას რაზმელების აზრით, ან შეცდომა იყო, ან შეგნებული მავნებლობა.

რაც შეეხება გენერალ ჭუმბურიძის ძალებს, მათ სამოქმედო მიმართულებად აიღეს რკინიგზის მარჯვენა მხარე, თუმცა პასიურობდნენ. მათგან ბრძოლაში მხოლოდ გუჯარ ყურაშვილი შევიდა, დაახლოებით, 50-60-კაციანი რაზმით. მათაც ზიანი მიადგათ როგორც ცოცხალი ძალის, ისე რამდენიმე ტანკისა და ჯავშანმანქანის სახით და უკან დახევა მოუწიათ, ხოლო თავად გუჯარ ყურაშვილი

დაიჭრა. ამრიგად, გარღვევა ვერ მოხერხდა. ამასობაში კანონიერებისთვის მებრძოლი შენაერთები ოჯიბინეში ელოდებოდნენ ჭუმბურიძის შენაერთს, რამდენადაც ჩათვალეს, რომ მათ მიერ ფლანგის გაწმენდისა და იმ მხრიდან დაზღვევის, ასევე, საარტილერიო მხარდაჭერის გარეშე წინსვლა დიდ საფრთხესა და ზიანთან იქნებოდა დაკავშირებული.

25 სექტემბერს გურამ ლაკია და ჯემალ ჭუმბურიძე ერთმანეთს ოჩამჩირეში შეხვდნენ. ამ დროს სოხუმიდან მცირე ჯგუფთან ერთად ჩამოვიდა თავდაცვის მინისტრი გია ყარყარაშვილი, რომელმაც ოჯიბინე-ვარჩის კორიდორიდან გამოაღწია. შედგა მეთაურების თათბირი. გადაწყდა, რომ მესამე მხრიდან, ტყვარჩელთან უფრო ახლოს გამავალი გზებით ეცადათ შეტევაზე გადასვლა. ამ დროს ყარყარაშვილს სპეციალურ ტელეფონზე დაურეკა შევარდნაძემ და მისგან მოითხოვა დაუყოვნებლივ სოხუმში დაბრუნება. ყარყარაშვილი წინ ვეღარ აღუდგა და, დაახლოებით, 200 მებრძოლთან ერთად სამხედრო ტექნიკის სიმბოლური რაოდენობით (ორ ტანკზე იყო საუბარი) გადავიდა მესამე, არცთუ უხიფათო გადასასვლელზე და ჩააღწია სოხუმში. ჯაბა იოსელიანის მემუარებში ამ ჩამოსვლაზე ნათქვამია: „გია ყარყარაშვილი დაბრუნებულა, ვითომც ორასი კაცი გადმოიყვანა ტექნიკის გარეშე, სად არის ის ორასი კაცი, ან ვის შეხვდა იქ, ან რა უთხრეს, ხეირიანად ვერავინ გეტყვის“.

ამის შემდეგ იოსელიანი აღწერს სამხედროების შეკრებას სოხუმში მყოფ შევარდნაძესთან ერთად, საიდანაც იკვეთება, რომ სოხუმი დაცემისთვის განწირული იყო. რაც შეეხება ჭუმბურიძის კონტინგენტს, მათ ოჩამჩირე მოულოდნელად დატოვეს და კოდორის ხეობით გადავიდნენ სვანეთში. ამიტომაც „მეორე ტამიში“ ვეღარ შედგა, სადაც დე ფაქტო ხელისუფლებისა და კანონიერებისთვის მებრძოლმა შენაერთებმა ივლისში ერთად წარმატებით მოიგერიეს მოწინააღმდეგე. ოჯიბინესთან პოზიციებზე გამაგრებულ გურამ ლაკიას შენაერთს იქაურობა 29 სექტემბრამდე არ დაუტოვებია. ეს კორიდორი არცთუ უხიფათო იყო, თუმცა არაერთმა ლტოლვილმა სწორედ ოჯიბინე-ვარჩის კორიდორით მოახერხა გალის რაიონში გადმოსვლა და შემდეგ იქიდან ზუგდიდში მოხვედრა.

ზვიად გამსახურდია ჩამოსვლის დღიდან მზად იყო ოჯიბინეში ამ დაჯგუფებასთან შესაერთებლად, რამდენადაც სურდა სოხუმში მასთან ერთად ჩასვლა. იგი მიიჩნევდა, რომ მის სოხუმში ჩასვლას, შესაძლოა, აეწია წინააღმდეგობის მუხტი. იგი იმედოვნებდა, რომ სამეგრელოსა და შემდეგ დანარჩენ საქართველოში ამ დროს დაიწყებოდა მასობრივი მობილიზაცია და ფაქტობრივ ხელისუფლებას მიანიშნებდა – ეს იარაღი, რომელიც ფოთში გადმოიტანეთ, ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე უნდა გადმოგვცეთო სოხუმის დასაცავად.

27 სექტემბერს, დილით, ზვიად გამსახურდია ვახტანგ (ლოთი) ქობალიასა და უზენაესი საბჭოს წევრებთან ერთად მივიდა ოჩამჩირის შტაბში. მას იქ დახვდნენ ფაქტობრივი ხელისუფლების დაქვემდებარებაში მყოფი გვარდიის შენაერთის ოფიცრები და მათთან უშუალო, გულღია საუბარი გაიმართა. ზვიად გამსახურდია: „უნდა გავაერთიანოთ ყველა რესურსი... ხომ იცით ავღანეთის ომი

11 წელიწადი რატომ გაგრძელდა? იქ იბრძოდნენ სხვადასხვა დაჯგუფებები, რომელთაც ერთმანეთში ჩხუბი ჰქონდათ. არ ჰქონდათ ერთიანი ფრონტი. იქ ყველა ხელმძღვანელი იყო, ეკუთვნოდა თავისი ჯგუფი და ამიტომაც გაგრძელდა ამდენ ხანს... ყველა ეს დაჯგუფება ერთიანი ეროვნული არმიის სტრუქტურაში უნდა გაერთიანდეს. სხვა გამოსავალი ჩვენ არ გვაქვს. ის, რაც ხდება, ამის შედეგია. მაგან (შევარდნაძემ) პირდაპირ მოაწერა ხელი სოხუმის ჩაბარებას. მოაწერა თუ არა ხელი, რომ ყველა შეიარაღებული ძალა გამოყვანილი ყოფილიყო სოხუმიდან? მოაწერა. ხომ მოაწერა ხელი, რომ მთელი ტექნიკა გაყვანილი ყოფილიყო აფხაზეთიდან? მოაწერა. მოაწერა თუ არა ხელი, რომ არძინბა დაბრუნებულიყო სოხუმში? მოაწერა. ჰოდა, რას ყვირის, კაცო, ახლა. რაზეც მან ხელი მოაწერა, ის შესრულდა. შესრულდა და მორჩა. ჰოდა, ეხლა იძახის, ოჩამჩირის ფრონტი არ მომეხმარაო, დროზე არ შემოვიდნენო და ესენი მოღალატეები არიანო. ეგ თვითონ არის მოღალატე, ჩააბარა სოხუმი, მაგრამ ჩვენ არ მივცემთ საშუალებას, რომ ოჩამჩირეც ჩააბაროს. არ მივცემთ და იმასაც (ანუ სოხუმს) დავიბრუნებთ, თუ ჩვენ ერთად ვიქნებით. მე აქაურობას არ მოვშორდები, სულ აქ ვიქნები. ჩემზე ავრცელებს ხმებს, თითქოს ვიძახი, რომ არ წახვიდეთ და არ იომოთ აფხაზეთშიო. ეს ჩემი ხალხი არ არის? ამოდენა ძალები რომ შემოვიდნენ (ისმის ხმები, ყურაშვილი და ჭუმბურიძე დაასახელაო, ისინი დროზე არ შემოვიდნენო)! მთელი ძალები მაგას ჰყავს სამტრედიასა და ფოთში, ტექნიკა, მთელი ყველაფერი იქა ჰყავს! დავიცვათ ქუთაისი, დავიცვათ თბილისი! და ვინ ესხმის? როგორც კი ჩამოვედი, მაშინვე მოვიდა შავნაბადას ბატალიონის კომენდანტი და მითხრა, ახლა წავალთ იქო (ე. ი. ფრონტზე) ... აფხაზეთის ზურგი არის რუსეთი, როდესაც გაგრა ჩააბარა, მაშინ დაიკარგა სოხუმიც. აბა, ამოდენა ზურგი გაუხსნა. სანამ ყველას არ გავიყვან, არ წავალო. ესე იგი, ყველა ქართველი უნდა გაიყვანოს აფხაზეთიდან (ისმის ხმა: უკვე თბილისშია). ხომ ხედავთ? ჰოდა, ახლა ზეიმი იქნება თბილისში, დაგვიბრუნდა მეთაური, გმირი... მოკლედ, ამაზე უნდა შევთანხმდეთ, ბიჭებო. ერთიანი შტაბი, ერთიანი მოქმედება, ერთიანი გეგმა".[713]

მაგრამ ამ გეგმამ – კანონიერებისთვის მეომარ ჯარსა და დე ფაქტო ხელისუფლების სამხედრო ნაწილებს, სოხუმის დაცემის შემდეგ ერთად ებრძოლათ აფხაზეთის დარჩენილი ტერიტორიის გადასარჩენად, – არ იმუშავა. თბილისმა, ხუნტის გადაწყვეტილებით, აფხაზეთის საკითხი საერთოდ მოხსნა დღის წესრიგიდან. გალში შემდგომ წლებში იყო პარტიზანული მოძრაობა, მაგრამ მან არსებითად ვერ შეცვალა ვითარება. სოხუმისა და ოჩამჩირის ფრონტები საერთოდ გაუქმდა, ხოლო დე ფაქტო ხელისუფლების ყველა შეიარაღებული ძალა გაიყვანეს აფხაზეთიდან. ასეთ ვითარებაში ვერც ქობალია-ლაკიას რაზმი დარჩებოდა იქ, რამდენადაც ოჩამჩირის დაცვა პრაქტიკულად შეუძლებელი იქნებოდა მძიმე შეიარაღების, საბრძოლო მასალებისა და ზურგში ლოგისტიკური ხაზების გამართვის გარეშე. იარაღი კი ფოთში გადაიტანეს რუსულმა სამხედრო-სატრანსპორტო გემებმა, თანაც მათი უმეტრესობა მწყობრიდან გამოიყვა-

ნეს. 1993 წლის 27 ივლისის ხელშეკრულება „შესრულდა". აფხაზური შენაერთები მალე ენგურის ხიდთან გავიდნენ.

მავანი, მდგარი „იმელის" პოლიტიკურ პლატფორმაზე, ალბათ, იტყოდა: როგორ უნდა მიგვეცა ზვიადისტებისთვის იარაღი, როდესაც შემოგვიბრუნდებოდნენ? პასუხი ასეთია: ბობოყვათში შემოგთავაზათ დაპირისპირების მოხსნა, გაღიარათ ფაქტობრივ ხელისუფლებად და საერთო არჩევნებზე მუშაობის დაწყება შემოგთავაზათ. თქვენ იუარეთ, დაპატიმრებებით უპასუხეთ და „ყველა მინუს ერთის" ნაჩვევ-ნაღეჭ ფორმულას ჯიუტად იმეორებდით. აფხაზეთში საერთო ფრონტი შემოგთავაზათ, თქვენმა ხელისუფლებამ რუსეთთან დადებული კაპიტულანტური ხელშეკრულებები ამჯობინა. ამის შემდეგ, ასევე თქვენი პასუხი იყო ლტოლვილებით გადავსებული სამეგრელოს ბლოკადა. გიკვირთ, რომ შემოგიბრუნეს იარაღი? და რომ არ შემოებრუნებინათ, არ აიღებდით სენაკს, ზუგდიდსა და წალენჯიხას, როგორც 1992 წლის იანვარ-თებერვალში აიღეთ?

ამ ომს ერთი გამარჯვებული ჰყავდა – რუსული იმპერიული ელიტა. დანარჩენი ყველა დამარცხდა, მათ შორის, აფხაზებიც, რომელთა დიდ ნაწილსაც თავი გამარჯვებული ეგონა, ასევე, ქართველთა ორივე მხარე. თუმცა დივიდენდის გარეშე არც შევარდნაძე დარჩენილა, რომელსაც აფხაზეთის პაიკივით შეწირვა გამოუვიდა საჭადრაკო დაფაზე. და იქ, სადაც დემოკრატიულად ვერ დაალაგა მდგომარეობა, ეს შეძლო რუსული სამხედრო ძალის მოწვევითა და ისევ რუსული იარაღით – იმავე ძალის მოშველიებით, რომელმაც აფხაზეთში გადამწყვეტი როლი შეასრულა ქართველთა დამარცხებაში. იგი, შესაძლოა, ფიქრობდა, რომ ამ ეტაპზე სიტუაციიდან გამოვძვრები, შემდეგ კი რაღაც მოხდება და აფხაზეთი ისევ ჩვენი გახდებაო, რაც დრომ არ დაადასტურა. თან რუსებისკენ მკაფიო გზავნილს უშვებდა – მე აფხაზეთს თუნდაც ამ ეტაპზე გაძლევთ, გამსახურდია კი შეეცდება საბოლოოდ წაგართვათ. მაშ, ჩამოყალიბდით, ვისი მხარდაჭერა გირჩევნიათო!

ეს თემა, აქ ნაგულისხმები პერიოდის საზოგადოებრივ დისკურსში, აღარ განხილულა ჯეროვნად და ზედმიწევნით: ხანდახან ფრაგმენტულად თუ გაკრთებოდა. და, თუ ყურადღებით მოვისმენთ შევარდნაძის ზოგიერთ გამონათქვამს მოგვიანებით, 90-იანი წლების ბოლოსკენ, გამოიკვეთება ასეთი თვალსაზრისი: ქვეყანას იმ მოცემულობაში ომის გაგრძელება უჭირდა, ეკონომიკურად მძიმე მდგომარეობა იყო, რუსეთი კი არ შეგვეშვებოდა, სეპარატისტებიც ბრძოლას არ შეწყვეტდნენ. ამიტომაც, ნებისმიერ ფასად უნდა დაგვეცხრულებინა ის. ერთია მხოლოდ, ასეთი ფიქრები შევარდნაძეს გაუჩნდა არა ზვიად გამსახურდიას საქართველოში ჩამოსვლისას, როგორც ზოგიერთი „ჭკუის კოლოფი" ამტკიცებს, არამედ, სავარაუდოდ, ჯერ კიდევ გაგრის ჩაბარებისას (რაც მოსკოვში დადებულ ხელშეკრულებას მოჰყვა) და საბოლოო სახე უკვე სოჭის შეთანხმებისას მიიღო.

5.21. სამეგრელოს ვანდეას დასასრული

უკვე 27 სექტემბერს სოხუმიდან დევნილთა დიდი ნაკადები კოდორის ხეობის გავლით შეუდგნენ გზას აფხაზეთის სვანეთისკენ. ეს იყო ჯოჯოხეთური გზა უღრან, კლდოვან, მეტად ძნელად გასავლელ ადგილებში, სადაც უკვე დგებოდა სიცივე, არ იყო საკვები, შეშა და თავშესაფარი; იყვნენ მძარცველებიც. ჯაბა იოსელიანი ასე აღწერს შექმნილ მდგომარეობას მაღალმთიან სოფელ აჟარაში: „ყველა აქ არის: სოხუმის მეექვსე ბატალიონი, მეორე ბატალიონი, ზეიკიძე თავისი მილიციით, ივანოვი – სამხედრო პოლიციით. ამათ რომ პატრონი ჰყოლოდა... აქვე არიან ქალები, ბავშვები, კატასტროფული მდგომარეობაა. რაც ზემოთ ავდივართ, მით მეტად ცივა, ცუდი ამინდია“.[714]

ზუგდიდი დევნილებით გადაივსო. კანონიერმა ხელისუფლებამ შექმნა შტაბი, რომელიც უნდა დახმარებოდა დევნილებს, შემოეღწიათ ზუგდიდსა და მის ახლომდებარე სოფლებში, ასევე, მათთვის ცხოვრების ელემენტარული პირობების უზრუნველსაყოფად. სატვირთო მანქანები ყოველდღე გადიოდნენ ზუგდიდიდან ხაიშის მიმართულებით, რათა კოდორის ხეობის გავლით აფხაზეთიდან გამოსული ქართველები ზუგდიდში ჩამოეყვანათ. მანქანას, როგორც წესი, მიჰყვებოდა მცირე ჯავშანმანქანა შეიარაღებული მებრძოლების გარკვეულ რაოდენობასთან ერთად, რამდენადაც გზაში, შესაძლოა, წარმოშობილიყო პრობლემები ადგილობრივ მოროდიორებსა და მძარცველებთან. ასეთი შეტაკება რამდენიმეჯერ მოხდა კიდეც. ასეთი სახიფათო დაჯგუფება იყო, მაგალითად, „ხაიშის საძმო“. იგი გააქტიურდა აფხაზეთის ომის დაწყების შემდეგ, თუმცა იმდენად დეგრადირდა, რომ „მხედრიონი“ და მსგავსი შეიარაღებული ფორმირებებიც კი მათგან ყველანაირად დისტანცირებას ცდილობდნენ.

პოლარიზაციაზე მომუშავე ხუნტის ცალკეული ურცხვი პროპაგანდისტი დღემდე ავრცელებს სრულიად ყალბ და მავნებლურ ვერსიას, რომ დევნილი მოსახლეობა კოდორზე იმიტომ წავიდა, რომ ქობალიას „მეგრელებმა“ მას გზა გადაუკეტეს. სინამდვილეში გზა აფხაზებსა და რუსულ სპეცდანაყოფებს ჰქონდათ გადაკეტილი. მიუხედავად ამისა, დევნილთა გარკვეულმა რაოდენობამ ამ გზითაც გამოაღწია ენგურის ხიდამდე. ზუგდიდში ათობით ათასი ადამიანის ჩამოსვლის შემდეგ გაუარესდა ჰუმანიტარული სიტუაცია, ქალაქში გაჩნდა საწვავის, სათბობი მასალის, საკვები პროდუქტების, მედიკამენტებისა და ტანსაცმლის მწვავე დეფიციტი. ზუგდიდში მყოფი ზვიად გამსახურდია თავის მიმართვაში ახსენებდა 100 ათასამდე ლტოლვილს ზუგდიდში და დახმარებას ითხოვდა. რას აკეთებდა ამ დროს ფაქტობრივი ხელისუფლება, იგივე ხუნტა? მის ძალოვნებს გადაკეტილი ჰქონდათ როგორც ფოთი, ისე სამტრედია. სამეგრელოში არანაირი ტვირთი არ შედიოდა, მარაგები კი იწურებოდა.

ბობოყვათის შეხვედრების ჩავარდნის შემდეგ აფხაზეთის დაცვის საკითხი იყო ის თემა, რომელსაც მხარეები, შესაძლოა, გაეერთიანებინა, თუნდაც ეს გაერთიანება პოლიტიკური პრაგმატიზმის საფუძველზე შემდგარიყო. 30 სექ-

ტემბრის შემდეგ ეს შეიძლებოდა ყოფილიყო ერთობლივი პარტიზანული მოქმედება სამეგრელოდან და გალის დაბრუნება, შემდეგ კი – ბრძოლის ეტაპობრივი გაგრძელება აფხაზეთის სილრმეში. მაგრამ თბილისში, იმელის შენობაში, საკითხს ასე არ სვამდნენ. ფაქტია, რომ ხუნტამ ამ ეტაპზე გვერდზე გადადო აფხაზეთის საკითხი, ჩათვალა რა, რომ ის ამ ეტაპზე ვერც სამხედრო, ვერც დიპლომატიური გზებით ვერ მოგვარდებოდა. თანაც, 27 ივლისის სოჭის ხელშეკრულების შემდეგ ისე გამოდიოდა, რომ „მოგვარება“, გარკვეულწილად, მიენდო იმ მხარეს, რომელიც თავად არაერთხელ დაუდანაშაულებიათ აფხაზების მხარეზე ომში პირდაპირ ჩართვასა და მათთვის იარაღის დიდი პარტიების მიწოდებაში, ანუ რუსეთს.

პარალელურად, შეითხზა სრულიად ალოგიკური, პროპაგანდისტული და თავის მართლების „არგუმენტებზე“ აგებული ნარატივი, რომ აფხაზეთის დაკარგვაში ბრალი ზვიად გამსახურდიას მომხრეებსა და თავად ზვიადის სამეგრელოში დაბრუნებას მიუძღოდათ. თბილისში სრულიად დარწმუნებულნი და თავდაჯერებულნი იყვნენ, რომ რუსები და აფხაზები ენგურს არ გამოსცდებოდნენ. მაგრამ ენგურის გამოღმა ისევ რჩებოდნენ კანონიერებისთვის მებრძოლი ძალები, რომლებიც აკონტროლებდნენ სამეგრელოს – ზუგდიდის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, ხობის, სენაკის, მარტვილისა და აბაშის რაიონებს. მალე მათ ფოთი და სამტრედიაც დაიკავეს, რამდენადაც ამდენი ლტოლვილის არსებობის ფაქტორი ჰუმანიტარული კატასტროფის წინაშე აყენებდა რეგიონს, თუმცა, ფაქტობრივ ხელისუფლებას ეს საკითხი დიდად არ აწუხებდა.

და რა ხდებოდა თბილისში სექტემბრის ბოლოს? ჯაბა იოსელიანი წერს: „პარლამენტში რადიკალური გამოსვლებია, ერთნი მოითხოვენ შევარდნაძის გადადგომას, მეორენი – ანგარიშს, თუ რატომ მოხდა ეს. უმეტესობა დაბნეულია და, საითაც ძალას დაინახავს, იქით დააღირებს თავს. არიან ისეთებიც, ვინც პერსონალურად თანაუგრძნობს შევარდნაძეს“.[715] საკითხი ასე დადგა: რა იყო საჭირო იმისთვის, რომ: 1. საქართველოსთვის წამგებიანი სტატუს-კვო აფხაზეთში უფრო მეტად წამგებიანი არ გამხდარიყო; 2. არ დაბრუნებულიყო ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება ქვეყნის სათავეში. ამისთვის საჭირო იყო მჭიდრო კავშირი რუსეთის ფედერაციასთან, ამ მხრივ კი ყველაზე გამოსადეგი ნაბიჯი იქნებოდა მიერთება „დამოუკიდებელი სახელმწიფოების თანამეგობრობასთან“, რომელიც სამხედრო ნაწილში თანამშრომლობასაც გულისხმობდა. დღემდე სრულ ფანტასტიკად და წარმოუდგენელ დაშვებად მიაჩნიათ მოვლენების ისეთი განვითარება, რაც შედეგად მოიტანდა მხარეთა შორის მოლაპარაკებების პროცესს, რომელიც დასრულდებოდა ერთობლივი არჩევნებითა და გარკვეულ საკითხებში კომპრომისებზე აგებული კოალიციური ხელისუფლების შექმნით, რაც, იმავდროულად, შესაძლებელს გახდიდა შეიარაღებული ძალების ჯერ დაშორიშორებას, შემდეგ კი – მათ გადარჩევას პროფესიონალური ნიშნით და ერთობლივი შეიარაღებული ძალების შექმნას. ყოველივე ეს შედეგად მოიტანდა ასევე ერთიანი პოლიტიკისა და მოქმედების წარმოებას აფხა-

ზეთთან მიმართებით. მაგალითად, ოქტომბრის დასაწყისში ძველ აბაშაში კონსტანტინე გამსახურდიას სახლ-მუზეუმთან მისული ზვიადი ჯერ კიდევ უშვებდა ამ შესაძლებლობას და პოლონელი ჟურნალისტის შეკითხვაზე, შევარდნაძეს რას უპირებთო, პასუხობდა: „არაფერსაც არ ვუპირებთ, მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში“.

მაგრამ მეორე ბობოყვათის მოწყობას არავინ აპირებდა. პუტჩის მომხრე ინტელიგენციაში და მათთან ახლოს მდგომ წრეებში უკვე ფიქრობდნენ მობილიზაციასა და დასავლეთ საქართველოში გალაშქრებაზე. ჯაბა იოსელიანი წერს: „ამ რამდენიმე ხნის წინ ჩემთან მოვიდა დელეგაცია: ბიჭიკო რამიშვილი, ბუბა კიკაბიძე, თამაზ ცინცაძე („როჟა“), გიზო ნიშნიანიძე და სხვები. მთხოვეს გავმხდარიყავი მათი საზოგადოების, „თბილისელის“ პრეზიდენტი. მითხრეს, თბილისელები ერთხმად ითხოვენ, რომ მე შევკრა ეს საზოგადოება, რომელიც ფიზიკურად დაიცავს თბილისს და, საერთოდ, საქართველოს, ამ ზვიადისტებისა და პროვინციალების მოძალებისგან. მე არც უარი ვუთხარი ამ ინიციატივის მოთავეებს და არც ხელიდან გავუშვი ეს აქტივობა. თუმცა პირადად ჩემი ხელმძღვანელად ყოფნის მოთხოვნას თავი ავარიდე მთელი რიგი მიზეზების გამო“.[716]

იოსელიანი აქ სიმართლეს ამბობს – იგი მართლაც მთელი ძალებით ჩაერთო პროცესებში. მალე, 1993 წლის 18 ოქტომბერს, მოხდა პუტჩის მომხრე საზოგადოების დიდი შეკრების ორგანიზება ფილარმონიაში, რომელზეც ედუარდი და ჯაბა ერთად მივიდნენ. სხდომას „უძღვებოდა პოეტი რეზო ამაშუკელი, რომელმაც დიდი პათოსით მოითხოვა, რომ ზვიად გამსახურდია ერის მოღალატედ გამოგვეცხადებინა, რასაც მოჰყვა მქუხარე ტაში და მოწონების შეძახილები“.[717] ამავე შეკრებაზე სიტყვით გამოვიდა ირინა სარიშვილი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის, გიორგი ჭანტურიას, მეუღლე, „იმედის პარლამენტის“ წევრი, რომელსაც ვიცე-პრემიერის თანამდებობა ეკავა ოთარ ფაცაციას მინისტრთა კაბინეტში. მან განაცხადა, რომ არ ეთანხმებოდა სახელმწიფოს მეთაურს (შევარდნაძეს უნდა განეცხადებინა, რომ დროა ზვიად გამსახურდია გროზნოს დაუბრუნდესო); რომ ჩვენი და მთელი ქვეყნის სირცხვილია, ზვიადი რომ ფეხზე დადის, რომ ვიდრე მისი პრობლემა არ გადაჭრილა, საქართველოს არაფერი ეშველება, გინდა დსთ-ში შევიდეს, გინდ – ევროგაერთიანებაში და ამერიკის ერთ-ერთი შტატი გახდესო. ზვიად გამსახურდია, მისი სიტყვებით, „ის საფრთხობელა, რომელიც წელიწადზე ნაკლებ ხანს პრეზიდენტად იყო“, არ უნდა გაუშვან აქედან, ის იქ უნდა დარჩეს, ოღონდ შეცვლილი ფორმითო, რაც საკმაოდ ცალსახა მინიშნება იყო ზვიადის ფიზიკურ განადგურებაზე. ფილარმონიაში შეკრებილი საზოგადოება ამ საზარელ განცხადებასაც ტაშით შეხვდა. დღემდე პასუხგაუცემელია კითხვა, სარიშვილი ამას თავისი მოსაზრებიდან გამომდინარე ამბობდა თუ ზონდირების მიზნით ახმოვანებდა ვიღაცის გეგმას? და ეს გეგმა ზვიად გამსახურდიას ფიზიკური ლიკვიდაცია იყო.[718]

1993 წლის ოქტომბრიდან თბილისში უკვე საგანგებო კომიტეტიც (რუსულად თუ ვთარგმნით, გამოვა „ჩეკა“, კ. გ.) ფუნქციონირებდა. ჯაბა იოსელიან-

თან ამის შესახებ ნათქვამია: „ყოველ საღამოს იკრიბება საგანგებო კომიტეტი. ჩვენთანაა კოტე გაბაშვილიც, ქალაქის მერი, უპირველესად მისახედია თბილისი, ფოთი და სამტრედია. ზაზა ჩაჩუამ დაიწყო მოქმედება – ზვიადისტების რამდენიმე ბუდეში პროფილაქტიკური ღონისძიება ჩაატარა. ქუჩაში პატრული გამოჩნდა“.[719] აქ ნახსენები „პროფილაქტიკური ღონისძიება“, რა თქმა უნდა, მხოლოდ სიტყვიერ გაფრთხილებასა და თავზე ხელის გადასმას არ გულისხმობდა, არამედ დაკავებებს. დაკავებულები მიჰყავდათ ჩელუსკინელების ქუჩაზე ჯერ კიდევ აუღებულ, კომუნისტური უშიშროების მიერ მოწყობილი იზოლატორის სარდაფის საკნებში, ასევე, სამხედრო კომისარიატის სარდაფში, კოლმეურნეობის მოედანზე. ამავე შენობის მესამე სართულზე იყო განთავსებული ზაზა ჩაჩუას კაბინეტი. დაკითხვებიც ამავე შენობაში მიმდინარეობდა, არცთუ იშვიათად, ძალადობრივი მეთოდებით. დროის ამ შუალედში ასობით დაკავება განხორციელდა. „იმელთან“ დაჩოქილი მომიტინგეებისთვის, რომლებმაც ამ ფორმით სთხოვეს შევარდნაძეს, არ დაეტოვებინა პოსტი, შევარდნაძისა და იოსელიანის ფსიქოტიპი ბევრად გასაგები და ახლობელი იყო, ვიდრე ზვიადისა და მერაბისა. ამაზე კაცს გაახსენდებოდა ზვიად გამსახურდიას იგავი „ბრმების ქვეყანა“, სადაც ბრმებმა თავიანთ ქვეყანაში ცალთვალა გაამეფეს, ხოლო ორთვალას უარი უთხრეს, ეს ცალი თვალით მაინც გვგავს, შენ კი ორთავ თვალით უცხო ხარო.

შევარდნაძე 1993 წლის 8 ოქტომბერს ჩავიდა მოსკოვში, სადაც შეხვდა ბორის ელცინს და თანხმობა განაცხადა საქართველოს შესვლაზე დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში, სანაცვლოდ კი რუსეთის ფედერაციას სამხედრო დახმარება უნდა აღმოეჩინა „ზვიადის მომხრეების“ ასალაგმავად. სურვილი დსთ-ში საქართველოს შესვლისა შევარდნაძემ ჯერ კიდევ სოხუმში გამოთქვა, იქვე აღნიშნა, რომ ხელისუფლებას არ ჰყავდა საკმარისი ძალები ზვიადის მოხალისეების დასამარცხებლად. იქვე დაამატა, თითქოს, მოსახლეობის 70 პროცენტი მხარს უჭერდა საქართველოს შესვლას დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში.[720] აქვე ჩნდება კითხვა: მოახდინა თუ არა შევარდნაძემ მანამდე, 1993 წლის ივლისამდე, ზონდირება საკითხისა, რამდენად წაადგებოდა საქართველოს დსთ-ში შესვლა სოხუმისა და აფხაზეთის თუნდაც ნაწილობრივ შენარჩუნებას? თუ ეს ასეა, მაშინ ეს უდავოდ ნაკლები ბოროტება იქნებოდა, ვიდრე ის, რაც სოხუმში მოხდა. თუ დსთ მხოლოდ „ზვიადისტების“ დასამარცხებელი ინსტრუმენტი იყო?

ნ. გორჯესტანს მოჰყავს საინტერესო ცნობა, რომელიც მერაბ კიკნაძემ, სავარაუდოდ, მოიპოვა ფინური წყაროებიდან: ამ ცნობის მიხედვით, შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრი მარგარეტა აფ უგლასი ამ ვიზიტამდე ერთი დღით ადრე ჩაფრინდა თბილისში და შევარდნაძეს შეხვდა. გორჯესტანი ფიქრობს, რომ ამ ვიზიტს, შესაძლოა, ორი მიზანი ჰქონოდა: ან მინისტრს, დასავლეთის სახელით, სურდა გაეფრთხილებინა შევარდნაძე, უარი ეთქვა დსთ-ზე, ან პირიქით, მინისტრი ჩამოვიდა მისთვის კოლექტიური დასავლეთის აზრის გადასაცემად, რომ, უმჯობესი იქნებოდა, გადაედგა ეს ნაბიჯი.[721] აქ, იმ დროს ევრო-

პული პოლიტიკის ცენტრებსა და ელცინის რუსეთს შორის წარმოქმნილი კონიუნქტურიდან გამომდინარე, უფრო მეორე თვალსაზრისია დასაშვები. ამავე პერიოდში, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ანდრეი კოზირევმა გააკეთა განცხადება: „რუსეთის ფედერაცია არ აპირებს ჩარევას საქართველოს შინაგან საქმეებში ან სამოქალაქო ომში, მაგრამ საჭიროება მოითხოვს თბილისი-ფოთის გზის დაცვას“.[722]

ჯაბა იოსელიანი აღწერს თავის წიგნში, თუ როგორ განაცხადა უარი თავის რაზმთან ერთად ხონში ახალჩამოსულმა გია ჭანტურიამ ბრძოლაზე, როგორც კი გაიგო საქართველოს დსთ-სთან მიერთების შესახებ. ირაკლი ბათიაშვილი და გოგა ხაინდრავა ასევე პროტესტის ნიშნად გამოსულან საგანგებო კომიტეტიდან, ხოლო გია ყარყარაშვილმა საკმაოდ კრიტიკული განცხადება გააკეთა.[723] იოსელიანი აქაც სიტუაციის დარბილებას ცდილობს და ისე გამოყავს, თითქოს ეს მხოლოდ დსთ-ის გამო იყო. სინამდვილეში, ეს უფრო იმის გამო მოხდა, რომ ჭანტურიას, ბათიაშვილს, ხაინდრავასა და ყარყარაშვილს რუსულ ჯართან ერთად ზვიად გამსახურდიას მომხრეებთან ბრძოლა არ უნდოდათ. ეს უკვე ცნება „სამარცხვინოს“ ყველანაირ ზედა ნიშნულს ასცდებოდა. რუსული არმია კი ძალიან მალე გამოჩნდა ასპარეზზე. რუსი სამხედრო პირი, რომელთანაც გაიმართა მოლაპარაკება, იყო ედუარდ ბალტინი, რუსეთის შავი ზღვის ფლოტის ადმირალი, რომლის ბაზაც ყირიმში, კერძოდ, სევასტოპოლში იყო. საბჭოთა კავშირის დაშლისა და უკრაინის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ეს სამხედრო ბაზა ორივე ქვეყნის ლიდერის, ლეონიდ კრავჩუკისა და ბორის ელცინის, ერთობლივ დაქვემდებარებაში აღმოჩნდა. ედუარდ ბალტინი თავის ინტერვიუში ამბობს, რომ პირველად კონტაქტი ე. შევარდნაძის წარმომადგენელთან ჰქონდა სოხუმისთვის ბრძოლის დროს. მას დაურეკა შევარდნაძის თანაშემწემ და დახმარება სთხოვა. ამ დროს შევარდნაძეს უნდა დაეტოვებინა სოხუმი თავისი თვითმფრინავით, თუმცა აფხაზური ძალები აკონტროლებდნენ ზღვის მთელ პერიმეტრს მსუბუქი კატარღებით, რომლებზეც საზენიტო დანადგარებიც იყო დამონტაჟებული. ბალტინის მიერ გაგზავნილმა სადესანტო კატარღა „ზუბრმა“ მოახერხა აფხაზური ძალების ყურადღების გადატანა და შევარდნაძის თვითმფრინავმა მოახერხა სოხუმის აეროპორტიდან გაფრენა.

ამის შემდეგ ბალტინი თავის ინტერვიუში ყვება: „არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ გამსახურდია იმ დროს კანონიერად არჩეული პრეზიდენტი და უმაღლესი მთავარსარდალი იყო. ვინ იყო შევარდნაძე? არაკონსტიტუციური სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს ავტორიტეტული სახე, რომელსაც, უბრალოდ, სახელმწიფოს მეთაურს უწოდებდნენ. თუმცა ის, ასე ვთქვათ, ალტერნატიული პოლიტიკური ლიდერი იყო. ზვიადისტებს იმ დროს მთელი დასავლეთი საქართველო ჰქონდათ აღებული: ზუგდიდი, ფოთი. გამსახურდიას შენაერთები ქუთაისამდე იყვნენ მისულნი. ქვეყნის სამხრეთი, ანუ, აჭარა, აბაშიძის ხელში იყო. შევარდნაძე მხოლოდ ქვეყნის ცენტრალურ ნაწილს აკონტროლებდა. ამ დროს სევასტოპოლში გამოჩნდა შევარდნაძის ნდობით აღჭურვილი პი-

რი, ლეონარდო დევდარიანი, რომელმაც გამსახურდიასგან საქართველოს გათავისუფლება ითხოვა. ჩემამდე მათ იმავე თხოვნით ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ხელმძღვანელობას მიმართეს, მაგრამ გენერალ-პოლკოვნიკმა თეოდორ რეუტმა და შტაბის უფროსმა იური ბალუევსკიმ უარი უთხრეს – მოიმიზეზეს, რომ მათ დიდი დრო სჭირდებათ სამხედრო ოპერაციის მოსამზადებლად. მე ხომ ოპერატიული დაჯგუფებები ყოველთვის მზად მყავს. 1-ელ ნოემბერს, პარასკევს, კვირის ბოლო სამუშაო დღეს ვიღებ ВЧ-ს (მაღალხარისხიანი სპეციალური სამთავრობო და სამხედრო სატელეფონო ხაზი სსრკ-სა და რუსეთში) და ვურეკავ ლეონიდ კრავჩუკს (იმ დროს უკრაინის მოქმედი პრეზიდენტი, კ. გ.) – ასე უნდა მოვქცეულიყავი, მე ხომ ორ პრეზიდენტს დაქვემდებარებული ვიყავი. ვეუბნები: „ლეონიდ მაკარის ძევ, უკვე წელიწად-ნახევარზე მეტია, ფლოტის ოპერაციების ზონაში წესრიგი არ არის, განუწყვეტელი შეტაკებები და ომია. მე შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში გადავალ, გავისეირნებ და შევხედავ, რა სიტუაციაა...“. იმასაც, ბევრი არ უფიქრია და მითხრა: „როგორც საჭიროდ ჩათვლით...“. ვიცოდი, რომ ელცინს ვერ დავურეკავდი, ამიტომაც პატაკი პავლე გრაჩოვს ჩავაბარე: „კრავჩუკისგან მწვანე მაქვს, აღმოსავლეთით მივდივარ, ზღვაზე, იქ გაუთავებელი ომია, ხალხი იღუპება, ასეულობით გვამია გამორიყული ნაპირზე, ქალები გამოფატრული მუცლებით...“. მან კი მითხრა: „მიდი, გაიარე და ნახე. რა შემადგენლობას წაიყვან თან?“[724]

დოკუმენტურ დონეზე დაუდასტურებელი ინფორმაციით, რომელიც გავრცელდა კანონიერების მებრძოლთა რიგებში, ადმირალ ბალტინს გარკვეული ანაზღაურებაც აქვს მიღებული საქართველოს ხუნტის მხარისგან ამ ოპერაციის ჩატარებისთვის – ეს არის ცხრა მილიონ ექვსასი ათასი ამერიკული დოლარი ნაღდი ფულის სახით, რომელიც მას სამხედრო გემზე, მისსავე კაიუტაში, მიართვეს. ცხადია, მატერიალური მტკიცებულება ამის შესახებ არ არსებობს. ინფორმაცია დაკავშირებულია ფოთის მერიის ერთ-ერთ თანამდებობის პირთან, გიგლა ბახტაძესთან, რომელიც ამ თანხის ბალტინისთვის გადამცემთა შორის ასახელებს ლეონარდო დევდარიანსა და ავთანდილ მარგიანს. ამ ვერსიას სკეპტიკოსი ცოტა ჰყავდა იმის გამო, რომ რუსულ არმიაში კორუფცია არავის უკვირდა, ხოლო ბალტინის ასეთი მყისიერ-ენთუზიასტური რეაგირება პუტჩის მონაპოვრის დასაცავად, ყველას აცვიფრებდა.

ბალტინის ამ ცნობიდან ირკვევა, რომ მას უკრაინის პრეზიდენტთან მხოლოდ შეუთანხმებია, ჩართულიყო საქართველოს შიგა დაპირისპირებაში. შეიძლება ითქვას, კრავჩუკი, უბრალოდ, საქმის კურსში ჩააყენა, ხოლო რეალური ნებართვა ამისთვის, ცხადია, გრაჩოვისგან მიიღო, რომელიც რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრი იყო. ბალტინი საკმაოდ დეტალურად აღწერს იმ ძალებსა და შეიარაღებას, რომელიც მის განკარგულებაში იყო: „საბოლოოდ, მე ავიყვანე: სახომალდო დაჯგუფება 15 ხომალდით, საზღვაო ქვეითები, საავიაციო დაჯგუფება, საავარიო და სამაშველო მოწყობილობები – სულ ორი ათას ხუთასი ადამიანი, მათ შორის, გაძლიერებული მოიერიშე ბატალიონი ტანკები-

სა და არტილერიის ასეულის მხარდაჭერით 1 300 კაცი. ჩავტვირთეთ საბრძოლო მასალები, რომლებიც 30 დღის განუწყვეტელი ბრძოლისთვის გვეყოფოდა. აი, სწორედ ამ არმადით გამოვცხადდი 4 ნოემბერს რეიდზე ფოთში. ჩავკეტეთ საზღვაო სივრცე თურქეთის საზღვრიდან ადლერამდე. ჩავკეტეთ საჰაერო სივრცეც. ყველაფერი ოფიციალურად გამოვაცხადეთ: „საბრძოლო მოქმედებების მიმდინარეობის გამო". ყველაფერი ეს საერთაშორისო დონეზეც გავახმოვანეთ" (ბალტინი, იქვე).

ბალტინი აღნიშნავს, რომ შევარდნაძე მას ფოთში შეხვდა. შევარდნაძეს რუს ადმირალთან შეხვედრისას ფოთში ჯაბა იოსელიანიც ახლდა (არსებობს ამის ფოტოც), თუმცა თავის წიგნში იოსელიანს ამ შეხვედრასა და ბალტინის მიერ ნახსენებ ხელშეკრულებაზე კრინტიც არა აქვს დაძრული – ცხადია, ესმის, რამდენად „უხერხულ" სიტუაციაში იმყოფებოდა იმ დროს. საერთოდ, რუსების ფაქტორს იგი „სამ განზომილებაში" მხოლოდ აქა-იქ. გაკვრით თუ ახსენებს. აი, ფოთის ოპერაციის შესახებ რა არის ნათქვამი ჯაბა იოსელიანის მემუარებში: „ზვიადისტებმა ფოთი დატოვეს და ჩვენებიც შევიდნენ დოდო გუგეშაშვილისა და ვაჟა ქრისტესაშვილის ხელმძღვანელობით. საიდანღაც თავდაცვის სამინისტროს „დბშ" ნაწილიც იქ გაჩნდა. ადმირალმა ბალტინმაც შეასრულა დანაპირები – ფოთში გემები შემოიყვანა. ანაკლიაში, სადაც ქობალიას ბაზა აქვს, იგორ გიორგაძემ დესანტი გადასხა. ააფეთქეს საარტილერიო დანადგარები... გაირკვა, რომ ზვიადისტებს არავითარი სერიოზული ზურგი და მარქაფი არა აქვთ".[725]

კანონიერებისთვის მებრძოლმა ჯარმა ფოთი იმიტომ დატოვა, რომ ბალტინის საზღვაო-სახმელეთო არმადასთან ფრონტალურ დაპირისპირებას აზრი არ ჰქონდა. რომ არა რუსული სადესანტო ჯარის ფაქტორი, ხუნტის არადისციპლინირებული შენაერთები ფოთს ნამდვილად ვერ აიღებდნენ. ბალტინი ყვება, თუ როგორ შეხვდა ფოთში ე. შევარდნაძეს: „ის ნაპირზე გადმოსვლისას შემეგება. ჩვენ ოფიციალურად მოვაწერეთ ხელი შეთანხმებას შავი ზღვის ფლოტსა და საქართველოს ხელისუფლებას შორის და შემდეგ ჩვენ ეს შეთანხმება შევასრულეთ. 30 წუთში დავიკავეთ ფოთი. თითქმის მთელი ქალაქი, სრულიად უბრძოლველად". ფოთში მართლაც მძიმე მდგომარეობა შეიქმნა ამ დესანტის გადმოსხმის შემდეგ. ამ მოვლენებზე არსებობს ზვიად გამსახურდიას მიმართვა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის, ბორის ელცინისადმი, რომელშიც ნათქვამია: „1993 წლის 28 ოქტომბერს რუსეთის შეიარაღებულ ძალთა ქვედანაყოფებმა ტანკების მეშვეობით თავიანთი კონტროლი დაუწესეს ქალაქ ფოთზე, რაც წარმოადგენს საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის ძირითადი პრინციპების აღმაშფოთებელ ხელყოფას და საქართველოს საქმეებში უხეშ ჩარევას. მდგომარეობას ართულებს ის, რომ რუსეთის შეიარაღებულ ძალთა ამ ქვედანაყოფების თანმხლებმა და მათთან ურთიერთმოქმედმა შევარდნაძის ხუნტის ბანდიტურმა ფორმირებებმა ქ. ფოთში გაამეფეს ტოტალური ანარქია და ქაოსი. ადგილი აქვს მოსახლეობის ძარცვას, საპორტო საწყობების, სავაჭრო და სხვა საწარმოების ძარცვას, რაც ქალაქის

მთელი მოსახლეობის სამართლიან აღშფოთებას იწვევს. ამასთან დაკავშირებით გამოვთქვამთ პროტესტს და მოგიწოდებთ, ნუ დაუჭერთ მხარს შევარდნაძის ანტიხალხურ, გახრწნილ რეჟიმს და დაუყოვნებლივ გაიყვანოთ ჯარი ამ ქალაქიდან".[726]

ზვიადს ამ მძიმე დღეს აუცილებლად გაახსენდებოდა გროზნოში ბოლო საუბარი ჯოხარ დუდაევთან, როდესაც ამ უკანასკნელმა უთხრა: „ზვიად, ჩემო ძვირფასო ძმაო, თუ ახლა წახვალ, გააქტიურდებიან შენი მომხრეები. ეს გააქტიურება გამოიწვევს კონფრონტაციის გაძლიერებას... რუსეთი ამით ისარგებლებს და შეიარაღებულ არმადას შემოიყვანს. რუსეთი არასოდეს არ დაუშვებს შენს კვლავ გამოჩენას საქართველოს სახელმწიფოს სათავეში". ეს კი ნამდვილად ასე მოხდა, თუმცა ის, რაც დუდაევს არ ესმოდა, ეს იყო ზვიადის თავგანწირული მცდელობა აფხაზეთის გადასარჩენად.[727]

როგორც ამ ბრძოლების უშუალო აქტორების, ისე თვითმხილველების ცნობით, რუსული ტანკები, ფოთის გარდა, სამეგრელოსკენ კიდევ ორი მხრიდან დაიძრნენ – აღმოსავლეთ საქართველოდან რიკოთის გადასასვლელის გავლით და ბათუმის მხრიდან – ამ უკანასკნელი მიმართულებიდან სენაკისკენ გადაადგილდებოდა 35 ტანკი. ქუთაისის მხრიდან ოპერაციაში ჩართულნი იყვნენ რუსეთიდან გადმოსროლილი ჯარისკაცები ძერჟინსკის დივიზიიდან. საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობდა აგრეთვე ავიაცია. საინტერესოა, რომ ბალტინი ხაზს უსვამს თავისი სამხედრო ძალის გადამწყვეტ როლს საბრძოლო მოქმედებებსა და სწრაფად წინსვლაში, რაც საკმაოდ დამაჯერებელია. ჯაბა იოსელიანთან კი რუსული ფაქტორი მხოლოდ ფრაგმენტულად, გაკვრითაა მოცემული და ყურადღება ძირითადად გამახვილებულია „მხედრიონზე", გვარდიაზე, ასევე, შინაგან ჯარზე. თავის ინტერვიუში ბალტინი განაგრძობს: „ზვიადისტების ფორმირებები დაბნეულნი იყვნენ და გარბოდნენ. გავამაგრეთ დაკავებული ტერიტორია. შემდეგ ჯავშანტექნიკა 70 კმ. საათში სიჩქარით დაიძრა და შეიჭრა სენაკის აეროპორტში. ერთ კვირაში მივედით ენგურამდე. სადაც შევდიოდით, ყველგან შევარდნაძის ხელისუფლება ცხადდებოდა, ინიშნებოდნენ მერები. ძალიან დაგვეხმარა ქართული ტელევიზია და რადიო. ქართულ და რუსულ ენებზე ისინი მოსახლეობას მორჩილებისკენ მოუწოდებდნენ".[728]

მეორე მხრივ, რუსული არმიის ეს ძლევამოსილი წინსვლა ასე მარტივადაც არ მომხდარა. ოკუპანტებსა და მათ ქართველ მოკავშირეებს წინააღმდეგობა შეხვდათ. სენაკი, რომელსაც იცავდნენ აკაკი ელიავასა და სოსო ჟღენტის რაზმები, ორჯერ გადავიდა ხელიდან ხელში. კანონიერებისთვის მებრძოლმა შენაერთებმა სამი რუსული ავიაგამანადგურებელი ჩამოაგდეს. ბრძოლა გაიმართა ასევე ხობშიც, რომელიც რუსებმა და ხუნტამ 4 ნოემბერს დაიკავეს. ხელიდან ხელში ორჯერ გადავიდა ხონიც. სენაკისთვის ბრძოლაში მონაწილეობა მიიღო აფხაზეთიდან ჩამოსულმა ასამდე მებრძოლმა, რომელთა ერთი ნაწილი ყაბარდო-ბალყარეთიდან და ადიღეიდან იყო, მეორე ნაწილი კი აფხაზები იყვნენ. მათ ორ ჯავშანმანქანაზე გაკეთებული იყო წარწერა „აფსნი", და მებრძოლები ფო-

ტოებს ისე იღებდნენ, რომ ეს წარწერები კარგად ჩანდა. როდესაც ზვიად გამსახურდიას ამბავი მოუტანეს, რომ ეს დაქირავებულები ხუნტის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაებნენ, მან ამ ჯგუფის უკან დაბრუნება ითხოვა აფხაზეთში. მომდევნო დღეს ისინი ენგურს გაღმა გადავიდნენ.

ვახტანგ ქობალია იგონებს, როდესაც ბალტინის ჯარებმა ჩვენს შენაერთებს ცეცხლი გაუხსნეს დაფნარში, ბატონმა ზვიადმა შეკრიბა სამხედრო საბჭო და გვკითხა, რა შეგვეძლო გაგვეკეთებინაო. ჩვენ მოვახსენეთ, რომ ჩვენ ერთი მინაც (ანუ ნაღმი) არ გვქონდა, რომ დაგვედო რუსების ტანკზე, ბალტინის ქვემეხების ჭურვები კი სამეგრელოს ნებისმიერ დასახლებულ პუნქტს წვდებოდაო. ვ. ქობალიას თქმით, არსებობდა უკან დახევის გეგმაც, მაგრამ ის ვერ შესრულდა. სამტრედიაში ყოფნის დროს, როდესაც აჭარის მხრიდან შემოსული რუსული ძალები მიუახლოვდნენ სამტრედიას, ზვიად გამსახურდიასა და ვახტანგ ქობალიას დაუკავშირდა რუსი პოლკოვნიკი, რომელმაც 200 ათასი ამერიკული დოლარი მოითხოვა იმისთვის, რომ ბრძოლაზე უარი ეთქვა. ამდენ თანხას იქ ვერავინ გადაიხდიდა, შეგროვდა მხოლოდ 20 ათასი დოლარი. ამ თანხის საფასურად რუსმა სამხედრომ განაცხადა, რომ მხოლოდ სამ დღეს შეიკავებდნენ თავს ბრძოლაში ჩართვისგან.

ჯერ კიდევ ხობის დაცემამდე ვახტანგ (ლოთი) ქობალია თანამებრძოლების თვალსაწიერიდან გაქრა. მას ვერავინ ეეღარ პოულობდა. მანამდე მან მონაწილეობა მიიღო სენაკის პირველ ბრძოლაში, თუმცა მეორე ბრძოლის წინ ის, პრაქტიკულად, გამოეთიშა პროცესებს. ორ-სამ დღეში ზუგდიდში შეიკრიბა სამხედრო საბჭო, რომელშიც, ზვიად გამსახურდიას გარდა, მონაწილეობა მიიღეს გურამ აბსანძემ, ტარიელ გელანტიამ, ზაურ ქობალიამ, ნუგზარ მოლოდინაშვილმა, აკაკი ელიავამ, ჯამბულ ბოკუჩავამ, სოსო ჟღენტმა, რომეო კუჭუხიძემ, სოსო ჯომიდავამ და გურამ ლაკიამ. თავიდან განიხილებოდა ელიავას ან ჟღენტის გვარდიის სარდლად არჩევა, რაზეც მათ უარი განაცხადეს. შემდეგ იყო მოსაზრება, რომ ფორმალურად, მოსალოდნელი შინაგანი კონფლიქტების თავიდან ასარიდებლად, სარდლად დაესახელებინათ არარსებული პირი, პოლკოვნიკი ჯავახიშვილი. ეს მოსაზრებაც უკუაგდეს თათბირის დროს, რამდენადაც, პრეზიდენტის არგუმენტაციით, ბევრი მეომარი კანონიერებისთვის მებრძოლ ეროვნულ გვარდიაში სწორედ ვახტანგ (ლოთი) ქობალიას ავტორიტეტიდან გამომდინარე იყო შესული. ამიტომაც გადაწყდა საერთოდ არ შეხებოდნენ ლოთის და ფორმალურად კვლავ იგი დარჩენილიყო გვარდიის სარდლად.

ჯაბა იოსელიანი აღწერს ხუნტის ბოლო თათბირს ხობში ზუგდიდის აღების წინ. ხობის გამგებელმა თემურ გერგაიამ დაზვერვისგან შეიტყო და მასაც გაუზიარა, რომ იმ დროისთვის ზუგდიდის ირგვლივ სოფლებში, სავარაუდოდ, თავმოყრილნი ყოფილან კარგად შეიარაღებული „ზვიადისტები", მათ შესაძლოა, ქალაქში შეგვიტყუონ და მერე დაგვარტყანო. აქვე აღნიშნული აქვს, ყური მოვკარი, თითქოს გამსახურდიამ თავი აფხაზეთს შეაფარაო. ხობში თათ-

ბირს, ე. შევარდნაძისა და ჯ. იოსელიანის გარდა, ესწრებოდნენ კოტე გაბაშვილი, შოთა კვირაია, გია ჟორჟოლიანი, გივი ლომინაძე, ფრიდონ ინჯია, დემურ მიქაძე და გელა ლანჩავა. მათ მოილაპარაკეს, თუ რა ზომებს მიიღებდნენ მომდევნო დღეს, ზუგდიდში შესვლის შემდეგ.[729]

ზუგდიდში შესვლას 1993 წლის 7 ნოემბერს ჯაბა იოსელიანი ასე აღწერს: „ზუგდიდის ქუჩები მიყუჩებულია. ზოგიერთ ეზოში დიდიან-პატარიანად, მთელი ოჯახებია გამოფენილი, აქა-იქ ჭიშკრებთან შექუჩული ხალხი დგას. ზვიადისტებმა დატოვეს ქალაქი, მაგრამ, ძველი გამოცდილებით ვიცით, დილით ჭიშკრებსა და ბაღებში ასე იდგნენ ხოლმე, მოლაზღანდარე მცხოვრებლებივით, საღამოს კი, იარაღასხმული, თავს ესხმოდნენ სამხედრო ობიექტებს. მივდივართ ლოთი ქობალიას შტაბში, „ბერნქარხნის“ ყოფილ შენობაში... ზაზა პაიჭაძეს ვაბარებ ამ ყოფილ შტაბს, კომენდანტურისთვის გამოდგება, აქვს გალავანი, დიდი ეზო, სადაც ტექნიკა მოთავსდება, ერთ საათში მოდის შევარდნაძე, ვეხვევი, ვულოცავ სამოქალაქო ომის დამთავრებას“.[730] ერთი შეხედვით, სრულიად გაურკვეველია აქ, რას ნიშნავს ტექსტში ნახსენები „ბერნქარხანა“. ეს უნდა იყოს „გრენქარხანა“ ზუგდიდში, რომელიც მე-4 საშუალო სკოლის წინ მდებარეობდა. მანდ აბრეშუმს ტრადიციული მეთოდებით აწარმოებდნენ. ეს ქარხანა 1993 წლამდე კარგა ხნით ადრე დაიხურა. აქვე იყო განთავსებული ზუგდიდის კომენდანტურა. ამ შენობის ეზოში იდგა სპეციალური საკომუნიკაციო მანქანა, რომლის დახურულ ძარაშიც სამხედრო რაცია იყო ჩამონტაჟებული თავისი აპარატურით. მას სპეციალური რადისტიც ემსახურებოდა. მას შემდეგ, რაც ხუნტამ და რუსებმა აიღეს ხობი, გვიან ღამით ამ მანქანაში კავშირზე გამოვიდა თავად ედუარდ შევარდნაძე. მან მოითხოვა საუბარი ზვიად გამსახურდიასთან. ამ დროს ზვიადი საკრებულოს შენობაში იმყოფებოდა. როდესაც ამცნეს ამის შესახებ, იგი ჩამოვიდა რაციასთან და ჰკითხა, რა გინდათო. „ბატონო პრეზიდენტო, შეწყვიტეთ წინააღმდეგობა და გამოცხადდით მოლაპარაკებაზე“, – იყო შევარდნაძის წინადადება. ამაზე ზვიად გამსახურდიამ უპასუხა, რომ მეტად აღარ დაერეკა, და კონტაქტი გათიშა.

1993 წლის 3 დეკემბერს, სახელმწიფოს მეთაურთან არსებული საბჭოს გადაწყვეტილებით, საქართველო დსთ-ში გაწევრიანდა, ხოლო იმავე წლის 9 დეკემბერს საქართველო შეუერთდა დსთ-ს წესდებასაც. ამერიკელი ჟურნალისტი და მწერალი თომას გოლცი ამიტომაც წერდა: „თუ თქვენ გამსახურდიას მომხრეებს დაელაპარაკებით დღეს ან დაელაპარაკებოდით თუნდაც ერთი თვის წინ, მათი წინასწარმეტყველება იყო, რომ შევარდნაძის მიზანი იყო სოხუმის მიყიდვა აფხაზებისათვის, მისი რუსებისათვის ჩაბარება და საქართველოს იძულება შესულიყო დამოუკიდებელი სახელმწიფოების კავშირში... ყველაფერი ეს მართლაც მოხდა. მე არ ვეთანხმები საქართველოს წინააღმდეგ „დიდი შეთქმულების“ იდეას, მაგრამ ფაქტები კიდევ ერთხელ წითელ ხაზად გასდევს ყველაფერს“.[731]

6

უკანასკნელი დღეები

6.1. გადასვლა აფხაზეთში

1993 წლის 6 ნოემბერს, დილით, მანქანების ესკორტი ზუგდიდიდან ენგურის ხიდის მიმართულებით დაიძრა. პრეზიდენტთან ერთად იმყოფებოდა მისი პირადი დაცვა შვიდი კაცის შემადგენლობით, ასევე, პრემიერი ბესარიონ გუგუშვილი და ვიცე-პრემიერი გურამ აბსანძე. მათ გაიარეს სოფელი რუხი და ენგურის ხიდზე გადავიდნენ. რატომ გაატარეს ისინი უპრობლემოდ? აქ ორი მიზეზია საფიქრებელი. პირველი არის ის, რომ აფხაზეთის ოფიციალურმა პირებმა 1992 წლის 6 იანვრის შემდეგ რამდენიმეჯერ განაცხადეს, რომ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება კანონიერი იყო. ხოლო მეორე მიზეზი გამოიკვეთა იმ წინადადებასთან ერთად, რომელიც საქართველოს განდევნილ პრეზიდენტს უკვე აფხაზეთში გადასვლის შემდეგ შესთავაზეს.

ესკორტს ენგურის ხიდთან დახვდა ცნობილი აფხაზი საველე მეთაური რუსლან ქიშმარია, რომელიც ერთხანს თვითგამოცხადებული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის მოვალეობასაც ასრულებდა. მან სტუმრები მიიყვანა ოჩამჩირის რაიონის ზღვისპირა დაბა ილორში, თავისი ძმის, მერაბ ქიშმარიას სამეზობლოში. პრეზიდენტი და მისი თანმხლები რამდენიმე პირი განთავსდნენ აფხაზი ტუჟბების ოჯახში. ილორში ქართველები თითქმის აღარ იყვნენ დარჩენილნი. 1989 წლის აღწერის მიხედვით, სოფელში, დაახლოებით, 2 000 მოსახლე იყო, აქედან ნახევარი – აფხაზი, ნახევარი კი – ქართველი. 1992-1993 წლების კონფლიქტისას სახლების დიდი რაოდენობა განადგურდა – თითქმის 350 სახლი. ტუჟბების სახლი არცთუ მცირე ზომისა იყო, ჰქონდა ბაღი და ბაღში იდგა ფიცრის მაგიდა, მორებისგან დამზადებული გრძელი სკამით.

ოჯახის უფროსმა, მოხუცმა კაცმა, როდესაც ზვიად გამსახურდია დაინახა, ცრემლი მოერია. აფხაზური წესით გადაეხვია, რუსულად უთხრა, ჩვენ და ქართველების შორის ომი როგორ შეიძლებოდაო, ჩვენ ხომ ერთი მოდგმის ვართო. ზვიადმა უპასუხა, ხომ იცით, რომ მე ამ ომის წინააღმდეგი ვიყავიო. როდესაც ადგილობრივმა აფხაზებმა შეიტყვეს ზვიად გამსახურდიას ილორში ყოფნის შესახებ, ისინი ტუჟბების სახლთან მოვიდნენ. შეხვედრა საკმაოდ ემოციური იყო. საუბარი რუსულ ენაზე წარიმართა. რამდენიმე ქალმა იტირა და უთხრეს, შენ რომ ხელისუფლებაში ყოფილიყავი, ეს ომი არ მოხდებოდაო. აფხაზი ხალხი შენ ქართველებზე არანაკლებად გცემდაო პატივს. საუბარში ზვიადმა მე-11 საუკუნეში აგებული ილორის სალოცავი ახსენა, წმინდა გიორგის სახელობის. ეს სალოცავი ფიგურირებს კონსტანტინე გამსახურდიას ტრილოგიაში „მთვარის მოტაცება“, სადაც მოსალოსო მოგვი და მმოსავი ძველაფხაზური წარმართობისა, წმ. გიორგის მონა, ლუკაია ლაბახუა, დღესასწაულებზე ტაძრის შესასვლელში იწვა, ხალხი გადააბიჯებდა მას და ისე შედიოდა სალოცავში. ზვიადმა უთხრა ადგილობრივებს, რომ არსებობდა ძველი ტრადიცია ილორის სალოცავში თეთრი ფერის ხარის მიყვანისა წმინდა გიორგის სახელზე. თუკი იპოვით ასეთ ხარს, მე მივიყვან მას ილორის ეკლესიაში, დავტოვებ იქ და ვილოცებ ქართველ და

აფხაზ ხალხებს შორის მშვიდობისთვის, მათი ერთობლივი ნათელი მომავლისა და თანაცხოვრებისთვისო.

წავიდნენ აფხაზები ასეთი ხარის მოსაძებნად მეზობელ სოფლებში. მოიყვანეს კიდეც რამდენიმე ხარი, მაგრამ სრულიად თეთრი, როგორსაც ტრადიცია ითვალისწინებდა, არცერთი არ იყო. ამიტომაც ხარის დატოვებამ ტაძრის ეზოში აზრი დაკარგა. მაგრამ მთავარი ვიზიტი, რომელიც ამ სახლში განხორციელდა, აშკარად უკავშირდებოდა რაღაც პროექტს, რომელიც შემოთავაზების სახით გაცხადდა. რამდენიმე დღის შემდეგ გუდაუთადან ილორში ჩამოვიდა მერაბ ქიშმარია, რომელსაც ჩამოყვა აფხაზი მაღალჩინოსანი და უცნობი რუსი გენერალი. ისინი დასხდნენ ბაღში, მაგიდასთან და საუბარი რუსულ ენაზე წარიმართა.

როგორც აფხაზმა მაღალჩინოსანმა ზვიადს განუცხადა, 1992 წლის პუტჩიდან მოყოლებული, აფხაზეთის ხელისუფლება მის მთავრობას ყოველთვის საქართველოს ლეგიტიმურ ხელისუფლებად მიიჩნევდა. ამიტომაც ახლა, ამ სიტუაციაში, მოსაძებნია გამოსავალი, მით უმეტეს, რომ აფხაზეთის ხელისუფლება დაინტერესებულია, დახმარება აღმოუჩინოს მას. ეს კი ასე უნდა მოხდესო: ჯერ თქვენ ცნობთ აფხაზეთს დამოუკიდებელ ქვეყნად, შემდეგ კი დამოუკიდებელი საქართველო და დამოუკიდებელი აფხაზეთი ერთმანეთთან კონფედერაციული ტიპის ხელშეკრულებას გააფორმებენ, დაახლოებით, ისე, როგორც იყო 1921-1927 წლებში. ამ ხელშეკრულებაში სამხედრო დახმარების პუნქტიც იქნება ჩადებული და შესაძლებელი გახდება, რომ თქვენც დაბრუნდეთ ხელისუფლებაში. მანამდე კი, შეგიძლიათ, დარჩეთ აფხაზეთის ტერიტორიაზე. „როგორ წარმოგიდგენიათ თქვენ ეს?“ – ჰკითხა ზვიადმა. – „როგორ აღდგება საქართველოში კანონიერი ხელისუფლება?“ „ეს ჩვენ ჯერ არ ვიცით, მაგრამ თანდათან გამოჩნდება“, – იყო ამაზე პასუხი. – „რაც ახლა შემოგთავაზეთ, ეს არის ერთადერთი შესაძლებლობა, რომ აქ დარჩეთ. სხვა შემთხვევაში თქვენ აფხაზეთში ვერ დარჩებით. მოგიწევთ აქედან წასვლა“. „არა“, – უპასუხა ამაზე ზვიადმა. – „ეს შეუძლებელია“.

ამასობაში საუბარში რუსი გენერალი ჩაერია: „იცით თქვენ, სად მოგიწევთ დაბრუნება? მე მართლა გული მტკივა თქვენზე, ზვიად კონსტანტინოვიჩ“. რუსმა სამხედრომ ამით, ფაქტობრივად, უთხრა, თქვენ ამ ნაბიჯით სიკვდილთან შესახვედრად მიდიხართო. „რას ვიზამ“, – მშვიდად უპასუხა ზვიადმა. – „ესეც ჩემი ხვედრია“. ამით საუბარი დასრულდა. ზვიადმა დაცვას უთხრა, სამეგრელოში უნდა დავბრუნდეთო. მასპინძლებს გული დასწყდათ, მაგრამ, რა უნდა ექნათ.

ამ საუბარმა წინ წამოსწია და დისკუსიის საგნად აქცია, ცხადია, ერთი მოსაზრება, პროექტი თუ პროპაგანდისტული მიზნით შემოგდებული შემოთავაზება, რომელიც ნახსენები აქვთ ედუარდ შევარდნაძეს, თენგიზ სიგუასა და ჯაბა იოსელიანსაც კი. შევარდნაძემ იგი მოგვიანებით თავის გასამართლებლადაც მოიშველია. მას ახსენებს ასევე აფხაზი ისტორიკოსი სტანისლავ ლაკობა, თუმცა წყაროს არც ის უთითებს (ამაზე ქვემოთ გვექნება მსჯელობა.). თენგიზ

სიგუა ინტერვიუში ამბობდა, თითქოს შევარდნაძეს მისთვის ეთქვას ასეთი რამ: „დამირეკა ელცინმა, მითხრა, გამსახურდია დავტოვოთ და საქართველო შუაზე გავყოთო. ელცინს შევარდნაძისთვის უთქვამს, თბილისში შენ იყავი მმართველი, ქუთაისში კი გამსახურდია დავსვათო. ამ შემთხვევაში შევარდნაძეს უნდა დავუჯეროთ, რადგანაც დოკუმენტურად დასაბუთებულია, რომ რუსებს საქართველოს ორად გაყოფის გეგმა ჰქონდათ. სწორედ ამიტომ არ შეუშალეს ხელი გამსახურდიას გროზნოდან გამოფრენაში".[732] სტანისლავ ლაკობა კი ელენა ზავადსკაიასთან ინტერვიუში ამბობდა: „მას (ანუ ზვიად გამსახურდიას), როგორც მე გავიგე, ჰპირდებოდნენ ბუფერულ სახელმწიფოს სამეგრელოს ფარგლებში, მაგრამ მან მთელი საქართველო მოინდომა. ამას კი აღარ სთავაზობდნენ. როდესაც შევარდნაძე მიხვდა, რაში იყო საქმე, დასტური მისცა დსთ-ში გაწევრიანებაზე, და რუსეთის ბაზებზეც, და, როცა უარი უთხრეს დახმარებაზე, ის შევიდა დსთ-ში".[733] რამდენადაც რუსული მხარე ასეთი პროექტის არსებობას არ ადასტურებს, ძნელია მსჯელობა, რამდენად რეალურად არსებობდა ის. თუმცა სიგუაც, შევარდნაძეცა და იოსელიანიც ისე ლაპარაკობენ, თითქოს ეს მავნებლური შეთანხმება თუ გარიგება დეტალებში იყო გავლილი მხარეების მიერ და ეს-ესაა განხორციელებას შეუდგებოდნენ. სამივე ნახსენები პირი, შევარდნაძეც, იოსელიანიცა და სიგუაც, ყველაფერზე თუ არა, ბევრ საძრახის საქმეზე იყვნენ ხელისმომწერნი, ამიტომაც მათთვის ასეთი გარიგება დასაშვები იყო და, თუ შინაგანად არ სჯეროდათ, რომ ის მართლა შედგა, მტრისთვის რეპუტაციული ჩრდილის მისაყენებლად მაინც იტყოდნენ, ასე იყოო და იმავეს გაამეორებინებდნენ თავიანთი კონტროლის ქვეშ მყოფ მასმედიასაც.

სინამდვილეში ასეთი გეგმის არსებობა მაშინ, უკვე დამუშავებული და მზა სახით, წარმოუდგენელია. თუ რამე მსგავსი პროექტი მართლაც არსებობდა რუსული პოლიტიკური კულუარების რომელიღაც სეგმენტში და ვიღაცები ზვიად გამსახურდიას მოიაზრებდნენ ასეთი გეგმის განხორციელების ინსტრუმენტად, ისინი ვერც გაუბედავდნენ ზვიადს ამის შეთავაზებას. მაგრამ თუ დავუშვებთ, რომ შეთანხმება რაღაც ფორმით მართლაც არსებობდა, მაშინ ორივე მხარე – რუსულიც და ზვიადისაც – ჩვეულებრივ შეასრულებდნენ მას. ასეთ შემთხვევაში გრაჩოვი და ბალტინი სულ სხვანაირად ჩაერეოდნენ საქმეში: იმავე დასავლეთ საქართველოში პირობით საზღვარს დაადგენდნენ და შემდეგ თავად ჩადგებოდნენ, როგორც გარანტორები – ან ცხენისწყალზე და შემდეგ ვთქვათ, დაფნარის გაყოლებაზე, ან, სულაც, რიკოთზე. ახალი და უახლესი ისტორიიდან ხომ ცნობილია: ის, რაც რეალურად თანხმდება, კიდევაც სრულდება ხოლმე. მაგრამ აქ ერთი რამაა არსებითი: ზვიად გამსახურდიასთვის საქართველოს ერთიანობის იდეა წითელი ხაზით იყო შემოსაზღვრული. მისი დარღვევა არ შეიძლებოდა რაიმე მოლაპარაკებას დაქვემდებარებოდა. ზვიადის საქართველოში ჩამოსვლის მიზანი კი სოხუმში ჩასვლა და მისი დაცვისთვის საყოველთაო მობილიზაციისკენ მოწოდება იყო.

კრემლის ფარული იდეოლოგების სატანური ფანტაზია მართლაც ამოუწურავი ჩანდა: მათი ამოცანა იყო, ისე მოეწყოთ, რომ კავკასიის მასშტაბით კრემლი ყველა მხარის უკან თვითონ მდგარიყო. და აქ სრულიად არ ჰქონდა მნიშვნელობა, ეს მხარეები ერთმანეთს ებრძოდნენ თუ ერთმანეთთან მეგობრობდნენ. ისინი ბრძოლასაც დიალექტიკურ პროცესად განიხილავდნენ. ალბათ, თეთრწითელ-შავი იმპერიის მარადიულობის პოსტულატი იყო, რაც მათ ამოძრავებდათ. ამავე დროს, მათ აცოფებდათ ის, რომ ზვიად გამსახურდიას უკან ვერ ჩადგნენ. ამიტომაც, დარწმუნდნენ რა, რომ ამას ვერც ვერასოდეს შეძლებენ, დაჩქარებული წესით შეუდგნენ თავად ამ მხარის ლიკვიდაციას. მანამდე შევარდნაძემაც ხომ დაუკრა კერი, „ყველა მინუს ერთიო“. ქვეყნის გაყოფის თემაზე სტ. ლაკობა კი ამბობს, რომ მას (ანუ ზ. გამსახურდიას) ნახევარი შესთავაზეს, მან კი მთელი მოინდომა, მთელი კი აღარ შესთავაზესო. რა თქმა უნდა, არც ლაკობამ იცის დანამდვილებით, იყო თუ არა ასეთი შეთანხმება და ამიტომ მის მსჯელობას ჰიპოთეზის ელფერი დაჰკრავს. და, თუ კრემლში ან გენშტაბში ასეთი „გენიალური“ პროექტები მოსდიოდათ თავში და ზვიადიც თანხმდებოდა, კიდევაც გაკეთდებოდა ეს ჯერ კიდევ 1992 წლის 6 იანვარს – პრეზიდენტს დასავლეთ საქართველოში გაუხსნიდნენ კორიდორს და ისიც ნაცვლად აზერბაიჯანისა, ქუთაისში გადავიდოდა. თუმცა, ამ შემთხვევაში, რუსეთის ჯარის სარდლობა მას რიკოთის აქეთ გამოხედვასაც აუკრძალავდა, ხუნტა კი თბილისში დარჩებოდა და მოამზადებდა შევარდნაძის დაბრუნებას – ამაში ხელს ნამდვილად არაფერი შეუშლიდათ. საქმეც ისაა, რომ შედეგი სულ სხვა გარიგებაზე მეტყველებს, რაც სოჭის ხელშეკრულებაში აისახა კიდეც.

ზვიად გამსახურდია საქართველოში დაბრუნებით ორი კონკრეტულ ამოცანის გადაწყვეტას ისახავდა მიზნად: პირველი, ეს იყო ბობოყვათის პროცესის გაგრძელება, რაც ნიშნავდა ლეგიტიმურობის აღდგენას ორივე მხარის – ლეგიტიმურის და დაბალი ლეგიტიმაციის მქონის – მონაწილეობით, რაც შედეგად მოიტანდა სამოქალაქო დაპირისპირების ეტაპობრივ დასრულებასა და ახალი არჩევნებისთვის ერთობლივად მუშაობის დაწყებას, მეორე, ეს იყო ძალების გაერთიანება და სოხუმის, ასევე, აფხაზეთის დარჩენილი ნაწილის ერთობლივი დაცვა. სამწუხაროდ, ფაქტობრივი ხელისუფლება ასეთი ინიციატივებისთვის მზად არ აღმოჩნდა. პარტიზანული მოძრაობა სამეგრელოში დაიქსაქსა, დარჩა რა სარდლობის გარეშე. მას აღარც მძიმე შეიარაღება გააჩნდა, აღარც ამუნიცია. რასაკვირველია, არც აფხაზები ფიქრობდნენ საქართველოს „კომინტანგად“, ანუ ტაივანად ქცევას (თუკი ჩინეთის ისტორიასთან პარალელს გავავლებთ), სადაც იტყოდნენ, რომ ნამდვილი საქართველო ჩვენ ვართ და კანონიერი ხელისუფლების, ასევე, მისი კანონიერი სტრუქტურების შენარჩუნება ჩვენს ინტერესებშიაო. ისინი რუსეთიდან მართული ჩვეულებრივი სეპარატისტები იყვნენ. მათთვის, საბოლოო ჯამში, სოხუმზე უფლებების მქონე საქართველოს ნებისმიერი ხელისუფლება მიუღებელი იყო.

ზვიად გამსახურდიასა და მისი თანმხლები პირებისთვის კი ენგურის ხიდიდან, რომელიც უკანვე გადმოიარეს, სამეგრელოს „ვია დოლოროზა“ იწყებოდა.

6.2. დაბრუნება სამეგრელოში და ჩქვალერში მისვლა

პრეზიდენტი და მისი თანმხლები პირები 14 ნოემბერს გადმოვიდნენ ენგურის ხიდზე. ხიდზე, პრაქტიკულად, არავინ იდგა. არცთუ ისე შორს ბალტინის ჯარისკაცების მიერ სახელდახელოდ გაკეთებული საკონტროლო პუნქტი ჩანდა, თუმცა გადმოსულების მიმართ მათ არ გამოუხატავთ დიდი ინტერესი. ხუნტის ჯარი და სპეცდანიშნულების რაზმი, ძირითადად, ზუგდიდზე იყვნენ ფოკუსირებულნი. ისინი, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ფეხის მოკიდების პროცესში იყვნენ და მათი ბაზები ზუგდიდის ცენტრში იყო განთავსებული. ერთი კვირა იყო გასული მას შემდეგ, რაც მათ ზუგდიდი დაიკავეს. გადმოსულები ხიდის აქეთა ბოლოდან, ანუ სამეგრელოს მხრიდან, მარცხნივ გაუყვნენ გზას და მივიდნენ ადგილზე, სადაც იყო აბრა წარწერით – „რიყე-ზედა ეწერი“. აქ უკვე გამოიკვეთა პრობლემება: არ ჰქონდათ საკვები, თბილი ტანსაცმელი, საკმარისი ოდენობით ვაზნები ავტომატური იარაღისთვის, ასევე, ამოწურვის პირას იყო საწვავი – ისინი მსუბუქი მანქანითა და ერთი მიკროავტობუსით გადაადგილდებოდნენ. გურამ აბსანძემ ითხოვა, რომ დალოდებოდნენ, თავად კი დარჩელში წავიდა ამ მარაგების შესავსებად. შეხვედრის ადგილი წინასწარ დათქვეს.

ინფორმაცია, რომლითაც ამ დღეების აღწერისას ვსარგებლობ, ეკუთვნით ზაზა ბურჯანაძეს, ზვიად გამსახურდიას პირადი დაცვის წევრს, რომელთან ერთადაც ამ ადგილებში ვიმოგზაურე, ასევე, გერმანიაში მცხოვრებ კანონიერი ხელისუფლების პრეფექტს, ზურაბ გუჩუას, რომელთანაც არაერთგზის მომიწია შეხვედრა და საუბარი გერმანიაში, ემიგრაციის პერიოდში. მან საკმაოდ დეტალურად აღწერა გადაადგილება ამ მარშრუტზე და სტატიის ფორმაც კი მისცა თავის მონათხრობს. მანამდე კი ეს ადგილები შემოვიარე როგორც დროებითი (ad hoc) საპარლამენტო მომკვლევი კომისიის თავმჯდომარემ. მაშინაც ბევრი მონათხრობი ჩავიწერეთ.[734]

ამასობაში დაღამდა. ყველანი მანქანებში რჩებოდნენ, რომლებიც გზიდან გვერდზე იყო გადაყენებული ისე, რომ თვალში არავის მოხვედროდა. მომდევნო დღეს საწვავი და გარკვეული რაოდენობის საკვები გამოჩნდა – იგი მეზობელი სოფლიდან მოიტანეს. შედგა ხანმოკლე თათბირი, პრეზიდენტისა და პრემიერ ბესო გუგუშვილის გარდა, მას ესწრებოდნენ პირადი დაცვის ექვსი წევრი – ვაჟა ჭინჭარაული, ირაკლი გოგაძე, ზაზა ბურჯანაძე, გოჩა კეკენაძე, რობინზონ მარგველანი და ბაჩუკი გვანცელაძე. მათ ორი ადგილობრივი მცხოვრები ახლდათ. პირადი დაცვის სხვა წარმომადგენლები – სოსო თორია და ბადრი გოგელაშვილი – პრეზიდენტმა აფხაზეთიდან ჩეჩნეთში გაუშვა. თათბირზე ძირითადი საკითხი იყო, საითკენ აეღოთ გეზი. რობინზონ მარგველანმა სვანეთში

წასვლა შესთავაზა. თავიდან ეს იდეა მოიწონა ზვიადმა და მანქანით დაიძრნენ კიდეც ხოკო-ხუბერის გადასასვლელისკენ, მაგრამ როდესაც ზუგდიდის რაიონს რამდენიმე კილომეტრით გასცდნენ, პრეზიდენტმა სვანეთში წასვლაზე უარი განაცხადა, – საკმაოდ დაშორებულია სამეგრელოდან და აქაურობას მოვწყდებითო. ამიტომაც უკან დაბრუნება მოითხოვა.

იქვე, სადაც მოტრიალდნენ, ტყიანი ფერდობები იყო. გზიდან რამდენიმე კილომეტრის სიღრმეში გაკაფული ადგილი იყო, სადაც ტყეში არცთუ დიდი ზომის ფინური სახლი იდგა. სახლის წინ იყო მდელო, ხოლო შორს მოჩანდა ენგურის წყალსაცავის ერთი ნაწილი. როგორც მეგზურმა თქვა, ეს სახლი დაკეტილი იყო და ეკუთვნოდა პრემიერ-მინისტრ ოთარ ფაცაციას, თუმცა მწყემსებს მისი გასაღები ჰქონდათ. ღამე ამ სახლში გაათენეს. მომდევნო დღეს მათ სოფელ ჩქვალერისკენ აიღეს გეზი. ეს სოფელი ჯვარსა და წალენჯიხასთან ახლოს მდებარეობს, იგი არცთუ ისე მაღალზეა, თუმცა აქედან უკვე მთიანი ზონა იწყება. მათ გადაიარეს ხიდი მდინარე მოროჟაზე და მდინარე ინწრისკენ წავიდნენ. არმისული ჩქვალერამდე, გზაში შეუხვიეს პატარა ხეობაში. ახალნაწვიმარი იყო, გზა კი ჯერ კიდევ სველი გახლდათ. დიდი გაჭირვებით ისინი მივიდნენ სახლთან, რომელიც რაულ ფიფიას ეკუთვნოდა. როგორც გაირკვა, მასპინძელი ამ სახლს ერთგვარ სასტუმროდ აქირავებდა. უკვე საკმაოდ გვიანი იყო და სტუმრებმა მოისვენეს. იმდენად დაღლილები და გათანგულები იყვნენ გზით, რომ საკმაოდ დიდხანს ეძინათ.

მეორე დილით, როდესაც გაიღვიძეს, მასპინძელმა მცირე საუზმე გაუმზადა. სახლის გარშემო საკმაოდ ციცაბო კლდეები იყო, მათზე ადამიანს ასვლა გაუჭირდებოდა. ამ სახლში მხოლოდ ერთ დღეს გაჩერდნენ. მასპინძელი შემდგომ ყვებოდა, რომ პრეზიდენტმა დილასა და საღამოს სანთლები დაანთო და ლოცვები წაიკითხა.

მეორე დილას ამ სახლში მოვიდა წალენჯიხის ბატალიონის უმცროსი მეთაური ფაზა ქარდავა, რომელმაც მოიყვანა სამხიდიანი „ურალი". დაცვა და გუგუშვილი ძარაზე ავიდნენ, ხოლო პრეზიდენტი კაბინაში ჩაჯდა მძღოლის გვერდით. ითქვა, რომ შესაძლო იყო, გზად მხედრიონელების ან სპეცრაზმელების პიკეტი შეხვედროდათ, ამიტომ ბრძოლისთვის მზად უნდა ვიყოთო. ავტომატების გარდა, ძარაზე მყოფთ ჰქონდათ ერთი ხელის ტყვიამფრქვევი და ნაღმსატყორცნი RPG. საბედნიეროდ, ეს ყველგანმავალი სატვირთო მანქანა პიკეტებს ასცდა და ასე ჩავიდნენ ჩქვალერში. აქ მათ დახვდათ წალენჯიხის პრეფექტი, „წმინდა ილია მართლის საზოგადოების" აქტივისტი ზურაბ გუჩუა. ისინი მივიდნენ ფიფიების სახლში, რომელიც მდებარეობდა აკად. ეგნატე ფიფიას სახლ-მუზეუმიდან არცთუ ისე შორს. მასპინძლები სტუმრებს გამოეგებნენ – ესენი იყვნენ ოჯახის უფროსი ანზორ ფიფია და მისი მეუღლე ელისო ქუხილავა. ამ სახლში, როგორც ამბობენ, საოცრად ამაღლებული და მხიარული განწყობა სუფევდა, რადგან პრეზიდენტი ეწვიათ. სტუმრებს შესაძლებლობა მიეცათ, ბუხართან გაეშროთ ტანსაცმელი, გაიშალა კარგი სუფრა. როგორც ზვიადმა, ისე მისმა თან-

მხლებმა პირებმა და მასპინძლებმა პირველად მოილხინეს. ეს დღე მზის გამონათებას ჰგავდა ღრუბლიან და ქარწვიმიან ამინდში. აქედან ისინი ცოტა ხნით გადაიპატიჟეს ჯუმბერ ფიფიას სახლში, იქვე ახლოს.

ფაზა ქარდავას თანამებრძოლებმა შეატყობინეს, რომ სიფრთხილის გამოჩენა იქნებოდა საჭირო, რამდენადაც მოენეები აუცილებლად შეატყობინებდნენ ხუნტის კომენდანტურას ზუგდიდში ზვიადისა და მის თანხმლებ პირთა სტუმრობის შესახებ წალენჯიხის რაიონში. ამიტომ გადაწყდა, დილით ადრე დასდგომოდნენ ქართლაშის მთაზე მიმავალ დაცერებულ გზას, უფრო სწორად, ბილიკს, რომელიც ხეობაში შედიოდა, შემდეგ კი მთის ფერდობზე მიიკლაკნებოდა სულ უფრო ზემოთ. დილით ადრე ფაზა ქარდავასა და ბეჟან ფიფიასთან ერთად დაიწყეს ასვლა ქართლაშის მთაზე. როდესაც დაიძრნენ, ჯერ კიდევ ბნელოდა. პირადი დაცვის წევრებსა და მებრძოლებს იარაღი, ამუნიცია (ტყვია-წამალი) და საკვები მიჰქონდათ – ეს იყო ავტომატები, ჭურვები, ტყვიებით სავსე მჭიდები, ხელყუმბარები, ანუ „ლიმონკები“. თითოეულ მათგანს, დაახლოებით, 50 კილოგრამი ტვირთი ჰქონდა აკიდებული. ზვიადს ხელში ორი ჩანთა ეკავა, ერთ მათგანში დოკუმენტები ელაგა, ხოლო სანათური მხოლოდ მეგზურს ჰქონდა.

რეჟისორმა გიორგი ოვაშვილმა უკვე ოცდამეერთე საუკუნის ათიან წლებში გადაიღო ფილმი „ხიბულა“, რომელშიც ნაჩვენებია პრეზიდენტისა და მისი გარემოცვის გადაადგილება საკმაოდ რთულად გასავლელ ლანდშაფტებში. ერთია მხოლოდ, ამ ფილმში ისინი არანაირად არ ჰგვანან ოტებულ პარტიზანებსა და მებრძოლებს. ისინი უფრო პიკნიკზე ტყეში წასულ და შემდეგ გზააბნეულ ქალაქელებს ჰგვანან, ან ტურისტებს. სინამდვილეში ჯგუფის წევრთაგან რამდენიმე ორჯერ თუ სამჯერ გზას ასცდა და ხევში ჩასრიალდა, საიდანაც დიდი გაჭირვებით ამოიყვანეს. ზოგჯერ წამოწვიმდა, თუმცა ისევ გადაიღებდა ხოლმე. დაახლოებით, საათ-ნახევარში მათ ააღწიეს მწყემსების ქოხთან, ეს იყო დაახლოებით, 10-12 კვ. მეტრის ფართობის მქონე, თუნუქით გადახურული ხის ნაგებობა, რომელიც არცთუ მკვიდრად იყო ნაგები. მასში ორი დასაწოლი ნარი იყო, ასევე იდგა თუნუქისგან დამზადებული შეშის ღუმელი. ღამის გათევა ამ სახლში იოლი არ ყოფილა სივიწროვის გამო. ამდენი ხალხი ამ ერთ ბეწო ქოხში, ცხადია, ვერანაირად ვერ დაეტეოდა. შეშა სველი იყო, რამაც ცეცხლის დანთება გააძნელა.

საღამოს სოფლიდან ამოვიდა მებრძოლებთან დაახლოებული პირი და ამოიტანა ინფორმაცია, რომ სოფელში შესულა ხუნტის დანაყოფი. ისინი მთვრალები დაეხეტებოდნენ სახლიდან სახლში და, რაც მოეწონებოდათ ხელს აყოლებდნენ. ზვიადმა მებრძოლებს მისცა ასეთი დავალება – თავი შეეკავებინათ ამ მაროდიორებზე თავდასხმისგან და შეეგროვებიათ ინფორმაცია გვარდიის დაფანტული ნაწილების ადგილმდებარეობის შესახებ. თავად პრეზიდენტი და დაცვის ბიჭები კი ერთ ადგილზე იქნებოდნენ ბაზირებულები, ვიდრე ეს ინფორმაცია შეიკრიბებოდა. ამის შემდეგ ისინი გადავიდოდნენ იქ, სადაც ეს შენაერთები იქნებოდნენ გამაგრებულნი.

ეს ადგილი ჯერ კიდევ არ იყო ალპურ ზონაში. მომდევნო დღეს მთებში გზა განაგრძეს, მეორე, უფრო მაღლა, უკვე ალპურ მდელოზე მდებარე ქოხისკენ. ინფორმაცია ამ ქოხის შესახებ ზურაბ გუჩუას მეგობარმა მოიტანა – ამ ქოხის პატრონები დაზამთრებისას ბარში ჩადიან, რის გამოც შეგეძლებათ მანდ ცხოვრებაო. ჩქვალერში მომდევნო დღესაც გაგრძელდა ხუნტის შენაერთის თარეში. განსაკუთრებით ატერორებდნენ იმ ადამიანებს, რომლებიც 1990 წლის 28 ოქტომბრის არასაბჭოური არჩევნების შემდეგ ეროვნული მოძრაობის აქტივისტებად მოიაზრებოდნენ. მათზე ნადირობა გამოცხადდა. ზოგიერთი მათგანი იძულებული გახდა, დროებით დაეტოვებინა სოფელი და სხვაგან გადასულიყო. ქოხთან ორ საათში ავიდნენ. ეს ბევრად უკეთესი ქოხი იყო, ნათალი, ხარისხიანი ფიცრებით ნაგები, ყავრით გადახურული. იგი ბუჩქნარისა და დაბალი ხეების კორომში იდგა და არსაიდან მოჩანდა. მთის ეს ფერდობი, თურმე, ძველი დროიდან ეკუთვნოდათ ფიფიებს, რომლებიც აქ მეძროხეობასა და მეფუტკრეობას ეწეოდნენ.

რამდენადაც პატრონები მთაში ზამთრობითაც რჩებოდნენ, ქოხი შედარებით კეთილმოწყობილი ჩანდა. მისი ფართობი, დაახლოებით, 15-20 კვადრატული მეტრი იქნებოდა. მცველებმა მოხსნეს დაწნული ჩელტები და საწოლები გაამზადეს, ხოლო ბრეზენტის ტენტი კედლებზე ისე ჩამოაფარეს, რომ ოთახი ქარისგან დაცული ყოფილიყო. იქ, სადაც ქურა იდგა, შუაცეცხლი მოაწყვეს. თუმცა სიძნელემაც იჩინა თავი – შეშა სასტიკად ბოლავდა. ზურაბ გუჩუა იგონებდა, როგორ მოიფიქრა გამოსავალი და ერთ-ერთ მუგუზალს, რომელიც სასტიკად ბოლავდა, გარეთ გაუძახეს. მაგრამ შეშამ ბოლვა მაინც განაგრძო. კიდევ ორ მუგუზალს გაუძახეს გარეთ. ბოლოს ზვიადმა თქვა, ამით კვამლის პრობლემას კი გადაეწყვეტთ, მაგრამ ცეცხლისა და სითბოს გარეშე დავრჩებითო.

ეს ბინა, ზ. ბურჯანაძის მოგონების მიხედვით, წინას სჯობდა, თან თოვლმაც დნობა დაიწყო, რამდენადაც ჰაერის ტემპერატურამ ოდნავ აიწია. ამ ადგილს უკავშირდება წალენჯიხის პრეფექტის, ზურაბ გუჩუას, მონათხრობი, რომელიც ძალიან კარგად მღეროდა. რაღაც დროს სიჩუმე ჩამოვარდნილა და გუჩუას უთქვამს, იქნებ სიმღერა გვეთქვაო. ამაზე ზვიადს უპასუხია, რატომაც არაო. მან იმღერა სოლო აღმოსავლეთ ქართული სიმღერისა „ლალე“, რომელსაც ზურაბმა და კიდევ რამდენიმე კაცმა ხმები შეუწყვეს. „ლალე, ლალე, შენ კი გენაცვალე, ჩემო ლამაზო სამშობლოვ, შენ კი გენაცვალე,“ – ამ სიმღერას ეს ადამიანები ემოციისა და ცრემლის გარეშე ვერ იხსენებდნენ.

ამ ქოხში არც საკვების პრობლემა დამდგარა. ფილმში „დინების საწინააღმდეგოდ“, გუგუშვილი თუმცა აღნიშნავდა, რომ წაბლის გარდა საკვები არაფერი იყო, წაბლით გამოკვება გარეულ ღორს შეუძლია, ადამიანს კი ნაკლებადო. თუმცა, ასეც არ ყოფილა საქმე. მომზადებული საკვები ქვემოდან ამოჰქონდათ, ხოლო წაბლი ერთხელ შესაკმაზად გამოიყენეს. ასე რომ, მოგვიანებით, ამ ამბების უტრირებასაც არაერთხელ ჰქონდა ადგილი.[735]

მეგზურმა, რომელიც დილით ამოვიდა, მოიტანა ხმა, რომ ზუგდიდის ყოფილი კომენდანტი ბადრი ზარანდია ზურაბ შონიასთან (მეტსახელად „პუშკინასთან") ერთად ასევე გასულია ტყეში და ენგურს გაღმა ერთგვარი ბაზა აქვს მოწყობილი პატარა პარტიზანულ რაზმთან ერთადო. ზვიადმა მებრძოლებს დავალება მისცა, შეესწავლათ ეს ამბავი, ხოლო პირად მცველებსა და გუგუშვილს განუცხადა: თუკი ეს ამბავი სიმართლე გამოდგება, სავარაუდოდ, იქითკენ წავალთო. გუგუშვილმა, რომელიც დიდად აღფრთოვანებული არ დარჩენილა ამ იდეით, საუბარში შეაპარა, იქნებ, ჩეჩნეთში გასვლაზე გვეფიქრაო. ნუ ფიქრობ ასეო, – დატუქსა ზვიადმა პრემიერი, – ამოიგდე თავიდან ეგ ფანტაზიებიო.

დილით ზვიადი და მისი თანმხლები პირები ისევ ჩქვალერში ჩავიდნენ, თუმცა სხვა ადგილას. აქ ისინი მიიყვანეს ქარდავების სახლში, სადაც წაიხემსეს. ეს სახლი სოფლის ბოლოს მდებარეობდა, მის იქით უკვე ველური, აუთვისებელი ბუნება და ქართლაშის ქედის სანახები იწყებოდა. მეგზურმა დაიბარა, რომ არცერთ შემთხვევაში აქ ღამის გათევა მიზანშეწონილი არ იქნებოდა, რის გამოც იგი გვიან ღამით მოვიდოდა და სახლი აუცილებლად უნდა დაეტოვებინათ. მეგზურის ინტუიცია საკმაოდ სწორი გამოდგა. შუაღამისას, დათქმულ დროს, იგი მოვიდა და მდინარე მაგანას ხეობის მიმართულებით დატოვეს მათ ქარდავების სახლი. მათი გასვლიდან თხუთმეტ-ოც წუთში ხუნტის ძალოვნები მოვიდნენ ჯავშანტრანსპორტიორით და სახლში შეიჭრნენ. სახლის პატრონის ვაჟი, მალხაზ ქარდავა, რომელიც იმ დროს იქ იმყოფებოდა, პრეზიდენტის შემთხვევით დარჩენილ ბუშლატს დასწვდა და მეორე სართულიდან ყანაში მოისროლა, რომ არ ეპოვათ, თავად კი სიბნელე იფარა, ბაღში გადახტა და იქიდან გაიქცა. რამდენადაც მან დაახლოებით იცოდა სტუმრების ევაკუაციის მარშრუტი, მოახერხა ცოტა ხნის წინ გასულთ გზაში დასწეოდა და მომხდარის შესახებ მოუთხრო. როგორც მომდევნო დღეს გაირკვა, მომხვდურებმა, რომლებიც პრეზიდენტსა და მის თანმხლებ პირებს ეძებდნენ, სახლი სასტიკად დაარბიეს და ყველა, ვინც იქ დახვდათ, სცემეს.

6.3. მუშავა

ზვიადს, ზურაბ გუჩუასა და მის თანხმლებ პირებს თოთხმეტი საათი მოუწიათ გზაში ყოფნა. მათ ამ გზაზე გაყვა ჩქვალერის მკვიდრი ზურაბ ფიფია, მეტსახელად – „წრუწუნა", რომლის სახლშიც გარკვეული ნივთები დატოვეს. ისინი მიდიოდნენ ქარში, თოვლსა და სიცივეში. ბოლოს მდინარე მაგანის ხეობამდე გააღწიეს. მდინარე მაგანა ენგურისგან არცთუ ისე შორს მიედინება. მასზე იყო ხიდი, თუმცა მეგზურმა მოიტანა ინფორმაცია, რომ ხიდზე ხუნტის პიკეტი იდგა. ამიტომაც საკმაოდ მოშორებით გადაწყვიტეს მდინარის გატოპვა. წყალი წელსზემოთ სწვდებოდათ ყველაზე ღრმა ადგილში. მიუხედავად იმისა, რომ დაცვის ბიჭებმა ზვიადს შესთავაზეს, ხეებისგან ერთგვარ ჩამოსაჯდომს გავა-

კეთებთ და იმით გადაგიყვანთო, მან თავისი ფეხით გადალახა მდინარე. მეორე ნაპირზე რომ გადავიდნენ, ცხადია, გონიერული იქნებოდა კოცონის დანთება და ტანსაცმლის გაშრობა, მაგრამ მდევრის ან არცთუ ძალიან შორს მყოფი მოპიკეტეების მხრიდან არსებული საფრთხის გამო ამის დრო აღარ რჩებოდა. აქედან გარკვეულ მანძილზე მათ უკვე მდინარე ენგურის ერთი ტოტის გადალახვაც მოუწიათ, რომელიც, დაახლოებით, იმავე სიგანისა და სიღრმისა იყო. შემდეგ სოფელ მუჟავის გზას დაადგნენ, რომელიც ადმინისტრაციულად ზუგდიდის რაიონს ეკუთვნის.

მუჟავისკენ მიმავალ გვარიანად დაზიანებულ გზაზე საკმაო მანძილი ჰქონდათ დაფარული, როდესაც მათკენ მომავალი მხედარი გამოჩნდა. როდესაც მოახლოვდა, დაქვეითდა და იცნეს ბადრი ზარანდია, ზუგდიდის ყოფილი კომენდანტი. ეს ახალგაზრდა კაცი ლენინგრადში ცხოვრობდა და ბიზნესით იყო დაკავებული, როდესაც სამეგრელოში ხუნტის სადამსჯელო ექსპედიციები დაიწყო. მან მალევე მიატოვა რუსეთი, ზუგდიდში დაბრუნდა და წინააღმდეგობის მოძრაობაში ჩაერთო. ერთმანეთის მოკითხვის შემდეგ ბადრიმ ისინი მიიყვანა მუჟავაში, ოთარ და ვახო არქანიების ოჯახში, სადაც დაისვენეს, მოწესრიგდნენ, ტანსაცმელი საბოლოოდ გააშრეს და ივახშმეს. მეორე დღეს მოვიდა ბადრი ზარანდია და მათ გაუძღვა თავისი ბანაკისკენ, რომელიც მუჟავიდან ცოტა მოშორებით მდებარეობდა, ხეობაში.

იქნებოდა 21 ან 22 ნოემბერი. ადგილი კარგად იყო შერჩეული, ხეობის შესასვლელის თავზე გადადიოდა ენგურის წყალგამტარი, რომელიც წნევის პრინციპით მუშაობდა – ხეობის ერთი მხრიდან, გვირაბიდან გამოდიოდა ბეტონისავე უზარმაზარ, რამდენიმე მეტრის დიამეტრის მქონე მილში და მეორე ფერდობში გაკეთებულ გვირაბში შედიოდა. სწორედ ამ აკვედუკის თუ მილის ქვეშ უნდა გაგევლო, ბანაკში რომ მოხვედრილიყავი. ამ ადგილს უკვე ჩვინარე ერქვა და იგი მუჟავის ერთგვარი გაგრძელება იყო. ამ გვირაბებში ავტომატებით შეიარაღებული მებრძოლები პატრულირებდნენ. ბანაკის ცენტრში იდგა ერთსართულიანი, კაპიტალურად ნაგები შენობა, რომელიც თავის დროზე წყალმომარაგების სადგურის როლს ასრულებდა. მას კარ-ფანჯრები ჯერ კიდევ შენარჩუნებული ჰქონდა, თუმცა მოგვიანებით, დროებითი საპარლამენტო კომისიის წარმომადგენლების იქ ასვლისას, კარ-ფანჯრები აღარ იყო. შენობა ერთი საკმაოდ დიდი ოთახისგან შედგებოდა, რომელშიც, ყაზარმულ სტილში, ორსართულიანი საწოლები იყო განთავსებული. ეს დიდი ოთახი შეშის ღუმელით თბებოდა. იყო ერთი პატარა ოთახიც, რომელშიც ბადრისა და მის ხალხს სკამები და მაგიდაც დაედგათ. იგი პრეზიდენტისთვის მოამზადეს.

ბადრის მებრძოლების რაოდენობა თხუთმეტ კაცს აღწევდა. ესენი იყვნენ, დაახლოებით, 20 ან 21 წლის ახალგაზრდები, რომლებსაც სერიოზული სამხედრო მომზადება არ ეტყობოდათ. ისე ჩანდა, რომ იარაღის ხმარება და სამხედრო მოქმედებების როგორც დაგეგმვა, ისე განხორციელება აქ მხოლოდ ბადრიმ და მისმა მეგობარმა და მოადგილემ ზურაბ შონიამ იცოდნენ, რომელსაც „პუშკი-

ნას" სახელითაც იცნობდნენ. შალვა (ბაჩუკი) გვანცელაძე პროკურატურისადმი მიცემულ ჩვენებაში აღნიშნავდა, რომ ეს პირები იქ, ბანაკში „ჩამოყალიბებული ნარკომანები იყვნენ".[736] მათ ჰქონდათ ავტომატური იარაღი, როგორც კალაშნიკოვის სისტემის ავტომატები, ისე ხელის ტყვიამფრქვევები (РПК) ხელყუმბარები, ანუ „ლიმონკები", ასევე, ავტომატური ყუმბარმტყორცნი და ტყვია-წამლის გარკვეული მარაგი. არ გააჩნდათ არანაირი ჯავშანტექნიკა, არც საჰაერო თავდაცვის რაიმე საშუალება. აქვე იდგა ერთი რადიომანქანა, ეტყობა, ზუგდიდიდან ხუნტის ჯარების შემოსვლამდე გაყვანილი და ამ გზით გადარჩენილი, რომელსაც ერთი ჭარმაგი რადისტი ემსახურებოდა.

ერთი-ორი დღე ბანაკში სიწყნარე იყო, თუმცა მესამე დღეს, დილით, მეგზურმა ისევ მოიტანა ამბავი, რომ სოფელში გამოჩნდა ხუნტის ძალოვანთა შეიარაღებული ჯგუფი მუხლუხებიან ჯავშანმანქანასთან (BMP) ერთად. სოფელში გავრცელებული ხმების მიხედვით, ეს შეიარაღებული ჯგუფი ზარანდიას ბანაკზე თავდასასხმელად ემზადებოდა. ჯვარიდანაც მოვიდა ხმა, რომ იქაც დამატებითი ძალები შევიდნენ. იმ ორი-სამი დღის განმავლობაში ბანაკში მოვიდნენ გია და გოჩა სარიები, ბეჟან წურწუმია და ბესო ხარებავა. ამ ადამიანებს ამ დროისთვის დასამალავად არ ჰქონიათ საქმე, რამდენადაც მათ ჯიბეში ედოთ შინაგან საქმეთა სამინისტროს საშვები. მათ უკან კი იდგა გენერალი გია გულუა, შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსანი, ზვიად გამსახურდიას მმართველობის დროს ერთხანს მთაწმინდის რაიონის პოლიციის უფროსად დანიშნული, შემდეგ კი გადამდგარი და პუტჩის მხარეზე გადასული. ამ ადამიანის ოფიციალური ფუნქცია ამ დროისთვის იყო რკინიგზის დაცვის პოლიციის ხელმძღვანელობა, თუმცა იგი ჩართული იყო უსაფრთხოების ოპერაციებში და მას, როგორც სამეგრელოს მკვიდრს, სრული ნდობა და კარტ-ბლანში ჰქონდა როგორც შევარდნაძისა, ისე შინაგან საქმეთა მინისტრ კვირაიასგან. 1993 წლის 6 ნოემბრამდე კანონიერებისთვის მებრძოლებმა იგი ზუგდიდში დააპატიმრეს და ერთხანს იზოლატორში მოათავსეს, თუმცა მან გაქცევა მაინც მოახერხა, ხოლო ბალტინის შემოსვლის შემდეგ აღიდგინა თავისი ფუნქცია. იმ წუთებშიც, სავარაუდოდ, მულავიდან სადმე ახლოს იმყოფებოდა.

როდესაც ვალტერ შურღაია ფილმში „დინების საწინააღმდეგოდ" საუბრობს ძველი მებრძოლების შეკრებაზე გია გულუასთან ერთად, იგი არ აკონკრეტებს, სად მოხდა ეს შეკრება. ამიტომაც გაჩნდა არასწორი მოსაზრება, თითქოს ეს შეკრება მუჟავაში ან ჩვინარეში შედგა. სინამდვილეში ეს შეხვედრა შედგა ზუგდიდში, როდესაც ხუნტამ ზვიად გამსახურდიას სამეგრელოში გადმოსვლის შესახებ შეიტყო. ვალტერ შურღაიას თქმით, გია გულუამ შეკრიბა მებრძოლები, უმეტესად, ზუგდიდის ძველი კომენდანტურის ხალხი, რომლებმაც ვერ მოახერხეს ან არ ისურვეს სამეგრელოსა და საქართველოს დატოვება 6 ნოემბრის შემდეგ, ანუ ადმირალ ბალტინთან ერთად ხუნტის ძალების მიერ ზუგდიდის დაკავებისას, და უთხრა მათ: ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ დაწყნარდეს ქვეყანა, დასრულდეს დაპირისპირება და ერთმანეთის ხოცვა,

დასტაბილურდეს სიტუაცია და კუთხემ ამოისუნთქოს. და, თუ ამისთვის უნდა მოკვდეს ერთი კაცი, ესეც მისაღებიაო. ეს კაცი კი ექსპრეზიდენტი ზვიად გამსახურდიაა, რომელმაც უაღრესად დიდი როლი ითამაშა სამეგრელოსა და აფხაზეთში ჩვენი ჯარის დამარცხებაშიო. შემდეგ უკითხავს, ვინ არის მომხრე რომ ასე მოხდესო? ყველას ხელი აუწევია. ასევე საყურადღებოა ერთი რამ: ამ დროს ბადრი ზარანდიას მეუღლე ნელი ქარდავა და მათი მცირეწლოვანი ვაჟი მძევლებად ჰყავდათ აყვანილი გია და გოჩა სარიების სახლში. ასევე მძევლებად იყვნენ აყვანილები ზურაბ შონიას, იმავე „პუშკინას“ მეუღლე და შვილები. ეს იმას ნიშნავს, რომ ეს ადამიანები არანაირად არ ყოფილან თავისუფალნი თავიანთ ქმედებებში.[737] თუმცა ეს სტუმრობა, როგორც ჩანს, პირდაპირ თავდასხმას არ ითვალისწინებდა. მათ უფროსებს, როგორც ჩანს, სურდათ ჯერ ყველა სხვა შესაძლებლობა ამოეწურათ. და რას გულისხმობდა ეს, გამოჩნდა მას შემდეგ, რაც მოსულებმა მუჟავის ბანაკში ილაპარაკეს.

ისინი მოსვლისთანავე შეხვდნენ ზვიად გამსახურდიას და ჩამოაგდეს საუბარი იქაურობის დატოვებაზე და გროზნოში დაბრუნებაზე. ამისთვის ისინი ზვიადს სთავაზობდნენ სამხედრო ვერტმფრენის გატაცებას ზუგდიდის ტაქსოპარკიდან და მისი საშუალებით ჩრდილოეთ კავკასიაში გადაფრენას. ზვიადისთვის საუბრის დაწყებიდან რამდენიმე წუთში ცხადი გახდა, რომ ეს ადამიანები არც ბრძოლას აპირებდნენ, არც პარტიზანები იყვნენ. ისინი რაღაც სხვა მისიით იყვნენ მოსულები. ამ შემოთავაზებაზე ზვიადმა მათ უარი უთხრა. ისინი წავიდნენ, როგორც ჩანს, ისევ გია გულუასთან სათათბიროდ, რომელიც მათ, სავარაუდოდ, იმ ადგილიდან არცთუ შორს ელოდებოდა, თუმცა თქვეს, რომ მომდევნო დღესაც მოვიდოდნენ. მეორე დღეს მათ ქვეყნის დატოვების კიდევ სამ შესაძლებელ გზაზე ჩამოუგდეს საუბარი: ეს იყო კერძო მანქანებით წასვლა, სადაც თავად ჩასხდებოდნენ მძევლებად. ისინი შემოვლითი გზებით უნდა გადასულიყვნენ აღმოსავლეთ საქართველოში, შემდეგ არაგვის ხეობისა და ფშავის გავლით უნდა მოხვედრილიყვნენ პირიქითა ხევსურეთში, საიდანაც ჩეჩნეთში გადასვლის შესაძლებლობა იყო. მეორე გზა იყო აზერბაიჯანის გავლით ჯერ დაღესტანში, შემდეგ – ჩეჩნეთში, მესამე კი – ბათუმში ჩასვლა და იქიდან გადაფრენა ჩრდილოეთ კავკასიაში. ამ შემოთავაზებებზე ზვიადმა ასევე უარი განაცხადა და უსაყვედურა მათ, ბიჭებო, ასეთ უცნაურ, აზრს მოკლებულ და სახიფათო წინადადებებს რატომ მთავაზობთო. ამით ამ პირებთან საუბარი დასრულდა.

ჰამლეტ გულორდავას, ბადრი ზარანდიას პარტიზანული ჯგუფის ერთ-ერთი წევრის, თქმით, უნდა გათამაშებულიყო პრეზიდენტის ლიკვიდაციის ორი სცენარი: პირველი ვერტმფრენის, რომელსაც გია გულუა მოიყვანდა და რომლითაც პრეზიდენტს ვითომ ჩეჩნეთში გადააფრენდნენ, რეალურად კი ვერტმფრენი ჰაერში უნდა აფეთქებულიყო. მეორე გეგმის მიხედვით, პრეზიდენტზე, რომელიც იმყოფებოდა მუჟავაში თენგიზ ქარდავასთან, უნდა განხორციელებულიყო თავდასხმა და ამგვარად მომხდარიყო მისი ლიკვიდაცია. ამავე

დროს, ბადრი ზარანდიას ჯგუფიდან არჩეული ჰყავდათ ორი კაცი, რომლებიც პრეზიდენტის მკვლელობის შემდეგ ასევე ლიკვიდირებულები იქნებოდნენ, შესაბამისად, ეს დანაშაულიც მხოლოდ მათ დაბრალდებოდათ.[738] რამდენადაც ეს პირები შემთხვევით არ მისულან ბადრი ზარანდიას ბანაკში, ზვიადი თითქმის დარწმუნდა, რომ ამ ვიზიტორების უკან რომელიღაც ძალოვანი უწყება იდგა. ბადრისთან საუბარში კი ცხადი გახდა, რომ მათ უკან გია გულუა იდგა. თავად ბადრიმ პრეზიდენტს უთხრა, რომ გია გულუასთან მეც ვარო შენახვედრი.

რამდენადაც ხუნტის ძალოვნების მხრიდან ხეობაში შემოჭრის საფრთხე რეალური ჩანდა, ზვიადმა და მისმა თანმხლებმა პირებმა თათბირის შემდეგ გადაწყვიტეს იქვე ახლოს მდებარე ჭყებზენის მთაზე ასვლა და იქ არსებულ მწყემსების კარვებში დაბანაკება. ბადრი ზარანდია ტრაგიკული ფიგურა იყო. იგი მორალურად გაანადგურა და გატეხა სრულიად არაადამიანურმა, პუტჩის შედეგად აღორძინებულმა და გამოცოცხლებულმა ჩეკისტურმა სისტემამ, მოგვიანებით კი ფიზიკურადაც იმსხვერპლა. 90-იან წლებში იგი, როგორც უკვე შევარდნაძის რეჟიმის პატიმარი, დღიურის მაგვარ ჩანაწერებსაც აკეთებდა საკანში. ამ ჩანაწერებში ნათქვამი იყო, რომ მას არ შეეძლო უარი ეთქვა გია გულუასთვის თანამშრომლობაზე, რადგან ეს ნიშნავდა, მინიმუმ, სამი ოჯახის განადგურებას. იქვე აღნიშნავდა, რომ ჩემგან სურდათ შეექმნათ ბერბიჭაშვილი, მაგრამ ამაზე უარი ვთქვიო. შემდეგ იგი ზუგდიდის ტაქსოპარკის ტერიტორიაზე მიიყვანეს, სადაც შეხვდა უშიშროების პოლკოვნიკი ბასიკაშვილი, რომელიც მას ესაუბრა. თუკი ბადრი დათანხმდებოდა პრეზიდენტის მოკვლაზე, ამისთვის იგი მიიღებდა მილიონ დოლარს, ასევე, პასპორტს შეცვლილი იდენტობით და საზღვარგარეთ გამგზავრების უფლებას. პრეზიდენტის ცხედარი კახეთში უნდა ყოფილიყო გადატანილი და იქ უკვალოდ განადგურებულიყო. როდესაც ბადრიმ თანამოსაუბრეს ჰკითხა, ვისი სახელით მელაპარაკებიო, პოლკოვნიკს უპასუხია: ქვეყნის პირველი პირის სახელითო.

გოჩა კეკენაძე იგონებდა — იქ, ანუ ჩვინარეში, მისვლის მეორე დღეს შემთხვევით გავიგეთ, რომ ბადრი ზარანდიას გია გულუა იბარებდა და მასთან შეხვედრას ცდილობდაო. ეს, რა თქმა უნდა, არ იყო სიმართლე და უფრო უცოდინრობას ემყარებოდა. ბადრი გია გულუას ვერსად დაემალებოდა. კონტაქტი ბადრისა და გულუას შორის უკვე მანამდე არსებობდა. არც იმის დავიწყება ეგებების, რომ გია გულუა ერთხანს ზუგდიდის იზოლატორში იჯდა, როდესაც ბადრი ზუგდიდის კომენდანტი იყო. გია გულუას საკნიდან გაქცევაში ბადრის თავისი წვლილი უნდა ჰქონოდა შეტანილი. ეს ზუგდიდის დაცემამდე, ანუ 6 ნოემბრამდე მოხდა.

შემდეგ გოჩა კეკენაძე აგრძელებს, მიუხედავად პრეზიდენტის დაჟინებული მოთხოვნისა, ეს შეხვედრა არ შემდგარიყო, ბადრი ზარანდია მაინც გაიპარა და გულუას შეხვდაო. იმავეს თავის ჩვენებაში ადასტურებს შალვა (ბაჩუკი) გვანცელაძეც.[739] ესეც იგივე „მეამიტური ისტორიების“ სერიებიდანაა. გოჩა კეკენაძის ნაამბობის მიხედვით, პრეზიდენტმა დანამდვილებით იცოდა, რომ ზარან-

დია შეხვდა გულუას, უნდოდა მასზე ზემოქმედება მოეხდინა და ამიტომ ბადრი ზარანდიას ბატონმა ზვიადმა სუფრასთან უთხრა: ჩემსა და შენს გაკეთებულს ქართველი ხალხი შეაფასებსო. ზარანდიამ კი ასე უპასუხა პრეზიდენტს: „მე არ შევხვედრივარ გულუას, მაგრამ მაქვს ინფორმაცია, რომ გია გულუას ჩამოყვანილი ჰყავს სპეცჯგუფი, ეგრეთ წოდებული „ღამურები“ (დაახლოებით, 80 კაცამდე), იციან თქვენი ადგილსამყოფელის შესახებ, აპირებენ თავდასხმას, პრეზიდენტის აყვანას და თანმხლები პირების განადგურებას. ამიტომ თქვენი აქ ყოფნა აღარ შეიძლება, მე ბიჭები უნდა გავუშვა“. გოჩა კეკენაძე და ზაზა ბურჯანაძე თვლიან, რომ ამ შემთხვევაში ზარანდია ზვიადს ფსიქოლოგიურად აშანტაჟებდა, მოსალოდნელი განსაცდელის შეგრძნებას უმძაფრებდა, იცოდა, რომ პრეზიდენტი ცოცხალი არავის ჩაბარდებოდა.

ამის შემდეგ ბადრი ზარანდიამ თითქოს ასე დაასრულა თავისი საუბარი: რახან თავდასხმის საფრთხე არსებობს, ჩვენ ბრძოლისთვის მოვემზადებით და თუ ხეობაში შემოვლენ, რამდენ ხანსაც შეეძლებათ, შევაჩერებთო. ამაზე მეტს ჩვენ ვერ შევძლებთ, რაც შეეხება თქვენს დაცვას, ამასობაში კი თქვენ ტყეში გადითო. ჩვინარე, პრაქტიკულად, ჩიხს წარმოადგენდა. ერთადერთი გზა ადიოდა ჭყებზენის მთაზე. გოჩა კეკენაძე იგონებდა: ვიდრე ჩვინარეს ბანაკს დავტოვებდით, გროზნოდან რაციით კავშირზე გამოვიდა იმჟამად 14 წლის გიორგი გამსახურდია. იგი საკმაოდ ხმამაღლა მოგვმართავდა: „ოდიში, ოდიში, ზვიად, ზვიად, დაგველაპარაკეთ“. ზვიადმა ამჯობინა, პასუხი არ გაეცა და რაცია გაგვათიშინაო.

იმავე კეკენაძის თქმით, ორი-სამი კილომეტრის დაშორებით, ზემოთ, მთაში ავიდნენ და იქ ფაცხაში ცხოვრობდნენ. გოჩა კეკენაძის ვერსიის მიხედვით, როცა ზარანდიასგან მიდიოდნენ, პრეზიდენტმა ირაკლი გოგაძესა და ვაჟა ჭინჭარაულს სთხოვა, ორი დღით დარჩენილიყვნენ და თვალ-ყური ედევნებინათ ზარანდიასთვის, შეხვდებოდა თუ არა გია გულუას, მერე გოჩას გამოეგზავნი და ამოგიყვანთო. ჭყებზენზე ასულები ორ კარავში განთავსდნენ, ერთში – ზვიადი და გუგუშვილი, მეორეში – დაცვა. ამ დღეების განმავლობაში საკვებს ქვემოდან აწვდიდნენ. ამას აკეთებდა მუჟავის მკვიდრი, ოზბაქი არქანია. მას მგელივით ყმუილი ემარჯვებოდა და, როდესაც დაიყმუვლებდა, ჭყებზენზე იგებდნენ, რომ ოზბაქს უკვე საკვები პროდუქტები მზად ჰქონდა, სადღაც მთის შუა ნაწილში ხვდებოდნენ მას და ართმევდნენ კალათებს. როგორც ქართლაშის მთაზე, ისე ჭყებზენზე საოცრად ლამაზი, სამოთხისებური მდელოები იყო. თვითმხილველთა თქმით, ზვიადი ამ მდელოებიდან ზემოდან გადმოსცქეროდა მამულს და არავინ იცის, რას განიცდიდა და რაზე ფიქრობდა იმ დროს. ამაზე თავად არ საუბრობდა.

რამდენიმე დღის განმავლობაში შეტევა ბანაკზე არ განხორციელებულა. როდესაც გოჩა კეკენაძე ჩავიდა ზარანდიას ბანაკში და მოიკითხა ვაჟა ჭინჭარაული და ირაკლი გოგაძე, მას უთხრეს, რომ ისინი წასული იყვნენ. გოჩასთან ერთად ჭყებზენზე ავიდა „პუშკინა“. მან განაცხადა, რომ ვაჟა და ირაკლი ცხენებით

გააცილეს სენაკამდე, საიდანაც ზურა ირემაძესთან აპირებდნენ გადასვლას (ზ. ირემაძე ლუგელას ხეობაში იმყოფებოდა, კ. გ.), რათა იქ გაეგრძელებინათ ბრძოლაო. ირემაძესა და რამდენიმე მეთაურთან, მათ შორის, რომეო კუჭუხიძესთან ერთად, ლუგელის ხეობაში სამასამდე პარტიზანი იყო დაბანაკებული. მათ ჰქონდათ იარაღის, ამუნიციისა და საკვების გარკვეული მარაგი. ის ვერსია, რომ ჭინჭარაული და გოგაძე ბანაკში ბადრი ზარანდიას მეთვალყურეებად დატოვეს, არადამაჯერებელია, თუნდაც იმიტომ, რომ მეგრული არცერთს არ ესმოდა და მაინც ვერაფერს გაიგებდნენ, რას საუბრობდნენ ერთმანეთში ბადრი და მისი მეგობრები. უფრო სარწმუნოა, რომ თავად ზვიადმა მოჰკრა ყური ინფორმაციას ლუგელის ხეობაში პარტიზანების შესახებ. ამიტომაც დაავალა ამ ორ დამცველს, როდესაც ჩვენ წავალთ, თქვენც წადით ლუგელის ხეობისკენ და შეატყობინეთ პარტიზანებს, რომ აქ ვარ და კონტაქტზე გამოვიდნენო.

ამ მცველების კვალი იკარგება, ისინი ამ დღის მერე აღარავის უნახავს. მათი სავარაუდო სამარხი კი აღმოაჩინა საქართველოს მეშვიდე მოწვევის პარლამენტის დროებითმა კომისიამ 2011 წელს, რომელიც ჩემი ხელმძღვანელობით იკვლევდა ზვიად გამსახურდიას დაღუპვის გარემოებებს. ეს სამარხი მდებარეობდა სოფელ ნაკიფუში, რომელიც, თუკი ფეხით ან ცხენით გასაველელ მარშრუტს გავითვალისწინებთ, მართლაც ლუგელის ხეობისკენ მიმავალ გზაზეა.

რამდენიმე დღეში მთაზე ამოვიდნენ მეომრები ბადრი ზარანდიას ბანაკიდან და პრეზიდენტს მოახსენეს, არაფერია საშიში, მოკლე დროში პარტიზანულ მოძრაობას ვიწყებთ წალენჯიხაში, ჯვარში, ზუგდიდსა და ჩხოროწყუშიო. ჭყებზენზე ბოლო დღეს ამოვიდნენ ჯიხას ბატალიონის მეთაური გუჯუჯი ებრალიძე და კიდევ რამდენიმე ადგილობრივი აქტივისტი წინააღმდეგობის მოძრაობისა. გაიმართა თათბირი. საუბარი შეეხებოდა წინააღმდეგობის მოძრაობის სამომავლო ტაქტიკას. პრეზიდენტმა განაცხადა, ძალიან ფრთხილად და მოზომილად უნდა ვიმოქმედოთ, რომ არც თავი წავაგოთ და ეს მოძრაობაც გადავარჩინოთო. ისეთი დროც დადგება, რომ ისევ შესაძლებელი იქნება ყველაფრის გადაყვანა პოლიტიკურ ფორმატშიო. გუჯუჯი და სხვა აქტივისტები სკეპტიკური გამომეტყველებით უსმენდნენ. ერთ მომენტში გუჯუჯიმ განზე გაიხმო გუგუშვილი და ხმადაბლა უთხრა, იქნებ დაითანხმოთ ისევ ჩეჩნეთში გასვლაზეო. გუგუშვილმა უპასუხა, ჩვენ ამ თემაზე ლაპარაკი აგვიკრძალა, იქნებ თავად შენ გეცადაო. გუჯუჯიმ სცადა ამ საკითხზე საუბარი, თუმცა ზვიადმა სიტყვა ბანზე აუგდო და ლაპარაკი სხვა თემაზე გადაიტანა.

როდესაც ჭყებზენის მთიდან ჩამოვიდნენ, ზვიადმა აღარ მოისურვა ბადრი ზარანდიას ბანაკში მისვლა და მასთან კიდევ ერთხელ შეხვედრა. ამიტომაც პირდაპირ მუჟავაში ჩავიდა და ერთი ღამე არველოდ ჩხაპელიას სახლში გაათენეს. ეს უკვე ნოემბრის მიწურული იყო და არც ამ სახლში დარჩენა იქნებოდა უხიფათო. როგორც „საქმის“ მასალებიდან ირკვევა, ზემოთ ნახსენებ ზუგდიდის შეხვედრისას გადაწყვეტილი ყოფილა, რომ პრეზიდენტზე თავდასხმა უნდა განხორციელებულიყო თენგიზ ქარდავას, მეტსახელად, „სმერტნიკას“,

სახლში, რომელიც მუჟავიდან ოდნავ მოშორებით მდებარეობდა. ამას ჰამლეტ გულორდავა ადასტურებდა თავის ჩვენებაში. ზვიადი დაცვასთან ერთად მოკლე ხნით მართლაც მივიდა ამ კაცთან, რომელმაც გააფრთხილა იგი შესაძლო თავდასხმაზე.[740] ამის შემდეგ ამ სახლში გაჩერება აღარც უცდიათ, იმავე დღეს მუჟავის ტყეში მიმავალ გზას დაადგნენ.

ეს გზა დაბლა ეშვებოდა და მის დაბოლოებაზე მცირე დასახლება იყო, რომელიც ასევე მუჟავას ეკუთვნოდა. მათი მიზანი იყო მიეღწიათ არჩილ და ზაურ ანთიების სახლამდე. „ბრმა კაცი" – ასე იცნობდნენ მეგზურები ოჯახის უფროსს. მსვლელობა ტყიან მიდამოში რამდენიმე საათს გაგრძელდა. გზაში ის უსინათლო კაცი შეხვდათ, რომელმაც ხელის ჩამორთმევის დროს იცნო ზვიადი და უთხრა: თქვენ ზვიად გამსახურდია არა ხართო? საოცრად გაიხარა ამ კაცმა, ხელებზე ეფერებოდა და ამბობდა: 20 წელია, საერთოდ ვერ ვხედავ და თქვენ შემოხვედით თუ არა, მაშინვე დაგინახეთო. ამ კაცის ოჯახში სამ დღეს გაჩერდნენ. თუმცა საფრთხისა და მდევრის აჩრდილი ამ უღრან ტყეშიც ამოილანდა. ხმები გავრცელდა, რომ ამ დასახლებაშიც ჩხრეკის ჩატარებას აპირებდნენ. ამის გამო ზვიადმა და მისმა თანმხლებმა პირებმა სასწრაფოდ დატოვეს ეს სახლი. გასვლისას, ბურჯანაძე და კეკენაძე როგორც იგონებენ, ზვიადმა ყველას პირჯვარი გადასახა, ყველას შეგვეწიოსო უფალი იესო ქრისტეო.

როგორც კი წავიდნენ, სულ რაღაც ერთ საათში შეიარაღებული უნიფორმიანი პირებიც მიადგნენ სახლს. მათ სცემეს ბრმა კაცს და მის შვილიშვილს, სხვა ვინმე ანთიების სახლში არც დახვედრიათ. როდესაც ეს ჯალათები სახლს მოშორდნენ, მეზობლად მდებარე სახლიდან ახალგაზრდა ბიჭი გამოვიდა გარეთ, იგი აფხაზეთიდან იყო დევნილი და ვიღაცისგან ნაჩუქარი კომუფლირებული სამხედრო ფორმა ეცვა. მომხვდურებმა ჩათვალეს, რომ იგი, შესაძლოა, პარტიზანი ყოფილიყო და ყუმბარმტყორცნი ესროლეს. ბიჭი იმდენად მძიმედ დაიჭრა, რომ ფეხის ამპუტაცია დასჭირდა.

დავუბრუნდეთ პრეზიდენტსა და მის თანმხლებთ. ანთიების სახლიდან ცოტა მოშორებით მოიყვანეს პატარა ტრაქტორი, რომელსაც ძარა წინა ნაწილში ჰქონდა დამონტაჟებული. ძარაზე დააწყვეს ყველაფერი, რაც თან ჰქონდათ და თავადაც მოთავსდნენ. ამ ტრაქტორით, დაახლოებით, 20-25 წუთი იარეს, შემდეგ დაინახეს სატვირთო, სამხიდიანი „ურალი", ისეთი, როგორითაც რიყედან ჩქვალერში ჩავიდნენ. ისინი ამ სატვირთო მანქანაში გადასხდნენ, დატოვეს მუჟავის სანახები და ენგურს გაღმა გადავიდნენ. აქაც ზუსტად იმავენაირად მოხდა, როგორც მაგანაზე – ხიდთან ხუნტის ძალოვანთა პიკეტი იყო. როდესაც მდინარესთან შეჩერდნენ, უცნობი შეიარაღებული პირები მოვიდნენ. ის-ის იყო, დაცვამ იარაღი მზადყოფნაში მოიყვანა და პოზიციების დაკავებაც დაიწყო, რომ უცნობებმა მეგრულად დაიძახეს, ჩვენები ხართო? აქედანაც მეგრულად შეეხმიანნენ, კი, ჩვენ ვართო და აღმოჩნდა, რომ ეს ბიჭები ბადრი ზარანდიას ბანაკიდან იყვნენ. აბა, კარგადო, მათაც პასუხად დაუბრუნეს და თავისი გზით წავიდნენ. მძღოლმა ხიდისგან მოშორებით აარჩია ადგილი და პირდაპირ შევი-

და მდინარეში თავისი „ურალით“. მიუხედავად იმისა, რომ წყლის სიღრმე თითქმის მეტრ-ნახევარი იყო, მანქანამ შეფერხების გარეშე გადალახა მდინარე.

6.4. წალენჯიხის რაიონში

ზვიადი და მისი თანმხლები პირნი 4 დეკემბერს დაბა ფახულანში ჩავიდნენ და მძღოლმა ისინი გულიკო გუჩუას ოჯახში მიიყვანა. ეს კაცი ზურაბ გუჩუას ნათესავი იყო. სტუმრები მაშინვე სახლში შეიპატიჟეს. როდესაც შედიოდნენ, ზვიადმა მოუბოდიშა – ჩემ გამო საფრთხეში აგდებთ თქვენს ოჯახსო. მასპინძელმა უპასუხა, საფრთხე რას მიქვია, უდიდესი პატივია ჩვენთვის თქვენი სტუმრობა, ეს ჩვენს ოჯახს არასოდეს დაავიწყდებაო. ამ ოჯახში დღემდე კიდია ზვიადის ფოტო და ის ჭიქა, რომლიდანაც მან ღვინო მოსვა, ახლაც რელიკვიად აქვთ. ეს სახლი, რამდენადაც მასპინძელი საქმიანი კაცი იყო და, შესაბამისად, შეძლებულიც, საკმაოდ კეთილმოწყობილი იყო გვიანსაბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდის სტანდარტებით. ტუალეტი და აბაზანა სახლშივე იყო ინტეგრირებული, ისევე როგორც ზუგდიდისა და სამეგრელოს სხვა რაიონების ბევრ სახლში. ამან, რამდენადაც ცნობილია, ღრმა პროვინციიდან ჩამოსული მხედრიონელების გაოცება და გაღიზიანება გამოიწვია, ეს „ჯიბიდან გავარდნილი ზვიადისტები“, თურმე, რა კარგად ცხოვრობენო.

სახლში იყო ტელევიზორიც. რამდენადაც გულიკო გუჩუას სახლი ქუჩის პირას იდგა, ხოლო ქუჩაზე გამვლელები მოძრაობდნენ, ეს ამბავი ზვიადსა და მის პირად მცველებს იმდენად არ მოეწონათ, რომ ბოლოს გადაწყვიტეს, დაცვა მეზობელ სახლში განთავსებულიყო. საღამოს სუფრა გაიშალა, მასპინძელმა ყველაფერი გააკეთა, რომ რამის ნაკლებობა არ ყოფილიყო. ზვიადმა საგანგებოდ ადღეგრძელა მასპინძელი. უთხრა, რომ უფალი ხედავდა მის სიმამაცესა და თავდადებას. შემდეგ თავისი თანმხლები პირების სადღეგრძელოც თქვა, მათი თავდადება და ძალისხმევა აღნიშნა. ამის შემდეგ მეტი აღარ დაულევია, თუმცა სადღეგრძელოებს მიყვებოდა. საჭმელიც იმდენად ბევრი არ მიუღია. ბოლოს პირად მცველებთან ერთად ბუხართან ჩამოჯდა, რამდენადაც ოთახში საკმაოდ ციოდა. ეს სახლი მესამე დღეს დატოვეს, რამდენადაც დიდხანს გაჩერება არსად არ შეიძლებოდა. მძღოლმა თავისი „ურალით“ ისევ მოაკითხა და ისინი აქედან სოფელ ჩხორიაში გადავიდნენ. ამ სოფელში უკვე მომზადებული ჰქონდათ სახლი, რომელშიც ისინი უნდა გაჩერებულიყვნენ. ოჯახის უფროსი, პალმირო თორდია, ფრიად გახარებული ჩანდა ამ სტუმრობით. სახლი საკმაოდ დიდი ზომისა იყო. მან თავის ოჯახის წევრებს მაშინვე არ უთხრა სტუმრების ვინაობა, მხოლოდ ოდნავ მოგვიანებით გაუმხილა. აქაც საკმაოდ კარგი სუფრა გაიშალა, პრეზიდენტმა ეს ოჯახიც დალოცა, თუმცა ღვინო მოკრძალებულად მიიღო – ორი თუ სამი ჭიქა. ოჯახის დიასახლისი, რომელსაც ეს სტუმრობა ძალიან კარგად ახსოვს, ამბობდა ჩვენი სტუმრობისას 2015 წელს, რომ პრეზიდენ-

ტი საკმაოდ შემართული ჩანდაო; მან თქვა, რომ ბრძოლა, რომელიც ქართველი ერის წინააღმდეგ მიდის, ადრე თუ გვიან აუცილებლად მტრების დამარცხებით დასრულდება და ეს იმიტომ, რომ მას ყოველთვის ეყოლება თავდადებული, პასუხისმგებლობის მქონე მამულიშვილების ბირთვიო.

ამ დღეს მასპინძელმა ფრიად გაიხარა, რას ვიფიქრებდი, თუ ჩემი პრეზიდენტი ჩემს ოჯახში ჭიქას აწევდაო. მომდევნო საღამოს ჩხორიაში მდებარე ეს სახლიც დატოვეს. სახლიდან გამოსვლისას ზვიადმა ახსენა უფლის სახელი და თავიდან რკინიგზას გაუყვნენ. დაცვის წევრებმა ისევ აიკიდეს იარაღი და ამუნიცია – AKM-ის და AKCУ-ს ავტომატები, მჭიდები, ხელის ტყვიამფრქვევი, პისტოლეტები, ხელყუმბარები. ღამე მთვარიანი ყოფილა, რაც გადაადგილებას აადვილებდა. ხუნტის პიკეტები არ ჩანდა, თუმცა ხალხის მოძრაობა შეიმჩნეოდა. აღნიშნულ დროს საკმაოდ გახშირებული ყოფილა ყაჩაღობა, თუმცა მათ ყაჩაღები არ შეხვედრიათ.

ზვიადი და მისი თანმხლები პირნი რკინიგზის ხაზს, დაახლოებით, ორი საათის განმავლობაში მიუყვებოდნენ, შემდეგ გადაუხვიეს და მალე მივიდნენ სოფელ ლიაში მდებარე ორსართულიან სახლთან, რომლის პატრონიც ასევე გაფრთხილებული იყო და ელოდებოდა მათ. ეს სახლი იმ პერიოდში ბოლომდე დასრულებული არ უნდა ყოფილიყო. მასპინძელს, ჯიგო გუჩუას, რომელიც ასევე ენათესავებოდა წალენჯიხის პრეფექტს, ძალიან დიდი ძალისხმევა გაეწია მდიდრული სუფრის გასაშლელად. თვითმხილველთა გადმოცემით, მეგრული სუფრის თითქმის ყველა შემადგენელი ყოფილა მაგიდაზე. ზვიადი ამის დანახვაზე შეწუხებულა, უთქვამს, ამ უბედურებასა და გაჭირვებაში ამდენ ხალხს როგორ უნდა გაუმასპინძლდეთო, საკვები არ გამოგელიოთო. მასპინძელს უპასუხია, ეგ არაფერი, ბატონო ზვიად, სურსათ-სანოვაგე იმდენი მაქვს, რომ რამდენიმე კაცს კარგა ხნითაც შევინახავ და ეს სულაც არ დაგვაწვებაო ტვირთად. მისი სურვილი აშკარად იყო, რომ სტუმრები, რაც შეიძლება, დიდხანს დარჩენილიყვნენ მასთან. მასპინძელი გულღია და ემოციური კოლხი კაცი იყო. იგი განრისხებული საუბრობდა ხუნტაზე და ამბობდა, რომ მას ამქვეყნად ვერავინ დაუშლიდა მისი ძვირფასი პრეზიდენტის ნახვასა და მასპინძლობას, მით უმეტეს, ეს მოძალადეები.

მასპინძლის ქალიშვილი, როგორც ჩანს, მედიცინაში საკმაოდ გარკვეული იყო, მან დაცვას მედიკამენტები გადასცა, მათ შორის ანტიბიოტიკებიც, გამოგადგებათო. ამ მედიკამენტებმა საკმაოდ უშველა ყველას. დასაძინებლად მეორე სართულზე განთავსდნენ. ამ სახლში სულ ორ დღეს დარჩნენ. 4 დეკემბერს გადავიდნენ გივი პაჭკორიას სახლში. აქაც საოცრად გულითად დახვედრას ჰქონდა ადგილი. როგორც მასპინძლის, ისე სტუმრების მხრიდან მრავალი თბილი და გამამხნევებელი სიტყვა ითქვა. ზვიადმა აღნიშნა, რომ არასოდეს დაავიწყდებოდა ლიელების ყურადღება და გულითადობა. საღამოს ოჯახის დიასახლისმა პრეზიდენტთან საუბრისას შეშფოთება გამოთქვა, რამდენად ხართ დაცული ამ სიტუაციაშიო. ზვიადმა უპასუხა, ჯერ არ ვიცით, იქნებ აქედან გას-

ვლა მაინც ვცადოთ, რამდენადაც ესენი უკადრებელსაც ჩაიდენენ და, შესაძლოა იმ მცხოვრებლებს, რომლებმაც გვიმასპინძლეს ან აწი გვიმასპინძლებენ, რამე დაუშავონო. ამიტომაც იქნებ აჭარაში გადავიდეთ და იქედან ვცადოთ საქართველოდან გაღწევაო.

იმავე დღეს პრეფექტ ზურაბ გუჩუას შერჩეულმა ერთ-ერთმა მეგზურმა ზვიადს უთხრა, რომ მისი ნახვა აუცილებლად სურდა ბადრი ზარანდიას. ზვიადი დაინტერესდა, მარტოაო ბადრი? როდესაც მეგზურმა ეს დაუდასტურა, ზვიადმა გამოთქვა შეხვედრის სურვილი, ოღონდ ქუჩის მოპირდაპირე მხარეს მდებარე სახლში. საღამოს იქ მართლაც მოვიდა ბადრი ზარანდია. საუბარი ნახევარ საათზე მეტ ხანს არ გაგრძელებულა. არავინ იცის, რაზე ისაუბრეს. არ გამოურიცხავთ, რომ სწორედ ამ ბოლო შეხვედრაზე უთხრა ბადრიმ: თუკი შემოგითვლი ან მოგწერ, რომ შემხვდი, დააიგნორე, არცერთ შემთხვევაში არ სცადო ჩემთან შეხვედრა; იცოდე, რომ ჩემი ნებით ამას არ ვაკეთებ, ამას ის ადამიანები მაკეთებინებენ (ანუ გ. გულუასა და შ. კვირაიას კონტინგენტი, კ. გ.), რომლებიც თანამშრომლობას მაიძულებენ და რომლებმაც ჩემი ოჯახი მძევლად აიყვანესო. წავიდა თუ არა ბადრი, ლია იმავე დღეს დატოვეს.

ლიადან ისინი სოფელ ტყაიაში გადავიდნენ, სადაც ერთ ღამეს, 5-დან 6 დეკემბრამდე, გურამ სამუშიას სახლში დარჩნენ. იქიდან ისევ სოფელ ლიაში დაბრუნდნენ – იმ ადგილს ლია-პალური ჰქვია, სადაც მასპინძლის სახელი და გვარი ასევე გურამ სამუშია იყო. მართლაც, უცნაური დამთხვევაა. აქ დარჩნენ 9-დან 12 დეკემბრამდე. ამჯერადაც შესანიშნავი მასპინძლობა გაუწიეს, რამდენადაც ამ ოჯახს ჰქონდა კიდევაც ამის თავი და შესაძლებლობა. გურამ სამუშია ზვიადის დაცვით უკმაყოფილო იყო, მე თვალი და ყური ოთხივე მხარეზე გაფაციცებული მქონდა, მესმოდა, რამხელა პასუხისმგებლობა ავიღე თავზე, როდესაც პრეზიდენტის მასპინძლობა ვიკისრე, დაცვას კი ისეთ დროს ეძინა, როცა ყოველ წუთს რაღაც შეიძლებოდა მომხდარიყოო. გურამ სამუშიასთან დაბინავების მესამე დღეს სკოლის ბავშვებმა ქუჩაზე ჩამოიარეს და რამდენიმეჯერ დაიძახეს „ზვიადი, ზვიადი!“ ზუსტად ისე, როგორც მიტინგებზე შეკრებილი ხალხი სკანდირებდა. დაცვა შეშფოთდა. შესაძლოა, ამ ბავშვებს არც სცოდნოდათ, რომ ზვიადი მართლაც აქ იმყოფებოდა და უბრალოდ, მიტინგების შეძახილებს მიბაძეს, თუმცა, შესაძლოა, ხმა გავრცელდა, რომ პრეზიდენტი ამ სოფელში იმყოფებოდა. ზვიადს ღიმილით უთქვამს: აბა, თუ ბიჭი ხარ, დაემალე ამათო. თუმცა, სიფრთხილის გამო მათ სასწრაფოდ დატოვეს ლია და ჯერ სოფელ ზედა ეწერში გადავიდნენ, სადაც ცოტა ხნით გაჩერდნენ გონელი თორდიას სახლში, იქიდან კი გზა განაგრძეს და სოფელ ბაშში მივიდნენ. აქ მათი მასპინძელი კოკი ლაშხია უნდა ყოფილიყო.

გადასვლა ამჯერად დაუგეგმავი იყო და მასპინძელმა სასწრაფოდ მოძებნა გამყოლი. ეს იყო ასაკოვანი გვარდიელი, შეჭაღარავებული წვერით, რომელსაც დაცვის ბიჭები „ბაბუს“ ეძახდნენ. იგი ერთხანს ეროვნულ გვარდიაში მსახურობდა. გასვლა ღამით მოხდა, ჯერ რკინიგზის ლიანდაგებს გაუყვნენ, შემდეგ

კი – ჩაის პლანტაციებში მიმავალ ბილიკს. სოფელ ბაშში მასპინძელი, კოკი ლაშხია, სახლში დაუხვდათ, თუმცა დიასახლისი მომდევნო დღეს დაბრუნდა, სატირალში წასულიყო მანამდე. ქალბატონს ოცდაათი კილომეტრი ევლო ფეხით, რამდენადაც რაიმე მანქანასა ან ავტობუსზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო, ხოლო მაროდიორობამ, ყაჩაღობამ და მანქანების წართმევამ აქაურობა წალეკაო, დაიჩივლა. ოჯახის დიასახლისმა წლების შემდეგ გაიხსენა პრეზიდენტთან საუბარი, როდესაც სთხოვა, იქნებ აქ დარჩეთო. არაო, – უპასუხია ზვიადს, არ გამოვა აქ ჩემი დარჩენაო. ამ სახლში მხოლოდ ერთი ღამე გაათენეს.

მომდევნო დღეს, 13 დეკემბერს, იგივე ჭარმაგი გვარდიელი ისევ მოვიდა და ეს სახლიც დატოვეს. ისინი სატრანსპორტო საშუალების გარეშე, ფეხით გაუყვნენ გზას წვიმაში და რამდენიმე ხანში სოფელ ნაცატუს მიაღწიეს. მეგზურმა სთხოვა, ცოტა ხანს დამელოდეთ, რომ მასპინძელი გავაფრთხილოო. საათზე მეტ ხანს ელოდნენ. ბოლოს მეგზური მოვიდა და ისინი გაბედავების ოჯახში მიიყვანა. აქ უკვე ბუხარი ენთო და სუფრა გაშლილი იყო, თუმცა მაგიდაზე მხოლოდ ჩაი და მსუბუქი საკვები მოჩანდა. უფრო ნოყიერი ვახშმის თავი მასპინძელს არ ჰქონდა. ოჯახი საკმაოდ ხელმოკლედ ცხოვრობდა, თუმცა მაინც სიხარულით შეხვდნენ პრეზიდენტისა და მის თანმხლებთა სტუმრობას. როგორც გაბედავები შემდგომ ამბობდნენ, მოგვეჩვენა, რომ პრეზიდენტს სიცხე ჰქონდაო.

ამასობაში ორიოდე საათის წინ გასული მეგზური მობრუნდა და თქვა, რომ მანქანა ვერ ვიშოვე, ეშმაკმა დასწყეველოს, თან ბენზინიც არავის აქვს, სადმე ძველი მანქანა რომც გვეგულებოდესო სათხოვნელად. ადამიანები მეტწილად ფეხით გადაადგილდებოდნენ. მარშრუტი, საითკენაც უნდა წასულიყვნენ, უკვე ცნობილი იყო – ობუჯი, მწერალ ლეო ქიაჩელის მშობლიური სოფელი. მაშინ მასპინძელმა, რომელსაც ჰყავდა ცხენი, ხოლო ბაღში ორთვლიანი და კოფოიანი ფორანი ედგა, შესთავაზა ამ საშუალებით წასვლა. ცხენი ფორანში შეაბეს, ბარგი და შეიარაღება ძარაზე დადეს, კოფოზე პრეზიდენტი და პრემიერი დასხდნენ და ორთვალა დაიძრა. ეს ორთვალა გაბედავების ოჯახს დღემდე შენახული აქვს, როგორც რელიკვია. ცხენი ნელა მიდიოდა, ისე, რომ დაცვას არ გასჭირვებია ფეხდაფეხ გაყოლოდა ფორანს. ბოლოს გუგუშვილი კოფოდან გადმოვიდა, რამდენადაც შეატყო, რომ უსიამოდ სველდებოდა. დაცვას გაახსენდა, რომ ჭყეტზენის მთაზე პრეზიდენტს მწყემსებმა ორი ნაბადი აჩუქეს, რომლებიც მჭიდროდ დაკეცეს, თოკით შეკრეს და ბარგში როგორღაც ჩატენეს. ახლა ამოიღეს ის თეთრი ნაბადი და ზვიადს მოახურეს. ნაბადი არც წყალს ატარებს და საკმაოდ თბილიცაა. ერთ ადგილზე, საიდანაც ორთვალა ვეღარ ივლიდა, ბარგი გადმოიღეს და ფეხით განაგრძეს გზა. ნაცატუდან გასვლისას უკვე ღამე იყო. დაახლოებით სამ-ოთხ საათში ობუჯს მიაღწიეს.[741] ღამე იყო, თუმცა ღამის წყვდიადშიც გაარჩიეს, რომ მეგზურმა შესანიშნავ სახლ-კართან მოიყვანა, რომელსაც საკმაოდ გაშლილი ეზო ჰქონდა. ეს იყო ადგილობრივი მკვიდრის, ჰამანდა მესხიას, პარტიზანული მოძრაობის ერთ-ერთი აქტივისტის, გია მეს-

ხიას (მეტსახელად „კონგის“), ბიძის სახლი. წლების შემდეგ ჰამანდა მესხიამაც გაიხსენა ეს სტუმრობა – პრეზიდენტს თეთრი ნაბადი ჰქონდა მოსხმული, როდესაც მომიკითხა, მითხრა, მხნედ უნდა იყოთ, რაც უფრო ბნელია ღამე, მით უფრო ახლოსაა განთიადიო.

ჰამანდა მესხიამ ასევე ღირსეული მასპინძლობა გაუწია სტუმრებს და მათ აქ ღამე გაათენეს, თუმცა ერთ დღეზე მეტხანს ისინი არც ობუჯში დარჩენილან. როდესაც ობუჯს ტოვებდნენ, ზვიადმა კიდევ ერთხელ იკითხა ვაჟა ჭინჭარაულისა და ირაკლი გოგაძის შესახებ, რომლებმაც, სავარაუდოდ, ნოემბრის ბოლო რიცხვებში დატოვეს ზარანდიას ბანაკი ჩვინარეში და ცხენებზე ამხედრებულები, თითქოს, სენაკის მიმართულებით წავიდნენ. მათ ასავალ-დასავალზე არავინ არაფერი იცოდა, მათ შორის, არც მეგზურებმა. საინტერესო და ძნელად ასახსნელია ერთი ფაქტი – როგორ მოხდა, რომ ზვიადის დაცვასა და უშუალო გარემოცვაში, რომელიც მუდმივად მასთან რჩებოდა, არცერთი ადგილობრივი მკვიდრი არ იყო, არცერთმა არ იცოდა გზები, არცერთს არ ჰყოლია ნათესაობა მთისწინეთის სამეგრელოს, ანუ ლაკადას ამა თუ იმ სოფელში და არცერთმა არ იცოდა მეგრული. მხოლოდ ზურაბ გუჩუა და მისი რამდენიმე მეგზური იყვნენ ადგილობრივები.

რაც შეეხება ვაჟა ჭინჭარაულსა და ირაკლი გოგაძეს, მათი კვალი, როგორც ერთხელ უკვე აღვნიშნეთ, მაღალი ალბათობით, მიდიოდა წალენჯიხის რაიონის სოფელ ნაკიფუსკენ, რომელიც მართლაც იგივე მარშრუტზეა, თუკი ვინმე ფეხით ან ცხენით გადაწყვეტს ჩხოროწყუს მიმართულებით წასვლას. საქართველოს პარლამენტის დროებით კომისიას 2011 წელს მიაწოდეს ინფორმაცია, რომ სოფელ ნაკიფუში, რომლის ერთ ნაწილს უწოდებენ ულურიას, ნოემბრის ბოლო რიცხვებში მართლაც გამოჩნდა ორი შეიარაღებული ახალგაზრდა ცხენებით, მეგზურთან ერთად. ისინი მეგზურმა მიიყვანა ულურიაში, იქ, სადაც იდგა ზუგდიდის ქალაქკომის პირველი მდივნის, გრამიტონ კვარაცხელიას, ხით ნაგები სახლი. ეს ახალგაზრდები აღნიშნულ სახლში დაბინავდნენ, ხოლო მეგზური წავიდა. ადგილობრივების თქმით, შუაღამისას საკმაოდ კარგად შეიარაღებული რაზმი მოვიდა ულურიაში და სახლის გარშემო პოზიციები დაიკავა. დაიწყო სროლა, რომელიც კარგა ხანს გაგრძელდა. როდესაც სროლა შეწყდა და გათენდა, ადგილობრივებმა ნახეს, რომ რაზმი წასულიყო, ხოლო სახლი, რომელშიც ეს უცნობი ახალგაზრდები შესახლდნენ, ბოლომდე დამწვარი და განადგურებული ბოლავდა. ამ დამწვარ სახლში სრულიად დანახშირებული ორი ადამიანის სხეულის ნაწილები იპოვეს, ერთი მათგანი ბუხარში აღმოაჩინეს, რომელსაც, დიდი ალბათობით, ხანძრისას შეეფარა. ყველა ნიშნით ეს ხანძარი გარედან დაბომბვისა და ცეცხლის გახსნის შედეგად ჩანს გაჩენილი. ამის შემდეგ წალენჯიხიდან ამოსულან პოლიციელები, რომელთაც უთქვამთ ადგილობრივებისთვის – იქნებ დამარხოთ, ესენიც ხომ ქართველები არიანო. პოლიციელების ეს ნათქვამიც სიმპტომატურია და აქედან ჩანს, რომ მათ იცოდნენ ამ დაღუპულთა ვინაობა.

ადგილობრივებმა დაღუპულთა სხეულის ნარჩენები ძველ მაცივარში ჩაალაგეს და იქვე ახლოს, ტყის პირზე, დაასაფლავეს. 2011 წლის ნოემბერში კი ზვიად გამსახურდიას დაღუპვის გარემოებების მომკვლევი, საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის შუამავლობით, საქართველოს პროკურატურამ მოახდინა ამ სამარხის ექსჰუმაცია და ცხედრების ნარჩენები გადაიტანეს სამხარაულის ეროვნული ექსპერტიზის ბიუროში. დაინიშნა დნმ-ის ტესტი, რომელიც, ოფიციალური ვერსიის მიხედვით, ძვლების მდგომარეობიდან გამომდინარე, ვერ ჩატარდა. არსებობს უფრო ყოვლისმომცველი და საფუძვლიანი დნმ-ს ტესტი, რომელიც შეიძლება დიდ ბრიტანეთში საგანგებო ლაბორატორიაში ჩატარდეს, თუმცა ამის პოლიტიკური ნება არცერთ მთავრობას არ გამოუხატავს.

6.5. ჯაღირა და ჯიხაშკარი

გადაადგილება წალენჯიხისა და ზუგდიდის რაიონებში (ფახულანი-ლია-ნაცატუ) ერთი მნიშვნელოვანი რამით განსხვავდებოდა ჩქვალერისა და მუჟავა-ჩვინარის ზონებში გადაადგილებისაგან: აქ საერთოდ არ გამოჩენილან მდევრები და სპეცრაზმელები, რომლებიც მანამდე – ანუ ფახულანში გადასვლამდე – მინიმუმ ოთხჯერ მაინც გამოჩნდნენ ზვიადისა და მისი თანმხლები პირების გადაადგილების გზაზე. აქ ისინი არც იმ სახლებსა და ოჯახებში შესულან, რომლებიც ზვიადმა დატოვა. რაში იყო საქმე? აქ მხოლოდ ვარაუდის დონეზე შეიძლება დაშვება, რომ მათი ყველაზე მაღალი დონის უფროსობა მუშაობდა გეგმაზე, რომელსაც რამდენიმე დასასრული შეიძლება ჰქონოდა: 1. ლიკვიდაცია დაკავების გარეშე, თვითმკვლელობის იმიტაციით; 2. დაკავება და ლიკვიდაცია, ასევე თვითმკვლელობის იმიტაციით; 3. დაკავება ლიკვიდაციის გარეშე, რაც ყველაზე ნაკლებად სავარაუდოა. ამას უნდა მოჰყოლოდა მისი გადაყვანა თბილისში და სასამართლო პროცესი. ეს ოფცია, ცხადია, ასე თუ ისე, გამოიწვევდა მსოფლიო სკანდალს და ამ მხრივ არ იყო კარგი გამოსავალი; 4. მიუხედავად იმისა, რომ თავიდან უარი განაცხადა ჩეჩნეთში დაბრუნებაზე, მისი იძულება, რომელიმე გზით დაეტოვებინა ქვეყანა, სხვა შესაძლებლობა, ხუნტისთვის არ არსებობდა. ხუნტის უშიშროების მინისტრმა იგორ გიორგაძემ დროებითი კომისიისთვის მიცემულ ჩვენებაში, რომელიც 2010 წლის იანვარში, მოსკოვში იქნა ჩაწერილი, მოყვა, თუ როგორ დაურეკა შევარდნაძეს და უთხრა: ჩვენ ვიცით ექსპრეზიდენტის ადგილსამყოფელი. შეგვიძლია მისი დაკავება და თბილისში ჩამოყვანა. შევარდნაძეს ნახევრად ხუმრობით უპასუხია: და დაკავებულს აქეთ რომ წამოიყვანთ, გაშლილი სუფრებით დაგხვდეთო? პასუხი მეტად უცნაური და არა ერთმნიშვნელოვანი იყო. გიორგაძემ, რომელიც უშიშროების რუსული სკოლის გამოზრდილი და საკმაოდ გამოცდილი ჩეკისტი იყო, ეს გაიგო, როგორც – „ჩვენ ის ცოცხალი არ გვესაჭიროება“. ამის შემდეგ შევარდნაძეს ეუთხ-

არი, რომ ასეთ თამაშს ვერ ვითამაშებდიო. კი, ბატონო, ნება თქვენია, – იყო შევარდნაძის პასუხი, – მაშინ მე თქვენს მოადგილესთან ვითანამშრომლებო.[742]

გიორგაძის მოადგილე კი იყო გენერალი ავთანდილ იოსელიანი, რომელიც მანამდე, 1991 წლიდან აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უშიშროების მინისტრი იყო. როგორც გიორგაძემ კომისიის წევრებთან, ამ სტრიქონების ავტორთან და დეპუტატ ბეჟან ხურციძესთან, ასევე კომისიის მოწვეულ სპეციალისტთან, გენერალ მიხეილ ოსაძესთან „რია-ნოვოსტის“ მოსკოვურ ოფისში შეხვედრისას განაცხადა, ზვიად გამსახურდიას ფეხდაფეხ დასდევდა ორი სპეცჯგუფი: ერთი, ეს იყო შსს-ს რაზმი, რომლის კოორდინაციასაც ახდენდნენ გენერალი გია გულუა და მინისტრი შოთა კვირაია, ხოლო მეორე, ეს იყო უშიშროების „რეალიზაციის ჯგუფი“, რომელზე პასუხისმგებელიც იყო ავთანდილ იოსელიანი, უშიშროების მინისტრის მოადგილე. ყურადღებას იქცევს ამ ჯგუფის სახელი, და ისმის კითხვა, რომელზე პასუხიც არცთუ მარტივი გასაცემია: რისი რეალიზაცია იგულისხმებოდა აქ? ფილმში „დინების საწინააღმდეგოდ“, არის ნაწყვეტი ინტერვიუდან, რომელიც გადამღებმა ჯგუფმა ჩაიწერა ავთანდილ იოსელიანთან. მაღალჩინოსანი ამბობს, რომ მისი სპეცჯგუფი ნამდვილად მიყვებოდა ზვიად გამსახურდიას კვალდაკვალ, მაგრამ ამას ის დევნას არ უწოდებდა. სხვათა შორის, ე. შევარდნაძემაც, უკვე პენსიაში გასვლის შემდეგ, დაადასტურა იგივე, თუმცა განმარტა, ეს დევნა კი არ იყო, ძებნა იყოო.

ამავე დროს შევარდნაძე უარყოფდა გიორგაძის ჩვენებას, რომელშიც თითქოს ირონიულად ჰკითხა, ზვიადს აქ რომ ჩამოიყვან, სუფრა ხომ არ გაგიშალოთო. ა. იოსელიანის თქმით, რაზმელებს მისგან მითითება ჰქონდათ, არ შესულიყვნენ ზვიადის თანხლებ ჯგუფთან დაპირისპირებაში, არც თავს დასხმოდნენ და ა. შ. აქედან გამომდინარეობს, რომ ეს შორიდან დამკვირვებელთა ჯგუფი უფრო იყო. იგი მალევე იგებდა ყოველი ახალი გადაადგილების შესახებ. შეკითხვაზე, აკონტროლებდა თუ არა მისი უშიშროება ზვიადის უშუალო გარემოცვას, იოსელიანი ისევ მრავალმნიშვნელოვნად პასუხობს: არა, ვაკონტროლებდით გარემოცვის გარემოცვასო. აქვე ისმის კითხვა, რისთვის, რა მიზნებისთვის აგროვებდა „რეალიზაციის ჯგუფი“ ამ ინფორმაციებს? იქნებ სამეცნიერო ნაშრომის დაწერას აპირებდა, ან მომავალი მხატვრული ფილმის სცენარისა და კადრებისთვის აგროვებდა მასალებს?

პრეზიდენტი და მისი თანმხლებნი ობუჯიდან დაიძრნენ ჭანისწყლის მიმართულებით. ჩაიარეს ხევები, საკმაოდ დიდხანს მიდიოდნენ. როგორც მეგზურმა აუხსნა, დათქმული იყო შეხვედრა ტრაქტორისტთან, რომელსაც გზის პირზე დაელოდნენ, აქედან კი უკვე ჯაღირას აღმართი იწყებოდა. როდესაც ტრაქტორის ძარაზე ავიდნენ, ტრაქტორმა ჩააქრო ფარები და ისე დაიძრა. როგორც ჩანს, ტრაქტორისტმა ზეპირად იცოდა ის ადგილები და მარშრუტს ზუსტად მიჰყვებოდა. ზვიადს უთქვამს: შენი ტრაქტორი ისე ხმაურობს, რომ სოფელში ალბათ ყველამ იცის ჩვენი აქ ყოფნის შესახებო. ტრაქტორისტი პასუხობდა, არა, ბატონო ზვიად, რას ბრძანებთო. სოფლის გავლის შემდეგ ტრაქტორი

აღმართებს შეუდგა და ასე შევიდნენ სოფელ ჯაღირაში. ბოლოს ტრაქტორი უცნობ ადგილზე შეჩერდა. მათ აქ დახვდათ ანზორ მებონია, რომელსაც, ზაზა ბურჯანაძის თქმით, ისინი თავის სახლში უნდა მიეყვანა. ჯგუფმა მასპინძელთან ერთად ფეხით განაგრძო გზა. ასე მივიდნენ ანზორ მებონიას სახლთან 15 დეკემბერს, გამთენიისას. ეს სახლი თხემზე მდებარეობდა, ეზოს ერთ მხარეს არცერთი ნაგებობა აღარ იდგა და უკვე სივრცე იშლებოდა: მოჩანდა მთელი ხეობა თავისი განუმეორებელი სილამაზით.

პრემიერ-მინისტრი ბესარიონ გუგუშვილი იყო ადამიანი ზვიადის უშუალო გარემოცვაში, რომელსაც ყველაზე მეტად ჰქონდა სურვილი, რაც შეიძლება მალე დასრულებულიყო ეს კოშმარული მსვლელობა და რაც შეიძლება მალე გასულიყო სამეგრელოდან. მან ამ სურვილში, გარკვეულწილად, აიყოლია რობინზონ მარგველანიც. ბაჩუკი და გოჩა მერყეობდნენ, ზაზა ბურჯანაძეს, ვაჟა ჭინჭარაულსა და ირაკლი გოგაძეს ასეთი რამ არ ეტყობოდათ. მაგალითად, თავის მემუარულ ჩანაწერებში – „გასაუბრება გულისყურთან", ბესარიონ გუგუშვილი წერს: „მივდივართ ტყის ბილიკით. ამასობაში წვიმამ გადაიღო და ცაც მოიწმინდა. მივდივარ და მძიმე ფიქრები მერევა. უცებ ცაზე ვხედავ მონყვეტილ ვარსკვლავს. რა ჩავიფიქრო? რომ ყველაფერი კარგად დამთავრდეს. ამას ჩავუთქვამ და ცას ვუყურებ. კიდევ ერთი ვარსკვლავი ჩამოვარდა – ისევ ჩავეხუტო ჩემს შვილებს!"[743] რასაც აქ, ამ ჩანაწერში ეკითხულობთ, სრულიად ნორმალურია. რა უნდა იყოს გასაკვირი იმაში, რომ ადამიანს შვილები ენატრებოდეს. პრობლემა ის არის, რომ ზვიადი ფიქრობდა საქართველოში იმდენ ხანს გაჩერებას, რამდენსაც შესძლებდა, ხოლო გუგუშვილი უფრო გარემოებების მძევალი იყო. ისე ჩანს, რომ მას უნდოდა წასვლა, მაგრამ ვერ ახერხებდა ამას.

როდესაც საუბარია იმაზე, რომ ზვიადი ცუდად იყო, ავადმყოფობდა, ჰქონდა მაღალი სიცხე, იმდენად, რომ რაღაცები ეჩვენებოდა (მაგალითად, თავდასხმა გზაში, ტრაქტორი, რომელიც ჯავშანტრანსპორტიორი ეგონა), სტკიოდა მუცელი და ა. შ., ამ თხრობისას გაოცებას იწვევს ერთი ფაქტი, – თუ როგორ გადაადგილდებოდა იგი საათობით, ხშირად ჩანთით ხელში, ძნელადსავალ ბილიკებზე, ზოგჯერ გაუვალ ადგილებშიც, ზოგჯერ სიცივეში, წვიმასა და ქარში, ადიოდა ორთვალას კოფოსა და ტრაქტორის ძარაზე. ავადმყოფი, რომელსაც გაუსაძლისი ტკივილები აქვს, შეძლებს ამას?

როგორც კი შევიდნენ სახლში, მოხუცებული ბებია გამოეგებათ. ზვიადს იგი დიდი სიყვარულით გადაეხვია და ჰკითხა, გიღალატესო? ასეაო, – დაუდასტურა ზვიადმა. მაგრამ მეტიც აღარ გაუგრძელებია ეს თემა. იგი შინაგანად მაინც არ გრძნობდა თავს მეფე ლირის მდგომარეობაში და, როდესაც ფილმში „ხიბუ-ლა" საკითხი ისეა დასმული, რომ ზვიადი ქართველმა ერმა აირჩია ხმათა დიდი უმრავლესობით და მალევე მას განუდგა, ეს თავიდან ბოლომდე მცდარი ნარატივია – ისეთი, რომელსაც მტერი დღემდე იყენებს. ზვიადი ბოლომდე თელიდა და არცთუ უსაფუძვლოდ, რომ ქართველი ხალხის უმრავლესობა მასთან იყო, რომ ბევრმა თავი გასწირა ამ უთანასწორო ბრძოლაში. მას სიცოცხლის უკა-

ნასკნელ წუთებამდე უხაროდა ეს თანადგომა და ამიტომაც მზად იყო, თავის საქმეს ბოლომდე მიჰყოლოდა. ეს, პირველ რიგში, იყო ლეგიტიმურობის შენარჩუნება, რომელსაც თავად, დემოკრატიულად არჩეული და სრულიად უკანონო გზით დამხობილი პრეზიდენტი, ატარებდა. საგანგებო სიტუაციისთვის ჰქონდათ დათქმა, რომ ბოლომდე იბრძოლებდნენ, რათა ხუნტის მდევართა და დამსჯელთა ხელში არ აღმოჩენილიყვნენ.

ერთხელ, 1991 წელს, „ამერიკის ხმასთან" ინტერვიუში, კორესპონდენტის შეკითხვაზე, სჯეროდა თუ არა, რომ დაწყებულ საქმეს ბოლომდე მიიყვანდა, ზვიადმა ასეთი პასუხი გასცა: „მე მჯერა იდეის. თუ ადამიანი ფიქრობს, რომ ყველა ოცნება მისივე ცხოვრებაში უნდა ახდეს, ესე იგი, მხოლოდ პირადი ინტერესებისთვის უცხოვრია. ჩემი ოცნება დღეს ხალხმა გაიზიარა, ეს არის ყველაზე დიდი გამარჯვება".[744]

მომდევნო დღეს ჩვეულებრივად ისაუზმეს, ზვიადმა საკვები მიიღო, ღვინოც მოსვა. შემდეგ სიგარეტიც გააბოლა, მიუხედავად იმისა, რომ იშვიათად ეწეოდა. მასპინძელიც კარგ განწყობაზე იყო, რამდენიმე ანეკდოტი და სასაცილო ისტორია მოყვა. რამდენადაც დაცვას სახე ჩამოსტიროდა, ზვიადმა ბიჭებს უთხრა: რატომ ზიხართ ასეთი სახეებით? რაღაც ქენით, ან ნარდი ითამაშეთ, ან ჰკითხეთ მასპინძელს, რამე სამუშაოს შესრულება ხომ არ სჭირდება თავის კარ-მიდამოში. როგორც გაირკვა, მასპინძელს მორები ჰქონდა დასახერხი, რომელსაც შემდეგ შეშად გამოიყენებდა. გავიდნენ ეზოში, სადაც ეს მორები ელაგა. ფარდული, რომელშიც დასაწყობებული იყო მორები, მაშინ ერთ მხარეს გახსნილი იყო, შემდგომ კი ხის ტიხრითა და ზედ აკრული თუნუქის ფურცლებით დახურეს. მორებს ბირდაბირით ჭრიდნენ, ზვიადიც მათთან ერთად მუშაობდა. იმ და მომდევნო დღეებში საკმაოდ ბევრი შეშა დაჭრეს.

მესამე დღეს ზვიადმა მიიღო ეროვნული გვარდიის ოფიცრები. ისინი სამნი იყვნენ, მათ შორის ერთ-ერთი იყო გოჩა ოთხოზორია, მეორე კი — ბატალიონ „ჯიხას" უფროსის მოადგილე ვახო ზარანდია. როგორც ზარანდიამ თქვა, პრეზიდენტმა მას უთხრა, რომ სამხედრო საბჭოს შემადგენლობა სრულიად განახლებულია, თვით ყველაზე უმნიშვნელო პირიც კი შეცვლილია და შენ ამ ახალ შემადგენლობაში მოიაზრებიო. აქედან ჩანს, რომ ზვიადი ფიქრობდა გარკვეული პოზიციების აღდგენასა და ახლიდან შექმნას პარტიზანული მოძრაობისა, რომლის ამოცანაც იქნებოდა ლეგიტიმურობის დაცვა იმ დრომდე, ვიდრე ისევ შეიქმნებოდა პირობები პროცესის პოლიტიკურ კალაპოტში დასაბრუნებლად. ამაზე მეტად დეტალიზებული ეს გეგმა ვერ იქნებოდა.

ბესარიონ გუგუშვილს ძლიერი თავის ტკივილები დაეწყო, რომელიც მომდევნო დღეს ძლივს გაუყუჩეს. ანზორ მებონიას ოჯახში თავიდან ყველაფერი რიგზე იყო, თუმცა ერთმა უცნაურმა ვიზიტმა შეშფოთება გამოიწვია: მათი იქ ყოფნის მეექვსე დღეს სახლის ჭიშკარს მოადგა მსუბუქი ავტომანქანა „ლადა", რომელშიც ისხდნენ ორნი გია გულუას ჯგუფიდან — ისინი, რომლებიც ჩვინარეს ბანაკში ბადრი ზარანდიას აკითხავდნენ და ზვიადსაც შეხვდნენ, რათა განეხი-

ლათ სამეგრელოდან მისი გასვლისა და ქვეყნის დატოვების გზები. ჯაღრაში ამოსული ეს ვიზიტორები იყვნენ გია სარია და ბესო ხარებავა. როდესაც მასპინძელს დაუძახეს, იგი მათ ჭიშკართან შეხვდა, ისე, რომ შიგნით არ შემოუპატიჟებია. სარიამ და ხარებავამ ანზორ მებონიას ჰკითხეს, გასაყიდი არაყი ხომ არ გაქვთო, სოფელში ბევრ სახლში ვიკითხეთ და არავის აქვსო. არყის ერთ ან ორ ბოთლზე საუბარი არ ყოფილა, უფრო დიდ რაოდენობა უნდოდათ. ანზორს უპასუხია, არ მაქვსო. ამის შემდეგ ისინი წასულან.

ზურაბ გუჩუა ამ უცნაურ და მოულოდნელ ვიზიტს არ ახსენებს. უბრალოდ, წერს, რომ მასპინძელმა, ანზორ მებონიამ, მას უთხრა: როგორც ჩანს, ინფორმაციამ თქვენს აქ ყოფნაზე გაჟონა, ამიტომ სხვაგან გადასვლაზე უნდა დაიწყოთო ფიქრი. მანვე მოიყვანა ჯიხაშკარის მკვიდრი, გვარდიის ოფიცერი ვახო ზარანდია, რომელიც შეპპირდა, მალე ყველას საიმედო ადგილზე გადავიყვანო. ზურაბ გუჩუა ამ სიტუაციაში ნარაზენში გადავიდა ნათესავის სახლში, გვარდიის ერთ-ერთ საველე მეთაურთან, გოჩა ოთხოზორიასთან, ერთად. მანვე მიიღო წერილი მათგან, ვინც დროებით მოსკოვში იყო წასული. ამ ჯგუფიდან, სავარაუდოდ, რამდენიმემ სამეგრელოში შემოაღწია და ერთ-ერთი იყო წალენჯიხის პრეფექტის მოადგილე ავთო კინწურაშვილი. ეს ინფორმაციაც ვახო ზარანდიამ მოიტანა. კინწურაშვილი იწერებოდა, იქნებ, გაგვაგებინოთ, რა ვქნათო. ამაზე პრეზიდენტმა პასუხად შეათვლევინა, როგორც თვითონ ჩათვლით საჭიროდ, სიტუაციიდან გამომდინარე, ისე იმოქმედეთო. მოსკოვიდან ჩამოსულებმა ვერ შეძლეს ზვიადის ადგილსამყოფელის მიგნება.

სოფელ ჯიხაშკარის მკვიდრის, გვარდიელ მამრიკო ზარანდიას ჩვენებით, ბატალიონის მეთაურს, ვახტანგ ზარანდიას, რამდენიმე გვარდიელი გადაუყვანია ღამე ტკილტობესკენ – არის იქ ასეთი გადასასვლელიო, განმარტავს (მეგრულად ტკილტობე ნიშნავს „ღრმა საგუბარს", კ. გ.). ზვიადი და მისი თანმხლები პირნი იქ მოსულან. „მანქანაში რომ ჩასხდნენ, ვახომ ბიჭები გაუშვა, ფეხით წადითო. ზვიადმა რატომო, დაეტევიანო. ვახომ უპასუხა, არა, ფეხით წავლენო" (იხ. ირაკლი შონია, ფილმი „გზა თავისუფლებისკენ".) ზაზა ბურჯანაძის თქმით, მდინარემდე ასევე ფეხით ჩავიდნენ, შემდეგ გადასხდნენ ზარანდიას მანქანაში, რომელმაც ისინი მიიყვანა ადგილობრივ მკვიდრთან, ჯონსონ კვარაცხელიასთან. ჯონსონის სახლი ასევე განსაკუთრებულ ადგილზე დგას: მასთან მისასვლელად დაცერებული აღმართი უნდა აიარო, რომელსაც ჩვეულებრივი სედანი პრაქტიკულად ვერ გაუმკლავდება, ცალი მხრიდან ბექობი ადგას, რომელზეც ხშირი ტყეა მოდებული, ეზოს ღობე ამ ტყის პირს მიუყვება, ხოლო ორი მხრიდან გახსნილია გადასახედი ჭანისწყლის ხეობაზე. მოგვიანებით, 2004 წელს ჩაწერილ ინტერვიუში, ჯონსონ კვარაცხელია ასე იგონებდა ამ ამბებს: შეკითხვა: „ბატონო ჯონსონ, როდის მოიყვანეს თქვენთან ბატონი ზვიად გამსახურდია?" პასუხი: „22 დეკემბრის საღამოს". შეკითხვა: „წინასწარ გაგაფრთხილეს, რომ ასეთი სტუმრები მოჰყავდათ თქვენთან?" პასუხი: „გაფრთხილება რად მინდოდა, მაგრამ მითხრეს მაინც". შეკითხვა: „ვინ გაგაფრთხილათ?" პასუხი:

„გუჯუჯი ებრალიძემ. გუჯუჯიმ ბატალიონი შექმნა „ჯიხას“ სახელწოდებით...“. შეკითხვა: „კერძოდ, ვინ მოიყვანა თქვენთან ზვიადი და მისი დაცვა?“ პასუხი: „ვახო ზარანდიამ. ეგ ვახო ვითომ ზვიადის მომხრე იყო და მერე მაგათ მილიციაში აღმოჩნდა სამსახურად“. შეკითხვა: „რითი მოვიდნენ?“ პასუხი: „გუჯუჯი სოფლის გამგებელი იყო და სოფსაბჭოს „უაზით“ მოვიდნენ. გუჯუჯიც მათთან იყო და ვახო ზარანდიაც...“.[745]

ჯონსონ კვარაცხელიას სახლში ყოფნა ხანგრძლივი არ ყოფილა – სულ რაღაც ხუთი დღე. რჩება ისეთი შთაბეჭდილება, რომ ვიღაცებს, იგულისხმება როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს შენაერთი, ისე უშიშროების სამინისტროს „რეალიზაციის ჯგუფი“, ეს დრო დასჭირდათ ხელახალი ფორმირებისთვის. პირველი, რაც თვალში საცემია, მხედრიონელები გაიყვანეს ჯიხაშკარის ზონიდან. რატომ შეიძლებოდა ეს გაეკეთებინათ? ამაზე მხოლოდ ვარაუდების დონეზე შეიძლება საუბარი. ალბათ, იმიტომ, რომ მათ აღარ ენდნენ. თითქოს ვიღაცებმა წინასწარ იცოდნენ, რომ ზვიადს და მის თანმხლებ პირებს ეს სახლიც მალე უნდა დაეტოვებინათ. ამისთვის კი უბრალო მიზეზი იკმარებდა, თუნდაც გუჯუჯი ებრალიძის დაკავება. ბოლოსწინა მოსვლისას გუჯუჯიმ მოიტანა ვახტანგ ზარანდიას დაკავების ამბავი. მანამდე არცერთი მეგზური, არცერთი ადამიანი, ჩართული პრეზიდენტის გადაადგილებებში, არ დაუკავებიათ.

გუჯუჯი ებრალიძემ პრეზიდენტს მოახსენა, რომ მისი ნახვა სურდა გია მამფორიას, წინააღმდეგობის მოძრაობის ერთ-ერთ გამორჩენილ აქტივისტს. ზვიადმა დაავალა, დაუყოვნებლივ მოეყვანა იგი. გუჯუჯი შეჰპირდა, მაგრამ მომდევნო დღეს ისევ მარტო მოვიდა იქ, სადაც დათქმული იყო შეხვედრა, გია მამფორია არ გამოცხადებულაო. ზვიადმა უთხრა, იქნებ, როგორღაც შემახვედროო. გუჯუჯი წავიდა და აღარ დაბრუნებულა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლის ჯონი ზარანდიას მტკიცებით, გუჯუჯი ებრალიძე 80-იან წლებში შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გადაბირებული ინფორმატორი იყო (გადამბირებელი გურამ ცქვიტავა). ჯონი ზარანდიას მოჰყავს მაგალითი, რომელიც აჩვენებს, რომ გ. ებრალიძე პუტჩის შემდეგ შევარდნაძის ძალოვნებსა და უშიშროებასთან თანამშრომლობაში იყო შემჩნეული. მისი ცნობით, გუჯუჯი ებრალიძემ ინალი მესხიას, ამ უკანასკნელმა კი ნაპოლეონ ქარქაშაძის პირით გააგებინა შევარდნაძეს ვალტერ შურღაიას მიერ 1992 წლის 24 ივნისს ტელევიზიის აღებისა და ამბოხების გეგმა, რის შემდეგაც ყველასათვის უცნობი, ზუგდიდის პოლიციის უფროსის მოადგილე უბნის ინსპექტორების ნაწილში ინალი მესხია შევარდნაძემ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს, რომან გვენცაძეს მაშინვე დაანიშვნინა შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეურნეო ნაწილის უფროსად.[746]

იყო თუ არა მოწამლული ზვიად გამსახურდია და ჰქონდა თუ არა მას სამეგრელოს სოფლებში გადაადგილებისას მოწამვლის ნიშნები? თითქოს მას ერთხელ უნდა ეთქვა დაცვის ბიჭებისთვის, რომ, მგონი, მომწამლესო; შესაძ-

ლებელია, ეს ისეთი საწამლავი იყოს, რომელიც დიდი ხნის შემდეგ იწყებს მოქმედებასო. გამორიცხული არაფერია, თუმცა იმავე როსტოვის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნაში ამ მხრივ არაფერი წერია. კიდევ ერთი ექსპერტიზა, ჩატარებული გარდაცვლილის ძვლებზე, სპეციალისტებს დიდი ალბათობით მისცემდა ამის დადგენის საშუალებას. ისიც ფაქტია, რომ ზვიადი ჩვეულებრივად გადაადგილდებოდა ჯონსონ კვარაცხელიას კარ-მიდამოში, მისი დატოვებისასაც არ უჭირდა სიარული. აღარაფერს ვიტყვი იმაზე, რომ მანამდე მან თავისი ფეხით რამდენიმეჯერ დაფარა, დაახლოებით, 8-15-კილომეტრიანი დისტანციები. ეს გულისხმობდა ბოგირებზე გადასვლას, ზოგჯერ წყალში გატოპვას, მაღალი გამავლობის სატვირთო მანქანებში ასვლას. იმავე ჯონსონ კვარაცხელიას თქმით, ებრალიძის ბოლო მოსვლისას პრეზიდენტმა სუფრას უთამადა და ერთ ლიტრამდე არაყი დალია. ამას ავადმყოფი ნამდვილად ვერ შეძლებდა.

ჯიხაშკარის დატოვების დროც დადგა. ძმები ზაურ (ჯუმბერ) და ანატოლი ჩუხუები, რომლებიც იყვნენ წინააღმდეგობის მოძრაობის აქტივისტის, მერაბ ჩუხუას, მამა და ბიძა (თუმცა თავად მერაბი იქ არ ყოფილა), მოვიდნენ ჯონსონ კვარაცხელიას სახლში და პრეზიდენტს აუწყეს გუჯუჯი ებრალიძის დაკავებისა თუ ჩაბარების ამბავი. მოხუცია, შეიძლება ზეწოლას ვერ გაუძლოს, გათქვას რაიმე ინფორმაცია ამ სახლში თქვენი ყოფნის შესახებო. ამიტომ ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ ეს სახლიც უნდა დატოვოთ, ხოლო სად უნდა გადახვიდეთ, ამას ჩვენ გავარკვევთო. ამ ყოველივეს მასპინძელიც, ჯონსონ კვარაცხელიაც, უგდებდა ყურს. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ზვიადს, რომელიც თავიდან თითქოს თანახმა იყო გადასვლაზე, მაინც არ სურდა ამ სახლის დატოვება.[747]

ჯონსონისავე მოგონებით, როდესაც ვუთხარი, თქვენივე უსაფრთხოებისთვის უნდა წახვიდეთო, მან მკითხა, მაგდებ, ბიჭოო? მე ვუთხარი, ეს სახლი სულაც თქვენი იყოს, მაგრამ თქვენი უსაფრთხოებისთვის ახლა ასე სჯობსო. მანქანა უკვე ელოდებოდა, დაცვაც მზად იყო; უხმოდ შებრუნდა, სახლიდან გავიდა და ამ დროს მაგიდაზე მდგარი ნავთის ლამფის შუშაც თავისით გატყდაო (შდრ. ფილმი „დინების საწინააღმდეგოდ"). ადამიანები, რომლებიც სამყაროსა და ბუნებაზე დაკვირვებისას რაღაც სხვა საზრისებსაც ხედავენ, ასევე პროცენტით ფიზიკური კანონებითა და ლოგიკით ახსნადი წესრიგის გარდა, ცხადია, ლამფის ასეთ უცნაურ და უმიზეზო გატეხაში რაღაცის მომასწავებელ ნიშანს დაინახავდნენ.

ზვიად გამსახურდიას, დაწყებული ილორში ყოფნიდან ძველ ხიბულამდე, არ გაუკეთებია და დასაბეჭდად ვინმესთან არ გაუგზავნია არცერთი განცხადება, არ მიუცია არცერთი ინტერვიუ. მაგალითად, პაველ ვოშჩანოვის მიერ 1994 წელს გამოქვეყნებული ინტერვიუ, აღებული, ვითომდაც, ამ პერიოდში, რომელშიც პრეზიდენტი ვიეკანანდას ახსენებს „მარადიული დაბრუნების" იდეასთან კავშირში და მიანიშნებს მოსალოდნელ თვითმკვლელობაზე, ნაყალბევია, „ფე-

იკურია"; იგი უფრო ჟურნალისტის ფანტაზიის ნაყოფს ჰგავს, რომელიც ცდილობს, წარმოიდგინოს, რას უპასუხებდა ტყესა და მთაში მყოფი პრეზიდენტი, თუკი ინტერვიუს ჩამოართმევდა.

6.6. ძველი ხიბულა

ამჯერად მიდიოდნენ ღურწკაიების ოჯახში, სოფელ ძველ ხიბულაში, თუმცა ეს მისამართი, ისევე როგორც სახელი და გვარი, ჯონსონ კვარაცხელიას ეზოში არ ხსენებულა. სახლი, როგორც ზაურ ჩუხუამ აღნიშნა, მოძებნა გუჯუჯი ებრალიძემ, რომელიც დააპატიმრეს თუ ჩაბარდა ცოტა ხნის წინ (შდრ. ფუტკარაძე). დააკვირდით, რამხელა ალოგიკურობა იყო, როდესაც ჯიხაშკარის სახლის დატოვება ხდებოდა ამ კაცის მიზეზით, არ გასთქვასო და ის ახალი სახლიც, სადაც მიდიოდნენ, იმავე პირის მიერ იყო მოძებნილი. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ არა მარტო ღურწკაიები, არამედ არც წინა მასპინძლები ყოფილან ზვიად გამსახურდიას პოლიტიკური მომხრეები, არც ჯიხაშკარელი ჯონსონ კვარაცხელია, არც ჯაღირელი ანზორ მებონია. რას ნიშნავს „მომხრე" მაშინდელ კონტექსტში? მომხრეობა შეიძლება ნიშნავდეს „მრგვალი მაგიდის" რომელიმე ორგანიზაციის წევრობას, საკუთარი კუთხის დაცვას იარაღით ხელში ან პოლიტიკური პოზიციის ღიად და დაუფარავად გამოხატვას, იქნებოდა, ეს თანასოფლელების თუ ახალი ადმინისტრაციის წარმომადგენლების წინაშე. ბოლო დღეებში ზვიადის არცერთი მასპინძელი ამ კატეგორიის პიროვნებას არ განეკუთვნოდა.

როდესაც 27 დეკემბერს კვარაცხელიას სახლიდან გადიოდნენ, იყო ბინდბუნდი, უკვე დაღამებას იწყებდა, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ, დაახლოებით, საღამოს 5 საათი იქნებოდა. ზვიადმა, ჩვეულებრივ, ფეხით ჩაიარა დაცერებული დაღმართი, რომელზე ამოსვლაც ძალიან გაუჭირდებოდა ჩვეულებრივ, ჯიპის პარამეტრების არმქონე მსუბუქ მანქანას; ჩაიარა ყოველგვარი დახმარებისა და შეფერხების გარეშე, რასაც ავადმყოფი, დაუძლურებული ადამიანი ვერ შეძლებდა. მას ეცვა მუქი ფერის პალტო, მის ქვეშ – კოსტიუმი, ეკეთა ჰალსტუხი. შესაძლოა, ვინმეს ეს უცნაურად მოეჩვენოს, მაგრამ ასე იყო ჯონსონ კვარაცხელიას ჩვენებით, თავზე კი ეხურა როგორც სსრკ-ში, ისე პოსტსაბჭოთა ქვეყნებში გავრცელებული, „უშანკად" წოდებული ყურებიანი ქუდი. ჩუხუას კუთვნილი „გაზ-24" იდგა იქ, სადაც დაღმართი სრულდებოდა. როგორც დაცვა ყვება, მანქანის სალონში, უკანა დასაჯდომზე, ოთხი ადამიანის ადგილი იყო. წინ ზაური და ანატოლი მოთავსდნენ, უკან – ზვიადი, ბესარიონ გუგუშვილი, რობინზონ მარგველანი და ბაჩუკი გვანცელაძე. ზაზა ბურჯანაძისა და გოჩა კეკენაძის ადგილი მანქანაში არ აღმოჩნდა. მათ განაცხადეს, რომ მზად იყვნენ, ახდილ საბარგულში ჩამსხდარიყვნენ ან ფეხდაფეხ გამოყოლოდნენ მანქანას, მაგრამ ჩუხუებმა ამაზე უარი განაცხადეს. თანაც ითქვა, რომ ოჯახი, სადაც მიდიოდნენ, ოთხ კაცზე მეტს ვერ უმასპინძლებდა. ერთხანს მათ მეხუთე პირიც

კი ჩაუჯდათ მანქანაში, ეს იყო გვარდიელი გულიკო ტიბუა, რომელიც ერთ-ერთი დაცვის წევრის კალთაში მოთავსდა, თუმცა იგი მალე ჩავიდა მანქანიდან.

მანქანამ გეზი ძველი ხიბულისკენ აიღო. ბურჯანაძე და კეკენაძე ჯონსონთან დარჩნენ. მათ უთხრეს, რომ მალე მოაკითხავდნენ და ნაიყვანდნენ.[742] ამის შემდეგ ცოცხალი ზვიად გამსახურდია ძმებ ჩუხუების, პრემიერისა და ორი პირადი მცველისგან შემდგარ სამეულის, ასევე, ძველი ხიბულის სახლის მასპინძლების – (გამომდინარე იქიდან, რაც მათ ჩვენებებში ნერია) გარდა აღარავის უნახავს. რაც შეეხებათ ბურჯანაძესა და კეკენაძეს, როგორც მათ განაცხადეს, ისინი სამი დღე დარჩნენ კვარაცხელიებთან, მთელ დღეს ატარებდნენ მასპინძლის ბაღის ბოლოში, იქ, სადაც ტყე იწყებოდა, და ხეების საფრის უკნიდან აკვირდებოდნენ ყველანაირ მოძრაობას. სახლში მხოლოდ საღამოობით შედიოდნენ დასაძინებლად. არავინ მათ წასაყვანად არ მოსულა.

მთავარი მოწმეების ჩვენებებიდან გამომდინარე, ჩუხუების კუთვნილმა მანქანამ ზვიადი და მის თანმხლები სამი პირი მიიყვანა ხობის რაიონის სოფელ ძველ ხიბულაში, კარლო და ლუდმილა ღურწკაიების კუთვნილ სახლში. სოფლის ამ ადგილს საღურწკაიოსაც უწოდებს ხალხი. ეს ადგილი იმითიცაა საინტერესო, რომ სამი სოფლის, საკუთრივ, ძველი ხიბულის, ჭაქვინჯისა და ნარაზენის, გზების გადაკვეთაზე მდებარეობს. იგი თითქმის თანაბრადაა დაშორებული სამივესგან. სახლს აქვს ეზო, თუმცა გზიდან დაბლაა ჩასასვლელი და გზის მხრიდან ჩვეულებრივ მოჩანს მთელი ეზო. ვიდრე გავიდოდნენ ზვიადს ერთ-ერთი ჩუხუასთვის უკითხავს, ეზო თუ ექნება იმ ახალ სახლს, რომ გავიარო ხოლმეო.

როგორც მასპინძელი ამბობდა, მას, დიდი ხნით ადრე, ნანახი ჰქონია სიზმარი, რომ მის სახლში პრეზიდენტი მოვიდა სტუმრად. არადა, როგორც გაირკვა, მისთვის ნათქვამი ჰქონდათ, რომ უზენაესი საბჭოს დეპუტატები მოდიოდნენ ღამის გასათევად. ნაშუაღამევს, დაახლოებით, პირველის ნახევარზე, მის სახლთან გაჩერდა „გაზ-24“, რომლიდანაც, კარლო ღურწკაიას ჩვენებით, გადმოვიდა ნაბდიანი კაცი, რამდენიმე პირის თანხლებით, დაახლოებით. ორ მეტრამდე სიმაღლის, მას წვერი ჰქონდა მოშვებული, ხოლო თავზე კავკასიური ფაფახი ეხურა. ამ თუთაშხიასებურმა სახემ მას მეგრულად ჰკითხა: „სიტიბა ქორენია?“ (ანუ შენს სახლში სითბო თუ არისო, კ. გ.). მასპინძელი, კარლო ღურწკაია, ამბობს, თავიდან ვერ ვიცანიო, შემდეგ ჩემმა ქალიშვილმა მითხრა, ეს ზვიად გამსახურდია არისო. როგორც ვხედავთ, აქ ჩნდება ერთი სერიოზული კითხვა და წინააღმდეგობაა: გამოდის, რომ, დაახლოებით, 5-6 კილომეტრის გავლას ჯიხაშკარიდან ძველ ხიბულამდე მანქანით, დაახლოებით, ხუთ საათს მოუნდნენ, რაც სრულიად აუხსნელია. ასევე პრეზიდენტის ჩაცმულობა არანაირად არ ემთხვევა იმას, როგორითაც მან ჯონსონ კვარაცხელიას სახლი დატოვა. ამის შემდეგ, კარლო ღურწკაიას ჩვენებით, ამ კაცმა (მისი თქმით, ზვიადმა) დაათვალიერა სახლის მეორე სართული, სადაც უნდა მოესვენა, იქ დარჩა და ამის შემდეგ, მას ეს სტუმარი ცოცხალი აღარ უნახავს, მხოლოდ ჩემი მეუღლე ავიდა ერთხელ მეორე სართულზეო. შეკითხვაზე, შეიძლებოდა თუ არა მის სახლში

ამაზე მეტნი დატეულიყვნენ, ღურწკაია აცხადებს, რომ ეს შესაძლებელი იყო და არავისთვის უთქვამს, თითქოს „მხოლოდ ოთხ კაცს მიიღებდა“.[749]

მცველების, მარგველანისა და გვანცელაძის, ჩვენებით ისინი მთელი დღე სახლის მეორე სართულზე რჩებოდნენ, ტუალეტშიც კი არ გადიოდნენ, რის მაგივრობასაც თითქოს თუნუქის სათლი თუ ვარცლი სწევდა, რაც არადამაჯერებელია. მესამე ღამით, როდესაც ეძინათ და თენდებოდა 1993 წლის 31 დეკემბერი, ბესარიონ გუგუშვილმა ძილში გაიგონა უცნაური ხმაური, რაც ჰგავდა თასის თუ ვარცლის დაცემის ხმას. როდესაც გაიღვიძა, მოეჩვენა რომ პრეზიდენტს გული ერეოდა. წამოდგა და მისი პირადი მცველები გააღვიძა, რომლებსაც მეორე ოთახში ეძინათ. ხმაურზე მათაც გაღვიძებოდათ და, როდესაც სამივემ ერთად აანთეს სანთლები ან ნავთის ლამპა (დენი, ცხადია, არ ყოფილა), მათ დაინახეს საწოლზე ნახევრად წამომჯდარი პრეზიდენტი, რომელსაც მარჯვენა საფეთქლიდან სისხლი ჩამოსდიოდა, ხოლო ხელში, რომელიც მუცლის მიდამოებში ედო, ეჭირა მბოლავი „სტეჩკინი“ – ავტომატური პისტოლეტი. ხელი თითქოს მოძრაობდაო, – ამბობდა შემდგომ გუგუშვილი.

ერთმანეთისგან განსხვავებულია ჩვენებები პრეზიდენტის ჩაცმულობაზე 31 დეკემბრის ღამითაც, როდესაც მთავარი მოწმეები აღწერენ სურათს, რომელიც მათ ნახეს. ერთ მოწმეთა მიხედვით, გარდაცვალების წუთებში მას კოსტიუმი, პიჯაკი და მისი შესაბამისი შარვალი, ეცვა, რობინზონ მარგველანის მიხედვით კი სვიტრი ეცვა, ხოლო პიჯაკი იქვე ეკიდა. მასპინძლის მეუღლე, ლუდმილა აფშილავა, ასევე გაკვირვებული აღნიშნავს – პრეზიდენტს ასე უცბად პიჯაკი ვინ ჩააცვა, მას სპორტული პიჟამით ეძინაო. სხვა ვერსიით, ერთ-ერთი პირი, ჯაღირა-ჯიხაშკარის წრიდან, 29 ან ყველაზე გვიან 30 დეკემბერს მისთვის კოსტიუმს ეძებდა, რათა სასვენებელში ამ ახალი პიჯაკით ჩაესვენებინათ (შდრ. ფილმი „დინების საწინააღმდეგოდ“, ნაწილი პირველი). არადა, ამ დროს პრეზიდენტი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. ამგვარი ცდომილება, შესაძლოა, სხვადასხვა მიზეზით იყოს გამოწვეული – ან აერიათ თარიღი და ზვიად გამსახურდია გაცილებით ადრე დაიღუპა, ან რაღაც სხვა მიზეზია, რომელიც გამოძიებამ უნდა გაარკვიოს.

უშიშროების სამსახურის მაშინდელი უფროსი იგორ გიორგაძე ასეთ ვერსიას ავითარებდა ჩვენებაში: „გია გულუას ჯგუფიდან არის ინფორმატორი, რომელიც წინასწარ ავრცელებს ინფორმაციას, რომ პრეზიდენტმა თავი მოიკლა და უკვე ეძებენ კოსტიუმს მის გასაპატიოსნებლად. ამ დროს ზვიადი ჯერ კიდევ ცოცხალია, როდესაც ვრცელდება ინფორმაცია მის თვითმკვლელობაზე და ერთი კაცი ორი დღით ადრე ყიდულობს მისთვის კოსტიუმს“.[750] სამწუხაროდ, დაკარგულია გასროლილი ტყვიის როგორც მასრა, ისე გული. მთავარი მოწმეების თქმით, ისინი ვერ იპოვეს. როგორც მასპინძლებმა აღნიშნეს, როდესაც მათ ძილში გაიგონეს რაღაც ყრუ ხმა, ასევე ამოვიდნენ ზედა სართულზე. სახლის შიდა კიბეზე პირველი ავიდა ნუკრი ღურწკაია, კარლო და ლუდმილა ღურწკაიების ვაჟი. მის ჩვენებაში უცნაური ის არის, რომ სისხლი საერთოდ არ დაუ-

ნახავს, არადა, კრიმინალისტიკიდან ცნობილია, რომ ორივე ჭრილობა, თავში შემავალიც და გამომავალიც, სისხლმდენია.

მასპინძლის, კარლო ღურწკაიას, თქმით, რამდენიმე წუთის წინ გარდაცვლილი პრეზიდენტის ხელში მას საერთოდ არ დაუნახავს იარაღი. დაცვის წევრები სისხლის დიდ რაოდენობაზე საუბრობენ, როგორც თეთრეულზე, ისე საწოლის სიახლოვეს. კარლო ღურწკაიას თქმით, მან პრეზიდენტს ხელი მოკიდა თავზე და ხელი ჩამივარდაო. ანუ თავზე, უფრო ზუსტად, კისრისა და კეფის არეში, რაღაც ისეთი ფართო დაზიანება იყო, რომელიც, სავარაუდოდ, ტყვიის გამომავალ ჭრილობას უკავშირდებოდა. მაგრამ ტყვიას, როგორც მოგვიანებით გაირკვა, მარცხენა ყურს ქვემოთ და არა კეფის არეში ჰქონდა გამოსავალი. სწორედ ამ ჩვენებამ გააჩინა ვერსია მეორე ტყვიის არსებობის შესახებ, რომელსაც შესასველელი თითქოს წინა მხარეს, ნიკაპთან ახლოს, ქვედა ყბის რბილობში ჰქონდა. ამასთან, არც ისაა გამორიცხული, რომ ღურწკაიამ სწორედ ტყვიის გამომავალ ადგილას, ყურს ქვემოთ შეახო ხელი, ამიტომ ორი ტყვიის ვერსია კრიტიკას ვერ უძლებს და ჰიპოთეზურობის სფეროს ვერ სცდება.[751]

როსტოვის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნაში, რომელიც 2007 წელს რუსეთის ფედერაციის სპეციალურ ლაბორატორიაში დაიწერა, დადგენილია თავის ქალაში გამავალი ტყვიის ტრაექტორია. მისი მიმართულებაა რამდენადმე ზემოდან ქვემოთ და წინიდან უკან. წარმოვიდგინოთ, თუ თვითმკვლელი საფეთქელთან იდებს და როგორც წესი – იბჯენს იარაღს, ამ შემთხვევაში აუცილებლად ჩნდება „სტანცმარკა" – ეს არის პირდაპირი ასლი ლულისა საფეთქელსა ან შუბლზე. ბჯენით ხდება ლულის ფიქსაცია, სხვა შემთხვევაში, უკუცემის ძალის გამო ტყვია, შესაძლოა, სხვა მიმართულებით წავიდეს. თუ ძალიან ახლო მანძილიდანაა ნასროლი, ვგულისხმობთ 2-3 სანტიმეტრს, იქაც სერიოზული დამწვრობის კვალი რჩება, ხოლო ბჯენისას – ჯვარედინი ნახეთქიც. არც ერთი და არც მეორე არ აღენიშნება გარდაცვლილს, ეს არც ფოტოგრაფიებზე ჩანს და არც შემდგომ მიცემულ ჩვენებებშია ამაზე საუბარი. ამ დასკვნაში საუბარია 9-მილიმეტრიან ტყვიაზე, რაც „სტეჩკინის" ტყვიის პარამეტრებს შეესაბამება, თუმცა, არა მარტო: ამ ზომის ტყვიებს სხვა მარკის იარაღებიც ისვრის.[752]

ერთადერთი გარეშე პირი, რომელმაც დაათვალიერა ზვიად გამსახურდიას ცხედარი და აღწერა იგი მოგვიანებით ინტერვიუში, იყო ექიმი დავით ჯალაღონია, რომელმაც 1994 წლის პირველ იანვარს, პირველ დაკრძალვამდე, დაათვალიერა ზვიად გამსახურდიას ცხედარი. იგი ამბობს: „ზუსტად მარჯვენა საფეთქლის ოდნავ დაბლა, თვალის გასწვრივ მოჩანდა შემავალი ტყვიის ადგილი და გამოდიოდა მარცხენა მხარეს, უკან, დვრილისებრ მორჩში, და ყველაფერი გამონგრეული ჰქონდა. იარაღი ზედ საფეთქელზე არ იყო მიდებული, ოდნავ შორიდან არის ნასროლი. თვალის გასწვრივ ძვალი დამტვრეული არ არის. დამწვარიც კი არ იყო, მაგრამ დენთის ნაკვალევი შეიმჩნეოდა". ჯალაღონიას ეს ცნობა საერთოდ არ არის თვითმკვლელობის მტკიცებულება. პირიქით, ეს

ჩვენება იმაზე მიუთითებს, რომ „სტანცმარკა“ მიცვალებულს არ აჩნდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ რევოლვერის ლულის პირი ჭრილობის ადგილიდან დაშორებული იყო, მინიმუმ, 10 და მაქსიმუმ, 50 სანტიმეტრით. თუ წარმოვიდგენთ, რომ ტყვია 10-50 სანტიმეტრის დაშორებიდან იყო ნასროლი თვითმკვლელობის მიზნით, ძალიან არაბუნებრივი და უხერხულზე მეტად უხერხული პოზა გამოდის. წარმოვიდგინოთ, რომ იარაღი, დაახლოებით, ისე ეჭირა, რომ დამიზნებისთვის მისი დახრაც მოახერხა და ამ გასროლის შემდეგ კიდევ ხელი დაუშვა მუცელზე, ისე, რომ იარაღი ისევ ხელში ეჭირა. არადა, ეს იარაღი 24 სანტიმეტრის სიგრძისაა, სავსე მჭიდთან ერთად ორ კილოგრამამდე იწონის, არსებითად, ესაა მცირე ზომის ავტომატი და ხელზე გადადის მთელი უკუცემის ძალა, რომელიც შეადგენს დაახლოებით 340 ჯოულს.

რაც შეეხება იარაღს, აქაც ბუნდოვანებაა. ეს „სტეჩკინის“ მარკის პისტოლეტი, როგორც მკვლელობისა თუ თვითმკვლელობის მთავარი სამხილი, ნაპოვნი არ არის. არც ის არის დადგენილი, თუ საერთოდ რომელი იარაღი ჰქონდა პრეზიდენტს. დაცვის წევრების თქმით, ზვიად გამსახურდია ბადრი ზარანდიას ნაჩუქარ „სტეჩკინის“ სისტემის პისტოლეტს ატარებდა. მაგრამ ბადრი ზარანდიას, გარდაცვალებისას, 2003 წელს, თავისი კუთვნილი იარაღი თვითონვე ჰქონდა. მეორე ვარაუდით, „სტეჩკინის“ კონსტრუქციის იარაღი პრეზიდენტს ერთ-ერთმა გვარდიელმა, ავთო პაკელიანმა აჩუქა. ეს „სტეჩკინი“ თითქოს ჯონსონ კვარაცხელიას ეზოში ჩამარხეს, საიდანაც წაიღო პრეზიდენტის ქვრივმა 2002 წელს. ამის შემდეგ ხსენებული იარაღის კვალი გამქრალია. წინააღმდეგობრივია მთავარ მოწმეთა ჩვენებები, რომლებიც მათ მოგვიანებით გამოძიებას მისცეს ამ იარაღთან დაკავშირებით.

კეკენაძე და ბურჯანაძე ერთხანს ჯონსონის სახლში რჩებოდნენ, ვიდრე არ მოვიდა ზვიადის ახალი მასპინძლის მათთვის უცნობი შვილი, ტიბუასათან ერთად და არ უთხრა, რომ პრეზიდენტი აღარ იყო, სიცოცხლე მან თვითმკვლელობით დაასრულაო. ეს უკვე 31 დეკემბრის დილა იყო. კეკენაძე და ბურჯანაძე ჯიხაშკარიდან წამოვიდნენ ძველ ხიბულაში.და უკვე მოსაღამოებულს მოაღწიეს იქ. როდესაც ცხედრის გაპატიოსნება დასრულდა, მოიყვანეს ტრაქტორი, რომელსაც ძარა წინა მხარეს ჰქონდა დამონტაჟებული, დაასვენეს ზედ პრეზიდენტის ცხედარი და იგი უკან მიასვენეს ჯიხაშკარში, ჯონსონ კვარაცხელიას სახლში. აქვე დაიკრძალა ზვიად გამსახურდია პირველად – ბაღში, ტყის პირას. მასპინძელი (კ. ღურწკაია) იგონებდა: „ამასობაში ახალი წლის ღამეც დადგა. გვიან ღამით, უკვე პირველ იანვარს, 04 საათისთვის მოიყვანეს ტრაქტორი, რომელსაც წინ ჰქონდა ძარა. ზვიად გამსახურდიას ცხედარი ესვენა ორ ლეიბსა და „ლეჟანკაზე“, ასეთ მდგომარეობაში გამოასვენეს ჩემი სახლიდან, დაასვენეს ტრაქტორის ძარაზე და ყველანი ერთად, ამ ტრაქტორით წავიდნენ“.[753]

პრეზიდენტის პირველი დაკრძალვის შემდეგ დაცვის ბიჭების (მარგველანისა და კეკენაძის) თქმით, ისინი ერთხანს ჯონსონთან დარჩნენ, თუმცა თავად ჯონსონ კვარაცხელიამ სახლი დატოვა და დროებით სხვაგან გადავიდა. არა-

და, თავად ეს ფაქტიც სრულიად ალოგიკურია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ჯონსონის სახლი გაცემული იყო და პრეზიდენტი იქიდან სწორედ ამ მიზეზის გამო გადაიყვანეს. მას შემდეგ, რაც ორი პირადი მცველი (ბურჯანაძე და გვანცელაძე) ბათუმის გავლით გროზნოსკენ გაემგზავრა, გუგუშვილი, მარგველანი და კეკენაძე წალენჯიხის რაიონის სოფელ ნაკიფუში გადავიდნენ. ეს უნდა ყოფილიყო 3 ან 4 იანვარს. იქ რამდენიმე დღეს დარჩნენ და შემდეგ ძალიან მცირე ხნით დაბრუნდნენ ჯიხაშკარში. სწორედ ამ სამეულის ყოფნისას ნაკიფუში მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა გადმოსცეს ცნობა პრეზდენტ გამსახურდიას თვითმკვლელობის შესახებ. მანამდე, მარგველანის თქმით, თავად ის და კეკენაძე ჯონსონის ეზოს ბოლოში შეფენილი ტყიდან აკვირდებოდნენ იქაურობას. მათ თვალში მოხვდათ თეთრი „ნივა“, რომლიდანაც ორი კაცი გადმოვიდა. მიიხედ-მოიხედეს და, როდესაც ჯონსონი ვერ დაინახეს, წავიდნენ. ამ დროს მათ გაახსენდათ ვახო ზარანდიასა და გუჯუჯი ებრალიძის ნათქვამი, რომ თეთრი ფერის „ნივა“ ეკუთვნოდა სოხუმის უშიშროების ოფიცერს. ამ ადამიანის ვინაობა ცნობილია – ეს იყო იქვე ახლოს მცხოვრები გია მხეიძე, ხსენებულ პირთა მეზობელი, ადრე გენერალ ავთო იოსელიანის კოლეგა და მისი ხელქვეითი სოხუმში. რასაკვირველია, ვახო ზარანდიაცა და გუჯუჯი ებრალიძეც მას შესანიშნავად იცნობდნენ. ისე გამოდის, რომ სწორედ მისმა გამოჩენამ დააფიქრა დაცვა, რომ ხუნტის ძალოვნებს, შესაძლოა, დაეწყოთ საფლავის ძებნა. მაგრამ, ჯონსონ კვარაცხელიას თქმით, იგი თავად ესაუბრა მხეიძეს, ანუ აქაც შეუსაბამობაა.

დიდი ალბათობით, მხეიძის გამოჩენა ჯონსონის სახლთან არ იყო შემთხვევითი. ამის შემდეგ, უკვე 6 იანვარს, ცხედარი, დაახლოებით, თვრამეტი გვარდიელის თანხლებით გადაასვენეს ჯიხაშკარის მეორე ბოლოში, საკმაოდ იზოლირებულ ადგილზე მდგომ სახლში, რომელიც ეკუთვნოდა ვალიკო ზარანდიას. ვალიკომ მათ მისცა თავისი სახლის მეორე სართულზე პრეზიდენტის ცხედრის დასვენების უფლება, შემდეგ მოიყვანეს მეკუბოე, რომელმაც სასვენებელი დაამზადა. გარდაცვლილის ცხედარი ზარანდიას კუთვნილ სადურგლო სახელოსნოში დაიკრძალა. ეს უკვე მეორე დაკრძალვა იყო.

6.7. გარდაცვალების ვერსიები

დაწურულად თუკი წარმოვადგენთ, ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების სამი ვერსია არსებობს. ვერსია ჰიპოთეზაა და, რა თქმა უნდა, იგი ფაქტებითა და სამხილებით სათანადო გამყარებას საჭიროებს, ვიდრე საბოლოოდ დამტკიცდება: პირველი არის, პირობითად, ბესარიონ გუგუშვილისა და რობინზონ მარგველანის ვერსია, რომელიც გულისხმობს თვითმკვლელობას. სახლის მეორე სართულზე მყოფ არცერთ „მძინარე“ მოწმეს ეს საკუთარი თვალით არ უნახავს, თუმცა პოსტ-ფაქტუმ გამოიტანეს ზვიად გამსახურდიას გარდაცვალება-

ზე ასეთი დასკვნა, რამდენადაც ღურწკაიების სახლში ამ დროს მასპინძლებისა და მათ გარდა არავინ იმყოფებოდა, ხოლო აივნიდან სახლში დატანებული ორივე ზედა კარი, საიდანაც შეიძლებოდა ამ ოთახებში მოხვედრა, თითქოს დაკეტილი იყო. ერთადერთი კვალი, რომელიც დარჩენილია საწოლის ხის დაფაზე, არის, თითქოს, გარდაცვლილის თავიდან გამომავალი, ასხლეტილი ტყვიის ნაკაწრი, რაც თავისთავად უცნაურია. მისი ასხლეტის არც მიმართულება და დატოვებული დაზიანების ტიპი ეუბნება რამეს დამკვირვებელს. ეს, ისევე როგორც ვერსია ზოგადად, უფრო მეტ შეკითხვას ბადებს, ვიდრე პასუხს სცემს უკვე არსებულებს. სხვა ყველანაირი კვალი გამქრალია, არ არის გასროლილი ტყვიის გულა, არ არის მასრა, არც თავად იარაღი. საწოლის საბნები, ლეიბები და თეთრეული იმ დღეებშივეა დამწვარი და ამგვარად წაშლილია კვალი.

მეორე ვერსიას, პირობითად, შეიძლება ეწოდოს კიტოვანი-გიორგაძის ვერსია. იგი გულისხმობს ჯიხაშკარიდან წამოსვლის შემდეგ, იმავე დღეს, ღურწკაიების სახლში დაბინავებასა და მეორე ან მესამე ღამეს გარედან მაყუჩიანი 9-მილიმეტრიანი პისტოლეტით შეიარაღებულ პროფესიონალი მკვლელის შემოსვლას, რომელსაც ყველაფრის ჩასატარებლად ეყოფოდა სადღაც ერთი წუთი და 10-15 წამი. ამ შემთხვევაში მოვლენების ამგვარი განვითარება შეიძლება დავუშვათ: ა) დაცვა და მეორე ოთახში მყოფი გუგუშვილი და ზვიად გამსახურდია დააძინეს სპეციალური აირით; ბ) დაცვა და გუგუშვილი ამ დროს იმყოფებოდნენ ქვედა სართულზე, როდესაც მკვლელი ეზოდან კიბით ავიდა საკმაოდ ვრცელ ხის აივანზე, ხოლო აქედან უკვე კარების გავლით მოხვდა ზედა სართულზე, იმ ოთახში, სადაც იმყოფებოდა პრეზიდენტი. აქ უცნაურია, რომ დაცვის ოთახში მოსახვედრად ჯერ ეს ოთახი (სადაც პრეზიდენტს ეძინა) უნდა გაგეელოთ, არადა, ლოგიკას თუ მივყვებით, პირიქით, უნდა ყოფილიყო. გ) ვიღაცამ (თ. კიტოვანი არ აკონკრეტებს) კარები გაულო მკვლელს. რასაკვირველია, ეს ვერსიაც ბევრ კითხვას ბადებს.

მესამე ვერსია ანონიმური ძალოვნებისგან მომდინარეობს. ამ ვერსიის მიხედვით, პრეზიდენტმა და მისმა თანმხლებმა პირებმა დატოვეს ჯონსონ კვარაცხელიას სახლი ჯიხაშკარში, დაახლოებით, საღამოს ექვს საათზე. ისინი მალევე შეჩერებულ იქნენ ხელოვნურად გადახერგილ გზაზე იქვე ჩასაფრებული სპეცდანიშნულების რაზმის ჯარისკაცთა მიერ, რომლებმაც მათი განიარაღება მოახერხეს. ამის შემდეგ პრეზიდენტი ცალკე გადაიყვანეს უკვე პრეპარირებულ სახლში, სადაც გამზადებული იყო კამერა მის ჩასაწერად. პრეზიდენტისგან ითხოვდნენ იმის აღიარებას, თითქოს მისი ჩამოსვლის მიზანი იყო აფხაზეთში ქართული შეიარაღებული ჯარების დამარცხების ხელშეწყობა და საქართველოს ხელისუფლების დამხობა. თუ კამერის წინ ამას იტყვი, ცოცხალი დარჩებიო. ამ შემოთავაზებაზე ზვიადმა თითქოს მხოლოდ ერთი რამ უპასუხა – მომავალ თაობებს რა პასუხს გასცემთო. მანამდე გია გულუამ, რომელიც ამ რაზმს თან ახლდა, დარეკა რაციით შევარდნაძესთან და უთხრა, რომ პრეზიდენტი დაკავებულიაო. შევარდნაძემ უპასუხა, რა ვქნათ ახლა, სუფრით ხომ არ

დაგხვდეთო? ჩემთან ამ საკითხზე ნუღარ დარეკავთო. ამის შემდეგ საუბარი თითქოს შეწყდა. ამ ვერსიით, იგორ გიორგაძემ ერთ-ერთი უშიშროების თანამშრომლის საშუალებით, იცოდა რა, რომელ ტალღაზე მიდიოდა ეს კონტაქტი, მოახერხა აღნიშნული რადიოსაუბრის მოსმენა. მოგვიანებით, უკვე საქართველოდან რუსეთში გაქცევის შემდეგ, გიორგაძემ ისე გამოიყვანა საქმე, თითქოს თავად ესაუბრა შევარდნაძეს და უთხრა, შემიძლია პრეზიდენტის აყვანა და როგორ მოვიქცეო, ხოლო შევარდნაძემ ამავე ტიპის პასუხი გასცა, სადაც ასევე ფიგურირებდა „სუფრის გაშლა“.

ამ ვერსიის მიხედვით, იმ სახლში, რომელშიც დაკავებული პრეზიდენტი ჰყავდათ, მოვლენები თითქოს ასე განვითარდა: ზემოთ ნახსენები უარის შემდეგ სკამზე მჯდომ პრეზიდენტს თავში ესროლა იქვე მყოფმა პიროვნებამ. პრეზიდენტის ცხედარი, დაახლოებით, ღამის თორმეტ საათზე მიიტანეს სოფელ ძველ ხიბულაში (რითაც, თითქოს, აიხსნება პრეზიდენტისა და მისი თანმხლები პირების რამდენიმე საათი გზაში ყოფნა, ჯიხაშკარიდან 5-6 კილომეტრის დაშორებით მდებარე ძველი ხიბულის სახლში მისვლამდე.). გუგუშვილი და ორი პირადი მცველი, რომლებიც მანამდე მეორე სახლში ჰყავდათ და ფსიქოლოგიურად დაამუშავეს, უკვე იქ იყვნენ. პირებმა, რომლებმაც პრეზიდენტის ცხედარი მოასვენეს, მათ უთხრეს, რომ პრეზიდენტმა მოლაპარაკებების დასრულების შემდეგ თავი მოიკლა. მანამდე მასპინძელთან, კარლო ღურწკაიასთან, გაასაუბრეს იმიტატორი – პირი, ვითომდაც ზვიადი, რომელმაც მასპინძელს მეგრულად ჰკითხა, სითბო თუ გაქვსო.

ზვიადის ცხედარი დაასვენეს საწოლზე, ხოლო გასვლის წინ ერთ-ერთმა ძალოვანმა საწოლის დაფისადმი რევოლვერის ლულა ირიბად მიმართა, გაისროლა და ასხლეტის კვალიც ასე დარჩა. რა თქმა უნდა, ეს ვერსია უფრო მეტ შეკითხვას ბადებს, ვიდრე პირველი და მეორე ვერსიები.

6.8. პირად მცველთა ჩასვლა გროზნოში გუგუშვილთან ერთად და ჩეჩნური დელეგაცია საქართველოში

როგორც დაცვის ბიჭები ამბობდნენ, მეორედ დაკრძალვისას გზებსა და გადასასვლელებზე შედარებით სიხალვათე იყო. თუ იქამდე ყველგან ხუნტის შეიარაღებული ჯგუფები იდგა პიკეტებზე, შემდეგ ეს პიკეტები მოიხსნა. თუ იქამდე ალყაში გვაქცევდნენ, ახლა ალყა უკვე მოხსნილი იყოო, – აღნიშნავდნენ პირადი მცველები. საფლავის ძებნის შესახებ ერთ-ერთმა გვარდიელმა უთხრა მარგველანს. იგი ამბობდა, ვიღაცები ახალ საფლავებს თხრიდნენ და პრეზიდენტის ცხედარს ეძებდნენ, შესაძლოა, იმისთვის, რომ დარწმუნებულიყვნენ, მართლა გარდაიცვალა თუ არა პრეზიდენტიო. ის ცნობაც, რომ ზვიად გამსახურდიას დასაფლავების შემდეგ მარგველანი, გუგუშვილი და კეკენაძე სულ ჯიხაშკარში იყვნენ, სიმართლეს არ შეესაბამება, რადგანაც, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ,

ერთხანს წალენჯიხის რაიონის სოფელ ნაკიფუში იმყოფებოდნენ. ამის შემდეგ ისინი ვახტანგ ზარანდიას ერთ-ერთმა მეზობელმა, სახელად ოტელომ, ზაპოროჟეცით ბათუმამდე ჩაიყვანა, ჯერ – მარგველანი და კეკენაძე; შემდეგ კი – გუგუშვილი. ანუ, როგორც აქედან ირკვევა, ოტელო ბათუმში ორჯერ ნავიდა და ნამოვიდა. მან, რასაკვირველია, მანქანაში მსხდომებთან ერთად ამ მარშრუტის დაფარვისას გაიარა არაერთი საკონტროლო-გამშვები პუნქტიც. ბათუმიდან ისინი მეორე დღეს გროზნოში გაფრინდნენ.

მანამდე, 4 იანვარს, გროზნოში ჩავიდნენ ზ. ბურჯანაძე და ბ. გვანცელაძე, რომლებმაც ამბავი ჩაიტანეს, პრეზიდენტმა თავი მოიკლაო. ჩეჩნეთში მათი ჩასვლიდან მომდევნო დღეს, მანანა არჩვაძემ ინტერფაქსის საინფორმაციო სააგენტოს განუცხადა, რომ მისმა მეუღლემ 31 დეკემბერს თავი მოიკლა, როდესაც ის და მისი თანამებრძოლების ჯგუფი დასავლეთ საქართველოში ერთ-ერთ ოჯახში თავს აფარებდნენ, დევნილნი მხედრიონებისგან. აქედან ეს ცნობა გავრცელდა მთელ მსოფლიოში. რუსული მედიის განცხადებით, პრეზიდენტის მცველებმა გაიგონეს მოგუდული სროლის ხმა მეზობელ ოთახში და შემდეგ ნახეს, რომ გამსახურდიამ თავი მოიკლა „სტეჩკინის“ მარკის პისტოლეტით. მანანა არჩვაძე ამ ცნობის გავრცელებისას სრულიად იზიარებდა ბესარიონ გუგუშვილის, რობინზონ მარგველანისა და ბაჩუკი გვანცელაძის მიერ გადმოცემული ამბის უტყუარობას. სრულიად ბუნებრივია, რომ ადამიანებს დროთა განმავლობაში გაუჩნდათ კითხვები, რამ გამოიწვია ზვიად გამსახურდიას მხრიდან ასეთი ნაბიჯი, მით უმეტეს, რომ მას წერილი არ დაუტოვებია. უკანა რიცხვით, წლების მერე ამოტივტივდა რაღაც ძალიან მოკლე განმარტება წერილის არსებობის შესახებ, რომელშიც, თითქოს, პრეზიდენტი ამბობდა, რომ მისი თვითმკვლელობა განპირობებული იყო იმით, რომ მან ვერ შეძლო კანონიერი ხელისუფლების აღდგენა. არცერთი სიტყვით არ ახსენებს ამ წერილს გურამ შარაძე, თავის წიგნში ზვიად გამსახურდიას დაკრძალვის შესახებ, ასევე, არც აკადემიკოსი ვახტანგ ბოჭორიშვილი. არც უზენაესი საბჭოს წევრებს აქვთ ეს წერილი სადმე ნახსენები ან გაგონილი მისი არსებობის შესახებ. შესაბამისად, იგი არც გამოძიებას გადასცემია, როგორც დოკუმენტი ან მტკიცებულება.

გურამ შარაძეს თავის წიგნში, სხვათა შორის, ნახსენები საერთოდ არა აქვს ძველი ხიბულა. იქ პრეზიდენტის დაღუპვის ადგილად ჯაღირაა დასახელებული. როდესაც ვკითხე მას, საიდან ჰქონდა ასეთი ინფორმაცია, მიპასუხა: როგორც მითხრეს (გულისხმობდა დაცვის ბიჭებს), ისე დავწერეო. ეს, შესაძლოა, იმითაც აიხსნას, რომ ზვიადის დაცვის წევრებს, რომლებიც ადგილობრივები საერთოდ არ ყოფილან, ჯაღირა, ჯიხაშკარი და ძველი ხიბულა ერთი სოფელი ეგონათ. საინტერესოა, რომ დაკითხვისას რობინზონ მარგველანი კარლო ღურწკაიას სახელსა და გვარს საერთოდ არ ასახელებს – იგი ახსენებს ბოლო მასპინძელს, რომელსაც სახელად ლადო ერქვა. სოფლის სახელი „ძველი ხიბულა“, როგორც პრეზიდენტის დაღუპვის ადგილი, პირველად ნახსენები იქნა არა „მთავარი მოწმეების“, არამედ გიორგი გამსახურდიას მიერ ერთ-ერთ ინტერვი-

უში 1999 წელს. როგორც კარლო ღურწკაია წერს, პირველად მომხდარ ფაქტზე პრეზიდენტის ვაჟს, გიორგი გამსახურდიას მოვუყევიო, რომელიც ჩემთან 1999 წლის პირველ იანვარს მოვიდაო.[754] აქედან გამომდინარეობს, რომ დაღუპულის ოჯახის წევრს ამ სახლში მისვლა დაუსწრია პროკურატურის გამომძიებლებისთვის, რომლებიც, ღმერთმა უწყის, რას აკეთებდნენ მანამდე, ექვსი წლის განმავლობაში.

სწორედ ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით გაჩენილი კითხვების თავიდან ასარიდებლად ბესარიონ გუგუშვილმა გადაწყვიტა დაედო საკუთარი ვერსია იმის შესახებ, თუ როგორ მოხდა მისი და მარგველანის მონათხრობის არასწორი აღქმა: თითქოს თავიდან გაჩნდა ეჭვები პრეზიდენტის ქვრივის, მანანა არჩვაძის, მხრიდან, რამდენად შეესაბამებოდა სიმართლეს მათი მონაყოლი. თავად ეს ფაქტი, რა თქმა უნდა, ბესარიონისთვის, მარგველანისა და გვანცელაძისთვის ყველაზე მეტად მომგებიანი იყო, რამდენადაც ამ ქალბატონის მხრიდან ალოგიკური, კაპრიზული და სრულიად დაუსაბუთებელი ბრალდებები არავისთვის იქნებოდა გასაკვირი და მოულოდნელი სიახლე. ცხადია, ბატონ ბესარიონს არც შემდგომ მიცემულ ინტერვიუებში, არც სხვა სტატიებში არცერთი სიტყვით არ აღუნიშნავს, რომ შეკითხვები განდევნილი უზენაესი საბჭოს თითქმის ყველა დეპუტატსაც გაუჩნდა მის მიმართ. ამის შემდეგ ბესარიონმა თითქოს დაიმუქრა, რომ იგი საფლავის ადგილსამყოფელის შესახებ მონაცემს გადასცემდა ხუნტას, რათა მათ ჩაეტარებინათ ექსპერტიზა დაღუპული პრეზიდენტის ცხედრისთვის. ხდება გაუგონარი რამ, რომელიც თავისი ინფანტილური, უპასუხისმგებლო და ანტისახელმწიფოებრივი შინაარსით, მართლაც განსაცვიფრებელია – ფორმდება ხელშეკრულება თვითმკვლელობის მოწმეებსა და ზვიად გამსახურდიას ოჯახს შორის. ამ უკანასკნელში კი მხოლოდ მანანა არჩვაძე იგულისხმება. ცოტნე და გიორგი ამ დროს არასრულწლოვანები არიან, მე კი, იმ დროს შვეიცარიაში მყოფს, არავინ დამკავშირებია.

ამ გაუგონარ ხელშეკრულებაში წერია: „ოჯახის წევრები და სიკვდილის მონმენი კატეგორიულად უარს ამბობენ ზვიად გამსახურდიას სიკვდილთან დაკავშირებულ გამოძიებასა თუ რაიმე გამოკვლევაში მონაწილეობაზე. პრეზიდენტ გამსახურდიას ოჯახი კატეგორიულად უარს ამბობს, რომ გარდაცვლილის ცხედარი გაკვეთონ, გამოიკვლიონ ანდა განახორციელონ რაიმე სხვა მოქმედება, გარდა უშუალოდ ადგილზე ამოცნობისა. გარდაცვლილის ოჯახი მოითხოვს შეიქმნას საერთაშორისო ჯგუფი, რომელიც კონტროლს გაუწევს ზემოაღნიშნულ მოთხოვნათა შესრულებას“. უნდა ითქვას, რომ ორივე მხარეს ამ „ხელშეკრულების“ გაფორმების გარკვეული საფუძველი გააჩნდა: მ. არჩვაძის მხარეს ყოველთვის შეეძლებოდა ეთქვა, რომ ეს ე. წ. ხელშეკრულება საჭირო იყო თუნდაც იმისთვის, რომ „მთავარ მოწმეებს“ მიეცათ ოჯახისთვის სათანადო ინფორმაცია დასაფლავების ადგილზე, რათა ხუნტას ზვიად გამსახურდიას ცხედარი საერთოდ არ გაექრო. ეს არგუმენტი რაციონალობას მოკლებული არ არის, თუ, რასაკვირველია, გამოვრიცხავთ, რომ ხუნტამ ისედაც მშვენიერად იცოდა დაკ-

რძალვის ადგილი და გია მხეიძის გამოჩენა ჯონსონის ეზოში, სავარაუდოდ, ამის სიმპტომი იყო. ასევე, თვრამეტი თუ ცხრამეტი კაცის მიერ ცხედრის გადასვენება სოფლის ერთი ბოლოდან მეორე ბოლოში დიდი ვერაფერი კონსპირაციაა.

გუგუშვილისა და დაცვის ბიჭებისთვის კი ეს წერილი თუ „ხელშეკრულება" მათ მიერ გავრცელებული „შეუვალი და წმინდა სიმართლის" აქსიომატურობის დამადასტურებელი დოკუმენტია. მაგრამ რატომ არის აქსიომატური პრეზიდენტის თვითმკვლელობა თუნდაც ზემოთ ჩამოთვლილი მონაცემებიდან გამომდინარე? ან, თუნდაც, პრეზიდენტის ოჯახს რატომ უნდა ჰქონდეს უფლება, ასეთი უცნაური „ხელშეკრულებით" დაუდასტუროს ამ მოწმეებს მათი მონაყოლის აქსიომატურობა?

სინამდვილეში კი, ამბები, რაც შეეხება საქმის საპროცესო ისტორიას, ასე განვითარდა: 1994 წლის 10 იანვარს საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის მოადგილემ ა. ბალუაშვილმა, რუსეთის ფედერაციის საინფორმაციო საშუალებებში გამოქვეყნებული მასალებისა და მანანა არჩვაძის მიერ გავრცელებული განცხადების საფუძველზე, აღძრა და წარმოებაში მიიღო სისხლის სამართლის საქმე N7494802 – ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების ფაქტზე (თუმცა საქმის აღძვრის დადგენილებაში მითითებული არ არის, როგორც თვით ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების ფაქტი, ისე საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის რომელი მუხლით დაიწყო გამოძიება). 1994 წლის 5 იანვარს, მითითებული საქმის აღძვრამდე, საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის, ჯამლეთ ბაბილაშვილის, სახელით ხსენებულ სისხლის სამართლის საქმეში ფიგურირებს N1 ბრძანება სპეციალური საგამოძიებო ოპერატიული ჯგუფის შექმნის თაობაზე, აღნიშნული ჯგუფის უფროსის, ა. ბალუაშვილისა და მისი წევრების – ა. იოსელიანის, კ. ჩალაძის, ვ. ბენიძის, ზ. ჯორჯიკიას, ა. ხვადაგიანის, ლ. კვაშილავასა და ო. ქელდიშვილის – შემადგენლობით. აღნიშნულ ბრძანებაში მითითებულია, რომ საქართველოს რესპუბლიკის „ყოფილმა" პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ მაღალმთიან სოფელში თავი მოიკლა. აღნიშნულის შესასწავლად და გამოძიების მიზნით შეიქმნა ზემოხსენებული ჯგუფი.

1994 წლის 12 იანვარს ანზორ ბალუაშვილმა გამოიტანა დადგენილება „დაკრძალვის ადგილიდან ზვიად გამსახურდიას გვამის ამოღებისა და დათვალიერების შესახებ". ამ დროისთვის ნეშტის დაკრძალვის ადგილი ოფიციალურად გახმაურებული არ ყოფილა. 1994 წლის 13 იანვარს ზვიად გამსახურდიას სიკვდილის მიზეზის დასადგენად დაინიშნა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა. აღნიშნული დადგენილება შესასრულებლად გადაეგზავნა საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრს ა. ჯორბენაძეს. 1994 წლის 17 იანვრის N13 ბრძანებით ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა, ზემოხსენებული დადგენილების საფუძველზე, ზვიად გამსახურდიას გვამის სასამართლო-სამე-

დიცინო ექსპერტიზის გამოკვლევისთვის შექმნა კომპლექსური კომისია ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით.

1994 წლის 5 იანვრის ბრძანების საფუძველზე საქართველოს რესპუბლიკის ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენლები, რომელთა შორისაც იყო გურამ შარაძეც, 6 იანვარს გაემგზავრნენ ქალაქ გროზნოში, სადაც შეხვდნენ ოფიციალურ პირებს – პრეზიდენტ ჯოხარ დუდაევსა და ვიცე-პრეზიდენტ ზელიმხან იანდარბიევს, ასევე, საქართველოს რესპუბლიკის დევნილი უზენაესი საბჭოს წევრს, მერაბ კიკნაძეს. მანანა არჩვაძემ მათთან შეხვედრა არ ისურვა და პრეზიდენტ ჯ. დუდაევის პირით შეუთვალა, რომ კატეგორიულად წინააღმდეგი იყო ზ. გამსახურდიას დაკრძალვის ადგილის გამხელის, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარებისა და, ასევე, ამ ფაქტთან საქართველოში ნებისმიერი საგამოძიებო-ოპერატიული ღონისძიების განხორციელებისა. დელეგაციამ გროზნოდან წამოიღო მანანა არჩვაძის მიერ ზ. იანდარბიევისათვის გადაცემული მიმართვის ასლები. მანანა არჩვაძის 1994 წლის 7 იანვრით დათარიღებულ რუსულენოვან ტექსტში, გამოხატულია საკუთარი და ოჯახის წევრთა ნება, რათა ზვიად გამსახურდიას ნეშტი დაიკრძალული ყოფილიყო ჩეჩნეთში. ანალოგიური ტექსტითა და თხოვნით მანანა არჩვაძე-გამსახურდია მიმართავს ჩეჩნეთის პრემიერ-მინისტრსა და ჩეჩნეთის მთავრობას. საქმეს ერთვის ჩეჩნეთის რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 16 იანვრის N10 დადგენილების ასლი, გვამის ამოცნობისა და საქართველოდან ჩეჩნეთში გადასვენების მიზნით, ზვიად გამსახურდიას ოჯახის თხოვნით, საშუამავლო მისიით ჩეჩნეთის დელეგაციის შექმნასთან დაკავშირებით. დადგენილებას დაერთვის N1 ოქმი, რომლითაც განსაზღვრულია მხარეთა უფლება-მოვალეობები. საქმეშია ჩეჩნეთის რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტის 1994 წლის 13 იანვრის საქართველოს მთავრობისათვის გაგზავნილი დეპეშა ზვიად გამსახურდიას ოჯახის სახელით გარდაცვლილის ნეშტის საქართველოდან ჩეჩნეთში უსაფრთხო გადასვენების, ასევე, ჩეჩნეთიდან თვითმფრინავის მიღების პირობების შექმნის თხოვნითა და აღნიშნულის თაობაზე ქართული მხარის თანხმობის პასუხები.[755] შუამავალი პრეზიდენტის ოჯახსა და საქართველოს ფაქტობრივ ხელისუფლებას შორის, იჩქერიის ხელისუფალთა გარდა, იყო ამავე დროს პროფესორი გურამ შარაძე. სწორედ ის გამოდგა ერთ-ერთი ინიციატორი საფლავის მოძიებისა.

16 თებერვალს თბილისის აეროპორტში დაჯდა გროზნოდან გამოფრენილი თვითმფრინავი, რომელშიც იმყოფებოდა ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიის დელეგაცია ვიცე-პრეზიდენტ ზელიმხან იანდარბიევის მეთაურობით. ბორტზე ასევე იმყოფებოდა დევნილი უზენაესი საბჭოს დეპუტატი მერაბ კიკნაძე, რომელმაც თვითმფრინავიდან გადმოსვლის შემთხვევაში მოითხოვა ხელშეუხებლობის გარანტია ხუნტის ორგანოებისგან. რამდენადაც მან ეს გარანტია ვერ მიიღო, აღნიშნული ბორტი უკან გაფრენამდე არ დაუტოვებია. ზელიმხან იანდარბიევი შეხვდა ედუარდ შევარდნაძეს და ვიცე-პრემიერ მარგიანს. ამ შეხვედ-

რის შესახებ ე. შევარდნაძის მრჩეველი, გელა ჩარკვიანი მოგვითხრობს წიგნში „ნაცნობ ქიმერათა ფერხული“.

იანდარბიევი: „გუშინ საღამოს მოვიდა მისი უახლოესი ადამიანი და გვითხრა, რომ თავი მოუკლავს და დაუმარხიათ კიდევაც. თუ ასეა, სამძიმარს გიცხადებთ. მან დიდი წვლილი შეიტანა კულტურაში, გარდა იმისა, რომ იყო საქართველოს პირველი პრეზიდენტი. ის, თუ როგორი იქნება რეაგირება ამ ამბავზე, დიდად განსაზღვრავს მოვლენათა განვითარებას როგორც თქვენთან, ისე კავკასიაში“.

შევარდნაძე: „მე გუშინ საღამოს გავიგე, რომ მან თავი მოიკლა რომელიღაც სოფელში. ჩვენ მას არ ვდევნიდით. პოლიტიკურად იგი საშიშროებას აღარ წარმოადგენდა. მე ასეთი ეჭვიც გამიჩნდა, მის გარემოცვას ხომ არ უნდოდა მისი თავიდან მოცილება. თვითმკვლელობას დიდი გამბედაობა სჭირდება, რატომღაც ვერ ვიჯერებდი. თუმცა, იქნებ, ავადმყოფობის გამო. მისი ხალხის უმეტესობა ჩვენს მხარეზე გადმოვიდა. მეუბნებოდნენ, რომ იგი განიხილავდა გროზნოში დაბრუნების გზებს. ჩვენ არ ვიქნებოდით წინააღმდეგი, ახლა კი აღარ ვიცი, ყველაფერი მოულოდნელად მოხდა. დავკრძალოთ, როგორც ვინ? მისი ობსტრუქციონისტული პოლიტიკის გამო ჩვენ დავკარგეთ აფხაზეთი. ამდენი სისხლის ღვრა. დავკრძალოთ, როგორც გმირი? რაიონში, სადაც, როგორც ამბობენ ეს მოხდა, არაფერი იციან. ამიტომ მე მზად არ ვარ, რაიმე გიპასუხოთ (...)“. შევარდნაძემ ეს საუბარი ასე დაასრულა: „პირველი, რაც უნდა გაკეთდეს, უნდა დაიკითხოს ის კაცი, ვინც ინფორმაცია მოგაწოდათ. ჩვენ მზად ვართ, მოვიწვიოთ საერთაშორისო ექსპერტები. თქვენც მიიღეთ მონაწილეობა“.[756]

შევარდნაძის ნათქვამიდან გამოდის, რომ, პირველ რიგში, უნდა დაკითხულიყვნენ ბესარიონ გუგუშვილი და რობინზონ მარგველანი. ჯოხარ დუდაევისთვის, როგორც გენერლისთვის, დამაჯერებელი გამოდგა პრეზიდენტის „სამხედრო სიკვდილით“ დაღუპვის ვერსია – რამდენადაც ბევრმა საბჭოთა, გერმანელმა და იაპონელმა ოფიცერმა სწორედ ასეთი სიკვდილი არჩიეს ტყვედ ჩავარდნას. თუმცა, აუცილებელი სულაც არ არის, ჯოხარის კერძო მოსაზრება და გამოძიების შედეგები ერთმანეთს დაემთხვეს.

მომდევნო დღეს ეს ბორტი სენაკის აეროპორტში გადაფრინდა. დელეგაციის წევრები იქიდან გადასხდნენ ვერტმფრენში, საიდანაც გაფრინდნენ სოფელ ჯიხაშკარში. ვერტმფრენი დაჯდა ვალიკო ზარანდიას სახლთან, მდინარის ნაპირზე. ვალიკო ზარანდიას საცხოვრებელი სახლის ახლოს მდებარე დამხმარე ნაგებობაში, სამარხი გათხარეს და ამოასვენეს კუბო ზვიად გამსახურდიას ცხედრით. იმავე დღეს, 1994 წლის 17 თებერვალს, ვერტმფრენი სასვენებელთან ერთად სენაკში დაბრუნდა. სენაკის აეროპორტში ჩატარდა ზვიად გამსახურდიას ცხედრის გარეგნული დათვალიერება. ცხედრის ამოღებისა და დათვალიერების ოქმს ხელს აწერენ ექსპერტი ლევან ჩაჩუა, საქართველოს ფაქტობრივი ხელისუფლების ვიცე-პრემიერი ავთანდილ მარგიანი, ცნობილი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეები – პროფესორი გურამ შარაძე, სახელმწიფო მინისტრი

გივი ლომინაძე, რესპუბლიკის ტელე-რადიოკომიტეტის თავმჯდომარე არჩილ გოგელია, შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ჯემალ მიქელაძე, უშიშროების მინისტრის პირველი მოადგილე ავთანდილ იოსელიანი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ცნობილი პათანატომი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი თამარ დეკანოსიძე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რევაზ კაპანაძე, საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის მოადგილე ანზორ ბალუაშვილი და სხვები, სულ – 21 პირი. ოქმს სხვებთან ერთად ხელს აწერს ზვიად გამსახურდიას პირადი დაცვის უფროსი რობინზონ მარგველანი, რომელიც გარდაცვალების მომენტში ზვიად გამსახურდიასთან იმყოფებოდა.

ოქმში აღნიშნულია, რომ მიცვალებულის სახეზე აშკარად ჩანდა რამდენიმე დაზიანების კვალი. ჩეჩნეთიდან ჩამოსულმა პირებმა არცერთ ექსპერტსა და ექიმს მიცვალებულთან შეხების საშუალება არ მისცეს. ისინი აპელირებდნენ იმაზე, რომ სახელმწიფოს მეთაურთან, ედუარდ შევარდნაძესთან, უკვე მიღწეული იყო შეთანხმება, რომ არანაირი ექსპერტიზა ცხედარს არ ჩაუტარდებოდა. არადა, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, კომისია სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩასატარებლად ადგილობრივი და ჩამოსული ექსპერტებისგან უკვე დაკომპლექტებული იყო. ედუარდ შევარდნაძემ თავის განცხადებაში მიუთითა, რომ ექსპერტიზის ჩატარების წინააღმდეგი იყო პრეზიდენტის ქვრივი და მის ნებას ვერ აღუდგებოდნენ წინ. ლოგიკა ასეთია: თუკი ედუარდ შევარდნაძეს ჰქონდა უტყუარი ინფორმაცია, რომ ზვიად გამსახურდიამ თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე, მაშინ მისსავე ინტერესში იყო ასეთი ექსპერტიზის ჩატარება, რომლის შედეგიც ერთხელ და სამუდამოდ დაამტკიცებდა, რომ „სახელმწიფოს მეთაური“ და ფაქტობრივი ხელისუფლების ორგანოები ჩარეულნი არ იყვნენ ზვიად გამსახურდიას სიკვდილში. ეს რომ ასე არ მოხდა, აძლიერებს ეჭვს, რომ შევარდნაძეს, შესაძლოა, სხვა ინფორმაცია ჰქონდა და მის ინტერესებში შედიოდა, რომ საკითხი ბუნდოვანი დარჩენილიყო.

ზვიად გამსახურდიას ცხედრის საქართველოში დაკრძალვაზე უარი განაცხადეს როგორც პრეზიდენტის ქვრივმა, ისე საქართველოს ფაქტობრივმა ხელისუფლებამ, რის გამოც ეს საკითხი არც კი განიხილებოდა. იმავე დღეს, 1994 წლის 17 თებერვალს, ზვიად გამსახურდიას ნეშტი თვითმფრინავით გადაასვენეს ჩეჩნეთის დედაქალაქ გროზნოში – იმავე აეროპორტიდან, სადაც იგი გასული წლის 24 სექტემბერს გროზნოდან ჩამოსული თვითმფრინავიდან გადმოვიდა და მშობლიურ მიწას ემთხვია. ჩეჩნეთში ცხედარი თავიდან გროზნოს პროზექტურაში დაასვენეს, სადაც მისი გარეგნული დათვალიერება შედგა. არც აქ დაუდასტურებია ვინმეს „სტანცმარკის“ არსებობა საფეთქელზე. რაც შეეხება სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზას, იგი ცხედარს არც გროზნოში ჩატარებია.[757]

პრეზიდენტმა ჯოხარ დუდაევმა ზვიად გამსახურდიას დაკრძალვა გროზნოში დაამთხვია ჩეჩნების ეროვნული ტრაგედიის, სტალინური რეჟიმის მიერ

ჩეჩენთა შუა აზიაში მასობრივი დეპორტაციის, დღეებს. პანაშვიდები საპატიო ყარაულის თანხლებით მიმდინარეობდა. მიცვალებულს წესი ქრისტიანულად აუგეს ეპისკოპოსმა ამბროსი ქათამაძემ და საქართველოდან საგანგებოდ ჩამოსულმა მოძღვარმა კონსტანტინე კოლუაშვილმა. დაკრძალვას წინ უძღოდა ჩეჩნეთის შეიარაღებული ძალების აღლუმი, რომელსაც მოჰყვა მსვლელობა ქუჩებში მიცვალებულის ცხედართან ერთად. სასვენებელი, გახვეული საქართველოს ეროვნულ დროშაში, ჯავშანმანქანაზე გამობმულ ლაფეტზე იყო დასვენებული. პროცესიის მონაწილეებს მოჰქონდათ ხატები, ჯვრები და პლაკატები ქართულ ენაზე. დაკრძალვა შედგა 1994 წლის 24 თებერვალს – სამგლოვიარო მიტინგზე, რომელიც რუსულ ენაზე მიდიოდა, სიტყვა წარმოთქვა ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიის პრეზიდენტმა ჯოხარ დუდაევმა. მან ზვიადი მოიხსენია, როგორც მასწავლებელი, მეგობარი და თანამებრძოლი და აღნიშნა, ეს ჩემთვის უდიდესი დანაკარგია, ამიერიდან კავკასიაში აღარავინაა, ვისაც შეიძლება მიმართოო. ოდესმე გაიგებს საქართველო, კავკასია და მშვიდობის მოყვარული კაცობრიობა, ზვიადის სახით ვინ დავკარგეთო. პრეზიდენტის მეუღლემ ალა დუდაევამ წაიკითხა ზვიადისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსი. ხალხს სიტყვით მიმართეს ასევე საქართველოდან და რუსეთიდან ჩამოსულმა სტუმრებმა.

ზვიადის საქართველოში დაბრუნება ჯოხარ დუდაევმა ცოტა მოგვიანებით ასე შეაფასა: „მე კარგად ვიცი, რატომ ჩავიდა იგი საქართველოში. ზვიად კონსტანტინეს ძე არ იყო მხდალთა რიგებიდან. ის იყო გმირული, ძლიერი ნიჭიერებით თვით ღმერთისგან და ბუნებისგან დაჯილდოებული ადამიანი, ასეთ ადამიანს კი შეუძლებელია გაუცნობიერებლად გადაედგა თუნდაც ერთი ნაბიჯი, და გადადგა კიდეც ეს ნაბიჯი, რათა კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი თავისი ერთგულებისა და სიყვარულისთვის საქართველოსა და მისი ხალხისადმი“.

ზვიად გამსახურდიას ნეშტი დაკრძალეს გროზნოში, ჩეხოვის ქუჩაზე მდებარე იმავე სახლის წინ, რომელშიც იგი 1992-1993 წლებში ცხოვრობდა. ჩეჩნეთის პრეზიდენტმა და მისმა გარემოცვამ კიდევ ერთხელ გაითვალისწინეს ქართული ტრადიცია და ათასამდე სტუმრისთვის ორგანიზება გაუკეთეს ჭირის რიტუალურ სუფრას ისე, როგორც ეს საქართველოშია მიღებული.

ბოლოთქმის მაგივრ

წიგნის წინათქმა მას შემდეგ დავწერე, რაც წიგნი პრაქტიკულად დასრულდა, ამიტომ საჭიროდ აღარ მივიჩნევ იმ დასკვნებისა და თეზისების წიგნის ამ ბოლო ნაწილში კიდევ ერთხელ განმეორებას, რომელთა გამოც თითქმის სამი ათეული წელი მომიწია ფიქრი, კვლევა და შრომა. ორიოდე სიტყვას დავწერ ლიტერატურასა და წყაროებზე. წინამდებარე წიგნი დაიწერა, როგორც ერთგვარი ჰიბრიდი აკადემიური კვლევისა და მემუარული მომენტებისა, რომლებიც მე, ამ ამბებთან შეხებაში მყოფს, მახსოვდა. ლიტერატურა მოიკოჭლებდა, იშვიათად შემხვედრია წიგნი ან სტატია, სადაც საქმიანად და დიფერენცირებულად, ნამდვილ და არა „ფეიკურ“ ფაქტებზე დაყრდნობით ყოფილა მსჯელობა და დასკვნებიც მართებული გამოუტანიათ. რუსეთის იმპერიის პროპაგანდისთვის „სასარგებლო იდიოტის“ ან ამაზე უარეს რანგში მომუშავე ავტორებისა თუ კორესპონდენტების გარდა, სხვა ქვეყნებშიც იყვნენ ჟურნალისტები, რომლებიც საკმაოდ კარგად გაერკვნენ მიმდინარე ამბების არსში და საბჭოთა კავშირსაც სათანადოდ იცნობდნენ. ასეთები იყვნენ: ვალერია ნოვოდვორსკაია რუსეთში, მატტი ბაკმანი ფინეთში, ულრიხ შმიდი შვეიცარიაში (გაზეთ „ნოიე ციურხერ ცაიტუნგის“ კორესპონდენტი მოსკოვში,), კარლ გუსტავ შტრიომი გერმანიაში (გაზეთი „დი ველტი“) ბრუნო ფანუჩი საფრანგეთში (გაზეთი „ლე მონდი“), ქრისტოფერ სტორი (გამოცემა „სოვიეტ ანალისტი“) და მარკ ალმონდი (ბეჭდავდა ჟურნალ „თაიმში“) დიდ ბრიტანეთში, ქევინ ქლოუსი („ვაშინგტონ პოსტი“) ამერიკის შეერთებულ შტატებში და ა. შ.

წყაროები, საიდანაც უნდა მომხდარიყო ზვიად გამსახურდიას პოლიტიკური საქმიანობის რეკონსტრუქცია, არც ისე ბევრია. არსებობს ზვიადის „ჩანაწერები“, რომლებიც „ავტობიოგრაფიის“ სათაურით რუსულ ენაზე მოსკოვში გამოქვეყნდა მოგვიანებით, მისი დაღუპვის შემდეგ, გარკვეულ დოკუმენტურ დანართთან ერთად, რომელიც წარმოადგენს უსისტემო, უკომენტარო ნაკრებს საბუთებისა, რომელთა ერთი ნაწილიც სუკ-ის არქივიდანაა, მეორე კი წარმოადგენს მიმართვებს, რომლებსაც ზვიად გამსახურდია აკეთებდა თბილისში ან გროზნოში მყოფი. თავად „ჩანაწერების“ ძირითადი ტექსტი, რომელშიც ბიოგრაფიულ მომენტებზეა საუბარი, სულ 130 გვერდამდეა და რედაქტორული კომენტარი, აკადემიური, სამეცნიერო გაგებით, საერთოდ არ ახლავს. რამდენადაც არსებობს ეჭვი, რომ ეს, საკმაოდ ლაპიდარული ტექსტი (რომელსაც გამომცემლებმა რატომღაც „ავტობიოგრაფია“ დაარქვეს, ანუ სათაური, რომელსაც საბჭოთა კავშირში სამსახურში მიღებისას წარსადგენ ბიოგრაფიული მონაცემების შემცველ ტექსტს აწერდნენ), შესაძლოა, ტენდენციური რედაქტირების კვალს ატარებდეს, მისი გამოყენება შესაძლებელი იყო ფრთხილად და კრიტიკულად.

ქართველი დისიდენტების საქმიანობას, ასე თუ ისე, შეეხება მოსკოვის „ჰელსინკის ჯგუფის“ წევრი ლუდმილა ალექსეევაც თავის წიგნში „სხვაგვარად

მოაზროვნეთა ისტორია საბჭოთა კავშირში". ამ წიგნის მოსკოველ ავტორს ზვიადი და მერაბი კარგად იცნობდნენ. ვერ ვიტყვი, რომ წიგნი ყოველთვის ობიექტურია მოვლენებზე მსჯელობისას და ყველგან მართებულ აქცენტებს სვამს. საქართველოში ასევე გამოიცა ომარ თუშურაშვილისა და ვლადიმერ ლუარსაბიშვილის წიგნი ქართული დისიდენტური მოძრაობის ისტორიის შესახებ, რომელიც ეყრდნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცულ მასალებს. ვიდრე ჩვენი წიგნი დასაბეჭდად ჩაეშვებოდა, მომისწრო მკვლევარ ლევან ჯიქიას ასევე გამოსაცემად გამზადებულმა შრომამ, რომლის სათაურიცაა „ზვიად გამსახურდია და ქართველი მწერლები, წინააღმდეგობრივი ურთიერთობები". იგი ავტორმა თავაზიანად გადმომიგზავნა, როგორც ერთ-ერთ რეცენზენტს. ეს უაღრესად საყურადღებო დოკუმენტების კრებულია, რომელიც ასახავს საქართველოს უახლესი ისტორიის მნიშვნელოვან ამბებს.

შემორჩენილია თვითგამოცემები, რომელთაც ზვიად გამსახურდია 70-იან და 80-იან წლებში გამოსცემდა: „ოქროს საწმისი", „საქართველოს მოამბე", „საქართველო" და „მატიანე", რომლებიც დისიდენტობის პერიოდის დოკუმენტირებისთვისაა გამოსადეგი; ასევე, ოფიციალური მიმართვების, გამოსვლებისა და პოლიტიკური განცხადებების, ასევე, ინტერვიუების შემცველი ხუთტომეული, რომელიც გამოიცა პარლამენტის ბიბლიოთეკის მიერ 2013 წელს (თავიდან ეს იყო სამტომეული, რომელიც მომდევნო წლებში შეივსო კიდევ ორი ტომით.). ისინი მოიცავენ პერიოდს 1990 წლიდან 1993 წლის ოქტომბრამდე. ზვიადის ცხოვრების ახალგაზრდულ, ყველაზე ნაკლებად ცნობილ პერიოდზე წერისას გამოვიყენე დედაჩემის, დალი ლოლუას მოგონებები „13 წელიწადი კოლხურ კოშკში", სადაც საინტერესო დეტალები და ნიუანსებია. იმ ისტორიულ პერიოდზე, რომელშიც ზვიადის ბავშვობამ და მოზარდობამ ჩაიარა, ფრიად საინტერესოა სოსო სიგუას ბიოგრაფიული ნაშრომი კონტანტინე გამსახურდიას ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.

საინტერესო მემუარები, რომლებიც ასევე გავითვალისწინე, იყო ჯაბა იოსელიანის „სამი განზომილება", რომელიც პატიმრობისას დაწერილს ჰგავს, თუმცა მისი ცალკეული ნაწილები, შესაძლოა, ადრეც ყოფილიყო დაწერილი ჩანაწერების სახით; რაც შეეხება ედუარდ შევარდნაძის ფიგურას, ცნობები მის საქმიანობაზე, ასევე, რიგი საკითხებისადმი მისი მიდგომები ასახულია მის ბიოგრაფიაში, რომლის ავტორებიც არიან ალეკო ცინცაძე და გიორგი ბაღათურია. ამ წიგნში ბევრი რამ თავად ე. შევარდნაძის ნაამბობს ეყრდნობა. სავარაუდოდ, აქ იგი არც ისე ფრთხილი უნდა ყოფილიყო, როგორც მხოლოდ მისი ავტორობით გამოსულ სხვა, უფრო გამოკვეთილად მემუარული ხასიათის წიგნებში, რომლებშიც ამა თუ იმ ფაქტზე ან მის ინტერპეტაციაზე პასუხისმგებლობა მხოლოდ თავის თავზე უნდა აეღო.

ეროვნული მოძრაობის პერიოდზე ასევე საინტერესო ნაშრომია ამ ამბების თვითმხილველის — ჟურნალისტისა და ისტორიკოსის, დავით გამცემლიძის (იმავე გიორგი წიქარიშვილის), „ჟამი ჭეშმარიტი", სადაც არის მცდელობა,

სრულად მოხდეს იმ დღეების რეკონსტრუქცია და აქა-იქ, ზოგჯერ კონტროვერსული, თუმცა უმეტესად საინტერესო კომენტარებია. ეს წიგნი ნამდვილად ანგარიშგასაწევია, თუმცა მასში არის ისეთი მსჯელობებიც, რომლებიც რეალპოლიტიკური და პრაგმატული გადაწყვეტების ძიებებისას, ზოგჯერ, სრულიად უმართებულო თვალსაზრისებამდე მიდის (მიუხედავად იმისა, რომ თავად ავტორი პუტჩის მომხრე არ არის). ასევე, თვითმხილველისა და ისტორიკოსის დაწერილია დიმიტრი შველიძის საკმაოდ დიდტანიანი ნაშრომი „პოლიტიკური დაპირისპირებები და ეროვნული ხელისუფლების დამხობა საქართველოში – 1987-1992", სადაც ასევე საკმაოდ რეალისტურადაა აღდგენილი აღნიშნული მოვლენები და მცდელობაა მათი შეფასებისა, რაც, უმეტეს შემთხვევაში, ნარმატებულია.

უცხო ენებზე ბოლო ხანებში გამოსული წიგნებიდან ნამდვილად აღსანიშნავია ნიკოლას გორჯესტანის დიდტანიანი, ფუნდამენტური წიგნი „Ahead of their times, Zviad" („თავიანთ დროზე დაწინაურებულნი", Mage Publishers, 2022, ეს ორტომეული შეეხება ზვიად გამსახურდიასა და მ. მოსადეყს, გასულ საუკუნეში ირანის პრემიერს), რომელშიც ბევრი ინსაიდერული ცნობაც არის გადმოცემული და გაკეთებულია საინტერესო ანალიზები. კიდევ შეიძლებოდა როგორც მეცნიერული კვლევების, ისე მემუარული წიგნების ჩამოთვლა (მაგალითად, ქართულენოვანი მკითხველისთვის როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანი ზვიად გამსახურდიაზე „ეკლის გვირგვინი"), მაგრამ ამჯერად მათზე აღარ შევჩერდები, თუმცა ამ ნაშრომის ტექსტში ისინი აქა-იქ ციტირებულია ან მითითებული.

ბევრ დაფარულ ამბავს მოჰფინა ნათელი ჟურნალისტური გამოძიების შედეგად მოპოვებულმა მასალებმაც. 2006-2007 წლებში ჟურნალისტ ნათია თოიძესა და ოპერატორ შალვა სამხარაძესთან ერთად ვმონაწილეობდი ორსერიიანი დოკუმენტური ფილმის გადაღებაში, რომელსაც ჰქვია „დინების საწინააღმდეგოდ". ფილმი, ასევე, ეყრდნობა ჟურნალისტური გამოძიების შედეგად მოპოვებულ მასალებს. მოვიარეთ ის ადგილები ზუგდიდის, წალენჯიხისა და ხობის რაიონებში, სადაც პრეზიდენტი და მისი ჯგუფი გადაადგილდებოდა 1993 წლის ბოლო მეოთხედში, ასევე გავესაუბრეთ მასპინძლებს, რომელთაგანაც უმეტესობა იმჟამად ჯერ კიდევ ცოცხალი იყო.

როგორც არჩეული დეპუტატი საქართველოს მეშვიდე მოწვევის პარლამენტში, ვხელმძღვანელობდი საქართველოს პირველი პრეზიდენტის გარდაცვალების გარემოებების შემსწავლელ დროებით კომისიას (კომისიაში ჩემთან ერთად შედიოდა თერთმეტი დეპუტატი). 1993 წლის სექტემბერ-ნოემბრის მოვლენების შესახებ ჩვენ მიერ შეგროვებულ იქნა უამრავი მასალა პროკურატურის არქივიდან 1994 წელს აღძრულ საქმეზე, ასევე, იმ მოსმენა-გამოკითხვებზე, რომლებიც კომისიამ 2009-2011 წლებში ჩაატარა იმ პირთა ერთ ნაწილთან, რომლებიც დაკავშირებულნი იყვნენ ამ საქმესთან. კომისიამ 2011 წლის თებერვალში საქართველოს მთავარ პროკურატურას გადაუგზავნა ძირითადი დოკუმენტი,

რომელიც მანამდე მოიწონა პარლამენტის სესიამ. ამასობაში კომისიის ძირითადი დოკუმენტი გამოიცა ცალკე წიგნად, სათაურით „ზვიად გამსახურდიას საქმე“, გამომცემლობა „არტანუჯის“ მიერ, 2013 წელს.

2015 წელს კიდევ ერთხელ მოვიარე სამეგრელოს სამი რაიონი, სადაც გადაადგილება უწევდათ ზვიად გამსახურდიასა და მის თანმხლებ პირებს. შემოვლას, დაახლოებით, ერთ კვირაზე მეტ ხანს მოვუნდი. ამ ჯგუფში, ჩემ გარდა ჩართულნი იყვნენ ჟურნალისტები ირაკლი შონია და ლეილა ცომაია, რომელთაც მანამდე საკუთარი ჟურნალისტური გამოძიება ჰქონდათ ჩატარებული აღნიშნულ საკითხებზე, ხოლო მეგზურობას გვიწევდა ზაზა ბურჯანაძე, საპრეზიდენტო დაცვის წევრი 1993 წელს. ამ შემოვლისას არაერთმა საინტერესო დეტალმა მიიქცია ჩვენი ყურადღება, რომლებმაც საერთო სურათი შეავსო.

დაბოლოს, წყაროს წარმოადგენს თავად ამ წიგნის ავტორი, როგორც შემსწრე და მონაწილე ბევრი ისტორიული ხდომილებისა. ამავდროულად, ვისაც მქონდა ბევრი ხდომილების გასაღები არა მხოლოდ იმიტომ, რომ ოჯახის წევრი ვიყავი, არამედ მოვლენებში აქტიური ჩართულობის გამო. ერთი მხრივ, აკადემიური მხარე, ანუ ის, რაც გარეშე დაკვირვებასა და კვლევას ეფუძნება, მეორე მხრივ, ჩემს მეხსიერებაში შთაბეჭდილი მთავარი თუ გვერდითი ამბები, გადმოცემულნი პროცესებში ჩართული ადამიანის მიერ, აძლევს წიგნს ისეთ ელფერს, რომელიც ამ თემაზე დაწერილ სხვა წიგნებს იმდენად არა აქვთ.

***

რაც შეეხება ჯიხაშკარ-ხიბულაში მომხდარ ტრაგედიას, იგი, როგორც ხდომილება, დღემდე იდუმალებითაა მოცული. ყველაფერი, ასე თუ ისე, რეკონსტრუირდება ჯონსონ კვარაცხელიას სახლის დატოვებამდე, შემდეგ უკვე წინააღმდეგობებისა და შეუსაბამობების მთელი კასკადია. როგორც უკვე აღინიშნა, აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, რომლის მოკლე საპროცესო ისტორია ასე გამოიყურება: 1994 წლის 10 მარტს საგამოძიებო ნაწილის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა უფროსმა გამომძიებელმა ო. ჯაფარიძემ (ცხადია, ა. ბალუაშვილის მითითებით), გამოიტანა დადგენილება „თვითმკვლელობით ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების ფაქტზე აღძრული N7494802 სისხლის სამართლის საქმის დანაშაულის შემთხვევის არარსებობის გამო შეწყვეტის შესახებ“. საინტერესოა, რომ საქმის მასალებიდან არ ჩანს, თუ როდის გადაეცა საქმე წარმოებაში ბატონ ო. ჯაფარიძეს. 1997 წლის 15 თებერვლის დადგენილებით, საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილემ ა. ბალუაშვილმა განაახლა წარმოება N7494802 სისხლის სამართლის საქმეზე. საქმის წარმოების განახლების ოფიციალურ მიზეზად დადგენილებაში აღინიშნა, რომ მანამდე მოწმის სახით არ დაკითხულა „თვითმკვლელობის“ უშუალო მოწმე, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის პირადი დაცვის უფროსი რობინზონ მარგველანი. სისხლის სამართლის საქმე წარმოებაში იმავე ო. ჯაფარიძეს გადაეცა, რომელმაც 3 წლით ადრე შეწყვიტა სისხლის სამართლის საქმის წარმოება

„დანაშაულის შემთხვევის არარსებობის გამო“. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის პირადი დაცვის უფროსი, რობინზონ მარგველანი, პრეზიდენტის გარდაცვალებისა და სხვა გარემოებების ირგვლივ პირველად დაიკითხა 1997 წლის 5 თებერვალს. იგი აღნიშნულ საქმეზე თექვსმეტჯერ არის დაკითხული. როგორც მოწმის სტატუსით დაკითხვებში, ასევე საგაზეთო ინტერვიუებში იგი აცხადებს, რომ ზვიად გამსახურდიამ სიცოცხლე პისტოლეტის გამოყენებით, თვითმკვლელობით დაასრულა. ასეთივე ჩვენებებს აძლევენ ზვიად გამსახურდიას პირადი დაცვის სხვა წევრებიც, რომლებიც მოწმის სტატუსით დაიკითხნენ მხოლოდ 2004 წლის მარტ-აპრილში, ანუ ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებიდან ათ წელზე მეტის გასვლის შემდეგ. მათ შორის არიან შემთხვევის ადგილზე მყოფი შალვა (ბაჩუკი) გვანცელაძე, აგრეთვე, ზაზა ბურჯანაძე და გოჩა კეკენაძე, რომლებიც, რობინზონ (რობერტ) მარგველანისა და შალვა (ბაჩუკი) გვანცელაძისაგან განსხვავებით, ზვიად გამსახურდიას კარლო ღურწკაიას სახლში არ ახლდნენ და „მთავარ მოწმეებს“ ზვიად გამსახურდიას დაღუპვის შემდეგ შეუერთდნენ.

დღემდე საერთოდ არ დაკითხულა ბესარიონ გუგუშვილი, რომელიც ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების მომენტში ასევე შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდა. ამის ოფიციალური მიზეზი ისაა, რომ ბესარიონ გუგუშვილი ცხოვრობს ფინეთში. დროებითი კომისიის შექმნის მომენტში აღნიშნული სისხლის სამართლის საქმის მასალებით არ ჩანდა, მიიღო თუ არა საქართველოს რესპუბლიკის გენერალურმა პროკურატურამ შესაბამისი ზომები, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსითა და საერთაშორისო სამართლით, რათა აღნიშნული პირი დაკითხულიყო ფინეთის შესაბამისი უწყებების თანხმობითა და დახმარებით. ამ მცდელობებს ადგილი შემდგომში ჰქონდა, თუმცა უშედეგო აღმოჩნდა.

რაც შეეხება სხვა მოწმეებს: გამოძიების მიერ მხოლოდ 1999 წლის თებერვალში მოწმის სტატუსით დაიკითხნენ კარლო ღურწკაია და ლუდმილა აბშილავა, ცოლ-ქმარი, რომელთა სახლშიც დაიღუპა საქართველოს პირველი პრეზიდენტი. მხოლოდ 1999 წლის თებერვალში დაიკითხნენ მოწმის სტატუსით ჯუმბერ (ზაურ) და ანატოლი ჩუხუებიც, რომლებსაც ურთიერთობა ჰქონდათ ზვიად გამსახურდიასთან მის გარდაცვალებამდე პერიოდში. იმავე პერიოდში, ანუ 1999 წლის თებერვალში, მოწმის სტატუსით დაიკითხა ჯონსონ კვარაცხელიაც, რომლის სახლშიც სტუმრობდა პრეზიდენტი გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე და რომლის ეზოშიც დაიმარხა მისი ნეშტი მცირე ხნით, ვიდრე მას ვალიკო ზარანდიას სახლში გადაასვენებდნენ.

პროკურატურას გუჯუჯი ებრალიძე არცერთხელ არ დაუკითხავს, არადა, ეს შეეძლო განეხორციელებინა 1997 წლიდან 2001 წლამდე, ანუ ებრალიძის გარდაცვალებამდე. ებრალიძე 1994 წლიდან დაინიშნა სოფელ ჯიხაშკარის გამგებლად და ამ თანამდებობაზე სიკვდილამდე დარჩა. მხოლოდ 2004 წლის მარტში, ანუ ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებიდან ათ წელზე მეტ ხნის გასვლის შემ-

დეგ, პროკურატურის წარმომადგენლებმა დაათვალიერეს შემთხვევის ადგილი კარლო ღურწკაიასა და ლუდმილა აბშილავას სახლში, სადაც გარდაიცვალა პრეზიდენტი. 2004 წლის 2 მარტით დათარიღებული შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმისა და 2004 წლის 3 მარტის საგნების დათვალიერების ოქმის თანახმად, კარლო ღურწკაიასა და ლუდმილა აბშილავას სახლიდან, სხვა საგნებთან ერთად, ამოიღეს ბალიში, რომელზეც თავი ედო გარდაცვლილ პრეზიდენტს და საქმის მასალებში არსებული საწოლის თავის დაფა, რომელსაც ამჩნევია ტყვიის კვალი. თუმცა, არ ჩანს, 2004-2007 წლებში რა საგამოძიებო მოქმედებები (ექსპერტიზა თუ სხვა) განხორციელდა აღნიშნულ, ძალზე მნიშვნელოვან მტკიცებულებებთან დაკავშირებით. მოცემულ საქმეზე 2004 წლის შემდეგ რაიმე მნიშვნელოვანი საგამოძიებო მოქმედება აღარ ჩატარებულა, თუმცა, ოფიციალურად N7494802 სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება ჯერ კიდევ არ არის დასრულებული.

2003 წლის ცნობილი მოვლენების შემდეგ, როდესაც მოვიდა ახალი ხელისუფლება, ოფიციალურად გამოცხადდა, რომ საქართველოში ეროვნული დაპირისპირების აღმოფხვრისთვის საჭირო იყო 1991-1993 წლებში რეპრესირებულთა რეაბილიტაცია და ამ პროცესთან დაკავშირებული აქტების გამოცემა. მათ შორის, 2004 წლის 21 თებერვალს საქართველოს პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის, განკარგულებით შეიქმნა 1991-1993 წლებში განვითარებული მოვლენების შედეგად განხორციელებული ხელისუფლების ძალადობრივი შეცვლის, საქართველოს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ფიზიკური ლიკვიდაციის, ასევე, ხელისუფლების შეცვლის მიზნით ძალის გამოყენებასთან დაკავშირებული ფაქტების, გარემოებებისა და თანამდევი (1991-2003 წლებში მომხდარი და სხვ.) მოვლენების შემსწავლელი კომისია. შესაბამისად, საქართველოს გენერალურმა პროკურორმა შექმნა პროცესუალური საგამოძიებო ჯგუფი. პროცესუალურმა საგამოძიებო ჯგუფმა დიდი მუშაობა ჩაატარა და გამოიტანა დადგენილება ზვიად გამსახურდიასა და მისი მომხრეების წინააღმდეგ 1992 წელს აღძრული N7492801 სისხლის სამართლის საქმისა და სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ, დანაშაულის არარსებობის გამო.[757]

2007 წლის თებერვლის ბოლოს ზვიად გამსახურდიას ნეშტი ცოტნე გამსახურდიას ძალისხმევითა და ჩართულობით აღმოაჩინეს გროზნოში, იმ სახლის ნანგრევების წინ, რომელშიც პრეზიდენტი თავის ოჯახთან ერთად ცხოვრობდა. სახლი თითქმის მთლიანად განადგურდა ჩეჩნეთის პირველი და მეორე ომების დროს. სახლის წინ მდებარე საფლავი რომ დაემალათ, ჩეჩნეთის წინააღმდეგობის მებრძოლებმა ჯერ მოახდინეს იმიტაცია, რომ აპირებდნენ ცხედრის ამოღებას მისი მთებში დამალვის მიზნით, ამაზე ხმებიც კი გაავრცელეს, შემდეგ კი მიწასთან გაასწორეს საფლავი. როდესაც მარტის დასაწყისში ცხედარი აღმოაჩინეს, იგი დნმ-ით იდენტიფიცირებისა და ექსპერტიზისთვის გადაიტანეს ქალაქ დონის როსტოვში, სადაც მას რუსეთის თავდაცვის სამინისტროს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ცენტრში ჩაუტარდა შესწავლა.

2007 წლის მარტის ბოლო დეკადაში ზვიად გამსახურდიას ცხედარი რუსეთის ფედერაციიდან, ლარსისა და ყაზბეგის გავლით, ჩამოასვენეს საქართველოში. პრეზიდენტის ნეშტი დაასვენეს ჯერ კოლხურ კოშკში, შემდეგ – სვეტიცხოველის საკათედრო ტაძარში. აქვე სამი დღის განმავლობაში ეწყობოდა პანაშვიდები, რომლებსაც ესწრებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ათეულ ათასობით მოქალაქე. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ აღავლინა მიცვალებულის სულის მოსახსენიებელი პარაკლისი. პრეზიდენტის ნეშტი დაასაფლავეს 2007 წლის 1-ელ აპრილს მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში. პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის განცხადებით: „ჩვენ ვასრულებთ გადაწყვეტილებას, რომელიც მიღებულ იქნა 2004 წელს – დაგვეკრძალა პრეზიდენტი გამსახურდია მის მშობლიურ მიწაზე. ეს არის სამართლიანი და აბსოლუტურად სწორი გადაწყვეტილება“.

2009 წლის ნოემბერში საქართველოს მეშვიდე მოწვევის პარლამენტში შეიქმნა საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას, გარდაცვალებასთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი დროებითი კომისია, რომლის თავმჯდომარედაც ამირჩიეს მე, როგორც პარლამენტის დეპუტატი. მთავარი პროკურატურიდან საპარლამენტო კომისიამ მოიპოვა საქმე N7494802-ის მასალებზე წვდომა, რომელიც თითქმის მთლიანად გადავიღეთ ფოტოპირების სახით. პარალელურად შევუდექით საქმის კრიმინალისტიკური კუთხით შესწავლას, რასთან დაკავშირებითაც კომისიის მუშაობაში ჩავრთეთ კრიმინალისტიკის პროფესორი გია დეკანოზიშვილი. დროებითი საპარლამენტო კომისიის მიერ ძველ ხიბულაში მდებარე ღურწკაიების სახლში ჩატარდა საგამოძიებო ექსპერიმენტები. აქ განხორციელდა სამი ექსპერიმენტული გასროლა ამავე ოთახში განთავსებულ, ხმის დამჭერ ვიდეოკამერასთან ერთად[758] (ამავე დროს, საპარლამენტო კომისიის ოთახში ვატარებდით ამ საქმესთან დაკავშირებული პირების მოსმენა-გამოკითხვას. ყოველივეს ისიც ართულებდა, რომ, დანაპირების მიუხედავად, მიეცათ კომისიისთვის საგამოძიებო სტატუსი, ამის პოლიტიკური ნება იმდროინდელმა მმართველმა გუნდმა არ გამოავლინა და კომისია დროებით (ad hoc) სტატუსს დასჯერდა. ამის გამო კომისიასთან თანამშრომლობის ვალდებულება მხოლოდ მოცემულ დროს საჯარო სამსახურში მყოფ პირებს ჰქონდათ, დანარჩენებს კი – არასაჯარო სტატუსის მქონე ან ყოფილ საჯარო პირებს – მხოლოდ კეთილი ნების გამოვლენის შემთხვევაში შეეძლოთ თანამშრომლობა ჩვენთან. მაგრამ საქმე ისაა, რომ 1993 წელს საჯარო სამსახურში მყოფი პირებიდან ზოგიერთი ცოცხალი აღარ იყო (მაგალითად, გენერალი გია გულუა) ან ქვეყნიდან სამუდამოდ წასული (როგორც ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი შოთა კვირაია). ისინი პენსიონირებულები იყვნენ ან სხვა სამსახურში გადასულები (როგორც უშიშროების სამსახურის ყოფილი კადრი გია ბასიაშვილი, ბადრი ზარანდიას მიერ ნახსენები იგივე „პოლკოვნიკი ბასიკაშვილი“, ასევე, უშიშროების სამსახურის ყოფილი მაღალჩინოსანი გია

მხეიძე). ამიტომაც მათთვის პრობლემა არ ყოფილა თანამშრომლობისგან თავის არიდება, რაც მათ გააკეთეს კიდეც.

ჩვენთან ითანამშრომლეს უშიშროების ყოფილმა მინისტრმა, ძებნილმა იგორ გიორგაძემ,[759] რომელთან შეხვედრაც შედგა მოსკოვში; ასევე, ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა თენგიზ სიგუამ[760] და გვარდიის ყოფილმა სარდალმა თენგიზ კიტოვანმა.[761] ჩვენებებში სამივემ უარყო თვითმკვლელობის ვერსია. „რია-ნოვოსტის“ ოფისში ჩატარებული მოსმენისას ი. გიორგაძესთან დავაყენე საკითხი ოპერატიული მონაცემების გამომზეურებაზე, რაზეც გიორგაძემ უარი განაცხადა. ეს უარი ნიშნავდა იმას, რომ რუსეთის უშიშროების ორგანოები წინააღმდეგი იყვნენ ამ მონაცემების გასაჯაროებისა. იმავე გიორგაძის თქმით, მის რაზმს პრეზიდენტის გარემოცვიდან ჰქონია ზუსტი ინფორმაცია მისი ადგილსამყოფელის შესახებ.[762] მათ გარდა კომისიას ჩვენება მისცა უშიშროების სამინისტროს ყოფილმა მუშაკმა, ზუგდიდ-წალენჯიხის უშიშროების განყოფილების უფროსმა, თადარიგის პოლკოვნიკმა თემურ გაბუნიამ. მან დაადასტურა აღნიშნულ პერიოდში (1993 წლის ბოლო) რუსული სპეცდანიშნულების რაზმის, „ღამურას“, მებრძოლების გარკვეული რაოდენობით ყოფნა ზუგდიდში.[763] კომისიას ჩვენება მისცა ასევე ფოთის უშიშროების სამსახურის ყოფილმა უფროსმა, მურმან წაქაძემ.[764]

როგორც აღინიშნა, შევარდნაძის სახელისუფლებო ორგანოებს 5 იანვრამდე, ვიდრე მთავარი მოწმეები გროზნოში არ ჩავიდნენ და ქვრივს არ შეხვდნენ, კრინტი არ დაუძრავთ ზვიადის დაღუპვაზე. თუმცა, როგორც პოლკოვნიკ თემურ გაბუნიასთან საუბარში გაირკვა, მან ეს იცოდა უკვე 1994 წლის პირველ იანვარს. თუკი ლოგიკას მივყვებით, უნდა დავასკვნათ, რომ თემურ გაბუნიაც უშიშროების სამსახურის მკაცრი დათქმით აღმოჩნდა შეზღუდული: შეკითხვაზე, საიდან იცოდა, რომ ზვიად გამსახურდიამ თავი მოიკლა, მისი პასუხი ყოვლად არასერიოზული იყო – ზუგდიდის თუ წალენჯიხის ბაზარში ქალების საუბარს მოვკარი ყურიო. საოცარია, ან იმ ქალებს საიდან უნდა სცოდნოდათ ამბავი, რომელიც წლის დასაწყისში მხოლოდ მთავარმა მოწმეებმა (ანუ პრემიერმა და ოთხმა პირადმა მცველმა), ძმებმა ჩუხუებმა და ღურწკაიების ოჯახმა იცოდნენ. აქვე ჩნდება კითხვა: თუკი ეს ამბავი იმავე დღეს იცოდა უშიშროების სამსახურმა, ის შეიძლება არ სცოდნოდა ე. შევარდნაძეს, „სახელმწიფოს მეთაურს“, ასევე ა. იოსელიანს, ო. ფაცაციას, ა. მარგიანს და ნ. საჯაიას?

როდესაც კომისია საქართველოს მთავარ პროკურატურაში გაეცნო საქმეს და მისმა სპეციალისტებმა ფოტოპირები გადაიღეს, მათ დაასკვნეს, რომ დონის როსტოვში ჩატარებული ზემოხსენებული ექსპერტიზის დასკვნა N7494802 სისხლის სამართლის საქმის მასალებში არ მოიპოვება. ამის გამო კომისიამ მიმართა რუსეთის ფედერაციის გენერალურ პროკურორს, იური ჩაიკას, რათა ჩვენთვის გამოეგზავნა როსტოვში ჩატარებული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა. ეს დასკვნა რუსეთის ფედერაციიდან, დაახლოებით, ორ თვეში ჩამოვიდა. ექსპერტიზა ცხედარს დაგვიანებით, გარდაცვალებიდან 14

წლის შემდეგ, ჩაუტარდა, რაც მთელი რიგი საკითხების გარკვევას, ცხადია, აძნელებს, თუმცა დღემდე ეს დასკვნა ერთადერთ დოკუმენტს წამოადგენს, საიდან გამომდინარეც, შესაძლოა, გარკვეული აზრი შეიქმნას ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების რეალურ მიზეზთა შესახებ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ დასკვნაში პირდაპირი პასუხი არ არის გაცემული შეკითხვაზე, იყო ეს მკვლელობა თუ თვითმკვლელობა.

ჩემ მიერ საპარლამენტო სესიებზე ორჯერ იქნა წარდგენილი შუალედური დასკვნა. ხოლო 2011 წლის 24 თებერვალს სესიაზე მოხდა კომისიის ძირითადი დოკუმენტის წარდგენა, რომელიც მოიწონა პარლამენტის სესიამ. ამის შემდეგ ეს დოკუმენტი (364 გვერდის ოდენობით) გადაეგზავნა რესპუბლიკის მთავარ პროკურატურას. დოკუმენტს დაერთო, ასევე, 48 ადამიანის სია, რომელთა დაკითხვაც კომისიას აუცილებად მიაჩნდა, თვლიდა რა, რომ ამ პირებს, შესაძლოა, ჰქონოდათ ახლო შეხება ჯალირა-ჯიხაშკარი-ძველ ხიბულაში მომხდართან ან ჰქონოდათ ფასეული ინფორმაციები. რაც შეეხება სამ მთავარ მოწმეს („მძინარე მოწმეებს", როგორც ერთმა ჟურნალისტმა შეარქვა), ჩვენ ისინი არაფერში დაგვიდანაშაულებია: უბრალოდ, აღინიშნა, რომ იქ, სადაც ამდენი წინააღმდეგობა და შეუსაბამობაა, სადაც გადმოცემულ ამბებში ირღვევა თვით ფიზიკის კანონები, იქ თვითმკვლელობის ვერსია არადამაჯერებელი ხდება და ჩნდება გონივრული ეჭვი, რომ მთავარი მოწმეები, შესაძლოა, რაღაც არსებითს მალავდნენ. ეს დამალვა, ბუნებრივია, თავდაცვის მიზნით შეიძლებოდა ყოფილიყო განპირობებული და ისინი, რაღაც გაგებით, პირველი ჩვენების მძევლები იყვნენ. ამის შეცვლა მათ ძალებს აღემატებოდა, რაც ტრაგიკულ ფიგურებად აქცევდა მათ.

ხელისუფლების ცვლილებას 2012 წელს თავიდან არანაირი ძვრა არ მოჰყოლია ამ საქმესთან მიმართებით. საქმე მხოლოდ 2015 წელს გადაკვალიფიცირდა და გამოძიება მიმდინარეობს განზრახ მკვლელობის მუხლით.[765] ამავე დროს, 2018 წელს საწოლის დაფაზე და რკინის ჩარჩოზე ჩატარდა დნმ-ს ტესტი. სამხარაულის ეროვნული ექსპერტიზის ცენტრში ჩატარებულმა ამ ტესტმა დაადასტურა, რომ საწოლის რკინა, რომელთან შეხებაშიც მოვიდა მასზე მწოლიარე ადამიანის სისხლი, ნამდვილად ატარებდა ზვიად გამსახურდიას დნმ-ის კვალს.

***

ზვიად გამსახურდიას, ისევე როგორც მერაბ კოსტავას, 2013 წელს ეროვნული გმირის წოდება მიენიჭა. როგორც უკვე აღინიშნა, 90-იანებსა და მომდევნო საუკუნეშიც, სამწუხაროდ, არაერთი ისეთი წიგნიც დაიწერა, რომლებშიც მაშინდელი მოვლენები ავტორებმა ან ვერ გაიგეს, ან დამახინჯებულად, ტენდენციურად გადმოსცეს. ამ ეროვნულ გმირთა ბევრი თანამდგომი, მონაწილე იმ დიდი ბრძოლებისა, ფიზიკურად აღარ არის, მაგრამ ისტორიულ მეხსიერებაში მაინც ცოცხლად დარჩება დიდი ეროვნული გამოღვიძება, რომელმაც ქვეყანა დამოუკიდებლობამდე მიიყვანა. ასეთია ზვიადის გზა, დიდებისკენ შეჭირვების

გავლით (Ad augusta per angusta). სამყაროში უშეცდომო არავინაა, მით უმეტეს, ისინი, რომლებიც ცდილობენ, ერთ დიდ საქმეს მეორე და მესამე მოაყოლონ. არც წმინდანები, არც, მით უმეტეს, ანტიკური ტრაგედიის გმირთა რეალური პროტოტიპები უშეცდომონი არ ყოფილან. ისინი მარცხდებოდნენ და კვლავ ფეხზე დგებოდნენ, ხოლო სასიკვდილო განსაცდელს, თუკი ეს შეეძლოთ, თავიდან ირიდებდნენ. თვით შესაძლო ფიზიკური განადგურება არანაირად არ ნიშნავდა მათ დამარცხებას. ცხოვრება თავად ახდენდა საბოლოო ბიოგრაფიულ შეჯამებას, გამომდინარე იქიდან, როგორც იცხოვრეს და როგორც აღესრულნენ ნაგულისხმები ისტორიული ფიგურები.

ჩემთვის ამ წიგნის დაწერისას ასევე ცხადი იყო: აუცილებლად გამოჩნდებიან ისეთი ადამიანები, რომელთა თვალსაზრისითაც მე ამ ხდომილებებისა და მათი აქტორების ყველაზე ცუდი ადვოკატი ვარ და ეს, ერთი, სრულიად უბრალო მიზეზით... ამიტომ, ჩემგან მიუკერძოებლობასა და ობიექტურობას არ უნდა ელოდონ. არ შევალ პოლემიკაში მკითხველთა და შემფასებელთა ამ კატეგორიასთან თუნდაც იმის გამო, რომ ყველა ფაქტი ისტორიული სიზუსტითაა გადმოცემული – რომელთა უკანაც ჩემი პიროვნება დგას. აქვე დავსძენ, რომ მათთვისაც შეიძლება საინტერესო იყოს იმ რაკურსით დანახული ამბები, როგორც ეს წინამდებარე წიგნშია.

რამდენადაც ჩვენი ეპოქა „წარმატების“ კულტზეა ორიენტირებული, შესაძლოა, მავანმა წინამდებარე წიგნის ირგვლივ ასეთი კითხვა დასვას: „რას მაძლევს დამარცხებული მოძრაობისა და მისი ლიდერის ისტორია? გამოდის, რომ მაინც ჰაგიოგრაფიული მომენტის წამოწევა ხდება – ისტორიები ადამიანებისა, რომლებიც დამარცხდნენ ფიზიკურად, თუმცა, თითქოს, მორალურად გაიმარჯვეს. ასეთნი მრავლად იყვნენ უწინ და წარსულში დარჩნენ, დღევანდელობა კი საკითხებს სხვანაირად სვამს. ისინი ამბობენ – არა „გააკეთე ან მოკვდი“, არამედ – „გააკეთე, ვიდრე მოკვდები“. ერთხელ აღვნიშნე და გავიმეორებ, რომ რაღაც ახალ ჰაგიოგრაფიაზე ალუზია ჩემი მიზანი არ ყოფილა. თანაც, ზვიად გამსახურდია არც არჩევნებში დამარცხებულა და არც ისეთ პოლიტიკურ პროცესში, სადაც დემოკრატიულ თამაშის წესებს, ასე თუ ისე, გაითვალისწინებდნენ. ამ საკითხზე პასუხის გაცემას დავიწყებ ჰეგელის თვალსაზრისით ისტორიის შესახებ: „ხალხებმა და მთავრობებმა ვერაფერი ისწავლეს მისგან და არასოდეს უმოქმედიათ იმ გამოცდილებიდან, რისი მიღებაც აქედან შეეძლოთ. ისტორიიდან სწავლა, თუკი ეს ისტორია სინამდვილესთან შეძლებისდაგვარად მიახლოებულია, ბევრ რამეს აგვარიდებდა მომავალში“. ის, რის შესახებაც ამ წიგნშია მოთხრობილი, იმან თავისი როლი უკვე შეასრულა და კიდევ შეასრულებს. სხვათა შორის, მომავალი გამარჯვებები, სწორად შეფასებულ, ღირსებით ნატარებ დამარცხებაში, გაჭირვებასა და დროებით აღზევებული უსამართლობის ჩრდილში იჭედება. მაღლად მხედი ადამიანების ნაბიჯები, გადადგმულნი ასეთ სიტუაციებში, განსაკუთრებულ წაკითხვას საჭიროებს. მათგან ბევრი რამის სწავლაა შესაძლებელი. ჩვენი წიგნის მიზანი ასევე იყო, გვეჩვენებინა, რა იყო

გადალახვადი, დაძლევადი და რა – დაუძლეველი წინააღმდეგობა მოცემულ ეტაპზე – ანუ ისეთი, რაც ისტორიულმა, ობიექტურმა, ჩვენგან დამოუკიდებელმა გარემოებებმა განაპირობა.

ისიც თქმულა, თითქოს, აღნიშნულ პერიოდში, მხოლოდ დამოუკიდებლობა გამოცხადდა და მეტი არაფერი გაკეთებულა. ამ თვალსაზრისით უნდა ითქვას, რომ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დროს, სრულიად კონკრეტული ღონისძიებები გატარდა, საჭირო ნაბიჯები გადაიდგა და გარკვეული წარმატებებიც იქნა მიღწეული. ჩამოვთვლი ზოგიერთ მათგანს: 1. 1990-1991 წლებში ჩატარდა სამი არჩევნები: საპარლამენტო, საპრეზიდენტო და ადგილობრივი თვითმმართველობის – ისინი შედგა ძალიან მაღალი დემოკრატიული სტანდარტებით. არჩევნები ჩატარდა, ასევე, აჭარასა და აფხაზეთში, რომლებიც საქართველოს იურისდიქციიდან არ გასულა. 2. საქართველომ შეიძინა რამდენიმე სამგზავრო თვითმფრინავი და ევროპაზე ამოქმედდა საჰაერო გზა. 3. მიწისძვრით დანგრეულ რაჭაში და ზემო იმერეთში 5 000-ზე მეტი სახლი აშენდა. 4. ჩატარდა პირველი პრივატიზაცია, ანუ გადაიდგა პირველი ნაბიჯები მცირე და საშუალო ბიზნესის აღორძინებისთვის. ამისთვის შეიქმნა შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა. 5. ევროპელებთან მოლაპარაკებებში დაისვა საკითხი ბაქო-ბათუმის ნავთობსადენის აღდგენაზე. უზენაეს საბჭოში პირველად გახმოვანდა საქართველოზე გამავალი „აბრეშუმის გზის“ იდეები, ასევე დაიწყო მუშაობა „შავი ზღვის“ თანამშრომლობის ფორმატში. 6. ჩატარდა ევროპის ჩემპიონატი საწყალოსნო სპორტში, ქ. ფოთში. 7. მომზადდა პოლიციის რეფორმა, შეისყიდეს ახალი ავტომობილები და ახალი პოლიციისთვის შეიქმნა მოდერნისტული ლოგო. 8. ელმავალმშენებელ ქარხანაში დაიწყეს მცირე ჰესების დანადგართა წარმოება, რომლებიც 10-დან 60 ოჯახამდე ელექტროენერგიით მომარაგებას გასწვდებოდა. 9. დამოუკიდებლობის აღიარებაზე ამერიკაში ურთიერთობა დამყარდა ებრაულ სათვისტომოსთან და საინფორმაციო სააგენტო „სოხნუთთან“, რომლის წარმომადგენლებიც უკვე 1990 წლის ბოლოს ჩამოვიდნენ და შეხვდნენ უზენაეს საბჭოში ოფიციალურ პირებს. 10. შეიქმნა კომისია ახალი ქართული ვალუტის შესაქმნელად, განიხილებოდა ორი სახელი – „მარჩილი“ ან „ლარი“. 11. მარტის თვეში რუსეთიდან შეწყდა სიგარეტის შემოტანა – საამისოდ გაიჭრა სხვა არხები. 12. მიღებულ იქნა მნიშვნელოვანი კანონი პრესის თავისუფლებაზე, ასევე თავისუფალი უნივერსიტეტების შექმნასა და საქმიანობაზე. 13. მოსალოდნელი სასურსათო კრიზისის აღსაკვეთად დაიწყო რეზერვების შექმნა, აიკრძალა პროდუქტის გატანა რუსეთში. ამ დროს, საბჭოთა კავშირში, თვეში 75 %-იანი ინფლაცია მიდიოდა. გადაგზავნილი პროდუქციის სანაცვლოდ გადმორიცხული თანხა მის თვითღირებულებასაც კი ვერ ფარავდა. ამიტომ საბაზრო ფასებზე გადასვლამდე საჭიროდ ჩაითვალა პროდუქციის დასაწყობება. 14. დაიწყო მოლაპარაკებები დასავლურ ნავთობკომპანიებთან, ასევე „ბოინგის“ კორპორაციასთან. მოლაპარაკებები მიდიოდა, ასევე, „პეპსიკოლასთან“, „ბაიერთან“, „მაკოილთან“, „მაიკროსოფტთან“ და სხვა კომპანიებ-

თან. 15. საყოველთაო განხილვისათვის გამოქვეყნდა პროექტი სადაზღვევო მედიცინის შესახებ ანუ 1992 წლიდან ქვეყანა გადადიოდა ჯანმრთელობის დაზღვევაზე. 16. შეიქმნა სამუშაო ჯგუფი ქვეყნის ახალი კონსტიტუციის პროექტის წარმოსადგენად. 17. დაწესდა მორატორიუმი სიკვდილით დასჯაზე. 18. შედგა პრეზიდენტ ელცინის ვიზიტი და მოხდა მის მიერ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების მართლზომიერების აღიარება, ასევე შედგა აშშ-ის 37-ე პრეზიდენტის, ნიქსონის ვიზიტი, რომელმაც ზვიად გამსახურდიას მოღვაწეობას მაღალი შეფასება მისცა. 19. სახელმწიფო გადატრიალების დასრულებამდე საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარა მსოფლიოს 30-მდე ქვეყანამ, მათ შორის, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ინდოეთმა, ჩინეთმა, ბრაზილიამ, რუმინეთმა და თურქეთმა.

გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, ადამიანების გარკვეულმა კატეგორიამ საქართველოში, რომელთა პოლიტიკურ ინსტრუმენტს 1992 წლის 2 იანვრის „ხუნტა" წარმოადგენდა, შემდეგი რევანშისტული პოზიცია დაიკავა: „ყველაფერი მოგვარებადია, – ამბობდნენ ისინი,– ჩვენც ყველაფერში მოვრიგდებით შიდაპოლიტიკურად, ოღონდ ბოლომდე უნდა განხორციელდეს ფორმულა „ყველა მინუს ერთი". ამ ადამიანების მოტივაცია შეიძლება ბევრნაირი ყოფილიყო – დაწყებული ბიოგრაფიული ბმით საბჭოთა იმპერიის მეტროპოლიასთან, დასრულებული საკუთარი აზროვნებითი შეცდომებით ან გადაჭარბებული, არაადეკვატური რეაგირებით ეროვნული ხელისუფლების შეცდომებზე. ამ „ერთის" მიღმა კი საქართველოს პრეზიდენტი იგულისხმებოდა, ასევე, ყველა ის, ვინც ამ ფორმულას დაუპირისპირდებოდა და კვლავ პრეზიდენტის გვერდით დადგებოდა. ამ არაერთგვაროვანმა, ჭრელმა ძალამ, ქვეყნის შიგნით ეროვნული ხელისუფლების მიმართ უკმაყოფილო ელემენტების მობილიზაციით, ასევე, რუსულ-საბჭოთა იმპერიის არმიისა და სპეცსამსახურული რესურსის დახმარებით, დაამხო კანონიერი ხელისუფლება, ფიზიკურად დაამარცხა ზვიად გამსახურდია და მისი მომხრეები; „ხუნტის" კოჰორტამ საბჭოთა იმპერიის პროპაგანდისტულ მანქანასთან ერთად საერთაშორისო მასშტაბითაც მიაღწია მიზანს: მათ პრეზიდენტ გამსახურდიაზე მთელ მსოფლიოში გაავრცელეს არაერთი დეზინფორმაცია და ხელი შეუწყვეს ყალბი სტერეოტიპების დანერგვას. ოღონდ, ერთიცაა – მათ გამარჯვებას მიაღწიეს დროის მოკლე, ხელშესახებ მონაკვეთში, თუმცა ზვიადთან წააგეს ომი შედარებით შორეულ, ისტორიულ პერსპექტივაში. ასე დამარცხდა სიშლეგე უთოფოდ და უზარბაზნოდ. ზვიადმა ამ მხრივაც სახელმწიფოებრივი კუთხით საინტერესო ფორმულა შესთავაზა თავის მომხრეებს ოპონენტებზე: „ჩვენ ისინი ისე უნდა დავამარცხოთ, რომ მათაც ჩვენთან ერთად გაიმარჯვონ".

ერთხელ უზენაესი საბჭოს წევრმა, გურამ პეტრიაშვილმა, 2013 წელს ასეთი რამ განაცხადა: „დღემდე საქართველოში პოლიტიკას ერთადერთი ადამიანი აკეთებდა: ზვიად კონსტანტინეს ძე გამსახურდია. სხვები ამა თუ იმ პროექტების მენეჯერები ან ფოსტალიონები იყვნენ". ეს აზრი, შესაძლოა, საკამათოც

იყოს, თუმცა საინტერესოა თავისი გაბედულებით. სხვისი დაწერილი პროექტი შეიძლება ცუდიც იყოს და კარგიც. შესაძლოა წიგნიერად და გონივრულად იყოს შედგენილი და ბევრ რამეს ითვალისწინებდეს კიდეც. მაგრამ ის მაინც სხვისი შექმნილია და გამოხატავს, იმ „სხვას" როგორ ესმის შენი ქვეყნისა და ხალხის კეთილდღეობა, შენი სახელმწიფოს უკეთესი მომავალი. იმავდროულად, შეუძლებელია მისი განმახორციელებელი მთელი არსებით იდგეს იმ საქმის უკან, რომელიც მის მიერ არ არის კონცეპირებული.

ზვიად გამსახურდიას მემკვიდრეობა რაღაცით ჰგავს უზარმაზარ პანოს, რომელიც მხატვარმა დატოვა. ზედ არის დასრულებული ფიგურებიც, არის ნახევრად დასრულებულებიც და ისეთებიც, რომლებიც ორი ან სამი მონახაზი თუა. მას ძალიან ცოტა დრო ჰქონდა და „პანო" ამაზე მეტს ვერ დაიტევდა. თუმცა ზრახვებსა და მიმართულებებზე მსჯელობა შესაძლებელია. მისი მემკვიდრეობა ბევრ კითხვასაც წამოჭრის და საინტერესო პასუხებსაც იძლევა, როდესაც მიუკერძოებელი აზროვნებით უახლოვდებიან. ასეთია, მაგალითად, მისი ჩეჩნეთიდან საქართველოში დაბრუნების ამბავი, რომლის მიზანი სწორედაც რომ დეპოლარიზაცია იყო, რაც წინამდებარე წიგნში სათანადოდაა განხილული. სამწუხაროდ, პროცესები ადრეულ 90-იანებში ისე წარიმართა, რომ შედეგად პოლარიზაციის მოსურნე და მასში დახელოვნებულ პირთა პოზიციები უფრო მეტად განმტკიცდა. მიუხედავად იმისა, რომ დრომ ბევრი რამ თავის ადგილზე დააყენა, ასეთებს დღემდე ვხედავთ ტელეეკრანებზე და მათ სიცრუეს დღემდე ისმენს საზოგადოება, თუმცა ესეც დროებითია. ზოგიერთი მათგანი თვლის, რომ საქართველოს პირველი პრეზიდენტი პოლიტიკოსი არ ყოფილა, მხოლოდ პატრიოტი და დისიდენტი იყო. მათ მოუწევთ დაჯერება, რომ ზვიად გამსახურდია უფრო მომავლის პოლიტიკოსი იყო, იმ ეპოქისა, რომელშიც პოლიტიკოსობა ყველაფერზე ხელის მომწერ მაკიაველიზმსა და გაიძვერობასთან აღარ გაიგივდება.

ისტორია ზოგჯერ ჰგავს ენამჭევრ მეიგავეს, რომელიც სხვადასხვა ეპოქის გასაოცარ იგავებს მოგვითხრობს. საქმე ისაა, მათი ჰერმენევტიკული და სიმპტომატოლოგიური წაკითხვა შევძლოთ. უნივერსიტეტსა და აკადემიური მეცნიერების სფეროში მოღვაწე ზვიად გამსახურდიასაც, გადადგა რა ნაბიჯი ჯერ დისიდენტობისკენ, შემდეგ კი – პოლიტიკისკენ, სახარებისეულმა იგავმა მისცა იმპულსი – იგავმა „კეთილ სამარიტელზე", იუდეური ორთოდოქსიის თვალსაზრისით, ფაქტობრივად, წარმართზე, რომელმაც შაბათი დაარღვია, დაეხმარა რა ყაჩაღებისგან ნაგვემ კაცს, თუმცა, ამით უფლის ნება ჰყო. ზვიად გამსახურდიას მაგალითი გვაფიქრებინებს, რომ პოლიტიკა, გარდა პრაგმატული გათვლებისა, ასევე შეიძლება მორალური ბრძოლაც იყოს, ბრძოლა ადამიანურობისთვის, ისევე როგორც ბრძოლა სამართლიანობისა და ეროვნული დამოუკიდებლობისთვის, სამშობლოსა და ერი-სახელმწიფოსთვის.

დამოწმებული წყაროები

1. საქართველოს მთავარი საისტორიო არქივის N 1461 ფონდის მასალებში (საქმე 118, ფურც. 12);
2. გაზეთი „ტალღა“, 1906, N16;
3. გაზეთი „მეგობარი“,1906, N74;
4. გაზეთი „ელვა“, 1906, N47;
5. შდრ. სოციალურ ქსელში ცოტნე გამსახურდიას მიერ გამოქვეყნებული პოსტი, სადაც ის წერს, რომ ს. ზაქარიაძის ეს ჩანაწერი მსახიობის შვილიშვილმა გამოუგზავნა. https://www.facebook.com/profile/100004596601330/search/?q=%2C%2C%E1%83%A0%E1
6. „თავისუფალი საქართველო“, მრგვალი მაგიდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი, 1991 წლის 17 მაისი;
7. Звиад Гамсахурдиа, За независимую Грузию, Автобиография. Москва, 1996; გვ. 8;
8. За независимую Грузию, იქვე;
9. დალი ლოლუა, 13 წელიწადი კოლხურ კოშკში, არტანუჯი, 2018 გვ. 13;
10. კონსტანტინე გამსახურდია, სიტყვები ქართველი ერისადმი 26 მაისს, გაზეთი „სოციალ-ფედერალისტი“, 1921, N70;
11. გამსახურდია, ღია წერილი ულიანოვ-ლენინისადმი, გაზეთი „სოციალ-ფედერალისტი“, 1921, N 56;
12. ლიტერატურული საქართველო, 1991, 26, VII; (ZNG, გვ. 9);
13. За независимую Грузию, გვ. 9;
14. შდრ. სტატია „ენციკლოპედია ბრიტანიკაში“.
15. Авторханов А. Технология власти, Possev-Verlag, 1983;
16. Richard Pipes, Memoirs of Non-Belonger, Yale-University-Press, 2003; გვ. 26-31;
17. Л. Колаковский . Семнадцать „или“ и другие эссе. П: ТТ, 2014. გვ. 117;
18. Frank Lothar Kroll, Barbara Zehnpfennig, Hg. Ideologie und Verbechen, Kommunismus und Nationalsozialismu im Vergleich, W. Fink, 2013, S. 185-210;
19. სუკ-ის არქივი, საქმე 9997;
20. За независимую Грузию გვ. 9-10;
21. Из Определения № 7 н 071/98 Военной коллегии Верховного суда РФ.;
22. სოსო სიგუა, კონსტანტინე გამსახურდიას 20-იანი წლების პროზა და კრიტიკა, საკანდიდატო დისერტაციის თავი, 1973, გვ. 31;
23. Виктор Фрадкин, Дело Кольцова, Вагриус 2002, გვ. 149;
24. კ. გამსახურდია, ტომი პირველი, 1992: გვ. 133-135;
25. სოსო სიგუა, მარტვილი და ალამდარი, თბ. 2001, გვ. 176;
26. სიგუა, იქვე, გვ. 185-186;
27. სიგუა, იქვე, გვ. 205-210;
28. სიგუა, იქვე. გვ. 190;
29. სიგუა, გვ. 192-193;
30. დონალდ რეიფილდი, „სტალინი და მისი ჯალათები“, „კადმოსი“, 2019; (ინგლისურიდან თარგმნა და რუსულ რედაქციას შეადარა, ბელა წიფურიამ, ილიას სახ. უნივერსიტეტი, გვ. 337;
31. 126 ამბავი, კონსტანტინე გამსახურდია, არტანუჯი, 2019, გვ. 98-99;
32. სიგუა, იქვე. გვ. 230;
33. შდრ. საიმონ სებაგ მონტეფიორე, „სტალინი, წითელი მეფის კარი“, თბ. 2012;
34. სიგუა, იქვე, გვ. 279-280;
35. სიგუა, იქვე, გვ.. 285;
36. სიგუა, იქვე, გვ. 289-290;
37. ჟურნ. „Знамя“, 1945, N 9;
38. სიგუა, იქვე, გვ. 311-312;
39. სიგუა, იქვე, გვ. 323-324;
40. За независимую Грузию, გვ. 14;
41. სიგუა, იქვე, გვ. 326-327;
42. ი. სტალინი, თხზულებები, ტ. 5. გვ. 195, (რუსული გამოც.);
43. А. Авторханов, технология власти, 1959, стр.. 282, 285;
44. А. Авторханов „Загадка смерти Сталина“, Possev-Verlag, 1986 стр. 224; 255;
45. სიგუა, იქვე, გვ. 339-341;
46. Хапров Ш., Языковая рефлексия и лингвистическое мифотворчество Иосифа Бродского НЛО, 2009, N 67;
47. ნიგნიდან Чуев Ф. И. Полудержавный властелин. М.: Олма-Пресс, 2000, (https//www.tubaltic.ru/context/05032020-molotov-o-smerti-stalina-bcriya-men-skazal-eto-ya-ego-ubil-ya-vas-vsekhspas/?fbclid=IwAR3t-fsqziMnkPG6xFz3c0ti8dGmYgKHF77n7SV2Xu4qZHCFdHStOxeU;
48. სიგუა, იქვე, გვ. 365-366;
49. სიგუა, იქვე, გვ. 366;
50. За независимую Грузию, გვ. 14-15;
51. За независимую Грузию,. გვ.15-16;
52. https://iberiana.wordpress.com/zviad-gamsakhurdia / gamsakhurdia-shevardnadze-1/;
53. За независимую Грузию გვ. 28-29;
54. მერაბ კოსტავა, კონსტანტინე გამსახურდიას გარდაცვალების წლისთავზე, შენწყვეტილი ფიქრები, თბ. „მერანი“, 1991;
55. დალი ლოლუა, 13 წელიწადი, გვ. 62;
56. სიგუა, იქვე, გვ. 239;
57. За независимую Грузию, gv. 10;
58. გაზეთი „დრო“, 32, (78);
59. დალი ლოლუა, იქვე, გვ. 17;
60. დალი ლოლუა, იქვე, გვ. 16;
61. გ. დოჩანაშვილი, „რაც უფრო მახსოვს და მეტად მაგონდება“, ავტობიოგრაფიული რომანი,

თბ. 2010. გვ. 9-10;

[62] გ. დოჩანაშვილი, იქვე, გვ. 11;

[63] იუნონა აფაქიძე, რად უნდოდა ზვიად გამსახურდიას პოლიტიკოსობა, 13. 02.2015; პორტალი გზა, 2010,

[64] ი. აფაქიძე, იქვე;

[65] За независимую Грузию, გვ. 10-11;

[66] მერაბ კოსტავა, შენყვენტილი ფიქრები, იქვე;

[67] ანა კალანდაძე, მოგონებები, https://geotimes.com.ge/?m=5&news=id=95024;

[68] თემურ ქორიძე, https://for.ge/index.php/view/47137/saqarTvelos-pirveli-prezidentis-iRbali-da-bediswera.html;

[69] ზვიად გამსახურდიას მოძღვრის სკანდალური ინტერვიუ, დ. ჩუბინიძე, „ასავალ-დასავალი", 6.06.2015;

[70] За независимую Грузию, გვ. 14;

[71] За независимую Грузию, გვ. 15;

[72] 79 ამბავი, ზვიად გამსახურდია, „არტანუჯი", 2018. გვ. 14-15;

[73] მერაბ კოსტავა, მუზეუმების გაერთიანება, თბ. 2019, გვ. 48;

[74] За независимую Грузию, გვ. 15-16;

[75] თ. ცერცვაძე, ზვიად გამსახურდია, 79 ამბავი, გვ. 15;

[76] За независимую Грузию, გვ. 16-17;

[77] За независимую Грузию, გვ. 20-21;

[78] ქართული დისიდენტური მოძრაობის ისტორია, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ომარ თუშურაშვილი და ვლადიმერ ლუარსაბიშვილი, თბ. 2016, გვ 110;

[79] თუშურაშვილი-ლუარსაბიშვილი, გვ. 109;

[80] თუშურაშვილი-ლუარსაბიშვილი, გვ. 109-111;

[81] За независимую Грузию, გვ. 19-20;

[82] სიგუა, იქვე, გვ. 384;

[83] ზვიად გამსახურდიას წერილი ეახტანგ ჭელიძეს, როსტომ ჩხეიძის კომენტარი, ჩვენი მწერლობაა, 27.12.2013;

[84] დალი ლოლუა, იქვე, გვ.16;

[85] დალი ლოლუა, იქვე, გვ. 3;

[86] დალი ლოლუა, იქვე, გვ. 75-77;

[87] დალი ლოლუა, იქვე, გვ. 3;

[88] За независимую Грузию, გვ. 20;

[89] За независимую Грузию, გვ. 21-22;

[90] დალი ლოლუა, იქვე, გვ. 26;

[91] მერაბ კოსტავა, მუზეუმების გაერთიანება, გვ. 61;

[92] За независимую Грузию, გვ. 27;

[93] За независимую Грузию, გვ. 28;

[94] За независимую Грузию, გვ. 28-29;

[95] საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ოფიციალური დოკუმენტები, მიმართვები და ინტერვიუები, ზვიად გამსახურდია, ტ. 1-5. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, თბ. 2013; გვ. 412

[96] დალი ლოლუა, იქვე, გვ. 29-31;

[97] დალი ლოლუა, იქვე, გვ. 36;

[98] ზ. გამსახურდია, პრერაფაელიტიზმი და უალდის ზღაპრები, ნერილები, ესსეები, თბ. 1991. გვ. 309-330;

[99] ზ. გამსახურდია, ნერილები, ესსეები, გვ. 532-542;

[100] ზ. გამსახურდია, ნერილები, ესსეები, გვ. 395;

[101] ზ. გამსახურდია, ნერილები, ესსეები, გვ. 365;

[102] დალი ლოლუა, იქვე გვ. 26-27;

[103] ზ. გამსახურდია, ნერილები, ესსეები, გვ. 499-516;

[104] იხ. „მნათობი." 1969 წ. N 9

[105] ჩვენი მნერლობა, ზვიად გამსახურდიას წერილი ეახტანგ ჭელიძეს;

[106] ზვიად გამსახურდია, პოლიტიკა, მეცნიერება, ლიტერატურა, კონფერენციის მასალები, არტანუჯი, თბ. 2020, გვ. 397;

[107] რევაზ თევარაძე, „ცისკარი", 1969, N 12;

[108] ზ. გამსახურდია, ნერილები, ესსეები, გვ. 452;

[109] ზ. გამსახურდია, ნერილები, ესსეები, გვ. 453;

[110] ზ. გამსახურდია, ნერილები, ესსეები, გვ. 456-457;

[111] ზ. გამსახურდია, ნერილები, ესსეები, გვ. 474;

[112] Кассирер Э. Опыт о человеке. Введение в философию человеческой культуры. Кассирер Э. Избранное. Опыт о человеке. М.: Гардарика, 1998. გვ. 630;

[113] Анри Бергсон, Творческая эволюция., СПб., 1914, გვ. 159;

[114] ნ. კუპრეიშვილი, კრებული ზვიად გამსახურდია, კონფერენციის მასალები, გვ. 399;

[115] ზ. გამსახურდია, ნერილები, ესსეები, გვ. 568; 696;

[116] დალი ლოლუა, იქვე. გვ 22;

[117] როსტომ ჩხეიძე, ბედი პაელე ინგოროყვასი, თბ. 2015. გვ. 633-634;

[118] 126 ამბავი, კონსტანტინე გამსახურდია, ირ. აბაშიძე. გვ. 161-163;

[119] ზ. გამსახურდია, ნერილები, ესსეები, გვ. 552-553;

[120] ჯ. დაელიანიძე, საერთო გაზეთი, N14. 24-30, IV, 2013;

[121] Анастас Микоян. Так было. М.: Вагриус, 1999., გვ. 629-630;

[122] Пётр Шелест „Настоящий суд истории ещё впереди" Петро Шелест. Справжній суд історії ще попереду. Спогади, щоденники, документи, матеріали / За ред.: Ю. Шаповала. Київ: Генеза, 2004. გვ. 417;

[123] https://poetry.ge/poets/konstantine-gamsakhurdia/publication/q-konstantine-gamsaxurdia-werili-davit-mchedlishvilisadmi;

[124] Ф. Чуев, Полудержавный властелин. М.: „Олма-Пресс", 2000;

[125] За независимую Грузию, გვ. 20-21;

[126] За независимую Грузию, გვ. 23;

[127] დალი ლოლუა, იქვე. გვ. 31;

[128] /https://azbyka.ru/otechnik/Istorija--Tserkvi/

russkaja-pravoslavnaja-tserkov-pristalinc-i-hrush-heve-gosudarstvenno-tserkovnye-otnoshenija-v-sssr-v-1939-1964-godah/ იხ. III თავი;

[129] „საქართველოს მოამბე“, N 1, ქართული თვით-გამოცემა 31 წლისაა, გამომც. „საქართველოს მაცნე“, თბ. 2007;

[130] დალი ლოლუა, იქვე, გვ. 151;

[131] За независимую Грузию, გვ. 26;

[132] სერგო ვარდოსანიძე, რა მოხდა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში, (ხელნაწერი)

[133] დალი ლოლუა, იქვე, გვ. 21-22;

[134] დალი ლოლუა, იქვე, გვ. 23;

[135] ზვიად გამსახურდია, „კოსმიური წირვა“, ლექ-სები, თბ. 2014. გვ. 11;

[136] თამარელა ნონორია, ზვიად გამსახურდია, კონფერენციის მასალები, გვ. 351-352;

[137] დალი ლოლუა, იქვე, გვ. 27-28;

[138] Swiad Gamsachurdia, fuer den Anthrophos kaempfen, Zeitschrift Die Drei, N12, Stuttgart, 1993;

[139] ალიკო ცინცაძე, გიორგი ბაღათურია, არჩევანი, დემოკრატიის მშენებლობა ტოტალიტარიზმის ეპოქაში, ედუარდ შევარდნაძის გამოცდილება, გამომც. „ბაკმი“, თბ. 2002, გვ. 60;

[140] ცინცაძე-ბაღათურია, იქვე, გვ. 63;

[141] I. aleqseeva, https://www.mhg.ru/sites/default/fi les/fi les/histinak.pdf; გვ.101;

[142] За независимую Грузию, გვ. 35;

[143] ჯაბა იოსელანი, „სამი განზომილება“, გამომც. საარი, თბ. 2021, გვ. 455;

[144] დალი ლოლუა, იქვე, გვ. 114;

[145] დალი ლოლუა, იქვე. გვ. 121-122;

[146] За независимую Грузию, გვ. 36;

[147] За независимую Грузию, გვ. 34;

[148] https://iberiana.wordpress.com/zviad-gamsakhurdia/dilema-ge/;

[149] შდრ. საქართველოს მოამბე, N 2;

[150] Detlev Preuue, Umbruch von unten: Die Selbstbefreiung Mittel- und Osteuropas und das Ende der Sowjetunion, Kindle Ausgabe, Springer 2014, გვ. 42;

[151] Preuue, Umbruch, გვ. 49-50;

[152] Сюзанна Шаттенберг. Леонид Брежнев: величие и трагедия человека и страны. РОССПЭН, 2018, გვ. 405;

[153] Al. Daniel, Im Geist der Freiheit, Zur Geschichte der Menschen- und Buergerrechtsbewegung in Russland, in: Russland auf dem Weg zum Rechtsstaat? Antworten aus der Zivilgesellschaft, Deutsches Institut fuer Menschenrechte, (Hrsg.) Berlin, 2003, S. 24;

[154] Жарикова Т. Почему „Оттепель“?. 29 (6560). ËëgàaÀg'aiÀ¿ газета. 20 июля 2016;

[155] კონსტანტინე ზ. გამსახურდია, საბჭოთა დისი-დენტობის ისტორიიდან, https://www.radiotavisu-pleba.ge/a/tavisupali-sivrtse-konstantine-gamsakhurdia-sabchota-periodis-disidentobis-istoriidan/27295951.html; აქვე შდრ. Chriostopher Andrew, Mitrokhin Vasili, the Sword and the shield, The Mitrokhin Archive and the secret history of the KGB, 1999;

[156] За независимую Грузию, გვ. 39-40;

[157] საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ზ. გამსახურდია, ტ. 2. გვ. 409;

[158] Нузов В. ИДЕЯ N 2 (Интервью с академиком В. Гинзбургом) Вестник. № 14(168). 24.6.1997;

[159] რ. მედვედეევი, http://www.ihst.ru/projects/sohist/memory/med02vr.htm

[160] ა. სახაროვი, მოგონებები, „1968 წ.“ http://www.ihst.ru/projects/sohist/memory/sakhrnem/2-2.htm

[161] Preuue, Umbruch, გვ. 102;

[162] Варлам Шаламов. Письма к А. И. Солженицыну, Собрание сочинений. М.: Худ. лит., Вагриус, 1998. Т. 4.;

[163] За независимую Грузию, გვ. 51;

[164] http://www.solzhenitsyn.ru/zhizn –სოლჟენიზინა/ვოსპომინანიყა/2346/;

[165] https://arzamas.academy/materials/1143;

[166] http://www.konkurent-krsk.ru/index.php?id=4174;

[167] Л. Алексеева, Интервью Николая Митрохина, газета Панорама, 1991, N 3 (30);

[168] Гамсахурдиа, Звиад. Человечество перед дилеммой / Ред.: Ираклн Кенчошвили — М.: „Актриса Маргарита“, 1993;

[170] Л. Алексеева, Интервью Николая Митрохина, იქვე;

[171] За независимую Грузию, გვ. 56-57;

[172] За независимую Грузию, გვ. 51-52;

[173] კ. ზ. გამსახურდია, საბჭოთა დისიდენტობის ისტორიიდან, რადიო თავისუფლება; ლ. ალექ-სეევა, https://www.mhg.ru/sites/default/fi les/fi les/histinak.pdf, გვ. 101;

[174] მ. კოსტავა, თურქი მესხები თუ ქართველი მესხები? საქართველოს მოამბე, N2;

[175] Preuue, Umbruch, გვ. 101;

[176] Preuue, Umbruch, გვ. 103;

[177] https://kvirispalitra.ge/article/43739-qteroristiq-gam-vlelebs-afrthkhilebda-iqithar-gaiaroth-sashishiaoq-vin-da-ratom-moatsyo-afelhqebebis-seria-sabicotha-sa-qarthveloshi/;

[178] ირაკლი გიორგაძე, ეროვნული მოძრაობის თავისებურებანი საქართველოში,) XX ს-ის 20-90-იან წლებში) დისერტაცია წარმოდგენილია ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბ. 2004. გვ. 172-193;

[179] ცინცაძე-ბაღათურია, გვ. 103;

[180] ცინცაძე-ბაღათურია, გვ. 110;

[181] სიგუა, მარტვილი და ალამდარი, გვ. 347;

[182] სერგი ჭილაია, მოგონებათა გამა, თბ. „საბჭოთა საქართველო“. 1989; გვ. 156;

[183] მერაბ კოსტავა, კონსტანტინე გამსახურდიას გარდაცვალების წლისთავზე https://georoy-al.e/?MTID=5&TID=92&id=3214;

[184] За независимую Грузию, გვ. 51-52;

[185] https://www.colta.ru/articles/dissidents/6426-alek-sandr-daniel-bez-dissidentovpolitika-stala-melkoy-kak-luzha;

[186] საქართველოს ეროვნული აკადემიის არქივი, ზვიად გამსახურდიას პირადი საქმე, ოქმი N5;
[187] За независимую Грузию, გვ. 53;
[188] За независимую Грузию, გვ. 53-54;
[189] За независимую Грузию, გვ. 55;
[190] 1977 წლის 18 თებერვალი, N 330-A, თუშურაშვილი-ლუარსაბიშვილი, გვ. 18;
[191] За независимую Грузию, გვ. 61;
[192] https://forum.ge/index.php?showtopic=34003661;
[193] https://www.facebook.com/rostom.chkheidze/posts /4607349872719953?comment_id=4608415429280064&notif_id=1640594556474143&notif_t=mentions_comment&ref=notif;
[194] ზვიად გამსახურდია, 79 ამბავი, გვ. 44-46;
[195] კ.ზ. გამსახურდია, საბჭოთა დისიდენტობის ისტორიიდან, რადიო „თავისუფლება";
[196] За независимую Грузию, გვ. 63-64;
[197] თუშურაშვილი-ლუარსაბიშვილი, გვ. 27-28;
[198] თუშურაშვილი-ლუარსაბიშვილი, გვ. 32-34,
[199] კ.ზ. გამსახურდია, საბჭოთა დისიდენტობის ისტორიიდან, რადიო „თავისუფლება";
[200] congressional Record, 18.05.1978, Congress.gov, 14382;
[201] За независимую Грузию, გვ. 64-65;
[202] За независимую Грузию,გვ. 66;
[203] За независимую Грузию, გვ. 67-68;
[204] За независимую Грузию, გვ. 68-69;
[205] Kevin Klose, Reporters assail trial before Moscow Judge, The Washington Poste, 01.07.1978;
[206] За независимую Грузию, გვ. 70;
[207] https://www.washingtonpost.com/archive/politics/1978/07/19/2-newsman-convicted- in-moscow/c5f4200d-bb62-4fbd-99a7-da480e368b6a/;
[208] Щдр.. Гамсахурдиа Звиад., Человечество перед дилеммой, გვ. 54;
[209] ჯაბა იოსელიანი, „სამი განზომილება", გვ. 17;
[210] За независимую Грузию, გვ. 71;
[211] საქართველოს მოამბე, N2. გვ. 31;
[212] За независимую Грузию, გვ. 42;
[213] ლ.ალექსეევა, გვ. 101-102;
[214] За независимую Грузию, გვ. 42-43;
[215] За независимую Грузию, გვ. 45-46;
[216] За независимую Грузию, გვ. 46-47;
[217] ლ.ალექსეევა, გვ. 102;
[218] „საქართველოს მოამბე", N 1, გვ. 28-29;
[219] https://reportiori.ge/old/?menuid=68&id=76348;
[220] „საქართველოს მოამბე", N 1, გვ. 40-51;
[221] „საქართველოს მოამბე", N 1, გვ. 60-61;
[222] За независимую Грузию, გვ. 42-43;
[223] „საქართველოს მოამბე", N1. გვ. 24-29;.
[224] „ლიტერატურული საქართველო, 2 აპრილი, 1977;
[225] თუშურაშვილი-ლუარსაბიშვილი, გვ. 98-99;
[226] За независимую Грузию, გვ. 44;
[227] საქართველოს მოამბე, N1, გვ. 61;
[228] ლ. ალექსეევა. გვ. 98-99;
[229] https://iberiana2.wordpress.com/segm/n-tsuleiskiri/;
[230] ა. ბაქრაძე, https://tbilisipost.ge/news/akaki-baqradzis-mogoneba-1978-tslis-martaprilis-movlenebis-shesakheb/3894;
[231] თუშურაშვილი-ლუარსაბიშვილი, გვ. 67-68;
[232] https://www.facebook.com/1250194544998078/posts/1250860761598123/?;
[233] თუშურაშვილი-ლუარსაბიშვილი, გვ. 64-66;
[234] თ. ჩხეიძე, https://at.ge/2019/04/14/dedaena/;
[235] ლ. ალექსეევა. გვ. 100;
[236] ლ. ალექსეევა. გვ. 100-101;
[237] ა. ბაქრაძე, https://tbilisipost.ge/news/akaki-baqradzis-mogoneba-1978-tslis-martaprilis-movlenebis-shesakheb/3894;
[238] თუშურაშვილი-ლუარსაბიშვილი, გვ. 64-65;
[239] За независимую Грузию, გვ. 74-75;
[240] ზ. გამსახურდია, ვეფხისტყაოსნის ინგლისური თარგმანები, მეცნიერებათა აკადემიის გამომც. თბ. 1983;
[241] За независимую Грузию, გვ. 73.
[242] ლ. ალექსეევა, გვ. 105;
[243] მერაბ კოსტავა, თბილისის მუზეუმთა გაერთიანება. გვ. 93;
[244] მერაბ კოსტავა, იქვე. გვ. 93-94;
[245] ქართული თვითგამოცემა 31 ნლისაა, „საქართველოს მოამბე" N1. გამომც. „საქართველოს მაცნე", თბ. 2007. გვ. 3.
[246] დალი ლოლუა, 13 ნელნადი, გვ. 4-5;
[247] დალი ლოლუა, იქვე, გვ. 34-44;
[248] https://burusi.wordpress com/2015/09/09/%E1%83%96%E1%83%95%E1%83%98%E1%83%;
[249] თუშურაშვილი-ლუარსაბიშვილი, გვ. 60;
[250] თუშურაშვილი-ლუარსაბიშვილი, გვ. 71;
[251] ლ. ალექსეევა. გვ. 106-107;
[252] ლ. ალექსეევა, გვ. 107;
[253] მ. ოქიაძე, ამირანი, XXIII, 2011, გვ. 265-270;
[254] ზ. გამსახურდია, ნერილები, ესსეები, გვ. 524-520;
[255] https://www.google.de/books/edition/Annual_Report_of_the_Commission_on_Secur/agVAAAAIAAJ?hl=en&gbpv=1&dq=Congress.+Commission+on+Security+and+Cooperation+in+Europe.+mission+receives+a+steady+stream+of+letters+and+...+of+Soviet+Helsinki+Groups+%3B+submitting+a+nomination+for+the+1985+Nobel+Peace+Prize+naming+five+imprisoned+Soviet+human+...&pg=PA14&printsec=frontcover;
[256] მერაბ კოსტავა, თბილისის მუზეუმთა გაერთიანება. გვ.103;
[257] Preuße. Umbruch, გვ. 97;
[258] ლ. ალექსეევა, გვ. 336;
[259] John Maresca, Die KSZE seit 1973, Mythos und Realitaet, Institut fuer Friedensforschung und Sicherheitspolitik an der Universitaet Hamburg, OSZE Jahrbuch, Baden-Baden 2006, გვ. 108;
[260] Preuße, Umbruch, გვ. 105;

[261] ცინცაძე-ბაღათურია, გვ. 122;
[262] Бобков Ф. Д. КГБ и власть. Москва. Издательство „Ветеран МП“, 1995. На заседаниях Политбюро. გვ. 168-170;
[263] ცინცაძე-ბაღათურია, გვ. 126-128;
[264] დ. გამცემლიძე, „უამი ჭეშმარიტი“, გარდაქმნის პირველი საიდუმლო, 4.10.2019; https://experti.ge/%E1%83%9F%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%98-%E1%83%AD%E1%83%94%E1%83%A8%E1%839B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98;
[265] За независимую Грузию, გვ. 96;
[266] За независимую Грузию, გვ. 202-203;
[267] მერაბ კოსტავა, თბილისის მუზეუმთა გაერთიანება, გვ. 125-126;
[268] https://www.radiotavisupleba.ge/a/tavisupali-sivrtse-giorgi-arkania-mitebizviad-gamvakhurdiaze/28400373.html;
[269] http://www.ambioni.ge/ekomigrantebi-svanetidan-damtiani-awaridan;
[270] რევაზ სიგუა, ნიკოლოზ სვანიშვილი, ომარ ქუცნაშვილი, „საუღელტეხილო რკინიგზა - საუკუნის პრობლემა“, „ლიტერატურული საქართველო“, 17.04.1987; კობა არაბული, ქართველ საზოგადოებას - ღია წერილი არაგვის ხეობიდან. ქართული ფილმი, 14.09.1988; საქინფორმი, „კავკასიის საუღელტეხილო: შეცდომის უფლება არა გვაქვს.“ ქართული ფილმი, 92.08.1988;
[271] ომარ ქუცნაშვილი, „საქართველო და მსოფლიო“, 6.12.2012;
[272] დიმიტრი შველიძე, პოლიტიკური დაპირისპირებები და ეროვნული ხელისუფლების დამხობა საქართველოში, 1987-1992, არტანუჯი, 2012; გვ. 44;
[273] დ. შველიძე, გვ. 45-46;
[274] Preuße, Umbruch, გვ. 340-342;
[275] Preuße, Umbruch, გვ. 345-347;
[276] За независимую Грузию, გვ. 96;
[277] შულცის ვიზიტის შესახებ თბილისში. მარიამ ხატიაშვილი, ამერიკის შეერთებული შტატების სახალხო დიპლომატიის მიზნები საქართველოში 1980-იან წლებში, სადოქტორო დისერტაცია, თბ. 2019, გვ. 105;
[278] ჟურნალი „გუშაგი“, გვ. 28-29, N 17, 1988 წ. ოქტომბერი;
[279] https://www.presidency.ucsb.edu/documents/remarks-soviet-dissidents-spasohouse-moscow;
[280] Los Angeles Times, 1988, 31.05 by Robert Gillette;
[281] За независимую Грузию, გვ. 97;
[282] ზ. გამსახურდია, 79 ამბავი, გვ. 51-52;
[283] ჟურნალი „გუშაგი“, N16, გვ. 46;
[284] ჟურნალი „გუშაგი“, N18, 1989, გვ. 19-22;
[285] დ. გამცემლიძე. „უამი ჭეშმარიტი“, ნოემბრის აქცია, https://experti.ge/%E1%83%9F%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%98-%E1%83%AD%E1%83%94%E1%83%A8%E183%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98;
[286] https://www.youtube.com/watch?v=1HRT9p6d65A&t=56s;
[287] За независимую Грузию, გვ. 99;
[288] დ. გამცემლიძე, „უამი ჭეშმარიტი“, უკანასკნელი შანსი, ეროვნული მოძრაობა;
[289] За независимую Грузию, გვ. 97;
[290] За независимую Грузию, გვ. 99-100;
[291] За независимую Грузию, იქვე;
[292] За независимую Грузию, გვ. 100-101;
[293] https://police.ge/files/9%20aprili.pdf?fbclid=IwAR18VJ0U1TOj5ufnieQprad5bIZTVwD8UpwCyosazTqm3Tu6p3N9EzXq1E;
[294] За независимую Грузию, გვ. 101-102;
[295] დ. შველიძე, გვ. 57;
[296] За независимую Грузию, გვ. 102;
[297] За независимую Грузию, გვ. 103;
[298] გაზეთი „კომუნისტი“, 11.04.1989;
[299] За независимую Грузию, გვ. 103-104;
[300] თუშურაშვილი-ლუარსაბიშვილი, გვ. 350-351;
[301] „ივერია“, 18 ივლისი, 1989 წ.
[302] https://1tv.ge/news/goga-khaindrava-dghemde-vfiqrob-rom-9-aprilis-ghamesuwmindesistvis-unda-dagvejerebina/;
[303] დ. შველიძე, გვ. 53;
[304] https://www.interpressnews.ge/ka/article/542282-tedo-paatashvili-bizina-ivanishvilsa-da-axalgazrdobas-gia-cerilit-mimartavsr/?fbclid=IwAR1M9OS0Rk4Fddg6–05SIfzW0progh NOiN1M9qMyq60O4t14aLrCrxJ5uoo;
[305] ჯ. ჩარკვიანი, ქართული ფილმი, 14.07.89;
[306] https://www.youtube.com/watch?v=iMB1CBXNPPg;
[307] Michael R. Beschloss and Strobe Talbott, At the Highest Levels: The Inside; Story of the End of the Cold War Paperback - 1 Mar. 1994, გვ. 51-52;
[308] Michael R. Beschloss and Strobe Talbott, გვ. 52-53;
[309] სენატის რეზოლუცია 110, ქართული ფილმი, 9.07. 1989;
[310] https://www.youtube. com/watch?v=4WpzpwVL6JM&t=278s;
[311] დ. შველიძე, გვ. 50;
[312] დ. შველიძე, გვ. 40-41;
[313] დ. შველიძე, გვ. 61;
[314] დ. შველიძე, გვ. 64-74;
[315] დ. შველიძე, გვ.67- 68;
[316] დ. შველიძე, გვ.70;
[317] За независимую Грузию, gv. 105;
[318] ყოლბაია ვ. გელანტია რ. ლაცუზბაია დ. ჭახრაკია თ. „აფხაზეთის ლაბირინთი“, თბ. 1999: გვ. 55-56;
[319] „ლიტერატურული საქართველო“, 1989, N 29;
[320] ლევან იზორია, აფხაზური სეპარატიზმის მოძრაობა (1945-1993 წწ.) სადოქტორო პროგრამა: საქართველოს ისტორია, სადოქტორო ნაშრომი, თბ. 2015, გვ. 102;
[321] За независимую Грузию, გვ. 106;
[322] მერაბ კოსტავა, თბილისის მუზეუმთა გაერთია-

ნება, გვ. 159;

323 დ. გამცემლიძე, „ჟამი ჭეშმარიტი", „ბორიაჯი", ეროვნული მოძრაობა;

324 https://www.youtube.com/watch?v=4WpzpwVL6JM&t=278s;

325 მერაბ კოსტავა, თბილისის მუზეუმთა გაერთიანება, გვ. 161-162;

326 За независимую Грузию, გვ. 106;

327 დ. შველიძე, გვ. 65;

328 ღია საზოგადოება საქართველო, ქართულ-ოსური კონფლიქტის მიზეზების დინამიკის, გადაწყვეტის გზების და სავარაუდო მიმართულების შესახებ, თბ. 2005, გვ. 10;

329 ღია საზოგადოება საქართველო, იქვე. გვ. 16-17;

330 За независимую Грузию, გვ. 107;

331 ჯაბა იოსელიანი, „სამი განზომილება", გვ. 13;

332 ჯაბა იოსელიანი, „სამი განზომილება", გვ. 14-15;

333 https://police.ge/files/9%20aprili.pdf?fbclid=IwAR18VJ0U1TOj5ufmeOprad-5bLZTVwD8UpwCyosazTqm3Tu6p3N9EzXqlE გვ. 36;

334 За независимую Грузию, გვ. 107-108;

335 Preuße, Umbruch, გვ. 597;

336 Preuße, Umbruch, გვ. 602-603;

337 За независимую Грузию, გვ. 108;

338 დ. შველიძე, გვ. 86;

339 დ. შველიძე, გვ. 95;

340 დ. შველიძე, გვ. 97;

341 За независимую Грузию, გვ. 109;

342 За независимую Грузию, გვ. 107-108;

343 დ. ხვადაგიანი, http://archive.ge/ka/blog/105;

344 ეროვნული ფორუმის განცხადება, „ახალგაზრდა იერიელი", 1990, N 48;

345 გაზეთი „თბილისი", საქართველოს ეროვნული ერთობა, 1990, N117;

346 დ. შველიძე, გვ. 132;

347 https://zviadgamsakhurdia.wordpress.com/2010/07/08/%E1%83%96%E1%83%95%E1%83%98%E1%83%90%E1%83%93-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%93%E1%83%98%E1%83%90-%E1%83%AB%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A3/;

348 „იბერია-სპექტრი", N 275. 9-15 ივნისი 1999;

349 За независимую Грузию, გვ. 109;

350 https://multimedia.ge/archives/27129;

351 Nicolas Gorjestani, Ahead of their times, Zviad, Mage Publishers, 2021, P. 36;

352 Nicolas Gorjestani, გვ. 37;

353 За независимую Грузию, გვ. 109;

354 За независимую Грузию, გვ. 110-111;

355 საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საკოორდინაციო ცენტრის და მრგვალი მაგიდის განცხადება, გაზეთი „დროება", N19, 1990;

356 ივ. თვალავაძე, ეროვნული მოძრაობის კვალდაკვალ, თბ. 2019, გვ. 230;

357 ივ. თვალავაძე, იქვე. გვ. 249-250;

358 ემზარ გოგუაძე, უნივერსიტეტის გაზეთი, 1990, ოქტომბერი;

359 ზ. გამსახურდია, საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ტ. 1. გვ. 66

360 https://tvalsazrisi.ge/saqarTvelos-sulieri-mis/;

361 სტივენ ჯონსი, საქართველო დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ, თბ. 2013, გვ. 83-84;

362 დ. შველიძე, გვ. 147;

363 მ. ჩხარტიშვილი. ერი, https://www.researchgate.net/publication/325386413_Linguistic_Marker_of_Georgian_Identity_in_Premodern_Era_and_Time_of_National_Consolidation_kartuli_identobis_lingvisturi_markeri_premodernul_xanashi_da_nacionaluri_konsolidaciis_epoqashiin_Georgian;

364 დ. გამცემლიძე, „ჟამი ჭეშმარიტი", „ეროვნული კონგრესი";

365 გაზეთი „იბერია-სპექტრი", N 275. 9-15 ივნისი. 1999.;

366 ჯაბა იოსელიანი, „სამი განზომილება", გვ.19-20;

367 დ. შველიძე, გვ. 162-163. ნ. სარაჯიშვილი, ზვიად გამსახურდია, კონფერენციის მასალები, გვ. 60-61;

368 https://zviadgamsakhurdia.wordpress.com/2010/07/02/zviad-gamsaxurdiasaqar/;

369 Preuße, Umbruch, გვ. 664;

370 Preuße, Umbruch, გვ. 665-666;

371 Preuße, Umbruch, გვ. 669;

372 Nicolac Gorjestani, გვ. 162;

373 დ. შველიძე, გვ. 167;

374 За независимую Грузию, გვ. 112;

375 ეროვნული ხელისუფლების 419 დღე, მეორე რესპუბლიკის მატიანე, შემდგენლები: გ. არქანია, გ. გიოშვილი, გ. ბუცხრიკიძე, „არტანუჯი", თბ. 2021, გვ. 17;

376 ზ. გამსახურდია, საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ტ. 1. გვ 23;

377 ზ. გამსახურდია, საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ტ. 1. გვ 24;

378 ზ. გამსახურდია, საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ტ. 1. გვ 28;

379 ზ. გამსახურდია, საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ტ. 1. გვ 29;

380 ზ. გამსახურდია, საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ტ. 1. გვ 33-34;

381 ზ. გამსახურდია, საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ტ. 1. გვ 35-36;

382 დ. შველიძე, გვ. 170;

383 ზ. გამსახურდია, საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ტ. 1. გვ. 38-40;

384 ეროვნული ხელისუფლების 419 დღე, გვ. 35-36;

385 ეროვნული ხელისუფლების 419 დღე, გვ. 37;

386 ეროვნული ხელისუფლების 419 დღე, გვ. 39-40;

387 ეროვნული ხელისუფლების 419 დღე, გვ. 66-67;

388 ეროვნული ხელისუფლების 419 დღე, გვ. 41-42;

389 Nicolac Gorjestani, გვ. 162-163;

390 За независимую Грузию, გვ. 112;

[391] დამოუკიდებლობის გაკვეთილები, https://lessons-geo.wordpress. com/1990/11/01/siguas-sityva-1990/;
[392] დ. შველიძე, გვ. 176;
[393] დ. შველიძე, გვ. 180;
[394] Nicolac Gorjestani, გვ. 163-164;
[395] ეროვნული ხელისუფლების 419 დღე. გვ. 142-143;
[396] ზ. გამსახურდია, საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ტ I, გვ. 183;
[397] https://experti.ge/28-%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A9%E1%83%94%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98;
[398] დ. შველიძე, გვ. 234;
[399] „იბერია სპექტრი", N275. 9-15 ივნისი, 1999;
[400] საქართველო და მსოფლიო, 21.01.2015 (http:// geworld.ge/ge/6437/ ;
[401] დ. შველიძე, გვ. 192;
[402] ჯ. იოსელიანი, „სამი განზომილება", გვ. 14-15;
[403] დ. შველიძე, გვ. 194-195;
[404] დ. შველიძე, გვ. 197, ასევე შდრ. „საქართველოს რესპუბლიკა", 19.02.1991;
[405] За независимую Грузию, გვ. 113;
[406] ზ. გამსახურდია, საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ტ.1. გვ. 116;
[407] ჯ. იოსელიანი, „სამი განზომილება", გვ. 16-17;
[408] დ. შველიძე, გვ. 199;
[409] https://lessonsgeo. wordpress.com/1991/02/01/Selakeba-Savnabadaze-da/);
[410] За независимую Грузию, გვ. 113;
[411] გრიგოლ ლორთქიფანიძე, „ფიქრები საქართველოზე", თბ. 1995, გვ. 152;
[412] В. Джугели, тяжелый крест, записки народногвардейца, Тифлис, 1920, გვ. 227-228;
[413] ეროვნული ხელისუფლების 419 დღე, გვ. 336;
[414] ზ. გამსახურდია, საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ტ. 1. გვ. 71-73;
[415] ზ. გამსახურდია, საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ტ. 1. გვ. 90;
[416] ზ. გამსახურდია, საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ტ. 1. გვ. 94;
[417] ზ. გამსახურდია, საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ტ. 1. გვ. 97-102;
[418] ზ. გამსახურდია, საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ტ. 1. გვ. 104;
[419] ეროვნული ხელისუფლების 419 დღე, გვ. 337-338;
[420] ეროვნული ხელისუფლების 419 დღე, გვ. 566-572;
[421] საქართველოს რესპუბლიკა, N41 (61) 1991;
[422] ციტატი მოტანილია საბანაძე ვასილ, ოსი მეცნიერები ქართულ-ოსურ ურთიერთობათა შესახებ, „საქართველოს რესპუბლიკა", 13.10.2003, N 274 (4653) 13.10.2003; ასევე იხ. სარალიძე ლელა, ცხინვალის რეგიონის კონფლიქტი და ზვიად გამსახურდია, უახლესი ისტორიის ცენტრის მიერ გამოც. სამეცნიერო კონფერენციის მასალები, არტანუჯი, თბ. 2020, გვ. 157-158;
[423] ეროვნული ხელისუფლების 419 დღე, გვ. 468;
[424] ეროვნული ხელისუფლების 419 დღე, გვ. 385;
[425] დამოუკიდებლობის გაკვეთილები https://lessonsgeo.wordpress.com/1990/12/07/Tbilisi-cxinvali-1990/;
[426] დ. შველიძე, გვ. 195;
[427] Конституционные идеи Андрея Сахарова. Сборник под ред. Л. М. Баткина. М, 1990; გვ. 17-26;
[428] ზ. გამსახურდია, საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ტ. 1. გვ. 115;
[429] დ. შველიძე, , გვ. 65;
[430] ე. შევარდნაძე, ჩემი არჩევანი, https://www.vangogen.com.ge/2015/05/blogpost–79.html;
[431] Preuße, Umbruch, გვ. 680-682;
[432] ეროვნული ხელისუფლების 419 დღე, 446-447;
[433] ეროვნული ხელისუფლების 419 დღე, 497;
[434] ზ. გამსახურდია, საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ტ. 1. გვ. 158;
[435] ეროვნული ხელისუფლების 419 დღე, 430-431;
[436] ეროვნული ხელისუფლების 419 დღე, 480;
[437] ეროვნული ხელისუფლების 419 დღე, 495-499;
[438] ეროვნული ხელისუფლების 419 დღე, 499-500;
[439] მ. ბოკუჩავა, ზვიად გამსახურდია, კონფერენციის მასალები, გვ. 87;
[440] ჯ. ხეცურიანი, დამოუკიდებლობიდან სამართლებრივი სახელმწიფოსკენ, პუბლიცისტური ნერილები, ინტერვიუები, თბ. 2006, გვ. 25;
[441] ზ. გამსახურდია, საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ტ. 1. გვ. 140-141;
[442] Nicolac Gorjestani, გვ. 94-96;
[443] ზ. გამსახურდია, საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ტ. 1. გვ. 143-144;
[444] ზ. გამსახურდია, საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ტ. 1. გვ. 150;
[445] ზ. გამსახურდია, საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ტ. 1. გვ. 157-158;
[446] https://idfi.ge/ge/documents-about-georgia-preserved-in-the-archives-of-the-yeltsin-center
[447] იქვე, ელცინის ცენტრის არქივი
[448] იქვე, ელცინის ცენტრის არქივი
[449] ზ. გამსახურდია, საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ტ. 1. გვ. 266-268;
[450] ზ. გამსახურდია, საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ტ. 1. გვ. 170-171;
[451] თ. გვანცელაძე, ზვიად გამსახურდია, კონფერენციის მასალები, გვ. 184-188;
[452] ზ. გამსახურდია, საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ტ. 1. გვ. 151-152;
[453] თ. გვანცელაძე, ზვიად გამსახურდია, კონფერენციის მასალები, გვ. 186;
[454] ზ. გამსახურდია, საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ტ. 1. გვ. 201-202;
[455] გაზეთი „საბჭოთა აფხაზეთი", 1.12.1990;
[456] ვ. ყოლბაია, რ. გელანტია, თ. ჭახრაკია, დ. ლა-

ცუზბაია, აფხაზეთის საკითხი ოფიციალურ დოკუმენტებში, I, (1989-1999) თბ. 2000, გვ. 6;

457 https://www.facebook.com/TheCorridorsOfConflict.Abkhazia/photos/-prefeqtis-institutis-ScmoRebasaqarTvelos-respublikis-kanoni gardamaval-periodS/1209453626249047;

458 ზ. გამსახურდია, საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ტ. 1. გვ. 214-127;

459 ბ-ნ ვლ. არძინბას, აფხაზეთის სმა, 29.03.1991, N 55, (13421).4.10.

460 ზ. გამსახურდია, საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ტ. 1. გვ. 260-262;

461 https://www.wikiwand.com/ka/sabWoTa–kavSiris–SenarCunebis–referendumi–(aſxazeTi;

462 ზ. გამსახურდია, საქართველოს სახელმწიფოს ხელძღვანელები, ტ. 2. გვ 271-282;

463 ზვიად გამსახურდია, 79 ამბავი, 98-99;

464 ზ. გამსახურდია, საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ტ. 1. გვ. 308-310;

465 ზ. გამსახურდია, საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ტ. 1. გვ. 318-319;

466 ზ. გამსახურდია, საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ტ. 1. გვ. 319-323;

467 ზ. გამსახურდია, საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ტ. 1. გვ. 333-335;

468 ზ. გამსახურდია, საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ტ. 1. გვ. 340;

469 Nicolac Gorjestani. გვ. 215;

470 „საქართველოს რესპუბლიკა", N 61(81) 30.03.91;

471 გ. ხოშტარია, ინტერვიუ. ჟურნ. „რეიტინგი", 7.08.2013;

472 Nicolac Gorjestani, გვ. 203-204;

473 „საქართველოს რესპუბლიკა", 16.07.1991, N 138;

474 ბ. ქანთარია, კონსტიტუციონალიზმის ფუნდამენტური პრინციპები და მმართველობის ფორმის სამართლებრივი ბუნება პირველ ქართულ კონსტიტუციაში, თბ. 2013;

475 დ. შველიძე, გვ. 269;

476 „საქართველოს რესპუბლიკა", 22.05.1991, N 99-100;

477 ზ. გამსახურდია, საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ტ. 2. გვ. 94;

478 ზ. გამსახურდია. საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ტ. 2. გვ. 49-100;

479 დ. გამცემლიძე, ჟამი ჭეშმარიტი, რეფერენდუმი;

480 „საქართველოს რესპუბლიკა", 29.06.1991, N 126 (146);

481 დ. შველიძე, გვ. 271;

482 https://lessonsgeo.wordpress.com/1991/05/01/26-%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%96%E1%83%98%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%9D-%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A9/;

483 https://on.ge/story/10303-qarTuli-jaris-didi-dRe?fbclid=IwAR3Cgdy; Jobxx564MA–Qr0h6qCqeJX6XQoqrw–SpBrhVWg3wyJ3h5OdjeTCU;

484 Nicolac Gorjestani, გვ. 206;

485 ზ. გამსახურდია, საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები. ტ. 2. გვ. 120-130;

486 Preuße, Umbruch. gv. 696-697;

487 „საქართველოს რესპუბლიკა", N 94. (114) 1991;

488 Preuße. Umbruch, გვ.687-688;

489 Preuße, Umbruch, გვ. 690-691;

490 „საქართველოს რესპუბლიკა. 1991. N10;

491 ნ. ჯავახიშვილი, ზვიად გამსახურდია. კონფერენციის მასალები, გვ. 262;

492 ზ. გამსახურდია, საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები. ტ. I. გვ. 220;

493 Preuße, Umbruch, გვ. 692;

494 ზ. გამსახურდია, საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები. ტ. 1. გვ. 123;

495 ზ. გამსახურდია, საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ტ. 2. გვ. 244;

497 ზ. გამსახურდია, საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ტ. 2. გვ. 245-249;

498 ზ. გამსახურდია. საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ტ. 2. გვ. 396-397;

499 ზ. გამსახურდია, საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ტ. 2. გვ. 180-181;

500 გაზეთი „დრონი", https://lessonsgeo.wordpress.com/1991/06/01/dasavleTi-da-saqarTvelo/;

501 „თავისუფალი საქართველო", (https://lessonsgeo.wordpress.com/1991/07/01/ratom-ricxavdnen-irakli/wereTels

502 Nicolac Gorjestani, გვ. 259;

503 Nicolac Gorjestani, გვ. 208;

504 Nicolac Gorjestani, გვ. 210;

505 Preuße, Umbruch, გვ. 700;

506 ზ. გამსახურდია, საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ტ. 2. გვ. 218-219;

507 Preuße, Umbruch, გვ. 705-706;

508 Nicolac Gorjestani, გვ. 211;

509 Washington Post, Gorbachev's Crisis and America's Opportunity, 2.06.1991;

510 Nicolac Gorjestani, გვ. 215-216;

511 „საქართველოს რესპუბლიკა", N132 (152) 1991;

512 Preuße, Umbruch, გვ 707;

513 თ. ჩერგოლეიშვილი, პარტნიორობის 20 წელი, „ტაბულა". 8.02.2012;

514 Bush Sr. clarifies „Chicken Kiev" Speech, Washington Times, 23.05.2004;

515 Nicolac Gorjestani, გვ. 220;

516 ინტერვიუ გ. ხოშტარიასთან https://reitingi.ambebi.ge/aqtualuri-sakhe/599-zviad-gamsakhurdias-yvela-ze-didi-shecdoma-manana-iyo.html?lang=ka-GE.

517 ინტერვიუ თენგიზ კიტოვანთან, „ასაეალ-დასაეალი", 24.05.2006;

518 Nicolac Gorjestani, გვ. 223;

[519] ზ. გამსახურდია, საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ტ. 2. გვ. 413;
[520] ჟურნალი „სარბიელი", 18.08.1991, N 32 (33);
[521] http://www.ufali.ge/index.php/%E1%83%96%E1%83%95%E1%83%98%E1%83%90%E1%83%93%E1%83%9%E1%83%A1;
[522] დ. შველიძე, გვ. 310-311;
[523] ზ. გამსახურდია, საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ტ. 2. გვ. 292;
[524] გივი თაქთაქიშვილი, ეკონომიკური რეფორმები და ეროვნული ხელისუფლება, მოგონებები, გამომც. „ინტელექტი", 2021, გვ. 58-59;
[525] გ. გვასალია, გამოხმაურება სტ. ჯონსის წიგნზე. ზვიად გამსახურდია კრიტიკაზედ https://iberiana.wordpress.com/ganmatavisufl ebeli/gocha-gvasalia/;
[526] გ. თაქთაქიშვილი, იქვე;
[527] ჯაბა იოსელიანი, „სამი განზომილება", გვ. 78;
[528] გ. თაქთაქიშვილი, გვ. 8-69;
[529] დ. შველიძე, გვ. 482-483;
[530] Preuße, Umbruch, გვ. 706;
[531] Preuße, Umbruch, გვ. 709;
[532] დ. შველიძე, გვ. 345-356;
[533] „საქართველოს რესპუბლიკა", 19.08.1991;
[534] გაზეთი „განმათავისუფლებელი". N 53, 2017;
[535] За независимую Грузию, გვ. 116;
[536] ნოდარ ნათაძე https://for.ge/view/19468/nodar-na-TaZe—istoria-simarTles-ver-ityvis-Tu-faqti-ardade.html;
[537] საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის მიმართვა დასავლეთის ქვეყნების ხალხებისა და მთავრობებისადმი, „საქართველოს რესპუბლიკა", 20.08.1991;
[538] http://www.nplg.gov.ge/greenstone3/library/collection/preziden/document/HASH01baf6b8bf0d68da0eb2e2b3;jsessionid=288DFE17A266CE9F-433699BF86BC993A;
[539] დ. შველიძე, გვ. 371;
[540] დ. შველიძე, გვ. 364-368;
[541] საქართველოს პრეზიდენტის განცხადება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისთვის, „საქართველოს რესპუბლიკა", 23.08.1991; N 165, (185);
[542] Nicolac Gorjestani, გვ. 231;
[543] https://bush41library.tamu.edu/archives/public-papers/3322;
[544] https://www.youtube.com/watch?v=i-y—K—xNroc;
[545] დ. გამცემლიძე https://experti.ge/2-seqtemberi;
[546] https://www.youtube.com/watch?v=D—RtAQrDHcg;
[547] კ. ზ. გამსახურდია, „დინების საწინააღმდეგოდ", თბ. 1997, გვ. 109-110;
[548] Preuße, Umbruch გვ. 712-713;
[549] Preuße, Umbruch გვ. 713;
[550] დ. გამცემლიძე https://experti.ge/2-seqtemberi;
[551] Washington Post, 18.09.2022;
[552] ზ. გამსახურდია, საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ტ. 2. გვ. 302-303;
[553] „საქართველოს რესპუბლიკა", 04.09.1991;
[554] დ. შველიძე, გვ. 399-400;
[555] https://experti.ge/2-„meridiani", d. gamcemliZe, 2 seqtemberi, 1996 w. %E1%83%A1%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%91%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%99%E1%83%90%E1%83%96%E1%83%A3%E1%83%A1-%E1%83%9--1%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%95%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%A8%E1%83%94%E-1%83%93%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%97;
[556] გ. არქანია https://www.radiotavisupleba.ge/a/tavisupali-sivrtse-giorgi-arkaniamitebi-zviad-gamvakhurdiaze/28400373.html;
[557] ჟურნ. „განათლება", 25.09.1991;
[558] ცინცაძე-ბაღათურია, გვ. 228;
[559] ჯაბა იოსელიანი, „სამი განზომილება", გვ. 23;
[560] დ. შველიძე, გვ. 407;
[561] დ. შველიძე, გვ. 407-408;
[562] დ. შველიძე,. გვ. 409;
[563] https://matsne.gov.ge/ka/document/view/32548?publication=4;
[564] სტ. ჯონსი, იქვე, გვ. 92-93;
[565] ზ. გამსახურდია, საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ტ. 3, გვ. 136;
[566] დ. შველიძე. გვ. 410;
[567] https://idfi .ge/ge/congressional—delegation—in—georgia—meeting—with—president—gamsakhurdia—opposition;
[568] ზ. გამსახურდია, საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ტ. 2. გვ. 302;
[569] ზ. გამსახურდია, საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ტ. 2. გვ. 303;
[570] ზ. გამსახურდია, საქართველოს სახელმწიფოს ხელძღვანელები, ტ. 2. გვ. 307;
[571] დ. შველიძე, გვ. 419-420;
[572] ზ. გამსახურდია, საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ტ. 2. გვ. 310;
[573] ზ. გამსახურდია, საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ტ. 2. გვ. 311-312;
[574] ზ. გამსახურდია, საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ტ. 2. გვ. 316-317;
[575] http://geworld.ge/ge/7992/) ასევე https://ok.ru/megobrob/topic/ 150754910326985;
[576] დ. შველიძე, გვ. 437-438;
[577] დ. შველიძე,. გვ. 443-445;
[578] დ. შველიძე. გვ. 442;
[579] დ. შველიძე, გვ. 459-460;
[580] ზ. გამსახურდია, საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ტ. 2. გვ. 223-225;
[581] ზ. გამსახურდია, საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ტ. 2. გვ. 228-229;

[582] დ. შველიძე, გვ. 463;
[583] Nicolac Gorjestani, გვ. 260-261;
[584] დ. შველიძე, გვ. 476-477;
[585] დ. შველიძე გვ. 481;
[586] ჯაბა იოსელიანი, „სამი განზომილება", გვ. 27;
[587] Nicolac Gorjestani, გვ. 345;
[588] Preuße, Umbruch, გვ. 715;
[589] Preuße, Umbruch, გვ. 719;
[590] შდრ. Richard Pipes, http//www.kremlin.ru/eng/speeches/2005/04/25/1031–type70029 type 82912–87086.shtml;
[591] Preuße, Umbruch, გვ. 718-719;
[592] ზ. გამსახურდია, საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ტ. 2. გვ. 398;
[593] A. Kappeler, Ungleiche Brueder, Russen und Ukrainer, Vom Mittelalter bis zur Gegenwart. C.H.Beck, 2022, გვ. 192-193;
[594] A. Kappeler, გვ. 194;
[595] ზ. გამსახურდია, საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები. ტ. 2. გვ. .404;
[596] A. Kappeler, გვ. 194-195;
[597] https://sokhumi.wordpress.com/2016/12/22/tbilisi–samoqalaqo–omi/;
[598] За независимую Грузию, გვ. 122;
[599] www.geocities.ws/simartle/default1e3c. htm?bpgpid-6&pg-1;
[600] დ. შველიძე. გვ. 547;
[601] თამაზ დუმბაძე, თქვენს გასაგონად ბიჭებო, გამომც. „მერანი-3". თბ. 1999, გვ. 133;
[602] დ. შველიძე, გვ. 553;
[603] ხასო ხანგოშვილი, ქისტები და აფხაზეთის კონფლიქტი https://pankisi.ge/?p=1524;
[604] უცხოეთის რადიოსადგურები გადმოსცემენ, გაზეთი „სოფლის ცხოვრება," N84. 1991, 27 დეკემბერი, გვ. 2;
[605] „საქართველოს რესპუბლიკა", 25.12.91. 252(272);
[606] ზ. გამსახურდია, საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ტ. 3. გვ.10-11;
[607] Washington Post, 25.12.1991, გვ. 21;
[608] დ. შველიძე. გვ. 556;
[609] За независимую Грузию, გვ. 121;
[610] За независимую Грузию, გვ. 122-123;
[611] ლია ანდღულაძე, „რაც არ მაეინყდება", თბ. 2010, გვ. 80;
[612] ჯაბა იოსელიანი, „სამი განზომილება", გვ. 32-33;
[613] ჯაბა იოსელიანი, „სამი განზომილება", გვ. 74-75;
[614] ჯაბა იოსელიანი, „სამი განზომილება", გვ. 36-37;
[615] „ალია", N 125(295) 11 აგვისტო, 1997 წ. გვ. 3;
[616] თ. დუმბაძე. გვ. 152;
[617] ჯაბა იოსელიანი, „სამი განზომილება", გვ. 49;
[618] ო. ჩხეიძე. „არტისტული გადატრიალება", თბ. 1994, გვ. 362;
[619] თ. დუმბაძე. გვ. 134;
[620] თ. დუმბაძე. გვ.150;
[621] „ალია", N 125(295) 11 აგვისტო, 1997. გვ. 3;
[622] 1991-1992 წლების მოვლენების „გმირებმა" თაეიანთ თავს პოლიტიკური საფლავი მოუმზადეს. „საქართველოს რესპუბლიკა", 15.06.2007;
[623] Nicolac Gorjestani, გვ. 311;
[624] Washington Post, 6.01.1992. გვ.1;
[625] За независимую Грузию, გვ. 123;
[626] За независимую Грузию, გვ. 119;
[627] ირ. ბათიაშვილი, მანკიერი წრე. „ივერია ექსპრესი", 8.02 1994;
[628] Kochetkov Albert, Leaders Deny Coup, TASS International (4 January 1992);
[629] Darchiashvili, David. „The Russian Military Presence in Georgia: The Parties, Attitudes and Prospects". Caucasian Regional Studies. 1 (1997) (n. 2);
[630] Nicolac Gorjestani, გვ. 302;
[631] გაზეთი „აღდგომა" N14, 07.08.1992;
[632] ზვიად გამსახურდია, 79 ამბავი. გვ. 148-149;
[633] ჯაბა იოსელიანი, „სამი განზომილება", გვ. 71;
[634] https://www.apsny ge/2015/soc/1421698830.php
[635] 1992 წელს გენერალურ პროკურატურაში აღძრულ საქმეებზე: https://www.amnesty.org/en/wp-content/uploads/2021/05/EUR560041995GEORGIAN.pdf;
[636] „საქართველოს რესპუბლიკა", N 82-83, 15.05. 1992;
[637] https://www.ghn.ge/news/223400-sakartvelo-imitom-davtove-rom-siskhlisghvra-shemechere-bina-zviad-gamsakhurdias-dghemde-utsnobi-interviu?fbclid=IwAR1WmCrA6dGEJpioNW–Kk–7iYi7L0V1NHlHmmWCYgL3GrDyRui1vOefxEEE;
[638] ჯაბა იოსელიანი, „სამი განზომილება". გვ. 80;
[639] https://www.radiotavisupleba.ge/a/31180577.html;
[640] http://nv.am/kepka-lenina-i-prezident/;
[641] Nicolac Gorjestani, გვ. 320-321;
[642] ზ. გამსახურდია, საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები. ტ. 3. გვ. 12-13;
[643] ჯაბა იოსელიანი, „სამი განზომილება", გვ. 102;
[644] https://lessonsgeo.wordpress.com/1992/01/01/nairagelaSvilis-sami-mw/;
[645] თ. დუმბაძე. გვ. 129;
[646] „ალია", N 125(295) 11 აგვისტო. 1997, გვ. 3;
[647] ცინცაძე-ბაღათურია, „არჩევანი", გვ. 228-231;
[648] ჯაბა იოსელიანი, „სამი განზომილება", გვ. 104-105;
[649] ჯაბა იოსელიანი, „სამი განზომილება", გვ. 110;
[650] https://experti.ge/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A3%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A4%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%96%E1%83%90;
[651] ჯაბა იოსელიანი, „სამი განზომილება", გვ. 112;
[652] https://www.ekhokavkaza.com/a/29501836.html
[653] ზ. გამსახურდია, საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ტ. 3. გვ. 28-29;
[654] https://guramsharadze.wordpress.com/devnili/100tserili/2007-2/;

655 გაზეთი „Молодежь Грузии" № 32 (10070) 17 აგვისტო 1990 წელი;
656 ჯაბა იოსელიანი, „სამი განზომილება", გვ. 88-89;
657 ჯაბა იოსელიანი, „სამი განზომილება", გვ. 283;
658 https://for.ge/view/4797/gia-yaryaraSvilis-didi-sinanuli.html;
659 https://kvirispalitra.ge/article/11325-1992-is-suskhiani-gazafkhuli/;
660 ზ. გამსახურდია, საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ტ. 3. გვ. 40;
661 ზ. გამსახურდია, საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ტ. 3. გვ. 122;
662 Washington Post, 26.05.1992, გვ. 12;
663 Nicolac Gorjestani, გვ. 319;
664 ზვიად გამსახურდია, „ლიტერატურნაია გაზეტაში" გამოქვეყნებული ინტერვიუ ოლეგ მოროზთან, გაზეთი „აღდგომა", 7.08.1992;
665 შდრ. სტ. ლაკობა https://www.timer.ge/lakoba-elcins-tsinaaghmdegoba-romgaetsia-apkhazethshi-omi-ar-daitskheboda/?fbclid=IwAR2Fz7-CDJZKElOCh31Tnx-9waH9Jw7 wBSRWsNULl xpyqCbJ–Bahkxb75opY;
666 ზ. გამსახურდია, საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ტ. 3. გვ. 114;
667 ზ. გამსახურდია, საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ტ. 3. გვ. 237;
668 ზ. გამსახურდია, საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ტ. 3. გვ. 154-155;
669 http://fb.watch/euHg8uBWd;
670 https://www.ekhokavkaza.com/a/31955691.html?fbclid=IwAR0ttsA0slnh48VZGxs1TsDTPKSzic1h8AcBGJqn0mzsi7i2kqemDoUk0j4;
671 ზ. გამსახურდია, საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ტ. 3. გვ. 151;
672 ზ. გამსახურდია, საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ტ. 3. გვ. 149;
673 ირ. ბათიაშვილი, მანკიერი წრე, „ივერია ექსპრესი", 8.02.1994;
674 ალია, N 125(295) 11.08. 1997 წელი, გვ. 3;
675 ჯაბა იოსელიანი, „სამი განზომილება", გვ. 112;
676 https://www.facebook.com/nokhchi/posts/2101821799925908;
6787 ზ. გამსახურდია, საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ტ. 3. გვ. 150;
678 ზ. გამსახურდია, საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ტ. 3. გვ. 152;
679 მერაბ კიკნაძე, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მოგზაურობა საზღვარგარეთ https://zviadgamsakhurdia.wordpress.com/2014/07/27/%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%91%E1%83%99%E1%83%98%E1%83%99%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%94%E1%83%96%E1%83%95%E1%83%98%E1%83%90%E1%83%93-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%A1/;
680 მ. კიკნაძე, იქვე;
681 მ. კიკნაძე, იქვე;
682 მ. კიკნაძე, იქვე;
683 გაზეთი „აღდგომა", 27 აპრ. 1992, პირველი დღე ბრწყინვალე შვიდეულისა;
684 http://www.ai-ia.info/online-arqivi/45-mrgvali-magida-kavkasiuri-saxlis-monacileta-komunike.htm;
685 http://www.nplg.gov.ge/greenstone3/library/collection/preziden/document/HASH01c3b252e1b372d43f249c5c;jsessionid=288DFE17A266CE9F433699BF86BC993A;
686 გაზეთი „იბერია-სპექტრი" 1992, 20-26 აგვისტო;
687 მიხეილ-გელა სალუაშვილი, „საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია", ტ. 2, თბ. 1995 გვ. 487-488;
688 ზ. გამსახურდია, საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ტ. 3. გვ. 280-281;
689 ზ. გამსახურდია, საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ტ. 3. გვ. 282;
690 ზ. გამსახურდია, საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ტ. 3. გვ. 290;
691 ზ. გამსახურდია, საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ტ. 3. გვ. 290-291;
692 ზ. გამსახურდია, საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ტ. 3. გვ. 293;
693 https://www.radiotavisupleba.ge/a/31352123.html;
694 ჯაბა იოსელიანი, „სამი განზომილება", გვ. 296-297;
695 ჯაბა იოსელიანი, „სამი განზომილება", გვ. 263;
696 ჯაბა იოსელიანი, „სამი განზომილება", გვ. 312-313;
697 https://www.radiotavisupleba.ge/a/31426906.html;
698 გაზეთი „ეგრისი", 28.07.1993, გვ. 1;
699 Nicolac Gorjestani, გვ. 326;
700 „იბერია-სპექტრი", N 89, 1993, 8-14 სექტემბერი;
701 ჯაბა იოსელიანი, „სამი განზომილება", გვ. 308;
702 https://iberiana.wordpress.com/zviad-gamsakhurdia/achara-4/ ასევე გაზეთი „იბერია-სპექტრი", 90, 1993 წ., 15-21 სექტემბერი;
703 Nicolac Gorjestani, გვ. 327;
704 „ალია", N 125(295) 11 აგვისტო, 1997;
705 ჯაბა იოსელიანი, „სამი განზომილება", გვ. 315;
706 ზ. გამსახურდია, საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ტ. 3. გვ. 289-294;
707 ზვიად გამსახურდია, 79 ამბავი, გვ. 167-169;
708 ზვიად გამსახურდია, 79 ამბავი, იქვე;
709 ზვიად გამსახურდია, 79 ამბავი, გვ. გვ. 173;
710 „აღდგომა", 28.09.1993, N 32 (63);
711 ზ. გამსახურდია, საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ტ. 3. გვ. 331-332;
712 ჯაბა იოსელიანი, „სამი განზომილება", გვ.. 317;
713 https://www.youtube.com/watch?v=TypYD8R1h7g&t=1s;
714 ჯაბა იოსელიანი, „სამი განზომილება", გვ. 332-333;
715 ჯაბა იოსელიანი, „სამი განზომილება", იქვე;

[716] ჯაბა იოსელიანი, „სამი განზომილება", იქვე;
[717] ჯაბა იოსელიანი, „სამი განზომილება", იქვე;
[718] https://www.youtube.com/watch?v=TSDA8LT0pC4;
[719] ჯაბა იოსელიანი, „სამი განზომილება", გვ. 337;
[720] Nicolac Gorjestani, გვ. 328;
[721] Nicolac Gorjestani, გვ. 543;
[722] D. Sneider, http://csmonitor.com/1993/1021/21072.html;
[723] ჯაბა იოსელიანი, „სამი განზომილება", გვ. 341-342;
[724] https://iberiana2.wordpress com/segm/baltin/ ;
[725] ჯაბა იოსელიანი, „სამი განზომილება", გვ. 258;
[726] ზ. გამსახურდია, საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ტ. 3. გვ. 333;
[727] https://www.youtube.com/watch?v=qxUZJft-gCWA&t=304s;
[728] https://www.youtube.com/watch?v=FQxKLbiNY98;
[729] ჯაბა იოსელიანი, „სამი განზომილება", გვ. 363;
[730] ჯაბა იოსელიანი, „სამი განზომილება", გვ. 378-379;
[731] თომას გოლცი, ომისა და პოლიტიკური ქაოსის ქრონიკა პოსტსაბჭოთა კავკასიაში, „არტანუჯი", თბ. 2014, გვ. 8;
[732] თ. სიგუა, „ახალი თაობა" 07.11.2009.
[733] https://www.ekhokavkaza.com/a/29501836.html;
[734] პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას საქმე, საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებასთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის დასკვნითი დოკუმენტი, „არტანუჯი", თბ. 2013;
[735] დოკუმენტური ფილმი „დინების საწინააღმდეგოდ", იხ. პირველი სერია, https://www.youtube.com/watch?v=BmrELLovlKI&t=15s;
[736] პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას საქმე, გვ. 25;
[737] დოკუმენტური ფილმი „დინების საწინააღმდეგოდ", მეორე სერია;
[738] პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას საქმე, გვ. 97-98;
[739] პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას საქმე. გვ. 24-25;
[740] პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას საქმე, გვ. 98-99;
[741] პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას საქმე. გვ 140-141;
[742] პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას საქმე. გვ. 89-91;
[743] https://besarion.fi les.wordpress.com/2020/06/e18391-e18392e183a3e18392e183a3e183a8e18395e18398e1839ae18398-e1839be1839de18392e1839de1839ce18394e18391e18394e18391e18398-e18393e18390-e1839ce18390e183a2e18394e-183aee18398e18396e-1839be1.pdf gv. 96;
[744] http://intermedia.ge/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83.../139703/19/;
[745] ჯონსონ კვარაცხელია, გაზეთი „პრეზიდენტი", 18-31.10. 2004;
[746] https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/315581/1/Arsebiti–kitxvebi–Saqartvelostvis.pdf;
[747] პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას საქმე, გვ. 101-102;
[748] პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას საქმე. გვ. 155-164;
[749] პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას საქმე. გვ. 105-106;
[750] ზვიად გამსახურდია, 79 ამბავი, გვ. 184, ასევე პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას საქმე, გვ. 243-246;
[751] პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას საქმე. გვ. 256-259;
[752] პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას საქმე, გვ. 313-191;
[753] პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას საქმე. გვ. 180-181;
[754] ზვიად გამსახურდია, 79 ამბავი, გვ. 181;
[755] პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას საქმე, გვ. 9-17;
[756] ზვიად გამსახურდია, 79 ამბავი, გვ. 188-192;
[757] პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას საქმე, გვ. 265;
[758] პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას საქმე. გვ. 9-17;
[759] პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას საქმე, გვ 182-183;
[760] პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას საქმე. გვ. 89-91;
[761] პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას საქმე. გვ. 92-94;
[762] პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას საქმე. გვ. 87-89;
[763] პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას საქმე. გვ. 290;
[764] პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას საქმე. გვ. 100-101;
[765] http://planeta.ge/topic/54886-ruseTis-mier-ganadgurebuli-qar/.

პირთა საძიებელი

ა

აბაევი ვასილ 428
აბაშიძე ირაკლი 62, 94, 114, 115, 128, 196, 294, 314, 553
აბაშიძე გრიგოლ 195-196, 198, 553
აბაშიზე ზურაბ 115
აბაშიძე ვატო 115
აბაშიძე ლერი 409
აბაშიძე მემედ 488
აბაშიძე ასლან 394, 488-490, 587, 643, 645-647
აბაშელი ალექსანდრე 64, 113,
აბდუშელიშვილი თამარ 24
აბდუშელიშვილი გივი 485
აბესაძე გია 555
აბზიანიძე შუქრი 644
აბსანძე გურამ 407, 513, 571, 586, 651-652, 669, 672, 676
აბულაძე თენგიზ 271
ადამია ვაჟა 318, 348, 394, 399, 488, 503-504, 528, 539, 556, 557, 577, 580
ადამოვიჩი ალიაქსანდრ 290
ადენაუერი კონრად 64
ადვაძე ვალერიან 410, 476, 492
ადიუკონისი (დისიდენტი) 270
აძლეიბა ბორის 315
ავალიშვილი ზურაბ 24
ავგუსტინე (ნეტარი, იპონიის ეპისკოპოსი) 109
ავერბახი 32
ავტორხანოვი აბდურახმან 29, 30, 51-52, 56, 61
აირიკიანი პარუირ 161, 291, 365
აინშტაინი ალბერტ 109
ალიევი ჰეიდარ 567
ალიევი ისლამ 404
ალილუევა სვეტლანა 48, 374,
ალექსანდრე მეორე (რუსეთის იმპერატორი) 156
ალექსიშვილი მათე 116
ალექსეევა ლუდმილა 172, 174, 177, 216, 218, 230, 234, 237, 255, 261, 715
ალექსიძე ალექსანდრე 230
ალიხანოვ-ავარსკი (გენერალი) 23
ალმაზოვი ლევ 210
ალფენიძე ვლადიმერ 228
ამაშუკელი რევაზ 254, 553, 663
ამბროსი (ხელაია, კათალიკოსი) 74, 75, 158, 177, 467
ამბროსი (ქათამაძე, ეპისკოპოსი) 18, 134, 135, 215, 252, 275, 370, 575, 714
ამირეჯიბი შალვა 358
ანდრეევა ნინა 290
ანდრიაძე ირაკლი 600
ანდროპოვი იური 146, 165, 168, 179, 184, 189, 201, 205, 242, 259, 261
ანთია არჩილ 687
ანთია ზაურ 687
ანტოკოლსკი პაველ 163
არაქელოვი ს. 417
არბატოვი გიორგი 262, 534
არდაშელია ციალა 274, 286,
არველაძე გიგა 579, 591
ართმელაძე ჭუჭუნა 151
არნეტი პიტერ 292
არსლანი იბრაჰიმ 616, 617
არუთუნიანი ედუარდ 205, 260
არქანია გიორგი 525, 539,
არქანია ოზბაქ 685
არქანია ოთარ 681
არქანია ვახო 681
არჩვაძე მანანა 243, 244, 249, 307, 312, 371, 468, 632, 651, 708-709, 711
არჩვაძე ლედა 244
არძინბა ვლადისლავ 376, 452-455, 610-611, 613, 642, 648, 659
ასტრა გუნარს 161, 291
ასათიანი აკაკი 318, 372, 394, 397, 436, 475, 503, 505, 510, 529, 536, 551, 567, 572, 595
ასათიანი ნოდარ 66
ასათიანი სამსონ 24
ასათიანი გურამ 107, 108-111, 196
ასათიანი ლევან 110, 111
ასათიანი ლადო 325
ასლანიკაშვილი მამუკა 270
ასტაფიევი ვიქტორ 269
ალექსანდროვი (სახელმწიფო პირი) 29
ალმონდი მარკ 715
ანდღულაძე ლია 200, 275, 318, 394, 407, 578
ანტონოვსკაია ანა 44, 51
აფაქიძე იუნონა 71, 318
აფაქიძე გუძა 237, 256, 274, 385
აფანასევი იური 290, 582
აფციაური პართენ 134
აქვინელი თომა 109
ახვლედიანი ელენე 35
ახმადულინა ბელა 163
ახმატოვა ანა 48, 141
ახმეტელი სანდრო 31
ახობაძე ამილო 65

ბ

ბააკაშვილი ვახტანგ 107
ბაბაიანი ე. 204
ბაბილაშვილი ჯამლეთ 710
ბაბიცკი კონსტანტინ 165
ბაევა ტატიანა 165
ბაგრატიონი-მუხრანელი ხორხე 404, 437
ბათიაშვილი ირაკლი 289, 293, 296, 299, 303, 322, 234, 254, 385, 582, 665
ბაირონი ჯორჯ გორდონ 70, 89, 109
ბაკატინი ვადიმ 369
ბაკლანოვი ოლეგ 523
ბაკმანი მატტი 620, 715
ბაკურია ცოტნე 318, 565, 597
ბალანჩივაძე ამირან 94, 142
ბალანჩივაძე ჯარჯი 94, 100, 142
ბალტინი ედუარდ 665, 666, 667, 669, 674, 676, 682
ბალუაშვილი ანზორ 710, 713, 718
ბალუევსკი იური 666
ბარაბაძე ანზორ 255
ბარათაშვილი სოსო 237, 239
ბარამია (სახელმწიფო პირი) 54
ბარამიძე ალექსანდრე 200, 554, 562
ბარამიძე გიორგი 360
ბარდაველიძე ნინო 289
ბარიგიანი (სახელმწიფო პირი) 55
ბასაევი შამილ 633
ბასიაშვილი გია 721
ბაღათურია გიორგი 146, 716
ბაღდავაძე მარიამ 237, 254, 255, 256, 274
ბაღდავაძე მერაბ 254

ბასანავიჩუსი იონას 289
ბასეტი (მკლევარი) 106
ბაქანიძე ოთარ 192
ბაქრაძე აკაკი 107, 111, 152, 230, 231, 274, 297, 307, 308, 313, 314, 344, 405, 406
ბაქრაძე მზია 152
ბალუაში ლიპარიტ 45, 93,
ბახტაძე ვახტანგ 274, 363, 382
ბახტაძე გიგლა 666
ბაძალუა ზურაბ 68
ბეგინი მენახიმ 205
ბედია ზაურ 588-590
ბედნენიშვილი გიორგი 149, 230, 231
ბეთჰოვენი 66, 99
ბეიკერი ჯეიმს 322, 332, 440, 469, 470, 471, 507, 514, 606, 619
ბელი ანდრეი 48, 140, 145
ბელიაშვილი აკაკი 92, 94
ბელოუსოვიჩი იგორ 193,194
ბენედიქტე (ჯალაღონია, მღვდელ-მონაზონი) 134-136, 215, 217, 275
ბენიძე ვენედი 710
ბენო შამილი 575
ბერგსონი ანრი 110
ბერია ლავრენტი 27, 34, 25, 37-39, 47, 49-50, 52-66, 80, 82, 86, 147, 269, 315, 331, 364, 387, 451
ბერია სერგო 57
ბერიძე ვუკოლ 57
ბერიძე რუსუდან 142, 248, 309-311
ბერეკაშვილი გაიოზ 139
ბერიტაშვილი ივანე 69, 150,
ბერკი ედმუნდ 181
ბერტოლუჩი ბერნარდო 566
ბერულავა ხუტა 196
ბერძენიშვილი სერგო 70
ბერძენიშვილი ნიკო 254, 454
ბერძენიშვილი დავით 255
ბერძენიშვილი ლევან 255
ბერძენიშვილი ელგუჯა 151
ბენაშვილი დიმიტრი 48
ბენაშვილი გურამ 100
ბენიაშვილი ანდრო 23
ბეშლოსი მაიკლ 332, 471, 534
ბზიავა 54
ბლიაძე 89
ბლუაშვილი უჩა 577
ბობკოვი ფილიპ 189, 268, 273
ბოკუჩავა ჯამბულ 669
ბოლდინი ვალერი 523
ბორისოვი ვადიმ 166, 172-173
ბოდლერი შარლ 102, 141
ბოგორაზი ლარისა 165, 191
ბოგოსლოვსკი ვიტალი 94
ბოკერია გიგა 565
ბონერი ელენა 174, 176, 180
ბოსხი (მხატვარი) 129
ბოურა მორის 561
ბოჭორიშვილი ვახტანგ 708
ბრაზაუსკასი ალგირდას 619, 630
ბრეგვაძე ბაჩანა 103
ბრეგაძე სანდრო 318, 565, 597
ბრეჟნევი ლეონიდ 29, 122-125, 129, 131, 133-134, 146-149, 163, 167-169, 173, 227, 234, 259, 262, 266
ბროცკი იოსიფ 44, 141,
ბჟეზინსკი ზბიგნევ 510, 263
ბუაჩიძე ბენიტო 34, 38
ბუკოვსკი ელადიმერ 356, 366, 203, 207
ბულგაკოვი მ. ა. 129
ბულგანინი 53, 57, 80
ბურაკაიავიჩუსი მიკოლას 496
ბურბულისი გენადი 582
ბურჭულაძე თენგიზ 241
ბურჭულაძე ნემო 394, 397, 448, 571
ბურჯანაძე ზაზა 676, 685, 687, 695, 701, 704-705, 708, 718-719
ბუქურაული ციცი 598
ბღაჟბა ხუხუტი 236
ბუში ჯორჯ უოლკერ (უფროსი) 14, 331, 332, 392, 470-471, 510-512, 523, 532, 534, 536, 619
ბუხარინი ნიკოლაი 28

გ

გაბაი გალინა 170
გაბარაევი ვადიმ 419
გაბაშვილი რევაზ 358
გაბაშვილი კოტე 663, 670
გაბაშვილი გოკა 565
გაბლიანი გიგი 139
გაბრიჩიძე ნელი 232
გაბუნია თემურ 722
გალაზოვი ახსარბეკ 443
გალანსკოი იური 164
გამგია ვალერი 611
გამიდოვი (მინისტრი) 628
გამსახურდია ალექსანდრე (მწერლის ძმა) 23
გამსახურდია ბაჯუ (მწერლის ძმისშვილი) 67
გამსახურდია გიორგი მამუკას ძე 22
გამსახურდია გიორგი ნიკოლოზის ძე 23
გამსახურდია ცოტნე 213, 220, 245-246, 709, 720
გამსახურდია გიორგი (ზვიადის ძე) 213, 404, 685, 708-709
გამსახურდია ვიქტორ (მწერლის ძმა) 67
გამსახურდია ზვიად (უმცროსი) 627
გამსახურდია დემეტრე 627
გამსახურდია თამარ 22, 76, 151, 185, 248
გამსახურდია დე კობი თამარ 22
გამსახურდია კონსტანტინე 3, 22-27, 32, 34-35, 37-39, 43-44, 46-50, 54, 57-58, 61-70, 72-77, 86-88, 91-95, 98, 105, 107, 110, 112, 114-116, 118, 122, 126, 128, 130, 137-137, 139, 144, 149-151, 171, 177, 185-188, 196, 207, 230, 236, 143, 246-247, 259, 383-384, 453, 598, 600, 672
გამსახურდია ლუკა (მწერლის ძმა) 66, 67
გამსახურდია მერი (ლუკას ქალიშვილი) 66
გამსახურდია ნათელა 22, 43, 65, 87, 151, 188, 246
გამსახურდია პაველ (პაველ ტფილელი) 22
გამსახურდია სვიმონ (სუმო, კონსტანტინეს მამა) 23, 66, 67
გამსახურდია სვიმონ (სულიკო) 67, 246
გამცემლიძე დავით 268, 314, 344, 385, 410, 432, 533, 536, 542, 557-558, 581, 584, 594, 716
გამყრელიძე გიორგი (გუგული) 92-93, 104
გამყრელიძე თამაზ 122, 327, 376, 394, 409, 510, 556, 563
გამყრელიძე ქეთევან 92
განდი მაჰათმა 412
გასვიანი ლიდა 32
გასვიანი აკაკი 573, 656,
გასტევი იური 170
გაჩეჩილაძე გივი 88, 95, 394
განერელია აკაკი 75-76, 102, 104, 114, 192, 554
განერელია კოკა 308, 312-313, 323
გეგელია (კაპიტანი) 85
გეგეჭკორი ნინა 37
გედენიძე მურმან 485

გელაშვილი ნაირა 122, 278, 385, 591
გენშერი ჰანს-დიტრიხ 596, 623
გენცი არპად 390, 584, 629
გერგაია თემურ 669
გვანცელაძე შალვა (ბაჩუკი)
გვარამია ანზორ 676, 682, 684, 700, 702, 705, 708-709, 719
გვასალია გოჩა 519
გვარიშვილი მამუკა 521
გველესიანი თამაზ 318, 394, 407
გველუკაშვილი ზ. 417
გვენცაძე რომან 325, 359, 548, 573-574, 583, 611, 698
გვერდწითელი გურამ 200, 394,
გვიშიანი ჯერმენ 268-269
გვეტაძე რაულენ 48
გიბსონი სემ 519
გიგინეიშვილი მანანა 92, 94, 142
გიგნაძე თეოდორე 74
გილაშვილი პავლე 298
გილელსი (პიანისტი) 129
გილაშვილი პავლე 298
გინზბურგი ალექსანდრ 155, 164, 172-174, 204-206, 311
გინტერი იოჰან-მიხაელ 624
გიორგი (ლონღაძე, მანგლელი ეპისკ.) 225
გიორგაძე ედიშერ 121, 253, 385,
გიორგაძე ნოდარ 577, 578, 580
გიორგაძე იგორ 667, 693, 702, 707, 722
გიორგობიანი ბიძინა 318, 394, 644
გიპიუსი ზინაიდა 48
გლადკოვი 81
გლუზმანი 203
გოგაძე ირაკლი 676, 685, 686, 692, 695
გოგბაიძე გურამ 256, 274, 385
გოგელია პოლიო 403
გოგია ზურაბ 255
გოგლიძე სერგო 38-39
გოგებაშვილი იაკობ 40
გოგიბერიძე სესილი 323
გოგუაძე ვახტანგ 316, 330, 367, 385
გოგუაძე ემზარ 274, 366, 372-373, 394
გოდერძიშვილი გელა 413, 416
გოზალიშვილი გიორგი 50
გოთუა ლევან 50
გოლდშტაინი ისაია 274
გოლდშტაინი გრიგორი 274
გოლეთიანი ჯემალ 68, 319, 394
გოლდსტოუნი სტივენ 340
გოგელაშვილი ბადრი 676
გოლიაძე სოსო 366
გოლიაძე სოსო 366
გოლცევი ვიქტორ 51
გოლცი თომას 670
გომიაშვილი ალექსი 196
გორბანევსკაია ნატალია 165, 170, 173, 206
გორბაჩოვი მიხეილ 14-15, 262, 266-268, 270, 290-291, 294-296, 302, 304, 324-325, 329, 332, 349-351, 392, 415, 427, 434, 439-443, 461, 471-475, 480, 494-497, 501, 507-509, 511-512, 514, 523-524, 532-536, 541, 566-570, 582, 584, 619, 626-627
გორბუნოვი ანატოლის 497
გორგოძე შოთა 347
გორდეზიანი რისმაგ 105, 122, 375-376
გორკი მაქსიმ 33, 127
გოცირიძე ირაკლი 331, 597
გრანელი ტერენტი 140, 142
გრეკოვი იური 583
გრეჩკო ანდრეი 146, 270,
გრიბი კატარინა 624, 626
გრიგოლი (ცერცვაძე, ალავერდელი ეპისკ.) 225
გრიგორენკო პეტრო 162, 167, 178, 181, 204
გრიუნვალდი (მხატვარი) 129
გრობი რიხარდ 205
გრომიკო ანდრეი 146, 179, 262, 268
გრომოვი ბორის 523
გუგეშაშვილი დოდო 667
გუგუშვილი პაატა 116
გუგუშვილი ბესარიონ 518-519, 645, 651, 672, 676-677, 679-680, 685-686, 691, 695-696, 700, 702, 705-510, 712, 719
გუდავა თენგიზ 256, 274, 293-294, 364-365, 387, 412
გუდავა ედუარდ 256, 274, 364-365, 601
გუდიაშვილი ლადო 94, 112, 176, 599
გულიაევი იური 194
გულიაშვილი ა.ხ. 220
გულორდავა ჰამლეტ 683, 687
გულუა ბაკურ 394, 399, 408, 485, 518, 611
გულუა გია 682-685, 690, 694, 696, 702, 706, 721,
გუმბარიძე გივი 305, 314, 323, 329, 346, 348, 354, 360, 364, 366-367, 369-370, 387388, 407, 413, 416, 488, 541
გუმილიოვი ლევ 141
გუნდოგლუ საქარია 617, 628
გუჩუა გულიკო 688
გუჩუა ზურაბ 319, 394, 676-677, 679-680, 688, 690, 692, 697
გუჩუა ჯიგო 689
გუნჯუა თამაზ 68, 72, 82, 84-85, 87
გურამიშვილი დავით 127
გურამიშვილი ოლღა 245
გურგენიძე ვახტანგ 285
გურევიჩი ემილ 71
გუჯეჯიანი ფრიდონ 64

დ

დადიანი ცოტნე 650
დადიანი მერაბ 87
დადიანი მია 139
დადიანი შალვა 55, 65, 86,
დავლიანიძე ჯემალ 121, 319, 554
დათუნაშვილი კატო 69
დალი სალვადორ 129, 383
დანგაძე ბიძინა 394, 503, 607
დანიელი იული 129, 160, 162-164
დევდარიანი დავით (პატრიარქი) 133, 215-216, 221
დევდარიანი ლეონარდო 666
დეკანოზიშვილი გია 721
დეკანოსიძე თამარ 394, 713
დეკონსინი (კონგრესმენი) 537
დელონე ვადიმ 165
დემეტრაძე დავით 39
დემირელი სულეიმან 628
დემურია ოლღა 75, 245, 260, 272, 310, 468, 557
დიაკონოვი იგორ 376
დიდრო დენი 156
დიკენსი ჩარლზ 109
დიმიტრიადი ოდისეი 94
დიტრიხი მარლენ 22
დიურენმატი ფრიდრიხ 205
დოლიძე როსტომ 490
დოჩანაშვილი გურამ 68, 70-72, 82, 84-88, 100, 114, 122, 409, 553
დრემლიუგა ვლადიმირ 165
დუდაევი ჯოხარ 567-568, 575, 588-590, 595, 614, 616, 628, 630, 632-633, 639, 642, 651, 668, 711-714
დუდაევა ალა 651, 714
დუდაროვი ბორის 427

დუბჩეკი ალექსანდრ 164, 404, დუმბაძე ნოდარ 196
დუმბაძე თამაზ 574, 579, 580-581, 592, 648
დუმეზილი ჟორჟ 376

ე

ებრალიძე გუჯუჯი 686, 698-700, 705, 719
ეგორიჩევი (სახელმწიფო მოღვაწე) 124
ევდოშვილი იროდიონ 68, 112
ევოლა იულიუს 47
ეტუშენკო ევგენი 290
ეიზენშაუერი დუაიტ 123
ეკატერინე მეორე (იმპერატორი) 156
ელ გრეკო 129
ელიავა აკაკი 603, 652-653, 668-669
ელიადე მირჩა 561
ელიოტი თომას სტერნზ 95, 108-109, 111
ელჩიბეი აბულფაზ 585, 616, 628
ელცინი 15, 268, 290, 349, 391, 436, 443-447, 472, 494-495, 497-498, 524, 534, 568572, 582, 592, 596, 606, 608, 627, 636, 639, 642-643, 649, 664-667, 674, 726
ემერსონი რალფ უალდო 108
ემირიძე გურამ 300, 302
ენუქიძე გურამ 259, 298
ენდრიუ ქრისტოფერ 165, 179
ეპიტაშვილი თენგიზ 582
ეტოვი ნიკოლაი 28, 31-32, 38
ერგემლიძე იზაბელა 319, 599
ერენბურგი ილია 164
ერისთავი გიორგი 89
ესენინი სერგეი 163
ესენინ-ვოლპინი ვლადიმირ 163, 255
ესკილინენი პეიკკი 621
ეფრემ მეორე (კათალიკოსი) 75-78, 132-135, 215-217, 219-212
ეშბა ეფრემ 61

ვ

ვაგნერი რიხარდ 99
ვაგონერი ჯო 177, 467
ვადაჭკორია შ. 582
ვადბოლსკი (რუსი თავადი) 33
ვათეიშვილი ვ. ა. 220
ვალენსა ლეხ 322, 584
ვაკელი იონა 232
ვალდჰაიმი კურტ 235
ვანიძე გურამ 274-275
ვანზიდლერი ვანდა 624-625
ვარდოსანიძე ზურაბ 609
ვარენნიკოვი ვალენტინ 523
ვარძელაშვილი ომარ 485
ვასაძე აკაკი (კაკულია) 68, 100
ვაშაძე ესაია 65
ვაშაძე რებეკა 24, 65
ვაჩნაძე დათა 358
ვახტანგ მეექვსე 22, 102, 381
ვეისკოპფი (აკადემიკოსი) 176
ვეკუა ვოვა 274, 30-310, 341
ველიკანოვა ტატიანა 170, 206
ვეფხვაძე ზაზა 386, 417, 586
ვეფხვაძე ლელა 325
ვიდენგრენი გეო 561
ვილამოვიც-მოელენდორფი (პროფესორი) 106
ვირსალაძე ანასტასია 92
ვიქტორია (დედოფალი) 59
ვიშინსკი (პროკურორი) 203
ვოინოვიჩი ვლადიმირ 163
ვოლოშინი მაქსიმილიან 129
ვონსკა პაველ 289
ვორონცოვი მიხეილ 281
ვოშჩანოვი პაველ 436, 443, 499

ზ

ზავადსკაია ელენა 674
ზარანდია ბადრი 680-686, 690, 692, 696, 704, 721
ზარანდია მამრიკო 697
ზარანდია ვალიკო 705, 708, 712, 719
ზარანდია ვახტანგ 696-698, 705, 708
ზარდალიშვილი (გენერალი) 128, 150
ზარდიაშვილი დავით 429
ზაქარიაძე სერგო 25, 101
ზახოდერი ბ. (აღმოსაელეთმცოდნე) 47
ზედგენიძე მაშო 25
ზეიკიძე დავით 548, 661
ზინოვიევი გრიგორი 28
ზიუგანოვი გენადი 523
ზომჩენკო მიხეილ 48
ზუბოვი ანდრეი 291
ზუმბურიძე ნანა 597, 609
ზურაბიშვილი ლევან 139

თ

თამაზაშვილი (პროკურორი) 87
თარბა ეანო 196
თარგამაძე გიეი 565
თაქთაქიშვილი გივი 394, 399, 485, 518-520, 564, 644, 646
თაყაიშვილი არლი 102-103, 107
თაყაიშვილი ეკვთიმე 40, 55, 358
თაყაიშვილი შალვა 139
თალაკვაძე სევასტი 38
თევზაძე დავით 200
თვარაძე რევაზ 103, 106, 107-108, 110, 409
თოიძე ნათია 717
თომაძე მაია 394, 556, 618, 622
თოპინგი სეიშურ 211
თორდია გონელი 690
თორდია ვ. 85
თორდია პალმირო 688
თორია სოსო 631, 650, 652, 676
თოფურიძე ელისაბედ 23-24
თოფურიძე ჯოდოლი 67
თოფურიძე ვალოდია 67, 76
თოფურიძე (გამომძიებელი) 85
თოხაძე ზინა 69
თუმანიშვილი გივი 337
თუმშალიშვილი მედეა 394, 433
თუშურაშვილი რობინზონ 359

ი

იაგოდა გენრიხ 28, 31, 38
იაზოვი დიმიტრი 523
იაკირი პიოტრ 168-169
იაკობსონი ანატოლი 170
იაკობიძე დავით 485
იაკოლევი ალექსანდრ 268, 290, 441, 523
იაკუნინი გლებ 162, 213, 224, 254
იანაევი გენადი 435, 508, 523-526, 529
იანდარბიევი ზელიმხან 711-712
იანი ანა 143, 145
იანქოშვილი მერი 88
იარულზელსკი (გენერალი) 255
იაშვილი პაოლო 38-39, 58
იგნატოვი კოკა 91
იერმალავიჩუსი იოზას 496
ივანე მესამე 51
ივანენკოვი ვიქტორ 579, 582
ივანოვი ვიაჩესლავ 48, 376,
ილარიონი (სამხარაძე, ბოდბელი ეპისკ.) 182, 218, 225-229
იმნაძე ნოდარ 274, 300-302, 313, 394, 489
იმნაძე ნატო 489
იმნაძე ავთო 255, 274, 338, 394
იმნაიშვილი ივანე 102

ინაური ალექსი 58, 84, 125, 190, 208, 214, 236, 272-273, 305
ინგოროყვა პაველ 32, 34-35, 40, 65, 75, 86, 113-114
იორამაშვილი ნინო 134-135
იოსელიანი ავთანდილ 694, 713
იოსელიანი დემურ 292
იოსელიანი ქსენია 96
იოსელიანი ჯაბა 213, 308, 312-313, 348, 355-356, 358, 372, 386-388, 411, 414-417, 430-431, 521, 537, 541-542, 565-566, 578-579, 581, 586, 588, 591-595, 598, 601-602, 604, 613, 636, 640-641, 645, 647, 649, 656, 658, 661-665, 667-670, 673-674, 716
ირემაძე ზურა 686
ისაკაძე გაბრიელ 304

კ

კავსაძე სანდრო 611
კაკაბაძე დავითი 599
კაკაბაძე ირაკლი 319, 354, 377-378
კაკაბაძე ნანა 237-238, 255, 274
კაკაბაძე ნოდარი 200
კაკაბაძე პოლიკარპე 148
კაკუბავა ბორისი 309-310, 319
კალანდაძე ანა 76, 196-197, 199
კალანდაძე ლენა 152
კალაძე ამირან 319, 337, 395, 554
კალაძე კარლო 196
კალაძე რაჟდენ 38
კალინინი 74
კალტახჩიანი (პროპაგანდისტი) 300
კაპანაძე რევაზ 713
კაპბა ენვერ 456
კაპტანჩუკი ვიქტორ 224
კაპიცა პიოტრ 163
კარავანსკი სვიატოსლავ 164
კარახანი (კომისარი) 463
კარბელაშვილი ვასილ 22
კარბელაშვილი პოლიექტოს 241
კარტერი (პრეზიდენტი) 180, 194, 262-263
კატუსევი (პროკურორი) 327
კაცაძე ლია 274, 395, 602
კაული რაინჰარდ 328
კედია სპირიდონ 358
კეკელიძე ნიკუშა 648
კეკენაძე გოჩა 676, 684-685, 687, 700-701, 704-705, 707-708, 719
კემულარია კლოდ დე 628-629
კენჭოშვილი ირაკლი 180, 200, 274
კერატიშვილი გაიოზ 133, 182, 216-222, 225-228
კერესელიძე მაია 597, 609,
კეცხოველი ნიკო 57
კვანტალიანი გივი 236, 238, 429, 579-580, 588
კვანტალიანი თემურ 407, 549, 565
კვარახცელია გრამიტონი 692,
კვარაცხელია ვალერი 549, 564,
კვარაცხელია ჯონსონი 697-701, 704-706, 718-719
კვაშნინი (გენერალი) 655
კვესელავა მიხეილ 88, 95,
კვირაია შოთა 670, 682, 690, 694, 721
კვირკველია ბესარიონი 419
კვირკველია გოგი 119
კიკაბიძე ენუქი 602
კიკნაძე მერაბი 395, 595, 616-618, 620, 622-624, 628-631, 645, 664, 711
კიკნაძე ზურაბი 103, 121, 253, 386
კინკელი კლაუსი 623
კინნურაშვილი ავთო 697
კირიონი (პატრიარქი) 131
კიროვი 80, 464
კისინჯერი ჰენრი 268
კიტოვანი თენგიზი 395, 409, 503-504, 514, 521, 527-530, 538, 540-541, 546, 548, 551-552, 556-558, 565, 574, 579-582, 591-594, 598, 602, 613-614, 635, 706, 722
კლაისტი ჰაინრიხ ფონ 141
კლდიაშვილი დავით 68, 112
კლინგი (მილიციელი) 241
კლინტონი ბილ 332, 645
კლოდელი პოლ 109
კობალაძე კობა 645
კობახიძე გივი 139
კობახია ვალერიან 316
კოვალიოვი ელადიმირ 295
კოზირევი ანდრეი 582, 665
კოიჩი-სტოიანოვიჩ ზაგორკა 192
კოკოჩაშვილი მერაბ 337
კოლაკოვსკი ლეშეკ 31
კოლბინი გენადი 227
კონრადი დ. 553
კონცელიძე რესან 323, 395
კოპალიანი ზურაბ 515
კოპალიანი ჯუმბერ 237, 274, 386, 417
კოპელევი ლევ 163, 201
კორიაგინი ა. 365-366
კორვალანი ლუის 207
კორჟაკოვი 443
კორტიჩი ვიტალი 199, 290,
კორძაძე გიზო 274-275, 354
კოსიგინი ალექსი 269
კოსტავა გრიგოლ 72
კოსტავა ირაკლი 260
კოსტავა მერაბ 8, 12, 41, 68, 70-72, 74-76, 82, 84-85, 87-88, 91-92, 94, 96, 99-100, 132, 134, 136, 138, 140, 142-143, 160, 160, 170, 172, 174, 176-178, 180-181, 183, 186, 188-190, 194-195, 201-202, 204-206, 208-209, 215, 217-219, 224, 229-230, 234-235, 239-242, 245, 248, 259-260, 272-277, 279-280, 283, 285-286, 288, 293, 295-297, 299, 301, 303-306, 308-314, 316, 318, 321-322, 324-326, 330, 333, 336, 338, 341, 343-344, 361, 363, 389-390, 468, 489, 557, 723
კოტეტიშვილი ვახტანგ 113, 280
კოღუაშვილი კონსტანტინე 714
კოშკაძე მარინა 237-238, 274
კოძოევი ისა 162, 448
კოჭლავაშვილი ალექსანდრე 50
კრავჩუკი ლეონიდ 568-570, 575, 592, 665-666
კრიუჩკოვი ვლადიმირ 434, 449, 523, 554
კუეილი დენ 332
კუელიარი ჰაიერ პერეს დე 427, 497
კუგულტდინოვი დავიდ 432
კუდრიავცევი ვ. 422
კუზმინი მიხეილ 48
კულუმბეგოვი ტორეს 419, 429, 445, 449, 578, 606
კუტლუგი აიდინ 616-617
კუტუბიძე გრიგოლ 69
კუტუზოვი (მთავარსარდალი) 51
კუჭუხიძე რომეო 603, 669, 686

ლ

ლავრენტაშვილი (მილიციის თანამშრომელი) 326
ლაზარევი ბ. 422
ლაკია გურამ 649, 657-659, 669
ლანდსბერგისი ვიტაუტასი 404, 496-497, 554, 584, 622, 629-631

ლანჩავა გელა 548, 578, 591, 599, 670
ლანსერე ე. 402
ლაკობა ნესტორი 35, 61, 315, 673-675
ლაკობა სტანისლავი 595, 608-609, 611
ლაურინავიჩიუსი ბრონიუს (პატერი) 162
ლაშქარაშვილი ზაქარია (ჯონი) 246, 307-309, 312
ლაშხია კოკი 690-691
ლებანიძე მურმან 196, 232
ლებედი ალ. (გენერალი) 640
ლევიჩი ვენიამინ 193
ლენინი ვლადიმერ 28-30, 35, 37, 61-62, 69, 78, 97, 130, 166, 231, 254, 266, 315
ლევი-სტროსი კლოდ 561
ლეონიძე გიორგი 38, 43, 53, 55, 76, 86, 94, 114-114
ლეტტიმორი (მკვლევარი) 106
ლიგაჩოვი იგორ 268, 290, 441
ლიონესი აააზე 175
ლისტი ფერენც 100
ლიტვინოვი პაველ 165
ლოლუა დალი 26, 66, 71, 76-77, 91-92, 95, 99-100, 104, 112, 137, 141, 151, 247-249, 716
ლოლუა მიხეილ 92
ლომაძე დავით 76, 115
ლომაძე ლალი 274, 609
ლომგურაშვილი (პედაგოგი) 69
ლომთათიძე ქეთევანი 454
ლომინაძე ბ. 465
ლომოური ნოდარ 599, 636
ლორთქიფანიძე გიგა 304
ლორთქიფანიძე გრიგოლ 418
ლორთქიფანიძე თემურ 309, 319, 395
ლორთქიფანიძე კონსტანტინე 39
ლორთქიფანიძე მარიკა 66, 316
ლურსმანაშვილი ნინო 77
ლოსევი ალექსეი 106
ლოსკი ვლადიმირ 561
ლიტვინოვი პაველ 165
ლუთერი მარტინ 141
ლუკიანოვი ანატოლი 422, 430, 513, 524

მ

მაზოვეცკი თადეუშ 322
მათეშვილი ლევან 74
მაკნამარა ჯონ 212
მაისურაძე ანზორი 413-414, 564
მაისურაძე გიორგი 319, 565-566
მაისურაძე ნოდარ 214
მაკარიძე ლერი 382
მაკუდინოვა გუზელ 174
მაკიევნი რობერტ 494
მალენკოვი გიორგი 49, 53, 57-58, 125
მამალაძე სოსო 305, 319
მამარდაშვილი მერაბ 297, 299-300, 337-339, 379, 386, 433
მამულია გურამ 237, 274, 286, 297, 395
მამფორია გია 597-598
მანაგაძე ავთო 355
მანაგაძე თენგიზ 348, 355
მანდელშტამი ოსიპ 141-142
მანსური შეიხ 651
მანუკიანი ვ. 470
მარგველაშვილი გიგი 121, 141
მარიამი (ბიზანტიის დედოფალი) 45
მარკოზია არკადი 236, 274, 309, 395, 576
მარშანია ადა 337
მარშანია ლორიკ 453
მაჟუგა ზინობი 133, 215, 221, 225-227
მალიუშკინი გენრიხ 420
მამედოვი იმირ 404
მარგველანი რობინზონ 676, 695, 700, 702, 704-709, 712-713, 718-719
მარგიანი აეთანდილ 395, 419, 535, 646, 666, 711-712, 722
მარგიევი კოსტა 196
მარი ნიკო 375-376, 453
მარშევი იოლანდა 122
მარჩენკო ანატოლი 164, 167
მასლაუსკასი (გამომძიებელი) 189-190
მაღლაკელიძე შალვა 63-64, 195, 198, 208
მაშეროვი პიოტრ 146
მაღალაშვილი ქეთევან 112, 599
მაღრაძე ელგუჯა 196, 232,
მაძინი ჯუზეპე 334
მაჭავარიანი დავით 337
მაჭავარიანი მუხრან 114, 116-117, 199, 274, 317, 390, 395-396, 554-555, 643
მახარაძე ფილიპე 188, 285, 358, 464
მახარაძე ზურაბ 599
მგალობლიშვილი ნუგზარ 274, 309, 395
მგელაძე აკაკი 50, 55, 65, 90, 115
მდივანი ბუდუ 115
მებონია ანზორ 695-697, 700
მეგრელიძე იოსებ 563
მელქისედეკი (ფხალაძე, პატრიარქი) 76, 78, 133
მელია რომან 645
მენაბდე ლეო 562
მენაღარაშვილი ირაკლი 407
მენჟინსკი 269
მერჩულე გიორგი 102, 113
მეტრეველი ჯონდო 68, 82, 84, 86-88, 100, 260
მესხია გია 691
მესხია ინალი 698
მესხია შოთა (თსუ პროფესორი) 66, 139
მესხია ჰამანდა 691-692
მესხიშვილი ლადო 73, 374
მთაერიშვილი ეკა 320, 334, 386
მილტონი ჯონ 89, 156
მიმინოშვილი რომან 103, 553
მინაშვილი გურამ 66, 151
მიტერანი ფრანსუა 242, 351, 533, 628
მიტროხინი ვასილ 165, 167
მოლოტოვი ვიაჩესლავ 56, 80, 125
მონტეფიორე საიმონ სებაგ 40
მინდიაშვილი არჩილ 395, 413, 469
მინჯია სლაეა 603, 619
მირცხულავა ალექსანდრე 59, 107
მიქავა ნანი 67
მიქავა ნიკოლოზ 67
მიქაძე ანატოლი 68, 82, 84-85, 87
მიქელაძე ეგეგენი 31
მიქელაძე ჯიმი 410, 476, 492, 713
მიქოიანი ანასტას 80, 124
მიქაბერიძე ალეკო 548
მიქაბერიძე კოტე 138
მიქაია კახა 597
მინიშვილი ნიკოლო 31, 34
მოლოდინაშვილი ნუგზარ 395, 399, 644, 646, 669
მოროზი ოლეგ
მოცარტი 99-100, 627
მერეჟკოვსკი დიმიტრი 48
მჟავანაძე ვასილ 59, 77, 80-81, 86, 94, 121, 125-126, 138, 147-149, 216, 259, 279
მუგაბე რობერტ 544

მუსხელიშვილი ნიკო 55
მუტალიბოვი აიაზ 499, 586,
მშველიძე შალვა 94
მშვიდობაძე გ. (საპატრ.
მდივანი) 226-228
მჭედლიშვილი დავით 126
მხეიძე გია 705, 710, 722

ნ

ნადი იმრე 83, 390
ნადირაშვილი კოტე 628
ნადირაძე რობერტ 300-302
ნაზარბაევი ნურსულთან 349, 534, 592
ნანეიშვილი მიხო 274, 372
ნათაძე ნოდარ 107, 247, 278, 313, 336-338, 334, 352-353, 370, 395, 419-420, 430, 476, 492, 526, 538-539, 546, 556, 558, 574
ნარიმანიძე ილია 273
ნატროშვილი გიორგი 44, 62, 114-115, 196
ნაპოლეონი 23, 650
ნეველი ალექსანდრე 46, 253
ნიბლაძე ირაკლი 57
ნიჟარაძე ბესარიონ 68
ნიჟარაძე რაფიელ 67
ნიკოლსკაია ტატიანა 172-173, 191
ნიინიმაა-კეპო აილა 617-618, 620, 623
ნინიძე თედო 646
ნინუა თამაზ 580
ნიქსონი რიჩარდ 168, 262, 470-472, 509, 512, 726
ნიშნიანიძე გიზო 278, 663
ნიშნიანიძე შოთა 196, 199
ნიცშე ფრიდრიხ 38, 109, 158
ნოიკომი რუთ 122
ნოზაძე ვიქტორ 92, 139
ნოვალისი 108-109
ნოვოდვორსკაია ვალერია 172, 331, 715
ნონეშვილი იოსებ 196
ნორაკიძე ნიკო 320, 565
ნუგისი იულიო 404
ნუცუბიძე შალვა 57, 381

ო

ობოლაძე უშანგი 94
ობოლაძე ჯ. 220
ოვაშვილი გიორგი 678
ოზალი ტურგუტ 616-618, 631
ოზგანი კონსტანტინე 236, 316, 505
ოთხოზორია გოჩა 696-697
ოკუჯავა ბულატ 163
ომანიძე მურმან 489, 513, 515, 518, 575
ორბელიანი გრიგოლ 75
ორბელიანი სულხან-საბა 101
ორლოვი იური 17, 155, 172, 193, 204-206, 244, 259
ორჯონიკიძე თენგიზ 305, 320
ორჯონიკიძე იზა 233, 278, 553
ორჯონიკიძე სერგო 150, 285, 340, 358
ორჯონიკიძე სოსო 237-239, 274
ოსაძე მიხეილ 694
ოტტო გიუნტერ ფონ ვეზენდონკი 28
ოტი ურმას 100,166, 514

პ

პაატაშვილი თედო 299, 303, 320, 330, 395, 399, 510, 539
პავლოვი ვალენტინ (პრემიერი) 507-508, 523
პაიპერი ჰაროლდ 207, 209-211, 306
პაიფსი რიჩარდ 30-31, 473-474, 501, 568
პაპავაძე გოგი 493
პასტერნაკი ბორის 32, 56, 59
პატარქალიშვილი ნ. 417
პატიაშვილი ჯუმბერ 270, 272, 285, 292, 298-300, 314, 323-324, 328-329, 341
პაული კოლინ 532
პაუნდი ეზრა 95, 109
პაჭკორია გივი 689
პერეპელოვი 84
პესტელი 9
პეტრე პირველი 44, 129
პეტრიაშვილი გურამ 320, 395, 554, 726
პეტრიაშვილი რობერტ 320, 395, 399, 644
პეტრინი იოანე 381
პეჩი გერტრუდ 62, 128
პეტროვი სერგეი 51
პიატკუსი ვიქტორას 259
პითაგორა 109
პლატონი 109, 338,
პლიუშჩი ლეონიდ 162
პოგაჩნიკი მიჰა 374
პოდგორნი 125
პოდრაბინეკი ალექსანდრ 206, 366
პოკროვსკი (აკად.) 106
პოლიკარპოვი 51
პოპოვი გავრილ 582
პოსპელოვი პიოტრ 43
პრომაკოვი ევგენი 269, 392
პრუნსკენე კაზიმირა 496
პუგო ბორის 430, 434, 523, 584
პუზირინი (რუს. სამხედრო) 430
პუტინი ვლადიმირ 15
პუშკინი ალექსანდრ 142, 383, 443

ჟ

ჟდანოვი იური 48-52, 61
ჟვანია ზურაბ 320, 360, 371, 595
ჟიდი ანდრე 39
ჟირინოვსკი ვლადიმირ 498
ჟორდანია გიზო 94
ჟორდანია ნოე 357, 475
ჟორჟოლიანი გია 337, 670
ჟორჟოლიანი თემურ 320, 354, 372
ჟღენტი ბესარიონ 49, 94,
ჟღენტი ვაჟა 255, 275

რ

რადიანი შალვა 44
რაზუმოვსკი გიორგი 329
რაიფილდი დონალდ 39
რამანაუსკასი ვიტაუტას 630-631
რამიშვილი ბიჭიკო 582, 663
რამიშვილი ირაკლი 92, 94, 119, 132, 142
რამიშვილი ნოე 357
რანტალა ჰეიმო 621-622
რაჟოკი როზა 71
რასპუტინი ვალენტინ 269, 523,
რატუშინსკაია ირინა 365
რახმანინოვი სერგეი 92, 100
რევალი ჟან ფრანსუა 440
რეიგანი რონალდ 228, 242, 263, 267, 294-295, 440, 470, 510
რეუტი იური 666
რიბაკოვი 300
რიჟკოვი ნიკოლაი 268
რიუიტელი არნოლდ 497
რიუმინი (გენერალი) 54
რობაქიძე გრიგოლ 27, 46, 63
რობაქიძე ლიდა 63
რობინსონი ედვინ არლინგტონ 95
როკფელერი დევიდ 268
როსტი იური 331
რუსთაველი 12, 82, 113, 115, 121, 127, 140, 155, 191, 199-201, 382, 468, 487
რუბინშტაინი არტურ 71, 129
რუხაძე ნიკოლოზ 54, 86

რაფავა აექსენტი (გენერალ-ლეიტანტი) 50, 54, 58
როდიონოვი დიმიტრი 171
როდიონოვი იგორ 326-327
როლერი იოჰანეს 624
რუდენკო ნიკოლა 259
რჩეულიშვილი გურამ 19, 117-118, 122, 177
რჩეულიშვილი ვახტანგ 521, 646
რცხილაძე ავთანდილ 320, 354, 369, 395
რცხილაძე ვიქტორ 178, 180-181, 202, 205, 209, 235, 386

ს

სააკაძე გიორგი 44, 62
საგდეევი როალდ 349
სადუნიშვილი ოქროპირ 491
საველიევი ალექსეი 171
საეისაარი ედგარ 291, 496
საიმონსი (ჯ. შულცის მრჩეველი) 292
სალია კალისტრატე 139
სალია ნინო 139
სამადაშვილი ნიკო 122, 177
სამხარაძე ილარიონ (ეპისკოპოსი) 182, 218, 225-228
სამხარაძე ნიკოლოზ 176, 178, 237, 275
სამხარაძე შალვა 717
სარალიძე ლ. 419
სარია გია 682-683, 697
სარია გოჩა 682-683
სარიშვილი ირინა 320, 386, 474, 546, 549, 564, 663
სატტერი ჯ. (ატაშე) 228
საფაირი უილიამ 510
სახაროვი ანდრეი 155, 158, 160-161, 163, 166-169, 174-176, 178, 189-190, 202-203, 207, 244, 270, 291, 327, 378, 431, 474
სახეჩელაშვილი გ. 417
სემიჩასტნი ვლადიმირ 124-125
სენდბერგი კარლ 95, 104
სერებრიაკოვი სერგეი 554, 556
სეროვი ი. 58
სვანაძე გია 586
სიგუა თენგიზ 372, 405-406, 409, 438, 470, 515-519, 527-529, 536, 540, 546, 548, 551, 559, 564, 572-573, 575-576, 578, 580-581, 587, 591, 592-594, 599, 635, 655-556, 673-674, 722
სიგუა სოსო 32, 35, 39, 43, 53, 57, 69, 151, 187, 243, 554, 562, 716
სიგუტკინი 655
სიდამონიძე კ. 220
სილნიკოვა ქსენია 145
სინიავსკი ანდრეი 129, 160, 162-164
სირაძე ვიქტორია 149
სირაძე რევაზ 562
სიხარულიძე ვოვა 68, 82, 84-85, 87
სკორედოვი გიორგი 210
სკოუკროფტი ბრენტ 331
სკრიაბინი ალექსანდრ 100, 129, 142-143
სკრიაბინა მარია 129
სმორგუნოვა ელენა 170
სნეგური მირჩა 391
სნეუნევსკი ა. 204
სობჩაკი ანატოლი 331, 349, 431
სოკოლოვი დ. 84
სოლჟენიცინი ალექსანდრ 161, 166-171, 173, 189, 244, 253, 262
სოლჟენიცინა ნატალია 171
სოსიური ფერდინანდ დე 102, 107
სოფოკლე 89
სოლოგუბი ფიოდორ 48
სოსლანბეკოვი იუსუფ 342-343, 633
სოტკილავა ზურაბ 194
სპენსერი 89
სტალინი იოსებ 7, 16, 27-31, 35, 37, 39-41, 44, 46-56, 59-61, 69, 74, 77-82, 90, 99, 105, 115-116, 118, 122, 124-125, 131, 133, 146-147, 160, 163-164, 167-168, 172-173, 178, 184, 266, 269, 290, 315, 358, 373-375, 451, 464
სტაროგოროდსკი სერგი 134
სტარაეოტოვა გალინა 431
სტერნიუკი ვოლოდიმირ 390
სტივენსი ედმუნდ 373
სტიუარტი სერ ჯონ 281
სტოლიპინი პიოტრ 156
სტორი ქრისტოფერ 619, 715
სტოსელი უოლტერ 228
სტურუა დევი 77, 126, 128
სტურუა მელორ 78
სუვოროვი ვიქტორ 51
სულაკაური არჩილ 196, 553
სულხანიშვილი ალექსანდრე 139, 403-404
სუმბათაშვილი თემურ 320, 334, 354, 386
სუსლოვი მიხეილ 184-185, 205, 236
სხირტლაძე გურამ 68, 83, 87

ტ

ტაბაკოვა ლ. 203
ტაბიძე გალაკტიონ 43, 86, 127, 140-141
ტაბიძე ტიციან 27, 31-32, 38-39, 58
ტაბლიაშვილი ვახტანგ 94
ტაკიძე ე. 190
ტალბოტი სტრობ 332, 471, 534
ტამი იგორ 163
ტარასენკოვი 51
ტარკილი საიდ 316
ტარკოვსკი არსენი 163
ტერზიანი მარინა 275, 288, 320
ტერიშვილი მამუკა 591
ტერ-პეტროსიანი ლევონ 391, 499, 588-589
ტეტელაშვილი გია 558
ტვარდოვსკი ალექსანდრ 169
ტეერდოხლებოვი ანდრეი 155, 167, 171, 176, 193, 474
ტერიშვილი მამუკა 591
ტიბუა გულიკო 701, 704
ტიზიაკოვი ალექსანდრ 524
ტიმაშუკი ლ. 49
ტირისკევიჩი ვიქტორია 126
ტიტო ბროზ იოსიპ 192
ტიხონოვი ნიკოლაი 49
ტიხონი (პატრიარქი) 130
ტობილევიჩი (ონკოლოგი) 137
ტოლსტოი ალექსეი 44
ტოლსტოი ლევ 158, 208, 242, 252
ტოროშელიძე მალაქია 35, 38,
ტროცკი ლევ 28, 35, 315, 464
ტურაშვილი დათო 297, 320, 565, 626
ტურჩინი ვალენტინ 171, 193
ტყებუჩავა ფელიქს 407

უ

უაილდი ოსკარ 101, 105, 108, 141
უგლასი მარგარეტა აფ 664
უგრეხელიძე მინდია 395, 408
უიტმენი უოლტ 89, 104
უიტნი კრეგ 207, 209-211, 306
უოლტონი ტიერი 287
ურატაძე გრიგოლ 463
ურგებაძე გაბრიელ (სალოსი) 220
ურინდია მერაბ 395, 497, 510
ურინდია რეზო 429
უსუპიანი 182

უჩაძე ზაურ 657
უჩავა გია 580-581

ფ

ფადეევი ალექსანდრ 44, 48-49
ფაილოძე ვალენტინა 176, 218, 254, 256, 275
ფაინბერგი ვიქტორ 165, 167
ფალავანდიშვილი გეიდარ 137, 151
ფალავანდიშვილი ზურაბ 25
ფალავანდიშვილი ნიკოლოზ 24
ფალავანდიშვილი მირანდა 22, 24, 65, 77,137, 138, 243, 245, 249, 599
ფალიაშვილი ზაქარია 71-72, 91, 139
ფანიაშვილი მედეა 556, 599
ფანჯიკიძე გურამ 196, 553
ფაჩალია შარახ 316
ფაცაცია ოთარ 663, 677, 722
ფედიუნინსკი 81
ფელინი ფრედერიკო 566
ფილბი კიმ 405
ფირცხალაიშვილი ჯონი 576, 580
ფიფია ანზორ 677
ფიფია ბეჟან 678
ფიფია ეგნატე 677
ფიფია თორნიკე 320, 386
ფიფია ზურაბ (ნრუწუნა) 680
ფიფია რაული 677
ფლობერი გუსტავ 109
ფლური ლეა 122
ფოკინი 51
ფორდი ჯერალდ 168, 262
ფოცხვერაშვილი კოტე 402
ფოცხიშვილი მორის 196, 386, 553
ფრანსი ანატოლ 109
ფრიში მაქს 205
ფროსტი რობერტ 95, 104
ფუკო მიშელ 12
ფუხაევი ალან 429
ფხალაძე გურჯი (ბიძინა სავანელი) 68

ქ

ქადაგიშვილი ირაკლი 275, 386
ქავთარაძე ელისაბედ 275, 286
ქაქუარაძე ლიკა 137
ქარდავა თენგიზ 683, 686
ქარდავა მალხაზ 680
ქარდავა ფაზა 677-678
ქასრაშვილი მაყვალა 194
ქაჯაია თენგიზი 576
ქელდიშვილი ო. 710
ქემოკლიძე გია 305
ქილიფთარი მიხა 40
ქიაჩელი ლეო 65, 691
ქიტიაშვილი შოთა 395, 646-647
ქიქოძე გერონტი 32, 44, 86
ქიქოძე პლატონ 34, 38
ქიშმარია რუსლან 672
ქიშმარია მერაბ 673
ქლოუსი ქევინ 209-211, 715
ქობალია ვახტანგ 557-558, 574, 580, 603-605, 641-642, 646-649, 651, 653, 657-659, 661, 667, 669-670
ქობალია ზაურ 275, 395, 574, 602
ქობალია ჯემალ 603-604
ქობულაშვილი ალექსანდრე 395, 419, 573
ქორიძე დავით 192, 219, 221
ქორიძე თემურ 77, 298, 299, 308, 312, 320, 323, 344, 354, 369, 395, 399, 417, 553, 554, 555, 572, 572, 573
ქრისტესაშვილი ვაჟა 667
ქუცნაშვილი ომარ 279
ქუხილავა ელისო 677

ღ

ღლონტი ნიკოლოზ 301
ღურწკაია კარლო 701-704, 707-709, 719-720
ღურწკაია-აფშილავა ლუდმილა 702

ყ

ყანჩაველი 69
ყარყარაშვილი გია 574, 579, 592, 602, 604-605, 613, 639, 645, 648649, 658, 665
ყაუხჩიშვილი სიმონ 56-57, 76
ყვარელაშვილი დათო 326
ყიასაშვილი ნიკო 200
ყორანაშვილი გურამ 417
ყუბანეიშვილი (ბოქაული) 23
ყულიევი ყაისინ 451
ყურაშვილი გუჯარი 580, 657
ყურაშვილი თამაზ („ბუღა“) 355, 358, 395, 417

შ

შადური ვარლამ 296, 314
შავიშვილი რევაზ 367, 371-372
შალამოვი ვარლამ 163, 169
შალამბერიძე გურამ 238
შალამბერიძე ვიქტორ 220-221
შალენბერგი ვოლფგანგ 625
შალუტაშვილი დ. 217, 219, 221
შამანაური ნაზი 256, 275,
შამსუდდინი იუსუფ 616
შანელი კოკო 22
შანიბოვი იური (მუსა) 342, 451, 633, 635
შანიძე აკაკი 102, 279
შანშიაშვილი სანდრო 50
შარაშენიძე ვიქტორ 325
შარაშენიძე ლევან 579, 581, 592, 613, 648-649
შარაძე გურამ 200, 597-600, 708, 711-712
შარია პეტრე 50, 54, 58
შატბერაშვილი გიორგი 89-90, 114
შაფარევიჩ იგორ 155, 161
შახპარონიანი სამუელ 112
შაჰი იდრის 561
შევარდნაძე ედუარდ 17, 59, 99, 145-150, 175, 182-185, 188, 190, 196, 198-200, 208, 213, 228, 230-232, 234-235, 251, 254, 258, 266, 268-270, 306, 324, 329, 332, 340, 361, 364-365, 370, 434-436, 441, 512-515, 533-534, 541-542, 546, 582, 584-585, 592-596, 598-600, 606, 608-610, 612-615, 619, 621, 623, 625-626, 628, 635-636, 639-640, 642-649, 651, 654-656, 658-660, 662-665, 667-668, 670, 673-675, 682, 684, 693-694, 698, 706, 711-713, 716, 722
შელეპინი ალ. 124
შელესტი პიოტრ 125, 146
შელი პერსი ბიში 89-90, 95, 141
შენგელაია დემნა 196
შენგელაია ირაკლი 288, 293, 321, 370, 476, 492
შენგელაია ელდარ 337, 349, 360, 636
შენინი ოლეგ 523
შექსპირი უილიამ 89, 95, 105, 130, 141
შველიძე დიმიტრი 286, 329, 334, 338-339, 345, 352, 354, 361, 407-408, 412, 433, 492, 515, 524, 529, 534, 542-543, 545, 564-566, 577, 717
შინკუბა ბაგრატ 237, 316
შიომღვდლიშვილი რომანოზ 238, 275
შიპლერი დევიდ 211
შიფტერი რიჩარდ 507
შკლოვსკი ვიქტორ 44, 46-47

შმიდტი რუსუდან 624
შმიდი ულრიხ 715
შოლოხოვი მიხეილ 49
შონია გრიგოლ 413
შონია ზურაბ („პუშკინა") 680-681, 683
შოპენი ფრედერიკ 71, 100, 129
შტაინერი რუდოლფ 110, 143, 145
შტრიომი კარლ-გუსტავ 623, 715
შუბიძე გ. (გიორგაძის ფსევდონიმით) 85
შუშანია პლატონ 76
შულენბერგი (გრაფი) 198
შულცი ჯორჯ 228, 292
შულცი ფელიქს 624
შუმანი რობერტ 100, 129
შურავლიოვი ელადიმირ 525, 527
შურღაია ვალტერ 275, 572, 602, 607, 609, 682, 698
შუბერტი ფრანც 100, 622
შუშანია პლატონ 76
შუშკევიჩი სტანისლავ 568-570, 593, 596
შჩერანსკი ანატოლი 259

ჩ

ჩაიკა იური 722
ჩალაძე ავთანდილ 490
ჩალაძე კ. 710
ჩალიკოვა ვიქტორია 174
ჩანტლაძე შოთა 106, 117, 119-122, 140, 177
ჩარკვიანი გელა 68-69, 88, 95, 99, 712
ჩარკვიანი კანდიდ 38, 50, 53, 55, 58, 68-69, 90, 105
ჩარკვიანი ჯანსულ 198-199, 232, 323, 330, 339, 360, 553
ჩაჩავა თენგიზ 646
ჩაჩუა ლევანი 712
ჩერნენკო კონსტანტინ 259, 263, 266-267
ჩერნიშევსკი 281
ჩერქეზია ოთარი 148, 187
ჩიქობავა არნოლდ 102
ჩიქოვანი სიმონ 49-50, 53, 140
ჩიხრაძე ფიქრია 321, 565
ჩოლოყაშვილი (ქაქუცა) ქაიხოსრო 27, 299, 358, 403-404, 494
ჩორნოვილი ვიაჩესლავ 162, 349, 569
ჩუბინაშვილი გიორგი 252, 408
ჩუბინიძე დიტო 78
ჩუევი ფელიქს 56
ჩუხუა მერაბ 321, 597, 699
ჩუხუა ზაურ 700
ჩუხუა ანატოლი 719
ჩხაიძე (პროკურორი) 87
ჩხაპელია არველოდი 686
ჩხარტიშვილი მარიამ 382
ჩხეიძე თამარ 233-234, 237-238, 255-256, 275, 277, 286-287, 293, 306-312, 318, 329, 335, 343, 386, 552
ჩხეიძე ირაკლი 321, 399, 646
ჩხეიძე კარლო 358
ჩხეიძე პეტრე (ზურაბი) 388
ჩხეიძე როსტომ 40, 106, 198, 275, 717
ჩხეიძე ოთარ 107, 114, 116, 554, 580, 585
ჩხენკელი აკაკი 24, 357, 439
ჩხენკელი თამაზ 103, 106, 116-117, 123
ჩხენკელი კიტა 122
ჩხიკვაძე თენგიზ 404
ჩხიკვაძე რამაზ 101
ჩხიკვიშვილი დავით 233
ჩხოტუა ჩარლზ 627
ჩხუბიანაშვილი ნუნუ 152

ც

ცაიშვილი სარგის 200, 554, 556, 562-563
ცალაევი ხარიტონ 428
ცვეტაევა მარინა 603
ცერცვაძე თეიურ 68, 72, 82, 84-85, 87
ციკოლია ომარ 136, 275
ცინცაძე ალეკო 146, 716
ცინცაძე თამაზ 214, 663
ცინცაძე კალისტრატე 73-75
ცინცაძე ჟორეს 253
ცირეკიძე იური 182
ცისკარიშვილი სოსო 294
ციცერონი 13
ციციშვილი გიორგი 200, 232
ციხესაშვილი მათე 275, 567, 614
ცუკანოვი 29
ცურტაველი იაკობ 102
ცუცქირიძე ზურაბ 96
ცქვიტაია გურამ 698
ცქიტიშვილი ავთანდილ 493
ცხოვრებოვი მურატ 419

ძ

ძაბირაძე ვახტანგ 255, 275, 286, 565
ძაგოევა ევგენია 419
ძერჟინსკი ფ. 269
ძიძიგური ზვიად 321, 368, 602
ძონენიძე გიორგი 148
ძუნათი ჰაჯი-მურატ 419

წ

წამალაიძე ქრისტეფორე 78, 252, 275
წაქაძე მურმან 722
წერეთელი აკაკი 112, 127
წერეთელი გიორგი (აკადემიკოსი) 57, 114
წერეთელი ირაკლი 237, 239, 255, 275, 286, 289, 293, 296, 299-200, 308, 322, 324, 326, 334-335, 354, 358-359, 386, 388, 412, 430, 502, 552
წერეთელი სოსო 257, 272
წიკლაური ნუგზარ 321, 366

ნონორია ავქსენტი 27, 64
ნურნუმია ბეჟან 682
ნყაროველი ო. 150

ჭ

ჭავჭავაძე ალექსანდრე 71
ჭავჭავაძე ანა 597, 609
ჭავჭავაძე ილია 11, 27, 115, 127, 158, 188, 222, 280, 283, 285, 313, 358, 650
ჭავჭავაძე ნიკო 293, 416
ჭავჭავაძე ზურაბ 293, 307-308-309, 311, 318, 321, 327-329, 343
ჭალიძე ვალერი 155, 167, 176, 235, 474
ჭანკოტაძე დევი 574
ჭანტურია გია 237, 255, 275, 286, 288, 293, 296, 299, 303-305, 308-309, 311, 326, 334, 347, 349, 354-355, 361, 364-365, 370-371, 383, 385, 387-388, 412-413, 418, 474, 502, 526, 549-550, 552, 564-566, 578, 647, 663, 665
ჭანუყვაძე შოთა 149
ჭელიძე ვახტანგ 89-90, 196
ჭიაურელი მიხეილ 44, 54
ჭითავა ვახტანგ 255, 275
ჭითანავა ნოდარ 346, 360, 408, 413, 485, 535
ჭილაია სერგი 62, 188, 196
ჭილაძე თამაზ 122
ჭილაძე ოთარ 122, 387
ჭინჭარაული ალექსი 105-106
ჭინჭარაული ვაჟა 321, 676, 685, 692, 695
ჭიპაშვილი ჰამლეტ 232
ჭიჭინაძე კონსტანტინე 32
ჭუმბურიძე ჯემალ 580, 657-659

ხ

ხაბეიშვილი სოლიკო 148, 270
ხაბულიანი დილარ 408, 515-516, 528-529, 548, 564, 573, 580
ხაზალია ზიბერტ 201, 236
ხაიამი ომარ 67
ხაინდრავა გოგა 313, 321, 328, 549-550, 565-566, 578, 586, 665
ხაინდრავა თათია 66, 246
ხაინდრავა ლევან 70, 88
ხაინდრავა სიმონ 66, 70
ხაიროვი შ. 54
ხარაბაძე გოგი 360
ხარებავა ბესო 682, 697
ხატიაშვილი ოთარ 408
ხვადაგიანი დავით 357-358
ხლებნიკოვი ველიმირ 140
ხონელიძე გიორგი 321, 448, 510
ხოშტარია გიორგი 408, 417, 435, 471-473, 508-509, 512-515, 546
ხოჯა ენვერ 13, 536
ხრუშჩოვ ნიკიტა 28, 53, 55-56, 59, 72, 78-81, 86, 116, 122-126, 129, 131, 133-134, 147, 160, 164, 173, 440
ხურციძე ბეჟან 694

ჯ

ჯავახიშვილი ალექსანდრე (ლალი) 337, 360
ჯავახიშვილი გივი 88, 126, 138
ჯავახიშვილი ივანე 27, 40, 43, 177, 254, 375, 454
ჯავახიშვილი მიხეილ 11, 27, 31-32, 38-39, 58
ჯაიანი ანზორ 489
ჯანაშია სიმონ 40-41, 43-44, 454
ჯანჯულია ედიშერ 454
ჯაფარიძე ჯურხა 366
ჯაფარიძე რევაზ 114, 175, 196, 230
ჯეკსონი ჰენრი 168
ჯემირევი მუსტაფა 163
ჯეფერსი რობინსონ 95
ჯეფეროსნი თომას 377
ჯვარშეიშვილი თემურ 219, 220
ჯიბლაძე გიორგი 44, 50
ჯიკაევი ახსარ 419
ჯიქია ნაური 641, 643
ჯოისი ჯეიმს 109, 200
ჯომიდავა სოსო 603, 655, 657, 669
ჯორჯიკია კონსტანტინე (ჯაჯუ) 68
ჯუ-დე (გენერალი) 80
ჯულაშვილი სოსო 40

ჰ

ჰაბსბურგი ოტტო ფონ 624, 628
ჰაეელი ვაცლავ 349-350, 365, 390, 404, 508, 584, 629
ჰაინე 55
ჰეინსუორთი 106
ჰელმსი ჯესი 263, 333, 467
ჰილასი კენეტ 193
ჰიტლერი ადოლფ 61, 573
ჰოიერი სტენ 302, 545
ჰოპტლი 625
ჰუმბოლდტი ვილჰელმ ფონ 375-376
ჰუსეინი სადამ 392, 489, 534

გამოყენებული ლიტერატურა

1. სერგო ვარდოსანიძე. რა მოხდა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში 1968 წელს, ხელნაწერი;
2. ლევან ჯიქია, ზვიად გამსახურდია და ქართველი მწერლები, წინააღმდეგობრივი ურთიერთობები. (1968-2004) ნარკვევები, დოკუმენტები და მასალები საქართველოს უახლესი ისტორიიდან. თბ. 2022;
3. გ. დოჩანაშვილი, „რაც უფრო მახსოვს და მეტად მაგონდება“, ავტობიოგრაფიული რომანი, 2010;
4. დონალდ რეიფილდი, „სტალინი და მისი ჯალათები“, „კადმოსი“, 2019. (ინგლისურიდან თარგმნა და რუსულ რედაქციას შეადარა ბელა წიფურიამ, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი);
5. საიმონ სებაგ მონტეფიორე, „სტალინი. წითელი მეფის კარი“, თბ. 2012;
6. საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ოფიციალური დოკუმენტები, მიმართვები და ინტერვიუები, ტ.1-5. ზვიად გამსახურდია. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, თბ. 2013;
7. ქართული დისიდენტური მოძრაობის ისტორია, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ომარ თუშურაშვილი, ვლადიმერ ლუარსაბიშვილი, თბ. 2016;
8. საქართველოს მოამბე, N1, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, თბ. 2007;
9. დალი ლოლუა, 13 ნელინდი კოლხურ კოშეში, „არტანუჯი“ , 2018;
10. ალიკო ცინცაძე, გიორგი ბაღათურია, არჩევანი, დემოკრატიის მშენებლობა ტოტალიტარიზმის ეპოქაში, ედუარდ შევარდნაძის გამოცდილება, ბ. მაცაბერიძის გამომცემლობა „ბაკმი“, თბ. 2002;
11. ჯაბა იოსელიანი, „სამი განზომილება“, გამომც. „საარი“, თბ. 2021;
12. ზვიად გამსახურდია, წერილები, ესსეები, თბ. 1991;
13. დიმიტრი შველიძე, პოლიტიკური დაპირისპირებები და ეროვნული ხელისუფლების დამხობა საქართველოში, 1987-1992, „არტანუჯი“, 2021;
14. 79 ამბავი, ზვიად გამსახურდია, „არტანუჯი“, 2018;
15. ზვიად გამსახურდია, პოლიტიკა, მეცნიერება, ლიტერატურა, კონფერენციის მასალები, „არტანუჯი“, 2020;
16. მერაბ კოსტავა, მუზეუმების გაერთიანება, თბ. 2019;
17. სოსო სიგუა, „მარტვილი და ალამდარი“, თბ. 2001;
18. ეროვნული ხელისუფლების 419 დღე, მეორე რესპუბლიკის მატიანე, შემდგენლები: გ. არქანია, გ. გიოშვილი, გ. ბუცხრიკიძე, „არტანუჯი“, 2021;
19. პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას საქმე, საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებასთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის ძირითადი დოკუმენტი, „არტანუჯი“, 2013;
20. ირაკლი გიორგაძე, ეროვნული მოძრაობის თავისებურებანი საქართველოში (XX ს-ის 20-90-იან წლებში). დისერტაცია წარმოდგენილია ისტორიის დოქტორის (2004) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად;
21. სერგი ჭილაია, მოგონებათა გამა, თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1989;
22. ვ. ყოლბაია, თ. ჟახრაია, რ. გელანტია, დ. ლაცუზბაია, აფხაზეთის საკითხი ოფიციალურ დოკუმენტებში, I, (1989-1999) თბ. 2000;
23. გივი თაქთაქიშვილი, ეკონომიკური რეფორმები და ეროვნული ხელისუფლება, მოგონებები, გამომცემლობა „ინტელექტი“, 2021;
24. თომას გოლცი, ომისა და პოლიტიკური ქაოსის ქრონიკა პოსტსაბჭოთა კავკასიაში, „არტანუჯი“, 2014;
25. მ. სალუაშვილი, „საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია“, ტ. 1-2, თბ. 1995;
26. თამაზ დუმბაძე, „თქვენ გასაგონად ბიჭებო“, გამომც. „მერანი-3“, 1999;
27. სტივენ ჯონსი, საქართველო – პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2013;
28. მერაბ კოსტავა, კონსტანტინე გამსახურდიას გარდაცვალების წლისთავზე. „შენყვეტილი ფიქრები“, „მერანი“, 1991;
29. ზვიად გამსახურდია, „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისური თარგმანები. თბილისი, მეცნიერებათა აკადემიის გამომც. თბ. 1983;
30. ღია საზოგადოება საქართველო, ქართულ-ოსური კონფლიქტის მიზეზების, დინამიკის, გადაწყვეტის გზების ძიება და სავარაუდო მიმართულების შესახებ, თბ. 2005;
31. ივანე თვალავაძე, ეროვნული მოძრაობის კვალდაკვალ, თბ. 2019;
32. გრიგოლ ლორთქიფანიძე, „ფიქრები საქართველოზე“, თბ. 1995;
33. ჯონი ხეცურიანი, დამოუკიდებლობიდან სამართლებრივი სახელმწიფოსკენ, პუბლიცისტური წერილები, ინტერვიუები, თბ. 2006;

34. ბ. ქანთარია, კონსტიტუციონალიზმის ფუნდამენტური პრინციპები და მმართველობის ფორმის სამართლებრივი ბუნება პირველ ქართულ კონსტიტუციაში, თბილისი, 2013;
35. ლია ანდღულაძე, „რაც არ მავიწყდება", თბ. 2010;
36. ოთარ ჩხეიძე, „არტისტული გადატრიალება", თბ. 1994;
37. ლევან ჯიქია, ზვიად გამსახურდია და ქართველი მწერლები, წინააღმდეგობრივი ურთიერთობები. (1968-2004) ნარკვევები, დოკუმენტები და მასალები საქართველოს უახლოესი ისტორიიდან. თბ. 2022;
38. საქართველო, მეოცე საუკუნის 90-იანი წლები, ქრონიკები, ნიგნი პირველი, მასალები საქართველოს უახლესი ისტორიისთვის, შემდგენლები: მ. სამსონაძე, ალ. დაუშვილი, გ. მაისურაძე, ნ. თომაძე, მ. თადუმაძე, გამომც. „უნივერსალი", თბ. 2010;
39. Авторханов А., Технология власти, Possev-Verlag, 1983;
40. Л. Колаковский, Семнадцать «или» и другие эссе. П: ТТ, 2014;
41. Виктор Фрадкин, Дело Кольцова, Вагриус 2002;
42. А. Авторханов, «Загадка смерти Сталина», Possev-Verlag, 1986;
43. Чуев Ф. И. Полудержавный властелин. М.: Олма-Пресс, 2000;
44. Кассирер Э., Опыт о человеке. Введение в философию человеческой культуры. Избранное. Опыт о человеке. М.: Гардарика, 1998;
45. А. Бергсон, Творческая эволюция., СПб., 1914;
46. Анастас Микоян. Так было. М.: Вагриус, 1999;
47. Пётр Шелест, «Настоящий суд истории ещё впереди» Петро Шелест. Справжній суд історії ще попереду. Спогади, щоденники, документи, матеріали / За ред. Ю. Шаповала. Київ: Генеза, 2004;
48. Сюзанна Шаттенберг. Леонид Брежнев: величие и трагедия человека и страны. РОССПЭН, 2018;
49. Алексеева Л. М. История инакомыслия в СССР: Новейший период, Вильнюс; М.: Весть, 1992;
50. Варлам Шаламов. Письма к А. И. Солженицыну, Собрание сочинений. М.: Худ. лит., Вагриус, 1998;
51. Гамсахурдиа, Звиад. Человечество перед дилеммой, Ред.: Иракли Кенчошвили — М.: «Актриса Маргарита», 1993;
52. Бобков Ф. Д. КГБ и власть. На заседаниях Политбюро. Москва. Издательство «Ветеран МП», 1995;
53. В. Джутели, Тяжелый крест, записки народногвардейца, Тифлис, 1920;
54. Deltev Preuße, Umbruch von unten: Die Selbstbefreiung Mittel- und Osteuropas und das Ende der Sowjetunion, Kindle Ausgabe, Springer 2014;
55. Richard Pipes, Memoirs of Non-Belonger, Yale-University-Press, 2003;
56. Frank Lothar Kroll, Barbara Zehnpfennig, Hg. Ideologie und Verbechen, Kommunismus und Nationalsozialismu im Vergleich, W. Fink, 2013;
57. Thierry Wolton, Le KGB au pouvoire, Le Systeme Poutin, Buchet.Chastel, 2008,
58. Michael R. Beschloss and Strobe Talbott, At the Highest Levels, The Inside Story of the End of the Cold War, Little, Brown and Company, Boston, Toronto, London, 1993;
59. Andreas Kappeler, Ungleiche Brueder, Russen und Ukrainer, C.H.Beck, 2022;
60. Konstantin Gamsachurdia, Swiad Gamsachurdia, Dissident, Praesident Maertyrer, Perseus Verlag, Basel, 1995;
61. Christopher Andrew, Mitrokhin Vasili, The Sword and the shield, The Mitrokhin Archive and the secret history of the KGB, 1999;
62. Nicolac Gorjestani, Ahead of their time. The legacies of Mohammad Mosaddegh in Iran and Zviad Gamsakhurdia in Georgia, Book 2, Zviad, Mage Publishers, 2021.

სარჩევი

წინათქმა 7

1. ზვიად გამსახურდიას დაბადება, მისი ოჯახი და კულტურულ – პოლიტიკური გარემო მე-20 საუკუნის საქართველოში 21

1.1. კონსტანტინე გამსახურდია და მირანდა (მართა) ფალავანდიშვილი. ოჯახის მოკლე ისტორია და ბავშვობის წლები 22

1.2. რეტროსპექტივა: კონსტანტინე გამსახურდიას პოზიციონირება სტალინ-ბერიას ეპოქაში და პოსტსტალინური ხანის დასაწყისში 27

1.3. მამისეული სახლი და ოჯახური წრე 64

1.4. ზვიად გამსახურდია მოწაფეობის წლებში და ომის შემდგომი საქართველოს რეალობა. 68

1.5. კათალიკოსი კალისტრატე ცინცაძე, ნათლობა და ნათლიები 73

1.6. 1956 წლის 5-9 მარტის მოვლენები 78

1.7. ორგანიზაცია „გორგასლიანის" დაფუძნება, დაპატიმრება და სასამართლო 82

1.8. უნივერსიტეტი და განათლების წლები 88

1.9. ზვიად გამსახურდიას პირველი ქორწინება 91

1.10. მოღვაწეობის პირველი ნაბიჯები 94

1.11. მუსიკა 99

1.12. თარგმანები და ენობრივი კონცეპტი 101

1.13. დისკუსიები მსოფლმხედველობრივ საკითხებზე 107

1.14. მამისეული სახლის სტუმრები და „მებრძოლთა აკადემია" 112

1.15. ნაადრევი გარდაცვალების გამო შეწყვეტილი მეგობრობები 117

1.16. მდგომარეობა ხრუშჩოვის გადადგომისა და ბრეჟნევის აღზევებისას ... 123

1.17. მოგზაურობები მოსკოვში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ლატვიასა და ესტონეთში 127
1.18. რელიგიური ცხოვრება და შეხვედრა ქართულ საეკლესიო სერგიანიზმთან 130
1.19. დედის გარდაცვალება 137
1.20. ორიგინალური პოეზია 140
1.21. ედუარდ შევარდნაძის მოსვლა ცეკას მდივნად და მისი სტუმრობა „მწუხარე შემოდგომის" წინ 145

2. დისიდენტური მოძრაობა, პატიმრობა, გადასახლება და სამშობლოში დაბრუნება 153
2.1. სხვაგვარად მოაზროვნეები, ადამიანის უფლებები და ახალ გზაზე დადგომა 154
2.2. სინიავსკისა და დანიელის პროცესი. პრაღის მოვლენები და მათი დისიდენტური რეცეფცია საბჭოთა კავშირში 160
2.3. სახაროვი, სოლჟენიცინი და დისიდენტური მოძრაობა 166
2.4. ადამიანის უფლებათა საინიციატივო ჯგუფი და „ჰელსინკის ჯგუფი". ქართული თვითგამოცემა 176
2.5. მეორე ზღუდის დაცემა – კონსტანტინე გამსახურდიას გარდაცვალება 185
2.6. რეპრესიის პირისპირ 189
2.7. მწერალთა კავშირიდან გარიცხვა 195
2.8. დაპატიმრება. საქმე N131 201
2.9. განაჩენი, „მონანიება" და პაიპერ-უიტნის პროცესი 207
2.10. კოჩუბეი ნოღაის ნახევარუდაბნოში 212
2.11. ეკლესიაში მიმდინარე პროცესები და ილია მეორის აღსაყდრება 215

2.12. 1978 წლის 14 აპრილის დემონსტრაცია 230
2.13. გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ 235
2.14. ზვიადი და მერაბი.....239
2.15. „მწუხარე შემოდგომა" და მისი გაგრძელება 242
2.16. ახალი რეპრესიები „პერესტროიკის" წინა პერიოდში.....251
2.17. ჰელსინკის შედეგების შესახებ.....261

3. უფლებადამცველური მოძრაობიდან
ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისკენ.....265
3.1. სსრკ-ის ახალი კურსი და საქართველო.....266
3.2. მერაბ კოსტავას გათავისუფლება 272
3.3. ტრანსკავკასიური მაგისტრალი და საზოგადოებრივი აზრი 277
3.4. ეროვნულ-უფლებადამცველური მოძრაობა და ილია ჭავჭავაძის
ისტორიული ფიგურა.....280
3.5. „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება".....284
3.6. 1988 წლის ზოგადი სურათი, დიდი გარდატეხის პირველი წელი.....289
3.7. 1988 წლის დღის წესრიგის სხვა საკითხები 297
3.8. აჭარაში შექმნილი მდგომარეობა 300
3.9. 1988 წლის ნოემბრის შიმშილობის აქცია თბილისში 302
3.10. „ღირსების სასამართლო", როგორც დისიდენტობის პერიოდის
ანგარიშების არასაჭირო და დამაზიანებელი წამოწევა.....305
3.11. დაძაბულობა აფხაზეთში და რეაქციები თბილისში.....313
3.12. 1989 წლის 9 აპრილი 321
3.13. რატომ გაჩნდა არაფორმალებში თვითგანსაზღვრება –
„რადიკალური". „სახალხო ფრონტის" დაფუძნება 333
3.14. 1989 წლის ზაფხული და შემოდგომა.....340

3.15. ცხინვალის აქცია და აღძრული საქმის შეწყვეტა.....345
3.16. 1990 წლის მოვლენები და ეროვნული მოძრაობის სამი შესაძლო გზა.....350
3.17. „მრგვალი მაგიდის" პლატფორმა.....359
3.18. გუმბარიძის კომუნისტური რეჟიმის ბოლო გაბრძოლება.....364
3.19. არჩევნების წინა პერიოდი.....370
3.20. ინტერმეცო: საქართველოს სულიერი მისია და გელათის აკადემია.....374
3.21. „ეროვნული კონგრესის" არაფორმალური არჩევნები.....384
3.22. უზენაესი საბჭოს არჩევნები.....388
3.23. მიმდინარე ამბების ქრონიკა, როგორც ფონი.....390

4. საქართველოს მეორე დამოუკიდებელი რესპუბლიკა.....393
4.1. პარლამენტის პირველი სესია და გამარჯვებული კოალიციის პროგრამა.....394
4.2. მინისტრთა კაბინეტი და კადრების ყბადაღებული საკითხი.....404
4.3. „ეროვნული კონგრესი" და „მხედრიონი".....410
4.4. „სამხრეთ ოსეთის" დამოუკიდებელი რესპუბლიკა ზვიად გამსახურდიას „ჩანაწერებში".....418
4.5. 1990 წლის დეკემბრის დღის წესრიგი – შიდა ქართლი და სხვა საკითხები.....429
4.6. 1991 წლის დასაწყისი.....437
4.7. „პერესტროიკა" და გორბაჩოვი, უშუალო შეხება.....440
4.8. ბორის ელცინის ჩამოსვლა საქართველოში.....443
4.9. კავკასიური ვექტორი და აფხაზეთი.....447

4.11. ისტორიული მოხსენება და დამოუკიდებლობის აღდგენა 461
4.12. ძალისხმევა საერთაშორისო აღიარებისთვის 469
4.13. საპრეზიდენტო კამპანია და პროგრამა 475
4.14. საპრეზიდენტო არჩევნების წინ: არჩევნები აჭარაში და დამანგრეველი მიწისძვრა 488
4.15. საპრეზიდენტო არჩევნები 491
4.16. რა ხდებოდა საბჭოთა კავშირში 494
4.17. 1991 წლის ზაფხულის საშინაო დღის წესრიგი 500
4.18. აფხაზეთის სტრატეგია 505
4.19. 1991 წლის ზაფხულის საგარეო დღის წესრიგი 507
4.20. აგვისტოს კრიზისი მთავრობაში და შევარდნაძის ფაქტორი 512
4.21. შედავება პრივატიზაციასა და ეკონომიკურ რეფორმებზე 517
4.22. პუტჩის მცდელობა მოსკოვში და მასზე რეაგირება საქართველოში 522

5. იმპერიული ნომენკლატურის რევანში 531
5.1. პუტჩის დასაწყისი თბილისში 532
5.2. დაპირისპირების ესკალაცია 1991 წლის სექტემბერში 539
5.3. სექტემბრის სესია, როგორც ესკალაციის შენელების მცდელობა 546
5.4. ესკალაციის წასვლა დროებითი დასრულებისკენ 552
5.5. სადოქტორო დისერტაცია, როგორც ყინულმჭრელი 561
5.6. მდგომარეობა 1991 წლის ზამთრის პირზე 563
5.7. საბჭოთა გეოპოლიტიკური კოლოსის დასასრული 566
5.8. პუტჩი 572
5.9. პუტჩის შემდეგ – აზერბაიჯანი, ერევანი, გროზნო 585
5.10. რა ხდებოდა თბილისში 1992 წლის 6 იანვრის გადატრიალების შემდეგ 590

5.11. კოლხური კოშკის მდგომარეობა პუტჩის შემდეგ და მისი გადარჩენის საქმეში გურამ შარაძის ჩართვა 597
5.12. დასავლეთ საქართველოს ვანდეა პუტჩის შემდგომ და საინფორმაციო ომი 600
5.13. დაძაბულობა და ომის დაწყება აფხაზეთში 610
5.14. ზვიად გამსახურდიას მოგზაურობა ევროპაში – მოკლეხნიანი შეჩერება თურქეთში 615
5.15. ზვიად გამსახურდიას მოგზაურობა ევროპაში – ფინეთი 618
5.16. ზვიად გამსახურდიას მოგზაურობა ევროპაში – ავსტრია 623
5.17. ვილნიუსის გავლით გროზნოში დაბრუნება 630
5.17. გროზნოული პერიოდი და სამშვიდობო ინიციატივები 632
5.18. 1993 წლის მღელვარე ზაფხული 638
5.19. ბობოყვათის მოლაპარაკებები, როგორც ლეგიტიმურობის ერთობლივად აღდგენის შეთავაზება 643
5.20. სოჭის ხელშეკრულების საბედისწერო შედეგები და პრეზიდენტის სამშობლოში დაბრუნება 648
5.21. ზუგდიდი და აფხაზეთის ფრონტის ხაზი. 654
5.21. სამეგრელოს ვანდეას დასასრული 661

6. უკანასკნელი დღეები 671
6.1. გადასვლა აფხაზეთში 672
6.2. დაბრუნება სამეგრელოში და ჩქვალერში მისვლა 676
6.3. მუჟავა 680
6.4. წალენჯიხის რაიონში 688
6.5. ჯაღირა და ჯიხაშკარი 693
6.6. ძველი ხიბულა 700

6.7. გარდაცვალების ვერსიები 705
6.8. პირად მცველთა ჩასვლა გროზნოში გუგუშვილთან ერთად და ჩეჩნური დელეგაცია საქართველოში 707
ბოლოთქმის მაგიერ 715

დამოწმებული წყაროები 728
პირთა საძიებელი 740
გამოყენებული ლიტერატურა 751